ნიკა ჩიტაძე

გეოპოლიტიკა

თბილისი 2011

წიგნი გამოიცემა პროექტის - "საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის გამჭვირვალობისა და დემოკრატიზაციის ხელშეწყობა ომისშემდგომ პერიოდში" ფარგლებში.

პროექტს ფინანსურ დახმარებას უწევს ნორვეგიის საელჩო აზერბაიჯანსა და საქართველოში, მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში

პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია – **"მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი"**

არასამთავრობო ორგანიზაცია – "მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი" დაფუძნდა 2002 წლის მარტში ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხთა შემსწავლელი ევროპული ცენტრის კურსდამთავრებულთა მიერ. ევროპული ცენტრი მდებარეობს ქალაქ გარმიშ-პარტენკირხენში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

ცენტრის ძირითად მიზნებს განეკუთვნება:

- ინტენსიური თანამშრომლობა ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხთა ევროპულ ცენტრთან და ამ ცენტრის კურსდამთავრებულთა საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედ ანალოგიურ ორგანიზაციებთან;
- კურსდამთავრებულთა მიერ ცენტრში მიღებული ცოდნის (საერთაშორისო ურთიერთობები, ეროვნული უსაფრთხოება, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, კრიზისების მართვა, თავდაცვის მენეჯმენტი, კონფლიქტების პრევენცია) პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვის ხელშეწყობა;
- საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური და სხვა მნიშვნელოვანი პროცესების შესწავლა და ანალიზი;
- საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მშვიდობიანი საშუალებებით რეგიონალური თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;
- პოტენციური კონფლიქტური წყაროების აღმოსაფხვრელად პრევენტული მექანიზმების შემუშავება და კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების დარეგულირების გზების ძიება/ანალიზი;

The book is published in the framework of the project: Promotion of the Transparency and Democratization of the Defense and Security Sector in Georgia in post-war period.

The financial support of the project is provided by Royal Norwegian Embassy of Norway in Azerbaijan and Georgia.

The project is implemented by NGO-**George C. Marshall Alumni Union, Georgia-International and Security Research Center**

Mission and responsibilities of the NGO-George C. Marshall Alumni Union, Georgia-International and Security Research Center

Non-governmental Organization George C. Marshall Alumni Union, Georgia – International and Security Research Center was founded in 2002 by the graduates of the George C. Marshall European Center for International and Security Studies, which is located in Garmisch-Partenkirchen (Germany) and represents the American-German partnership educational institution. According to the Charter of the NGO, all graduates of the Marshall Center are officially members of the Alumni Union.

Main priorities of the Center are the following issues:

- Introducing to the practical activity the knowledge (International Relations, National security, political science, democracy, human rights, economics, International Law, International organizations, Defense Strategy etc.), which has been gained at the Marshall Center;
- Researching and analysis of the current political, economic, security, politico-military events, which are going on in Georgia and Caucasus Region;
- Promotion development of the Regional cooperation according to the principles and norms of the International Law;
- Working out the approaches for the resolution of the existed conflicts in the Caucasus Region.

ავტორის შესახებ

ნიკა ჩიტაძე დაიბადა 1969 წლის 22 იანვარს ქალაქ თბილისში.
1993 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალური,ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის სპეციალობით, ხოლო 1998 წელს უნივერსიტეტის ასპირანტურა იმავესპეციალობით.

1996-2000 წლებში სწავლობდა საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 2000 წელსსაერთაშორისო ურთიერთობები/დიპლომატიის სპეციალობით.

1998 წელს გაიარა სასწავლო კურსები პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საზაფხულოინსტიტუტში (ქ. კრაკოვი, პოლონეთი), სადაც სალექციო კურსები იკითხებოდა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის წამყვანიუნივერსიტეტების პროფესორთა მიერ.

1999 წელს სწავლობდა გერმანიაში ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობებისსაკითხების შემსწავლელ ევროპულ ცენტრში. ცენტრში სწავლების პერიოდში ასევე გაიარა სასწავლო კურსი ნატოსშტაბ-ბინაში ბრიუსელში (ბელგია).

2001 წელი (ნოემბერი–დეკემბერი) – <u>ევროგაერთიანების პროგრამა „ტასისის“-ის მიერ ორგანიზებული კურსი მენეჯმენტში</u> – მანჰაიმი (გერმანია), სტრასბურგი (საფრანგეთი)

2002 წელს გაიარა სამეცნირო სტაჟირება ოქსფორდის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პოლიტიკისა და საერთაშორისოურთიერთობების კათედრაზე, ხოლო 2003 წელს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ქ. ბუდაპეშტი, უნგრეთი)საერთაშორისო ურთიერთობების კათედრაზე. ბრიტანეთსა და უნგრეთში სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში მანდაასრულა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა და 2004 წლის მაისში დაიცვა დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე: “კასპიის სანავთობო პროექტები და საქართველოს სატრანზიტო როლი.გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები”.

2005-2006 წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მიერ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ორგანიზებულ სემინარებში “დემოკრატიული ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება”, ხოლო 2006 წლის ივლისში სასწავლო კურსი გაიარა ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი), ევროპის საბჭოს პოლიტიკური სწავლების სკოლებისთვის ორგანიზებულ დემოკრატიის საზაფხულო უნივერსიტეტში.

2008 წლის ივლისში სასწავლო კურსი გაიარა ნატო-ს თავდაცვის კოლეჯში (ქ.რომი, იტალია), “პარტნიორობა მშვიდობისათვის კონსორციუმის” მიერ ორგანიზებული პროგრამის ფარგლებში.

2003-2005 წლებში მიწვეული იყო ლექციების წასაკითხად ნატოს სკოლაში (ობერამერგაუ, გერმანია), სადაც მისი სალექციო კურსი მიეძღვნა თემას “უსაფრთხოების გამოწვევები ევრაზიის გზაჯვარედინზე და მათი გავლენა ევრაზიაზე”.

2008 წლის ივლისში მოწვეულ იყო ექსპერტად **ევროპის საბჭოში** (სტრასბურგი, საფრანგეთი), სადაც მან გააკეთა მოხსენება თემაზე: “შავი ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება”
2000 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. კერძოდ,პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მას ჩატარებული აქვს სხვადასხვასალექციო კურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამერიკულ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში, ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის ეკონომიკისა და სამართლის აკადემიაში, კავკასიის აკადემიურ ცენტრში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში.
პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად წიგნის ავტორი სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკისსამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოში,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში, საქართველოსთავდაცვის სამინისტროში - თავდაცვის მინისტრის მოადგილის მრჩევლად სამხედრო პოლიტიკისა და საერთაშორისოურთიერთობების საკითხებში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიტიკისა და სტრატეგიულიკვლევების მთავარ სამმართველოში, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფოსააგენტოსა და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტში.
2002 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაცია “მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისოდა უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრის” პრეზიდენტი. ამჟამად გახლავთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიცე-დეკანი და პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების კოორდინატორი, ასევე ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

სხვადასხვა პერიოდში მიწვეული იყო ექსპერტად სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე აშშ-ში,დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, პოლონეთში, უკრაინაში, თურქეთში,რუმინეთში, ბელგიაში, სერბეთში.
არის 50-ზე მეტი სტატიისა და სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის სამი წიგნის ავტორი.

სარჩევი

შესავალი
გეოპოლიტიკა როგორც მეცნიერება **6**

გეოპოლიტიკის განსაზღვრება 10
თავი I
გეოპოლიტიკის წინა ისტორია 13
გეოპოლიტიკური წარმოდგენები ძველი აღმოსავლეთის მოძღვრებებში
(ჩინეთი, ინდოეთი)
ანტიკურობის გეოპოლიტიკური იდეები
(ძველი საბერძნეთი და რომი)
თავი II შუა საუკუნეების გეოპოლიტიკური აზრი 22
შუა საუკუნეების არაბული სამყაროს გეოპოლიტიკური კონცეფცია
თავი III
ახალი დროის გეოპოლიტიკური აზრი 26
ჟან-ჟაკ რუსო
კანტი
მონტესკიე
ჰეგელი
კარლ ფონ კლაუზევიცი
თავი IV
გეოპოლიტიკური პროცესები. 30
მსოფლიოსა და ეპოქის სურათები
გეოპოლიტიკური პროცესებისა და და მსოფლიო გეოპოლიტიკური სურათების ცნება
გეოპოლიტიკური პროცესები და ახალი დროის მსოფლიოს სურათები.
კოლონიური იმპერიების შექმნა
დეკოლონიზაცია და ახალი სახელმწიფოების შექმნა
ომები როგორც გეოპოლიტიკური პროცესები
მსოფლიოს გეოპოლიტიკური ეპოქები.
თავი V
კლასიკური გეოპოლიტიკა
ნაციონალური სკოლების ფორმირება 37
გერმანული სკოლა
იაპონური სკოლა
იტალიური სკოლა
ბრიტანული და ამერიკული
სკოლები
ფრანგული სკოლა
რუსული სკოლა
თავი VI
კლასიკური პერიოდის წამყვანი გეოპოლიტიკოსების ძირითადი იდეები 41
გერმანული "ორგანიციზმული სკოლა" (რატცელი, ჩელენი, ნაუმანი)
კონტინენტური ბლოკის იდეა (ჰაუსჰოფერი, შმიტი)
ბრიტანული გეოპოლიტიკური აზრი (მაკინდერი, ფ. კოლომბი, ჩერჩილი)
აშშ-ის გეოპოლიტიკური აზრი კლასიკურ პერიოდში (მეჰენი, სფიქმენი, ბოუმენი, მაკდონალდსი)
ვიდალ დე ლა ბლაში – ფრანგული გეოპოლიტიკური სკოლის ფუძემდებელი
კლასიკური პერიოდის რუსული გეოპოლიტიკა (სემიონოვ ტიან-შანსკი, სავიცკი)
თავი VII.
გეოპოლიტიკური სკოლები და თეორიები XX საუკუნის მეორე ნახევარში 59
თანამედროვე ატლანტიზმის თეორიები (კირკი, კოენი, ბუეჟინსკი, კისინჯერი)
უახლესი ატლანტიზმის ორი ვერსია (ჰანტიგტონი, ფუკუიამა, კონვერგენციის თეორია,
მონდიალიზმი, გეოეკონომიკა)
თანამედროვე ევროპული გეოპოლიტიკა (ტოინბი, კასტელზი, დიუმონი, მორო-დეფარჟი, სტრიგასი,)
გამოყენებითი გეოპოლიტიკა (ლაკოსტა, ზიგფრიდი)
ევროპელი "ახალი მემარჯვენეების" გეოპოლიტიკა (დე ბენუა, ტირიარი, ლოკჰაუზენი, პარვულესკო,
5
ტერაჩანო)
თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკური სკოლა (გუმილიოვი, დუგინი)
თავი VIII
მსოფლიო წესრიგი და გლობალიზაცია 82
მსოფლიო წესრიგის მოდელები და ძალთა ბალანსი
გლობალიზაციის მთავარი განზომილებები და გეოპოლიტიკა
მსოფლიო საინფორმაციო სივრცის გლობალიზაცია
მსოფლიო ეკონომიკური სივრცის გლობალიზაცია
ეკონომიკური აქტივობის სტანდარტების გლობალიზაცია ნათლად ავლენს თავს მსოფლიო ვაჭრობაში.
სავალუტო ბაზრის გლობალიზაცია
სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზრის გლობალიზაცია
მსოფლიო პოლიტიკური სივრცის გლობალიზაცია: მონდიალიზმი ანუ პოლიცენტრულობა
თავი IX
მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების გეოპოლიტიკური ინტერესები 89
ევროკავშირი
ნატო
ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური პრიორიტეტები
რუსეთის ადგილი გეოპოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში
იაპონია თანამედროვე გეოპოლიტიკაში
თურქეთის როლი და ადგილი თანამედროვე გეოპოლიტიკაში
ცენტრალური აზიის როლი თანამედროვე გეოპოლიტიკაში

ირანის გეოპოლიტიკური პრიორიტეტები
 გეოპოლიტიკური ვითარება შავი ზღვის რეგიონში
გეოპოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში
სუამი
კასპიის ზღვის რეგიონის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო გეოპოლიტიკაში
ხმელთაშუა ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება
ახლო აღმოსავლეთი და სპარსეთის ყურე – უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური რეგიონები
ბალკანეთი და კოსოვოს პრობლემა
ჩინეთის გეოპოლიტიკა
აფრიკის პოლიტიკური რუკა
აზიის პოლიტიკური რუკა
ავსტრალია და ოკეანეთის პოლიტიკური რუკა
ამერიკის პოლიტიკური რუკა
ევროპის პოლიტიკური რუკა
თავი X
საქართველოს როლი და ადგილი თანამედროვე გეოპოლიტიკურ სისტემაში 151
საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია
საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ასპექტები
საქართველოში არსებული კონფლიქტები და მათი მოგვარების პერსპექტივები
საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივები
ამერიკა – საქართველოს ურთიერთობები
 თ -ს გეოსტრატეგიული ინტერესები საქართველოს მიმართ
საქართველოს დაინტერესება ნატო-ში ინტეგრაციით
რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა
საქართველო–თურქეთის ურთიერთობები
აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობები
საქართველო-სომხეთი
ირანი და საქართველო
საქართველო-უკრაინა
ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობა
იაპონია და საქართველო
ცენტრალური აზია და საქართველო
დასკვნა 188
შენიშვნები 189
გამოყენებული ლიტერატურის სია 192
დანართები:
დანართი 1:
საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 194
დანართი 2:
საქართველოს სამხედრო სტრატეგია 203

In the book ‘‘geopolitics’’ author analyses different theoretical and practical aspects of Geopolitics. Particularly, at the introduction part of the research there are observed the role and place of geopolitics in the scientific system, determination of geopolitics.

At the I chapter of the book, there are presented the geopolitical ideas in the old Far East (India, China) and Ancient Greece and Rome.

At the II chapter the attention is paid on the geopolitical concepts in the Arabic World during the Middle Centuries.

The III Chapter is dedicated to the geopolitical views of the new period in Europe.

IV chapter presents before the reader the main principles of the geopolitical processes during the different period of history, particularly, the wars as a geopolitical processes, foundation of colonial empires and period of decolonization, main geopolitical stages etc.

At the V chapter, the research is implemented related to analysis the classical geopolitics, particularly to the formation of National schools – German, Japanese, Italian, British, American, French and Russian schools.

შესავალი

გეოპოლიტიკა როგორც მეცნიერება

ჯერ კიდევ ძველი სამყაროს სწავლულებმა შეამჩნიეს ბუნებრივი კავშირი პოლიტიკურ პროცესებსა და დედამიწის სივრცეს შორის, და მართლაც, განა შეიძლება პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებების განხორციელება თუ არ გვეცოდინება შესაბამისი ტერიტორიის კონკრეტული ფართობი, რელიეფი, მცენარეულობა, ჰავა, მდინარეები, სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი დაბრკოლებები, საზღვაო სივრცესთან სიახლოვე – როგორც განსაკუთრებული გეოგრაფიული ფაქტორი პოლიტიკაში და ა.შ.?

განა არსებობს შესაძლებლობა, მიაღწიო გამარჯვებას ომში, თუ არ გაგაჩნია იმ სივრცობრივი სტრუქტურისა და კონკრეტული ადგილმდებარეობის დახასიათება, სადაც მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები თავიანთ პოზიციებს განალაგებენ, ან არ ფლობ ინფორმაციას მოწინააღმდეგე ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის შესახებ?

ამასთანავე, შეუძლებელია დაკავებული ტერიტორიის შენარჩუნება, თუ არავითარი წარმოდგენა არ გექნება მის მოსახლეობაზე (რაოდენობა, სიმჭიდროვე, დემოგრაფიული მახასიათებლები, ეროვნული ხასიათი, ტრადიციები და ა.შ.)

ასე რომ, გეოპოლიტიკური წარმოდგენები, როგორც პოლიტიკური წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორი, დიდი ხანია არსებობს. საკუთრივ ტერმინი შედგება ორი ნაწილისაგან: „გეო“ ნიშნავს გეოგრაფიულს, ესე იგი გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით სახელმწიფოს პოლიტიკაზე. ამ ფაქტორებს შორის ძირითადია: ტერიტორია; გეოგრაფიული მდებარეობა; საზღვრების სიგრძე (განფენილობა), მათი კონფიგურაცია – მთიანი რელიეფისა თუ ვაკე ადგილის არსებობა კონკრეტული საზღვრის პერიმეტრზე, მდინარეებისა და ტბების - როგორც მიმოსვლის გზების არსებობა, საზღვაო გასასვლელი-ქვეყნის მდებარეობა ზღვასთან მიმართებაში, სანაპირო ხაზის სიგრძე, ჰავა (ცივი, ზომიერი, ცხელი, მშრალი).

ნიადაგის ხარისხი (რამდენად ნაყოფიერია იგი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის).

ინფრასტრუქტურა, სამრეწველო პოტენციალი, წიაღისეული, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, მოსახლეობის რაოდენობა, სიმჭიდროვე, სოციალური შემადგენლობა და სხვა.

XX-ს ბოლოს და XXI-ს. დასაწყისში ფუძემ „გეო“ მეორე აზრიც შეიძინა. ახლა მას განმარტავენ, როგორც პოლიტიკის „პლანეტარულ“, „გლობალურ“ საზომს, სუპერსახელმწიფოებისა ან სამხედრო ბლოკების ურთიერთდამოკიდებულების მახასიათებლად, როგორც „ცივილიზაციების შეჯახების“ ფაქტორად.

ტერმინის მეორე ნაწილი – „პოლიტიკა“–მოცემულ კონტექსტში ნიშნავს დომინანტობის, ძალაუფლების მოპოვებას, სივრცეს და ამ სივრცის ათვისებას.

დღევანდელ დღეს, ეს ტერმინიც განიცდის ცვალებადობას. თანამედროვე გეოპოლიტიკის აქტიურ მონაწილეებს ნაკლებად აინტერესებთ ახალი ტერიტორიების დაპყრობა და ათვისება, ამიტომაც ისინი მიილტვიან აკონტროლონ მაქსიმალურად შესაძლებელი სივრცეები, აკონტროლონ არა ტერიტორია მთლიანად, არამედ უმეტესწილად ამ ტერიტორიების საკომუნიკაციო ხაზები და დინებები (ფინანსური, საქონლის, სამუშაო ძალის და ა.შ.), ამით კი გეოპოლიტიკოსთა აზრით, საკუთარი ქვეყნების განვითარებისა და აყვავების საუკეთესო პირობები იქმნება.

გეოპოლიტიკური დისციპლინის განვითარების კლასიკურ პერიოდში (XIX საუკუნის ბოლო, XX საუკუნის დასაწყისი), როდესაც ის მეცნიერებისათვის დამახასიათებელ ფორმებს იძენდა, მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფოს, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, შესწავლას. თანამედროვე გეოპოლიტიკა, აგრძელებს სახელმწიფოს - როგორც გეოპოლიტიკური პროცესის აქტორის შესწავლას, სადაც

კონკრეტულ ქვეყანას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში - გაეროსთან, სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებთან, რეგიონალურ საერთაშორისო სტრუქტურებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. თანამედროვე გეოპოლიტიკა მოიცავს ასევე გეოპოლიტიკურ სტატიკას (მსოფლიო იერარქია, საერთაშორისო პოლიტიკის სუბიექტების სტატუსი და როლი) და გეოპოლიტიკურ დინამიკას (გეოპოლიტიკური პროცესები, მსოფლიო "საჭადრაკო დაფაზე" გეოპოლიტიკის აქტორების მდგომარეობის შეცვლა).

ტერმინის - „გეოპოლიტიკა" ავტორი რ. ჩელენი განსაზღვრავდა მას როგორც „მეცნიერებას სახელმწიფოზე, როგორც გეოგრაფიულ ორგანიზმზე, დაკავშირებულს სივრცესთან"[1].

საწინააღმდეგო პოზიცია ეკავა გერმანული კლასიკური სკოლის გამოჩენილ წარმომადგენელს ა. გრაბოვსკის, რომელიც გეოპოლიტიკას უწოდებდა „შემეცნების საშუალებას", „მეთოდს", და არავითარ შემთხვევაში მეცნიერებას, რომელსაც გააჩნია საკუთარი საგანი, კანონი და ადგილი მეცნიერებათა სისტემაში. გერმანული სკოლის აღიარებული წარმომადგენელი, თვით კ. ჰაუსჰოფერიც კი, მერყეობდა გეოპოლიტიკის სტატუსის საბოლოო განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ყველაფრის მიუხედავად, XIX და XXსს. მიჯნაზე გეოპოლიტიკოსებმა თავიანთ კვლევებში განსაზღვრეს გეოპოლიტიკის ობიექტი (სახელმწიფო, როგორც ცოცხალი ორგანიზმი ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთქმედებაში), და საგანი (სახელმწიფოს ზრდის სივრცისეული კანონები). მიუნჰენის სკოლის მანიფესტში კ. ჰაუსჰოფერმა გეოპოლიტიკა განსაზღვრა როგორც „პოლიტიკური პროცესების დედამიწასთან კავშირის მოძღვრება" და როგორც „ხელოვნება, რომელსაც ძალუძს პრაქტიკული პოლიტიკის ხელმძღვანელობა"[2]. ის მოუწოდებდა გეოპოლიტიკოსებს, რათა მათ მოსახლეობისათვის ესწავლებინათ „გეოპოლიტიკურად აზროვნება", პოლიტიკოსებისთვის კი - „გეოპოლიტიკურად მოქმედება".

ფრანგმა გეოპოლიტიკოსმა ჟ. გოტმანმა 1947 წელს, გეოპოლიტიკას უწოდა „ისტორიის გეოგრაფიული ინტერპრეტაცია, ადაპტირებული პანგერმანიზმის მოთხოვნებთან"[3].

გეოპოლიტიკის ტერმინისა და დეფინიციის განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ასპექტები:

- მეცნიერება, რომელსაც გააჩნია საკუთარი კვლევის საგანი, კანონზომიერება, შემეცნება - რომელსაც გარკვეული ადგილი უკავია მეცნიერებათა სისტემაში, ან პოლიტიკის შემეცნების მეთოდი გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე;
- ობიექტური სამეცნიერო დისციპლინა ან სუბიექტური იდეოლოგიზირებული ფსევდომეცნიერება, რომელიც ამართლებს „სასიცოცხლო სივრცის" დაპყრობას[4].

გეოპოლიტიკური დისციპლინის კატეგორია

გეოპოლიტიკას გააჩნია საკუთარი კატეგორიები და კონცეფციები. მათ შორის ერთ-ერთი მთავარია განსაზღვრებაა*სახელმწიფო როგორც ცოცხალი ორგანიზმი*: „სახელმწიფო არის ორგანიზმი, - წერდა ფ. რატცელი, - რომლის შემადგენლობაში დედამიწის ზედაპირის განსაზღვრული ნაწილი თამაშობს იმდენად მნიშვნელოვან როლს, რომ სახელმწიფოს ყველა თვისება განისაზღვრება მისი მაცხოვრებლებისა და ტერიტორიის თავისებურებებით"[5].

---

[1]Rudolf Kjellen "Die Straat als Lebensform", 1916, p. 3.
[2]Karl Haushofer "Dai Nihon", Munich, 1913

[3]*L'homme, la route et l'eau en Asie sud-occidentale* (1938)

[4]Strausz-Hupe R. Geopolitics: the straggle for space and power. N.Y. 1942
[5]Friendrich Ratzel. "Politische Geographie". 1887.

რატცელის სახელმწიფოს კონცეფცია გამომდინარეობს დედამიწის, როგორც პლანეტის, დედამიწის ბუნებისა და კაცობრიობის ერთიანობის განმსაზღვრელი. მეცნიერის აზრით, სახელმწიფო ადამიანთა საზოგადოების გაგრძელებაა. მას ორი მთავარი ფუნქცია გააჩნია - ზრდა და განვითარება. უკანასკნელი, წარმოადგენს რა ექსპანსიას სხვა უფრო სუსტი სახელმწიფო ორგანიზმის წინააღმდეგ, გამოწვეულია მზარდი სახელმწიფო ორგანიზმის სასიცოცხლო ენერგიით. ამ ექსპანსიის აღსაწერად რატცელს შემოაქვს გაგება "ცხოვრებისეული სივრცე"[6].

რატცელის კონცეფციიდან კ. ჰაუსჰოფერი გამოყოფს საზღვრის კატეგორიას ფართო გაგებით. საზღვარი, მეცნიერის აზრით არის სახელმწიფოების გამყოფი ხაზიც, ბუნებრივი საზღვარიც, რომელიც ჰყოფს კლიმატურ ზონებს, სანაპირო ხაზიც, აგრეთვე, ეთნოსების, კონფესიების და ცივილიზაციათა შორის გამყოფიც[7].

თანამედროვე გეოპოლიტიკის უმთავრესი კატეგორია გახდა გეოსტრატეგია, მისი შინაარსიც გამომდინარეობს ჰაუსჰოფერის წარმოდგენებიდან გეოპოლიტიკურ აზროვნებაზე და გეოპოლიტიკურ მოქმედებაზე. ამასთანავე, მისმა აბსტრაქტულ-თეორიულმა ასპექტმა შეინარჩუნა დასახელება-გეოპოლიტიკა, ხოლო პრაქტიკულ მოღვაწეობას ჩვენს დროში ეწოდება-გეოსტრატეგია. ამავე დროს, გეოპოლიტიკისა და გეოპოლიტიკური თეორიის ფუნქციები გახდა: მსოფლიოს პოლიტიკური ცვალებადობის სურათის გააზრება, მსოფლიო პოლიტიკის აქტორების ურთიერთდამოკიდებულიბა, ცნობილი გეოპოლიტიკური იდეების ახალი გენერირება ან ტრანსფორმაცია, გეოპოლიტიკური კონცეფციების და თეორიების ჩამოყალიბება. გეოსტრატეგია ასრულებს გეოპოლიტიკური თეორიების - რომლებიც დოქტრინების, პროგრამების, კონცეფციების ფორმას იღებენ, ცხოვრებაში განმახორციელებელ ფუნქციას (საგარეო პოლიტიკა, ეროვნული უსაფრთხოება და ა.შ.). ზოგიერთ შემთხვევაში, გეოსტრატეგიას იგებენ როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული დამოკიდებულების განვითარების განსაზღვრულ მიმართულებად (მაგალითად, აშშ-ის წყნარი ოკეანის გეოსტრატეგია) ან საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის (მაგალითად, აშშ-ის 1964-75 წწ. ვიეტნამური გეოსტრატეგია) საშუალებას. თანამედროვე გეოპოლიტიკისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური (გეოსტრატეგიული) რეგიონების გაგებაც.

გეოპოლიტიკის სტრუქტურა და მისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში

გამომდინარე იქიდან, რომ გეოპოლიტიკა იყოფა თეორიულ და პრაქტიკულ (გეოსტრატეგიული) მიმართულებებად, თანამედროვე გეოპოლიტიკის სტრუქტურა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

გეოპოლიტიკა

თეორიული გეოპოლიტიკა (გეოპოლიტოლოგია) *პრაქტიკული, გამოყენებითი გეოპოლიტიკა (გეოსტრატეგია)*

თანამედროვე გეოპოლიტიკის სტრუქტურა შეიძლება დაიყოს მთელ რიგ შემადგენელზე (ნახ. 1.1).

მოვლენებისა და პროცესების კვლევის მასშტაბურობით, აქტორების გეოპოლიტიკური სტატუსის შესაბამისად გეოპოლიტიკა იყოფა გლობალურ, რეგიონალურ - კონტინენტალურ და რეგიონალურ – ლოკალურ გეოპოლიტიკად. პირველ შემთხვევაში, განიხილება სუპერსახელმწიფოების ან გეოპოლიტიკის მსოფლიო აქტორების ურთიერთდამოკიდებულების მსოფლიო დონე; რაც შეეხება

[6]იქვე
[7]Karl Haushofer "Dai Nihon", Munich, 1913. P. 23

რეგიონალურ - კონტინენტალურ გეოპოლიტიკას, ის იკვლევს სიტუაციებსა და პროცესებს კონტინენტალური რეგიონების მასშტაბში. ბოლოს, რეგიონალური - ლოკალური გეოპოლიტიკა დაკავებულია თითოეული ქვეყნის რეგიონების პრობლემებით.

გეოპოლიტიკა

	<u>გეოგრაფიული და დემოგრაფიული შემადგენელი</u>: - ფიზიკური გეოგრაფია - პოლიტიკური გეოგრაფია - ეკონომიკური გეოგრაფია - ეთნოგეოგრაფია - დემოგრაფია
	<u>ისტორიული და პოლიტოლოგიური შემადგენელი</u>: - მსოფლიო ისტორია - პოლიტმეცნიერების ისტორია - პოლიტიკის თეორია - საერთაშორისო ურთიერთობის თეორია - საერთაშორისო პოლიტიკური სისტემები - მსოფლიო ქვეყნების პოლიტიკური სისტემები - რელიგია და პოლიტიკა - ეთნოპოლიტოლოგია - რეგიონალური პოლიტიკა
	<u>ეკონომიკური და ინფორმაციული შემადგენელი</u>: - მსოფლიო ეკონომიკა - ეკონომიკური სტატისტიკა - მარკეტინგი - ინფორმატიკა - კომუნიკაციის თეორია - სამხედრო ეკონომიკა
	<u>სამხედრო - სტრატეგიული შემადგენელი</u>: - სამხედრო სტრატეგია - სამხედრო - საზღვაო სტრატეგია - საჰაერო ომის სტრატეგია - სამხედრო ხელოვნების ისტორია - სამხედრო - საზღვაო ხელოვნების ისტორია - სახელმწიფო სამხედრო სიძლიერის (პოტენციალის) შესწავლა.

თანამედროვე გეოპოლიტიკის მდგომარეობა

თანამედროვე გეოპოლიტიკა თავის ათვლას იწყებს მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან და ომისშემდგომ მსოფლიოში მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა ისტორიულმა მოვლენებმა არა მარტო გარდაქმნა მსოფლიო და გეოპოლიტიკური პარადიგმები, არამედ ისინი დაემთხვა უდიდესი დამანგრეველი ძალის – ბირთვული იარაღის შექმნას, რომლებმაც ოდნავ მოგვიანებით შექმნილ რაკეტმზიდებთან ერთად, არამარტო სამხედრო-სტრატეგიული, არამედ გეოპოლიტიკური როლი ითამაშეს კაცობრიობის მომავალ განვითარებაში.

თანამდედროვე პოლიტოლოგები არ უარყოფენ პოლიტიკის სხვადასხვაგვარ კავშირს სივრცისეულ ფაქტორებთან. პირველ რიგში, ლაპარაკია გეოგრაფიულ სივრცეზე, რომელიც, როგორც ჯერ კიდევ რატცელმა შენიშნა, შედგება სამი სფეროსაგან: გეოსფერო (ხმელეთი), ჰიდროსფერო (წყალი), ატმოსფერო (ჰაერი). ეს სფეროები დედამიწის დასახლებულ ზედაპირზე გადაიკვეთება და ურთიერთმოქმედებს სხვადასხვა სახით.

ხმელეთი, როგორც გეოპოლიტიკური ფაქტორი, მოიცავს:

- სახელმწიფო ტერიტორიების ფართობს;
- სახელმწიფოთა ურთიერთქმედებას ზღვასთან;
- ჰავას (ტემპერატურა, ნალექების რაოდენობა, სეზონურობა);
- ნიადაგის მდგომარეობას ნოყიერების თვალსაზრით;
- ბუნებრივ რესურსებს;
- სასმელი წყლის მარაგს;
- მდინარეების, როგორც ჰიდროენერგიის ფაქტორს.

რაც შეეხება საწყლოსნო სივრცეს, იგი როგორც პოლიტიკის გეოგრაფიული ფაქტორის შემადგენელი, შეიძლება დავახასიათოდ შემდეგი თვისებებით:

- წყალი ხმელეთთან ურთიერთდამოკიდებულებაში ქმნის კონტინენტების, კუნძულების, სანაპიროების, განსაზღვრულ ფორმებს და მოხაზულობებს;
- მოიცავს წყალქვეშა გარემოს თავისი მინერალური რესურსებითურთ;
- იძლევა თევზჭერის საშუალებას;
- იძლევა გემთმშენებლობის, საზღვაო ვაჭრობის, მგზავრთა გადაზიდვისა და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას;
- აჩქარებს ე.წ. „საზღვაო ერების" განვითარებას.

თავის მხრივ, საჰაერო სივრცე კაცობრიობამ სახმელეთო და საზღვაო სივრცეების შემდეგ აითვისა. მისი დამახასიათებელი გეოპოლიტიკური თვისებებია:

- გვერდი აუაროს წინააღმდეგობებს დედამიწის უსწორმასწორი ზედაპირის სახით;
- უმოკლეს დროში გადაილახოს საზღვაო სივრცეები;
- მკვეთრად იზრდება გადაადგილების სისწრაფე;
- შესაძლებელია დედამიწის ზედაპირის ძნელად და მიუღწეველ ადგილებში მიღწევა;
- ადრე მიუღწეველი სიმაღლეებიდან დედამიწის ზედაპირის ეფექტური შესწავლა;
- საომარი მოქმედების ეფექტურობის მკვეთრად გაზრდა მტრის პოზიციების მასიური ბამბარდირების გზითა და ხარისხიანი საჰაერო დაზვერვით;
- მგზავრთა სწრაფი გადაყვანა. ასევე გადაზიდვები პოლიტიკური მიზნებით (სახელმწიფო მოღვაწეების ოფიციალური ვიზიტები და ა.შ.).

ასეთი სახით, პოლიტიკის კავშირი ფიზიკურ სამყაროსთან, გეოგრაფიასთან ბოლო ორი საუკუნეში კიდევ უფრო გაძლიერდა. თუ ძველ სამყაროში განიხილებოდა ხმელეთისა და ზღვის ბრძოლის საკითხი, ხოლო კლასიკური გეოპოლიტიკის პერიოდში ამ ანსამბლს საჰაერო გარემოსაც უერთებდნენ, თანამედროვე პერიოდში უკვე მას უნდა დავუმატოთ კოსმოსური სივრცე.

კოსმოსური სივრცის ათვისება „კოსმოსურ" სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას:

- გააძლიერონ და ხარისხიანად გააუმჯობესონ დედამიწის სივრცის კონტროლი, გახადონ იგი ჭეშმარიტად გლობალური;
- დედამიწის წიაღის და ზედაპირის შემდგომ ათვისებასა და ეფექტურ შესწავლას;

- ახალი, მეტად ეფექტური ლაზერული იარაღის და კოსმოსური რაკეტების შექმნას, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნენ ბირთვული იარაღის მატარებლად;

- მზის სისტემის პლანეტების ათვისებისათვის პლაცდარმის შექმნას.

გეოპოლიტიკის ფიზიკურ-კოსმიური ფაქტორის ყოველი სფეროს მნიშვნელოვნელობა დღევანდელ დღეს კიდევ უფრო გაიზარდა. ზრდა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- ოიკუმენის ტერიტორიების ათვისება და მისი საზღვრების პრაქტიკულად ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე გადატანა;

- მეტნაკლებად საცხოვრებლად ვარგისიანი ტერიტორიების დასახლება, მათი მაცხოვრებლებისათვის ცივილიზირებული პირობების შექმნა;

- მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ათვისება თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით;

ზემოაღნიშნულის გარდა პოლიტიკა კავშირშია სოციალურ ფაქტორებთან, ანუ ისეთ მოვლენებთან და პროცესებთან, რომლებიც საზოგადოების შიგნით ვითარდება და რომლებიც ადამიანთა ურთიერთობაში იბადება. სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულება ძირითად დეტერმინირებულია ისეთი დემოგრაფიული მაჩვენებლებით, როგორიცაა:

- მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე;

- კონკრეტული ტერიტორიისადმი კუთვნილება (ავტოქტონური მოსახლეობა, მოსული მოსახლეობა, თანამედროვე მიგრანტები).

თანამედროვე დემოგრაფიის თვალსაზრისით ამას უნდა დაემატოს ისეთი პრობლემები, როგორიცაა:

- სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი;

- მამრობითი და მდედრობითი მოსახლეობის, ხანდაზმულთა და ახალგაზრდა თაობის თანაფარდობა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში;

- განათლების დონე;

- საქალაქო და სასოფლო მოსახლეობის თანაფარდობა;

- ალკოჰოლის, თამბაქოს, ნარკოტიკების მოხმარების დონე.

მეორე, საკმაოდ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ფაქტორია ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია გეოპოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილების მიღების ისეთ ფსიქოლოგიურ დეტერმინანტებთან, როგორებიც გახლავთ:

– ქვეყნის ლიდერების, სხვადასხვა საფეხურის სახელმწიფო აპარატის მუშაკების, ასევე ყველა იმ სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაკავშირებულები არიან ქვეყნის გეოპოლიტიკური კონცეფციების შემუშავებასთან;

– ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი, რომელიც სუფევს ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში;

– მმართველი ელიტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა;

– ფსიქოლოგიური ვითარება მოცემულ ქვეყანაში, რეგიონში და მსოფლიოში მთლიანად და ა.შ.

ზუსტად ასევე შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ პოლიტიკის ეთნოგრაფიასა და ერის ეთნოლოგიას შორის კავშირზე, ანუ განსაზღვრულ ტერიტორიებზე დასახლებაზე, ეროვნული ხასიათის განსაზღვრული თვისებების ფორმირებაზე, ეთნოგენეზისის განსაზღვრული ეტაპის გავლაზე, სხვა ეთნოპროცესებზე, რომლებზეც არა მარტო პოლიტიკა ახდენს გავლენას, არამედ ერის შემდგომი ბედიც.

განსაზღვრულ გავლენას გეოპოლიტიკაზე ახდენს იდეოლოგიური ფაქტორი, ანუ მოცემული ქვეყნის წამყვანი პარტიების პოლიტიკური ორიენტაცია და ა.შ.

გეოპოლიტიკური კონცეფციები ხშირად განიცდიან ამა თუ იმ სფეროში არსებული ეროვნული ინტერესების ზემოქმედებას. ამა თუ იმ ეროვნულ ნიადაგზე

დაფუძნებული ერთი და იგივე გეოპოლიტიკური პრობლემა იღებს ქვეყნისთვის დამახასიათებელ, ეროვნულ ელფერს.

ეჭვგარეშეა გეოპოლიტიკაზე ეკონომიკური პროცესების გავლენაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სამრეწველო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწების ფართობზე, ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განლაგებაზე განსაზღვრულ გეოგრაფიულ პირობებში – ზღვასთან, მეზობელ ქვეყანასთან სიახლოვე და ა.შ.

ჩვენს მიერ განხილულ იქნა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც პოლიტიკაზე ზემოქმედებენ. ყველა ისინი დეტერმინირებულია გეოგრაფიული მდგომარეობით და ეს ყველაფერი ერთობლიობაში წარმოადგენს გეოპოლიტიკას. მაგრამ თანამედროვე გეოპოლიტიკა განვითარების იმპულსებს იღებს არა მარტო ზემოაღნიშნული წყაროებიდან, არამედ არსებობს გეოპოლიტიკის ე.წ. ვირტუალური სფეროები, რომლის გარეშე დღეს შეუძლებელია მისი არსებობა.

პირველ რიგში ეს სფეროა ეთერი, რომელსაც XIXს. ფიზიკოსები აღიქვამდნენ, როგორც მატერიალურს. თანამედროვე ეთერზე აღიბეჭდება კულტურათა ბრძოლა, სუბიექტების ინტერესების დაპირისპირებები ლოკალურ, რეგიონალურ და მსოფლიო პოლიტიკის დონეზე. გლობალური ეთერის დროს ომის მდგომარეობა გართულებულია იმ ფაქტით, რომ მის სუბიექტებად გვევლინებიან არა მარტო ეროვნული სახელმწიფოები, არამედ ტრანსნაციონალური კომპანიები, საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მას-მედიის საშუალებები და სხვა.

ვირტუალური გეოპოლიტიკის მეორე სფეროს წარმოადგენს ინტერნეტის საერთაშორისო კომპიუტერული ქსელი.

ინტერნეტ-სივრცის ქსელური ორგანიზაცია საშუალებას გვაძლევს მსოფლიოს შევხედოთ განსხვავებული თვალებით, ვიდრე ის პოლიტიკურ რუქაზეა წარმოდგენილი.

ძველი სამყაროს ფილოსოფოსების წარმოდგენებში გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერება პოლიტიკური და გეოგრაფიული ფაქტორების, სახელმწიფოსა და სივრცის კავშირის ერთობლიობას წარმოადგენდა, რომლის დროსაც მოქმედებები ხმელეთსა და ზღვის სივრცეში ვითარდებოდა, ხოლო კლასიკოსი გეოპოლიტიკოსების წარმოდგენაში მთავარი პროცესები გეოსფეროში, ჰიდროსფეროში და ატმოსფეროში ჰპოულობდა თავიანთ განვითარებას. თანამედროვე გეოპოლიტიკური პარადიქმები ოპერირებენ როგორც რეალური (ხმელეთი, წყალი, ჰაერი, წყალქვეშა სფერო, კოსმოსი), ასევე ვირტუალური (რადიო და ტელეეთერი, ბეჭდვითი ორგანოები, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროები, ინტერნეტ-ქსელი და ა.შ.) სფეროებით, რომელშიც სივრცისეული ფაქტორი, პოლიტიკურთან ერთობლიობაში – ქმნის გეოპოლიტიკას.

გარდა ამისა, თუ გეოპოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტების გლობალურ დონეს, მაშინ ძველი სამყაროს გეოპოლიტიკურ მოვლენებად წარმოდგენილია სახელმწიფოთაშორისი ომები, მაგალითად ბერძნული პოლისების კავშირი სპარსეთის წინააღმდეგ, რომი კართაგენის წინააღმდეგ. ამავე დროს, რეგიონალური მასშტაბის გეოპოლიტიკურ მოვლენებად წარმოგვიდგება ათენის ხელმძღვანელობით წარმოებული პელოპონესის ომი სპარტის წინააღმდეგ, ჩინეთის სამეფოებს შორის დომინირებისთვის ბრძოლა. კლასიკური გეოპოლიტიკის აღმოცენება დაემთხვა მსოფლიოს ევროცენტრისტული სურათის ჩამოყალიბებას, როდესაც მიმდინარეობდა ევროპული სახელმწიფოების ბრძოლა კონტინენტზე დომინირებისთვის, თავისი კოლონიალური სამფლობელოების გაფართოებისა და მსოფლიო ბატონობისათვის. ამავე დროს, კლასიკური პერიოდის გეოპოლიტიკამ გაარღვია ოიკუმენის (ბერძნული სიტყვა-დასახლებული ტერიტორია) საზღვრები, მან გააერთიანა დაყოფილი კონტინენტები, ხელი შეუწყო დაპყრობითი ომების წარმოებას და უზარმაზარი სახმელეთო ტერიტორიებისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ათვისებას, თუმცა მან ჯერ კიდევ ვერ მიიღო გლობალური ხასიათი, რადგანაც XIX-ს ბოლოსა და XX-ს. დასაწყისისათვის მსოფლიოს წამყვანი

ქვეყნები ჯერ კიდევ არ იყვნენ ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებულები, ვერ ხედავდნენ პლანეტისათვის დამახასიათებელ საერთო რეალურ საფრთხეს (მაგ: გლობალური დათბობა) და გამიზნულნი იყვნენ ახალი სივრცეების დაპყრობისკენ. გეოპოლიტიკა თანდათან ხდებოდა საკონტინენტთაშორისო, მაგრამ მსოფლიო ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა იმ უნივერსალურ სოციუმს, რომელსაც ჩვენ დღევანდელ დღეს ვხედავთ თანამედროვე რეალობებიდან გამომდინარე. ამიტომ გეოპოლიტიკამ უკვე მიაღწია პლანეტის ყველაზე შორეულ ადგილებში.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე გეოპოლიტიკა იცვლის ევროცენტრისტულ სახეს უნივერსალურის მიმართულებით. დღევანდელ დღეს ბრძოლა მიმდინარეობს არა განსაზღვრული ტერიტორიის დაპყრობისა და შენარჩუნებისათვის, არამედ მასზე კონტროლის დამყარების მიზნით. კონტროლის დამყარების მცდელობამ გეოსფეროზე, ჰიდროსფეროზე და ატმოსფეროზე საზღვაო, საჰაერო და კოსმოსური ტექნიკის საშუალებით შეიძინა ჭეშმარიტად საერთაშორისო, პლანეტარული ხასიათი. თანამედროვე გეოპოლიტიკის მიერ უნივერსალური, საერთაშორისო, და პლანეტარული ხასიათის თვისებების შეძენამ განაპირობა მისი გლობალური ხასიათი. გლობალური პოლიტიკის სუბიექტებად დღევანდელ დღეს გვევლინებიან არა მარტო ნაციონალური სახელმწიფოები, არამედ აგრეთვე უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო და მისი სპეციალიზირებული დაწესებულებები), ტრანსნაციონალური კორპორაციები, რეგიონალური ორგანიზაციები, კერძო პირები და ა.შ.

შესაბამისად, გეოპოლიტიკის სტრუქტურა დიფერენცირებულია გლობალურ, რეგიონალურ და ლოკალურ დონეებზე.

გეოპოლიტიკის განსაზღვრება

გეოპოლიტიკა წარმოადგენს მსოფლმხედველობას და უკეთესი იქნებოდა მისი შედარება არა მეცნიერებასთან, არამედ მეცნიერებათა სისტემებთან. იგი იმყოფება იმავე დონეზე, რომელზეცაა დაფუძნებული ცალკეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური თეორიები, ანუ საზოგადოებისა და ისტორიის შესწავლის, განხილვისა და გაანალიზების ის სისტემები, რომელთა მიზანია ძირითად პრინციპებად რაიმე უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმების გამოყოფა და ადამიანისა და ბუნების მრავალი ასპექტის მათზე დაყვანა.

გეოპოლიტიკის განსაზღვრამდე აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ეკონომიკურ მეცნიერებაზე. ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული ორი ძირითადი მიმართულება - მარქსიზმი და ლიბერალიზმი კაცობრიობის არსებობის საფუძველში ერთნაირად ათავსებენ ეკონომიკურ მხარეს, "ეკონომიკის, როგორც ბედისწერის" პრინციპს. ამ შემთხვევაში უმთავრესი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, რომ ეს ორი იდეოლოგია ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება - მარქსი ხაზს უსვამს ანტიკაპიტალისტური რევოლუციის აუცილებლობას, ხოლო ლიბერალიზმის თეორიის ავტორი ადამ სმიტი და მისი მიმდევრები თავისუფალი ბაზრის არსებობას ქვეყნისა და საზოგადოების ყველაზე სრულყოფილ მოდელად მიიჩნევენ. იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკური რეჟიმების შესახებაც. თუ დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მეცნიერები და იდეოლოგები სახელმწიფოს განვითარების წინაპირობად, მასში დემოკრატიული ნორმების დანერგვის აუცილებლობაზე საუბრობენ, ყოფილ კომუნისტური ბანაკის ქვეყნებში მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს მოწყობის ყველაზე მისაღები ფორმაა კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის-როგორც სახელმწიფოს სტაბილურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ფორმის არსებობა. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მეცნიერები იყენებენ ისტორიული პროცესის ვრცლად განხილვის მეთოდს. ზემოაღნიშნული ეკონომიკური და პოლიტიკური მიმდინარეობები იმ ძირითად მოდელებად რჩებიან, რომელთა საფუძველზე ადამიანები უბრალოდ წარსულში განვითარებული მოვლენების გაანალიზებას კი

არ ახდენენ, არამედ ქმნიან მომავლის განვითარების კონცეფციას. სწორედ ამგვარად მდგომარეობს საქმე გეოპოლიტიკის მიმართ, რომელიც დაფუძნებულია თეზისზე: "გეოგრაფიული რელიეფი, როგორც ბედისწერა"[8]. გეოგრაფია და სივრცე გეოპოლიტიკაში იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც ფული და საწარმოო ურთიერთობები მარქსიზმსა და ლიბერალიზმში. თუ ჩვენ ვისაუბრებთ მარქსიზმისა და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შესახებ, და მოვახდენთ გარკვეულ მსგავსებას გეოპოლიტიკასთან, ჩვენ შეგვეძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ თუ ეკონომიკური იდეოლოგიის წარმომადგენლები ქადაგებენ განსაკუთრებული კატეგორიის - "ეკონომიკური ადამიანის" (homo economikus) შესახებ, გეოპოლიტიკა საუბრობს "სივრცულ ადამიანზე", რომლის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის სივრცის სპეციფიკურ მახასიათებლებს - რელიეფსა და ლანდშაფტს. ეს განპირობებულობა ნათლად მჟღავნდება ადამიანის ისეთ მასშტაბურ სოციალურ გამოვლინებებში, როგორებიცაა სახელმწიფო, ეთნოსი და კულტურა, ცივილიზაცია და ა.შ.

გეოპოლიტიკის ძირითადი პოსტულატი - ადამიანის დამოკიდებულება სივრცეზე – ცალკეული ინდივიდებისა და საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის მხოლოდ გარკვეულ მანძილზე იჩენს თავს. სწორედ ამიტომაც, გეოპოლიტიკა (მიუხედავად წინაპირობებისა) ვერ იქცა განყენებულ იდეოლოგიად, უფრო ზუსტად, "მასობრივ იდეოლოგიად". გეოპოლიტიკური ნაშრომები, ამ ნაშრომებში გაკეთებული დასკვნები, შესწავლის საგანი და ძირითადი თეზისები გასაგებია მხოლოდ იმ სოციალური ინსტანციებისთვის, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ისეთი მსხვილმასშტაბიანი პრობლემების გადაჭრით, როგორიცაა სტრატეგიული დაგეგმარება, გლობალური, სოციალური და ისტორიული კანონზომიერებების გააზრება და ა.შ. სივრცე თავის თავს ამჟღავნებს დიდ განზომილებებში, ამიტომ გეოპოლიტიკა დაკავშირებულია იმ სოციალურ ჯგუფებთან, რომელთაც საქმე აქვთ ზოგად რეალობებთან – ქვეყნებთან, ხალხებთან და ა.შ.

გეოპოლიტიკა წარმოადგენს ხელისუფლების მსოფლმხედველობას, იგი არის მეცნიერება ხელისუფლების შესახებ და ხელისუფლებისათვის. გეოპოლიტიკა მხოლოდ მაშინ აჩენს საკუთარ მნიშვნელობას, აზრს, სარგებლიანობას, როცა ცალკეული ინდივიდი მიუახლოვდება სოციალურ სიმაღლეს, ამ პროცესამდე კი იგი აბსტრაქციად აღიქმება. გეოპოლიტიკა – პოლიტიკური ელიტების (როგორც მმართველი, ასევე ოპოზიციური ძალების) დისციპლინაა. გეოპოლიტიკური მეცნიერების ისტორია დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სხვადასხვა გეოპოლიტიკური ხასიათის ნაშრომებზე მუშაობდნენ სწორედ ის პიროვნებები, რომლებიც სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნებისა და ერების მართვის პროცესში, ან ემზადებოდნენ ამ ფუნქციის შესასრულებლად (საუბარია ისტორიული პირობების გამო ხელისუფლებიდან ჩამოშორებული, ალტერნატიული, ოპოზიციური ბანაკების შესახებ).

გეოპოლიტიკის მთავარი კანონი

რაც შეეხება გეოპოლიტიკის მთავარ კანონს, მისი მთავარი პრინციპია ფუნდამენტური დუალიზმი, რომელშიც ასახვას ჰპოვებს მსოფლიოს გეოგრაფიული მოწყობისა და ცივილიზაციების ისტორიული ტიპოლოგია. აღნიშნული დუალიზმი გამოიხატება სახმელეთო ("თელუროკრატიისა") და საზღვაო ("თალასოკრატიის")

[8]Friendrich Ratzel. "Politische Geographie". 1887. P. 12

მმართველობების დაპირისპირებაში. პოლიტიკური იდეოლოგიის თვალსაზრისით, ეს არის "დემოკრატიისა" და "იდეოკრატიის' დუალიზმი[9].

დუალიზმისათვის დამახასიათებელია მისი ორი შემადგენელი პოლუსის ერთმანეთთან დაპირისპირება, თუმცა ამ მტრობის ხასიათი შეიძლება იცვლებოდეს კონკრეტული ისტორიული ეპოქისა და პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე.

"თელუროკრატია" ანუ "სახმელეთო მმართველობა", დაკავშირებულია სივრცის მდგრადობასთან, მისი თვისობრივი ორიენტაციებისა და მახასიათებლებების სიმყარესთან. მისი დამახასიათებელი თვისებებია კონსერვატიზმი, საზოგადოების წევრთა ერთმანეთზე დამოკიდებულება. ხმელეთის (განსაკუთრებით მკვიდრი) ხალხებისათვის უცხოა ინდივიდუალიზმი, სამეწარმეო სულისკვეთება. მათთვის დამახასიათებელია კოლექტივიზმი და იერარქიზმი.

"თალასოკრატია" ანუ " საზღვაო მმართველობა" წარმოადგენს საპირისპირო ღირებულებებზე დაფუძნებულ ცივილიზაციურ ტიპს. იგი გამოირჩევა დინამიურობით, და ახასიათებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისათვის სწრაფვა. მისი დამახასათებელი თვისებებია ზღვაოსნობა, ვაჭრობა და ინდივიდუალური სამეწარმეო სულისკვეთება. ინდივიდი და მისი ინტერესები, აღიარებულია საზოგადოების უმაღლეს ფასეულობად[10].

კაცობრიობის ისტორიის დიდი ნაწილი მიმდინარეობს ცივილიზაციის ამ ორი ტიპის ბრძოლის ფონზე. მსხვილი პოლიტიკური წარმონაქმნების (სახელმწიფოებისა და იმპერიების) ხასიათს მით უფრო შთამბეჭდავად გამოხატავს სტიქიათა დუალიზმი, რაც უფრო უნივერსალურია ცივილიზაციური ტიპის დონე.

ცივილიზაციათა ამ ორი ძირითადი მიმართულებების გეოპოლიტიკური გავლენის ტერიტორიები ნათლადაა გამოსახული ე.წ. "მაკინდერის რუკაზე". ამ რუკაზე სახმელეთო მმართველობის ზონა ვრცელდება ჩრდილო–აღმოსავლეთ ევრაზიის შიდაკონტინენტურ სივრცეზე (რომელიც ზოგადად ემთხვევა რუსეთისა და ყოფილი სსრკ–ს ტერიტორიას). თალასოკრატიის გავრცელების არეალს კი ევრაზიის კონტინენტის სანაპირო ზონა, ხმელთაშუაზღვის არეალი, ატლანტის ოკეანე და ის ზღვები წარმოადგენს, რომლებიც ევრაზიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრებიან.

ამგვარად, მსოფლიო რუკა ინგლისელი გეოპოლიტიკოსის მაკინდერის მიხედვით იძენს ასეთ გეოპოლიტიკურ სახეს:

"1)შიდაკონტინენტური სივრცეები წარმოადგენენ "უძრავ პლატფორმას", შუაგულ მიწას, "ისტორიის გეოგრაფიულ ღერძს", რომელიც მყარად ინარჩუნებს სახმელეთო ცივილიზაციის სპეციფიკას.

2)"შიდა ანუ კონტინენტური ნახევარმთვარე", "სანაპირო ზონა", წარმოადგენს ინტენსიური კულტურული განვითარების სივრცეს. სადაც ცხადად ჩანს "საზღვაო მმართველობის" ნიშნები, რომლებიც გაწონასწორებულია "სახმელეთო მმართველობის" მრავალი ტენდენციით.

3)"გარე ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე" წარმოადგენს "შეუსწავლელ მიწებს", რომელთან დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ საზღვაო საშუალებებით. პირველად იგი თავს იჩენს სავაჭრო სახელმწიფოებში-კართაგენსა და ფინიკიაში, როდესაც მათ გარედან მოახდინეს ზემოქმედება ევროპის "შიდა ნახევარმთვარეზე"[11].

---

[9]ა. დუგინი. გეოპოლიტიკის საფუძვლები. 1998 წ. გვ. 15

[10]იქვე. გვ. 16

[11]H.J. Mackinder, On the Scope and Methods of Geography, Proceedings of the Royal Geographical Society and Monthly Record of Geography, New Monthly Series, Vol. 9, No. 3 (Mar., 1887), pp. 141-174; J. F. Unstead, H. J. Mackinder and the New Geography, The Geographical Journal, Vol. 113, (Jan. - Jun., 1949), pp. 47-57



საზღვაო და სახმელეთო მმართველობის ურთიერთდამოკიდებულების აღნიშნული გეოპოლიტიკური სურათი თავის პოტენციურ ასახვას ჰპოვებს რომსა და კართაგენს შორის მიმდინარე პუნიკური ომების შემდეგ. ამ სურათმა საბოლოო სახე მე-17–18 საუკუნეებში მიიღო, რაც ემთხვევა ინგლისის დიდ საზღვაო სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერიოდს. მე-15 საუკუნის ბოლოს დაწყებულმა "დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქამ" დასაბამი მისცა საზღვაო მმართველობის დამოუკიდებელ მსოფლიო წარმონაქმნად ჩამოყალიბების პროცესს. საზღვაო მმართველობის ზონებმა მთლიანად მოიყარა თავი ანგლოსაქსურ სამყაროსა (ბრიტანეთი, ამერიკა) და საზღვაო ქვეყნების კოლონიალურ სამფლობელოებში. ანგლოსაქსური კაპიტალიზმი და თავისუფალი სამეწარმეო გარემო, "ახალი კართაგენის" სახით, ერთ მთლიანობად იქნა ჩამოყალიბებული, რის გამოც გეოპოლიტიკურმა დუალიზმმა შეიძინა მკვეთრად განსხვავებული იდეოლოგიური და პოლიტიკური ხასიათი.

მე-18–19 საუკუნეებში საზღვაო ზესახელმწიფოს, ბრიტანეთის პოზიციური დაპირისპირება კონტინენტური სახელმწიფოების (ავსტრია-უნგრეთის, გერმანიისა და რუსეთის) წინააღმდეგ, გახლდათ ამ თეორიის ნათლად გაანალიზების შედეგი. უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში პლანეტაზე განვითარებული პროცესების შედეგად თალასოკრატიის მთავარი ბურჯი ხდება აშშ.

1946–1991 წლების "ცივი ომის" დროს, ძველისძველმა გეოპოლიტიკურმა დუალიზმმა თავის პიკს მიაღწია: თალასოკრატიას წარმოადგენდა აშშ, ხოლო თელეროკრატიას - სსრკ.

ცივილიზაციის, იდეოლოგიის, სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის, კულტურის, ორმა გლობალურმა ტიპმა დასრულებული გეოპოლიტიკური სახე მიიღო და სტიქიათა დაპირისპირების მთელი გეოპოლიტიკური ისტორია დამამთავრებელ ფაზაში შევიდა. ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩამოყალიბებულ გეოპოლიტიკური დუალიზმის ფორმებს საკუთარი იდეოლოგიური მიმართულება გააჩნდა - მარქსიზმის და ლიბერალურ–კაპიტალისტური იდეოლოგიის სახით.

"ცივი ომისათვის" დამახასიათებელი გეოპოლიტიკური დუალიზმი პირველ ეტაპზე, აშშ–ს საბოლოო გამარჯვებამდე, თალასოკრატიისა და თელეროკრატიის მიერ მაქსიმალური სივრცული, სტრატეგიული და ძალისმიერი არეალის მოპოვების მიმართულებებით ვითარდებოდა. გამალებული შეიარაღების დროს - ორივე მხარის

მიერ ბირთვული პოტენციალის დაგროვების გამო, ზოგიერთი პესიმისტი გეოპოლიტიკოსი ამ პროცესის სავარაუდო დასასრულს მეტად შავ ფერებში ხატავდა, ვინაიდან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის გავრცელების შემდეგ, ამ ორ ძალას მათ შორის არსებული კონფრონტაცია ან დედამიწის ფარგლებს გარეთ-კოსმოსურ სივრცეში უნდა გადაეტანა ან ერთმანეთი უნდა გაენადგურებინა.

მიუხედავად ამისა, "ცივ ომში" საზღვაო ძალების საბოლოო გამარჯვების შემდეგ, წმინდა თეორიულ დონეზე შეიძლება გამოიყოს მოვლენათა განვითარების რამდენიმე სავარაუდო ვერსია:

"I ვარიანტი. საზღვაო მმართველობის გამარჯვება ძირეულად აუქმებს სახმელეთო მმართველობის ცივილიზაციას. აღნიშნულ ვარიანტს აქვს ორი უპირატესობა:

პირველი, იგი ლოგიკურად არ არის წინააღმდეგობრივი, რადგან მასში შეიძლება დავინახოთ გეოპოლიტიკური ისტორიის განვითარების კანონზომიერი დასასრული– ხმელეთის (ტრადიციული სამყაროს) სრული ბატონობის შეცვლა, ზღვის (თანამედროვე სამყაროს) სრული ბატონობით და შესაბამისად დემოკრატიის გაფართოებით;

მეორე, სწორედ ეს ხორციელდება დღეს.

II ვარიანტი. თალასოკრატიის გამარჯვება ასრულებს ორი ცივილიზაციის წინააღმდეგობის ციკლს, მაგრამ თავის მოდელს მთელ მსოფლიოზე არ ავრცელებს, გადაჭრის რა მის პრობლემებს, იგი უბრალოდ ასრულებს გეოპოლიტიკურ ისტორიას. ისევე, როგორც პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიები ამტკიცებენ ამ საზოგადოებაში კლასიკური პოლიტეკონომიის (და მარქსიზმის) ძირითადი წინააღმდეგობრიობის პრობლემის არარსებობას, ასევე ზოგიერთი მონდიალისტური თეორიაც ასაბუთებს, რომ მომავალ მსოფლიოში ხმელეთისა და ზღვის დაპირისპირება საერთოდ აღარ იარსებებს.

ორივე ზემოთ მოყვანილი ანალიზი თელუროკრატიის დამარცხებას განიხილავს შეუქცევად და აღსრულებად ფაქტად. შემდეგი ორი ვარიანტი ამ საკითხს სხვაგვარად ხსნის

III ვარიანტი - თელუროკრატიის დამარცხება დროებითი მოვლენაა. ევრაზია ახალი ფორმით უბრუნდება თავის კონტინენტურ მისიას. ამასთან გათვალისწინებული იქნება ის გეოპოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც კატასტროფამდე მიიყვანა კონტინენტური ძალები (ახალ კონტინენტურ ბლოკს ექნება საზღვაო საზღვრები სამხრეთსა და დასავლეთში, ანუ განხორციელდება "მონროს დოქტრინა ევრაზიისთვის"). ასეთ შემთხვევაში მსოფლიო კვლავ ბიპოლარული იქნება, ოღონდ განსხვავებული დონითა და ხარისხით.

IV ვარიანტი (წარმოადგენს წინას განვითარებას). ახალ დაპირისპირებაში იმარჯვებს სახმელეთო მმართველობა. იგი მიისწრაფვის საკუთარი ცივილიზაციური მოდელი გადაიტანოს მთელ პლანეტაზე და თვითონ "დაასრულოს ისტორია". მთელი მსოფლიო ტიპოლოგიურად ხმელეთად გადაიქცევა და ყველგან "იდეოკრატია" გამეფდება".

გეოპოლიტიკური "რიმლენდის" პრინციპი

თალასოკრატიისა და თელუროკრატიის ორი ძირითადი პრინციპის განსაზღვრის შემდეგ, კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ზონას წარმოადგენს "სანაპირო ზონა" (Rimland). ეს გახლავთ საკვანძო კატეგორია, რომელიც საფუძვლად უდევს გეოპოლიტიკურ კვლევა-ძიებას.

Rimland წარმოადგენს განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ სივრცეს, რომელსაც აქვს პოტენციური შესაძლებლობა იყოს ან თალასოკრატიული, ან თელუროკრატიული მიმართულების ტერიტორია. ეს არის რთული და კულტურული თავისებურებებით მდიდარი რეგიონი.

მიუხედავად ამისა, Rimland ეს არ არის მხოლოდ რაღაც გარდამავალი გარემო, რომლის გარშემოც მიმდინარეობს სახმელეთო და საზღვაო მმართველობის ურთიერთდაპირისპირება. ეს გახლავთ დამოუკიდებელი ტერიტორია, რომელიც უდიდეს გავლენს ახდენს თალასოკრატიასა და თელუროკრატიაზე. ეს არის არა ისტორიის ობიექტი, არამედ აქტიური სუბიექტი.

სანაპირო ზონა (Rimland) წარმოადგენს სასაზღვრო ზონას, სარტყელს.

იმის გამო, რომ გეოპოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ორივე - საზღვაო და სახმელეთო შეხედულებების შესწავლა, სანაპირო ზონა განიხილება განსაკუთრებულ რეალობად - საზღვრად, ამავე დროს, მისი ორიენტაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ მოცემულ სექტორში რომელი იმპულსია-სახმელეთო თუ საზღვაო.

გეოპოლიტიკის ასეთი აღთქმა თავის დაღს ასვამს საზღვრებთან დაკავშირებული უფრო კერძო პრობლემების გაანალიზების პროცესზე. იგი ქვეყნებს შორის არსებულ სახელმწიფო საზღვრებს განიხილავს "გარდამავალი მოცულობის ზონებად". ამ მოცულობის ცვლილება – მისი შემცირება ან გაფართოება დამოკიდებულია კონტინენტში მიმდინარე პროცესებზე. აქედან გამომდინარე, ეს ზონები იცვლიან ფორმასა და ტრაექტორიას გარკვეულ ფარგლებში. "გეოპოლიტიკური საზღვრების" ცნების ქვეშ შეიძლება იგულისხმებოდეს სახელმწიფოებს შორის არსებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ტერიტორიები. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რუსეთსა და გერმანიას შორის "სანიტარული კორდონის" ინგლისური იდეა გულისხმობდა "საყაიმო" - ინგლისზე ორიენტირებული ზონის შექმნას, რომელიც შედგებოდა ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან. მეორე მსოფლიო ომამდე რუსეთისა და გერმანიის კონტინენტური პოლიტიკა კი, პირიქით, მიისწრაფოდა ამ ზონის ხაზად გადაქცევისაკენ (ბრესტ-ლიტოვსკი, რაპალო, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი).

თავი I
გეოპოლიტიკის წინა ისტორია

გეოპოლიტიკური წარმოდგენები ძველი აღმოსავლეთის მოძღვრებებში (ჩინეთი, ინდოეთი)

პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჩინეთის ტერიტორიაზე, სახელდობრ ხუანხეს შუა დინებაში, წარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II ათასწლეულების მიჯნაზე. ეს იყო სიას ტომების კავშირი. რამდენიმე საუკუნის შემდეგ, კერძოდ II ათასწლეულის დასაწყისში გაბატონდა ინის ტომი. ინის დინასტია

მართავდა პირველ ჩინურ სახელმწიფოს II ათასწლეულის ბოლომდე, ვიდრე ინის ვანი (მმართველი) დამხობილ იქნა ჯოუს ტომის მეთაურის უ ვანის მიერ.

ჯოუს ტომის ჩინეთმა გამოიარა ცენტრალიზაციის პერიოდი (ჩვ. წ-აღ-მდე VIII საუკუნემდე). ამ პერიოდში ადგილობრივი მმართველები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მმართველ დინასტიას, თუმცა, მოგვიანებით დაიწყო დეცენტრალიზაციის პერიოდი (VIII-VII სს. ჩვ.წ.აღ-მდე), როდესაც ვანის ძალაუფლება უკვე ფორმალური იყო, ხოლო ჯოუს წარმომადგენლები ერთმანეთს განუწყვეტლივ ეომებოდნენ. ჩინეთის ისტორიის ეს მონაკვეთი ცნობილია როგორც „სამეფოების ბრძოლის“ („ჯანგო“) პერიოდი.

ჩვ.წ.აღ-მდე VII ს–ში ჯოუს იმპერია განიცდიდა მომთაბარე ტომების შემოტევებს, რომლებიც სავარაუდოდ სკვითური წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ. მომთაბარეებთან ბრძოლა ხელს უშლიდა ძველ ჩინელებს შორის ეთნიკური ერთობის დამყარებას. შემდგომში შემოსევებმა გამოიწვია ჯოუს იმპერიის ჯერ დასუსტება და შემდეგ მისი დაცემა. ამავდროულად, სწორედ ამ პერიოდში, ძველი ჩინეთის ახალშექმნილი საზოგადოების, განსაკუთრებით სამეცნიერო წრეების მასობრივ შემეცნებაში ჩამოყალიბდა სამყაროს „ჩინური ცენტრისტული“, უფრო სწორად ჯოუს ცენტრისტული გეოპოლიტიკური სურათი (მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა წარმოდგენა ჩინეთზე მის თანამედროვე საზღვრებში), რომლის თანახმად ცოცხალი სამყაროს ცენტრში (ცისქვეშეთის ცენტრში, ანუ ჩინურად-„ტიანსია“) იმყოფება ღმერთის მიერ შექმნილი ჯოუს *შუალედური იმპერია.* სხვათა შორის, აქედან გამომდინარეობს თვით ჩინეთის სახელი –ჯუნგო (ჯუნ - „შუა ადგილი“, გო-სახელმწიფო). ამ იმპერიაში, რომელიც სარგებლობდა ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და ღმერთების მფარველობით – ჯოუს ვანი ატარებდა „ზეცის შვილის“ ტიტულს. ტექნიკის, კულტურის და სამხედრო ძალების განვითარების დონით ეს სახელმწიფო წინ უსწრებდა „ცის ქვეშეთის“ ყველა ქვეყანას – აქედან მომდინარეობს გეოპოლიტიკური წარმოდგენები ჩინეთის იმპერატორების ღვთისაგან კურთხევის, იმპერიის მესიანური როლის შესახებ ცოცხალ სამყაროში, მისი თვითკმარობისა და ავტარკიის გამართლება ანუ მისი მიზანშეწონილად მიჩნევა.

ჯოუს სამეფოს ეჭირა ხუანხეს მხოლოდ შუა ნაწილი, მაგრამ თანდათანობით „შუალედური სამეფოს“ გაფართოების კვალობაზე, წარმოდგენა „ცისქვეშეთის“, როგორც მთელი ცოცხალი სამყაროს შესახებ, გატანილ იქნა გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიაზე. იმავე დროს, ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულის შუა პერიოდში, გაჩნდა პირველი წარმოდგენები სახელმწიფოს სამხედრო ძალების შესახებ. რამდენადაც სამხედრო წყობის საფუძველს წარმოადგენდნენ საომარი ეტლები, ამიტომ სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებაც მათი რაოდენობით განისაზღვრებოდა. იდეალურ, უძლეველ სახელმწიფოდ „ცის ქვეშეთში“ მიჩნეული იყო ის ხელისუფლება, რომელსაც 10 000 საბრძოლო ეტლი ჰყავდა („ვან ჩენგო“).

სამეფოების ბრძოლის ეპოქა, რომელიც დაიწყო ჩვ. წ. აღ-მდე V საუკუნეში, დამთავრდა ჩვ. წ. აღ-მდე III ს-ში, როდესაც ხელისუფლება მიიღო ცინის დინასტიამ (ჩვ. წ. აღ-მდე 221წ.), შემდეგ კი-ხანის დინასტიამ (ჩვ. წ. აღ-მდე 206წ.) ამ სახელმწიფომაც გამოიარა სამეფოს ცენტრალიზაციისა და საზოგადოების კონსოლიდაციის (ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნე – ჩვ.წ. აღ-ის III საუკუნე) და დეცენტრალიზაციის პერიოდი (III-VII სს.). ხანის იმპერიამ გააფართოვა მისი სამფლობელოები ჯოუს სამეფოს საზღვრებისაგან ბევრად უფრო შორს, ამასთანავე ის ექსპანსიას აწარმოებდა ხანის ეთნოცენტრიზმისა და „ცის ქვეშეთის“ იმპერიის „შუალედურობის“ პოზიციებზე დაყრდნობით. სწორედ ცინებს ან ხანებს, ძველი ჩინეთის ისტორიაში ყველაზე მძლავრი იმპერიების სახელებს უწოდებენ საკუთარ თავს თანამედროვე ჩინელები.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში ევროპელებს შორის ჩინელების მიმართ დამკვიდრდა ეთნონიმი „ცინი“. აქედან მომდინარეობს ჩინეთის იტალიური სახელწოდება – Cina და ინგლისური China. რუსული სახელწოდება წარმოიშვა XI ს-

ში, სუნის დინასტიის მმართველობის პერიოდში, რომელიც განუწყვეტლად ეომებოდა მონღოლურენოვან კიდანებს, რომლებმაც მიიტაცეს „შუალედური იმპერიის“ ჩრდილოეთი. დასახელება „კიდანს“, თურქულად გადმოთარგმნილი – „კიტაია“ დაედო საფუძვლად.

მომთაბარეებთან ბრძოლა ჩინეთის ისტორიის საკმაოდ დიდ პერიოდს მოიცავს და გვევლინება ჩინელი იმპერატორების გეოპოლიტიკის განუყოფელ ნაწილად. კიდანების მოგერიების შემდეგ იწყება მანჯურიელების წინაპრებთან, ჯურჯენებთან ომების პერიოდი, რომელიც გრძელდებოდა მთელი XII საუკუნე. XIII-XIVსს მონგოლების მიერ ჩინური მიწების დაპყრობის პერიოდია, როდესაც ჩინეთის ტერიტორია ხუანხეს ჩათვლით, შედიოდა მონღოლეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. მომთაბარეებთან მუდმივი ბრძოლა ჩინეთის საზოგადოების წინაშე აყენებდა იგივე ამოცანებს, რომლის წინაშეც იდგნენ ძველი საბერძნეთი და რომი ბარბაროსებთან ბრძოლების პერიოდში. ეს ამოცანები გულისხმობდა საზღვრების ტექნიკურ გამაგრებას (კერძოდ, დიდი ჩინური კედელი), საგანგებო ჯარების შექმნას საზღვრების მუდმივი დაცვის მიზნით, ახალი ტერიტორიების დაპყრობას საზღვრების უსაფრთხო ტერიტორიებზე გადატანის მიზნით და შემდგომში ამ ტერიტორიებზე დასახლებული პუნქტების შექმნას და ა. შ.

რაც შეეხება აზიის კიდევ ერთ უძველეს სახელმწიფოს – ინდოეთს, მის ტერიტორიაზე, ინდის ვაკეზე უკვე III ათასწლეულის შუა პერიოდში არსებობდა პროტოინდური (ხარაპული) ცივილიზაცია. დაახლოებით II ათასწლეულის (ჩვ.წ. აღ-მდე.) შუა პერიოდში ინდოეთში ჩრდილო-დასავლეთიდან შეიჭრნენ არიელების მეომარი ტომები, რომლებიც თანდათან განლაგდნენ სუბკონტინენტზე და შექმნეს პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები. ამ სახელმწიფოების მმართველობის გეოპოლიტიკურ წარმოდგენებს შეიძლება გავეცნოთ არიელების სულიერი კულტურის უძველესი ძეგლის – ვედების მიხედვით. ვედების მიხედვით, ცოცხალი სამყარო გვევლინება როგორც ოკეანე, რომელშიც დაცურავს ლოტოსის ყვავილი. ეს ლოტოსი, ანუ პადმა არის სწორედ დასახლებული ხმელეთი. ამასთანავე, ლოტოს-პადმის დიდი ფურცლები აღნიშნავენ დიდ სუბკონტინენტებს – დვიპებს ანუ ნახევარკუნძულებს, რომელთაც ორივე მხრიდან აკრავს ზღვა: ჩრდილოეთის-კურუ-დვიპა, სამხრეთის-ჟამბუ-დვიპა, დასავლეთის-კეტუმალასი-დვიპა და აღმოსავლეთის-ბადრაზვას დვიპა. ოთხი დვიპა წარმოადგენს დიდ გეოპოლიტიკურ სახელმწიფოს (ანუ ტერიტორიას). ლოტოს-პადმას დიდ ფურცლებს შორის მოთავსებულია რვა მცირე დვიპა. მცირე დვიპები წარმოადგენენ მცირე სახელმწიფოების სიმბოლოებს. მაგალითად, პეგუ-დვიპა უკავშირდება ირანს, ავა-დვიპა-არაბეთს ა. შ. ლოტოს-პადმის ყვავილისაგან განცალკევებით ოკეანეში ცურავენ ლოტოსის ფოთლები, რომლებიც სხვა კონტინენტებისა და კუნძულების სიმბოლოებს წარმოადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ ლოტოსი, მისი ფურცლები და ფოთლები ოკეანესთან ერთად ერთ მთელს შეადგენენ. ეს ნიშნავს არამარტო მიწისა და ზღვის ერთიანობას, არამედ სახელმწიფოსა (პოლიტიკის) და გეოგრაფიის ურთიერთქმედებას. გარდა ამისა პადმას, როგორც ცოცხალ ორგანისმს, აქვს ნაყოფი – მერუ (ალბათ ჰიმალაი) და განაყოფიერების ორგანოები – მტვრიანები, რომლებიც ცალკეულ განსაკუთრებით მაღალი მწვერვალების და მთაგრეხილების სიმბოლოებია, სადაც სათავეს იღებენ მსოფლიოს მთავარი მდინარეები.

ასეთია ძველი არიელების პირველი გეოპოლიტიკური წარმოდგენები, რაც კარგად აქვს აღწერილი XIXს-ის გერმანელ გეოგრაფს კ. რიტერს. ამ წარმოდგენების თანახმად, ბუნება (ოკეანე და ხმელეთი) და ადამიანთა საზოგადოება (სახელმწიფოები) – ერთიანი ორგანიზმია (ამ აზრს თავის დროზე განავითარებენ კ. რიტერი და ფ. რატცელი). სამყაროს ცენტრში მდებარეობს საკუთარი ხალხი (ეთნოცენტრიზმი) და სახელმწიფო, საზოგადოება და კულტურა (ინდოცენტრიზმი), ეს ახასიათებს პრაქტიკულად კლასიკური გეოპოლიტიკის თითქმის ყველა სკოლას.

ინდოეთის სუბკონტინენტზე, ისევე როგორც ჩინეთში მთელი ისტორიის მანძილზე ჩნდება და იშლება სამეფოები და დიდი იმპერიები. დაშლის ყოველი

პერიოდი ხასიათდება ცალკეულ სამეფოებს შორის ათგზის გააფთრებული ბრძოლებით, იმ სამეფოებს შორის ბრძოლით, რომლებიც ადრე იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. მაგ: ჩვ. წ. აღ-მდე VI-II სს-ში მდ. განგის დაბლობის სამეფოებს შორის გაბატონებული იყო მაგადაჰას სამეფო, ჩვ. წ. აღ-მდე IV-VIსს-ში მაურიების იმპერიამ საკუთარი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა ინდოსტანის დიდი ნაწილი, ჩვენი წელთაღრიცხვის I-IIIსს-ში განვითარდა გუფტების იმპერია. აქაური გეოპოლიტიკური პრობლემები იდენტურია ჩინეთის პრობლემებთან: მომთაბარეებთან ბრძოლა, სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის დაპირისპირება, სამეფოების შინაომები ჰეგემონიის მოსაპოვებლად, იმპერიის შექმნა, აყვავება, დაკნინება და დაცემა.

ლაო-ძი (579-499 ჩვ. ერამდე)

ჩინელი ფილოსოფოსი ლი ერი, რომელსაც ეწოდა ლაო-„უხუცესი“, (“ძი”-ნიშნავს „მასწავლებელს,“ ასე ეძახდნენ ფილოსოფოსებს, რომლებმაც საკუთარი სკოლები შექმნეს,) ცხოვრობდა VI-V სს-ში ჩვ. წ. აღ-მდე ჩუს სამეფოში.

ლაო-ძი მსახურობდა ჯოუს სამეფოს კარის არქივარიუსად და იმის გამო, რომ ირგვლივ - სამეფოში საზოგადოებრივი ცხოვრების სრულ გადაგვარებას ხედავდა, გადაწყვიტა ცივილიზებული საზოგადოების მიტოვება. სამხედრო რაზმის უფროსმა სამეფოს დასავლეთ საზღვარზე მას მოსთხოვა საბაჟო გადასახადის გადახდა, ხოლო ბრძენმა თავის მხრივ გადასახადის მაგივრად დატოვა მისი ხელნაწერი – „დაო დე-ძინი“, რომლის სათაურიც ასე შეიძლება გადავთარგმნოთ – „გზა სათნოებისაკენ“ ანუ წიგნი “ძალისა და მოქმედების შესახებ“. მას შემდეგ არავის არაფერი სმენია ლაო-ძის შესახებ.

ხელნაწერში „დაო დე-ძინი“ დაახლოებით 5000 იეროგლიფია, მაგრამ მათ შორის ცოტას გააჩნია რაიმე გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. მაგ: 61-ე პარაგრაფში, სადაც საუბარია დიდი და მცირე სამეფოების შესახებ, შეიძლება აღმოვაჩინოთ ჰიდრავლიკური თეორიის ჩანასახი (დიდი მდინარეების გავლენა საზოგადოების განვითარებაზე და შუალედური იმპერიის შექმნაზე), გეოპოლიტიკური კონცეფცია „დიდი სახელმწიფოს მიერ პატარების მოზიდვის“ შესახებ, ასევე, გეოპოლიტიკური სივრცის „ათვისება“ შეთანხმებების, კავშირების, კოალიციების საშუალებით იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც შედიან ამ სივრცეში.

კონფუცი (551-479 ჩვ. ერამდე)

გადმოცემის თანახმად ლაო-ძი შეხვედრია კონფუცის და დიდი პატივისცემით მოპყრობია მას. ამასთანავე, ლაო-ძის ახალგაზრდა მეცნიერისათვის რამდენიმე რჩევა მიუცია. მოგვიანებით, კონფუციმ ცოდნითა და პოპულარობით გაუსწრო კიდეც ლაო-ძის, მისი გამონათქვამები, რომლებიც მისმა მოწაფეებმა შეიტანეს წიგნში – „ლუნ-იუი” („საუბრები და გამონათქვამები“) ამკვიდრებდა გარკვეულ სოციალურ წყობას ჩინურ საზოგადოებაში. კონფუცის თითქმის არ დაუტოვებია გამონათქვამი გეოპოლიტიკის შესახებ. მის ნაშრომებში ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ მე-6 თავის 23-ე გამონათქვამი, რომელშიც კონფუცი ამტკიცებს, რომ „თუ სამეფოში - ცი (ეს იყო ძლიერი, მაგრამ დესპოტური სამეფო) მოხდება გარდაქმნები, მაშინ ცი გაუთანაბრდება ლუს (ლუ - სუსტი, მორალური სამეფო). ხოლო, თუ ლუ გარდაიქმნება, მაშინ ლუ მიაღწევს ზნეობრივი მართველობის მწვერვალებს[12].

მენ-ძი (დაახ. 372-289 ჩვ. ერამდე)

---

[12]Confucius (2003). *Confucius: Analects—With Selections from Traditional Commentaries*. Translated by E. Slingerland. Indianapolis: Hackett Publishing. (Original work published c. 551–479 BC) ISBN 0-87220-635-1.

ჩინელი ფილოსოფოსი მენკე დაიბადა ლუს სამეფოში (სამხრეთ-აღმ. ჩინეთი, ამჟამინდელი შანდუნის პროვინცია). ის სწავლობდა ძი სისთან, კონფუცის შვილიშვილთან. სწავლის დამთავრების შემდეგ მოგზაურობდა ჩინეთის მრავალ სამეფოში, სადაც ცდილობდა მმართველთა დაინტერესებას სახელმწიფოს მართვის მისეული იდეების მიმართ, რათა ამ იდეებს მომავალში პრაქტიკული განხორციელება ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, მან მხოლოდ ცოტა ხნით შესძლო ცის სახელმწიფოში დარჩენა. შინ დაბრუნების შემდეგ მენ-ძიმ დააარსა სკოლა და საკუთარ იდეებს ავრცელებდა მოწაფეების დახმარებით. ასევე მან დაწერა წიგნი – „მენ-ძი“. ლუდვიგ ფოიერბახმა მენ ძის უწოდა უდიდესი ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცის შემდეგ.

მენ-ძის მოძღვრება სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს გეოპოლიტიკურ ასპექტებსაც. კერძოდ, ხელისუფლება „ოთხი ზღვის ფარგლებში“ ანუ სამყაროს ოთხივე მხარეს - ნებისმიერი გეოსტრატეგიული მიმართულებით შეიძლება გავრცელდეს იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მმართველები იხელმძღვანელებენ კონფუცის იდეებით – უფროსებისადმი პატივისცემის, ხალხზე ზრუნვისა და შეწყალების შესახებ. ამა თუ იმ გეოპოლიტიკური მიზნის განხორციელების დროს, განსაკუთრებით კი სამხედრო ხასიათის ქმედებაზე - „როდესაც ვანს ჯარი გამოჰყავს“, მმართველი ჯერ უნდა დაფიქრდეს შესაძლო შედეგებზე („აწონ დაწონიან და მაშინ შეატყობენ წონას“) და განსაზღვროს ის ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები, რომლებიც შეიძლება დადგეს ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე[13].

„სიუან-ვანის დიად სურვილს“ (რომლის სახითაც შეგვიძლია ვიგულისხმოთ ნებისმიერი მმართველი) მენ-ძი ადვილად ამოიცნობს შემდეგს: „გინდათ გააფართოვოთ თქვენი ტერიტორია, აიძულოთ ჩუნისა და ცინის სამეფოები, რომ დაგნებდნენ, მართოთ მთელი შუალედური იმპერია და დააშოშმინოთ ბარბაროსები“?[14] ამ სურვილს, ცხადია, იმიტომ უწოდებენ დიადს, რომ იგი გადაწყვეტდა ძველი ჩინეთის ნებისმიერი მმართველის გეოპოლიტიკურ პრობლემებს.

მაგრამ შეძლებს კი მის განხორციელებას ცი - ჩინეთის ცხრა სამეფოდან ერთ-ერთის მმართველი, თუ მას წინააღმდეგობას უწევს რვა დანარჩენი სამეფო? მენ-ძი ამასთან დაკავშირებით განზოგადებულ გეოპოლიტიკურ აზრს გამოთქვამს: „რა თქმა უნდა, მცირე ვერ გაუწევს წინააღმდეგობას დიდს, ერთეულს, ცხადია, არ შეუძლია მრავალთან დაპირისპირება, სუსტი ვერ მოერევა ძლიერს.“ მაგრამ „დიადი სურვილის“ განხორციელება შეიძლება, თუ დაეყრდნობი მმართველობის „სწორ პრინციპებს“, რომლებიც ჩამოაყალიბა მენ-ძიმ. აქ იგულისხმება სამართლიანი, კაცთმოყვარე პრინციპები. ამ შემთხვევაში ჩინელი მეცნიერის აზრით - მოხელეები, ვაჭრები, მიწათმოქმედები, მოგზაურები, აგრეთვე განაწყენებული ადამიანები მზერას მიაპყრობენ სამართლიან მმართველს, რომელიც შესძლებს გახდეს ყველა ადამიანის ბედის გამგებელი ცისქვეშეთში იმ შემთხვევაში, თუ ის სიკეთის კეთებას ასწავლის ადამიანებს. ამ შემთხვევაში ის მოახერხებს, რომ ყველა მისი ქვეშევრდომი იყოს მაძღარი, ინახავდეს ოჯახს და აჭმევდეს პურს მშობლებს[15].

არტხაშასტრა (II-III ჩვ.წ. აღ-მდე)

არტხაშასტრა („მეცნიერება სახელმწიფოს მართვის შესახებ“, „მეცნიერება პოლიტიკის შესახებ“) ძველი ინდური კულტურის უძვირფასეს ისტორიულ,

[13]The *Mencius* 7:A1 in Chan 1963: 78

1. [14]The *Mencius* 6:A11 in Chan 1963: 58

[15] The *Mencius* 1B:8 in Chan 1963: 62

პოლიტიკურ, სამართლებრივ და ლიტერატურულ ძეგლს წარმოადგენს, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს ძველი ინდური საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. ინდური ტრადიციის თანახმად, არტხაშასტრა დაწერილია ბრაჰმან კაუტილიას მიერ, რომელიც უძღვებოდა სახელმწიფო საქმეებს მაურიების დინასტიის დამაარსებლის, ჩანდრაგუპტა I-ის (IV-III სს. ჩვ. წ. აღ-მდე) დროს. ევროპელი მეცნიერების მონაცემების მიხედვით კი, არტხაშასტრა იქმნებოდა მრავალი წლის განმავლობაში რამდენიმე ავტორის მიერ დაახლოებით II-III სს. ჩვ. წ. აღ-მდე.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საყურადღებოა წიგნის II ნაწილის მე-19 თავი, რომელშიც ლაპარაკია ცარიელი ან დაპყრობილი ტერიტორიების დასახლების წესებზე. არტხაშასტრა შეიცავს ტერიტორიების მოწყობის, რაიონებად დაყოფის, ხელისუფლების საოლქო, რაიონული და საუბნო ცენტრების შექმნის, სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის, მცხოვრებთათვის შეღავათების მიცემისა და მათი გადასახადებისაგან განთავისუფლების, ასევე სასამართლოს შესახებ კარგად მოფიქრებულ და ალბათ აპრობირებულ ნორმებს. ნაშრომში არ არის გამოტოვებული ისეთი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური საკითხი, როგორიცაა დაპყრობილი ან ხელახლა დასახლებული მიწების სასაზღვრო ზოლის მოწყობა. "დასახლებათა საზღვრები"[16], - აღნიშნულია არტხაშასტრაში, - "მან (მმართველმა) უნდა დაადგინოს ტერიტორიის მნიშვნელობა მდინარეების ან მთების, ტყვეების, ეკლიანი ბუჩქების, მიწაყრილების მიხედვით ე.ი. ბუნებრივი ან ხელოვნური მიჯნების მიხედვით"[17]. ცალკე არის მოცემული ციხესიმაგრეების ადგილის შერჩევისა და მშენებლობის წესები ახლად დასახლებულ ოლქში. სწორედ ამ უკანასკნელის შუაგულში უნდა აშენდეს გამაგრებული განძთსაცავი, ახალი პროვინციის ხელისუფლების ცენტრი, რომელიც სჯობს გაშენდეს მდინარეების ადგილებზე ან უშრობი წყალსაცავის პირას.

სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური პოლიტიკის სფეროში ასეთი ქმედებების ასე მკაცრად და ზუსტად დაკავშირება ზოგადად ლადშაფტთან და კერძოდ კონკრეტულ ადგილმდებარეობასთან, გვაფიქრებინებს, რომ ძველ ინდოეთში ნებისმიერი პოლიტიკა საკმაოდ მკაცრად იყო განსაზღვრული ბუნებრივი ფაქტორების გათვალისწინებით, ე.ი. პოლიტიკა და გეოგრაფია ერთმანეთთან ახლოს იყო დაკავშირებული.

ანტიკურობის გეოპოლიტიკური იდეები (ძველი საბერძნეთი და რომი)

ჯერ კიდევ სტრაბონი, რომელიც ცხოვრობდა ჩვ-აღ-მდე I საუკუნეში, აღნიშნავდა, რომ გეოგრაფია, ისევე როგორც პოლიტიკა, ემსახურება სახელმწიფოს და სახელმწიფო მმართველობის ამოცანებს. ეცნიერის აზრით, პოლიტიკასა და გეოგრაფიას შორის შუამავალის როლს ასრულებს ადამიანთა განსაკუთრებული კლასი – მმართველები. სტრაბონი მის „გეოგრაფიაში", გამოხატავს რა ანტიკურობის ცნობილი გეოგრაფების (გეოპოლიტიკოსების?) თვალსაზრისს, ხატავს დედამიწის

[16]Mabbett, I. W. (April 1964). "The Date of the Arthaśāstra". *Journal of the American Oriental Society* (Journal of the American Oriental Society, Vol. 84, No. 2) 84 (2): 162–169. doi:10.2307/597102. ISSN 0003-0279. http://jstor.org/stable/597102

[17]Mabbett 1964

Trautmann 1971:5 "the very last verse of the work...is the unique instance of the personal name Viṣṇugupta rather than the *gotra* name Kauṭilya in the *Arthaśāstra*.

ზედაპირის საკმაოდ რეალურ სურათს თვით დღევანდელი წარმოდგენების თანახმადაც კი[18].

სტრაბონის მიხედვით, დედამიწა არის სფერო, რომელზედაც განლაგებულია ზღვით (ოკეანით) გარშემორტყმული ხმელეთი. ხმელეთი მან პირობითად დაყო (ეკვატორის ხაზით) ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად, ასევე ხუთ კლიმატურ სარტყელად, რომელთაგან სამი (ორი პოლარული და ეკვატორული) დაუსახლებელია ძალიან ცივი ან ძალიან ცხელი ჰავის გამო. ზომიერი სარტყელები – ეკვატორის ორივე მხარეს ქმნიან დასახლებულ ხმელეთს ე. ი. ოიკუმენს[19].

გეოგრაფიისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირს აღიარებენ აგრეთვე ძველი რომაელი სწავლულები. მაგ: მარკუს ტულიუს ციცერონი, ცნობილი რომაელი სამართალმცოდნე და ორატორი, ამტკიცებდა, რომ ჯერ კიდევ რომულმა, დიდი რომის დაარსების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადგილს, სადაც საფუძველი ეყრებოდა მომავალ „მსოფლიო დედაქალაქს“. ციცერონის აზრით, საგანგებო ყურადღება უნდა მივაქციოთ მდებარეობას ზღვის მიმართ, აგრეთვე მდინარის, როგორც სატრანსპორტო მაგისტრალის არესებობას, მტკნარი წყლის მარაგს(წყაროები, ჭები), ბორცვების განლაგებას ციხესიმაგრეთა მშენებლობისათვის და ჰავას.

ძველი ბერძენი სწავლული – ისტორიკოსი ჰეროდოტე, რომელიც ცხოვრობდა V ს-ში ჩვ. წ. აღ-მდე, ძველი ბერძნული ცივილიზაციის განვითარების გადამწყვეტ მომენტად მიიჩნევდა ბერძნულ-სპარსულ ომებს, კაცობრიობის ისტორიის არსად კი – წინააღმდეგობას დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ზღვასა და ხმელეთს, ბერძნულ ფედერაციასა და ბარბაროსებს, დემოკრატიასა და ძალმომრეობას, თავისუფლებასა და იძულებას შორის.

გეოპოლიტიკური იდეების განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ბერძენმა ისტორიკოსმა და სტრატეგმა თუკიდიდემ. მისი შეხედულებით, ისტორია წარმოადგენდა არა ფაქტებისა და მითების ჯაჭვს (როგორც ამას ფიქრობდა ჰეროდოტე), არამედ როგორც ერთიან სამხედრო-პოლიტიკურ პროცესს, რადგანაც მეცნიერმა თითქმის მთელი მისი შეგნებული ცხოვრება გაატარა პელოპონესის ომის (431-404 წწ. ჩვ. ერამდე) დროს, როდესაც ერთმანეთს ებრძოდნენ ათენის საზღვაო კავშირი და პელოპონესის კავშირი სპარტის მეთაურობით – როდესაც სამხედრო დაპირისპირება არსებობდა ათენის მიერ განსახიერებულ საზღვაო ძალასა და სახმელეთო ძალას შორის - სპარტის არმიის ხელმძღვანელობით. ამ ომის რეგიონალური ხასიათის მიუხედავად, მისი მასშტაბითა (მონაწილეობდნენ ბერძნული პოლისები და კოლონიები) და მნიშვნელობით, როგორც ბერძნებისთვის, ისე სხვა ხალხებისთვის (ერთი ან მეორი მხარის გამარჯვება ნიშნავდა ზღვის ან ხმელეთის ძალების დიდი ხნით ბატონობას, დემოკრატიის ან ოლიგარქიის, პროგრესის ან კონსერვატიულობის დამკვიდრებას), დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ფილოსოფოსი არისტოტელე კი ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც ექსპანსიის კანონის თანახმად, რომელიც ფ. რატცელმა ჩამოაყალიბა XIX ს-ში, ძველმა ბერძნულმა ცივილიზაციამ ალექსანდრე მაკედონელის მეთაურობით დაიწყო იმ დროის მსოფლიოში არსებული მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაპყრობა. უფრო მეტიც, თვით არისტოტელემ აღზარდა ამ ნამდვილი გეოპოლიტიკური ლაშქრობის მეთაური, თუმცა, მისი მოწაფე არ ასრულებდა მასწავლებლის ყველა მითითებას. არისტოტელე მის თხზულებაში – „პოლიტიკა“ გარკვევით აკავშირებს ერთმანეთთან სახელმწიფოს, მის ტერიტორიას და მოსახლეობას, მიაჩნია რა, რომ „საუკეთესო“ ან

[18]*Strabonis Geographica*, Book 17, Chapter 7

[19]*Geography* Book XII Chapter 3 Section 15, "Amaseia, my fatherland".

„შესანიშნავ“ სახელმწიფოს სჭირდება ტერიტორია მთელი მისი მოსახლეობის ინტერესების გასათვალისწინებლად. ამასთანავე, არ შეიძლება ტერიტორიის ხელოვნურად გაფართოება, რადგან ეს გამოიწვევს სახელმწიფოსთვის უცხო მოსახლეობის შემოერთებას, რომელთა მართვა გაძნელდება არსებული კანონებით. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო არ უნდა იყოს ტერიტორიული თვალსაზრისით ძალიან პატარა, რადგან მან შეიძლება დაკარგოს დამოუკიდებლობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გეოგრაფიულ მდებარეობას, პირველ რიგში კი მის ზღვასთან სიახლოვეს და ზღვაოსნობის განვითარებას. იდეალური სახელმწიფო არამარტო უნდა იფურჩქნებოდეს, არამედ მზად უნდა იყოს თავდაცვისთვის და ზღვასა და ხმელეთზე მეგობარი სახელმწიფოებისთვის დახმარების გასაწევად. ამგვარი აყვავებული სახელმწიფოს სიმბოლოდ არისტოტელეს მიაჩნდა ქვეყანა – კრეტა მიკენის ეპოქაში, ხოლო ამ სახელმწიფოს განვითარების მთავარ მიზეზად კი – ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა.

ჰეროდოტე (დაახლ. 484 – 431-425 წლებს შორის ჩვ. წ. აღ-მდე)

ჰეროდოტეს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბერძენი ისტორიკოსის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ძალზედ მცირე ცნობები მოიპოვება. მისი მოღვაწეობის თარიღებიც კი მიახლოებითაა დადგენილი, ცნობილია მხოლოდ, რომ ის დაიბადა ჰალიკარნასში (მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთში, კარიაში) შეძლებულ არისტოკრატიულ ოჯახში. იმ დროს ჰალიკარნასში ხელისუფლება ეკუთვნოდა ტირან ლიგდამის, რომლის წინააღმდეგაც გამოდიოდა შეთქმულთა ჯგუფი, მათ შორის იყო ახალგაზრდა ჰეროდოტე. შეთქმულება მარცხით დამთავრდა და ჰეროდოტე იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო მშობლიური პოლისიდან კუნძულ სამოსზე, რომელიც მაშინ ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო მცირე აზიის იონურ სანაპიროზე.

პოლიტიკური დევნილის ცხოვრების მომდევნო პერიოდი უკავშირდება მოგზაურობას. ათი წლის განმავლობაში მან დაათვალიერა ეგვიპტე, ლიბია, ბაბილონი, ასურეთი, სპარსეთი, მოიარა მთელი მცირე აზია, ჰელესპონტი (შავი ზღვის ყურეები და მთელი შავიზღვისპირეთი, როგორც სამხრეთი, ისე ჩრდილოეთით ქალაქ ოლვიამდე), იმყოფებოდა დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში, მათ შორის სიცილიაზე, ბალკანეთში (მაკედონია, თრაკია), ეგეოსის ზღვის მრავალ კუნძულზე. იგი ყველგან აქტიურად სწავლობდა და აღწერდა ტომებისა და სახელმწიფოების ისტორიას, ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ თავისებურებებს.

დაახლოებით V ს-ის (ჩვ. წ. აღ-მდე) 40-იანი წლების შუა პერიოდში, უკვე მომწიფებულ – აკმეს ასაკში (ორმოც წელს მიღწეული) ის დასახლდა ათენში, რომელიც იმ დროს ძალიან განვითარებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა (450-430 წ.წ. ჩვ. წ. აღ-მდე). იქ ჰეროდოტემ გაიცნო პერიკლე და შევიდა მის წრეში (პერიკლეს ცოლი – ასპაზია, ფილოსოფოსი ანაქსაგორე, მოქანდაკე ფიდიასი, დრამატურგი სოფოკლე და სხვა). მან მიიღო პერიკლეს წინადადება ეხელმძღვანელა ათენის ახალი კოლონიისათვის – ფორიებისათვის (იტალიის სამხრეთში), სადაც იგი საკმაოდ დიდხანს ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. აქედან მომდინარეობს სხვადასხვა სახელი, რომელსაც ძველი ბერძნები უწოდებდნენ მეცნიერს: დაბადების ადგილის მიხედვით – ჰალიკარნასი, მართველობის ადგილის მიხედვით ფურიელი. უცნობია რამდენ ხანს ცხოვრობდა ჰეროდოტე ფურიებში და როდის და სად გარდაიცვალა (ფურიებში თუ ათენში?).

გარდა პოლიტიკური მოღვაწეობისა, ჰეროდოტემ უფრო მეტად სახელი გაითქვა როგორც ისტორიკოსმა. თანამედროვე მკითხველისათვის ძველი საბერძნეთის ისტორია იწყება ჰეროდოტედან. არანაკლებ აფასებდნენ მას ანტიკურობის სწავლულები, ციცერონმა ჰეროდოტეს უწოდა „ისტორიის მამა“, თანამედროვე ისტორიკოსებს ჰეროდოტეს „ისტორია“ მიაჩნიათ გარდამავლად – გადმოცემის

ლოგოგრაფიული მეთოდიდან სამეცნიერო-ისტორიულისაკენ. თანამედროვე გეოპოლიტიკოსების უმრავლესობის აზრით, სწორედ ჰეროდოტეს თხზულებებში ჩანს აშკარად ანტიკურ ტრადიციებში არსებული გეოპოლიტიკური მიდგომა.

მის მთავარ ნაწარმოებს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა დროს შეგროვებულ ისტორიულ, პოლიტიკურ, სამხედრო-სტრატეგიულ, მითოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ მასალებს, ჰეროდოტემ დაარქვა „მოვლენების გადმოცემა“ /Histories Apodeixis/. მას შემდეგ ტერმინმა „ისტორია“, რომელიც ნიშნავს აგრეთვე „გამოკვლევას“, „აღწერას“, შეცვალა ამ მეცნიერების დარგისათვის არსებული ტერმინი - „ლოგოსი“ - „იპროზა“, „მეტყველება“, „მოთხრობა“, „მოძღვრება“[20].

ჰეროდოტეს „ისტორია“, რომელიც შემდგომში (II ს.) ალექსანდრიელი სწავლულების მიერ დაიყო 9 წიგნად მუზების დასახელების მიხედვით, მოიცავს ავტორისათვის ცნობილ მთელს ისტორიულ პროცესს, მითოლოგიურიდან დაწყებული, როდესაც „ცოლების მოტაცება“ სხვადასხვა ხალხების მიერ ომის გაჩაღების საბაბად გადაიქცეოდა ხოლმე, ათენის „ოქროს საუკუნემდე“. მიუხედავად მისი პროელინური პოზიციისა, ჰეროდოტე ცდილობს ობიექტურად აღწეროს ისტორიული ფაქტები, კიდევაც აღწერს უცნაური ბარბაროსული ჩვეულებების შესახებ და ამასთანავე ზოგჯერ აღიარებს ბარბაროსების უპირატესობას ელინებზე, მიუთითებს ბერძნული კულტურის ეგვიპტურიდან წარმომავლობაზე.

ჰეროდოტეს ისტორიის 9 წიგნი შინაარსის მიხედვით შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: პირველი (I-IV წიგნები და V წიგნის დასაწყისი) ეძღვნება სპარსეთის გაბატონებას აზიაში, როდესაც ხელისუფლებაში ძველი კიროსის, იგივე კიროს II დიდის (559 წ. ძვ. წ-აღრიცხვით) მოსვლის შემდეგ სპარსეთმა თანმიმდევრულად დაიპყრო მცირე აზიის ქვეყნები, ბაბილონი, ეგვიპტე და გახდა, როგორც ჩვენს დროში იტყოდნენ, უდიდესი გეოპოლიტიკური სახელმწიფო. ჰეროდოტე დაწვრილებით მოგვითხრობს სპარსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნებისა და ხალხების შესახებ, მათ მიერ დასახლებული ადგილების გეოგრაფიულ მდებარეობას და ზნე–ჩვეულებებს, აანალიზებს სპარსეთის აღზევების საერთო სურათს.

„ისტორიის“ მეორე ნაწილში (V-IX წიგნები) ჰეროდოტე იკვლევს ელადის მდგომარეობას და საბერძნეთ–სპარსეთის ომების მიმდინარეობას, აანალიზებს არმიის, განსაკუთრებით კი ფლოტის როლს. ეს ნაწილი ჰეროდოტეს, უეჭველად, მთავარ ნაწილად მიაჩნია, ხოლო პირველი ნაწილის დანიშნულება კი არის მკითხველის შეყვანა მოვლენათა კურსში, სპარსელების მიერ ელადის წინააღმდეგ გალაშქრების მიზეზებისა და მიზნების გარკვევა. იმ პერიოდში ელადამ სპარსული საფრთხის არსებობის გამო შეწყვიტა შინაომები, გაერთიანდა და გადაიქცა საზღვაო-სამხედრო ფედერაციად, რომელმაც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია ძლიერ მეტოქეს და საბოლოოდ დაამარცხა აგრესორი.

ჰეროდოტეს ინდუქციური მეთოდი მდგომარეობს ისტორიული პროცესის აღწერაში კერძოდან ზოგადისაკენ, „ქვემოდან ზევით“, ცალკეული მმართველებიდან, პოლიტიკური მოღვაწეებიდან, ტომებიდან, პოლისებიდან, ქვეყნებიდან მათი რეგიონალურ „ზესახელმწიფოებად“ გაერთიანებამდე, ერთის მხრივ ევროპის, და მეორეს მხრივ აზიის მრავალი სახელმწიფოს გაერთიანებამდე. ამ კონტინენტალური გიგანტების დაპირისპირება მოგვაგონებს თანამედროვე კონტინენტალურ-რეგიონალურ გეოპოლიტიკას. (შემთხვევით არ არის, რომ ერთ-ერთმა ცნობილმა თანამედროვე ფრანგმა გეოპოლიტიკოსმა ივ ლაკოსტმა მის მიერ გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალს დაარქვა „ჰეროდოტე“).

ქვემოთ მოცემულია თანამედროვე კარტოგრაფის მიერ V საუკუნის (ჩვ. ერამდე) ოიკუმენეს შესახებ ჰეროდოტეს წარმოდგენების საფუძველზე შედგენილი რუკა.

---

[20] New Oxford American Dictionary, "Herodotos", Oxford University Press



თუკიდიდე (460-396 ჩვ.წ.აღ-მდე)

თუკიდიდე დაიბადა ათენში მდიდარ არისტოკრატიულ ოჯახში. მამამისი თრაკიის მეფის ოლორის პირდაპირი შთამომავალი იყო, დედაც ასევე ეკუთვნოდა დიდგვაროვან თრაკიელთა ოჯახს. გასაგებ მიზეზთა გამო თუკიდიდე სწავლობდა მისი დროის საუკეთესო მასწავლებლებთან, რომელთა შორის აღსანიშნავია: ფილოსოფოსი ანაქსაგორა, სოფისტები პროტაგორა და გორგია, იგი აგრეთვე ისმენდა ორატორ ანტიფონტეს სიტყვებს. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თუკიდიდეზე პერიკლემ. სწორედ ამიტომ, მიუხედავად ოჯახური ტრადიციისა და ნათესაობრივი კავშირისა არისტოკრატი ოლიგარქების დაჯგუფებებთან, იგი იყო დემოკრატიული პარტიის მომხრე.

პელოპონესის ომის დროს (431-404 ჩვ. წ-აღ-მდე) თუკიდიდე აირჩიეს (424 წ. ჩვ. წ.-აღ-მდე) ათი სტრატეგიის კოლეგიის წევრად (ფაქტიურად ეს იყო ათენის მთავრობა), შემდეგ კი როგორც სტრატეგი იგი გახდა მთელი შეიარაღებული ძალების მეთაური, რომელიც განლაგებული იყო თრაკიაში. ბრასიდის სპარტანული არმიის თრაკიაში ლაშქრობის დროს თუკიდიდე მოექცა ნომალდების ესკადრის სათავეში და ვერ დაეხმარა დროულად თრაკიის პოლისს – ამფიპოლს, რომელიც აიღო ბრასიდმა. ამის გამო თუკიდიდეს მიუსაჯეს სამუდამო განდევნა ათენიდან. (423 წ. ჩვ. ერამდე) სადაც ის მხოლოდ ოცი წლის შემდეგ დაბრუნდა (404 წ. ჩვ. წ-აღ-მდე).

ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა თუკიდიდე დევნილობის პერიოდში უცნობია. როგორც ჩანს ის ცხოვრობდა წინაპრების სამშობლოში – თრაკიაში და თავისუფალი დრო დაუთმო ცნობილი „ისტორიის“ დაწერას, შესაძლებელია მან ამ დროს იმოგზაურა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზეც (მაკედონია, სიცილია, იტალია, სპარტა). არ არის ცნობილი თუ რა ვითარებაში და სად დაიღუპა ცნობილი მეცნიერი, იციან მხოლოდ, რომ მისი ნეშტი გადმოასვენეს

და დაკრძალეს ათენში. თავის „ისტორიაში“ თუკიდიდემ მიზნად დაისახა „პოლოპონესელების ათენელებთან ბრძოლის აღწერა, თუ როგორ ებრძოდნენ ისინი ერთმანეთს“[21]. თავის შრომებში, თუკიდიდემ გამოიკვლია არა იმდენად გლობალური, როგორც რეგიონალური ხასიათის პრობლემა, მაგრამ ამ პრობლემას გააჩნდა თავისი გეოპოლიტიკური ელფერი, რადგან ომი ათენსა და სპარტას შორის ელადაში გაბატონებას, პირველობას ისახავდა მიზნად. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ დაპირისპირებას საზოგადოებრივ წყობებსა და მმართველობის ფორმებს შორის, ამ ომმა გადაწყვიტა ბერძნული პოლისების შემდგომი განვითარების მიმართულება. როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქმე ეხებოდა ალტერნატივას (არჩევანს) დემოკრატიასა და ოლიგარქიას შორის, განვითარების სავაჭრო-სამრეწველო და ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო გზებს შორის, ფართო კოსმოპოლიტურ და სპარტანულ-პატრიოტულ ეთოსს (აზროვნების წესს) შორის.

თუკიდიდე პირველად, ძველ ბერძენ ისტორიკოსებს შორის პრაგმატულად განიხილავდა ისტორიულ პროცესს (და არა ეპიკურად, როგორც ჰეროდოტე), როგორც პოლიტიკური, სამხედრო-პოლიტიკური მოვლენებისა და სამხედრო შეტაკებების ჯაჭვს. მისთვის ისტორია პირველ რიგში საგარეო პოლიტიკაა, მათ შორის სამხედრო პოლიტიკა. სწორედ ამაში გამოიკვეთა მისი გეოპოლიტიკური მიდგომა.

ომმა წარმოაჩინა არმიის განსაკუთრებული მნიშვნელობა, როდესაც ათენელების აშკარა უპირატესობის მიუხედავად კულტურაში, ხელოვნებაში და მრეწველობაში, გაიმარჯვა სპარტამ. თუკიდიდემ ხაზგასმით წარმოაჩინა ფლოტის როლი, განსაკუთრებით სანაპირო და კუნძულოვანი სახელმწიფოების – პოლისი, კორინთო და კუნძულ კრეტას გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. კორინთო, მაგალითად, ფლოტისა და ვაჭრობის წყალობით გადაიქცა ელადის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. კრეტას კუნძულოვანმა სახელმწიფომ, გამოიყენა რა მისი განსაკუთრებით ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა (მაგალითად ხელსაყრელი სანაპირო ზონების არსებობა ნაოსნობის განსავითარებლად და სხვა სახელმწიფოებზე კონტროლისათვის) შეძლო მიეღწია ჰეგემონიისათვის (გაბატონებისათვის) ხმელთაშუაზღვისპირეთში ჩვ.წ.აღ-მდე II ათასწლეულში.

თუკიდიდემ აღნიშნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის უპირატესობა იმ ქვეყნებთან საომარი დაპირისპირების პროცესში, რომელთაც ძირითადად სახმელეთო არმია ჰყავდათ. მისი აზრით, სწორედ ძლიერი ფლოტის და ზღვაზე ბატონობის წყალობით მიაღწიეს იონელებმა უპირატესობას სპარსელებთან ომში[22].

ქსენოფონტე (დაახლ. 430-370 წწ. ჩვ. ერამდე)

ქსენოფონტე დაიბადა ათენში მდიდარ არისტოკრატიულ ოჯახში, სადაც მან მიიღო შესანიშნავი განათლება, რომელიც მან შემდგომში კიდევ უფრო სრულყო სოკრატესთან ურთიერთობის პერიოდში. ქსენოფონტეს მოღვაწეობის პერიოდში უკვე დასრულებულია ათენის აყვავების – „ოქროს საუკუნე“, პერიკლეს მმართველობის პერიოდი და ელადაში ათენის ჰეგემონიის (ბატონობის) საუკუნე და იწყება პელოპონესის ომი (431-404 ჩვ. წ. აღ-მდე), როგორც წინა ქვეთავებში იქნა აღნიშნული, სამრეწველო-სავაჭრო და კულტურული თვალსაზრისით განვითარებულ, დემოკრატიულ ათენსა და კონსერვატიულ-ტრადიციულ, მაგრამ მძლავრ სამხედრო, ოლიგარქიულ სპარტას შორის. თუმცა ომის დაწყების მიზეზები უფრო ღრმა იყო

[21]**Thucydides**, *History of the Peloponnesian War*1.117

[22]Cochrane, p. 179; Meyer, p. 67; de Sainte Croix

ვიდრე დაპირისპირება ათენსა და სპარტას შორის (სავაჭრო კონკურენცია ათენსა და კორინთოს - სპარტის მოკავშირეს შორის პირველ რიგში ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში, კორინთოს სავაჭრო „მამულში“. აგრეთვე ათენის ჩარევა კორინთოსა და კერკირის დაპირისპირებაში; წინააღმდეგობანი დემოკრატიულ და ოლიგარქიულ პარტიებს შორის, რომლებიც ფუნქციონირებდა ელადის ყველა პოლისში; ბრძოლა ტერიტორიული, ადამიანური და ბუნებრივი რესურსებისათვის).

მიუხედავად იმისა, რომ ქსენოფონტე ათენელი იყო, იგი ეკუთვნოდა ოლიგარქიულ პარტიას და სპარტა მიაჩნდა არა მარტო სახელმწიფო წყობილების ნიმუშად, არამედ ცენტრადაც, რომლის გარშემოც უნდა გაერთიანებულიყო მთელი ელადა. ქსენოფონტე აღიზარდა სამხედრო გარემოცვაში და სამხედროების წრეში, ფაქტიურად სამოქალაქო ომის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ პელოპონესის ომის დროს მკვეთრად შეიცვალა ბერძნული არმიის სოციალური შემადგენლობა. თუკი ადრე ბერძნული ფლანგის საფუძველს შეადგენდნენ პოლიტები – სახალხო მოლაშქრეები, პოლისების მცხოვრებნი, შემდგომში წამყვანი ადგილი ეკავათ დაქირავებულებს, პროფესიონალ მეომრებს, რომელთათვისაც გამარჯვების მთავარი მიზანი იმდენად არა მშვიდობის დამყარება გახლდათ, არამედ სამხედრო წარმატება მათთვის წარმოადგენდა ფულის შოვნის საშუალებას.

უცნობია ქსენოფონტეს როლი პოლიტიკურ პროცესში ათენში 30 ტირანის მმართველობის პერიოდში, რომლებიც სპარტამ დანიშნა, მაგრამ პელოპონესის კავშირის დამარცხების შემდეგ (404 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) ის დაქირავებულ სპარტელებთან ერთად ერთი ქვედანაყოფის მეთაურად წავიდა მცირე აზიაში კიროს უმცროსის (401 ჩვ. ერამდე) სამსახურში. გაეცნო რა კიროსს, ქსენოფონტე დათანხმდა მის წინადადებაზე გამხდარიყო მისი მრჩეველი. ამ თანამდებობაზე ის ათი წლის განმავლობაში ემსახურებოდა კიროსს, რომელიც მიზნად ისახავდა ტახტისთვის ბრძოლაში მისი მოწინააღმდეგის – არტაქსერქსეს დამარცხებას, თუმცა საბოლოოდ მან ეს მიზანი ვერ განახორციელა.

ჩვ. წ. აღ-მდე 394 წელს ქსენოფონტე დაბრუნდა ელადაში, მაგრამ არა ათენში, არამედ სპარტაში სპარტელების არმიასთან ერთად და მონაწილეობა მიიღო კორონეასთან ბრძოლაში, რომელშიც სპარტამ დაამარცხა ანტისპარტანული კოალიციის ჯარები. მშობლიური პოლისის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის გამო ქსენოფონტეს მიუსაჯეს ათენიდან განდევნა. სამხედრო სამსახურის მიტოვების შემდეგ ის დასახლდა სოფელში ოლიმპიასთან ახლოს.

ჩვ. წ. აღ-მდე 370 წელს ოლიმპია და მისი მიდამოები დაიკავეს სპარტელთა მოწინააღმდეგეებმა – ელას წარმომადგენლებმა. ქსენოფონტე გაიქცა კორინთოში, სადაც მალე გარდაიცვალა.

მის ძირითად ნაშრომებში – „ანაბასის“ (ითარგმნება როგორც „აღმასვლა“ – სადაც საუბარია კიროს უმცროსის აზიის სიღრმეში ლაშქრობის შესახებ) და „საბერძნეთის ისტორია“, ქსენოფონტე ბრძოლებისა და მმართველთა მოღვაწეობის აღწერის გარდა გვაწვდის საინტერესო ეთნოგრაფიულ ცნობებს, ცდილობს სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები დაუკავშიროს გეოგრაფიას. მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ცოდნა და ჩვევები, რომელიც მან შეიძინა გეოგრაფიასა და სამხედრო სტრატეგიაში, ასევე მისი ფართო ზოგადი თვალსაწიერი საშუალებას გვაძლევს მისი ნაშრომები შევაფასოთ (განსაკუთრებით „საბერძნეთის ისტორია“) როგორც ნამდვილად საინტერესო გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან მათში ასახულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ხმელეთისა და ზღვისა დაპირისპირება, არმიისა და ფლოტის მშენებლობის მნიშვნელობა სახელმწიფოს ძლიერების მისაღწევად, ზღვაზე ბატონობა და ა. შ.

არისტოტელე (384-322 ჩვ. წ. აღ-მდე)

არისტოტელე დაიბადა ქალაქ სტაგიროსში, რომელიც დაარსებულ იქნა როგორც ბერძნული კუნძულის ანდროსის კოლონია მაკედონიის სამხრეთში და IVს-

ში ჩვ. წ. აღ-მდე განიხილებოდა როგორც ელადის ნაწილი. არისტოტელეს მამა ნიკომაქე იყო ცნობილი ექიმი და მსახურობდა მაკედონიის მეფე ამინტა III-სთან, ამიტომ არისტოტელემ ბავშობა გაატარა მაკედონიის დედაქალაქ – პელაში, სამეფო კარზე, სადაც მის მეგობრებს შორს იყო მეფის ვაჟი, მომავალი მეფე – ფილიპე II. არისტოტელემ მიიღო იმ დროისათვის შესანიშნავი განათლება, ეხმარებოდა რა მამამისს სამედიცინო საქმეებში, დაეუფლა ექიმის პროფესიას. გამოჩენილ ბერძენ ფილოსოფოსს უკვე თხუთმეტი წლის ასაკში დაეღუპა მშობლები და ამის შემდეგ იგი ძმასთან და დასთან ერთად დაბრუნდა სტაგიროსში, სადაც მათ აღზრდაზე ზრუნავდა მეურვე პროკსენი, რომელმაც ორი წლის შემდეგ არისტოტელეს ათენში სწავლის გაგრძელების ნება დართო (367 წ.ჩვ. წ. აღ-მდე). იქ ის შევიდა პლატონის აკადემიაში. აკადემიის დამთავრების შემდეგ მეცნიერი იქვე დარჩა მასწავლებლად და ამგვარად მან აკადემიის კედლებში გაატარა 20 წელი. პლატონის სიკვდილის შემდეგ არისტოტელემ მიატოვა აკადემია და ხუთი წლის ხეტიალის შემდეგ მიიღო მაკედონიის მეფის მოწვევა მისი ვაჟის აღზრდის თაობაზე. მეფის ვაჟი მაშინ 13 წლის იყო, ამგვარად ალექსანდრემ არისტოტელეს ხელმძღვანელობით შეისწავლა ჰომეროსის „ილიადა“ და საკუთარი იდეალი აღმოაჩინა აქილევსის სახით, რომელიც იყო ყველაზე ძლიერი, წარმატებული და უძლეველი მეომარი მთელს ელადაში.

339-336წწ. არისტოტელემ გაატარა სტაგიროსში. ამ დროს (338წ. ჩვ.წ-აღ-მდე) ფილიპემ საბოლოოდ დაამარცხა ბერძნები და გახდა მთელი ელადის ხელმწიფე, რის შემდგომაც მაკედონიის მეფეს გამიზნული ჰქონდა მცირე აზიაში გალაშქრება. გარემო, რომელშიც იზრდებოდა ალექსანდრე, ხელს უწყობდა მისი გეოპოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას. მოგვიანებით, არისტოტელეს რჩევის მიუხედავად, რომელიც დაპყრობილი ტერიტორიების კოლონიზაციას ეხებოდა, ალექსანდრემ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც დაკავშირებული იყო ახალი სახელმწიფოს მშენებლობასთან, ჩამოსული ბერძნული და ადგილობრივი მოსახლეობის შერჩევასა და დედაქალაქის ბაბილონში გადატანასთან.

335 წელს არისტოტელე ათენში გადასახლდა, სადაც შექმნა აკადემია – ლიკეიონი. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილმა გამოიწვია (323წ. ჩვ.წ. აღ-მდე) აჯანყება ათენში, რომლის წარმატების შემდეგ პრომაკედონური პარტიის წარმომადგენლებს დევნიდნენ, მათ შორის არისტოტელესაც. მას მოუხდა გაქცევა ათენიდან, გზაში ის დაიღუპა კუჭის დაავადებით, რომელიც მას მთელი ცხოვრების მანძილზე აწუხებდა.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით არისტოტელეს თხზულებებში ყურადღებას იქცევს მის მიერ აღმოჩენილი კავშირი ბუნებრივ გარემოსა და სახელმწიფო წყობას შორის, ტერიტორიის ფართობსა და სახელმწიფო ძალას შორის. არისტოტელეს აზრით „საუკეთესო სახელმწიფო წყობილება ვერ ჩამოყალიბდება შესაფერისი გარემო პირობების გარეშე.“[23] ამასთანავე, გარემო პირობებში ბერძენი ფილოსოფოსი გულისხმობდა როგორც ბუნებრივ, ასევე სოციალურ მახასიათებლებს. უსაფრთხო არსებობის მნიშვნელოვან სოციალურ პირობებს წარმოადგენს მოსახლეობის რაოდენობა და მისი თვისებები, პირველ რიგში თავისუფალი ადამიანების რაოდენობა, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ გახდნენ „გოპლიტები“ (მძიმედ შეიარაღებული მებრძოლები), ასევე მონების რაოდენობა. პოლისის თავისუფალ მოსახლეობაში უნდა დაცულ იქნეს პროპორცია მიწათმოქმედების, ხელოსნების, ვაჭრების რაოდენობას შორის, რადგან „ის სახელმწიფო, სადაც ბევრი ხელოსანია და ცოტა მძიმედ შეიარაღებული (მებრძოლი), არ ჩაითვლება დიდ სახელმწიფოდ (ე.ი. ძლიერ სახელმწიფოდ)“[24].

---

[23]McLeisch, Kenneth Cole (1999). *Aristotle: The Great Philosophers*. Routledge. p. 5. ISBN 0-415-92392-1

[24]Politics 1253a19-24

პოლისის ტერიტორიის მახასიათებლები მიჩნეულია მნიშვნელოვან ბუნებრივ პირობებად. „ის (ტერიტორია) ძნელად მისადგომი უნდა იყოს შეჭრისათვის, მაგრამ უნდა ჰქონდეს მოხერხებული გასასვლელები“. „ქალაქი (პოლისი) ისე უნდა მოაწყონ, რომ ის კარგად იყოს განლაგებული ზღვასთანაც და სახელმწიფოს დანარჩენი ნაწილის მიმართაც“. არისტოტელესთან განმარტებულია აგრეთვე საზღვაო ძალის როლი სახელმწიფოს გაძლიერების საქმეში. „რა თქმა უნდა, მტრის მოგერიება უფრო ადვილია, როცა დახმარების მიღება ორივე მხრიდან ერთდროულად – ხმელეთიდან და ზღვიდანაა შესაძლებელი, ასევე შეიძლება დარტყმის ერთნაირად მიყენება, როცა სახელმწიფოს ორივე გზა გახსნილი აქვს“[25].

განსაკუთრებულად „გეოპოლიტიკურად“ გამოიყურება კუნძულოვანი სახელმწიფოს – კრეტის ჰეგემონიის დასაბუთება საბერძნეთში პირველი ათასწლეულის (ჩვ. წ. აღ-მდე) დასასრულს. „კუნძული კრეტა თითქოს ბუნების მიერ არის განსაზღვრული საბერძნეთში ბატონობისათვის, მისი გეოგრაფიული მდგომარეობა შესანიშნავია: ის ესაზღვრება ზღვას, რომლის გარშემოც თითქმის ყველა ბერძენს აქვს დასახლების საკუთარი ადგილი. ერთის მხრივ იგი არ არის შორს პელოპონესიდან, მეორეს მხრივ – აზიიდან, სახელდობრ ტრიოპიიდან და როდოსიდან. სწორედ ამიტომ მინოსმა დაიმკვიდრა ძალაუფლება ზღვაზე და კუნძულებიდან ერთი ნაწილი დაიმორჩილა, სხვები დაასახლა.“[26]

პოლიბიუსი (210-128 ჩვ. ერამდე)

პოლიბიუსი, ცნობილი ძველი ბერძენი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა პოლისში – მეგაპოლი (სამხრეთ არკადია) სახელგანთქმული პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის ოჯახში. მამამისი ლიკორტი ოთხჯერ აირჩიეს აქაიის კავშირის – პელოპონესის პოლისების ფედერაციის სტრატეგის თანამდებობაზე, რომელიც ეტოლიის (ეტოლია) კავშირთან ერთად ეწინააღმდეგებოდა მაკედონიის გაბატონებას საბერძნეთში.

ახალგაზრდობაში პოლიბიუსმა, ისევე როგორც მდიდარ ბერძნულ ოჯახებში დაბადებულმა ყველა ბავშმა, მიიღო შესანიშნავი განათლება და მამამის მსგავსად ადრე დაიწყო პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეობა.

პოლიბიუსი პოლიტიკური მოღვაწე იყო იმ დროს, როცა მაკედონიის ბატონობა საბერძნეთში იცვლებოდა რომის ძალაუფლებით. ამ პროცესის გადამწყვეტ მომენტად იქცა ჩვ. წ. აღ-მდე 198 წელი, როდესაც აქეელები დათანხმდნენ რომის წინადადებას მაკედონიასთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ. მაგრამ ისევე როგორც ბერძნულ პოლისებს შორის, ამ ორ ძალას შორისაც არ იყო აზრთა ერთიანობა ამ პრობლემასთან დაკავშირებით.

ლიკორტი და პოლიბიუსი ეკუთვნოდნენ დამოუკიდებლობის პარტიას (რომისაგან). წყაროებში არ არის მითითებული პოლიბიუსის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის არცერთი თარიღი. ცნობილია მხოლოდ, რომ 170 წელს ჩვ. წ. აღ-მდე პოლიბიუსი იყო არჩეული ჰიპარქად (ცხენოსანთა მეთაურად), სტრატეგად კი – არხონტი, რომელიც ასევე იყო დამოუკიდებლობის პარტიის მომხრე.

169 წელს პოლიბიუსი ასრულებდა ელჩის მისიას რომის კონსულთან – კვინტუს მარციუსთან, რომელიც იბრძოდა საბერძნეთის ჩრდილოეთში მაკედონიელების წინააღმდეგ და მოითხოვდა მხარდაჭერას აქეელთა კავშირისაგან.

168 წელს ჩვ. წ. აღ-მდე მაკედონიის არმიაზე პიდნასთან გამარჯვების შემდეგ რომაელებმა დამოუკიდებლობა წაართვეს მთელ საბერძნეთს. პოლიბიუსი ათასობით ცნობილ ბერძენ პოლიტიკურ მოღვაწესთან ერთად გადაიყვანეს იტალიაში. მაგრამ მას გაუმართლა. სციპიონ ემილიანას, კართაგენის მომავალი დამმარცხებლის

[25]Aristotle (Greek philosopher) – Britannica Online Encyclopedia". Britannica.com. http://www.britannica.com/EBchecked/topic/34560/Aristotle. Retrieved 2009-04-26

[26]Kelvin Knight, *Aristotelian Philosophy*, Polity Press, 2007, *passim*

დახმარებით პოლიბიუსი დატოვეს რომში, სადაც ეს უკანასკნელი გახდა რომაელი მხედართმთავრის მეგობარი და მრჩეველი.

პოლიბიუსს მიეცა რომის ისტორიის და პოლიტიკური ინსტიტუტების შესწავლის შესაძლებლობა, აგრეთვე შანსი იმისა, რომ გაეცნო და ურთიერთობა ჰქონოდა რომის სახელოვან მოღვაწეებთან, ჩამოსულ ელჩებთან, პოლიტიკოსებთან და მეფეებთან, რომლებიც მათი პოლისების და მათი სამეფოების საქმეებს აგვარებდნენ რომის სენატში. პოლიბიუსის თვალწინ რომი გადაიქცა მსოფლიოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის სახელმწიფოდ. რომში მოღვაწეობის პერიოდში ის ბევრს მოგზაურობდა (167-150 წწ. ჩვ. აღ-მდე), მცირე აზიაში, ჩრდ. აფრიკაში, გადადიოდა ალპებზე.

მხოლოდ 150 წელს ჩვ. წ. აღ-მდე, მას სამასამდე გადარჩენილ ბერძენთან ერთად ათასობით გადმოსახლებულთა შორის, მიეცა სამშობლოში დაბრუნების უფლება. მაგრამ მომდევნო წელს რომაელებმა იგი მიიწვიეს სამხედრო ექსპერტად (მიმდინარეობდა კართაგენთან ომის დასკვნითი ეტაპი). 146 წელს ის ესწრებოდა კართაგენის შტურმსა და ცნობილი მხედართმთავრის, გასდრუბალის დატყვევებას. ამ დროს აქეელთა კავშირის სათავეში მოვიდა რადიკალური ანტირომაული დაჯგუფება, დიეს და კრიტოლაეს მეთაურობით. თუმცა მათ მიერ ჩამოყალიბებული ჯარი რომაელებმა დაამარცხეს. პოლიბიუსი, რომელიც საბერძნეთში ჩრ. აფრიკიდან დაბრუნდა, შეესწრო ამ დრამის მხოლოდ ბოლო აქტს – აქეელთა კავშირის უმსხვილესი ქალაქის-კორინთოს დანგრევას. პოლიბიუსი ცოტა ხნით დარჩა საბერძნეთში, სადაც იგი რომის სენატის დავალებას ასრულებდა კანონების შედგენის მიმართულებით, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა დავების განხილვა ყოფილი აქეელთა კავშირის ქალაქებში.

როგორც სწავლულმა, პოლიბიუსმა სახელი გაითქვა „საყოველთაო ისტორიის“ 40 წიგნით, სადაც აღწერა მოვლენები, რომელთა მოწმე და მონაწილე თვითონ იყო. მან ასევე გაანალიზა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემა: „როგორ გახდა რომი მოკლე დროში ოიკუმენის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო?“(ოიკუმენის ანუ მაშინ ცნობილი დასახლებული სამყაროს). მან აღმოაჩინა გარკვეული კანონზომიერებანი, რომელთაც მოგვიანებით უწოდებენ გეოპოლიტიკურს, მაგ; „რაში მდგომარეობს სახელმწიფოს ძლიერების და კერძოდ რომის რესპუბლიკის ძლიერების მიზეზები? კერძოდ, უპირველეს ყოვლისა უნდა ილაპარაკონ კონკრეტული მიწის შესახებ, როგორია მისი თვისებები და როგორია მისი განლაგება. . . ჩვენ უკეთესად გავიგებთ გარკვეულ მოვლენებს, თუ წინასწარ იქნება აღწერილი ქვეყნები და მოვლენების ადგილები“[27].

მხოლოდ გეოპოლიტიკურად მოაზროვნე ადამიანს შეუძლია თქვას, რომ ყველა ცნობა დედამიწის აღწერილი ადგილების გეოგრაფიული მდგომარეობის შესახებ მოცემულია „იმ ენით, რომ თხრობა იყოს გასაგები ადამიანებისათვის, რომლებიც არ იცნობენ ამ ქვეყნებს“. აღწერს რა, მაგალითად, ჰანიბალის ლაშქრობას, პოლიბიუსს საჭიროდ მიაჩნია გეოგრაფიულად განსაზღვროს ისტორიული პროცესი. ის ამტკიცებს: „იმისათვის, რომ ჩვენი მონათხრობი არ დარჩეს სრულიად გაუგებარი მკითხველებისათვის, რომლებიც არ იცნობენ ამ ქვეყნებს, ჩვენ უნდა ვთქვათ საიდან გამოვიდა ჰანიბალი, რამდენი და რომელი ქვეყნები გამოიარა მან და იტალიის რომელ ადგილებში მივიდა ის“[28].

---

[27]Hannibal at New Carthage: Polybius 3. 15 and the Power of Irrationality Author: A. M. Eckstein, Classical Philology, Vol. 84, No. 1 (Jan., 1989), pp. 3-4

[28]The Historians of Ancient Rome, Ron Mellor

ციცერონი (106-43 ჩვ. წ. აღ-მდე)

მარკუს ტულიუს ციცერონი – ცნობილი ძველი რომაელი პოლიტიკოსი, იურისტი, ორატორი, დაიბადა ქ. არპინიუმში შეძლებულ, მაგრამ არც თუ ისე დიდგვაროვან ოჯახში, რომელიც სამხედროთა ფენას მიეკუთვნებოდა. ახალგაზრდობაში, როდესაც ციცერონმა მიიღო მისი წრისათვის შესაფერისი განათლება, ის ჩავიდა რომში, სადაც სრულყოფდა საკუთარ განათლებას ცნობილ ფილოსოფოსებთან ურთიერთობის პროცესში. კერძოდ, მას კავშირი დამყარებული ჰქონდა ეპიკურელ ფედრასთან, პლატონიკოს ფილონთან და სტოიკოს დიოდოტესთან. ამის შემდეგ, მისი დროის ტრადიციის მიხედვით, მეცნიერმა საგანმანათლებლო მიზნით იმოგზაურა საბერძნეთში (79 წ. ჩვ. აღ-მდე), სადაც კუნძულ როდოსზე დაუმეგობრდა ფილოსოფოსს და გეოგრაფს პოსიდონს.

ციცერონი რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთო სხვისი დახმარების გარეშე, მისი ორატორული ნიჭის წყალობით. პოლიტიკური მოღვაწეობა მან დაიწყო სულას დიქტატურის (81 წ. ჩვ. ერამდე) ოპოზიციაში გაერთიანებით. მან სახელი გაითქვა 36 წლის ასაკში, როდესაც გამოვიდა სასამართლო პროცესზე სულას პარტიის წარმომადგენლის ვარესის წინააღმდეგ (70 წ. ჩვ. ერამდე). პირველი პოლიტიკური სიტყვა მან სენატში წარმოთქვა პომპეუსის დასაცავად 66 წელს ჩვ. წ. აღ-მდე. ციცერონმა, მან როგორც პოლიტიკოსმა და ორატორმა დიდების მწვერვალს მიაღწია კატილისნას (63 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) შეთქმულების წინააღმდეგ სენატში გამოსვლების მთელი სერიის წყალობით. ამის შემდეგ, მისი როლი სენატში თანდათან შემცირდა. ხოლო პირველი ტრიუმვირატის (პომპეუსი, კრასუსი, კეისარი – 60 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) დროს, 57 წლის აგვისტოში პომპეუსი დაუახლოვდა კრასუსს კეისრის წინააღმდეგ, ამიტომ პომპეუსმა დააბრუნა დევნილი ციცერონი, რომელიც იძულებული გახდა გაჰყოლოდა პომპეუსის პოლიტიკურ გზას. კრასუსის დაღუპვამ პართიასთან ომში უფრო გაამძაფრა ბრძოლა პომპეუსის და კეისრის პარტიებს შორის. ციცერონი დაინიშნა პროკონსულად კილიკიაში, სასტიკი პოლიტიკური დაპირისპირებიდან მოშორებით (51-50 ჩვ. წ. აღ-მდე). რომში დაბრუნების შემდეგ, ის მოხვდა უფრო მწვავე დაპირისპირებაში პომპეუსისა და კეისარის მომხრეებს შორის, რაც საბოლოოდ სამოქალაქო ომში გადაიზარდა (49-47 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე). ციცერონი ცდილობდა პომპეუსისა და კეისრის შერიგებას, მაგრამ ამ უკანასკნელის გამარჯვების შემდეგ ციცერონი გახდა რესპუბლიკური პარტიის მეთაური სენატში.

ციცერონი დაიღუპა ჩვ. წ. აღ-მდე 43 წელს, როდესაც მეორე ტრიუმვირატთან ბრძოლაში სენატის დამარცხების შემდეგ (მარკუს ანტონიუსი, ოქტავიანე ავგუსტუსი, ლეპიდუსი ციცერონი), იგი მოკლულ იქნა რეპრესიების ჩატარების დროს.

ციცერონის ძირითად თხზულებებად, გარდა გამოსვლებისა და წერილებისა, მიჩნეულია მისი დიალოგები – „სახელმწიფოს შესახებ“ და „კანონების შესახებ“. პოლიტიკა, მისი აზრით, მჭიდროდ არის დაკავშირებული გეოგრაფიასთან, რისი მრავალი მაგალითი არსებობს. თუნდაც ის, რომ რომულმა რომის დაფუძნებისას ძალიან სწორად აირჩია მომავალი დედაქალაქის ადგილი. ამასთან დაკავშირებით ციცერონი აღნიშნავს: „ვისაც სურს მარადიული სახელმწიფოს შექმნა, ძალიან წინდახედული უნდა იყოს“. „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის მდებარეობას ზღვის მიმართ, სასურველია მდინარის, წყაროების, ბორცვების და ჯანსაღი ჰავის არსებობა. სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის უნდა მიიღონ სწორი კანონები და მართონ მტკიცედ, მაგრამ სამართლიანად“[29].

---

[29]Plutarch, *Cicero* 1.3–5

სტრაბონი (64/63 – 23/24 ჩვ. წ. აღ-მდე)

ცნობილი ძველი ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი დაიბადა ქალაქ ამასიაში, პონტოს სამეფოში, დიდგვაროვან და მდიდარ ბერძნულ ოჯახში, რომლის მრავალი თაობა ემსახურებოდა პონტოს მეფეებს, თუმცა, თვით პონტოს მეფეები სტრაბონის მოღვაწეობის პერიოდში უკვე რომის იმპერიის ვასალებს წარმოადგენდნენ.

სტრაბონის ოჯახი, ისევე როგორც მრავალი ბერძენი დიდგვაროვანის ოჯახი იმ დროში, რომის მომხრე იყო, მით უფრო რომ რომის ბატონობა უზრუნველყოფდა მათ სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას.

როგორც მისი წრის ყველა ახალგაზრდამ, სტრაბონმა მიიღო კარგი განათლება, რომელიც დაასრულა ქ. ნისუში გადასვლის შემდეგ ცნობილ გრამატიკოს და რიტორიკოს არისტოდემესთან. შემდეგ მან იმოგზაურა ალექსანდრიაში და რომში, სადაც უსმენდა ფილოსოფოს ქსენარქეს და მეცადინეობდა გრამატიკოს ტირანიონთან.

მთელი ცხოვრების განმავლობაში სტრაბონამა ბევრი იმოგზაურა, სომხეთიდან სარდინიამდე, შავი ზღვიდან ეთიოპიის მთებამდე (ზემო ნილოსი). დიდხანს ცხოვრობდა რომში, სადაც ტრიალებდა ცნობილი პოლიტიკოსებისა და სწავლულების წრეში.

მისი პირველი თხზულება – „ისტორიული ჩანაწერები“ ჩაფიქრებული იყო როგორც პოლიბიუსის „საყოველთაო ისტროიის“ გაგრძელება და მოიცავდა მოვლენების ფართო წრეს – კორინთოს და კართაგენის ნგრევიდან საზღვაო ბრძოლამდე აქციუმთან (31წ. ჩვ. წ-აღ-მდე), რომლის შემდეგ ოქტავიანე ავგუსტუსი ანტონიუსის დამარცხების შემდეგ გახდა რომის ერთპიროვნული მმართველი და აღადგინა სამოქალაქო მშვიდობა სახელმწიფოში. სამწუხაროდ სტრაბონის „ისტორიული ჩანაწერები“ დაკარგულია.

სტრაბონის მეორე თხზულება – „გეოგრაფია“, რომელიც შედგება 27 წიგნისაგან, ატარებს აშკარა გეოგრაფიულ ელფერს, რაც მდგომარეობს გეოგრაფიული და პოლიტიკური დებულებების ერთიანობაში. მაგ; I წიგნში იგი აღნიშნავს რომ „გეოგრაფიის დიდი ნაწილი გამოსადეგია სახელმწიფოსთვის, რადგან სახელმწიფოს მოქმედების არენა – მიწა და ზღვა – ადამიანის საცხოვრებელი ადგილია“[30]. მაგრამ ადამიანი, როგორც შუამავალი გეოგრაფიასა და პოლიტიკას შორის, სტრაბონის აზრით მშრომელი, შემოქმედი ადამიანი ან ხალხი კი არ არის, არამედ მმართველი, რომელიც ხალხის ბედს წყვეტს. სწორედ მას, პოლიტიკოს-მმართველს სჭირდება გეოგრაფია, რომელიც „როგორც ერთი მთლიანი საგანი პირდაპირ არის დაკავშირებული მმართველის საქმიანობასთან, რადგან ის რუკაზე განალაგებს მატერიკებს და ზღვებს. . .“[31]

ძალიან საინტერესოა დისკუსია ოიკუმენის (დასახლებული სამყაროს) საზღვრების და მისი გარკვეულ ნაწილებად დაყოფის შესახებ. სტრაბონი იზიარებს ერატოსთენეს, ჰიპარქეს, პოსიდონიუსის, პოლიბიუსის შეხედულებებს. სტრაბონის აზრით, დედამიწას ზღვასთან ერთად სფეროს ფორმა გააჩნია. ის შეიძლება პირობითად დაიყოს ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებად, ასევე 5 ჰავის სარტყელად, რომლებიც შემოსაზღვრულია ჩრდილო და სამხრეთ პოლარული წრით და ასევე ჩრდილო და სამხრეთ ტროპიკებით. ყველა ისინი (წრეები და ტროპიკები) ეკვატორის პარალელურადაა განლაგებული. ამგვარი დაყოფა პირველად შემოიტანა პოსიდონიუსმა – სტოიციზმის ცნობილმა წარმომადგენელმა, კუნძულ როდოსის სამეცნიერო სკოლის მეთაურმა, ციცერონის მასწავლებელმა. როგორც სტრაბონი ფიქრობდა, ჰავის 5 სარტყელიდან 2 (პოლარული) არის ცივი და დაუსახლებელი,

[30]*Strabonis Geographica*, Book 17, Chapter 7

[31]იქვე

ორი ზომიერი სარტყელი პრაქტიკულად შეუსწავლელია გეოგრაფების მიერ, ოიკუმენა, სტრაბონის მიხედვით გადაჭიმულია იბერიიდან (ახლანდელი ესპანეთი) ინდოეთამდე და თავსდება ზომიერ და ნაწილობრივ ცხელ სარტყელში. ფორმით ოიკუმენა ჰგავს ქლამიდას (ძველ ბერძნულ ლაბადას), რომელიც ჩახაზულია პარალელოგრამში. ოიკუმენა ვიწროვდება დასავლეთით და აღმოსავლეთით და ფართოვდება ჩრდილოეთით და სამხრეთით ხაზზე, რომელიც მიჰყვება ნილოსს.



მსოფლიოს რუქა სტრაბონის მიხედვით

ერატოსთენე (III ს. ჩვ. წ. აღ-მდე)

ერატოსთენე დიდი ხნის განმავლობაში იყო ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგე და წერდა ნაშრომებს ისტორიის, გეოგრაფიის, ფილოლოგიის, მათემატიკის, ასტრონომიის დარგებში (რომლებმაც ვერ მოაღწია ჩვენამდე) როგორც სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ ჩანს, ამ სწავლულს სამყარო წარმოდგენილი ჰქონდა ოთხი შემადგენელი სფარიგდის (სფეროს, ნაწილის) სახით, რომლებიც გაყოფილი იყო პირობითი ხაზებით – „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ და „დასავლეთი-აღმოსავლეთი“, და მოიცავდნენ გარკვეულ ქვეყნებს შესაბამისი მოსახლეობით. ერატოსთენეს რუკაზე კარგად ჩანს, რომ ჩრდილო-დასავლეთ სფარიგდას წარმოადგენს ევროპა, რომელიც მოიცავს ელადასაც, სამხრეთ-დასავლეთს - ლიბიას, რომელიც შეესაბამება თანამედროვე აფრიკას. ბერძნები აფრიკას მხოლოდ ნილოსამდე იცნობდნენ. ჩრდილო-აღმოსავლეთ სფარიგდას ქმნის მცირე აზია ბერძნული სანაპირო პოლისებით, სხვა სახელმწიფოებით, რომელთაც აკონტროლებდა სპარსეთის სახელმწიფო და აგრეთვე უფრო ჩრდილოეთით მდებარე სკვითების ქვეყანა, რომელიც გადაჭიმული იყო მთელს თანამედროვე დიდ რუსულ დაბლობზე. უნდა ავღნიშნოთ, რომ ადრინდელი ბერძენი გეოგრაფები, მაგ; ჰეკატეოსი (VIს-ის დასასრული ჩვ. წ. აღ-მდე), სკვითების ჩრდილოეთით მდებარე ადგილს უწოდებდნენ ნახევრად მითოლოგიური ქვეყნის – ჰიპერბორეას სახელს. სამხრეთ-აღმოსავლეთი სფარიგდა, ერატოსთენეს მიხედვით, შედგება არიანისაგან – არიბის ქვეყნისგან (თანამედროვე ირანი) და ინდოეთისაგან. ამგვარად, „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ და ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთმიმართების და თანაფარდობის პრობლემები ანტიკურ ეპოქაში უკვე ცნობილი იყო.

სტრაბონმა გადაწყვიტა სხვა გეოპოლიტიკური ამოცანაც – თანაფარდობა გეოგრაფიულ მდებარეობას, ზღვის მიმართ ქვეყნის მდებარეობას, გეოგრაფიული

გარემოს ზეგავლენას და საზოგადოების განვითარებას შორის. ის ამტკიცებს, რომ ზღვა განსაზღვრავს ხმელეთის მოხაზულობას, მას ანიჭებს ან ართმევს ცხოვრებისთვის ხელსაყრელ პირობებს. ზღვა მდინარეებთან ერთად ლანდშაფტია (მთები, დაბლობები), კუნძულები და ყურეები კი ქმნიან „თვისებებს რომელებიც დაკავშირებულია ადგილმდებარეობასთან და არ არის ადამიანის ხელით შექმნილი“[32]. ამ ბუნებრივი თვისებების ცვალებადობა (ე.ი. გეოგრაფიული პირობების) გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, პოლისების, სახელმწიფოების განვითარებაზე. საცხოვრებელი გარემოს გაუარესებას, აგრეთვე ბუნების კატაკლიზმებს (მიწისძვრა, ვულკანების ამოფრქვევა, ცუნამი) შეუძლია შეანელოს პოლისების განვითარება ან გაანადგუროს მთელი ქვეყნები, მაგალითად, ატლანტია.

ოიკუმენის შესწავლას სტრაბონი ამთავრებს აღწერით, რისთვისაც იყენებს თანამედროვე ტერმინოლოგიას. იგი აღწერს რომის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას ე.ი. გვთავაზობს რეგიონალურ გეოპოლიტიკის პრობლემის გადაჭრას, რომელიც ძველი რომის ტერიტორიის მეტისმეტად გაზრდის გამო გადაიქცა გლობალურ-რეგიონალური გეოპოლიტიკურ ამოცანად.



მსოფლიოს რუქა ერატოსთენეს მიხედვით

[32][*Eratosthenes' Geography – Fragments collected and translated, with commentary and additional material*, by Duane W. Roller, Princeton UP, Princeton (2010)

თავი II შუა საუკუნეების გეოპოლიტიკური აზრი

შუა საუკუნეების არაბული სამყაროს გეოპოლიტიკური კონცეფცია

არაბი ერის ჩამოყალიბებას საფუძველი არაბეთის ნახევარკუნძულზე ჩაეყარა რომელიც მდებარეობს ევრაზიის მატერიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და უჭირავს შუალედური ადგილი ევროპის, ცენტრალურ და სამხრეთ აზიას და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკას შორის. არაბეთის ნახევარკუნძულის ზედაპირის ფართობია-3 მლნ. კვ. მ. (ევროპის ფართობის მეოთხედზე მეტი). მას აკრავს ხმელთაშუა (ჩრდილო-დასავლეთიდან), წითელი (სამხრეთ-დასავლეთიდან), არაბეთის (სამხრეთ-აღმოსავლეთიდან) ზღვები და სპარსეთის ყურე (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან).

ბუნებრივმა პირობებმა (ცხელი და მშრალი ჰავა, ნახევარკუნძულის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე მდებარეობს ქვიშიანი უდაბნოები და ნახევრადუდაბნოები, ასევე არაბეთის ზეგანი სტეპის მცენარეულობით, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოსადეგი მიწათმოქმედებისათვის) განსაზღვრა არაბული ეთნოსის ისტორიული განვითარება, რომელიც თავიდანვე იყო დაყოფილი ადგილობრივ მიწათმოქმედებად და მომთაბარე მეჯოგეებად. მიწათმოქმედების კულტურა გაჩნდა ნახევარკუნძულის სამხრეთში უკვე I ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იმ პერიოდში ფუნქციონირებდა განვითარებული მელიორაციის ქსელი, რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ VIIIს-ში ჩვ. წ. აღ-მდე. ასევე, ამ ტერიტორიაზე მოქმედებდა საქარავნო გზა – რომელიც იწყებოდა დოფარის მთებში და გადიოდა არაბეთის სამხრეთ სანაპიროზე, შემდეგ იგი გრძელდებოდა ჩრდილოეთით წითელი ზღვის გასწვრივ და მთავრდებოდა ხმელთაშუა ზღვისპირეთის პორტებში. სწორედ აქ გაჩნდა პირველი არაბული სახელმწიფო – ხიმიარი, რომელმაც დაამყარა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ინდოეთის და ეთიოპიის სახელმწიფოებთან. ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში ვითარდებოდა მომთაბარე მეცხოველეობა. მომთაბარე არაბებს – ბედუინებს ჰყავდათ აქლემები, ცხენები, ცხვრები, თხები, მაგრამ იქაც ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების კვალობაზე გაჩნდა ადგილობრივი კულტურის ოაზისები. ამგვარად, სამხრეთისა და ჩრდილოეთის, მიწადმოქმედთა ადგილობრივი კულტურისა და ბედუინების მომთაბარეთა კულტურის დაპირისპირების გეოპოლიტიკური პრობლემა არსებობდა არაბთა ისტორიაშიც.

VIIს-ში (ჩვენი წელთაღრიცხვა) გეოპოლიტიკურ სიტუაციას არაბეთის ნახევარკუნძულზე განსაზღვრავდა ძალების თანაფარდობა იმ დროის წამყვან სახელმწიფოებს - ბიზანტიას, ირანსა და ეთიოპიას შორის, რომლებმაც „სურნელებათა მომგებიანი გზის“ გაკონტროლების სურვილით სამხრეთ არაბეთი გააჩანაგეს. ბევრი არაბული ოჯახი იძულებული გახდა გადასულიყო ჩრდილოეთში, ხიჯაზის რაიონში. ამ რაიონების ქალაქების – მექის, მედინას, ტაიფის მოსახლეობა ინარჩუნებდა ეკონომიკურ და ნათესაურ კავშირებს ბედუინებთან, აწარმოებდა ტყავს, მოიპოვებდა ვერცხლს, ასევე დაკავებული იყო მიწათმოქმედებით.

ამ დროისათვის უკვე საკმაოდ განვითარებული იყო მონოთეისტური (ერთი ღმერთის) რელიგიური მიმდინარეობები – იუდაიზმი და ქრისტიანობა, რომელთაც არაბეთში მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავდათ. არაბეთის ელიტა აცნობიერებდა რელიგიის გამაერთიანებელ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში. მიუხედავად ამისა, ძველი ტრადიციები და ტომის რიტუალებისადმი თაყვანისცემა, პირველ რიგში კი „შავი ქვის“ თაყვანისცემა კაბის ტაძარში (მექაში) აფერხებდა ეროვნული განვითარების პროცესს.

ერთი ღმერთის თაყვანისცემის ერთ-ერთი მქადაგებელი გახდა მუჰამედი (570-632 წწ.), რომელიც არაბეთის ჩრდილოეთში მოღვაწეობდა ქალაქ მექაში. თუმცა, მისი მშობლიური ქალაქის მცხოვრებნი იმდენად უნდობლად შეხვდნენ მის ქადაგებას, რომ ის იძულებული გახდა 622 წელს გადასულიყო მეზობელ მედინაში. მექიდან წასვლა (ხიჯრა) ყველა მუსულმანისათვის ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისია. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მუსულმანობის მიღებამ არაბ ერს ჩამოაყალიბებინა ერთიანი სახელმწიფო – ხალიფატი და ხელი შეუწყო ამ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური გავლენის გაფართოებას არა მარტო მთელს არაბეთის ნახევარკუნძულზე (ეს მოხდა მუჰამედის სიცოცხლეში), არამედ აზიის, აფრიკისა და ევროპის უკიდეგანო ტერიტორიებზე. თვით ახალმა მუსულმანმა წინასწარმეტყველმა, ტრადიციის თანახმად, მიმართვა გაუგზავნა არაბეთის ნახევარკუნძულთან ახლოს მდებარე რეგიონების ყველა გეოპოლიტიკურ სუბიექტს: ბიზანტიის იმპერატორ ერეკლეს, ირანის შაჰს ხოსროვ II-ს, ეთიოპიის მმართველს, ბიზანტიის არაბ ვასალს გასანიდს, ეგვიპტის ბიზანტიელ მმართველს გიერგის, ომანის, იემენის, ბახრეინის, იამამის მმართველებს, რომლებიც აღიარებდნენ მართლმადიდებლობას, მონოფიზიტობას, ზოროასტრიზმს, ანდა ისევ ტომის ღვთაებებს სცემდნენ თაყვანს, და მოუწოდებდა მათ მუსულმანობის მიღებას. ამ მიმართვიდან იწყება ისლამის გადაქცევა მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიად და მსოფლიო მუსლიმანური იმპერიის-ხალიფატის შექმნა.

მუჰამედის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ (632 წ.), არაბების სამხედრო-რელიგიური ექსპანსია გააგრძელეს პირველმა ხალიფებმა (წინასწარმეტყველის მოადგილეებმა), რომლებსაც აირჩეოდნენ მუჰამედის თანამოაზრეებისა და ნათესავებისაგან, ხოლო ეს უკანასკნელნი თავის მხრივ ფლობდნენ უმაღლეს პოლიტიკურ და რელიგიურ ხელისუფლებას. ამ პერიოდში (632-661წწ.) არაბებმა დაიპყრეს პალესტინა და სირია (640 წ.), ეგვიპტე (642 წ.), აფრიკის მთელი ჩრდილოეთი თვით კართაგენამდე (649 წ.). ხანგრძლივი ომის შედეგად დაემხო ირანის სასანიდების სახელმწიფო (634-651 წწ.). ხალიფატის ვასალებად გადაიქცნენ სომხეთი და საქართველოს ნაწილი (ქართლის სამეფო). დაპყრობითი ომების დროს არაბები სახლდებოდნენ დაპყრობილ ქვეყნებში, აგრეთვე ხალიფატის სხვა ნაწილებში, სადაც გავცელებული იყო არაბულის მონათესავე კულტურა და ენა (შუამდინარეთი, სირია) და სადაც მიმდინარეობდა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური გაარაბება.

განვითარების პროცესში არაბეთის ხალიფატმა გაიარა როგორც განვითარების, ასევე დეზინტეგრაციისა და სამოქალაქო ომის პერიოდი. პირველი შიდა ომი დაიწყო ჯერ კიდევ მესამე ხალიფას – ოსმანის (644-656 წწ.) მმართველობის დროს. ომის დაწყება განაპირობა არაბული საზოგადოების სოციალურმა დიფერენციაციამ, რაც გამოწვეულ იქნა სამხედრო მეთაურების ქონების უსაშველოდ გაზრდით (დაპყრობილი მიწები, სამხედრო ტყვეები, წარმოება, გაძარცვული ქონება). ასევე, ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი იყო ტომების დიდგვაროვნების გამდიდრება და რიგითი მებრძოლების სიღარიბე, ასევე სამხედრო ნადავლის გაყოფით გამოწვეული უკმაყოფილება. ხალიფა ოსმანის პოლიტიკა ტომის არისტოკრატიის წისქვილზე ასხავდა წყალს, რამაც გამოიწვია დაბალი ფენების უკმაყოფილება, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ მეტ დემოკრატიას ისლამის განვითარების ადრეულ და ადრეფეოდალურ ხანაში. ამ პროცესების შედეგად ოსმანის პოლიტიკური კურსით უკმაყოფილო არაბები გაერთიანდნენ ალის გარშემო, რომელიც იყო მუჰამედის ბიძაშვილი და სიძე (ალის ცოლად ჰყავდა მუჰამედის ქალიშვილი ფატიმა). ალის მომხრეებს უწოდეს შიიტები („შია“ – არაბულად ნიშნავს „დაჯგუფებას“, „პარტიას“). ამგვარად, შიიტების დაჯგუფება შეიქმნა როგორც ძალაუფლებისთვის მებრძოლი გაერთიანება, მაგრამ ერთმართველობის პირობებში ტიპიურ კლანს უფრო წააგავდა. შიიტებს მიემხრნენ ფელახები და ბედუინები იმ იმედით, რომ შიიტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ხალიფატში უფრო სამართლიანი მმართველობა დამყარდებოდა და ბედუინები განთავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან. პირველი სამოქალაქო ომი ხალიფატში

5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა (656-661 წწ.). 656 წელს შიიტებმა მოკლეს ხალიფა ოსმანი და რიგით მეოთხე ხალიფად აირჩიეს ალი. მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ შეინარჩუნა მომხრეებად ის დაჯგუფება, რომელმაც წამოაყენა სოციალური თანასწორობის უფრო რადიკალური მოთხოვნა და ნადავლის ძველებური გაყოფისა და მიწით საერთო სარგებლობის მოთხოვნა, რაც არსებობდა „ადრეული ისლამის“ პერიოდში. ამ პარტიას შემდგომში ეწოდა „ხარიჯიტები“ (ე.ი. „წასულები“). 661 წელს ხარიჯიტებმა მოკლეს ალი. სიტუაციით ისარგებლა სირიისა და ეგვიპტის სუნიტურმა არაბულმა არისტოკრატიამ, რომელსაც სურდა status quo-ს შენარჩუნება (მათ შორის სოციალური უთანასწორობისაც) ისლამური კანონების შესრულების თვალსაზრისით. შესაბამისად მან ოსმანის ნათესავი ომეიადების გვარიდან – მუავია გამოაცხადა ხალიფად.

სამოქალაქო ომში სუნიტებსა და ხარიჯიტებს შორის გაიმარჯვეს სუნიტებმა. მას შემდეგ ისლამში არსებობს სამი რელიგიური მიმდინარეობა: სუნიტები, რომლებიც მხარს უჭერენ ოფიციალურ „სამართლებრივ“ ისლამს, როგორიც ჩამოყალიბდა VIIს-ის II ნახევარში (დღეს ისინი დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ მუსულმანებს შორის – 90%), შიიტები, რომლებიც მოითხოვენ, რომ ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცეს ალის შთამომავლებს – ალიდებს (მათი უდიდესი ნაწილი ცხოვრობს ძირითადად ირანში, ნაწილი – ერაყში) და ხარიჯიტები, რომელებიც რელიგიურ სექტად გადაიქცნენ.

ომეიადები ხალიფატს მართავდნენ დაახლოებით 100 წლის (661-750 წწ.) განმავლობაში. მათ დედაქალაქი გადაიტანეს დამასკოში და გეოსტრატეგიის მთავარ მიმართულებად აირჩიეს დასავლეთი. გამოიყენეს რა სირია ექსპანსიის გაგრძელების პლაცდარმად, მათმა შეიარაღებულმა ძალებმა გაიარეს ჩრდ. აფრიკის ხმელთაშუაზღვის სანაპირო (ბერბერების დასახლება) და მივიდნენ გიბლარტარამდე, რომლის შემდეგაც დაიპყრეს თითქმის მთელი ესპანეთი (711წ.). დაახლოებით ამავე დროს ხალიფატის მმართველობა საბოლოოდ დამკვიდრდა სომხეთში, ქართლსა და ალბანეთში (ირანის აზერბაიჯანის ნაწილი). 712 წელს არაბები შეიჭრნენ ინდოეთში, შეიტანეს იქ მუსულმანობა და გაავრცელეს ის ინდოეთის რამდენიმე პროვინციაში. აქ მათ დაიპყრეს სინდის ოლქი მდ. ინდის ქვემო დინებაში. ამ მოვლენამ მომავალში საფუძველი დაუდო ისლამური სახელმწიფოს – პაკისტანის შექმნას ინდოეთის მიწაზე. ჩრდილოეთის გეოპოლიტიკური მიმართულებით ხალიფატი გაძლიერდა კავკასიაში და მივიდა ხაზარეთის საზღვრამდე. აღმოსავლური გეოსტრატეგიის ფარგლებში ომეიადებმა დაიპყრეს ხვარაზმი და მავერანახრი (არაბ. ნიშნავს – „მდინარის გაღმა მდებარე“ იგულისხმება ამუდარიის სანაპირო). ამ რეგიონში ერთმანეთს შეეჯახა ხალიფატის და ჩინეთის ინტერესები, მათი სამხედრო შეტაკება დამთავრდა მუსულმანთა ჯარის გამარჯვებით (751 წ.). ამ პერიოდიდან ხალიფატი აღწევს თავისი დიდების ზენიტს, როდესაც შეიქმნა უზარმაზარი იმპერია. იგი გადაჭიმული იყო ატლანტიკიდან ინდოეთამდე, შიშის ზარს სცემდა ევროპულ სახელმწიფოებს, ბიზანტიას, ეთიოპიას (აბისინიას) და იუდეურ ხაზარეთს.

ომეიადები ეყრდნობოდნენ სირიულ-ეგვიპტურ, სუნიტური მიმართულების არაბულ საგვარეულო არისტოკრატიას, რაც იწვევდა ირანულ-ერაყულ შიიტური არისტოკრატიის უარყოფით რეაქციას. ეს ფაქტი კი იმპერიას ემუქრებოდა დეზინტეგრაციით, ანარქიითა და შესაბამისად პოლიტიკური სტაბილურობის დაკარგვით. შიიტური პარტია გამოსვლებისაკენ მოუწოდებდა უკმაყოფილ ირანელ გლეხებსა და მიწათმფლობელებს, ირანისა და ერაყის არაბულ მოსახლეობას, რომელიც შედგებოდა როგორც შიიტებისაგან, ასევე სუნიტებისა და ხარიჯიტებისაგან. სწორედ ამ ეთნიკურმა და სოციალურმა ჯგუფებმა წამოიწყეს აჯანყება, რომელიც მეორე სამოქალაქო ომში გადაიზარდა (747-749 წწ). ამის შემდეგ ძალაუფლება ხალიფატში გადავიდა აბასიდების ირანული დინასტიის ხელში. მათ დედაქალაქად საგანგებოდ ამ მიზნისათვის ერაყში აშენებული ქალაქი ბაღდადი აქციეს. აბასიდები მართავდნენ იმპერიას 500 წელზე მეტი ხანის განმავლობაში (750-1258 წწ), მაგრამ ისინი უფრო ზრუნავდნენ პოლიტიკურ სტაბილურობასა და

დაპყრობილი მიწების შენარჩუნებაზე, ვიდრე ახალი ტერიტორიების შემოერთებაზე, ამიტომ მათი მმართველობის დროს ხალიფატი არ გაფართოებულა. ამასთანავე, IX ს-ში დაიწყო ხალიფატის დაშლა ცალკეულ საამიეროებად („ამირას“ პირველი მნიშვნელობაა– ხალიფას მოადგილე).

დამპყრობლური ომების შედეგად (VII-VIII სს.) ჩამოყალიბებულ იქნა ისლამის გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომლის მიხედვით მთელი მსოფლიო დაყოფილი იქნა სამ სფეროდ:

1) ისლამის ოლქები, რომლებიც მოიცავს იმ ქვეყნებს, სადაც აღიარებენ ისლამს და მმართველებად არიან მუსულმანები და დანერგილია ისლამური სამართალი. ეს არის მსოფლიოს ცენტრი და აქ მდებარეობს მართლმორწმუნეთა პოლიტიკური დედაქალაქი და რელიგიური ცენტრი;
2) მშვიდობიანი შეთანხმების ოლქი – ქვეყნები, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე ემორჩილებიან მუსულმანებს. ამ ქვეყნების არამუსულმანური მოსახლეობა არის მფარველობის ქვეშ და ამისთვის იხდის გადასახადს (ჯიზიას). თანამედროვე გეოპოლიტიკის ენით თუ ვიტყვით, ეს არის სამყაროს ერთგვარი მუსულმანური ნახევარპერიფერია;
3) საომარი ოლქი – არამუსულმანური ქვეყნები, რომელთაც არა აქვთ სამშვიდობო შეთანხმება ხალიფატთან და შესაბამისად, მასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ეს არის მსოფლიო პერიფერია, რომელიც უნდა გადაიქცეს მუსულმანურ ნახევარპერიფერიად.

იმისათვის, რომ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა მოექცეს ისლამურ სარწმუნოებაზე, მუსულმანებმა მუდმივად უნდა იბრძოლონ რწმენისთვის – ჯიჰადი, რომელიც შეიძლება იყოს სამი სახის. გულის ჯიჰადი – ბრძოლა საკუთარ ნაკლთან. ენის ჯიჰადი – ისლამის მიერ დაგმობილის აკრძალვა და ისლამის მიერ მოწონებულის დაშვება. “ღაზავათი” – (თავდასხმა) ანუ “ფატხი” (დაპყრობა, გამარჯვება). წმინდა ომში აკრძალულია ქალების, ბავშვების, მოხუცების და თვით არამუსულმანური სამღვდელოების დახოცვა, მაგრამ მოსახლეობა და მისი ქონება დაპყრობილი ქვეყნისა მიჩნეულია სამხედრო ნადავლად.

ამგვარად, ისლამის გეოპოლიტიკა განხორციელდა გარკვეული სახელმწიფოებრივი ფორმით – ხალიფატის დამპყრობლური ომების შედეგად, ასევე, მსოფლიოს ცენტრში არაბული ერის გამოყოფით, რომელიც მუსულმანური სარწმუნოებით იყო შეკავშირებული, რომლის წმინდა ადგილები მდებარეობდა მექაში – მუსულმანების რელიგიურ ცენტრში. ასევე ჩამოყალიბდა მუსულმანური გეოპოლიტიკური კონცეფცია - ხალიფატის მუდმივი ექსპანსიის საშუალებით, ყველა მუსულმანის ძალისხმევით, აუცილებელია იწარმოებოდეს წმინდა ომი – ჯიჰადი.

გეოპოლიტიკურ მოსაზრებებსა და კონცეფციებს თავიანთ შრომებში გამოხატავდნენ არაბი სწავლულები, რომელთა შორის უნდა გამოვყოთ დიდი მოაზროვნეები - ალ-ფარაბი და იბნ-ხალდუნი.

ალ-ფარაბი (870-950 წწ.)

აბუ ნასრ იბნ მუჰამედ ალ-ფარაბი - დიდი არაბი ფილოსოფოსი, სწავლული-ენციკლოპედისტი, პოლიტიკური მოაზროვნე, დაიბადა ხალიფატის განაპირა პროვინციაში მდებარე ქ. ოტრარში, რომელიც მდებარეობს სირდარიას ნაპირებზე მავერნახრის ოლქში. ფარაბის მამა წარმოშობით თურქული ტომის წარმომადგენელი იყო, მაგრამ მსახურობდა ხალიფატის ჯარში. ფარაბიმ მიიღო იმ დროისათვის ბრწყინვალე განათლება ბაღდადის უნივერსიტეტში. ის სწავლობდა საბუნებისმეტყველო, სოციალურ, პოლიტიკურ მეცნიერებებს და ფილოსოფიას. სწავლება მიმდინარეობდა პლატონური (იდეალიზმი, ცხოვრებისა და პოლიტიკური მმართველობის სრულყოფილი ფორმების ძიება, გადმოცემის დიალოგური ფორმა) და არისტოტელისეური (ენციკლოპედიზმი, ცოდნის ყველა სახის სისტემატიზაცია, გნოსტიციზმი, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ბუნებრივი მიზეზები)

ტრადიციების სულისკვეთებით და ისლამური დოგმების მიხედვით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ალ-ფარაბი შეუდგა მეცნიერულ მოღვაწეობას.

ცხოვრების პირობებმა აიძულა ის რამდენიმე წლით დაეტოვებინა ბაღდადი. 941-950წლები მან გაატარა სირიაში (დამასკო, ალეპო – თანამედროვე ხალები), ისე რომ არ შეუწყვეტია შემოქმედებით მუშაობა.

ალ-ფარაბიმ დატოვა მდიდარი და მრავალფეროვანი მეცნიერული მემკვიდრეობა. მისი ნაწარმოებებიდან ცნობილია – „არისტოტელეს თხზულებების კომენტარები“, „ტრაქტატი მეცნიერებათა კლასიფიკაციის შესახებ“, „იშვიათი სიბრძნის გემები“ (“გემა” – ამოტვიფრული ძვირფასი ქვა). როგორც პოლიტიკურმა და სოციალურმა მოაზროვნემ ალ-ფარაბიმ სახელი გაითქვა ნაშრომებით, რომლებმაც აღიარება ჰპოვეს არაბეთში და მის ფარგლებს გარეთ, ეს ნაშრომებია: „სამოქალაქო პოლიტიკა“, „ბედნიერების მიღწევის შესახებ“, „სახელმწიფო მოღვაწის აფორიზმები“. მოღვაწეობის სრულ პერიოდში მან გააერთიანა საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები წიგნში, რომლის სათაურია – „კეთილმოსურნე ქალაქის მცხოვრებთა შეხედულებების ტრაქტატი“. ალ-ფარაბიმ მისი ნაშრომებით დაიმსახურა მეორე მასწავლებლის (ე.ი. მეორე არისტოტელეს) სახელი არაბულ სამყაროში. მუსულმანებს ის მიაჩნიათ არაბული პოლიტიკური აზროვნების მამად.

ალ-ფარაბის პოლიტიკურ იდეებს აშკარა გეოპოლიტიკური ქვეტექსტი ჰქონდათ. ის, როგორც არისტოტელე, პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებს ხსნიდა ბუნებრივი მიზეზებით, მუდამ აკავშირებდა ერთმანეთთან პოლიტიკასა და გეოგრაფიას. მაგალითად, მისი წარმოდგენით ადამიანთა საზოგადოება არის „მრავალი ადამიანის ერთ საცხოვრებელ ადგილას შეკრება“ ე. ი. გეოგრაფიული და სოციალური ფაქტორების ერთდროული ზემოქმედების შედეგი. ამასთანავე ის საზოგადოებას, ისევე როგორც მთელს ცივილიზაციას ყოფდა ცალკეულ ხალხებად, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან „სამი ბუნებრივი ასპექტით: ბუნებრივი ზნით, ხასიათის ბუნებრივი თვისებებით და მესამე ასპექტით, რაც ადამიანთა ხასიათს ემყარება და გარკვეულწილად ბუნებრივ საგნებთან არის დაკავშირებული. ეს არის ენა ანუ მეტყველება, რომელიც (აზრის) გამოთქმის საშუალებას წარმოადგენს”[33]. ამგვარად, ალ-ფარაბიმ ეთნოგენეზს საფუძვლად დაუდო ბუნებრივი მიზეზები: ხალხთა ზნე, ხასიათი და ენა, რაც მისი აზრით ყალიბდება გეოგრაფიული ფაქტორებით. გარდა ამისა, ის ყველა საზოგადოებას (სახელმწიფოს) ყოფს დიდ, საშუალო და მცირე საზოგადოებად. „დიდი საზოგადოება – ეს არის სხვადასხვა ხალხის ერთიანობა, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან. საშუალო – ეს არის ერთი ხალხი. მცირე – ეს არის (საზოგადოება) წარმოდგენილი ერთი ქალაქით. მის დიდ, საშუალო და მცირე საზოგადოებაში ჩვენ ადვილად უნდა ამოვიცნოთ იმპერიები, ერთი ერის ქვეყნები და პოლისები. მისი აზრით დიდი, საშუალო და მცირე საზოგადოება – თითოეული მათგანი შეიძლება იყოს ავტონომიური, პოლიტიკურად დამოუკიდებელი, რაც ადამიანებს საქმეებსა და საზოგადოებაში განვითარების მაქსიმალურ საშუალებას აძლევს. ყველაზე მეტად განვითარებული ალ-ფარაბის შეხედულებით, არის ქალაქის თემი. ამასთანავე „ქალაქის და საზოგადოების“ მიზანია „ურთიერთდახმარება ყველაფერ იმის მოპოვებაში, რაც აუცილებელია არსებობისათვის და სხეულის დასაცავად.[34]“ „ქალაქი და გაცვლის საზოგადოება – ეს ისეთი (მცხოვრებნი) არიან, რომლებიც ეხმარებიან ერთმანეთს კეთილდღეობისა და სიმდიდრის მოპოვებაში“. „ქალაქი და მდაბიო საზოგადოება – ისეთი მცხოვრებნი არიან, რომლებიც ეხმარებიან ერთმანეთს ხორციელი სიამოვნების მიღებაში. . . [35]“ ქალაქი და პატივმოყვარე საზოგადოება, ისეთი მცხოვრებნი არიან, რომლებიც ეხმარებიან ერთმანეთს იმაში, რომ მათ პატივს სცემდნენ სიტყვითა და საქმით“, ქალაქი და ძალაუფლების მოყვარე საზოგადოება წარმოდგენილია როგორც

[33] ნიკა ჩიტაძე. “გეოპოლიტიკა”. გვ. 24. თბილისი. 2008
[34]იქვე
[35]იქვე

ადამიანები, რომლებიც ეხმარებიან ერთმანეთს გამარჯვებაში. . . [36]“ ალ-ფარაბის საუკეთესოდ მიაჩნდა (ისევე როგორც არისტოტელეს) „კოლექტიკური ქალაქი“ ე.ი. ისეთი, სადაც თითოეულ მცხოვრებმა უნდა გააკეთოს, ის რაც მას სურს. მისი მცხოვრებნი თვითონ ირჩევენ მმართველს, რომელიც ხელმძღვანელობს მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სათნოების პრინციპით საზოგადოების, ზემოთ განხილული გრადაცია და პოლისის საზოგადოებისთვის უპირატესობის მინიჭება იმპერიულთან შედარებით თვალსაჩინოდ გამოხატავს იმ ეპოქის განწყობას, როდესაც ცხოვრობდა ამ კონცეფციის ავტორი. ეს იყო ხალიფატის დაშლის პერიოდი, პოლიტიკური არასტაბილურობა, როდესაც თითოეული ადამიანი, მოკლებული სახელმწიფოებრივ საყრდენს და დაცვას, ეძებდა დახმარებას და მხარდაჭერას ოჯახში, მეზობლებთან, ქალაქის თემში.

იბნ-ხალდუნი (1332-1406 წწ.)

იბნ-ხალდუნი აბდ-არ-რახმან აბუ ზეიდი – ცნობილი არაბი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი დაიბადა და ცხოვრობდა იმ პერიოდში, როცა არაბული ცივილიზაცია ცდილობდა ხალიფატის დაშლის შედეგების დაძლევას, იმ უძლიერესი დარტყმის დაძლევას, რომელიც მას მიაყენეს თურქ-სელჩუკებმა. ამ უკანსკნელებმა 1055 წელს აიღეს ბაღდადი, მოგვიანებით კი ბაღდადი, 1258 წელს უკვე მონღოლებმა აიღეს. ცხოვრების დიდი ნაწილი არაბმა მეცნიერმა მოახმარა სახელმწიფო მოღვაწეობას და ამირების შთამომავალთა აღზრდას. იგი ასრულებდა მრჩევლის, მთავრობის მეთაურის, ელჩის, მოსამართლის მოვალეობას მაღრიბის (ჩრდილო აფრიკა) ზოგიერთ საემიროში.

მისი ყველაზე ცნობილი ისტორიული და პოლიტიკური თხზულებაა – „დიდი ისტორია ანუ სახელმძღვანელო მაგალითების წიგნი და ცნობების კრებული არაბების, სპარსელებისა და ბერბერების და მათ თანამედროვეთა ცხოვრების შესახებ, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს დიდი ძალაუფლება“ (1367წ), ასევე „პოლეგომენები“. ე.ი. მისი „შესავალი“ (არაბ. „მუკადიმა“).

„პროლეგომენები“ ენციკლოპედიური ნაწარმოებია, რომელსაც თვალსაჩინო გეოპოლიტიკური საფუძველი აქვს. ის მოიცავს ცნობებს დედამიწის, მისი კლიმატური ზონების (ჰავის ზონების), პლანეტაზე მცხოვრები ადამიანების, მათ ისტორიასა და კულტურის, ადამიანისა და ბუნების კავშირის (მეცხოველეობა, მიწათმოქმედება, ხელოსნობა, ვაჭრობა) შესახებ. პირველი პროლეგომენა – „ადამიანის მიერ სამყაროს ათვისება“ მთავრდება დასკვნით, რომ „ადამიანის მიერ სამყაროს ათვისება“ მდგომარეობს ადამიანებს შორის თანამშრომლობაში, რაც, მათ აძლევს „საკვებს და თავდაცვის იარაღს“. ამასთანავე თანამშრომლობა ე.ი. ადამიანების გაერთიანება და ურთიერთდახმარება სამყაროს ათვისების პროცესში განუწყვეტლივ ვითარდება. ეს არის სწორედ კაცობრიობის განვითარების გზა პრიმიტიულობიდან ცივილიზაციისაკენ, და იგი ბუნებრივი და აუცილებელია. ადამიანების გაერთიანება საზოგადოებებად და სახელმწიფოებად, იბნ-ხალდუნის აზრით, ხდება ასაბიის საფუძველზე – ანუ სოციალურ ურთიერთობათა განსაკუთრებული სახის საფუძველზე, რაც გამომდინარეობს თავდაპირველი ნათესაობიდან, ახლობლებისადმი სიმპათიებიდან, მათი უსამართლობისა და უბედურებისგან დაცვის მისწრაფებებიდან. მოგვიანებით, ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, და ცხადია, სოციალურ ურთიერთობათა გართულებასთან ერთად, ასაბიია გადადის საზოგადოების ყველა წევრზე. ასაბიის საფუძველზე, რომელიც უკვე გულისხმობს „დაცვას, დაპყრობა-მოხვეჭას და ყოველგვარ საქმეს, რისთვისაც ერთიანდებიან“ იქმნებიან სახელმწიფოები, მასვე ეყრდნობა ამ სახელმწიფოთა ძალაუფლება. ასაბიიების საფუძველზე ყალიბდება პოლიტიკური

[36] ნიკა ჩიტაძე. “გეოპოლიტიკა”. თბილისი, 2008. გვ. 24

დაჯგუფებები სახელმწიფოში (პარტიები, ფრაქციები), რომლებიც იბრძვიან ხელისუფლებისათვის. მაგრამ „უკვე გამაგრებულმა სახელმწიფომ გვერდი უნდა აუაროს ასაბიიებს[37]“ – ამტკიცებდა იბნ-ხალდუნი, მხედველობაში ჰქონდა რა, რომ ერთ-ერთი მებრძოლი მხარის გამარჯვებისა და დიდი უპირატესობის შემთხვევაში მას შეუძლია ერთპიროვნულად მართოს, უცხოელების დახმარებით. ასე მოიქცნენ მუატასიმა და მისი მემკვიდრე, დაარღვიეს არაბთა ასაბიია და დაეყრდნენ სპარსელების, თურქების, სელჩუკების დახმარებას. ცხადია, იმპერიის შექმნა (ხალიფატი) ე.ი. მრავალი ეთნოსის გაერთიანება, სახელმწიფოს სიჭრელე იწვევს ასაბიიების დარღვევას – ე.ი. ეთნოეროვნული ერთობის დარღვევას და აიძულებს გამარჯვებულ მმართველს დაეყრდნოს უცხო ეთნონაციონალურ ელემენტს, რაც თავის მხრივ იწვევს იმპერიის დაშლას.

თავი IV

ახალი დროის გეოპოლიტიკური აზრი

[37] ნიკა ჩიტაძე. “გეოპოლიტიკა”. 2008. გვ. 24

- ჟან-ჟაკ რუსო
- კანტი
- მონტესკიე
- ჰეგელი
- კარლ ფონ კლაუზევიცი

ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778წწ.)

ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მწერალი, პედაგოგი და პოლიტოლოგი ჟან-ჟაკ რუსო დაიბადა ჟენევაში, ჰუგენოტი ხელოსნების ოჯახში. მომავალი მეცნიერის ოჯახის წევრები გამოქცეულნი იყვნენ საფრანგეთიდან რელიგიური დევნის გამო. ოჯახს გააჩნდა თავისი ბიბლიოთეკა და რუსო ბევრს კითხულობდა. მშობლები მას მალე გარდაეცვალნენ და ამის შემდეგ ნათესავებმა იგი მესაათეს მიაბარეს. 14 წლის რუსომ დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება. ის ჯერ მუშაობდა მონასტერში მნათედ, შემდეგ გრაფის მეუღლე ვერსალის მოსამსახურედ, აბატ გუვონის მდივნად, გუვერნიორად დ აღმზრდელად მუშაობდა.

1742 წელს, 30 წლის რუსო პარიზში გადადის საცხოვრებლად. პარიზში ცხოვრების პერიოდში იგი ჩამოყალიბდა როგორც ფილოსოფოსი, მწერალი და პოლიტოლოგი, ვინაიდან იმ დროს პარიზში ბრწყინავდნენ ისეთი კორიფეები, როგორიც იყო ვოლტერი, მონტესკიე, დიდრო, კონდორსე, ტიურგო ფონტონელი. პარიზში რუსოს მიეცა შესაძლებლობა ჩართულიყო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1743-1744 წწ. ფრანგი განმანათლებელი იყო ელჩის მდივანი ვენაში. პარიზში დაბრუნებისთანავე ის დაუკავშირდა დენი დიდროს და მასთან ერთად მონაწილეობდა ენციკლოპედიის პროექტის შემუშავებაში.

1750 წელს რუსომ გაიმარჯვა დიუნოს აკადემიის კონკურსში. მისი შრომა "უწყობს თუ არა ხელს ჩვევების განწმენდას მეცნიერებისა და ხელოვნების აღორძინება?" ცალკე წიგნად იქნა გამოცემული.

1753 წლის კონკურსზე მისმა შრომამ "ადამიანთა შორის არათანასწორობის წარმოშობა და საფუძველი" მართალია პრემია ვერ მიიღო, მაგრამ დაიმსახურა დიდი შეფასება დიდროსა და ვოლტერისგან.

1754 წელს მან გამოაქვეყნა შრომა "პოლიტიკური ეკონომიის შესახებ", რომელშიც ჩამოაყალიბა მართვის სამი პრინციპი.

პირველი მდგომარეობს იმაში, რომ რომ ადამიანი უნდა მიყვებოდეს საერთო ნებისყოფას და კარგად არჩევდეს მას კერძო ნებისყოფისაგან.

მეორე არის საზოგადოებრივი ეკონომიის პრინციპი, რომელიც მდგომარეობს "სიკეთის სამეფოს" ჩამოყალიბებაში, ცალკეული ადამიანის ნებისყოფის შესაბამისად საერთო ნებისყოფასთან შესაბამისობაში.

მესამე პრინციპი ატარებდა სუფთა ეკონომიკურ ხასიათს და მდგომარეობდა იმაში, რომ საკმარისი არ არის გყავდეს მოქალაქეები და დაიცვა ისინი. საჭიროა მათი გამოკვება და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამავე დროს, გადასახადები საჭიროა სახელმწიფო აპარატის შესანახად და ისინი უნდა დაწესდეს კანონის შესაბამისად, ხალხის თანხმობით.

თავის ნაშრომებში რუსომ სახელმწიფო, უფრო ზუსტად კი "პოლიტიკური ორგანიზმი" შეადარა ადამიანის ორგანიზმს.

ყველაზე ცნობილ პოლიტიკურ ტრაქტატში "პოლიტიკის პრინციპები" რუსო ანვითარებდა თავის წარმოდგენას სახელმწიფოზე, როგორც ცოცხალ ორგანიზმზე - "როგორც ბუნებამ ჩამოაყალიბა ზრდის საზღვრები კარგად განვითარებული ადამიანისა, კარგად განვითარებულ სახელმწიფოსაც აქვს თავისი საზღვრები"[38].

[38]Dent, Nicholas, J.H. (1988). *Rousseau : An Introduction to his Psychological, Social, and Political Theory*. Oxford: Blackwell

რუსოსათვის სახელმწიფო უნდა არსებობდეს მკაცრად განსაზღვრულ ტერიტორიაზე და საზღვრებში. იმის მსგავსად, რომ კარგად განვითარებული ადამიანი არ არის არც გოლიათი და არც ქონდრის კაცი, სახელმწიფოც არ უნდა იყოს ძალიან დიდი ან ძალიან მცირე.

რუსომ, რატცელისგან განსხვავებით (რომელმაც შეიმუშავა სახელმწიფოს განვითარების სივრცობრივი კანონი) გამოიყვანა განსაზღვრული ზომების სახელმწიფოს კანონი, იპოვა სახელმწიფო ორგანიზმის გაფართოების და შემცირების მიზეზები. მან დააკავშირა სახელმწიფოს მოწყობა, ტერიტორიების ზრდა და შესაბამისად ზესახელმწიფოს სიცოცხლის დროის შემცირება.

სახელმწიფოს სიდიდე, როგორც პოლიტიკური ორგანიზმისა იზომება მისი ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით. მოსახლეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მიწასთან. ამიტომ მიწის ხარისხი და რაოდენოდა განსაზღვრავს მოსახლეობის რაოდენობას სახელმწიფოში და მომავალი ომის ხასიათსაც. რანგი მეცნიერი აღნიშნავდა, რომ "თუ მიწები ძალიან ბევრია, ძნელია მათი დაცვა, დამუშავება. ჭარბი პროდუქტები, ეს არის თავდაცვითი ომების მიზეზი. თუ მიწები ძალიან მცირეა, სახელმწიფო ხდება მეზობლებზე დამოკიდებული და ეს არის მიზეზი მომავალი ექსპანსიური ომებისა"[39].

კანტი (1724-1804წწ.)

დიდი გერმანელი ფილოსოფოსი დაიბადა ქ.კენიგსბერგში ხელოსნის ოჯახში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ის შევიდა უნივერსიტეტში, რომლის დასრულების შემდეგ, 1747 წლიდან იგი მუშაობდა კერძო მასწავლებლად სხვადასხვა ოჯახში. სამაგისტრო დისერტაციის დაცვის შემდეგ, 1755 წლიდან გერმანელმა მეცნიერმა პედაგოგიური მოღვაწეობა გააგრძელა კენიგსბერგის უნივერსიტეტში, სადაც 1770 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი.

არათავადური წარმოშობის მიუხედავად ის იყო სამაგალითოდ წესიერი, სპეტაკი, კარიერისა და სიმდიდრის მიმართ გულგრილი ადამიანი. მან უარი განაცხადა გალიის უნივერსიტეტში მუშაობაზე, სადაც მას სამჯერ მეტი გასამრჯელო შესთავაზეს. კანტი არ გამოირჩეოდა ძლიერი ჯანმრთელობით, რაც ხელს უშლიდა მას სამეცნიერო მოღვაწეობაში. მან შეიმუშავა საკუთარი გრაფიკი. დგებოდა დილის ხუთ საათზე, საუზმის გარეშე მუშაობდა დღის პირველ საათამდე, შემდეგ საუზმობდა და ისვენებდა მეგობრებთან ერთად, ბევრს სეირნობდა და ადრევე წვებოდა დასაძინებლად. ამ რეჟიმმა მას საშუალება მისცა ეცხოვრა 80 წელი და გამოექვეყნებინა 30-ზე მეტი მსხვილი ნაწარმოები.

კანტი კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ისწავლებოდა კენიგსბერგის უნივერსიტეტში, მათ შორის გეოგრაფიასაც. 1757 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი "გეოგრაფიული ლექციების გეგმა". აგრეთვე ნაშრომი "მიწისძვრების მიზეზების შესახებ", 1756 წელს, "ქარების თეორია", 1802 წელს "ფიზიკური გეოგრაფია", 1746 წელს "აზრები ცოცხალი ძალების შეფასების შესახებ", 1775 წელს "ცის ისტორია და თეორია", 1788 წელს "თეოლოგიური პრინციპების გამოყენება ფილოსოფიაში", 1789 წელს "საერთო ისტორიის იდეა", 1786 წელს "ადამიანის ისტორიის შესაძლო დასაწყისი".

მეცნიერის გეოპოლიტიკური მიმართულების ნაწარმოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტრაქტატი "საყოველთაო მშვიდობა", რომელიც მან 1795 წელს დაწერა.

თავის შრომებში კანტი ავითარებდა ანტისამხედრო კონცეფციებს, აგრძელებდა რა ერაზმ როტერდამელისა და ემერიკ კიუსეს იდეებს.

ევროპის მშვიდობიანი მოწყობის პირველი გეოპოლიტიკური პროექტი მოგვცა მაქსიმილიან სიულიმ, რომელიც გახლდათ საფრანგეთის მეფის ფინანსთა მინისტრი

[39]*Rousseau: Restless Genius*, p. 121

12 წლის განმავლობაში. თავის მემუარებში მან გამოაქვეყნა ეგრეთ წოდებული "დიდი გეგმა", რომლის მიხედვითაც ომების აღსაკვეთად საჭირო იყო ევროპის დაყოფა 15 თანასწორ სამხედრო სიძლიერის სახელმწიფოდ. ყველა სახის დავა უნდა გადაეწყვიტა სპეციალურად შექმნილ საბჭოს, რომელიც შედგებოდა 60 კაცისაგან.

1693 წელს ვილიამ პენტმა, რომელიც გახლდათ კვაკერების ხელმძღვანელი პენსილვანიაში, გამოაქვეყნა ახლანდელი და მომავალი მშვიდობის კონცეფცია ევროპაში, რომელშიც მეცნიერი მოუწოდებდა მშვიდობის დასამყარებლად შექმნილიყო სახელმწიფოთა საერთო კავშირი.

1713-1717 წლებში ცნობილი ფრანგი დიპლომატი შარლ დე სენპიერი გამოსცემს სამტომეულს "სამუდამო მშვიდობის პროექტი ევროპაში". ის საჭიროდ თვლიდა სახელმწიფოთა კავშირის შექმნას, რომელიც დაარეგულირებდა ურთიერთობებს ომის გარეშე. ეს იდეა ფართოდ გავრცელდა ცივილიზებულ სამყაროში. კანტის ნაშრომი "მარადიული მშვიდობა" გახლდათ ამ ზემოაღნიშნული იდეების გამოძახილი.

ამასთან ერთად, მშვიდობის იდეა არის კანტის კულტურის და სამართლის ეთიკის განუყოფელი ნაწილი. კანტის აზრით, ნამდვილი მშვიდობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფოების საერთაშორისო კავშირის სამართლებრივ მოედანზე. ამასთანავე,ამ კონტექსტში ზღვა არა მხოლოდ ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებასა და კონტაქტებს ადამიანებს შორის, არამედ ხელს უწყობს მშვიდობის დამყარებას[40]. კანტს სჯეროდა, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც დაიცავდა მორალს და ეთიკურ ნორმებს, შეეძლო გამხდარიყო მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოების წევრი.

შ. მონტესკიე (1689-1755წწ.)

შარლ ლუი დე სეკონდა ბარონი დე ლა ბრედ დე მონტესკიე ცნობილი ფრანგი პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი, განმანათლებელი დაიბადა ქალაქ ბორდოსთან ახლოს მდებარე საკუთარ სახლში. მან საკუთარ ოჯახში მიიღო კარგი განათლება. შემდეგ სწავლობდა ორ ფრანგულ უნივერსიტეტში, ჯერ ბორდოში, შემდეგ კი პარიზში.

1714 წელს მონტესკიე დაინიშნა მრჩევლის თანამდებობაზე. 1716 წელს კი პარლამენტის თავმჯდომარედ (რევოლუციამდე ეს იყო სასამართლო ორგანო). მან ანონიმურად გამოაქვეყდა "სპარსული წერილები", რომლებიც შერაცხულ იქნა სამეფო კარის და ეკლესიის მიერ. დარწმუნდა რა იმაში, რომ შეუძლებელი იყო ძველი მეთოდებით მსოფლიოსა და ადამიანთა ჩვევების შეცვლა, იგი გაემგზავრა ევროპაში.

მონტესკიე გაეცნო იტალიის, ინგლისის, შვეიცარიის, გარმანიის სასამართლო და პოლიტიკურ სისტემებს, სოციალურ ცხოვრებას. ერთი წელი დარჩა ინგლისში, სადაც შეისწავლა ამ ქვეყნის პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოება.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1731 წელს ის ჩაიკეტა თავის სასახლეში და დაიწყო სამართლებრივი და პოლიტიკური ტრაქტატების წერა. მათ შორის ცნობილია მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები "რომის სიძლიერე და დაცემა" – 1733 წელს, "მსოფლიო მონარქია" – 1733 წელს, "კანონთა სული". ამ ნაშრომების გამოქვეყნების შედეგად მონტესკიე 1729 წელს აირჩიეს სამეფო აკადემიის წევრად.

"სპარსულ წერილებში" ის ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას მართავს განსაზღვრული კავშირურთიერთობები, რომლებიც გამომდინარეობს

---

[40] Perpetual Peace (*Zum ewigen Frieden*)

ბუნებრივი კანონებიდან. ხოლო სოციალური ყოფა გამომდინარეობს გეოგრაფიული, პოლიტიკური და რელიგიური ფაქტორებიდან.

მთავარ პოლიტიკურ ნაშრომში "კანონთა სული", მონტესკიეს მიერ ჩამოყალიბებულ იქნა პოლიტიკური, რელიგიური და მორალური ურთიერთობების ერთობა, საზოგადოებაში დამყარებულ ბუნებრივ კანონებზე, რაც განპირობებული იყო ბუნებრივი არიალით.

მონტესკიეს კვლევის მეთოდებში ყურადღება გამახვილებულია კავშირზე გეოგრაფიასა და პოლიტიკას შორის. ის ამტკიცებს, რომ აუცილებელია კანონები შეესაბამებოდეს ბუნებრივ ფაქტორებს და მთავრობის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს. ფრანგი განმანათლებელი ყურადღებას ამახვილებდა კავშირზე კლიმატის, ნიადაგის ხარისხსა, ხალხის ცხოვრების წესსა, ფიზიკურ თვისებებს თავისუფლების ხარისხს, სახელწიფოს შესაძლო მოწყობასა და მოსახლეობაში გაბატონებულ რელიგიურ მიმდინარეობას შორის[41].

გ. ჰეგელი (1770-1831წწ.)

დიდი გერმანელი ფილოსოფოსი გეორგ ჰეგელი დაიბადა ქალაქ შტუტგარტში ჩინოვნიკის ოჯახში. დაამთავრა კლასიკური გიმნაზია, ხოლო შემდგომ, 18 წლის ასაკში მოეწყო ტიუბინგენის თეოლოგიურ უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდნენ შელინგი და გელდერლინი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის მუშაობდა მასწავლებლად გიმნაზიაში ჯერ ბერნში - 1793-1796 წლებში, ხოლო შემდეგ ფრანკფურტში - 1797-1799 წლებში. მამის გარდაცვალების შემდეგ ჰეგელი გაემგზავრა იმ დროის ყველაზე ცნობილ იენის უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდნენ ფიხტე და რეინგოლდი. ფიხტეს წასვლის შემდეგ კათედრის ხელმძღვანელის პოსტი დაიკავა 32 წლის ჰეგელის კურსელმა შელინგმა. იენის უნივერსიტეტში ჰეგელმა დაიცვა დისერტაცია და გამოაქვეყნა თავისი პირველი ფილოსოფიური ნაშრომი "ფიხტესა და შელინგის ფილოსოფიურ სისტემათა განსხვავება". 1801 წელს იენაში ჰეგელმა დაიწყო "კრიტიკული და ფილოსოფიული" ჟურნალის გამოშვება. აქვე, 1802 წელს დაწერა "სულის ფენომენოლოგია".

XIX საუკუნის დასაწყისში წარმოებულმა ნაპოლეონის ომებმა მკვეთრად გააძვირეს ცხოვრება ევროპაში და ჰეგელი იძულებული აღმოჩნდა გადასულიყო პროვინციულ ბამბერგის უნივერსიტეტში, სადაც მას 1803 წელს შესთავაზეს ბამბერგის გაზეთის რედაქტორობა. ერთი წლის შემდეგ მეცნიერი გადავიდა ნიურნბერგში, სადაც დაიკავა გიმნაზიის დირექტორის პოსტი, რომელიც მას ეკავა 1816 წლამდე. იქ მან დაწერა თავისი ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაწარმოები "ლოგიკის მეცნიერება".

1816-1817 წლებში ჰეგელი ასწავლიდა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, სადაც გამოაქვეყნა "ფილოსოფიური მეცნიერების ენციკლოპედია". 1818 წელს, იგი გადავიდა ბერლინში, სადაც იგი ცხოვრების ბოლომდე ასწავლიდა ფილოსოფიის ისტორიას, რელიგიის ფილოსოფიას და ესთეტიკას. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები, რომელიც მან ბერლინში დაწერა, ეს არის "სამართლის ფილოსოფია".

ჰეგელის გეოპოლიტიკური იდეები გადმოცემულია ლექციებში "ისტორიის ფილოსოფია". კერძოდ, ნაშრომში "მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული საფუძვლები". მსოფლიო ისტორია ჰეგელმა დააკავშირა იმ გეოგრაფიულ არეალს, სადაც ვითარდებოდა ძირითადი ისტორიული პროცესები. ისტორია მას ესმოდა, როგორც სულის, იდეის გამოჩენა სინამდვილის ფორმებში, სადაც თითოეული მათგანი ჰპოვებს თავის გამოხატულებას, როგორც რეალობაში არსებული ხალხი. ამასთანავე, ერთი რომელიმე ხალხი და ერი იძენს ბუნებრივ სხვაობას სხვა

[41]Montesquieu, *Considerations on the Causes of the Greatness of the Romans and their Decline*, The Free Press, http://www.constitution.org/cm/ccgrd_l.htm, retrieved 2010-06-13

ხალხებთან შედარებით და არა მარტო სულიერ გამოხატულებაში, არამედ ადგილმდებარეობის მიხედვითაც[42].

ჰეგელის გეოპოლიტიკური მიდგომა გამოიხატება მსოფლიო ისტორიის გეოპოლიტიკურ საფუძველში. ის თვლიდა, რომ მსოფლიო ისტორიის განვითარებისათვის ყველზე კარგია ნორმალური კლიმატური ზონა. ბუნებრივ ზონებს ჰეგელი თავის მხრივ ყოფდა ჩრდილო და სამხრეთ ზონებად და მათ შორის მეცნიერის აზრით ჩრდილოეთი ნახევარსფერო ყველაზე სასარგებლოა ადამიანის მოღვაწეობისათვის ნაბისმიერ სფეროში.

როგორც პროფესიონალი გეოპოლიტიკოსი, ჰეგელი აღწერს ახალ სამყაროს - ჩრდილო და სამხრეთ ამერიკას. მისი აზრით, აშშ არის ერთიანი ფედერალური სახელმწიფო, სადაც სწრაფი ტემპებით ვითარდება მრეწველობა, რაც უზრუნველყოფილია სამოქალაქო წესრიგითა და მტკიცე თავისუფლებით. ამავე დროს, ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია პოლიტიკური არასტაბილურობა, სამხედრო გადატრიალებები და ეკონომიკური ჩამორჩენილობა.

ჰეგელის სხვაობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის აგრეთვე იყო ის, რომ ჩრდილოეთის შტატები დაიპყრეს დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებმა (ჰოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი), ხოლო სამხრეთ ამერიკა დაიპყრეს ესპანელებმა გამდიდრები მიზნით, რომლებიც ჩაგრავდნენ ადგილობრივ ინდიელებს. ამერიკა არის მომავლის ქვეყანა ამბობდა ჰეგელი. მეცნიერი ამტკიცებს, რომ ხმელთაშუა ზღვა არის ძველი სამყაროს გული. მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული ასპექტების ანალიზის დროს ჰეგელს ისტორიული ქვეყნები გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე და ჰყოფს მათ სამ ძირითად კატეგორიად:

1. უწყლო ადგილები ფართო სტეპებით;
2. დაბლობები, რომლებიც ირწყვება დიდი მდინარეებით;
3. საზღვაო ქვეყნები.

“ზღვა” – მოუწოდებს ადამიანს იყოს დამპყრობელი, მომხვეჭელი და გამანადგურებელი. დაბლობები ადამიანს აჯაჭვებს მიწასთან, ხოლო ზღვას გამოყავს იგი ამ სფეროდან.

ევროპულ ქვეყნებს ჰეგელი ყოფს სამ ჯგუფად:

1. სამხრეთ ევროპა, მიმართული ხმელთაშუა ზღვისკენ – საბერძნეთი, იტალია. ამ რეგიონში ვითარდებოდა ძირითადი ისტორიული პროცესები და იგი ანტიკურ პერიოდში იყო მსოფლიო ისტორიული არენა;
2. ევროპის გული - საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი.
3. ჩრდილო-აღმოსავლეთი: პოლონეთი და რუსეთი, რომელთა სახელმწიფოებად ჩამოყალიბება შედარებით გვიანდელ პერიოდში იწყება.

ჰეგელი აღნიშნავს, რომ ისტორიული პროცესები ვითარდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ - აზიაში იწყება, ხოლო ევროპაში მთავრდება. “აღმოსავლეთმა იცის, რომ ერთია თავისუფალი, ბერძნებმა და რომაელებმა იციან, რომ ზოგიერთები არიან თავისუფალნი, გერმანულმა სამყარომ იცის, რომ ყველა თავისუფალია. ასე რომ, პირველი ფორმა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ არის დესპოტიზმი, მეორე დემოკრატია და არისტოკრატია, მესამე მონარქია”[43].

ბავშვის ასაკის ისტორია უწოდა ჰეგელმა ძველი ქვეყნების, ასირიის, ბაბილონის, სპარსეთის, სირიის, იუდეის, ეგვიპტის არსებობის პერიოდს. იქ თავისუფლება არსებობდა მხოლოდ როგორც შედეგი სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებისა ერთპიროვნული მმართველის სახით. მისი აზრით, ამ ქვეყნებში ქვეშევრდომები არ ყოფილან ავტონომიურები, არ იყვნენ “სუბიექტურად თავისუფალნი”.

მსოფლიო ისტორიის ბავშვურ ასაკს წარმოადგენდა შუა და წინა აზიის სამყარო. ალბათ მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა სპარსული სახელმწიფო და მისი

[42]Hartnack, Justus; Lars Aagaard-Mogensen, Translator (1998). *An Introduction to Hegel's Logic*. Hackett Publishing. pp. 16–17. ISBN 0872204243. Hartnack quotes Hegel, *Lectures on the History of Philosophy* Volume I

[43]Pinkard, Terry. *Hegel: A Biography*. New York: Cambridge University Press, 2000

გავლენის სფეროში არსებული ტერიტორიები. ადამიანის ახალგაზრდულ ასაკს ადარებდა ჰეგელი ძველ ბერძნულ სამყაროს. მისი აზრით, ეს იყო მეორე ძირითადი მომენტი მსოფლიო ისტორიისა ძველი აღმოსავლური პერიოდის შემდეგ. აქ უკვე იწყებს ჩამოყალიბებას სუბიექტური პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებების პრინციპების ზოგადი გაგება.

ისტორიის მესამე პერიოდად ჰეგელმა დაასახელა ძველი რომის სახელმწიფო. მისთვის დამახასიათებელია საერთო სახელმწიფოებრივი მიზნებიდან გამომდინარე პირადი მიზნების მიღწევისათვის სწრაფვა. სახელმწიფოს განვითარების პრიორიტეტები გარდაიქმნება საერთო განვითარების მიზნად. ინდივიდები ემსახურებიან ამ საერთო მიზანს.

მსოფლიო ისტორიის მეოთხე პერიოდი დაკავშირებულია გერმანულ სახელმწიფოსთან და შეესაბამება ადამიანის სიბერის ასაკს. ადამიანისგან განსხვავებით, ამ ასაკში სული იძენს სიმხნევეს და მიისწრაფვის ერთობისკენ, მხოლოდ როგორც სული. სახელმწიფო ემიჯნება ქრისტიანულ ეკლესიას, სულიერი ძალაუფლება "იძირება" სამოქალაქოში. ეს უკანასკნელი შეესაბამება სულიერ პრინციპებს. თავისუფლება პოულობს თავის დასაყრდენს – "საკუთარი თავის გაგება, თუ როგორ განავითარო საკუთარი თავი". ამაშია მსოფლიო ისტორიის მიზანი.

ჰეგელის მიხედვით ისტორიის შედეგია როგორც პირადი თავისუფლების შეძენა, ისე სუბიექტური, სამოქალაქო და სოციალური ჰარმონიის მოპოვება.

ჰარმონია და ერთობა სოციალური და ინდივიდუალური, სულიერი და სახელმწიფოებრივი, სამოქალაქო და რელიგიური – ამ წინააღმდეგობების არქონა წყვეტს დიალექტიკურ ბრძოლას და აჩერებს ისტორიულ პროცესს[44].

ჰეგელმა თავისი ფილოსოფიის ისტორიით და სოციალური ფილოსოფიით მოუმზადა საფუძველი ისეთი გეოპოლიტიკოსების მოღვაწეობას, როგორებიცაა ფ. რატცელი, რ. ჩელენი, კ. ჰაუსჰოფერი. ჰეგელის ნაშრომებს ეფუძნებოდნენ კ. იასპერი, ა. ტოინბი და ფ. ფუკუიამა.

კარლ ფონ კლაუზევიცი (1780-1931წწ.)

ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსი და სტრატეგი კლაუზევიცი დაიბადა პრუსიაში ქალაქ ბურგში, ჩინოვნიკის ოჯახში. 1792 წელს იგი ჩაეწერა პრუსიის ჯარში და რამდენიმე წელიწადში გახდა ოფიცერი. 1801-1803 წლებში იგი სწავლობდა სამხედრო სასწავლებელში. 1803-1808 წლებში იყო პრინც ავგუსტის ადიუტანტი, ამ რანგში იგი მონაწილეობდა საფრანგეთთან ომში 1806-1807 წლებში. იენასთან ბრძოლის დროს იგი ჩავარდა ტყვედ და დაბრუნდა სამშობლოში ომის დამთავრების შემდეგ 1808 წელს.

1808-1809 წლებში იგი მონაწილეობდა სამხედრო რეფორმის გატარებაში. 1810-1812 წლებში ასწავლიდა ოფიცერთა სკოლაში. მას ეკავა პატრიოტული პოზიცია ფრანგების მიერ პრუსიის ოკუპაციის გამო. კლაუზევიცი გახდა ავტორი ნაშრომისა "სამი სიმბოლოს რწმენა" - სამხედრო რეფორმატორების დოკუმენტისა, სადაც იგი გამოვიდა პატრიოტული იდეებით. ნაპოლეონის წინააღმდეგ გამართულ საერთო სახალხო ომში, კლაუზევიცმა დაიწყო სამსახური რუსულ არმიაში, სადაც იგი ასრულებდა საშტაბო სამუშაოს.

1813 წელს იგი იყო კორპუსის შტაბის უფროსი. 1814 წელს, როდესაც დაიბადა მისი პირველი შვილი, სამხედრო სტრატეგი დაბრუნდა პრუსიის არმიაში იგივე თანამდებობაზე. 1818-1830 წლებში კლაუზევიცი იყო იმ სამხედრო სასწავლებლის დირექტორი, რომელიც თვითონ დაამთავრა. 1830 წელს ის დაინიშნა არტილერიის ინსპექტორად, ხოლო 1831 წელს იგი იყო პრუსიის არმიის შტაბის უფროსი პოლონეთის საზღვრებზე. აქ იგი გარდაიცვალა ქოლერისგან.

[44]Beiser, F.. *Hegel* (The Routledge Philosophers). New York: Routledge, 2005

კლაუზევიცის პოლიტიკურ შეხედულებებზე დიდი გავლენა იქონია საფრანგეთის რევოლუციამ. მისი აზრით, რევოლუციის ლიბერალურ შეხედულებებს გადაჰკრავდა სამხედრო ავტორიტარიზმის და პრუსიული ნაციონალიზმის ელფერი. მეცნიერის ყველაზე ცნობილი ნაშრომია "ომის შესახებ", რომელიც გამოიცა 1832-1837 წლებში ბერლინში. ამ ნაშრომში მან წამოაყენა პოსტულატი, რომ ომი და საომარი მოქმედებები დამოკიდებულია სახელმწიფოს პოლიტიკაზე – მასში არის ჩადებული დამალული ფორმებით მომავალი ომის ძირითადი მონახაზი. ამასთან ერთად, კლაუზევიცის მიხედვით პოლიტიკა ატარებს ნაციონალურ ხასიათს, გამოხატავს საერთო ნაციონალური ინსტიტუტების ინტერესებს.

ყოველი ეპოქა სვამს თავის ამოცანებს ერის წინაშე, რომელიც წინა პლანზე წამოსწევს იმ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ამ ამოცანების შესრულებას. შესაბამისად, ყველა ეპოქისათვის დამახასიათებელია საკუთარი ომები, რომლებიც გამოწვეულია საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილებით და მეცნიერების, ტექნიკის პროგრესით. ახალი პირობები გვიკარნახებს სამხედრო თეორიის და სტრატეგიის ცვლილებებს, მაგრამ ყოველთვის პოლიტიკა განსაზღვრავს სამხედრო სტრატეგიას. გეოსტრატეგია განსაზღვრავს არმიის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ხოლო გეოპოლიტიკა გვიკარნახებს არმიის გამოყენების შესაძლებლობას ნაციონალური ინტერესების გადასაწყვეტად.

კლაუზევიცის სტრატეგიის მიხედვით ომში წარმატება გარდა მორალური, ფიზიკური, მატერიალური, სტატისტიკური და სხვა ფაქტორებისა, განპირობებულია "პოლიტიკური ელემენტებით". ამიტომ გეოპოლიტიკური ფაქტორი პოლიტიკურთან ერთად ახდენს გავლენას ომის შედეგებზე და განსაზღვრავს მის გეოპოლიტიკურ შინაარსს. კარლ ფონ კლაუზევიცმა დაასკვნა, რომ "ომის წარმოება არის თვით პოლიტიკა, როდესაც კალამი იცვლება ხმლით, მაგრამ პოლიტიკა აზროვნებს ისევ თავისი კანონების შესაბამისად"[45]. ეს ფაქტორი კი შეიძლება თამამად დავასახელოთ სამხედრო სტრატეგიის და გეოპოლიტიკის მთავარ პარადიგმად.

თავი VI
გეოპოლიტიკური პროცესები, მსოფლიოსა და ეპოქის სურათები

როგორც ცნობილია, მსოფლიო გეოპოლიტიკაში ახალი ერა დაიწყო 1492 წელს, კოლუმბის მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის შემდეგ. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ახალი დროისა და ინდუსტრიალიზმის ეპოქის მთავარი განსხვავება წინა გეოპოლიტიკური ეპოქისაგან მდგომარეობს ერთის მხრივ -მსოფლიოზე ევროპელების შეხედულებების განუხრელ გაფართოებაში, ხოლო მეორეს მხრივ - მსოფლიოს გაყოფისა და გადანაწილების პროცესში სწრაფად იცვლება ისეთი გეოპოლიტიკური მახასიათებლები, როგორებიცაა ტერიტორია, მოსახლეობა, სასარგებლო წიაღირსეულის მოპოვება, სამრეწველო და სასოფლო- სამეურნეო წარმოება, მოსახლეობის ცხოვრების დონე და მთელი რიგი სხვა კომპონენტები. გეოპოლიტიკური სტატიკის გარდა, რომელიც აღწერს „მსოფლიო პოლიტიკური რუკის" ამა თუ იმ მდგომარეობას, არსებობს დინამიკა, რომელიც გეოპოლიტიკურ პროცესებში ვლინდება.

[45]Clausewitz, Carl Von (1976, rev.1984). *On War*. edited and translated by Michael Howard and Peter Paret.. Princeton: Princeton University Press. ISBN 0-691-05657-9

გეოპოლიტიკური პროცესებისა და მსოფლიო გეოპოლიტიკური სურათების ცნება.

მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პროცესებისა და ცვლილებების შეფასება, რომელიც მიმდინარეობდა XVI-XX საუკუნეებში და რომელიც გრძელდება ახალ ათასწლეულში, შეუძლებელია „გეოპოლიტიკური პროცესის“ ცნების განსაზღვრის გარეშე. საუბარია ისეთ პროცესებზე, რომლებიც მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებებშია დიდ გეოგრაფიულ სივრცეებთან, დიდ კულტურულ სამყაროებთან, რასაც თავისი კონტინენტალური ანუ გლობალური ხასიათი გააჩნია. გეოპოლიტიკური პროცესები იწყება კულტურულ სფეროში ცვლილებებით. სამეცნიერო აღმოჩენებისა და სულიერი კულტურის ამაღლებას მივყავართ სამყაროზე ახალი შეხედულებების შექმნამდე. მატერიალური კულტურის განვითარება ხდება ბუნებასთან ადამიანის შეგუების გზით, ხოლო შემდეგ ადამიანის მოთხოვნილებებისა და სურვილებისადმი ბუნების დაქვემდებარებით.

გეოპოლიტიკური პროცესებს განაპირობებს სულიერი და მატერიალური კულტურის ამაღლება. ამა თუ იმ საზოგადოების კულტურის ამაღლება განსაზღვრულ ეტაპზე განუხრელად იწვევს სახელმწიფოს შექმნას - უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ პროცესს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სახელმწიფო-ეს არის ყველაფერი რაც მოიაზრება მის კონკრეტულ საზღვრებში: ტერიტორია, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი და კლიმატური თავისებურებები, წიაღირსეული სიმდიდრე, საზოგადოება, რომელმაც გაიარა ისტორიული გზის მონაკვეთი და მიაღწია განვითარების გარკვეულ დონეს. სახელმწიფო, საზოგადოების კულტურის ზრდასთან ერთად განიცდის შინაგანი კულტურის ზეწოლას და მიისწრაფის საზღვრების გაფართოებისაკენ.

სახელმწიფოები, გეოპოლიტიკის კლასიკოსების ფ. რატცელისა და რ. ჩელენის აზრით, არიან ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც იბადებიან, იზრდებიან, აღწევენ თავიანთ ზღვარს და ბოლოს კვდებიან. საზოგადოების ზრდასა და განვითარებას მივყავართ გარკვეულ შეტაკებებთან და შესაბამისად წინააღმდეგობებთან, სადაც ძლიერები ყლაპავენ სუსტებს და ამით თავიანთ სასიცოცხლო სივრცეს აფართოვებენ. სასიცოცხლო ციკლის პროცესში სახელმწიფოების ძლიერების კომპონენტები მუდმივად იცვლება, აქედან გამომდინარე ძალთა თანმიმდევრობა მსოფლიო არენაზე ცვალებადია. შესაბამისად, მსოფლიოს ახალი დაყოფა და გადანაწილება გარდაუვალია და ეს არის მოცემული მომენტისათვის ძალთა თანაფარდობა.

ასე რომ, საბოლოო ჯამში გეოპოლიტიკური პროცესები გულისხმობენ არა მარტო აბსტრაქტულ და თეორიულ წარმოდგენებს, არამედ ითვალისწინებენ სახელმწიფო საზღვრების გადაწევას და დიდ სახელმწიფოებს შორის გავლენის სფეროების გადანაწილებას. ასეთ პროცესებს შეიძლება მივაკუთნოთ მაგალითად ფინიკინელების მიერ ხმელთაშუაზღვისპირეთის კოლონიზაცია, ომი ბერძნებსა და სპარსელებს შორის, ძველი რომაელების მიერ წარმოებული პუნიკური ომები, რომლებიც მიმდინარეობდა კართაგენის წინააღმდეგ.

გეოპოლიტიკური პროცესი შეიძლება ვუწოდოთ აგრეთვე ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის სანაპიროების კოლონიზაციას ძველი ბერძნების მიერ, რომის იმპერიის ზრდასა და განვითარებას. გეოპოლიტიკური იყო და არის ისეთი პროცესები, როგორებიცაა აბორიგენ მოსახლეობასა და დამყრობლებს შორის ბარიერების შექმნა, ათენიდან პირეის პორტამდე „გრძელი კედლის“ აშენება რომაელი ლეგიონელების მიერ ბარბაროსებისგან თავდაცვის მიზნით. მდინარე დუნაის გასწვრივ მიწაყრილის გაკეთება, დიდი ჩინური კედლის აშენება აგრესიული მომთაბარეებისაგან თავდაცვის მიზნით. ასეთი ხელოვნური საზღვრები ასევე ქმნიან თავისებურ მსოფლიო სურათს, განსაზღვრავენ ცივილიზაციათა შეჯახების პრინციპებს.

საკუთრივ გეოპოლიტიკური მეცნიერება, მისი წარმოშობისთანავე, XIX საუკუნის ბოლოს, შეეჯახა არა მარტო გარკვეულ გეოგრაფიულ წარმოდგენებს,

არამედ განსაზღვრულ პოლიტიკურ რეალიებს - მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სურათს, რომელიც მაშინ იყო წარმოდგენილი ერთის მხრივ როგორც მეტროპოლიების ძალთა თანაფარდობა, მეორეს მხრივ - უზარმაზარი კოლონიური ტერიტორიების არსებობის სახით. მსოფლიოს გეოპოლიტიკური სურათი განიცდის მუდმივ ტრანსფორმაციას არა მარტო ამ თუ იმ საზღვრის გადაწევით, არამედ წამყვან სახელმწიფოებს შორის ძალთა თანაფარდობის არასტაბილურობის გამო.

ტერიტორიული ცვლილებების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს სივრცობრივ ზრდას: მეზობელი სახელმწიფოების დაპყრობის გზით იმპერიების შექმნა, ტერიტორიების ათვისება ან მიტაცება რომლებიც სხვა კონტინენტზე მდებარეობენ, და კოლონიალური იმპერიების შექმნა, პოლიტიკური ბლოკებისა და სამხედრო კოალიციების შექმნა, ყველაფერი ეს ცვლის გეოპოლიტიკურ სურათს.

ხარისხობრივი ცვლილებების პოზიციიდან, რომელიც ყოველი ქვეყნის შიგნით მიმდინარეობს, გეოპოლიტიკური ანალიზისთვის უპირველესი მნიშვნელობა გააჩნია ეკონომიკურ და სამხედრო ასპექტებს. სწორედ ეს ფაქტორი, XX საუკუნის ჩათვლით, იყო ქვეყნის პოლიტიკური „წონის“ მთავარი მაჩვენებელი, ამ მაჩვენებლებით ხდებოდა დიდი და პატარა ქვეყნების რანჟირება.

გეოპოლიტიკური პროცესები და ახალი დროის მსოფლიოს სურათები.

თურქების მიერ კონსტანტინოპოლის (1453 წ.) დაპყრობის შესახებ, ახალი დროის უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური პროცესი გახდა აღმოსავლეთისაკენ (ინდოეთი, არაბული სამყარო) ახალი სავაჭრო გზების ძიება. ამ ვითარებაში, იტალიის რესპუბლიკებზე - ვენეციაზე, გენუაზე, ფლორენციაზე, რომლებიც აკონტროლებენ ხმელთაშუა ზღვის გავლით აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას, უპირატესობას ღებულობენ საზღვაო ქვეყნები პორტუგალია და ესპანეთი. ამ დროს პორტუგალიის ფლოტი თავის აქტიურობას იწყებს სამხრეთის მიმართულებით, აფრიკის გარშემო სატრანსპორტო გზების გაკონტროლების მიზნით. 1415 წელს პორტუგალიამ დაიპყრო სუეტის პორტი, 1432 წელს-აზორის კუნძულები, შემდეგ მადეირის კუნძული და მწვანე კონცხის კუნძულები. ამის შემდეგ ამ ქვეყნის პოლიტიკური ექსპანსია მიემართება აფრიკის სიღრმეში. იწყება მონებით ვაჭრობა, ოქროს შემცველი ქვიშის მოპოვება, სპილოს ძვლის მოპოვება. XV საუკუნის 60-იან წლებში პორტუგალიელების კოლონიებს უკვე წარმოადგენდა მდინარე სენეგალისა და გამბიის სანაპირო, გვინეის ყურის სანაპირო, ხოლო 80-იან წლებში პორტუგალიელებმა მიაღწიეს მდინარე კონგოს. საბოლოოდ, ვასკო და გამას ექსპედიციამ 1498 წელს მიაღწია პორტუგალიელთა საოცნებო მიზანს-ინდოეთს და კალკუტის პორტში ჩაუშვა ღუზა. სამხრეთის სავაჭრო გზის სრულად გაკონტროლებისათვის პორტუგალიამ დაიწყო სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტებზე კონტროლის დამყარება: სოკოტრის კუნძული ადენის ყურესთან, ირანის პორტი ორმუზი, ინდოეთის სამხრეთით მდებარე ციხესიმაგრეები დიუ და გოია, კუნძული ცეილონი, ქალაქი მალაკა და მალაკის კუნძულები, შემდეგ ტაივანი და მაკაო (სამხრეთ ჩინეთი) პორტუგალიის კონტროლქვეშ მოექცა. ამან მისცა საშუალება ამ ევროპულ ქვეყანას გასულიყო წყნარ ოკეანეში და დაეწყო ვაჭრობა ჩინეთთან და იაპონიასთან. პორტუგალიის კოლონიური იმპერია XVI საუკუნის დასაწყისში გადაჭიმული იყო ლისაბონიდან მალაკამდე ევროპის ტერიტორიების ჩათვლით და რაც მთავარია ქვეყანა აკონტროლებდა აფრიკის შემოვლით სავაჭრო გზას, რაც ერთადერთ სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენდა ევროპიდან სამხრეთ აზიის მიმართულებით, და იგი ინარჩუნებდა ასეთ მნიშვნელობას XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, სანამ სუეცის არხი არ იქნა აშენებული. XVI საუკუნის 30-40-იან წლებში განხორციელდა პორტუგალიელების მიერ თანამედროვე ბრაზილიის ტერიტორიის ოკუპაცია.

განსხვავებული გზით წავიდა ესპანეთი. კოლუმბი სიცოცხლის ბოლომდე

დარწმუნებული იყო, რომ ინდოეთისკენ მიმავალი დასავლეთის გზა იპოვა. ამერიკაში აღმოჩენილ მიწებს მან „ინდია“ უწოდა, კუბა კი სამხრეთ ჩინეთი ეგონა, ხოლო ცენტრალური ამერიკის სანაპიროს მალაკის ნახევარკუნძულთან აიგივებდა.

კოლუმბის განცხადებამ იმის შესახებ, რომ მან მალაკას მიაღწია, აიძულა პორტუგალია ხელშეკრულება დაედო ესპანეთთან, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი. იპოვა რა ინდოეთისაკენ დასავლეთის გზა, მაგელანმა დაასრულა კოლუმბის საქმე, მან აღმოაჩინა ფილიპინების კუნძულები და ბოლოს მიაღწია მალაკას (1521წ.) კოლუმბის შემდეგ ამერიკის კოლონიზაცია დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა. ჰაიტისა და კუბის შემდეგ, XVI საუკუნის 20-იან წლებში ესპანელებმა დაიპყრეს პანამა, მექსიკა და მისიპის შესართავი, შემდეგ უკვე გვატემალისა და ჰონდურასის ჯერიც დადგა. 1530-1540 წლებში ესპანელებმა დაიპყრეს პერუ, ბოლივია და ჩილე, ხოლო XVI საუკუნის მეორე ნახევარში – არგენტინა.

ახალი დროის პირველი გეოპოლიტიკური სურათი იყო ის სიტუაცია, რომელიც ჩამოყალიბდა პორტუგალიისა და ესპანეთის მიერ კოლონიების დაპყრობის შემდეგ, როდესაც 1494 წელს, რომის პაპის ალექსანდრე VI შუამდგომლობით, დადებულ იქნა ტორდესილიასის ხელშეკრულება. ტორდესილიასის ხელშეკრულებით არაევროპული მსოფლიო გაყოფილ იქნა დასავლეთ-ესპანური და აღმოსავლეთ-პორტუგალიურ კოლონიებად. ხელშეკრულებით გაფორმდა ე.წ. „დახურული ზღვის დოქტრინა“, რომელიც გულისხმობდა ესპანეთისა და პორტუგალიის უფლებას, რომ ამ ქვეყნებს გაეკონტროლებინათ საზღვაო სივრცე და მხოლოდ მათი მთავრობების გადაწყვეტილების საფუძველზე მისცემოდათ ცურვის უფლება სხვა ქვეყნებს. არსებული წესის დამრღვევების მიმართ იყენებდნენ ჯარიმებს. მსოფლიოს ეს პირველი დაყოფა განმტკიცდა 1529 წელს სარაგოსის ხელშეკრულებით. ეს იყო მსოფლიოს პირველი ბიპოლარული სურათი ახალ დროში, რომელმაც დაუდო სათავე ტორდესილიასის გეოპოლიტიკურ ეპოქას.

პირველმა გეოპოლიტიკურმა სურათმა დიდი ხანი ვერ გაძლო. გეოგრაფიული აღმოჩენები და ახალი მიწების დაპყრობები განაპირობებდნენ კოლონისტების მოზღვავებას (იმათ, ვინც ცდილობდა მიეღო და თავისი ხელით დაემუშავებინათ მიწები). კოლონიზატორები კაბალურ მდგომარეობაში აყენებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ხოლო ვაჭრები, ავანტიურისტები, ეძებდნენ გამდიდრების საშუალებებს. ახალი სავაჭრო ტერიტორიების კონტროლს, ახალი სავაჭრო გზების ათვისებას ამ სურათში გაკვეული კორექტივები შეჰქონდა. მეზღვაურები, საქმიანი ადამიანები, ვაჭრები და მეკობრეები ევროპის სხვა ქვეყნებიდანაც აგრეთვე ეძებდნენ გამდიდრების საშუალებებს. 1497 წელს ინგლისელმა ჯონ კაბოტმა, ეძებდა რა ინდოეთისაკენ ჩრდილო–დასავლეთის გზას, აღმოაჩინა ნიუფანდლენის ნახევარკუნძული, ხოლო მისმა ვაჟიშვილმა სებასტიანმა გამოიკვლია ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპირო. ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიალიზაციაში ინგლისელებისა და ესპანელების გარდა მონაწილეობა მიიღეს: ფრანგებმა, ჰოლანდიელებმა, რუსმა მეზღვაურებმა, სამხედროებმა, მოგზაურებმა, ვაჭრებმა, ავანტიურისტებმა. 1535 წელს ფრანგმა ჟაკ კარტიემ კანადა გამოაცხადა საფრანგეთის მეფის სამფლობელოდ. თავის მხრივ საფრანგეთის მეფემ ხუთი წლის შემდეგ დანიშნა კანადის, ნიუფანდლენდის, ლაბრადორის ვიცე-მეფე, რითაც შექმნა წინაპირობა კანადისა და აკადიის ტერიტორიების ათვისებისა და ვაჭრობის წარმოებისათვის. ფრანგმა ვაჭრებმა, ფერმერებმა და მოგზაურებმა გამოიკვლიეს უზარმაზარი ტერიტორიები. 1682 წელს რობერ დე ლა სალამამ გამოაცხადა მისისიპის აუზი საფრანგეთის მეფის სამფლობელოდ და უწოდა ლუიზიანა ლუდოვიკო XIV-ს პატივსაცემად. 1607 წელს გაჩნდა პირველი ინგლისური კოლონია ამერიკის კონტინენტზე-ვირჯინია, ხოლო XVII საუკუნის ბოლოს ცამეტ ინგლისურ კოლონიას ჩრდილოეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო ეკავა. ჰოლანდიელებმა 1626 წელს გუძონის შესართავთან დაარსეს დასახლებული პუნქტი ახალი ამსტერდამი. რუსებმა გადალახეს რა ბერინგის სრუტე, აითვისეს ალიასკის

ტერიტორია და მიიწევდნენ ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთისაკენ, სანამ არ შეეჯახნენ ესპანელებს, რომლებმაც კალიფორნია თავიანთ კოლონიად აქციეს.

მოგვიანებით, ახალი მიწების ათვისებასა და აღმოჩენაში ლიდერის პოზიციაზე გადის ჰოლანდია. XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში ვილემ ბარენცი ცდილობდა ჩრდილო–აღმოსავლეთ საზღვაო გზით ჩასულიყო ჩინეთში და ინდოეთში, მაგრამ დაიღუპა და ვერ შეასრულა ეს ამოცანა. XVII საუკუნის I ნახევარში ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა ვილემ იანცმა (1606) და აბელ ტასმანმა (1644) იმოგზაურეს რა სამხრეთ–აღმოსავლეთის გზით, აღმოაჩინეს ავსტრალიის სანაპირო, ახალი ზელანდია და მიმდებარე კუნძულები. ჰოლანდიური კოლონიები დაარსდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, ინდოეთში, სამხრეთ აზიაში, ჩინეთში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ინდონეზიაში. ჩამოაყალიბა რა ოსტ-ინდური კომპანია და გამოიყენა რა პორტუგალიის ფლოტისა და სახელმწიფოს დასუსტება, ჰოლანდიამ გამოდევნა პორტუგალია ჯერ ცალკეული ტერიტორიებიდან, შემდეგ კი მიიტაცა კუნძულები იავა, ტეილონი, ტაივანი, აგრეთვე სტრატეგიული პუნქტები, რომლებიც კონტროლს უწევდნენ ვაჭრობას ინდოეთთან, ჩინეთთან, იაპონიასთან. მაგალითად: მალაკა, სან-ტომე, ანგოლა. ჰოლანდიელებმა გამოდევნეს პორტუგალიელები აღმოსავლეთ ინდოეთიდან და ბენგალიიდან. პორტუგალიამ, მიუხედავად იმისა რომ იგი დარჩა კოლონიალურ სახელმწიფოდ (მას დარჩა ბრაზილია, დაიბრუნა ანგოლა და კუნძული სან-ტომე), მაგრამ როგორც დიდმა სახელმწიფომ მან არსებობა შეწყვიტა. პორტუგალიელების შემდეგ დადგა ჰოლანდიელების ძლიერების პიკი. თუ XV საუკუნე იყო პორტუგალიელების საზღვაო ძლიერების საუკუნე, XVI საუკუნე იყო ესპანეთის საუკუნე, XVII საუკუნე უდავოდ არის ჰოლანდიის საუკუნე. შეიქმნა მსოფლიოს ახალი გეოპოლიტიკური სურათი, მაშინდელი მსოფლიო ფაქტიურად გაიყვეს ესპანელებმა და ჰოლანდიელებმა, რომლებიც დაეუფლნენ ინდოეთისაკენ მიმავალ სამხრეთ გზას. ასე რომ, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ახალი დროის გეოპოლიტიკური სურათი იყო ბიპოლარული, უდიდესი ტერიტორიები გაიყვეს ესპანელებმა და ჰოლანდიელებმა. მაგრამ, ასეთი ვითარება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ესპანეთი უკვე განიცდიდა სულიერ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს, ხოლო ახალგაზრდა კაპიტალისტურ ჰოლანდიას, თუ მივიღებთ მხედველობაში მის მცირე ტერიტორიასა და მოსახლეობას, აშკარად არ ყოფნიდა რესურსები.

მოგვიანებით ინგლისელმა ვაჭრებმა და საქმიანმა ადამიანებმა ჰოლანდიელების მსგავსად ჩამოაყალიბეს ოსტ-ინდის კამპანია, რომელმაც 1600 წელს მიიღო სამეფო ქარტია ინდოეთთან ვაჭრობის საწარმოებლად. დასაწყისში ინგლისელები, ჰქონდათ რა ჰოლანდიასთან და ესპანეთთან შედარებით ნაკლები რესურსები, რჩებოდნენ მეორე პლანზე. მაგრამ, ინგლისელი სავაჭრო აგენტები, ზარბაზნებით შეიარაღებული ხომალდებით სულ უფრო წინ მიიწევდნენ პორტუგალიელთა „კონტროლის ზონისკენ“. ამასთან ერთად, ესპანეთი რჩებოდა უდიდეს საზღვაო სახელმწიფოდ, ინარჩუნებდა რა უდიდეს ტერიტორიებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, სამხრეთ აზიაში, 1581 წელს მან დაიპყრო პორტუგალია, შექმნა ერთიანი მეტროპოლია და გააერთიანა ესპანური და პორტუგალიური კოლონიები და შექმნა უდიდესი გეოპოლიტიკური სივრცე. ევროპაში ესპანეთი რომის პაპის ხელშეწყობით ცდილობდა დაემხო ჰოლანდია, სხვა პროტესტანტული ქვეყნები და დაემყარებინა მთელ მსოფლიოში ერთიანი კათოლიკური იმპერია, რომელსაც მართავდა კათოლიკე მონარქი. საქმე მიდიოდა მსოფლიოს „უნიპოლარული“ სურათის შექმნისაკენ. ესპანეთის „უნიპოლარულ“ კონცეფციაში ჯდებოდა კათოლიკური პოლონეთის ინტერვეცია მართმადიდებლური რუსეთის წინააღმდეგ XVII საუკუნის დასაწყისში, რომელიც ესპანეთის დახმარებითა და რომის პაპის კურთხევით მიმდინარეობდა.

უკვე XVII საუკუნის პირველ ნახევარში ევროპულ სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული უთანხმოებების არსებობის შედეგად იწყება ოცდაათწლიანი ომი. ოცდაათწლიანი ომი (1618-1648 წწ.) კათოლიკურ ესპანეთს, ავსტრიასა და

საფრანგეთის სამეფოს შორის მიმდინარეობდა არა მარტო ევროპაში, არამედ მისი საზღვაო ანარეკლი იყო ურთიერთდაპირისპირება მსოფლიო ოკეანის სივრცეებში, პირველ რიგში ატლანტის ოკეანეში. 1621 წელს ჰოლანდიაში ესპანელების წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებულ იქნა ვესტ-ინდის კამპანია. ამ კამპანიის არსებობის 53 წლის განმავლობაში მიტაცებულ ან განადგურებულ იქნა ესპანელების დაახლოებით 500 ხომალდი.

1648 წელს ვესტფალიის საზავო ხელშეკრულებით შვედეთმა მიიღო ბალტიის ზღვაზე სრული კონტროლის უფლება. საფრანგეთმა შეიერთა ელზასი და ლოტარინგია. წმინდა რომის იმპერიამ ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა. ოფიციალურად ცნეს ევროპული სახელმწიფოები ჰოლანდია და შვეიცარია. ომის საერთო შედეგი გახდა გეოპოლიტიკური პარადიგმა. „მსოფლიო“ ქრისტიანული იმპერიის ნაცვლად ევროპასა და მსოფლიო პოლიტიკაში წამყვანი როლი დაეკისრა ეროვნულ სახელმწიფოებს. წამყვანმა ეროვნულმა სახელმწიფოებმა მსოფლიო გავლენის ზონებად გაინაწილეს, რაც არ იყო განსაზღვრული ვესტფალიის ხელშეკრულების პირობებით. მიტომ, XVII საუკუნეში წარმოიქმნა ახალი მსოფლიოს მესამე გეოპოლიტიკური სურათი, რომელმაც დააფიქსირა დაყოფა და მწვავე დაპირისპირება წამყვან სახელმწიფო-ერებს შორის და გამოკვეთა სამი ძირითადი რეგიონი კოლონიალული ინტერესების შეჯახების პროცესში:

1) ინდოეთი და სამხრეთის ზღვების ქვეყანები;
2) ვესტ-ინდოეთი, კარიბის აუზისა და ცენტრალური ამერიკის აკვატორია;
3) ჩრდილოეთ ამერიკა.

კოლონიური იმპერიების შექმნა

XVII საუკუნის ბოლოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების რიცხვში შევიდნენ ინგლისი და საფრანგეთი. დადგა ინგლისური საზღვაო ძლიერების ერა და ევროპის კონტინეტზე საფრანგეთის ჰეგემონიის დრო, რისი შედეგიც იყო ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიური იმპერიების მნიშვნელობა და ჰოლანდიური ჰეგემონიის დასასრული სამი უსასტიკესი ომის (1652-1654, 1665-1667, 1672-1674 წწ.) მიმდინარეობის შედეგად, რომლებიც ძირითადად საზღვაო სივრცეში მიმდინარეობდა, სადაც ჰოლანდიურმა ფლოტმა მიიღო აუნაზღაურებელი დანაკლისი, რის შედეგადაც ზღვაზე ჰეგემონია გადავიდა ინგლისის მხარეს, რომლის კოლონიალური ინტერესები უკვე საფრანგეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდნენ. ინგლის-საფრანგეთის როგორც სავაჭრო, ასევე სამხედრო ხასიათის ომები XVII საუკუნის ბოლოს დაიწყო და გრძელდებოდა საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე (1789). სარგებლობდა რა ზღვაზე უპირატესობით, ბრიტანეთი ასუსტებდა საფრანგეთს. ის ირჩევდა მოკავშირეებად მონაცვლეობით ხან პრუსიას და ხან ავსტრიას, ამარაგებდა ამ ქვეყნებს ფულითა და იარაღით. ინგლისის ევროპული სტრატეგია მდგომარეობდა იმაში, რომ არ დაეშვა საფრანგეთის მიერ ჰოლანდიის დაპყრობა, რომლის ტერიტორია შემდგომში შეიძლება გამოყენებულიყო საფრანგეთის პლაცდარმად ბრიტანეთზე შეიარაღებული თავდასხმის საწარმოებლად. ომებმა ესპანეთისა (1701-1713 წწ.) და ავსტრიის (1740-1748 წწ.) მემკვიდრეობისათვის დაასუსტა საფრანგეთის საზღვაო ძლიერება. უკვე 1748 წელს, ბრიტანეთის სამხედრო ფლოტი შედგებოდა 140 ხომალდისაგან, ხოლო საფრანგეთის - მხოლოდ 67 ხომალდისაგან. საფრანგეთი შეეცადა რევანშის აღებას ნაპოლეონის ეპოქაში, როდესაც XIX საუკუნის დასაწყისში ნაპოლეონ ბონაპარტეს არმიამ თითქმის მთელი ევროპა დაიპყრო, თუმცა საბოლოო ჯამში ნაპოლეონის მიერ დაწყებული სამხედრო კამპანია 1815 წელს საფრანგეთის დამარცხებით დამთავრდა. ნაპოლეონის ომების ეპოქა დასრულდა ვენის კონგრესის გამართვით (1815 წ.) კონგრესზე გათვალისწინებულ იქნა ევროპის წამყვანი ქვეყნების - დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, ავსტრიის, პრუსიის პოზიციები, რომლებმაც შექმნეს ნაპოლეონის ომების შემდგომი მსოფლიოს ახალი გეოპოლიტიკური სურათი და

დაამყარეს ახალი წესრიგი ევროპაში. კერძოდ, რესპუბლიკურ ჰოლანდიაში მონარქიული წყობილება დამყარდა და მას ბელგია შეუერთდა. შვედეთის სამეფოს შეუერთდა ნორვეგია, პრუსიას-რეინის ოლქი, საქსონიისა და ვესტფალიის ნაწილი. ავსტრიის იმპერიამ მიიღო ლომბარდია, ზალცბურგი და ვენეციის ტერიტორიის ნაწილი. კონგრესმა დაამტკიცა პოლონეთის გაყოფა, მაგრამ ამჯერად რუსეთმა მიიღო ვარშავის საჰერცოგოს მნიშვნელოვანი ნაწილი. იტალია დარჩა გახლეჩილი დინასტიური პრინციპით, სადაც წამყვანი პოზიციები ერგოთ სარდინიისა და ნეაპოლიტანურ სამეფოებს, ტოსკანის დიდ საჰერცოგოს, მოდენის საჰერცოგოსა და პარმის საჰერცოგოს. ესპანეთისა და საფრანგეთის ტახტზე აღსდგა ბურბონების დინასტია, ხოლო გერმანული სახელმწიფოების რიცხვი ათჯერ შემცირდა და შეიქმნა გერმანულ სახელმწიფოთა ლიგა, თუმცა მათი ფორმალური გაერთიანება ერთ კავშირში ვერ უწყობდა ხელს ცენტრალიზირებული სახელმწიფოს შექმნას. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონგრესის დასრულების შემდეგ ევროპის დიდმა ქვეყნებმა - რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ ევროპის რუკის შენარჩუნების მიზნით "წმინდა კავშირი" ჩამოაყალიბეს.

რაც შეეხება მსოფლიოს სხვა კონტინენტებზე მიმდინარე პროცესებს, აქ აღსანიშნავია, რომ XVII და XVIII საუკუნეებში ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისელებმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს საფრანგეთსა და ჰოლანდიაზე და შექმნეს ერთიანი კულტურული სივრცე, რომელიც ცამეტი ინგლისური კოლონიისაგან შედგებოდა. ამავე დროს, ახალ ამსტერდამს დაერქვა ნიუ–იორკი, ხოლო ახალი ნიდერლანდების ტერიტორია გაუქმებულ იქნა (1664 წ.) XVIII საუკუნეში, მძლავრი სავაჭრო და სამხედრო ფლოტის წყალობით ინგლისელებმა მოახერხეს ფრანგების კანადიდან თანდათანობითი გამოდევნება.

რაც შეეხება ავსტრალიასა და ოკეანეთს, ინგლისელმა მოგზაურმა ჯეიმს კუკმა სამჯერ იმოგზაურა (1768–1779 წწ.) ამ რეგიონში, გამოიკვლია ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სანაპიროები და დაამტკიცა რომ ეს ტერიტორიები არ წარმოადგენდა ერთ მატერიკს (ახალი ჰოლანდია), როგორც ეს ითვლებოდა ტასმანის მოგზაურობის შემდეგ და ინგლისელების მიერ აღმოჩენილი ყველა ეს მიწები ინგლისს შეუერთდა. შედეგად, უკვე 1788 წლიდან ბრიტანეთის მთავრობა იწყებს ავსტრალიის ათვისებას.

ევროპაში შვიდწლიანი ომის შემდეგ ინგლისის ოსტ-ინდურმა კამპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი საზღვრები ინდოეთშიც და შეავიწროვა იქ ჰოლანდიელები და ფრანგები. საფრანგეთის ოსტ-ინდურმა კამპანიამ უკვე 1769 წელს შეწყვიტა თავისი არსებობა. XIX საუკუნის დასაწყისში იგივე დაემართა ჰოლანდიურ კამპანიას. ინგლისელები კი, XIX საუკუნის შუა წლებისათვის უკვე მთლიანად აკონტროლებდნენ ინდოსტანს. ბრიტანელები შეიჭრნენ აფრიკის კონტინეტის სიღრმეში და შექმნეს კოლონიები ეკვატორულ და სამხრეთ აფრიკაში. XIX საუკუნის 40-იან წლებში კი ინგლისელები შეიჭრნენ ჩინეთში და იქ მოახდინეს ე.წ. „ოპიუმის ომების“ (1840-1842 წწ.) პროვოცირება. XIX ს. 50-იან წლებში ინგლისს ჩინეთთან ომში დაეხმარა საფრანგეთი, რის შედეგადაც საუკუნის ბოლოს ოთხი დიდი ქვეყანა: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და რუსეთი აიძულებენ ჩინეთს, რათა ამ უკანასკნელს არენდით გადაეცა ჩინეთის სანაპიროს გარკვეული ოლქები. სწორედ მაშინ მოიპოვა რუსეთმა არენდის უფლება კვანტურის ნახევარკუნძულზე და აღმოსავლეთ ჩინეთში რკინიგზის აშენებაზე. ამავე დროს, ინგლისელებმა დაუთმეს საფრანგეთს კუნძული მადაგასკარი და ზოგიერთი მცირე, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კუნძულები ინდოეთის ოკეანეში, ფრანგების ინდოეთიდან და ოკეანეთიდან წასვლის სანაცვლოდ. ინდოეთი ხდება „ყველაზე ბრწყინვალე მარგალიტი ბრიტანეთის იმპერიის გვირგვინზე“, მისი მსოფლიოს სიძლიერის სიმბოლო. ამასთანავე, ინგლისელებმა წაართვეს ნიდერლანდებს მალაკას სანაპიროები- ჭიშკარი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რომლებიც მალაიზიის შემადგენლობაში მდებარეობდა და ინდონეზიაში არსებულ ჰოლანდიურ სამფლობელოებს ესაზღვრებოდა. ინგლისი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას

ანიჭებდა საზღვაო სტრატეგიული პუნქტების ხელში ჩაგდებას, რადგანაც სწორედ ეს ტერიტორიები თამაშობდნენ მთავარ როლს ბრიტანეთის ზღვაზე ბატონობის საქმეში, რაც ამ ქვეყნის ოფიციალური დოქტრინა გახლდათ.

XIX საუკუნის ბოლოს ბრიტანეთი პრაქტიკულად ფლობდა საზღვაო გზის ყველა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტსა და საზღვაო გასასვლელს: გიბრალტარი, კუნძულები: მალტა და მავრიკი, ფოლკლენდის კუნძულები, ადენი, სინგაპული, ჰონგკონგი. მან ასევე მიიტაცა ტერიტორიები კარიბის ზღვაზე - (იამაიკა) და სამხრეთ აფრიკაში (გვინეა). ბრიტანეთი წარმატებით აგრძელებდა საფრანგეთის შევიწროებას ჩრდილოეთ ამერიკაში (კანადა). XX საუკუნის დასაწყისში ინგლისელები შეიჭრნენ ტიბეტში და თავს მოახვიეს აზიის ამ ქვეყანას არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რის შედეგადაც თავის დროზე ჩინეთის მიერ ოკუპირებული ეს ქვეყანა ბრიტანეთმა დაიმორჩილა. ინგლისი აფრიკაში დაეუფლა ეგვიპტეს, აღმოსავლეთ სუდანს, კენიას, უგანდას, ბრიტანეთის სომალს, ნიგერიის ოქროს სანაპიროებს, სიერა-ლეონეს, გამბიას, ხოლო ოკეანეთში შემოიერთა ფიჯი და სოლომონის კუნძულების ნაწილი.

ამავე პერიოდში საფრანგეთის კოლონიალური იმპერია თავის შემადგენლობაში მოიცავდა აფრიკის ტერიტორიის მესამედს, მათ შორის ალჟირს, სენეგალს, ნიგერს, ჩადს, სომალის, მადაგასკარის კუნძულს. წყნარ ოკეანეში საფრანგეთმა დაიპყრო ახალი კალედონია და ტაიტი, ასევე მრავალი მცირე, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კუნძულები.

თავის მხრივ, XIX საუკუნის 80-იან წლებში გაძლიერებას იწყებს ახლადგაერთიანებული გერმანიის იმპერია, რომელმაც კოლონიალური დაპყრობითი ომები ინგლისზე და საფრანგეთზე მნიშვნელოვნად გვიან დაიწყო. პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს გერმანია ფლობდა აფრიკაში ტანგანიკას, კამერუნს, ტოგოს, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკას, ოკეანიაში კუნძულ ახალი გვინეის ნაწილს, სოლომონის კუნძულების ნაწილს, ბისმარკის, მარშალის, მარიანის და კაროლინის კუნძულებს.

ანტიიმპერიალისტური პოზიციის მიუხედავად, 1880-იან წლებში ამერიკამ დაიწყო ჰავაის კუნძულების შემოერთება (დაამთავრა 1889 წელს), სადაც შემდგომში დაარსებულ იქნა სამხედრო-საზღვაო ბაზა პერლ-ჰარბორი (1887), რომელიც შემდგომში გახდა ოკეანიის სიღრმეში ვაშინგტონის მომავალი ექსპანსიის ფორპოსტი. ესპანეთ-ამერიკის ომის (1898 წ.) შედეგად აშშ დაეუფლა ფილიპინებს, გუამის კუნძულებს და პუერტო-რიკოს. ომის შემდეგ ამერიკელების მიერ სამხედრო ბაზები შექმნილ იქნა კუბაზე და პანამის არხის ზონაში.

იაპონია-ჩინეთის ომის (1894-1895 წწ.) შედეგად იაპონიას გადაეცა კუნძული ტაივანი და რამდენიმე მცირე კუნძული. შემდეგ იაპონიამ რუსეთს წაართვა კურილიის კუნძულები, სახალინის კუნძულის ნახევარი, ჩინეთის ნახევარკუნძული კვანტუნი პორტ-არტურის პორტთან ერთად, რომელიც რუსეთს არენდის უფლებით ეკუთვნოდა. რუსეთ-იაპონიის ომის (1904-1905 წწ.) შემდეგ იაპონიამ მოახდინა კორეის ოკუპაცია, ხოლო 1910 წელს მისი ანექსიის შესახებ გამოაცხადა.

იტალიამ მიიტაცა სომალის ნაწილი, ლიბია, დოდეკადოსის კუნძულების ჯგუფი და კუნძული როდოსი ეგეოსის ზღვაზე.

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ კოლონიალური წარმოების შედეგად, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ბრიტანეთი ფლობდა 33,8 მლ. კვ.კმ. სადაც ცხოვრობდა 440 მლნ. ადამიანი.

მსოფლიოს მეორე კოლონიალური იმპერია იყო რუსეთი-ტერიტორიით 22,8 მლნ. კვ. კმ. დაახლოებით 170 მლნ. მოსახლეობით. შემდეგ მოდიოდა საფრანგეთი 11,1 მლნ. კვ. კმ. მოსახლეობა 95 მლნ. კაცი. შემდეგ გერმანია- 3.4 მლნ.კვ. კმ. მოსახლეობა-77,2 მლნ. კაცი. აშშ-9,7 მლნ.კვ.კმ. მოსახლეობა-106,7 მლნ. კაცი. იაპონია 0,7 მლნ. კვ. კმ, მოსახლეობა-72,2 მლნ კაცი. იტალია დაახლოებით- 2 მლნ.კვ.კმ. მოსახლეობა - 1 მლნ. კაცი. თითქმის მთელი მსოფლიო პირველად გახდა

გადანაწილებული კოლონიალურ სახელმწიფოებს შორის[46].

მსოფლიოს სურათი XX საუკუნის დასაწყისისათვის გამოიყურებოდა შემდეგნაირად: დიდი ქვეყნები - დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, აშშ, რუსეთი, იაპონია, იტალია-აკონტროლებდნენ მთელ სახმელეთო და საზღვაო სივრცეს. მათ კოლონიებს ეკავა 81,5 მლნ. კვ.კმ. ე.ი. დედამიწის სახმელეთო ნაწილის 61%. მათი რანჟირება ხდებოდა სხვადასხვანაირი პრინციპით ფართობის, მოსახლეობის, კოლონიური ტერიტორიებისა და სამრეწველო პოტენციალის გათვალისწინებით[47].

დიდი ქვეყნების გარდა XX საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სურათს ავსებდნენ მცირე კოლონიალური ქვეყნები: ესპანეთი პორტუგალია, ჰოლანდია, ბელგია რომლებიც ფლობდნენ კოლონიებს საერთო ფართობით 9,9 მლნ. კვ. კმ. (დედამიწის სახმელეთო ნაწილის 7,4%), მოსახლეობით 43,5 მლნ. ადამიანი. ასრულებდნენ გეოპოლიტიკურ სურათს ნახევრადკოლონიები ან პოლიტიკურად და ეკონომიურად დიდ ქვეყნებზე დამოკიდებული ქვეყნები: სპარსეთი (ირანი), ჩინეთი, თურქეთი, ავღანეთი, სიამი (ტაილანდი), აბისინია (ეთიოპია), ლიბერია. მათი საერთო ფართობი იყო: 14,5 მლნ. კვ. კმ. მოსახლეობა-361 მლნ. ადამიანი[48].

რაც შეეხება ლათინური ამერიკის ქვეყნებს, ამ რეგიონის სახელმწიფოები XIX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური სუვენირეტეტის მოპოვების შემდეგ ეკონომიურად დამოკიდებულნი გახდნენ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთზე.

დეკოლონიზაცია და ახალი სახელმწიფოების შექმნა

ახალი დროისათვის დამახასიათებელი კოლონიზაციის პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა მეორე გეოპოლიტიკური პროცესი-დეკოლონიზაცია. იგი დაიწყო ჩრდილოეთ ამერიკაში არსებული ინგლისური კოლონიების მიერ სუვერინიტეტის მოპოვებით, რისი ნათელი გამოხატულება იყო 1776 წლის 4 ივლისს აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება. უკვე 1783 წელს, ინგლისსა და აშშ-ის შორის წარმოებული ომის დამთავრების შედეგად, ბრიტანეთი იძულებული გახდა ეცნო აშშ-ის დამოუკიდებლობა. დეკოლონიზაციის პროცესი შემდგომში გავრცელდა სამხრეთ ამერიკის კონტინეტზე. ისარგებლეს რა ესპანეთისა და პორტუგალიის ეკონომიკური დასუსტებით, აგრეთვე ნაპოლეონის მიერ ესპანეთის არმიის განადგურებით, XIX საუკუნის დასაწყისში ამერიკაში ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიების მოსახლეობამ დაიწყო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ევროპაში ნაპოლეონის დამარცხებისა და ესპანეთში სტაბილურობის აღდგენის მიუხედავად ლათინურ ამერიკაში ბრძოლა არ შეწყვეტილა. 1816 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა არგენტინამ, 1818-წელს ჩილემ, 1821 წელს პერუმ და მექსიკამ, 1822 წელს გამოცხადდა კოლუმბიის რესპუბლიკის შექმნა, ხოლო ბრაზილიის კოლონიის ტერიტორიაზე წარმოიშვა ბრაზილიის იმპერია. ასე რომ, XIX საუკუნის 20-ანი წლების ბოლოს ორივე ამერიკის ტერიტორიაზე უკვე 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა. XX საუკუნეში დეკოლონიზაციის პროცესი დაიწყო აფრიკაში და აზიაში, სადაც XX საუკუნის დასაწყისისათვის არსებობდა მხოლოდ რამდენიმე დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფო. პირველად ინგლისისაგან დამოუკიდებლობა მიიღო ეგვიპტემ (1930 წ), შემდეგ ერაყმა (1936 წ.), ხოლო 1940 წლის დასაწყისისათვის ცნეს სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობა. დეკოლონიზაციის პროცესში ბრიტანეთმა შეცვალა რამდენიმე თავისი კოლონიის სტატუსი (1931 წელს მიღებული "ვესტმინსტერის სტატუტი"), აღიარა ისინი დომინიონებად (კანადა, ავსტრალია,

[46] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". 2008 წ. გვ. 36
[47] იქვე
[48] იქვე

ახალი ზელანდია, სამხრეთ-აფრიკის კავშირი) და გააფართოვა მათი უფლებები მეტროპოლიასთან მიმართებაში. განსაკუთრებული ინტენსივობით განვითარდა დეკოლონიზაციის პროცესი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1945 წლის ბოლოს გაეროში შედგა დისკუსია კოლონიების მომავალზე, რის შედეგად ამ ორგანიზაციის წესდებაში ჩაიწერა დებულება, რომლის თანახმადაც გამოთქმულ იქნა მზადყოფნა, რათა დამოკიდებულ ტერიტორიებს მისცემოდათ ან ფართო ავტონომია, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობა კოლონიების მიერ სუვერენიტეტის მოპოვების სულ უფრო მზარდი მისწრაფების საფუძველზე. მეტროპოლიებმაც თავის მხრივ შეიტანეს ცვლილებები კოლონიებთან დამოკიდებულებაში. საფრანგეთმა ომის შემდგომ, კერძოდ 1946 წელს მიღებულ კონსტიტუციაში განაცხადა საფრანგეთის კავშირის შექმნის შესახებ, რომელშიც ტოგო და კამერუნი გამოცხადდნენ ასოცირებულ ტერიტორიებად, დანარჩენმა აფრიკულმა კოლონიებმა კი მიიღეს ზღვისგაღმა ტერიტორიების კავშირის სტატუსი. 1955 წელს, მას შემდეგ რაც ესპანეთი და პორტუგალია გახდნენ გაეროს წევრები, ამ ქვეყნებმაც შეიტანეს თავიანთ კონსტიტუციებში ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც კოლონიებმა მიიღეს პროვინციების სტატუსი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოფილი კოლონიები აგრძელებდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. 1947 წელს დამოუკიდებლობა მიიღეს ინდოეთმა და პაკისტანმა, 1950-იანი წლების მეორე ნახევარში საფრანგეთისაგან დამოუკიდებლობა მიიღეს ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებმა: ალჟირმა, ტუნისმა, მაროკომ. დაიწყო დეკოლონიზაციის პროცესი ქუვეითში, ბაჰრეინში და ა.შ. რომელიც გაგრძელდება 1970-იან წლებამდე. 1950-იანი წლების ბოლოს იწყება კოლონიური სამფლობელოების ლიკვიდაცია ეკვატორულ აფრიკაში. ინგლისისგან დამოუკიდებლობა პირველმა 1957 წელს გამოაცხადა განამ, შემდეგ ნიგერიამ (1960), ტანზანიამ და უგანდამ (1962), კენიამ, მალავიმ, ზამბიამ (1960). 1960 წელს ბელგია იძულებული გახდა მიეცა დამოუკიდებლობა კონგოსათვის, ხოლო 1962 წელს - რუანდასა და ბურუნდისათვის.

გასული საუკუნის 60-იანი წლების განმავლობაში საფრანგეთის 12-მა კოლონიამ მიიღო დამოუკიდებლობა. 1960 წლისგანმავლობაში აფრიკის 17-მა სახელმწიფომ მიიღო დამოუკიდებულება. ეს წელი გაეროს მიერ გამოცხადებულ იქნა აფრიკის წლად. სხვა ევროპული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ბოლომდე ებღაუჭებოდა თავის კოლონიებს პორტუგალია, მაგრამ მიუხედავად ლისაბონის პოზიციისა, 1973-1975 წლებში დამოუკიდებლობა მიიღეს ანგოლამ, მოზამბიკმა, გვინეა-ბისაუმ, სან-ტომემ და პრინსიპიმ. 1999 წელს პორტუგალიის ანკლავი აზიაში - მაკაო გადაეცა ჩინეთს. გასული საუკუნის დასაწყისში საბჭოთა კავშირის იმპერიის დაშლის შედეგად, დეკოლონიზაციის პროცესი ფაქტიურად დასრულდა. დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოები გამოჩნდა. თუ გაეროს შექმნის დეკლარაციას 1945 წელს ხელს აწერდა 51 ქვეყანა, დღევანდელ ეტაპზე გაეროს წევრია 192 ქვეყანა.

ომები როგორც გეოპოლიტიკური პროცესები

გეოპოლიტიკურ პროცესებად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი ომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლიან მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას. ზემოთ განხილულ იქნა, თუ როგორ შეცვალეს მსოფლიოს გეოპოლიტიკური სურათი ოცდაათწლიანმა და ნაპოლეონის ომებმა. განსაკუთრებით დიდი ცვლილებები გამოიწვია XX საუკუნეში გაჩაღებულმა ორმა მსოფლიო ომმა. პირველი მსოფლიო ომი, რომელიც ოთხ წელზე მეტხანს გრძელდებოდა (1914-1918 წწ.) მოიცვა 33 ქვეყანა, მოსახლეობით-1,1 მილიარდი ადამიანი, ანუ დედამიწის იმდროინდელი მოსახლეობის 62%. საომარი მოქმედებები მიმდინარებდა 14 ქვეყნის ტერიტორიაზე. სულ საომარი მოქმედებებისათვის მობილიზებული იქნა დაახლოებით 70 მლნ. კაცი, მათგან

დაღუპულ იქნა დაახლოებით 9,4 მლნ. ადამიანი[49]. პირველი მსოფლიო ომის შედეგი იყო ვერსალის ხელშეკრულება, რომლის შედეგებმა დასაბამი მისცა ახალ გეოპოლიტიკურ ეპოქას: დაიშალა ავსტრია–უნგრეთის, ოსმალეთის, გერმანიის, რუსეთის იმპერიები, შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნები: ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ავსტრია, სერბების, ხორვატების და სლოვენების სამეფო, ფინეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, თურქეთი. თურქეთს ჩამოშორდა იზმირი და ევროპაში თავის დროზე ოსმალეთის იმპერიაში შემავალი თითქმის მთელი ტერიტორია სტამბულის გარდა. სტამბული დარჩა თურქეთს იმ პირობით, რომ ის უზრუნველყოფდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისათვის გახსნილ რეჟიმს. გერმანიას ჩეხოსლოვაკიასთან და პოლონეთთან საზღვრების დადგენის შედეგად ჩამოერთვა ყოფილი მეტროპოლიის მერვედი ნაწილი (დაახლოებით 70 ათასი კვ.კმ), ხოლო გერმანიის კოლონიებზე მანდატი მიიღეს ბელგიამ (რუანდა და ბურუნდი), პორტუგალიამ (კიონგა), ბრიტანეთმა (აღმოსავლეთ აფრიკის დანარჩენი ნაწილი და ტოგო), საფრანგეთმა (კამერუნი), სამხრეთ აფრიკის კავშირმა (სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა), ავსტრალიამ (ახალი გვინეის ნაწილი), ახალმა ზელანდიამ (კუნძული სამოა), იაპონიამ (მარშალის, მარიანის, კაროლინის კუნძულები).

მეორე მსოფლიო ომი პირველთან შედარებით კიდევ უფრო დიდი მასშტაბურობით გამოირჩეოდა. მასში მონაწილეობა მიიღო 61-მა ქვეყანამ. საომარი მოქმედებები 50 მლნ. კვ. კმ-ზე მიმდინარეობდა. მან მოიცვა: ევროპა, აზია, აფრიკის ჩრდილოეთი, ოკეანეთი. მასში მონაწილეობა მიიღო 1 მილიარდ 700 მილიონმა ადამიანმა, დედამიწის მოსახლეობის 75%-მა. არმიების საერთო რიცხვმა მიაღწია 101 მლნ. სამხედრო მოსამსახურეს. დაიღუპა 50 მლნ-ზე მეტი ადამიანი[50]. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამარცხებული გერმანია ორ ნაწილად გაიყო, კომუნისტური რეჟიმი დამყარებულ იქნა აღმოსავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოებში (ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, პოლონეთი, ალბანეთი). მოგვიანებით კომუნისტური მმართველობა დამყარდა ჩინეთში. როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაიწყო დეკოლონიზაციის პროცესი. კოლონიები პირველებმა ომში დამარცხებულმა ქვეყნებმა დაკარგეს: გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ სათავე დაუდო მსოფლიოს ორ იდეოლოგიურ სისტემად – დემოკრატიულ და კომუნისტურ სისტემებად დაყოფას. მეორე მსოფლიო ომამდე არსებული მსოფლიოს "მულტიპოლარული" სისტემა შეიცვალა "ბიპოლარული" სისტემით, რომელიც 1991 წლამდე არსებობდა. ფაქტიურად პლანეტაზე შეიქმნა სამხედრო–პოლიტიკური „ბიპოლარობა" (ნატო – ვარშავის ხელშეკრულება) და სოციალ–პოლიტიკური და ეკონომიკური „ტრიპოლარობა", სამი ეკონომიკური სისტემის არსებობით: მსოფლიოს კაპიტალისტური სისტემა, მსოფლიო სოციალისტური სისტემა და მესამე სამყარო (აფრიკა, აზია, ლათინური ამერიკა)-განვითარებადი ქვეყნები.

მსოფლიოს გეოპოლიტიკური ეპოქები.

მსოფლიოს გეოპოლიტიკური სურათი უნდა განვასხვავოთ გეოპოლიტიკური ეპოქისაგან – როგორც უფრო მდგრადი და ნაკლებად დინამიური მოვლენა. ამასთანავე, გეოპოლიტიკურ ეპოქას როგორც წესი, აყალიბებს ყოვლისმომცველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ჩვეულებრივ არ არის დამახასიათებელი მსოფლიოს სურათის ცვლილების დროს.

მსოფლიო გეოპოლიტიკური სურათის ცვლილებას ემსახურება მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები, რომლებიც როგორც აკუმულატორები, აგროვებენ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს და მსოფლიო ისტორიის განსაზღვრულ მომენტებში

[49] Б. Исаев. Геополитикастр. 103
[50] Б. Исаев. Геополитикастр. 104

ცვლიან მთლიან გეოპოლიტიკურ სურათს, წარმოაჩენენ რა ახალ საერთაშორისო სისტემას და ახალ გეოპოლიტიკურ ეპოქას.

პირველი საერთაშორისო გეოპოლიტიკური სისტემა გახლდათ ხელშეკრულება პორტუგალიასა და ესპანეთს შორის (ტორდესილიასის ხელშეკრულება 1494წ), რომელმაც დაუდო სათავე ტორდესილიასის გეოპოლიტიკურ ეპოქას, რომლის დროს შეიცვალა მსოფლიოს ორი გეოპოლიტიკური სურათი. პირველი, დაპირისპირება და მსოფლიოს გადანაწილება პორტუგალიასა და ესპანეთს შორის; მეორე – დაპირისპირება ესპანეთსა და ჰოლანდიას შორის, როდესაც ჰოლანდიამ პორტუგალიას წაართვა სამხრეთ საზღვაო გზის კონტროლის უფლება.

მეორე გეოპოლიტიკური ეპოქა იწყება ვესტფალიის ხელშეკრულებით 1648 წელს და ისიც გულისხმობდა მსოფლიოს ორ გეოპოლიტიკურ სურათს. პირველმა დააფიქსირა ცვლილებები, რომელიც გამოწვეულ იქნა ინგლისის დიდ ქვეყანათა რიცხვში გადასვლით. მეორემ გამოავლინა ინგლის–საფრანგეთის დაპირისპირება. ასე რომ მსოფლიოს რიგით მესამე და მეოთხე სურათმა შეადგინა ვესტფალიის გეოპოლიტიკური ეპოქა.

ცვლილებების შემდგომ პერიოდს მივყავართ ახალ საერთაშორისო სისტემამდე, რომელიც დაფიქსირებულია ვენის 1815 წლის ხელშეკრულებით. ვენის გეოპოლიტიკური ეპოქა შეადგინა მსოფლიოს მეხუთე სურათმა, რომელიც გამოიხატა ბრიტანეთისა და რუსეთის მეტოქეობაში. ყირიმის ომის შემდეგ (1853–1856 წწ.) მსოფლიოს ადეკვატურად წარმოადგენდა მეექვსე სურათი, რომლის დედააზრია – მსოფლიოში რამდენიმე ძლიერი ევროპული ქვეყნის არსებობა, რამაც თანდათან განიცადა ტრანსფორმაცია მეშვიდეში ეტაპში: ანტანტა სამთა კავშირის წინააღმდეგ. მომდევნო გეოპოლიტიკური ეპოქა იწყება ვერსალის 1919 წლის ხელშეკრულებით(ვერსალის გეოპოლიტიკური ეპოქა). აქაც ადვილად ისახება მსოფლიოს ორი სხვადასხვა გეოპოლიტიკური სურათი. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დომინირებდნენ სხვადასხვა გამარჯვებული ქვეყნები: ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი, იაპონია. გერმანია, იტალია და საბჭოთა რუსეთი დროებით გარიცხულ იქნენ დიდი ქვეყნების რიცხვიდან, ხოლო ავსტრია–უნგრეთი და ოსმალეთის იმპერია საერთოდ გაქრნენ პოლიტიკური რუკიდან. ამ მერვე სურათს „მრავალპოლარულ“ მსოფლიოში ადგილი ჰქონდა 1930–იანი წლების შუა პერიოდამდე, სანამ თავისი სამხედრო–ეკონომიკური ძალები არ მოიკრიბეს გერმანიამ, იტალიამ, რუსეთმა და სანამ მსოფლიომ არ მიიღო ახალი ბლოკური კონფიგურაცია.

მსოფლიოს მეცხრე სურათი წარმოადგენდა ანტიკომინტერნული პაქტისა (გერმანია, იტალია, იაპონია) და ატლანტიკური ხელშეკრულების (აშშ და დიდი ბრიტანეთი) ქვეყნებს შორის დაპირისპირებას მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ამ უკანასკნელს ზურგს სსრკ და საფრანგეთი უმაგრებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იალტის გეოპოლიტიკურ ეპოქაში, არსებობდა მსოფლიოს ორი გეოპოლიტიკური სურათი: მეათე წარმოადგენდა ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების დაპირისპირებას ე.ი. ბიპოლარული მსოფლიოს, ხოლო მეთერთმეტე ახალი „უნიპოლარულ“ მსოფლიო წესრიგს, რომლებიც წარმოიქმნა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ.

ასე რომ, თავის გეოპოლიტიკურ განვითარებაში, ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ გეოპოლიტიკური პროცესები, რომლის შედეგად მსოფლიომ ახალ დროში და ინდუსტრიალიზაციის პერიოდში გადაიტანა ხუთი გეოპოლიტიკური ეპოქა, ან საერთო ჯამში მსოფლიოს თერთმეტი გეოპოლიტიკური სურათი.

თავი VII
კლასიკური გეოპოლიტიკა
ნაციონალური სკოლების ფორმირება

გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების ლეგიტიმიზაცია დაკავშირებულია იმ პერიოდთან, რომელსაც მრავალი პოლიტოლოგის აზრით საფუძველი დაედო გერმანელი მეცნიერის, რატცელის ნაშრომების გამოქვეყნების შედეგად.

ისეთ ძირითად ნაშრომებში, როგორებიცაა „ანტროპოგეოგრაფია“, „დედამიწა და ცხოვრება“, მეცნიერმა დაასრულა თავისი წინამორბედების ძალისხმევა ისეთი თეორიების შესაქმნელად, როგორებიც გახლავთ –“სახელმწიფო როგორც ცოცხალი ორგანიზმი” და “საზღვარი, როგორც სახელმწიფოს ცოცხალი ორგანო”.

სახელმწიფოების სივრცული ზრდის კონცეფცია და ქვეყნის მოსახლეობის კავშირი დედამიწასთან და ნიადაგთან, ექსპანსიონიზმის კონცეფციის განვითარება, რომელიც დამოკიდებულია მოსახლეობის სიმჭიდროვესთან და ქვეყნის ტერიტორიის ფართობზე - სწორედ ამ ძირითადი პოსტულატების დამკვიდრებით, რაც საფუძვლიანად იქნა გამოკვლეული რატცელის შრომაში „პოლიტიკური გეოგრაფია“ (1898 წ.), დასაბამი მიეცა ახალი მეცნიერული დისციპლინის განვითარებას, რომელმაც მიიღო სახელწოდება გეოპოლიტიკა. ამგვარად, რატცელი

ერთდროულად იყო როგორც გეოპოლიტიკის მამამთავარი, ასევე პირველი კლასიკოსი გეოპოლიტიკოსი.

რატცელის შემდეგ გეოპოლიტიკურმა მეცნიერებამ მეტად სწრაფი ტემპებით დაიწყო განვითარება, იგი სწრაფად ვრცელდებოდა ევროპისა და ამერიკის კონტინენტებზე. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა გეოპოლიტიკურ იდეებთან დაკავშირებით არსებობდა იმ ქვეყნების სამეცნიერო წრეებში, რომლებსაც დიდი სივრცე ეკავათ (რუსეთი, ამერიკა), ასევე შედარებით მცირე ზომის, მაგრამ ძლიერი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის მქონე ქვეყნებში, რომლებმაც გიგანტური კოლონიური იმპერიები ჩამოაყალიბეს (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი), ასევე იმ სახელმწიფოებში, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ დიდი სახელმწიფოების სტატუსზე (იაპონია, რუსეთ-იაპონიის ომში გამარჯვების შემდეგ), სახელმწიფოებში, რომლებიც თავიანთ თავს თვლიდნენ შელახულად კოლონიალური ტერიტორიების დაყოფის არათანაბარი გადანაწილების შედეგად (გერმანია, გაერთიანების შემდეგ და ფრანკო-პრუსიის ომის შემდეგ, იტალია რისორდჟიმენტოს და საფრანგეთ-ავსტრიის ომის შემდეგ). გეოპოლიტიკის მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ ამა თუ იმ ქვეყნის ომში გამარჯვება. ომის შედეგები ყოველთვის უწყობს ხელს ერის კონსოლიდაციას, ეროვნული კულტურის განვითარებას, ასევე ხელს უწყობს სულიერ და ტერიტორიალურ ექსპანსიას მეზობელ ქვეყნებში და სხვა კონტინენტებზე. მაგრამ ამავე დროს, ომში წაგებაც შეიძლება გამოდგეს როგორც კატალიზატორი და გეოპოლიტიკური თეორიის გამავრცელებელი. ეს პროცესი შეიმჩნეოდა მაგალითად გერმანიაში, ამ ქვეყნის პირველ და მეორე მსოფლიო ომებში დამარცხების შემდეგ, აგრეთვე რუსეთის დამარცხების შემდეგ რუსეთ-იაპონიის ომში.

კიდევ ერთი მიზეზი გეოპოლიტიკური თეორიების განვითარებისა გახლავთ იდეოლოგიური მოტივები. ისეთი იდეოლოგები, როგორებიც გახლავთ ინგლისური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, ბელგიური, ჰოლანდიური კოლონიალიზმი, ამერიკული ექსპანსიონიზმი, საბჭოთა კომუნიზმი, იტალიური ფაშიზმი, გერმანული ნაციზმი, იაპონური მილიტარიზმი, პირდაპირ მოუწოდებდნენ მტაცებლური ომების წარმოებისა და ფართო სივრცეების ათვისებისაკენ, თავიანთი სახელმწიფოების საზღვრების გაფართოებისაკენ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიის მითვისების ხარჯზე, ასევე თავიანთი პოლიტიკური გავლენის გავრცელებას დედამიწის სხვადასხვა კონტინენტებზე. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ კლასიკური პერიოდის გეოპოლიტიკურ წარმოდგენებში ყოველთვის არსებობდა ადამიანის მიერ სახმელეთო სივრცის, ზღვებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების ათვისების მნიშვნელობა, რაც ეყრდნობოდა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებას, რის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა დამპყრობლური ომების წარმოება და ტერიტორიების ანექსია, მსოფლიოს დანაწილება და გარდაქმნა. ამ გეოპოლიტიკური აზროვნების პარადიგმის ცვლილება დაიწყო პირველი ატომური ბომბის გამოყენების (1945 წ.), სარაკეტო-ბირთვული იარაღის გამოგონების, მასობრივი განადგურების იარაღის კოლოსალური მარაგის შექმნის შემდეგ. იმის შესაძლებლობის არსებობამ, რომ შედარებით მცირე ზომის ქვეყანასაც შეიძლება გააჩნდეს მასობრივი განადგურების იარაღი, შედარებით შეამცირა სხვაობა სამხედრო პოტენციალში მცირე და დიდ სახელმწიფოებს შორის, დააქვეითა რა მათ შორის ომის შესაძლებლობა.

ამ ცვლილებების გაცნობიერების შედეგად, როდესაც XX საუკუნის შუა პერიოდში სამხედრო მრეწველობაში დანერგილ იქნა ახალი ტექნოლოგიები, დასაბამი მიეცა გეოპოლიტიკის კლასიკური პერიოდის დასრულებას.

გეოპოლიტიკის კლასიკური პერიოდისათვის (XIXს. 80-იანი წლები –XX ს. 50-იანი წლები) დამახასიათებელი იყო არა მარტო სხვადასხვა მეცნიერების კონსოლიდაცია გეოპოლიტიკური აზროვნების ერთიან კალაპოტში, არამედ ცალკეული მიმდინარეობების – ეროვნული სკოლების ფორმირებაც.

გერმანული სკოლა

გეოპოლიტიკურ მეცნიერებაში პირველად გეოპოლიტიკის გერმანული სკოლა იქნა დაფუძნებული, რომელიც თავიდან წარმოდგენილი იყო, როგორც გეოგრაფიის მეცნიერების ნაწილი.

სწორედ პოლიტიკით დაინტერესებულმა გეოგრაფებმა დაიწყეს ახალი მეცნიერებისათვის საფუძველის ჩაყრა. ამ წამოწყების სათავეში იდგნენ კ. რიტერი, ფ. რაცტელი, რ. ჩელენი.

პირველი იყო ცნობილი გეოგრაფი, მეორე – უპირველეს ყოვლისა თავს თვლიდა გეოგრაფ-ანთროპოლოგად, შემდეგ პოლიტიკურ გეოგრაფად და მხოლოდ მესამე დასახელებული მეცნიერი განიხილავდა საკუთარ თავს გეოპოლიტიკოსად.

XX საუკუნის 20-40-იანი წლები ითვლება გერმანული გეოპოლიტიკის აყვავების ხანად. ამ პერიოდში ქმნიდნენ თავის ნაშრომებს, აყალიბებდნენ გეოპოლიტიკურ ინსტიტუტებს და აქტიურად ახდენდნენ ზეგავლენას გერმანიაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე ისეთი გეოპოლიტიკოსები, როგორებიც იყვნენ კ. ჰაუსჰოფერი, კ.შმიდტი, ე. ობსტი, კ. ვოვინკელი და ა. გრაბოვსკი.

გერმანულმა გეოპოლიტიკამ ჩამოყალიბებისთანავე ორი მიმართულებით დაიწყო განვითარება:

I – ნაციონალისტური – (მას მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილი გეოპოლიტიკოსები). თავიანთ ნაშრომებში ამ მიმართულების მეცნიერები ნათლად გადმოგვცემდნენ გერმანელების ეროვნულ დაუკმაყოფილებლობას, რომელიც გამოიხატებოდა გერმანელი ერის ისეთი პროცესისგან ჩამოცილებაში, როგორიც გახლდათ მსოფლიო კოლონიალური გადანაწილება, ასევე უკმაყოფილების მიზეზს რა თქმა უნდა წარმოადგენდა ქვეყნის მარცხი პირველ მსოფლიო ომში.

II – მიმართულება გერმანული გეოპოლიტიკისა იყო ინტერნაციონალური, მემარცხენე სოციალურ-დემოკრატიული, რომელმაც ასახვა ჰპოვა გ. გრაფის, კ. ვიტფოგელის და სხვა რეფორმატორული მარქსიზმის მომხრეების ნაშრომებში. ის მიზნად ისახავდა შეევსო ისტორიული მატერიალიზმი გეოგრაფიული დეტერმინიზმით, ხალხისა და სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა დაეკავშირებინა ბუნებასთან, მიწასთან და ნიადაგთან. ასე რომ, გერმანული სკოლის ჩასახვის პერიოდში, ხდებოდა სხვადასხვა თეორიების დაკავშირება ნიადაგთან, გეოპოლიტიკა გენერირებდა უპირველეს ყოვლისა რადიკალურ (მემარჯვენე და მემარცხენე) პოლიტიკურ თეორიებს შორის, რომლებიც სხვადასხვანაირად აფასებდნენ შესაძლებლობებს და გერმანიის საარსებო ამოცანებს.

„შუა ევროპის“ თეორიები (ი. პარჩი, ფ. ნაუმანი) პირველ ადგილზე აყენებდნენ ევროპული საზღვრების გაფართოებას, „ფატერლანდის“ შემადგენლობაში ყველა ეთნიკური გერმანელის თავისი ტერიტორიებით ჩასმას, ძლიერი და გეოპოლიტიკურად მტკიცე მეტროპოლიის წარმოქმნას, რომელიც ბუნებრივად გაავრცელებდა თავის ზემოქმედებას თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთზე.

რაც შეეხება „მსოფლიო პოლიტიკის“ თეორიებს, მათ თავიანთი გეოპოლიტიკური განვითარება დაიწყეს მოთხოვნით შეცვლილიყო კოლონიური სამფლობელოები, და მინიჭებოდა “დამოუკიდებლობა” პატარა სახელმწიფოების (ბელგიას, ჰოლანდიას) კოლონიებს და იმ სახელმწიფოების სამფლობელოებს, რომლებიც შესამჩნევად ჩამორჩნენ საერთო ევროპულ ეკონომიკურ განვითარებას (ესპანეთი, პორტუგალია). ეს ყველაფერი კი თავის მხრივ შეესაბამებოდა ძლიერი და განვითარებული გერმანიის ინტერესებს. ეს თეორიები, თავის მხრივ იყოფოდა „საზღვაო“, რომელიც ამტკიცებდნენ ფლოტის პრიორიტეტს სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ განვითარებაში (ა. ფონ ტირპიცი) და “სახმელეთო”, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ აეთვისებინათ გერმანიის სახელმწიფოს მიერ პირველ რიგში მეზობელი და ახლომდებარე სახმელეთო ტერიტორიები (რ. ჩელენი, ე. ობსტი).

გერმანული გეოპოლიტიკის მეორე განსხვავებული თვისება გახლდათ სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ მისი ამაღლებული შეცნობადობა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს იყო ქვეყნის დამარცხება პირველ მსოფლიო ომში, ასევე ამ ომის შედეგად ყველა კოლონიალური სამფლობელოს დაკარგვა, უზარმაზარი რეპარაციის გადახდის აუცილებლობა და მძიმე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც მთელი ქვეყანა მოიცვა. ეს ხელს უწყობდა გერმანელების შეგნებაში დაემკვიდრებინათ ერის თეორია „ევროპის შუაგულში“ (ფ. ნაუმანი), „დიდი სივრცეების“ კონცეფცია (ფ. ლისტი), „კონტინენტალურ ბლოკის ბერლინი-მოსკოვი-ტოკიო” (კ. ჰაუსჰოფერი) თეორია. ასევე, სხვა გერმანელი მეცნიერების მთავარი იდეა იყო დაპირისპირება სახმელეთო და საზღვაო სახელმწიფოებს შორის.

1919 წელს კ. ჰაუსჰოფერმა გეოგრაფიის სალექციო კურსში, რომელსაც იგი კითხულობდა მიუნხენის უნივერსიტეტში, გადმოსცა თავისი გეოპოლიტიკური იდეები. 1924 წელს, ბერლინის უმაღლეს პოლიტიკურ სკოლაში ა. გრაბოვსკიმ დააარსა გეოპოლიტიკური სემინარი. იმავე წელს, ჰაუსჰოფერმა ე. ობსტომთან, ო. მაულემთან და გ. ლაუტენზახთან ერთად დაიწყო პირველი გეოპოლიტიკური ჟურნალის გამოცემა. ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის შემდეგ (1933წ.) მან მიუნჰენში შექმნა გეოპოლიტიკის ინსტიტუტი, 1938 წელს კი შტუტგარტში – ნაციონალური კავშირი საზღვარგარეთ მცხოვრები გერმანელების გეოპოლიტიკური აღზრდის მიზნით. გერმანიის ყველა უნივერსიტეტში გეოპოლიტიკა სავალდებულო საგნად იქნა შემოღებული.

ნაციონალური გეოპოლიტიკური სკოლები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ესპანსიონისტურ პოლიტიკას, ამ პერიოდში ყალიბდებოდა იაპონიასა და იტალიაშიც.

იაპონური სკოლა

იაპონური გეოპოლიტიკა – უსვამდა რა ხაზს თავისი ქვეყნის “უნიკალურობასა და განუმეორებლობას”, ცალსახად ქადაგებდა “დიადი იაპონიის” შექმნას (ს. კომაკი). მასში დომინირებდა ნაციონალისტური პროპაგანდა, რომელიც მოუწოდებდა იაპონიის გეოსივრცის გაფართოებას „უდიდესი აზიის“ მიმართულებით.

1927წ. იაპონიის ნაციონალისტური პარტია მქუხარედ მიესალმა ე.წ. „ტანაკის მემორანდუმს“ (გ. ტანაკი იყო იაპონიის პრემიერ-მინისტრი 1927-1929 წლებში), რომელშიც ჩამოყალიბებულ იქნა გეოპოლიტიკური პროგრამა, რომელიც მანჯურიის, მონღოლეთის, ჩინეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის და სამხრეთი ზღვების „ათვისებას“ გულისხმობდა. იაპონური დაპყრობითი ომების გეოსტრატეგიული მიმართულებებისათვის (აშშ, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ) ჩამოყალიბდა ახალი დოქტრინა (უ. ამაუ), რომელსაც ავტორის სახელი ეწოდა (იგი იყო იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანი).

სწორედ ეს დოქტრინა ითვალისწინებდა აშშ-ის სამხედრო ძალების განადგურებას წყნარ ოკეანეში და იაპონიის მიერ მსოფლიო ბატონობის მიღწევას.

პრემიერ-მინისტრებმა ფ. კონოემ (გეოპოლიტიკოსი და დოქტრინის „უდიდესი აღმოსავლურ-აზიური სფეროების თანაგანვითარების“ ერთ-ერთი ავტორი – 1940წ.) და ხ. ტოიდზიმ (1942 წ.) საგარეო პოლიტიკის განვითარებას საფუძვლად დაუდეს „თანაგანვითარების სფეროების“ კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა გიგანტური იაპონიის იმპერიის მშენებლობას.ნმოკავშირეებად იაპონიამ აირჩია მსოფლიოს გადანაწილების მიღმა დარჩენილი განაწყენებული სახელმწიფოები: გერმანია და იტალია. ამ სამ სახელმწიფოს შორის ანტიკომინტერნული პაქტი დადებულ იქნა პრემიერ-მინისტრ ფ. კონოეს დროს.

იტალიური სკოლა

იტალიური გეოპოლიტიკის ფორმირების დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს ფლორენციაში 1903 წელს ჟურნალ „რენიოს“ გამოჩენა („სამეფო“). ჟურნალის რედაქტორი იყო ე. კორადინი (1865-1931 წწ.). „რენიოს“ ძირითადი იდეები ეფუძნებოდა იტალიის გაერთიანების დასრულების აუცილებლობას, უცხოელების გამგებლობის ქვეშ მყოფი იტალიური მიწების დაბრუნებას. ამ მიწებმა მიიღეს სახელწოდება „არაშემოერთებული მიწები“. აქედანაც წარმოიქმნა ტერმინი „ირიდენტიზმი“ – სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე ერთი ერის გაერთიანებისაკენ სწრაფვა. “არაშემოერთებულ” მიწებს კორადინი მიაკუთვნებდა ტიროლს, ადრიატიკის ნაპირებს, რომლებიც იმყოფებოდნენ ავსტრია-უნგრეთის ძალაუფლების ქვეშ, კორსიკას, სავოიას, ნიცას, რომლებიც საფრანგეთის შემადგენლობაში შედიოდნენ. გარდა ამისა, კორადინი საუბრობდა იტალიის მიერ კოლონიების დაპყრობის აუცილებლობაზე, თუმცა არ ასახელებდა მათ ადგილსამყოფელს.

1910 წელს კორადინიმ ჩამოაყალიბა ნაციონალისტური პარტია. მალე დაიწყო გამოსვლა მისმა ბეჭდურმა ორგანომ – „ნაციონალური იდეა“. 1911 წელს იტალიის მთავრობამ ნაციონალისტების მხრიდან ზემოქმედების შედეგად, ხანმოკლე ომის შემდეგ თურქებისგან დაიპყრო ლიბია.

მთავარ გეოპოლიტიკურ პრობლემას ნაციონალისტებისათვის წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მათი ტერიტორიული პრეტენზიები ვრცელდებოდა იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებიც მტრულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს მიეკუთვნებოდნენ. იტალია, ძალიან სუსტი იყო იმისათვის, რომ დამოუკიდებლად ემართა თავისი პოლიტიკა. ის უნდა მიმხრობოდა ან ანტანტას, ან გერმანიას და ავსტრია-უნგრეთს. კორადინი მხარს უჭერდა გერმანიასთან კავშირის იდეას, პოულობდა რა ორ „დაგვიანებულ“ ერს შორის ახლო ნათესაობას, რომლებიც თხოულობდნენ თავის „ადგილს მზის ქვეშ“. სხვა პოზიცია დაიკავა ყოფილმა სოციალისტმა ბ. მუსოლინიმ, რომელმაც დაარსა თავისი გაზეთი „პოპოლო დე იტალია“, (რომლის პროგრამა საერთო თვისებებით „ნაცინალისტურ იდეასთან“ მსგავსი იყო), მაგრამ დაწყებულ მსოფლიო ომში, მუსოლინი მხარს უჭერდა ანტანტას. 1915 წლის მაისში იტალია ჩაება პირველ მსოფლიო ომში ამ უკანასკნელის მხარეს.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემგეგ იტალიას ერგო ძალზე უმნიშვნელო ტერიტორია დაშლილი ავსტრია-უნგრეთის ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ქედების სახით ალპებში და ადრიატიკის ზღვის სანაპირო ზოლი. ამ შენაძენებს არ ჰქონდა არც ეკონომიური, არც სტრატეგიული მნიშვნელობა, თავის მხრივ კი ანტანტის მოკავშირეებმა უარი თქვეს დალმაციასა და სხვა მიწებზე, რომლებსაც ისინი დაპირდნენ იტალიას, თუ კი ის ომში ანტანტის სასარგებლოდ ჩაებმებოდა. ვერსალის საზავო ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ, იტალიამ საზღვრების შეცვლის მიზნით ბრძოლა უკვე 1919 წლის სექტემბერში დაიწყო, როდესაც მოხალისე რაზმებმა გ. დ’ანუნციოს მეთაურობით (1863-1938 წწ.) დაიპყრეს ქალაქი ფიუმე, რომლის მაცხოვრებლების ნახევარს ეთნიკური იტალიელები შეადგენდნენ (ქალაქის ხორვატული სახელწოდებაა – რიეკა). ანტანტამ უარყო მისი იტალიისათვის გადაცემა. მალე, 1922 წლის შემოდგომაზე თვით იტალიაში, ყოფილი ფრონტის მებრძოლებზე დაყრდნობით, ხელისუფლება ხელში ჩაიგდო მუსოლინიმ (1883-1945 წწ.).

იტალიური ფაშიზმის პროგრამა ჩამოყალიბებულ იქნა დ. ჯენტილეს (1875-1944 წწ.) მიერ. მუსოლინიმ მხოლოდ ხელი მოაწერა „ფაშიზმის დოქტრინის“ ჩამოყალიბებას, რომელიც „იტალიურ ენციკლოპედიაში“ იქნა მოთავსებული. „ფაშიზმის დოქტრინა“ არ შეიცავდა განსაზღვრულ გეოპოლიტიკურ პროგრამას. ჯენტილე აცნობიერებდა იტალიის სამხედრო და ეკონომიკურ სისუსტეს ისეთი ძლიერი გეოპოლიტიკური მეზობლების წინაშე, როგორებიც იყვნენ გერმანია,

საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი. მაგრამ მისი მითითებები რომის იმპერიის ტერიტორიის შესახებ, აშკარად მიუთითებდა, რომ სწორედ უძველესი რომი იყო იდეალი იტალიური ფაშიზმისა და ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში, იტალიის პრეტენზიები შეიძლებოდა გაზრდილიყო ძველი რომის იმპერიის ფარგლებში შემავალი ტერიტორიების მიმართ. ამავე დროს, მუსოლინი ლავირებდა ევროპულ სახელმწიფოებს შორის, ცდილობდა მიეთვისებინა ყველაფერი ის, რაც იყო შესაძლებელი და ამით მოეხდინა ჯენტილეს იდეების პრაქტიკული ხორცშესხმა.

1936 წელს დაპყრობილ იქნა ეთიოპია, შემდეგ ალბანეთი. მუსოლინიმ ოფიციალურად გამოაცხადა იტალია იმპერიად, ხოლო მეფე ვიქტორ-ემანუელ III გამოცხადებულ იქნა იმპერატორად. იტალიური ფაშიზმის საბოლოო შედეგი ყველასათვის ცნობილია, შესაბამისად 1945 წლის შემდეგ, იტალიას გაუქრა გეოპოლიტიკური ამბიციები.

იტალიური სკოლის თეორიულ გეოპოლიტიკაში დიდი წვლილი შეიტანა გენერალ დუეს დოქტრინამ ჰაერში ბატონობის შესახებ. მისი აზრით, სწორედ თვითმფრინავი შესძლებს დაიმორჩილოს მესამე სტიქია (პირველი სტიქია-ხმელეთი, მეორე-ზღვა) – ჰაერი. ამისათვის საჭიროა განვითარდეს როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო-საჰაერო ფლოტი. გენერლის აზრით, მომავალ ომებში ავიაციამ განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს. მოულოდნელ მასიურ დაბომბვას შეუძლია ომში გადამწყვეტი წარმატების მოტანა.

ბრიტანული და ამერიკული სკოლები

აგრესიული იმპერიალისტური იდეებისაგან შედარებით უფრო ზომიერი ხასიათის გეოპოლიტიკური იდეები არსებობდა დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში, თუმცა ამ ზომიერებასაც გააჩნდა საკმაოდ მოჩვენებითი ხასიათი, რაც აიხსნებოდა ორი ძირითადი ფაქტორით: პირველ რიგში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გაბატონებული ლიბერალური და ლიბერალურ-კონსერვატიული იდეების გამო, რის გამოც, ამ ქვეყნებში არსებული გეოპოლიტიკური იდეები რადიკალურად განსხვავდებოდა იმ ფაშისტური, ნაცისტური და მილიტარისტული კონცეფციებისაგან, რომლებიც შესაბამისად იტალიაში, გერმანიასა და იაპონიაში არსებობდა. მეორე ფაქტორი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისელები და ამერიკელები მეტწილად დაინტერესებულები იყვნენ არა თავიანთი საზღვრების გაფართოებით, არამედ თავიანთ დაქვემდებარებაში (მფლობელობაში) მყოფი ტერიტორიების დაცვით მოსალოდნელი ფაშისტური და მილიტარისტული აგრესიისაგან.

ეს სკოლები ძირითად უპირატესობას ანიჭებდნენ საზღვაო ფლოტის განვითარების მნიშვნელობის შესახებ მსჯელობას და ამტკიცებდნენ საზღვაო სახელმწიფოების უპირატესობას სახმელეთო ძალებზე.

თუმცა განსხვავება ამ ორი სკოლაში იყო ის, რომ ბრიტანელები უფრო კოლონიალური პოლიტიკის მიმდევრები იყვნენ, ხოლო ამერიკელები ექსპანსიონიზმის პოლიტიკას ანიჭებდნენ უპირატესობას. შედეგად, ამერიკელებმა მიიღეს ის, რომ ბრიტანელებისაგან განსხვავებით ისინი უკვე თითქმის საუკუნეა რაც სუპერსახელმწიფოს წარმოადგენენ.

ფრანგული სკოლა

ფრანგული გეოპოლიტიკური სკოლის დამაარსებლად უდაოდ ითვლება პ. ვიდალ დე ლა ბლაში, რომელმაც თავისი გეოპოლიტიკური იდეები ააგო რატცელის

კრიტიკაზე. მისი აზრით, რატცელმა ზედმეტი მნიშვნელობა მიანიჭა გეოგრაფიულ გარემოებებს და არ შეაფასა ბოლომდე ადამიანური ფაქტორი. დე ლა ბლაში ყურადღებას უფრო ადამიანთა კულტურულ სიახლოვეს აქცევდა და საფრანგეთისათვის ელზას-ლორენის დაბრუნებაზე ოცნებობდა.

ფრანგული გეოპოლიტიკის ცნობილი წარმომადგენელი ანსელი კი თვლიდა, რომ საფრანგეთს არა დამპყრობელი ქვეყნის, არამედ წამყვანი ცივილიზებული სახელმწიფოს იმიჯი უნდა ჰქონოდა.

რუსული სკოლა

სხვადასხვა მიმართულებებით განვითარდა გეოპოლიტიკის რუსული სკოლა. პირველ მიმართულებად ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ პანსლავიზმი. ამ იდეის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად გვევლინება ნ. დანილევსკი, რომელმაც წარმოადგინა სრულიად სლავური ფედერაციის შექმნის იდეა ცენტრებით მოსკოვსა და კონსტანტინოპოლში. მეორე გეოპოლიტიკური მიმართულება ასახულ იქნა რუსულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კვლევების ჩატარებას იმპერიის მომავალი განვითარების შესახებ. ამ სკოლის წარმომადგენელი გახლდათ სემიონოვ-ტიან-შანსკი. მესამე მიმართულებას კი რუსული ბოლშევიზმი წარმოადგენდა, რომელიც მარქსისტულ თეორიას ეყრდნობოდა, რომლის ძირითადი პოსტულატი გახლდათ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა მსოფლიო რევოლუციის გზით. ამ იდეების ნათელი გამომხატველი გახლდათ ლ. ტროცკი, რომელმაც შექმნა "პერმანენტული რევოლუციის" თეორია. რაც შეეხება მეოთხე მიმართულებას, ეს გახლდათ ევრაზიელების გეოპოლიტიკა, რომელმაც თავისი განვითარება ჰპოვა რუსულ ემიგრაციულ წრეებში და რომელიც დარჩა სლავიანოფილების ტრადიციების ერთგული და ქადაგებდა რუსეთის უნიკალურობის იდეას როგორც ევროპასთან, ასევე აზიასთან მიმართებაში. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ პ. სავიცკი.

ამრიგად, წამყვან სკოლებად, რომელთა თეორეტიკოსებმა უმთავრესი წვლილი შეიტანეს კლასიკური გეოპოლიტიკის განვითარებაში, იქცნენ იმ პერიოდის ზესახელმწიფოების (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, აშშ, რუსეთი(სსრკ), იაპონია) სკოლები. როგორც ვხედავთ, ისინი საკმაოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, თუმცა მათ ყველას ჰქონდა ერთი საერთო თვისება – თავიანთი ქვეყნების პრეტენზია პირველობაზე.

თავი VIII

კლასიკური პერიოდის წამყვანი გეოპოლიტიკოსების ძირითადი იდეები

გერმანული "ორგანიციზმული სკოლა"

თავიანთ ნაშრომებში სახელმწიფოებს, როგორც სივრცულ ორგანიზმებს განიხილავდნენ გეოპოლიტიკის მამამთავრებად წოდებულნი: გერმანელები ფრიდრიხ რატცელი და ფრიდრიხ ნაუმანი და შვედი რუდოლფ ჩელენი.

მრავალი მეცნიერის აზრით, სწორედ ფრიდრიხ რატცელი ითვლება გეოპოლიტიკური მეცნიერების „მამამთავრად", მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ ნაშრომებში მას ტერმინი „გეოპოლიტიკა" არ გამოუყენებია. თავისი გეოპოლიტიკური იდეები გერმანელმა მეცნიერმა განავითარა ნაშრომში „პოლიტიკური გეოგრაფია" ("Politische Geographie"). აღნიშნული ნაშრომი 1897 წელს გამოვიდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც ვსაუბრობთ რატცელის ნაშრომებზე, უნდა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ მისი მსოფლმხედველობა დაეფუძნა ევოლუციონიზმსა და დარვინიზმს.

ფრიდრიხ რატცელმა დაამთავრა კარლსრუეს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც მან გეოლოგიის, პალეონტოლოგიისა და ზოოლოგის კურსები გაიარა. გარდა ამისა, იგი ხშირად მოგზაურობდა ევროპასა და ამერიკაში და თავის სამეცნიერო ინტერესებს ეთნოლოგიური კვლევებიც დაუმატა. 1882 წელს შტუტგარდში გამოდის მისი ნაშრომი სახელწოდებით „ანთროპოგეოგრაფია", რომელშიც თავმოყრილია მისი ძირითადი იდეები - ხალხთა ევოლუციისა და დემოგრაფიის კავშირი გეოგრაფიულ მონაცემებთან, რელიეფის კონფიგურაციისა და ადგილმდებარეობის გავლენა ხალხთა პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე და სხვა. თუმცა ჩვენთვის საყურადგებოა მისი ნაშრომი **„პოლიტიკური გეოგრაფია".**

ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში რატცელი ამტკიცებს, რომ ნიადაგი - იგივე მიწა, ძირითად და უცვლელ საფუძველს წარმოადგენს, რომლის გარშემოც ვითარდება მსოფლიო ისტორია და ბრუნავს სხვადასხვა ერების ინტერესები. ისტორიული პროცესების განვითარება პირდაპირკავშირშია ნიადაგსა და ტერიტორიასთან.

რატცელი თავის ნაშრომებში სახელმწიფოს აიგივებს ცოცხალ ორგანიზმთან, რომელიც "ყალიბდება რელიეფისა და მასშტაბისაგან ხალხის მიერ მათი გააზრების შედეგად"[51]. მეცნიერი „ნორმალურ" სახელმწიფოდ აღიქვამს ისეთ ქვეყანას, რომელშიც ყველაზე ბუნებრივადაა შეხამებული სხვადასხვა ისტორიული პროცესების განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული კონკრეტული ერის გეოგრაფიული, ეთნო-კულტურული და დემოგრაფიული პარამეტრები.

რატცელის განმარტებით, სახელმწიფოები უნდა მოვიაზროთ ცოცხალ ორგანიზმებად, რომლებიც თითიეულ ისტორიულ პროცესში ინარჩუნებენ საკუთარ კავშირს ნიადაგთან. შესაბამისად, ქვეყნები უნდა შესწავლილ იქნეს უპირველეს ყოვლისა გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით. მეცნიერის აზრით, სახელმწიფო ასევე წარმოადგენს სივრცულ მოვლენას და მათ განვითარებას წარმართავს სივრცე, ანუ სახელმწიფოები ვითარდებიან სივრცის საფუძველზე და სულ უფრო მეტად ერწყმიან მას. აღნიშნული მოსაზრებიდან ირკვევა, რომ რატცელი სახელმწიფოების სივრცულ ექსპანსიას აღიქვამდა ცოცხალი ორგანიზმის ზრდის მსგავს ბუნებრივ სასიცოცხლო პროცესად.

გერმანული „ორგანიციზმული სკოლის" წარმომადგენლის, რატცელის თვალსაზრისი ნათლადაა წარმოდგენილი მის მოსაზრებაში სივრცის შესახებ, რომელიც რაოდენობრივ-მატერიალური კატეგორიიდან გადადის ახალ ხარისხში და „სასიცოცხლო სფეროდ", „გეობიოგარემოდ" გარდაიქმნება. მან სივრცესთან მიმართებაში ჩამოაყალიბა ორი ახალი ტერმინი: „სივრცული აზრი" (Raumsinn) და „სასიცოცხლო ენერგია" (Lebensenergie). ეს თეზისები რატცელის გეოპოლიტიკის ძირეულ პრინციპებს წარმოადგენს, უფრო მეტიც, დამოკიდებულება სახელმწიფოს, როგორც „სივრცობრივ ნიადაგში ჩანერგილი ცოცხალი ორგანიზმის მიმართ", არის გეოპოლიტიკის მეთოდის ძირითადი საფუძველი.

საინტერესოა რატცელისეული ხედვა ეთნოსსა და სივრცეს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე. მისი აზრით, სახელმწიფო ყალიბდება და ვითარდება დედამიწის კონკრეტულ რეგიონში ცოცხალ ორგანიზმად, რომლის თვისებებიც დამოკიდებულია ხალხისა და ნიადაგის თვისებებზე. ამ თვისებებიდან მეცნიერი პირველ ადგილზე გამოყოფს: სიდიდეს, ადგილმდებარეობასა და საზღვრებს, ასევე ნიადაგის ტიპს, მცენარეულ საფარს და ბოლოს მის დამოკიდებულებას დედამიწის ზედაპირის სხვა კონგლომერატებთან, ანუ მიმდებარე ზღვებსა და დაუსახლებელ მიწებთან, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოსდა არ წარმოადგენენ პოლიტიკური ინტერესების სფეროს. ამ თვისებების შერწყმის შედეგად იქმნება და ვითარდება სახელმწიფო. ამავე დროს, როდესაც ჩვენ განვიხილავთ ამა თუ იმ ქვეყანას, აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ მოსახლეობაზე, და იმ ყველაფერზე, რაც ადამიანის მიერ იქნა შექმნილი. ანუ, აქედან გამომდინარე, წმინდა გეოგრაფიული ცნება თანდათანობით გარდაიქმნება ქვეყნის მოსახლეობისა და მისი ისტორიის სულიერ და ემოციურ კავშირად.

რატცელის განმარტებით, „სახელმწიფო არის ორგანიზმი არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შემოქმედებით უნარს ანიჭებს ერის ცხოვრებას მიწაზე, არამედ იმიტომაც, რომ ეს კავშირი ურთიერთმოქმედების შედეგად მტკიცდება და გარდაიქმნება ერთ მთლიანობად, რომელიც წარმოუდგენელი იქნებოდა ერთი მეორის გარეშე.[52]"

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რატცელი საუბრობს სახელმწიფოზე, როგორც ცოცხალ ორგანიზმზე, რომელიც იბადება, იზრდება და კვდება, ამიტომაც

[51]Ratzel, Friedrich". *New International Encyclopedia*. 1905. P. 32
[52]Ratzel, Friedrich". *New International Encyclopedia*. 1905. P. 35

მისი განვითარება, გაზრდა და გაფართოვება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სასიცოცხლო ეტაპს, რაც თავის მხრივ გულისხმობს ქვეყნის „საზღვრების ურღვევობის"კონცეფციაზე უარის თქმას. აქედან გამომდინარე, მეცნიერი ამართლებს დიდი სახელმწიფოს ექსპანსიონისტურ პოლიტიკას და გამოყოფს ექსპანსიის შვიდ კანონს:

1. "სახელმწიფოს მოცულობა იზრდება მისი კულტურის განვითარების შესაბამისად.
2. სახელმწიფოს სივრცულ ზრდას თან ახლავს მისი განვითარების სხვა გამოვლინებებიც: იდეოლოგიის, წარმოების, კომერციული საქმიანობის, ძლიერი "მიმზიდველი გამოსხივების" და პროზელიტიზმის სფეროებში.
3. სახელმწიფო ფართოვდება მცირე მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური ერთეულების შთანთქმით.
4. საზღვარი ეს არის სახელმწიფოს განაპირას არსებული ორგანო.
5. სივრცული ექსპანსიის განხორციელების დროს სახელმწიფო მიისწრაფვის თავისი განვითარებისათვის დაიკავოს რეგიონები, სანაპიროები, მდინარეთა აუზები, ველები, ყველა მდიდარი და საჭირო ტერიტორია.
6. ექსპანსიის საწყისი იმპულსი მომდინარეობს გარედან. სახელმწიფოს გაფართოებისაკენ აქეზებს უფრო დაბალი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფო (ან ტერიტორია).
7. შედარებით სუსტი ერების ასიმილაციის ან შთანთქმის საერთო ტენდენცია უბიძგებს მას საკუთარი ტერიტორიის უფრო მეტად გაფართოვებისაკენ, რომლის საშუალებითაც საკუთარ თავს იგი თვითონვე ასაზრდოვებს"[53].

რატცელის ნაშრომებში ასეთი იდეების არსებობის გამო სრულიად ლოგიკურია, რომ ბევრი კრიტიკოსი რატცელს ბრალს სდებდა „იმპერიალისტებისათვის კატეხიზმოს" დაწერის გამო. თუმცა მეცნიერის მიზანი სულაც არ იყო გერმანიის იმპერიალიზმის გამართლება, რადგან მის მიზანს წარმოადგენდა შეექმნა სახელმწიფოთა და ხალხთა ისტორიის სივრცისადმი დამოკიდებულების შესაბამისი აღქმის კონცეპტუალური ინსტრუმენტი.

საინტერესოა ასევე რატცელის დაინტერესება ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. მან ორი წიგნი მიუძღვნა ამერიკას: „ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქებისა და ცივილიზაციების რუკები" (1874) და „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები" (1878-1880). აშშ-ში მოგზაურობისას მან დააფიქსირა, რომ ამერიკელებს „სივრცის შეგრძნება" უმაღლეს დონეზე აქვთ განვითარებული, რადგან მათ ძალზე წარმატებულად მოახერხეს „უკაცრიელი" სივრცეების ათვისება. ამ მიზნის წარმატებით განხორციელებაში თავისი როლი ითამაშა „ევროპის პოლიტიკურ-გეოგრაფიულმა" გამოცდილებამ. სწორედ ეს გამოცდილება დაეხმარა ამერიკელებს, რომ ბევრად უფრო მოკლე დროში განეხორციელებინათ ის პროცესები, რასაც ძველი სამყარო ინტუიციურად და ნელ-ნელა აკეთებდა[54].

რატცელის შრომებში ვხვდებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ კონცეფციას, რომელიც დაკავშირებულია „მსოფლიო სახელმწიფოს" პირველ ფორმულირებებთან. ამ კონცეფციის საფუძველზე და ამერიკის გამოცდილებიდან გამომდინარე, გერმანელმა გეოპოლიტიკოსმა სწორედ გერმანიას უწინასწარმეტყველა კონტინენტური სახელმწიფოს ბედი. რატცელმა ასევე განსაზღვრა ზღვის მნიშვნელობა ცივილიზაციის განვითარებაში - წიგნში: „ზღვა ხალხთა ძლიერების სათავე" იგი აღნიშნავდა, რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ,

[53] Ratzel, Friedrich". *New International Encyclopedia*. 1905. P. 37

[54] *Die Vereinigten Staaten von Nordamerika* (The United States of North America, 1878-80)

რომელსაც გააჩნია მოთხოვნილება მიაღწიოს განსაკუთრებულ ძლიერებას, უნდა განავითაროს სამხედრო-საზღვაო ძალები. ეს პროცესი, მისი თქმით, წარმოადგენდა აუცილებელ პირობას „მსოფლიო სახელმწიფოს" სტატუსის მოპოვების გზაზე.

ფრიდრიხ რატცელის ნაშრომებზე წიგნებზე დააფუძვნეს საკუთარი კონცეფციები შვედმა ჩელენმა და გერმანელმა ნაუმანმა.

რუდოლფ ჩელენის გეოპოლიტიკური იდეები

რუდოლფ ჩელენი იყო შვედი გეოპოლიტიკოსი, რომელმაც პირველმა გამოიყენა ტერმინი "გეოპოლიტიკა", რომელიც მან ასე განმარტა: „ესაა მეცნიერება სახელმწიფოს, როგორც სივრცეში განფენილი გეოგრაფიული ორგანიზმის შეახებ.[55]"

ჩელენი გახლდათ უფსალისა და გეტებორგის უნივერსიტეტეტის პროფესორი, სადაც იგი კითხულობდა ისტორიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებს. მოგვიანებით იგი აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში და გახდა პარლამენტის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო შვედი, მეცნიერი აშკარა გერმანოფილური ორიენტაციით გამოირჩეოდა.

ჩელენმა თავის ნაშრომებში შემოგვთავაზა ოთხი ახალი პოსტულატი:

- ეკოპოლიტიკა-"სახელმწიფოს ეკონომიკური ძალის შესწავლა"
- დემოპოლიტიკა-"ხალხის მიერ სახელმწიფოსადმი გადაცემული დინამიკური იმპულსების გამოკვლევა".
- სოციოპოლიტიკა-"სახელმწიფოს შესწავლა სოციალურ ასპექტში".
- კრატოპოლიტიკა- „მართვის და ხელისუფლების ფორმების შესწავლა სამართლისა და სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების პრობლემებთან მიმართებაში"[56].

მართალია, მისმა ამ პოსტულატებმა ვერ ჰპოვეს ფართო გავრცელება, მაგრამ ტერმინი „გეოპოლიტიკა" საფუძვლიანად დამკვიდრდა როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე მთლიანად საზოგადოებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩელენი რატცელის მოსაზრებებს ითვალისწინებდა, რაც კარგად ჩანს მის ნაშრომში - „სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა", იგი რატცელის მსგავსად გერმანული „ორგანიციზმის" იდეების მხარდამჭერი იყო. მან საფუძვლიანად განავრცო რატცელისა და ნაუმანის „კონტინენტური სახელმწიფოს" იდეა და აჩვენა, რომ გერმანია არის ღერძული დინამიზმის მფლობელი სივრცე, რომლის გარშემოც შემოკრებულ უნდა იქნენ დანარჩენი ევროპული სახელმწიფოები. ჩელენი პირველ მსოფლიო ომს განიხილავდა ბუნებრივ გეოგრაფიულ კონფლიქტად, რომლის წარმოშობის ძირითად მიზეზებს წარმოადგენდა კონფლიქტი გერმანიის მზარდ ექსპანსიასა და გერმანიის ინიციატივით შექმნილ "სამთა კავშირის" ბლოკთან დაპირისპირებულ წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც მეცნიერი "პერიფერიულ ქვეყნებს" უწოდებდა. ჩელენის აზრით, გარდაუვალი იყო გერმანიის ევროპასთან გეოპოლიტიკური გაიგივება, მიუხედავად მისი დამარცხებისა პირველ მსოფლიო ომში. ჩელენის აზრით, გერმანია „ნორჩი" სახელმწიფოა, ხოლო გერმანელები „ნორჩი ერი", რომლებიც თავიანთი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე „შუაევროპული სივრცით" არიან შთაგონებულნი. ამიტომაც, გერმანიამ ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს, რათა შექმნას მსოფლიო მასშტაბის კონტინენტური სახელმწიფო, და ამ მიზნით გერმანიას მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მოეხდინა დაემყარებინა კონტროლი იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც აკონტროლებდნენ „ძველი

[55]Kjellén, Rudolf, *Die politische Probleme des Weltkrieges*. Leipzig, 1916. P.25
[56]Kjellén, Rudolf, *Die Grossmaechte vor und nach dem Weltkriege*. Leipzig, Berlin, 1930

ხალხები”-ფრანგები და ინგლისელები. რაც შეეხება გეოპოლიტიკური წინააღმდეგობის იდეოლოგიურ ასპექტს, იგი ჩელენს მეორეხარისხოვნად მიაჩნდა.

მართალია, ჩელენი შვედი იყო, იგი მაქსიმალურად ცდილობდა შვედური პოლიტიკის გერმანულთან დაახლოებას, მისი გეოპოლიტიკური შეხედულებები გერმანიის ადგილმდებარეობის მნიშვნელობის შესახებ, ზუსტად ემთხვევა ფრიდრიხ ნაუმანის მიერ ჩამოყალიბებულ „შუა ევროპის” თეორიას.

ნაუმანის ნაშრომებში ნათლადაა ჩამოყალიბებული ჩელენის კონცეფციის შესაბამისი გეოპოლიტიკური იდეები, რომლის თანახმადაც, იმისათვის რომ ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებმა და ამ ტერიტორიებზე მოსახლე ხალხებმა თავიდან აიცილონ ისეთი ორგანიზებული გეოპოლიტიკური წარმონაქმნების, როგორებიცაა ინგლისი, აშშ, და რუსეთი გეოპოლიტიკური გავლენა, საჭიროა ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება და ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცის შექმნა, ხოლო ამ სივრცის სათავეში წარმმართველი ძალა უნდა იყოს გერმანია. სწორედ ესაა „შუა ევროპის” (Mitteleuropa) თეორია, რომელიც წარმოადგენდა წმინდა გეოპოლიტიკურ ცნებას, სადაც ყურადღება ეთმობოდა არა ეთნიკურ, არამედ გეოგრაფიული ბედის ერთიანობას. აღნიშნული პროექტი გულისხმობდა გერმანიის, ავსტრიის, დუნაისპირა სახელმწიფოების, ხოლო შორეულ პერსპექტივაში საფრანგეთის ინტეგრაციას.

კონტინენტური ბლოკის იდეა

კარლს ჰაუსჰოფერი

კარლ ჰაუსჰოფერის (1869-1946 წწ.) სამეცნიერო შემოქმედებისა და მისი გეოპოლიტიკური მოსაზრებების “წყალობით”, ეს მეცნიერება ბევრი ექსპერტის აზრით მიიჩნეოდა არა უბრალოდ როგორც “ფსევდო მეცნიერება”, არამედ იგი დიდი ხნის განმავლობაში განიხილებოდა “ფაშისტურ” თეორიად.

კარლ ჰაუსჰოფერი დაიბადა მიუნჰენში პროფესორის ოჯახში. მის სურვილს წარმოადგენდა გამხდარიყო პროფესიონალი სამხედრო პირი. იგი დაახლოებით ოცი წლის განმავლობაში მსახურობდა ოფიცრად გერმანიის შეიარაღებულ ძალებში. 1908-1910 წლებში ჰაუსჰოფერი გაგზავნილ იქნა სამხედრო ატაშედ იაპონიასა და მანჯურიაში, სადაც მან ახლო ურთიერთობა დაამყარა იაპონიის იმპერატორის ოჯახთან და უმაღლეს არისტოკრატიასთან.

უკვე 1911 წელს, სუსტი ჯანმრთელობის გამო ჰაუსჰოფერი იძულებული გახდა თავი დაენებებინა საკმაოდ წარმატებული სამხედრო კარიერისათვის, იგი დაბრუნდა გერმანიაში, სადაც იგი ეწეოდა თავის სამეცნიერო მოღვაწეობას სიცოცხლის ბოლომდე. მოგვიანებით, მან მიუნჰენის უნივერსიტეტში დოქტორის წოდება მიიღო. უნივერსიტეტში სალექციო კურსების ჩატარების განმავლობაში ჰაუსჰოფერი რეგულარულად აქვეყნებდა გეოპილიტიკისადმი და, კერძოდ წყნარი ოკეანის გეოპოლიტიკისადმი მიძღვნილ წიგნებს. მისი პირველი წიგნი იყო “Dai nihon”, რომელშიც მან გაანალიზა იაპონიის გეოპოლიტიკა.

1924 წლიდან 20 წლის განმავლობაში ჰაუსჰოფერი აქვეყნებდა გეოპოლიტიკურ ჟურნალს – “Geopilitik” (შემდგომში სახეშეცვლილი სათაურით “Zeitschrift fur Geopolitik”), რომელსაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნდა. თავისი სამეცნიერო შრომების უმრავლესობა სწორედ ამ ჟურნალის სხვადასხვა ნომრებში იყო გამოქვეყნებული.

1936 წლამდე მას კარგი ურთიერთობა გააჩნდა ნაცისტურ პარტიასთან, (ეს გარკვეულწილად განპირობებული იყო მისი მეგობრობით ნაცისტების ერთ-ერთ ლიდერთან – ჰესთან, რომლის მეშვეობითაც ჰაუსჰოფერმა გაიცნო ჰიტლერი, როდესაც ეს უკანასკნელი წარუმატებელი პუტჩის შემდეგ ციხეში მოხვდა). მოგვიანებით კი დაიწყო ურთიერთობების გაცივება. ჰესის მიერ ინგლისში გაქცევის

შემდეგ ჰაუსჰოფერის მიმართ უნდობლობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც 1944 წელს ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს მისი შვილი ალბერხტი, რის შედეგადაც ჰაუსჰოფერი, თითქმის, "ერის მტრად" იქნა შერაცხული.

მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ პერიოდში ფაშისტებთან ესოდენ დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად, იგი მოკავშირეების მიერ "თვალსაჩინო ნაცისტებში" იქნა ჩარიცხული. კარლ ჰაუსჰოფერმა ვერ გადაიტანა მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა და 1946 წელს მან თავის ცოლთან, მართასთან ერთად თავი მოიკლა.

ჰაუსჰოფერის მიერ საფუძვლიანად იქნა შესწავლილი რატცელის, ჩელენის, მაკინდერის, ვიდალ დე ლა ბლაშის, მეჰენისა და სხვა გეოპოლიტიკოსთა შრომები. მსოფლიო დუალიზმის თეორიას – "საზღვაო და სახმელეთი მმართველობა" – იგი განიხილავდა იმ ძირითად კონცეფციად, რომელიც წარმოადგენდა საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად პრინციპს.

"საზღვაო მმართველობისა" და "მსოფლიო მმართველობის" მსოფლიო დუალიზმი გერმანიას მნიშვნელოვანი დილემის წინაშე აყენებდა. გერმანული სახელმწიფოს პილიტიკური ძლიერება სურდათ ეროვნული იდეის მომხრეებს, რაც გულისხმობდა ინდუსტრიულ განვითარებას, კულტურულ აღმავლობასა და გეოპოლიტიკურ ექსპანსიას. ამავე დროს, გერმანიის მოსალოდნელი სივრცობრივი და კულტურული ექსპანსია ევროპის ცენტრში არ შედიოდა დასავლეთის დიდი ქვეყნების – ინგლისის, საფრანგეთისა და პერსპექტივაში აშშ-ის ინტერესებში. თავის მხრივ, "ატლანტისტი" გეოპოლიტიკოსებიც ღიად აფიქსირებდნენ თავიანთ უარყოფით განწყობას გერმანიის – როგორც სახმელეთო ქვეყნის მიმართ და მას საზღვაო დასავლეთის ერთ-ერთ მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ განიხილავდნენ. აქედან გამომდინარე, "დიდი ეროვნული გერმანიის" მომავალი დასავლეთთან, განსაკუთრებით ანგლოსაქსურ სამყაროსთან გეოპოლიტიკური წინააღმდეგობით ვითარდებოდა.

სწორედ ამ საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების განხილვას ეფუძნებოდა კარლს ჰაუსჰოფერისა და მისი მიმდევრების გეოპოლიტიკური დოქტრინა, რომლის არსი მდგომარეობს სახმელეთო ქვეყნებისაგან "კონტინენტური ბლოკის" ან ბერლინი-მოსკოვი-ტოკიოს ღერძის შექმნის აუცილებლობაში. ჰაუსჰოფერის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ერთადერთი სრულფასოვანი და შესაბამისი პასუხი "საზღვაო" ძალების სტრატეგიის მიმართ, რომელიც თავის მხრივ არ მალავდა, რომ ამ ძალებისათვის ყველაზე დიდ პრობლემას შექმნიდა ანალოგიური ევრაზიული ალიანსის შექმნა.

თავის მოსაზრებებს ჰაუსჰოფერი სხადასხვანაირად გამოხატავდა თავის სხვადასხვა ნაშრომში. ამ მიმართულებამ მიიღო დასახელება "Ostorientierung" ანუ "ორიენტაცია აღმოსავლეთისაკენ", რადგანაც გულისხმობდა, რომ გერმანია და გერმანელი ერი, გერმანული კულტურა, წარმოადგენს ევრაზიული, აზიური ტრადიციის გაგრძელებას დასავლეთის მიმართულებით.

ამასთანავე აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ჰაუსჰოფერის "ღია აღმოსავლეთის" კონცეფცია არანაირად არ გულისხმობდა "სლავური მიწების ოკუპაცის"[57]. აქ ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ორი კონტინენტური სახელმწიფოს – რუსეთის და გერმანიის ერთობლივ ცივილიზაციურ ძალისხმევაზე, რომელთაც ერთობლივი ძალებით უნდა დაემყარებინათ "ახალი ევრაზიული წესრიგი", ხელახლა ჩამოეყალიბებინათ "მსოფლიო კუნძულის" კონტინენტური სივრცე ისე, რომ მთლიანად გამოეყვანათ იგი "ზღვის ძალების" გავლენისაგან. ჰაუსჰოფერის მიერ გერმანული Lebensraum (გაფართოება) იდეა გულისხმობდა არა რუსული მიწების კოლონიზაციის, არამედ მეჩხერად დასახლებული გიგანტური

[57]Edmund A. Welsh S.J., The Mystery of Haushofer, LIFE Magazine September 16, 1946 pp. 107-120

აზიური სივრცეების ათვისებას აღმოსავლეთ ევროპაში ცვლილებების განხორციელების ხარჯზე.

პრაქტიკული თვალსაზრისით ეს ყველაფერი ასე ნათლად არ გამოიყურებოდა. ჰაუსჰოფერის წმინდა მეცნიერული გეოპოლიტიკური თეორია, რომელიც ლოგიკურად ავითარებდა მოსკოვთან "კონტინენტური ბლოკის" შექმნის აუცილებლობას, წინააღმდეგობაში შედიოდა გერმანულ ეროვნულ თვითშეგნებასთან. ეს ეხება ისტორიისადმი რასისტულ მიდგომას. ამ მიდგომის ყველაზე მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა რასობრივი, ენობრივი და კულტურული სიახლოვე და არა გეოგრაფიული ან გეოპოლიტიკური სპეციფიკა. ამ მიდგომის არსებობის შემთხვევაში გერმანელების ბუნებრივ მოკავშირეებად გვევლინებოდნენ ინგლისი, აშშ, რადგან ეთნიკურად და ლინგვისტური თვალსაზრისით ისინი გერმანელებთან ბევრად უფრო ახლოს იდგნენ. ამავე დროს, სლავები და, განსაკუთრებით, მუქი კანის ევრაზიელი ხალხები გერმანელების მოწინააღმდეგედ მიიჩნეოდნენ. ამ ფაქტორს ასევე ემატებოდა რასობრივ ნიადაგზე აგებული იდეოლოგიური ანტიკომუნიზმი, როგორც ანტიგერმანული იდეოლოგია.

ნაციონალ-სოციალისტების მიერ შემუშავებული რასისტული თეორია პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა გეოპოლიტიკურ კონცეფციებს. რასიზმის იდეოლოგიური თვალსაზრისით გერმანიას უნდა ეთანამშრომლა ინგლისთან და აშშ-სთან (ანგლოსაქსონურ ერებთან), რათა შემდგომში ერთობლივი ძალიხმევით შესაძლებელი ყოფილიყო სსრკ-სთან დაპირისპირება. მაგრამ ამავე დროს, დიდი ხანი არ იყო გასული ვერსალის ხელშეკრულების გაფორმებიდან, რომლის შედეგადაც გერმანიამ თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, და ყველა კოლონია დაკარგა. აქედან მომდინარეობდა მესამე რაიხის ორაზროვანი პოლიტიკა. ეს პოლიტიკა მუდმივად იყო ორი მიმართულების, ერთი მხრივ მიყვებოდა თალასოკრატიულ ხაზს, გარედან გამართლებულ რასიზმსა და ანტიკომუნიზმს და მეორე მხრივ წმინდა გეოპოლიტიკურ პრინციპებზე დაფუძნებულ ევრაზიულ თელუროკრატიას შორის.

ვინაიდან ჰაუსჰოფერი თავის მოღვაწეობას კონკრეტული პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის ეწეოდა, ამიტომაც იგი იძულებული გახდა თავისი თეორიები იმ დროის მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებთან შეეფარდებინა. ჰაუსჰოფერი ნაწილობრივ ეთანხმებოდა ანტიკომინტერნის პაქტის დადებას, ანუ ბერლინი-რომი-ტოკიოს ღერძის შექმნას, იგი ცდილობდა ეს ხელშეკრულება გაემართლებინა როგორც სრულფასოვანი "ევრაზიული ბლოკის" შექმნის მცდელობა, თუმცა, ამავე დროს ის აცნობიერებდა ამ კავშირის ანიკომუნისტურ მიმართულებას - Heartland-ის ცენტრის ნაცვლად, Rimland-ის მეორეხარისხოვანი, ნახევარკუნძულოვანი სახელმწიფოს – იტალიის – გამოჩენას.

ასეთი პოლიტიკური კომფორმიზმით ნაკარნახევი ნაბიჯები ჰაუსჰოფერის გეოპოლიტიკის მაჩვენებელს არ წარმოადგენდა. მისი იდეები ძირითადად ეფუძნებოდა სწორედ გერმანიის "აღმოსავლური ბედისწერის" კონცეფციას, რომლის ძირითადი პრინციპი იყო მყარი და ხანგრძლივი ევრაზიულ კავშირის ჩამოყალიბება.

კარლ შმიდტი

გერმანელი კარლ შმიდტი (1888-1985 წწ.) გახლდათ ცნობილი იურისტი, პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მისი სამეცნირო კვლევების უმრავლესობა მჭიდროდაა დაკავშირებული გეოპოლიტიკუტრ კონცეფციასთან.

მეცნიერს მჭიდრო ურთიერთობა გააჩნდა კონსერვატიული რევოლუციის გერმანელი წარმომადგენლების იმ პარადოქსულ მიმდინარეობასთან, რომელშიც გაერთიანებული იყო ნაციონალ-კონსერვატიული და სოციალურ-რევოლუციური ელემენტები. ისევე როგორც სხვა კონსერვატორი რევოლუციონერების, ასევე შმიდტის კავშირი ნაციონალ-სოციალისტურ რეჟიმთან გაორებული იყო. ერთი მხრივ,

მისმა კონცეფციებმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინეს ნაცისტურ იდეოლოგიაზე. ნაცისტებში მეტად პოპულარული იყო გერმანელი მეცნიერის პოლიტოლოგიური წიგნები "პოლიტიკური თეოლოგია" და "პოლიტიკური ცნება", რომლებშიც შმიტის მიერ დასაბუთებულადაა გაკრიტიკებული ლიბერალური სამართალი და "სამართლებრივი სახელმწიფოს იდეები". ამ შრომებში შმიტმა უკიდურესი პოლიტიკური რეალიზმი გამოავლინა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შმიდტის კონცეფცია ეფუძნებოდა "ხალხთა უფლებების" იდეას, ეწინააღმდეგებოდა "ადამიანის უფლებების" ლიბერალურ თეორიას. მისი აზრით ყველა ერს აქვს უფლება კულტურულ სუვერენულობაზე, თავისი სულიერი, ისტორიული და პოლიტიკური იდენტურობის შენარჩუნებაზე. ასეთივე იდეები გააჩნდა ზოგიერთ ნაციონალ-სოციალისტსაც. მათი აზრით ასეთი იდეოლოგია უნივერსალური უნდა ყოფილიყო, რადგან იგი დედამიწის ყველა ხალხისათვის მისაღები იყო. ამავე დროს, ეს კონცეფცია სწორედ შოვინიზმსა და ვიწრო ნაციონალისტურ – პანგერმანიზმულ იდეად გადაიქცა, ამიტომ შმიდტი და მისი "ხალხთა უფლებების" თეორია ძლიერი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. მხოლოდ გასული საუკუნის 70-იან წლებში, ზოგიერთი მემარცხენე სოციალისტური იდეოლოგის გავლენის შედეგად, შმიდტის შრომები ნელ-ნელა იქნა რეაბილიტირებული და თანამედროვე ეტაპზე შმიდტი აღიარებულია პოლიტოლოგიისა და იურისპრუდენციის კლასიკოსად.

შმიდტი ამტკიცებდა, რომ არსებობდა საწყისი კავშირი პოლიტიკურ კულტურასა და სივრცეს შორის. ამიტომაც მან ჩამოაყალიბა "ნომოსის" კონცეფცია. ბერძნული ტერმინი "ნომოსი" სამართლებრივი თვალსაზრისით ნიშნავს "რაღაც ჩამოყალიბებულს, მოწესრიგებულს, ორგანიზებულს.[58]" "ნომოსი" არის პოლიტიკური და იურიდიული სისტემების შექმნაში გამოვლენილი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების განსაკუთრებული სინთეზური შენაერთი. "ნომოსში" მჟღავნდება ადამიანთა კოლექტივის გარემოსთან შეხამებული ბუნებრივი და კულტურული თავისებურებები.

წიგნში "მიწის ნომოსი", შმიდტი აანალიზებს, თუ რა ზეგავლენას ახდენს პლანეტის ამა თუ იმ რეგიონის სპეციფიკა მასში განვითარებულ კულტურებსა და სახელმწიფოებზე.

შმიდტის მიერ შემუშავებულ იქნა კიდევ ერთი გეოპოლიტიკური - "დიდი სივრცის" თეორია. ეს კონცეფცია სახელმწიფოს განვითარების პროცესს განიხილავს, როგორც მისწრაფებას ტერიტორიული გაფართოებისაკენ.

ეს გეოპოლიტიკური კანონი დაკავშირებულია როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ფაქტორებთან. შმიდტი ამტკიცებს, რომ გარკვეული პერიოდიდან დაწყებული კონკრეტული სახელმწიფოს მოთხოვნილება, აითვისოს დამატებითი ტერიტორიები და ეკონომიკურად განვითარდეს, მოითხოვს თავისი ტეროტორიის რაოდენობრივ და ხარისობრივ ზრდას. არ არის აუცილებელი, რომ ეს გამოიხატოს კოლონიზაციაში, ანექსიასა ან სამხედრო შეჭრაში. "დიდი სივრცის" ჩამოყალიბება შეიძლება მიმდინარეობდეს სხვა კანონების მიხედვითაც, რამდენიმე სახელმწიფოს ან ხალხის მიერ ერთიანი რელიგიური ან კულტურული ფორმის მიღების საფუძველზე.

"დიდი სივრცე" გარკვეულწილად შეიძლება გაიგივებულ იქნეს სახელმწიფოსთანაც, უფრო სწორედ იმპერიულ წარმონაქმთან (Das Reich), რაც თავისთავად განსხვავდება ჩვეულებრივი სახელმწიფოს კონცეფციისაგან და იგი სტრატეგიულ, გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფაქტორებზე დაფუძნებულ ზეეროვნული განვითარების ახალ ფორმას წარმოადგენს.

შმიდტის "დიდი სივრცე" დაფუძნებულია კუტურულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე, ფართო ავტონომიაზე, რომელიც შეზღუდულია მხოლოდ

[58]Schmitt, Carl (2004). "Theory of the Partisan: Intermediate Commentary on the Concept of the Political (1963)". *Telos* (127): 78.

სტრატეგიული ცენტრალიზმითა და უმაღლესი ხელისუფლებისადმი ტოტალური ლოიალობით.

შმიდტის მიერ განხილულ პრაქტიკულად ყველა თემაში მეცნიერი იკვლევდა სამი კონცეფციის კავშირს – "ტოტალური მტერი, ტოტალური ომი, ტოტალური სახელმწიფო". მისი აზრით "ტოტალური სახელმწიფო" ესაა ტრადიციული სახელმწიფოს ყველაზე სრულყოფილი ფორმა ანუ კონტინენტის გაძლიერების პიკი.

შმიდტის მიერ გაანალიზებული და გადმოცემული საერთო გეოპოლიტიკური სურათი დაყვანილია დაძაბულ ცივილიზაციურ დუალიზმამდე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ორი "დიდი სივრცის" და კონიტინენტურ-ევროპული წინააღმდეგობა. ეს ორი "დიდი სივრცე" ერთმანეთთან მსოფლიო შეჯახებას აწარმოებენ, რომლის მიზანია უნივერსალიზაციისაკენ ნაბიჯის გადადგმა, რათა განხორციელდეს კონტინენტურიდან გლობალურ ბატონობაზე გადასვლა.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე შმიდტმა ყურადღება გაამახვილა "პარტიზანის" ფიგურაზე. ეს ფიგურა შმიტის მიხედვით არის მიწის "ნომოსის" ბოლო წარმომადგენელი, რომელიც ერთგული რჩება "ცივილიზაციის მინავლებისა" და მისი იურიდიულ-კულტურული ფესვების გათქვეფის მიხედვით თავდაპირველი მოწოდებისა. "პარტიზანის" ფიგურას, შმიტის აზრით, სულ უფრო მეტი ცივილიზაციური მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც "პარტიზანი" წარმოადგენს ისტორიის ის უკანასკნელ გმირს, რომელიც მაქსიმალური ძალისხმევით იცავს "სახმელეთო წესრიგს" თალასოკრატიის მოსალოდნელი ტოტალური თავდასხმის შემთხვევაში. სწორედ ამიტომ, მას "სოტერიოლოგიური" ისტორიული ფუნქცია ენიჭება.

ბრიტანული გეოპოლიტიკური აზრიгкшшфзщтшшыьЫутуидщифы

ჰელფორდ ჯ. მაკინდერი

სერ ჰელფორდ ჯ. მაკინდერი (1861-1947 წწ.), ბრიტანელი გეოგრაფი, გეოპოლიტიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე იყო ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი გეოპოლიტიკის კლასიკოსთა შორის.

მან მიიღო გეოგრაფიული განათლება, ასწავლიდა გეოგრაფიას ოქსფორდის (1887-1900 წწ.) და ლონდონის (1900-1925 წწ.) უნივერსიტეტებში. ლონდონში ცხოვრების დროს იგი იყო ლონდონის ეკონომიკის სკოლის დირექტორი – ავტორიტეტული სასწავლო დაწესებულება, რომელიც ამზადებდა სპეციალისტებს ეკონიმიკისა და პოლიტიკის დარგში.

თავისი პოლიტიკური შეხედულებებით მაკინდერი გახლდათ ლიბერალი. 1910–1925წწ. იგი არჩეულ იქნა და მუშაობდა ბრიტანეთის თემთა პალატაში. 1918–1919 წლებში მონაწილეობას იღებდა (ბრიტანული დელეგაციის შემადგენლობაში) ვერსალის სამშვიდობო შეთანხმების მომზადებაში, რომელმაც დაუდო საფუძველი ვერსალ–ვაშინგტონის სისტემის შექმნას. ვერსალის სამშვიდობო შეთანხმება შედგენილი იყო გეოპოლიტიკური იდეების ზემოქმედებით, მათ შორის მაკინდერის თეორიის - სამყაროს კუნძულის (ჰართლენდი) შესახებ, რომელიც ზეწოლას ახდენს "კუნძულოვან" ზღვის სახელმწიფოებზე. როგორც ცნობილია ვერსალის შეთანხმება განასხვავებდა ომის ყველა მონაწილე ქვეყნებს – გამარჯვებულ ქვეყნებად (აშშ, საფრანგეთი, ბრიტანეთი, ბელგია, იტალია და ა.შ.) რომლებიც წარმოადგენდნენ "საზღვაო" ქვეყნებს და დამარცხებულ – (გერმანია, ავსტრია) "სახმელეთო" ქვეყნებად. საბჭოთა რუსეთმა თავის მხრივ არ მოაწერა ხელი ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებას და დასავლეთის მხრიდან დარჩა ზღვაზე გასასვლის გარეშე, რადგან რუსეთის ყოფილი იმპერიის დასავლეთ ნაწილში შეიქმნა ლიმიტროფული სახელმწიფოები (ესტონეთი, ლატვია და ლიტვა) და ფინეთი.

1919-1920 წწ. მაკინდერი ანტანტის საბჭოს გადაწყვეტილებით იყო უკრაინის უმაღლესი კომისარი (გერმანიის მიერ ოკუპაციის შემდეგ), და ბრიტანელი მრჩევლის სახით - პროკონსულის რანგში, იგი იყო დენიკინის არმიის შტაბის წევრი, რომელიც ებრძოდა ბოლშევიკებს. ბრიტანელი მეცნიერი თეორ მოძრაობას განიხილავდა ევროპული საზღვაო სისტემის მოკავშირედ და ბოლშევიკებს – კონტინენტალური ევრაზიის მომხრეებად.

დიდ ბრიტანეთში დაბრუნებისთანავე მაკინდერმა გააგრძელა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა, იგი იყო სხვადასხვა მინისტრთა კაბინეტის მრჩეველი.

1904წ. მაკინდერი გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით "ისტორიის გეოგრაფიული ღერძი", რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი გეოპოლიტიკური შეხედულებები. მისი კონცეფციის თანახმად ხალხთა ისტორიის განმსაზღვრელი ფაქტორი არის ქვეყნების გეოგრაფიული მდგომარეობა, ამასთანავე გეოგრაფიული ფაქტორის ზემოქმედება კაცობრიობის პროგრესზე მუდმივად იზრდება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებასთან ერთად. ეს ფაქტორი გამოიხატება ხმელეთის და ზღვის თანაფარდობაში და ურთიერთობაში სახმელეთო და საზღვაო ხალხებს შორის, მათ შორის სახმელეთო და საზღვაო სივრცეების მიმართულებით.

ამასთანავე, მაკინდერმა ცივილიზაციის ისტორიაში გამოყო სამი ძირითადი ეპოქა:

1) კოლუმბამდე ეპოქა. ამ დროს სამყაროს კუნძულის პერიფერიის ცივილური ერები (ბერძნები, რომაელები ჩინელები) ცხოვრობენ დაპყრობის მუდმივი მუქარის ქვეშ "შუა მიწის" (ჰუნების, ალანების, მადიარების, მონღოლების) მომთაბარე ხალხების მხრიდან;
2) კოლუმბის ეპოქა – ამ პერიოდში "შიდა ნახევარმთვარის" (სანაპირო ზონა) წარმომადგენლები მიემართებიან ჯერ კიდევ აუთვისებელი ტერიტორიების დასაპყრობად.
3) კოლუმბისშემდგომი ეპოქა. აუთვისებელი და დაუპყრობელი ტერიტორიები აღარ არსებობს[59].

მაკინდერის აზრით, "ევროპამ შესძლო თავისი ცივილიზაციის შექმნა გარე ბარბაროსების წნეხის შედეგად, ამიტომაც არ შეიძლება ევროპული ცივილიზაციის აზიური ცივილიზაციისაგან განცალკევება არც ისტორიულ და არც გეოგრაფიული ასპექტში. "ევროპაში მობინდრე მოსახლეობაში აღმოჩნდნენ ყოფილი მომთაბარე აზიატებიც აღმოსავლეთიდან და სამივე მხრიდან მოსული ზღვის ყაჩაღებიც"[60].

მეცნიერის აზრით, ასევე უზარმაზარია დედამიწის კლიმატის ზემოქმედება კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებაზე. "ნალექების განსხვავებული რაოდენობა ხსნის იმ ფაქტს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის 2/3 არის დასახლებული შედარებით მცირე ფართობის მქონე ტერიტორიულ რეგიონებში, რომლებიც განლაგებულია კონტინენტების ნაპირებზე–ატლანტიკის ოკეანის მიმდებარე ტერიტორიაზე ევროპაში, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის სანაპირო ზონებში"[61].

ცივილიზაციის პოტამიური (ბერძ."პოტამოსი"–მდინარე) თეორიაზე დაყრდნობით მაკინდერი ავრცელებს აზრს, რომ სამდინარო, საზღვაო და საოკეანო სტადიები ბიძგს აძლევენ განვითარებას და ამ ფაქტორის მიხედვით მან გაანალიზა ევროპაში, ჩინეთში, ბაბილონში, ინდოეთში მიმდინარე ცივილიზაციის პროცესები და საბოლოოდ ჯამში დასკვნა გააკეთა თანამედროვე ევროპული და აზიური ქვეყნების განვითარების თავისებურებებზე. მან ასევე გაანალიზა, რომ თანამედროვე ევრაზიის შუა ნაწილში მდებარე რუსეთმა თავის დროზე ვერ შეძლო სრულად გამოეყენებინა საზღვაო კომუნიკაციების უპირატესობები მომთაბარე ტომების მხრიდან უფრო

[59]Mackinder, HJ. "Geography and History", The Times. 9 February 1905
[60]იქვე
[61]Mackinder, H.J. Eight Lectures on India. London : Waterlow, 1910

ხანგძლივი ზემოქმედების გამო და იგი ჩამორჩა ევროპის განვითარებულ ქვეყნებს და ზღვისკენ გასასვლელებზე კონტროლის მოგვიანებით დამყარების გამო. XIX საუკუნეში რუსეთმა მიიღო შესაძლებლობა მოახდინოს საზღვაო კომუნიკაციებთან დაკავშირებული პრობლემის კომპენსაცია რკინიგზის საშუალებით. რკინიგზა მაკინდერის აზრით არის "ეფექტური ცივილიზებური საშუალება ევრაზიის უზარმაზარ სივრცეზე, ამიტომაც ამ დროიდან რუსეთი არის "მობილური სახმელეთო სიმძლავრის" მაგალითი, როგორც დიდი ბრიტანეთი – "საზღვაო სიმძლავრის" მაგალითი."[62] სტატიის ბოლოში მეცნიერი თავისი დასკვნების საფუძველზე გვთავაზობს მსოფლიოს გეოპოლიტიკურს სურათს. ევრაზიის კონტინენტი (გეოგრაფიული თვალსაზრისით) გახდა ღერძული რეგიონი მსოფლიო პოლიტიკაში. საზღვაო ძალებისათვის მისი მიუწვდომლობა და კარგი კომუნიკაციები რკინიგზის სახით წარმოადგენენ სამრეწველო და სამხედრო განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. კონტინენტური ქვეყნები თავისთავად შეცვლიან შუა საუკუნეების მონღოლურ იმპერიას. "საღერძო რეგიონის" საზღვრების გარეთ მდებარეობს "დიდი შიდა ნახევარმთვარე"[63]. (გერმანია, თურქეთი, ინდოეთი, ჩინეთი, ავსტრია-უნგრეთი.) და "გარე ნახევარმთვარე" (ბრიტანეთი, აშშ, კანადა, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, იაპონია). ამ გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით მაკინდერის აზრით წონასწორობა მსოფლიოში დარღვეული იყო პერიფერიული ქვეყნების სასარგებლოდ, მაგრამ ამავე დროს "ღერძული ქვეყანა – რუსეთი ფლობს უზარმაზარ რესურსებს და შეუძლია სახმელეთო მობილურობას დაუმატოს საზღვაო მობილურობაც, ანუ გააძლიეროს ფლოტი და გავიდეს მსოფლიო ოკეანეში. ეს ცვლის ძალთა ბალანსს მსოფლიოში ღერძული იმპერიის სასარგებლოდ და ამის გამო საფრანგეთს, იტალიას, ეგვიპტეს, ინდოეთს და კორეას უბიძგებს კავშირის შექმნისაკენ საზღვაო ბლოკის სახელმწიფოებთან დიდი ბრიტანეთთან და აშშ-სთან"[64].

მოგვიანებით, წიგნში "დემოკრატიული იდეალები და რეალობა" (1919), მაკინდერმა თავისი "ღერძული რეგიონის" კონცეფციის სახე შეცვალა, და მას უწოდა "ჰართლენდი" ("დედამიწის გული") და შეიტანა მასში ტიბეტი და მონღოლეთი – აღმოსავლეთის მხრიდან და ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა დასავლეთის მხრიდან. ამ ცვლილებისას მეცნიერმა გაითვალისწინა შემდეგი პროცესები: ტრანსპორტის განვითარება, მოსახლეობის ზრდა, ინდუსტრიალიზაცია. აქაც, ახალ უპირატესობას თავისი ტერიტორიის ათვისებაში და მთელს ჰართლენდზე და მსოფლიო კუნძულზე ზემოქმედების გაძლიერებაში თავის თავზე იღებენ გერმანია და რუსეთი. ამავე დროს, პერიფერიული სახელმწიფოები სულ უფრო და უფრო საჭიროებენ განავითარონ სატრანსპორტო კომუნიკაციების უფრო გახშირებული და განშტოებული ქსელი საზღვაო ძლიერების შენარჩუნების მიზნით, თუმცა მაკინდერი თვლიდა რომ ამის შესაძლებლობა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას გააჩნდა. აქედან გამომდინარეობს მაკინდერის ცნობილი ფორმულა: "ვინც მართავს აღმოსავლეთ ევროპას ის ბატონობს ჰართლენდში. ვინც მართავს ჰართლენდს ის ბატონობს მსოფლიო კუნძულზე, ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს ის ბატონობს მსოფლიოში." აქედან გამომდინარე, ძალთა ბალანსის შენარჩუნების მიზნით საჭირო იყო, რომ საზღვაო ქვეყნებს მიეღწიათ რუსეთისა და გერმანიის გაყოფისათვის ლიმიტროფული

[62]Mackinder, H.J. The modern British state : an introduction to the study of civics. London: G. Philip, 1914
[63]Mackinder, H.J. Britain and the British Seas. New York: D. Appleton and company, 1902

[64]Mackinder, H.J. "The geographical pivot of history". The Geographical Journal, 1904, 23, pp. 421–37. Available online as Mackinder, H.J. "The Geographical Pivot of History", in Democratic Ideals and Reality, Washington, DC: National Defence University Press, 1996, pp. 175–194.

ქვეყნების (შუამიწების) ტერიტორიით[65]. რაც გაკეთდა კიდევ ვერსალის კონფერენციაზე.

შემდგომში მაკინდერმა გაანალიზა ის საშიშროება, რომელიც მომდინარეობდა გაყოფილი "ჰართლენდის" ორივე ნაწილიდან და აქედან გამომდინარე ბრიტანეთისთვის იგი უფრო საშიშად თვლიდა "ჰართლენდის" დასავლურ ნაწილს - გერმანიას. ამისთვის მეტად სერიოზული საფუძველი არსებობდა, მაგრამ რუსეთიც თავის მხრივ ყოველთვის ითვლებოდა ბრიტანეთის საშიშ მოწინააღმდეგედ. რუსეთი მიისწრაფვიდა შავი ზღვის სრუტეების ათვისებისაკენ და მას ასევე გააჩნდა საშუალება დაეპყრო ინდოეთი სახმელეთო კომუნიკაციების გამოყენების მეშვეობით. იმ დროის პოლიტოლოგებმა ბრიტანეთისა და რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური დაპირისპირება – "ვეშაპისა და სპილოს ბრძოლას" შეადარეს (ზღვისა და ხმელეთის ძალის სიმბოლოები). მოგვიანებით მოხდა საბჭოთა რუსეთისა და ბრიტანეთის ინტერესების შეჯახება ცენტრალურ აზიაში (ავღანეთი, ბუხარა, ხივა), თუმცა საბოლოოდ ყველაფერი შედარებით მშვიდობიანად მოგვარდა. 1943 წელს მაკინდერმა სტატიაში "მრგვალი სამყარო და მსოფლიოს დაპყრობა", კიდევ ერთხელ გადასინჯა თავისი გეოპოლიტიკური შეხედულებები. სტატია დაიწერა ამერიკელი ჟურნალისთვის "Foreign Affairs". ამ სტატიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თვითონ ჰართლენდი მეცნიერის წარმოდგენაში ძლიერად შეიცვალა: ის გაიზარდა საჰარისა და ცენტრალური აზიის უდაბნოების მასში შეტანის ხარჯზე.[66]

ასევე, მაკინდერის აზრით, ომისშემდგომი პერიოდის მსოფლიოში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს "შუა ოკეანემ" – ჩრდილოეთ ატლანტიკა, რომელიც უნდა გამხდარიყო ჰართლენდის გამაწონასწორებელი. ჰართლენდის მეორე საპირწონე სივრცედ მაკინდერის აზრით იქნებოდა აზიური უკიდეგანო სივრცე (ჩინეთი, ინდოეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ აზიის ქვეყნები). მაგრამ ჰართლენდი ერთდროულად შემცირდა სსრკ-ის ტერიტორიის აღმოსავლეთი რეგიონების ჰართლენდიდან გამოყოფის ხარჯზე. (მდ. ლენიდან აღმოსავლეთით), და ამ ტერიტორიას მაკინდერმა უწოდა "ლენალენდი". ეს ტერიტორია მეცნიერმა მიეკუთვნა "შიდა ნახევარმთვარის" ზონას, ანუ სანაპირო სივრცეს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო "კუნძულოვანი" სახელმწიფოების მიერ - რადგან "ლენალენდს" გააჩნდა საკმაოდ მეჩხერი დასახლება და აუთვისებელი ტერიტორიები.

მიუხედავად შეტანილი ცვლილებებისა, მაკინდერის პროექტი ბოლომდე ვერ შეესაბამებოდა გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებს. პირველი მსოფლიო ომის დროს ერთ კოალიციაში აღმოჩდნენ ქვეყნები "გარე ნახევარმთვარიდან" – აშშ, ბრიტანეთი და "ჰართლენდიდან" – რუსეთი. მეორე მსოფლიო ომის დროს კი "ჰართლენდის" ქვეყნები რუსეთი და გერმანია აღმოჩნდნენ სხვადასხვა დაპირისპირებულ კოალიციებში. მსოფლიო, რომელიც იწინასწარმეტყველა მაკინდერმა 1943 წელს რეალურისგან მაინც შორსაა. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა სარაკეტო ბირთვული იარაღის შექმნის შემდეგ. ამ იარაღმა მისაწვდომი გახადა ჰართლენდის მიუდგომელი ადგილები და ამავე დროს, მაკინდერის ცალკეული იდეები (ჩრდილოატლანტიკურ ცენტრზე, ძალის მესამე პოლუსზე სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლურ აზიაში, სახელმწიფოების "ჰართლენდის", "გარე და შიდა ნახევარმთვარეების" რეგიონებისადმი მიკუთვნება და სხვა) აგრძელებენ თავის აქტუალობას თანამედროვე გეოპოლიტიკურ ურთიერთობებში.

ფ. კოლომბი

---

[65]Mackinder, H.J. Democratic Ideals and Reality. New York: Holt, 1919. Available online as Democratic Ideals and Reality, Washington, DC: National Defence University Press, 1996

[66]Mackinder, HJ. 1943. "The round world and the winning of the peace", Foreign Affairs, 21 (1943) 595-605. Available online as Mackinder, H.J. "The round world and the winning of the peace", in Democratic Ideals and Reality, Washington, DC: National Defence University Press, 1996, pp. 195–205

ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალების ვიცე-ადმირალი ფილიპ ჰოვარდ კოლომბი – გამოჩენილი სამხედრო ისტორიკოსი, გეოსტრატეგი და სამხედრო–საზღვაო ხელოვნების თეორეტიკოსი, მსოფლიო გეოპოლიტიკურ მეცნიერებაში შევიდა როგორც საზღვაო ძალაუფლების კონცეფციის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ანგლო-ამერიკული ატლანტიზმის სკოლის იდეების განვითარებაში.

კოლომბი დაიბადა შოტლანდიაში გენერლის ოჯახში. 1846 წ. მან დაიწყო სამსახური სამხედრო-საზღვაო ფლოტში. იგი იყო ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ლაშქრობების მონაწილე, ასევე მონაწილეობდა კვლევით ექსპედიციაში არქტიკაში (1854). ყირიმის ომის დროს ლეიტენანტი კოლომბი მონაწილეობას იღებდა საბრძოლო მოქმედებებში სვებორგის ციხესიმაგრის მიდამოებში.

კოლომბმა დატოვა მეტად მდიდარი პრაქტიკული და თეორიული მემკვიდრეობა. მან ორთქლზე მომუშავე გემების მანევრირების ღრმა გააანალიზების შედეგად შეიმუშავა რეკომენდაციები ნაოსნობაში უსაფრთხოების წესების დანერგვის მიმართულებით. ისინი განხილულ და ოფიციალურად მიღებულნი იქნენ ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე. 1889 წელს კოლომბმა დაიკავა მაღალი თანამდებობა სამეფო სამხედრო-საზღვაო ძალებში, სადაც იგი ატარებდა კვლევებს სამხედრო-საზღვაო ოპერატიული ხელოვნების და სტრატეგიის სფეროებში. შემდგომში, კონტრ-ადმირალის წოდებით 1886 წელს იგი გავიდა თადარიგში და დაიწყო კვლევების განხორციელება სამხედრო-საზღვაო ისტორიისა და გეოსტრატეგიის მიმრთულებით. 1896წელს მას მიენიჭა ვიცე-ადმირალის წოდება.

ბრიტანელმა მეცნიერმა თავისი თეორიული კვლევების ჩატარება დაიწყო XIXს. 70-იან წლებში, რისი შედეგიც გახლავთ 1891 წელს გამოცემული ფუნდამენტალური ნაშრომი "საზღვაო ომი, მისი ძირითადი პრინციპები და გამოცდილება". ნაშრომი მოგვიანებით მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა.

"საზღვაო ძალაუფლების" კონცეფცია მკვლევარების მიერ ხშირად განიხილება როგორც "მეჰენ-კოლომბის" კონცეფცია. აღსანიშნავია, რომ ორივე ავტორი, მიუხედავად იმისა რომ ისინი ცხოვრობდნენ ერთი და იგივე პერიოდში, თავიანთ გამოკვლევებს პრაქტიკულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ატარებდნენ. მათ განიხილეს ქვეყნის ძალაუფლების განმტკიცების საკითხები, რომლებიც საბოლოო ჯამში დაკავშირებული იყო საზღვაო ვაჭრობის განვითარებასთან. გეოპოლიტიკის კლასიკოსები აღნიშნავენ, რომ ეს იდეები წარმოადგენს საზღვაო ცივილიზაციის კონცეფციის საბოლოო დედაარსს. ამრიგად, კლასიკური გეოპოლიტიკის ფარგლებში განხილული საზღვაო ცივილიზაცია, ეს არის "სავაჭრო ცივილიზაცია". კოლომბის აზრით, მოწინააღმდეგის საზღვაო ვაჭრობისადმი ხელის შეშლა და საკუთარი საზღვაო კომუნიკაციების დაცვა წარმოადგენს საზღვაო ომის წარმოების ძირითად მიზეზს.

მთავარი განსხვავება მაკინდერისა და კოლომბის კვლევებს შორის არის შემდეგი: კოლომბი კონცენტრირებას ახდენს შემდეგ საკითხებზე - ომის მსვლელობის სტრატეგია, ოპერატიული ხელოვნება, სამხედრო-საზღვაო ფლოტის კვალიფიკაცია. ის აკეთებს დასკვნას საზღვაო ძალაუფლების აუცილებლობაზე. ის ასევე ხაზს უსვამს თავისი კვლევის პრაქტიკულ მიმართულებებს და ეხმაურება ამერიკელი მეცნიერის მეჰენის ნაშრომებს.

ამ უკანასკნელის ნაშრომზე "საზღვაო ძალის ზემოქმედება ისტორიაზე", კოლომბი აღნიშნავდა: "კაპიტან მეჰენის სამეცნიერო კვლევამ ჩვენ გვაცნობა, რომ ატლანტიკის მეორე სანაპიროზე, უფრო ნიჭიერი კალამი, უფრო ნიჭიერი და ღრმა მოაზროვნე შრომობს იმავე საკითხზე, რაზეც ვმუშაობ მე. ჩვენი წიგნები ავსებენ ერთმანეთს. ამერიკელი ავტორი ამბობს იმაზე, რისკენ მივყავართ საზღვაო ძალაუფლებას და მე ვუძღვნი მას ჩემს ნაშრომს საზღვაო ძალაუფლების დედაარსის საკითხის განსახილველად".[67]

[67] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008. გვ.47

კოლომბი თავის ნაშრომებში არ იყენებს ტერმინს “Sea Power”. ამავე დროს კოლომბის კონცეფციის საფუძველში დევს ორი ცნება: “Naval Warfare” (“საზღვაო ომი”) და “Command of Sea” (“ზღვაზე ბატონობა”, “ზღვის ფლობა”).

მიუხედავად თავისი ნაშრომების პრაქტიკული მიმართულებისა, კოლომბი აღნიშნავს საზღვაო ბატონობის დედაარსის - საზღვაო ვაჭრობის შესახებ. მისი აზრით, სისტემურად ორგანიზებული საზღვაო ვაჭრობის გარეშე შეუძლებელია საზღვაო ძალაუფლების მოპოვება. ამასთანავე, არ შეიძლება წარიმართოს საზღვაო ომი, რომელიც არ იქნება მიმართული ამ მიზნის მიღწევაზე.

XVI-XVII სს-მდე საბრძოლო მოქმედებები ზღვაზე წარმოადგენდა ხმელეთზე გაბატონების ძირითად საშუალებას. ზღვა იმ პერიოდში არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო როგორც ბრძოლის წარმოების საშუალება, რადგან იმ პერიოდში არ იყო განვითარებული საზღვაო-სავაჭრო გზების სისტემა და ტექნოლოგიურად საკმარისად არ იყო განვითარებული სამხედრო და სავაჭრო გემები.

საზღვაო ომების წარმოება შესაძლებელი გახდა მხოლოდ XVI–XVII სს-ში, როდესაც საზღვაო ვაჭრობის ზრდასთან ერთად საკმაოდ განვითარდა სამხედრო გემების მშენებლობის ტემპები. იმ გემებისა, რომლებსაც შეეძლოთ ბრძოლა ზღვაზე კონტროლის დასამყარებლად და ამ კონტროლის უზრუნველყოფა. უკვე XVII ს. შუა პერიოდისათვის იმ დროის მსოფლიოს ორ წამყვან ქვეყანას – ჰოლანდიასა და დიდ ბრიტანეთს გააჩნდათ საზღვაო ომის წარმოების ორი ძირითადი ფაქტორი: განვითარებული საზღვაო ვაჭრობა და სამხედრო-საზღვაო ხომალდები. კოლომბი განიხილავდა ანგლო-ჰოლანდიურ ომებს (1652, 1665, 1672 წწ.) როგორც პირველ საზღვაო ომებს კაცობრიობის ისტორიაში. მისი აზრით, “საზღვაო ომი იწყება და მთავრდება ზღვაზე, ის მიმდინარეობს ზღვის ფლობის მიზნით. ზღვის ომს აქვს ორმაგი მიზანი: საკუთარი საზღვაო ვაჭრობის შენარჩუნება და მოწინააღმდეგის საზღვაო ვაჭრობისათვის ხელშეშლა”[68]. ამასთანავე კოლომბი ყურადღებას ამახვილებს “მოწინააღმდეგის ფლოტზე მის საკუთარ ნაპირებთან” თავდასხმის მნიშვნელობაზე. აქ შეიძლება ანალოგი გაკეთდეს მეჰენის სტრატეგიაზე – “ანაკონდა” – რომელიც ორიენტირებულია საზღვაო ვაჭრობის “გაგუდვაზე” მოწინააღმდეგის საზღვაო პორტებისა და სამხედრო-საზღვაო ბაზების განადგურებასა და ბლოკირებაზე. ეს სტრატეგია შემდგომში გადაიქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ სტრატეგიად “Linkage” (”რგოლი”), რომლის მიხედვითაც უნდა გაერთიანებულიყო ცალკეული “დისკონტინუალური” სარტყლები, ანუ სანაპირო სექტორები უნდა გამხდარიყო კონტროლირებადი საზღვაო ქვეყნების მიერ, რაც შემდგომში ერთიან ჯაჭვად მოედებოდა მთელს ევრაზიას.

ზღვის ომის სტრატეგიის ძირითად შინაარსს კოლომბის მიხედვით წარმოადგენს ბრძოლა ზღვის “ფლობაზე” (Command of sea), რომელიც კოლომბმა განსაზღვრა, როგორც ქმედუნარიანი სტრატეგია.

მთლიანობაში, კოლომბი გამოყოფს საზღვაო სივრცეზე კონტროლის სამ ძირითად დონეს.

1) ზღვის ინდიფერენტობის პირობა (Indifference). პრაქტიკული უქონლობა რაიმე კონტროლისა საზღვაო რეგიონზე;
2) სადაო მფლობელობის პირობები (Disputed command). როცა საზღვაო ქვეყანას არ გააჩნია გარანტირებული უპირატესობა მოწინააღმდეგეზე.
3) უზრუნველყოფილი “ფლობის” პირობა (Assured command).

ზღვაზე კონტროლის სხვადასხვა დონეების ანალიზისას, კოლომბი განიხილავს ყირიმის ომს, როგორც პრაქტიკულად ერთადერთ შემთხვევას ისტორიაში, როდესაც მოკავშირე ძალები (რუსეთის მოწინააღმდეგეები) სრულად აკონტროლებდნენ საზღვაო სივრცეს. ეს შესაძლებელი გახდა შავი ზღვის

[68] ნიკა ჩიტაძე. “გეოპოლიტიკა”. თბილისი, 2008. გვ.47

სრუტეების ზონების სპეციფიკის გამო. ამ ზონებმა მოკავშირეებს საშუალება მისცა ჩაეტარებინათ საზღვაო ბლოკადის ოპერაცია და ამასთანავე რუსეთს პრაქტიკულად არ ჰყავდა ორთქლზე მომუშავე ფლოტი, რომელსაც შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მოკავშირეების (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ოსმალეთის იმპერია) ძალებისათვის. აღსანიშნავია, რომ კოლომბი თვითონ იყო ყირიმის ომის მონაწილე და დიდ ყურადღებას ამახვილებდა რუსული ფლოტის პრობლემებზე.

უ. ჩერჩილი (1874-1965)

ჩერჩილი დაიბადა ჰერცოგების – მალბოროების ოჯახში, ქ. ვუდსტოკის მახლობლად. მიუხედავად ამისა, მომავალი პოლიტიკოსის მამამ ვერ მიიღო მემკვიდრეობით ჰერცოგის ტიტული, რადგანაც ინგლისური ტრადიციის თანახმად ტიტული უნდა მიეღო ოჯახის უფროს ვაჟიშვილს.

ჩერჩილის მამა გახლდათ ცნობილი პოლიტიკოსი. ის დიდი ხნის განმავლობაში იყო კონსერვატიული პარტიის ლიდერი, და სხვადასხვა სამინისტროში მას სხვადასხვა თანამდებობები ეკავა. ჩერჩილის დედა ამერიკელი ბიზნესმენის ქალიშვილი იყო. ტრადიციის თანახმად, უინსტონი თორმეტი წლის ასაკში მიიყვანეს კერძო ვაჟთა სკოლაში.

ჩერჩილი ცუდად სწავლობდა კლასში, იგი ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ მოსწავლედ ითვლებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩერჩილმა ჩააბარა პრივილეგირებულ სამხედრო-სამეფო კოლეჯში სადაც იგი ბევრად უკეთესად სწავლობდა და მოახერხა კოლეჯის (1894) დამთავრება, რის შედეგად მას მეორე ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭა. Uშემდგომში იგი მსახურობდა ჰუსართა პოლკში.

მოგვიანებით ჩერჩილმა შვებულება აიღო და სამხედრო კორესპონდენტის სტატუსით გაემგზავრა კუბაზე, როდესაც კუბელი ხალხი გამოდიოდა ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ. ამ მგზავრობის შემდეგ ბრიტანელმა დაწერა ხუთი სტატია რუბრიკით "წერილები ფრონტიდან", რომლებიც შემდგომში იქცნენ მომავალი პოლიტიკოსის, ისტორიკოსის და მწერალის პირველ პუბლიკაციებად.

1896 წელს პოლკი, რომელშიც მსახურობდა ჩერჩილი დისლოცირებულ იქნა ინდოეთში, სადაც სამხედრო სამსახურის გავლის პარალელურად ახალგაზრდა ოფიცერი ბევრს კითხულობდა, მას აინტერესებდა ისტორია და სამხედრო საქმე. მოგვიანებით მან ისევ აიღო შვებულება და ისევ კორესპონდენტის რანგში აღმოჩნდა ბრიტანული არმიისა და პუშტუნთა ტომების (ინდოეთის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი) შორის სამხედრო კონფლიქტის წარმოების რეგიონში, სადაც ჩერჩილი მონაწილეობას იღებდა ბრძოლებში, წერდა თავის შთაბეჭდილებებს და აგზავნიდა კორესპონდენციებს ლონდონის "დეილი ტელეგრაფის" ოფისში. პოლკში დაბრუნებისას ჩერჩილმა დაწერა და გამოსცა წიგნი "მალაკანდელი შეიარაღებული ძალების ისტორია" (1898). ამის შემდეგ ჩერჩილი გახდა ცნობილი პუბლიცისტი და იმავე წელს ის გაემგზავრა აფრიკაში, რათა აღეწერა ბრიტანეთის საწინააღმდეგო ამბოხება სუდანში. 1899 წელს გამოვიდა მისი ახალი წიგნი "სამდინარო ომი", რომელიც დაწვრილებით და საკმაოდ პრაქტიკულად გვამცნობდა სუდანის მოვლენებს და ბრიტანული სამხედრო სარდლობის გადაწყვეტილებას. 1899 წელს ჩერჩილმა დატოვა სამხედრო სამსახური, მან გადაწყვიტა ეცხოვრა ლიტერატურული შრომების გამოცემით და გამოეცადა თავისი თავი პოლიტიკაში. მან წამოაყენა თავისი კანდიდატურა თემთა პალატაში კონსერვატორული პარტიიდან ქალაქ ოლგხემში (ჩრდილოეთი ინგლისი), მაგრამ წააგო ლიბერალების კანდიდატთან. არჩევნების შემდეგ ჩერჩილი გაემგზავრა აფრიკაში, სადაც მან მონაწილეობა მიიღო

ინგლის-ბურების ომში (ოქტომბერი 1899წ), სადაც იგი ჩავარდა ტყვედ და აღმოჩნდა პრეტორიის ციხეში. მან შეძლო იქიდან გაქცევა და 500 კილომეტრის გავლა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე სატვირთო მატარებლის მეშვეობით, რის შედეგადაც მან მიაღწია ბრიტანული არმიის შტაბს. ამ გმირობის შესახებ მთელმა ქვეყანამ შეიტყო და უკვე 1900 წელს ჩერჩილმა მოახერხა პარლამენტში მოხვედრა. აქ ის გახდა ცნობილი ორატორი და საკუთარი კონსერვატორული პარტიის პროგრამების კრიტიკოსი. მან გაწყვიტა ურთიერთობა კონსერვატორების პარტიასთან და დემონსტრაციულად გადაჯდა ლიბერალების სკამზე (1904წ). ლიბერალების პარტიის მმართველობის პერიოდში იგი იკავებდა შემდეგ თანამდებობებს: კოლონიების საქმეთა მინისტრის მოადგილე (1906-1910 წწ.), ვაჭრობის მინისტრი (1910-1911 წწ).

1911 წელს, როცა ბევრმა პოლიტიკოსმა იგრძნო გერმანიასთან ომის გარდაუვალობა, იგი დაინიშნა საადმირალო უწყების პირველ ლორდად (სამხედრო-საზღვაო მინისტრად). მან განახორციელა სამხედრო-საზღვაო ფლოტის რეორგანიზაცია, რომელშიც გაითვალისწინა ტრადიციული ბრიტანული საზღვაო ძალების წინაშე არსებული ახალი საშიშროება – გერმანული წყალქვეშა ნავები და სამხედრო ავიაცია და ამ ძალების საწინააღმდეგო ქმედებების საჭიროება. შედეგად, ბრიტანული საზღვაო-სამხედრო ფლოტი ომს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში შეხვდა.

I მსოფლიო ომის დროს ჩერჩილმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა იმ დროს, როდესაც სადესანტო ოპერაცია დარდანელის სრუტეში წარუმატებლად იქნა ჩატარებული და იგი იძულებული იყო გადამდგარიყო. ის გაემგზავრა საფრანგეთში, დასავლეთის ფრონტზე და მიიღო მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში მაიორის რანგში (1915წ. ნოემბერი). აქ იგი გახდა პოლკის მეთაური და მიიღო ვიცე-პოლკოვნიკის წოდება, ხოლო შემდგომ წლებში იგი გახდა სამხედრო მომარაგების მინისტრი (ივლისი 1917 წ). ამ თანამდებობაზე ჩერჩილმა მოახდინა ტანკების სერიული წარმოების ორგანიზება.

ომის დამთავრების შემდგომ ჩერჩილი დაინიშნა სამხედრო მინისტრის (1919 წლის იანვარი) პოსტზე. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მან სერიოზული რეფორმები ჩაატარა ბრიტანულ არმიაში. 1921 წელს ჩერჩილი ხდება კოლონიების საქმეთა მინისტრი და მხოლოდ 1922 წელს მისი პარტიის არჩევნებში დამარცხების შემდეგ იგი დროებით დარჩა მინისტრის პოსტის გარეშე.

XX ს. 20-იანი წლები დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში გახლდათ ლიბერალური პარტიის დაკნინების პერიოდი, იგი პარლამენტში ლეიბორისტების მხრიდან დიდ შევიწროებას განიცდიდა. უკვე 1923 წელს, პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობის უქონლობის მიუხედავად, ლეიბორისტების ლიდერმა რამზეი მაკდონალდმა მოახერხა პირველი ლეიბორისტული მთავრობის ჩამოყალიბება. იმავე წელს გარდაიცვალა კონსერვატორების პარტიის ლიდერი ბონარ ლოუ, რომელიც გახლდათ ჩერჩილის რადიკალური მოწინააღმდეგე. ამ მოვლენამ გაუხსნა ჩერჩილს გზა კონსერვატორულ პარტიასთან სათანამშრომლოდ. 1924 წლის ოქტომბერში მან ჩაატარა საარჩევნო კომპანია უკვე როგორც კონსერვატორების წევრმა. გამარჯვებული კონსერვატორების ახალმა ლიდერმა სტენლი ბოლდუინმა მთავრობის ფორმირებისას მოიწვია ჩერჩილი ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე – ხაზინის კანცლერად (ფინანსთა მინისტრი). 1929 წელს მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია კონსერვატორების მთავრობის დაშლა. ჩერჩილმა დაკარგა თანამდებობა და მას ისევ მიეცა შესაძლებლობა დაბრუნებოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. უკვე 1929 წელს, გამოდის ოთხტომეული "მსოფლიო კრიზისი" – სადაც გადმოცემულია პირველი მსოფლიო ომის დაწვრილებითი ისტორია. ამ წიგნზე ბრიტანელი პოლიტიკოსი 6 წელიწადზე მეტხანს მუშაობდა. შემდგომში გამოიცა მისი სხვა ნაშრომებიც- ავტობიოგრაფიის 3 ტომი "ჩემი ადრეული წლები"(1930წ), "ფიქრები და თავგადასავლები" (1932წ), "დიდებული თანამედროვენი" (1937წ.). ამასთან ერთად, ჩერჩილი მუშაობდა თავისი წინაპრების ბიოგრაფიაზე, რომელიც სათაურით "მალბორო, მისი ცხოვრება და დრო" გამოვიდა

30-იანი წლების ბოლოს. მას შემდგომშიც არ მიუტოვებია პუბლიცისტიკური და სამწერლო მოღვაწეობა. მოგვიანებით მან დაწერა ნაშრომი "მეორე მსოფლიო ომი", რომელიც 6 ტომად იქნა გამოცემული (1948-1953 წწ.), "ინგლისურენოვანი ერების ისტორია" - 4 ტომად (1956-58 წწ.). ამ ნაშრომზე მუშაობის შედეგად მან მიიღო ნობელის პრემია 1953 წელს. მაგრამ მის მთავარ საქმედ მაინც რჩებოდა პოლიტიკა.

იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მიხვდა ფაშიზმის საშიშროებას და იგი გახდა მუსოლინისა და ჰიტლერის რეჟიმების ერთ-ერთი წამყვანი და თანმიმდევრული კრიტიკოსი და მოწინააღმდეგე. გერმანული სამხედრო პოტენციალის უპრეცედენტო ზრდაზე ჩერჩილმა უპასუხა მოწოდებით ბრიტანული შეიარაღებული ძალების გაძლიერების, პირველ რიგში კი სამხედრო-საჰაერო ფლოტის გაძლიერების შესახებ.

დიდი ბრიტანეთის ომში ჩაბმის შემდეგ (ეს იყო პასუხი პოლონეთში გერმანიის აგრესიაზე 03. 09. 1939 წ), პრემიერ-მინისტრმა ჩემბერლენმა ჩერჩილი საადმირალოს პირველ ლორდად დანიშნა. მიუხედავად გარკვეული "სიჩუმისა" სახმელეთო ფრონტზე ("უცნაური ომი"), ჩერჩილმა წამოიწყო აქტიური საბრძოლო მოქმედებები საზღვაო სივრცეში. 1940 წლის მაისში, მეფე გეორგ VI შესთავაზა ჩერჩილს ახალი მთავრობის ჩამოყალიბება. გერმანიის სსრკ-ზე თავდასხმის შემდეგ ჩერჩილმა, როგორც მეომარი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, საბჭოთა კავშირს სრული თანადგომა გამოუცხადა. 1941 წლის აგვისტოში ჩერჩილმა და აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა ხელი მოაწერეს ატლანტიკურ ქარტიას, სადაც განცხადებული იყო ფაშისტური აგრესიის მიუღებლობა, ფაშიზმის განადგურების შემდეგ ტერიტორიების დაპყრობაზე უარის თქმა და ერთა თავისუფლების პატივისცემა, ომისშემდგომ პერიოდში მსოფლიოში დემოკრატიული წყობილების განმტკიცება. 1941 წლის დეკემბერში ამ ქარტიას შეუერთდა სსრკ, რის შემდეგ მსოფლიო გეოპოლიტიკის ძირითად საკითხებს წყვეტდნენ დიდი სამეულის (ჩერჩილი, რუზველტი, სტალინი) მიერ გამართულ სხდომებზე. რა თქმა უნდა თითოეულ ლიდერს საკუთარი ძალების იმედი ჰქონდა (გიგანტური რესურსები, ბრიტანულ-ამერიკული ეკონომიკის კოლოსალური შესაძლებლობები, სსრკ-ში შრომითი რესურსების ფაქტორი და უზარმაზარი ტერიტორიები). პირველ რიგში ყოველ მათგანს თავისი ეროვნული ინტერესი გააჩნდა. ჩერჩილი და რუზველტი გარკვეული პერიოდის განმავლობაში აჭიანურებდნენ მეორე ფრონტის გახსნას ევროპაში, ხოლო სტალინს, რომელიც ქარტიის მიხედვით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში დემოკრატიულ წყობილების ჩამოყალიბებაზე აიღო პასუხისმგებლობა, საქმე სოციალისტური ბანაკის შექმნისაკენ მიჰყავდა. 1945 წლის ივნისში, პოტსდამის კონფერენციის მსვლელობის პერიოდში, დიდ ბრიტანეთში საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს ლეიბორისტებმა და ჩერჩილი იძულებული გახდა დაეთმო პრემიერ-მინისტრის სავარძელი რიჩარდ ეტლისთვის.

უკვე ომის დასრულების შემდეგ, ჩერჩილი თავისი ცნობილი სიტყვით "მსოფლიოს კუნთები" წარსდგა ვენსტმინსტერის კოლეჯის სტუდენტთა წინაშე 1946 წლის 5 მარტს. ეს იყო ფულტონში (აშშ) წარმოთქმული სიტყვა და აქედანაა მისი მეორე სათაური, "ფულტონის სიტყვა". ჩერჩილი ამ პერიოდში უკვე კერძო პირს - ყოფილ პრემიერ-მინისტრს წარმოადგენდა. თავის სიტყვაში მან გამოხატა უნდობლობა სტალინის სსრკ-ის მიმართ, რომელიც აგრძელებდა თავისი აგრესიული პოლიტიკის გატარებას აღმოსავლეთ ევროპაში რეპრესიების გამოყენების მეშვეობით. ჩერჩილმა წარმოადგინა ევროპის "რკინის ფარდით" გაყოფის სურათი, იმ "რკინის ფარდისა", რომელიც ვრცელდებოდა შცეცინიდან - ბალტიკაზე ტრიესტამდე - ადრიატიკაში. ამავე დროს ჩერჩილმა აღიარა სსრკ-ს უფლება უსაფრთხოებაზე და წამყვან მდგომარეობაზე მსოფლიოში. მან განაცხადა, რომ გამარჯვებული ქვეყნების მთავარი მოწინააღმდეგეებია – "ომი და ტირანია". ჩერჩილი თვლიდა, რომ ომისშემდგომ სამართლიან მსოფლიო მოწყობაში მთავარი ინსტრუმენტი უნდა ყოფილიყო გაერო, რომელსაც უნდა ჰყოლოდა საკუთარი შეიარაღებული ძალები რათა მას შეძლებოდა საკუთარი ფუნქციების შესრულება. კიდევ ერთ მოხსენებაში ომისშემდგომ პერიოდში - "ევროპის ტრაგედია", რომელიც

ჩერჩილმა ციურიხის უნივერსიტეტში წარმოთქვა 1946 წლის სექტემბერში, მან ევროპას გაერთიანებისა და "აშშ-ის მსგავსი" სტრუქტურის აშენებისაკენ მოუწოდა. გაერთიანების შემთხვევაში კი ევროპაში ომი შეუძლებელი იქნებოდა და "ბებერი კონტინენტის" პატარა ქვეყნების როლიც შესამჩნევად გაიზრდებოდა. რეგიონალური ორგანიზაციის აშენება ევროპაში, ჩერჩილის აზრით არ შეუქმნიდა პრობლემას გაეროს არსებობას.

როდესაც კონსერვატორები 1951 წელს ისევ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, 77 წლის ჩერჩილმა ისევ დაიკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი. იგი საგარეო პოლიტიკაში აშშ-სთან თანამშრომლობას უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა და მართლაც, დღევანდელ დღემდე ბრიტანეთის გეოპოლიტიკაში ანგლო-ამერიკული კავშირს - როგორც მსოფლიოში სტაბილურობის მთავარ გარანტს უმთავრესი ადგილი უკავია.

ჩერჩილი გარდაიცვალა 1965 წლის იანვარში 90 წლის ასაკში. მან მოგვცა არა მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრების ხანგრძლივობის მაგალითი, არამედ მან საპარლამენტო კარიერის რეკორდიც (60 წელზე მეტი 1901-1922 წწ. 1924-1964 წწ) დაამყარა.

აშშ-ის გეოპოლიტიკური აზრი კლასიკურ პერიოდში

ა. მეჰენი (1840-1914 წწ.)

ალფრედ მეჰენი ბევრი სხვა გეოპოლიტიკოსისაგან განსხვავებით იყო სამხედრო მოსამსახურე. სამხედრო კარიერასთან ერთად, 1885 წლიდან მეჰენმა პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო Naval War College-ში.

ამერიკა-ესპანეთის ომის დროს (1898 წ.) მეჰენი საზღვაო კომიტეტის შემადგენლობაში მუშაობდა სამხედრო სტრატეგიის მიმართულებით. საბრძოლო მოქმედებების მსვლელობას იგი თვალყურს ადევნებდა და ახდენდა ამერიკული და ესპანური ფლოტების სტრატეგიისა და ტაქტიკის ანალიზს. შედეგად, მან გააკეთა დასკვნა გეოსტრატეგიის ("ომის მიზეზების") სამხედრო სტრატეგიაზე და ტაქტიკაზე ("საწყისი ოპერაციები") ზემოქმედების შესახებ.

ომის დამთავრების შემდეგ მეჰენი როგორც სამხედრო-საზღვაო ექსპერტი, მონაწილეობას იღებდა ჰააგის I კონფერენციის მუშაობაში (მეჰენი შეყვანილ იქნა ამერიკული დელეგაციის შემადგენლობაში). ამ კონფერენციაზე მიღებულ იქნა საერთაშორისო კონვენცია ომის წარმოების კანონებისა და ჩვეულებების შესახებ.

ამერიკელი გეოპოლიტიკოსის თეორიულ საკითხებში მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს "საზღვაო ძალის" შესახებ კონცეფციის ჩამოყალიბება, რომელიც როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მან ჩამოაყალიბა ერთდროულად ინგლისელ სამხედრო-საზღვაო სტრატეგთან, ვიცე-ადმირალ კოლომბთან ერთად. ამ თეორიის თანახმად საოკეანო ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ფლოტებს ენიჭებათ გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს ძალაუფლების უზრუნველყოფის საქმეში და ამ მიზნით საზღვაო ქვეყნებმა: 1) მუდმივად უნდა უზრუნველყონ ძლიერი სამხედრო - ფლოტის მზადყოფნა; 2) ამ მიზნის განსახორციელებლად უნდა ააშენონ საყრდენი პუნქტები მთელ მსოფლიოში; 3) უნდა განავითარონ სავაჭრო ფლოტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნისთვის აუცილებელი საზღვაო გადაზიდვები (მშვიდობიანობის დროს და ომის პერიოდში). სავაჭრო ფლოტი ასრულებს განსაზღვრულ ამოცანებს საზღვაო-სამხედრო ფლოტთან ერთად.

M მეჰენი გვთავაზობს თავისი კონცეფციის ძირითად ფორმულას:

N+MM+NB=SB, სადაც (Navy) –სამხედრო-საზღვაო ფლოტი, (MerchantMarine)- სავაჭრო ფლოტი, (Naval Bases) - სამხედრო-საზღვაო ბაზები, SP (SeaPower) - საზღვაო სიძლიერე[69].

[69]The Influence of Sea Power Upon History, 1660–1783 (1890)

ფართო გეოპოლიტიკური გაგებით, საზღვაო სიძლიერე შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც დამოკიდებულია არა მხოლოდ ადამიანების საქმიანობაზე (სოციალური ელემენტები), არამედ ბუნების შემადგენელ ნაწილებზეც. აქედან გამომდინარე მან განსაზღვრა ერის საზღვაო ძალის შემადგენელი ელემენტები (ფართო სოციალურ და ორგანულ ასპექტში):

- გეოგრაფიული მდებარეობა;
- ფიზიკური წყობა, რომელშიც გათვალისწინებულია ნიადაგის ნაყოფიერება და კლიმატი;
- ტერიტორიის ზომა;
- მოსახლეობის რაოდენობა;
- ერის თვისებები;
- მთავრობის პოლიტიკა.

ამრიგად, საზღვაო სიძლიერის სამხედრო-სტრატეგიული კონცეფცია გადაიზარდა გეოპოლიტიკურ თეორიაში, ასევე განვითარდა სამხედრო სტრატეგიის კონცეფცია ზღვაზე ბატონობის შესახებ. M მეჰენის აზრით, სახელმწიფოს საზღვაო ძალა სრულად უნდა გამომჟღავნდეს არა მხოლოდ ომის მსვლელობის პერიოდში, არამედ მან ზემოქმედება უნდა მოახდინოს სრული კამპანიის მსვლელობაზე და საბრძოლო მოქმედებების საბოლოო ეტაპზე. ამისათვის საჭიროა ფლოტის მიერ დიდი უპირატესობის მიღწევა და ომის ბედის გადაწყვეტა გენერალურ საზღვაო ბრძოლაში.

ეს სტრატეგიული კონცეფცია არ გამართლდა არც I და არც II მსოფლიო ომის დროს, არც ლოკალური საზღვაო კონფლიქტების პერიოდში, რადგანაც ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო საზღვაო ძალის გამოყენებითა და გენერალური ბრძოლის მოგებით გადაეწყვიტა ომის საბოლოო ბედი. ამასთანავე, პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია, და დიდი ბრიტანეთი – ყოველი მათგანი თავის დროზე დომინირებდა მსოფლიოში იმის გამო რომ მათ ჰქონდათ: მოხერხებული გეოგრაფიული მდგომარეობა, ძლიერი სამხედრო და დიდი სავაჭრო ფლოტი, მრავალრიცხოვანი კოლონიები და საყრდენი პუნქტები მთელს მსოფლიოში. ამრიგად, ომებში რომლებიც მიმდინარეობენ ზღვასა და ხმელეთზე, ფლოტი ყოველთვის არ თამაშობს გადამწყვეტ როლს და ეს განსაკუთრებით ეხება მსოფლიო ომებს, რომლებშიც იღებენ მონაწილეობას როგორც საზღვაო, ასევე კონტინენტალური სახელმწიფოები, რომელთა შორის ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორია საერთოდ მიუწვდომელია ფლოტისათვის. ამ მიმართულებით სამხედრო-საზღვაო სტრატეგიული კონცეფცია შედარებით მოისუსტებს, მაგრამ, საზღვაო სტრატეგია, რომელიც თავის თავს ამჟღავნებს კოლონიების დაპყრობაში, გადაზიდვებისა და ვაჭრობის უზრუნველყოფაში, ფლოტის დახმარებით ჰეგემონობის მოპოვებაში, ანუ ის სტრატეგია, რომელიც გადატანილია გლობალურ გეოპოლიტიკურ დონეზე, ამართლებს თავის თავს და ეს არ არის გარემოების შემთხვევითი დამთხვევა. M მეჰენი ბევრს წერდა ამერიკის "საზღვაო ბედზე", მის წამყვან საზღვაო ძალად და მსოფლიო დონის ქვეყნად გარდაქმნის საჭიროებაზე. ნაშრომში "ამერიკის დაინტერესება საზღვაო ძალებით აწმყოსა და მომავალში" ამერიკელმა ხელისუფლებას შესთავაზა თავისი იდეების რეალიზაციის მთელი პროგრამა, რომელიც შეიცავდა: თანამშრომლობას ბრიტანულ საზღვაო ძალებთან; გერმანულ და იაპონურ საზღვაო ინტერესებთან, ბრიტანეთთან ერთად ერთობლივ დაპირისპირებას; აზიაში თავისი ინტერესების უზრუნველსაყოფად სხვა ევროპულ ქვეყნებთან კავშირს. ეს პროგრამა, მეჰენის აზრით, დაეხმარებოდა ამერიკას არა მხოლოდ წამყვანი ქვეყნების რიცხვში გადასასვლელად, არამედ მსოფლიო ჰეგემონობისათვის ბრძოლის წარმატებით დასრულებას. მეჰენი თვლიდა, რომ ამ ბრძოლაში უადგილო არ იქნებოდა სტრატეგია, რომელიც ფორმულირებულია მონროს დოქტრინაში, რომელშიც განცხადებულია ურთიერთჩაურევლობის პრინციპი დასავლეთ და აღმოსავლეთ ნახევარსფეროებში გეოპოლიტიკური გავლენის მოპოვების საქმეში ამერიკელებსა და ევროპელებს შორის.

მეჰენმა კარგად შეისწავლა მაკინდერის გეოპოლიტიკური ნაშრომები, მაგრამ მას საპირისპირო პოზიცია გააჩნდა. იგი არ თვლიდა, რომ კონტინენტალური მდგომარეობა (რუსეთი, გერმანია, ჩინეთი) მომგებიანია და ქვეყნების ცალმხრივი სახმელეთო ცხოვრების წესი და განვითარების გზა – პროგრესიულია. მისი აზრით, საზოგადოების განვითარებას სტიმულს აძლევს საზღვაო სტიქიასთან ერთობა (ზიარება). ამიტომ, ასეთ ქვეყნებთან ბრძოლისას საჭიროა მათი საზღვაო და საოკეანო კომუნიკაციებისგან მოწყვეტა. ამ იდეის განვრცობისათვის მეჰენმა ისესხა ამერიკელი გენერლის მაკკელანის "ანაკონდის" სტრატეგია (მისი არსია – ამერიკის სამხრეთ შტატების ტერიტორიების საზღვაო ბლოკირება ყველა მხრიდან სამოქალაქო ომის დროს). ამერიკელი გეოპოლიტიკოსი გვთავაზობს ამ სტრატეგიის გამოყენებას პორტების, სანაპიროების, სრუტეების ბლოკადისათვის (ღია ზღვაში გასასვლელების გადაკეტვის მიზნით) და პოტენციური კონტინენტალური მოწინააღმდეგეების დასუსტების მიზნით – ყველაზე მომგებიანი (მოხერხებული) ზონების გამოყვანას "სახმელეთო ძალების" კონტროლიდან. მსგავსი ქმედებები არაა ახალი, მათ იყენებდნენ ჯერ ბერძნები სპარსელების წინააღმდეგ, რომაელები – კართაგენის წინააღმდეგ, ნაპოლეონი – ბრიტანეთის წინააღმდეგ, ანტანტა – საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 1918 წელს. მაგრამ მეჰენთან ეს კონცეფციები იღებენ არა სამხედრო - სტრატეგიული აქციების ხასიათს, არამედ ხანგრძლივი გეოსტრატეგიის ხასიათს. ამ გეოსტრატეგიის მიხედვით, საზღვაო ქვეყნები (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია) და კონტინენტალური გერმანიაც კი მივლენ სახმელეთო ძალის (რუსეთი, ჩინეთი) საწინააღმდეგო კავშირის შექმნის აუცილებლობისკენ.

მეჰენის თეორიებს და კონცეფციებს მთლიანად არ ჩამოუყალიბებიათ ამერიკული სამხედრო და სამხედრო-საზღვაო დოქტრინა, მაგრამ ისინი გამოყენებულნი იქნენ როგორც სამხედრო თეორეტიკოსებისა და გეოპოლიტიკოსების, აგრეთვე პრაქტიკოსი პოლიტიკოსების მიერ. მაგალითად: აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში დღესაც უპირატესობას ანიჭებენ სამხედრო-საზღვაო ძალებს და არა სახმელეთო არმიას. აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალები აგრძელებდნენ მსოფლიო ოკეანეში ჰეგემონიის მიღწევას (ძლიერი სამხედრო-საზღვაო ბაზების დაფუძნება წყნარ ოკეანეში) "ცივი ომის" პერიოდში. XX ს. მეორე ნახევარში მეჰენის მიერ შემოთავაზებული "ანაკონდის სტრატეგია" გამოყენებული იყო ნატო-ს (ჩრდილოატლანტიკური საზღვაო ბლოკი) მიერ ვარშავის ხელშეკრულების (კონტინენტალური ქვეყნების ბლოკი) წინააღმდეგ. ამასთანავე, ბლოკადაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ნატოს წევრი ქვეყნები და მათი სამხედრო-საზღვაო ძალები, ასევე ატლანტიკური ხელშეკრულების სატელიტი ქვეყნებიც, რომლებისგანაც იქმნებოდა შედარებით მცირე ზომის ბლოკები (სეატო, სენტო, ანზიუსი) "სოციალისტური ბანაკის" საზღვრების გარშემო, რაც დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების საერთო გეოსტრატეგიაში შედიოდა.

6. სფაიქმენი (1893-1943 წწ.)

ნიკოლას სფაიქმენი – ცნობილი ამერიკელი გეოპოლიტიკოსი, დაიბადა ნიდერლანდებში (ამსტერდამი), სადაც მან მიიღო ჰუმანიტარული განათლება. 27 წლის ასაკში იგი წავიდა ემიგრაციაში აშშ-ში (1920), სადაც იელის უნივერსიტეტში კითხულობდა სალექციო კურსს საერთაშორისო ურთიერთობაში. 1923 წელს მას მიანიჭეს ამ უნივერსიტეტის პროფესორის წოდება. მოგვიანებით მან ჩამოაყალიბა იელის უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო პრობლემების ინსტიტუტი და დაინიშნა ამავე ინსტიტუტის პირველ დირექტორად. მან თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი სწორედ სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას მიუძღვნა.

როგორც გეოპოლიტიკოსი, სფაიქმენი იყო – ანგლო-ამერიკული სკოლის ტიპიური წარმომადგენელი, იგი აგრძელებდა მეჰენი-კოლომბის ხაზს (ისინი მსოფლიოში დომინირების გზას ხედავდნენ სახელმწიფოს საზღვაო ძალის

გაძლიერებაში). Cმეცნიერმა განავითარა მაკინდერის თეორია და ოდნავ შეცვალა იგი.

მიუხედავად იმისა, რომ სფაიქმენი საჭიროების შემთხვევაში მხარს უჭერდა "ძალის გამოყენებას", იგი არ იყო იმპერიალისტი, არასოდეს არ ამართლებდა კოლონიური იმპერიების შექმნას (ევროპული კლასიკოსი-გეოპოლიტიკოსებისაგან განსხვავებით). ის წერდა კონკრეტულ ტერიტორიაზე კონტროლის შესახებ (და არა მის დაპყრობაზე), საერთაშორისო უსაფრთხოებაზე და არა "გავლენის სფეროების" გაყოფაზე.

სფაიქმენის ძირითადი კონცეფციები და თეორიები გადმოცემულია მის ნაშრომებში: "ამერიკის სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში" (1942) და "მსოფლიოს გეოგრაფია" (1944). მან განავითარა მეჰენის კონცეფცია და ჩამოაყალიბა სახელმწიფოს სიძლიერის ათი კრიტერიუმი:

1) ტერიტორიის ფართობის სიდიდე;
2) საზღვრების ხასიათი (სახმელეთო, ხელოვნური, ბუნებრივი, საზღვაო და ა.შ.);
3) მოსახლეობის რაოდენობა;
4) მინერალური რესურსების პოტენციალი;
5) ქვეყნის ეკონომიკური განვითარება;
6) სახელმწიფოს ფინანსური სიძლიერე;
7) საზოგადოების ეთნიკური ერთგვაროვნება;
8) საზოგადოების ინტეგრაციის და სოციალური კონცენტრაციის დონე;
9) პოლიტიკური სტაბილურობა;
10) ეროვნული სულის სიძლიერე.

ეს კრიტერიუმები განსაზღვრავენ, არის თუ არა ესა თუ ის ქვეყანა დამოუკიდებელი, სუვერენული გეოპოლიტიკური ძალა. ამასთანავე, მეცნიერი აშშ –ის მსოფლიო დონის გეოპოლიტიკური ქვეყნის სტატუსს აკუთვნებდა.

სფაიქმენმა მოახდინა მაკინდერის თეორიის ტრანსფორმირება. იგი ეთანხმებოდა იმ საერთო სურათს, როდესაც მსოფლიო გაყოფილია სამ ნაწილად: ცენტრალურ ნაწილში (ჰართლენდში) ისტორიული პროცესი პრაქტიკულად გაყინულია; შიდა ნახევარმთვარეში (რომელიც გარს ერტყმის "ჰათლენდს") ისტორიული პროცესი ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობს; გარე ნახევარმთვარეში (ახალი სამყარო, აფრიკა, ავსტრალია, თბილი ზღვების კუნძულები) ისტორიული პროცესი ნაკლებად ინტენსიურია. მაკინდერმა გააკეთა დასკვნა ჰართლენდის უპირატესობაზე საზღვაო და კონტინენტალური ძალების დაპირისპირების შემთხვევაში, სფაიქმენმა პირიქით, ყურადღება გაამახვილა "შიდა ნახევარმთვარეზე", რომელიც მოიცავდა ევროპის საზღვაო ქვეყნებს, ხმელთაშუა ზღვის აუზს, ახლო და შუა აღმოსავლეთს, ინდოეთს, ჩინეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს და უწოდა ამ ტერიტორიას "რიმლენდი" (სანაპირო ზონა). გეოპოლიტიკოსის აზრით, რიმლენდზე გადიოდა "დიდი საზღვაო გზა" ევროპის გარე და შიდა ზღვებიდან (ატლანტიკა, ბისკაის ყურე, ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვები) ხმელთაშუა, წითელი ზღვების და ინდოეთის ოკეანის გავლით შორეული აღმოსავლეთის ზღვებამდე (აღმოსავლეთ-ჩინეთის, იაპონიის, ოხოტის). გეოგრაფიის ისტორია რიმლენდში ინტენსიურად მიმდინარეობს არა "ხმელეთის ყაჩაღების" ზეწოლით (რასაც ჩვენ ვხვდებით მაკინდერთან), არამედ შიდა მიზეზების გამო. აქედან გამომდინარეობს დასკვნა რიმლენდის დომინირებაზე მსოფლიოში. სფაიქმენმა მაკინდერის გეოპოლიტიკურ ფორმულას ფორმა შეუცვალა და შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: "ვინც აკონტროლებს რიმლენდს, ის დომინირებს ევრაზიაზე, ვინც დომინირებს ევრაზიაზე, მას თავის ხელში უჭირავს მსოფლიოს ბედი"[70]. ეს მსოფლიოზე

[70]*The Geography of the Peace*, New York, Harcourt, Brace and Company (1944)

გაბატონების ახალი ფორმულა (“მსოფლიო კონტროლი”) ცვლის მსოფლიო დომინანტს, უფრო ზუსტად პოტენციალურ შესაძლებლობას იმისა, რომ ესა თუ ის ქვეყანა მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ მოთამაშედ გადაიქცეს. მაკინდერის ფორმულაში მსოფლიო პირველობაზე ბრძოლაში უპირატესობას ფლობდა სსრკ, ხოლო სფაიქმენთან უპირატესობას ფლობდნენ დიდი ბრიტანეთი და აშშ.

სფაიქმენმა გამოყო მსოფლიოში სამი უმსხვილესი სიძლიერის ცენტრი. ეს იყო ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტიკური სანაპირო, ევროპის სანაპირო (დასავლეთი ნაწილი) და შორეული აღმოსავლეთი. შემდგომში ის უშვებდა მეოთხე სიმძლავრის ცენტრის, ინდოეთის გამოჩენის შესაძლებლობას. მისი აზრით, გერმანიისა და იაპონიის გამარჯვების შემთხვევაში, ამ ორ ქვეყანას ექნებოდა სრული კონტროლი ყველა მსოფლიო ძალის ცენტრებზე. თუ გაიმარჯვებდა ანგლო-ამერიკული კოალიცია, ამერიკას მომავალშიც აუცილებლად მოუწევდა გაეძლიერებინა დიდ ბრიტანეთთან კავშირი, რაც უზრუნველყოფდა კონტროლს ჩრდილოეთ ატლანტიკაზე - ამერიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ზონაზე.

სფაიქმენმა ახლებურად ჩამოაყალიბა აშშ-ს ადგილი და როლი მსოფლიოში. მისი აზრით, ამერიკას აქვს მომგებიანი ცენტრალური პოზიციები როგორც რიმლენდის, ასევე ჰართლენდის მიმართ. უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროს დიდი ბრიტანეთი და სსრკ ამერიკის მოკავშირეები იყვნენ. ამიტომ, სფაიქმენის აზრით, ამერიკის გეოპოლიტიკური მდგომარეობის უპირატესობა უნდა გამოყენებულიყო ომისშემდგომ მსოფლიოში კონტროლის დასამყარებლად აშშ-ის ყველა მოკავშირის მიერ, სადაც ამერიკას წამყვანი როლი უნდა ჰქონოდა.

სფაიქმენმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში შემოიტანა “შუაოკეანის” – ატლანტიკის ცნება. მართლაც, უახლეს ისტორიაში ატლანტის ოკეანის როლი ანალოგიურია ხმელთაშუა ზღვის როლთან ძველ მსოფლიოსა და შუა საუკუნეების პერიოდში. ამ აკვატორიების სანაპიროებზე თავის დროზე მწიფდებოდა მოწინავე კულტურა, რომელიც შემდგომში ამ არეალების სიღრმეებში გავრცელდა. სფაიქმენის აზრით, როგორც ამერიკაა ინგლისის გადიდებული პროექცია, ასევე ატლანტიკა წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის გადიდებული პროექციას. როგორც ხმელთაშუა ზღვა, ასევე ატლანტის ოკეანე უფრო აერთიანებენ ქვეყნებსა და ცივილიზაციებს, ვიდრე განაცალკევებენ მათ.

ამრიგად, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც სფაიქმენმა განავითარა გეოპოლიტიკაში – ეს გახლავთ საზღვაო სიძლიერის თეორიის განვითარება და მაკინდერის თეორიის რევიზია. განსაკუთრებით ეს შეიმჩნეოდა “რიმლენდის” ცნების ფორმულირებისა და მსოფლიო ისტორიაში და ომისშემდგომ პერიოდში რიმლენდის როლის განსაზღვრაში. სფაიქმენის ბოლო კონცეფციას მსოფლიო გეოპოლიტიკურ მეცნიერებაში “ჰართლენდ-რიმლენდის” თეორია უწოდეს.

ი. ბოუმენი (1878-1950 წწ.)

ისაია ბოუმენი – ცნობილი კანადო-ამერიკელი გეოგრაფი და გეოპოლიტიკოსი, დაიბადა ონტარიოს პროვინციაში. იქვე დაამთავრა სკოლა და უნივერსიტეტი, გეოგრაფიის სპეციალობით. ამის შემდეგ, იგი დიდხანს იყო სხვადასხვა ამერიკული უმაღლესი სასწავლებლების, მათ შორის ჰარვარდის უნივერსიტეტის პედაგოგი. იგი არჩეული იყო ამერიკის გეოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტად, და ამავე დროს აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკაში, როგორც პოლიტოლოგი და გეოგრაფი. 1917-1950 წლებში იგი იყო საგარეო კავშირების საბჭოს დირექტორი. პოლიტიკური შეხედულებებით იყო ლიბერალი, ამიტომ ეგრევე მხარი დაუჭირა ამერიკის ლიბერალურ-პროგრესული პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის მიერ შემოთავაზებულ “თოთხმეტი პუნქტის” პროგრამას, რომელიც გაცხადებულ იქნა

პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე (08. 01. 1918 წ). ამ პროგრამის დედაარსი იყო სამართლიანი, პროგრესული ომისშემდგომი მსოფლიო წყობილების დამკვიდრება ღია დიპლომატიის, თავისუფალი ვაჭრობის, განიარაღების და საზღვრების "ეროვნებათა რუქების შესაბამისობის" პრინციპებზე. ეს პრაქტიკულად ნიშნავდა: ა) ავსტრო-უნგრეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ერების მიერ ავტონომიის მიღებას; ბ) ახალი რუსეთის ერების უფლებების და თავისუფლებების პატივისცემას (მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა დაარღვია პირობები, რომლებიც აიღო სხვადასხვა ქვეყნის წინაშე ომის დაწყებამდე); გ) გერმანიას ევალებოდა ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნება საფრანგეთისთვის და ანექსიის შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსირება; დ) ბელგიის სუვერენიტეტის აღდგენა; ე) პოლონეთისათვის ზღვისკენ გასასვლელის უზრუნველყოფა. ამ პროგრამაზე დაყრდნობით აშშ ჩაერთო პირველ მსოფლიო ომში. უკვე 1918 წლის 3 ოქტომბერს გერმანიამ აღიარა თავისი დამარცხება და დათანხმდა სამშვიდობო პირობებს "14 პუნქტის" საფუძველზე.

როგორც საზღვრების სპეციალისტი (და ეს რა თქმა უნდა გახლავთ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პრობლემა) აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის სპეციალისტებთან ერთად ბოუმენმა მიიღო მონაწილეობა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში 1919 წელს, რომლებზეც შეჯამებულ იქნა I მსოფლიო ომის შედეგები და საერთაშორისო ურთიერთობების დასარეგულირებლად შექმნილ იქნა "ერთა ლიგა".

ახალი მსოფლიო წესრიგის (ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით) დამყარების შესაბამისად გერმანია კარგავდა ყველა კოლონიას, რომლებიც გადაეცათ გამარჯვებულ ქვეყნებს მმართველობისათვის ერთა ლიგის მანდატების შესაბამისად. იმავე დროს, აშშ-ის სენატმა არ მოახდინა ვერსალის ხელშეკრულების რატიფიკაცია (1920), ანუ აშშ-მ უარი თქვა ვერსალის ხელშეკრულების შესრულების გარანტის როლზე. ამ ყველაფერმა შენელებული მოქმედების ნაღმი ჩადო მთელ ომისშემდგომ ვერსალის სისტემაში.

პარიზის კონფერენციის მერე ბოუმენი დაკავებული იყო ევროპის "ახალი" და "ძველი" ქვეყნების საზღვრების პრაქტიკული განსაზღვრით (მათ შორის გერმანიის, პოლონეთის, იტალიის, იუგოსლავიის). იგი ღრმად იყო გარკვეული როგორც ევროპის საზღვრების საკითხებში, ასევე ევროპის პოლიტიკურ საქმეებში. მოგვიანებით, უკვე ამერიკაში ის თვალს ადევნებდა "მიუნჰენის ხელშეკრულების" (1938) მიმდინარეობას და გაგზავნა ცნობილი წერილი რუზველტის სახელზე, რომელშიც იწინასწარმეტყველა მომავალი მოვლენების მსვლელობა (მათ შორის, გერმანიის თავდასხმა რუსეთზე).

წიგნში (სიმბოლური სათაურით "ახალი მსოფლიო"), ბოუმენმა (ვუდრო ვილსონის ლიბერალური ინტერნაციონალიზმის იდეების საფუძველზე) წარმოადგინა თავისი მოსაზრებები მსოფლიოში ხელისუფლების განაწილების შესახებ. მან გააკეთა დასკვნა, რომ აშშ-მა უნდა უარყოს ტრადიციული იზოლაციონიზმის პოლიტიკა. ეს იყო ბოუმენის დასკვნა, რომელსაც საფუძვლად ედო ბოუმენის – გეოგრაფის აზრები აშშ-ის უნიკალური გეოგრაფიული ადგილმდებარეობის შესახებ (თავისუფალი გასასვლელი ორ ოკეანეზე – ატლანტისა და წყნარზე), და პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნისაგან საუკეთესო უსაფრთხოება და უვნებლობა, მაგრამ ეს ბოლო პირობა მცირდება ტექნიკური პროგრესის ზრდასთან ერთად. ეს მისი აზრით პრაქტიკულად დაამტკიცა ამერიკის მონაწილეობამ I მსოფლიო ომში, როცა აშშ-მა შეძლო დიდი სარგებლის მოტანა როგორც თავისთვის, ასევე თავისი მოკავშირეებისთვის.

პრეზიდენტი რუზველტი იყენებდა ბოუმენის დასკვნებს, როცა კონგრესში ყურადღებას ამახვილებდა სამხედრო მრეწველობის განვითარებისა და შეიარაღებული ძალების გაძლიერებისა და იზოლიციონიზმის პოლიტიკაზე უარის თქმის აუცილებლობაზე.

ჩ. მაკდონალდსი

ჩარლზ მაკდონალდსი - ცნობილი ამერიკელი სამხედრო გეოსტრატეგი. 1960-იან წლებში იგი აშშ-ის შეიარაღებული ძალების მთავარი სამხედრო ისტორიკოსის მოადგილე და ავტორისა და რედაქტორის სახით მონაწილეობას იღებდა ნაშრომის - "აშშ-ის ჯარი მეორე მსოფლიო ომში" 80-ტომიან გამოცემაში. მისი ნაშრომები "კამპანია ზიგფრიდის ხაზზე" და "უკანასკნელი შეტევა" ამ გამოცემაში ცალკეულ ტომებადაა გაერთიანებული.

ფართოდ ცნობილია ნაშრომი "მძიმე გამოცდა" (1969), სადაც ავტორმა გამოიკვლია ამერიკული შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებები ევროპაში (1944-45 წწ.). გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ამ წიგნის პირველი თავები, სადაც მაკდონალდი გვიჩვენებს, თუ როგორ იღებს მსოფლიო გეოპოლიტიკურ ხასიათს ევროპაში დაწყებული ომი, როგორ იქმნებოდა აშშ-ის გეოსტრატეგია, შეფასებულია II მსოფლიო ომის გეოპოლიტიკური ხასიათი და ამ ომში ამერიკის მიზნები, როგორ ჩაისახა აშშ-ის თანამშრომლობა დიდ ბრიტანეთთან და მოგვიანებით სსრკ-თან; როგორ ამზადებდნენ რუზველტი, კონგრესი და სამხედრო სარდლობა ქვეყანას ომისთვის; როგორც გადაჰყავდათ მრეწველობა და ხალხის შთაგონება ომის ყაიდაზე; რა ძალებითა და რა სამხედრო-პოლიტიკური გეგმების მეშვეობით ემზადებოდნენ ამერიკელები გამარჯვების მიღწევას. ასე, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთისთვის დახმარების გაწევის მიზნით, კონგრესმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინიციატივის საფუძველზე გააუქმა ემბარგო შეიარაღების გაყიდვაზე. ამის გარდა, კონგრესმა გაზარდა აშშ-ის ყველა სახის შეიარაღებული ძალების ბიუჯეტი 1940 წლის ფინანსურ წელიწადში.

მიუხედავად თავდაპირველი ნეიტრალიტეტისა, აშშ ფაშისტური აგრესიის მსხვერპლთა მხარეზე დადგა. საფრანგეთზე თავდასხმის შესახებ მუსოლინის განცხადების მერე, რუზველტმა დაგმო აგრესიული მოქმედებები და ღიად დაუჭირა მხარი მომავალ მოკავშირეებს (დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს). ეს მოხდა მისი გამოსვლის დროს ვირჯინიის უნივერსიტეტში გამართულ გამოსაშვებ საღამოზე. ამის შემდგომ შეიარაღებული ძალების ასიგნირება ორჯერ გაიზარდა და სამხედრო სამინისტრომ მიიღო უფლება დამატებით მიეღო შეიარაღებულ ძალებში 375 000 კაცი.

1940 წლის ივნისში კონგრესმა მიიღო დადგენილება საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ მშვიდობიანობის პერიოდში და აგვისტოს ბოლოს გაიწვია რეზერვისტები ნაციონალურ გვარდიაში.

საფრანგეთის დამარცხების შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური გარემოების შეფასებისას, ამერიკის ხელმძღვანელობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არა მარტო საფრანგეთის ტერიტორია და ფლოტი გადავიდოდნენ ღერძული ქვეყნების ხელში, არამედ "მთელი დიდი ბრიტანეთი, თუ არა მთელი ბრიტანეთის იმპერია, შეიძლება დაემხოს"[71]. აქედან გამომდინარეობდა აშშ-ის გეოსტრატეგია II მსოფლიო ომის საწყის პერიოდში, რომელიც წარდგენილ იქნა სამხედრო-საზღვაო ძალების და სახმელეთო ჯარების სარდლობების მიერ: სტრატეგიული მანევრირებადი თავდაცვა დასავლეთ ნახევარსფეროში მსხვილ მოკავშირეებზე ყოველგვარი დაყრდნობის გარეშე, და არანაირი მოვალეობა მოკავშირეების წინაშე აღმოსავლეთ ნახევარსფეროში. მაგრამ პრეზიდენტი რუზველტი არ დაეთანხმა სამხედროებს. ის ამტკიცებდა, რომ აშშ-მა უნდა გაითვალისწინოს, რომ დიდი ბრიტანეთი არ უნდა დამარცხებულიყო. ამ შემთხვევაში კი საერთო ნაციონალური სტრატეგია დაწყებულ ომში უნდა ითვალისწინებდეს ევროპელ მოკავშირეებთან ურთიერთქმედებას და მათთვის დახმარების გაწევას. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ წარმოაჩინა პრეზიდენტის მოსაზრების მართებულობა.

[71] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008. გვ. 54

ვიდალ დე ლა ბლაში – ფრანგული გეოპოლიტიკური სკოლის ფუძემდებელი

ვიდალ დე ლა ბლაში (1845-1918 წწ.) – სამართლიანად ითვლება საფრანგეთის გეოპოლიტიკური სკოლის ფუძემდებლად. იგი იყო ცნობილი გეოგრაფი და გეოპოლიტიკოსი, ჰუმანური გეოგრაფიის სკოლის კლასიკოსი და საფრანგეთის გეოპოლიტიკის კლასიკური სკოლის ლიდერი. მან დაამთავრა "ეკოლ ნორმალი" – პარიზის ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტი. გარდა ამისა, იგი ცოტა ხანი სწავლობდა ათენში მდებარე ფრანგულ სკოლაშიც. პედაგოგიური საქმიანობა მან დაიწყო ქ. ნანსის უნივერსიტეტში 1898წელს. შემდეგ იგი მიიპატიჟეს სორბონის უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრაზე, სადაც იგი იყო ამავე კათედრის გამგე სიცოცხლის ბოლომდე.

ფრანგული გეოპოლიტიკის ჩასახვა და განვითარება ხდებოდა ფრანკო-პრუსიული დაპირისპირების პირობებში (საფრანგეთმა წააგო ომი პრუსიასთან 1870-71 წწ.) შესაბამისად, საფრანგეთში გეოპოლიტიკური აზრი ვითარდებოდა როგორც გერმანული გეოპოლიტიკის ანტითეზა. ბლაშმა ჩამოაყალიბა თავისი თეორიები რატცელის და მისი მიმდევრების კრიტიკის საფუძველზე. სხვა ფრანგი გეოპოლიტიკოსებიც (ჟ. ანსელი, ა. დემაჟონი, ჟ. გოტმანი) სისტემატიურად აკრიტიკებდნენ გერმანელ გეოპოლიტიკოსებს ამ უკანასკნელთა მიერ ექსპანსიონიზმის, იმპერიალიზმის, პანგერმანიზმის და ერთი ერის მეორეზე გაბატონების იდეების გამართლების გამო.

პირველ გეოპოლიტიკურ ნაშრომში "საფრანგეთის გეოგრაფიის სურათი" (1903), ავტორი განიხილავდა ნიადაგის და ადამიანის ურთიერთობას. ფრანგი მეცნიერი აღნიშნავდა, რომ ქვეყნებში, სადაც ხალხი დასახლდა უხსოვარი დროიდან, ამ ურთიერთობებს გააჩნიათ მუდმივი, მყარი და უწყვეტი ხასიათი. ადამიანი ხდება ნიადაგის ერთგული მოსწავლე, ხოლო ნიადაგი თავის მხრივ განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის ხასიათზე, წეს-ჩვეულებებზე და ა.შ. ამგვარად, კულტურა ფორმირდება გეოგრაფიული ფაქტორის ზემოქმედების პირობებში და ამ საკითხის ფორმულირებისას ბლაში ეთანხმება რატცელს, მაგრამ მისივე აზრით, რატცელმა გადამეტებულად შეაფასა გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედება და სათანადოდ ვერ შეაფასა ადამიანის ფაქტორი. ადამიანიც, ბლაშის აზრით არის გეოგრაფიული ფაქტორი, მაგრამ მას თან გააჩნია ინიციატივა. მსგავს აზრს გამოთქვამდა სპენსერი, რომელიც ჰყოფდა ცხოველს (რომელიც კონკრეტულია) და ადამიანისაგან რადგანაც ამ უკანასკნელს გააჩნია ბუნებრივი თავისუფლება და მისი ქმედებები მხოლოდ ბუნების კანონებს არ ემორჩილება.

ბლაშის აზრით, კულტურა განვითარებულია განსაზღვრულ ნიადაგზე, და იგი არის ორმხრივი: სივრცითი და დროის მიმართულების განმსაზღვრელი (რატცელთან – გეოგრაფიული და ისტორიული)[72]. ამაში ბლაში ეთანხმება გერმანელ გეოპოლიტიკოსს, მაგრამ ამავე დროს კულტურის განვითარების დროის შემადგენელი, ანუ საზოგადოების ისტორია ირეკლება თვით ადამიანში. ბლაში თვლიდა, რომ კულტურის მთავარი დეტერმინანტები არიან სივრცე და რელიეფი და იგი ამტკიცებდა, რომ გერმანელი გეოპოლიტიკოსები ადამიანის თავისუფლების და ისტორიულობის სუბიექტურ ფაქტორს აკნინებდნენ. ამრიგად, მხოლოდ ადამიანის მეშვეობით მოქმედებს გეოგრაფიული დეტერმინიზმი; მხოლოდ ადამიანი ქმნის იმის ალბათობას, რომ გამოამჟღავნოს თავისი შესაძლებლობა გარე სფეროსთვის. ამ კონცეფციას უწოდეს "პოსიბილიზმი".

[72]Preston E. James & Geoffrey W. Martin. *After All Possible Worlds: A History of Geographical Ideas*, Second Edition, p.194

1917 წელს ბლაშმა გამოსცა ფუნდამენტალური ნაშრომი "აღმოსავლეთ საფრანგეთი", რომელშიც განიხილა ელზას-ლოტარინგიის პრობლემა (ევროპაში ყველაზე სადაო საკითხი). საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად (1870-71 წწ.) ეს მიწები საფრანგეთმა დაკარგა. ამ ტერიტორიაზე განთავსებული იყო ქვანახშირის და რკინის მადნის მნიშვნელოვანი მარაგები. დე ლა ბლაში ამტკიცებდა ელზას-ლოტარინგიის საფრანგეთისათვის ისტორიული კუთვნილების სამართლიანობას. მისი კონცეფციის მიხედვით, ამ ისტორიული ოლქების მოსახლეობა (მთელ ფრანგ ერთან ერთად) ლიბერალიზმის იდეების მეშვეობით დაკავშირებულია ფრანგულ ნიადაგთან. ლიბერალიზმის იდეებმა თავის დროზე განაპირობეს ელზასისა და ლოტარინგიის მიწების მოსახლეობისათვის გადაცემა, ყველასათვის დემოკრატიის, თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის პრინციპების დანერგვა. იმავე დროს, ელზას-ლოტარინგიის მიწების საფრანგეთისგან წართმევამ გერმანიის იმპერიის მიერ განაპირობა ის, რომ ამ პროვინციების მოსახლეობა ლაპარაკობს გერმანულად. ამავე დროს ბლაში აღნიშნავდა, რომ ეს მიწები ისტორიულად შედიოდა საფრანგეთის შემადგენლობაში და შესაძლებელია, რომ ისევ შევიდეს ამ ქვეყნის შემადგენლობაში (საბოლოოდ ასეც მოხდა). ამ "შეერთებას" შეეძლო მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ამოცანის ამოხსნა – საფრანგეთი-გერმანიის საზღვრის დადგენა ბუნებრივ ზღვარზე – მდ. რეინზე. ე. ი. გადასაწყვეტი იყო, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ელზასისა და ლოტარინგიის მოსახლეობის ინკორპორირება საფრანგეთის კულტურულ ცხოვრებაში. ბლაში სთავაზობდა ამ მიწების ერთობლივ ათვისებას გერმანელებისა და ფრანგების მიერ, ის თვლიდა, რომ საზღვარი უნდა ყოფილიყო არა გამყოფი, არანედ შემაერთებელი ხაზი.

მეცნიერის სიკვდილის შემდეგ, მისმა კოლეგამ ემანუელ დე მორტონმა (სორბონის პროფესორი) შეაგროვა და გამოსცა ბლაშის სტატიები და ჩანაწერები. წიგნში "ადამიანთა გეოგრაფიის პრინციპები" (1922).

ბლაშის აზრით, ადამიანთა გეოგრაფია ეს არის ბებერი ხის ერთ-ერთი შტო. ამ გეოგრაფიულ დისციპლინაში პირველ პლანზე წამოწეულია ადამიანის ფაქტორი, მისი მნიშვნელობა დედამიწაზე ცხოვრების განვითარებაზე. კაცობრიობის ევოლუციის საერთო სურათი წარმოდგენილია მასში როგორც მსოფლიო ცივილიზაციის პროცესი, რომელიც ლოკალიზირებულია სხვადასხვა უჯრედებში, რომლებიც შექმნილია სხვადასხვა გეოგრაფიული სფეროების ზემოქმედების შედეგად. უჯრედები ურთიერთმოქმედებენ განვითარების და გაფართოების დროს. ხანდახან ამ ურთიერთმოქმედებების გზით ეს უჯრედები აღწევდნენ თვისობრივ ტრანსფორმაციას – მსხვილი ცივილიზაციების შექმნას.

ცივილიზაციის პროცესი ძირითადად მიმდინარეობდა ჩრდილო ნახევარ სფეროში (ხმელთაშუა ზღვა, ახლო აღმოსავლეთი, ჩინეთი, ინდოეთი და ევროპა). ცივილიზაციური პროცესების მიმდინარეობის ცენტრის ევროპაში გადატანა განპირობებული იყო ბუნებრივი პირობებითა და ბუნებრივი ზონების მრავალფეროვნებით. ყველაფერმა ამან მოახდინა ცივილიზაციის უჯრედების მრავალსახეობის დეტერმინირება. ცივილიზაციათა რაოდენობის ზრდამ განაპირობა მათ შორის კონტაქტების რაოდენობის ზრდა. კონტაქტების შემდგომი გაფართოება (განსაკუთრებით სავაჭრო), იქცა სწრაფი განვითარების, ახალი ტერიტორიების (კოლონიების) ათვისების სტიმულად. შემდგომში ამ პროცესს შეიძლება მოვეყვანეთ მსოფლიო სახელმწიფოს შექმნისაკენ. ამავე დროს, კონტინენტალური სივრცეები, სადაც სულ უფრო და უფრო ვითარდება სატრანსპორტო კომუნიკაციები, გადალახავენ ზღვის პორტებისაგან დაშორების პრობლემას, ხოლო სავაჭრო ცენტრები აქტიურად ჩაერთვებოდნენ ცივილიზაციის პროცესში. დე ლა ბლაშის აზრით, საზღვაო ქვეყნებს არ შეეძლოთ ცხოვრება მხოლოდ ზღვით, რადგან ზღვა ნაპირთან არის დაკავშირებული. ამის გარდა, ღია ზღვა, საოკეანო აკვატორიები არ წარმოადგენენ რომელიმე ერთი ქვეყნის საკუთრებას (ზღვა საერთო მფლობელობაშია, ეს ჯერ კი რომაულ სამართალში იყო გაცხადებული). რაცელისგან განსხვავებით, ბლაში ამაში ხედავდა ხმელეთისა და ზღვის

კონტინენტალურ და საზღვაო ქვეყნებს შორის დაპირისპირების დაძლევის შესაძლებლობას (ხმელეთი და ზღვა, მისი აზრით იმდენად კი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, რამდენადაც ურთიერთმოქმედებენ).

თანამედროვე გეოპოლიტიკურ მდებარეობას (მდგომარეობას) ბლაში განსაზღვრავდა "პოზიციის პრინციპის" მეშვეობით, რომლიდანაც გამომდინარეობდა ის ფაქტი, რომ გერმანიას გააჩნდა ყველაზე სუსტი პოზიცია. გერმანია უნდა იყოს ბლოკირებული ორივე მხრიდან და როცა იგი ვერ მოძებნის გასასვლელს თავის გეოპოლიტიკური ენერგიის განსავითარებლად, მაშინ იგი გახდება საშიში მეზობელი ქვეყნებისათვის. სხვანაირი პოზიცია გააჩნდათ სხვა ქვეყნებს (დიდი ბრიტანეთი, რუსეთი და აშშ), რადგან მათ შეეძლოთ მოეხდინათ ექსპანსია მერიდიანულურ და განედურ მიმართულებებზე.

კლასიკური პერიოდის რუსული გეოპოლიტიკა

სემიონოვ ტიან-შანსკი

ვენიამინ სემიონოვ ტიან-შანსკი – გეოგრაფი და გეოპოლიტიკოსი გახლდათ ცნობილი გეოგრაფისა და მეზღვაურის, პეტრე სემიონოვ ტიან-შანსკის შვილი.

1893 წელს მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და მონაწილეობა მიიღო მრავალ გეოგრაფიულ ექსპედიციაში ციმბირში, ურალსა და კავკასიაში, მან ასევე მონაწილეობა მიიღო რუსეთის მოსახლეობის პირველ საყოველთაო აღწერაში (1897 წ.).

1900-1911 წლებში ტიან-შანსკის რედაქციით გამოვიდა ნაშრომი "ევროპული რუსეთის ვაჭრობა და მრეწველობა რაიონების მიხედვით", რომელიც 12 ტომად გამოიცა.

სემიონოვ ტიან-შანსკი იყო ავტორი მონოგრაფიისა "ევროპული რუსეთის ქალაქი და სოფელი" (1910), და "ევროპული რუსეთისა და კავკასიის ადგილმდებარეობის ტიპები" (1915), მასში იგი რიტერის მეთოდის შესაბამისად აკავშირებდა რუსეთის გეოგრაფიული ნაწილების რაიონირებას ამ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან, და ამით იგი ქმნიდა საფუძველს რუსეთის რეგიონალური გეოპოლიტიკისა.

როგორც გეოპოლიტიკოსმა, სემიონოვ ტიან-შანსკიმ აღიარება მოიპოვა მისი წიგნის "ტერიტორიული მფლობელობის ძალაუფლება რუსეთის მაგალითზე. პოლიტიკური გეოგრაფიის ნარკვევები" (1915 წ.) გამოცემის შედეგად. ნაშრომში მან, ავითარებდა რა ევროპელი პოლიტიკური გეოგრაფებისა და გეოპოლიტიკოსების მოსაზრებებს, პირველად გამოხატა იდეა ცოცხალი ორგანიზმებისა და დედამიწის სამი შრის კავშირის შესახებ, მან ასევე აღწერა ადამიანის დედამიწის ტერიტორიაზე განვითარების პროცესები წინაისტორიულ პერიოდში და ევროპელი ხალხების კოლონიზაციის პერიოდი უახლესი ისტორიის განმავლობაში. იკვლევდა რა ზღვის მნიშვნელობას კაცობრიობის ცივილიზაციის განმავლობაში, მან გამოყო "სამი ოკეანური ბუხტა" - ხმელთაშუა ზღვა, ჩინეთის ზღვა და კარიბის ზღვა, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებაში.

სემიონოვ ტიან-შანსკი გამოვიდა წინადადებით გაეყოთ რუსეთი დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად საზღვრით მდინარე ენისეიზე, შემდგომ მან გამოყო დასავლეთ ნაწილში ფინეთი, დასავლეთ, ჩრდილოეთ, ცენტრალური, და სამხრეთი რუსეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი ურალისპირეთი, რუსული უდაბნოები (თანამედროვე ყაზახეთი), რუსული თურქესტანი (თანამედროვე ცენტრალური აზია), ჩრდილო-დასავლეთი და დასავლეთი ციმბირი.

რუსმა მეცნიერმა თავის ნაშრომში წამოაყენა ე. წ. რკალისებრი სისტემის კონცეფცია, რომელიც მისი აზრით იქმნება შიდა ზღვების სანაპიროებზე, რომლებიც სხვადასხვა ტომთა მეტოქეობის შედეგად იპყრობა ერთი რომელიმე ხალხის მიერ და რომელიც შემდგომ იწყებს შეღწევას მატერიკის სიღრმეში (ძველი საბერძნეთი,

ძველი რომი). ის იქმნება დიდი სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა კონტინენტისა და კუნძულების სანაპიროების დაპყრობით, რაც ხორციელდება ისეთი ქვეყნის მიერ, რომელსაც მძლავრი ფლოტი გააჩნია (ესპანეთი, ჰოლანდია, ინგლისი). სწორედ რომ ფლოტი უწყობს ხელს რეგულარული კავშირების დამყარებას სხვადასხვა ტერიტორიებსა და სამფლობელოებს შორის. "ზღვიდან ზღვამდე" სისტემა, იქმნება მატერიკის შიდა სივრცეების ათვისების შემდეგ, რაც იძლევა ერთი სანაპიროდან მეორე სანაპირომდე კონტროლის დამყარების შესაძლებლობას (ძველი სპარსეთი, აშშ, სსრკ). ამ შემთხვევაში ტერიტორიის ათვისების მთავარ ამოცანად რჩება შიდა წყლებისა და სახმელეთო კომუნიკაციების მოწყობა.

ტიან-შანსკი ასევე აღნიშნავდა ბუფერული სახელმწიფოების როლს მსოფლიო პოლიტიკაში, მისი აზრით ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა ეკავა ავღანეთს XIX საუკუნეში, რომელიც წარმოადგენდა "ბუფერს" რუსეთსა და ინგლისს შორის, ხოლო XX საუკუნეში სსრკ იყო დაშორებული გერმანიისაგან რამდენიმე სახელმწიფოთი, კერძოდ ფინეთით, ესტონეთით, ლატვიით, ლიტვით, პოლონეთით, უნგრეთით და რუმინეთით.

თავის ნაშრომებში ტიან-შანსკიმ ყურადღება მიაქცია ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიცაა სახელმწიფოს გეოგრაფიული ცენტრისა და მოსახლეობის ცენტრის გადაადგილება. მაგალითად, რუსეთის ისტორიაში ორივე ცენტრის მოძრაობა მიმართული იყო აღმოსავლეთისაკენ. გარდა ამისა, მეცნიერმა გამოყო კაცობრიობის ტერიტორიული განფენილობის ტიპები, დააკავშირა რა ისინი ლანდშაფტებთან და დედამიწის მცენარეულობასთან.

პეტრე სავიცკი

პეტრე სივიცკი (1895-1968 წწ.) – ბევრი ექსპერტის აზრით არის პირველი რუსი მეცნიერი, რომელსაც, გეოპოლიტიკოსი შეიძლება ეწოდოს. მან მიიღო ეკონომიკური განათლება. პირველ მსოფლიო ომამდე ახლოს იყო კადეტებთან, ხოლო რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა ბულგარეთში, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ჩეხოსლოვაკიაში. 1921 წელს თავად ტრუბეცკოისთან ერთად იყო ევრაზიული მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. ამ მოძრაობაში გეოპოლიტიკური ფაქტორები ძირითად როლს თამაშობდნენ. სავიცკი ყველა სხვა ევრაზიელებისაგან განსხვავებით ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული გეოპოლიტიკური საკითხებით.

სავიცკის მსოფლმხედველობა, ისევე როგორც სხვა ევრაზიული სკოლის წარმომადგენლებისა, ჩამოყალიბებულ იქნა სლავოფილების – დანილევსკისა და, განსაკუთრებით, ლეონტიევის შრომების გავლენით. იგი წარმოადგენდა რევოლუციური სლავოფილობის ერთ-ერთ მიმდინარეობას, რომელიც დაკავშირებული იყო "ველიკორუსების" ისტორიული იდენტურობის განსაკუთრებულობის ძირითად იდეასთან, რომელიც არ დაიყვანება არც რელიგიურ, და არც ეთნიკურ რაობამდე. ამ საკითხში სლავოფილები ეთანხმებოდნენ კონსტანტინე ლეონტიევის მოსაზრებებს, ამ უკანასკნელმა თავის დროზე ჩამოაყალიბა უმნიშვნელოვანესი თეზისი "სლავობა არის, სლავიზმი არ არსებობს", ანუ "სლავი ხალხების ეთნიკური და ლინგვისტური სიახლოვე არ იძლევა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ მათ კულტურულ და თვისობრივ ერთობაზე"[73].

ევრაზიული მოძრაობა, ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით, საოცრად ახლოს იყო გერმანელ კონსერვატიულ რევოლუციონერებთან. ისევე როგორც კონსერვატიული რევოლუციონერები, ევრაზიელებიც ცდილობდნენ ფესვებისადმი ერთგულება მომავლისაკენ

[73] ა. დუგინი. "გეოპოლიტიკის საფუძვლები". 1998 წ. გვ. 83

შემოქმედებით წინსვლასთან დაეკავშირებინათ, ხოლო რუსული ეროვნული ტრადიციის სიმყარე შეეხამებინათ – სოციალურ მოდერნიზმთან, ტექნიკურ განვითარებასა და არატრადიციული ფორმების პოლიტიკასთან.

რუსეთი-ევრაზია

სავიცკის ძირითადი იდეის შესაბამისად, რუსეთი გვევლინება "შუაგულობის" თვისებით აღჭურვილ განსაკუთრებულ ცივილიზაციურ წარმონაქმნად. მის ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში აღნიშნულია შემდეგი: "რუსეთს უფრო მეტი საფუძველი აქვს იწოდებოდეს "შუამდებარე სახელმწიფოდ," ვიდრე ჩინეთს".[74]

რუსი მეცნიერის აზრით, თუკი გერმანიის "შუაგულობა" (Mittellage) მის გარშემო არსებული ევროპული ქვეყნებითაა შეზღუდული, ხოლო თვით ევროპა მხოლოდ ევრაზიის დასავლეთ განაპირა რეგიონს წარმოადგენს, სამაგიეროდ რუსეთს ევრაზიის კონტინენტის შუაგულში უკავია ცენტრალური პოზიცია.

რუსეთის "შუაგულობა', სივიცკისთვის, მისი ისტორიული იდენტურობის საფუძველს წარმოადგენს – იგი არ მიეკუთვნება არც ევროპას და არც აზიას, რადგანაც იგი დამოუკიდებელი სამყაროა, დამოუკიდებელი და განსკუთრებული სულიერ - ისტორიული გეოპოლიტიკური რეალობა, რომელსაც სავიცკი "ევრაზიას" უწოდებს.

სავიცკი ამტიცებს, რომ რუსეთ-ევრაზია წარმოადგენს მსოფლიო კულტურისა და ისტორიის სინთეზს. ამასთანავე, რუსეთის ბუნება საკუთარი კულტურის შექმნის თანამონაწილეა.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სავიცკის აზრით რუსეთი წარმოადგენს არა ეროვნულ სახელმწიფოს, არამედ ცივილიზაციის განსაკუთრებულ სახეს, რომელიც მოიცავს არიულ-სლავური კულტურის, თურქული მომთაბარეებისა და მართმადიდებლური ტრადიციის საფუძვლებს.

სავიცკი ველოკორუსებს არ აღიქვამს აღმოსავლეთელი სლავების ერთ-ერთ უბრალო განშტოებად, რადგანაც მისი აზრით რუსეთი არის განსაკუთრებული იმპერიული წარმონაქმნი, რომლებშიც ერთმანეთთანაა შეხამებული სლავური და თურქული კულტურები. მეცნიერის ამ მიდგომას მივყავართ მეტად მნიშვნელოვან განსაზღვრასთან – თურანთან.

თურანთან, როგორც პოზიტიურ ორიენტაციასთან დამოკიდებულებამ მეტად დიდი გაღიზიანება გამოიწვია რუსი ნაციონალისტების წრეებში, რადგანაც ამ კონცეფციის მიხედვით გამართლებული იყო მონღოლურ-თათრული უღელი, რომლის მეშვეობითაც "რუსეთმა შეიძინა საკუთარი გეოპოლიტიკური თვითმყოფადობა და შეინარჩუნა საკუთარი სულიერი დამოუკიდებლობა რომანულ-გერმანული სამყაროს აგრესიულობის მიუხედავად"[75]. თურქული სამყაროს მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების მიზანს წარმოადგენდა რუსეთ-ევრაზიის ევროპისა და მისი ბედისაგან ჩამოსაცილება, რათა ამით დამტკიცებული ყოფილიყო რუსების ეთნიკურობის განსაკუთრებულობა სხვა სლავ ერებთან შედარებით.

"თათრების გარეშე არ იქნებოდა რუსეთი" – სავიცკის ეს თეზისი სტატიიდან "სტეპი და ბინადარი ცხოვრება" ევრაზიულობის მთავარ ფორმულად იქცა. აქედან გამომდინარეობს წმინდა გეოპოლიტიკური მტკიცებულება:

"ვაღიაროთ: მსოფლიო ისტორიის მანძილზე ზღვის დასავლეთევროპულ აღქმას თანასწორად მხოლოდ პოლარულად საწინააღმდეგო უპირისპირდება-კონტინენტის მონღოლური აღქმა; ამავე დროს რუსების მიერ ახალი მიწების აღმოჩენებში, მათ დაპყრობებსა და ათვისებაში იგრძნობა იგივე სული, კონტინენტის იგივე აღქმა".[76]

---

[74]იქვე
[75]იქვე
[76] ა.დუგინი. "გეოპოლიტიკის საფუძვლები". გვ. 84

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს რუსული ლანდშაფტის შესახებ. რუსული ლანდშაფტის ფუნდამენტური გაორება – მისი დაყოფა ტყედ და სტეპად – ჯერ კიდევ სლავოფილების შრომებში იქნა აღნიშნული. სავიცკის კვლევებში რუსეთ-ევრაზიის გეოპოლიტიკური არსი წარმოდგენილია ორი რეალობის – ევროპული ტყისა და აზიური სტეპის სინთეზად. აქ საქმე გვაქვს გარკვეულ ორიგინალურ მთლიანობასთან.

საერთო ჯამში რუსეთ-ევრაზია მხოლოდ თურანთან არ არის გაიგივებული. იგი უფრო ვრცელ სივრცეს წარმოადგენს, სადაც წარმოჩენილია ევრაზიელების ისტორიული და სულიერი აღმატებულება ევროპასთან შედარებით მათში "მონღოლური სულის" არსებობის გამო.

ადგილმდებარეობა

სავიცკის ნაშრომებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს "ადგილგანვითარების" კონცეფციის განსაზღვრა. ამ ცნებაში წარმოჩენილია ევრაზიელთა "ორგანიციზმი", რომელიც წარმოადგენს გერმანული ორგანიციზმული სკოლის ანალოგს და ეწინააღმდეგება ანგლოსაქსი გეოპოლიტიკოსების მიდგომებს.

სავიცკის მიაჩნია რომ: "რუსეთ-ევრაზია არის "ადგილგანვითარება", "ერთი მთლიანობა", "გეოგრაფიული ინდივიდუუმი" – ერთდროულად გეოგრაფიული, ეთნიკური, სამეურნეო, ისტორიული და ა.შ. "ლანდშაფტი".

"ადგილგანვითარების" კონცეფციის განსაზღვრებით ევრაზიელებმა თავი აარიდეს ისტორიული ფენომენების ანალიტიკური ყოფის პოზიტივისტურ აუცილებლობას. "ადგილგანვითარების", "გეოგრაფიული ინდივიდუუმის" გამოყენება ევრაზიელებს საშუალებას აძლევდა ეროვნულ, რასობრივ, რელიგიურ, კულტურულ, ენობრივ, ინდივიდუალურ საკითხებში თავი დაეღწიათ ძალზე კონკრეტული რეცეპტებისგან. "ისტორიის გეოგრაფიული ღერძის" მაცხოვრებელთა მიერ ინტუიციურად შეგრძნობილმა გეოპოლიტიკურმა ერთობამ შეიძინა ახალი "სინთეზური" ენა, რომელიც არ დაიყვანებოდა დასავლური რაციონალიზმის შესაბამის ნაწილობრივ ანალიტიკურ კონცეფციამდე.

იდეოკრატია

სავიცკის თეორიის მნიშვნელოვან სფეროს "იდეოკრატიის" პრინციპი წარმოადგენს. სავიცკი ფიქრობდა, რომ ტიპიური ევრაზიული სახელმწიფო, საწყისი სულიერი იმპულსიდან მიმართულების განსაზღვრის შემდეგ, უნდა შენდებოდეს ზემოდან ქვემოთ.

იდეოკრატია სახელმწიფო მოწყობის საქმეში გულიხმობდა პრაგმატული, მატერიალური და კომერციული მსოფლმხედველობის მცირე ღირებულებას.

იდეოკრატია – ეს არის ტერმინი, რომელიც თავის თავში აერთიანებს არადემოკრატიულ, არალიბერალური მმართველობის ყველა ფორმას.

აქედან გამომდინარე, მისი შეხედულებები სრულ წინააღმდეგობაში მოდის მაკინდერის, მეჰენისა და სფაიქმენის დოქტრინებში ჩამოყალიბებულ პრაგრატულ-კომერციულ და ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებულ კონცეფციებთან.

ამგვარად, რუსი ევრაზიელების მიერ ნათლად იქნა განსაზღვრული ზღვისა და ხმელეთის ისტორიული წინააღმდეგობის ამსახველი იდეოლოგიური ტერმინები. ზღვა – ასოცირდება ლიბერალურ დემოკრატიასთან, კომერციასთან და პრაგმატიზმთან. ხმელეთი ამავე დროს გაიგივებულია იდეოკრატიასთან, "იერარქიულ მართვასთან", რომლისთვისაც უცხოა დემოკრატიული, ლიბერალური ნორმები.

თავი VII.
გეოპოლიტიკური სკოლები და თეორიები XX საუკუნის მეორე ნახევარში

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გეოპოლიტიკა ვითარდებოდა კლასიკური პერიოდის გეოპოლიტიკოსების თეორიების მიხედვით. ჰაუსჰოფერს და მისი სკოლის მიმდევრებს ახლდათ მესამე რაიხთან თანამშრომლობის ავბედითი აჩრდილი. ამ მეცნიერებს ისტორია "ფაშიზმში" დადანაშაულებისაგან

თავდასაღწევად, აიძულებდა ეპოვათ ალტერნატიული გზები. ამ მიზნით, მაგალითად ამერიკელმა ქოლინს გრეიმ გეოპოლიტიკის განსაზღვრისათვის ორი ტერმინის გამოყენება შემოგვთავაზა: ინგლისური "Geopolitics" და გერმანული "Geopolitik"[77]. პირველი ცნების მიხედვით განსაზღვრული უნდა ყოფილიყო ამ მოვლენის ანგლო-საქსური, პრაგმატული ვერსია, ე.ი. წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო იმ მეცნიერთა შრომები, რომლებშიც გამოყენებული იყო ლიბერალურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული მეჰენის, მაკინდერისა და სფიქმენის თეორიები, ხოლო გერმანული ტერმინის მიხედვით უნდა წარმოჩენილი ყოფილიყო "კონტინენტური ვარიანტი", ჰაუსჰოფერის სკოლის მემკვიდრეობა, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ "სულიერ", "მეტაფიზიკურ" ფაქტორებს.

XX საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ს ზესახელმწიფოდ გადაქცევამ და თალასოკრატიის საბოლოოო მსოფლიო ჰეგემონიის წინა ეტაპზე გამოსვლამ, ამერიკელი გეოპოლიტიკოსების წინაშე ახალი მიზნები და ამოცანები დააყენა.

თუ ამერიკელ, ატლანტისტ მეცნიერებს დავეყრდნობით, "ცივი ომის" პერიოდში არსებობდა მოვლენათა განვითარების ორი პრინციპული ვარიანტი: 1) აღმოსავლეთთან გეოპოლიტიკურ დუელში დასავლეთის საბოლოო გამარჯვება და 2) ორი იდეოლოგიური ბანაკის ერთიანი კონვერგენცია და მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბება (ამ მოდელმა მიიღო "მონდიალიზმის" სახელწოდება-ფრანგული სიტყვიდან "Monde", მსოფლიო). ორივე შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენდა ცივილიზაციათა ისტორიის ასეთი შესაძლო დასასრულის ახალი გეოპოლიტიკური გააზრება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ ბიძგი მისცა გეოპოლიტიკის განსაკუთრებულ მიმართულებას – "მონდიალიზმის გეოპოლიტიკას". ამ თეორიამ "ახალი მსოფლიო წესრიგის" დოქტრინის სახელწოდებაც მიიღო. მისი დამუშავება ამერიკელი გეოპოლიტიკოსების მიერ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. პირველად, ოფიციალურად ამ დოქტრინის შესახებ გაცხადებულ იქნა აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ 1991 წელს სპარსეთის ყურეში მიმდინარე საომარი მოქმედებების პერიოდში[78].

მას შემდეგ, რაც ევროპულმა სახელმწიფოებმა XX ს. მეორე ნახევარში დაკარგეს ზესახელმწიფოების სტატუსი, დამოუკიდებელი ევროპული გეოპოლიტიკა პრაქტიკულად არ არსებობდა. ვითარება გარკვეულწილად იცვლება 1959-1968 წლებში, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი იყო "კონტინენტალისტი" შარლ დე გოლი. 1963 წლიდან დე გოლმა აშკარად ანტიატლანტისტური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, რომლის შედეგი გახლდათ საფრანგეთ-გერმანიის 1963 წლის ხელშეკრულება და საფრანგეთის გამოსვლა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო კომიტეტიდან 1966 წელს, რაც წარმოადგენდა საკუთარი გეოპოლიტიკური სტრატეგიის შემუშავების მცდელობას ევროპის ამ ქვეყნის მიერ. ამავე დროს, თავისი ანტიატლანტისტური მიზნების განსახორციელებლად საჭირო გახდა შიდაკონტინენტური ფრანგულ-გერმანული თანამშრომლობისა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობათა გაუმჯობესება. ამ დროს ჩამოყალიბდა გოლის ცნობილი თეზისი – "ევროპა ატლანტიდან ურალამდე"[79]. ასეთი ევროპა ექსპერტთა მიერ მოიაზრებოდა სუვერენულ, სტრატეგიულად კონტინენტურ წარმონაქმნად – სრულიად ზომიერი "ევროპული კონტინენტურობის სახით".

70-იანი წლების დასაწყისში, როდესაც აშშ-ში გეოპოლიტიკურმა კვლევებმა მეტად პოპულარული სახე მიიღო, ევროპელი პოლიტოლოგებიც ეტაპობრივად ჩაერთვნენ აღნიშნულ პროცესში, მაგრამ მათი კვლევათა აბსოლუტური უმრავლესობა რადიკალურად განსხვავდებოდა ომამდელ არსებულ გეოპოლიტიკურ

[77] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი. 2008. გვ. 59

[78] http://en.wikipedia.org/wiki/New_World_Order

[79]Fondation Charles de Gaulle". http://www.charles-de-gaulle.org/pages/l-homme/accueil/biographie/1940-1944-la-france-libre-et-la-france-combattante.php. Retrieved 2009-09-10

სკოლასთან. ბევრი ევროპელი მეცნიერი იმ პერიოდში მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ნატოში, გაეროში, და ა.შ. სადაც ისინი დაკავებულნი იყვნენ გამოყენებითი გეოპოლიტიკური კვლევებით, რაც თავისთავად უარყოფდა "დიდი გეოპოლიტიკური სივრცის" ცნებას და შესაბამისად ევროპელები არ ცდებოდნენ ვიწრო, რეგიონალურ დონეზე არსებული საკითხების ჩარჩოებს. აღნიშნული კვლევები თანდათანობით გადაიქცა ერთგვარ დამოუკიდებელ "რეგიონულ გეოპოლიტიკად". ამ მიმართულლებამ ფართო განვითარება ჰპოვა საფრანგეთში (ჟურნალ "ჰეროდოტეს" გამომცემელი ივ ლაკოსტას სკოლა). "რეგიონული გეოპოლიტიკა" მაკინდერის, მეჰენის თუ ჰაუსჰოფერის გლობალური სქემების განზოგადების შედეგია, რომელშიც ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული მსოფლიო დუალიზმის საკითხებზე და გეოპოლიტიკურ მეთოდები გამოყენებულია მხოლოდ ეროვნებათშორისი და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების, დემოგრაფიული პროცესებისა და და, აგრეთვე "პოლიტიკური არჩევნების გეოპოლიტიკის" აღსაწერად.

გეოპოლიტიკის ერთადერთი უწყვეტი ტრადიცია, რომელიც ომამდელი ხანიდან განაგრძობდა ევროპაში ფუნქციონირებას, წარმოადგენდა პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყული ჯგუფების მონაპოვარს, რომლებსაც ამა თუ იმ დონეზე გააჩნდათ გარკვეული კავშირები ომის შემდგომ ნაციონალისტურ პარტიებთან თუ მოძრაობებთან. ამ ვიწრო წრეებში ვითარდებოდა ჰაუსჰოფერისა და სხვათა სკოლის "კონტინენტალიზმთან" დაკავშირებული გეოპოლიტიკური იდეები. მოგვიანებით ამ მოძრაობამ ევროპელი "ახალი მემარჯვენეების" სახელწოდება შეიძინა. დიდი ხნის განმავლობაში სამეცნიერო საზოგადოებები მათ აზრებს უბრალოდ უგულებელყოფდნენ, რადგანაც "ახალი მემარჯვენეების" იდეებს ისინი "ფაშიზმის გადმონაშთებად" აღიქვამდნენ.

მხოლოდ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, ძირითადად ფრანგი ფილოსოფოსის ალენ დე ბენუას სამეცნიერო და ჟურნალისტურ საქმიანობაზე დაყრდნობით, სერიოზულმა სამეცნიერო წრეებმა დაიწყეს ამ მიმართულების საფუძვლიანი ანალიზი. ევროპელი "ახალი მემარჯვენეების" ინტელექტუალური ჯგუფების სახელისუფლო სტრუქტურებთან მნიშვნელოვანი სიშორისა და "დისიდენტობის" მიუხედავად, მათ შრომებს წმინდა თეორიული თვალსაზრისით გეოპოლიტიკაში თავისი მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება.

რაც შეეხება პოსტ-საბჭოთა სივრცეს, გეოპოლიტიკა როგორც მეცნიერების დარგი, საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. იგი საბჭოთა ხელისუფლების მიერ ოფიციალურად იყო აღიარებული "ფაშისტურ" და "ბურჟუაზიულ" ფსევდომეცნიერებად. ამავე დროს სსრკ-ში, მათ შორის საქართველოში, გეოპოლიტიკის ფუნქციებს რამდენიმე დისციპლინა ასრულებდა – სტრატეგია, სამხედრო გეოგრაფია, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, პოლიტიკური გეოგრაფია, ეთნოგრაფია და ა. შ. გეოპოლიტიკა თავის მხრივ ვითარდებოდა მხოლოდ და მხოლოდ დისიდენტურ წრეებში. ამ თვალსაზრისით აღნიშნული მიმართულების ძირითადი წარმომადგენელი იყო ისტორიკოსი ლევ გუმილიოვი, მიუხედავად იმისა, რომ მას თავის შრომებში არასდროს გამოუყენებია ტერმინები "გეოპოლიტიკა" და "ევრაზიულობა".

ვარშავის ხელშეკრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების სამეცნიერო წრეებში გეოპოლიტიკა კვლავ აქტუალური გახდა. იდეოლოგიური ცენზურის გაუქმებამ ბოლოსდაბოლოს შესაძლებელი გახადა საგნებს თავისი სახელი დარქმეოდათ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 90-იანი წლების დასაწყისიდან გეოპოლიტიკის სწავლება საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში იწყება. 1997 წელს გამოვიდა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგის, ა. გეგეშიძის წიგნი – "გეოპოლიტიკა", ხოლო 1999 წელს ქართულ ენაზე ითარგმნა რუსი მეცნიერის ა. დუგინის წიგნი "გეოპოლიტიკის საფუძვლები".

თანამედროვე ატლანტიზმის თეორიები

1945 წლის შემდეგ ამერიკული, წმინდა ატლანტისტური გეოპოლიტიკური მიმართულების განვითარება ეფუძნებოდა ნიკოლას სფაიქმენის სამეცნიერო კვლევებს. ისევე, როგორც თავის დროზე ამ უკანასკნელმა დაიწყო თავისი კონცეფციების წარმოდგენა მაკინდერის თეორიების შესწორებით, ასევე სფაიქმენის ამერიკელი მიმდევრები, ძირითადად მის შეხედულებებს უკეთებდნენ შესწორებას.

1956 წელს გეოპოლიტიკოს მეინინგის მიერ გამოქვეყნებულ იქნა ნაშრომი, "ჰართლენდი" და "რიმლენდი" ევრაზიის ისტორიაში. თავის კვლევაში მეინინგმა აღნიშნა, რომ: „გეოპოლიტიკურ კრიტერიუმებში განსაკუთრებით უნდა იყოს გათვალისწინებული არა მხოლოდ ტერიტორიის წმინდა გეოგრაფიული ურთიერთდამოკიდებულება ხმელეთისა და ზღვის მიმართ, არამედ მოსახლეობისა და სახელმწიფოს ფუნქციური ორიენტაცია."[80] ამ სიტყვებში აშკარად იგრძნობა ვიდალ დე ლა ბლაშის გავლენა.

მეინინგი ამტკიცებდა, რომ ევრაზიის "რიმლენდის" მთელი სივრცე პოლიტიკური, ეთნიკური და კულტურული ორიენტაციის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფოდა:

"ჩინეთი, მონღოლეთი, ჩრდილოეთ ვიეტნამი, ბანგლადეში, ავღანეთი, აღმოსავლეთ ევროპა, ბალტიისპირეთი, კარელია ორგანულად ჰართლენდისკენ მიდრეკილების მქონე სივრცეებია.

სამხრეთ კორეა, ბირმა, ინდოეთი, ერაყი, სირია – გეოპოლიტიკურად ნეიტრალურნი არიან.

დასავლეთ ევროპა, საბერძნეთი, თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ტაილანდი – თალასოკრატიული ბლოკისაკენ იხრებიან"[81].

1965 წელს სფაიქმენის მეორე მიმდევრის, უ. კირკის მიერ გამოცემულ იქნა წიგნი, რომელსაც მაკინდერის ცნობილი სტატიის შესაბამისად ეწოდა "ისტორიის გეოგრაფიული ღერძი". თავის ნაშრომში კირკმა განავითარა სფაიქმენის თეზისი გეოპოლიტიკურ ძალთა წონასწორობის დამყარების საქმეში რიმლენდის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. მან გამოიყენა მეინინგის ანალიტიკური ნაშრომები, და "სანაპირო ზონები" დაყო "თელულოკრატიულ" და "თალასოკრატიული" მიმართულების მქონე ტერიტორიებად და ამ მონაცემებზე დაყდნობით შექმნა ისტორიული მოდელი. მისი აზრით, მსოფლიო ისტორიაში მთავარ როლს ასრულებენ სანაპირო ცივილიზაციები, საიდანაც კულტურული იმპულსები, სხვადასხვა მასშტაბით აღწევს კონტინენტის შიგნით. მეცნიერის აზრით, ყველაზე აქტიურად პროცესები ვითარდებოდა და ვითარდება "შიდა ნახევარმთვარის" იმ სექტორებში, რომლებიც მეინინგის აზრით "თალასოკრატიისკენ არიან მიმართულნი".

კიდევ ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა, სოლ კოენმა გამოაქვეყნა წიგნი "გაყოფილი მსოფლიოს გეოგრაფია და პოლიტიკა", სადაც მეცნიერის მიერ გეოპოლიტიკური კვლევის მეთოდისათვის ჩამოყალიბებულ იქნა დამატებითი კლასიფიკაცია, რომლის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენდა ძირითადი გეოპოლიტიკური რეალობების ბირთვად (Nucleus) და "დისკონტინურ სარტყელად" დაყოფა. მისი აზრით, აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით შესაძლებელია მსოფლიოს თითოეული კონკრეტული რეგიონის ოთხ გეოპოლიტიკურ ნაწილად დაყოფა:

1. "საგარეო საზღვაო (წყლის) გარემო, რომელიც დამოკიდებულია სავაჭრო ფლოტსა და პორტებზე;

[80] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი. 2008. გვ.60

[81] იქვე

2. კონტინენტური ბირთვი (Nucleus), იგივე "Hinterland" (გეოპოლიტიკური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს "სანაპიროებიდან დაშორებულ რეგიონებს");
3. დისკონტინენტური სარტყელი (სანაპირო სექტორები, რომლებიც მიმართულნი არიან კონტინენტის შიგნით და მის გარეთ);
4. რეგიონები, რომლებიც გეოპოლიტიკურად დამოუკიდებელნი არიან ამ ანსამბლისაგან".[82]

"დისკონტინენტური სარტყლების" კონცეფცია შემდგომში გამოყენებულ იქნა ისეთი ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის მიერ, როგორიცაა ჰენრი კისინჯერი. მისი აზრით, აშშ-ს პოლიტიკური სტრატეგია "დისკონტინენტურ" სანაპირო ზონებთან დაკავშირებით განისაზღვრებოდა იმით, რომ ერთად ყოფილიყო შეკრული ამ ზონების ყველა ნაწილი და ამ ტაქტიკის განხორციელების შედეგად ყოფილიყო უზრუნველყოფილი ატლანტიზმის სრული კონტროლი საბჭოთა ევრაზიაზე. ამ დოქტრინამ მიიღო "Linkage"-ის სახელწოდება (ინგლისური "Link"-დან "კავშირი", "რგოლი"). "ანაკონდის" სტრატეგიის ბოლომდე წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი იყო განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულიყო ევრაზიის იმ "სანაპირო სექტორებზე", რომლებიც ან იყვნენ პოლიტიკურად ნეიტრალურნი, ან გააჩნდათ კონტინენტალური მიმართულება. "ცივი ომის" პერიოდში ეს პოლიტიკა პრაქტიკულად ხორციელდებოდა ვიეტნამში აშშ-ის შეიარაღებული ძალების საომარ მოქმედებებში ჩართვის, ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობების გაუმჯობესების, ირანის პროამერიკული რეჟიმის და ა. შ. საშუალებით.

ატლანტისტური სკოლის კიდევ ერთი წარმომადგენელი ამერიკელი ქოლინ გრეი თავის წიგნში "ბირთვული ხანის გეოპოლიტიკა" საფუძვლიანად აანალიზებს აშშ-სა და ნატოს სამხედრო სტრატეგიას. მან აღნიშნა, რომ მსოფლიოში ბირთვული ობიექტების ადგილმდებარეობას განსაზღვრავდა რეგიონების გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური ფაქტორები.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ატლანტისტური მიმართულების გეოპოლიტიკურ სკოლაზე საუბრისას, ინტერესმოკლებული არ იქნება უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ორი ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწისა და მეცნიერის – ზბიგნევ ბჟეჟინსკისა და ჰენრი კისინჯერის მოღვაწეობა და მათი ნაშრომები.

ზბიგნევ ბჟეჟინსკი

ზბიგნევ ბჟეჟინსკი-გამოჩენილი ამერიკელი პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და გეოპოლიტიკის საკითხების სპეციალისტი, დაიბადა ვარშავაში. მან თავისი განათლება მიიღო მაკგილის (კანადა) და ჰარვარდის უნივერსიტეტებში. 1950-1970 წლებში იგი ასწავლიდა და ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ჰარვარდისა (რუსეთის კვლევების ცენტრში, 1953-1960 წწ.) და კოლუმბიის უნივერსიტეტებში. 1973-1976 წწ. იგი იყო სამმხრივი კომისიის დირექტორი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოს ეკონომიკური ინტეგრაცია, მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბება და მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რაც შემდგომში გლობალიზაციის სახელით იქნა ცნობილი.

1977-1978 წლებში, პრეზიდენტ კარტერის მმართველობის დროს ბჟეჟინსკის ეკავა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩევლის თანამდებობა. იგი მონაწილეობდა ე.წ. "კარტერის დოქტრინის" ფორმირებაში, რომლის მიხედვითაც სპარსეთის ყურე აშშ-ის სასიცოცხლო მნიშვნელობის ზონად იქნა გამოცხადებული.

დღევანდელ დღეს ზ. ბჟეჟინსკი არის კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტთან არსებული ნიტცეს სკოლის - თანამედროვე

[82] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008. გვ. 61

საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის მიმართულების მრჩეველი. იგი არის მრავალი გეოპოლიტიკური და პოლიტოლოგიური ნაშრომების ავტორი, მათ შორის "საბჭოთა ბლოკი: ერთობა და კონფლიქტი" (1960), "ორ საუკუნეს შორის: ამერიკის როლი ტექნოტრონულ ერაში"(1970), "ძალაუფლება და პრინციპი"(1983), "თამაშის გეგმა"(1986), "კომუნიზმის დაბადება და სიკვდილი XX საუკუნეში" (1989). რაც შეეხება ამერიკელი მეცნიერის სტატიებს, მათ შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სტატიას "ამერიკის ახალი გეოსტრატეგია", რომელიც 1988 წელს გამოქვეყნდა ცნობილ ამერიკულ ჟურნალში "Foreign Affairs", და რომელიც მიეძღვნა ამერიკის როლის შეფასებას თანამედროვე მსოფლიოში. მეცნიერის ეს სტატია წარმოადგენდა გარკვეულ გამოძახილს იმ დისკუსიის გარშემო, რომელიც მიმდინარეობდა აშშ-ის მსოფლიო პოლიტიკაში როლის შემცირებასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იყო შესაძლებელი ამ პროცესის თავიდან აცილება. ამასთანავე მთავარი პოლემიკა წარიმართა სამი კომპლექსური პრობლემის გარშემო: პირველ რიგში, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინის არსებითობა და მისი დახასიათება; მეორე, ეროვნული სტრატეგიის მიმართულება და მისი მნიშვნელობა, რაც ნიშნავს, აშშ-ის რეგიონალურ კონფლიქტებში ჩართვის დონეს; მესამე, ამერიკის გავლენა მსოფლიოში, და ნაწილობრივ საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაციაზე. ბჟეჟინსკი თანმიმდევრულად აანალიზებდა ზემოაღნიშნულ პრობლემებს, რომელთაგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს – აშშ-ის სტრატეგიული დოქტრინის ტრანსფორმაცია და გეოპოლიტიკური რეალობების ახალი გაგება.

შემდეგ სტატიას, რომელიც დაწერილ იქნა ბჟეჟინსკის მიერ 1989 წელს, სპეციალურად მოსკოვური ჟურნალისათვის "მეუდუნაროდნაია ჟიზნ", გააჩნდა მეტად საინტერესო სათაური - "დამთავრდა კი "ცივი ომი?" მასში იყო მცდელობა გაანალიზებულიყო მსოფლიოში არსებული ახალი რეალობა "ცივი ომის" შემდეგ და მსოფლიოში ამერიკული გეოპოლიტიკისათვის ახალი ფორმულების მოძებნა.

ამ თემატიკის განვითარებისას, ზ. ბჟეჟინსკიმ გამოაქვეყნა წიგნი "დიდი საჭადრაკო დაფა" (1997).

"დიდ საჭადრაკო დაფაში" წიგნის ავტორი აცნობიერებს ევრაზიას, როგორც კონტინენტს, სადაც თამაშდება პარტია, რომლის გამარჯვებული მოიპოვებს დომინირებას მსოფლიოში. ბჟეჟინსკის მიხედვით, პარტია უკვე გათამაშდა და გამარჯვებული ცნობილია – ეს არის აშშ. "ჰეგემონია ბებერია ისევე როგორც ჩვენი მსოფლიო. ამავე დროს ამერიკული მსოფლიო ჰეგემონია გამოირჩევა მისი განმტკიცების მეტად სწრაფი ტემპით, თავისი გლობალური მასშტაბებით და არსებობის შესაძლებლობებით".[83] ეს მდგომარეობა არგუმენტირებულია ავტორის მიერ ოთხი იმპერიის – რომის, ჩინეთის, მონღოლეთისა და ბრიტანეთის მაგალითზე. ასევე ავტორი მეტად საინტერესოდ აანალიზებს რუსეთის გეოპოლიტიკურ როლს თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც მას წარმოუდგება როგორც "შავი ხვრელი", რომელიც დარჩა სსრკ-ის დაშლის შემდეგ. რუსეთს, ბჟეჟინსკის აზრით, არ გააჩნია განსაზღვრული და გამოკვეთილი გეოსტრატეგია რადგან, ამ ქვეყნის მემარცხენე და მემარჯვენე ტიპის გეოპოლიტიკოსები განიხილავენ ხან საბჭოთა, ხან მეფის რუსეთის ტიპის იმპერიის აღდგენის მოდელს, ხან სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის იდეას ჩინეთთან, და შესაძლოა ირანთან, რომელიც მიმართულია დასავლეთისა და აშშ-ის წინააღმდეგ. თანამედროვე რუსეთის მომავალი, როგორც გადმოქვცემს ცნობილი ამერიკელი გეოპოლიტიკოსი, ფოკუსირებულ უნდა იქნეს სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასა და თანამშრომლობაზე, პირველ რიგში ევროპასთან.

---

[83] *The Grand Chessboard: American Primacy and Its Geostrategic Imperatives*, New York: Basic Books (October 1997), ISBN 0-465-02726-1. P. 36

ამერიკელთა უპირატესობას, ბუეჟინსკის აზრით, განსაზღვრავს ახალი საერთაშორისო წესრიგი, რომელსაც გააჩნია მსოფლიო მასშტაბით ამერიკული სისტემის დამახასიათებელი ნიშნები. ამ სისტემის ძირითადი მახასიათებლები გახლავთ შემდეგი ფაქტორები:

- კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა (მათ შორის ნატო, აშშ-იაპონიის შეთანხმება კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ და ა.შ.);
- რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობა (მაგალითად NAFTA, APEC, ევროპის კავშირი) და სპეციალიზირებული გლობალური ორგანიზაციები (მსოფლიო ბანკი, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი);
- ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცედურები აშშ-ის დომინირებადი როლის გათვალისწინებით;
- საერთაშორისო სამართლის სისტემა (საერთაშორისო სასამართლო, სპეციალიზირებული ტრიბუნალი სამხედრო დანაშაულობების საკითხებზე და სხვ.).

ამერიკელი გეოპოლიტიკოსი გვაძლევს ახალ გეოსტრატეგიულ ერაში სახელმწიფოს სიძლიერის ახალ განსაზღვრას. მისი აზრით, ახალ ერაში მნიშვნელოვნად ეცემა ტერიტორიალური ფაქტორის როლი და იზრდება სხვა შემადგენლების როლი, კერძოდ: ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო და პოლიტიკური და ა. შ.

მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ბუეჟინსკი ყოფს აქტიურ გეოსტრატეგიულ მოქმედ მოთამაშეებად (საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ჩინეთი), გეოპოლიტიკურ ცენტრებად-ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მაგრამ არა აქტიურ ქვეყნებად (უკრაინა, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი, სამხრეთ კორეა) და სხვა დანარჩენები. ამ გეოპოლიტიკური იერარქიის სათავეში დგას აშშ. ასეთი გეოპოლიტიკური სტატუსიდან გამომდინარეობს ამერიკული გეოსტრატეგიის მიზნებიც: თავისი სტრატეგიული ბატონობის მდგომარეობის განმტკიცება; ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნა, რომელიც აძლიერებს შექმნილ გეოპოლიტიკურ სტატუს-ქვოს.

ჰენრი კისინჯერი

ჰენრი კისინჯერი-გამოჩენილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე, პოლიტოლოგი, გეოპოლიტიკოსი და გეოსტრატეგი, დაიბადა 1923 წელს გერმანულ ქალაქ ფიურტში, რომელიც მდებარეობს ბავარიაში, ქალაქ ნიურბერგის სიახლოვეს. გერმანიისათვის ეს პერიოდი გახლდათ ეკონომიკურად რთული, პოლიტიკურად დაძაბული პერიოდი. ჰენრის მშობლები იყვნენ საშუალო კლასის კანონმორჩილი ებრაელების ტიპიური წარმომადგენლები, რომლებიც ნაცისტური საფრთხის არსებობის გამო 1938 წელს საცხოვრებლად გადავიდნენ აშშ-ში. თხუთმეტი წლის ჰენრიმ სწრაფად აითვისა ახალი სოციალური გარემო, მან წარჩინებით დაამთავრა ნიუ-იორკის სიტი-კოლეჯი (1943) და შემდგომ გაწვეულ იქნა ამერიკულ არმიაში. მან თავისი სამხედრო სამსახური გაიარა ევროპაში, ჯერ თარჯიმნის, ხოლო შემდგომ დაზვერვის ოფიცრის რანგში. მხოლოდ 1947 წელს, სამხედრო მოქმედებების დასრულებიდან ორი წლის შემდეგ კისინჯერი გავიდა თადარიგში და დაბრუნდა აშშ-ში.

კისინჯერის აკადემიური კარიერა მეტად წარმატებული გამოდგა. იგი ასწავლიდა ჰარვარდის უნივერსიტეტში, სადაც მან მიიღო სახელმწიფოს მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორის წოდება (1957 წ.). თავის შეფასებებში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, კისინჯერი მხარს

უჭერდა “რეალისტების” ხაზს, რომლებიც “იდეალისტებისაგან” განსხვავებით გამოდიოდნენ ბევრად უფრო პრაგმატული და თანამედროვე სიტუაციასთან დაახლოებული პოლიტიკური კურსის მომხრეებად.

კისინჯერი დიდ პოლიტიკაში აღმოჩნდა მას შემდეგ, როდესაც მან მიიღო რესპუბლიკელი პრეზიდენტის, რიჩარდ ნიქსონის წინადადება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველის პოსტის დაკავების შესახებ (1968 წ.). ამ თანამდებობაზე ყოფნისას, კისინჯერმა კონცენტრირება მოახდინა საგარეო პოლიტიკის პრობლემებზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემებით ნიქსონის ადმინისტრაციაში დაკავებული იყო მეტად ავტორიტეტული სახელმწიფო მდივანი – უილიამ როჯერსი. კისინჯერი გამოვიდა “განმუხტვის პოლიტიკის” ერთ-ერთ ინიციატორად, რომელიც მიზნად ისახავდა მუდმივი დიალოგის დამყარებას სსრკ-სა და ჩინეთთან, საერთაშორისო კლიმატის შერბილებისა და ლოკალური კონფლიქტების შეწყვეტას, რომელთა ძირითად მიზეზს წარმოადგენდა აშშ-სა და სსრკ-ის შორის იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირების არსებობა. ასევე, ამერიკელი პოლიტიკოსი მომხრე იყო სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირებისა და ამ გზით რეალური ბირთვული საფრთხის აცილების მომხრე. ამ სტრატეგიის მთავარ ამოცანად იქცა ამერიკული და საბჭოთა სტრატეგიული შეიარაღების შემცირება, ვიეტნამის კონფლიქტის შეჩერება და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაწყვეტა. რეალურ პრაქტიკაში ამ სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფდნენ ახალი დიპლომატიური საშუალებებიც: “ცხელი ხაზი”-კავშირი თეთრ სახლსა და კრემლს შორის, “საიდუმლო დიპლომატია”, ანუ პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებები.

თავისი კარიერის განმავლობაში, კისინჯერმა მოახერხა ხელი შეეწყო ბრეჟნევსა და ნიქსონს შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ხელშეკრულების ხელმოწერაში, იგი ასევე მონაწილეობდა პალესტინა-ისრაელის ორი კონფლიქტის (1967 და 1973 წწ.) “ჩაქრობაში”, მიაღწია ვიეტნამში სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისათვის ხელმოწერას, რისთვისაც სამხრეთ ვიეტნამის პრეზიდენტ ლე დუ ჰოსთან ერთად მიიღო ნობელის პრემია მშვიდობის დარგში (1973 წ.). ეს გახლდათ მისი პოლიტიკური კარიერის პიკი.

უკვე 1973 წელს, აშშ-ის პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, რომელიც იძულებული იყო გადამდგარიყო თანამდებობიდან “უოტერგეიტის საქმის” გამო, პრეზიდენტის პოსტზე შეცვალა ჯ. ფორდმა. ამის შემდეგ კისინჯერი დაადანაშაულეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ხელშეკრულების არასრულყოფილების გამო, და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების პროცესში მეტისმეტ “სირბილეში”. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ვიეტნამის ჯარების საერთო შეტევის დროს აღებულ იქნა საიგონი და გამოცხადებულ იქნა სამხრეთი და ჩრდილოეთი ვიეტნამის გაერთიანება სოციალისტური კონსტიტუციის საფუძველზე (1975 წ.).

კისინჯერმა დატოვა თეთრი სახლი ფორდის ადმინისტრაციასთან ერთად და დაუბრუნდა თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას, ამჯერად – ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში. იგი ხშირად გამოდიოდა ტელევიზიით და აკეთებდა კომენტარებს საერთაშორისო პოლიტიკისა და გეოპოლიტიკურ პრობლემებთან დაკავშირებით. ამის გარდა, მან შექმნა ავტორიტეტული კონსალტინგური კომპანია “კისინჯერ ასოსიეიტს”.

1997 წელს გამოვიდა ჰენრი კისინჯერის წიგნი “დიპლომატიის ისტორია”, რომელმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. წიგნში, სხვადასხვა ისტორიულ პროცესში განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად კისინჯერი აანალიზებს ცივი ომის დასრულების შემდეგ არსებულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, მის მიერ წამოყენებულ იქნა თეზისი კომუნიზმზე ლიბერალური დემოკრატიის მორალური გამარჯვების შესახებ. საერთაშორისო თანამეგობრობის შემდგომ განვითარებას კისინჯერი ხედავს დემოკრატიული ზონების გაფართოებაში და იმ ქვეყანათა რიცხოვნობის ზრდაში, რომლებიც

ეყრდნობიან საბაზრო ეკონომიკას. ამავე დროს, კისინჯერი შორსაა გეოპოლიტიკის იდეალისტურ, ანუ წმინდა მორალური გაგებისაგან, განსხვავებით ვ. ვილსონისა და ბ. ქლინტონისაგან. იგი არ არის დაავადებული ცივ ომში გამარჯვების ეიფორიით და როგორც წმინდა რეალისტი, ხედავს მომავალ მსოფლიოს როგორც არა "ერთპოლუსიანს" ამერიკის მეთაურობით. თუმცა, მისი აზრით აშშ რჩება "პირველ სახელმწიფოდ სხვა დიდ სახელმწიფოთა შორის." ამავე დროს, მას მიაჩნია, რომ არსებობს 5-6 "სიმძიმის ცენტრი", რომელშიც წესრიგი უზრუნველყოფილ იქნება სხვადასხვა ურთიერთდაპირისპირებული ეროვნული ინტერესების მქონე ბალანსზე. აქედან გამომდინარე, კისინჯერი, დავას იდეალისტებსა და რეალისტებს შორის განსაზღვრავს რეალისტების სასარგებლოდ.

თავის ბოლო წიგნში "სჭირდება თუ არა ამერიკას საგარეო პოლიტიკა" (2002), იგი აღნიშნავს, ერთის მხრივ ამერიკის, როგორც ლიდერის როლს თანამედროვე მსოფლიოში, მეორეს მხრივ – მისი მდგომარეობის პარადოქსულობას, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ რეცეპტები რომელსაც ის უწერს მთელ მსოფლიოს, შეიცავს "ცივი ომის დროინდელ სენტენციას". ამის გარდა, ამერიკელებს მასაში თითქმის არ აღელვებთ ამერიკის ლიდერობა, და საგარეო პოლიტიკის პრობლემები არ იწვევს საზოგადოებაში არავითარ გამოძახილს. ამერიკელთა იმ თაობას, რომელიც დაიბადა ცივი ომის შემდეგ, იზიდავს იდეა შეიქნას "უსაფრთხო გლობალური გარემო, როგორც კონპენსაცია იმ დაძაბულ კონკურენციაზე, რომელიც ეხება მათ პირად ცხოვრებას". ამრიგად, ამერიკა აღმოჩნდა ორმაგ სიტუაციაში: თუ ამერიკის, როგორც ლიდერის როლი – რეალობაა, ამ შემთხვევაში უნდა მიღებულ იქნეს დოქტრინა, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკას მისი ლიდერობის უზრუნველყოფისათვის, მაგრამ ამერიკის თანამედროვე როლი მსოფლიოში არ აღელვებს ამერიკელ ხალხს, რომელიც თვლის, რომ ყოველდღიური ცხოვრებას, საკუთარი ეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფას თანდათანობით მივყევართ საყოველთაო პოლიტიკურ შერიგებამდე და დემოკრატიულ წესრიგამდე.

თავისივე კითხვაზე, რომელიც მიმართულია უბრალო ამერიკელებისადმი, რომლებიც ჩართულნი არიან ყოველდღიურ პრობლემებში, კისინჯერს გააჩნია პროფესიონალი პოლიტოლოგისა და გეოპოლიტიკოსის პასუხი. ის დეტალურად იხილავს მსოფლიო წესრიგის ცვლილებებს XVII-დან XX საუკუნემდე და იმ გამოწვევებს, რომელიც მიმართულია ამერიკისადმი ახალ პირობებში – ანუ მისი პლანეტის სხვადასხვა რეგიონებში ლიდერობის პირობებში. კისინჯერი ყურადღებას ამახვილებს ამერიკის იმპერიული სტატუსის უარყოფის აუცილებლობაზე, რადგანაც მისი აზრით "ამ სტატუსს მივყავართ სამხედრო დიქტატურამდე და დემოკრატიული ფასეულობების დაკარგვამდე".[84] კისინჯერის აზრით, მთავარ ამოცანას წარმოადგენს ამერიკის სიძლიერის ტრანსფორმირება "მორალურ კონსენსუსში", დემოკრატიული და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დანერგვაში და არა ამ სისტემების თავსმოხვევაში სხვა ხალხებისადმი. ამიტომაც აუცილებელია შეიქმნას ის წინაპირობები, რომლის წინაშეც ეს ღირებულებები შეიძლება მიღებულ იქნეს თანამედროვე მსოფლიოში.

აეროკრატია და ეთეროკრატია

ტრადიციული ატლანტიკური მიმართულების გეოპოლიტიკური მიმდინარეობა თავისი მთავარი კონცეფციის ცენტრად "ზღვის ძალას" მიიჩნევს და შესაბამისად "ზღვის გეოპოლიტიკას" წარმოადგენს. ასეთ გეოპოლიტიკაზე დამყარებულმა გლობალურმა სტრატეგიამ "ცივი ომის" დასრულების შემდგომ პერიოდში

[84] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი. 2008 წ. გვ. 63

დასავლეთი, მსოფლიო ძლევამოსილებამდე მიიყვანა. ამავე დროს, სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ განაპირობა საჰაერო სივრცის ათვისებაც, რამაც განაპირობა "ჰაერის გეოპოლიტიკის" კონცეფციის შემუშავების აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ საფუძვლიანად დამუშავებული "ზღვის გეოპოლიტიკისაგან" განსხვავებით, არ არსებობს სრულფასოვანი "ჰაერის პოლიტიკა", უკვე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საერთო გეოპოლიტიკურ სქემას ემატება საჰაერო მიმოსვლის ფაქტორი. წამყვანი გეოპოლიტიკური მოთამაშეების მიერ საჰაერო და კოსმოსური სივრცის ათვისებისა და ამ სივრცესთან დაკავშირებული შეიარაღების ახალი ტიპების (სტრატეგიული ავიაცია, საკონტინენტთაშორისი რაკეტები და ბირთვული ავიაცია) გამო, მნიშვნელოვნად შეიცვალა ზოგიერთი გეოპოლიტიკური თანაფარდობა.

ზემოაღნიშნულმა ფაქტორმა, გარკვეულწილად გაათანაბრა სახმელეთო და საზღვაო სივრცეები, ვინაიდან თვითმფრინავებისა და რაკეტებისათვის ამ სივრცეებს შორის მანძილს უკვე შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ავიამზიდების შექმნა, რომელმაც ხმელეთს საბოლოოდ ჩამოაშორა საჰაერო ბაზები).

შესაბამისად, ავიაციის მნიშვნელობის ზრდამ შეცვალა მსოფლიო მასშტაბის პროპორციები, დედამიწა მნიშვნელოვნად "მცირე" გახდა, ხოლო მანძილი "მოკლე". რაკეტმშენებლობისა და სტრატეგიული ავიაციის განვითარებას მნიშნელოვანწილად განაპირობებდა ტრადიციული გეოპოლიტიკური ფაქტორები: საზღვაო და სახმელეთო საზღვრები, შიდაკონტინენტური ბაზები და ა. შ.

სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე შეიარაღების დედამიწის ორბიტაზე გატანა და კოსმოსური სივრცის სტრატეგიული ათვისება ჩვენი პლანეტის "ფართობის შემცირების" საბოლოო ეტაპს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნული პროცესების შედეგად გეოპოლიტიკური პროცესების გაანალიზებისას შეიქმნა საჭიროება, რომ ხმელეთისა და ზღვის გარდა, გათვალისწინებულ ყოფილიყო კიდევ ორი სტიქია – ჰაერი და ეთერი (კოსმოსური სივრცე). სამხედრო თვალსაზრისით, ამ ორ სტიქიას შეესაბამება ბირთვული იარაღი (ჰაერი) და "ვარსკვლავეთის ომების" პროგრამა (კოსმოსი). თელულოკრატიისა (სახმელეთო მმართველობა) და თალასოკრატიის (საზღვაო მმართველობა) მმართველობის მსგავსად საჰაერო სივრცესთან დაკავშირებულ გეოპოლიტიკურ სისტემას შეიძლება ეწოდოს აეროკრატია (ჰაერის მმართველობა) და ეთეროკრატია (ეთერის მმართველობა).

უახლესი ატლანტიზმის ორი ვერსია

საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლა და დასავლეთის დემოკრატიული ძალების (ატლანტიზმის) გამარჯვება მოასწავებდა მკვეთრად განსხვავებულ ეპოქაში გადასვლას, რაც თავის მხრივ, ორიგინალური გეოპოლიტიკური მოდელის დამუშავებას მოითხოვდა. რადიკალურად შეიცვალა ყველა ტრადიციული ტერიტორიის, რეგიონის, სახელმწიფოსა და კავშირის გეოპოლიტიკური სტატუსი. ამ ცვლილებების შედეგად, რომლებიც მოჰყვა "ცივი ომის" დამთავრებას, ატლანტისტ გეოპოლიტიკოსებში ორი მთავარი მიმართულება ჩამოაყალიბა.

პირველ მიმდინარეობას შეიძლება ვუწოდოთ "პესიმისტური" (ატლანტიზმისათვის). ამ კონცეფციის მიხედვით მომავალშიც გაგრძელდება ატლანტიზმისათვის ტრადიციული კონფრონტაცია "ჰართლენდთან", ვინაიდან ითვლება, რომ ეს დაპირისპირება საბჭოთა კავშირის დაცემასთან ერთად არ დასრულებულა და დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, მითუმეტეს, რომ სრულიად მოსალოდნელია ცივილიზაციურ ტრადიციებსა და მტკიცე ეთნიკურ არქეტიპებზე დაფუძნებული ახალი ევრაზიული, ან სხვა ანტიდასავლური ბლოკების წარმოქმნა. ამ სქემას შეიძლება ეწოდოს "ნეოატლანტიზმი" და მის მთავარ დედააზრს განსაზღვრავს ის ფაქტორი, რომ

სახმელეთო ძალების კვლავ გაძლიერებასთან ერთად გაგრძელდება მსოფლიოს გეოპოლიტიკური სქემის განხილვა დუალისტური თვალსაზრისით, რისი გამოხატულებაც იქნება დამატებითი გეოპოლიტიკური ზონების (ევრაზიის გარდა) შექმნა, რომლებიც ევრაზიასთან ერთად შესაძლოა იქცნენ დასავლურ სამყაროსთან მომავალი დაპირისპირების რეგიონებად. ასეთი ნეოატლანტისტური მსოფლმხედველობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია სამუელ ჰანტინგტონი.

რაც შეეხება მეორე მიმდინარეობას, რომელიც "ცივი ომის" შემდეგ არსებულ იმავე საწყის გეოპოლიტიკურ სურათს ეფუძნება, პირიქით, არის ოპტიმისტური. ამ სქემის მიხედვით ცივ ომში დასავლეთის გამარჯვება წარმოადგენს საბოლოო და შუქცევად პროცესს. ამ კონცეფციის საფუძველზე იქმნება "მონდიალიზმის" თეორია, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს ერთიანი მსოფლიოს შექმნა, რომელიც ამტკიცებს, რომ გეოპოლიტიკური დაყოფის ყველა ფორმა-კულტურული, ეროვნული, რელიგიური, სახელმწიფოებრივი და ა.შ. უახლოეს მომავალში განიცდის ცვლილებას და დადგება ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი საკაცობრიო ცივილიზაციის ხანა. ისტორია დასრულდება იმ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებასთან ერთად, რომელიც მას მთავარ, საწყის იმპულსს ანიჭებდა. ამგვარი გეოპოლიტიკური მიდგომა დაკავშირებულია ამერიკელი გეოპოლიტიკოსის, ფრენსის ფუკუიამას სახელთან. თავისი გეოპოლიტიკური ხედვა მეცნიერმა წარმოგვიდგინა სამეცნიერო ნაშრომში, სახელწოდებით "ისტორიის აღსასრული".

ცივილიზაციათა შეჯახება: ჰანტიგტონის ნეოატლანტიზმი

ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული, ჯონ ოლინის სახელობის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორის, სამუელ ჰანტიგტონის თეორიის არსი, ჩამოყალიბებულ იქნა მის შრომაში "ცივილიზაციათა შეჯახება" (რომელიც წარმოადგენს დიდი გეოპოლიტიკური პროექტის - "ცვლილებანი გლობალურ უსაფრთხოებაში და ამერიკის ეროვნული ინტერესები" - რეზიუმეს). მისი ძირითადი კონცეფციის არსი მდგომარეობს შემდეგში:

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში კონტინენტური – თელუროკრატიული ძალების უკანასკნელი საყრდენის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, და ამ პროცესის შედეგად მთელ მსოფლიოში ატლანტიზმის თვალსაჩინო გეოპოლიტიკური გამარჯვება სინამდვილის მხოლოდ ზედაპირული მხარეა. ნატოს სტრატეგიული წარმატება და ყოფილ სოციალისტურ სივრცეზე დასავლეთთან დაპირისპირებულ კომუნისტურ იდეოლოგიაზე უარის თქმა – არ ეხება ღრმა ცივილიზაციურ შრეებს. ფუკუიამასგან განსხვავებით, ჰანტინგტონი ამტკიცებს, რომ სტრატეგიული გამარჯვება არ მოასწავებს ცივილიზაციურ გამარჯვებას; დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული იდეოლოგია – ლიბერალური დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი და ა.შ. – უალტერნატივოა მხოლოდ დროებით, ვინაიდან დასავლეთის გეოპოლიტიკური წარმატებების შემყურე არადასავლური ხალხები უახლოეს პერიოდში გამოავლენენ თავიანთ ცივილიზაციურ და გეოპოლიტიკურ თავისებურებებს.

კომუნისტური იდეოლოგიის უარყოფა და პოსტსაბჭოთა სივრცეზე მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები არ გამოიწვევს ატლანტური ფასეულობების დანერგვას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, პირიქით, ხელახლა იჩენს თავს ზედაპირული იდეოლოგიური ჩარჩოებისაგან განთავისუფლებული ყველაზე ღრმა კულტურული შრეები.

ჰანტიგტონს, თავისი თეორიის დასასაბუთებლად მოჰყავს ჯორჯ ვეიგელის სიტყვები: "მსოფლიო დესეკულარიზაცია XX საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი ძირითადი სოციალური მოვლენაა,"[85] მაშასადამე, იმის მაგივრად, რომ ხალხებმა

[85] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008. გვ. 64

თავიდან მოიცილონ რელიგიური განხვავება ერთიან მსოფლიოში, რის შესახებაც ფუკუიამა საუბრობს, ისინი უფრო ცხოვლად შეიგრძნობენ თავიანთ რელიგიურ კუთვნილებას".[86]

ჰანტიგტონი ამტკიცებს, რომ დასავლურ ცივილიზაციასთან ერთად, რომელიც მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპას, მსოფლიოში არსებობს კიდევ შვიდი შესაძლო გეოპოლიტიკური ცივილიზაცია:

1. "სლავურ-მართლმადიდებლური;
2. კონფუციური (ჩინეთი);
3. იაპონური;
4. ისლამური;
5. ინდუისტური;
6. ლათინურ-ამერიკული;

და შესაძლოა 7. აფრიკული"[87].

მეცნიერის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ ცივილიზაციას ერთნაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, მაგრამ მათ შორის მთავარ საერთოს წარმოადგენს ის, რომ მათი განვითარების და გაძლიერების ვექტორი ატლანტიზმისა და დასავლეთის ცივილიზაციის განვითარების საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული. ჰანტიგტონის აზრით, ანტიდასავლური ძალების ეს პოზიცია სრულიად აშკარაა და უკვე დღევანდელ ეტაპზე, მონდიალისტური წრეების ეიფორიის მიუხედავად, დასავლეთის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს შემდეგ ფორმულას: "The West and The Rest"[88]. (დასავლეთი და დანარჩენები).

სრულიად ნათელია მეცნიერის გეოპოლიტიკური დასკვნებიც: ჰანტიგტონს მიაჩნია, რომ ატლანტისტებმა ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ საკუთარი ცივილიზაციის სტრატეგიული პოზიციები, მზად უნდა იყვნენ წინააღმდეგობისათვის და ამისათვის საჭიროა ერთიანი სტრატეგიული ძალისხმევის ჩამოყალიბება, რაც თავის მხრივ შესაძლებელს გახდის ანტიატლანტისტური ტენდენციების შეკავებას. ამ მიზნით, ჰანტინგტონის აზრით მსოფლიოს დემოკრატიულმა ძალებმა არ უნდა დაუშვან სხვადასხვა ცივილიზაციათა გაერთიანება დასავლეთისათვის საშიშ კონტინენტურ ალიანსში.

მისი აზრით: "დასავლეთის ინტერესები აშკარად მოითხოვს:

1. თანამშრომლობისა და ერთიანობის განმტკიცებას საკუთარი ცივილიზაციის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, ევროპასა და და ჩრდილოეთ ამერიკას შორის;
2. აღმოსავლეთ ევროპისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნების ინტეგრაციას დასავლეთის შემადგენლობაში, რომლებიც ახლოსაა მის კულტურასთან;
3. რუსეთსა და იაპონიასთან თანამშრომლობის განმტკიცება და გაფართოება;
4. ლოკალური კონფლიქტების გაფართოებისა და ცივილიზაციებს შორის დიდმასშტაბიან ომებში მათი გადაზრდის საფრთხის თავიდან აცილება;
5. კონფუციური და ისლამური ქვეყნების სამხედრო ძლიერების ზრდის შეზღუდვა;

---

[86]იქვე

[87]"Professor Samuel Huntington author of The Clash of Civilizations". *The Times* (London). December 29, 2008.

[88]Wars of Civilizations and Why Huntington's theory appeals to the Western Mind by Jonathan Power

6. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უპირატესობის შენარჩუნება;
7. კონფუციურ და ისლამურ ქვეყნებს შორის კონფლიქტებისა და უთანხმოებების გამოყენება;
8. სხვა ცივილიზაციების იმ წარმომადგენლების მხარდაჭერა, რომლებიც ამჟღავნებენ სიმპატიას დასავლური ფასეულობებისა და ინტერესების მიმართ;
9. ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების განმტკიცება, რომლებიც ამჟღავნებენ და ლეგიტიმურობას ანიჭებენ დასავლეთის ინტერესებსა და ფასეულობებს და შესაბამისად არადასავლური ქვეყნების მოზიდვა ამ ინსტიტუტებში მონაწილეობისათვის."[89]

ჰანტინგტონის ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან ნათლად ჩანს, რომ დასავლეთის ყველაზე შესაძლო მოწინააღმდეგეებად მიიჩნევიან ჩინეთი და ისლამური სახელმწიფოები (ირანი, ერაყი, ლიბია და სხვ.). ამ მიდგომაში ნათლად ჩანს მეინინგისა და კირკის დოქტრინების უშუალო გავლენა. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ეს ორი ამერიკელი მეცნიერი თვლიდა, რომ "სანაპირო ზონების" (რიმლენდის) ორიენტაცია –("კონფუციური" და ისლამური ცივილიზაციები სწორედ "სანაპირო ზონებს" ეკუთვნიან) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე "ჰართლენდის" პოზიცია. აქედან გამომდინარე, სხვა ნეოატლანტიზმის წარმომადგენლებისაგან, კერძოდ, პოლ ვოლფოვიცისაგან განსხვავებით, ჰანტინგტონი მთავარ საფრთხეს ხედავს ჩინეთში და არა რუსეთ-ევრაზიის, "ჰართლენდის" აღორძინებაში ან სხვა რომელიმე ევრაზიული კონტინენტური წარმომნაქმნის ჩამოყალიბებაში.

რაც შეეხება მეორე მთავარ ნეოატლანტისტური მიმართულების გეოპოლიტიკოსს, ეს გახლავთ ამერიკელი პოლ ვოლფოვიცი (აშშ-ის თავდაცვის მდივნის ყოფილი მოადგილე და მსოფლიო ბანკის ყოფილი პრეზიდენტი). მან აშშ-ის მთავრობისადმი 1992 წლის მარტის მოხსენებაში აღნიშნა: "ევროპისა და აზიის კონტინენტებზე ისეთი სტრატეგიული ძალის წარმოშობის დაუშვებლობის შესახებ, რომელიც შესძლებდა დაპირისპირებოდა აშშ-ს".[90] მისი აზრით, ყველაზე მეტად ასეთ შესაძლო ძალად მიჩნეულია რუსეთი, ამიტომ ამ უკანასკნელის გავლენის შესაკავებლად ბალტიისპირეთის ქვეყნების საფუძველზე უნდა შეიქმნილიყო "სანიტარული კორდონი". თავისი მიდგომებით, ამერიკელი სტრატეგი ვოლფოვიცი უფრო ახლოს დგას მაკინდერთან, ვიდრე სფაიქმენთან და სწორედ ესაა ჰანტინგტონისა და ვოლფოვიცის კონცეფციებს შორის მთავარი განსხვავება.

ყველა სხვა შემთხვევებშიც, კონკრეტული პოზიციური მოწინააღმდეგის მიუხედავად, ყველა ნეოატლანტისტის პოზიცია ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა: ცივ ომში გამარჯვების მიუხედავად, დასავლეთის წინაშე იქმნება ახალი საშიშროებები რომლებიც მომდინარეობს სხვადასხვა გეოპოლიტიკური წარმონაქმნებიდან. აქედან გამომდინარე, "ერთიანი მსოფლიოს" შესახებ საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია და XXI საუკუნის მთავარ გეოპოლიტიკურ სქემად ისევ რჩება დაპირისპირება ატლანტიზმსა და ევრაზიულობას შორის.

ამგვარი დუალიზმის ახალ და უფრო ზოგად ფორმულირებას წარმოადგენს ჰანტინგტონის თეზისი: "The West and the Rest" (დასავლეთი და დანარჩენები).

მონდიალიზმი

---

[89]http://news.harvard.edu/gazette/story/2009/02/samuel-huntington-81-political-scientist-scholar

[90]ა. დუგინი. "გეოპოლიტიკის საფუძვლები". გვ. 119

მონდიალიზმის ძირითად არსს წარმოადგენს მრავალი სხვადასხვა სახელმწიფოს, ხალხების, ერებისა და კულტურის გაერთიანება და შედარებით ერთგვაროვანი მსოფლიოს ჩამოყალიბება.

მონდიალისტური იდეები ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ზომიერ ევროპელთა წრეებში. ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს შესახებ მსჯელობდნენ ასევე კომუნისტებიც.

მონდიალისტური ორგანიზაციების შექმნა იწყება მე-19 საუკუნის მიწურულიდან მსოფლიო ბიზნესის მსხვილი წარმომადგენლების ინიციატივით. მის წევრებს ხელი უნდა შეეწყოთ მთელს მსოფლიოში დაუბრკოლობელი სავაჭრო სისტემის დამყარებისა და ერთიანი მსოფლიო მთავრობის შექმნისათვის. ხშირად ხდებოდა, რომ მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა, ლიბერალ-კაპიტალისტებისა და კომუნისტების მიდგომები მონდიალიზმის ზოგიერთ საკითხში (მაგ: მსოფლიო მთავრობის შექმნა) ერთმანეთს ემთხვეოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ცნობილი უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ერთა ლიგა, მოგვიანებით კი გაერო და იუნესკო, სწორედ ამგვარი, მსოფლიო პოლიტიკაზე დიდი გავლენის მქონე მონდიალისტური ორგანიზაციების გაგრძელებას წარმოადგენენ.

მე-20 საუკუნეში მონდიალისტურმა ორგანიზაციებმა რამდენჯერმე შეიცვალეს სახელი, რადგან ისინი ერიდებოდნენ გადამეტებულ რეკლამას და ხშირად ატარებდნენ ფარულ სახელს.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მონდიალისტური მიმართულების ორგანიზაციები იქმნება აშშ-ში. ჩამოყალიბებულ იქნა ხელისუფლების პარალელური სტრუქტურები. ასე ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მონდიალისტური ორგანიზაცია.

პირველი - საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო (Council of Foreign Relations), დაარსებულ იქნა უმსხვილესი ამერიკელი ბანკირის – მორგანის ინიციატივით.

ეს გახლდათ არაოფიციალური ორგანიზაცია, სადაც მიმდინარეობდა ამერიკის მსოფლიო სტრატეგიის შემუშავება, ხოლო ამ სტრატეგიის საბოლოო ეტაპს წარმოადგენდა მთელი მსოფლიოს უნიფიკაცია და მსოფლიოს მთავრობის ჩამოყალიბება. ზემოაღნიშნული ორგანიზაცია ჩამოყალიბებულ იქნა 1921 წელს, როგორც კარნეგის ფონდის "მსოფლიო მშვიდობისათვის" გაგრძელება. ამ ორგანიზაციის ფარგლებში მაღალი თანამდებობის პოლიკოსები ეცნობოდნენ მსოფლიო მომავლის მონდიალისტურ შეხედულებებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ CFR ის წევრთა უმრავლესობა ამავე დროს იყო შოტლანდიური მასონობის მაღალი წრის წარმომადგენელი. აქედან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მონდიალისტური მიმართულების გეოპოლიტიკურ პროექტებს გარკვეული ჰუმანისტურ-მისტიკური განზომილებაც გააჩნდათ.

უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1954 წელს შეიქმნა მეორე მონდიალისტური ინსტიტუტი - ბილდენბერგის კლუბი. ამჯერად მასში ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, პოლიტოლოგებთან და ფინანსისტებთან ერთად, გაწევრიანებულები იყვნენ მათი ევროპელი კოლეგებიც.

1973 წელს ბილდენბერგის ჯგუფის აქტივისტების ინიციატივით იქმნება მესამე უმნიშვნელოვანესი მონდიალისტური სტრუქტურა: სამმხრივი კომისია ანუ ტრილატერალი. მის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ ბილდერბერგის ჯგუფის და C.F.R. –ის ამერიკელი წარმომადგენლები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკის გარდა, სამმხრივ კომისიას გააჩნია კიდევ ორი შტაბ-ბინა ევროპასა და იაპონიაში.

თვითონ სახელწოდება, სამმხრივი კომისია შერჩეულ იქნა კონკრეტული გეოპოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე. მისი ძირითადი მიზანია ატლანტიზმის ეგიდით გააერთიანოს ტექნიკურ განვითარებასა და საბაზრო ეკონომიკაში განსაკუთრებით განვითარებული სამი დიდი სივრცე:

1. ამერიკული სივრცე - ჩრდ. და სამხ. ამერიკის ჩათვლით;
2. ევროპული სივრცე;

3. იაპონიის მიერ კონტროლირებადი წყნარი ოკეანის სივრცე.

ბილდენბერგისა და ტრილატერალის უმნიშვნელოვანესი მონდიალისტური ჯგუფის სათავეში იმყოფება C.F.R.–ის მაღალი წრის წარმომადგენელი, უმსხვილესი ბანკირი დევიდ როკფელერი. როკფელერის გარდა, ყველა მონდიალისტურ პროექტში აქტიურად არიან ჩართულნი ატლანტიზმის წამყვანი წარმომადგენლები, გეოპოლიტიკოსები, სტრატეგები და ყოფილი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები – ზბიგნევ ბჟეჟინსკი და ჰენრი კისინჯერი.

მიუხედავად გარკვეული ტაქტიკური ხასიათის განსხვავებებისა, ყველა მონდიალისტური პროგრამის ძირითად მიზანს ერთიანი მსოფლიო სისტემის შექმნა წარმოადგენს, რომელიც დაფუძნებული იქნება დემოკრატიულ ფასეულობებზე. სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად მიმდინარეობდა ძლიერი ანალიტიკური ცენტრების ჩამოყალიბება, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, ინტელექტუალები, ფინანსისტები, ანალიტიკოსები და ა. შ. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ამგვარი მსოფლიო მთავრობის მონდიალისტური პროექტისათვის საფუძვლიანი რეკომენდაციების შემუშავება.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მონდიალისტური პროექტი არ ყოფილა ერთადერთი. არსებობს მონდიალისტური მიმართულების ორი ძირითადი ვერსია. მიუხედავად მეთოდოლოგიური ხასიათის განსხვავებისა, ისინი საბოლოო ჯამში ერთსა და იმავე მიზანს ისახავდნენ.

კონვერგენციის თეორია

”ცივი ომის” პერიოდში, კერძოდ XX საუკუნის 70-იან წლებში დასავლელი პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების მიერ კომუნისტურ რეჟიმთან კონფრონტაციის შესუსტების მიზნით წარმოდგენილ იქნა მონდიალიზმის პაციფისტური ვერსია, რომელიც კონვერგენციის თეორიის სახელწოდებით არის ცნობილი. F.R.C. – ის მემარცხენე დაჯგუფების ანალიტიკოსების მიერ ზბიგნევ ბჟეჟინსკის ხელმძღვანელობით შემუშავებული ეს თეორია მიზნად ისახავდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში არსებული იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური წინააღმდეგობის გადალახვას და ახალი ტიპის კულტურულ-იდეოლოგიური ცივილიზაციის შექმნას, რომელიც გარკვეულწილად იარსებებდა შუალედური სისტემის ფორმით სოციალიზმსა და კაპიტალიზმს, წმინდა ატლანტიზმსა და წმინდა კონტინენტალიზმს შორის.

ამ თეორიის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა იდეოლოგების მიერ “საწარმოო საშუალებების ნაციონალიზაციის” და “კერძო საკუთრების გაუქმების” თეზისების უარყოფა, რაც თავის მხრივ ზომიერ სოციალ-დემოკრატიულ, რევიზიონისტურ ვერსიაში უნდა გადასულიყო. თავის მხრივ, დემოკრატიულ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებულ დასავლეთს ვალდებულება უნდა აეღო ნაწილობრივ შეეზღუდა ბაზრის თავისუფლება და გაეზარდა სახელმწიფო სექტორის როლი ეკონომიკაში და ა. შ. საერთო კულტურული ორიენტაციის პოვნა კი თავის მხრივ შეიძლებოდა ჰუმანიზმისა და განმანათლებლობის ტრადიციებში, რომელსაც აღიარებს, როგორც დასავლეთის დემოკრატიული რეჟიმი, ისე კომუნიზმის სოციალური ეთიკაც (მის შერბილებულ სოციალ-დემოკრატიულ ვერსიებში).

კონვერგენციის თეორიის მიხედვით, მსოფლიო მთავრობა, გულისხმობდა მსოფლიოს მართვაში ვაშინგტონთან ერთად მოსკოვის დაშვებას. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობდა საყოველთაო მშვიდობასა და ცივი ომის დასრულებას, ხოლო ხალხები თავიდან აიცილებდნენ გეოპოლიტიკური დაძაბულობის სიმძიმეს.

აქ ძალიან მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ ტექნოლოგიური სისტემის “თალასოკრატიიდან” “ეთეროკრატიისაკენ” გადასვლას: მონდიალისტი პოლიტიკოსები მსოფლიოს უყურებენ არა როგორც ზღვით შემოსაზღვრული დასავლეთის კონტინენტის მცხოვრები (როგორც ტრადიციული ატლანტისტები),

არამედ "კოსმოსურ ორბიტაზე მყოფი ასტრონავტების" თვალებით. ამ დროს მათ თვალწინ მართლაც არის გადაშლილი ერთიანი მსოფლიო (One World).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მონდიალისტურ ცენტრებს თავისი თანამოაზრეები მოსკოვშიც გამოუჩნდნენ. აქ მთავარი ფიგურა იყო სისტემურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გვიშიანი, რომელიც ფაქტიურად იზიარებდა "ტრილატერალის" მიერ წარმოდგენილ კონცეფციებს. მონდიალისტური ცენტრების საქმიანობამ განსაკუთრებული წარმატება ჰპოვა დასავლეთ ევროპის ულტრამემარცხენე პარტიებს შორის.

დასავლეთის მსოფლიო გამარჯვება

სსრკ-ში კონვერგენციის თეორიების პრაქტიკაში დანერგვა დაიწყო ხელისუფლებაში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლისა და "პერესტროიკის" პროცესის განხორციელების პერიოდში. საბჭოთა "პერესტროიკის" დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე – 1979 წლიდან ანალოგიური პროექტის განხორციელება დაიწყო ჩინეთში (დენ სიაოპინის რეფორმები). XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩინეთის კომუნისტურ ხელისუფლებასთან საქმიანი კონტაქტები დაამყარეს "სამმხრივი კომისიის" წარმომადგენლებმა. საბჭოთა და ჩინური "პერესტროიკის" ბედი განსხვავებული იყო. ჩინეთმა წარმატებით დაიწყო და დღესაც აგრძელებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დამყარებულ ეკონომიკურ რეფორმებს, ისე რომ კომუნისტური პარტია კვლავ რჩება ამ ქვეყანაში ერთადერთ მმართველ ძალად.

ამავე დროს, გორბაჩოვმა გადაწყვიტა საბჭოთა სივრცის სტრუქტურული გარდაქმნა დემოკრატიზაციისა და ლიბერალიზაციის მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხო ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს, ხოლო შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკებს, რასაც მოჰყვა აშშ-სთან ხელშეკრულებების გაფორმება სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მიმართულებით.

ამავე დროს, სააშკარაოზე იქნა გამოტანილი ყველა ის უსამართლობა, რომელიც ხორციელდებოდა სსრკ-ში კომუნისტური მმართველობის 70 წლის განმავლობაში, ამიტომაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობას აღარ სურდა სსრკ-ის შემადგენლობაში ყოფნა. ამიტომაც, უკვე 80-იანი წლების ბოლოდან სსრკ-ში დაიწყო დაშლის პროცესი. ეს პროცესი დაჩქარდა იმ წარუმატებელი ეკონომიკური რეფორმების ფონზე, რომელთა განხორციელებას მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა. ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ სსრკ-ში "პერესტროიკის" პერიოდი დაემთხვა აშშ-ში მეტად პრინციპული რესპუბლიკელების - რეიგანისა და ბუშის პრეზიდენტობის პერიოდს. რეიგანი ბოლო წლების პრეზიდენტებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც უარს აცხადებდა ყოველგვარ მონდიალისტურ ორგანიზაციაში მონაწილეობაზე. თავისი მრწამსით იგი იყო მეტად მკაცრი, პრინციპული ლიდერი, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებდა მსოფლიოში დემოკრატიის გაძლიერებისა და ტოტალიტარულ რეჟიმებთან ბრძოლის მიმართულებით. იგი არასდროს მიდიოდა კომპრომისზე "მემარცხენე ანტიდემოკრატიულ იდეოლოგიასთან", და შესაბამისად მან ძალიან დიდი როლი შეასრულა იმაში, რათა აეძულებინა ტოტალიტარული საბჭოთა კავშირი, რათა ამ უკანასკნელს გარკვეული ნაბიჯები გადაედგა მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა (1987 წლის 7-10 დეკემბრის ვაშინგტონის ხელშეკრულება, სტრატეგიული შეიარაღების შემცირება სსრკ-ის მიერ, საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან გამოყვანა) და დემოკრატიის მიმართულებით ("გლასნოსტი", "პერესტროიკა").

ამრიგად, 80-იანი წლების ბოლოს "ჰართლენდის" შიგნით მიმდინარე პროცესებმა და "ატლანტისტური" ძალების აქტიურმა ქმედებებმა განაპირობეს ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიისა და საზღვაო ძალების პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცება მთელს მსოფლიოში.

ფრენსის ფუკუიამას "ისტორიის აღსასრული"

ატლანტიზმის მთავარი მოწინააღმდეგის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა მონდიალისტური პროექტების მომავალში განხორციელების აუცილებლობის საკითხი. მათ ან უნდა შეეწყვიტათ არსებობა, ან უნდა შეეცვალათ თავისი ლოგიკა.

"ცივი ომის" დასრულების შემდგომ ეპოქაში ახალ მონდიალისტურ ვერსიად იქცა ფრენსის ფუკუიამას დოქტრინა. ფუკუიამას მიერ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებულ იქნა საპროგრამო სტატია "ისტორიის აღსასრულის" სახელწოდებით. ამ სტატიის შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი შეიძლება განხილულ იქნეს ნეომონდიალისტური მიმართულების კიდევ ერთ ნაშრომად.

ფუკუიამა წარმოგვიდგენს ისტორიული პროცესის შემდეგ ვერსიას. "ნელი, "ძალის კანონის", და "სოციალური რეალობების ირაციონალური მმართველობის" ეპოქიდან კაცობრიობა მიიწრაფოდა უფრო გონიერი და ლოგიკური წყობისაკენ, რომელიც გამოიხატა კაპიტალიზმში, თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციაში, საბაზრო ეკონომიკისა და ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიაში. ისტორია და განვითარება მიმდინარეობდა მხოლოდ ირაციონული ფაქტორების ხარჯზე, რომლებიც ნელ-ნელა უთმობდნენ ადგილს გონების კანონებს, ყველა ფასეულობების საერთო ფულად ეკვივალენტს და ა. შ. საბჭოთა კავშირის დაშლა უკანასკნელი "ირაციონალური" ბასტიონის დაცემას ნიშნავს. მასთან არის დაკავშირებული ისტორიის აღსასრული და განსაკუთრებული მსოფლიო არსებობის დასაწყისი, რომელიც "ბაზრისა" და "დემოკრატიის" იდეებით წარიმართება და სამყაროს მოწესრიგებულ, რაციონალურად მომუშავე მანქანაში ერთიანდება.

ამგვარი ახალი წესრიგი, თუმცა წმინდა ატლანტისტური სისტემების უნივერსაციაზეა დაფუძნებული, სცდება ატლანტიზმის ფარგლებს და მსოფლიოს ყველა რეგიონი ახალი მოდელის მიხედვით დაიწყებს უფრო მეტად განვითარებული ეკონომიკური ცენტრების ირგვლივ ხელახალ ჩამოყალიბებას".[91]

ჟაკ ატალის "გეოეკონომიკის" კონცეფცია

ამერიკელი მეცნიერის ფუკუიამას ანალოგიურმა თეორიებმა განვითარება ჰპოვა ევროპულ სამეცნიერო წრეებშიც. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ფრანგი ჟაკ ატალის ნაშრომები. იგი წლების მანძილზე მუშაობდა საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის პირად მრჩევლად, მოგვიანებით დაინიშნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორის თანამდებობაზე.

გადადგომის შემდეგ ჟაკ ატალიმ გამოსცა წიგნი "ჰორიზონტის ხაზები". ფრანგი მეცნიერის აზრით, თანამედროვე ეპოქას შეიძლება ეწოდოს მესამე ხანა – "ფულის ეპოქა". ფული წარმოადგენს ფასეულობათა უნივერსალურ ექვივალენტს, ვინაიდან ყველა საგანის მატერიალურ ციფრულ გამოხატვასთან გათანაბრებით, ადვილ ამოცანას წარმოადგენს რაციონალური წესით ფულადი მასის რეგულირება. მსგავს კონცეფციას, თვით ატალი აკავშირებს მესიანისტური ხანის დადგომასთან.

საკუთარ წიგნში ატალი წარმოგვიდგენს მომავლის საკუთარ ხედვას, რომელიც "უკვე დადგა". მთელ მსოფლიოში ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის გაბატონება განაპირობებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას, ეს პროცესი კი თავის მხრივ მიგვიყვანს იქამდე, რომ ჩვენს პლანეტას გადააქცევს ერთიან და ერთგვაროვან სამყაროდ. ამასთანავე, მესამე

---

[91] *The End of History and the Last Man*. Free Press, 1992. ISBN 0-02-910975-2

ეპოქაში თავიანთ მნიშვნელობას დაკარგავენ ის გეოპოლიტიკური რეალობები, რომლებიც ბატონობდნენ მთელი ისტორიის განმავლობაში, და რომლებიც პირველ რიგში დაკავშირებულნი იყვნენ გეოპოლიტიკური დუალიზმის პრინციპებთან.

ატალის აზრით, გეოეკონომიკის პრინციპებზე დამყარებული გლობალური მსოფლიო ღებულობს ახალ გეოპოლიტიკურ სტრუქტურას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველად "გეოეკონომიკის" კონცეფციების განვითარება შემოთავაზებულ იქნა ისტორიკოს ფრიტც რერიგის მიერ, ხოლო მომდევნო პერიოდში მისი იდეები განავითარა ბერნან ბროდელმა.

"გეოეკონომიკა", ეს არის მონდიალისტური გეოპოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონცეფცია, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს არა გეოგრაფიულ, კულტურულ, იდეოლოგიურ, ეთნიკურ, რელიგიურ და ა.შ. ფაქტორებს, რომლებიც გეოპოლიტიკური მიდგომის არსს შეადგენენ, არამედ სივრცესთან დაკავშირებულ წმინდა ეკონომიკურ რეალობებს. "გეოეკონომიკისათვის" დიდ მნიშვნელობას არ წარმოადგენს ამა თუ იმ ერის განსახლების არეალი, ისტორიული, კულტურული ტრადიციები და ა. შ. პირველ რიგში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, თუ სად არის განთავსებული მსოფლიო საფინანსო ცენტრები, ბირჟები, სასარგებლო წიაღირსეული, საინფორმაციო ცენტრები, სამრეწველო კომპანიები. "გეოეკონომიკა" პოლიტიკურ რეალობებს განსხვავებულად აღიქვამს, რაც ქმნის იმის შთაბეჭდილებას, თითქოს უკვე შექმნილია მსოფლიო მთავრობა, რომელიც მართავს ერთიან მსოფლიოს.

თავის გეოპოლიტიკურ კვლევებში, ატალი გამოყოფს სამ მნიშვნელოვან რეგიონს, რომლებიც ერთიან მსოფლიოში ეკონომიკური სივრცის ცენტრებად გადაიქცევიან:

1. "ამერიკული სივრცე, რომელშიც ორივე ამერიკა საბოლოოდ არის გაერთიანებული ერთიან ფინანსურ-სამრეწველო ზონაში;

2. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შემდეგ აღმოცენებული სივრცე;

3. წყნარი ოკეანის რეგიონი, ხელახალი აყვავების ზონა, რომელსაც გააჩნია რამდენიმე კონკურენტული ცენტრი: ტოკიო, ტაივანი, სინგაპური და სხვა."[92]

ატალის აზრით, ამ სამ ეკონომიკურ ცენტრს შორის განსაკუთრებულ განსხვავებასა და კონფრონტაციას არ უნდა ველოდოთ, ვინაიდან სახეზეა მნიშვნელოვანი დამთხვევა იდეოლოგიურ და ეკონომიკურ ტიპებს შორის. ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორის როლი შესაძლოა ითამაშოს განვითარებული ცენტრების გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ხოლო სხვადასხვა ცენტრების გარშემო მოხდება შედარებით ნაკლებად განვითარებული რეგიონების კონცენტრაცია. ამ სახით რეგიონული სტრუქტურის ჩამოყალიბება შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ "ისტორიის აღსასრულის" პერიოდში, ანუ გეოპოლიტიკაში არსებული ტრადიციული რეალობების შეცვლის მომენტში. ამ ეპოქის დაწყების დროს გაუქმდება ცივილიზაციურ-გეოპოლიტიკური დუალიზმი. შესაბამისად, ატლანტიზმის საპირისპირო პოლუსის არარსებობის შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება გეოპოლიტიკური სივრცის ახლებურად გააზრების საკითხი, ხოლო ატლანტისტური იდეების მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გავრცელება გამოიწვევს გეოეკონომიკის ხანის დადგომას.

პროფესორ სანტოროს "პოსტკატასტროფული მონდიალიზმის" იდეა

ზემოთ ჩამოთვლილი ნეომონდიალისტური ვერსიების გარდა, არსებობს ამ გეოპოლიტიკური მიმართულების გასხვავებული ვერსიებიც. მათგან ყურადღებას

[92] ა.დუგინი. "გეოპოლიტიკის საფუძვლები". 1997 წ. გვ. 128

იმსახურებს მილანის საერთაშორისო პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტის (ISPI) მიერ, პროფესორ კარლო სანტოროს ხელმძღვანელობით დამუშავებული გეოპოლიტიკური კონცეფცია, რომელიც გარკვეულწილად ფუტუროლოგიურ ხასიათს ატარებს.

სანტოროს აზრით, დღევანდელ ეტაპზე მსოფლიო იმყოფება "ცივი ომის" პერიოდისათვის დამახასიათებელ ბიპოლარული სამყაროდან მონდიალისტური ვერსიის მრავალპოლარული სამყაროსაკენ გარდამავალ პერიოდში (აქ ნათლად ჩანს ატალის გეოეკონომიკური ხედვა). სანტოროს გააჩნია განსხვავებული აზრი ფუკუიამას თეორიებთან დაკავშირებით. თუ ფუკუიამას ოპტიმისტური მონდიალიზმის თვალსაზრისით, საერთაშორისო პოლიტიკური და საფინანსო ინსტიტუტები (გაერო, მსოფლიო ბანკი და ა.შ.) საკმაოდ განვითარებულნი არიან იმისათვის, რომ მომავალში ისინი გადაიქცნენ "მსოფლიო მთავრობის" მსგავს სტრუქტურებად, სანტორო ამტკიცებს საპირისპიროს, მისი აზრით, ეს ორგანიზაციები არ არიან ქმედუნარიანნი და ორპოლარული სამყაროს მოძველებულ ლოგიკას ასახავენ. გარდა ამისა, დღევანდელ ეტაპზე მსოფლიო ატარებს "ცივი ომის" მტკიცე ანაბეჭდს, რომლის გეოპოლიტიკური ლოგიკა გაბატონებული რჩება. იტალიელი მეცნიერის აზრით, პლანეტაზე არსებული ეს რეალობა აუცილებლად დასრულდება ცივილიზაციური კატასტროფების პერიოდით.

შემდგომში მეცნიერს მოჰყავს ამ კატასტროფების შესაძლო სცენარები,კერძოდ:

1. "შესუსტდება საერთაშორისო ინსტიტუტების როლი;
2. დაიწყება ტრადიციული ბლოკების დეზინტეგრაცია და არსებული სახელმწიფოების პროგრესირებადი დაშლა;
3. დაიწყება მცირე და საშუალო ხანგრძლივობის ომების ეპოქა, რომელთა შედეგად ჩაყალიბდება ახალი გეოპოლიტიკური წარმონაქმნები;
4. მსოფლიო ქაოსის საფრთხე აიძულებს სხვადასხვა ბლოკებს დიდი უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობისაკენ, რაც, ფაქტიურად, მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებას მოასწავებს;
5. ჩამოყალიბდება მსოფლიო სახელმწიფოს, ახალი საბოლოო საერთაშორისო ინსტანცია (მსოფლიო მთავრობა)."[93]

აღნიშნული მოდელი წარმოადგენს გარკვეულ შუალედურ ფორმას ფრენსის ფუკუიამას მონდიალისტურ ოპტიმიზმსა (იდეალისტური მიდგომა) და სამეულ ჰანთინგტონის ატლანტურ პესიმიზმს (რეალისტური მიდგომა) შორის.

თანამედროვე ევროპული გეოპოლიტიკა

XX საუკუნის ევროპული გეოპოლიტიკური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ინგლისელი ისტორიკოსი, სოციოლოგი და გეოპოლიტიკოსი არნოლდ ჯოზეფ ტოინბი. 1925–1955 წლებში ტოინბი კითხულობდა ლექციებს ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. იმავე პერიოდში, ვ. ბაუტლერთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტს, რომლის ერთ-ერთი მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების მიმოხილვა. შემდგომში მეცნიერი კითხულობდა ლექციებს ამერიკაში (ჰარვარდის, პრინსტონის უნივერსიტეტებში) და კანადაში (ტორონტოს უნივერსიტეტი, კანადის საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტი), ასევე გამოსცემდა სტატიებს ცნობილ ამერიკულ ჟურნალებში. ის მონაწილებდა პარიზის ორ საერთაშორისო კონფერენციაში (1919 და 1945 წწ.).

[93] ა. დუგინი. "გეოპოლიტიკა". 1997 წ. გვ. 131

ტოინბს მსოფლიო აღიარება მოუტანა 12-ტომიანმა ნაშრომმა "ისტორიის გაგება", რომელსაც მან მიუძღვნა თითქმის 30 წელი. ესაა კაცობრიობის განვითარების ახლებური გააზრება ცივილიზაციური მიდგომით. აქ აშკარად იგრძნობა შპენგლერის გავლენა, რომლის წიგნიც "ევროპის მზის ჩასვლა" ათი წლით ადრე გამოვიდა. ასე რომ, ერთ–ერთი ამოცანა, რომელიც ტოინბმა დაისახა კვლევითი მუშაობის დაწყების წინ, იყო "ცივილიზაციათა ერთიანობის" კონცეფციის უარყოფა და არსებულ ცივილიზაციათა მრავალფეროვნების კონცეფციის დამტკიცება. ტოინბმა უარყო ევროცენტრიზმის პოზიცია, ცნო რა თანადროულად არსებული ბევრი განვითარებული და ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურის არსებობა, ხოლო ისტორიის კვლევას ტოინბი აწარმოებდა პოლიცენტრიზმის და ცივილიზაციური ავტონომიის პოზიციიდან.

ტოინბმა მოახდინა რეალურად არსებული და გამქრალი ხალხების საზოგადოებების კლასიფიცირება, მოახდინა მათი შედარებითი ანალიზი და კულტურული იდენტიფიკაცია. შედეგად, მათში გამოყო ცხრამეტი ტიპოლოგიური სტრუქტურა ან საზოგადოება, გენეზისი (აღმოცენება), ზრდა, დაცემა და დაშლა, რომლებიც შეადგენენ კაცობრიობის ისტორიას. თავდაპირველად ამ ცივილიზაციათა რიცხვში მან მოაქცია დასავლური, მართმადიდებლური, ირანული და არაბული (დღეს ისინი წარმოადგენენ ისლამურ ცივილიზაციას), სირიული, ინდური, შორეული აღმოსავლეთის, ელინური, ჩინური, შუმერული, ხეთური, ბაბილონის, ანდური (ინკების იმპერია იუკატაური), მექსიკური(აცკეტების იმპერია), მაიას (მაიას იმპერია), ეგვიპტური ცივილიზაციები. მოგვიანებით ტოინბის მიერ ცივილიზაციათა რიცხვი ოცდაერთამდე იქნა გაზრდილი.

ისტორია ტოინბის მიხედვით კარგავს ერთხაზოვნებას და ჰომოგენურობას და ამით იძენს ციკლურობას, მრავალგანზომილებას, განვითარების მრავალ მიმართულებას და არა ერთგვაროვან ჰეგემონობას. ცივილიზაციის წარმოშობა მისი აზრით დაკავშირებულია ან პრიმიტიულ, ცივილიზაციამდელი საზოგადოების ცივილიზაციურში მუტაციასთან ან ნათესაურად დაკავშირებული ცივილიზაციების გამოჩენასთან, რომლებიც აღმოცენდებიან არა მათი წინაპრების წიაღიდან, არამედ მათ გვერდით. ახალი ცივილიზაციების წარმოქმნის ფაქტორებს შორის ტოინბმა გამოყო: პირველი–რასებსა და ცივილიზაციებს შორის ურთიერთქმედება და მეორე–გეოგრაფიული და ისტორიული გარემოს ზემოქმედება. ცივილიზაციური პროცესის შემაფერხებელ, ნეგატიურ ფაქტორად ტოინბი მიიჩნევდა ინერციის ძალას - ტრადიციას.

ისტორია და გეოპოლიტიკა ტოინბთან წარმოდგენილია გამოწვევებისა და პასუხების სახით. "გამოწვევა–პასუხის" კონცეფცია გამოდის ყველა სულიერის თავდაპირველი დუალიზმიდან - შეჯახება იაჰვესა და გველის, ღმერთის და სატანის, კეთილის და ბოროტის, ჩინურ ფილოსოფიაში იანის და ინის დაპირისპირება იძლევა გამოწვევისა და პასუხის საწყის მაგალითებს. "გამოწვევა აქეზებს ზრდას. გამოწვევაზე პასუხით საზოგადოება წყვეტს მის წინაშე წამოჭრილ ამოცანას, რომლის შედეგადაც გადადის სირთულის თვალსაზრისით უფრო მაღალ და უფრო ჩამოყალიბებულ სტრუქტურულ მდგომარეობაში. . . გამოწვევის უარყოფა ნიშნავს ზრდის და განვითარების სტიმულების უარყოფას."[94] ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხელსაყრელი გეოგრაფიული და კლიმატური პირობები ყოველთვის არ უწყობენ ხელს საზოგადოების განვითარებას. უფრო მეტიც, გარემოს ზედმეტად კომფორტული პირობები ამუხრუჭებენ პროგრესს და ხელს უწყობენ ბუნებასთან კავშირს. ამ შემთხვევაში მოქმედებს კანონი "რაც უფრო ძლიერია გამოწვევა, მით უფრო ძლიერია სტიმული".[95] განსაკუთრებით ძლიერი განვითარების სტიმულად გამოდგება ზღვის გადაღმა მიგრაცია. ეს აშკარად ჩანს ხმელთაშუა ზღვის

[94]Исаев. Геополитика. Стр. 292

[95]იქვე

რეგიონის ისტორიის და განსაკუთრებით ახალი დროის კოლონიალიზმის ისტორიის მაგალითზე.

გარემომცველი ისტორიული, ადამიანური გარემო არანაკლებ მოქმედ ფაქტორს წარმოადგენს. ეს გარემო ცივილიზაციის განვითარებაზე მოქმედებს შემდეგი საშუალებებით - ან "სტიმული–დარტყმა" ან "სტიმული–ზეწოლა". ადამიანური გარემოს "დარტყმის" სტიმულირებადი ზემოქმედების კლასიკური მაგალითია ათენის რეაქცია სპარსეთის აგრესიაზე (480–479 წწ. ძვ.წ.). "სტიმული–ზეწოლა"–ზე პასუხის მაგალითია მოსკოვის სამთავროს აღმოცენება მონღოლთა უღელის გადაგდების შედეგად. ცივილიზაციებში, რომლებიც განიცდიან ისტორიული გარემოს უწყვეტ ზეწოლას, ყალიბდება განსაზღვრული სოციალური სტრუქტურები: ფორპოსტები და ზურგები. მოსკოვის სახელმწიფოს ტიპიურ ფორპოსტად ემსახურებოდა კაზაკობა, "მესაზღვრეები რუსული მართლმადიდებლობისა", რომლებმაც გაიმარჯვეს მომთაბარეებთან ბრძოლაში. მეორე "გამოწვევა–ზეგავლენად" რუსეთზე, ამ შემთხვევაში დასავლეთიდან, ტოინბს მიაჩნია პოლონეთის ინტერვენცია (1610–1612 წწ). ამ ინტერვენციაზე პასუხის შედეგად მომავალში შესაძლებელი გახდა რუსეთის გამარჯვება ჩრდილოეთის ომში და პეტერბურგის დაარსება.

ანალოგიურად, ფორპოსტების მეშვეობით, "გამოწვევა–ზეგავლენას" პასუხობდა დასავლეთიც. პირველ რიგში, დასავლეთის სამყარომ რომის იმპერიის და კარლოს დიდის იმპერიის სახით გაუძლო "კონტინენტურ ევროპელ ბარბაროსებს", მეორე მხრივ–მოსკოვის წინააღმდეგობას, მესამე–ოტომანთა იმპერიას, მეოთხე– შორეული დასავლეთის წინააღმდეგობას (კელტები და სკოტები), მეხუთე–სკანდინავიის ვიკინგებს, მეექვსე–არაბების (მავრიტანულ) ზეწოლას.

ისტორიული სტიმულები, გარდა "დარტყმისა" და "ზეწოლის" ფორმებისა, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნის გარედან, შეიძლება მოგვევლინონ სოციალური უფლებების შელახვის ფორმითაც, რომელიც თავს იჩენს სოციალური გარემოს შიგნიდან ისეთი პროცესების დროს, როგორებიცაა მიგრაცია, მონობა, კასტური და რელიგიური დისკრიმინაცია. "სოციალური უფლებების დარღვევა" ასევე სტიმულს აძლევს საზოგადოებას გასცეს სათანადო პასუხები ზემოაღნიშნულ ნეგატიურ მოვლენებს.

მუდმივად მოქმედ "გამოწვევა–პასუხის" მდგომარეობაში თავს იჩენს "კომპეტენციის კანონი". მისი ქმედებები დაკავშირებულია განსაკუთრებით მკაცრ გამოწვევასთან და ვლინდება როგორც განსაკუთრებულად მკაცრი განსაცდელის შემსუბუქების ფორმით. მაგალითად, საზღვაო სტიქიები - მიტოვებული ვენეცია და ჰოლანდია კომპენსირებული იყო თვით ბუნების მიერ შექმნილი საზღვაო დამცავი ზღუდით. ტოინბმა გააკეთა დასკვნა, რომ "გამოწვევის ძალების მიერ რაღაც ზღვარის გადალახვა იწვევს არა მატებას, არამედ წარმატებული პასუხის კლებას"[96]. აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად სტიმულირებადი გამოწვევა–ესაა არა ყველაზე ძლიერი, არამედ მოცემული საზოგადოებისათვის ოპტიმალური გამოწვევა, რომლისთვისაც ის მზადაა და მას შეეძლება საკადრისი პასუხი გასცეს ამგვარ გამოწვევას.

საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის გამოკვლევით, ტოინბმა აღმოაჩინა, რომ გარკვეულ ცივილიზაციებს აქვთ უფრო მტკიცე შიდა კავშირები ვიდრე სხვას. ასეთი მტკიცე კავშირებია იგივე " მამაშვილური ურთიერთობა". ეს კავშირები ქმნის ახალი ტიპის უნივერსალურ სახელმწიფოს.

საზოგადოება თავისი განვითარების პროცესში, გამოყოფს თავისთავად ისეთ სოციალურ სტრუქტურებს, როგორიცაა დომინირებადი უმცირესობა (ელიტა), შიდა და გარე პროლეტარიატი. ელიტის დანიშნულებაა–მისცეს საზოგადოებას განვითარების საერთო პროგრამა, შთააგონოს მოსახლეობას უნივერსალური სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებლობა. შიდა პროლეტარიატი (მაგალითად პირველი ქრისტიანები), წარმოშობს "განვითარებულ" რელიგიას, რომელიც იღწვის

[96]Исаев. Геополитика. Стр. 293

მსოფლიო ეკლესიის სტრუქტურიზაციისაკენ, ხოლო გარე პროლეტარიატი ცდილობს დაიცალოს დაგროვილი ენერგიისაგან სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა (პირველ რიგში საომარი მოქმედებების ფორმით), და თავს ავლენს როგორც საგმირო საუკუნეების შემქმნელი.

ნაშრომები "ცივილიზაცია ისტორიის სასამართლოს წინაშე" და "მსოფლიო და დასავლეთი", ატარებდნენ ნათლად გამოკვეთილ გეოპოლიტიკურ ხასიათს. პირველად, ტოინბი აანალიზებდა რა "მსოფლიო რუკის ცვლილებებს", აღნიშნავდა უნიფიკაციის მზარდი პროცესის შესახებ, მსოფლიოს გაერთიანების იდეას საერთო მსოფლიო თანამეგობრობაში, რომელიც რეალობად იქცა უკვე 1500 წლიდან. უნიფიკაციის პროცესი, მეცნიერის აზრით, "მიგვიყვანს, მსოფლიოს პოლიტიკურ გაერთიანებასთან, ახლო მომავალში მსოფლიო სახელმწიფოს შექმნასთან. ამასთანავე გამოიწვევს უდიდესი სახელმწიფოების რიცხვის შემცირებას რვიდან ორამდე (ამერიკა, სსრკ). ამასთანავე, მესამე დიდი სახელმწიფო შეიძლება გახდეს ევროპის კავშირი. მსოფლიოს გაერთიანება შეიძლება ორი მეთოდით: იძულებითი (სამხედრო საშუალებებით) და თანამშრომლობის გზით. იძულებითი მეთოდი შეუძლებელია ბირთვული იარაღის ეპოქაში. მიტომ, უდიდეს სახელმწიფოებს და დანარჩენ ქვეყნებს არ აქვთ ურთიერთობების მოგვარებისა და პოზიციათა დაახლოების ალტერნატივა. დაახლოების მექანიზმი და მსოფლიო მართვის პროცესი უკვე შექმნილია გაეროს სახით".[97]

ქვეთავში "ცივილიზაციათა შეჯახება" (ჰანტიგტონი მოგვიანებით გამოიყენებს ამ ტერმინს თავისი ცნობილი სტატიისა და წიგნისათვის) ტოინბმა მოახდინა შეჯახების თეორიის ჩანაწერი: "ისტორიის მთავარი შინაარსი ბოლო 450 წლის განმავლობაში იყო დასავლეთის ცივილიზაციის ძლიერი ზემოქმედება ყველა სხვა ცივილიზაციაზე და დასავლეთის და დანარჩენი მსოფლიოს შეჯახება".[98] ამ შეჯახების დონესა და საზღვრების შესახებ იყო აღწერილი მეცნიერის მიერ ზემოთ აღნიშნულ წიგნში " მსოფლიო და დასავლეთი", რომლის სხვადასხვა თავი ატარებს შესაბამის სახელებს: "რუსეთი და დასავლეთი", "ისლამი და დასავლეთი", "ინდოეთი და დასავლეთი", "შორეული აღმოსავლეთი და დასავლეთი" (შორეულ აღმოსავლეთში ის გულისხმობდა " ჩინეთს, იაპონიას და კორეას"). ამგვარად, ჩვენ ვიღებთ ცივილიზაციათა შეჯახების შემდეგ გეოპოლიტიკურ სურათს: დასავლეთის ცივილიზაციას ეწინააღმდეგება რუსეთის, ისლამის, ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის და კორეის ცივილიზაციები. როგორც ჩანს, ისტორიული და გეოპოლიტიკური მსოფლიო სურათი ტოინბის შრომებში ერთმანეთს არ ემთხვევა. განსხვავება მდგომარეობს მექსიკური ცივილიზაციის არ არსებობით არსებულ გეოპოლიტიკურ სურათში. მეცნიერს არ აუხსნია ამ არარსებობის მიზეზი. შეიძლება მან არ ჩათვალა საჭიროდ მცირე ნაშრომში გაეკეთებინა დასავლეთის და ლათინური ამერიკის შეჯახების ანალიზი, ან ჩათვალა, რომ მექსიკური ცივილიზაცია ვერ შეეწინააღმდეგება დასავლეთს თანამედროვე ეტაპზე. არც ისაა გამორიცხული, რომ თანამედროვე ლათინური ამერიკა არის ნაწილი დასავლეთის ცივილიზაციისა – მის ნაშრომში "ისტორიის გაგება", მექსიკური ცივილიზაციის იდენტიფიკაციისას ტოინბი გულისხმობდა შუა საუკუნეების მექსიკურ, იუკატანის და მაიას საზოგადოებებს.

მანუელ კასტელზი

თანამედროვე ევროპული გეოპოლიტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია მანუელ კასტელზი–გამოჩენილი თანამედროვე სოციოლოგი და პოლიტოლოგი, რომლის ნაშრომებშიც გადმოცემულია ინფორმაციულ-გლობალური საზოგადოების ფორმირების, განვითარებისა და ფუნქციონირების ძირითადი კანონზომიერებები.

[97]Исаев. Геополитика. Стр. 294

[98]Исаев. Геополитика. Стр. 294

მანუელ კასტელზი ცნობილი გახდა მისი გამოკვლევებით "ქალაქები სოციოლოოგის სფეროში", რომელთა განხორციელებას ის დღესაც აგრძელებს. ის აგრეთვე უძღვნის რიგ გამოკვლევებს ინფორმაციულ საზოგადოებას და წერს ტრილოგიას: "ინფორმაციული საუკუნე: ეკონომიკა, საზოგადოება და კულტურა": "ქსელური საზოგადოების ჩამოყალიბება"(1996), "იდენტურობის ძალა" (1997), "ათასწლეულის დასასრული" (1998).

მეცნიერის ერთ–ერთი ბოლო ნაშრომია "საუბრები მანულ კასტელზთან", სადაც განზოგადოებული სახითაა წარმოდგენილი მისი სოციალურ - პოლიტიკური იდეები.

მანულ კასტელზის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის სფერო საკმაოდ ფართოა, 20 წლის განმავლობაში ის კითხულობდა ლექციებს პარიზის უნივერსიტეტში, ასევე დაკავებული იყო ლექციების წაკითხვითა და გამოკვლევებით ჩილეში, კანადაში, ესპანეთში, ვენესუელაში, მექსიკაში, აშშ-ში, შვეიცარიაში, ჰონკონგში, სინგაპურში, ტაივანში, რუსეთში, ნიდერლანდებსა და სხვა მთელ რიგ სახელმწიფოებში. ამჟამად კასტელზი მუშაობს აშშ–ში კალიფორნიის უნივერსიტეტში. ის აგრეთვე არის იუნესკოს ელჩი და მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ხელისუფლებების მრჩეველი.

მეცნიერის გამოკვლევის გეოპოლიტიკური ასპექტი კონცენტრირებული სახით წარმოდგენილია სტატიაში "ევროპული ქალაქები, ინფორმაციული საზოგადოება და გლობალური ეკონომიკა" (1994). კასტელზი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია შემდეგი გამოვლინებები:

- გლობალური ინფორმაციულ–ტექნოლოგიური რევოლუციის განვითარება
- ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობა
- გლობალური ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება[99]

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც უშუალოდაა დამახასიათებელი ევროპული საზოგადოებისათვის, ეს არის ევროპული ინტეგრაცია.

გლობალური ეკონომიკა კასტელზის მიხედვით წარმოადგენს პირველ რიგში ფინანსური და ინფორმაციული ნაკადების სისტემას. ნაკადები კონცენტრირდება საკვანძო ცენტრებში – უმსხვილეს ქალაქ–მეგაპოლისებში. ასე ყალიბდება გლობალური ეკონომიკის ქსელი, რომლის სიცოცხლისუნარიანობისათვის ქალაქი იწყებს საკვანძო როლის თამაშს. გლობალური ეკონომიკის ქსელი აყალიბებს ე.წ. "ნაკადთა სივრცეს", რომელიც მსოფლიოში ძალთა განლაგების ანალიზის მიხედვით თამაშობს უფრო დიდ როლს ვიდრე სივრცე, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, რომელსაც კასტელზი განსაზღვრავს ტერმინით "ადგილის სივრცე". ამგვარად, კონცენტრირდება რა მეგაპოლისების ბიზნეს–ცენტრებში, ნაკადების სივრცე ღებულობს ფიზიკურ გამოვლინებას. მაგრამ, ქალაქის ბიზნეს–ცენტრები არ არის აბსტრაქტული ცნება. ასე რომ, კასტელზის კონცეფციის მთავარ იდეას წარმოადგენს ნაკადთა სივრცესა და ადგილის სივრცეს შორის ურთიერთკავშირის პრობლემა, რომელიც ხშირად ატარებს დაძაბულ და ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათს. ნაკადების სივრცე კასტელზის მიხედვით არის ქმედება ან ფუნქცია, ადგილის სივრცე–ესაა ფუნქციის აზრი, ამგვარად, თანამედროვე საზოგადოებაში ფუნქცია ვარდება წინააღმდეგობაში და შორდება აზრს. მკვლევარის ასეთ თვალსაზრისში შეინიშნება თანამედროვე ეპოქის აბსურდიც და დიდებაც, რომელსაც სიმბოლურად წარმოაჩენს ქალაქ–მეგაპოლისების აბსტრაქტული მონუმენტალობა. ასე რომ, სახელმწიფოს ან რეგიონის როლი მსოფლიო ურთიერთკავშირების სისტემაში ინფორმაციული საზოგადოების ეპოქაში განისაზღვრება ნაკადების სივრცით წარმოდგენილ გლობალურ ეკონომიკაში

[99]Исаев. Геополитика. Стр. 299

ჩართულობის ხარისხით. ამ კავშირში კასტელზი ახორციელებს სივრცით ანალიზს. იგი იყენებს გეოპოლიტიკის ისეთ ტრადიციულ კატეგორიებს, როგორებიცაა ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი და ა.შ. და პრობლემებსაც განიხილავს რეგიონების მიხედვით. მაგალითად-სამხრეთ–აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოების პრობლემა, რომლებიც მისდევენ იაპონიის კურსს; ლათინური ამერიკის, რომელიც მიისწრაფვის გლობალურ ეკონომიკაზე გავლენის მოხდენისაკენ, მაგრამ ბალანსირდება მარგინალიზმის საზღვრებზე; აფრიკის, რომელიც სიღარიბეშია; ჩინეთის, რომელიც იძულებულია გაიღოს ჰუმანიტარული ხარჯები ეკონომიკური ზრდისათვის და რუსეთის, რომელიც გლობალურ სივრცეში ინტეგრირების გზას ადგას.

ამავე დროს, ყველაფრის მიუხედავად სწორედ ქალაქის ევროპა, როგორც სოციალ–კულტურული ერთიანობა წარმოადგენს კასტელზის კვლევის ძირითად საგანს. კასტელზის აზრით, ათასწლეულის ზღვარზე ევროპისათვის დამახასიათებელია შემდეგი ტენდენციები.

- მოქალაქეების იდენტურობის კრიზისი, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო–ერის როლის შესუსტებასთან და ქალაქის როლის ზრდასთან;
- განვითარებადი ქვეყნებიდან იმიგრანტების მოზღვავება, რომელიც იწვევს მოქალაქეებს შორის ქსენოფობიის გაძლიერებას;
- სოციალური მოძრაობის გააქტიურება, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია ეკოლოგიურ და ქალთა უფლებების დამცველ მოძრაობებთან;
- ქალაქებში მარგინალთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც ცხოვრობენ ან სპეციალურად გათვალისწინებულ გეტოებში ან ქალაქის ქუჩებში.[100]

მგვარად, კასტელზი ახასიათებს თანამედროვე ევროპულ ქალაქს, როგორც ინფორმაციულს (ინფორმაციულ რესურსებთან და აუცილებელი ინფრასტრუქტურის კონცენტრაციასთან კავშირში), გლობალურს (საკვანძო ცენტრი გლობალური ნაკადების სივრცისა სატრანსპორტო და სხვა სახის ინფრასტრუქტურის წყალობით) და დუალისტურს (ქალაქი, მთელი მისი წინააღმდეგობებით, სადაც საქმიანი ცენტრის ინფორმაციულ–ტექნიკური ელიტის ცხოვრება ემეზობლება გარეუბნების მოსახლეობასა და მარგინალებით დასახლებული გეტოების ცხოვრებას).

ამასთანავე, თანამედროვე ქალაქის ევროპული ცივილიზაცია ყალიბდება შუასაუკუნეების ქალაქის ეპოქის ტრადიციების საფუძველზე, როდესაც ქალაქისადმი კუთვნილება უფრო დიდ როლს თამაშობდა, ვიდრე ნაციონალური იდენტიფიკაცია. იდენტურობის კრიზისის გადალახვას კასტელზი უკავშირებს მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობასთან ადგილობრივი თვითმართველობის სტრუქტურებში საქმიანობის პროცესს.

ასე რომ, კასტელზის კონცეფციაში წარმოდგენილია როგორც გლობალური გეოპოლიტიკის დონე, ასევე საქალაქო აგლომერაციების რეგიონულ–ადგილობრივი გეოპოლიტიკა. კასტელზის მიერ წამოწეული პრობლემები, ასე თუ ისე დაკავშირებულია ნაკადების სივრცესა და ადგილის სივრცის წინააღმდეგობებთან და წინააღმდეგობების გადაწყვეტის თუ არა, მოქალაქეების ამ სივრცეებთან ადაპტაციის გზების ძიებასთან.

პიტერ ტეილორი

[100]Исаев. Геополитика. Стр. 300

კასტელზის მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის ძიებაში ბრიტანელი გეოპოლიტიკოსი პიტერ ტეილორი მიდის დასკვნამდე, რომ აუცილებელია ტრადიციული გეოგრაფიულის გვერდით მსოფლიოს სივრცობრივი ასახვის კონცეფციის შემუშავება, რაც თავისი არსით თანხმობაში მოდის ნაკადების სივრცის და ადგილის სივრცის თანაფარდობის კონცეფციასთან. მის მიერ შემუშავებული ქალაქებს შორის კავშირის მატრიცა წარმოადგენს მანუელ კასტელზის იდეის კონკრეტიზაციას.

პროფესორი პიტერ ტეილორი თანამედროვე ბრიტანული და მსოფლიო პოლიტიკური გეოგრაფიის, გეოეკონომიკის და გეოპოლიტიკის ერთ-ერთ ნათელ ფიგურას წარმოადგენს. მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია როგორც დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში სალექციო კურსების ჩატარებასთან, ასევე პერიოდული ჟურნალების გამოცემასთან. 1982 წლიდან 1998 წლამდე ტეილორის რედაქციით გამოიცემოდა ჟურნალი "პოლიტიკური გეოგრაფია" და 1992 წლიდან 1997 წლამდე "საერთაშორისო პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმოხილვა".

ტეილორის ნაშრომი "პოლიტიკური გეოგრაფია: მსოფლიო ეკონომიკა, სახელმწიფო–ერი და ლოკალობა" პოლიტიკურ გეოგრაფიაში, გეოპოლიტიკასა და მსოფლიო ეკონომიკაში ერთ-ერთ საფუძვლიან ნაშრომად განიხილება და ისწავლება მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. თავად მეცნიერი გამოყოფს თავისი გამოკვლევების ოთხ ძირითად მიმართულებას:

1. მსოფლიო ჰეგემონიის გამოკვლევა–მონოგრაფია "თანამედროვე მსოფლიოს გზა: მსოფლიო ჰეგემონიიდან და გამოუსავალ მდგომარეობამდე" (1996). ამ მიმართულების ჩარჩოებში ტეილორმა მოახდინა ნიდერლანდების, ბრიტანეთის და აშშ–ს დომინირების პერიოდების შედარებითი ანალიზი ამ ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის თვალთახედვიდან.

2. ბრიტანეთის სპეციფიკის შესწავლა პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სოციოლოგიაში.

3. მოდერნიზაციისა და ამერიკანიზაციის პრობლემების განხილვა. ეს მიმართულება უშუალო კავშირშია ჰეგემონიის ფენომენის გამოკვლევასთან და გამოხატულება ჰპოვა შემდეგ ნაშრომებში: "თანამედროვეობა: გეოგრაფიული ინტერპრეტაცია" (1999წ). "ამერიკული საუკუნე: იძულება და კონსენსუსი ამერიკული ძლევამოსილების განვითარების პერსპექტივაში."

4. დისციპლინათშორისი სოციალური გამოკვლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიმდინარეობას აქვს გეოპოლიტიკური მიმართულება, პირველმა თეორიამ ავტორს მსოფლიო აღიარება მოუტანა. მსოფლიო ჰეგემონიის გამოკვლევაში ტეილორი ეყრდნობა იმპერიალიზმისა და "მსოფლიო–სისტემის" თეორიებს. ის ოპერირებს "ბირთვის" და "პერიფერიების" მოდელებით. განსაზღვრული ტერიტორიის ცენტრთან ან პერიფერიასთან მიკუთვნების კრიტერიუმად ტეილორის აზრით გვევლინებიან სოციალ–ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, რომლებიც "მსოფლიო სისტემისათვის" თავიანთი მნიშვნელობიდან გამომდინარე შეიძლება იყვნენ "საკვანძო" (ბირთვში მიმდინარე პროცესები) ან "პერიფერიული". ბირთვის და პერიფერიების კატეგორიების გარდა ტეილორი აგრეთვე იყენებს ნახევრად პერიფერიის კატეგორიას. ნახევარპერიფერიაზე აღინიშნება განსაზღვრული შერწყმა საკვანძო და პერიფერიული პროცესებისა.

მგვარად, სახელმწიფო–ჰეგემონის გეოგრაფიული მდებარეობა შეიძლება განისაზღვროს როგორც "ბირთვი-სახელმწიფოების" მთავარი კოზირი. ჰეგემონია ითვალისწინებს კონკურენტებზე ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროებში დომინირებას. ჰეგემონიის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური უპირატესობა. ფეგემონიის ჩამოყალიბება მოიცავს სამ სტადიას: კონკურენტებზე უპირატესობა წარმოებაში; კომერციული უპირატესობა ვაჭრობაში; ფინანსური დომინირება.

ბერკეტების სისტემის შედეგად (უმეტესწილად ეკონომიკური ხასიათის ბერკეტებისა), ჰეგემონია ქმნის მისთვის სასურველ ძალთა წონასწორობას მსოფლიოში, ისე რომ არ მიმართავს უშუალო მუქარას მოწინააღმდეგეებისადმი.

ისტორიაში ტეილორის თანახმად ადგილი ჰქონდა სამ ჰეგემონიას:

1. ნიდერლანდები– XVIIIს.
2. ბრიტანეთი – XIXს.
3. აშშ – XX ს. შუა პერიოდიდან

ჰეგემონია ვითარდება განსაზღვრული კანონზომიერებით, აყალიბებს შექმნის, გაძლიერებისა და გაქრობის ციკლებს. უკანასკნელი აიხსნება პირველ რიგში მისი ღია ყოვლისმომცველი, ყველგანშეღწევადი ხასიათით, რომელიც წარმოადგენს საშუალებას **კონკურენტებისათვის** გამოიყენონ ლიდერის ტექნიკური და საწარმოო მიღწევები.

ტეილორის თვალსაზრისით ჰეგემონიის ციკლებს აქვს შემდეგი განსაკუთრებულობა:

- ლიდერობის გადაცემის პროცესი როგორც წესი მშვიდობიან ხასიათს ატარებს, რადგან მომავალი ჰეგემონი შედის კოალიციაში გაქრობის ზღვარზე მყოფ ჰეგემონთან, როგორც უმცროსი პარტნიორი;
- ჰეგემონის სისტემური მბრძანებლობა აუცილებლად ითვალისწინებს მსოფლიო ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნას;
- ჰეგემონიის დადასტურება, როგორც წესი დაკავშირებულია მსოფლიო ომის 30–წლიანი ციკლის დამთავრებასთან, რომელიც იწვევს მსოფლიოში ძალთა წონასწორობის შეცვლას.

მსოფლიო ბატონობის სხვა სახეს ტეილორის მიხედვით წარმოადგენს "ფორმალური" ან "არაფორმალური" იმპერიალიზმი, რომელშიც მეცნიერს ესმის "მბრძანებელი–ქვეშევრდომის ურთიერთობა ბირთვსა და პერიფერიას შორის".[101] ფორმალური იმპერიალიზმი გულისხმობს იურისდიქციას პერიფერიულ რაიონებზე. არაფორმალური არსით წარმოადგენს ჰეგემონიის ერთ-ერთ შემადგენელს – არაფორმალური კონტროლი სახელმწიფოების პერიფერიებზე და ნახევრად პერიფერიებზე ადმინისტრაციული ბერკეტების საშუალებით. როგორც ჰეგემონიის ფენომენს, ტეილორი განიხილავს იმპერიალიზმის განვითარებასაც ციკლურ დინამიკაში და ამ ანალიზის ჩარჩოებში ქმნის ცნობილი კოლონიური მოღვაწეობის (აქტივობის) პერიოდიზაციის კონცეფციას.

კოლონიების დაარსება მოიცავს სამ ფაზას: კოლონიის შექმნა, მისი ტერიტორიის რეორგანიზება და სუვერენიტეტის გადაცემა. კოლონიის მმართველობის დადგენა გულისხმობს მის შექმნას, კოლონიის რეორგანიზაცია როგორც წესი დაკავშირებულია მეტროპოლიაში "გაყინვის" პერიოდდთან და შედეგად კოლონიის ექსპლუატაციის ზრდასთან. ასეთი კოლონია ხდება მეტროპოლიის ტვირთი, ხოლო სუვერენიტეტის გაყოფა ნიშნავს კოლონიაზე მბრძანებლობის გაყოფას. ფაქტიურად, სუვერენიტეტის გადაცემას ისტორიაში **ამ შემთხვევას** ორჯერ ჰქონდა ადგილი: ბრიტანეთის სუვერენიტეტის დამტკიცებისას საფრანგეთის დამარცხების შემდეგ 1815 წელს და ამერიკის ჰეგემონიის დამტკიცებისას გერმანიის დამარცხების შემდგომ 1945 წელს.

კოლონიის დაარსების ანტიპოდს წარმოადგენს დეკოლონიზაცია, რომელმაც მოიცვა ორი მნიშვნელოვანი პერიოდი: ესპანეთის და პორტუგალიის კოლონიების გაუქმება ლათინურ ამერიკაში XIX საუკუნის პირველ მესამედში და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება აფრიკისა და აზიის ქვეყნების

[101]Исаев. Геополитика. Стр. 301

მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ტეილორის მიხედვით დეკოლონიზაციის პერიოდს გააჩნია ორი მთავარი მახასიათებელი:

1. "გეოგრაფიული გადამდებობა"–თავის მხრივ ჯაჭვური რეაქცია, რომელიც დეკოლონიზაციის პროცესს მოცემული რეგიონისათვის საერთო ხასიათს აძლევს.

2. იდეოლოგიური სარჩულის არსებობა.

კოლონიზაციის პერიოდში ტეილორი გამოყოფს კოლონიური მოღვაწეობის ოთხ პერიოდს: ორი არაკონკურენტული და ორი კონკურენტული. არაკონკურენტული ერის პერიოდისას იქმნება კოლონიები და შედარებით სტაბილურად არსებობს სახელმწიფო–მეტროპოლია. კონკურენტული ერისათვის დამახასიათებელია ბრძოლა კოლონიებზე მბრძანებლობის გადანაწილებისათვის და მსოფლიო არენაზე ახალი მეტროპოლიის გამოსვლა.

პირველი არაკონკურენტული ერა ტეილორის მიხედვით გრძელდებოდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის დასაწყისიდან (XVს ბოლო) XVIII საუკუნის დასაწყისამდე. ერთადერთ მეტროპოლიებად იმ პერიოდში გვევლინებოდა ესპანეთი და პორტუგალია, ხოლო მფლობელობის ობიექტი იბერიული ამერიკა. პირველი კონკურენტული ერა იყო XVII–დან XIX საუკუნის დასაწყისამდე. ესპანეთის, პორტუგალიის, ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და შედარებით მცირე ხარისხით ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოების–დანიის, შვედეთის და პრუსიის ბრძოლის პერიოდი. ამ ეპოქის შედარებით მნიშვნელოვანი მოვლენა დაკავშირებულია ინგლის–საფრანგეთის ომებთან, რომელიც ნაპოლეონის იმპერიის დაცემით დამთავრდა.

მეორე არაკონკურენტული ერა – ესაა სამრეწველო რევოლუციიდან (XVIII საუკუნის ბოლოდან) XIX საუკუნის 70-იან წლებამდე არსებული პერიოდი, რომლისთვისაც დამახასიათებელია წამყვანი მეტროპოლიების– დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის მშვიდობიანი თანაარსებობა. მეორე კონკურენტული ერა (XIX საუკუნის ბოლო მესამედი–XX საუკუნის პირველი მეოთხედი) დაკავშირებულია დიდი ბრიტანეთის ჰეგემონიის დამთავრებასთან. მთლიანობაში, ამ დროს კოლონიებისათვის ბრძოლაში მონაწილეობენ ძველი მეტროპოლიები–დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი და ახალი მეტროპოლიები – ბელგია, გერმანია, იტალია, იაპონია და აშშ. მრავალი მოვლენიდან, რომელიც მეორე კონკურენტული ერის დროს მიმდინარეობდა, როგორც შედარებით მნიშვნელოვანს ტეილორი გამოყოფს ბრძოლას აფრიკის კოლონიებისათვის. სინამდვილეში აფრიკის კონტინენტზე გავლენის სფეროების საკითხი აქტუალური რჩება დღევანდელ დღესაც.

იგნასიო რამონე

იგნასიო რამონე თანამედროვე ევროპაში ითვლება საკმაოდ ცნობილ ფრანგ პოლიტოლოგად და გეპოლიტიკოსად. მის ნაშრომში "ქაოსის გეოპოლიტიკა", ის აანალიზებს მსოფლიო რეალობას ცივი ომის დასრულების შემდგომ. რამონე მსოფლიოში არსებულ ვითარებას II ათასწლეულის ბოლოს აფასებს როგორც "დიდ ქაოსს", რომელშიც ერთი მხრივ იზრდება სხვადასხვა რეგიონული ეკონომიკური კავშირების რიცხვი, მეორე მხრივ–იწყებს აღორძინებას ნაციონალიზმი, იშლება სახელმწიფოები ხოლო, ეთნიკური უმცირესობები ითხოვენ დამოუკიდებლობას. მსოფლიო გარდაიქმნება "ჩუმ" მასობრივ შინაგან და გარეგან კონფლიქტებში, რომელსაც ხელს უწყობს პოლიტიკური ავანტურები, დანაშაულებრივი დაჯგუფებები, იარაღი, ნარკოტიკების გავრცელება, დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება. მსოფლიოს გაერთიანების პროცესს ამერიკის ხელმძღვანელობით სულ უფრო დიდი წინააღმდეგობები ეღობება. დასავლეთის მთავარი მტრის, კომუნიზმის გაქრობის შემდეგ დღევანდელ დღეს

მოწინააღმდეგე გახდა შიდსი, ტერორიზმი, ეთნიკური და რელიგიური ფანატიზმი, დემოგრაფიული აფეთქება, ბირთვული იარაღის გავრცელება და ა.შ.

რამონე გვთავაზობს მთელ რიგ პირობებს, რომლებითაც შეიძლება ამ ქაოსის გადალახვა. პირველ რიგში აუცილებელია გაეროს რეფორმირება, რომელსაც შინაგანად არ შეუძლია ასეთი კონფლიქტების მართვა. რეფორმამ უნდა გააუქმოს ვეტოს უფლება უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებისათვის, რომელიც ამ ორგანოს ფუნქციონირებას უშლის ხელს და ამავე დროს მუდმივი წევრის სტატუსით საბჭოში უნდა შეყვანილ იქნენ სხვა შედარებით მსხვილი ქვეყნები (ინდოეთი, მექსიკა, ბრაზილია, ნიგერია, ეგვიპტე), რომელნიც გარკვეულწილად რეგიონული ლიდერების როლს ასრულებენ.

მეორე – დემოკრატიისათვის ბრძოლის გაფართოება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ახალ რეალობას. XVIII საუკუნის ადამიანისა და მოქალაქის უფლებების და XIX და XX საუკუნის სოციალური უფლებების ქარტიების სანაცვლოდ უნდა დამყარდეს ახალი უფლებების მთელი კომპლექსი ინფორმაციაზე, მშვიდობაზე, უშიშროებაზე, წყლის რესურსებზე, გარემოს დაცვაზე.

მესამე – ახალი ტექნოლოგიების - პირველ რიგში ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნა.

მეოთხე–საყოველთაო ბაზრის განვითარება: საქონლის, ფინანსური, სამუშაო ძალის, ტელეკომუნიკაციის სფეროების განვითარება. ძველი პარადიგმული წყვილი "პროგრესს პლუს ერი" შეცვალა, როგორც რამონე ირწმუნება მომავალი მსოფლიოს ახალმა პარადიგმულმა წყვილმა "კომუნიკაცია პლუს ბაზარი"[102].

მაგრამ, ამ პირობების შესრულების პირობებშიც მსოფლიო ვერ გამოვა კრიზისიდან, რადგანაც მის დღევანდელ მოდელს წარმოადგენს "არქიპელაგის" სქემა: მრავალრიცხოვანი ღარიბების კუნძულები–სამხრეთით, მცირერიცხოვანი მდიდრების კუნძულები–ჩრდილოეთით, ხოლო ამ მსოფლიოს ძირითადი შემადგენელი ეს არის ბრძოლა გაერთიანებასა და გათიშვასთან, შეერთებასა და განხეთქილებას, გლობალიზაციასა და ნაციონალიზმს შორის.

ჟან კლოდ შენე

კიდევ ერთი ცნობილი ფრანგი პოლიტოლოგი, გეოპოლიტიკოსი და დემოგრაფი არის ჟან კლოდ შენე. სტატიაში "დემოგრაფია და სტრატეგია: დასავლეთის მზის ჩასვლა", ის ახდენს თანამედროვე გეოპოლიტიკაში დემოგრაფიული შემადგენლობის როლის დემონსტრირებას, განსაზღვრავს რა დემოგრაფიას როგორც "პოლიტიკურ არითმეტიკას" ან "ერის ბედს". მართლაც, XVII საუკუნეში ევროპაში მოსახლეობის ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა ანალოგიური მაჩვენებელი მთლიანად მსოფლიოში. მან გაზარდა პლანეტაზე ევროპის მოსახლეობის წილი 1/6-მდე. ამასთანავე, პლანეტის არადასახლებული ნაწილებიც ივსებოდა ევროპიდან გადასახლებულებით.

1700-დან 1995-მდე ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის, ციმბირის და ოკეანეთის მოსახლეობის რაოდენობა 22-დან 900 მილიონამდე გაიზარდა. XX საუკუნე ტოკვილის წინასწარმეტყველების შესაბამისად პერიფერიების საუკუნეა. რომელიც დაკავშირებული იყო რეგიონების - ამერიკის და რუსეთის ძველ დიდებასთან. მათი გამოსვლა მსოფლიო გეოპოლიტიკურ არენაზე ბევრად იყო განპირობებული დემოგრაფიული აფეთქებით. ამერიკის მოსახლეობა 1 მილიონიდან 265 მილიონამდე გაიზარდა. რუსეთის მოსახლეობამ 100 მილიონს მიაღწია. ამასთანავე, რუსეთში XX საუკუნის დასაწყისში აღინიშნა მსოფლიოში ყველაზე მაღალი შობადობა.

XIX საუკუნის ბოლოდან დასავლეთ ევროპაში შეინიშნება შობადობის დაცემა და მოსახლეობის ზრდის შენელება, იმ დროს როდესაც XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო დემოგრაფიული აღმავლობა მესამე მსოფლიოს ქვეყნებში. ევროპის

[102]Исаев. Геополитика. Стр. 301

მოსახლეობის რაოდენობა 1995 წელს, მსოფლიო მოსახლეობის 20% შეადგენდა, ხოლო 2030 წელს ის ალბათ მხოლოდ 10% იქნება.[103] ამან არ შეიძლება არ იმოქმედოს საერთაშორისო ურთიერთობებზე. მესამე მსოფლიოს სახელმწიფოები, ამ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პარალელურად, ისინი აუცილებლად მოითხოვენ უფლებამოსილების წილის ზრდას მსოფლიოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში. ევროპული მბრძანებლობის პერიოდი ასკვნის შენე, დასრულდება. ამ გეოპოლიტიკურ პროცესს განაპირობებს 9 ფაქტორი:

1. საბიუჯეტო პრობლემები, როცა მოსახლეობის დაბერება იწვევს სოციალური ხარჯების ზრდას და ამავე დროს ამცირებს სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობას, მათ შორის სამხედრო სფეროშიც.
2. ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვა - მთელი რეგიონები მოსახლეობისაგან დაცარიელდება და მოხდება მოსახლეობის კონცენტრირების ზრდა ქალაქურ კონგლომერატებში.
3. დამოკიდებულება იმიგრაციაზე, რამეთუ ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებს შეუძლიათ ფუნქციონირება მხოლოდ უცხოური სამუშაო ძალის მოზღვავების წყალობით.
4. საბრძოლო სულის დაკარგვა, რაც წარმოადგენს მოსახლეობის დაბერების შედეგს. ამის ტიპიური მაგალითია საფრანგეთი: ამ ქვეყნის მოსახლეობა 1940 წლისათვის იყო ყველაზე ხანდაზმული ევროპაში, ამიტომაც მან ადვილად დათმო გერმანიასთას ომი.
5. განათლება–აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (ჩინეთი, კორეა, ვიეტნამი და სხვ.) ბავშვების განათლებაში იდება უფრო მეტი რესურსი ევროპასთან შედარებით.
6. ოჯახური ტრადიციები ფაქტიურად არ გამქრალა სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ ამავე დროს გრძელდება ამ ტრადიციების გაქრობა ევროპაში.
7. შრომის ეთიკა - სერიოზულადაა დაქვეითებული დასავლეთში და დღემდე ძლიერია პროგრესირებად ქვეყნებში.
8. დიასპორა–ჩინეთის საზღვრებს გარეთ ცხოვრობს დაალოებით 40 მილიონი ეთნიკური ჩინელი, რომელიც მასტიმულირებელ როლს ასრულებს ჩინეთის ეკონომიკის განვითარებაზე.
9. კულტურული ერთიანობა – რუსეთის ან აშშ-სგან განსხვავებით ჩინეთი გამოირჩევა მოსახლეობის ერთგვაროვნობით, ეროვნული უმცირესობა შეადგენს მოსახლეობის მხოლოდ 6%-ს.[104]

ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის საზოგადოებების ასეთი შედარებითი დემოგრაფიულ–გეოპოლიტიკური ანალიზი განახორციელა შენემ. არაევროპელთა სასარგებლოდ ვითარდება მდგომარეობა მუსლიმანურ სამყაროსთან შედარების დროსაც. აქ ფრანგი გეოპოლიტიკოსი გამოყოფს 5 ფაქტორს:

1. ისლამი, როგორც თვითდაჯერებულობის წყარო მუსულმანებს აძლევს მარტივ და გამამხნევებელ პასუხებს ბევრ ფილოსოფიურ და ცხოვრებისეულ კითხვაზე.
2. ისლამი, როგორც დასავლეთის მატერიალიზმის ცვლილება ავსებს სულიერ ვაკუუმს.
3. ისლამი, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის პრობლემებზე პასუხი წარმატებით წყვეტს სოციალური უთანასწორობის, სოლიდარობის საკითხს და ეხმარება ყველა მუსულმანს თვითიდენტიფიკაციის გაძლიერებაში.

[103]Исаев. Геополитика. Стр. 306

[104]Исаев. Геополитика. Стр. 307

4. ისლამის შემტევ სულს შეუძლია აქტიურად აზიაროს ამ რელიგიის ფილოსოფიას ფართო მასები. მაშინ როდესაც ქრისტიანულმა ცივილიზაციამ დაკარგა მისიონერული და ექსპანსიონისტური სული.
5. ფუნდამენტური ორგანიზაციების მიერ ტერორიზმის და მასობრივი ინფორმაციული საშუალებების გამოყენება ისლამური სახელმწიფოების მიერ დასავლეთის ცივილიზაციაზე გავლენის მოსახდენად ნეგატიურად აისახება ევროპის განვითარებაზე.[105]

დასავლეთის დაცემა, ასკვნის შენე არ ატარებს ფატალურ ხასიათს. დასავლეთს აქვს არა ერთი შესაძლებლობა ნეგატიური გეოპოლიტიკური პროცესების გადასალახად. ამ საშუალებებს შორის ის გამოყოფს სამ ძირითადს.

1. შობადობის ზრდა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევს შობადობის მდგომარეობა ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში (იტალია, ესპანეთი), სადაც სიკვდილიანობა შობადობას 2-3-ჯერ აღემატება. ამ პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია სახელმწიფო ბავშვთა დაცვის, დედობის, ახალგაზრდა ოჯახების დახმარების პროგრამების განვითარება.
2. ტრანსატლანტიკური და ტრანს–ხმელთაშუა თანამშრომლობა. ევროპას შეუძლია მისი ნაკლოვანებების კომპენსირება კავშირების გამყარებით მის ისტორიულ გაგრძელებასთან ატლანტიკის ამერიკულ მხარეზე, რომელიც უფრო კონკურენტუნარიანია ვიდრე ევროპა. ამავე დროს, აუცილებელია თანამშრომლობა ახლო აღმოსავლეთთან და ჩრდილო აფრიკასთან.
3. ახალი რეალისტური და შემოქმედებითი იდეოლოგიის შემუშავება. მარქსიზმის კრახი არ ნიშნავს იმას, რომ ლიბერალიზმი უნაკლოა, მასაც ასევე გააჩნია სუსტი მხარეები.

შენე ევროპისათვის შედარებით მისაღებ მოდელად მიიჩნევს შვედეთის ან გერმანიის საზოგადოებების მოდელს, რომლებიც მისი აზრით ოპტიმალურად უზრუნველყოფენ თავისუფლებისა და თანასწორობის მოთხოვნებს. სახელმწიფოს მაღალ ხვედრით წილს (სოციალიზმი) და მისი ეკონომიკაში ჩაურევლობის როლს (ლიბერალიზმი) შორის, არსებობს თანამედროვე ევროპისათვის საჭირო ერთი ოპტიმალური წყობა–სოციალური ლიბერალიზმი.

ჟან ფერნარდ დიუმონი

თანამედროვე ფრანგი დემოგრაფი, პოლიტოლოგი და გეოპოლიტიკოსი დიუმონი, ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დემოგრაფიული ფაქტორის როლს გეოპოლიტიკაში. ეს კარგადაა ნაჩვენები მის სტატიაში, “დემოგრაფია და გეოპოლიტიკა". მართლაც, მოსახლეობის რაოდენობა სახელმწიფოს ძლიერებისა და მსოფლიოში გავლენის განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. მაგრამ ამავე დროს, მნიშვნელოვანია არა მარტო რაოდენობა, არამედ მოსახლეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობის სხვა მახასიათებლების გათვალისწინება. ისეთი დისციპლინა, როგორიცაა პოლიტიკური დემოგრაფია, სწავლობს მოსახლეობის დემოგრაფიულ მახასიათებლებს და მათ გავლენას სახელმწიფოს მდგომარეობაზე. კონკრეტული მაგალითებით დიუმონი აჩვენებს რაოდენობრივი და ხარისხობრივი დემოგრაფიული ფაქტორების გავლენას გეოპოლიტიკაზე. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: რაოდენობა, მოსახლეობის გეოგრაფიული დასახლება, მისი ეროვნული და რელიგიური შემადგენლობა, დიასპორების რაოდენობა ან მათი არარსებობა, არანაკლებ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკისათვის. მოსახლეობის სტატიკური და დინამიკური ხასიათის გავლენის გაგება სახელმწიფო სიძლიერესა და მის პოლიტიკურ მდგომარეობაზე ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ეს თვისებები არა მარტო სახელმწიფოს

[105]Исаев. Геополитика. Стр.308

აქტუალური ძალისა და საერთაშორისო სტატუსის დემონსტრირებას ახდენენ, არამედ იძლევიან მათი ცვლილებების წინასწარმეტყველებისა და ამა თუ იმ გეოპოლიტიკური პროცესების პროგნოზირების საშუალებას. სტატიკურ მახასიათებლებს მიეკუთვნება რაოდენობა, მოსახლეობის განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე, მისი ეთნიკური და კონფესიური შემადგენლობა, დიასპორების რაოდენობა. დინამიკურ დემოგრაფიულ მახასიათებლებს მიეკუთვნება შიდა და გარე (ემიგრაცია, იმიგრაცია) გადასახლება, პერიოდულად სტატიკური მახასიათებლების ცვლილება. დიუმონი ხაზს უსვამს, რომ არარეგულირებული შიდა ეროვნული და რელიგიური კონფლიქტების რაოდენობა (მაგ: ისრაელის პალესტინასთან, ალჟირის ბერბერებთან ან ისლამურ ფუნდამენტალისტებთან) უეცრად ასუსტებს სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ სტატუსს. კონფლიქტების გადალახვის ცოდნა კი (მაგ: "ხავერდოვანი გაყრა" ჩეხეთისა და სლოვაკეთის) ზრდის ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს განსაზღვრულ მომენტში, თუმცა გარკვეულ პერიოდში აუარესებს მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, რადგანაც თუნდაც იგივე ჩეხეთისა და სლოვაკეთის ერთიანი ფედერაციის როგორც ტერიტორია, ასევე მოსახლეობაც იყო მნიშვნელოვნად უფრო დიდი, ვიდრე გაყოფილი ჩეხეთისა და სლოვაკეთის იგივე მაჩვენებელი.

დიუმონი ასკვნის, რომ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია მისი მოსახლეობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შემადგენლობასთან, მის სტატიკურ და დინამიკურ დემოგრაფიულ მახასიათებლებთან, ხოლო გეოპოლიტიკა განსაზღვრული დონით დამოკიდებულია დემოგრაფიაზე.

ფილიპ მორო–დეფარჟი

თანამედროვე ევროპული გეოპოლიტიკური სკოლის კიდევ ერთი ცნობილი წარმომადგენელია ფილიპ მორო–დეფარჟი. თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსი, პოლიტოლოგი და გეოპოლიტიკოსი, ავტორი ცნობილი სახელმძღვანელოსი "გეოპოლიტიკის შესავალი", რომელიც შემდეგ თავებს მოიცავს: "გეოპოლიტიკური ცნობიერება", "საზღვაო სახელმწიფოების გეოპოლიტიკა", "კონტინენტური სახელმწიფოების გეოპოლიტიკა", "გეოგრაფია, პოლიტიკა და ომი", "გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა", "გეოპოლიტიკა და საფრანგეთი". პირველ თავში განიხილება ტრადიციული გეოპოლიტიკური ცოდნის მნიშვნელოვანი საკითხები. მათ შორის ცხოვრების წესის პრობლემები (მომთაბარე თუ მკვიდრი, საქალაქო, სავაჭრო თუ საწარმოო ცხოვრების წესი), სივრცითი საზღვრის და სახელმწიფოს როლის გაცნობიერება გეოპოლიტიკური ცნობიერების ფორმირებაში. მეორე და მესამე თავები მიძღვნილია გეოპოლიტიკური თეორიებისადმი, რომელიც ჩამოყალიბებულია "საზღვაო" და "კონტინენტურ" მიმდევრობებად:

- კ. კლაუზევიცი. ა.მეჰენი, ჰ. მაკინდერი, ნ.სფაიქმენი, ჰ. მორგენთაუ, ც.კოენი, კ.გრეი (საზღვაო);
- ფ.რატცელი, კ.ჰაუსჰოფერი (კონტინენტური).

ორიგინალობით გამოირჩევა მეოთხე თავი, "გეოგრაფია, გეოპოლიტიკა და ომი", რომელშიც ავტორი, გამოდის რა ივ ლაკოსტის საკმაოდ საკამათო განსაზღრებიდან ("გეოგრაფია აუცილებელია უპირველეს ყოვლისა ომის საწარმოებლად") რომ გეოპოლიტიკა გეოგრაფიის სამხედრო ასპექტს წარმოადგენს. პირველ რიგში, როგორც სივრცითი განსაზღვრების ერთობლიობა, მეორე, როგორც სამხედრო თეატრი და მესამე როგორც ომის მიზანი.

მორო–დეფარჟი აკავშირებს ომსა და გეოგრაფიას გეოპოლიტიკასთან, რომელიც შეისწავლის სივრცისა და პოლიტიკის ურთიერთქმედებას. მეორე მხრივ, ის არ ცნობს გეოპოლიტიკას როგორც დამოუკიდებელ დისციპლინას, არამედ თვლის მას მიდგომად, რომელიც შეისწავლის დროისა და სივრცის ფაქტორების გავლენას

ადამიანის მოქმედების ხასიათზე, ნაციონალური მოძრაობების ჩამოყალიბებაზე და სახელმწიფოს პოლიტიკაზე. მართლაც, დაპირისპირებული სახელმწიფოების პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრულ გეოგრაფიულ სფეროში ერთმანეთს ეჯახება. გეოგრაფიული ზონის გარდაქმნას სახელმწიფოთაშორის მეტოქეობის ობიექტად, მორო–დეფარჟის აზრით განაპირობებს სამი ფაქტორი: საერთაშორისო ცვლილებების სისტემასთან კუთვნილება; სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსების არსებობა; სიმბოლური მნიშვნელობა (მაგ: მეტოქე ქვეყნის დედაქალაქის დაპყრობა). საინტერესო მიდგომით გამოირჩევა გეოპოლიტიკური ფაქტორების მოქმედების გადმოცემა I და II მსოფლიო ომების მაგალითზე. პირველ მსოფლიო ომში მორო–დეფარჟის აზრით, მოქმედებდა არა მარტო გეოგრაფიული ფაქტორი, ან გამოხატული საომარი მოქმედების ყველა მონაწილის მისწრაფებაში დაუფლებოდნენ განსაზღვრულ სივრცეს, არამედ ამავე დროს მოქმედებდა ეთნიკური ფაქტორიც, რომლის არსიც გამოიხატებოდა პანგერმანული და პანსლავური იდეების შეჯახებაში (მეცნიერი რატომღაც უგულებელყოფს პანინგლისურ იდეას, რომელიც რეალურად იყო მატერიალიზებული აშშ-ს, ბრიტანეთის და მისი კოლონიების ომში მონაწილეობით). ამასთანავე, ყოველ დიდ სახელმწიფოს გააჩნდა განსაზღვრული გეოპოლიტიკური სტრატეგია. რუსეთისათვის ეს იყო ოტომანთა იმპერიის განადგურება და უკიდურეს შემთხვევაში შავი ზღვის სრუტეების კონტროლი, რუსეთის იმპერიის სტატუსის განმტკიცება ევროპასა და მსოფლიოში; ავსტრია–უნგრეთისათვის კოლონიების ხელში ჩაგდება და "შუაგული ევროპის" კონცეფციის განხორციელება; საფრანგეთისათვის – ელზას–ლოთარინგიის დაბრუნება, გამარჯვება მუდმივ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგე გერმანიაზე, კოლონიების შენარჩუნება; დიდი ბრიტანეთისათვის–გერმანიის მუქარის ლიკვიდირება, "სტატუს-კვოს" და "ძალთა ბალანსის" აღდგენა ევროპასა და მსოფლიოში, თავისუფალი ნაოსნობისა და ვაჭრობის პირობების უზრუნველყოფა, რომელიც უზრუნველყოფდა ბრიტანეთის სტაბილურობასა და აყვავებას. მეორე მსოფლიო ომს მორო–დეფარჟი ხსნის როგორც პირველი მსოფლიო ომის ლოგიკურ გაგრძელებას (გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა იგი ეყრდნობა სოციალური დარვინიზმის პრინციპს), რომელსაც არ გადაუწყვეტია "სასიცოცხლო სივრცის" პრობლემები გერმანელებისათვის, იტალიელებისათვის და იაპონელებისათვის.

სტალინის საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკას მეცნიერი აანალიზებს სტალინის პოზიციიდან, რომელიც ემყარებოდა მისი პოზიციების გამყარებას და უწოდებს მას "მტკიცე ბანაკის" გეოპოლიტიკას. მთავარი მეთოდი სტალინის გეოპოლიტიკისა იყო "გათიშე და იბატონეს" პრინციპი. თუმცა, ჯორჯ ქენანმა, რომლის იდეებსაც ემყარებოდა მორო–დეფარჟი ამ თვალსაზრისში, სწორედ შენიშნა საბჭოთა კავშირის ძლიერების როგორც იდეოლოგიური ასევე გეოგრაფიული საფუძველი. მან მიიჩნია სსრკ "გეოიდეოლოგიურ კონსტრუქციად", რომელშიც სივრცის ერთგვაროვნება ეყრდნობა იდეოლოგიური რწმენის და რეპრესიული სისტემის შერწყმას. ქენანის კონცეფცია მთლიანად გეოპოლიტიკურ მიდგომას ეყრდნობა და აქედანვე გამომდინარეობს მის მიერ შემოთავაზებული კონცეფცია "კომუნიზმის შეკავება".

ჰარი ტრუმენის შეკავების დოქტრინა, სუფთა გეოპოლიტიკურის გარდა ეყრდნობოდა იდეოლოგიურ საფუძველს. მან მონათლა კომუნიზმი "ჭირად", "ბოროტების განსახიერებად" და გამოაცხადა ჯვაროსნული ლაშქრობა მის წინააღმდეგ, რომელიც ნიშნავდა კომუნიზმთან ბრძოლას "ყველგან და ყველა საშუალებით". საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს შორის ომისშემდგომმა დაპირისპირებამ აჩვენა რომ გეოპოლიტიკური ფაქტორი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური სტრატეგიის ერთადერთი განმსაზღვრელი, უპირველეს ყოვლისა ეს იყო ბრძოლა ორი იდეოლოგიისა (ლიბერალური დემოკრატიის და მარქსიზმ–ლენინიზმის), რომელნიც წარმოადგენდნენ უნივერსალიზმის პრეტენდენტებს. ამას გარდა, ბირთვული იარაღის გამოჩენამ განსხვავებულად დააყენა სივრცითი პრობლემების გადაწყვეტის საკითხი.

აზრი იმის შესახებ, რომ დაშორებამ და აშკარა დაბრკოლებებმა დაკარგეს მათი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, მთლიანად არ შეესაბამება სინამდვილეს, აღნიშნავს მორო–დეფარჟი. დრო და სივრცე ძალიან შემცირდა და დღევანდელ დღეს გეოსტრატეგიულ სიტუაციას აფასებენ არა თვეებში და საათებში, არამედ წუთებსა და წამებში. მაგრამ სივრცითმა ფაქტორმა ომში ბევრგან შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. ქვეყნის დიდი ტერიტორია საშუალებას იძლევა რესურსების გადაადგილებისა და იარაღის ფარულად განლაგებისა, ხოლო ოკეანის სივრცე საშუალებას იძლევა ატომური წყალქვეშა ნავებით დარტყმის მიყენებისა.

ნაციონალური სტრატეგიის თვალსაზრისით - ”შიში ბირთვული წონასწორობის” ეპოქაში, რასაც მორო–დეფარჟი უწოდებს ”ცივ ომს”, აშშ –ის მიერ აღიარებულია სტრატეგიაში- ”სანიტარული კორდონი”, ანუ, კომუნისტური რუსეთის იზოლაცია საომარი ბაზების ქსელის წყალობით, შექმნილი მის სამხრეთ (თურქეთი, ირანი, პაკისტანი) და დასავლეთ საზღვრებზე (NATO). ხოლო რუსეთი თავის მხრივ, დაუბრუნდა რუსი მეფეების პრაქტიკას და ცდილობდა მტრული წრის გარღვევას პროსაბჭოური და მეგობრული რეჟიმების გამყარების გზით (ეგვიპტე, ინდოეთი, ვიეტნამი) და ასევე მძლავრი სამხედრო–საზღვაო ფლოტის დახმარებით. გეოპოლიტიკურ ხასიათს ატარებდა იმ დროს მიმდინარე ლოკალური კონფლიქტებიც - არაბეთ–ისრაელის, კორეის ან ვიეტნამის.

1985 წლის მარტში გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როგორც მორო–დეფარჟი აღნიშნავს, იდეოლოგიის ლოგიკა თანდათან უკან იხევს და ადგილს უთმობს გეოპოლიტიკის ლოგიკას. აშშ აგრძელებს საბჭოთა კავშირის სახით ნომერ პირველი მტრის დანახვას და ცდილობს სსრკ-ში დესტაბილიზაციის შეტანას ახალი შეიარაღების შექმნის გზით. ამავე დროს, საერთო პოლიტიკური ინტერესები, მათ შორის მასობრივი განადგურების იარაღის შემცირება, მისი გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა, მოსკოვს აიძულებდა ვაშინგტონთან მოლაპარაკებაზე წასულიყო. ამას განაპირობებდა ის ფაქტიც, რომ საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ყოფილიყო მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მთავარი დასაყრდენი ძალა, მაგრამ გორბაჩოვის ამ პოლიტიკამ როგორც ვიცით გამოიწვია საბჭოთა ბლოკის და თავად საბჭოთა კავშირის დაშლა.

გეოპოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდმა, რომელიც წარმოიშვა ზემოთ ზემოაღნიშნული მოვლენების გამო, დღის წესრიგში ჩართო გეოპოლიტიკის ეთნიკური და გეოგრაფიული ფაქტორების ურთიერთქმედების საკითხი, ეთნიკური წმენდის პრობლემა და ა. შ. მორო–დეფარჟი სვამს საკითხს შემდეგნაირად: შეიძლება არსებობდეს სრულიად ერთგვაროვანი სახელმწიფოები მკაცრად განსაზღვრულ ტერიტორიებზე? ”ეთნიკური წმენდა არ წყვეტს ეთნიკურად ერთგვაროვანი სახელმწიფოების პრობლემას, არამედ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ პრობლემას–”ალყაშემორტყმული ციხეს”, რომელიც ცხოვრობს ცივი და ”ცხელი” ომის პირობებში მეზობელ სახელმწიფოებთან, ეკონომიკური ავტარკიისა და კულტურული კარჩაკეტილობის პირობებში. შეიძლება კი ასეთ პირობებში გადარჩეს თანამედროვე არც თუ ისე დიდი სახელმწიფო?[106]

თანამედროვე გეოპოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი გეოგრაფიული, იდეოლოგიური და ეთნიკური ფაქტორების შემდეგ მეცნიერის აზრით განმსაზღვრელია ეკონომიკური ფაქტორი. რატომ დაიკავა გეოეკონომიკამ ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი XX საუკუნის ბოლოს? ამას განაპირობებდა სამი ფაქტორი

1. ქვეყნების და კონტინენტების ერთმანეთზე დამოკიდებულება. ეკონომიკური, ფინანსური, ტელეკომუნიკაციური და სხვა არამატერიალური წყაროების და ქსელების შექმნა.
2. “რკინის ფარდის” დაცემა, კომუნისტური ექსპერიმენტის კრახი.
3. საზღვრების გახსნა. სახელმწიფო კონტროლის შესუსტება.

[106] ნიკა ჩიტაძე. “გეოპოლიტიკა”. თბილისი, 2008. გვ. 76

ამ ტენდეციების მოქმედების შედეგად წარმოიქმნა ანარქიული ეკონომიკური მსოფლიო, სადაც საზღვარი ნებადართულსა და აკრძალულს შორის მოძრავი და წაშლილია. გეოეკონომიკა მოქმედებს სწორედ ასეთ მსოფლიოში. თუ პოლიტიკისათვის მთავარია–კონტროლი განსაზღვრულ ტერიტორიებზე, მაშინ გეოეკონომიკისათვის პრიორიტეტულია ნაკადების ხელახალი გადანაწილება (ფინანსური, საქონლის, მუშახელის და ა.შ.) და მათი ცვლა, ბრძოლა ნედლეულის წყაროსათვის და გასაღების ბაზრისათვის. გეოეკონომიკა თავის მხრივ აყალიბებს გეოპოლიტიკის ორ ძირითად კითხვას: "რა არის ძლიერება?" და "სად და როგორ მატერიალიზდება იგი?". ძლიერების გეოეკონომიკური გაგება უპირველესად მდგომარეობს არა გეოგრაფიულ და სამხედრო, არამედ ეკონომიკურ (რომელთა შორის პირველ ადგილზე დგას ცხოვრების დონე), როგორც ხარისხობრივ ასევე რაოდენობრივ მაჩვენებლებში. გეოეკონომიკური სივრცე პოლიტიკაში XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნეში თამაშობს არანაკლებ როლს ვიდრე გეოპოლიტიკური სივრცე. სახელმწიფო საზღვრების გარდა, ახლა უფრო დიდ როლს თამაშობს ისეთი ეკონომიკური კავშირები და ასოციაციები, როგორიცაა ევროკავშირი, ASEAN და ა.შ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XXI საუკუნეში მსოფლიო მთლიანად ეკონომიკური ბლოკებისაგან იქნება წარმოდგენილი, ასკვნის მორო–დეფარჟი.

ბოლო თავში "გეოპოლიტიკა და საფრანგეთი", მეცნიერი წარმოადგენს თავისი ქვეყნის გეოპოლიტიკოსებს.

შეიძლება დავადასტუროთ ფრანგული გეოპოლიტიკის სრული დაშორება საფრანგეთის საშინაო, სასაზღვრო პრობლემებიდან და მათი გადართვა რეგიონულ და გლობალურ პრობლემებზე. ასეთი ტენდენცია ევროპაში ინტეგრაციული პროცესების გავლენით თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში შეინიშნება.

მორო–დეფარჟი მივიდა საინტერესო დასკვნებამდე: "გეოპოლიტიკა, მისი კონცეფციები, მისი განვითარების რთული გზა განუყოფელია XX საუკუნის ტრაგედიებიდან. მეცნიერების აყვავებიდან დასავლეთ ევროპელები ცდილობდნენ შეექმნათ მეცნიერება ძალაუფლებასა და ძლევამოსილებაზე. გეოპოლიტიკა ამ ძალისხმევის ერთ–ერთი შედეგია. აძლევს რა მეცნიერულ ანალიზს ადამიანსა და სივრცეს შორის ურთიერთობას, ის ავლენს ობიექტურ კანონებს, რომელიც მიუთითებს გზას ძლევამოსილების მოპოვებისაკენ".[107]

მიუხედავად იმ წვლილისა, რომელიც გეოპოლიტიკის განვითარებაში შეიტანეს ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც არიან მეჰენი, მაკინდერი, რატცელი და ჰაუსჰოფერი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ დისციპლინამ გაიზიარა ბევრი სხვა მეცნიერების ბედი. XX საუკუნის ბოლოს "ეთნიკური წმენდა" გახდა გეოპოლიტიკის ბოლო გამოვლინება, რომელიც გარდაიქმნა უწესო და სასტიკ სქემატიზმში და რომელიც განწირული იყო ტრაგიკული წარუმატებლობისათვის.

რაღა დარჩა ამ მეცნიერებისაგან? გეოპოლიტიკური მიდგომა. დღეს ადამიანი, რომელიც საბოლოოდ ვერასოდეს განთავისუფლდება ილუზიებისაგან, იმედოვნებს, რომ გაიმარჯვა დროსა და სივრცეზე. თუმცა ყველაფერი სხვაგვარადაა. განსაზღვრულობა, რომელსაც ადამიანის მოქმედებას დრო და სივრცე ანიჭებს არასოდეს ყოფილა უცვლელი, ისინი განიცდიან უწყვეტ ევოლუციას, ნაწილობრივ ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით, და სანამ ადამიანს გააჩნია სხეულებრივი გარსი, სანამ მისი ორგანიზმი ცოცხლობს და ბერდება, დროისა და სივრცის ფაქტორები მუდმივად მოახდენენ მასზე გავლენას.

აფანას სტრიგასი

აფანას სტრიგასი, თანამედროვე ბერძენი გეოპოლიტიკოსი, პოლიტოლოგი და გეოსტრატეგია. სტრიგასმა თავისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო სამხედრო ატაშის თანამდებობიდან. ამჟამად ის არის კონსულტანტი ნატოს უმაღლეს სამხედრო

[107] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008. გვ. 76

მთავარსარდლობაში (ბრიუსელი, ბელგია), ამას გარდა ის დაკავებულია მსოფლიოს "საიდუმლო", არალეგიტიმური მართვის პრობლემებისა და გეოპოლიტიკური პროგნოზირების გამოკვლევებით. გასული საუკუნის 70-იან წლებში მან იწინასწარმეტყველა სამხედრო კრიზისი თურქეთსა და საბერძნეთს შორის და მის მთავარ ცენტრად და მომავალი მოვლენების ეპიცენტრად დაასახელა კვიპროსი.

სტრიგასი ბევრს წერს ძალაუფლების გლობალურ ცენტრებზე: საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოზე, ბილდერბერგის კლუბზე და სამხრივ კომისიაზე.

სტრიგასი ირწმუნება, რომ თანამედროვე მსოფლიოს, თუ გავითვალისწინებთ მის ცნობილ ცვლილებებს, იდეოლოგიით ვეღარ აკონტროლებ, მით უფრო რომ იდეოლოგიებს ომთან მივყავართ. ანარქიული მსოფლიოს ნაციონალური მთავრობებით მართვა გლობალიზაციის პირობებში არაეფექტურია. დღეს, როდესაც ქვეყნის ბედს წყვეტს ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, სტრიგასის აზრით სრულიად შესაძლებელია, რომ ბილდერბერგი და ტრილატერალი, რომელიც სსრკ-ის დაცემამდე მსოფლიო სიმდიდრის 60%-ს აკონტროლებდა, ამ თვალსაზრისით მართავდნენ მსოფლიოს. ისინი აღწევენ მათთვის საჭირო და ხელსაყრელ გადაწყვეტილებას, პრემიერ–მინისტრებისა და პრეზიდენტების დანიშვნაზე პირდაპირი ზეგავლენის ჩათვლით, "რომლის გონებითაც ისინი მართავენ". საჭირო ადამიანის შერჩევის მექანიზმში ამოქმედებულნი არიან ეროვნული უსაფრთხოების, სამხედრო დაზვერვის და სხვა სტრუქტურები. ამორჩევის კრიტერიუმებია ბილდერბერგის და ტრილატერალის წევრების შემოსავლის გარანტია, ამ ორგანიზაციების გავლენის ზრდა, გლობალიზაციის ფილოსოფიისათვის ხელის შეწყობა. ეროვნული ლიდერების ურჩობის შემთხვევაში გათვალისწინებულია მკაცრი სანქციები: კორუფციაში დადანაშაულებიდან და გადადგომიდან დაწყებული, მკვლელობით დამთავრებული. სტრიგასი ამის კონკრეტულ მაგალითებად მიიჩნევს ჯონ და რობერტ კენედის მკვლელობებს, რიჩარდ ნიქსონის თანამდებობიდან გადადგომას მას შემდეგ, რაც ის ჩათრეულ იქნა უოტერგეიტის საქმეში.

გეოპოლიტიკური თვალთახედვით საინტერესოა სტრიგასის პროგნოზი მსოფლიოს უახლოეს ცვლილებებზე, რომელიც მოიცავს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა საუდის არაბეთში სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც ქვეყნის განვითარებას დასავლეთისათვის სასარგებლო მიმართულებით წარმართავს, საბერძნეთის საზღვრის შეცვლას თურქეთთან, ყოფილ იუგოსლავიასთან და ალბანეთთან, ინგლისისა და შოტლანდიის ურთიერთობების შეცვლას, ამ უკანასკნელის ავტონომიური უფლებების ზრდის შედეგად. სტრიგასმა იწინასწარმეტყველა ინდოეთ–ჩინეთის ომი, ამასთან დაკავშირებით ბილდერბერგის კლუბი მოამარაგებს იარაღით ინდოეთს, ხოლო ტრილატერალი–ჩინეთს. ამ კონფლიქტში ჩათრეულები იქნებიან პაკისტანი და თურქეთი. შედეგად, ეს უკანასკნელი გაიყოფა აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად. დასავლეთ თურქეთი, თუ ეს მოხდება, მიიღებს რელურ შანსს გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი და განახორციელოს დიდი ხნის იდეა, ვატიკანის მსგავსად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გამოყოფისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი მსოფლიო მმართლმადიდებელთა პატრიარქის უფლებამოსილების მინიჭებას.

გამოყენებითი გეოპოლიტიკა

ევროპაში გეოპოლიტიკური მეცნიერების განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული გეოგრაფ ივ ლაკოსტას მოღვაწეობასთან, რომელმაც 1976 წელს დააარსა ჟურნალი "ჰეროდოტე". ამ ჟურნალში პირველად ომის შემდგომ ევროპაში, ევროპელმა მეცნიერებმა დაიწყეს გეოპოლიტიკური ნაშრომების რეგულარული გამოქვეყნება. ყურადღებას იმსახურებს

ის ფაქტი, რომ თუ მეორე მსოფლიო ომამდე ევროპის კონტინენტზე გეოპოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ ულტრამემარჯვენე, ნაციონალისტური ორიენტაციის მეცნიერები და პოლიტიკური მოღვაწეები, უკვე XX საუკუნის მეორე ნახევარში, "ბებერ კონტინენტზე" პოლიტიკური სიტუაციის შეცვლასთან ერთად, გეოპოლიტიკის სფეროში სამეცნიერო ასპარეზზე გამოდიან მემარცხენე პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებული პირები.

1983 წლიდან ჟურნალ "ჰეროდოტეს" ქვესათაური ხდება "გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკის" ჟურნალი. უკვე ამ დროიდან გეოპოლიტიკა იძენს ახალ მნიშვნელობას, იგი ოფიციალურად იქნა აღიარებული საერთაშორისო პოლიტიკის კომპლექსურ ანალიზში დამხმარე, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პოლიტოლოგიურ დისციპლინად.

თავისი მოღვაწეობის პერიოდში ივ ლაკოსტა ცდილობდა მიესადაგებინა გეოპოლიტიკური პრინციპები თანამედროვე რეალობასთან. მას აბსოლუტურად განსხვავებული გეოპოლიტიკური ხედვა გააჩნდა და იგი არ ეთანხმებოდა არც კონტინენტური სკოლისათვის დამახასიათებელ "ორგანიზმულ" პრინციპებს და არც "საზღვაო ძალის" იდეოლოგების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს.

ფრანგი მეცნიერის აზრით, გეოპოლიტიკური მოსაზრებები წარმოადგენდნენ მხოლოდ "მოპაექრე სახელისუფლებო ინსტანციატა ექსპანსიური პოლიტიკის გამამართლებელ საბუთს, განსაზღვრული ტერიტორიების დაპყრობისა და მათზე დასახლებული ადამიანების დამორჩილების საკითხში"[108]. ეს ეხებოდა როგორც საერთაშორისო ურთიერთობებს, ასევე ვიწრო რეგიონალურ პრობლემებსაც.

ლაკოსტასთვის გეოპოლიტიკა წარმოადგენდა კონკრეტული პოლიტიკური მოვლენის ანალიზის საშუალებას, ხოლო ამ დისციპლინის უმთავრესი, გლობალური თეორიები დაყვანილ იქნა ისტორიულად განპირობებულ ფარდობით ცნებამდე.

შესაბამისად, ლაკოსტა გვთავაზობს გეოპოლიტიკის აბსოლუტურად ახალ გაგებას. ეს ფაქტიურად ახალი დისციპლინაა. იგი აღარ წარმოადგენს მსოფლიო ცივილიზაციურ-გეოგრაფიულ დაფუძნებულ და გლობალურ იდეოლოგიურ სისტემებთან შეუღლებულ კონტინენტურ აზროვნებას, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ ლოკალური პრობლემებითაა დაკავშირებული. ასეთმა გეოპოლიტიკამ შიდა გეოპოლიტიკის სახელწოდება მიიღო.

ელექტრული "გეოპოლიტიკა"

შიდა გეოპოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებაა სპეციალური მეთოდიკის დამუშავება, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობის პოლიტიკური სიმპათიებისა და ამ მოსახლეობის საცხოვრებელ ტერიტორიებს შორის დამოკიდებულების შესასწავლად. ეს მეთოდიკა დამუშავებულ იქნა ფრანგი პოლიტიკური მოღვაწისა და გეოგრაფის ანდრე ზიგფრიდის (1875-1956 წწ.) მიერ. მან პირველმა სცადა ჩაეტარებინა საფუძვლიანი კვლევა და დაედგინა "შიდა გეოპოლიტიკის" დამოკიდებულება სახელწიფოს კონკრეტული რეგიონის პოლიტიკურ სიმპათიებთან მიმართებაში. მასში აისახა ის ძირითადი კანონზომიერებები, რომლებიც მომავალში საფუძვლად დაედო ივ ლაკოსტას "ელექტრული გეოპოლიტიკის" ახალ სკოლას.

ზიგფრიდი წერდა: "ყოველ პარტიას, ან უფრო ზუსტად ყოველ პოლიტიკურ მიმართულებას გააჩნია საკუთარი პრივილიგირებული ტერიტორია. ადვილი შესამჩნევია, რომ გეოლოგიური და ეკონომიკური რაიონების მსგავსად, ასევე არსებობენ პოლიტიკური რეგიონებიც. პოლიტიკური კლიმატი შეიძლება შესწავლილ იქნეს ისევე, როგორც შეისწავლება ბუნებრივი კლიმატი. მე შევნიშნე, რომ მაცდური იერსახის მიუხედავად საზოგადოებრივი აზრი რეგიონების მიხედვით გარკვეულ მდგრადობას ინარჩუნებს. პოლიტიკური არჩევანის მუდმივად ცვალებადი სურათის

[108] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი. 2008. გვ. 77

უკან რეგიონული ტემპერამენტის ამსახველი სიღრმისეული და მარადიული ტენდენციების ამოცნობა შეიძლება."[109]

ლაკოსტას სკოლაში ანდრე ზიგფრიდის მიერ შემოთავაზებულმა კონცეფციამ სისტემური განვითარების სახე შეიძინა. იგი იქცა იმ ძირითად სოციოლოგიურ ინსტრუმენტად, რომელიც შემდგომში მეტად აქტიურად იქნა დანერგილი პოლიტიკურ პრაქტიკაში.

მედიაკრატია, როგორც "გეოპოლიტიკური" ფაქტორი

ზემოაღნიშნული გეოპოლიტიკური პრინციპების დანერგვის პარალელურად, ივ ლაკოსტას ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა გეოპოლიტიკაში ინფორმაციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უახლესი კრიტერიუმების შეტანა. იმ კონკრეტულ ინფორმაციულ სისტემებს შორის, რომელთაც ძალუძთ უშუალო ზეგავლენა განახორციელონ გეოპოლიტიკურ პროცესებზე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს. ამ მხრივ უდიდესი როლი ენიჭება ტელევიზიას. მეცნიერის აზრით, თანამედროვე საზოგადოებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს არა კონცეპტუალურ-რაციონალური მიდგომა, არამედ "ხატება" ("იმიჯი"). საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს სწორად ტელეკომუნიკაციის გავლენის შედეგად უყალიბდება პოლიტიკური, იდეოლოგიური და გეოპოლიტიკური შეხედულებები.

საინფორმაციო პროგრამის მეშვეობით წარმოდგენილმა რეპორტაჟმა მსოფლიოს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი რეგიონიდან, რომლის შესახებაც მცირე, ან თითქმის არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ მაგალითად, სხვა კონტინენტის მაცხოვრებლებს, უმოკლეს დროში უნდა წარმოადგინოს რეგიონის გეოგრაფიული, ისტორიული, რელიგიური, ეკონომიკური, კულტურული, ეთნიკური სახე და ამასთან, წინა პლანზე უნდა გამოიტანოს ის საკითხები, რომლებიც შეესაბამება მის პოლიტიკურ მიზნებს.

ამგვარად, ჟურნალისტს, (განსაკუთრებით ტელეჟურნალისტს) დიდი გავლენა შეუძლია მოახდინოს გეოპოლიტიკურ პროცესზე, რადგანაც თანამედროვე საზოგადოებაში, განსაკუთრებით ინტერნეტის დანეგვასთან ერთად, მას-მედია ძველებურად აღარ ასრულებს დამხმარე როლს. იგი გადაიქცა უძლიერეს, დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ მოთამაშედ, რომელსაც შეუძლია უზარმაზარი გავლენა მოახდინოს ერებისა და სახელმწიფოების ისტორიულ ბედისწერაზე.

ევროპელი "ახალი მემარჯვენეების" გეოპოლიტიკა

ევროპულ გეოპოლიტიკურ სკოლათა შორის, რომლებმაც მოახერხეს უწყვეტი კავშირის შენარჩუნება ომამდელი გერმანელი გეოპოლიტიკოს-კონტინენტალისტების იდეებთან, არიან "ახალი მემარჯვენეები". ამ მიმართულებამ განვითარება ჰპოვა საფრანგეთში გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და დაკავშირებულია ფილოსოფოსისა და პუბლიცისტის, ალენ დე ბენუას პიროვნებასთან, რომელიც ამ მიმდინარეობის ლიდერად გვევლინება.

"ახალი მემარჯვენეების" იდეოლოგიის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენდა "კონტინენტური გეოპოლიტიკის" პრინციპი. განსხვავებით „ძველი მემარჯვენეებისა" და კლასიკური ნაციონალისტებისაგან, დე ბენუას აზრით, "ერმა-სახელმწიფომ" (Etat-Nation) ისტორიულად ამოწურა საკუთარი თავი და მომავალი მხოლოდ "დიდ სივრცეებს" ეკუთვნოდა. ამასთანავე, ასეთი "დიდი სივრცეები" უნდა შექმნილიყო არა იმდენად სხვადასხვა ქვეყნის პრაგმატულ პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანების, არამედ სხვადასხვა მასშტაბის ეთნიკური ჯგუფების თანაბარი უფლებებით ერთიან "ფედერაციულ იმპერიაში" შესვლის საფუძველზე. ასეთი "ფედერაციული იმპერია", მიუხედავად ეთნიკური განსხვავებებისა, სტრატეგიულად

[109] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008. გვ. 78

ერთიანი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, სტრატეგიული მთლიანობა უნდა გამყარებულიყო საერთო კულტურით.

დე ბენუა ასეთ "დიდ სივრცედ" მოიაზრებდა ევროპას. "ახალ მემარჯვენეებს" მიაჩნდათ, რომ ევროპის ხალხებს გააჩნიათ საერთო საწყისი-ინდოევროპული წარმოშობა. ეს არის "საერთო წარსულის" პრინციპი, აქედან გამომდინარე, მათ უნდა აკავშირებდეთ "საერთო მომავალიც". აქედან გამომდინარე, დე ბენუა აკეთებს დასკვნას, რომ ძირითად გეოპოლიტიკურ პოსტულატად უნდა იქცეს თეზისი – "ასი დროშის გაერთიანებული ევროპა". ამ თეზისიდან გამომდინარეობს ევროპისა და დასავლეთის (პირველ რიგში აქ აშშ მოიაზრება) დაპირისპირება.

ბენუას გეოპოლიტიკური მიდგომები დაფუძნებულია "ევროპის კონტინენტური ბედის" პრინციპზე. ამ საკითხში იგი მთლიანად იზიარებს ჰაუსჰოფერის სკოლაში გაბატონებულ მოსაზრებებს. "ახალი მემარჯვენეებისთვის" ევროპა არის ინდოევროპული წარმოშობის ეთნიკურ კავშირზე დაფუძნებული, საერთო კულტურული ფესვების მქონე გეოპოლიტიკური წარმონაქმნი. დასავლეთი კი ამის საპირისპიროდ არის თანამედროვე მსოფლიოსთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური და ისტორიული ცნება, რომლისთვისაც უცხოა ეთნიკური და სულიერი ტრადიციები, რადგანაც ის პრიორიტეტს ანიჭებს მატერიალურ და რაოდენობრივ კრიტერიუმებს. დასავლეთისათვის დამახასიათებელია "მომხვეჭელობა" და მის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "ახალი მემარჯვენეების" მიერ შემუშავებულ იქნა შემდეგი პროექტი: "ევროპა უნდა გაერთიანდეს დასავლეთისა და აშშ-სადმი დაპირისპირებულ "ფედერაციულ იმპერიაში"[110], ამასთანავე აუცილებელია რეგიონული ტენდენციების წახალისება, ვინაიდან რეგიონებმა და ეთნიკურმა უმცირესობებმა უფრო მეტად შეინარჩუნეს ტრადიციული სახე, ვიდრე "დასავლური სულით" დაავადებულმა მეგაპოლისებმა და კულტურულმა ცენტრებმა. "საფრანგეთმა ორიენტაცია უნდა აიღოს გერმანიასა და შუა ევროპაზე". სწორედ ამ პრინციპის არსებობის გამო "ახალმა მემარჯვენეებმა" ღიად დააფიქსირეს თავისი ინტერესი დე გოლისა და ფრიდრიხ ნაუმანის მოსაზრებების მიმართ. 70-იანი წლებიდან "ახალი მემარჯვენეები" გამოდიან ევროპის მკაცრი სტრატეგიული ნეიტრალიტეტის, NATO-დან გამოსვლისა დამოუკიდებელი ევროპული ბირთვული პოტენციალის შექმნის ინიციატივით.[111]

მეტად საინტერესოა "ახალი მემარჯვენეების" პოზიცია საბჭოთა კავშირთან, შემდეგ კი რუსეთთან მიმართებაში. თავისი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ამ გეოპოლიტიკური წრის წარმომადგენლები იყენებდნენ კლასიკურ თეზისს – "არც დასავლეთი და არც აღმოსავლეთი, არამედ ევროპა". თუმცა შემდგომში მათ თანდათან შეიცვალეს თავიანთი პოზიცია და მივიდნენ თეზისამდე – "უპირველეს ყოვლისა ევროპა, მაგრამ უმჯობესია აღმოსავლეთთან, ვიდრე დასავლეთთან". პრაქტიკულ დონეზე, თავდაპირველი ინტერესი კომუნისტური ჩინეთისადმი და "ამერიკული და საბჭოთა იმპერიალიზმის" საწინააღმდეგოდ შექმნილი ევროპა-ჩინეთის ალიანსის პროექტისადმი, შეიცვალა ევროპა-რუსეთის კავშირის იდეით.

"ახალ მემარჯვენეებს" გააჩნიათ მკვეთრად გამოკვეთილი ანტიატლანტისტური და ანტიმონდიალისტური მიმართულება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ "ცივი ომის" პერიოდის ევროპაში, ატლანტიზმის საყოველთაო სტრატეგიული და პოლიტიკური ბატონობის დროს, დე ბენუას გეოპოლიტიკური პოზიცია იმდენად წინააღმდეგობაში მოდიოდა დემოკრატიული პოლიტიკური აზროვნების ნორმებთან, რომ "მემარჯვენეების" იდეებმა ფართო გავრცელება ვერ ჰპოვეს.

კონტინენტური გეოპოლიტიკის განვითარების მიმართულებით კიდევ უფრო შორს მიდის ბელგიელი ჟან ტირიარი (1922-1992 წწ.). იგი თავის თავს ევროპელ "ნაციონალ-ბოლშევიკად" და "ევროპული იმპერიის" მშენებლად მიიჩნევდა.

---

[110] ა.დუგინი. "გეოპოლიტიკის საფუძვლები". მოსკოვი, 1997 წ. გვ. 145

[111] იქვე

ჟან ტირიარი თავის პოლიტიკურ თეორიას ანვითარებდა "დიდი სივრცეების დამოუკიდებლობის" პრინციპზე. ბელგიელი მეცნიერი ამ პრინციპით მიუდგა იმდროინდელ ვითარებას და გააკეთა დასკვნა, რომ ევროპული სახელმწიფოები თავიანთ მსოფლიო მნიშვნელობას საბოლოოდ დაკარგავდნენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გაერთიანდებოდნენ აშშ-ს საპირისპირო ერთიან იმპერიაში. ტირიარს მიაჩნდა რომ ასეთი იმპერია უნდა გადაქცეულიყო ერთიან, კონტინენტურ ერ-სახელმწიფოდ.

70-იანი წლების ბოლოს ტირიარის შეხედულებები ოდნავ შეიცვალა. იგი ამტკიცებდა, რომ აშშ-სგან "ევროპის განთავისუფლების" მთავარ პირობას წარმოადგენდა ევროპის გაერთიანება საბჭოთა კავშირთან. აქედან გამომდინარე ტირიარის მიერ გაკეთებულ იქნა რადიკალური დასკვნა იმის შესახებ, რომ ევროპისათვის უფრო ხელსაყრელი იყო საბჭოური სოციალიზმი, ვიდრე ანგლოსაქსური კაპიტალიზმი. ასე გაჩნდა პროექტი "ევროსაბჭოთა იმპერია ვლადივოსტოკიდან დუბლინამდე".

ტირიარის შეხედულებებთან ძალზე ახლოსაა ავსტრიელი გენერალი იორდის ფონ ლოქჰაუზენი. მისი აზრით, პოლიტიკურ ხელისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გააჩნია საშუალება იყოს მუდმივი და მყარი, როდესაც მმართველები აზროვნებენ არა წუთიერი და ლოკალური კატეგორიებით, არამედ "ათასწლეულებითა და კონტინენტებით".

ლოქჰაუზენი გვთავაზობს ხელისუფლების ასეთ ფორმულირებას: "ძლევამოსილება=ძალა × ადგილმდებარეობაზე". ვინაიდან ძლევამოსილება არის ძალის ნამრავლი ადგილმდებარეობაზე, ამიტომ მხოლოდ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს შიდა ძალების სრული განვითარებას.

სხვა "ახალი მემარჯვენეების" მსგავსად, ავსტრიელი გამოჰყოფდა ევროპის ბედს დასავლეთის ბედისაგან. იგი ევროპას თვლიდა კონტინენტურ წარმონაქმნად, რომელიც დროებით მოექცა ატლანტისტური მმართველობის ქვეშ. ევროპის პოლიტიკური გათავისუფლებისათვის კი საჭირო იყო სივრცობრივი მინიმუმი, რომლის მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ გერმანიის გაერთიანების, შუა ევროპაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებისა და ევროპის სახელმწიფოების ატლანტიზმისგან დამოუკიდებელ ბლოკში გაერთიანების საშუალებით.

ლოქჰაუზენს ვერ წარმოედგინა ევროპის მომავალი რუსეთის გარეშე და პირიქით, რუსეთისათვის ევროპა აუცილებელი იყო, ვინაიდან რუსეთ-ევროპის კავშირის გარეშე ორივე რეგიონი გეოპოლიტიკურად არასრულყოფილი და ამერიკისათვის ადვილად ხელმისაწვდომი გახლდათ.

გეოპოლიტიკის მეტად რომანტიკული ვერსია ჩამოყალიბებულ იქნა ფრანგი მწერლის ჟან პარვულესკოს მიერ. იგი აცხადებდა: "კაცობრიობის ისტორია არის ძლევამოსილების, ძალაუფლების ისტორია. ცივილიზაციაში უმთავრესი პოზიციის დასაკავებლად ისწრაფვიან სხვადასხვა ნახევრად საიდუმლო ორგანიზაციები, რომელთა არსებობის ციკლები ბევრად აღემატება ჩვეულებრივი პოლიტიკური იდეოლოგიების, მმართველი დინასტიების, რელიგიური ინსტიტუტების, სახელმწიფოებისა და ხალხების არსებობის ხანგრძლივობას. ამ ორგანიზაციებს შორის მიმდინარეობს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობენ პაპები, პატრიარქები, მეფეები, დიპლომატები, რევოლუციონერები, მისტიკოსები, გენერლები და სხვები."[112]

პარვულესკოს კონცეფციაში მთავარ როლი ენიჭება კონტინენტალისტ გენერალს დე გოლს და მის მიერ წარმოდგენილ გეოპოლიტიკურ სურათს, რომელსაც პარვულესკო "გეოპოლიტიკურ გოლიზმს" უწოდებს. ამ მიმართულების მომხრეთა ძირითად მიზანს წარმოადგენს ევროპული კონტინენტური ბლოკის "პარიზი-ბერლინი-მოსკოვის" შექმნა.

---

[112] ა.დუგინი. "გეოპოლიტიკის საფუძვლები". მოსკოვი, 1997 წ. გვ. 147

მეტად “ორიგინალური” მოსაზრება ჩამოყალიბებული აქვს კიდევ ერთ ბელგიელ გეოპოლიტიკოსსა და პუბლიცისტს რობერ სტოიკერსს. მისთვის პრიორიტეტულია კონტინენტური ორიენტაცია. იგი ატლანტიზმს ევროპის მტრად მიიჩნევს და ევროპის კეთილდღეობას გერმანიასა და შუა ევროპას უკავშირებს. ამასთანავე, სხვა “ახალი მემარჯვენეებისაგან” განსხვავებით, მეცნიერი ხაზს უსვამს ინდოეთის ოკეანის უდიდეს მნიშვნელობას მსოფლიოს მომავალი გეოპოლიტიკური სტრუქტურის საქმეში. მისი მტკიცებით, სწორედ ინდოეთის ოკეანე წარმოადგენს იმ ძირითად რეგიონს, რომლისკენაც უნდა იქნეს მიმართული მთელი ევროპული სტრატეგია, ვინაიდან სწორედ ამ სივრცის საშუალებით ევროპა შესძლებს გავლენის მოხდენას აშშ-ზე, ევრაზიასა და იაპონიაზე. მისი აზრით, სწორედ ამ რეგიონში ჰპოვებს განვითარებას გადამწყვეტი გეოპოლიტიკური დაპირისპირება, რომელმაც უნდა განსაზღვროს მომავალი XXI საუკუნის სურათი.

ახალი მემარჯვენეების მიერ გამოცემული მრავალრიცხოვანი პოლიტოლოგიური და სოციოლოგიური ჟურნალებიდან ყურადღებას იმსახურებს მილანის "ორიონი", სადაც თავის გეოპოლიტიკური მიმართულების ნაშრომებს რეგულარულად აქვეყნებდა დოქტორი კარლო ტერაჩანო. ეს უკანასკნელი გამოხატავს ევროპული კონტინენტალიზმის უკიდურეს პოზიციას. მისი აზრით, ევროპის ბედი მთლიანადაა დამოკიდებული რუსეთისა და ევრაზიის, აღმოსავლეთის ბედზე. იგი მთლიანად იზიარებს ერთიანი ევრაზიული სახელმწიფოს – "ევროსაბჭოთა იმპერია ვლადივოსტოკიდან დუბლინამდე" იდეას, რომელიც აახლოებს მის თეორიებს ჟან ტირიარის თეორიებთან.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ იტალიელი პროფესორის აზრით, ატლანტიზმთან ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ისლამურ სამყაროს ენიჭება, განსაკუთრებული როლი კი აქ ანტიამერიკული რეჟიმის ქვეყნებმა უნდა შეასრულონ: ირანმა, ლიბიამ, ერაყმა და ა.შ. აქედან გამომდინარე, იგი აკეთებს დასკვნას, რომ ისლამური სამყარო ყველაზე ძლიერად გამოხატავს კონტინენტურ გეოპოლიტიკურ ინტერესებს. აქედან გამომდინარე, მის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგი ფორმულა: "რუსეთი + ისლამი = აშშ-ს (ატლანტიზმის, მონდიალიზმის) წინააღმდეგ არსებულ მთავარ ძალას".[113]

ევროპას ტერაჩანო განიხილავს როგორც რუსულ - ისლამური ბლოკის პლაცდარმს. მისი აზრით, მხოლოდ ასეთი ტიპის რადიკალური ნაბიჯების გადადგმას შეუძლია მიიყვანოს ევროპა ჭეშმარიტ აღორძინებამდე.

თანამედროვე რუსული გეოპოლიტიკური სკოლა

ნ ე ო ე ვ რ ა ზ ი უ ლ ო ბ ა

რუსი გეოპოლიტიკოსის, ევრაზიელი სავიცკის ყველაზე გამოჩენილი მოწაფე იყო ცნობილი მეცნიერი, ისტორიკოსი ლევ ნიკოლოზის ძე გუმილიოვი. მან თავის შრომებში ჩამოაყალიბა პოლიტიკური ისტორიის სრულიად ახალი სურათი, სადაც ევრაზიული აღმოსავლეთი წარმოადგენს ეთნოგენეზის, კულტურის, პოლიტიკური ისტორიის, სახელმწიფოებრივი და ტექნიკური განვითარების დამოუკიდებელ და ენერგიულ ცენტრს. გუმილიოვი თავის კვლევებში განავრცობს იდეას იმის შესახებ, რომ ეთნიკური რუსები წარმოადგენენ თურქულ – სლავური შერწყმის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სხვა ერებისაგან განსაკუთრებულ ეთნოსს. ამიტომაც, რუსი მეცნიერი ცდილობს დაასაბუთოს რუსების მიერ იმ ევრაზიულ მიწებზე კონტროლის დამყარების სამართლიანობა, რომლებიც თურქული ეთნოსითაა დასახლებული. სავიცკის ანალოგიურად, გუმილიოვიც ამტკიცებს, რომ ველიკორუსული

[113] ა.დუგინი. “გეოპოლიტიკის საფუძვლები”. მოსკოვი, 1997 წ. გვ. 148

ცივილიზაციის ჩამოყალიბება გეოგრაფიული თვალსაზრისით ხორციელდებოდა ტყისა და სტეპის ისტორიული ალიანსის შედეგად. სწორედ ამ ორი ბუნებრივი ზონის გეოპოლიტიკური შერწყმა წარმოადგენს რუსეთის ისტორიულ არსს, რამაც თავის მხრივ განსაზღვრა რუსი ერის კულტურა, მენტალიტეტი, იდეოლოგია და ა.შ.

გუმილიოვი აანალიზებს ცივილიზაციებისა და კულტურების, აგრეთვე ეთნოსების განვითარების სხვადასხვა სტადიას. იგი მიიჩნევს, რომ ეთნო–კულტურული წარმონაქმნები – "ერები, სახელმწიფოები, რელიგიური ერთობები – გადიან დაბადების, ახალგაზრდობის, სიმწიფის, სიბერის პერიოდებს და შემდეგ ქრებიან ან გარდაიქმნებიან რელიქტებად".[114]

გუმილიოვის ევრაზიულობიდან იკვეთება შემდეგი სახის გეოპოლიტიკური დასკვნები:

1) "ევრაზია წარმოადგენს ეთნოგენეზისა და კულტუროგენეზისათვის ნაყოფიერ ნიადაგს. მაშასადამე, მსოფლიო ისტორია უნდა განიხილებოდეს არა ერთპოლარული თვალსაზრისით, არამედ მრავალპოლარულით, სადაც ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ევრაზია განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან დასავლეთისთვის ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვანი მსოფლიო ცივილიზაციური პროცესების ალტერნატიულ წყაროს.
2) ველიკორუსული სახელმწიფოებრიობის საფუძველი – ტყისა და სტეპის გეოპოლიტიკური სინთეზი წარმოადგენს საკვანძო რეალობას აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის კულტურულ – სტრატეგიული კონტროლისათვის. ასეთი კონტროლი ხელს უწყობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჰარმონიულ ბალანსს, მაშინ როცა დასავლური ცივილიზაციის შეზღუდულობას და მის სწრაფვას ბატონობისაკენ კონფლიქტებისა და ნგრევისაკენ მივყავართ.
3) დასავლური ცივილიზაცია, წარმოადგენს რა "ქიმერული" ეთნოსების კონგლომერატს, იმყოფება ეთნოგენეზის უკანასკნელ, დაღმავალ სტადიაში. მაშასადამე, სიმძიმის ცენტრი აუცილებლად გადაინაცვლებს უფრო ახალგაზრდა ხალხებისაკენ.
4) ასევე შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში მოხდეს გამოუცნობი და გაუთვალისწინებელი "ვნებათა ბიძგი". იგი მკვეთრად შეცვლის მსოფლიოს პოლიტიკურ და კულტურულ რუკას, რადგან "რელიქტური" ეთნოსების ბატონობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს".[115]

მეცნიერი პირადად არ აყალიბებდა გეოპოლიტიკურ დასკვნებს საკუთარი სქემის საფუძველზე, მაგრამ მისი იდეები განავითარეს მისმა მიმდევრებმა კომუნისტური იდეოლოგიური ცენზურის შესუსტების შემდეგ. ამ მიმართულებამ მიიღო სახელი "ნეოევრაზიულობა", რომელიც თავის მხრივ რამდენიმე მიმართულებითაა წარმოდგენილი.

პირველი მიმართულება ეს არის დასრულებული და მრავალფეროვანი იდეოლოგია. ნეოევრაზიულობის ეს სახესხვაობა იზიარებს სავიცკის, ტრუბეცკოის და უსტრიალოვის იდეებს. იგი უპირისპირდება როგორც ლიბერალურ დასავლურობას, ასევე ვიწრო ეთნიკურ ნაციონალიზმს. რუსეთი განხილულია როგორც დიდი გეოპოლიტიკური სივრცის ღერძი, რომლის მთავარი მიზანია იმპერიის ჩამოყალიბება.

ნეოევრაზიულობაზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს ევროპელ ტრადიციონალისტთა იდეების შესახებ – "თანამედროვე სამყაროს კრიზისი", "დასავლეთის დეგრადაცია", "ცივილიზაციის დესაკრალიზაცია". ისინი წარმოადგენენ ნეოევრაზიულობის მნიშვნელოვან კომპონენტებს, რითაც ანვითარებენ

[114]Исаев. Геополитика. Стр. 326
[115]Исаев. Геополитика. Стр. 327

იმ საკითხებს, რომლებიც რუს მეცნიერებთან მხოლოდ ინტუიციურად და ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი.

გარდა ამისა, საფუძლიანად შეისწავლება ევროპელ კონტინენტალისტთა პროექტები (ჰაუსჰოფერი, შმიტი, ნიკიში), რომელთა წყალობითაც ევრაზიული დოქტრინა ვრცელდება ევროპაზეც. ნეოევრაზიული გეოპოლიტიკური მიმართულება ევროპელ კონტინენტალისტთა მსგავსად, ევროპას მიიჩნევს სტრატეგიულ მნიშვნელობის მქონე რეგიონად, რომელსაც ძალუძს გეოპოლიტიკურ სრულფასოვნებაში მოიყვანოს ევრაზიული დიდი სივრცე.

ნეოევრაზიულობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ისლამურ ქვეყნებთან სტრატეგიული მოკავშირეობის მნიშვნელობის განსაზღვრა, რადგან ორი კონტინენტური ძალის - რუსულ – ისლამური კავშირი საფუძველს უყრის ანტიატლანტიკურ სტრატეგიას ევრაზიის კონტინენტის სამხრეთ – დასავლეთ სანაპიროზე.

ნეოევრაზიულობის სხვა განშტოებებს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

ნეოევრაზიელთა აზრით, ეს მიმდინარეობა დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით ახალი პრობლემების წინაშე იმყოფება, რაც პირველ რიგში განპირობებულია "ცივ ომში" დასავლეთის გეოპოლიტიკურ გამარჯვებასთან, ხოლო სხვადასხვა ატლანტიკური მიმდინარეობები ერთმანეთს ეთანხმებიან ერთ საკითხში, რომ მსოფლიოში ადრე თუ გვიან უნდა გაიმარჯვოს დასავლური ტიპის უნივერსალიზმმა. აქედან გამომდინარე, რუსი კონტინენტალისტები თვლიან, რომ ნეოევრაზიულობა მოითხოვს წინააღმდეგობა გაეწიოს ერთპოლარობას, ამის განხორციელება კი მხოლოდ ახალი ბიპოლარობის საშუალებით შეიძლება. ანუ, რუსი მეცნიერები ამტკიცებენ, შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ ახალი ბიპოლარიზმი, რადგან ევრაზია მხოლოდ ამით შეძლებს მოიპოვოს გეოპოლიტიკური სუვერენიტეტი. მხოლოდ ახალ ბიპოლარიზმს შეუძლია გზა გაუხსნას ისეთ მრავალპოლარობას, სადაც ყველა გეოპოლიტიკურ დაჯგუფებას საშუალება ექნება თავად აირჩიოს ფასეულობათა საკუთარი სისტემა. ნეოევრაზიელები მნიშვნელოვანწილად იზიარებენ ევროპელი "ახალი მემარჯვენეების" იდეებს იმასთან დაკავშირებით, რომ ახალმა კონტინენტურმა ალიანსმა უნდა მოიცვას მთელი ევროპა ატლანტიკამდე, ევრაზიის სამხრეთ სანაპიროს ზოგიერთ მნიშვნელოვან სექტორთან ერთად, ან უნდა უზრუნველყოს ამავე სივრცეების მეგობრული ნეიტრალიტეტი და გამოიყვანოს ისინი ატლანტიზმის დაქვემდებარებიდან.

ა. დუგინის შემოქმედება

ალექსანდერე დუგინი დაიბადა მოსკოვში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში 1962 წელს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იგი მუშაობდა რამდენიმე სხვადასხვა ჟურნალის რედაქტორად.

ამჟამად იგი კითხულობს ფილოსოფიისა და გეოპოლიოტიკის კურსს მოსკოვის ახალ უნივერსიტეტში. იგი არის ოცდაათამდე მსხვილი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებშიც ფიგურირებს გეოპოლიტიკური პრობლემატიკა.

დუგინი ითვლება, რუსეთის ერთ-ერთი მემარჯვენე ორიენტაციის ნაციონალისტად, რომელიც ცნობილია თავისი ანტიდასავლური, ანტილიბერალური, კონსერვატიული და იმპერიალისტური შეხედულებებით.

დუგინმა ჩამოაყალიბა ნეოევრაზიულობის იდეური მიმდინარეობა, ხოლო მის ბაზაზე შექმნა პოლიტიკური გაერთიანება, ხოლო შემდგომში პოლიტიკური პარტია "ევრაზია" (2002 წ.).

დუგინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნეოევრაზიული თეორიის განვითარებას. იგი ასაბუთებს მის გამოჩენას კომუნისტური იდეოლოგიისა და საბჭოთა პოლიტიკური

სისტემის კრიზისთან ერთად. ამიტომაც იგი ხედავს იმის აუცილებლობას, რომ საჭიროა შეიქმნას დასასვლური მოდელის საპასუხო ალტერნატიული მოდელი.

დუგინი მუდმივად ცდილობს რაღაც "მესამე გზის" მოძებნას, ანუ გზას კაპიტალიზმსა და სოციალისმს შორის. ამისათვის კი, მისი აზრით საჭიროა არა მხოლოდ მიმზიდველი იდეოლოგიის პოვნა, არამედ მძლავრი საზოგადოებრივი ძალის პოვნაც.

მეცნიერი თავის ნაშრომებში ძირითად აქცენტს აკეთებს ანგლო-საქსური მსოფლიოს კრიტიკაზე, კერძოდ კი აშშ-ის კრიტიკაზე. მისი აზრით, დასავლეთი იყოფა აგრესიულ, ექსპანსიონისტურად განწყობილ ატლანტისტებზე (აშშ და დიდი ბრიტანეთი) და თანამშრომლობისათვის მზადყოფნაში მყოფ ევროპაზე.

დუგინის აზრით, ევრაზიული მოძრაობის პოლიტიკური პლატფორმა, თავის თავში აერთიანებს შემდეგ ფაქტორებს:

- "იდეოკრატია, რომელიც გაგებულია როგორც თითოეული მოქალაქისა და სახელმწიფოს ვალდებულება, ემსახუროს უმაღლეს სულიერ მიზანს;
- ევრაზიული არჩევანი, რომელიც გამომდინარეობს ევრაზიის ლანდშაფტური პირობებიდან და მოითხოვს განსაკუთრებულ ეთიკას, რომელიც აყალიბებს ისეთ თვისებებს, როგორებიცაა: კოლექტიური პასუხისმგებლობა, ურთიერთდახმარება, ასკეტიზმი, უფროსობისადმი უპირობო დამორჩილება. მხოლოდ ეს თვისებები დაეხმარება ევრაზიელებს დაამყარონ კონტროლი და დაასრულონ ევრაზიული სივრცის ათვისება;
- დემოტია (დასავლური, ბერძნულ-ინგლისური დემოკრატიისგან განსხვავებით, რომელიც სხვა პირობებში იქნა შექმნილი). ამ პრინციპმა არ უნდა მოახდინოს ლიბერალური დემოკრატიის ნორმების კოპირება, რაც "შეუძლებელი და მავნებელია". მან უნდა იაროს თანამონაწილეობის გზით ეროვნულ წარმომადგენლებთან. დემოტია არ ითვალისწინებს იერარქიას, იგი იგივდება "ევრაზიულ ავტორიტარიზმთან".[116]

კლასიკური ევრაზიელების იდეების განვითარების გარდა, დუგინი აყალიბებს შემდეგ "კონცეფტუალურ მომენტებს":

- ტრადიციონალიზმის ფილოსოფია-სისტემური კრიზისის იდეა, განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიოს რადიკალურ დაცემას;
- ლინგვისტური, ეპიგრაფიული, ფოლკლორული და სხვა ძეგლების საფუძველზე უნდა მოხდეს ევრაზიის ხალხების მსოფლმხედველობის შესწავლა, მათი საერთო ფესვების მოძებნა;
- აუცილებელია დასავლეთში განვითარებული გეოპოლიტიკური იდეების გათვალისწინება (მაკინდერი, ჰაუსჰოფერი, სფაიქმენი, ბუეუინსკი, ტირიარი) რათა უფრო გამარტივდეს დაპირისპირება ატლანტიზმსა და გლობალიზმთან;
- უნდა განხორციელდეს მონდიალიზმისა და გლობალიზმის ალტერნატიული გზების ძიება;
- უნდა მოხდეს "ახალი მემარცხენეების" (ფუკო, დელეზი, არტო, დებორი), თანამედროვე ანარქისტებისა და ნეომარქსისტების, აგრეთვე ნაციონალ-ბოლშევიკური იდეების გათვალისწინება და მოძიებულ იქნეს ანტიგლობალისტების "მემარცხენე" ფრთასთან ურთიერთშეხების წერტილები.[117]

გეოპოლიტიკური თეორიის შემუშავებისას, რომელსაც დუგინმა გასული საუკუნის 90-იან წლებში დიდი ყურადღება დაუთმო, მეცნიერმა კლასიკური ტრადიციის სფეროდან გადაინაცვლა არა მსოფლიოს თანამედროვე ხედვაში, არამედ კლასიკურ, გეოპოლიტიკური აზრის ჩამოყალიბების პერიოდში.

[116]Исаев. Геополитика. Стр. 329

[117]Исаев. Геополитика. Стр. 329

თავი VII
მსოფლიო წესრიგი და გლობალიზაცია

მსოფლიო წესრიგის მოდელები და ძალთა ბალანსი

ცივილიზაციის განვითარება განსაზღვრავს ისეთი ქვეყნების თანაარსებობას და ურთიერთქმედებას, რომლებიც იმყოფებიან "სხვადასხვა წონით

კატეგორიაში.” გეოპოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის მაშტაბების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ:

ზესახელმწიფოები, ე.ი. სახელმწიფოები რომელთაც აქვთ შესაძლებლობა და აუცილებლობა დაიცვან თავიანთი ნაციონალური ინტერესები მთელ დედამიწაზე. ზეიმპერიას გააჩნია სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული პოტენციალი, რომელიც მას აძლევს საშუალებას დაიკავოს მსოფლიოში წამყვანი პოზიციები და მსოფლიოს ყველა წამყვანი სახელმწიფო აიძულოს გაითვალისწინოს მისი და მისი მოკავშირეების ინტერესები. წარსულში ამაზე პრეტენზიას აცხადებდნენ რომისა და მონღოლთა იმპერიები, აშშ და საბჭოთა კავშირი. დღეისათვის მსოფლიოში არსებობს ერთადერთი სუპერსახელმწიფო- ა.შ.შ.

დიდი სახელმწიფოები ე.ი. სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ ინტერესი არა მხოლოდ მეზობელ, არამედ დედამიწის საკვანძო რეგიონებშიც, მაგრამ არა მთელი მსოფლიოს მაშტაბით. დიდი სახელმწიფოს პოტენციალი საშუალებას იძლევა აქტიურად დაიცვას საკუთარი ინტერესები და აიძულოს სხვა სახელმწიფოები ანგარიში გაუწიონ მას და მის მოკავშირეებს. მაგალითად რუსეთი, თავისი იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებით მიისწრაფვის იმისაკენ, რომ გახდეს ასეთი სახელმწიფო.

რეგიონალური სახელმწიფოები ე.ი. სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ ინტერესი იმ რეგიონებში, რომლებიც მის საზღვრებთან მდებარეობენ. მათი პოტენციალი საშუალებას იძლევა გავლენა იქონიონ სიტუაციაზე. თუმცა ეს არ არის საკმარისი სერიოზული მონაწილეობისათვის მათ ეკონომიკურ, კულტურულ-ინფორმაციულ და პოლიტიკურ სივრცეში.

აუცილებლობა იმისა, რომ სახელმწიფოებმა გააკონტროლონ ესა თუ ის სივრცე განაპირობებს მსოფლიოში ერთგვარ წონასწორობას, რათა შენარჩუნებული იქნეს მსოფლიოში სტაბილურობა და წესრიგი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებსა და საერთაშორისო ეკონომიკური კონტაქტების დამყარების დროს. გეოპოლიტიკურ სივრცეში ამას უწოდებენ ძალთა ბალანსს. ძალთა ბალანსი შეიძლება აგებული იყოს უნიპოლარულ საფუძველზე(ერთი დომინანტი-სახელმწიფო), ბიპოლარულ საფუძველზე (სადაც დომინირებს ორი ზესახელმწიფო) და მრავალპოლარულ საფუძველზე(არსებობს ძალისა და გავლენის რამდენიმე ცენტრი, რომელიც ძალისა და წონასწორობის ზოგად გარანტიას იძლევა).

აღნიშნული ბალანსის დარღვევა ყოველთვის იწვევს დესტაბილიზაციას (ომები, მშვიდობის დარღვევა) იმ პერიოდამდე, სანამ არ დამყარდება ძალთა ახალი თანაფარდობა. მთავარი მხარეების - მსოფლიო თანაფარდობის სუბიექტების მიერ თამაშის წესების გაზიარებას, რომელიც ვლინდება(გამოიხატება) სახელმწიფო სუვერენიტეტის წარმოდგენაში, მოლაპარაკებათა სისტემაში, ურთიერთქმედების პრინციპების მიღებაში, ეროვნული ინტერესების დაშვებული ფორმების რეალიზაციაში და საერთაშორისო ნორმებში - ეწოდება *მსოფლიო წესრიგი.*

მეორე ათასწლეულის ისტორია გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ მსოფლიო წესრიგის შეცვლის თანამიმდევრულობაზე. მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი პირველი ოფიციალურად დადგენილი სისტემა იყო ვესტფალიის სისტემა. ის იურიდიულად გაფორმდა 1648 წელს, მაშინ როდესაც ევროპაში ხელი მოეწერა 30-წლიანი ომის დასრულების ხელშეკრულებას. მის საბაზო პრინციპს წარმოადგენდა იდეა სახელმწიფოს აბსოლუტური სუვერენიტეტისა განსაზღვრულ ტერიტორიაზე (მონარქის გარდა არ უნდა ყოფილიყო სხვა ხელისუფალი მის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე), თანამშრომლობა-პაექრობა-იმუნიტეტი (ურთიერთობათა წარმოშობის სქემა). ამის შემდგომ ეტაპობრივად ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართალი და საფუძველი დაედო ვესტფალიის სისტემას. მან იარსება საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე, რამაც ეჭქვეშ დააყენა ყოფილ სუვერენთა მთავრობების ლეგიტიმურობა. ამის შემდეგ, ნაპოლეონის მიერ გაჩაღებულმა ომებმა მთლიანად შეცვალეს მსოფლიო წესრიგი ევროპაში.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, 1813-1815 წწ. გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა შექმნეს მსოფლიო წესრიგის ახალი სისტემა - ვენის სისტემის სახელწოდებით, ის იურიდიულად გაფორმდა 1815 წელს ვენის კონგრესზე. მისი მთავარი იდეა იყო "ევროპულ სახელმწიფოთა კონცერტი" (უსაფრთხოების სისტემაში ყველა ევროპული ქვეყნის ჩართვა, მრავალი ქვეყნის ტერიტორიების და საზღვრების გადანაწილების ხარჯზე). ამ სისტემამ პირველ მსოფლიო ომამდე იარსება.

პირველმა მსოფლიო ომმა და სამთა კავშირის დაშლამ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია) გამოიწვია ვერსალის სისტემის შექმნა. მას ასე ეწოდა ვერსალის სამშვიდობო კონფერენციის საპატივცემულოდ, სადაც ოფიციალურად გაფორმდა პირველი მსოფლიო ომის დასასრული. ამ სისტემამ წინა პლანზე წამოწია ახალი ზესახელმწიფოები (აშშ-სა და იაპონიის სახით), იდეით ერი-სახელმწიფო, როგორც სუვერენიტეტის ლეგიტიმური სუბიექტები. ამავე დროს, გაჩნდა მუდმივმოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციის, ერთა ლიგის შექმნის იდეა. ის იყო მოწოდებული დაემყარებინა მსოფლიო მშვიდობა, მაგრამ ამ სისტემამ კრახი განიცადა მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო. ვერსალის შემგეგ არსებულ სისტემას პოტსდამის სისტემა ეწოდა (იგი იყო ბიპოლარული). მან განამტკიცა დიდი სახელმწიფოების მიერ იალტაში მიღებული გადაწყვეტილებები.

საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ბლოკის დაშლამ გამოიწვიეს პოტსდამის სისტემის დაშლა. მსოფლიოს ახალმა წესრიგმა აშშ-ის მეთაურობით შეიძინა უნიპოლარული სისტემის თავისებურებანი ("Pax Americana"), თუმცა ამავე დროს ძლიერი ცენტრების შექმნაზე თავიანთ პრეტენზიას აცხადებენ გაერთიანებული ევროპა, ჩინეთი, რუსეთი.

ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება გლობალიზაციის პროცესების ინტენსიფიკაციის ფონზე.

გლობალიზაციის მთავარი განზომილებები და გეოპოლიტიკა

გლობალიზაციის არსი

პოლიტიკური ორგანიზაციის დამოკიდებულების მასშტაბები ტრანსპორტზე, ნაწილობრივ ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ კონცენტრირდებოდნენ იმპერიები და მსხვილი სახელმწიფოები, როგორც წესი მდინარეების აუზებში და ზღვის სანაპიროებთან (მესოპოტამია და ძველი ეგვიპტე, ინდოეთი და ჩინეთი, კართაგენი, რომისა და ბიზანტიის იმპერიები). ზღვაოსნობისა და საზღვაო კომუნიკაციების განვითარებამ და გაფართოებამ მსოფლიო პოლიტიკაში წინა პლანზე წამოწია საზღვაო ზესახელმწიფოები, მათ მიეცათ უპირატესობა კონტინენტურ ზესახელმწიფოებთან შედარებით.[118]

უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული აღმოჩენების სტიმულად იქცა დასავლეთ ევროპელი ვაჭრების მიერ ინდოეთსა და აღმოსავლეთ აზიაში ახალი ევროპული სავაჭრო გზების შექმნა.

შემთხვევითი არ იყო მათი მზერის მიპყრობა ატლანტიკისაკენ, იმ პერიოდში როდესაც თურქებმა თითქმის მთლიანად დაკეტეს გზა აღმოსავლეთისაკენ მცირე აზიისა და სირიის გავლით.

---

[118]Sheila L. Croucher. *Globalization and Belonging: The Politics of Identity in a Changing World.* Rowman & Littlefield. (2004). p.10

უდიდეს გეოგრაფიულ აღმოჩენებს ჰქონდა უპრეცენდენტო სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, ფსიქოლოგიური და სხვა შედეგები.

ახალი სავაჭრო გზების აღმოჩენისა და ათვისების შედეგად ვაჭრობამ მიიღო მსოფლიო მნიშვნელობა, კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა ევროპული ცენტრიდან დაიწყეს გავრცელება პერიფერიებზე. სავაჭრო გზების გადანაცვლებამ ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიკის ოკეანეში გამოიწვია ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს ეკონომიკური ვარდნა (იტალია, ნაწილობრივ გერმანია) ხოლო სხვა სახელმწიფოთა აღმავლობა (ჰოლანდია, ინგლისი). უფრო მეტიც, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა საფუძველი ჩაუყარა დასავლეთის მიერ მსოფლიო სივრცის ჩანაცვლებას, ხალხების გადასახლებას, ახალი ერების და სახელმწიფოების ფორმირებას, ევროპული კოლონიალური იმპერიების შექმნას.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა XIX საუკუნეში სამრეწველო რევოლუციის დაწყებამ და სახმელეთო კომუნიკაციების განვითარებამ. ამ ფაქტმა შექმნა საშუალება ათვისებულიყო უზარმაზარი, ადრე ხელმიუწვდომელი კონტინენტური სივრცეები. სწორედ რკინიგზის ტრანსპორტმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ისეთი დიდი იმპერიების წარმოქმნა, როგორებიცაა გერმანია, ამერიკა, რუსეთი.

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯერ სუეცის, მოგვიანებით კი პანამას არხის მშენებლობას. თუ პირველმა შეაერთა ხმელთაშუა ზღვა ინდოეთის ოკეანესთან, მეორემ მნიშვნელოვანწილად შეამცირა მანძილი ატლანტიკის ოკეანიდან წყნარისაკენ.

ხმელეთისა და ზღვის, რკინიგზისა და საავტომობილო გზების მეშვეობით სატრანსპორტო კომუნიკაციების ათვისების შემდგომ, ჯერი დადგა საჰაერო და კოსმოსური სივრცეების დაპყრობისა.

ავიაციის წარმოშობამ და მისმა შემდგომმა განვითარებამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა მსოფლიო თანამეგობრობის გეოპოლიტიკურ სტრუქტურაში.

ატომური შეიარაღების შექმნამ და მათი ტრანსპორტირების შესაძლებლობამ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში უარყო ამა თუ იმ ქვეყნის მიუწვდომლობის პრინციპი მისი გეოგრაფიული სიშორისა თუ იზოლაციის მიუხედავად.

თანამედროვე პირობებში სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, საჰაერო სივრცე თუ კოსმოსი თამაშობენ არანაკლებ როლს ვიდრე ხმელეთი და ზღვა. კარდინალურად იცვლება თანაფარდობა ცენტრსა და პერიფერიას, ასევე ჰარტლენდსა და რიმლენდს, საზღვაო და კონტინენტალურ ხალხებსა და ქვეყნებს შორის. წარმოიქმნება ტერიტორიებზე კონტროლის ახალი ტრანსნაციონალური ფორმები. ეს გამოიხატება მათ ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ტელეკომუნიკაციურ, ინფორმაციულ და სხვა მრავალფეროვნებაში. თანამედროვე მსოფლიო ტექნოლოგიების ძალა ისეთია, რომ ისინი უმოქმედოს ხდიან ნებისმიერ ბარიერებს, “კედლებს”, “ფარდებსა” და საზღვრებს.

ასეთი მდგომარეობის გამო ნაკლებად მართებულია გამოვიყენოთ თანამედროვე მსოფლიოს მიმართ არსებული მაკინდერის ფორმულა: “ის ვინც აკონტროლებს ევრაზიის ჰარტლენდს - ის აკონტროლებს მთელ მსოფლიოს.”

დღეისათვის არსებობს ყველა საფუძველი ვილაპარაკოთ მსოფლიო თანამეგობრობის ერთიანი სივრცობრივი ინფრასტრუქტურის ფორმირების შესახებ, იქნება ეს ევროპული, ევრო-ამერიკული, წყნარი ოკეანის თუ სხვა ცენტრები, რომელთა მიმართაც თავის დროზე სხვა რეგიონები და სივრცეები განიხილებოდა როგორც ერთგვარი პერიფერია.

სივრცობრივი სიახლოვე აღმოსავლეთისა დასავლეთთან, ჩრდილოეთისა სამხრეთთან გამოიხატება სხვადასხვა ნაციონალური ან ცივილიზაციური დროის აღრიცხვიანობის უკანა პლანზე გადაწევაში და თავის არსენალში დე - იურედ თუ არა დე-ფაქტოდ გრიგორიანული კალენდრის მიღებაში. ამაზე მეტყველებს ერთიანი პლანეტარული დროის ეტაპობრივი მიღება და დამტკიცება დედამიწის ყველა რეგიონსა და ქვეყანაში.

თანამგზავრები, ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელები, კომპიუტერები და ფაქსები ხელს უწყობს ინფორმაციის ნაკადის აჩქარებასა და გამსხვილებას. სატელეკომუნიკაციო კავშირები, რომლებიც აერთიანებს დედამიწის ყველა დაშორებულ წერტილს, უზრუნველყოფს რა მომენტალურ კავშირს, მათ შორის დროის გადალახვის საშუალებას იძლევა.

დღეს უკვე საკუთვრივ ადამიანს შეუძლია მასობრივი საინფორმაციო ელექტრონული საშუალებებით იმყოფებოდეს ერთდროულად სხვადასხვა ადგილას და იყოს მონაწილე მოვლენებისა, რომელიც ვითარდება მისი ფიზიკური ადგილმდებარეობის საზღვრებიდან შორს.
მასობრივი საინფორმაციო საშუალებები აკავშირებს ხალხს უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციებში. რევოლუციური ცვლილებები ხდება ენობრივ ურთიერთობათა სფეროში.[119]

მსოფლიო ხალხებს შორის ურთიერთობების საშუალებებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ზოგიერთი წამყვანი ენა, ხოლო ინგლისური ზოგიერთ სფეროში (მაგ. ავიაცია) იძენს მსოფლიო ენის სტატუსს. კომპიუტერი და კომპიუტერული ენა, დაფუძვნებული ინგლისურზე, ხდება უნივერსალური ურთიერთობის საშუალება, განსაკუთრებით საქმიან მსოფლიოში. ხორციელდება მანქანური თარგმნის საშუალებების აქტიური შემუშავება და დანერგვა, რაც სხვადასხვა ქვეყნებს და ხალხებს შორის არსებულ ენათა ბარიერების დაძლევის საშუალებას იძლევა.

გლობალიზაცია უშუალოდ დაკავშირებულია ტრანსნაციონალურ მედია-იმპერიების წარმოქმნასთან. როგორც ცნობილია, კლასიკური დემოკრატიული იდეების შესაბამისად მასმედია დამოუკიდებელი უნდა იყოს სახელმწიფო და კორპორაციული კონტროლისგან, თავისი ინფორმაციული პროგრამების შინაარსის შერჩევის დროს. მათი მიზანია მიაწოდონ საზოგადოებას თვალსაზრისის რაც შეიძლება ფართო სპექტრი და ზუსტი ინფორმაცია სხვადასხვა პრობლემებზე. თუმცა, დღევანდელი "გლობალური მედია" ხელს აშკარად უწყობს "ზოგიერთი ხმის" უფრო ხმამაღლა გაჟღერებას სხვასთან შედარებით და შესაბამისად ფასეული ნეიტრალიტეტი არ აღინიშნება.

მიუხედავად ტრანსნაციონალური საშუალებების მიერ შემოთავაზებული ვითომდა პროგრამების მრავალფეროვნებისა, ამერიკელი მეცნიერის მ. პარენტის აზრით, მათში ჭარბობს უნიფიცირებული მენიუ, აქცენტირებული თავისუფალი ბაზრის ფასეულობებზე, შესაძლებლობების თანასწორობაზე, ინდივიდუალიზმსა და კონსიუმერიზმზე.

რაღა თქმა უნდა ლოკალური მედია-ბიზნესი არ არის გაჩერებული და ისიც იბრძვის ინფორმაციულ ბაზარზე თავისი ადგილის მოსაპოვებლად, მაგრამ მათი მიზანი საშულებას ვერ ამართლებს. პირველ რიგში, ყველა ტრანსნაციონალური მედია-იმპერია მოქმედებს ყველა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში. მაგ. კომპანია CNN-ი (ახალი ამბების კავშირული ქსელი), BBC, News Corporation(ახალი ამბების გადაცემის კორპორაცია), Time Warner(უორნერის იმპერიის ნაწილი), Walt Disney-ინგლისურ-ამერიკული წარმოშობის, სილვიო ბერლუსკონის იმპერია იტალიაში, Sony-ი იაპონიაში და ა.შ.

მაგალითად, კომპანია ბერტელსმანი (გერმანია),დაკავებულია წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემა-გაყიდვით, ფლობს ტიპოგრაფიას, უშვებს მუსიკალურ

---

[119]Globalization Is Great! by Tom G. Palmer, Senior Fellow, Cato Institute

ჩანაწერებს, ყიდის ლიცენზიებს მათი გამოშვებისათვის, ფლობს მუსიკალურ კლუბებს, გააჩნია ინტერნეტ-პროვაიდერი, დაკავებულია ვებ-დიზაინით და ფლობს კომერციულ საიტებს ინტერნეტში. კანადელი სოციოლოგის მ. მაკლუენის ფრაზა "The medium is the message," დღეს იძენს პირდაპირ მნიშვნელობას: "სინამდვილეში ინფორმაციის შინაარსს წარმოადგენს თვით მომწოდებელი."[120]

ტერმინი "ინფორმაციის თავისუფალი ნაკადი" ხშირ შემთხვევაში ატარებს იდეოლოგიურ მნიშვნელობას. როგორც კ. როაჩას გამოკვლევები გვიჩვენებენ, მედია-იმპერიების მიერ ტრანსლირებული ახალი ამბების ძირითადი კურსი გამოხატავს "წამყვანი ერების" თვალსაზრისს და პირველ რიგში ანგლო-ამერიკულის. უმსხვილესი საინფორმაციო სააგენტოები Associated Prees და United Press International ახალი ამბებით ამარაგებენ მსოფლიო მასმედიის საშუალებათა უმრავლესობას, რისი მოცულობაც შეადგენს დღეში 17-დან 14 მილიონ სიტყვას. დღეისათვის არსებობს ორი მთავარი გლობალური ტელეკომპანია BBC და CNN International-ი(CNNI). BBC განსაკუთრებით გავლენიანია აზიაში, ყოფილ ბრიტანულ კოლონიებსა და ბრიტანული თანამეგობრობის დღევანდელ წევრებში. CNN თავისი ამერიკელი მაყურებლის გარდა, რომელიც 60 მილიონ ადამიანს აჭარბებს, ჰყავს 53-მილიონიანი მაყურებლის აუდიტორია, მისი ტრანსლაცია ხდება მსოფლიოს 140 ქვეყანაში, მათ შორის რუსეთში, ჩინეთში, აფრიკის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთსა და ლათინურ ამერიკაში.[121] მიუხედავად იმისა, რომ ამ გიგანტების მაუწყებლობა მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე, რის გამოც მათი აუდიტორია შემოიფარგლება ბიზნეს-წრეებით და ელიტის წარმომადგენლებით, მათ მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროექტები ადგილობრივ მედია-კომპანიებთან ერთობლივი საწარმოების შექმნასთან დაკავშირებით. ეს მათ თავიანთი მაყურებელთა აუდიტორიის მკვეთრად გაზრდის საშუალებას აძლევს.

მსგავსი ტენდენცია (სიტუაცია), შეინიშნება ვიდეო და პოპულარულ მუსიკის ბაზარზე. ზემოთ უკვე მოვიყვანეთ ინგლისური ენის უპირატესობის მაგალითი. რაც შეეხება გასართობ ტელეპროგრამებს, მაგ. ბრაზილიაში, ოთხი ათასი ფილმიდან რომელიც გადის სხვადასხვა არხზე, 99% წარმოებულია ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში(უპირატესად ა.შ.შ.-ში).მექსიკის წამყვანი ტელეკომპანია "ტელევიზა" თავისი პროგრამების 50%-ზე მეტის იმპორტირებას ახდენს[122], მაშინ როდესაც მისი ადგილი ესპანურენოვანი მოსახლეობაში საერთო დროის 0.5%-ს არ აღემატება. ახლო აღმოსავლეთში, კარიბის აუზის ქვეყნებსა და აზიაში ასევე დომინირებენ ტრანსნაციონალური მედია გიგანტები. საუდის არაბეთში ხდება გასართობი პროგრამების 40%-ის იმპორტირება, კარიბის აუზის ქვეყნებში კი ეს ციფრი 90%-ს აღემატება.

თანამგზავრული ტელევიზიის შექმნამ მხოლოდ ხელი შეუწყო ასეთი ტენდენციების გაძლერებას. კორეის სამი მთავარი ნაციონალური ტელეარხიდან ერთი (AFN) მაუწყებლობს ინგლისურ ენაზე, ხოლო დანარჩენი ორი გვთავაზობს "დალასის" ტიპის სერიალებს ან რაიმე ანალოგიურ ადგილობრივ შოუს.

აგვარად, გლობალურ მას-მედიას აქვს უნარი მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მასობრივი ცნობიერების პროგრამირებაზე, იგი ყოველდღიურად გვაწვდის არა მხოლოდ დღის წესრიგს, არამედ გვაძლევს განსახილველ მოვლენების ინტერპრეტაციის სქემას.

გლობალიზაცია ვარაუდობს, რომ მრავალი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა სახის ურთირთობანი და კავშირები შეიძენენ მსოფლიო ხასიათს. ამასთან, ის გულისხმოს კავშირების დონის გაზრდას როგორც ცალკეულ სახელმწიფოებს, ასევე სახელმწიფოთაშორის ფარგლებში.

---

[120]Globalisation shakes the world". BBC News. January 21, 2007

[121]Globalization (Page 3 of 5)". Microsoft Encarta Online Encyclopedia 2009. Archived 2009-10-3

[122]Globalization (Page 3 of 5)". Microsoft Encarta Online Encyclopedia 2009. Archived 2009-10-31

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებში სიახლეს წარმოადგენს სოციალური კავშირების გავრცელება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ადმინისტრაციული, სამართლის და სხვა.

გლობალური ნაკადის თანამედროვე ფორმები ხასიათდებიან ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების უდიდესი ინტერვენციით, როგორც განვითარებადი ქვეყნების, ასევე ერთმანეთის ეკონომიკაში, ასევე კაპიტალის ბრუნვის მაღალი დონით.

XX-ე საუკუნის ბოლოს საქონელი, კაპიტალი, ხალხი, ცოდნა, იარაღი, ნარკოტიკები და სხვა, ადვილად ლახავს სახელმწიფო ტერიტორიულ საზღვრებს. ტრანსნაციონალური კავშირები, სოციალური მოძრაობები და კავშირები შეიჭრნენ ადამიანთა მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში.

მსოფლიო ეკონომიკური სივრცის გლობალიზაცია

XX საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე პერიოდი ხასიათდება ხარისხობრივად ახალი თვისებებით. ამ თვისებებიდან ბატონი მანფრედი და კრანდო გამოყოფენ: 1)საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ ქვეყანათა უმრავლესობის მსოფლიო მეურნეობის კავშირების სისტემაში ჩაბმას; 2)ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაციას; 3) სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ყველა ქვეყნისათვის ერთიანი სტანდარტები ტექნოლოგიაზე, გარემოს დაბინძურებაზე, ფინანსური ინსტიტუტების მოქმედების საბუღალტრო გათვლებზე, ნაციონალურ სტატისტიკაზე, განათლებაზე, კულტურაზე და ა.შ.; 4) საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ინერგება მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიანი კრიტერიუმები, მიმდინარეობს საგადასახადო პოლიტიკის მოთხოვნების უნიფიცირება და ა.შ.[123]

გლობალიზაციის პროცესში განიხილება ორი ტენდენცია. ერთის მხრივ, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს აშშ-ს პოზიციების გაძლიერება, მეორეს მხრივ - ხდება ეკონომიკური პოლიცენცრიზმის ფორმირება.

პირველი ტენდენცია გამოიხატება იმაში რომ აშშ ცდილობს გავლენის გაფართოებას და განამტკიცოს საკუთარი სტანდარტები ყველა სფეროში: ფინანსურ ბაზარზე, კინობიზნესსა და განათლებაზე. ამერიკელები წინასწარ ატარებენ სტრუქტურული გარდაქმნის ახალ ეტაპს, ხარჯავენ რა ფულს განათლებაზე, მეცნიერებაზე, ინფორმატიკაზე, მომავლის ტექნოლოგიებზე, შესაბამისად, ამერიკაზე დანარჩენი მსოფლიოს დამოკიდებულება იზრდება.

რეალურად პოლიცენტრიზმზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში, როდესაც ახალი ცენტრები (ჩრდილო-აღმოსავლეთ აზია და სამხრეთ ამერიკა) ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებით მიაღწევენ ისეთ დონეს, რათა შეძლონ "დამოუკიდებელი თამაში" წარმართონ, მათ შორის აშშ-ის წინააღმდეგაც. ბევრი რამ იქნება დომოკიდებული ევროპული ინტეგრაციის წარმატებაზე და იგივე ჩინეთის მომავალ როლზე მსოფლიო ეკონომიკაში.

თანამედროვე მსოფლიოში მოქმედებს 80-მდე რეგიონალური და ეკონომიკური შეთანხმება და ხელშეკრულება. თუმცა, რეალურ ინტეგრაციულ პროცესებს ადგილი აქვს დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში. ლათინური ამერიკის, დასავლეთ და სამხრეთ აზიის, ასევე აფრიკის რეგიონების უმრავლესობას, და მათ შორის არსებულ თანამშრომლობას არ ექნება ეფექტი მანამ, სანამ ისინი არ მიაღწევენ ტექნიკურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და კულტურულ სიმწიფეს.

[123]Steger, Manfred.*Globalization*. New York: Sterling Publishing, 2009

ეკონომიკური აქტივობის სტანდარტების გლობალიზაცია ნათლად ავლენს თავს მსოფლიო ვაჭრობაში.

საერთაშორისოეკონომიკურ ურთიერთობებშიმნიშვნელოვან მოვლენად იქცა XX ს. 90-იან წლებიდან აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, ასევე ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკების მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ჩართვა და ვაჭრობის სწრაფმა ზრდამ განვითარებად ქვეყნებს შორის. აზიის წილმა (იაპონიის გარეშე) მსოფლიო ვაჭრობაში გადააჭარბა ჩრდილოეთ ამერიკის დონეს და ისევ აგრძელებს ზრდას. ახალი ექსპორტიორები აზიიდან მსოფლიო ბაზარზეც ამყარებენ თავიანთ პოზიციებს. ეს ძირითადად ხდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯზე. 1991-დან 1997 წლამდე ევროკავშირის წილი მსოფლიო სასაქონლო ბრუნვაში შემცირდა 43-44%-დან 36-40%-მდე, ხოლო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების წილი გაიზარდა 38-39%-დან 42-44%-მდე. უკვე 2007 წლისათვის აზია-წყნარი რეგიონის ხვედრითმა წილმა 46%-ს გადააჭარბა. დსთ-ს ქვეყნების წილმა XXI ს. დასაწყისში მხოლოდ 2%-ზე მეტი შეადგინა მსოფლიო სასაქონლო ბრუნვაში.[124]

2010 წლის მონაცემებით ამჟამად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში(WTO) 170-ზე მეტი სახელმწიფოა გაწევრიანებული, რომლებზეც მოდის საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის 90%-ზე მეტი. WTO-ში გაწევრიანების განცხადებით კიდევ 30-მა ქვეყანამ მიმართა. 1996წ. WTO-ს კონფერენციაზე მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც დაამტკიცეს მისი მთავარი ამოცანა - ყველა ქვეყნისთვის ხელის შეწყობა მსოფლიო ვაჭრობის რეგულაციის სისტებაში ინტეგრაციისათვის.

XXI საუკუნის დასაწყისში მიღწეულ იქნა ორი შეთანხმება, რომელიც უთუოდ მოახდენს ვაჭრობის გლობალიზაციის პროცესების სტიმულირებას: 1) შეთანხმება საინფორმაციო ტექნოლოგიების, ტელეკომუნიკაციების ბაზრის ლიბერალიზაციის შესახებ; 2)შეთანხმება ფინანსური მომსახურების ბაზრის ლიბერალიზაციის შესახებ. როგორც მოსალოდნელია, ამ შეთანხმებების რეალიზაცია გამოიწვევს მომსახურების ღირებულების შემცირებას, კერძოდ კი სატელეფონო კავშირისა და დაზღვევის სფეროში.

WTO-ს თითქმის ყველა ქვეყანა მონაწილეა ერთი ან რამდენიმე რეგიონალური დაჯგუფებისა, რომელთა რიცხვიც ასს აღემატება. WTO-ს აზრით, რეგიონალური სავაჭრო ორგანიზაციები, ასუსტებენ მის საზღვრებში შეთანხმებულ საერთაშორისო ვაჭრობის რეგულაციის მექანიზმებს, რაც ეწინააღმდეგება გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას.

მსოფლიო სავაჭრო კავშირების განვითარებას ხელს უწყობს ელექტრონული ვაჭრობის გლობალური განვითარება. ეს პროგრამა მოიცავს 100-ზე მეტ ქვეყანას. ელექტრონული ვაჭრობის საყრდენ პუნქტებს წარმოადგენს "ტრეიდპოინტები", ანუ ვაჭრობის საკითხებში საინფორმაციო ცენტრები. მსოფლიოში ითვლიან 130-ზე მეტ ასეთ ცენტრს.

საფონდო ბაზრების გლობალიზაცია ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. ეს არის თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების, კომუნიკაციისა და ინფორმაციის საშუალებების დანერგვა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ნაციონალური საფონდო ბირჟების განვითარებაზე. საფონდო ბაზრები სულ უფრო ხდებიან როგორც ნაციონალური, ასევე უცხოური მონაწილეების სამოქმედო სფეროდ. ამას ხელს უწყობს ნაციონალური ბაზრების ლიბერალიზაცია, არარეზიდენტების დაშვება ნაციონალურ სავალუტო და საფინანსო ბაზრებზე და მათი უშუალო მონაწილეობა ოპერაციებში რეზიდენტების თანასწორად, ასევე ბაზრების რეგულირება, რაც დაკავშირებულია ცალკეულ მონაწილეთათვის ამა თუ იმ ოპერაციების ჩატარებისას შეზღუდვების გამარტივებაში და სხვა.

[124]Исаев. Геополитика. Стр. 348

2. შემოთავაზებული ფასიანი ქაღალდების-ობლიგაციებისა და აქციების მოცულობის ზრდა და ამ ფასიანი ქაღალდების სახეობათა რაოდენობის გაფართოება.

საფონდო ბაზრები იქცა ფინანსური რესურსების გადანაწილების ძირითად მექანიზმად, როგორც ნაციონალური, ასევე გლობალური მაშტაბით და ისინი გვევლინებიან საფინანსო საშუალებების ძირითად წყაროდ, როგორც სახელმწიფოებისათვის, ისე კერძო სექტორისათვის.

3. მსხვილი ინსტიტუციონალური ინვესტორების ფორმირება (საპენსიო და სადაზღვევო ფონდები, საინვესტიციო კომპანიები და სასესხო ფონდები), რომლებიც კორპორაციებისა და მოსახლეობის ფულადი რესურსების აკუმულირებას ახდენენ და მათ ინვესტიციას ფასიან ქაღალდებში ახორციელებენ. ინსტიტუციონალური ინვესტიციების რიცხვი მუდმივად იზრდება, ასევე იზრდება მათ მიერ მოზიდული კაპიტალიც. მაგალითად, გლობალური და საერთაშორისო ფონდების რაოდენობა მსოფლიოში გაიზარდა 123-დან (1989წ.) 700-მდე XXI საუკუნის დასაწყისში. ჯამური მოცულობა ინსტიტუციონალური ინვესტორების მიერ აკუმულირებული საშუალებებისა განისაზღვრება სიდიდით, რომელიც აღემატება 10 ტრილიონ დოლარს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სავალუტო-ფინანსური კრიზისი, რომელმაც შეძრა პრაქტიკულად ყველა განვითარებადი ქვეყნის საფონდო ბაზრები და გამოიწვია აშშ-ის საფონდო ბაზარზე აქციების კურსის დაცემა, ან 2008-2009 წლებში განვითარებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, მსოფლიო ეკონომიკური ნაციონალური საფონდო ბაზრების ურთიერთდამოკიდებულების გაზრდილი ხარისხის ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

სავალუტო ბაზრის გლობალიზაცია

სავალუტო ბაზარი წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო სისტემის ცენტრალურ რგოლს. თავისი მოცულობით ის აღემატება საფინანსო ბაზრის სხვა სეგმენტებს-ობლიგაციებისა და აქციების ბაზრებს. 2009 წლის მონაცემებით, ყოველდღიურად გარიგებების მოცულობა სავალუტო ბაზარზე შეადგენს საშუალოდ 1.2-1.4 ტრილიონ დოლარს. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით ჩამოყალიბდა ორი გლობალური მიმართულება სავალუტო ვაჭრობის განვითარებისა: ელექტრონულ-დილინგური სისტემები (რომლის მაგალითია სისტემა "რეიტერ-2000") და ელექტრონული საბროკერო სისტემები.

სავალუტო ოპერაციების საერთაშორისო ცენტრებს წარმოადგენს ლონდონი (ოპერაციათა მოცულობის 30%), ნიუ-იორკი (16%) და ტოკიო (10%). მიუხედავად ბოლო პერიოდში დოლარის კურსის შესამჩნევი ვარდნისა, სავალუტო საბაზრო ოპერაციებში კვლავ ყველაზე ხშირად აშშ-ის დოლარი გამოიყენება. სავალუტო ოპერაციებში ევროს გამოჩენამდე, დოლარის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების მოცულობა შეადგენდა 50%-ს, გერმანული მარკისა და იაპონურ იენის შესაბამისად 15 და 10%-ს.[125]

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზრის გლობალიზაცია

მსოფლიო სავაჭრო ნაკადთა დინამიკის მიმართულებების და შემადგენლობის დახასიათებისას, აუცილებელია აღინიშნოს საერთაშორისო სავაჭრო კომპანიების მსოფლიო ვაჭრობაში გაზრდილი როლის შესახებ.

სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლებიც ხვდება საერთაშორისო ბაზარზე, იწარმოება საერთაშორისო სავაჭრო კომპანიების ჩარჩოებში ან მათი უშუალო ტექნოლოგიური, ფინანსური და ორგანიზაციული ზემოქმედებით.

[125] ნიკაჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008. გვ. 86

საერთაშორისო სავაჭრო კომპანიამ (MPK), რომელიც წარმოადგენს ნაციონალური სასაქონლო სისტემების სტატუსის მქონე ორგანიზაციას, და მათი ეფექტურობის ზრდის კატალიზატორს, ხელი შეუწყო ახალი ვირტუალური საერთაშორისო ბაზრის სივრცის წარმოქმნას. ლიდერის როლს ამ სავაჭრო კომპანიებს შორის თამაშობენ აშშ-ის აგრობიზნესის კომპანიები. XXს. დასაწყისში ამერიკის 21 სახალხო სასაქონლო ფირმის საზღვარგარეთულმა გაყიდვის მაჩვენებელმა შეადგინა მისი ბრუნვის 25% (აქ არ იგულისხმება საერთაშორისო სავაჭრო კომპანიების ისეთი უმსხვილესი ფირმები, როგორებიცაა "კარგილი", "მასისი", "კონტინენტალ გრეინი" და სხვა). მათ შორის გაყიდვის 11%მოდის დასავლეთ ევროპაზე, 3%-ი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე, 2% ლათინურ ამერიკაზე, 1% კანადაზე და 9% სხვა ქვეყნებსა და რეგიონებზე.[126]

სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებების სფეროში, ასევე იზრდება უცხოური კომპანიების როლი. ამერიკაში მაგალითად, XXI საუკუნის დასაწყისში უცხოური კომპანიები, რომლებიც აწარმოებდნენ პროდუქციას სოფლის მეურნეობისათვის, ფლობდნენ და მართავდნენ აქტივების 25%-ს. ამერიკელი სპეციალისტების პროგნოზით, ათი წლის შემდეგ შესაბამისი მაჩვენებელი მიაღწევს 20%-ს.[127]

გლობალიზაცია სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. აქტიურდება შრომის მსოფლიო ბაზარზე, მსოფლიო სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, მსოფლიო ტრანსპორტში, ასევე იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო ბაზარზე და სხვა. იგი თავის ორბიტაში ითრევს სულ უფრო და უფრო ახალ ქვეყნებს და ახალ ერებს, ახდენს რა მათზე უდიდეს გავლენას, რომლის დადებითად ან უარყოფითად შეფასება ხშირად შეუძლებელია.

მაგალითად პირდაპირი ინვესტიციები ჩინეთში აღწევს 150 მლრდ. დოლარს, ბრაზილიაში 100 მლრდ. დოლარს.

მსოფლიო პოლიტიკური სივრცის გლობალიზაცია: მონდიალიზმი ანუ პოლიცენტრულობა

თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელ, მუდმივად მზარდ ტენდენციას წარმოადგენს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ინტეგრაცია. პოლიტიკური ინტეგრაციული პროცესები ვლინდება უპირველეს ყოვლისა საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოქმნაში.

XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში მსოფლიოში აღირიცხებოდა ათასზე მეტი სამთავრობათშორისო ორგანიზაცია. წამყვანი ქვეყნები რეგულარულ საფუძველზე ღებულობენ მონაწილეობას 100-ზე მეტი ორგანიზაციის მუშაობაში. მაგალითად, დანია არის 164 ორგანიზაციის წევრი, საფრანგეთი-155, დიდი ბრიტანეთი-140, აშშ-122, კანადა-110, იაპონია-106, ბრაზილია-100. ხანმოკლე პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა გაერო, ნატო, ეუთო, მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და სხვა. ცოტა ხნის წინ არსებობა შეწყვიტა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ და ვარშავის პაქტის ორგანიზაციამ.

გეოპოლიტიკაში არანაკლებ როლს თამაშობენ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ნავთობის ექსპორტიორი

[126] იქვე
[127] იქვე

ქვეყნების ორგანიზაცია (OPEC), აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია, ორგანიზაცია "ისლამური კონფერენცია" და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ორგანიზაციების რიცხვი გამუდმებით იზრდება, უკვე არსებულთა ფუნქციები კი უფრო ფართოვდება.

აქტიურად მიმდინარეობს ჩრდილო-ამერიკული ზონის თავისუფალი ვაჭრობის ფორმირების პროცესი(NAFTA), რომელშიც შედიან აშშ, კანადა და მექსიკა. 1989წ. შეიქმნა აზია-აფრიკის ეკონომიკური საბჭო, აზიაში წარმატებით ფუნქციონირებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია, აზიის განვითარების ბანკი და სხვა კავშირები და ორგანიზაციები.

განსაკუთრებულად წარმატებით მიმდინარეობს ინტეგრაციული პროცესები ევროპაში, მისი ყველაზე განვითარებული ქვეყნების ტერიტორიებზე, რომლებიც გაერთიანებულები არიან ევროკავშირში. ხალხის, საქონლისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისათვის პრაქტიკულად არ არსებობს არავითარი ბარიერი.

სულ უფრო დიდ მაშტაბებს იძენს სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური პარტიების ტრანსნაციონალური თანამშრომლობა. სხვადასხვა პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიის ლიდერები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა მოხდეს მათი კონსოლიდაცია და კოორდინაცია საერთაშორისო დონეზე. ისინი იღწვიან, რათა პარტიებს მიანიჭონ ტრანსნაციონალური ხასიათი და გამოიმუშავონ ყველასათვის საერთო იდეურ-პოლიტიკური პრინციპები და დებულებები. ჩამოყალიბდა ევროპული პარტიები - ევროპული სოციალისტური კავშირი, ევროპის სახალხო პარტია, ლიბერალური და დემოკრატიული პარტიების ფედერაცია, პროგრესული ევროპული დემოკრატები და სხვა.

მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა "დიდი რვიანის" ყოველწლიური შეხვედრები ეკონომიკისა და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

სუვერენული ნაციონალური სახელმწიფოების გარდა, საერთაშორისო ურთიერთობების აქტიურ სუბიექტებს წარმოადგენენ ტრანსნაციონალური სტრუქტურები, სხვადასხვა ორგანიზაციები, გაერთიანებები, ინსტიტუტების სახით, რომლებიც გავლენას ახდენენ საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებზე და ხასიათზე. ხშირად გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ტრანსნაციონალური კორპორაციების შტაბებში, აისახება ცალკეული ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრებაზე.

ყველა ეს ორგანიზაცია, გაერთიანება თუ კორპორაცია ხელს უწყობს სახელმწიფოთა ქცევის კანონების გამომუშავებას და მათ განმტკიცებას მსოფლიო თანამეგობრობის ჩარჩოში. ისინი განსაზღვრავენ თანამშრომლობის პრინციპებს და კონფლიქტების გადაჭრის ხერხებს, ომის თავიდან აცილების საშუალებებს, გლობალური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მეთოდებს და სხვა.

ცენტრიდანული ტენდენციები და რეგიონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესები აისახება როგორც ცალკე აღებული სახელმწიფოების როლსა და ფუნქციებზე, ისე ზოგადად საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე. ცოტა ხნის წინ, პოლიტიკა (შიდა და საგარეო) განიხილებოდა როგორც მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოს ფუნქცია. დღევანდელ დღეს, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, ცალკე აღებული სახელმწიფოები თავიანთი ნაციონალური ინტერესების რეალიზაციის მიზნით ურთიერთობებს ამყარებდნენ ერთმანეთთან. სწორედ ინდივიდუალური სახელმწიფოების ერთობლიობამ შექმნა მსოფლიო თანამეგობრობა. თითოეული სახელმწიფო (განურჩევლად იმისა მოქმედებდა ის ცალკე, თუ სხვა სახელმწიფოებთან კოალიციაში) დამოუკიდებლად წყვეტდა საკუთარი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს.

განსხვავებული მდგომარეობა ყალიბდება დღევანდელ ეტაპზე, როდესაც მთელი მსოფლიო ხდება ერთიანი კომპლექსი, რომლის ნაწილებიც მჭიდროდ არის დაკავშირებულნი ერთმანეთთან.

პოლიტიკური მოღვაწეების და ორგანიზაციების, მთავრობებისა და სახელმწიფოების უნარი გააკონტროლონ მოვლენები, მიიღონ გადაწყვეტილებები და მოახდინონ მათი რეალიზაცია, ყველაფერი ეს დამოკიდებულია არა მარტო მათ შესაძლებლობებზე და პრეროგატივებზე საკუთარი ქვეყნის შიგნით, როგორც ეს იყო წარსულში, არამედ მათ უნარზე გაითვალისწინონ მდგომარეობა გარე სამყაროში და გავლენა მოახდინოს მასზე.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამ კონტექსტში იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის ფაქტორი, მიუხედავად მისი მრავალფეროვნებისა, ხშირად არ იძლევა საშუალებას გადაიჭრას პრობლემები ტრადიციული ოფიციალური მეთოდებით (მოლაპარაკებები, დიპლომატიური კავშირის დამყარება ან გაწყვეტა და სხვა), რომლებიც უპირატესად გამოიყენება ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურებისა და ინსტანციების მიერ.

გადაწყვეტილებათა მიღება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ფასების მატება ან შემცირება ნავთობზე, გაზზე, ყავაზე, რძეზე და სხვა, ხდება არა რომელიმე ცალკეული სახელმწიფოს მიერ, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე (OPEC, EU და სხვ.).

საკითხები, რომელიც ადრე წყდებოდა მხოლოდ შიდა პოლიტიკურ დონეზე, სულ უფრო იძენენ საერთაშორისო-პოლიტიკურ ხასიათს. ადგილი აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უპრეცენდენტო შერწყმას და ეს შეინიშნება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროში. პრობლემა ყურადღებას იმით იპყრობს, რომ შიდაპოლიტიკური საკითხები შეიცავენ უტყუარ საერთაშორისო კომპონენტს. შედეგად ვღებულობთ იმას, რომ საყოველთაოდ მიღებული ნორმები, ჩვევები და პრაქტიკა პოლიტიკური მმართველობისა, არასაკმარისია იმისათვის, რომ მთავრობებმა თვითონ შეძლონ თავიანთი პრობლემების გადაწყვეტა.

არსებობს ასეთი მოსაზრებაც, თითქოს სახელმწიფო, რომელიც ტრადიციულად წარმოადგენს მთავარ ან კიდევ ერთადერთ სუბიექტს საერთაშორისო პოლიტიკაში, დღეს აღარ წარმოადგენს საკმარის პოლიტიკურ-ეკონომიკურ წარმონაქმნს, ის უბრალოდ ფრაგმენტია, ნაწილი უფრო ფართო წარმონაქმნისა, რომელსაც მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა ეწოდება.

ყველა ეს პროცესი გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ, "მსოფლიო პოლიტიკის ორ მსოფლიოზე": პირველი, რომელიც შედგება სუვერენული ნაციონალური სახელმწიფოებისაგან და მეორე, რომელიც შედგება არასამთავრობო ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და კორპორაციებისაგან და სხვა.

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების, ქვეყნებისა და ხალხების ურთიერდამოკიდებულების საპირისპირო მხარეს წარმოადგენს მათ შორის კონკურენციის გაძლიერება. ეკონომიკურ გლობალიზაციაზე სახელმწიფოები რეაგირებდნენ საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებით. მაგრამ ირონია მდგომარეობს იმაში, რომ ეს თანამშრომლობა ეფუძვნება იმ სახელმწიფოს მიერ მკაცრი კონტროლის შენარჩუნების პრინციპებს, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედებენ ეს ფირმები. სხვა შემთხვევაში, საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე ფირმებს არ აძლევენ საშუალებას იმოქმედონ მათი ნაციონალური საზღვრების გარეთ. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა საბანკო სისტემაში, სადაც გლობალიზაციამ მიაღწია უპრეცენდენტოდ მაღალ დონეს.

ერთ-ერთ ყველაზე ძნელად გადასაჭრელ პრობლემად საერთაშორისო პოლიტიკაში ითვლება ძალის გამოყენების საკითხი (გამოყენების მართებულობა და კანონიერება კონფლიქტების მოგვარების დროს ცალკეულ რეგიონებსა თუ ქვეყნებში). ამასთან დაკავშირებით ჩნდება ტენდენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-2(7) დებულებისა, რომელიც კრძალავს სახელმწიფოების შიდა პოლიტიკაში ჩარევას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესი(ები) საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

ასევე განიხილება ამა თუ იმ სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის კრიტერიუმების გადახედვის მცდელობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მიზნით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს "ჩარევის უფლება", რომლის მიხედვითაც ერთ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფს) აქვს უფლება ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა შიდა საქმეებში, თუ იქ ირღვევა საკუთარი მოსახლეობის უფლებები ან თუ ხელისუფლება არის უძლური შეაჩეროს დაწყებული სამოქალაქო ომი და ა.შ. მაგ. ევროპის საბჭო ხელმძღვანელობს პრინციპით, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს მთელი მსოფლიო თანამეგობრობის საქმეს. მაგალითად, ეუთოში შემავალ სახელმწიფოთა დეკლარაციაში - 1992წ. ჰელსინკში სახელმწიფოთა მეთაურების მიერ აღიარებულ იქნა, რომ პასუხისმგებლობა ჰუმანიტარულ საკითხებზე "არ წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფოს შიდა საქმეს". ამ კონტექსტში ყველაზე ძნელად გადასაჭრელ საკითხს წარმოადგენს ის ფაქტი -აქვს თუ არა საერთაშორისო თანამეგობრობას სხვა სახელმწიფოთა შიდა საქმეებში ჩარევის უფლება, მაშინ როდესაც მათ არ აქვთ მიღებული ამ ქვეყნის მთავრობისგან თანხმობა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ დიდი სახემწიფოების ინტერესთა განხორციელების საშუალებას. იგივე შეიძლება ითქვას გაეროზეც. მაგ. უშიშროების საბჭოს 5 მუდმივ წევრს(ა.შ.შ., დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი და ჩინეთი) შეუძლია ვეტო დაადოს საბჭოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას და ამასთან ერთპიროვნულად დაბლოკოს საერთაშორისო თანამეგობრობის უმრავლესობის ნება. საერთო ჯამში, შეიმჩნევა გაეროს ერთგვარი კრიზისი.

ამავდროულად, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ გაერომ დააჩქარა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების შესვლა საერთაშორისო თანამეგობრობაში და მისცა მათ შესაძლებლობა დაუფლებოდნენ საერთაშორისო ცხოვრების წესებს, მიეღოთ დიპლომატიისა და მოლაპარაკებათა წარმართვის გამოცდილება. გაერო ასევე წარმოადგენს უკიდურესად ჩამორჩენილი სახელმწიფოების (რომელთაც არ აქვთ წარმომადგენლობები სხვა ქვეყნებში) საერთაშორისო ტრიბუნას, სადაც მათ ეძლევათ საშუალება იმისა, რომ თავიანთ პრობლემებზე მიმართონ მთელ საერთაშორისო საზოგადოებას.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, თუ რამდენად შეუძლიათ დიდ პოლიტიკურ მოთამაშეებს გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე ერთდროული მოქმედება გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გვიჩვენებენ, რომ დიდ სახელმწიფოებს არ შესწევთ უნარი მივიდნენ ერთსა და იმავე გადაწყვეტილებამდე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რაც დაკავშირებულია მშვიდობის დამყარებასთან მსოფლიოში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი არ არის სტაბილური.

თავი VIII
მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების გეოპოლიტიკური ინტერესები

ევროკავშირი

ევროინტეგრაციის ისტორია

დიდი დრო გავიდა, სანამ ერთიანი ევროპა – ფილოსოფოსების და მეოცნებეების იდეალი – პოლიტიკურ კონცეფციად ჩამოყალიბდებოდა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შორეულ, მაგრამ რეალურ მიზნად იქცეოდა.

ევროპული გაერთიანების იდეამ წინა საუკუნეების განმალობაში სხვადასხვა ეტაპი განვლო. გაერთიანების ცნება სხვადასხვა დროში და სხვადასხვა პიროვნებების მიერ სხვადასხვაგვარად იყო გაგებული.

მე-19 საუკუნის დასაწყისისთვის უფრო აქტიურად ალაპარაკდა ევროპის საზოგადოება ევროპის გაერთიანების შესახებ. აქამდე თუ ევროპის გაერთიანების მცდელობა ძირითადად გამომდინარეობდა მხედართმთავრთა და სახელმწიფოს მმართველთა ექსპანსიური პოლიტიკის განხორციელებით, მე-19 საუკუნიდან კი ამის შესახებ უკვე გაისმოდა სხვადასხვა კონფერენციებსა და პოლიტიკურ თუ ელიტარულ წრეებში:

"კაცობრიობა ეს არის სამშობლოების ერთობლიობა" – ჯუზეპე მაზინი (1830)[128];

ფრანგი გრაფი ანრი დე სენ სიმონი თვლიდა, რომ საფრანგეთსა და ინგლისს შეეძლოთ ძირითადი როლის თამაში ევროპის შემდგომი ბედის გადასაწყვეტად. " დღეს, როდესაც საფრანგეთს შეუძლია შეუერთდეს ინგლისს, რათა გახდეს ლიბერალურ პრინციპთა დასაყრდენი, მხოლოდ მათი ძალის გაერთიანება და ამოქმედებაღაა საჭირო, რათა ევროპამ თვითორგანიზება დაიწყოს", " დადგება დრო, როცა ევროპის ყველა ხალხი მიხვდება, რომ ეროვნულ ინტერესებზე მაღლა საერთო ინტერესები უნდა დააყენოს. კაცობრიობის ოქროს ხანა განვლილი ეტაპი არ არის, ის ჯერ კიდევ წინ არის, მომავალში".[129]

1849 წლის აგვისტოში პარიზში გამართულ მშვიდობის კონგრესზე ვიქტორ ჰიუგომ განაცხადა: "დადგება დღე, როცა ქვემეხთა გრუხუნსა და ჭურვებს შეცვლის არჩევნები, საყოველთაო სახალხო კენჭისყრა, უმაღლესი ხელისუფლების სენატი

[128] Giuseppe Mazzini, "Europe: Its Condition and Prospects," Essays: Selected from the Writings, Literary, Political and Religious of Joseph Mazzini, ed. William Clark (London: Walter Scott, 1880)

[129] Claude-Henri Saint-Simon, *On the Reorganisation of European Society* (1814).

სამედიატორო სასამართლოთი, რომელსაც ევროპაში ისეთივე ფუნქცია ექნება, როგორც პარლამენტს – ინგლისში.” მან ყველას მოუწოდა “ევროპის შეერთებული შტატების “ შექმნისაკენ, რომელიც მეგობრობის ხელს გაუწვდის აშშ-ს.

ვიქტორ ჰიუგო თავის სიტყვას შემდეგი ფორმულით ასრულებდა: “ევროპული კავშირის შექმნისათვის სულაც არ არის საჭირო 400 წელი, ვინაიდან და რადგანაც ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ გიჟურად სწრაფ დროში, ისეთ ბობოქარ იდეათა და მოვლენათა ეპოქაში, როგორიც მანამდე კაცობრიობას არ მოსწრებია”.[130]

ერნესტ რენანმა სორბონას უნივერსიტეტში ჩატარებულ ლექციაზე, სახელწოდებით “რა არის ერი?” განაცხადა: “ერი არ არის მუდმივი, იგი შეიძლება დაიბადოს და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გადაშენდეს კიდეც, ასე რომ ერების ერთიანობა ევროპულმა კონფედერაციამ უნდა შეცვალოს”[131];

ყველა ამ კონცეფციის მთავარი ხელის შემშლელი სუვერენიტეტის შეზღუდვის შიში იყო ევროპის სახელმწიფოებისთვის. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპული გაერთიანების წინაშე მდგარი პრობლემატიკა მთლიანად შეიცვალა. ევროპა ერთობ დაასუსტა მის შიგნით დაწყებულმა I მსოფლიო ომმა, ხოლო სამშვიდობო ხელშეკრულებათა ხელმოწერის შემდეგ იგი პოლიტიკურად კიდევ უფრო დანაწევრდა. რამდენიმე სახელმწიფოს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა და გაერთიანებების შექმნა (ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ფინეთი) შესაძლებელი გახდა პირველი მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებით, ავსტრია-უნგრეთის დაყოფით და ამავე პერიოდში ცარიზმის რუსეთის დანგრევით. ევროპის რუქა კარდინალურად შეიცვალა ახალი სახელმწიფოების და მათ შორის ახალი საზღვრების წარმოშობით. ევროპის გამაერთიანებელი რაიმე ორგანიზაცია უთუოდ წაადგებოდა დაქუცმაცებულ ევროპას.

1919 წელს შეიქმნა “ ერთა ლიგა”, რომელიც მოწოდებით მსოფლიო უნივერსალური ორგანიზაცია იყო, თუმცა ძირითადად ევროპაზე იყო ორიენტირებული, იგი ძირითადად იმართებოდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ. ეს ორგანიზაცია არაეფექტური აღმოჩნდა და საბოლოოდ არსებობა 1946წელს შეწყვიტა.

ევროპის გაერთიანების ისტორიაში ასევე მნიშვნელოვანი იყო პანევროპული მოძრაობა. 1923წელს გრაფი რიჩარდ დე კუდენოვ-კალერჟის მიერ გამოქვეყნებული წიგნი “პანევროპა” იყო ამ მოძრაობის საფუძველი. კუდენოვ-კალერჟი თავის წიგნში ამტკიცებდა, რომ ევროპის შეკავშირება აუცილებელი იყო რუსული ბოლშევიზმის შემოსევისა და ამერიკული ეკონომიკის ბატონობის თავიდან ასაცილებლად, რათა ევროპას შეენარჩუნებინა მსოფლიო ლიდერის როლი. [132]

კუდენოვ-კალერჟიმ შექმნა ფრანგულ-გერმანული, პანევროპული ეკონომიკური საბჭო, რომელიც ხელს უწყობდა ყოველგვარ ეკონომიკურ წამოწყებას ამ ორ ქვეყანას შორის, რაც საბოლოოდ გათვლილი იყო იმაზე, რომ თავიდან აეცილებინათ ახალი კონფლიქტი. არსებობდა ამ ქვეყნების დაახლოების მეორე მეთოდიც, რაც თვით მწარმოებლებს შორის გარიგებებს გულისხმობდა. ეს კავშირი განსაკუთრებით კარგად განვითარდა საფრანგეთი – გერმანია - ბელგია -ლუქსემბურგს შორის (ქვანახშირისა და ფოლადის საბადოების თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები), მაგრამ 1929 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა შეაფერხა იგი, საბოლოო წერტილი კი გერმანიის ხელისუფლებაში მოსულმა ჰიტლერმა დაუსვა.

---

[130]Victor Hugo,Opening Address to the Peace Congress (Paris, August 21, 1849)

[131]Ernest Renan, “What is a nation?”(Sorbonne Lecture, March 11, 1882)

[132]Count Richard Nicolas Coudenhove-Kalergi, "Paneurope", 1923

პანევროპული მოძრაობის მონაწილეთა ბოლო მცდელობა გაეერთიანებინათ ევროპა იყო 1929 წლის ერთა ლიგის საშემოდგომო სხდომაზე 1927 წლიდან პანევროპის საპატიო პრეზიდენტის არისტიდ ბრიანის გამოსვლა. მან წამოაყენა ევროპის გაერთიანების ახალი წინადადება. ახლებურად გააზრებული ფედერალური გაერთიანება, რომლის ფარგლებშიც ქვეყნებს თავისუფლად შეეძლებოდათ დაემყარებინათ კონტაქტი ერთმანეთთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში, ისე რომ ამ გაერთიანებით არ დაზარალებულიყო ქვეყნის სუვერენიტეტი. იგი ამბობდა: "ვფიქრობ, იმ ხალხს შორის, რომლებიც ევროპაში გეოგრაფიულად ასე მჭიდროდ არიან დაჯგუფებულნი, უნდა არსებობდეს რაიმე ფედერალური კავშირი. მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება ნებისმიერ მომენტში შეძლონ ერთმანეთთან დაკავშირება, საერთო ინტერესებზე მსჯელობა, საერთო გადაწყვეტილებების მიღება, რათა დამყარდეს მათ შორის ისეთი სოლიდარობის განწყობა, რომ შეძლონ ერთად გაუმკლავდნენ მთელ რიგ რთულ გარემოებებს, რომლებიც შეიძლება ამ კავშირს გარედან დაემუქროს." აქცენტი კეთდებოდა ისეთ ფედერალურ კავშირზე, რომელიც პირველ რიგში ეკონომიკურ თანამშრომლობას წამოწევდა წინ.[133] არისტიდ ბრიანის ამ წამოწყებამ კრახი განიცადა,რადგან რეალურად არც ერთი ქვეყანა არ იყო მზად დაეთმო თავისი სუვერენიტეტის პატარა ნაწილიც კი და ევროპის ორგანიზების საკითხი მათ ნაკლებად აღელვებდათ. ერთადერთი, ვინც მას მხარი დაუჭირა იყო ედუარდ ჰერიოტი, საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი. თვით უინსტონ ჩერჩილიც კი, რომელმაც შემდგომში აქტიური როლი შეასრულა ევროპის გაერთიანებაში, თავდაპირველად ერთობ მკაცრ განცხადებებს აკეთებდა. იგი ამბობდა: "ჩვენ გვიყვარს ევროპა, ჩვენ გვიხარია მისი წარმატებები, ჩვენ ვიქნებით ევროპასთან ერთად, მაგრამ არა მის შიგნით".

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის კონტინენტი წარმოადგენდა კონფლიქტების თეატრს, რომელმაც შედეგად მილიონობით ადამიანის სიკვდილი და ნგრევა მოიტანა. საუკუნეების მანძილზე ევროპამ მრავალი სისხლისმღვრელი ომი გადაიტანა. მარტო საფრანგეთმა და გერმანიამ სამჯერ იომეს 1870წლიდან 1945წლამდე. ევროპელი ლიდერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქვეყნებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის შედეგად არის შესაძლებელი. ჩამოყალიბდა ახალი ევროპის ხედვა, რომელიც დაამარცხებდა ანტაგონისტურ ნაციონალიზმს. ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს ტოტალიტარიზმთან ბრძოლისა და საპროტესტო მოძრაობების შედეგად.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ევროპის დანგრეული ეკონომიკის აღდგენის მიზნით, აშშ-ს მხრიდან მნიშვნელოვანი დახმარება იქნა გაწეული. ომის დასრულების შემდგომ საბჭოთა კავშირი, როგორც ფაშიზმის ნომერ პირველი მოწინააღმდეგე ევროპაში, ერთგვარი სიმპატიებით სარგებლობდა, განსაკუთრებით მუშათა და გლეხთა კლასის წრეებში. ეს კეთილგანწყობა საშიშ ფონს ქმნიდა იდეოლოგიის თვალსაზრისით, საშიშროება იყო სსრკ-ს გველეშაპთან მებრძოლი გმირის სახეს იდეოლოგიურად არ განეწყო დასავლეთ ევროპა და არ გაეწითლებინა იგი. ამ მდგომარეობის ფონზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში მოდის ახალი მდივანი, გენერალი მარშალი, რომელმაც შეიმუშავა ევროპისადმი ფინანსური დახმარების გეგმა, რაც შეადგენდა 12,4 მილიარდ დოლარს, რომელიც 16-მა დას. ევროპის სახელმწიფომ გაინაწილა. მარშალის დახმარების გეგმაში საბჭოთა კავშირსაც შესთავაზეს მონაწილეობა, რომელმაც უარი თქვა ამ გეგმაში მონაწილეობაზე და სოციალისტური ბლოკის ქვეყნებიც აიძულა უარი ეთქვა მასზე. აღნიშნულ გეგმაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობა მით უფრო ძნელად იყო

[133]Aristide Briand, speech on **concept of a European Union,** General Assembly of the League of Nations on 5 September 1929,

წარმოსადგენი, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც გეგმით გათვალისწინებულ დახმარებას მიიღებდა, უნდა გაერთიანებულიყო საერთო ევროპულ ორგანიზაციაში, რომელიც მოწოდებული იყო დახმარების განაწილების ორგანიზების უზრუნველყოფისათვის. ასე რომ, მარშალის გეგმას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ჯერ ერთი მას უნდა ეხსნა ევროპა რომ იგი საბჭოთა იდეოლოგიის ბანაკში არ გადაქანებულიყო და თან საფუძველი ეყრებოდა ევროპულ ეკონომიკური ხასიათის გაერთიანებას, ორგანიზაციას, რომელმაც 1948 წლიდან დაიწყო ფუნქციონირება პარიზში ამერიკელთა მეთვალყურეობით, თუმცა იგი მაინც ევროპის პირმშოდ ითვლება.

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ გარდა მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარების განაწილებისა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკების დაახლოებაში, ევროპის ვაჭრობისა და ექსპორტის განვითარებაში. ეკონომიკურმა თანამშრომლობამ კი ბიძგი მისცა დიპლომატიურ და სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. ევროპული თანამშრომლობა სამ ეტაპად და სამი მიმართულებით წარიმართა: უპირველესად ეკონომიკური – მარშალის გეგმისა და ეეთოს (ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია), შემდეგ კი დიპლომატიური და სამხედრო - ბრიუსელისა (დასავლეთ ევროპის კავშირი 1948წ.) და ატლანტიკური პაქტით (ნატო 1949წ.), ბოლოს კი პოლიტიკური და საპარლამენტო – ევროპის საბჭოს შექმნით.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დასავლეთ ევროპაში არსებობდა ევროპის სამომავლო ინტეგრაციის სამი ძირითადი მიდგომა: ფედერალური, ფუნქციონალური და "ნაციონალისტური".

- ფედერალისტური დამოკიდებულების არსია – რომ ადგილობრივმა, რეგიონულმა, ეროვნულმა და ევროპის ხელისუფლებამ შეთანხმებით ითანამშრომლონ ერთმანეთთან.
- ფუნქციონალური დამოკიდებულება უპირატესობას ანიჭებს სუვერენიტეტის თანდათანობით გადასვლას ცალკეული სახელმწიფოებისგან თანამეგობრობის ხელში.
- ნაციონალისტური მიდგომა კი მთავარ აქცენტს, მომავალ ერთიან ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურ შენარჩუნებას ითვალისწინებდა.[134]

დღეს პირველი ორი მიდგომა გაერთიანდა, იმ მოსაზრების გარშემო, რომ ეროვნული და რეგიონული ხელისუფლება უნდა მართავდეს დამოუკიდებლად, თუმცა ამავდროულად უნდა ექვემდებარებოდეს დემოკრატიული ევროპის ინსტიტუტებს. ეს უკანასკნელები პასუხისმგებელნი იქნებიან იმ საკითხებზე, სადაც ერთიანი ქმედება უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ინდივიდუალური ქვეყნებისა ცალ-ცალკე. ეს საკითხებია: ერთიანი ბაზარი, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობა, საგარეო და უშიშროების პოლიტიკა, დასაქმების პოლიიკა, გარემოს დაცვა, საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, თავისუფალი და სამართლიანი არეალის შექმნა (შიდა პოლიტიკა).[135]

ამ იდეათა ავტორები არიან იტალიელი ფედერალისტი ალტიერო სპინელი და ჟან მონე, ადამიანი რომელმაც უზრუნველყო შუმანის გეგმის - ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების შექმნის - განხორციელება.

---

[134] ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, კახა გოგოლაშვილი, სერგი კაპანაძე (თბილისი, 2006წ)
პასკალ ფონტენი, ევროპული ინტეგრაციის ისტორია

[135] ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა, კახა გოგოლაშვილი, სერგი კაპანაძე (თბილისი, 2006წ)

1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რობერტ შუმანმა, წამოაყენა დასავლეთ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრიების ინტეგრაციის წინადადება, რამაც შედეგად გამოიღო 1952 წელს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობის (**ECSC**) შექმნა. შუმანის ამ ინიციატივას საფუძვლად დაედო საფრანგეთის საგეგმო ორგანიზაციის თავჯდომარის ჟან მონეს წინადადება. მონეს წინადადება, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ წარმოადგინა როგორც შუმანის გეგმა, მდგომარეობდა იმაში, რომ საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის ქვანახშირისა და ფოლადის მრეწველობა მოქცეულიყო ერთი უზენაესი მმართველობის ქვეშ, რომელიც წარმართავდა ამ დარგების განვითარებას. გერმანიის კანცლერმა კონრად ადენაუერმა მყისვე გაიზიარა ფრანგი კოლეგების ინიციატივა და ამ მოვლენით საფუძველი ჩაეყარა ევროპელი ხალხების ურთიერთადიარებას თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ორგანიზაციის პირველი თავჯდომარე გახდა ჟან მონე.

ამგვარად ქფეგ-ს შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით, ეკონომიკურ – სოციალური პროგრესისა და ევროპული სოლიდარობის საკითხებში თავისი ბედი ერთმანეთს დაუკავშირეს საფრანგეთმა, გერმანიამ, ბელგიამ, იტალიამ, ჰოლანდიამ და ლუქსემბურგმა. მმართველ ორგანოდ ჩამოყალიბდა უმაღლესი ხელისუფლება (კომისარიატი), რომელიც იქნებოდა მთავრობებისაგან დამოუკიდებელი ორგანო და იმოქმედებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად. მოგვიანებით, ბენელუქსის ქვეყნების მოთხოვნით შეიქმნა მინისტრთა სპეციალიზირებული საბჭო, რადგან ისინი შიშობდნენ, რომ დიდ სახელმწიფოებს გადაწყვეტილების მიღების მონოპოლია არ ეგდოთ ხელთ პატარა სახელმწიფოების ინტერესების საზიანოდ. ქფეგ-ს შექმნიდან ცოტა ხნის შემდეგ მას კიდევ ერთი მმართველი ორგანო ემატება– საერთო კრება, რომლის მიზანი იყო დემოკრატიული კონტროლის წარმოება უმაღლესი ხელისუფლების საქმიანობაზე. რადგან იმ დროისათვის ძნელი წარმოსადგენი იყო მასში არჩევით წევრთა შეყვანა, ამიტომ გადაწყდა ეროვნული პარლამენტებიდან დეპუტატთა განსაზღვრული რაოდენობის დელეგირება. სულ 79 წევრი იყო, მათგან საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას – თვრამეტ-თვრამეტი წევრი ჰყავდა, ბელგიას და ჰოლანდიას – ათ - ათი, ლუქსემბურგს კი ოთხი. ბოლოს შეიქმნა სასამართლო, რომელიც განიხილავს ქფეგ-ს ხელშეკრულების ფარგლებში წამოჭრილ დავებს წევრ სახელმწიფოთა შორის.

ხუთი წლის ვადაზე გათვლილ ხელშეკრულებას ქფეგ-ს შესახებ ხელი მოეწერა პარიზში 1951 წლის 18 აპრილს. მეტნაკლებად მტკივნეული რატიფიკაციის პროცესის დასრულებისთანავე, 1952 წლის 12 აგვისტოს უმაღლესი ხელისუფლება განთავსდა ლუქსემბურგში.

შემდგომი ეტაპი ევროპის გაერთიანების გზაზე იყო ევროპის ეკონომიკური კავშირი, ევროატომი. 1957 წლის 25 მარტს რომში, კაპიტოლიუმზე, ექვსი დამფუძნებელი ქვეყნის მიერ ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე დაარსდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის თანამშრომლობის ორგანიზაცია ატომური ენერგიის დარგში. ევროპის ატომური თანამეგობრობის მიზანი იყო შესწავლილიყო ბირთვული ენერგიის გამოყენება. ეკონომიკური თანამეგობრობა კი საქონლის, მუშახელის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი მიმოქცევის უზრუნველყოფისთვის იქნა შექმნილი. გაუქმდა საბაჟო გადასახადები წარმოებულ საქონელზე და დაფუძნდა საერთო სამეურნეო და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა. 1965 წელს კი ხელი მოეწერა შერწყმის ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში შევიდა 1967 წელს და რომლის თანახმადაც მოხდა სამი გაერთიანების - ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევროატომის ინსტიტუტების შერწყმა. ამ ხელშეკრულების შედეგად შეიქმნა ერთიანი ევროპული კომისია და ევროკავშირის საბჭო, როგორც ამ ინსტიტუტების მმართველი ორგანოები. გამოიკვეთა ერთიანი ბიუჯეტი ამ ინსტიტუტებისთვის. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი

მნიშვნელობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ოფიციალურად დამკვიდრდა ტერმინი ევროგაერთიანება.
გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, ევროპულმა თანამეგობრობამ დაიწყო მნიშვნელოვანი როლის თამაში საერთაშორისო არენაზე. 1986 წლის 17 და 28 თებერვალს ლუქსემბურგსა და ჰააგაში წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ერთიან ევროპულ აქტს, რომელიც ძალაში შევიდა 1987 წლის 1 ივლისს. ერთიანი ევროპული აქტით რომის ხელშეკრულების მთავარ მიზანს წევრმა სახელმწიფოებმა დაუმატეს მთელი რიგი სპეციფიური მიზნებისა, რომლებიც ეხებოდა სასაზღვრო პროცედურების გარეშე საერთო ბაზრის ჩამოყალიბებას და იქვე შეიმუშავეს შესაბამისი განრიგი. მათ განაახლეს გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ანუ გააფართოეს გადაწყვეტილების მიღების მასშტაბი კვალიფიცირებული უმრავლესობის საშუალებით.[136]
როდესაც ევროპის ინსტიტუტებს საბოლოო შესწორება შეჰქონდათ შიდა ბაზართან დაკავშირებულ კანონმდებლობაში და როდესაც ისინი აფართოებდნენ ევროპის თანამეგობრობის ეკონომიკურ და სოციალურ განზომილებებს, ისტორიამ კვლავ შეახსენა მათ თავისი არსებობის მნიშვნელობა, კერძოდ ის, რომ ევროპა არის დიდი ძალა, რომელიც ცდის ევროპელებს – როგორ მიიღებენ ისინი და შეეწყობიან ცვლილებების პროცესში მყოფ მსოფლიოს. ამ სიტუაციას შეეფერებოდა ჟან მონეს უკანასკნელი შეგონება: “ჩვენ ვერ გავჩერდებით, როცა მთელი მსოფლიო ჩვენს გარშემო მოძრაობის პროცესშია. საკმაოდ გასაგებად გამოვთქვი ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩვენს მიერ დაფუძნებული თანამეგობრობა არ წარმოადგენს საბოლოო ვარიანტს. ეს ცვლილებების პროცესია, როლმელიც აგრძელებს იმ პროცესს, ისტორიის უფრო ადრეულ პერიოდში ცხოვრების ჩვენი ეროვნული ფორმები რომ შექმნა. ისევე, როგორც წარსულში ჩვენმა პროვინციებმა, დღეს ჩვენმა ერებმაც უნდა ისწავლონ ერთად ცხოვრება საერთო წესების გათვალისწინებით. წარსულში სუვერენულ ერებს აღარ ძალუძთ დღევანდელი პრობლემების გადაჭრა, მათ არ შეუძლიათ საკუთარი წინსვლის უზრუნველყოფა ანდა საკუთარი მომავლის გაკონტროლება. თანამეგობრობა კი მხოლოდ საფეხურია მომავლის ორგანიზებული მსოფლიოსკენ მიმავალ გზაზე”.[137]

1990 წლის 3 ოქტომბერს, ბერლინის კედლის დაცემას მოჰყვა გერმანიის გაერთიანება და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დემოკრატიული პროცესების განვითარება, განთავისუფლება საბჭოთა კავშირის უღლისაგან, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლამ 1991 წლის დეკემბერში ევროპის კონტინენტის პოლიტიკურ სტრუქტურას კიდევ უფრო დიდი ცვლილებები მოუტანა. ამ ცვლილებების ფონზე წევრმა ქვეყნებმა მიზნად დაისახეს გაეძლიერებინათ კავშირი და მოილაპარაკეს ახალი ხელშეკრულების შესახებ, რომლის მთავარ საკითხებზე შეთანხმება 1991 წლის 9-10 დეკემბერს მაასტრიხტის ევროპის საბჭოს სხდომაზე მოხდა. ევროკავშირის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს, აყალიბებდა წევრი ქვეყნებისათვის ამბიციურ პროგრამას: მონეტარული ერთიანობა 1999 წლისათვის, ახალი საერთო პოლიტიკის ჩამოყალიბება, ევროპის მოქალაქეობის დადგენა, საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის შემუშავება და შიდა უსაფრთხოება.

მაასტრიხტის ხელშეკრულების შესწორებულმა მუხლმა წევრ ქვეყნებს უკარნახა მოლაპარაკების გამართვა ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელსაც ხელი 1997 წლის 2 ოქტომბერს მოეწერა ამსტერდამში და ძალაში შევიდა 1999 წლის მაისში. ამ ხელშეკრულებით, ადაპტირებულ და გაძლიერებულ იქნა კავშირის პოლიტიკური კურსი და ძალაუფლება, განსაკუთრებით იურიდიული თანამშრომლობის, მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების, საგარეო საქმეებისა და ჯანდაცვის საკითხებში. ევროპარლამენტს, როგორც გაერთიანების უპირველეს

[136]პასკალ ფონტენი, ევროპის გაერთიანების ახალი იდეა
[137]ჟან მონე, მემუარები

დემოკრატიულ ხმას მიეცა დამატებითი ძალაუფლება, მან იკისრა ახალი ვალდებულებები და კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილის როლი.

ამსტერდამის ხელშეკრულების შემდეგ, ასევე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება იყო ნიცის შეთანხმება. იგი შეიმუშავეს 2000 წლის დეკემბერში, ხელი მოაწერეს 2001 წლის 26 თებერვალს და ძალაში შევიდა 2003 წლის 1 თებერვალს. ამ შეთანხმების ძირითადი მიზანი იყო გაფართოების ახალი ტალღისათვის ინსტიტუციური საფუძვლის მომზადება. ნიცის სამიტის ერთ-ერთი შედეგი იყო ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის ერთსულოვნად მიღება. ქარტიისა, რომელიც შედგებოდა 50 პუნქტისაგან და ეხებოდა ევროპის სამართალში ადამიანის თავისუფლებას, ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს.

უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის ისტორიაში შეინიშნებოდა ევროპული ხელშეკრულებების რეგულარული ცვლილება. თითოეული ცვლილება მზადდებოდა მთავრობათაშორის კონფერენციებზე, რომლებზეც რამდენიმე თვეში ერთხელ იკრიბებოდნენ წევრი სახელმწიფოების მთავრობათა წარმომადგენლები.[138] როდესაც 2000 წლის დეკემბერში ნიცაში შეკრებილმა 15 წევრი ქვეყნის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებმა მიაღწიეს შეთანხმებას ხელშეკრულებათა გადასინჯვასთან დაკავშირებით, მათ გააცნობიერეს ინსტიტუციური რეფორმის გატარების აუცილებლობა. ნიცაში შეხვედრიდან ერთი წლის შემდეგ ევროპული საბჭო შეიკრიბა ლაკენში და 2001 წლის 15 დეკემბერს მიიღო დეკლარაცია ევროკავშირის მომავლის შესახებ. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებმა გადაწყვიტეს, მოეწვიათ "ევროპული კონვენტი", რაც მიზნად ისახავდა არსებული ევროპული ხელშეკრულებების შესასწორებლად დოკუმენტის მომზადებას. ევროპული კონვენტი ვალერი ჟისკარ დესტენის თავჯდომარეობით 2002წლის 28 თებერვალს შეუდგა მუშაობას. 16 თვის ინტენსიური მუშაობის შემდეგ ევროპულმა კონვენტმა 2003 წლის ივნის – ივლისში კონსენსუსის საფუძველზე დაამტკიცა ევროპის კონსტიტუციის დამაარსებელი ხელშეკრულების პროექტი. ხელშეკრულების პროექტი წარედგინა მთავრობათაშორისო კონფერენციას. 2004 წლის 18 ივნისს სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა მიაღწიეს შეთანხმებას და 2004 წლის 29 ოქტომბერს, რომში 25 წევრი სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურებმა ხელი მოაწერეს ევროპის კონსტიტუციას.[139]

კონსტიტუციის მაშინდელი პროექტი ოთხ ნაწილად იყოფოდა: კონსტიტუციის პირველი ნაწილი მოიცავდა იმ მიზნებს და ფასეულებებს, რომელზეც იგი იყო დაფუძნებული, იგი იძლეოდა ევროკავშირის შესახებ განმარტებას და აღწერდა ურთიერთობებს მის წევრ ქვეყნებთან, გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, ევროკავშირის ინსტიტუტებს და მათ საქმიანობას, ევროკავშირის სიმბოლოებს, მოქალაქეობის საკითხებს, დემოკრატიულ ფასეულობებსა და ფინანსებს. მის მეორე ნაწილში მოცემული იყო "ძირითად უფლებათა ქარტია". მესამე ნაწილში აღწერილ იქნა ევროკავშირის პოლიტიკა, საშინაო და საგარეო კურსი და კავშირის ფუნქციონირება. მეოთხე ნაწილი მოიცავდა ზოგად დებულებებს, მათ შორის კონსტიტუციის მიღებისა და გადასინჯვის პროცედურებს.

კონსტიტუციის ასამოქმედებლად ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიცირება იყო საჭირო. ამისთვის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ორი წელი მიეცათ. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობამ მისი რატიფიცირება მოახდინეს, თუმცა, 2005 წლის 29 მაისს საფრანგეთსა და 1 ივნისს ნიდერლანდებში რეფერენდუმი უარყოფითი შედეგებით დასრულდა. მოგვიანებით, უკვე 2008 წელს, ირლანდიის მოსახლეობამ განაცხადა უარი ევროკავშირის ადაპტირებული

[138]ევროპის კონსტიტუცია – ახსნა განმარტებები მოქალაქეებისათვის. ევროპული თანამეგობრობები, ლუქსემბურგი, ევროპულ თანამეგობრობათა ოფიციალური გამოცემების სამსახური, 2004;

[139] ევროპის კონსტიტუცია, რომი 29.10.2004. ევროპული თანამეგობრობები, ლუქსემბურგი, ევროპულ თანამეგობრობათა ოფიციალური გამოცემების სამსახური, 2004;

კონსტიტუციის მხარდაჭერაზე, ასე რომ, ევროკავშირის პირველი კონსტიტუციის ბედი მაშინ გადაწყდა.[140]

ევროპის კავშირის შემდგომი რეფორმირების მიზნით, 2007 წლის 13 დეკემბერს ხელი მოეწერა ლისაბონის ხელშეკრულებას.

ლისაბონის შეთანხმება (რომელიც თავიდან ცნობილი იყო როგორც შეთანხმება რეფორმების შესახებ), წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელსაც შეაქვს ცვლილება ორ შეთანხმებაში, რომლებიც თავის თავში გულისხმობენ ევროკავშირის კონსტიტუციურ საფუძვლებს. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს. მან ცვლილებები შეიტანა ევროპის კავშირის შესახებ შეთანხმებაში (ცნობილი როგორც მაასტრიხტის ხელშეკრულება) და ასევე შეთანხმება ევროპული თანამეგობრობის შექმნის შესახებ (ცნობილი როგორც რომის ხელშეკრულება).

თვალსაჩინო ცვლილებები თავის თავში გულისხმობს ხმათა უმრავლესობით მინისტრთა საბჭოს პოლიტიკის ცვლილებას რიგ სფეროებში, ასევე ევროპარლამენტის როლის გაზრდას, ასევე ევროპული საბჭოს თავმჯდომარისა და საგარეო საქმეებისა და თავდაცვის პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტის შექმნას. ასევე გათვალისწინებულ იქნა რიგი ცვლილებები ევროპარლამენტშიც, როდესაც ევროპარლამენტართა რიცხვი განისაზღვრა 785-ით.

ევროკავშირის გაფართოება

1969 წლის დეკემბერში ჰააგის კონფერენციის გამართვის შემდეგ ევროგაერთიანების საქმიანობა ახალ ფაზაში შევიდა და ორგანიზაციის ძირითადი პრობლემა მისი გაფართოება და ახალი წევრების მიღება გახდა. თავდაპირველი გაფართოება ორ ეტაპად განხორციელდა: ჯერ დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და დანია (1973 წლის 1 იანვარს), შემდეგ ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები: საბერძნეთი 1981 წლის 1 იანვარს, ესპანეთი და პორტუგალია 1986 წელს გახდნენ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები.

პირველი გაფართოება, რომელმაც წევრი ქვეყნების რიცხვი ექვსიდან ცხრამდე გაზარდა, იყო შედეგი რთული მოლაპარაკებებისა, რომლის დროსაც საფრანგეთმა, პრეზიდენტ დე გოლის მეთაურობით ორჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება დიდი ბრიტანეთის კანდიდატურასთან დაკავშირებით (1961 წელს და 1967 წელს), რადგან ეს ქვეყანა მას მიაჩნდა აშშ-ს საყრდენად და მისი დირექტივების უსიტყვო გამტარებლად, შესაბამისად, ასეთი დიდი ბრიტანეთი გახდებოდა ევროპის "კაპრიზული" წევრი.

მეორე გაფართოება მოხდა სამხრეთის მიმართულებით ანუ საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია შეუერთდნენ ევროკავშირს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებში დასრულდა დიქტატურა და ისინი დემოკრატიულ სისტემაზე გადავიდნენ. პირველი იყო საბერძნეთი, იგი 1961 წლის ხელშეკრულებით ევროპის პარტნიორი იყო, თუმცა ურთიერთობები გაცივდა 1967 წელს ქვეყანაში სამხედრო ხელისუფლების მოსვლის შედეგად. 1974 წელს სამხედრო რეჟიმი დასრულდა და საბერძნეთი დემოკრატიული აღმშენებლობის გზას დაადგა. კონსტანტინ

---

[140]ევროპის კონსტიტუცია – ახსნა განმარტებები მოქალაქეებისათვის. ევროპული თანამეგობრობები,ლუქსემბურგი, ევროპულ თანამეგობრობათა ოფიციალური გამოცემების სამსახური, 2004.

ევროპის კონსტიტუცია, რომი 29.10.2004. ევროპული თანამეგობრობები, ლუქსემბურგი, ევროპულ თანამეგობრობათა ოფიციალური გამოცემების სამსახური, 2004.

კარამანლისის მთავრობამ, რომელსაც თურქეთთან და აქედან გამომდინარე აშშ-სთან სერიოზული პრობლემები ჰქონდა, ევროპას მიმართა დასაყრდენისათვის და გაწევრიანების ოფიციალური მოთხოვნა 1975 წლის ივნისში წარადგინა. თურქეთმაც არ დააყოვნა მსგავსი მოთხოვნის წარდგენა, რადგან არ სურდა საბერძნეთთან მიმართებაში დისკრიმინირებულ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. თუმცა ამ უკანასკნელს უარი უთხრეს არასაკმარისი ეკონომიკური განვითარების დონის მოტივით. ამას გარდა, არსებობდა კუნძულ კვიპროსის პრობლემაც, რომლის ჩრდილოეთ ნაწილიც 1974 წლიდან თურქეთს ჰქონდა დაპყრობილი.

რაც შეეხება პორტუგალიას, 1974 წლის ე.წ. მიხაკების რევოლუციის შედეგად, აქ დამყარდა დემოკრატიული რეჟიმი და არჩევნების გზით მოსულმა სოარესის მთავრობამ 1977 წლის მარტში მოითხოვა ევროგაერთიანებაში გაწევრიანება. ესპანეთმაც, ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, 1977 წლის წლის ივნისში იგივე თხოვნით მიმართა ევროპას. გაფართოების პირველი პრეცენდენტის შემდეგ, მეორე გაწევრიანებაზე წევრ სახელმწიფოებს დადებითი რეაქცია ჰქონდათ. გარდა ამისა, ევროკავშირის მესვეურებისათვის საჭირო იყო მხარი დაეჭირათ ახალი დემოკრატიებისათვის სამხრეთ ევროპის ქვეყნებში, თუმცა იყო გარკვეული წინააღმდეგობები. ეკონომიკური თვალსაზრისით ევროკავშირის სხვა წევრებთან შედარებით განვითარების დაბალი დონის გამო, სამხრეთ ევროპის ქვეყნებს კომისიამ შესთავაზა გარდამავალი პერიოდის რეჟიმი: პორტუგალიას 5-დან - 10 წლამდე, ესპანეთს კი 10 წლამდე. პორტუგალიის წევრობას თან მოჰყვა ქვეყნის შიგნით მთელი რიგი სტრუქტურების რეორგანიზაცია და ტრანსფორმაცია, რაც ევროპას ძვირი უჯდებოდა. რაც შეეხება ესპანეთს, მისი ტერიტორიული სიდიდე მნიშვნელოვნად ზრდიდა სოფლის მეურნეობის ევროპულ სივრცეს და ესპანეთი ღვინის, ხილის და ბოსტნეულის წარმოებაში კონკურენციას უწევდა განსაკუთრებით საფრანგეთსა და იტალიას. გერმანია და დიდი ბრიტანეთი სოფლის მეურნეობისათვის გათვალისწინებული დაფინანსების გაზრდას ეწინააღმდეგებოდნენ.

მოგვიანებით, კერძოდ 1986 წელს ესპანეთმა და პორტუგალიამ მათ მიმართ საერთო ევროპული ლოიალური დამოკიდებულების შედეგად შეძლეს გამხდარიყვნენ გაერთიანების სრულუფლებიანი წევრები.

1995 წლის 1 იანვარს კიდევ სამი ქვეყანა შეუერთდა ევროკავშირს. ავსტრიამ ფინეთმა და შვედეთმა გააფართოეს კავშირი, დაუმატეს რა მას საკუთარი თავისებურებები, ახალი სივრცეები ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში.

2004 წლის 1 მაისიდან ევროკავშირში უკვე 25 წევრი ქვეყანა შედიოდა. ახალი წევრები იყვნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები – ესტონეთი, ლატვია და ლიტვა, ასევე პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი, უნგრეთი, სლოვენია, კვიპროსი და მალტა.

2007 წლის 1 იანვარს კავშირს შეუერთდა ბულგარეთი და რუმინეთი. რაც შეეხება ევროკავშირის შემდგომ გაფართოებას, რიგში დგანან ხორვატია, მაკედონია და თურქეთი. ხორვატიამ განაცხადი შეიტანა 2003 წელს და 2004 წლის დასაწყისში ევროკომისიის რეკომენდაციით გახდა ოფიციალური კანდიდატი. მაკედონიამ განაცხადი შეიტანა 2004წლის 22 მარტს, 2005 წლის 9 ნოემბერს ევროკომიასიამ რეკომენდაცია გაუწია მის კანდიდატურას. რაც შეეხება თურქეთს - თურქეთმა ევროპის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების სურვილი 1959 წლის ივლისში გამოთქვა. ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთს შესთავაზა თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება იმ დრომდე, სანამ მოხერხდებოდა თურქეთის კავშირში გაწევრიანება. 1963 წლის სექტემბერში დაიდო ანკარის შეთანხმება. ეს შეთანხმება ითვალისწინებდა საბაჟო ხელშეკრულების დადებას, რომელიც ხელს შეუწყობდა თურქეთისა და ევროპის დაახლოებას ეკონომიკის და ვაჭრობის სფეროებში. 1987 წელს თურქეთმა განაცხადი გააკეთა სრულ წევრობაზე. ევროპის კომისიამ და ევროკავშირის საბჭომ დაადასტურეს თურქეთის კანდიდატურა. 1999 წლის ევროკავშირის ჰელსინკის საბჭოზე თურქეთი ოფიციალურად ცნეს ევროკავშირში

გასაწევრიანებელ კანდიდატ ქვეყნად. 2002 წელს დაიწყო რეფორმების ახალი სერია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ერთ-ერთი იყო სიკვდილით დასჯის გაუქმება.

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2002 წლის კოპენჰაგენის ევროპის საბჭო, რომლის მიხედვითაც 2004 წლის დეკემბერში კომისიის მოხსენებების და რეკომენდაციების საფუძველზე კიდევ ერთხელ განიხილებოდა თურქეთის კანდიდატურა, თუ რამდენად აკმაყოფილებდა ეს უკანასკნელი კოპენჰაგენის პოლიტიკურ კრიტერიუმს. 2003 წლის მაისში, ევროპის საბჭომ მიიღო პარტნიორობის განახლებული დოკუმენტი გასაწევრიანებლად საჭირო კრიტერიუმების მისაღწევად. განსაკუთრებული აქცენტი დოკუმენტში პოლიტიკურ კრიტერიუმებზეა გაკეთებული. 2003 წლის ივლისში მიღებულ იქნა ეროვნული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს გატარებული რეფორმების შეფასებას და ახალი პრიორიტეტების დასახვას.

2004 წლის 17 დეკემბერს გადაწყდა გამართულიყო დამატებითი მოლაპარაკებები თურქეთის გაწევრიანების თაობაზე და განსაზღვრულიყო ის პრიორიტეტები, რომელთა შესრულებაც თურქეთს სჭირდება ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც თურქეთს მიეცა არის ის, რომ თურქეთმა უნდა განსაზღვროს ფინანსური პერსპექტივა 2014 წლიდან. ამ რეკომენდაციამ გარკვეულწილად მიგვანიშნა სავარუდო დროზე-თურქეთი ევროკავშირს ვერ შეუერთდება 2015 წლამდე. ევროკავშირის ოფიციოზის ნაწილი გაწევრიანების სავარაუდო წლად განიხილავს 2019 წელს.

ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

ევროპის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების პირველი მცდელობები, ევროპული გაერთიანების ჩამოყალიბების პროცესის დაწყებამდე შეინიშნებოდა. მარშალის პროგრამის ფარგლებში გაწეულმა დახმარებამ ეკონომიკური იმპულსები მისცა ევროპას, მაგრამ მალე საჭირო გახდა ამერიკული დახმარება სამხედრო სფეროში, რამეთუ "ცივი ომი" თანდათან საშიშ სახეს იღებდა, კომუნისტური რეჟიმი თავის გავლენას თანდათან აფართოებდა აღმოსავლეთით. ამ პერიოდში ბენილუქსის ქვეყნები გამოვიდნენ ინიციატივით შექმნილიყო რეგიონალური ორგანიზაცია. სწორედ ეს ინიციატივა დაედო საფუძვლად 1948 წლის 17 მარტს ბრიუსელში ხუთი სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რომელიც 50 წლის ვადით დაიდო და რომელიც დასავლური ცივილიზაციის ძირითადი ღირებულებების - ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ასევე დემოკრატიული პრინციპების დაცვას ისახავდა მიზნად და მოწოდებული იყო ევროპის ეკონომიკური აღმშენებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ბრიუსელის ხელშეკრულების სისტემა გულისხმობდა კოლექტიურ თანადგომასა და ადეკვატურ პასუხს ევროპაში შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში. ხელშეკრულების თანახმად იქმნებოდა სათათბირო საბჭო, რომელიც შეისწავლიდა ყველა გარემოებას, რომელიც სავარაუდოდ ევროპაში მშვიდობასა და უსაფრთხოებას შეუქმნიდა საფრთხეს. მაშინ ამგვარი საფრთხე არსებობდა ჯერ გერმანიის, შემდეგ საბჭოთა კავშირის მხრიდან. ბრიუსელის ხელშეკრულების პირმშო ორგანიზაცია გახდა დასავლეთ ევროპის კავშირი. ეს იყო პირველი ეტაპი თანამშრომლობის გაფართოებისა თითქმის ყველა სფეროში, ძირითადად კი დიპლომატიურ და სამხედრო სფეროში. ორგანიზაციის შტაბბინა განთავსდა ქალაქ ფონტენებლოში.

ბრიუსელის პაქტი ამერიკისთვის ევროპაში სამხედრო თანამშრომლობის პირობებს ქმნიდა. ამერიკის სენატმა 1948 წლის 11 ივნისს კენჭი უყარა ვანდერბერგის რეზოლუციას, რომლის თანახმადაც აშშ-ს უფლება ენიჭებოდა მშვიდობიანობის პერიოდში სამხედრო ალიანსები გაეფორმებინა ევროპის კონტინენტის

სახელმწიფოებთან. ფარულად მიმდინარე მოლაპარაკებებმა მოიტანეს 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ხელმოწერილი პაქტი, რომლის თანახმადაც შეიქმნა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი. ამ ალიანსში შედიოდნენ ბრიუსელის პაქტზე ხელმომწერი 5-ვე სახელმწიფო, ასევე აშშ, კანადა, ნორვეგია, დანია, ისლანდია, პორტუგალია და იტალია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ პერიოდიდან ბრიუსელის პაქტით შექმნილი დასავლეთ ევროპის კავშირი ნატოს ჩრდილში მოექცა, ევროპაში ყველაფერი ნატოს სახელით და მისივე ეგიდით მიმდინარეობდა.
ამჟამად დასავლეთ ევროპის კავშირში შედის 28 ქვეყანა, რომლებისთვისაც იგი წარმოადგენს ფორუმს დიალოგისა და თანამშრომლობისთვის უსაფრთხოებასთან და თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში. კავშირის ათი ქვეყანა ამავე დროს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა და ხელი აქვს მოწერილი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულებებზე. ევროკავშირის ხუთი სახელმწიფოს (დანია, ირლანდია, ავსტრია, ფინეთი და შვედეთი, ეს ოთხი უკანასკნელი არ შედის ნატო-ში) გააჩნიათ დამკვირვებლის სტატუსი.[141]

ნატო-ს ევროპული წევრები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ევროკავშირს და რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროპულ შეთანხმებებს ევროკავშირთან, წარმოადგენენ დასავლეთ ევროპის კავშირის წევრებს, როგორც ასოცირებული პარტნიორები.

ევროპული სახელმწიფოების შემდეგი მცდელობა შეექმნათ სამხედრო-პოლიტიკური ერთობა იყო 1950 წელს საფრანგეთის პრემიერ მინისტრის - პლევენის მიერ წარმოდგენილი გეგმა ე.წ. პლევენის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ევროპული არმიის შექმნას გაერთიანებული სარდლობის ქვეშ. გეგმის მიხედვით არმიაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ბატალიონები. ევროპული არმია ევროპის თავდაცვის მინისტრის მეთაურობითა და საერთო ბიუჯეტით, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის უზენაესი მმართველობის ქვეშ უნდა დაარსებულიყო. ეს გეგმა გახდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ფარგლებში მოლაპარაკებისა და განხილვის საგანი. ევროპის ამ გაერთიანების შექმნას თან სდევდა პოლიტიკური პროექტიც, რომელიც ითვალისწინებდა ფედერაციის ან კონფედერაციის შექმნას. პლევენის გეგმა ითვალისწინებდა გერმანიის ხელახლა შეიარაღებას, რასაც აშშ აქტიურად უჭერდა მხარს, რადგან მასში პოტენციურ პარტნიორს ხედავდა. სწორედ გერმანიის შეიარაღების საკითხი გახდა სადაო და უფრო მეტიც დამღუპველი პლევენის გეგმისთვის. ასევე ამ გეგმის უარყოფის მიზეზი იყო ის, რომ ევროპის ქვეყნებს არ სურდათ საკუთარი არმიის საერთაშორისო დაქვემდებარებაში ყოფნა. თავდაცვის გაერთიანების შექმნა ვერ მოხერხდა საფრანგეთის ეროვნული ასაბლეის მიერ 1954 წლის 30 აგვისტოს ამ პროექტის უარყოფის გამო.[142]

პლევენის გეგმის შემდეგ იყო 1970 წელს ლუქსემბურგის სამიტზე წარდგენილი "დ'ავინიონის მოხსენება", რომლის საფუძველზე საბჭომ გადაწყვიტა მოეწყო რეგულარული შეხვედრები საგარეო საქმეთა და პოლიტიკური დირექტორების დონეზე ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის ფორმატის ფარგლებში. ამ შეხვედრებზე განიხილებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხები, ხოლო კონსულტაციები უნდა გამართულიყო წელიწადში ორჯერ მაინც. ინფორმაციის ინტენსიურმა გაცვლამ, მუდმივმა შეხვედრებმა და ძალისხმევამ საბაბი მისცა წევრ სახელმწიფოებს, რომ ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის საქმიანობისთვის ფორმალური სახე მიეცათ. ეს ფორმალიზაცია მისი 1986 წლის ერთიან ევროპულ აქტში შეყვანით გამოიხატა, რის შედეგადაც ბრიუსელში შეიქმნა სამდივნო. რეალურად ეს იყო ფორუმი, სადაც წევრ ქვეყნებს შეეძლოთ კონსულტაციები გაეწიათ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, მაგრამ არ არსებობდა მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც მოხდებოდა ამ პოზიციების დაკანონება და განხორციელება. მას შემდეგ, რაც იუგოსლავია ეთნიკური ომების ქარცეცხლში გაეხვია, ნათლად

[141] http://www.weu.int
[142] The Leiden University, EU History, History of European Integration Site,The Pleven plan

გამოჩნდა ევროგაერთიანების სისუსტე არა მარტო საერთო საგარეო პოლიტიკის, არამედ საერთო თავდაცვის პოლიტიკის სფეროშიც. მას არ შეეძლო საკუთარ კონტინენტზე მიმდინარე ომების თავიდან აცილება და პრობლემის მოსაგვარებლად აშშ-ს იხმობდა.

ცივი ომის დასრულებამ და ევროპის კონტინენტზე ახალი რეალობების წარმოქმნამ საერთო საგარეო პოლიტიკის საჭიროების საკითხი უფრო აქტუალური გახადა. 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულების გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებისას ევროგაერთიანების ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ შეემუშავებინათ საკუთარი საგარეო პოლიტიკური კურსი. მაასტრიხტის ხელშეკრულებაში საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას დაეთმო მეორე მუხლი, სადაც განმარტებულია, რომ "საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხს, რომელიც ეხება კავშირის უსაფრთხოებას, მათ შორის საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების შემუშავებას, რამაც შეიძლება დროთა განმავლობაში მიგვიყვანოს საერთო თავდაცვამდე". ევროკავშირის ამ პოლიტიკის წარმოდგენის უფლება მიენიჭა საბჭოს პრეზიდიუმს, რომელსაც ამ საქმეში უნდა დახმარებოდა ე.წ. სამეული, რომელშიც შევიდოდნენ საბჭოს მიმდინარე და მომავალი პრეზიდენტები, რაც უზრუნველყოფდა საგარეო პოლიტიკის გააქტიურებასა და მდგრადობას. 90-იან წლებში სამეულმა მოდიფიკაცია განიცადა და მოგვიანებით იგი დაკომპლექტებულ იქნა მიმდინარე პრეზიდენტი ქვეყნით, ევროკომისიაში საგარეო პოლიტიკის საკითხების კოორდინატორით და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტით. 1999 წლიდან სსუპ-თან დაკავშირებით ამსტერდამის ხელშეკრულებაში შემუშავებულ იქნა შემდეგი ცვლილებები. შემოღებული იქნა კიდევ ერთი ინსტრუმენტი – საერთო სტრატეგია. ამსტერდამის ხელშეკრულების თანახმად, საბჭოს აქვს უფლება განსაზღვროს კონსენსუსით, საერთო სტრატეგია იმ სფეროებში, რომლებიც წევრი ქვეყნების საერთო ინტერესს წარმოადგენს. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება ხმის მიცემის პროცედურას. გადაწყვეტილება ერთხმად მიიღება, მაგრამ შემოღებულია ე.წ. "კონსტრუქციული თავშეკავება", რომლის მიხედვითაც თავის შეკავებით არ დაიბლოკება გადაწყვეტილების მიღება.

ამ ხელშეკრულებს მონაპოვარია სსუპ-ის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შემოღება, რომელიც დაიკავა მინისტრთა საბჭოს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ. მის მოვალეობაში შედის სსუპ-ის მიმართულებების ფორმულირება, მომზადება და გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია, ასევე პარტნიორ ქვეყნებთან პოლიტიკური დიალოგის წარმოება. მას ეხმარება ამსტერდამის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი პოლიტიკის დაგეგმვისა და ადრეული შეტყობინების დანაყოფი, რომელიც დაკომპლექტებულია შესაბამისი სპეციალისტებით და მის მოვალეობასი შედის საერთაშორისო სიტუაციის მონიტორინგი და ანალიზი, ასევე მოვლენების დროული შეფასება და ადრეული გაფრთხილება პოტენციური პოლიტიკური კრიზისების და სიტუაციების შესახებ.

სსუპ-ის კომპეტენციაში შედის ე.წ. პეტერსბერგის ამოცანები, რაც აქამდე დასავლეთ ევროპის კავშირის პრეროგატივა იყო და მოიცავდა სამშვიდობო, სამაშველო და ჰუმანიტარულ ოპერაციებს. ასევე, ამსტერდამის ხელშეკრულებით გადაწყდა რომ დასავლეთ ევროპის კავშირი თანდათანობით უნდა შერწყმოდა ევროკავშირს.

საერთო საგარეო პოლიტიკის განვითარების საქმე დაუსრულებლად ჩაითვლება, მანამ მას ზურგს არ გაუმაგრებს **საერთო თავდაცვა**. საერთო თავდაცვის პოლიტიკის შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა რამდენიმე მოვლენამ, კერძოდ: სენტ მალოს შეხვედრა (1998წ) – რაც წარმოადგენდა არაფორმალურ შეხვედრას საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკსა და ბრიტანეთის პრემიერ მინისტრ ტონი ბლერს შორის., რომლის შედეგადაც გამოიცა სენტ მალოს დეკლარაცია, სადაც ნათქვამია რომ დროა ევროპამ შესაფერისი როლი შეასრულოს საერთაშორისო არენაზე და

“აამუშავოს ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩადებული დებულებები საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების განვითარების ჩათვლით. დეკლარაცია ხაზს უსვამს ნატოს შეუცვლელ როლს ევროპის თავდაცვის სფეროში და აღნიშნავს, რომ ევროპას უნდა ჰქონდეს მოქმედების საშუალება ისეთ სიტუაციებში, სადაც ალიანსი არ არის ჩაბმული. ევროპას სჭირდება ძლიერი არმია, კონკურენტუნარიანი ევროპული თავდაცვის ინდუსტრია და ტექნოლოგია, რათა მან უპასუხოს ახალ საფრთხეებს. სენტ მალოს შემდეგ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროპული საბჭოს მიერ მიღებული დეკლარაციები. ესენია:

- კიოლნის ევროპული საბჭო (1999წ ივნისი) – კიოლნის ევროპული საბჭოს დეკლარაციამ თითქმის მთლიანად მიიღო სენტ მალოს შეხვედრაზე მიღებული შეთანხმებები და განსაზღვრა ის სამომავლო გეგმები, რაც საჭირო იყო ამ იდეის განსახორციელებლად. კერძოდ, გადაწყდა გადაწყვეტილების მიღების ინფრასტრუქტურის შექმნა და სამხედრო საშუალებების – სამხედრო შტაბ-ბინის და სამხედრო ძალების შექმნა.
- ჰელსინკის ევროპული საბჭო (1999 წ. დეკემბერი) - ამ შეხვედრაზე დასახელებული იქნა ე.წ. “მთავარი ამოცანა”, რომლის მიხედვითაც 2003 წლისათვის წევრ ქვეყნებს თავი უნდა მოეყარათ 50 000 – 60 000 - კაციანი სწრაფი რეაგირების სამხედრო კონტინგენტისათვის, მათი პოტენციურ სამხედრო მანევრებში ჩართვა 60 დღის განმავლობაში და მათი მატერიალური უზრუნველყოფა სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში. მის მოვალეობაში უნდა შესულიყო პეტერსბერგის ამოცანების შესრულება.
- სანტა მარია დე ფეირას ევროპული საბჭო (2000 წ. ივნისი) – წევრი ქვეყნები ამ შეხვედრაზე ევროპის პოლიციის განვითარებაზე მსჯელობდნენ. გადაწყდა, რომ 2003 წლისთვის კავშირის განკარგულებაში იქნებოდა 5000-მდე პოლიციელი კრიზისული სიტუაციების დასაძლევად.

სენტ მალოს შეხვედრამ და შემდგომმა ევროპულმა საბჭოებმა საფუძველი ჩაუყარეს საერთო თავდაცვის პოლიტიკას, რაც ფორმალურად შეყვანილ იქნა ევროპის ინსტიტუტებში ნიცის ხელშეკრულების მიერ. ნიცის ხელშეკრულებით შეიქმნა ასევე – პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი, ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი და ევროკავშირის სამხედრო შტაბი.

2007 წელს ხელმოწერილი ლისაბონის შეთანხმების მიხედვით, დამტკიცებულ იქნა საერთაშორისო საქმეებისა და თავდაცვის პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტი. განისაზღვრა, რომ ევროპული საბჭო, ევროკომისიის წარმომადგენელთან შეთანხმებით, კვალიფიციური უმრავლესობით ნიშნავს საერთაშორისო საქმეებისა და თავდაცვის პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს, რომელიც თავის მხრივ განახორციელებს საერთო საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოების პოლიტიკას, რაც განხორციელებულ იქნება უკვე მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის გზით. უმაღლესი წარმომადგენელი ასევე გახლავთ კომისიის ვიცე-თავმჯდომარეს, რომლის კომპეტენციის სფეროს მიეკუთვნება ევროკავშირის კავშირები გარე სამყაროსთან.

საგარეოურთიერთობები:
ევროკავშირისკურსიმსოფლიოსსხვადასხვაქვეყნებთანმიმართებაში

ჩრდილოეთიამერიკა

აშშ -ევროკავშირისუმთავრესიპარტნიორია. მათიმრავალმხრივიურთიერთობებიგანსაკუთრებითმჭიდროარიგსაკითხებში, დაწყებულივაჭრობითადაეკონომიკურისაკითხებითდადამთავრებულისაგარეოპოლიტიკითადაუსაფრთხოებით.

მათიურთიერთობამარტოორმხრივიინტერესისსაკითხებითარშემოიფარგლება – ისინიაქტიურმონაწილეობასღებულობენსაერთაშორისოფორუმებშიმაგალითადგაერო ში, ვაჭრობისმსოფლიოორგანიზაციაში, ნატოსადამსოფლიოს 8 უდიდესიქვეყნისშეხვედრებში, გარდაამისაცდილობენმოაწესრიგონმდგომარეობამსოფლიოსისეთკრიზისულადგილებ ში, როგორიცარისბალკანეთიდაახლოაღმოსავლეთი. პარტნიორობასსაფუძველიჩაეყარა 1990 წელსგაფორმებულიტრანსატლანტიკურიდეკლარაციით, რომელიცითვალისწინებსყოველწლიურადორისამიტისჩატარებასორიმხარისმონაწილ ეობით. ამდოკუმენტშიგათვალისწინებულიამსოფლიოშიმშვიდობისადასტაბილურობისხელშე წყობა, მსოფლიომასშტაბისპრობლემებზეგამოხმაურება, წვლილისშეტანამსოფლიოვაჭრობისგაფართოებაშიდაუფრომჭიდროკავშირებისდამყა რებაპარტნიორებსშორის. 1998 წელსდაარსებულმატრანსატლანტიკურმაეკონომიკურმაპარტნიორობამ, რომლისკურსიაორმხარესშორისვაჭრობაშიტექნიკურიბარიერებისმოშლა, ურთიერთობასახალიასპექტიშესძინა, ისევეროგორცმომდევნოწელსმიღებულმაბონისდეკლარაციამ, რომელიცმიმართულიიყოეკონომიკურ, პოლიტიკურდაუსაფრთხოებისსაკითხებში “სრულიდათანასწორიპარტნიორობის “ ხელშეწყობისკენ.

ორ მხარეს შორის ურთიერთობებში დიდი წვლილი შეიტანეს ბიზნესის წრეებმა ატლანტიკის ორივე მხარეს “ტრანსატლანტიკური ბიზნეს დიალოგის” მეშვეობით. პარალელური დიალოგების საშუალებით, მომხმარებლებსა და გარემოს პრობლემებით დაინტერესებულ პირებსაც შეუძლიათ ამ პროცესში თავთავიანთი წვლილის შეტანა. გარდა ამისა, არსებობს რეგულარული კონტაქტები ოფიციალურ პირებს შორის, მაგალითად აღსანიშნავია ევროპის პარლამენტისა და ამერიკის შეერთებილი შტატებში კონგრესის წევრების შეხვედრები.

მნიშვნელოვანია საგანგებო შეთანხმებები ვაჭრობის მარეგულირებელ სფეროებში. “შეთანხმება ურთიერთაღიარების შესახებ”, რომელიც ვრცელდება საქონლის ფართო სპექტრზე (დაწყებული სატელეკომუნიკაციო მოწყობილობით, დამთავრებული ფარმაცევტული წარმოებით), რაც საშუალებას აძლევს ევროკავშირის უწყებებს, შეაფასონ შესაბამისობა აშშ–ს მოთხოვნებთან და პირიქით. ეს კი, ექსპორტიორებს, მნიშვნელოვან დროსა და სახსრებს უზოგავს. ხელი ეწყობა საბაჟო უწყებათა თანამშრომლობას, სხვა შეთანხმებები კი მიზნად ისახავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის, აგრეთვე ცოცხალი ცხოველებით ატლანტიკის ოკეანის მეორე მხარეს ვაჭრობის ხელშეწყობას.

კანადა - ევროკავშირსა და კანადას შორის ურთიერთობას ოფიციალური სახე 1976 წელს მიეცა - დაიდო ჩარჩო ხელშეკრულება “კომერციული და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ”. კონტაქტები უფრო გამყარდა 1990 წელს ევროკავშირისა და კანადის ურთიერთობის შესახებ ტრანსატლანტიკური დეკლარაციის, ექვსი წლის შემდეგ კი ევროკავშირისა და კანადის ერთობლივი სამოქმედო გეგმის მიღებით. ურთიერთობის გაღრმავების მნიშვნელოვანი სტიმული იყო 1998 წელს აღებული ვალდებულება, დაწყებულიყო “ევროკავშირსა და კანადას შორის ვაჭრობასთან დაკავშირებული ინიციატივა”.

ორ მხარეს შორის პარტნიორობა მარტო ვაჭრობით არ შემოიფარგლება, 1999 წლის დეკემბერში გაკეთებულმა ერთობლივმა განცხადებამ “ჩრდილოეთის თანამშრომლობის შესახებ” კიდევ ერთხელ დაადასტურა ევროკავშირისა და კანადის სურვილი ითანამშრომლონ სხვადასხვა საკითხებში. მათგან აღსანიშნავია, მაგალითად მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ საკითხებში – ავტომატური და მცირე კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ თანამშრომლობა.

2004 წლის სამიტზე ევროკავშირმა და კანადამ პარტნიორობის გეგმა მიიღეს, რომელიც განსაზღვრავს ერთობლივი მოქმედების გზებს.

იაპონია - ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მეორე უდიდესი ეროვნული ეკონომიკა, რომელზეც აზიის მშპ-ის ორი მესამედი და მსოფლიო ეკონომიკის 14% მოდის – ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი და მესამე უდიდესი ბაზარია. მათ შორის კონსტრუქციული ურთიერთობა ემყარება ორ პარტნიორს შორის თანამშრომლობის მარეგულირებელ 1991 წლის პოლიტიკურ დეკლარაციას. ეს ურთიერთობა გამყარდა 1995 წელს, ევროპასა და იაპონიას შორის ურთიერთობის შესახებ ევროკავშირის სტრატეგიის დამტკიცებით. მათ ურთიერთობის გასამტკიცებლად მნიშვნელოვანი იყო 2000 წლის ტოკიოს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება სამოქმედო პროგრამის შემუშავების შესახებ, რამაც საფუძველი ჩაუყარა "იაპონია - ევროპის თანამშრომლობის დეკადას" ოთხ ძირითად სფეროში: მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობაში, ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორობის გაძლიერებაში, გლობალური და საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში და ხალხებისა და კულტურების დაახლოებაში.

ჩინეთი - ჩინეთი ევროკავშირის მესამე უდიდესი არაევროპული სავაჭრო პარტნიორია აშშ-ს და იაპონიის შემდეგ. ევროკავშირი აქტიურად უჭერდა მხარს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩინეთის გაწევრიანებას და ამ მიზნის მისაღწევად მჭიდროდ თანამშრომლობდა აშშ-სთან. 2003 წლიდან ევროკავშირი და ჩინეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან, მათ აქვთ საერთო ინტერესები გეოპოლიტიკის ზოგიერთ საკვანძო საკითხებში. ევროპისა და ჩინეთის ჰელსინკის სამიტზე დაიწყო მოლაპარაკებები ახალი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ, რომელიც მოიცავს ევროკავშირისა და ჩინეთის ურთიერთობების მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის თანამშრომლობას პოლიტიკის სფეროში.

აფრიკა - ევროკავშირი აფრიკის ქვეყნების ყველაზე დიდი დონორი ორგანიზაციაა და ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სავაჭრო პარტნიორი. ევროკავშირსა და აფრიკას შორის ურთიერთობა ტრადიციულად, ორ სხვადასხვა ჯგუფზე იყო კონცეტრირებული: ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებსა და ლომეს კონვენციის ხელმომწერ ქვეყნებზე. ურთიერთობა უფრო გაფართოვდა პორტუგალიის ინიციატივით 2000 წლის აპრილში ჩატარებული ევროკავშირისა და აფრიკის პირველი სამიტის შედეგად. შეხვედრის მიზანი იყო აფრიკის მნიშვნელოვანი პოტენციალის თაობაზე საერთაშორისო ცოდნის გაღრმავება, მსოფლიო ეკონომიკაში ამ კონტინენტის ინტეგრაციის ხელშეწყობა და სტრატეგიული პარტნიორობის დამკვიდრება მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ხელშესაწყობად. სამიტზე მიღებული იქნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ყურადღება გამახვილდება უფრო ინტენსიურ რეგიონალურ ინტეგრაციაზე და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად უფრო საიმედო და კორუფციისგან თავისუფალი გარემოს შექმნის საშუალებებზე, მათ შორის თავად ქვეყნებში და ქვეყნებს შორის კონფლიქტების დასრულების საშუალებებზე, რაც შესაძლებელია კრიზისული სიტუაციების უკეთესი მართვისა და მშვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობათა უზრუნველყოფით. ასევე ყურადღება დაეთმო ჯანდაცვისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას - დაავადებებთან (განსაკუთრებით კი შიდსთან) ბრძოლის, ასევე უმუშევრობის შემცირებისა და სოციალურ გარიყვასთან ბრძოლის მეშვეობით. აქცენტი გაკეთდა მყარი დემოკრატიული საფუძვლების აუცილებლობაზე, რომლებიც დაემყარება კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებათა პატივისცემას. ამ საკითხების ხელახალი განხილვა მოხდა 2003 წელს საბერძნეთში.

2005 წლის დეკემბერში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეთაურებმა მიიღეს ახალი სტრატეგია აფრიკის კონტინენტისთვის, ევროკომისიის ინიციატივით. 2006 წლის დეკემბრიდან ევროპული საბჭო განიხილავს სტრატეგიის იმპლემენტაციის პროგრესულობას და შემდეგ მოხსენებას მის შესახებ წარუდგენს წევრ ქვეყნებს.

დამატებითი სტრატეგიებია შემუშავებული აფრიკის სპეციფიკური ქვეყნებისათვის და რეგიონებისთვის, მაგალითად ევროკომისიის მიერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისადმი სტრატეგიული პარტნიორობის მიღება. ევროკავშირისთვის სამხრეთ აფრიკასთან ურთიერთობების გაღრმავება ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან სამხრეთ აფრიკა რეგიონის წამყვანი ძალაა და მისი როლი აფრიკის კონტინენტზე და საერთაშორისო ურთიერთობებში ძალზედ დიდია.

სამხრეთ აფრიკა – 2000 წლის დასაწყისში ევროკავშირსა და სამხრეთ აფრიკას შორის ამოქმედდა ფართომასშტაბიანი შეთანხმება ვაჭრობის, განვითარებისა და თანამშრომლობის შესახებ, რომლის თაობაზე მოლაპარაკებას სამწელიწადნახევარი დასჭირდა. 2010-2015 წლებში სამხრეთ აფრიკა საბაჟო გადასახადიდან გაათავისუფლებს ევროკავშირის ექსპორტის 86%-ს, ხოლო ევროკავშირი – სამხრეთ აფრიკის ექსპორტის 95 %-ს. აღნიშნულ შეთანხმებასთან ერთად დაიდო აგრეთვე შეთანხმებები მეცნიერებისა და ტექნოლოგიების, ღვინისა და თევზის რეწვის შესახებ. თუმცა ვაჭრობის, განვითარების და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ჯერ კიდევ აქტუალურია, რამდენიმე საკითხი მაინც საჭიროებს გადახედვას და განახლებას – განსაკუთრებით ხელშეკრულების იმ ნაწილში, რომელიც ვაჭრობის ლიბერალიზაციას ეხება. ამ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

ევროკავშირისა და სამხრეთ აფრიკის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ფაქტია 2006წლის 28 ივნისს ევროკომისიის მიერ შეთავაზებული სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც ამავე წლის 17 ოქტომბერს იქნა მიღებული. იგი მოიცავს მთელ რიგ საკითხებს დაწყებული პოლიტიკით, დამთავრებული ვაჭრობის, განვითარების და თანამშრომლობის სფეროთი. მათი მიზანია, რომ პოლიტიკური ასპექტი მათ ურთიერთობაში უფრო ღრმა პოლიტიკური დიალოგის და ერთობლივი ქმედებების საფუძველი გახდეს რეგიონალურ, კონტინენტურ და გლობალურ დონეზე.

გარდა ამისა, ევროკომისიისა და ევროკავშირის 9 წევრი ქვეყნის მიერ წარმოდგენილია ახალი ქვეყნის სტრატეგია და საჩვენებელი პროგრამა 2007 – 2013 წლებისათვის. ეს პროგრამა ფოკუსირებულია ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე, რეგიონულ ინტეგრაციაზე და სოციალურ და კულტურულ ურთიერთობების განვითარებაზე.

სამხრეთ აფრიკისათვის ყოველწლიურად გამოიყოფა დაახლოებით 125 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური დახმარება. განვითარების დახმარება ფინანსდება ევროკომისიის ბიუჯეტიდან 1995 წლიდან. ევროპის განვითარების ბანკსაც გააჩნია ხელშეკრულება სამხრეთ აფრიკასთან და გასცემს სესხებს დაახლოებით 120 მილიონ ევროს ფარგლებში წელიწადის განმავლობაში.

რუსეთი - რუსეთთან ურთიერთობის მნიშვნელობა აშკარა გახდა 1999 წელს, როდესაც დამტკიცდა ზოგადი სტრატეგია რუსეთთან დაკავშირებით შემდგომი ოთხი წლისათვის. ექვსი თვის შემდეგ ამას მოყვა მსგავსი ზოგადი სტრატეგიის მიღება უკრაინისათვის. ორივე აღნიშნული ინიციატივა სცილდება "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებს", რომლებიც ევროკავშირს დადებული აქვს ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან. ეს ინიციატივები მიზნად ისახავს დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას და ამ ქვეყნებისთვის "საერთო ევროპულ ეკონომიკურ და სოციალურ სივრცეში ინტეგრირებაში დახმარების გაწევას. ეს წამოწყებები ითვალისწინებს აგრეთვე, განიარაღებასა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ თანამშრომლობას. ევროკავშირი აკრიტიკებს რუსეთის მიერ

ადამიანის უფლებათა დარღვევის ნებისმიერ გამოვლინებას., რისი მაგალითიცაა, რუსეთის ინტერვენცია ჩეჩნეთში. ასევე 2007 წლის 17-18 მაისს, ევროკავშირი – რუსეთის სამარას სამიტზე რუსეთი გააკრიტიკეს დემოკრატიის განვითარებისთვის არახელსაყრელი პირობების შექმნაში.

რუსეთი როგორც ვიცით ენერგო რესურსებით მდიდარი ქვეყანაა და ევროკავშირის ქვეყნების ძირითადი იმპორტიორია. იგი ბუნებრივი აირის ყველაზე დიდი ექსპორტიორია, მსოფლიო გაზის რეზერვების 20 % და ნავთობის 5% რუსეთზე მოდის. ევროკავშირის მიერ გაზისა და ნავთობის შესყიდვა რუსეთის ეკონომიკის ზრდაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესობაზე ახდენს გავლენას. რუსეთის გაზის ექსპორტის 65% და ნავთობის ექსპორტის 63% ევროკავშირზე მოდის.

”ენერგეტიკის სფეროში, რუსეთს ისევე სჭირდება ევროკავშირი, როგორც ევროკავშირს რუსეთი. ევროპის ქვეყნების მიერ შესყიდული ენერგო რესურსები რუსეთის ეკონომიკის აღორძინების ძირითადი ფაქტორია და ამ რესურსების სტაბილური დენა ევროკავშირის ქვეყნებში კი ევროპის ეკონომიკის ზრდის. ერთი სიტყვით, ჩვენ ერთმანეთს ვაძლიერებთ” –განაცხადა ანდრის პიებალგსიმ (ევროკომისარი ენერგეტიკის სფეროში).

ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანია პეტერბურგის 2003 წლის მაისის სამიტი, რომელმაც ამ ორ მხარეს შორის თანამშრომლობის მთელი რიგი საკითხები მოიცვა: “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების” საფუძველზე შეიქმნა ოთხი საერთო სტრატეგია – ეკონომიკის, თავისუფლების, უსაფრთხოების, საგარეო ურთიერთობების, კვლევისა და განათლების სფეროში.

ორ მხარეს შორის თანამშრომლობის გზაზე ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა რუსეთის მიერ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, და განსაკუთრებით საქართველოში სეპარატიზმის მხარდაჭერა. ამის შესახებ ევროკავშირმა თავისი ღია პოზიცია დააფიქსირა 2008 წლის ივლისში გამართულ ევროკავშირ-რუსეთის სამიტზე, რომელიც ხანტი-მანსიისკში გაიმართა.

როგორც ცნობილია, ევროკავშირმა 2008 წლის 1 სექტემბერს გამართული ევროპული საბჭოს ფარგლებში მკაცრად დაგმო რუსეთის ქმედება საქართველოს წინააღმდეგ, გარკვეული პერიოდი ორ მხარეს შორის ურთიერთობა შეწყვეტილიც კი იყო.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

ევროკავშირის ისტორიულმა გაფართოებამ საშუალება მისცა სახელმწიფოთა ამ დიდ გაერთიანებას, გადაედგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების და სტაბილურობის ხელშეწყობის საქმეში. ეს გაფართოება იმასაც ნიშნავდა, რომ შეიცვალა გარე საზღვრები, ევროკავშირმა კი შეიძინა ახალი მეზობლები. ყოველივე ამან ახალი შესაძლებლობებიც წარმოშვა და ახალი პრობლემებიც. სწორედ ამ ახლებური სიტუაციის პასუხად შემუშავდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც ევროპული უსაფრთხოების სტრატეგიის მიზნების მისაღწევად მიმართულ მცდელობებსაც უწევს დახმარებას.

2003 წლის მარტში, ევროკომისიამ წარადგინა თავისი რეკომენდაცია “გაფართოებული ევროპა” – მეზობლობა: ახალი სტრუქტურა აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე მეზობლებთან ურთიერთობისთვის”. საბჭომ მოიწონა აღნიშნული რეკომენდაცია და მიიჩნია იგი კარგ საფუძვლად პარტნიორ ქვეყნებთან ახალი პოლიტიკის შესამუშავებლად, განსაზღვრა ზოგადი მიზნები და პრინციპები და დასახა შესაძლო სტიმულები. ევროპული საბჭოს თესალონიკის სხდომამ 2003 წლის ივნისში მიიღო საბჭოს დასკვნები და მიმართა საბჭოს და კომისიას, რათა მათ ერთობლივად ემუშავათ ამ პოლიტიკის სხვადასხვა ელემენტის განსავითარებლად. ამავე წლის ივლისში ევროკომისიამ განსახილველად წარადგინა რეკომენდაცია “ახალი სამეზობლო ინსტრუმენტის შემოღებისთვის მომზადება”.

დაარსდა გაფართოებული ევროპის სამუშაო ჯგუფი და გაფართოებული ევროპის უწყებათშორისი ჯგუფი. ოქტომბერში საბჭომ მიმართა კომისიას, რომ საჭიროების შემთხვევაში, უმაღლესი წარმომადგენლის დახმარებით ივნისში მიღებული დასკვნების ჭრილში 2004 წლის დასაწყისში წარმოედგინა დეტალური წინადადებები სათანადო სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით, რათა ეს საკითხი 2004 წლის ივნისისთვის ყოფილიყო მოგვარებული.

2003 წლის ოქტომბერსა და 2004 წლის თებერვალში საბჭოს ზეპირი ანგარიში წარედგინა ამ ინიციატივაში ჩართული ელემენტების დეტალური ანალიზის შესახებ. ასევე, ევროკომისიამ შესწავლის მიზნით ჩაატარა წინასწარი კონსულტაციები პარტნიორებთან, რომლებთანაც კავშირს ხელმოწერილი აქვს შეთანხმებები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. [143] აღნიშნული მოლაპარაკებების შედეგად დადასტურდა რამდენიმე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების დაინტერესება ევროპის სამეზობლო პოლიტიკით და გაირკვა მათი შეხედულებები სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელ პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ევროკომისიამ შეაფასა ამ ქვეყნებში იმჟამად არსებული სატუაცია მათი პოლიტიკური, ეკონომიკური სისტემებისა და ევროკავშირთან მათი თანამშრომლობის თვალსაზრისით, რათა განესაზღვრა შემდგომი ნაბიჯები ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განვითარებაში.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიზანია მეზობელი ქვეყნებისთვის ევროკავშირის 2004 წლის გაფართოებით მოტანილი სარგებლიანობის გაზიარება – მათი სტაბილურობის, უშიშროებისა და კეთილდღეობის გაზრდა. მისი დანიშნულებაა, თავიდან აიცილოს გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ზოლების წარმოქმნა და შესთავაზოს ამ მეზობლებს შესაძლებლობა, პოლიტიკის, უშიშროების, ეკონომიკის, ვაჭრობის და და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის გაფართოების მეშვეობით პარტნიორმა ქვეყნებმა მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის ცხოვრებაში.

შემოთავაზებული მეთოდი გულისხმობს პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ისეთი პრიორიტეტების დასახვას, რომელთა შესრულება დაახლოებს მათ ევროკავშირთან. ამ პრიორიტეტებისგან შედგება ერთობლივად შეთანხმებული სამოქმედო გეგმები, რომლებიც შეეხება კონკრეტული საქმიანობის რიგ ძირითად სფეროებს: პოლიტიკურ დიალოგს და რეფორმას; ვაჭრობას და იმ ღონისძიებებს, რომლებიც თანდათანობით მოამზადებს პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირის შიდა ბაზარზე ადგილის მოსაპოვებლად; მართლმსაჯულებას და შინაურ საქმეებს; ენერგეტიკას, ტრანსპორტს, საინფორმაციო საზოგადოებას, გარემოს დაცვას, კვლევას და ინოვაციებს; სოციალურ პოლიტიკას და ადამიანებს შორის კონტაქტებს.

მეზობლებთან პრივილეგირებული ურთიერთობა ემყარება საერთო ფასეულობების მიმართ ყველა მხარის ერთგულებას. ეს საერთო ფასეულობებია: კანონის უზენაესობა, სათანადო მმართველობის უზრუნველყოფა, ადამიანის უფლებების, მათ შორის ეთნიკური და რელიგიური უმცირესობათა ჯგუფების უფლებების პატივისცემა, ხელსაყრელი მეზობლური ურთიერთობების ხელშეწყობა და საბაზრო ეკონომიკისა და სტაბილური განვითარების პრინციპების დაცვა. გარდა

[143] აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თვისობრივად ახალი ტიპის ხელშეკრულების დადების მიზნით ამ ხელშეკრულებებს ასოცირებული ხელშეკრულება ეწოდა, მას ხშირად ევროპულ შეთანხმებასაც უწოდებენ. ახალი ტიპის შეთანხმებები ორ ძირითად მიზანს ემსახურებიან: შექმნას ევროპის თანამეგობრობასა და ასოცირებულ ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის არეალი და მოამზადოს კანდიდატი სახელმწიფოების ევროკავშირში გაწევრიანებისათვის. ასოცირებული წევრები – განიხილებიან, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატები.

ამისა, მათ მოეთხოვებათ ერთგულება ევროკავშირის საგარეო მოღვაწეობის ზოგიერთი კონკრეტული ასპექტის მიმართ, ეს ასპექტებია ტერორიზმთან და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ბრძოლა, საერთაშორისო კანონმდებლობის შესრულება და კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართული ძალისხმევის განხორციელება.

სამოქმედო გეგმებში ისახება საერთო პრინციპები, თუმცა ეს გეგმები განსხვავებულია თითოეული ქვეყნისათვის - არსებული ურთიერთობის, ამ ქვეყნის საჭიროებებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე საერთო ინტერესების გათვალისწინებით. მეზობლებთან ევროკავშირის ურთიერთობის დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხდება ევროპულ ფასეულობათა გაზიარება.

შეთანხმებული პრიორიტეტების შესრულებას მონიტორინგს უწევენ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებებისა და ასოცირების შეთანხმებების საფუძველზე დაარსებული უწყებები. ევროკომისია პერიოდულად წარადგენს ანგარიშებს ამ თვალსაზრისით მიღწეულ პროგრესზე. ამ შეფასების საფუძველზე ევროკავშირი თავის პარტნიორებთან ერთად გადახედავს სამოქმედო გეგმების შინაარსს და იღებს გადაწყვეტილებას ვითარების მიხედვით მათი ადაპტირების ან განახლების შესახებ. სამოქმედო გეგმებში მოცემულია ათვლის წერტილი შესაბამისი ქვეყნებისათვის დახმარების დასაგეგმად.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა განამტკიცებს რეგიონული თანამშრომლობის არსებულ ფორმებს და უზრუნველყოფს სტრუქტურას მათი შემდგომი განვითარებისათვის. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა აძლიერებს სტაბილურობასა და უშიშროებას და ხელს უწყობს კონფლიქტების მოგვარებისკენ მიმართულ მცდელობებს. ჩრდ. აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ხელს უწყობს მონაწილეებს, ისარგებლონ ევროპა-ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობის (ე.წ. "ბარსელონის პროცესის") შედეგებით, განავითარონ ინფრასტრუქტურული კავშირები და ქსელები, კერძოდ ენერგეტიკული ქსელები, განავითარონ აგრეთვე თავიანთ მეზობლებთან თანამშრომლობის ახალი ფორმები. "ევროპა - ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობის" მიღწევებზე დაყრდნობით ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ეხმარება შემდგომი რეგიონული ინტეგრაციის განვითარებას, განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში. ამ პოლიტიკის ფარგლებში ძლიერდება ძალისხმევა, მიმართული ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთში ევროპული უშიშროების სტრატეგიის მიზნების მისაღწევად.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ხედვა სცილდება უბრალო თანამშრომლობას და გულისხმობს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას. ამ ყველაფერს უზარმაზარი სარგებელი მოაქვს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, ვინაიდან ამგვარი ურთიერთობის შედეგად იზრდება სტაბილურობა, უშიშროება და კეთილდღეობა.

აღმოსავლეთის პარტნიორობა

აღმოსავლეთის პარტნიორობა წარმოადგენს პროექტს, რომელიც შემოთავაზებულ იქნა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ შვედეთის მონაწილეობით ევროკავშირის – საერთო საკითხებისა და საგარეო კავშირების საბჭოს შეხვედრის ფარგლებში 2008 წლის 26 მაისს. 2009 წლის 7 მაისს პრაღაში გაიმართა აღნიშნული პროგრამის დამფუძნებელი შეხვედრა. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს პოსტსაბჭოთა სივრცეში მდებარე ექვს რესპუბლიკასთან – საქართველოსთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან და ბელორუსთან დაახლოება. იგი წარმოადგენს ჩრდილოეთის განზომილებისა და ხმელთაშუა ზღვის კავშირის დამატებას, და ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს დისკუსიების გამართვისათვის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა გამარტივებული სავიზო რეჟიმი, თავისუფალი

ვაჭრობა, სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება. იმის გამო, რომ პროგრამას არ გააჩნია საკუთარი სამდივნო, მას კონტროლს უშუალოდ ევროკომისია გაუწევს.

ნატო

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გეოპოლიტიკური ინტერესები ნათლადაა გადმოცემული 2010 წლის ნოემბერში მიღებულ ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში და XXI საუკუნის პირველ ათწლეულში განვითარებული და ჩამოყალიბებული ახალი რეალობების და ნატოს გაფართოებისა და მისი ფუნქციების ზრდასთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებით, 2010 წლის ნოემბერში გამართულ ლისაბონის სამიტზე დამტკიცებულ იქნა ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომლის შესავალ ნაწილში აღნიშნულ იქნა, ნატო მომავალშიც ითამაშებს უნიკალურ როლს ალიანსის წევრი სახელმწიფოების თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ახალი დოკუმენტი ავალდებულებს ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს ერთად იმუშაონ კრიზისების აღმოფხვრის, კონფლიქტების დარეგულირებასა და პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში სტაბილიზაციის უზრუნველყოფის საქმეში, მათ შორის პარტნიორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. გარდა ამისა, ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში აღნიშნულ იქნა, რომ ნატო მხარს დაუჭერს მსოფლიოს-ბირთვული იარაღის გარეშე არსებობიუს იდეას, თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დღევანდელ დღეს რიგი სახელმწიფოები ფლობენ ბირთვულ იარაღს, ნატო დაჩება ბირთვულ ალიანსად.

აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნატო კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის მზადყოფნას, გაატაროს ღია კარის პოლიტიკა, რაც თავის მხრივ გულისხმობს ნატო-ს გაფართოებას და მასში იმ ევროპული სახელმწიფოების გაერთიანებას, რომლებიც დააკმაყოფილებენ წევრობის სტანდარტებს. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ გაფართოება სრულიად შეესაბამება ნატო-ს ინტერესებს, ვინაიდან ამ პროცესის მიზანს წარმოადგენს თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის შექმნას.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ნატო თავის მზადყოფნას გამოხატავს ითანამშრომლოს პარტნიორებთან ერთად ხელი შეუწყოს საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფას მთელ მსოფლიოში.[144]

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად ალიანსი გამოხატავს თავის მზადყოფნას, განათავსოს საკუთარი შეიარაღებული ძალები იქ, სადაც ამას მოითხოვს ნატო-ს ინტერესები.

ალიანსი ადასტურებს თავის მზადყოფნას განამტკიცოს ტრანსატლანტიკური კავშირები ნატო-ს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებს შორის.

ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ეფექტურად უნდა შეასრულოს სამი ძირითადი ფუნქცია:

ა) კოლექტიური თავდაცვა, ნატო-ს წესდების მე-5 მუხლის საფუძველზე.
ბ) ანტიკრიზისული მართვა.
გ) უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე. სადაც ნატო ადასტურებს, რომ ამ თანამშრომლობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ალიანსის ფარგლებს გარეთ არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე.

[144] www.nato.int.Strategic ConceptFor the Defence and Security of The Members of the North Atlantic Treaty Organisation"

კონცეფციაში დიდი ნაწილი ეთმობა ნატო-ს წინაშე არსებულ გამოწვევებსა და რისკებს. აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერიოდში ფართომასშტაბიანი აგრესია ნატოს წინააღმდეგ ნაკლებსავარაუდოა, გრძელვადიან პერსპექტივაში ალიანსის უსაფრთხოება რჩება სამხედრო და არასამხედრო ხასიათის რისკების ობიექტად, ხოლო ამ რისკების მრავალფეროვნების გამო ისინი ხშირად არაპროგნოზირებადია. რისკებს შორის შეიძლება დავასახელოთ ეთნიკური და რელიგიური ქიშპის, ტერიტორიული დავების, ადამიანის უფლებების შელახვის, სახელმწიფოთა რღვევის, ენერგოუსაფრთხოების, ტერორიზმის, მათ შორის კიბერტერორიზმის და სხვა ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიან გამოიწვიონ როგორც ლოკალური, ასევე რეგიონალური ხასიათის არასტაბილურობა.

მნიშვნელოვანია ნატოს დამოკიდებულება ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის შესაძლო გავრცელებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამ საქმეში გარკვეული წინსვლისა, ნატოს წინაშე პრობლემად რჩება რიგ ქვეყნებში ამგვარი იარაღის შექმნისა და გამოყენების შესაძლებლობა. ასევე ალიანსის სტრატეგიული მიზნების განხორციელების გზაზე მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორებს წარმოადგენს ისეთი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ტერორისტულ საქმიანობასთან, საბოტაჟთან, ორგანიზებულ დანაშაულთან, სასიცოცხლო რესურსების მიწოდების მოშლასთან, უკანონო მიგრაციასთან და ა.შ.

დოკუმენტის მიხედვით ალიანსი წარმოადგენს წევრი ქვეყნების კოლექტიური ძალისხმევის პრაქტიკულ გამოხატულებას, მათი საერთო ინტერესების მხარდასაჭერად.

ნატოს ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, მისი წევრი არცერთი ქვეყანა არ უნდა იყოს იძულებული დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ ძალისხმევას უსაფრთხოების ძირითად გამოწვევებთან გამკლავების საქმეში. ალიანსის სტრატეგია საშუალებას აძლევს თითოეულ წევრ სახელმწიფოს, რომ ამ ქვეყნებმა კოლექტიური ძალისხმევის მეშვეობით მოახდინონ მათი ეროვნული უსაფრთხოების არსებითი მიზნების რეალიზება.

თანაბარი უსაფრთხოების განცდას თავისი წვლილი შეაქვს ევროატლანტიკური სივრცის სტაბილურობაში.

ალიანსი ასევე მიესალმება ურთიერთთანამშრომლობას იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც იზიარებენ ნატოს ძირითად პრინციპებსა და ფასეულობებს.

სტრატეგიის ნაწილი, სადაც საუბარია ალიანსის მიზნებსა და ამოცანებზე, განსაზღვრავს იმ ძირითად მიზნებს, რომელთა მიღწევაც მომავალში ნატოს წარმატებას უზრუნველყოფს. კერძოდ, დოკუმენტის ამ ნაწილში აღნიშნულია, რომ ნატოს გრძელვადიან დანიშნულებას წარმოადგენს მისი წევრების თავისუფლების ყველანაირი პოლიტიკური თუ სამხედრო საშუალებებით დაცვა, ამ მიზნით ალიანსი ეყრდნობა იმ ძირითად ღირებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან და კანონის უზენაესობის განმტკიცებასთან. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსატლანტიკური კავშირების შენარჩუნებას ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებს შორის. ასევე, ისეთი ძირითადი მიზნის მისაღწევად – როგორიცაა კავშირი ერებს შორის, რომლებიც აღიარებენ ნატოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას – ალიანსი ადასტურებს თავის მზადყოფნას შეასრულოს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული აუცილებელი ამოცანები, რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან, კონსულტაციების გამართვასთან, შეკავებასა და თავდაცვასთან. ამ უკანასკნელში წარმატებული საქმიანობის განხორციელება თავის მხრივ დადებითად აისახება ევროატლანტიკური არეალის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერებაზე, რათა პოზიტიური მიმართულებით იქნეს შესაძლებელი ისეთი ამოცანების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია კრიზისების მართვასთან და პარტნიორიული ურთიერთობების განვითარებასთან ევროატლანტიკური სივრცის სხვა ქვეყნებთან.

დოკუმენტში ნათლადაა აღნიშნული, რომ ალიანსი არ გვევლინება როგორც რომელიმე ქვეყნის მეტოქე. ორგანიზაცია გააგრძელებს სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოების ლეგიტიმური ინტერესების პატივისცემას და კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის ძიებას. ალიანსი მომხრეა სტაბილური საერთაშორისო ურთიერთობების.

კონცეფციის ის ნაწილი, რომელიც ეხება ნატოს "სტრატეგიულ პერსპექტივებს", შესაბამის პუნქტებში აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა რომ ალიანსს უხდება ცვალებად გარემოში მუშაობა, რომლის განვითარება უკანასკნელ წლებში უმთავრესად დადებითი იყო, მაინც რჩება გაურკვევლობები და რისკები, შესაბამისად არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ არსებული გამოწვევები მომავალში შეიძლება მწვავე კრიზისში გადაიზარდოს. ამ პოტენციური კრიზისების არდაშვებისა და აღმოფხვრის მიზნით ნატო მზადაა განამტკიცოს დიალოგი სხვა ქვეყნებთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის იმუშაოს რუსეთთან ერთიანი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ჩამოყალიბებაზე ევროპაში. ამ მიმართულებით ნატოს მიერ განხორციელებული ყოველი ქმედება ასახავს მის განზრახვას გამოკვეთოს და განამტკიცოს ევროატლანტიკური არეალის მშვიდობა და სტაბილურობა.

კონცეფციის მიხედვით, ნატო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პრინციპების შესრულებას, ასევე მიესალმება ბირთვული იარაღის მკვეთრ შეზღუდვას, ქიმიური იარაღის შესახებ კონვენციის ძალაში შესვლას, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვას და ა.შ.

ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის შემდგომ პუნქტებში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ნატოს მიერ აღიარებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ფაქტორთა მნიშვნელობა უსაფრთხოების ახალი სისტემის მშენებლობაში. ასევე, აღნიშნულია, რომ ალიანსი კვლავაც რჩება უმნიშვნელოვანეს გარანტად ორგანიზება გაუკეთოს კონსულტაციებსა და ფორუმებს უსაფრთხოებისა და თავდაცვის თემატიკაზე. ამასთან იგი ისწრაფვის, დაიცვას მშვიდობა და განამტკიცოს ევროატლანტიკური უსაფრთხოება და ამ მიზნით ნატო კვლავინდებურად ცდილობს დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან და კონტროლი აწარმოოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების მიმართულებით, ასევე თვალყური ადევნოს როგორც შეიარაღების, ასევე განიარაღების პროცესებს. ნატო მტკიცედ ინარჩუნებს პოზიციას იმის შესახებ, რომ ალიანსის სიძლიერის გარანტს წარმოადგენს ტრანსატლანტიკური კავშირის გამყარება, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უსაფრთხოება არის განუყოფელი, ასევე ახალ გამოწვევებთან მზადყოფნის მიზნით ალიანსი უზრუნველყოფს შეინარჩუნოს სამხედრო პოტენციალი კოლექტიური თავდაცვის ეფექტურად წარმოების მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული იძულებისა და დაშინების ნებისმიერი მცდელობა და სამხედრო აგრესია.

სტრატეგიული კონცეფცია ასევე ყურადღებას უთმობს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის თვითმყოფადობის ფაქტორებს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ევროპელ მოკავშირეებს მიღებული აქვთ გადაწყვეტილება, თავის თავზე აიღონ მეტი პასუხისმგებლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის. ეს პროცესი თავის მხრივ ითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას ნატოსა და ევროკავშირს შორის.

მნიშვნელოვანია ნატოს როლი კონფლიქტების პრევენციისა და კრიზისების მართვის საქმეში. ამ მიზნით ნატო ესწრაფვის განამტკიცოს თანამშრომლობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე ამ ქვეპუნქტში ხაზგასმულია ალიანსის როლი 90-იან წლებში ბალკანეთში და XXI საუკუნის დასწყისში ავღანეთში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საქმეში. ასევე აღნიშნულია, რომ

ნატოს სურს თავიდან აიცილოს ომი, გაზარდოს უსაფრთხოება და სტაბილურობა ევროატლანტიკურ სივრცეში. ნატოს ნებისმიერი გადაწყვეტილება კრიზისების მართვის საქმეში ყოველთვის იქნება წევრი ქვეყნების ეროვნული კონსტიტუციების შესაბამისი. ალიანსი ყოველთვის გამოიყენებს თანამშრომლობისა და დიალოგის სხვადასხვა ფორმებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რათა წვლილი შეიტანოს კრიზისების პრევენციისა და მათ ადრეულ სტადიაზე აღკვეთის საქმეში.

ალიანსის სტრატეგიულ კონცეფციაში ნატო დიდ ყურადღებას ანიჭებს "პარტნიორობის, თანამშრომლობისა და დიალოგის" ფაქტორს, სადაც აქცენტი გამახვილებულია ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის განმტკიცებაზე. კერძოდ, ალიანსი ცდილობს რომ ევროატლანტიკურ პარტნიორობის საბჭოს წევრებს შორის ყველა საკითხში იყოს ნდობა, გამჭვირვალობა, და ამ მიზნით ნატო ახორციელებს პრაქტიკულ თანამშრომლობას როგორც კონფლიქტების პრევენციის და კრიზისების დარეგულირების კუთხით, ასევე საგანგებო მდგომარეობათა დაგეგმვის, სამეცნიერო, ეკოლოგიურ საკითხებზე მუშაობის გზითაც.

სტრატეგიულ კონცეფციაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კონტროლს შეიარაღებაზე, ასევე განიარაღებისა და გაუვრცელებლობის საკითხებს. ამ კუთხით ნატო ხელს უწყობს ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების მოქმედების შემდგომ გაგრძელებას, როგორც ევროატლანტიკური სივრცის სტაბილურობის გარანტს.

სტრატეგიული კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ალიანსის შეიარაღებული ძალების დირექტივებს, სადაც ხაზგასმულია, რომ ნატო თავისი სტრატეგიული პრინციპების თანახმად ინარჩუნებს ყველა სახის მისიის შესრულებისათვის აუცილებელ სამხედრო საშუალებებს. კვლავ არის დადასტურებული ის ფაქტი, რომ ყველა მოკავშირის უსაფრთხოება განუყოფელია. სამხედრო თავდასხმა ერთ წევრ სახელმწიფოზე ნიშნავს თავდასხმას ალიანსის ყველა წევრზე, ამიტომაც ნატოს სამხედრო ძალები მობილიზებული უნდა იყვნენ რომ ნებისმიერ დროს შეაჩერონ სამხედრო აგრესია და დაიცვან წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. მნიშვნელოვანია ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების როლი, რომელსაც ევროპის უსაფრთხოების მიზნით კონტინენტზე გააჩნია ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღება. თავად ევროპის უსაფრთხოება კი აშშ-ს უსაფრთხოების გარანტიაა. მშვიდობის უზრუნველსაყოფად ალიანსი მომავალშიც შეინარჩუნებს ევროპაში განლაგებულ ბირთვულ არსენალს, ჩვეულებრივ შეიარაღებას და იყოლიებს მათ საჭირო მზადყოფნაში.

ალიანსის შეიარაღებული ძალების უპირველესი ამოცანა მშვიდობის შენარჩუნებაა და ასევე მისი წევრი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების დაცვაა.

ნატოს მიზანია საფრთხეების პრევენცია მათ საწყის სტადიაზე. ასევე მნიშვნელოვანია ალიანსის წვლილი "პარტნიორობა მშვიდობის პროგრამის" ფარგლებში ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არის რუსეთი, უკრაინა, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები.

კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც ალიანსის წევრი ქვეყნების, ისე არაწევრი ქვეყნების სამხედრო ძალების მობილურ მზადყოფნას კომბინირებული ოპერაციების ჩატარებისათვის. ამის მისაღწევად დასახულია რიგი ღონისძიებები, კერძოდ: ნატოს ძალების მთლიანი მოცულობა უნდა შენარჩუნდეს შესაბამის დონეზე, და ისინი უნდა იყვნენ მუდმივ მზადყოფნაში; მშვიდობის დროს ალიანსის ძალების გეოგრაფიულმა გადანაწილებამ უნდა უზრუნველყოს საკმარისი სამხედრო კონტინგენტი ალიანსის მთელ ტერიტორიაზე. საჭიროების შემთხვევაში ნატო კისრულობს ალიანსის სამხედრო მისიების შესრულებას, რისთვისაც იყენებს სწრაფი რეაგირების, მობილურ, კომბინირებულ ძალებს, რაც მოითხოვს წევრი ქვეყნების გენერალურ შტაბებს შორის ურთიერთობათა კოორდინაციას.

ნატო ყურადღებას ამახვილებს სამხედრო ოპერაციების დროს ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხზე და ფართო სპექტრის მქონე პირადი შემადგენლობის მაღალ კვალიფიციურობაზე. საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ალიანსმა დამატებითი რეზერვები ჩართოს ოპერაციების განხორციელების პროცესში, მოახდინოს სარეზერვო ძალების მობილიზება და შეძლოს უფრო ქმედუნარიანი შეიარაღებული ძალების მშენებლობა. ასევე ალიანსის თავდაცვითმა სტრუქტურამ უნდა შეძლოს ბირთვულ და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების რისკებთან გამკლავება. ნატოს ინფრასტრუქტურა უნდა იყოს დაცული ტერორისტული თავდასხმისაგან.

ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია აყალიბებს ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების მახასიათებლებს. ეს ეხება ძალების სტრუქტურებს, აღჭურვილობის ხარისხს, მზადყოფნას, გამძლეობას, წვრთნასა და ვარჯიშებს, მოქმედების ადგილზე გადასხმისა და მათი გამოყენების ნაირსახეობებს, შეიარაღებული ძალების მწყობრში ყოფნისა და მობილიზაციის შესაძლებლობებს.

ალიანსის ძალების ძირითადი ამოცანები მოიცავენ ტერიტორიის გაკონტროლებას; უსაფრთხოების უზრუნველყოფას და დაცვას; საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო საკომუნიკაციო ხაზების დაუბრკოლებლივ გამოყენებას; საზღვაო კონტროლს და ალიანსის საზღვაო ბაზირების შეკავების საშუალებების გადასხმის უსაფრთხოების უზრუნველყოფას; დამოუკიდებელი და ერთობლივი საჰაერო ოპერაციების ჩატარებას; საჰაერო უსაფრთხოებისა და ქმედითი ხანგრძლივი საჰაერო დაცვის უზრუნველყოფას; დაზვერვას, რეკოგნოსცირებასა და ელექტრონული საშუალებების გამართულობას; სტრატეგიულ კავშირს; მართვისა და კონტროლის ქმედით და მოქნილ საშუალებებს.

ნატოს თავდაცვითი სტრუქტურა მიმართულია ბირთვული და ბიოლოგიური იარაღის, მათი გადაზიდვის საშუალებების გავრცელების პოტენციური რისკების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. ამავე დროს დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გრძელდება მუშაობა სარაკეტო თავდაცვითი სისტემის გასაუმჯობესებლად.

 დოკუმენტში ასევე საუბარია იმაზეც, რომ ნატო საჭიროებს საკმარის ლოჯისტიკურ საშუალებებს, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებს, სამედიცინო აღჭურვილობას და სხვ.

ალიანსი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს თანამშრომლობას ნატოს სამხედრო და სამოქალაქო ორგანოებს შორის.

მოკავშირეთა ბირთვული ძალების ძირითადი დანიშნულება პოლიტიკურია: მშვიდობის დაცვა, იძულებისა და ნებისმიერი სახის ომის თავიდან აცილება. მოკავშირეთა უსაფრთხოების გარანტია უზრუნველყოფილია ალიანსის სტრატეგიული ბირთვული ძალებით, კერძოდ შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს და საფრანგეთის დამოუკიდებელი ბირთვული ძალებით. მათ წვლილი შეაქვთ საერთო შეკავებასა და მოკავშირეთა უსაფრთხოებაში.

კონცეფციის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ ალიანსი – რომელიც შედის თავისი არსებობის მეექვსე ათწლეულში, მაქსიმალურად უნდა იყოს მობილიზებული შესაბამისი პასუხი გასცეს ახალი საუკუნის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, ხოლო ამ მიზნების განსახორციელებლად და ნატოს მომავალი სტარატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების მიზნით მნიშვნელოვანია ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის მიღება, რადგანც ეს დოკუმენტი წარმოადგენს ალიანსის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტს. სტრატეგიული კონცეფცია აყალიბებს ალიანსის უსაფრთხოებისა და თავდაცვით პოლიტიკას, მის ოპერატიულ კონცეფციას, მისი ჩვეულებრივი და ბირთვული ძალების პოზიციას, მისი კოლექტიური თავდაცვის ღონისძიებებს.

კონცეფციაში ასევე აღნიშნულია ნატოს მზადყოფნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მაქსიმალურ ძალისხმევას მოახმარს მთლიანი და თავისუფალი ევროპის მშენებლობის პროცესში.

მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნატო-ს სტრატეგიული კონცეფციის 35-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ "ნატო გააგრძელებს და განავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებს უკრაინასა და საქართველოსთან პროგრამების ნატო-უკრაინა და ნატო-საქართველო კომისიების ფარგლებში, რომელიც დაფუძნებული იქნება ნატო-ს ბუქარესტის 2008 წელს გამართულ სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, და გაითვალისწინებს თითოეული ქვეყნის ევროატლანტიკური ორინტაციის პრინციპებს".

ნატო-ს კვლევა გაფართოებაზე

1994 წელს ნატოს ბრიუსელის სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ ჩრდილოატლანტიკური კავშირის კარი ალიანსის წესდების მე-10 მუხლის შესაბამისად ღიაა სხვა ევროპული სახელმწიფოებისათვის, კერძოდ კი იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ძალუძთ განავითარონ ვაშინგტონის ხელშეკრულების მთავარი პრინციპები და შეიტანონ თავიანთი წვლილი ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსართხოების უზრუნველყოფის საქმეში.

ნატო თავისი უსაფრთხოების პრიორიტეტებს განიხილავს, როგორც ფართო კონცეფციას, რომელიც მოიცავს როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ასევე თავდაცვით და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს. უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის საფუძველი უნდა აიგოს ევროპაში არსებულ ისეთ რეგიონალური ორგანიზაციებს შორის ურთიერთქმედებით, როგორებიცაა: ევროკავშირი, დასავლეთ ევროპის კავშირი და ეუთო. თითოეული ორგანიზაციას თავისი შესაბამისი ფუნქცია და როლი ეკისრება საერთო უსაფრთხოების კონცეფციის იმპლემენტაციის საქმეში. ამ პროცესში, რომელიც საკმაოდ შორსაა წასული, ალიანსი როგორც სტაბილურობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი ქვაკუთხედი, მძლავრ, აქტიურ და არსებით როლს ასრულებს ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში. ნატო კვლავ რჩება თავდაცვით ალიანსად, რომლის ძირითადი მიზანია მშვიდობის შენარჩუნება ევროატლანტიკურ სივრცეში და თავისი წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. როდესაც ნატო ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლისა და ბრიუსელის 1994 წლის იანვრის სამიტის გადაწყვეტილების მიხედვით თავის რიგებში მოიწვევს ევროპის ახალ სახელმწიფოებს, როგორც ეს უკვე მოხდა შესაბამისად 1999, 2004 და 2009 წლებში, ეს იქნება შემდეგი ნაბიჯი, გადადგმული ალიანსის ძირითადი მიზნის-ფართო ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის კონტექსტში, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერების მიმართულებით.

ალიანსის გაფართოება მოხდება ახალი წევრი სახელმწიფოების ვაშინგტონის ხელშეკრულებასთან მიერთების მეშვეობით. გაფართოება უნდა ეთანხმებოდეს და სრულად შეესაბამებოდეს ალიანსის პრინციპებსა და მოთხოვნებს. ახალმა წევრმა მიერთების დროისათვის, ვაშინგტონის ხელშეკრულების საფუძველზე უნდა აიღოს ყველა ვალდებულება, როგორც ამას თითოეული ამჟამინდელი მოკავშირე აკეთებს.

სახელმწიფოებმა, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის ტერიტორიული დავები, ეს უთანხმოებები უნდა მოაგვარონ მშვიდობიანი გზებით, ეუთოს პრინციპების შესაბამისად. ამგვარი დავების მოგვარება იქნება ერთ-ერთი ფაქტორი, რათა ასპირანტი სახელმწიფო მოიწვიონ ალიანსში გასაწევრიანებლად. ასევე რა თქმა უნდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ნატოს მომავალი წევრი აკმაყოფილებდეს დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ყველა სტანდარტს.

გაფართოებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, მთლიანად ნატოს მიეკუთვნება და ეს იქნება თანმიმდევრული, კარგად გააზრებული და გამჭვირვალე პროცესი და ყველა დაინტერესებულ მხარესთან დიალოგზე დაფუძნებული. ასევე

აღსანიშნავია, იმისთვის რომ ახალი წევრი სახელმწიფოები მოიწვიონ ალიანსში გასაერთიანებლად, არ არსებობს კრიტერიუმის განსაზღვრული ჩამონათვალი.

გაფართოების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ინდივიდუალურ საფუძველზე. გაწევრიანების მსურველმა ზოგიერთმა სახელმწიფომ შეიძლება წევრობა სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე მიიღოს, მაგალითად როგორც ეს მოხდა 1999 წელს, როდესაც ნატომ მიიღო გადაწყვეტილება ალიანსში, მხოლოდ სამი სახელმწიფოს-ჩეხეთის, უნგრეთისა და პოლონეთის მიღების შესახებ, ხოლო დანარჩენი გაწევრიანების მსურველი ქვეყნები ორგანიზაციაში ხუთი წლის შემდეგ-2004 წელს გაწევრიანდნენ.

საბოლოოდ, კონსენსუსის საფუძველზე მოკავშირეები მიიღებენ გადაწყვეტილებას, მოიწვიონ თუ არა ალიანსში რომელიმე ახალი წევრი. აქ მნიშვნელოვან როლს სხვა ფაქტორებთან ერთად შეასრულებს ის ფაქტორიც, თუ როგორი იქნება ნატოს წევრების პოზიცია ასპირანტ ქვეყანასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელის მზადყოფნა შეიტანოს თავისი წვლილი ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებასა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ნატოს გაფართოება ასევე განხორციელდება ეუთოს სხვადასხვა დოკუმენტში დაფიქსირებული პირობების თანახმადაც, იმ დოკუმენტებისა თუ კონვენციებისა, რომლებიც ადასტურებენ საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპის პატივისცემას, მათ შორის ყველა სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ვალდებულებებს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე და ა.შ. ასევე კვლევაში აღნიშნულია, რომ ალიანსის გარეთ მყოფ არცერთ ქვეყანას არ უნდა მიეცეს ვეტოს და ასევე პროცესისა და გადაწყვეტილების მიღების დროს დოკუმენტის გაცნობის უფლება.

ნატოს კოლექტიური მექანიზმი შეეხება კოლექტიურ თავდაცვაში წვლილის შეტანას.

ნატო არსებით როლს თამაშობს ევროპის უსაფრთხოების განვითარებად არქიტექტურაში, იგი წარმოადგენს ევროპის სტაბილურობისა და მომავლის რწმენის ძირითად დასაყრდენს, ამიტომაც ნატოს ამჟამინდელი გაფართოება ეს არის, არსებული ევროპული თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ფართო ევოლუციის ერთ-ერთი ელემენტი - ნატოს გაფართოება გაგებული უნდა იქნას როგორც ფართო ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რაც გამორიცხავს, ევროპაში გამყოფი ხაზების იდეას. გაფართოებაზე ამჟამად მიმდინარე დისკუსიები მნიშვნელოვნად უფრო განსხვავებულ გარემოებებში მიმდინარეობს, ვიდრე ეს იყო ცივი ომის დროს. ამ კონტექსტში გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღებაზე უნდა ასახავდეს იმ ფაქტს, რომ უსაფრთხოების გამოწვევები და რისკები, რომელთა წინაშეც ამჟამად ნატო იმყოფება, განსხვავებული ხასიათისაა, წარსულში არსებულ რისკებთან შედარებით. ნატოს უნდა შეეძლოს ასეთ რისკებსა და გამოწვევებზე რეაგირება, თუკი მას სურს ევროპის სტაბილურობა და ძველი და ახალი წევრების უსაფრთხოების დაცვა. ნატოს გაფართოება ეს არის ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური და, უსაფრთხოების სფეროს განვითარების ნაწილი. ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა შედგება ევროპული ინსტიტუტების და ტრანსატლანტიკური ინსტიტუტებისაგან. თავის მხრივ ნატომ განავითარა თანამშრომლობის მექანიზმი ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში. ასევე აღსანიშნავია, რომ გაფართოება მნიშვნელოვანია ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც უახლეს დროში ან საერთოდ არ აპირებენ გახდნენ ალიანსის წევრები.

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია გაფართოების შესახებ მოლაპარაკების დროს ნატოს წევრი სახელმწიფოების და აგრეთვე არაწევრი სახელმწიფოების უსაფრთხოება.

არსებობს რამდენიმე ინსტიტუტი, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში, ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეუთო. ეუთოსა და ნატოს საქმიანობა ავსებს ერთმანეთს. 21-ე საუკუნის ევროპული უსაფრთხოების მოდულის თაობაზე ეუთოს დისკუსიებში უნდა აისახოს ნატოს გაფართოების პროცესი.

გაძლიერებული ეუთო, გაფართოებული ნატო, აქტიური ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო და პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამა სხვა ფორუმებთან ერთად ქმნიან: ფართო, ყოველსმომცველი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც მხარს უჭერენ, განუყოფელი ევროპის მიზნებს.

პაქტი ევროპის სტაბილურობის შესახებ, წარმოადგენს მთელს ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ფუნდამენტურ საფუძველს. ალიანსის გაფართოება მიმართულია ევროატლანტიკურ სივრცეში, სტაბილურობის გამყარებისა და ყველა ნატოს წევრი და ასევე სხვა ქვეყნების უსაფრთხოების გაძლიერებისაკენ.

რაც შეეხება ნატოსთან ერთად ევროკავშირის გაფართოების პროცესს, აღნიშნული ორი ორგანიზაციის გაფართოება განხორციელდება ავტომატურად მათი შესაბამისი შიდა დინამიკის და პროცესების პარალელურად, ამიტომ თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ მათი განვითარების პროცესი სწორად მიმართული იყოს ევროპის სტაბილურობისა და უშიშროების მიზნისაკენ. ევროკავშირის წევრები ახორციელებენ ერთიან ეკონომიკურ და უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც უნდა მოიცავდეს კავშირის უშიშროებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. დოკუმენტში ასევე ყურადღება ეთმობა ევროპის რიგ სახელმწიფოთა ინიციატივით შექმნილ დასავლეთ ევროპის კავშირს. დასავლეთ ევროპის კავშირი წარმოადგნეს უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფის განუყოფელ ნაწილს. ერთის მხრივ ევროპის თავდაცვითი კავშირის ძირითად კომპონენტს და მეორეს მხრივ ატლანტიკური ალიანსის ევროპულ დასაყრდენს. დასავლეთ ევროპის კავშირის ყველა სრულუფლებიანი წევრი ამავე დროს არის ნატოს წევრი. მოდიფიცირებული ბრიუსელის ხელშეკრულების მე-5 მუხლის (1954 წელს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ხელმოწერილი დოკუმენტი) და ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლში გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, ნატოსა და დეკ-ს შორის კავშირის შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანია. ნატოს, ევროკავშირისა და დასავლეთ ევროპის კავშირის, წევრობის თანმიმდევრობობას დადებითი გავლენა უნდა ჰქონდეს ევროპის უსაფრთხოებაზე.

კვლევაში გაფართოების შესახებ ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ევროპის სტაბილურობისა და უსაფრთხოების საქმეში. ნატო და რუსეთი შეთანხმდნენ, რომ დაიწყებენ აქტიურ, გაფართოებულ დიალოგსა და თანამშრომლობას იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ რუსეთს შეუძლია უნიკალური და მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს, თავისი პასუხისმგებლობის შესაბამისად, როგორც მნიშვნელოვანმა ევროპულმა, საერთაშორისო და ბირთვულმა ძალამ. ამავე დროს აღნიშნულია, რომ არც ნატოს, და არც რუსეთის მხარისაგან არ უნდა იქნას მიღებული რაიმე "მოულოდნელი" გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას იქონიებს მეორე მხარის ინტერესებზე.

გაფართოების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა წარიმართოს ვაშინგტონის ხელშეკრულების შესაბამისად. თითოეული ქვეყნის მოწვევა უნდა გადაწყდეს მისი საკუთარი დამსახურებით. ნატოს გაფართოების შესახებ დისკუსიის კონტექსტში უკვე გამოითქვა შეშფოთება, რომ ახალ წევრს შეუძლია "კარი დახუროს" მის შემდეგ სხვა ახალი ქვეყნის მიღებისთვის მომავალში, რომლებიც შეიძლება ასევე ისწრაფვოდნენ ნატოს წევრობისაკენ. ასეთი სიტუაცია თავიდან უნდა იქნა აცილებული. ალიანსს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში, მოლაპარაკებათა პროცესის წარმოებისას, წამოაყენოს სპეციფიკური პოლიტიკური პირობები გაწევრიანების შესახებ.

პროგრამას “პარტნიორობა მშვიდობისათვის” შეუძლია ასევე ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ნატოს გაფართოების პროცესში: პროგრამაში მონაწილეობის პერიოდში შესაძლო წევრობის კანდიდატებს დაეხმაროს, მოამზადოს ისინი საბოლოო გაწევრიანების პერიოდამდე ნატოს ძირითადი სტანდარტების დაკმაყოფილების მიმართულებით, განამტკიცოს ურთიერთობა პარტნიორებთან.

ნატოს არაწევრ, ეუთოს ქვეყნებთან პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობის პროგრამებში, “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომელიც აღრმავებს ურთიერთქმედებას, თანამშრომლობასა და სტაბილურობას ევროპაში და ხელს უწყობს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების საერთო მიზნის განხორციელებას.

“პარტნიორობა მშვიდობისათვის”, პროგრამის ჩარჩოებში თანამშრომლობის გადამწყვეტ ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პარტნიორებმა დაადასტურეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ეუთოს პრინციპების ერთგულება და ნდობა. რაც შეეხება იმ ქვეყნებს რომლებიც გარკვეულ ეტაპზე ვერ გახდნენ ალიანსის წევრები ან არ გააჩნიათ განზრახვა გახდნენ ნატოს წევრები, როგორც “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის, ისევე როგორც ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ფარგლებში ალიანსი მომავალშიც მხარს დაუჭერს დოკუმენტს ნატოსთან ამ ქვეყნების აქტიური თანამშრომლობის განვითარებისათვის.

“პარტნიორობა მშვიდობისათვის” საქმიანობა და პროგრამები ღიაა ყველა პარტნიორისათვის, რომლებიც თავად წყვეტენ რა ტიპის შესაძლებლობები გამოიყენონ და რა ინტენსივობით ითანამშრომლონ ალიანსთან ამ პროგრამის ფარგლებში. პროგრამაში აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მომავალი ახალი წევრის ალიანსთან მისაერთებლად მომზადების პროცესში, თუმცა ეს არ გახლავთ გაწევრიანების საბოლოო გარანტია. ალიანსის პოტენციურ ახალ წევრებს ”პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამაში მონაწილეობა ხელს შეუწყობს პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, გააცნობს მათ ჩრდილოატლანტიკური კავშირის სტრუქტურასა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, აგრეთვე ხელს შეუწყობს პარტნიორ სახელმწიფოებს რათა მათ უფრო საფუძვლიანად გაიაზრონ ის პასუხისმგებლობები და მოვალეობები, რომლებიც მათ დაეკისრებათ ალიანსში გაწევრიანებაზე სურვილის გამოხატვის შემთხვევაში.

ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური პრიორიტეტები

ამერიკის შეერთებული შტატებმა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებიდან ერთი საუკუნის განმავლობაში შიდა პოლიტიკური პროცესების გავლენისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე დინამიურად განვითარებული საერთაშორისო მოვლენების განვითარებას შედეგად, შეძლო მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფოდ გადაქცევა.

როგორც ცნობილია, ამერიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1776 წელს. უკვე XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, ქვეყანამ მეტად სწრაფად დაიწყო ახალი ტერიტორიების ათვისება და გაფართოება. ჯერ კიდევ 1803 წელს, აშშ-მ საფრანგეთისაგან მინიმალურ ფასად შეიძინა ლუიზიანა, ხოლო 1819 წელს ესპანეთი აიძულა მისთვის ფლორიდა მიეყიდა.

ზემოაღნიშნული ტერიტორიული გაფართოების შემდეგ, ამერიკამ XIX საუკუნის 20-იან წლებში “მონროს დოქტრინის” გამოცხადებით, ოფიციალურად განაცხადა თავისი პრეტენზიები დასავლეთ ნახევარსფეროს უსაფრთხოებაზე თავისი პასუხისმგებლობის აღების შესახებ. 1845 წელს აშშ-მ მექსიკას ჩამოაცილა ტეხასი, 1846 წელს შეიძინა ინგლისის ტერიტორია ორეგონი. 1848 წელს ამერიკა-მექსიკის ომის შედეგად აშშ-მ თავის სამხრეთელ მეზობელს ჩამოაცილა მისი

თანამედროვე ტერიტორიის თითქმის ნახევარი, რომელზეც დღევანდელ დღეს განლაგებულია აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთი შტატები. 1867 წელს რუსეთისაგან შეისყიდა ალიასკა. პანამის არხის მშენებლობის შემდეგ აშშ-ის ამბიციები კიდევ უფრო გაიზარდა. ზემოაღნიშნული არხი უადვილებდა აშშ-ს, თავისი სამხედრო-საზღვაო უპირატესობის მოპოვებას როგორც ატლანტის, ისევე წყნარ ოკეანეში.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 1898 წელს გამართული აშშ-ესპანეთის ომი გახლდათ აშშ-ის პირველი ომი ამერიკის კონტინენტის ფარგლებს გარეთ, როდესაც აშშ-მ შეძლო ესპანეთისთვის წაერთმია ფილიპინები, პუერტო-რიკო, კუნძული გუამი, ხოლო კუბა გადაქცეულ იქნა აშშ-ის გავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ. XX საუკუნის დასაწყისში სტრატეგიული დაგეგმვის ამერიკელმა სპეციალისტებმა დაიწყეს სხვადასხვა სტრატეგიული დოქტრინების შემუშავება ორ ოკეანეში სამხედრო-საზღვაო ბატონობასთან დაკავშირებით.

აშშ-ის გეოპოლიტიკური ამბიციების ზრდა განპირობებული იყო ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციით. უკვე პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე აშშ-ის ეკონომიკური პოტენციალი შეადგენდა მსოფლიოს მშპ-ის 33%-ს.

პირველი მსოფლიო ომი წარმოადგენდა ქვეყნისთვის პირველ შესაძლებლობას გადაესროლა აშშ-ის სამხედრო ქვედანაყოფები ევროპაში. სახელმწიფომ, რომელიც იმ პერიოდში იმყოფებოდა შედარებით იზოლაციაში, სწრაფად გადასხა ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს თავისი შეიარაღებული ძალები, რომელთა რაოდენობა ასეულ ათასს აღემატებოდა. ეს გახლდათ პირველი დადასტურება საერთაშორისო არენაზე ახალი მსხვილი მოქმედი პირის გამოჩენის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში აშშ-ში დომინირებდა ე.წ. იზოლაციონიზმის პოლიტიკა, როდესაც ამერიკული სტრატეგია მიმართული იყო თავისი სანაპიროების დაცვისაკენ და XX საუკუნის 30-იან წლებში მთავარ საერთაშორისო მოთამაშეებად რჩებოდნენ ევროპული სახელმწიფოები და სულ უფრო იზრდებოდა აგრეთვე იაპონიის როლი, უკვე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, მსოფლიო პოლიტიკაში ევროპული ერა დასრულდა, და შესაბამისად გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე უკვე გაჩნდა ორი არაევროპული სუპერსახელმწიფო, აშშ და საბჭოთა კავშირი.

მოკლედ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აშშ-ის სუპერსახელმწიფოდ გადაქცევას ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომის დროს წამყვანი ევროპული სახელმწიფოების დასუსტებამ (მათ შორის გამარჯვებული დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის), აგრეთვე იმან, რომ აშშ-მა გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანული ფაშიზმისა და იაპონური მილიტარიზმის დამარცხებაში და იმ ფაქტმაც, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ის ეკონომიკა ძალიან სწრაფად გაიზარდა. კერძოდ, 1943 წლისათვის ქვეყანაში სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის ორჯერ მეტი იყო, ვიდრე 1937 წელს, რაც დაკავშირებული იყო მეომარი ქვეყნებისათვის დიდი მოცულობის შეკვეთების შესრულებასთან[145].

ამავე დროს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-ის მიერ მსოფლიო ჰეგემონობის მოპოვების გზაზე მთავარ წინაღობას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი. გამომდინარე აქედან, ამერიკა გასული საუკუნის 40–იანი წლების მეორე ნახევრიდან, მსოფლიოში მოსალოდნელი კომუნისტური ექსპანსიის შეჩერებისათვის, მეტად აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა. გარდა ამისა, ნატო-ს შექმნის შემდეგ, აშშ-იმ აიღო მთავარი პასუხისმგებლობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ამიტომაც იყო, რომ ნატო-ს ევროპელი მოკავშირეების ტერიტორიაზე 200-ზე მეტი აშშ-ის სამხედრო ბაზისა და სამხედრო ობიექტის განთავსება განხორციელდა ნებაყოფლობით საფუძველზე, აშშ-ისა და მისი ევროპელი მოკავშირეების ინტერესების ურთიერთგათვალისწინებით.

[145]დავით ძნელაძე. მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი, 1997. გვ.217

მოსალოდნელი კომუნისტური ექსპანსიის საპირწონედ, ამერიკის პოლიტიკური და სამხედრო წრეების მიერ შემუშავებულ იქნა სხვადასხვა საგარეო-პოლიტიკური დოქტრინები და სამხედრო სტრატეგიები.

აშშ-ის მიერ "ცივი ომის" პერიოდში სხვადასხვა საგარეო-პოლიტიკური დოქტრინებიდან ცნობილია "შეკავების", "ტრუმენის დოქტრინის", "განთავისუფლების", "ეიზენჰაუერის", "ნეიტრალიტეტის ამორალობის", "ხიდების გადების," "გუამის დოქტრინა", "კარტერის დოქტრინა" და ა.შ.

რაც შეეხება აშშ-ის სამხედრო სტრატეგიებს, აქ აღსანიშნავი იყო "პირველი დარტყმის," "გარანტირებული განადგურების", "კონტრდარტყმის", "სტრატეგიული სტაბილურობის", "საჰაერო-სახმელეთო ოპერაციების" სტრატეგიები.

აშშ-ის სამხედრო უპირატესობა საბჭოთა კავშირთან შედარებით "ცივი ომის" პერიოდში საგრძნობი იყო. თუ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირს სამხედრო ბაზები გააჩნდა კომუნისტურ ბლოკში შემავალ მხოლოდ 5-6 სახელმწიფოში, აშშ-ს 80-იანი წლების ბოლოს გააჩნდა 1600-მდე სამხედრო ბაზა 34 სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლებშიც ერთობლივად მუდმივად იყო დისლოცირებული 500 ათასამდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. მათ შორის აღსანიშნავია, რომ აშშ-ის მძლავრი ბაზები გააჩნდა უშუალოდ საბჭოთა კავშირის საზღვრების სიახლოვეს, კერძოდ თურქეთში განთავსებული იყო 7 სამხედრო ბაზა, ხოლო საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის საზღვრებთან, შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის რეგიონში, აშშ იყენებდა 350-მდე სამხედრო ბაზასა და ობიექტს, მათ შორის "ცივი ომის" დამამთავრებელ ეტაპზე 40 სამხედრო ბაზა ფუნქციონირებდა სამხრეთ კორეაში, 32 იაპონიაში და ა.შ. ამავე დროს აღსანიშნავია, აშშ-ის ეკონომიკის მაღალი დონე, რაც საშუალებას იძლეოდა გამოყოფილიყო სოლიდური თანხები თავდაცვაზე. ამასთანავე, ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების სოციალურმა დაცვამ, არმიის პროფესიონალურ ყაიდაზე გადასვლამ და სწორმა სამხედრო-პოლიტიკურმა იდეოლოგიამ განაპირობა აშშ-ის არმიის მაღალი ბრძოლისუნარიანობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამერიკის სამხედრო მშენებლობაში მონაწილეოდნენ და დღესაც მონაწილეობენ მსოფლიოს უძლიერესი კომპანიები, რომლებიც უზარმაზარ შეკვეთებს იღებდნენ პენტაგონისაგან. ამ კომპანიათა შორის აღსანიშნავია "ჯენერალ დაინემიკსი", "მაკკონელ დუგლასი", "ჯენერალ ელექტრიკი", "ლოკჰიდი", "როკუელ ინტერნეშენელი", "იუნაიტიდ ტექნოლოჯიზ" და სხვ.[146]

მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ცივი ომის დაწყებიდანვე აშშ-ის უკვე დიდი ეკონომიკური უპირატესობა გააჩნდა საბჭოთა კავშირის წინაშე. მაგალითად, თუ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სამხედრო შეკვეთების შედეგად აშშ-ის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა 1939-1945 წლებში გაიზარდა 93%-ით, ხოლო სამრეწველო წარმოება დაახლოებით 2,5-ჯერ, საბჭოთა კავშირის მატერიალურმა ზარალმა ამავე პერიოდში შეადგინა 4 ტრილიონი საბჭოთა მანეთი. ზემოაღნიშნულის შედეგად, აშშ-ს ცივი ომის დაწყების პირველი წლებიდანვე მიეცა საშუალება გაეწია მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარება თავისი დასავლეთ ევროპელი მოკავშირეებისათვის. აქ რა თქმა უნდა აღსანიშნავია როგორც "მარშალის გეგმა", როდესაც როგორც ცნობილია დასავლეთ ევროპამ 1948-1952 წლებში მიიღო დაახლოებით 17 მილიარდი აშშ დოლარი, აგრეთვე 1950 წელს გამოყოფილი 900 მილიონი აშშ დოლარი სამხედრო დახმარების პროგრამებისა და ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

უკვე 1982 წელს, აშშ-ის შიდა ეროვნული პროდუქტი შეადგენდა 3 ტრილიონ 905 მილიარდს, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის მეპ-ი 1 ტრილიონ 266 მილიარდს. თუ აშშ-ში ეს მაჩვენებელი 1991 წლისათვის გაიზარდა და მიაღწია 5 ტრილიონ 112

[146] ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი, 2008. გვ. 51

მილიარდს, საბჭოთა კავშირში პირიქით, იგი 1 ტრილიონ 184 მილიარდ დოლარამდე შემცირდა.[147]

ასევე, აღსანიშნავია, რომ თუ იგივე აშშ-ის შეეძლო ეწარმოებინა სამწლიანი ომი კორეაში 50-იანი წლების დასაწყისში და შემდგომ ათწლიანი ომი ვიეტნამში 60-იანი წლების განმავლობაში და 70-იანი წლების დასაწყისში და საერთო ჯამში "ცივ ომში" გამარჯვებისათვის დაეხარჯა დაახლოებით 5 ტრილიონი დოლარი, ეკონომიკურად ჩამორჩენილი სსრკ-ისათვის დამღუპველი აღმოჩნდა ავღანეთში სამხედრო ოპერაციების წარმოება. ამიტომაც, უკვე ცივი ომის დამამთავრებელ ეტაპზე სსრკ-ის უკვე ვეღარ შეეძლო განეხორციელებინა აშშ-ის მიერ წარმოდგენილი "სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" ანალოგიური პროგრამა, რამაც სსრკ აიძულა მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო დასავლეთის წინაშე.

დიდი როლი აშშ-ის გამარჯვებაში აგრეთვე ითამაშეს საინფორმაციო საშუალებებმა, რომელთა მეშვეობითაც ხერხდებოდა სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. ამ მხრივ, პირველ რიგში აღსანიშნავია აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო "იუსია"-ს ქვეგანყოფილება - რადიოსადგური "ამერიკის ხმა", რომელიც ეწეოდა მაუწყებლობას მსოფლიოს 44 ენაზე. "ამერიკის ხმასთან" მჭიდროდ თანამშრომლობდა რადიოსადგური "თავისუფლება" და "თავისუფალი ევროპა", რომლებიც ფუნქციონირებდნენ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. ამ მაუწყებლობების კონტროლს ახორციელებდა საერთაშორისო რადიომაუწყებლობის საბჭო, რომელიც 1973 წელს შეიქმნა.

გარდა ამისა, საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის შემუშავების საკითხებში დიდი როლი ითამაშეს ისეთმა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრებმა, როგორებიცაა "რენდ კორპორეიშენი", ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრმა, კარნეგის, ფორდის და როკფელერის ფონდებმა, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ხელისუფლებაში მყოფ ადმინისტრაციებთან. დასავლეთის მხრიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ზრდიდა სიმპატიას აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობაში დასავლეთის დემოკრატიის მიმართ.

აშშ-ს როლი დიდ საჭადრაკო დაფაზე

"ცივი ომის" დასრულების შემდგომი პერიოდი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ძალიან საინტერესო კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ქვეყანამ, რომელმაც დროის არც თუ ისე დიდ მონაკვეთში მოახერხა გამხდარიყო მსოფლიო ლიდერი, და წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს, არ შეიძლება ინტერესი არ გამოიწვიოს.

დღევანდელ დღეს, ამერიკისათვის მისი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების წარმატებით განვითარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ევრაზიის კონტინენტს. საუკუნეების მანძილზე მსოფლიოს ევრაზიული ძალები განკარგავდნენ, მაგრამ დღეს ევრაზიის მნიშვნელოვან ნაწილში არაევროპული ძალა დომინირებს და ამერიკის გლობალური პირველობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ხანს და რამდენად ეფექტურად შეინარჩუნებს იგი თავის გავლენას ევრაზიის სხვადასხვა რეგიონში. აშშ, არაევრაზიული ძალაა, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე პირველობს და ევრაზიაში ძალაუფლების გავრცელებას ცდილობს. ევრაზიის რამდენიმე უდიდესი სახელმწიფო აშშ-ის პოტენციური მეტოქეს წარმოადგენს და ეს სახელმწიფოები ეტაპობრივად სულ უფრო და უფრო ძლიერდებიან (რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი). აქედან გამომდინარე, აშშ-მ ისეთი

[147] ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი, 2008. გვ. 52

გეოსტრატეგია უნდა შეიმუშაოს, რათა ევრაზიის სხვადასხვა რეგიონში თავისი ინტერესები დიდი ხნის მანძილზე განახორციელოს.

აშშ-ის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ევრაზიის კონტინენტზე (და ასევე მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც) თავისი გეოპოლიტიკური გავლენის განმტკიცებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო აშშ-ის კეთილდღეობისთვის, არამედ საერთაშორისო მშვიდობისთვის. წარმატებული მოწინააღმდეგის გამოჩენამ შესაძლოა მასიური საერთაშორისო არასტაბილურობა გამოიწვიოს.

ევრაზია ყველაზე დიდი კონტინენტია. მსოფლიო მოსახლეობის 75% ევრაზიაში ცხოვრობს და მსოფლიო სიმდიდრის უმეტესი ნაწილიც აქ არის. სე რომ, ევრაზიის ერთიანი ძლიერება ამერიკის შეერთებული შტატებისას გადაწონის, მაგრამ აშშ-ის საბედნიეროდ ევრაზია ძალიან დიდია იმისათვის (კონტინენტზე მდებარეობს 80-ზე მეტი სახელმწიფო), რომ ერთ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდეს. ამიტომაც, იგი არის დიდი საჭადრაკო დაფა, რომელზედაც გრძელდება თამაში მსოფლიო ბატონობისათვის. ოვალური ფორმის ევრაზიული საჭადრაკო დაფა უამრავ რეგიონულ მოთამაშეს მოიცავს. მთავარი მოთამაშეები დაფის დასავლეთით, აღმოსავლეთით, სამხრეთით და ცენტრში არიან განლაგებულნი. საჭადრაკო დაფა გადაჭიმულია ლისაბონიდან ვლოდივოსტოკამდე. ეს მეგაკონტინენტი უბრალოდ იმდენად დიდი, მჭიდროდ დასახლებული, კულტურულად ნაირგვარია და ისტორიულად იმდენად ამბიციური ქვეყნებისგან შედგება, რომ საეჭვოა ისინი დათმობებზე წავიდნენ თუნდაც ისეთ წარმატებულ სახელმწიფოსთან, როგორიცაა აშშ. [148]

აშშ-ევროკავშირი

"ცივი ომის" დასრულების შემდეგ ბევრი პოლიტიკური მოღვაწისა თუ დამოუკიდებელი ანალიტიკოსების აზრით, ამერიკა-დასავლეთ ევროპის ალიანსმა-რომელსაც უკვე აღარ ჰყავდა მოწინააღმდეგე საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ბლოკის სახით დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ახალი გეოპოლიტიკური რეალობების გათვალისწინებით, მისი მნიშვნელობა თანდათანობით დაკნინდებოდა, თუმცა, საერთო მტრის და საფრთხის განეიტრალება არ აღმოჩნდა საკმარისი წინაპირობა ამ სტრატეგიული კავშირის შესასუსტებლად და ორ მხარეს შორის თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა არანაკლებ სახიფათო გამოწვევების საპასუხოდ, საერთო დემოკრატიულ ფასეულობებზე დაყრდნობით და საერთო მიზნების მისაღწევად. თუმცა მეორეს მხრივ, აღსანიშვნავია ის ფაქტიც, რომ "ცივი ომის" დასრულების შემდეგ შეიქმნებოდა იმის პრობლემა, რომ იმ დროისათვის თექვსმეტი წევრი სახელმწიფო (1992 წელს ევროკავშირის წევრთა რაოდენობა 16-ს შეადგენდა) განსხვავებულად დაინახავდა და შეაფასებდა ამერიკა-დასავლეთ ევროპის კავშირის როლს და კომპეტენციას. მიუხედავად საერთო ფასეულობებისა, ზოგადი მიზნებისა და შეთანხმებებისა ახალ საფრთხეებთან და ახალ გამოწვევებთან დაკავშირებით, განსხვავებული შეიძლება ყოფილიყო ქვეყნების საგარეო პოლიტიკური და უსაფრთხოების პრიორიტეტები, ასევე ის, თუ როგორ შეაფასებდა დასავლეთის სამყაროს თითოეული სახელმწიფო აშშ-დასავლეთ ევროპის ალიანსის წინაშე არსებულ საერთო საფრთხეს. ამიტომაც, უკვე გასული საუკუნის 90-იან წლებში აქტუალური გახდა საუბარი ამერიკის და ევროპის თანამშრომლობის ნაკლებეფექტიანობაზე. ევროკავშირის ფარგლებში მომხდარმა ცვლილებებმა და ამ ორგანიზაციის გავლენის გაძლიერებამ პოლიტიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოებისა და სამხედრო თვალსაზრისით და ევროკავშირის შიგნით დაწყებულმა დებატებმა ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების ახალ პოლიტიკასთან დაკავშირებით, გამოკვეთა ევროპის რეგიონალური ინტერესები და ალბათობა, რომ ევროპა რეგიონალურ სტაბილურობას არ დააყენებდა საფრთხის

[148]Zbigniew Brzezinski. The Grand Chessboard. P. 137

ქვეშ გლობალური საკითხების გამო. “საერთო მტრის წინააღმდეგ შეკრული ალიანსი ცხადი და გასაგებია. ბევრად უფრო რთულია ომის შემდგომ, მშვიდობის და გამარჯვების მონაპოვრის დასაცავად შენარჩუნებული ალიანსი.” ეს სიტყვები ეკუთვნის დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს და მისი ეს სიტყვები აქტუალური და ადექვატური, არა მხოლოდ 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გახდა, არამედ ისინი აქტუალურია ცივი ომის შემდეგაც არსებული გეოპოლიტიკური რეალობების დროსაც. ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებში განსხვავებული ხედვა გავლენას ახდენს თუნდაც ნატოს შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და საერთო ჯამში მის ეფექტიანობაზეც.

ექსპერტები ბარველი და დაალდერი გამოყოფენ სამ მნიშვნელოვან სხვაობას ევროპისა და აშშ-ის სტრატეგიაში. აშშ-როგორც სუპერსახელმწიფოს სტატუსის მქონე სახელმწიფო მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს გლობალური მასშტაბით აფასებს, მისი ევროპელი მოკავშირეები და მთლიანად ევროკავშირი კი რეგიონალურით. აშშ ამა თუ იმ რეგიონში არსებული რეალობების გათვალისწინებით პრიორიტეტს ანიჭებს ინდივიდუალურ ქმედებებს, დასავლეთ ევროპა კი საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით: აშშ-ს უფრო რადიკალური პოზიცია გააჩნია და არ გამორიცხავს საკითხის სამხედრო გზით გადაჭრას (როგორც ეს იყო ავღანეთის, კოსოვოსა და განსაკუთრებით ერაყის შემთხვევებში), დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნაწილი კი პრიორიტეტს ანიჭებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

1990-იან წლებში მაასტრიხტის, ამსტერდამისა და ნიცის სამიტების დროს ევროკავშირმა უსაფრთხოების სფეროში გაატარა მთელი რიგი რეფორმები, რომლებმაც ხელი შეუწყო რეგიონის გაძლიერებას. მათგან პირველ რიგში რა თქმა უნდა, უნდა აღინიშნოს ის ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის რეფორმები, რომლებიც საშუალებას აძლევს ევროკავშირს საერთაშორისო ასპარეზზე შეასრულოს ცალკე მოთამაშის როლი. რა თქმა უნდა ევროკავშირის გაძლიერება და ამ ორგანიზაციის მიერ დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება არ ნიშნავს ამერიკასთან თანამშრომლობის შეწყვეტას ან მასთან დაპირისპირებას, როგორც ამას ზოგიერთი მკლევარი ვარაუდობს. მარშალის გეგმიდან მოყოლებული, ევროპა-აშშ-ის თანამშრომლობა ორმხრივად მომგებიანი იყო და არც ამერიკის და არც ევროპის წინაშე დგას ამ ტრანსატლანტიკური კავშირის შესუსტების აუცილებლობა. თუმცა “ცივი ომის” პერიოდისაგან განსხვავებით 90-იანი წლებიდან ევროკავშირის მიერ გატარებული პოლიტიკა ევროპის სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას საჭიროების შემთხვევაში გაატაროს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებული პოლიტიკა.

სხვაობა ამერიკულ და ევროპულ ინტერესებში

1992 წელს, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული, ჯონ ოლინის სახელობის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი სამუელ ჰანტიგტონი წერდა: “საერთო მტრის არარსებობა, რომელიც მოკავშირეებს აერთიანებთ, აუცილებლად მიგვიყვანს მათ შორის არსებული წინააღმდეგობების გაზრდამდე.”[149] რიგ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით ამერიკას და ევროპას მართლაც აღმოაჩნდათ განსხვავებული ინტერესები, რაც ობიექტურად არსებული ისტორიული, კულტურული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური მიზეზებით და თავისებურებებით არის განპირობებული. ჟორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის

[149] ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი, 2008. გვ. 123

პროფესორი ჰ. ნეი ევროპის პოზიციის შესახებ წერდა: "თავის დროზე ევროპას, რომ გამოეყო მნიშვნელოვანი ძალები საუდის არაბეთის და სპარსეთის ყურის დასაცავად, დღეს ასეთი ერთსულოვანი იქნებოდა ერაყის და სადამ ჰუსეინის მიმართ? კორეაში 38-ე პარალელზე ევროპას 37 000 ჯარისკაცი რომ ჰყავდეს და კიდევ 40 000 იაპონიაში, ასეთივე დაინტერესებული იქნებოდა ჩრდილოეთ კორეის დაშოშმინებით, საინჟინრო ნაღმების აკრძალვით, რომლებიც იქ მყოფ ამერიკელ ჯარებს იცავენ, ან რაკეტსაწინააღმდეგო ჭურვების აკრძალვით, რომლებიც საზღვრებს გარეთ მყოფი ამერიკელი ჯარისკაცების უსაფრთხოების გარანტიაა".[150]

რუსი მეცნიერის უტკინის აზრით, ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, რომელიც განაპირობებს ამერიკის და ევროპის განსხვავებულ ინტერესებს არის ის, რომ დასავლეთი ევროპა დიდწილად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთიდან და რუსეთიდან ენერგიის ექსპორტზე, ხოლო ენერგომატარებლების იმპორტის შეწყვეტა ან დროებითი შეჩერება გამოიწვევდა ევროკავშირის ეკონომიკის კოლაფსს. ევროკავშირისგან განსხვავებით აშშ შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთიდან ენერგიის იმპორტზე. ამერიკას შეუძლია ისლამურ სამყაროსთან დაპირისპირების შემთხვევაში აამოქმედოს თავის ნავთობის რეზერვები და გაზარდოს ნავთობის იმპორტი ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, თუნდაც იგივე ვენესუელის ნავთობის ხარჯზე, მიუხედავად ამ ქვეყანაში არსებულ რეჟიმისა, რომელიც აშშ-ის ხელისუფლებას ღიად უპირისპირდება. ვენესუელამ 1990-იან წლებში ნავთობმოპოვება დღეში 3 მილიონ ბარელამდე გაზარდა და დღევანდელ დღეს ამერიკულ ბაზარზე ნავთობის ერთ-ერთი პირველი მიმწოდებელია. გარდა ამისა, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკამ გააფართოვა კავშირები კანადის ნავთობმომპოვებელ რეგიონებთან, ნავთობით მდიდარ მექსიკასთან, ნიგერიასთან. გარდა ამისა აშშ-ის ევროპისგან განსხვავებით (რომელიც დიდწილადაა დამოკიდებული რუსეთის გაზზე) ჰყავს ბუნებრივი აირის საიმედო მიმწოდებელი, ნატოს წევრი სახელმწიფო კანადის სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იგივე ენერგომატარებლების იმპორტში არსებული ინტერესების სხვაობა იწვევს პოლიტიკური პოზიციების სხვაობას. ამერიკა უფრო აქტიურადაა ჩარეული და მხარს უჭერს ისრაელს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში. ამერიკამ ბოროტების ღერძის ქვეყნები უწოდა ირანს და ერაყს (რასაც მოგვიანებით მიუმატა ლიბია და სირია). ამერიკას მისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით შეუძლია აწარმოოს ომი ავღანეთში, ერაყში, არ გამოიყვანოს ჯარები არაბეთის ნახევარკუნძულზე ან შორეულ აღმოსავლეთში მოქმედი ბაზებიდან, თუმცა ევროკავშირს ამ მხრივ განსხვავებული მიდგომა გააჩნია და სურს თავიდან აიცილოს 1973 წლის მსგავსი ნავთობის კრიზისი.

ევროკავშირისა და ნატოს წამყვან ევროპულ სახელმწიფოების გარკვეულ ნაწილს განსხვავებული პოზიცია აქვთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებითაც. რაც ნათლად გამოჩნდა ნატოს 2008 წლის აპრილში გამართული ბუქარესტის სამიტის დროს. ზოგიერთი წამყვანი სახელმწიფო კმაყოფილი იქნებოდა, თუ ახალი წევრების მიღების შემდეგ ნატო რამდენიმე ხანს დაისვენებდა და იგივე რუსეთთან ურთიერთობას კიდევ ერთხელ არ დაძაბავდა, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც 2008 წლის თებერვალში დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ რუსეთის პროტესტის მიუხედავად ცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, აშშ-ის დასავლეთ ევროპელი მოკავშირეების შეშფოთებას იწვევს ევროატლანტიკური სივრცის საზღვრებს მიღმა ეთნიკურ კონფლიქტებში შესაძლებელი ჩათრევა, რისი შემთხვევაც უკვე იყო ბოსნიისა და კოსოვოს კონფლიქტების დროს. ამას გარდა, სტრუქტურული თვალსაზრისით, კონფლიქტებში ჩართვა-არჩართვასთან დაკავშირებით არ არის ადვილი ამერიკასა და ევროპას შორის კომპრომისის მიღწევა.

[150] იქვე

ამერიკელებსა და ევროპელებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სხვაობაა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერი არასამართლებრივად მიიჩნევს ვაშინგტონის გადაწყვეტილებათა შეუსაბამობას საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპებთან, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული სამხედრო ძალის შესაძლო გამოყენებასთან, რადგან როგორც ცნობილია ამ ღონისძიების ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუცია. გაეროს რეზოლუცია სადაო საკითხი არა მარტო ერაყის კომპანიის დროს გახდა, როდესაც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები ერაყის ტერიტორიაზე ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად გაეროს ნებართვის გარეშე შეიჭრნენ, არამედ 1999 წელს იუგოსლავიის დაბომბვის დროსაც, როდესაც ამერიკელებსა და ევროპელებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებათა პროცესის შედეგად ამერიკული წინადადება მხოლოდ მაშინ იქნა მიღებული, როცა თავად ამერიკა-ევროპის ალიანსის ყოფნა-არყოფნის საკითხი დაისვა. ამასთან დაკავშირებით, ყურადსაღებია ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის განცხადება: "ახლა გადაწყვეტილებისათვის თავის არიდება ნიშნავს გავანადგუროთ ნატოს სანდოობა." სამაგიეროდ მოგვიანებით მიუნჰენში გამართულ კონფერენციაზე გერმანიის ყოფილმა კანცლერმა შრიოდერმა განაცხადა, რომ "გაეროს უშიშროების საბჭოს იგნორირება იუგოსლავიის შემთხვევაში გამონაკლისი იყო და მაგალითი არ უნდა გახდარიყო".

ამერიკისა და ევროპის არაკოორდინირებული ურთიერთობა რუსეთთან

ევროკავშირის სამეცნიერო წრეებში ნათლად აქვთ გააზრებული ის ფაქტი, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის თანამედროვე უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ენერგიის წყაროების დივერსიფიკაციას და რამდენად მაღალია რუსეთის მიერ ენერგეტიკის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების ალბათობა. 2007 წლის ივნისში ოქსფორდის უნივერსიტეტში, მოხსენებაში, სადაც მომზადდა პრეზენტაცია დიდი ბრიტანეთის ენერგეტიკული სტრატეგიის შესახებ, გაკრიტიკებულ იქნა ბრიტანეთის და მთლიანად ევროკავშირის პოზიცია. მოხსენებაში აღნიშნული იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან უფრო მკაცრ და ერთიან პოზიციაზე რუსეთის წინააღმდეგ გადასვლის აუცილებლობა. დღევანდელ ეტაპზე რუსეთი ევროპის გაზზე მოთხოვნილების საკმაოდ დიდ ნაწილს აკმაყოფილებს, ამიტომაც ოქსფორდის უნივერსიტეტის მოხსენებაში აღნიშნულ იქნა, რომ ბრიტანეთმა თავისი მკაცრი პოზიცია უნდა დააფიქსიროს ევროკავშირში, რათა გაიხსნას ბუნებრივი აირის ახალი მარაგები და უფრო აქტიურად იქნეს მოძიებული გაზის იმპორტის ალტერნატიული გზები.

რუსეთის მიერ დღევანდელ დღეს გატარებული პოლიტიკის, აგრეთვე მისი ტერიტორიული სიდიდისა და სამხედრო პოტენციალის გარდა, ევროკავშირს ბუნებრივია რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება აიძულებს შედარებით რბილი პოლიტიკა გაატაროს რუსეთთან მიმართებაში და ხანდახან თვალი დახუჭოს იმ უკანონო ქმედებებზე, რომელსაც რუსეთი ეწევა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც, რისი ნათელი დადასტურებაც გახლავთ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შიდა საქმეებში უხეში ჩარევა, რუსეთის აგრესია საქართველოსწინააღმდეგ და ა.შ.

ამჟამად ბრიუსელში მყოფი ჩინოვნიკები, სკეპტიკურად უყურებენ ამერიკის მიერ გატარებულ პოლიტიკას, მაგრამ ამავე დროს მათი ნაწილი მუდამ ოპტიმისტურად არის განწყობილნი რუსეთისადმი, და ამ კონტექსტში ხშირად არად აგდებენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას. მაგალითად, ევროკომისია არ განიხილავდა ახალი ევროკავშირი-რუსეთის ხელშეკრულების ხელმოწერის შესაძლებლობას, რომელიმე დასავლეთ ევროპული ქვეყანა რუსეთის სავაჭრო ემბარგოს მსხვერპლი რომ გამხდაროყო. მაგრამ ევროკავშირმა აწარმოა მოლაპარაკებები რუსეთთან,

მიუხედავად რუსეთის მიერ დაწესებულ ემბარგოზე ევროკავშირის წევრი პოლონეთის მიერ წარმოებულ ხორცის პროდუქტებზე. ასევე, თვეების განმავლობაში ევროკავშირს არანაირი პროტესტი არ გამოუხატავს რუსეთის მიერ ლიტვაში მიმავალი ნავთობსადენის ბლოკირების თაობაზე. როდესაც 2007 წელს გაისმა რუსეთის მუქარა ესტონეთის მიმართ, რაც როგორც ცნობილია დაკავშირებული იყო საბჭოთა მეომრის მემორიალის გადაადგილებასთან, ევროკავშირს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მისი ერთ-ერთი წევრი ქვეყნისადმი სოლიდარობა გამოეცხადებინა. რჩება იმის შთაბეჭდილება, რომ ყოველ ახალ ეტაპზე, ევროკავშირი აშკარად აჩვენებს მზადყოფნას მისი ახალი წევრების ინტერესები კომპრომისად მოიტანოს მოსკოვთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად. ამ პოლიტიკას, მიუხედავად რა თქმა უნდა მისი არამიმზიდველობისა, გამართლება შეიძლება მაშინ ჰქონოდა, თუ ევროპის ამ კომპრომისების შედეგად რუსეთი უფრო რბილი გამხდარიყო, მაგრამ ფაქტია, რომ ევროპის მიერ აღებული დღევანდელი კურსი და სტრატეგია რუსეთის ყველაზე უარეს იმპერიალისტურ ინსტინქტებს აძლიერებს.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, ევროკავშირში ახალი გაწევრიანებული და რუსეთთან გეოგრაფიულად უფრო ახლოს მდებარე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები აშკარად გამოხატავენ თავიანთ უკმაყოფილებას რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გამო და ევროპაში დიდ ბრიტანეთთან ერთად ამერიკის ძირითად დასაყრდენ ძალად განიხილებიან. ისინი ევროკავშირის და ნატოს მოქმედების არეალსაც უფრო ფართოდ ხედავენ ვიდრე დასავლეთ ევროპის რეგიონით შემოსაზღვრულს. აქვე აღსანიშნავია აღმოსავლეთ ევროპის უფრო გაბედული პოზიცია ნატოს შესაძლო გაფართოებასთან ან თუნდაც ამერიკული ბაზების და სამხედრო ობიექტების – პირველ რიგში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში (პოლონეთი, ჩეხეთი) განთავსებასთან დაკავშირებით.

მაგალითად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2008 წლის აპრილში ბუქარესტში გამართული ნატოს სამიტის დროს აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა აშშ-სთან ერთად მხარი დაუჭირეს საქართველოსა და უკრაინისადმი "გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე" გადასვლის იდეას. რამდენიმე თვით ადრე, საქართველოში ვიზიტისას პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ ღია და პირდაპირი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ნატოში ინტეგრაციისადმი, იგივეს აცხადებს ესტონეთის საქმეთა რწმუნებული საქართველოში, ჰარი ლაპტეინი, რომელიც აცხადებს, რომ ესტონეთიც უჭერს მხარს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. თავისი გაბედული მხარდაჭერა დააფიქსირა ლატვიამაც, როდესაც ნატოს რიგის სამიტზე ამ ქვეყნის პრეზიდენტმა ფრაიბერგამ ღიად დააფიქსირა თავისი ქვეყნის პოზიცია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ.

რაც შეეხება ამერიკის პოზიციას, იგი დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებულია. ამერიკული პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები ევროპელებთან შედარებით უფრო ღიად აკრიტიკებენ რუსეთის პოლიტიკას და გაცილებით უფრო აშკარად გამოხატავენ როგორც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების, ასევე ნატოს წევრობის კანდიდატი ქვეყნების მხარდაჭერას. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ 2007 წელს აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუცია, სადაც ვაშინგტონი მხარს უჭერს ხორვატიის, მაკედონიის, ალბანეთის, უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებას და ამ მიზნით კონგრესმა ალიანსის ასპირანტ ქვეყნებში, უსაფრთხოების სექტორში რეფორმების ჩასატარებლად 20 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.

2006 წლის ოქტომბერში გერმანული Financial Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ კავკასიისა და სამხრეთ ევროპის საკითხებში, მეთიუ ბრაიზამ, თავისი კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა ბალტიის ზღვაში გაზსადენის გაყვანის პროექტთან დაკავშირებით, რომლითაც მოხდება რუსეთისა და გერმანიის დაკავშირება და შემდგომში რუსეთის გაზის ექსპორტი დასავლეთ ევროპაში, თუმცა გაზსადენი გვერდს აუვლის პოლონეთს და უკრაინას.

ვაშინგტონის მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტს კიდევ ერთი არგუმენტი მოჰყავს ამერიკის და ევროპის რუსეთისადმი განხვავებული დამოკიდებულების ასახსნელად: ”ევროპელებს ამერიკელებზე ბევრად მეტად შეაწუხებდათ რუსეთის კოლაფსი და ყოფილ საბჭოთა ტერიტორიებზე ომების დაწყება, ვიდრე რუსეთის გაძლიერება.”[151]

ერაყის კამპანია და აშშ-ევროპის ურთიერთობები

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის დაწყებამდე დიპლომატიურმა მოლაპარაკებებმა ერთი წელი გასტანა ჯერ ამერიკასა და ევროპას შორის, ხოლო შემდეგ როგორც უკვე აღინიშნა, თვით ევროპის შიგნით აღმოჩნდნენ როგორც ამერიკის პოლიტიკის მომხრენი, ასევე მისი მოწინააღმდეგეები. დღის წესრიგში დადგა ორი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა. პირველი დაკავშირებული იყო იმასთან, თუ რამდენად სწორი იყო ერაყის ტერორისტულ ქვეყნად კლასიფიცირება, ხოლო მეორე კი აშშ-ის ერაყში სამხედრო მოქმედების უფლებასთან იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია.

ბევრი ევროპული ქვეყანა არ იზიარებდა ამერიკის პოზიციას, რომ ერაყი ანტიტერორისტული კომპანიის მეორე ნაბიჯი უნდა გამხდარიყო, მიუხედავად ბუშის ადმინისტრაციის მტკიცებისა ერაყის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერისა და “ალ ქაედასთან” კავშირის არსებობის შესახებ. სამაგიეროდ ევროპელები ფიქრობდნენ, რომ ერაყი ქმნიდა პრობლემას მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების გამო. საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ მიდგომებს იწვევდა. ბუშის ადმინისტრაცია თვლიდა, რომ მოლაპარაკებათა ყოველგვარი რესურსი ამოწურული იყო და სადამ ჰუსეინის მიერ ტერორიზმის მხარდაჭერისგან მომდინარე საფრთხე უახლოეს მომავალში უნდა გადაჭრილიყო და არსებობდა ამის ერთადერთი გამოსავალი – ჰუსეინის რეჟიმის შეცვლა და ერაყის ხელისუფლების სათავეში პროგრესული ძალების მოსვლა. ბევრ ევროპულ ქვეყანას კი განსხვავებული შეხედულება გააჩნდა, კერძოდ, სადამ ჰუსეინი ახლო მომავალში არ იყო საფრთხის მატარებელი და საერთაშორისო თანამეგობრობას ხელი უნდა შეეშალა მისთვის, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში არსებული მიზნებისთვის-მასობრივი განადგურების იარაღის შეძენისთვის არ მიეღწია. ამისათვის გაეროს წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ უნდა მოეხდინათ იარაღის ინსპექტირება, ხოლო რეჟიმის შეცვლა იმ ეტაპზე აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

როგორც წინა თავში აღინიშნა, აშშ-ის პრეზიდენტმა თავდაპირველად მხარი დაუჭირა გაეროს 1441-ე რეზოლუციას მასობრივი განადგურების იარაღზე ინსპექტირების განახლების თაობაზე, თუმცა შემდგომში თეთრმა სახლმა თავისი პოზიცია შეცვალა, რასაც ხსნიდა იმ ფაქტით, რომ ერაყი უარს აცხადებდა გაეროს ინსპექტორებთან თანამშრომლობაზე და ეს ვაშინგტონს აძლევდა უფლებას დაეწყო სამხედრო ოპერაცია ბაღდათის წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ ევროპელები ამტკიცებდნენ, რომ ინსპექტირებისათვის მეტი დრო იყო საჭირო, ხოლო ამერიკა ამტკიცებდა, რომ ამგვარ ინსპექტირებას არავითარი დადებითი შედეგის მოტანა არ შეეძლო, რისი ძირითადი მიზეზიც ერაყის არაკონსტრუქციული პოზიცია გახლდათ.

უთანხმოების მიზეზი აგრეთვე გახლდათ გაეროს მიერ დამატებითი რეზოლუციის მიღება, რომელიც ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ლეგიტიმურს გახდიდა. საფრანგეთი და გერმანია აცხადებდნენ, რომ ინსპექცია უნდა გაგრძელებულიყო, მოგვიანებით კი მათ მხარი დაუჭირეს რუსეთის პოზიციას და განაცხადეს, რომ წინ აღუდგებოდნენ დამატებითი რეზოლუციის მიღებას. მდგომარეობამ კულმინაციას მიაღწია მას შემდეგ, როდესაც აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რონალდ რამსფელდმა

[151] ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი, 2008. გვ. 132

საფრანგეთსა და გერმანიას “ძველი ევროპა” უწოდა. ამ ეტაპზე ევროპის რიგმა ქვეყნებმა საფრანგეთისა და გერმანიისგან განსხვავებული პოზიცია გამოხატეს და დააფიქსირეს თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთი და გერმანია მთელი ევროპის სახელით საუბრობდნენ. 2003 წლის 30 იანვარს ჩეხეთის, დანიის, უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, და გაერთიანებული სამეფოს ლიდერებმა Wall Street Journal – ში გამოაქვეყნეს წერილი, სადაც ამერიკის პოზიციას იზიარებდნენ. წერილში ნათქვამი იყო რომ ერაყს არ სურდა ეთანამშრომლა გაეროს ინსპექტორებთან და ამიტომაც მოუწოდეს საერთაშორისო თანამეგობრობას, დაეცვათ მშვიდობა და უსაფრთხოება ერაყისთვის მასობრივი განადგურების იარაღის ჩამორთმევის გზით.

ერთ კვირაში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, რომლებიც ნატოს წევრობის ასპირანტ ქვეყნებად განიხილებოდნენ, გამოაქვეყნეს აშშ-ის მხარდამჭერი საკუთარი განცხადება.

როგორც ცნობილია, 2003 წლის მარტში, საფრანგეთისა და გერმანიის წინააღმდეგობის მიუხედავად, ოპერაცია “ერაყის თავისუფლება” მაინც დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო გაერთიანებულმა სამეფომ დახმარება გაუწია ოპერაციას და თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს დანიამ და პოლონეთმაც.

აშშ-სა და ევროპის პოზიციების მსგავსებები

მიუხედავად აშშ-სა და დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებს შორის არსებული გარკვეული უთანხმოებებისა, წიგნის ამ ქვეთავში მოყვანილი ფაქტების მიზანს არ წარმოადგენდა, რომ ნაჩვენები ყოფილიყო განხეთქილება ამერიკა-ევროპის ურთიერთობებში. კონკრეტულად ამ თემის პრიორიტეტს წარმოადგენდა დაემტკიცებინა, რომ თუ ტრანსატლანტიკურ ალიანსში არ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი საერთო პრიორიტეტი, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ამერილებმა და ევროპელებმა გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული, პოლიტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე სხვადასხვა სფეროებში დაიკავონ განსხვავებული პოზიციები, რამაც შესაძლოა თავისი ნეგატიური გავლენა მოახდინოს ამერიკა-დასავლეთ ევროპის ალიანსის ეფექტიანობაზე. თუმცა ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, რომელიც არსებობდა როგორც თუნდაც “ცივი ომის” პერიოდში (მაგ. სუეცის კრიზისი, დე გოლის პოლიტიკა აშშ-სთან მიმართებაში და ა. შ.), ასევე ამ პერიოდის დასრულების შემდეგ ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებს შორის, ორივე მხარეს უფრო მეტი საერთო გააჩნდა და გააჩნია, რაც პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ ამერიკა და დასავლეთ ევროპა დაფუძნებულია საერთო დემოკრატიულ ღირებულებებსა და ფასეულობებზე, და დღევანდელ დღეს ნატოს (ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებს შორის) წევრ ქვეყნებს შორის უფრო მეტი თანხვედრა არსებობს ვიდრე წინააღმდეგობანი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- ევროკავშირის ქვეყნები თავდაცვის ბიუჯეტირებაზე ხარჯავენ იმაზე ნაკლებს, ვიდრე საჭიროა ქმედუნარიანი სამხედრო ძალის შესაქმნელად. გარდა ამისა, ევროპის შიგნით არსებობს პოზიციათა ერთიანობის გარკვეული დეფიციტი, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ამერიკა-ევროპის ალიანსის ეფექტიანობას. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირი მარტო გერმანია და საფრანგეთი არ არის და იმისათვის რომ ევროკავშირმა რეალურად შეძლოს გააწონასწოროს ამერიკა, საჭიროა ერთიანი პოზიცია საგარეო პოლიტიკის საკითხებში, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს თავდაცვის პოლიტიკას. ამერიკის სამხედრო პოტენციალი კი დღევანდელ ეტაპზე არის კონკურენტგარეშე და აქედან გამომდინარე ევროპას კვლავ სჭირდება ამერიკის გარკვეული გარანტიები. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დასავლეთ ევროპა ბევრ საკითხში არ იზიარებს ამერიკის პოლიტიკას, “ბებერ

კონტინენტს” დღემდე სჭირდება, რომ ამერიკამ მოაწესრიგოს გლობალური საკითხები. სწორედ ამ ტრანსატლანტიკური ურთიერთობების წყალობით შეძლო ევროპამ უზრუნველყო თავისი უსაფრთხოება მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში;

- ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ევროკავშირისა და ამერიკის ეკონომიკური ურთიერთობები. ევროკავშირი და აშშ ერთმანეთისათვის ნომერი პირველი სავაჭრო პარტნიორები არიან და ორ მხარეს შორის ვაჭრობის მოცულობა ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: ევროკავშირსა და აშშ-ზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 40%. ყოველ დღე დაახლოებით 1,7 მილიარდი ევროს ღირებულების ტრანსატლანტიკური ვაჭრობა მიმდინარეობს. ამ მხრივ ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2007 წელს გაუღერდა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის იდეა “ტრანსატლანტიკური ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ”, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირისა და აშშ-ის ეკონომიკების დაახლოებას. პოლიტოლოგთა აზრით პირველი ნაბიჯები ამ გზაზე იქნება ევროკავშირისა და აშშ-ის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ეკონომიკის სფეროში, რასაც შემდეგ მოჰყვება მათი ფინანსური ბაზრების ინტეგრაციაც. შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეის საბოლოო შედეგი იქნება ერთიანი ტრანსატლანტიკური ბაზრის შექმნა საერთო წესებითა და სტანდარტებით ისეთ საკითხებში, როგორიც არის ინტელექტუალური საკუთრება და ფინანსური რეგულირება;

- ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაღრმავდა თანამშრომლობა ამერიკასა და ევროკავშირს შორის სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების სფეროში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროკავშირმა თავის თავზე აიღო სამშვიდობო ოპერაციის წარმოება ბოსნია და ჰერცოგოვინაში, სადაც მანამდე ნატოს ეგიდით ძირითადად ამერიკელი სამხედროები იყვნენ წარმოდგენილნი;

- ამერიკელი და ევროპელი მოკავშირეები ერთად არიან ჩართულნი სახმელეთო ოპერაციებში ავღანეთის ტერიტორიაზე;

- სახეზეა ნატოს ფარგლებში ამერიკისა და ევროპის ინტერესთა თანხვედრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა ტერორიზმისაგან თავდაცვა; ანტისარაკეტო თავდაცვა; სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა; თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებთან ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში და ა. შ.

- როგორც აშშ-ს, ასევე ევროკავშირს საერთო მიდგომა გააჩნიათ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. არც აშშ და არც ევროკავშირის რომელიმე ქვეყანა არ აპირებს ცნოს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რაც გააკეთა რუსეთმა. ორივე მხარეს ერთიანი მიდგომა გააჩნიათ რუსეთთან მიმართებაში, რომ ამ ქვეყანამ აუცილებლად უნდა გაიყვანოს თავისი საოკუპაციო ძალები საქართველოს ორი ისტორიული რეგიონიდან.

რაც შეეხება ირანს, იმის გათვალისწინებით, რომ შეერთებულმა შტატებმა ერაყის მოვლენების დროს დასავლეთ ევროპისაგან ნეგატიური გამოხმაურება მიიღო, ირანის საკითხთან მიმართებაში მოვლენები სხვაგვარად ვითარდება. ჯერ კიდევ 2007 წელს პრეზიდენტ ბუშის განცხადების თანახმად “ირანს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს ასახსნელი საკუთარი ბირთვული გეგმებისა და ამასთან დაკავშირებით წარსულში განხორციელებული საიდუმლო ღონისძიებების თაობაზე. ირანმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ურანის გამდიდრების პროცესი და მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს. სამხედრო მოქმედებების წარმოების აუცილებლობაც ბოლომდე არ არის გამორიცხული”. ამასთანავე აშშ-ის პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ ირანის წინააღმდეგ მკვეთრი ღონისძიებების გატარების აუცილებლობის საკითხში, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის პარალელურად, მსოფლიოს სხვა წამყვანი ქვეყნებიც შესაბამის პოზიციას დაიკავებენ. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გერმანიის მთავრობის პრეს-სპიკერმა ულრიხ ვილჰელმმა განაცხადა: “CIA მოხსენება არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. აუცილებელია ოფიციალურ

თეირანზე საერთაშორისო ზეწოლის კვლავინდებური გაგრძელება ურანის გამდიდრების პროცესის შეწყვეტასთან დაკავშირებით".[152]

გასათვალისწინებელია, რომ დღეს ევროპაში აღარ არიან შრიოდერი და შირაქი. სახელისუფლებო ცვლილებებმა საფრანგეთსა და გერმანიაში მნიშვნელოვნად შეცვალა ამ ქვეყნების დამოკიდებულება შეერთებული შტატების მიმართ. 2007 წლის ნოემბერში ნიკოლა სარკოზიმ და ანგელა მერკელმა საკმაოდ თბილი და ნაყოფიერი შეხვედრები გამართეს თავიანთ ამერიკელ კოლეგასთან და ჯორჯ ბუშს ირანის საკითხზე მხარდაჭერა აღუთქვეს.

აშშ-რუსეთი

მიუხედავად იმისა, რომ როგორც "ცივი ომის" დასრულების შემდეგ აშშ-სა და რუსეთს შორის ხელმოწერილია რიგი შეთანხმებები და შესაბამისად არსებობს სამართლებრივი ბაზა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისათვის, უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდამდე (2008-2009 წწ.), განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც აშშ ავღანეთში საომარ მოქმედებებშია ჩართული, ხოლო რუსეთი ნავთობდოლარებიდან მიღებული შემოსავლების ზრდის შედეგად თანდათან იბრუნებს პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე, ორ მხარეს შორის უფრო მეტი წინააღმდეგობა არსებობდა ვიდრე ინტერესთა თანხვედრა. თუმცა ობამას ადმინისტრაციის დროს შეიმჩნევა ურთიერთობათა გარკვეული დათბობა, რაზედაც ქვევით გვექნება საუბარი.

დაპირისპირებამ რუსეთსა და აშშ-ს შორის განსაკუთრებით თავი იჩინა გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, ბოსნიაში მიმდინარე კონფლიქტის დროს, ხოლო დაძაბულობამ კულმინაციას კოსოვოს კრიზისის დროს მიაღწია. ამავე დროს, ამ ორი კონფლიქტის პარალელურად რუსეთის გაღიზიანებას ასევე ნატოს შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებული საუბრები იწვევდა, და ეს პროცესი რუსეთის განსაკუთრებულ შეშფოთებას დღევანდელ დღეს იწვევს, რადგანაც თუ რუსეთი საბოლოოდ შეეგუა მისი პოლიტიკური გავლენის სფეროდან უკვე გამოსული აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანებას, დღევანდელ ეტაპზე რუსეთის პოლიტიკურ ინტებლიშმენტში ისტერიული განცხადებები კეთდება ნატოში საქართველოსა და უკრაინის შესაძლო გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

აშშ-სა და რუსეთს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 2007 წლის თებერვალში მიუნხენის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე გამართული დებატები უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. კონფერენცია 2007 წელს 43-ედ გაიმართა და მან თვით აშშ-სა და რუსეთს შორის საკმაოდ დაძაბულ სიტყვიერ დაპირისპირებაში ჩაიარა. თუმცა ეს მოულოდნელი არავისთვის არ ყოფილა. ბუშის ადმინისტრაციამ ნოემბრის შუალედურ არჩევნებში განცდილი მარცხის შემდეგ (იგულისხმება კონგრესის არჩევნები), წინააღმდეგ მოლოდინისა, კიდევ უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკური კურსი აიღო მისდამი მტრულად განწყობილ "დიქტატურათა ლიგასთან" (რუსეთი, ჩინეთი, ირანი, სირია, ვენესუელა, სუდანი) და ამ ქვეყნებთან კიდევ უფრო ხისტი ენით საუბარი არჩია.

ამ კონფერენციაზე ყველაზე საყურადღებო ყოფილი პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის გამოსვლა გამოვიდა. სენატორ მაკეინის განცხადებით, რომელიც იმყოფებოდა იმ კონფერენციაზე, "ეს იყო ყველაზე აგრესიული სიტყვა, რომელიც კი რუსეთის ლიდერს ცივი ომის შემდეგ წარმოუთქვამს."[153] პუტინის ამგვარი გაშმაგების მიზეზი გასაგებია. მაშინ, როცა საყოველთაო აზრით, აშშ-ის ქორთა

---

[152] ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი, 2008. გვ. 135

[153] ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი, 2008. გვ. 140

ქორი თავდაცვის მინისტრ დონალდ რამსფელდის უფრო პრაგმატიკოსად მიჩნეული რობერტ გეიტსით შეცვლის შემდეგ შეერთებული შტატები საგარეო პოლიტიკაში დიალოგსა და "ურჩ სახელმწიფოთათვის" "კოჭის გორების" პოლიტიკაზე უნდა გადასულიყო, ბუშის ადმინისტრაციამ გარკვეული მიმართულებით კურსის კიდევ უფრო გააგრესიულობა (ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით) ამჯობინა: 1) ახალი საერაყო სტრატეგიის ფარგლებში იქ დამატებით 21 500 სამხედროს გაგზავნა გადაწყვიტა. 2) გაზარდა თავისი სამხედრო-საზღვაო ყოფნა სპარსეთის ყურეში, ხოლო ერაყში ირანელი აგენტების წინააღმდეგ ქმედებები გააქტიურა და გ) გარდა იმისა, რომ ჩეხეთი და პოლონეთი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე დაიყაბულა, პარალელურად პერლ-ჰარბორიდან კამჩატკისკენ მსოფლიოში უმსხვილესი მცურავი რადილოკაციური სადგური გადაანაცვლა. მინისტრმა გეიტსმა კი ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში და ირანში არსებულ ვითარებათა "გაურკვევლობიდან" გამომდინარე კონგრესს აშშ-ის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის გაზრდა მოითხოვა.

თეთრი სახლის ამ ქმედებებმა და განცხადებებმა რუსეთის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. "დერჟავამ" თავი ამერიკელებისაგან კვლავ "სამიზნეში ამოღებულად" მიიჩნია, და ვინაიდან ეს ყოველივე მუხტად ზედ მიუნხენის კონფერენციის წინ დაგროვდა, არ არის გასაკვირი, ვლადიმერ პუტინმა შანსი ხელიდან რომ არ გაუშვა და ვაშინგტონს იქ უმძაფრესი კრიტიკით დაატყდა თავს.

მან აშშ-ის "ერთპოლარული" მსოფლიოს დამყარებაში ან დამყარების მცდელობაში დასდო ბრალი.: "და რა არის ერთპოლარული სამყარო? როგორც არ უნდა ვცადოთ ამ ტერმინის გაკეთილშობილება, ეს ნიშნავს ძალაუფლებისა და ძალის ერთადერთ წყაროს და ერთადერთ ბატონს".

"შეერთებული შტატები გასცდა თავის საზღვრებს ყველა-ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ჰუმანიტარულ სფეროში და თავისი ნება სხვა სახელმწიფოებს მოახვია, მაგრამ ყოველივე ამის შედეგად ლოკალური და რეგიონული ომები არ შეწყდა, ხოლო ამ ომებში დაღუპულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ჩვენ ვერ ვხედავთ ვერაფერს, რაც ამ ზღვარგადასულ ძალას შეაკავებდა. აშშ ისე გადადის ერთი კონფლიქტიდან მეორეზე, რომ ვერც ერთი მათგანის მოგვარებას ვერ ახერხებს. ცალმხრივი, უკანონო ქმედებით მან ერთი პრობლემის მოგვარებაც ვერ შეძლო. ეს არის ერთი ბატონის, ერთი სიუზერენის მსოფლიო და ამას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასტან. ამგვარი ვითარება აძლიერებს სხვა ქვეყნების სურვილს, შექმნან ბირთვული იარაღი. იქმნება ძალიან სახიფათო ვითარება, რომელშიც ვეღარავინ გრძნობს თავს უსაფრთხოდ, ვინაიდან საერთაშორი კანონი ზურგს უკან ვერ დაიმალება."

რაც შეეხება სხვა საკითხებს, მათზე პუტინის აზრი ამგვარი გახლდათ:

- "ნატოს გაფართოების პროცესს არაფერი აქვს საერთო ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. პირუკუ, ეს სერიოზული ფაქტორია, რომელიც ორმხრივი ნდობის შემცირებს იწვევს";

- "რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით მე არ მსურს, ვინმეს აგრესიულობაში დავდო ბრალი, მაგრამ ეს ძალთა თანაფარდობას ერთი მხარის სასარგებლოდ დაარღვევს და, ჩვენი ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, იძულებულნი ვიქნებით, ასიმეტრიული პასუხისთვის ვემზადოთ. თუკი ჩვენ თავად ვერ ვაგებთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს, უნდა შევქმნათ ამგვარ სისტემათა გადამლახავი სისტემები, და ჩვენ ახლა სწორედ ამას ვაკეთებთ".[154]

[154] ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი, 2008. გვ. 154

პუტინმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ რუსეთი მხარს არ დაუჭერდა კოსოვოს პრობლემის ისეთ მოგვარებას, რომელიც კონფლიქტის ერთ-ერთი მხარისათვის მიუღებელი იქნება.

პუტინის გამოსვლამ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენლის გორდონ ჯონდროს თქმით-თეთრი სახლის "გაკვირვება და გაოცება გამოიწვია".. "ჩვენ გაკვირვებულნი ვართ, მისი ბრალდებები სრულიად უსაფუძვლოა" განაცხადა ჯონდრომ. იმავდროულად უნდა განვაცხადოთ, რომ რუსეთთან მომავალშიც ვითანამშრომლებთ ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა."

პუტინს მიუნხენური ტრიბუნიდან შეეხმიანა პენტაგონის შეფი გეიტსიც, რომლისთვისაც ეს ერთგვარი სადებიუტო გამოსვლა გახლდათ. მან განაცხადა, რომ "როგორც ცივი ომის ვეტერანს, ერთმა გუშინდელმა გამოსვლამ თითქმის ძველი დროის ნოსტალგია აღუძრა." მან ასევე აღნიშნა "ისე კი სამყარო, რომელშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ გაცილებით განსხვავებული და რთულია იმასთან შედარებით, რაც 20-30 წლის წინ იყო. ახლა ჩვენ არაერთი საერთო პრობლემა და გამოწვევა გვაქვს, რომელთაც სწორედ სხვა ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან ერთად უნდა გავუმკლავდეთ. ასე რომ ერთი ცივი ომი საკმარისია. თუმცა ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რუსეთის პოლიტიკა ზოგჯერ-როცა ეს მის მიერ ცალკეული ქვეყნებისთვის იარაღის მიყიდვასა თუ ენერგორესურსების სხვა სახელმწიფოებზე ზემოქმედების მიზნით გამოყენებას ეხება-აშკარა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სტაბილურობას." რაც შეეხება ნატოს, გეიტსის აზრით, "რუსეთს არ უნდა ეშინოდეს მის საზღვრებთან ალიანსის მიახლოებისა, რადგანაც ეს დემოკრატიული ქვეყნების მიახლოებას ნიშნავს."[155]

მოგვიანებით იგივე არგუმენტი გაიმეორა ნატოს გენერალურმა მდივანმა იაააპ დე ჰოოპ სხეფერმა: "რატომ უნდა ნერვიულობდეს ვინმე, თუკი მის საზღვრებს დემოკრატია და კანონის უზენაესობა უახლოვდება?"

გარდა ამისა, რუსეთის გაღიზიანებას იწვევდა აშშ-ის მიერ გატარებული რაკეტსაწინააღმდეგო პოლიტიკაც. როდესაც პოლონეთისა და ჩეხეთის პრემიერ მინისტრებმა მათი ქვეყნების ტერიტორიაზე შეერთთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის (რსთ) სისტემათა განლაგებასთან დაკავშირებით მზადყოფნა გამოთქვეს. მის საპასუხოდ მოსკოვმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ის ცალმხრივად გავა საბჭოურ-ამერიკული ხელშეკრულებიდან საშუალო და მცირე სიშორის რაკეტათა (სმსრ) ლიკვიდაციის შესახებ და თანაც პოლონეთსა და ჩეხეთს სამიზნედ ამოიღებს. ექსპერტების საერთო აზრით, ამით რუსეთი ვერაფერს მოიგებს და პირუკუ, არსებობს უდიდესი შანსი, ბევრი რამ წააგოს კიდეც.

ვარშავაში ჩეხეთისა და პოლონეთის პრემიერების ერთობლივი პრეს-კონფერენციის შემდეგ პოლონეთის ყოფილმა პრემიერმა კაჩინსკიმ აღნიშნა: "ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ აუცილებელია ევროპის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით და უწინარესად აშშ-ის რსთ-ის განლაგების თაობაზე-პრინციპული გადაწყვეტილების მიღება. იმის მტკიცება, რომ აშშ-ის რსთ-ის ბაზა ევროპაში ძალთა თანაფარდობას შეცვლის, აშკარა გაუგებრობაა, აღნიშნა მან. ამ ნაბიჯის მიზანი ნათელია, იგი არ არის მიმართული არც ერთი ნორმალური სახელმწიფოს წინააღმდეგ. რსთ-ის ფუნქცია აზიის იმ სახელმწიფოთა ქმედებებისაგან თავდაცვა იქნება, რომელთაც არ სურთ დაემორჩილონ მსოფლიოში მიღებულ წესებს."

შეგახსენებთ, რომ ვაშინგტონი პოლონეთსა და ჩეხეთში რსთ-ის სისტემის ელემენტთა განლაგებას ე.წ. ურჩ სახელმწიფოთაგან და ტერორისტებისგან თავდაცვის აუცილებლობით ხსნიდა. მაგრამ რუსებს ამის არ სჯეროდათ. "ჩვენი

[155] ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი, 2008. გვ. 155

სპეციალისტები არ თვლიან, რომ რსთ, რომელსაც ამერიკა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განალაგებს, იმ მუქარის აღკვეთისკენაა მიმართული, რომელიც ირანიდან, ან ტერორისტებისგან მომდინარეობს" – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა 2007 წლის 1 თებერვალს კრემლში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე.

პუტინის მიერ ამ მიმართულებით კრემლში დაწყებული და მოგვიანებით მიუნხენის კონფერენციაზე მისი და მაშინდელი თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის მიერ განვითარებული იერიში შემდეგ კვირას ჯერ რუსეთის გენშტაბის ხელმძღვანელმა იური ბალუევსკიმ, შემდეგ კი რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ნაწილების მეთაურმა ნიკოლაი სალავცოვმა გაამწვავეს. ასე მაგალითად, ბალუევსკიმ განაცხადა, რომ თუკი აშშ პოლონეთსა და ჩეხეთში მართლაც განალაგებს რსთ-ის სისტემებს, რუსეთი ცალმხრივად დატოვებს საბჭოურ-ამერიკულ ხელშეკრულებას სმსრ-თა ლიკვიდაციის შესახებ. სალავცოვმა კი დაიქადნა, რომ "თუკი იქნება მიღებული შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რუსეთი 5-6 წელიწადში შექმნის საშუალო სიშორის რაკეტებს, რომლებიც პოლონეთისა და ჩეხეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკული რსთ-ის სისტემების წინააღმდეგ მიიმართება."

"დღეს მრავალი ქვეყანა ქმნის და სრულყოფს საშუალო სიშორის რაკეტებს მაშინ, როდესაც რუსეთმა აღნიშნული ხელშეკრულების პირნათლად შესრულების საფუძველზე-ამ იარაღის არაერთი სისტემა დაკარგა"-ასე განმარტა თავისი პოზიცია ბალუევსკიმ. სერგეი ივანოვმა კი ხელშეკრულებას სმსრ-თა ლიკვიდაციის შესახებ სულაც "ცივი ომის" რელიქტი უწოდა, "რუსეთს ამ რაკეტებით ხელახლა აღჭურვა ხელს თუნდაც იმიტომ არ შეუშლიდა, რომ მათ ინდოეთი, პაკისტანი, ჩრდილოეთ კორეა, ჩინეთი, ირანი და ისრაელი მოიძევენ." "ეს ქვეყნები ჩვენი საზღვრის მახლობლად მდებარეობენ და ამის გაუთვალისწინებლობა არ ეგების-ამ რაკეტების ქონის უფლება მხოლოდ ორ ქვეყანას-რუსეთსა და ამერიკას არა აქვს. ასე კი მუდამ ვერ გაგრძელდება."

რუსი კოლეგების ამ განცხადებაზე აშშ-ის თავდაცვის მინისტრ რობერტ გეიტსის პირველი რეაქცია ამგვარი გახლდათ: "ამ ხელშეკრულებიდან რუსეთის გასვლა შეერთებულ შტატებს პრობლემებს შეუქმნის, მაგრამ კიდევ უფრო მეტი საფიქრალი ევროპელებს გაუჩნდებათ".

გაზეთ "ფაინენშლ თაიმსის" შეფასებით, რუსეთის მუქარა სმსრ-თა ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრუკლებიდან გასვლის, საშუალო სიშორის რაკეტების შექმნისა და ამ რაკეტების პოლონეთსა და ჩეხეთში დამიზნების თაობაზე "მიზნად სწორედ ამ უკანასკნელთა და მთლიანად ევროპის დაშინებას ისახავს. კრემლი ფსონს იმაზე აკეთებს, რომ პოლონეთსა და ჩეხეთში საპროტესტო აქციები დაიწყება და საბოლოო ჯამში ეს ქვეყნები იძულებულები გახდებიან, უარი თქვან ამერიკული გეგმების რეალიზაციაზე."

თუმცა სამხედრო ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ მოსკოვის ეს გათვლები მაინც მცდარი უნდა ყოფილიყო. "კრემლი არსებითად, ისევ იმ ილუზორული იდეიდან ამოდის-რომელმაც თავის დროზე საბჭოთა კავშირის "პიონერების" (5 ათასი კმ-ის სიშორის რაკეტების) განლაგებისკენ უბიძგა-რომ ამით ევროპის დაშინებას და ამერიკასთან მის ურთიერთობებში განხეთქილების შეტანას მოახერხებდა. ამ გულუბრყვილო ვარაუდმა მაშინაც კი ვერ იმუშავა, როცა სსრკ ზემძლავრი სახელმწიფო იყო, და მით უფრო განწირულია წარუმატებლობისთვის ის ახლა"- განაცხადა ჟურნალ "ეკსპორტ ვოორუჟენიეს" რედაქტორი მიხეილ ბარაბანოვი. გარდა ამისა, მისი აზრით, აღნიშნული ხელშეკრულებიდან რუსეთის გასვლა იგივეს გაკეთებასაც აიძულებდა შეერთებულ შტატებსაც, რომელსაც ამის შედეგად შესაძლებლობა მიეცემოდა, თავისი რაკეტები სულაც რუსეთის საზღვრებთან განელაგებინა. ეგეც არ იყოს, მოსკოვის ქმედებით დაშინებულმა ევროპელებმა, შეიძლება, ვაშინგტონს ახალი რუსული საფრთხისგან დაცვა მოეთხოვათ. ამდენად, მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ექსპერტ ალექსანდრ პიკაევისა არ იყოს – "აშშ-ის აწყობს კიდეც ხელშეკრულებიდან

რუსეთის გასვლა, ვინაიდან ეს მას ევროპაში არა მარტო რსთ-ის სისტემების, არამედ რაკეტების განსათავსებლად აუცილებელ არგუმენტებს მისცემს".

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულება

2007 წლის 14 დეკემბრიდან დასავლეთისათვის, და პირველ რიგში აშშ-სათვის რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით უკვე საფრთხეს წარმოადგენს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ რუსეთმა ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულებაზე მორატორიუმი 14 დეკემბერს მოსკოვის დროით შუაღამეს ოფიციალურად აამოქმედა. აქედან გამომდინარე არსებობს იმის ალბათობაც, რომ ნატოს წევრ ქვეყნებთან მოსაზღვრე რაიონებში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობით აივსება.

რუსეთმა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიცირება 2004 წელს მოახდინა. ხელშეკრულების თანახმად, მის წევრ ქვეყნებს ატლანტიკიდან ურალამდე საბრძოლო ტექნიკა ხუთი კატეგორიის მიხედვით უნდა შეემცირებინათ, ესენია: ტანკები, ჯავშანმანქანები, არტილერია, და მოიერიშე ვერტმფრენები.

აღსანიშნავია რომ ეს ხელშეკრულება 1990 წელს დაიდო, ძალთა ბალანსის მისაღწევად როგორც ნატოს, ასევე ვარშავის ხელშეკრულების წევრებს შორის. ცხრა წლის შემდეგ გაფორმდა შეთანხმების ადაპტირებული ვერსია, რომლის მიხედვით, შეზღუდვები ჩვეულებრივ შეიარაღებაზე არა ბლოკის, არამედ თვითოეულ ქვეყანაზე ცალკე ვრცელდება.

რუსეთის წინა მოწვევის სათათბირომ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სესიაზე ხმათა სრული უმრავლესობით მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ რუსეთი ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულებიდან გასვლას აპირებს. ფედერაციის საბჭოს მხარდაჭერის შემდეგ კი, დოკუმენტს ხელი ასევე პრეზიდენტმა პუტინმა მოაწერა.

საგულისხმოა, რომ ჩვეულებრივი შეიარაღების გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებაზე მორატორიუმის ამოქმედებით რუსეთი უფლებას იტოვებს, რომ თავის ტერიტორიაზე და ასევე მის საზღვრებს გარეთ განთავსებულ ბაზებზე სამხედრო ტექნიკის გადასროლისა ან აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით საერთაშორისო ექსპერტებს ანგარიში აღარ ჩააბაროს, რაც აშშ-სათვის ახალი თავის ტკივილის საგანია.

რუსეთმა თავისი ქმედება ახსნა იმით, რომ 2007 წლის ოქტომბრისთვის, ნატომ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შეიარაღების დონის თაობაზე შეთანხმებას". ეს განცხადება გაჟღერდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მიერ. რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებით "ნატოს ქვეყნებისთვის შეთანხმებით გათვალისწინებული დონეები შეადგენს 5992 ტანკს, 9882 ჯავშანმანქანას, 5111 საარტილერიო ერთეულს, 1497 საბრძოლო თვითმფრინავსა და 531 დამრტყმელ შვეულმფრენს. აშშ-ის შეიარაღება ამ მონაცემებს გაცილებით აჭარბებს". რუსეთს მიაჩნია რომ ეს დარღვევები ძალზედ სახიფათოა. შედარებისთვის: "საფლანგო ზონაში" რუსეთს ჰყავს 1200 ტანკი, 2140 ჯავშანმანქანა და დაახლოებით 1680 საარტილერიო ერთეული"(53).

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა წუხილი გამოხატა რუსეთის მიერ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმებაზე მორატორიუმთან დაკავშირებით. გარდა ზემოაღნიშნულისა, აშშ-ის და ნატოს გავლენის შესუსტების მიზნით, რუსეთი ასევე ცდილობს გააქტიუროს მისი ინიციატივით შექმნილი ანტიდასავლური რეგიონალური ორგანიზაციების საქმიანობა. აქ პირველ რიგში საუბარია დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაზე-ეს ორგანიზაცია წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს და მასში დსთ-ის ექვსი სახელმწიფოა გაწევრიანებული, და მეორე, ეს გახლავთ "შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია", რომელი რვა წლის წინ რუსეთისა და ჩინეთის ინიციატივით შეიქმნა

და მასში ამჟამად ამ ორი სახელმწიფოს გარდა ცენტრალური აზიის რესპუბლიკებიც არიან გაერთიანებულნი. ოფიციალურად ამ ორგანიზაციის მიზანს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება წარმოადგენს, მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მას უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციაც აკისრია, კერძოდ ორი პლანეტაზე უდიდესი ევრაზიული სახელმწიფოს მისწრაფებაა შეაკავოს "ატლანტიზმის" გავლენა მსოფლიოში.

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს ასევე ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული პრობლემა წარმოადგენს, რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

აშშ-რუსეთისურთიერთობებიობამასმოსვლისშემდეგ

2009 წლის დასაწყისიდან რუსეთ-აშშ-ის შორის ურთიერთობათა გარკვეული დათბობა შეინიშნება. როგორც ცნობილია, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება[156]. 2009 წლის დასაწყისში ამერიკაში ობამას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა პრეზიდენტობის პირველივე დღიდან ტონი შეცვალა ირანთან მიმართებაში, წინამორბედის პოლიტიკასთან გამიჯვნის ფონზე და პრეზიდენტ აჰმადინეჯადს გაწვდილი ხელის პოლიტიკა შესთავაზა.

რუსეთთან "გადატვირთვის პოლიტიკის" დაწყების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, სწორედ ირანთან არსებული პრობლემების მოგვარება მოიაზრება. ვაშინგტონი კარგად აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ რუსეთსა და ირანს ერთმანეთთან მეტად თბილი ურთიერთობა გააჩნიათ. რუსეთი ირანისთვის, იარაღის და გარკვეული ბირთვული ნივთიერებების ერთ-ერთი მთავარ მიმწოდებელს წარმოადგენდა, რასაც თეირანი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობისთვის იყენებდა. ვაშინგტონის აზრით, მოსკოვს შეეძლო გარკვეული ზემოქმედების მოხდენა ირანზე და აქედან გამომდინარე შესაძლებელი იქნებოდა თანამშრომლობა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის, როგორც ორმხრივ დონეზე, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს ფარგლებში, რათა შესაბამისი სანქციები ამოქმედებულიყო ირანის წინააღმდეგ. "თეთრი სახლის" ამ მცდელობამ გარკვეული შედეგები მოიტანა, როდესაც 2009 წელს რუსეთმა დაუჭირა მხარი სანქციების შემოღებას ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს ფარგლებში, რომლის თანახმადაც, აიკრძალა ირანისთვის მძიმე შეიარაღების მიწოდება, გამკაცრდა კონტროლი ირანული ბანკების საქმიანობაზე და ირანში მიმავალი ტვირთების შემოწმების მიზნით სპეციალური მონიტორინგის სტრუქტურა შეიქმნა.

რობერტ კაგანი, ირანთან დაკავშირებულ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ობამას ადმინისტრაციის გამარჯვებად მიიჩნევს, თუმცა იმ ფაქტსაც აღიარებს, რომ ჩინეთმა და რუსეთმა მოახერხეს რეზოლუციის ტექსტის შერბილება.

თუმცა მეორე ამერიკელი პოლიტოლოგი, დევიდ კრამერი აღნიშნავს, რომ ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში, რუსეთმა სამჯერ დაუჭირა მხარი ანალოგიურ სუსტ და გამოუსადეგარ სანქციებს ირანის წინააღმდეგ[157].

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ, ირანის წინააღმდეგ მიღებული სანქციების პარალელურად, რუსეთის სახელმწიფო ბირთვული გაერთიანების

[156]კალანდაძე თეონა. სამაგისტრო ნაშრომი: "გადატვირთვის პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოზე". საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2010 წ.

[157]კალანდაძე თეონა. სამაგისტრო ნაშრომი: "გადატვირთვის პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოზე". საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2010 წ.

("როსატომი") დირექტორმა, სერგეი კირიენკომ გააკეთა განცხადება, რომ ბუშერის ბირთვული რეაქტორი, რომელიც რუსეთმა ააშენა ირანში, 2010 წლის ზაფხულში შევიდოდა ექსპლუატაციაში, როგორც რუსულ-ირანული ერთობლივი საწარმო.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა კი, სტამბულის რეგიონალურსამიტზე კიდევ ერთხელ დაადასტურა ბუშერის ამუშავების განრიგი და გაერო-ში გასამართი კენჭისყრის წინ (როდესაც უნდა მიეღოთ ირანის წინააღმდეგ სანქციები) განაცხადა: "მე არ ვცვლი ჩემს შეხედულებას და მივიჩნევ, რომ ეს რეზოლუცია არ უნდა იყოს გადაჭარბებული, მან არ უნდა ჩააყენოს ირანის მთავრობა და მოსახლეობა მძიმე სიტუაციაში, რომელიც წარმოშობს შემაფერხებელ ბარიერებს ირანის მშვიდობიანი ბირთვული ენერგიის განვითარების გზაზე."[158]

ჯერ კიდევ 1995 წლის იანვარში, რუსეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ბუშერში ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობაზე და ირანის სამოქალაქო ბირთვული პროგრამისთვის სხვა სახის დახმარების გაწევის შესახებ. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თეთრი სახლი და კონგრესი აცხადებდნენ, რომ ირანი სავარაუდოდ სამოქალაქო ბირთვული რეაქტორის პროგრამას გამოიყენებდა ბირთვული იარაღის წარმოების საიდუმლო ოპერაციისთვის, რუსეთმა უარი განაცხადა გაეუქმებინა პროექტი. 2010 წლის 21 აგვისტოს რუსეთმა და ირანმა დაიწყეს ბუშერის ბირთვული ელექტროსადგურის ფიზიკურად ამუშავების პროცესი.

რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა შმატკომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ "დღის წესრიგი ნავთობის და გაზის სფეროში ჩვენი ურთიერთქმედებისთვის, არაფრით შეზღუდული არ არის. ჩვენი თანამშრომლობის განვითარება გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციებს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ ეწინააღმდეგება".[159]

რუსი ექსპერტების აზრით, ირანის პოლიტიკურ თამაშში მთელი რიგი სხვადასხვა მამოძრავებელი ძალები მონაწილეობენ. მოდერნიზატორები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ეკონომიკის და საზოგადოების განვითარებისთვის, რუსეთს დასავლეთის მხრიდან აქტიური მხარდაჭერა (და ინვესტიციები) სჭირდება, კრემლს ირანთან დაკავშირებით აშშ-ს პოზიციის მხარდაჭერისკენ უბიძგებენ. შეერთებულ შტატებთან "მოდერნიზაციული ალიანსის" (განსაკუთრებით მაღალი ტექნოლოგიების სფეროში) გულისთვის, ისინი ობამას მიერ დაწყებული "გადატვირთვის" პოლიტიკის მხარდაჭერას ცდილობენ. საბოლოო ჯამში, ობამას ადმინისტრაციამ კონგრესს განსახილველად რუსეთთან ბირთვულ თანამშრომლობაზე შეთანხმება წარუდგინა, კრემლმა კი გაეროში ირანის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას დაუჭირა მხარი და თურქეთის და ბრაზილიის მიერ შემოთავაზებული "ირანული ინიციატივა" უარყო.

მართალია შეერთებულ შტატებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის პერსპექტივა მოსკოვს ამერიკასთან პოზიციების დაახლოებისკენ უბიძგებს, თუმცა თეირანს და მოსკოვს კომერციული ურთიერთობების ძველი ტრადიცია აკავშირებს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთის ეკონომიკის მთელი რიგი სექტორებისთვის. მათი წყალობით რუსულ კომპანიებს გარკვეული დაკვეთები გააჩნიათ, განსაკუთრებით თავდაცვით სექტორში. 2010 წლის 14 ივლისს, რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა სერგეი შმატკომ ირანელ კოლეგებთან ხელი მოაწერა

[158] http://en.rian.ru/world/20101202/161585511.html

[159] კალანდაძე თეონა. სამაგისტრო ნაშრომი: "გადატვირთვის პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოზე". საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2010 წ. გვ. 54

“საგზაო რუქას” “ნავთობის, გაზის და ნავთობქიმიის გრძელვადიან თანამშრომლობაზე”, რაც ორ ქვეყანას საშუალებას მისცემს პარტნიორობა განამტკიცონ “ტრანსპორტირების, გაზის გაცვლის და გასაღების, ასევე ნავთობ და ნავთობ ქიმიური პროდუქციის” გაყიდვის სფეროში. მათ შორის საუბარია ირანში გაზის გათხევადების ქარხნის მშენებლობასა და ამ პროექტების დაფინანსებისთვის ერთობლივი რუსულ-ირანული ბანკის შესაძლო შექმნაზე.

მოსკოვში, დემოკრატიისა და თანამშრომლობის ინსტიტუტის დირექტორი, ანდრანიკ მიგრანიანი წერს: “იმისათვის, რომ ირანთან ურთიერთობაში დაინტერესებული ყველა მხარე შეეგუოს რუსეთის ირანულ პოლიტიკაში აშშ-ს პოზიციისკენ სერიოზულ გადახრას, შეერთებულმა შტატებმა მოსკოვს ისეთი რამ უნდა შესთავაზოს, რაც გადაწონის რუსულ –ირანული ურთიერთობების დღევანდელ უპირატესობებს”.[160] ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ რუსეთს უნდა შეეძლოს ამ უპირატესობების სრული სიის შედგენა და ამ გადაწყვეტილების თავს მოხვევა ყველა დაინტერესებული მხარისთვის. თუმცა იმის გამო, რომ ამერიკას ყველაფრის შეთავაზება არ შეუძლია, ხოლო კრემლის იმ ფრაქციებს, რომლებიც რუსეთსა და ირანს შორის კავშირების შენარჩუნებას უჭერენ მხარს, გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან ვერ გარიყავ, რუსეთის მიდგომა ირანული პრობლემატიკის მიმართ, ჟურნალისტ ვლადიმერ რადიუხინის თუ დავესესხებით “ზიგზაგისებური” დარჩება.[161]

რუსი ექსპერტი ნიკოლაი გვოზდევი თვლის, რომ მსგავსი “დაბალანსებული მიდგომა” (როგორც მას რუსეთი უწოდებს) შეიძლება შენარჩუნდეს (და შენარჩუნდება) მანამ, სანამ არ მოხდება შემდეგი: ან ირანი თავად იტყვის უარს რუსეთთან გარიგებებზე კრემლის მხრიდან შეერთებული შტატებისკენ გადადგმული ნაბიჯების გამო, ან აშშ-ს კონგრესი არ დაბლოკავს ობამას რუსეთთან დაახლოების ძალისხმევას, ან სულაც, ირანი არ გადალახავს ბირთვულ ზღვარს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რუსეთს მოუწევს ცალსახად აირჩიოს, მორიგების მომხრეა, თუ კონფრონტაციის-შენიშნავს იგი.[162]

ვაშინგტონი ასევე შეშფოთებას გამოთქვამდა მოსკოვის გადაწყვეტილებაზე, რომ ეს უკანასკნელი ირანს S-300 მარკის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს მიაწოდებდა, რომლის თაობაზეც ხელშეკრულება უკვე გაფორმდა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მოგვიანებით რუსეთმა უარი განაცხადა S300-ის ირანისთვის მიწოდებაზე, გვოზდევის აზრით “შეთანხმება ბოლომდე არ გაუქმებულა, არამედ მხოლოდ გაიყინა.”[163]

“Eurasia Review”–ს კოლუმნისტი მაიკლ ჩეჩირე ფიქრობს, რომ რუსეთმა ირანთან დაკავშირებით უფრო მკაცრი პოზიცია დაიკავა და ამ ქვეყანასთან თავის ძველ კავშირებს ზეწოლის ბერკეტად იყენებს.

“საქმე ის არის, რომ ზემოქმედების ის ბერკეტი, რომელსაც S-300-ის მიწოდება წარმოადგენს, რუსეთის გეოპოლიტიკური სიძლიერის განცდას ბადებს.”

იგივე მოსაზრება გამოთქვა თანამედროვე ირანის კვლევის მოსკოვური ცენტრის დირექტორმა, რაჯაბ საფაროვმა Bloomberg-ის სტატიაში: “ვიდრე ირანის პრობლემა

---

[160]იქვე

[161]კალანდაძე თეონა. სამაგისტრო ნაშრომი: “გადატვირთვის პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოზე”. საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2010 წ.

[162]იქვე

[163]იქვე

იარსებებს, დასავლეთს რუსეთი დასჭირდება, ხოლო რუსეთს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოთამაშის განცდა ექნება."[164]

ამა დროს არსებობს ვერსია, რომ რუსეთს არ აწყობს ირანის ბირთვული პროგრამის მოგვარება იმის გამო, რომ ირანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობათა დათბობის შემთხვევაში, ირანი შეიძლება გადაიქცეს ცენტრალური აზიიდან ენერგორესურსების ერთ-ერთ მთავარ სატრანზიტო ქვეყნად და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თვითონ ირანი მდიდარია ბუნებრივი აირით (ირანის ბუნებრივი აირის რეზერვები შეადგენს 20 ტრილიონ კუბურ მეტრს) შესაძლებელია, რომ ირანმა მოახდინოს თავის ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი აირის (თურქეთის გავლით) ტრანსპორტირება დასავლეთის მიმართულებით, ამ შემთხვევაში ბუნებრივია ეს პრობლემას შეუქმნის რუსეთს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ენერგომატარებლების ექსპორტიორს დასავლეთის ბაზარზე. აქედან გამომდინარე რუსეთს აწყობს, რომ არსებობდეს დაძაბულობა ირანის გარშემო, რაც თავის მხრივ ნავთობზე მაღალი ფასების შენარჩუნებასაც შეუწყობს ხელს, რადგან თეირანს გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა ექნება განახორციელოს ნავთობის ექსპორტი დასავლეთის მიმართულებით. ასევე, დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოების ყურადღება კვლავ ირანისაკენ იქნება მიპყრობილი, რაც რუსეთს საშუალებას მისცემს საკუთარი გეოპოლიტიკური თამაში აწარმოოს პოსტსაბჭოთა სივრცეზე.

"გადატვირთვის პოლიტიკა" და ავღანეთი

რუსეთთან "გადატვირთვის პოლიტიკის" განხორციელების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ავღანეთია. ამერიკას სჭირდება რუსეთი, რომ წარმატებით იქნეს განხორციელებული სამხედრო კამპანია ავღანეთის ტერიტორიაზე, სადაც 2003 წლიდან მოქმედებენ საერთაშორისო უსაფრთხოების ძალები ნატო-ს ეგიდით. ამერიკას სურდა რუსეთის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მათ შორის საჰაერო და სარკინიგზო გზების გამოყენება ავღანეთში სამხედრო და ჰუმანიტარული დანიშნულების ტვირთების გადასაზიდად, შესაბამისად, აშშ-ს დიდ ინტერესს იწვევდა რუსეთთან გარკვეული თანამშრომლობა და არსებული დაძაბულობის შემცირება.

2009 წლის ივლისში, მოსკოვში ბარაქ ობამას პირველი ვიზიტის დროს, რუსეთმა თანხმობა განუცხადა ვაშინგტონს მისი საჰაერო სივრცის გამოყენებაზე, ავღანეთში სამხედრო ტვირთების ტრანსპორტირების მიზნით.

მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დადებული საჰაერო სატრანზიტო ხელშეკრულების თანახმად, დღეში აშშ-ს ორ თვითმფრინავს აქვს უფლება განახორციელოს ფრენა რუსეთის საჰაერო სივრცეში, გადაიყვანოს სამხედროები და გადაიტანოს სამხედრო ტვირთები. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, ფილიპ გორდონის განცხადებით, 2010 წლის ოქტომბრამდე 275-ზე მეტი გადაფრენა განხორციელდა, რომლითაც მოხდა 35,000-ზე მეტი მგზავრის გადაყვანა და მნიშვნელოვანი ტვირთების გადაზიდვა. რუსეთის რკინიგზამ უზრუნველყო 10,000 კონტეინერის ტრანზიტი. რუსეთის სურვილი, რომ მხედველობაში მიიღოს ნატო-ს თხოვნა ვერტმფრენებზე და ავღანეთის უშიშროების ნაციონალური ძალების გაწვრთნაზე, გარკვეულ დახმარებაზე მიგვანიშნებს. ავღანეთის მიმართულებით

[164] იქვე

გადატანილი ტვირთების დაახლოებით 30%-ის გადაზიდვას NDN ახორციელებს, ხოლო NDN–ის 65% რუსეთზე გადის," განმარტავს ფილიფ გორდონი.[165]

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა, 2010 წლის 19-20 ნოემბერს, ლისაბონში გამართულ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სამიტს "ნატო-ს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი სამიტი" უწოდა. სამიტზე შეკრებილი ლიდერები შეთანხმდნენ, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობას ეტაპობრივად ავღანეთის მთავრობას გადასცემენ და პროცესი 2014 წლისთვის უნდა დასრულდეს, თუმცა ალიანსის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ნატო-ს არმია ამ ვადის ამოწურვის შემდეგაც ქვეყანაში დიდი ხნით დარჩება, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების სახით მაინც.[166]
ანალიტიკოსები სამიტის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად 2010 წლის 20 ნოემბერს გამართულ ნატო-რუსეთის საბჭოს შეხვედრას ასახელებენ. ნატო-რუსეთის საბჭოს ურთიერთობა ერთ ადგილას გაიყინა მას შემდეგ, რაც 2008 წელს რუსეთმა აგრესიული ქმედება განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ. თუმცა დღეს შეიძლება ითქვას, რომ ალიანსმა გარკვეულწილად უკან დაიხია. ნატოში აშშ-ს მუდმივი წარმომადგენელი ივო დაალდერი თვლის, რომ რუსეთსა და ნატოს შორის დიალოგი აუცილებელია უთანხმოების გამომწვევი საკითხების მოსაგვარებლად. ალიანსში ვაშინგტონის წარმომადგენელს უსაფუძვლოდ მიაჩნია ვარაუდი, რომ რუსეთმა შესაძლოა ალიანსის სისუსტედ აღიქვას მასთან მჭიდრო თანამშრომლობისკენ მისწრაფება, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვს დღემდე არ შეუსრულებია საქართველოსთან ომის შემდეგ ნაკისრი ვალდებულებები.[167]
ამავე დროს, სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება აქვს მოსკოვის ერთ-ერთ წამყვან საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტს, პროფესორ სერგეი კარაგანოვს. იგი მიიჩნევს, რომ რუსეთი, ნატო-სთან ურთიერთობით მხოლოდ მოგებული დარჩება, მისი აზრით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ალიანსი დასუსტებული დასავლეთის წევრებისგან შედგება, არსებული ორმხრივი ურთიერთობა გააძლიერებს რუსეთის გლობალურ პოზიციას.
კარაგანოვის აზრით, რუსეთი ნატო-სთან თანაშრომლობით პოლიტიკურ კოზირებს აგროვებს, რომლებიც მომავალში აშშ-სთან და ევროპასთან ურთიერთობაში გამოადგება. რუსეთის პარტნიორებს გაუჭირდებათ ამ ურთიერთობებზე უარის თქმა, რითაც მოსკოვი სავაჭრო პოზიციებს მრავალ საკითხთან დაკავშირებით (ვაჭრობა, ენერგეტიკა, ფინანსები) გაიძლიერებს.[168]
ნატო-რუსეთის საბჭოს შეხვედრაზე, მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება, სადაც ასევე საუბარია რუსეთის მომავალ თანამშრომლობაზე ნატოსთან, ავღანეთთან მიმართებაში. რუსეთმა თანხმობა განაცხადა, რომ ხელს შეუწყობს ალიანსის კამპანიას და გააფართოვებს სარკინიგზო ტრანზიტს ევროპიდან წამოსული ტვირთების ავღანეთში გადაზიდვის მიზნით. ასევე, რუსეთი დათანხმდა არასამხედრო დანიშნულების საქონლის გატარებას, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში გამართულ წვრთნებში მონაწილეობას და ავღანეთის საჰაერო ძალების მფრინავების გაწვრთნას. მოსკოვმა ასევე თანხმობა განაცხადა მიყიდოს უფრო მეტი ვერტმფრენი აშშ-ს და ასევე გაწვრთნას ავღანელი მფრინავები, რათა მათ უკეთესად დაეუფლონ რუსეთის მიერ მიწოდებულ საჰაერო საშუალებებს.

---

[165]კალანდაძე თეონა. სამაგისტრო ნაშრომი: "გადატვირთვის პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოზე". საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2010 წ. გვ. 62

[166]იქვე

[167]კალანდაძე თეონა. სამაგისტრო ნაშრომი: "გადატვირთვის პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოზე". საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2010 წ. გვ.64

[168]იქვე

რუსი სამხედრო ექსპერტი, პაველ ფელგენგაუერი მიიჩნევს, რომ მიუხედავად ნატო-ს მხრიდან გადაჭარბებული ხმაურისა, მოსკოვის ავღანურ პოლიტიკაში არსებული ცვლილებები არ მოხდება. "საბჭოთა ჯარებმა ავღანეთი ოფიციალურად 1989 წლის თებერვალში, ცხრაწლიანი წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ დატოვეს, თუმცა რაღაც თვალსაზრისით, რუსეთი აქედან ბოლომდე არასდროს წასულა."[169] მოსკოვი (თეირანთან ერთად) ჩრდილოეთის ანტითალიბურ ძალებს 2001 წლის შემოდგომამდე, აშშ-სა და ნატო-ს აქ გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე ამარაგებდა იარაღით, მათ შორის არტილერიით, ტანკებით და ვერტმფრენებით.

ავღანეთის სამთავრობო ჯარებს დღეს 25 სატრანსპორტო მი-17 გააჩნიათ-რომლებიც მათ რუსეთმა მიაწოდა, რუსეთმა გაწვრთნა პილოტებიც. კოალიციურ ჯარებში რუსი სამხედროები არ იბრძვიან და თავდაცვის მინისტრის ანატოლი სერდიუკოვისა და უშიშროების საბჭოს მდივნის ნიკოლაი პატრუშევის განცხადებით, რუსეთს არა აქვს განზრახული ახლო მომავალში სამხედრო პერსონალის ავღანეთში გაგზავნა, თუმცა აქ არიან რუსი და უკრაინელი მფრინავი კონტრაქტორები, რომლებიც ავღანეთის ტერიტორიის რამდენიმე საომარ რეგიონში ლოჯისტიკურ ფრენებს აწარმოებენ და ხანდახან მტრის დარტყმებსაც იღებენ.

1980-იან წლებში ავღანეთში მიმდინარე საომარი მოქმედებებისთვის ავღანეთის მთებში რუსეთის თავდაცვითმა ინდუსტრიამ მი-8-ის სპეციალური მოდიფიკაცია შექმნა (მი-17-ის სახელით ცნობილი), რომლის ძრავასაც მტვრისადმი მეტი მდგრადობა ჰქონდა. რუსეთი, პენტაგონის დაფინანსებით მი-17-ებს აწვდიდა ავღანეთსა და ერაყის სამთავრობო ძალებს. თუ მართლა რამე "გარდამტეხია" ახალ შეთანხმებაში, რომლის თანახმადაც ავღანეთში ნატო-ს ჯარებს 20-ზე მეტი მი-17 მიეწოდება, გახლავთ ის, რომ მათი ფასი სამჯერ გაიზარდა. 2006 წელს, მი-17 6 მილიონი დოლარი ღირდა, ახლა კი როგორც იტყობინებიან, მოსკოვი 18 მილიონს ითხოვს. რუსეთი იმედოვნებს, რომ ვერტმფრენების ამ გარიგებით სულ 300 მილიონ დოლარზე მეტ შემოსავალს მიიღებს.

თალიბები რუსეთის მეგობრები არასოდეს ყოფილან. თალიბების მიერ კონტროლირებადმა ავღანეთმა შეიძლება ისლამისტური აგრესია გაავრცელოს, რამაც შეიძლება ყოფილ საბჭოთა ცენტრალურ აზიაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს, არადა აქ რუსეთს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული და სამხედრო ინტერესები აქვს. ის, რომ ავღანეთში მოქმედ ჯარებს მოსკოვი ვერტმფრენებს მიჰყიდის, სატრანზიტო შესაძლებლობებით უზრუნველყოფს, ავღანურ პერსონალს წვრთნის და ნარკო-ტრეფიკინგს ებრძვის, ამით რუსეთი დასავლეთს კი არ უკეთებს შეღავათს, არამედ საკუთარ სტრატეგიულ და კომერციულ ინტერესებს ემსახურება, თუმცა ავღანეთში აშშ-ს თაოსნობით მოპოვებული გამარჯვება მოსკოვს არ სურს, რადგან ამან შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში გააძლიეროს ცენტრალური აზიის რეგიონში დასავლეთის გავლენა, რომელსაც რუსეთი დღემდე თავის სტრატეგიულ სამეზობლოდ მიიჩნევს."რუსეთი არასდროს გაიღებს საბრძოლო ძალას, რათა ხელი შეუწყოს ასეთ დასასრულს."–აღნიშნავს სამხედრო ექსპერტიფელგენგაუერი[170].

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტები, ასევე საუბროვენ იმ გარემოებებზე, რის გამოც რუსეთს ხელს აძლევს ავღანეთშის არეულობა.ერთ-ერთი მიზეზი ნავთობია. იქამდე, სანამ ირანსა და აშშ-ს შორის მტრული ატმოსფერო სუფევს, ავღანეთის ტერიტორია შეიძლება ათვისებულ იქნეს, როგორც ნავთობის სატრანზიტო გზა, ცენტრალური აზიიდან პაკისტანში ავღანეთის გავლით. სანამ ომია, და სანამ არასტაბილურობა სუფევს, იქამდე ცენტრალური აზიის ქვეყნები ვერ ისარგებლებენ ამ შესაძლებლობით, რაც დიდ მოგებას მოუტანდა ამ

---

[169]იქვე

[170]კალანდაძე თეონა. სამაგისტრო ნაშრომი: "გადატვირთვის პოლიტიკა და მისი გავლენა საქართველოზე". საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2010 წ.

სახელმწიფოებს. რუსეთი კი ამ შემთხვევაში მხოლოდ მოგებული რჩება, მის ინტერესებში არ შედის ავღანეთის ენერგეტიკულ პროგრამებში ჩართვა, ის მშვენივრად ირგებს მონოპოლისტის მანტიას და განკარგავს ცენტრალური ქვეყნების ნავთობისა და ბუნებრივი აირის ბედს, მცირე გამონაკლისით, რომელიც საქართველოს გავლით მიეწოდება აღმ.ევროპას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთი შეიძლება არ იყოს დაინტერესებული ავღანეთში პრობლემის მოგვარებით, რადგანაც "გადატვირთვის პოლიტიკის" მიუხედავად, რუსეთი კვლავ განიხილავს დასავლეთს, განსაკუთრებით კი აშშ-ს და ნატო-ს, მოსკოვის მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად. ამიტომ რუსეთის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს ნატო-ს და აშშ-ს დასუსტება, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც უფრო დიდ ხანს გაგრძელდება ნატო-ს და აშშ-ს კამპანია ავღანეთში, ბუნებრივია უფრო მეტ სამხედრო დანაკარგს განიცდის ამერიკა და მისი სამხედრო რესურსები უფრო გამოიფიტება, მეორეს მხრივ კი ეს მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ დანახარჯს და აქედან გამომდინარე საჭირო იქნება დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფა, რაც პრობლემას შეუქმნის აშშ-ს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საბჭოთა იმპერიის სამხედრო მარცხი ავღანეთში 1979-1989 წლებში, გარკვეულ კომპლექსებს ბადებს რუსეთის ხელისუფლებაში. რუსეთს შეიძლება არ აწყობდეს ნატოს გამარჯვება ავღანეთში, რადგანაც ამ შემთხვევაში რუსეთის პოლიტიკა აღმოჩნდება წარუმატებელი თავის დროზე.

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ხელშეკრულების გაფორმება

2010 წელს, მსოფლიო პოლიტიკაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ აშშ-სა და რუსეთს შორის გაფორმებული ახალი ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ. ამ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2010 წლის 8 აპრილს, ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი 2009 წლის ზაფხულიდან დაწყებული რამდენიმე თვის განმავლობაში მზადდებოდა, მხარეები საბოლოო შეთანხმებამდე ათრაუნდიანი მოლაპარაკებების შემდეგ მივიდნენ, შესაბამისად, ვერ მოესწრო ამ ხელშეკრულების 2009 წლის დეკემბრამდე გაფორმება, როდესაც ვადა გაუვიდა წინა ხელშეკრულებას.[171]საბოლოო შეთანხმება გულისხმობს ბირთვული შეიარაღების 30-პროცენტიან შემცირებას. ბირთვული ქობინების რაოდენობა 1550 ერთეულამდე მცირდება, ხოლო რაკეტა მატარებლების კი – 700 ერთეულამდე.[172] მოლაპარაკებათა პროცესში, რუსეთის მხარე სამართლიანად არ მიიჩნევდა თავისი რაკეტების მწარმოებელი ქარხნების რეგულარულ შემოწმებას, რადგან მოსკოვი მიიჩნევდა, რომ ამ პუნქტის მიხედვით მხოლოდ ვაშინგტონის ინტერესები იყო გათვალისწინებული, თუმცა, ამერიკული მხარე უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც საერთოდ არ აწარმოებს ახალ რაკეტებს და რაკეტების მწარმოებელი ქარხნებიც ამ ხნის განმავლობაში დაკეტილი იყო. აქედან გამომდინარე, რუსეთი შეთანხმების მიხედვით, აშშ-ის ტერიტორიაზე საბრძოლო მორიგეობაზე არსებული რაკეტა-მატარებლების მონიტორინგს განახორციელებს.

მოლაპარაკებათა პროცესში მწვავე დებატების თემას ასევე წარმოადგენდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ობიექტების საკითხი, რომელთა შესახებაც რუსეთს შეთანხმების მიღწევა პარალელურ რეჟიმში – ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ჩარჩოებში სურდა. თუმცა, ამერიკული მხარე მოსკოვის ამ პოზიციას არ ეთანხმებოდა, ვინაიდან ხელშეკრულება სტრატეგიულ შეტევით

[171]www.24saati.ge. 31 დეკემბერი, 2010 წ.
[172]იქვე

შეიარაღებას ეხებოდა, ხოლო რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსები კი თავდაცვით იარაღს წარმოადგენს და ისინი შეზღუდვას არ ექვემდებარებოდნენ. მიუხედავად ამისა, "გადატვირთვის" პოლიტიკის გამო, "თეთრი სახლი" კრემლთან მიმართებაში გარკვეულ დათმობაზე მაინც წავიდა და უარი თქვა პოლონეთისა და ჩეხეთის ტერიტორიებზე სტაციონალური რაკეტსაწინააღდეგო სისტემების განლაგებაზე, რომლის გეგმაც ჯერ კიდევ ჯორჯ ბუში უმცროსის პრეზიდენტობის პერიოდში მომზადდა. ამ პროექტის მიხედვით, ჩეხეთში უნდა აშენებულიყო მძლავრი რადიოლოკაციური სადგური ირანიდან მომდინარე საფრთხის დასაფიქსირებლად, ხოლო პოლონეთში კი გზადამჭერი რაკეტების განთავსება იგეგმებოდა. ამის სანაცვლოდ, აშშ-ის დღევანდელმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2015 წლისათვის მოხდეს მობილური რაკეტსაწინააღდეგო სისტემების განლაგება აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოში, მათ შორის ნატო-ს წევრ რუმინეთში, აგრეთვე ხმელთაშუა ან შავ ზღვაში გემებზე. რა თქმა უნდა, რუსეთისათვის ამერიკელთა ეს გეგმაც მიუღებელია, თუმცა ისინი მაინც კმაყოფილნი დარჩნენპოლონეთსა და ჩეხეთში სტაციონარული სისტემების აგებაზე უარის გამო. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების პრეამბულაში, რუსეთის დელეგაციის დაჟინებული მოთხოვნით, მაინც ჩაიწერა წინადადება, რომელიც რუსეთს ხელშეკრულებიდან გამოსვლის უფლებას უტოვებს. ეს კი შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ დასავლეთის თავდაცვითი რაკეტსაწინააღდეგო სისტემები იმ დონემდე მივა, რომლის გადალახვასაც რუსული შეიარაღება ვეღარ შეძლებს. რუსეთს არ ძალუძს უხლოეს მომავალში დასავლეთს დაეწიოს თავდაცვით შეიარაღებაში, რადგან მას ამისათვის შესაბამისი არც ტექნოლოგიები და არც მატერიალური რესურსები არ გააჩნია, ამიტომ იგი ე.წ. ასიმეტრიული პასუხით იმუქრება, რის შესახებაც თავის დროზე ამერიკული სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის წინააღმდეგ სსრკ-ის კომუნისტური პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი გორბაჩოვიც ლაპარაკობდა. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი მოძალადესავით იქცევა.[173]

ხელშეკრულების პრეამბულაში დაფიქსირებულმა ამ წინადადებამ თავი იჩინა აშშ-ის კონგრესში ხელშეკრულების რატიფიკაციის განხილვის პროცესში. შეთანხმების თანახმად, ორივე ქვეყანაში რატიფიკაციის პროცესი სინქრონულად უნდა მომხდარიყო, თუმცა ამერიკაში ეს პროცესი რამდენადმე გაიწელა. "რესპუბლიკელთა" ნაწილი ამ შეთანხმებას ღიად ეწინააღდეგებოდა და კონგრესის შუალედურ არჩევნებამდე ამ დოკუმენტისათვის მათ ხმის მიცემა არ უნდოდათ, შესაბამისად, ეს პროცესი გადაიდო 2010 წლის ბოლომდე. როგორც ცნობილია, "დემოკრატიულმა პარტიამ" არჩევნების შედეგად წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობა საერთოდ დაკარგა, ხოლო კონგრესის ზედა პალატა-სენატში, რატიფიკაციას ხმათა ორი მესამედი, ანუ 67 ხმა სჭირდებოდა. საბოლოოდ, ობამამ გაითვალისწინა "რესპუბლიკელთა" პოზიციაც, როდესაც იგი დაეთანხმა რესპუბლიკელთა წინადადებას, რომ რეზოლუციაში აღნიშნულ ყოფილიყო იმის შესახებ, რომ ამერიკას მაინც უნდა განელაგებინა მობილური რაკეტსაწინააღდეგო სისტემები ცენტრალურ ევროპაში, რაზედაც თავიდან უარი იყო ნათქვამი.

ამ ფაქტის გამო, შესაძლებელია რატიფიკაციის პროცესი რუსეთის სახელმწიფო დუმაშიც გაიწელოს.

აშშ-უკრაინა

[173]www.24saati.ge. 31 დეკემბერი, 2010 წ.

მეტად საინტერესოა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში-ბატონ ზბიგნევ ბჟეჟინსკის მოსაზრება უკრაინასთან დაკავშირებით, რომელიც კარგადაა გაანალიზებული წიგნში "დიდი საჭადრაკო დაფა."

"უკრაინის როლი პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებულია, უკრაინის გარეშე აღდგენილი რუსეთის იმპერია უფრო აზიური და ევროპისგან დაცილებული იქნება. უკრაინა მდიდარია თავისი ბუნებრივი რესურსებით, მას მძლავრი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი გააჩნია. გარდა ამისა, უკრაინის ტერიტორიას რუსეთიდან დასავლეთ ევროპაში მიმავალი ნავთობსადენები და გაზსადენები გადაკვეთს. აღნიშნული ფაქტორები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ 52-მილიონიანმა უკრაინამ რუსეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს. უკრაინას ძალუძს ევროპის ნაწილი გახდეს რუსეთის გარეშეც, ხოლო რუსეთს ამის გაკეთება მხოლოდ უკრაინის მეშვეობით შეუძლია."[174]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ნატოს 2006 წელს გამართული რიგის, და 2008 წელს გამართული ბუქარესტის სამიტები. სადაც უკრაინის შესახებ მრავალი მოსაზრება იყო გამოთქმული. კერძოდ, რიგის სამიტზე ამერიკელმა სენატორმა რიჩარდ ლუგარმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამერიკა მიესალმება უკრაინისა და საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. "ნატოს კარები ახალი წევრებისათვის, მათ შორის უკრაინისა და საქართველოსათვის ღიაა," ასეთი განცხადება გააკეთა რიგაში ჩასულმა ჯორჯ ბუშმა. ამერიკის პრეზიდენტის განცხადებით, ნატოში ამ ქვეყნის გაწევრიანებამ უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს.

უკრაინასთან მიმართებაში ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ფაქტორიც. უკრაინაში იუშჩენკოს პრეზიდენტობისას, მოლაპარაკებები ამ თემაზეც მიმდინარეობდა. კერძოდ, 2007 წლის მარტში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა პირებმა პოლონეთისა და ჩეხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის პოლონეთსა და ჩეხეთში განთავსების შესახებ კონსულტაციები გამართეს, ანალოგიური კონსულტაციები ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა კიევში უკრაინის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებსა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ამერიკელ ექსპერტებს შორის. აშშ-ის დელეგაციას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტოს დირექტორი, გენერალი ჰენრი ობერინგი ხელმძღვანელობდა.

ობერინგი უკრაინის თვადაცვისა და უშიშროების მინისტრებს, უკრაინის პრეზიდენტის პრეს-მდივანს, უშიშროების საბჭოს მდივანსა და უკრაინის ნაციონალური კოსმოსური სააგენტოს ხელმძღვანელს, ასევე უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატებს შეხვდა. აღსანიშნავია რომ ობერინგის სიაში არ ფიგურირებდა უკრაინის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი (და მომავალი პრეზიდენტი) იანუკოვიჩი, რომელიც უკრაინაში აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

ამავე დროს ექსპერტები გამორიცხავდნენ უკრაინაში ამერიკული რადარების განთავსების შემთხვევაში რუსული რაკეტების დასავლეთის წინააღმდეგ შემოტრიალებას. აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ამ რადარების ინტერესთა სფეროში შედის ჩრდილოეთ კორეა და ირანი.

2010 წლის დასაწყისში უკრაინის ხელისუფლებაში ვიქტორ იანუკოვიჩის მოსვლამ და ამის შემდგომ კიევსა და მოსკოვს შორის გამართულმა მოლაპარაკებებმა უკრაინაში შავი ზღვის ფლოტის 2045 წლამდე დარჩენის შესახებ, აგრეთვე უკრაინისათვის რუსულ ბუნებრივ აირზე დაწესებულმა ახალმა-შედარებით დაბალმა ტარიფებმა, იანუკოვიჩის უარმა – გაგრძელებულ იქნას ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია და ა.შ. გარკვეული გავლენა იქონია აშშ-უკრაინის

[174]Zbigniew Brzezinski. The Grand Chessboard. P. 137

თანამშრომლობაზე, თუმცა უკრაინის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, "თეთრი სახლის" ინტერესები ამ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მიმართ კვლავ იგივე რჩება.

აშშ-ჩინეთი

პეკინი დასავლეთთან იდეოლოგიური განსხვავებების გამო გარკვეულწილად განიხილება აშშ-ის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ. მაგალითად 2007 წელს პენტაგონის შეფმა, გეიტსმა კონგრესისაგან მოითხოვა აშშ-ის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის გაზრდა. იგივე გეიტსის თქმით, "ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდება სიტუაცია ისეთ ქვეყნებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ჩინეთი და რუსეთი, ასევე ჩრდილოეთ კორეა, ირანი, და სხვა".

გეიტსი ასევე ეცადა დაეყოლიებინა წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებულ ძალთა კომიტეტი 2008 ფინანსური წლისათვის სამხედრო საჭიროებეზე-716 მილიარდი დოლარის გაცემაზე.

თავდაცვის მდივანს მხარდაჭერა ქვეყნის მთავარმა სამხედრო ჩინოსანმა-შტაბთა ხელმძღვანელების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა პიტერ პეისმა გამოუცხადა. მისი სიტყვების მიხედვით, პენტაგონში განიხილეს ომის განახლების რამდენიმე შესაძლო სცენარი: "შეისწავლეს კორეაში კონფლიქტის განახლების შესაძლებლობა და კიდევ ერთი კონფლიქტის განახლების შესაძლებლობა წყნარი ოკეანის რეგიონში." გენერლის თქმით, "მართალია ჩინეთი უშუალოდ საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ მაინც თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რაც იქ ხდება." ამასთან პეისმა განსაკუთრებით გამოყო ჩინელთა მიერ 2008 წლის დასაწყისში თანამგზავრის საწინააღმდეგო იარაღის გამოცდა.

აქ ალბათ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ტაივანის პრობლება – ჩინეთის ხელისუფლების მიერ ტაივანზე სამხედრო შეტევის განხორციელების შემთხვევაში არ არის გამორიცხული აშშ-სა და პარტნიორების კონფლიქტში ჩარევაც. როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ აშშ აღიარებს ჩინეთის ტერიტორიულ მთლიანობას, მას მჭიდრო სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა გააჩნია ტაივანთან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რიგი ამერიკელი მეცნიერებისა, აშშ-ისა და ზოგადად დასავლური სამყაროს ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ სწორედ რომ ჩინეთს მიიჩნევს. ამ მხრივ ყურადსაღებია ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული, ჯონ ოლინის სახელობის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორის სამუელ ჰანტინგტონის ცნობილ ნაშრომში - "ცივილიზაციათა შეჯახება" გამოთქმული მოსაზრება. ნაშრომში ჰანტინგტონი დასავლეთის ყველაზე შესაძლო მოწინააღმდეგებად მიიჩნევს ჩინეთსა და ისლამურ სახელმწიფოებს.
გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის სავაჭრო ბალანსი ჩინეთის სასარგებლოდ სულ უფრო და უფრო იზრდება და ვაშინგტონის სავაჭრო დეფიციტს სულ უფრო ზრდის. 2006 წლის ბოლოს ვაშინგტონის უარყოფითმა ბალანსმა ჩინეთთან დაახლოებით 229 მილიარდ დოლარს მიაღწია. მიუხედავად აშშ-სათვის ნეგატიური პროცესისა, ეს თავის მხრივ ზრდის ჩინეთის ეკონომიკურ დამოკიდებულებასაც აშშ-ზე, რადგანაც ჩინეთი სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული თავისი პროდუქციის ამერიკის უმდიდრეს ბაზარზე ექსპორტირების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოფიციალურმა პეკინმა გაეროს უშიშროების საბჭოს ფარგლებში მხარი დაუჭირა 2010 წლის შემოდგომაზე ირანის წინააღმდეგ შემოღებულ სანქციებს, გარდა ამისა, აშშ და ჩინეთი თანამშრომლობენ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული პრობლემის მოგვარების საკითხზეც.

აშშ-ის ურთიერთობა შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის დემოკრატიული სამყაროს წარმომადგენლებთან (იაპონია, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, ახალი ზელანდია)

"ცივი ომის" შემდეგ, აშშ მეტად აქტიურად ცდილობდა უსაფრთხოების სისტემის განმტკიცებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში და ამ მხრივ იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ევროატლანტიკური სივრცის გარეთ მყოფ დემოკრატიულ სამყაროს ქვეყნებთან კავშირურთიერთობების დამყარებას.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია იგივე აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მცდელობა შეექმნათ ნატოს ტიპის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციები ავსტრალიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში.

1951 წელს აშშ-ს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ინიციატივით შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ANZUS (Australia, New Zeland, United States). მის საქმიანობას საფუძვლად დაედო "წყნარი ოკეანის უსაფრთხოების პაქტი", რომელსაც ხელი 1951 წელს სან-ფრანცისკოში მოეწერა. ბლოკის ფარგლებში რეგულარულად იმართებოდა სხვადასხვა სახის სამხედრო მანევრები.

აშშ-ის კიდევ უფრო დაინტერესება შორეული აღმოსავლეთით უკანასკნელ პერიოდშიც უფრო ნათლად გამოიკვეთა. მაგალითად აშშ-მ 2008 წელს იაპონიას, იაპონიის კურძულებზე ანტისარაკეტო რადარის დამატებითი განთავსება შესთავაზა, წყნარი ოკეანის რეგიონის ჩრდილოკორეული ბირთვული შეტევისაგან დასაცავად. გარდა ამისა, როგორც ერთ-ერთი იაპონური გაზეთი იუწყება, ამერიკულ გასაიდუმლოებულ სამხედრო წყაროზე დაყრდნობით, ანტისარაკეტო რადარები საჭიროა იაპონიაში დისლოცირებული აშშ-ის ჯარებისა და სამხრეთ კორეის წინააღმდეგ მეზობელი კომუნისტური ქვეყნების მხრიდან ბალისტიკური რაკეტების გამოშვების საფრთხის თავიდან ასაცილებლად. სამხედრო სფეროში შიში მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ჩრდილოეთ კორეამ 2006 წლის ივლისსა და ოქტომბერში ბირთვული გამოცდა ჩაატარა, ხოლო 2010 წლის ნოემბერში სამხრეთ კორეის ტერიტორიის მიმართულებით სარაკეტო დარტყმა განახორციელა.

იმის გამო, რომ აშშ-ს იაპონიის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებული აქვს მხოლოდ ანტისარაკეტო რადარები, რომლებიც უშუალოდ აშშ-ის ტერიტორიას იცავს, 2006 წლის ივლისში კორეის მიერ ჩატარებული გამოცდისას რაკეტები იაპონიის ზღვაში ჩაცვივდა.

ამავე დროს, არც თუ მცირეა იმ გეოპოლიტიკური ფაქტორების სია, რომელიც ხელს შეუშლის იაპონიას, იქცეს ბირთვულ სახელმწიფოდ. პირველ რიგში ეს ამერიკის შეერთებული შტატების ფაქტორია. იაპონიაზე "სრული ამერიკული პროტექტორატის" მაგალითი იყო ჯერ კიდევ ბუშის ადმინისტრაციის დროს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის ტურნე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც იგი შეეცადა, დაერწმუნებინა იაპონია და კორეა სრული დაცვის გარანტიებში. ამერიკას კარგად ესმის, რომ თუ იაპონია და სამხრეთ კორეა ბირთვულ სახელმწიფოებად გადაიქცევიან, მათ აღარ დასჭირდებათ ამერიკელთა დახმარება და გამომდინარე აქედან, ვაშინგტონსაც მოუწევს ამ ქვეყნებში განთავსებული სამხედრო ბაზების დათმობა, რაც არანაირად არ შედის აშშ-ის გლობალური სტრატეგიის გეგმებში. საერთაშორისო გავლენის შენარჩუნების მიზნით, ამერიკა მზადაა იაპონიის, და არა მარტო მისი, შეიარაღებული ძალები გამოიყენოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში საჭიროებისამებრ და ამას იაპონიის, სამხრეთ კორეის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნატო-სთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ინიციატივაც ემატება თან.

რაც შეეხება სამხრეთ კორეას, მას 2006 წლის მონაცემებით ამერიკელების მხარდამხარ ერაყში განთავსებული ჰყავდა 2300 ჯარისკაცი. რომლებიც ერაყის ქალაქ ერბილის ჩრდილოეთ ნაწილში იყვნენ განლაგებულნი.

აშშ-ის კიდევ ერთ სტრატეგიულ პარტნიორს-ავსტრალიას ერაყში 550 მებრძოლი ჰყავდა, ხოლო 2010 წლის მონაცემებით, ამ ქვეყნის მებრძოლთა რიცხვი ავღანეთში

რამდენიმე ასეულს შეადგენდა. ერაყში ავსტრალიის შეიარაღებული ძალების ძირითად ფუნქციას ავსტრალიელი დიპლომატების დაცვა და ერაყის სამხედრო ძალების გაწვრთნა წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აშშ-სა და შორეული აღმოსავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და ნდობის განმტკიცებას ხელს შეუწყობს ის ფაქტი, რომ სწორედ აშშ-ს, იაპონიასა და სამხრეთ კორეას შორის არსებულმა ერთსულოვნებამ ითამაშა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი იმაში, რომ 2007 წლის 13 თებერვალს დაიდო ისტორიული შეთანხმება, რომელიც ჩრდილოეთ კორეის მხრიდან ბირთვული პროექტის შეწყვეტას, ხოლო მეორე მხრივ მოლაპარაკების მეორე მხარის თანხმობას - ფხენიანისათვის დიდი რაოდენობით ენერგორესურსების გადაცემას ითვალისწინებდა და დასავლეთს სხვადასხვა ტიპის სანქციების გაუქმებას აკისრებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეის ირგვლივ ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული სირთულეები, თამამად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის მხრიდან დაწესებული ეკონომიკური სანქციებისა თუ წარმატებული დიპლომატიური ურთიერთობების მეშვეობით ოფიციალური ფხენიანი ვერ ბედავს სიტუაციის შემდგომ ესკალაციას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცებას.

აშშ-თურქეთი

ნატო-ს წევრ თურქეთთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნება აშშ-თვის ძალიან მნიშვნელოვანია. ანკარა აკონტროლებს შავ და ხმელთაშუა ზღვებს და აბალანსებს რუსეთს კავკასიაში. ბოსფორის გავლით ყოველდღიურად 1.2 მლნ. ბარელი ნავთობის ტრანსპორტირება ხორციელდება.

თუ გავითვალისწინებთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ირანის ბოლოდროინდელ ურთიერთობას, ამერიკისათვის მნიშვნელოვანია თურქეთის მხარდაჭერა.

თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობისა და განსახორციელებელი ენერგოპროექტების გარდა, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მომგებიანია სამოცმილიონიანი მოსახლეობის მქონე თურქეთის ტერიტორიაზე ეკონომიკური პროექტების განხორციელება. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ელიტა კარგად აცნობიერებს, რომ თურქეთს დიდი როლის შესრულება შეუძლია კავკასიის უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

თურქეთსაც აქვს თავისი ინტერესები ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. პირველი არის ის, რომ თურქეთს სურს ევროკავშირში შესვლა და სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედი აქვს, ვინაიდან თურქეთის კიდევ უფრო დაახლოება, ინტეგრირება ევროპასთან, გამოიწვევს თურქეთში დემოკრატიული ღირებულებების კიდევ უფრო ღრმად დამკვიდრებას. როცა თურქეთის ტერიტორიას საფრთხე ემუქრებოდა საბჭოთა კავშირის მხრიდან, ამერიკის შეერთებული შტატები გახდა თურქეთის უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი. აქედან გამომდინარე, თურქეთის პრიორიტეტია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობა. ეს არის ნატო-ს ფარგლებში ურთიერთობა, სამხედრო შენაერთების გაძლიერება, ეკონომიკური პროექტები და ა.შ. თურქეთის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების არსებობა თურქეთის უსაფრთხოებაზე დადებითად მოქმედებს.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის სტრატეგიული პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატებია, ოფიციალური ანკარა ყოველთვის იცავს თავის პოზიციებს. მაგალითად, ერაყის ომში თურქეთმა ამერიკის შეერთებულ შტატებს არ დაუთმო თავისი საჰაერო სივრცე, თუმცა მანამდე იმავე ინგირლიკის სამხედრო ბაზიდან ხდებოდა ერაყის სივრცის კონტროლი, რამაც განაპირობა ჰუსეინის რეჟიმის შესუსტება.

თურქეთი წინააღმდეგი იყო განხორციელებულ ყოფილიყო ეკონომიკური სანქციები ირანის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფომ მდივანმა კონდოლიზა რაისმა თურქეთს ირანზე ანკარის მიერ ეკონომიკური სანქციების დადების სანაცვლოდ, შესთავაზა გარკვეული შუამავლის როლის შესრულება თურქეთსა და ევროკავშირს შორის, რათა თურქეთი გაწევრიანდეს ევროკავშირში.

თურქეთსა და აშშ-ის შორის თბილი ურთიერთობების მიუხედავად არც თუ ისე დიდი ხნის წინ გარკვეული უთანხმოებანი წარმოიქმნა თურქეთში განლაგებული აშშ-ის სამხედრო ბაზების გარშემო, ხოლო შემდგომ აშშ-ის მიერ ერაყში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების გარშემო. ამის ნათელი დადასტურებაა თურქეთის უარი, დაეთმო თავისი საჰაერო სივრცე აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის ერაყის სამხედრო კომპანიის დროს 2003 წელს. გარდა ამისა, ანკარის უკმაყოფილებას იწვევს ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე ქურთისტანის მუშათა პარტიის შეიარაღებული ფორმირებების არსებობა. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ვაშინგტონი არავითარ ქმედებებს არ ახორციელებს ამ ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც გადმოდიან თურქეთის ტერიტორიაზე და ტერორისტულ აქტებს ახორციელებენ. როგორც ცნობილია, 2007 წლის ბოლოს თურქეთი უფრო რადიკალურ ქმედებებზე გადავიდა და ჩრდილოეთ ერაყში ქურთთა მუშათა პარტიის პოზიციები რამდენჯერმე დაბომბა. გარდა ამისა, თურქეთს სურს თვითონ იტვირთოს ლიდერის ფუნქცია შავ ზღვაზე განსახორციელებელი პროგრამების (BLACKSEAFOR, Black Sea Harmony) ფარგლებში და არ დაუშვას აშშ-ის სამხედრო ფლოტის გავლენის ზრდა შავ ზღვაზე. თავის მხრივ, ვაშინგტონის უკმაყოფილებას იწვევს თურქეთის სულ უფრო დაახლოება მოსკოვთან, რისი ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა გაზსადენი "ცისფერი ნაკადი", სავაჭრო ბრუნვის ზრდა მოსკოვსა და ანკარას შორის და თურქეთ-რუსეთის კოორდინირებული ქმედებები შავ ზღვაზე BLACKSEAFOR, Black Sea Harmony-is ფარგლებში.

მიუხედავად ამ წინააღდეგობებისა, ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება, რისი ნათელი დადასტურებაც გახლდათ აშშ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტის, ბარაქ ობამას ვიზიტი თურქეთში 2009 წლის დასაწყისში.

აშშ-ირანი

ამერიკის შეერთებულ შტატებს ერაყისაგან განსხვავებით, გაუჭირდება ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების განხორციელება, ვინაიდან ირანი სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერი ქვეყანაა, ვიდრე ერაყი. აგრეთვე, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგი თავად ერაყელი ხალხი გახდა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა აშშ-ის წარმატება 2003 წელს. სხვაგვარი სიტუაციაა ირანში. ირანის მოსახლეობის უმრავლესობამ არჩევნებში მხარი დღევანდელ პრეზიდენტს, მაჰმუდ აჰმედინეჯადს დაუჭირა მხარი. რა თქმა უნდა, ირანის პრეზიდენტს ჰყავს მოწინააღმდეგეები თავის ქვეყანაში, რაც კარგად გამოჩნდა 2009 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად, მაგრამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ისინი დღევანდელ ეტაპზე არ წარმოადგენენ.

ირანი ოპეკ-ის მეორე უდიდესი ნავთობმომპოვებელი ქვეყანაა. იგი მსოფლიო ბაზარს ყოველდღიურად 4 მილიონი ბარელი ნავთობით ამარაგებს. ირანის ნავთობის გარეშე რიგით ევროპელ მოქალაქეს ცხოვრება კიდევ უფრო გაუძვირდება.

თავის დროზე სენატის რესპუბლიკური უმრავლესობის ლიდერი ბილ ფრისტი აცხადებდა: "აშშ-ს არ შეუძლია ნება დართოს ირანს, რათა ის ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყანა გახდეს." მისი აზრით,"აშშ-მ ჯერ დიპლომატიურ, ხოლო თუ ეს

ვერ გაჭრის, მაშინ ეკონომიკურ სანქციებს უნდა მიმართოს და თუ ესეც ვერ უშველის სამხედრო ძალის გამოყენებაზე უნდა დაიწყოს მსჯელობა". ფრისტის თანახმად კონგრესის წევრებს ეყოფოდათ პოლიტიკური ნება, ირანზე სამხედრო დარტყმა გაამართლონ. ამ ყველაფერზე საუბარი ბუშის პრეზიდენტობის დროს მიმდინარეობდა.

ირანის ბირთვული ტექნოლოგიების გზიდან გადაყვანის საშუალება ჯერ არ არსებობს. ნავთობის უმსხვილესი მარაგის წყალობით ირანს შეუძლია ნებისმიერ სანქციებს გაუძლოს, რა თქმა უნდა თუკი ეს სანქციები მსოფლიოში ყველაფერს არ შეეხება. ამიტომ დასავლეთს მხოლოდ ორი გზა აქვს: ირანს ან ყუმბარები უნდა დააყაროს ან თავი დაანებოს. ეს ორივე გზა გაუმართლებელია, რადგან როგორც ცნობილია ირანი უკვე რამდენიმე წელია ახორციელებს გასაიდუმლოებულ ბირთვულ პროგრამას. მან მალე ურანის გამდიდრებაც უნდა შესძლოს, რის შემდეგადაც ექსპერტების აზრით ბირთვული იარაღის შექმნა მხოლოდ დროის ფაქტორი იქნება. თუ აშშ ირანს "თავს დაანებებს", გამორიცხული არ არის, რომ რეგიონის სხვა ქვეყნებმა როგორებიცაა: საუდის არაბეთი, თურქეთი და ეგვიპტე მის მაგალითს მისდიონ. ბომბების დაშენა კი შეუძლებელია, რადგან აშშ ნათლად აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ირანი ერაყს სამჯერ აღემატება, როგორც ტერიტორიულად, ისე მოსახლეობის მიხედვითაც. მისი ბირთვული ობიექტები კი მთელი ქვეყნის მასშტაბით არის მოფანტული და როგორც ვარაუდობენ ბირთვულ იერიშსაც გაუძლებენ. ირანს ახლა ამბიციური ლიდერი ჰყავს, რომელიც ბოლომდე წავა. ირანს ესმის, რომ სერიოზულ სანქციებს მის წინააღმდეგ ვერავინ გამოიყენებს. აშშ-ს მისი ოკუპაციის ძალა არ შესწევს. ამიტომ შესაძლებელია აშშ-ს თავისათვის მტკივნეულ დათმობებზე წასვლა მოუწევს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ აშშ-მ განახორციელოს საჰაერო დარტყმები ირანის სტრატეგიულ – სამხედრო და ენერგეტიკულ ობიექტებზე. ნაკლები შანსია, რომ ვაშინგტონმა გამოიყენოს სახმელეთო დარტყმები, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დროში გაიწელება და, შესაძლებელია, ვაშინგტონისათვის სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

აშშ და ერაყი

როგორც უკვე აღინიშნა, 2003 წლის მარტში, ერაყში სამხედრო კომპანია დაიწყო, სახელით "ერაყის თავისუფლება". აშშ-ის სამხედრო დახმარება გაუწია გაერთიანებულმა სამეფომ, ხოლო თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს რიგმა ევროპულმა სახელმწიფოებმა.

როგორც ცნობილია, საომარი მოქმედებები ერაყში დასრულდა 2003 წლის 1 მაისს, მაგრამ ტერირისტული აქტების განხორციელება კოალიციური ძალების წინააღმდეგ დღევანდელ დღემდე ხორციელდება. 2010 წლამდე, ამერიკელებთან ერთად სამხედრო ოპერაციებში რამდენიმე ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყანა, მათ შორის საქართველო მონაწილეობდნენ.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღევანდელ დღეს, მას შემდეგ რაც აშშ-ის და სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალები ქვეყნიდან გასულები არიან, ერაყში უშიშროების ძალებს მხარდაჭერა სჭირდებათ.

ბრუკინგის ინსტიტუტის მონაცემებით, ერაყში 2004 წლის იანვარში ყველაზე მეტი უცხოელი ჯარისკაცი იმყოფებოდა-25,6 ათასი სამხედრო მოსამსახურე. 2007 წლის სექტემბრისთვის მათმა რაოდენობამ 12,3 ათასი შეადგინა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა, რომ 2008 წლიდან ლონდონი ორჯერ შეამცირებდა თავის კონტინგენტს და 2,5 ათას მოსამსახურემდე დაიყვანდა. 2008 წლის დასაწყისში ერაყში 165 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფებოდა, ხოლო უკვე 2010 წელს ამერიკელთა მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა ერაყის ტერიტორიაზე.

ერაყს ამერიკის გეოპოლიტიკაში დიდი როლი ენიჭება რამდენიმე მიზეზის გამო. კერძოდ, ქვეყანა უშუალოდ ესაზღვრება ირანს.ირანის მესვეურების განცხადებით, ერაყიდან აშშ-ის ჯარების გაყვანის შემთხვევაში, ისინი ყველანაირად მიესალმებიან

აშშ-ს ამ პროცესის უმტკივნეულოდ განხორციელებაში. ირანის ხელისუფალთა განცხადებით ირანი დაინტერესებულია ერაყში სტაბილურობით.
2007 წელს აშშ-მ ირანი ავღანეთსა და ერაყში რადიკალი ისლამისტების იარაღით მომარაგებაში დაადანაშაულა. აშშ-ს ადმინისტრაციამ ირანს ოფიციალურად დასდო ბრალი ერაყში ექსტრემისტი შიიტური დაჯგუფებების უშუალო მხარდაჭერაში. გარდა ამისა, ამას ემატება 2007 წლის აგვისტოს თვეში ერაყის პარლამენტის სუნიტური ბლოკის ლიდერ ადნან ალ-დულაიმის მიერ გაკეთებული ღია მიმართვა არაბული სახელმწიფოებისადმი, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ირანი აქტიურად ეხმარებოდა შიიტურ ბანდებს ანტისუნიტური სისხლიანი ტერორის წარმოების პროცესში.

ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც აშშ-ის და ნატოს სხვა ქვეყნების საჯარისო კონტინგენტებმა დატოვეს ერაყის ტერიტორია, ერაყში შესაძლოა ირანის პოლიტიკური გავლენა გაიზარდოს. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერაყის მოსახლეობის უმრავლესობას შიიტები შეადგენენ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ისინი ირანის ხელისუფლების მხარდაჭერით ისარგებლებენ. ასევე აქ გასათვალისწინებელია ერაყის დაშლის საშიშროება სუნიტურ, შიიტურ და ქურთულ ნაწილებად. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ირანი, და იგივე შესაძლოა რუსეთიც დაინტერესებულები არიან ერაყში არასტაბილურობის შენარჩუნებით, რადგანაც ეს იწვევს აშშ-ის მხრიდან სამხედრო ოპერაციების დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების გამოყოფას, და შესაბამისად აშშ-ის კიდევ უფრო დასუსტებას, და ასევე ერაყში სტაბილურობის დამყარების შემთხვევაში, ქვეყანაში აღორძინდება ნავთობისა და გაზის მრეწველობა, რაც გამოიწვევს ერაყიდან "შავი ოქროს" ექსპორტის ზრდას, ხოლო მსოფლიო ბაზარზე დამატებითი ნავთობის მარაგების მიწოდების შემთხვევაში, ამას მოჰყვება ნავთობზე ფასების შედარებითი დასტაბილურება. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ერაყი ნავთობის დადგენილი მარაგით მსოფლიოში მეორე-მესამე ადგილს იკავებს.

ასევე მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ ამ კონტექსტში აშშ-სათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერაყში სტაბილურობას.

ნავთობის მარაგებთან დაკავშირებით უნდა ხაზი გაესვას იმას, რომ უახლოეს მომავალში გეოლოგიური დაკვირვების გააქტიურების შედეგად, ერაყში ნავთობის მარაგებმა, შესაძლოა 216 მილიარდ ბარელს მიაღწიოს. ტრადიციულ რაოდენობასთან შედარებით ეს ორჯერ მეტია. ამ ეტაპზე მიიჩნევენ, რომ ერაყში ნავთობის მარაგები 116 მილიარდი ბარელია. 2003 წელს ერაყში აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ძალების შეჭრის მომენტიდან, ქვეყნის გეოლოგიური რუკის პირველი ანალიზის ფარგლებში, დამოუკიდებელმა სპეციალისტებმა კიდევ 100 მილიარდი ბარელი აღმოაჩინეს.

შედეგად ერაყმა, შესაძლოა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკი) ქვეყნებს შორის მეორე ადგილი დაიკავოს და ნავთობის მარაგების ოდენობის მიხედვით ირანსაც გაუსწროს. ექსპერტების შეფასებით, უახლოესი ხუთი წლის მანძილზე ერაყს შეუძლია გაზარდოს ნავთობის მოპოვება დღე-ღამეში 4 მილიონ ბარელამდე. 2010 წლის მონაცემებით, ერაყი დღე-ღამეში დაახლოებით 2 მილიონ ბარელ ნავთობს აწარმოებს.

შესაბამისად ამ მხრივ ვაშინგტონისათვის ამ ქვეყნის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. თუმცა, სტაბილურობის მხრივ ერაყს უდიდესი საფრთხე არა მხოლოდ ერაყიდან, არამედ თურქეთიდანაც ემუქრება. როგორც ავღნიშნეთ, თურქეთმა რამდენჯერმე დასდო ბრალი ვაშინგტონს, რომ ეს უკანასკნელი არაფერს არ აკეთებს ჩრდილოეთ ერაყში ქურთისტანის მუშათა პარტიის სამხედრო აქტივობათა ალაგმვის თვალსაზრისით, რაც სულ უფრო რეალურს ხდის რეგიონში თურქეთის სამხედრო შეჭრასაც. რასაც შედეგად შეიძლება ის მოჰყვეს, რომ თურქი სამხედროები არა მხოლოდ ქურთ მებრძოლებს, არამედ ერაყის უშიშროების ძალებსაც შეეჯახონ.

აშშ-ს ინტერესები კასპიის და შავი ზღვის რეგიონში

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს შავი ზღვა-კასპიის რეგიონში, აქ აღსანიშნავია, რომ აშშ-ის რეგიონში რამდენიმე მიზანი ამოძრავებს, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

- აშშ-ს, რომელიც ნავთობზე მოთხოვნილების 50%-ზე მეტს იმპორტული ნავთობის ხარჯზე იკმაყოფილებს და რომელსაც ნავთობი პოლიტიკურად არასტაბილური რეგიონიდან, სპარსეთის ყურიდან შემოაქვს, შავი და კასპიის ზღვის რეგიონების სახით სურს შექმნას "შავი ოქროს" მიღების ალტერნატიული წყარო, რათა გააჩნდეს არჩევანის უფრო დიდი შესაძლებლობა და შემცირდეს დამოკიდებულება სპარსეთის ყურის ნავთობზე;

- აშშ-ს გააჩნია თავისი კომერციული ინტერესები რეგიონში. ვაშინგტონს იმედი აქვს, რომ მისი კომპანიების შეღწევა რეგიონში ხელს შეუწყობს შავი ზღვის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების განვითარებას და რეგიონის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. ამერიკელი კომპანიების მიერ შავი ზღვის რეგიონში კომერციული საქმიანობის გაფართოებას, რასაც თან ახლავს მსხვილი კაპიტალდაბანდებები და უახლესი ტექნოლოგიების დამკვიდრება, აუცილებლად მოჰყვება რეგიონში ვაშინგტონის პოლიტიკური გავლენის გაძლიერება;

- რეგიონის სახელმწიფოების დემოკრატიული განვითარების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილ იყოს სტაბილური გარემო;

- აშშ-ის მიერ რეგიონისადმი ინტერესს განაპირობებს მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა ირანის, ერაყისა და ავღანეთთან უშუალო სიახლოვეს. ირანის მახლობლად მდებარე რეგიონში ვაშინგტონის გავლენის გაძლიერება აშშ-ის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს;

- რუმინეთისა და ბულგარეთის ნატოში გაწევრიანების შემდგომ და ამ ქვეყნებში სამხედრო ბაზების განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამ, კიდევ უფრო გაზარდა აშშ-ის ინტერესები ამ რეგიონში;

- ამერიკის მიზანია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების კიდევ უფრო აქტიური ჩართვა ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში. როგორც ცნობილია, დღევანდელ დღეს როგორც ერაყში აშშ-ის ეგიდით, აგრეთვე ავღანეთში ნატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში შავი ზღვის რეგიონის რამდენიმე სახელმწიფოს სამხედრო კონტინგენტები მონაწილეობენ (ერაყის შემთხვევაში 2010 წლამდე) და ზოგიერთი სახელმწიფო გეგმავს ამ მონაწილეობის კიდევ უფრო გააქტიურებას;

- ერაყის ქურთისტანთან დაკავშირებული პრობლემის გამო უკანასკნელ პერიოდში დაიძაბა ურთიერთობა აშშ-სა და შავი ზღვის რეგიონისა და ნატოს ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს, თურქეთს შორის. აქედან გამომდინარე აშშ-ის მიზანია ურთიერთობების გაუმჯობესება თურქეთთან და თანამშრომლობის გააქტიურება ამ ქვეყანასთან ირანთან და ერაყთან დაკავშირებულ საკითხებზე.

როგორც აღინიშნა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინტერესს აშშ-ისათვის ენერგეტიკული რესურსები წარმოადგენს. ალტერნატიული ენერგოწყაროების მოპოვება დღესაც რჩება აშშ-ის ერთ ერთ მთავარ სტრატეგიულ ამოცანად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სწორედ შავი ზღვის და კასპიის რეგიონი გახდა აშშ-ისათვის ბრწყინველე შესაძლებლობა, რათა სპარსეთის ყურეზე და სხვა რეგიონებზე (მაგალითად მექსიკის ყურე) თავისი ენერგოდამოკიდებულება შეესუსტებინა. ამიტომ, კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში ბუნებრივი რესურსებისა და სატრასპორტო კომუნიკაციების გაკონტროლება და დემოკრატიული, სტაბილური პოლიტიკური სისტემის შექმნა აშშ-ისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანა გახდა. გასული

საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან აშშ-იმ შავი და კასპიის ზღვის რეგიონები საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების რეგიონად გამოაცხადა.

შავი ზღვის რეგიონიდან აშშ-ის ინტერესები მთელი ევრაზიის კონტინენტზე გადის და შესაბამისად, პერსპექტივაში ენერგეტიკული რესურსებით მდიდარ ცენტრალურ აზიამდე პოლიტიკური გავლენის გაფართოების ამბიციას წარმოაჩენს. ამას ხელს უწყობს სსრკ-ის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობა შავი ზღვის რეგიონში.

აშშ-ისათვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ შავი და კასპიის ზღვის რეგიონის დათმობა მსოფლიო ლიდერობის დათმობის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ ბჟეჟინსკიმ, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის კარტერის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში 90-იანი წლების ბოლოს აშშ-ის მთავრობას ურჩია, რომ უფრო მეტი ძალისხმევით შესულიყვნენ შავი და კასპიის ზღვის რეგიონებში. რეგიონში აშშ-ის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა თავიდანვე გაზსა და ნავთობზე რუსეთის სტრატეგიული მონოპოლიის დამსხვრევით განისაზღვრა. ამასთან რეგიონში ახალი საბჭოთა იმპერიის წარმოშობის ალბათობა ძირშივე უნდა მოსპობილიყო. კასპიისა და შავი ზღვის რეგიონებში ნავთობისა და გაზის უსაფრთხო მოპოვებისა და ტრანსპორტირების მიზნით, აშშ-ისათვის პირველ რიგში აუცილებელი იყო აღნიშნული საფრთხეების ლოკალიზება და რეგიონში პოლიტიკური გავლენის უზრუნველყოფა.

რაც შეეხება აშშ-ის ურთიერთობას საქართველოსთან, აქ უნდა აღინიშნოს, რომ აშშ საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანაში, საკუთარი ინტერესების დაცვის გრძელვადიან გარანტიას ქვეყნის სტაბილურობაში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, დემოკრატიული ინსტიტუტების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში ხედავს.

შავი და კასპიის ზღვის რეგიონში პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი სტრატეგიული განვითარების პოლიტიკაა.

შავი და კასპიის ზღვის რეგიონში აშშ-ს გეოპოლიტიკა მსოფლიოში ახალი წესრიგის მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავს. ამ წესრიგის შენარჩუნების გრძელვადიანი გარანტია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში დემოკრატიული სისტემებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაა.

ახლო აღმოსავლეთი, სპარსეთის ყურე და აშშ

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მდებარე საუდის არაბეთის ნავთობი აშშ-ის ნავთობზე მოთხოვნილების 15%-ს აკმაყოფილებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, საუდის არაბეთი, გაერთიანებულ არაბთა საემიროები, ყატარი, ირანი და ერაყი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია ოპეკის წევრები არიან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ოპეკზე მოდის ნავთობის მარაგის 77% და მოპოვების 40%,[175] და ოპეკის წევრი ქვეყნების პოლიტიკაზეა დამოკიდებული ნავთობზე მსოფლიო ფასების ცვალებადობა, აგრეთვე ის ფაქტიც რომ ოპეკის ფარგლებში ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები თანამშრომლობენ ანტიდასავლურ, და შესაბამისად ალიანსის სტრატეგიულ მოწინააღმდეგე ისეთ სახელმწიფოებთან, როგორებიცაა ირანი და ვენესუელა, ვაშინგტონისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ნორმალური ურთერთობების დამყარებას.

[175]ხარიტონაშვილი, ჟღენტი. მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია. თბილისი, 2000. გვ. 92

გარდა ამისა, კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნავთობის ოპეკის პარალელურად, ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანას გადაწყვეტილი აქვთ ე.წ. გაზის ოპეკის შექმნა. ამ ორგანიზაციაში რუსეთი, ირანი, ვენესუელა, ალჟირი, ლიბია და ყატარი უნდა გაერთიანდნენ. ამასთან დაკავშირებით, 2007 აპრილში ყატარის დედაქალაქ დოჰაში მოხდა ამ სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეხვედრა.

უკვე 2007 წლის მარტში, ფორუმამდე რამდენიმე დღით ადრე, ევროპის სახელმწიფოებმა და აშშ-მ იმ საფრთხეებზე მიუთითეს, რომელიც შეიძლება მსოფლიო გაზის მარაგების 70-%-ის (რუსეთის და ირანის ჩათვლით) მფლობელი სახელმწიფოების მიერ კარტელის შექმნას მოჰყვეს. მათი მოსაზრებით, არ არის გამორიცხული, რომ გაზის მარაგების მფლობელებმა საკუთარი პირობების კარნახით, მსოფლიოს მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნან. ეს ძირითადად მიწოდების რეჟიმისა და გაზის ფასის ფორმირებით იქნება გამოწვეული. გარდა ამისა, აქ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაზის მოსალოდნელი კარტელის შექმნა გამოიწვევს რუსეთის, როგორც ამ კარტელის ერთ-ერთი დამფუძნებლის გააქტიურებას ირანთან ერთად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

ზემოაღნიშნული კარტელის შექმნის საწინააღმდეგოდ, აშშ გადამწყვეტ ზომებზე გადავიდა, კერძოდ, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ 2007 წლის ივლისში მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ბუნებრივი აირის ექსპორტიორ ქვეყნებს ოპეკის მსგავსი საერთაშორისო კარტელების შექმნას უკრძალავს. ახლახან მიღებული გადაწყვეტილების მთავარი წინადადებაა-წყაროების დივერსიფიკაცია და მსოფლიო ბაზარზე გასვლის ალტერნატიური გზების ძიება.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელობას რა თქმა უნდა განსაზღვრავს ირანთან და ერაყთან სიახლოვე. ამ მხრივ აღსანიშნავია აშშ-ის განსაკუთრებული დაინტერესება ამ რეგიონის მიმართ, რადგან აშშ-სა და ირანს შორის თეირანის ატომური პროგრამის ირგვლივ არსებული კონფლიქტის პარალელურად, ეს ორი ქვეყანა იბრძვის ერაყში საკუთარის გავლენის გაძლიერებისათვის. იმ დროს, როდესაც აშშ ირანის სამხედრო ობიექტებზე დარტყმის მიყენებაზე ფიქრობს, ერაყიდან აშშ-ს შეიარაღებული ძალების ძირითადი კონტინგენტის გაყვანის შემდგომ, ერაყში სტაბილურობის დამყარების გარანტის როლის შესრულებას ირანიც აპირებს. ერაყში, და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ირანის მოსალოდნელი გავლენის შესაკავებლად, ამერიკის შეერთებული შტატებმა, ნავთობით მდიდარ ხუთ არაბულ სახელმწიფოს 2008 წელს 60 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების შეიარაღება მიაწოდა. აღნიშნული თანხიდან მარტო საუდის არაბეთისათვის 20 მლრდ. აშშ დოლარის სამხედრო ტექნიკა იყო გათვალისწინებული, რაც შემთხვევითი არ არის. საუდის არაბეთი, რეგიონში ლიდერი ქვეყნის პოზიციის დამკვიდრების საკითხში, ირანის მთავარ კონკურენტს წარმოადგენს. აშშ შეეცდება, საუდის არაბეთის სამხედრო პოტენციალის გაზრდით, საგრძნობლად შეარყიოს ირანის გავლენა მთლიანად სპარსეთის ყურეში. პროამერიკულად განწყობილი არაბული სახელმწიფოების გაძლიერებითა და პარალელურად ირანის დასაყრდენი პოლიტიკური დაჯგუფებების განეიტრალებით ერაყში, აშშ გაცილებით წარმატებით შეძლებს იქ ანტიტერორისტული კამპანიის წარმოების დასრულებას. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, იგივე აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები მნიშვნელოვნად გაიმყარებენ პოზიციებს ერაყში ომის დაწყების მოწინააღმდეგეთა-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა წინაშე, რომლებიც ამ კამპანიას თავის დროზე აშშ-სათვის უაზროს და დამღუპველს უწოდებდნენ. რესპუბლიკელები აშშ-ში მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე (2012 წ), იმის საყოველთაო დემონსტრირებას შეეცდებიან, რომ წამოწყებულმა ანტიტერორისტულმა ომმა ამერიკელ ხალხს უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით რეალური შედეგები მოუტანა.

აშშ-ისსაგარეოპოლიტიკურპრიორიტეტებსშორისახლოაღმოსავლეთსერთ-ერთიპირველიადგილიეკავამეორემსოფლიოომისშემდეგ.ჯერკიდევპრეზიდენტმაჰ.ტრუმენმა1946წელს,დაახასიათაესრეგიონიროგორც„უზარმაზარიეკონომიკურიდასტრატეგიულიმნიშვნელობისრაიონი“.აშშ-სთვისამშეფასებასიზიარებდნენომისშემდგომიპერიოდისაშშ-ისპრეზიდენტები.

ახლოაღმოსავლეთისადმიამერიკისმმართველიწრეებისმიდგომისსაფუძველსწარმოადგენსაშშ-ისეკონომიკური,პოლიტიკური,სამხედრო, სტრატეგიულიდასხვაინტერესები,იმსახით,როგორცისწარმოუდგენიათდაესმითაშშ-ში.ახლოაღმოსავლეთისრეგიონს,აშშმრავალიწლისგანმავლობაშიგანიხილავსროგორცრეგიონალურიდალოკალურიკონფლიქტებისდაკრიზისულისიტუაციებისერთ-ერთყველაზეუფროსაშიშკერას,რომელსაცშეუძლიაგამოიწვიოსგლობალურიმასშტაბისკრიზისი.[177] მაშასადამე,ისშეიძლებაგახდესზესახელმწიფოთადადიდსახელმწიფოებსშორისკონფრონტაციის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სავარაუდო წყარო.

აშშ-ისახლოაღმოსავლურპოლიტიკასახასიათებსფრიადსპეციფიკურითავისებურება,რაცგამოიხატებაიმაში,რომუკვემრავალიათეულიწელიაახლოაღმოსავლეთთანდაკავშირებულიპრობლემებიგანიხილებაარამხოლოდსაგარეო-პოლიტიკურდასაგარეო-ეკონომიკურითვალთახედვით,არამედროგორცშიდა პოლიტიკის მნიშვნელოვანიფაქტორი.ესდაკავშირებულიაპირველრიგშიგავლენიანიპროებრაული ლობისგანსაკუთრებულიაქტიურობითაშშ-ში.

ახლოაღმოსავლეთშითავისიპოლიტიკისგატარებისასაშშ-ისმიერგამოყენებულიინსტრუმენტებიდამეთოდებიწლებისგანმავლობაშიშესამჩნევევოლუციასგანიცდიდა.40-იანწლებშიაშშ-სშეუძლებლადმიაჩნდამოქმედებაახლოაღმოსავლეთშიძველიკოლონიალურისახელმწიფოებისმხარდაჭერისგარეშე,რაცაისახააშშ-ს,დიდიბრიტანეთისადასაფრანგეთის1950წლისდეკლარაციაში,რომლისთანახმადაცესსამიქვეყანაგაეროსგვერდისავლითსაკუთართავზეკისრულობდა„დროებითიზავისგარანტის“როლსარაბულქვეყნებსადაისრაელსშორის. ამ სამმა ქვეყანამ მიისაკუთრაახლოაღმოსავლეთის ქვეყნებისშეიარაღებულიძალებისადაშეიარაღებისდონისგანსაზღვრისუფლება.[178]

XX ს. 50-იანიწლებისშუაპერიოდიდანაშშ-შირეგიონშიწარმატებაგათვლილიჰქონდათმხოლოდსაკუთარსამხედროსიძლიერეზედაყრდნობით.1957წელსგამოცხადებული „ეიზენჰაუერისდოქტრინა“ითვალისწინებდააშშ-ის ცალმხრივიჩარევისუფლებას,მათშორისშეიარაღებულიგზითაც,ახლოაღმოსავლეთისნებისმიერიქვეყნისსაშინაოსაქმეებშისაერთაშორისოკომუნიზმთანბრძოლისათვის.[179]60-იანიწლებისმეორენახევარშიდა70-იანიწლებისდასაწყისშიძირითადადფსონიდადებულიიქნაისრაელისსამხედრომანქანისგამოყენებაზეაშშ-ისპირდაპირისამხედროჩარევისგარეშე,რაცყველაზეუფრომკვეთრადგამოვლინდა1967წელსისრაელისმიერ განხორციელებული სამხედრო კამპანიის პერიოდში,შემდგომკირეგიონშიამერიკულიკლიენტურისდივერსიფიკაციაზე.

XXს. 70-იანიწლებისდასაწყისშიაშშ-ისპოლიტიკისერთ-ერთყველაზეუფრომნიშვნელოვანმიზნადგამოცხადებულიიყოსსრკავშირის „გამოდევნა“ახლოაღმოსავლეთისრეგიონიდან.პრაქტიკულადესგამოიხატებოდარეგიონშისსრკავშირთანურთიერთობებშისირთულეებისშექმნაში.

---

[176] გამისონია მარი. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი. სამაგისტრო ნაშრომი. საქართველოს უნივერსიტეტი. 2009 წ. გვ. 92-97.

[177](Современнные Соединенные Штаты Америки Енциклопедический справочник. М. 1988. С. 305)

[178] გამისონია მარი. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი. სამაგისტრო ნაშრომი. საქართველოსუნივერსიტეტი. 2009 წ. გვ. 96.

[179]Современнные Соединенные Штаты Америки Енциклопедический справочник. М. 1988. С. 306

1978წელს,აშშ-ისეგიდითჯ.კარტერისპრეზიდენტობისპერიოდშიგაფორმდაკემპ-დე-ვიდისხელშეკრულებადაშემდგომ1979წელსეგვიპტესადაისრაელსშორისსამშვიდო-ბოხელშეკრულება.ამავდროულად,აღებულიქნაკურსიამერიკულისამხედროძალისუფ-როაქტიურგამოყენებაზერეგიონშისიტუაციისრეგულირებისმიზნითაშშ-სათვისხელ-საყრელიმიმართულებით,რამაცთავისიასახვაჰპოვა „კარტერისდოქტრინაში“.ამკურ-სისარსიმდგომარეობდაიმაში,რომაშშღიადმოითხოვდამსოფლიოსნებისმიერრეგიონ-შიმშვიდობაზე „უფლებას“, რომელსაცისცალმხრივად გამოაცხადებდა „სასიცოცხ-ლოდ აუცილებელიინტერესების“სფეროდ.

ახლოაღმოსავლეთშიაშშ-ისსამხედროაქტიურობასუფრომეტიგასაქანიმიეცარ.რე-იგანისპრეზიდენტობისდროს.აშშ-ის1984-1988წლებისსამხედროდოქტრინაშიახლოაღ-მოსავლეთსგანსაკუთრებითმნიშვნელოვანიადგილიუკავია.იქაღნიშნულია,რომ „ამერი-კული ძალებიმზადუნდაიყვნენდა აუცილებლობისშემთხვევაშიდაიკავონპოზიციე-ბიამრეგიონში,არდაელოდონმეგობრულიმთავრობისმოწვევას“.ისრაელისმიერ ლიბა-ნისწინააღმდეგგანხორციელებული სამხედრო კამპანიის დროს 1982წელს,არაბეთ-ის-რაელისკონფლიქტისისტორიისგანმავლობაშიაშშპირველად შევიდაპირდაპირსამხედ-როკონფრონტაციაშიპალესტინის მხარდამჭერ ძალებთან.

ახლოაღმოსავლეთშიაშშ-ისამუამინდელიინტერესებიდამიზნებიბევრადააგან-საზღვრული11სექტემბრისმოვლენებით,რომელმაცგავლენამოახდინასაერთაშორი-სოპოლიტიკურპროცესებზე.ცნობილია,რომამტრაგიკულმოვლენამდეაშშმზადიყოგაე-როსგენერალურიანსამბლეისათვისშეეთავაზებინაპალესტინისსახელმწიფოსშექ-მნა.მოცემულიწინადადებაარშეიცავდაკონკრეტულსაკითხებსსაზღვრებთანმიმართება-ში.აშშმხოლოდიერუსალიმთანდაკავშირებითითვალისწინებდა „სამი რელიგიუ-რიკონფესიის ინტერესთა გათვალისწინებას“.ჯ.ბუშისადმინისტრაციაარუკავშირებ-დაარაბეთ-ისრაელისკონფლიქტისმოგვარებასისრაელისაუცილებელინტეგრაციასარა-ბულდაახლოაღმოსავლურსამყაროში,ისრაელისეკონომიკურდაპოლიტიკურთანამ-შრომლობასარაბულსახელმწიფოებთან.აშშ-შიმიაჩნიათ,რომისრაელსარამოუწუ-რავსთავისიისტორიულიდაგეოსტრატეგიულიფუნქციადაუნდაგააგრძელოსთავისიმი-სიაარამარტომოცემულრეგიონში,არამედშესაძლოაევრაზიაშიც,როგორცაშშ-ისინტე-რესებისადაპოლიტიკისგამტარებელმა.

ახლოაღმოსავლეთისკონფლიქტიდამისირეგულირებისპოლიტიკა წარმოად-გენსრეგიონზეაშშ-ისგავლენისეფექტურინსტრუმენტს,მათშორისნავთობისპოლიტიკა-ზე.ახლოაღმოსავლეთშირუსეთისპოზიციებისდასუსტებისშემდეგგაიზარდაევრო-პისსახელმწიფოებისდაჩინეთისგავლენა.აშშ-სპოლიტიკარეგიონშისულუფრო“ეკონო-მიზირებული”ხდებადადაკავშირებულიანავთობისპრობლემებთან.წმინდაგეოსტრატე-გიულიამოცანებიახალიშინაარსითშეივსო.აქედან გამომდინარე,აშშ-ისგენერალუ-რიმიზნებიდაკავშირებულიააშშ-ისენერგეტიკულიუსაფრთხოებისუზრუნველყოფას-თანდაიძენსუფროგამოკვეთილდასაგნობრივსახეს, რაც უზრუნველყოფილუნდაიქ-ნესრეგიონიდანნავთობისსტაბილურიმოწოდებითმისაღებფასებში.ამიტომ,აშშ-ისპოზი-ციებიდაინიციატივებიპალესტინისადაახლოაღმოსავლეთისპრობლემებთანდაკავშირე-ბითგანხილულიდაშეფასებულუნდაიქნესნავთობისინტერესებიდან გამომდინარე.ასევე, გასათვალისწინებელია ისეთიფაქტორები,როგორიცააარაბულიდასაერთორეგიონა-ლურიეკონომიკურიბაზრები,ფინანსურინაკადებიდანედლეულისსხვაწყაროები. თვით საკომუნიკაციო პრობლემებსაც კი გააჩნიათ დაქვემდებარებული ან მეორეხარისხო-ვანი მნიშვნელობა[180].

აშშ-ის მიაჩნია, რომ პალესტინა-ისრაელისკონფლიქტიკრიტიკულიმნიშვნელობი-საა,რადგანაცდიდიაადამიანთატანჯვისმასშტაბები.ამრეგიონსდიდიმნიშვნელობაგააჩ-ნიააშშ-ისსხვაგლობალურიპრიორიტეტებისათვის.ვერცერთიმხარევერმიაღწევსმშვი-დობასთავისუფლებისგარეშე.ამერიკამტკიცედუჭერსმხარსდამოუკიდებელდადემოკრა-ტიულპალესტინას,რომელიცისრაელისგვერდითმშვიდობიანადდაუსაფრთხოდგანაგ-

[180](И.Мурадян, Проблемы безопасности в ближневосточнои политике США, М, 2003, с. 25).

რძობსთანაარსებობას,როგორცყველახალხი,პალესტინელებიციმსახურებენიმმთავრობას,რომელიცმათინტერესებსდაიცავს.აშშკვლავგანაგრძობსყველამხარისმხარდაჭერას,იმისათვის,რომმათშეასრულონთავისიმოვალეობები,რადგანაცვაშინგტონი ეძებსამკონფლიქტისსამართლიანდასაყოველთაოგადაწყვეტას[181].

აშშ საერთაშორისოსაზოგადოებასა და მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტებთან ერთად მზადარისითანამშრომლოსპალესტინისრეფორმირებულმთავრობასთანეკონომიკურიგანვითარებისათვის, გაუზარდოსპალესტინასჰუმანიტარულიდახმარება,აგრეთვეშექმნას,დააფინანსოსდამონიტორინგიგაუწიოსნამდვილადდამოუკიდებელსასამართლოსისტემას.აშშ-ისპოზიციაასეთია,თუპალესტინელებიმიიღებენდემოკრატიასდაკანონისუზენაესობას,დაუპირისპირდებიანკორუფციასდამკაცრადეტყვიანუარსტერორს,მათშეუძლიათიქონიონამერიკისმხარდაჭერისიმედიპალესტინისსახელმწიფოსშექმნისსაქმეში.

აშშაგრძელებსისრაელისლიდერებისდარწმუნებასიმაში,რომ გადადგანკონკრეტულინაბიჯებიპალესტინისსიცოცხლისუნარიანიდამყარისახელმწიფოსმხარდასაჭერად.გარდაამისა,აშშმოუწოდებსისრაელს,შეწყდესოკუპირებულტერიტორიებზედასახლებადა მასშემდეგ,რაცძალადობაშემცირდება,უნდააღდგესთავისუფალიმიმოსვლა,რაცსაშუალებასმისცემსმშვიდობიან პალესტინელებსდაუბრუნდნენნორმალურცხოვრებას.

აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტის ბ.ობამას შეფასებით: „ისრაელი აშშ-ს მეგობარი ქვეყანაა, რომელიც ჩვენ გვიყვარდა და პატივს ვცემდით არსებითად. მიუხედავად ამისა, მათ თვითონ გაითხარეს ძალიან ღრმა სამარე თავიანთი გადაწყვეტილებით დასავლეთ ნაპირის კოლონიზაციის თაობაზე, იყოლიონ პალესტინელები თავიანთ ქვეყანაში მოქალაქეობის გარეშე. ისრაელი სხვისი მიწების კოლონიზაციით და ძარცვით სერიოზულად აზიანებს აშშ-ს ინტერესებს მუსულმანურ სამყაროში“.[182]

არაბეთ-ისრაელისკონფლიქტთანდაკავშირებით,აშშ-ისეროვნულიუშიშროებისსტრატეგიისთანახმადაშშ-ისპოზიციაარის შემდეგი:აშშ-სშეუძლიაგადამწყვეტიროლისშესრულება,მაგრამგრძელვადიანიმშვიდობაშეიძლებამხოლოდმაშინდამყარდეს,როდესაცისრაელიდაპალესტინათვითონგადაწყვეტენდაბოლოსმოუღებენმათშორისარსებულკონფლიქტს[183].

აშშ და ცენტრალური აზია

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური აზია გეოგრაფიული თვალსაზრისით შორსაა აშშ-სგან, მისი უშუალო სიახლოვე ავღანეთთან, სადაც აშშ ნატოელ მოკავშირეებთან ერთად აწარმოებს სახმელეთო ოპერაციებს, აგრეთვე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აშშ-მა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ავღანეთში დაწყებული სამხედრო ოპერაციების დროს გახსნა ორი სამხედრო ბაზა ცენტრალურ აზიაში, კერძოდ უზბეკეთსა და ყირგიზეთში, აგრეთვე რეგიონში დიდძალი მინერალური, პირველ რიგში კი ენერგეტიკული რესურსების არსებობის გამო, იქ მიმდინარე პროცესები სულ უფრო დიდ ინტერესს იწვევს ამერიკის პოლიტიკურ წრეებში.

ცენტრალური აზიის რეგიონის რიგი ქვეყნებისათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

---

[181]The National Security Strategy of the United States of America. N.Y. 2005. p. 26.

[182](ОбамаиурегулированиеИзраельско-Палестинскогоконфликта. http://www.juncofe.com/2001/06/obama-andresolving-israelli-palestinian.html).

[183](ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სტრატეგია. თბ. 2005. გვ. 27).

- კასპიის ზღვაში და ცენტრალურ აზიაში ნავთობისა და გაზის დიდი მარაგია. მაგალითად თურქმენეთი მესამე ადგილზეა მსოფლიოში გაზის ექსპორტიორთა შორის. ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი მარაგი გააჩნიათ აგრეთვე უზბეკეთსა და ყაზახეთს. რაც შეეხება ნავთობის რესურსებს, ცენტრალურ აზიაში ნავთობის პოტენციური მარაგი შეფასებულია 10-15 მილიარდ ტონამდე. ეს რა თქმა უნდა გაცილებით ნაკლებია ვიდრე სპარსეთის ყურეში არსებული მარაგი, მაგრამ ნავთობსა და გაზზე მოთხოვნილება იზრდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოეთის სუბკონტინენტზე და ასევე ჩინეთში, სადაც დროთა განმავლობაში შესაძლებლობა იქნება გაიზარდოს ცენტრალური აზიის რეგიონიდან სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ექსპორტი;
- სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მინერალური რესურსების არსებობის გარდა გლობალური განზომილება აქვს აგრეთვე განსხვავებული კულტურების და ცივილიზაციების ურთიერთშეჯახებას. აქ ერთმანეთს კონკურენციას ეწევენ სუნიტური და შიიტური ისლამი და ქრისტიანობა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სახით.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ახლაც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს რეგიონში მიმდინარე მოვლენებში, მასთან ერთად აშშ-ისთვის ცენტრალური აზიის კარები ღიაა. აშშ-ის ინტერესებში პირველ რიგში გეოპოლიტიკა დევს. გლობალურ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ინტერესებთან ერთად, ვაშინგტონს ორი რეგიონალური ინტერესი ამოძრავებს: ცენტრალური აზიის რეგიონის დამცველი ფუნქციის ეფექტური განხორციელება და ირანის და რეგიონის უშუალო სიახლოვეს მოქმედი ისლამისტი ფუნდამენტალისტებისაგან შემდარი ტერორისტული ძალების ორმაგი შეკავება, რისთვისაც ამერიკა იდეოლოგიური შემართებით იღწვის.

აშშ აცნობიერებს, რომ ცენტრალურ აზიაში რუსეთის გავლენის შესუსტების მიზნით, მან უნდა „გაათავისუფლოს“ რუსეთის ნავთობ და გაზსადენების მონოპოლიისგან ყაზახეთი, თურქმენეთი და აზერბაიჯანი. შესაბამისად, ეს რუსეთის ზეწოლის და მუქარის პოტენციალის შემცირებას ნიშნავს.

აშშ-ის პოლიტიკა ავღანეთში

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა და ამ მოვლენის შედეგად გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღებას მოჰყვა შესაბამისი სამხედრო ხასიათის ქმედებების დაწყება აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მხრიდან, როდესაც 2001 წლის 7 ოქტომბერს ამ ორი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებმა პირველი დარტყმები მიაყენეს თალიბების პოზიციებს ავღანეთის ტერიტორიაზე, სადაც ამერიკელების მიერ მოპოვებული სადაზვერვო მონაცემებით თავის საქმიანობას აწარმოებდა უსამა ბინ ლადენი და “ალ-ქაიდას” სხვა წარმომადგენლები. აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალებისა და ავღანეთში მათი მხარდამჭერი “ჩრდილოეთის ალიანსის” სამხედრო ფორმირებების აქტიური მოქმედებების შედეგად შესაძლებელი გახდა უსამა ბინ ადენისა და ალ-ქაიდას მხარდამჭერი თალიბების რეჟიმის დამხობა და ავღანეთის ხელისუფლების სათავეში შედარებით პროგრესული ძალების მოსვლა.
აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ ავღანეთში ჩატარებული წარმატებული ოპერაციის ჩატარების შემდეგ აშშ-ის ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო ფიქრი ცენტრალური აზიის ამ სახელმწიფოში მშვიდობის გასამყარებლად.
ამერიკელი სტრატეგები ჩინებულად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ თალიბანს ისინი მხოლოდ სამხედრო საშუალებებით ვერ დაამარცხებენ. და ეს გარკვეულად იმის გამოც, რომ მოჯანყეებს საიმედო თავშესაფარი აქვთ ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე.
ავღანეთის ოპერაციამ ამავდროულად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე არსებული გარკვეული პრობლემებიც გამოაჩინა. საბრძოლო მოქმედებათა უმთავრეს

ტვირთს სწორედ შეერთებული შტატები კისრულობენ. სხვა ქვეყნების მთავრობები უარს აცხადებენ მათი სამხედრო ნაწილების შედარებით უსაფრთხო ჩრდილო და დასავლეთი რეგიონებიდან სახიფათო სამხრეთში გადაყვანასა და ბრძოლაში ჩაბმული მოკავშირეებისათვის შეაიარაღების, მაგალითად ვერტმფრენების გადაცემაზე.

იმის გამო, რომ ევროპის რიგ სახელმწიფოებში ძალზედ გაიწელა გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, ამერიკამ გადაწყვიტა ძირითადი იმედები მხოლოდ საკუთარ თავზე დაემყარებინა.

"ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყვნენ საერთაშორისო უსაფრთხოების ისეთი სისტემა აერჩიათ, რომელიც საკუთარი არმიის სიძლიერეზე იქნებოდა დაფუძნებული. ევროპა აგრძელებს საკუთარი რეგიონის განვითარებაზე ორიენტირებას.", წერდა მ. ტრანხტენბერგი.

ამერიკის პოლიტიკურმა წრეებმა თავიანთი უკმაყოფილება გამოხატეს ევროპელი მოკავშირეების შედარებით პასიური მხარდაჭერის გამო.

მეორეს მხრივ არც ევროპა იზიარებდა აშშ-ის პოზიციას. პირველ რიგში ეს დაკავშირებული იყო თეთრი სახლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებებით მთელ რიგ საკითხებში. თუ საფრანგეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი არ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ეფექტიანი კონსულტაციების არასებობის გამო და აქცენტს ამერიკის შეცდომებზე ახდენდა, ევროკავშირის საგარეო საქმეთა უფროსი კომისარი კრის პატენი აღნიშნავდა, რომ: "ამერიკის შეერთებული შტატების წარმატება ავღანეთში რამდენიმე სახიფათო ინსტინქტს აძლიერებს: რომ ძალის გამოყენება უსაფრთხოების ერთადერთი საიმედო დასაყრდენია; რომ ამერიკას შეუძლია მხოლოდ თავისი თავის იმედი ჰქონდეს; რომ მოკავშირეები შეიძლება მხოლოდ შიგადაშიგ იყვნენ გამოსადეგნი."

თუმცა იგივე ევროპული ქვეყნების მიერ გატარებული ზომების შედეგად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ფარგლებში მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები და გატარდა რეფორმები, რათა ნატოს ევროპელი მოკავშირეები ამოდგომოდნენ ამერიკას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შესაბამისად, 2003 წლის აგვისტოდან ნატო ხელმძღვანელობს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებს ავღანეთში (ISAF-International Security Assistance Force), რომლის ფარგლებში პირველ ოპერაციას ბრიტანეთი ხელმძღვანელობდა, მეორეს თურქეთი, ხოლო მესამეს გერმანია და ჰოლანდია.

თავის მხრივ, 2009 წლიდან აშშ-ის სამხედრო სარდლობამ ავღანეთში დამატებით კიდევ 25 ათასი ამერიკელი სამხედრო გაამწესა.

აშშ და ლათინური ამერიკა

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები ერთმანეთისგან მკვეთრად განხვავდება. კერძოდ, თუ ისეთი ქვეყნები როგორებიცაა არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი - პროდასავლურ და შესაბამისად პრამერიკულ პოლიტიკას ატარებენ, დასავლეთისთვის და შესაბამისად აშშ-სათვის სულ უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს ნავთობითა და გაზით მდიდარი ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის პოლიტიკა, რომელიც ცდილობს კავშირურთიერთობების განმტკიცებას ანტიდასავლურ ძალებთან ლათინურ ამერიკაში, მაგალითად კუბაში კასტროს რეჟიმთან, ასევე ეკვადორთან და ანტიდასავლურ ძალებთან სხვა კონტინენტებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს უგო ჩავესის ვიზიტები რუსეთში და ბელორუსში. პუტინთან და შემდგომში მედვედევთან შეხვედრების დროს გადაწყდა ვენესუელისთვის სხვადასხვა სახის შეიარაღების მიწოდება, თავის მხრივ კი ვენესუელამ თანხმობა განაცხადა ელიარებინა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის ვიზიტი ლათინურ ამერიკაში 2007 წლის იანვარში, როდესაც ირანის პრეზიდენტი

ჯერ ვენესუელას ეწვია, შემდეგ ნიკარაგუას და ბოლოს კიტოში ეკვადორის ახლადარჩეული პრეზიდენტის კურთხევას დაესწრო. მისი ტურნეს უმნიშვნელოვანეს მოვლენად ანტიამერიკული ფონდის შექმნა იქცა, რის თაობაზეც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ლათინოამერიკული ქვეყნების ლიდერებთან. კარაკასი და თეირანი შეთანხმდნენ, რომ გამოყოფენ ორ მილიარდ დოლარს, ყოველივე იმის დასაფინანსებლად, რაც მსოფლიოში აშშ-ის პოზიციებს ეწინააღმდეგება.

როგორც ჩავესის გვერდით მდგომმა აჰმადინეჯადმა მიანიშნა, არ არის გამორიცხული, კარაკასისა და თეირანს უკან სხვა, უფრო მსხვილი მოთამაშეებიც იდგნენ. "ჩვენ ყველა იმ ძალის მხარდაჭერისა გვეიმედება, ვისაც ლათინურ ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში თავისი ინტერესები აქვს." რა თქმა უნდა არ არის გამორიცხული, რომ აჰმადინეჯადი ამ "დაინტერესებულთა" შორის უწინარესად რუსეთსა და ჩინეთს გულისხმობდა.

აღსანიშნავია, რომ ვენესუელამ და ირანმა, აფრიკულ სახლმწიფოებთან ლიბიასა და ალჟირთან ერთად გარკვეული პრობლემა შეუქმნან აშშ-ის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას რადგან აშშ-ისათვის ნავთობის ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი ვენესუელაა, საიდანაც აშშ მისი ნავთობზე მოთხოვნილების 10%-ს იკმაყოფილებს.

რუსეთის ადგილი გეოპოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში

რუსეთის გეოპოლიტიკური ეპოქები

რუსეთის სახელმწიფოებრიობის განვითარებაში გამოირჩევა კიევის რუსეთის გეოპოლიტიკური ეპოქა, რომელიც სათავეს იღებს მთავარი ოლეგის მიერ 882 წელს ნოვგოროდისა და კიევის რუსეთის გაერთიანებიდან. ამ აქტით იქნა გადაწყვეტილი ერთდროულად რამდენიმე გეოსტრატეგიული ამოცანა:

- ილმენისა და დნეპრის სლავების გაერთიანება, აღმოსავლეთ-დასავლური მიწებისა და ჩრდილოეთისა და სამხრეთის რეგიონების გაერთიანება.
- პრეცედენტის შექმნა აღმოსავლეთ სლავებისა და სხვა მეზობელი ეთნოსების შემდგომი გაერთიანებისათვის.
- აღმოსავლეთ სლავების ერთიანი სახელმწიფოს შექმნა.
- ერთიანი სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელივანი გაფართოება და მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა.
- აღმოსავლეთ სლავური სახელმწიფოს როლისა და სტატუსის ამაღლება ევროპაში, მისი გაძლიერება და გავლენა მეზობელი ქვეყნების გეოპოლიტიკაზე.
- კონტროლის განხორციელება მნიშვნელოვან ნევის-ვოლიხოვის დნეპრის სავაჭრო და სამხედრო სტრატეგიულ გზაზე.
- მეზობელ ქვეყნებთან, უპირველესად ბიზანტიასთან, უნგრეთთან, პოლონეთთან, ვარიაგებთან კონტაქტის გაძლიერება.
- სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დაჩქარება.

ამის გარდა აღმოსავლეთ სლავური ერთიანი სახელმწიფოს შექმნა მოითხოვდა გაერთიანების პროცესის დამკვიდრებას, რასაც იმ დროს ოპტიმალურად ხელს უწყობდა მონოთეისტური რელიგია. ქრისტიანული სარწმუნეობის მიღება (988-989 წწ.) ასევე გახდა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური აქტი სლავებისათვის.

ამ დროიდან იწყება აღმოსავლეთევროპული სლავური ეთნოსის ფორმირება საერთო სახელწოდებით „რუს", რომელმაც თავის შემადგენლობაში შეიყვანა ისეთი სუბეთნოსები, როგორიცაა ილმენელი სლავები, პოლონელები, რეგოვიჩები, ჩიზგილოელები, კრივიჩები, ვარიაგები, პეჩენეგები და ა.შ. ყველაზე დიდი გავლენა ამ პროცესზე იქონია ბიზანტიულმა პოლიტიკურმა კულტურამ, რელიგიამ და ხელოვნებამ. კიევის რუსეთი ამ დროს განიცდიდა მეზობელი ქვეყნების

ზემოქმედებას: ყივჩაღების,პოლონელების, ვოლგის ბულგარების, ხაზარების და. ა.შ.

კიევის რუსეთის ეპოქა მის წინაშე მდგარი გეოპოლიტიკური ამოცანების გათვალისწინებით იყოფა ცენტრალიზირებული სახელმწიფოს ერთიანი და პოლიტიკურად ძლიერი დედაქალაქის მქონე - კიევის რუსეთის (882-1054 წწ.) პერიოდად, და დეცენტრალიზაციის პერიოდად (1054-1240 წწ.), რომელიც დაიწყო იაროსლავ ბრძენის სიკვდილის შემდეგ, როდესაც რუსეთი პოლიტიკურად გახდა ნაკლებად მტკიცე ფედერაცია ისეთი ცენტრებით როგორებიცაა, კიევი, ნოვგოროდი, სუზდალი, გალიჩი. ცენტრალიზაციის პერიოდში რუსეთის საგარეო პოლიტიკის სამხრეთის მიმართულების მთავარ გეოსტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა ბიზანტიასთან მომგებიანი სავაჭრო ხელშეკრულების მიღწევა და ამასთანავე რუსეთის პოლიტიკური წონის ამაღლება; რაც შეეხება დასავლეთის-ევროპულ მიმართულებას, აქ რუსეთისათვის მთავარი იყო შეენარჩუნებინა საზღვარი უნგრეთთან და პოლონეთთან; აღმოსავლეთის მიმართულებით რუსეთის მიზანი იყო გაენადგურებინა ვოლგის ბულგარები და ხაზარები და მოეპოვებინა ვოლგაზე გამავალი გზა აღმოსავლეთისაკენ (სპარსეთი, არაბეთის ხალიფატი); ჩრდილოეთის-შეეჩერებინა ვარიაგების შემოტევა; ჩრდილო-აღმოსავლეთით-ახალი ტერიტორიების ათვისება, და იქ მცხოვრებ მოსახლეობაზე კონტროლის დაწესება.

დეცენტრილიზაციის პერიოდში ყველა რუსული სამთავროს საგარეო პოლიტიკური ამოცანა იყო ან სამხედრო ესპანსია სხვა რუსულ მიწებზე, ან სხვა რუსი მთავრების სამხედრო ექსპანსიის შეჩერება. ამ დროს რეგიონალური გეოპოლიტიკა წინა პლანზე იყო წამოწეული კონტინენტალური გეოპოლიტიკისაგან შედარებით. რუსი მთავრები ერთმანეთთან აჩაღებდნენ უსასრულო ფეოდალურ ომებს. ომების შედეგად მათ ხელში უვარდებიდათ ტყვეები, რომელთაც ყიდდნენ ბიზანტიის ბაზრებზე. შიდა ომების შედეგად რუსმა მთავრებმა ვერ მოახერხეს გაერთიანება, რათა ერთობლივი ძალებით მოეგერიენებინათ რეალური საფრთხე სამხრეთიდან, რომელიც მომდინარეობდა მომთაბარე ყივჩაღებისაგან. ამის შედეგად კიევმა დაკარგა საერთო ეროვნული დედაქალაქის მნიშვნელობა ჯერ კიდევ თათარ-მონღოლთა შემოსევამდე.

რუსეთში ურდის ეპოქა დაკავშირებულია მონღოლებთან სასტიკი დამარცხების შედეგად დამოუკიდებლობის დაკარგვასთან. დანაწევრებული რუსული მიწები თათართა შემოსევამ გაანადგურა. აქაც შეიძლება დავინახოთ რუსეთისა და ოქროს ურდოს თანაარსებობის ორი განსხვავებული პერიოდი, პირველი (1240-1328 წწ.) - ხასიათდება ხისტი კავშირით ურდოსა და რუსეთს შორის, როდესაც ყველა მსხვილ რუსეთის ქალაქში იდგა თათართა გარნიზონი და ღალას აგროვებდნენ მონღოლები. მეორე პერიოდი დაიწყო ივანე კალიტას მმართველობის დროიდან, რომელიც თითქმის დაემთხვა მეორე მნიშვნელოვან მოვლენას-საეკლესიო დედაქალაქის გადატანას ვლადიმირიდან მოსკოვში (1326 წ.). ამ დროს ბეგარისა და ღალის აკრეფა ევალებოდათ რუს თავადებს. პირველი პერიოდის ხისტი ურთიერთობები ურდოსთან არ აძლევდა რუსეთს საშუალებას გაეტარებინა დამოუკიდებელი პოლიტიკა. ამასთანავე, რუსეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა გაართულა ლივონიის და ტევტონთა ორდენების მიერ წამოწყებულმა „შეტევამ აღმოსავლეთისაკენ“. მეორე პერიოდის დროს მოხდა მოსკოვის სამთავროს გაძლიერება, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ურდოს უღლისაგან განთავისუფლება (1480 წ).

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ რუსული სახელმწიფოს განვითარების გზაზე მთავარი გეოპოლიტიკური ამოცანა პირველ პერიოდში იყო ეთნიკური იდენტურობისა და ქრისტიანული რელიგიისა და საკუთარი სახელმწიფო ინსტიტუტების შენარჩუნება; მეორე პერიოდში - ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და განმტკიცება და საკუთარი საგარეო პოლიტიკის გატარება.

მოსკოვის დიდი სამთავროს ეპოქაში (1480-1582 წწ.) მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ის ფაქტი, როდესაც ივანე მრისხანეს მიენიჭა „სრულიად რუსეთის მეფის წოდება“ (1547 წ.). ამ ეპოქაში გამოიკვეთა ორი პერიოდი. პირველი (1480-1552 წწ.),

ხასიათდება ისეთი გეოპოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტით, როგორიცაა მოპოვებული სუვერენიტეტის განმტკიცება და სახელმწიფო საზღვრების გაფართოება. ივანე II –ის (1462-1505 წწ.) მეფობის დროს მოსკოვმა შეიერთა იაროსლავის სამთავრო (1463წ.), პერმის მხარე (1472წ.), როსტოვის სამთავრო (1474წ.), დიდი ნოვგოროდი (1478 წ.), ტვერის სამთავრო (1485 წ.), ვიატკის მიწა (1489 წ.). ივანე III-მ თავის მხრივ განახორციელა ორი წარმატებული ომი ლიტვის წინააღმდეგ (1492-1494 წწ.) და (1500-1503 წწ.) და მიიერთა რუსეთის დასავლეთით მდებარე 19 ქალაქი. მან მიიერთა ფსკოვი (1514 წ.), რიაზანის სამთავრო (1517 წ.), წაართვა სმოლენსკი ლიტვას 1514 წელს.

მესამე გეოპოლიტიკური ეპოქის მეორე პერიოდი გამოირჩევა ყაზანისა (1552 წ.) და ასტრახანის (1556 წ.) სახანოების განადგურებით. ეს იყო დასაწყისი დასავლეთზე საპასუხო შეტევისა,როდესაც დასავლეთის მიწების ოკუპაციის მიზნით რუსეთმა აწარმოა ლივონიის ომი (1558-1582 წწ.). ამ დროს მთავარ გეოპოლიტიკურ მიმართულებს წარმოადგენდა სამხრეთ-აღმოსავლეთის (ყაზანი, ასტრახანი), დასავლეთი - (ლიტვა, პოლონეთი, ლივონიის ორდენი), სამხრეთის (ყირიმის სახანო) მიმართულებები. მეოთხე გეოპოლიტიკური ეპოქა –ეს არის მოსკოვის სამეფოს ეპოქა (1552–1682წწ.) რომელიც გრძელდებოდა ერმაკის ციმბირული ოდისეადან (ივანე IV დროს) პეტრე I მეფობის დასაწყისამდე. ამ ეპოქის პირველ პერიოდში მოსკოვის სამთავროს მიზანი იყო დასავლეთ ციმბირის დაპყრობა. XVI ს. ბოლოს და XVII ს. დასაწყისში რუსებმა მიაღწიეს მდ. ობამდე და ღალა დააკისრეს ადგილობრივ თათრებს. აქედან რუსებმა ექსპანსია განახორციელეს ქვედა ობის მიმართულებით – ბეწვეულით მდიდარ ადგილებში. უკვე XVII საუკუნის პირველ მესამედში რუსები ხარკს აგროვებდნენ ბურიატი მოსახლეობისგან. ამავე დროს (XVII ს. 30-იან წლებში), რუსები აღწევენ ლენის აუზში. XVIIს 40–იან წლებში კი რუსები გავიდნენ მდინარე კოლიმამდე და იქიდან ოხოტის ზღვამდე.

მოსკოვის სამეფოს მეორე პერიოდი ხასიათდება კიდევ ერთი მთავარი გეოპოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტით – უკრაინის დაპყრობით. უკრაინასთან "შეერთების" გადაწყვეტილების განსამტკიცებლად მეფე ალექსი მიხეილის ძემ აწარმოა ომი პოლონეთთან, რის შედეგადაც თანამედროვე ბელორუსიის ნაწილი მოსკოვის სამეფოს გადაეცა, ხოლო მეფემ მიიღო „რუსი თვითმპყრობელის ტიტული".

რუსეთის სახელმწიფოს განვითარების მეხუთე ეპოქად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის იმპერიის ეპოქა, რომელიც პეტრე I-ის მეფობით (1682–1725 წწ.) დაიწყო. ამ დროს იწყება იმპერიის ჩამოყალიბების პერიოდი, რომელიც გამოცხადდა ჩრდილოეთის ომის (1721 წ.) დამთავრების შემდეგ. ამ ომში წყდებოდა ბალტიისა და შავი ზღვისაკენ გასასვლელის მოპოვების პრობლემა, რასაც თან დაერთო რუსეთის ფლოტის მშენებლობა და არმიის რეფორმირება, ვაჭრობის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარება, რუსული ერის "ევროპეიზაცია". მეორე პერიოდში (1721–1917 წწ.) რუსეთმა დაიპყრო უზარმაზარი ტერიტორიები - პოლონეთის ნაწილი (1815 წ.), ფინეთი (1809 წ.), ალიასკა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია (XIX ს. პირველი ნახევარი), შუა აზია (1865–1876 წწ.).

მეექვსე ეპოქად შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა სახელმწიფოს – ეპოქა (1917-1991 წწ.). ის თავის მხრივ შედგება ორი პერიოდისაგან, პირველი - რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული პოზიციების აღდგენა სსრკ-ს ფორმით და ახალი ექსპანსიის მცდელობა უკვე კომუნიზმის და მსოფლიო რევოლუციის დროშით. ამ პერიოდში სახელმწიფოს საძირკველში ლენინისა და სტალინის მიერ ჩაიდო ნელმოქმედი ნაღმი – რაც დაკავშირებული იყო მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ახალი საზღვრების დადგენასთან.

სტალინის რეჟიმის დროს საბჭოთა კავშირმა დაიპყრო დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია, კარელიის ყელის ნაწილი და ბალტიისპირეთი (1940 წ.), სახალინის სამხრეთი ნაწილი და კურილიის კუნძულები (1945 წ.), შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი - ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია (1955წ.), რომელშიც შედიოდნენ: სსრკ, ბულგარეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, ალბანეთი,

შეიქმნა სოციალისტური ბანაკი, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების გარდა შედიოდნენ: იუგოსლავია, ჩინეთი, მონღოლეთი, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა, ვიეტნამი, კუბა. ფაქტიურად ეს ქვეყნები (მოგვიანებით ჩინეთისა და იუგოსლავიის გარდა) საბჭოთა კავშირისათვის დაცვის ხაზს წარმოადგენდნენ. საბჭოთა კომუნისტურ სისტემას გააჩნდა ამბიცია განეხორციელებინა რუსი მეფეების პროექტები, მაგრამ ამ მისწრაფებებმა მალე დაკარგა ისტორიული დინამიკა, რადგან სსრკ თავის რიგებში აერთიანებდა ეთნიკურად, რელიგიურად, სოციალურ-კულტურულად და პოლიტიკურად განსხვავებულ რესპუბლიკებს, რომელიც იმართებოდა ერთი ცენტრიდან და სსრკ-ის მთელი მოსახლეობა მიჰყავდა უტოპიური მიზნისაკენ. ექსპანსიის უკანასკნელი ცდა იყო, საბჭოთა ჯარების შესვლა ავღანეთში ბრეჟნევის ეპოქაში (1979-1989 წწ.). ეს ომი სსრკ-სათვის დამთავრდა გორბაჩოვის დროს, კომუნიზმის კრახის პირობებში.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მეორე პერიოდი (1970-1991 წწ.) აღინიშნა ჩამორჩენით განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ამ ჩამორჩენას ამართლებდნენ გარეშე ძალების ჩარევით.

ახლა კი რუსეთის ფედერაცია შევიდა თავის ახალ, მეშვიდე ეპოქაში - რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ დამოუკიდებელი რუსეთის ეპოქა. თავის მხრივ, დამოუკიდებელი რუსეთის ეპოქაში ორი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა-ელცინისა და პუტინის მმართველობის პერიოდები.

1993 წელს მიღებულ იქნა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც გამოაცხადა რუსეთი, როგორც დემოკრატიული, საერო, სამართლებლივი, სოციალური სახელმწიფო.

სახელმწიფოს ძლიერება და სხვა გეოპოლიტიკური მახასიათებლები არ არის უცვლელი სიდიდე. ტერიტორია, მოსახლეობის რაოდენობა და ხარისხობრივი შემადგენლობა, ეკონომიკა, და სხვა ასპექტები ცვლილებას განიცდის. როგორც აბსოლუტური, ისევე შეფარდებითი გეოპოლიტიკური პარამეტრების ცვლილება მუდმივად ცვლის სახელმწიფოს როლსა და სტატუსს საერთაშორისო სისტემაში. თუ ამ პოზიციებიდან შევხედავთ რუსეთის გეოპოლიტიკურ ისტორიას, შეიძლება შევნიშნოთ რომ რუსეთის სახელმწიფოს გეოპოლიტიკური სტატუსისა და როლის ცვლილების პროცესს გააჩნია ტალღისებური ხასიათი. რუსეთის ისტორიაში იყო გეოპოლიტიკური ცვლილებების ოთხი ტალღა. კიევის რუსეთის ეპოქაში გეოპოლიტიკური ძლიერება გაიზარდა, ხოლო ურდოს მიერ რუსეთის დაპყრობამ კი ეს ძლიერება დასცა. ურდოს ეპოქის მეორე პერიოდში ისევ ძლიერდება რუსეთის გეოპოლიტიკური ძალა. XIV-XVI საუკუნეებში რუსეთის გაძლიერება გრძელდებოდა. გეოპოლიტიკური სტატუსი თავის მაქსიმუმს აღწევს ივანე მრისხანეს დროს, მაგრამ მისი მეფობის დასასრულს ისევ შეინიშნება დაღმავალი დინამიკა. მხოლოდ რომანოვის გამეფების შედეგ იწყება ზრდის პროცესი, რომელმაც ნაპოლეონის დამარცხებისთ მაქსიმუმს მიაღწია. შემდგომში, ნიკოლოზ პირველის დროს ისევ იწყება დაღმავალი ტალღა და 1917 წელს – ბოლშევიკური გადატრიალების დროს რუსეთის გეოპოლიტიკური სტატუსი აღწევს მინიმუმს. XX ს. 40-იანი წლების მეორე ნახევარში და 50-იან წლების დასაწყისში ისევ იწყება აღმასვლა, ხოლო 80-იან წლებიდან კვლავ დაქვეითების პერიოდი აღინიშნება. გეოპოლიტიკური განვითარების ტალღისებურობა გვაძლევს საშუალებას ვიწინასწარმეტყველოთ ქვეყნის განვითარების გეოპოლიტიკური ტენდეციები. მაგალითად, რუსეთს მიმდინარე გეოპოლიტიკურმა ეპოქამ მსოფლიოში ენერგომატარებლებზე ფასების ზრდის პირობებში გარკვეული გაძლიერება მოუტანა როგორც ეკონომიკური, ასევე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ამიტომ, რუსეთი კვლავ გააგრძელებს თავისი იმპერიალისტური პოლიტიკის განხორციელებას პოსტ-საბჭოთა სივრცეზე კონტროლის გაძლიერების მიზნით.

როგორც შარლ ლუი მონტესკიე ამბობდა, პატარა სახელმწიფოები კვდებიან გარეთა მტრების მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად, ხოლო დიდი სახელმწიფოები-შიდა ღალატით. იგივეს აღნიშნავდა პუშკინი რუსეთთან

მიმართებაში. რუსეთს ჰქონდა არა მარტო აღმასვლის პერიოდები პეტრე I-ის მმართველობის დროს, არამედ შავი პერიოდებიც, მაგალითად ელცინის პერიოდში, როდესაც რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენა მსოფლიოში მინიმუმამდე იყო შემცირებული.

რუს მეცნიერთა და ექსპერტთა უმრავლესობა აღიარებს რუსეთის იმპერიის კრახს XXს. 90-იანი წლების დასაწყისში. ისინი აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიღებულ იქნა უფრო მეტი დანაკარგი, ვიდრე შენაძენი. რუსეთის "სუფთა გეოპოლიტიკურ დანაკარგებს" შორის რუსი გეოპოლიტიკოსები გამოყოფენ შემდეგ ფაქტორებს:

1. "დაკარგულია ტერიტორიის 5 მლ კვ. კმ –ზე მეტი (თითქოს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიები რუსეთის ძირძველ მიწა-წყალს წარმოადგენდნენ).
2. დაკარგულია გასასვლელი ბალტიისპირეთზე და შავ ზღვაზე;
3. რესურსების თვალსაზრისით დაკარგულია შავი ზღვის, კასპიის და ბალტიის ზღვის "შელფები";
4. რუსეთის იმპერიის მთელმა ტერიტორიამ გადაინაცვლა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით;
5. დაიკარგა სახმელეთო გასასვლელები ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაზე;
6. რუსეთის ახალ საზღვრებზე გაჩნდა ახალი ეკონომიკურად სუსტი მეზობლები;
7. რუსეთმა მიიღო კეთილმოუწყობელი საზღვრები.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით რუსი "დერჟავნიკები" სვამენ კითხვას: "რატომ დაიშალა?" ისინი ამ ფაქტს ხსნიან რამდენიმე ობექტური მიზეზით. *პირველი* - გეოგრაფიული ფაქტორები, ანუ საბჭოთა კავშირის ფართობი. *მეორე*- ეკონომიკური *და მესამე* –პოლიტიკური ფაქტორები.

ყველა ეს ფაქტორი ახლაც მოქმედებს, მაგრამ მათ დაემატა კიდევ ახალი, კერძოდ რეგიონებს შორის ეკონომიკური კავშირებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის შესუსტება რუსეთში - ამის მიზეზია ემიგრაცია, რუსეთიდან "ტვინების გადინების" პროცესი.

დღევანდელი რუსეთისათვის მეტად მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენს მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია, რამაც XXI ს. დასაწყისში კატასტროფულ ფორმებს მიაღწია. გაეროს მონაცემებით, რუსეთის მოსახლეობა ყოველწლიურად 100 ათასი ადამიანით მცირდება.

თანამედროვე რუსეთის ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები

რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკისათვის დამახასიათებელია ორი ურთიერთგამომრიცხავი ტენდენცია. ერთის მხრივ, მიმდინარეობს სახელმწიფოებს შორის ინტეგრაციული პროცესები, რაც გამოიხატება სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანებების შექმნით. მეორეს მხრივ, კი ადგილი აქვს საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი მოდელის დამკვიდრების მცდელობას, რომელშიც აღინიშნება აშშ-ის ჰეგემონური როლი და ზოგადად დასავლეთის განვითარებული ქვეყნების დომინირება ვაშინგტონის ქოლგის ქვეშ.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ რუსეთის მიზანია ხელი შეუწყოს პირველი ტენდენციის საფუძველზე მრავალპოლუსიანი მსოფლიოს განვითარებას.

დოკუმენტში წარმოდგენილია რუსეთის ეროვნული ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე, რაც გულისხმობს: რუსეთის სუვერენიტეტის უზრუნველყოფას; მისი, როგორც დიდი სახელმწიფოსა და მრავალპოლუსიან მსოფლიოში ერთ-ერთი

ძლიერი, გავლენიანი ცენტრის სტატუსის უზრუნველყოფას; ურთიერთთანასწორი და ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობების დამყარებას მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან და რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პირველ რიგში - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოებთან და რუსეთის ტრადიციულ პარტნიორებთან. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთა ვინაობა დოკუმენტში არ სახელდება.

კონცეფციაში დიდი ყურადღება ეთმობა შემდეგ საგარეო საფრთხეებს: ზოგიერთი ქვეყნის მცდელობას, შეასუსტონ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის არსებული მექანიზმები. აქ უპირველესად იგულისხმება გაერო-სა და ეუთოს როლის შემცირება და აგრეთვე მსოფლიოში რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის შესუსტება; სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების გავლენის ზრდა, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გაფართოება და რუსეთის საზღვრების სიახლოვეს უცხო ქვეყნების მნიშვნელოვანი სამხედრო კონტინგენტების განთავსება; დსთ-ის შიგნით ინტეგრაციული პროცესების შესუსტება და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრებისა და დსთ-ის წევრი ქვეყნების გარე საზღვრების სიახლოვეს კონფლიქტური კერების არსებობა; რუსეთის ფედერაციის ტერიტორიებზე პრეტენზიები და მეზობელი სახელმწიფოების ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურულ-რელიგიური ექსპანსია რუსეთის ტერიტორიაზე; საერთაშორისო ტერორიზმი.

რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია

კონცეფციის თანახმად, რუსეთი, რომელიც ფლობს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსს და გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი და ბუნებრივი რესურსები, წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის აქტიურ მონაწილეს და საგრძნობ გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. დოკუმენტის შესაბამისად, რუსეთის საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელია გაწონასწორებულობა, რისი ძირითადი მიზეზია მისი, როგორც უდიდესი ევრაზიული სახელმწიფოს, გეოსტრატეგიული მდებარეობა. აქედან გამომდინარე, რუსეთმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე როგორც გლობალურ, ისე რეგიონალურ დონეზე. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე მსოფლიოში ძლიერდება ერთპოლუსიანი სტრუქტურის დამკვიდრების ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მსოფლიოში იარსებებს ერთადერთი სუპერსახელმწიფო - აშშ, რაც თავის მხრივ ზიანს აყენებს მსოფლიო წესრიგს და შეიძლება საერთაშორისო ვითარების დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. დოკუმენტის თანახმად, რუსეთის ძალისხმევა მიმართული იქნება საერთაშორისო ურთიერთობების მრავალპოლუსიანი სისტემის ფორმირებისაკენ, რომელშიც სრულად იქნება ასახული მსოფლიოში არსებული მრავალფეროვანი ინტერესები.

კონცეფციაში დიდი ადგილი ეთმობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის რეგიონალურ მიდგომებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დოკუმენტში განკუთვნილია დსთ-ისა და ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობების საკითხების მიმართ. დოკუმენტის თანახმად, რუსეთის პოლიტიკა მიმართული იქნება დსთ-ის წევრ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებისაკენ, ხოლო პრაქტიკულ დონეზე ურთიერთობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად გამოხატავს მზადყოფნას ესა თუ ის დსთ-ის წევრი სახელმწიფო რუსეთთან თანამშრომლობისაკენ თავის სწრაფვას. კონცეფციაში ასევე მოცემულია რუს ავტორებს შორის საკმაოდ გავრცელებული მოსაზრება დსთ-ის სხვადასხვა სახელმწიფოებთან "ინტეგრაციის განსხვავებული სიჩქარისა და დონის შესახებ", ხოლო უპირველეს ამოცანად რუსეთ-ბელორუსის კავშირის განმტკიცება სახელდება. დსთ-ის სივრცეში პრიორიტეტად გამოცხადებულია კონფლიქტების მოგვარებისაკენ მიმართული მცდელობა, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა.

კონცეფციაში აღნიშნულია, რომ ევროპულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ტრადიციულ პრიორიტეტად განიხილება და რუსეთის მიზანია ჩამოყალიბებულ იქნეს საერთო ევროპული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის დემოკრატიული სისტემა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორს ევროკავშირი წარმოადგენს და რუსეთის ეროვნული ინტერესების წარმატებით განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამშრომლობას დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან, იტალიასთან და საფრანგეთთან. კონცეფციის შესაბამისად, რუსეთის ურთიერთობა ნატოსთან მეტად მნიშვნელოვანია ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა, კონსტრუქციული თანამშრომლობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობა დამყარებული იქნება ორივე მხარის ინტერესების ურთიერთგათვალისწინებაზე და შესრულდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციისათვის მიუღებელია ნატო-ს 1999 წლის სამიტზე მიღებული ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც ვაშინგტონის ხელშეკრულების მოქმედების ზონის ფარგლებს მიღმა გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე ძალის გამოყენებას გულისხმობს.[184]

მოკლედაა განხილული ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობები. კონცეფციის თანახმად, რუსეთი მზადყოფნას გამოხატავს გადალახოს აშშ-სთან ურთიერთობებში არსებული მნიშვნელოვანი სირთულეები, ვინაიდან, მთელი რიგი პრინციპული უთანხმოებების არსებობის მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებისა და გლობალური სტრატეგიული სტაბილურობის უზრუნველყოფის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

რაც შეეხება აზიური პოლიტიკის ნაწილს, კონცეფციაში აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებას მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად რუსეთის საგარეო პოლიტიკაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც რუსეთი თავადაც განეკუთვნება ამ რეგიონს, და შესაბამისად პრიორიტეტად უნდა იქცეს რუსეთის ინტეგრაცია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის გაერთიანებებში – ასეანსა და "შანხაის ხუთეულში". დოკუმენტში ასევე წერია, რომ მსოფლიო პოლიტიკის ძირითად საკითხებში მოსკოვისა და პეკინის ინტერესთა თანხვედრა რეგიონალური და გლობალური სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტიაა. დოკუმენტის შესაბამისად, რუსეთი მხარს უჭერს იაპონიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას და სახელმწიფო საზღვრის საკითხთან დაკავშირებით ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღებას. დოკუმენტში ასევე ნათქვამია რუსეთის სურვილზე გააღმავოს ტრადიციული პარტნიორობა ინდოეთთან და განამტკიცოს ირანთან ურთიერთობები.

რუსეთის უსაფრთხოების კონცეფციისა და საგარეო პოლიტიკის კონცეფციის განხილვის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ორივე დოკუმენტი ნათლად ასახავს თანამედროვე რუსულ საგარეო პოლიტიკურ აზროვნებაში არსებულ სხვადასხვა ტენდენციას. ორივე კონცეფციაში წარმოდგენილია მოსაზრება მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის დამყარების აუცილებლობის შესახებ, სადაც რუსეთმა საკუთარი განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს.

ორივე დოკუმენტში გამოხატულია მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები დასავლეთის მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია ნატოს გაფართოებასთან და ერთპოლუსიანი სისტემის დამკვიდრების მცდელობასთან.

---

[184] ნატო-სმიერ 2010
წლისნოემბერშიდამტკიცებულიახალისტრატეგიულიკონცეფციისდამტკიცებისშემდეგ, შესაძლებელიარუსეთისსაგარეოპოლიტიკურდოქტრინაშიგარკვეულიცვლილებებიშევიდეს.

თუ შევადარებთ რუსეთის საგარეო პოლიტიკის აზიურ მიმართულებას დასავლეთის მიმართულებასთან, საუბარია აზიის სახელმწიფოებთან (ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, ირანი) თანამშრომლობაზე და დასავლეთისაგან განსხვავებით არ არის გამოთქმული რაიმე კრიტიკული შენიშვნა ამ სახელმწიფოთა მიმართ. ამავე დროს, რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მოცემული საფრთხეების ჩამონათვალში ყურადღება გამახვილებულია შესაძლო ტერიტორიულ პრეტენზიებზე რუსეთის მიმართ და მეზობელი სახელმწიფობის ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და კულტურულ-რელიგიური ექსპანსიაზე. საიდანაც შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ აღნიშნული საფრთხის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ჩინეთი გვევლინება.

პუტინის დოქტრინა

რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, რომელმაც ალბათ დროებით პრეზიდენტის პოსტიდან წასვლა (მიუხედავად იმისა, რომ მას სახელმწიფო სათათბიროს მხარდაჭერით შეეძლო კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა და მესამე ვადით პრეზიდენტის პოსტზე დარჩენა) და პრემიერ-მინისტრობა გადაწყვიტა, ძალაუფლება დიმიტრი მედვედევს გადააბარა. პუტინის მმართველობის განმავლობაში შემუშავებულ იქნა ერთობ საინტერესო საგარეო-პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც სრულიად შესაძლებელია რომ ექსკლუზიურად მხოლოდ მისი იდეა არც არის და რუსეთის მრავალსაუკუნოვანი იმპერიული გამოცდილებიდან გამომდინარეობს.[185]

დოქტრინისა და საგარეო-პოლიტიკური მიზნების განხორციელების მთელი იდეა "შერჩევითი ძალადობის" ტექნოლოგიასა და "წერტილოვანი" აგრესიის გამოყენებაში მდგომარეობს.

მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ XXI საუკუნის დასაწყისში რუსეთის პოლიტიკა ჩეჩნეთის, საქართველოს, პოლონეთისა და ინგლისის მიმართ. ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის "დერჟავნიკული" ამბიციების დაკმაყოფილებისა და მოსკოვის იმპერიული სისტემის მდგრადობისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ანტაგონისტურ სისტემათა დაშლა და მათი ერთიანი ფრონტით გამოსვლის დაუშვებლობა.

პირობითად თუ ვიტყვით, თანამედროვე რუსეთის ფედერაციას და მის სახელმწიფოებრივ სისტემას რამდენიმე მოსკოვისათვის მიუღებელი - ანტაგონისტური, სისტემურად მასთან შეუთავსებელი "სარტყელი" აკრავს, რომლებიც, მათი საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, რუსეთის პოლიტიკური წრეების აზრით საფრთხეს უქმნიან რუსეთის სახელმწიფოებრივი სისტემის მდგრადობას.[186]

1.რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკები, ანუ მცირე ერები, რომლებიც რუსეთმა თავისი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე დაიპყრო. ამ ხალხების ნაწილს, მათი ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, მოუსპობადი სეპარატისტული ინერცია გააჩნიათ: პირველ რიგში აქ უნდა ყურადღება გავამახვილოთ ჩრდილოეთ-კავკასიელ ხალხებსა და ვოლგისპირელებზე, რომლებიც ერთიანი სეპარატისტული სისტემის ჩამოყალიბების თეორიულ საფრთხეს ქმნიან (ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სეპარატისტული ტენდენციები რუსეთში ბევრად უფრო ძლიერი იყო XX ს. 90-იანი წლების პირველ ნახევარში).

2. ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები-დღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალი სახელმწიფოები;

3. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც კომუნისტურ ეპოქაში საბჭოთა იმპერიის გავლენის სფეროში შედიოდნენ და დღეს მათი უმრავლესობა ნატო-სა და ევროკავშირის წევრია;

---

[185] www.24saati.ge. მარტი, 2008 წ.

[186] იქვე

4. დასავლეთი.

პირველი სარტყელიდან, ანუ უშუალოდ ფედერაციაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებიდან, რუსეთმა დემონსტრაციულად და სამაგალითოდ დასასჯელად შეარჩია ჩეჩნეთი, რომელიც სეპარატიზმის გზაზე ყველაზე შორს წავიდა და 90-იან წლებში დროებით ფაქტობრივი დამოუკიდებლობაც კი მოიპოვა.

ჩეჩნეთში 1994 წელს რუსეთის ფედერალური ჯარების შეყვანა სწორედ იმ მიზანს ისახავდა, რომ სხვა ავტონომიებში მოკალათებული პოტენციური სეპარატისტები დაეშინებინა.

იმავდროულად, რუსეთის ხელისუფლება დემონსტრაციულად კეთილგანწყობილი და მომთმენი იყო სხვა ავტონომიური რესპუბლიკების მიმართ, იმის მიუხედავად, რომ მაგალითად, ტუვის რესპუბლიკა, თათრეთი ან ყაბარდო-ბალყარეთი ზოგჯერ არანაკლებ სეპარატისტულ ტენდენციას ამჟღავნებდნენ.

თავის დროზე, თათარსტანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მენტიმორ შაიმიევმა აკრძალა რუსეთის არმიაში თათრეთის მცხოვრებთა გაწვევა, რათა ისინი არ ყოფილიყვნენ ჩათრეულნი ჩეჩნეთის ომში, ხოლო ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტი ვალერი კოკოვი ოფიციალურ განცხადებას აკეთებდა რუსეთსა და ყაბარდო-ბალყარეთს შორის ჰორიზონტალური ანუ კონფედერაციული კავშირების დამყარების აუცილებლობაზე.

ასეთი პოლიტიკის განხორციელების შედეგად, რუსეთს მიეცა იმის შესაძლებლობა, რომ ერთის მხრივ, სხვა ავტონომიათა ლოიალობა შეენარჩუნებინა, ხოლო, მეორეს მხრივ, რუსეთისაგან გამოყოფის მომხრეები დაეშინებინა, თუ ჭკუით არ იქნებოდნენ, მათაც იგივე ბედი ეწეოდათ, როგორც ჩეჩნებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ პოლიტიკამ რუსეთისათვის შესანიშნავი შედეგი გამოიღო: რაკი სამაგალითოდ დასჯილი ჩეჩნეთის მაგალითის განმეორება საკუთარ რესპუბლიკაში არავის სურდა, პოტენციურმა სეპარატისტულმა რესპუბლიკებმა – თათრეთმაც, ყაბარდო-ბალყარეთმაც და ყველა სხვა ავტონომიებმაც 90-იან წლებში მიღებული სეპარატისტული კანონმდებლობა შეცვალეს და თავიანთი კონსტიტუციები რუსეთის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანეს.

იმპერიულმა მეთოდმა, "დაშალე და იბატონე"-ს პრინციპმა ამ შემთხვევაში ნამდვილად გაამართლა, ანუ წერტილოვანი დარტყმით პუტინმა პოტენციურად საშიში დაჯგუფება ეგოისტური ინტერესებით გამსჭვალულ ცალკეულ სუბიექტებად დაშალა და, მთლიანონაში, ამ ჯგუფის ლოიალობა-ნეიტრალიტეტი უზრუნველყო.

ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სეპარატიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი განუყოფელი ტექნოლოგიური ხერხია "თავზე ხელის გადასმა" სხვა სუბიექტებისათვის იმ დროს, როდესაც დაჯგუფების ყველაზე დაუმორჩილებელი წევრის დემონსტრაციული დასჯა მიმდინარეობს.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, რომლის წინააღმდეგაც რუსეთი ანალოგიურ მეთოდს იყენებს – ეს გახლავთ ე.წ. "ახლო საზღვარგარეთის" სივრცე - ყოფილი 11 მოკავშირე რესპუბლიკა, რომლებიც 1992-93 წლებში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანედნენ.

დსთ-ის სივრცეზე რუსეთმა ასეთივე თვალსაჩინოდ დასასჯელ მსხვერპლად საქართველო შეარჩია. რუსეთის ხელისუფლება, წლების განმავლობაში, სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების დასანახად, უგულებელყოფს რა ყველა საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმას, დემონსტრაციულად, საჯაროდ სჯის საქართველოს, იქნება ეს სამხედრო აქციები, სეპარატიზმის მხარდაჭერა, საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა, ტერიტორიის დაბომბვა, ეკონომიკური ბლოკადა და ა. შ.[187]

ყველაფერმა ამან როგორც ვიცით კულმინაციას 2008 წლის აგვისტოში მიაღწია, რაზედაც შემდგომ თავებში გვექნება საუბარი.

[187] www.24saati.ge. მარტი, 2008 წ.

იმავდროულად, რუსეთი ხაზგასმულად კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ინარჩუნებს დსთ-ის ყველა სახელმწიფოსთან. ბევრ რამეზე თვალებსაც ხუჭავს, ბევრ პრობლემას ჩქმალავს, რათა ოფიციალურ თბილისს და მთლიანად ქართულ საზოგადოებას განუმტკიცოს "მარტოობისა" და "გამონაკლისობის" განცდა, რაც მოსკოვისათვის საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტის მიღწევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შემყურე (ისევე როგორც წინა შემთხვევაში) დსთ-ის წევრი სხვა ქვეყნები, ხედავენ რა საქართველოს მიმართ მოსკოვის აგრესიულ პოლიტიკას, თავად უფრო ლოიალურნი არიან რუსეთის მიმართ - ყოველ შემთხვევაში, პრობლემის გამწვავებას ერიდებიან. მაგალითად სეპარატისტული რეგიონების მქონე აზერბაიჯანსა და მოლდოვას რუსეთისადმი არანაკლები პრეტენზიები აქვთ, ვიდრე საქართველოს, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობაში უფრო ფრთხილობენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზით ისინი მათ წინაშე მდგარ მთავარ სტრატეგიულ ამოცანას (დნესტრისპირეთისა და ყარაბაღის კონფლიქტები) ვერ გადაწყვეტენ, მაგრამ რუსეთის მიმართ შედარებით ლოიალური პოლიტიკის გატარებით უფრო მძიმე პრობლემებს იცილებენ თავიდან – მაგალითად, მათ ტერიტორიებს არავინ ბომბავს, არ არსებობს სავიზო რეჟიმი და რუსეთის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფი საინფორმაციო საშუალებები ამ ორი ქვეყნის საწინააღმდეგო რეპორტაჟებს არ გადასცემენ.

მოსკოვის მხრიდან ასეთი პოლიტიკის გატარების შედეგად, საქართველოს დსთ-შიც კეთროვანივით შიშით უყურებენ და თბილისი მიერ ვითომ "შეცდომების" გამეორება არ უნდათ. პუტინი კი (და შემდეგ მედვედევიც) ამავე დროს ხაზგასმული კეთილგანწყობით ჩადის, მაგალითად, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში "შეჰიდთა" ხეივანს ყვავილებით ამკობს, რუსეთში აზერბაიჯანის წელიწადს აცხადებს, თანაც, ამ დროს ლამის იჩოქებს აზერბაიჯანელთა გულის ასაჩუყებლად. ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არც აპირებს რაიმე შეცვალოს ყარაბაღში ან უარი თქვას სომხეთის მხარდაჭერაზე.

მესამე ჯგუფს აღმოსავლეთ ევროპა წარმოადგენს – ყოფილი სსრკ-ის სატელიტი სახელმწიფოები. სხვადასხვა მიზეზთა გამო აქ მოსკოვის მიერ პოლონეთი იქნა შერჩეული. დაკვირვება ნათლად გვიჩვენებს, რომ რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი მხოლოდ პოლონეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ აკეთებდა შეურაცმყოფელ განცხადებებს, რომ იგი "ვაშინგტონში სამუშაოს საძებნელად დაძრწის", სწორედ პოლონეთის წინააღმდეგ იქნა შემოღებული ეკონომიკური სანქციები ამ ქვეყანაში წარმოებულ ხორცის პროდუქტებზე და ასე შემდეგ.

იმავდროულად კი მოსკოვი "თაფლაკვერის" პოლიტიკას ატარებს უნგრეთის, სლოვენიის და სხვა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან მიმართებაში და ამის შედეგი გახლავთ ის, რომ როდესაც, მაგალითად პოლონეთმა და ლიტვამ საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს და რუსეთ-ევროკავშირის ხელშეკრულების ხელმოწერა აფხაზეთში რუსეთის აგრესიული ქმედებების შეჩერებას დაუკავშირეს, სლოვენიამ, რომელიც ამ დროს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გახლდათ, უარი განაცხადა პოლონეთთან და ლიტვასთან ერთად დელეგაციით საქართველოში გამომგზავრებულიყო.

ამ დემარშის მთავარი მიზეზი გახდა სლოვენიისადმი დაფიქსირებული პრეფერენციები – იუგოსლავიის ამ ყოფილ რესპუბლიკას "გაზპრომი" ბევრ რამეს დაჰპირდა "სამხრეთ ნაკადის" გაზსადენიდან.

მოსკოვში ყველაზე დიდ შეშფოთებას ევროკავშირის კონსოლიდაციის (უფრო ზუსტად კონსოლიდირებული პოზიციის) მიმართ გამოხატავენ. ამის არდასაშვებად კი იყენებენ "დაყავი და იბატონე"-ს პრინციპს, რაც გამოიხატება ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალ პატარა სახელმწიფოთა ეგოისტურ, ბუნებრივ ინტერესებისა და მისწრაფებების რუსეთის სასარგებლოდ გამოყენებაში.

კრემლის კლასიფიკაციით მეოთხე ჯგუფში შემავალი სახელმწიფოებიდან მოსკოვმა "მსხვერპლად" ინგლისი შეარჩია.

დასავლეთის არც ერთ სხვა სახელმწიფოსთან რუსეთს ისეთი დაძაბული ურთიერთობა არ ჰქონდა, როგორც დიდ ბრიტანეთთან, თვით აშშ-სთანაც კი, რომელიც, თითქოსდა, ბევრად მეტ პრობლემას უქმნიდა რუსეთს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ოფიციალური კრემლის პოლიტიკა ამ სისტემაში არ არის რეაქტიული - არ წარმოადგენს რაღაც რეაქციას ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე მის მიმართ.

რუსეთმა სწორედ ინგლისისა და ლონდონის გულში, პიკადილის ქუჩაზე დატოვა შემაძრწუნებელი რადიოაქტიური კვალი, სწორედ ბრიტანული ორგანიზაცია – ბრიტანეთის საბჭოს ოფისები დახურა რუსეთის ტერიტორიაზე და ასე შემდეგ.

ამის პარალელურად, დაკვირვება ცხადყოფს, როგორ მეგობრულ ურთიერთობებს ამყარებს კრემლი ანგელა მერკელის გერმანიასა და სილვიო ბერლუსკონის იტალიასთან, რაც გამოიხატება სხვადასხვა პრეფერენციების დაწესებაში პირველ რიგში ენერგოსფეროში (რაც ენერგომატარებლებზე ფასების არნახული ზრდის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება) და არა მხოლოდ: რუსეთის გრანდიოზული ბაზრის ხელმისაწვდომობა და ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობა იმ ფონზე, როცა ამ ქვეყანაში "ნავთობდოლარების" უდიდესი მასაა ბრუნვაში, აგრეთვე არანაკლები "სატყუარაა".

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, ამ ჯგუფში გატარებული პოლიტიკის მეთოდი და შედეგიც იმის ანალოგიურია, როგორც თითქოსდა სულ სხვა, თვისობრივად განსხვავებულ პირველ სარტყელში: საერთო ინტერესების მქონე ჯგუფის დანაწევრება ცალკეულ სუბიექტებად და მთლიანობაში, რუსეთისადმი მისი სტრატეგიული ლოიალობა-ნეიტრალობის შენარჩუნებით.

ზემოაღნიშნულიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთი XXI საუკუნის დასაწყისშიც შუა საუკუნეების იმპერიების თვისებრივ სისტემებს ეყრდნობა ანუ "იმპერიული ერის" სიამაყის გრძნობა, აგრესიული პოლიტიკა, "დერჟავული" ვნებების დაკმაყოფილება ამ სახელმწიფოს შემდგომი განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

იაპონია თანამედროვე გეოპოლიტიკაში

ხანგრძლივი დროის განმავლობაში იაპონია ვითარდებოდა როგორც ჩაკეტილი სახელმწიფო. მას ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ რეგიონის სხვა ქვეყნებთან – ჩინეთთან, კორეასთან და ა.შ. თუმცა, XVI საუკუნეში ქვეყანაში შეაღწიეს ევროპელებმაც, მაგრამ შემდგომში სეკუნატმა ტოკუჰავამ ქვეყანა კვლავ ჩაკეტა ევროპელებისთვის და მხოლოდ ორ ქვეყანასთან, ჩინეთთან და ჰოლანდიასთან ურთიერთობდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში იაპონია თავისი გეოპოლიტიკური გავლენის განმტკიცებისა და ეკონომიკური განვითარების გზას მაშინ დაადგა, როდესაც დასავლეთ ევროპის ყველა მსხვილ ქვეყანაში კაპიტალისტური მეურნეობა უკვე ათვისებული იყო, ხოლო მთელი მსოფლიო ტერიტორიები ფაქტიურად გადანაწილებული იყო განვითარებულ ქვეყნებს შორის.

იაპონიის განვითარებიბსათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება ისიც იყო, რომ განვითარების საწყის სტადიაზე ქვეყანაში, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ფეოდალური წყობილების ნაშთები. 1868 წელს მეიდზის რევოლუციის შემდეგ, ბურჟუაზიული რეფორმების განხორციელება დაიწყო.

თავისი გეოპოლიტიკური გავლენის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ იაპონიისათვის წარმოადგენდა აგრესიული ომები, რომლებიც მან აწარმოა 1894-1895 წლებში ჩინეთთან, 1904-1905 წლებში რუსეთთან და ასევე ქვეყნის ჩართვა პირველ მსოფლიო ომში, ხოლო შემდგომში, 1931 წელს კვლავ ჩინეთის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის

ჩატარება. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის წინ იაპონიამ სტრატეგიული პარტნიორობა დაამყარა ფაშისტურ გერმანიასთან, ხოლო 1941 წლის 7 დეკემბერს აშშ-ის საზღვაო ბაზა-პიერ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ აქტიურად ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში, რომელშიც როგორც ცნობილია იგი დამარცხდა და ოკუპირებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ.

მეორე მსოფლიო ომმა კარდინალურად შეცვალა იაპონიის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და იაპონია ამ ომის შედეგად ღრმად პაციფისტური ქვეყანა გახდა. მეორე მსოფლი ომში იაპონიის დანაკარგს შეადგენდა ქვეყნის სიმდიდრის მეოთხედი, გარდა ამისა, ქვეყანამ დაკარგა 3 მილიონზე მეტი ადამიანი. ამის შედეგად, ორი ათასი წლის განმავლობაში პირველად იაპონიაში შეაღწიეს ოკუპანტებმა. ამ ყოველივემ ძირეულად შეცვალა პოლიტიკული აზროვნების მიმართულებები პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს შორის და მათ ომზე, როგორც პოლიტიკის ერთ-ერთ საშუალებაზე, თქვეს უარი, რაც აისახა ქვეყნის კონსტიტუციაში რომელიც 1947 წელს იქნა მიღებული.

ოკუპაციის პერიოდი 1951 წლამდე გაგრძელდა, როდესაც სან-ფრანცისკოში გაფორმდა სეპარატისტული საზავო ხელშეკრულება და მოიხსნა საოკუპაციო რეჟიმი. მიუხედავად ამისა, იაპონია საკმაოდ დიდხანს იყო დამოკიდებული აშშ-ზე ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლების მიხედვით, ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იაპონიის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაზე მომდევნო პერიოდში.

ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკა საჭიროებდა გარდაქმნებს და ძირეულ რეფორმირებას. იაპონიის ახალი გეოპოლიტიკური კურსის ჩამოყალიბება სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. ამერიკელებმა აიძულეს იაპონელები გაეტარებინათ აგრარული რეფორმები, გაეშვათ „ძაიბაცუს" ოლიგარქიული კლანის წევრები და გაეტარებინათ სხვა რეფორმები თავისუფალი ბაზრის დასამკვიდრებლად. ამერიკელები ეხმარებოდნენ იაპონელებს ამ რეფორმების გატარებაში. მათ იაპონელებს მიაწოდეს იმ დროის უახლესი ტექნოლოგიები. ამას გარდა იაპონიის როლი, როგორც მიმწოდებლის, განსაკუთრებით გაიზარდა კორეის ომის დროს.

უკვე გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იაპონიაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების განხორციელება დაიწყო, რომლის შედეგადაც დაიწყო მსხვილი საინვესტიციო კაპიტალის შემოტანა უცხოეთიდან. ასევე, ფაქტიურად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ბაზაზე, ჩამოყალიბდა ინდუსტრიალიზაციის საკმაოდ მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 60-იანი წლებიდან იწყება იაპონიის ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარება.

ამავე დროს, იაპონიის საგარეო პოლიტიკის საყრდენი გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მრავალმხრივ თანამშრომლობაზე ორიენტაცია.

1960 წლის ოლიმპიადის წარმატებით ჩატარებას იაპონიაში ნამდვილი ეკონომიკური ბუმი მოჰყვა. ამ დროისთვის იაპონიამ აიღო კრედიტი მსოფლიო ბანკისგან და დაიწყო ჩქაროსნული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. წლიური ეკონომიკური ზრდა იაპონიაში შეადგენდა 10%-ს. ნავთობის კრიზისმა იაპონიაზე თავდაპირველად ძალზე ცუდად იმოქმედა. იაპონიის ეკონომიკამ პირველად აჩვენა უარყოფითი ზრდის პროცენტი, თუმცა ამ კრიზისმა სათავე დაუდო იაპონიის ახალ პოლიტიკას, რომელიც მათ გაატარეს ენერგეტიკის ეკონომიზაციის კუთხით. იაპონური კონცერნების მიერ გამოშვებული მანქანები მოიხმარდნენ გაცილებით ნაკლები რაოდენობის საწვავს, რამაც მათი მსოფილიო ბაზარზე პოპულარიზაციას შეუწყო ხელი. ამის შემდეგ სიტუაცია სტაბილური გახდა და ეკონომიკურმა ზრდამ უკვე დადებითი პროცენტი აჩვენა, იგი 3.7%-ით გაიზარდა.

1960 წელს აშშ-სთან დადებული სან-ფრანცისკოს ხელშეკრულება გადაისინჯა, ხოლო 1970 წლიდან ავტომატურად გაგრძელდა. ამ პერიოდში იაპონია სულ უფრო ღრმად იჭრება და ავითარებს აშშ-ის გლობალიზაციის სტრატეგიას. ამავე დროს, იაპონია მჭიდრო კავშირებს ამყარებს ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან, აქტიურად მონაწილეობს ევროგაერთიანების საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

აღსანიშნავია აგრეთვე ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება იაპონიასა და ჩინეთს შორის, 1978 წელს გაფორმდა იაპონიასა და ჩინეთს შორის სამშვიდობო და მეგობრობის ხელშეკრულება.

1985 წელს სასტუმრო „პლაზაში" ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რამაც იენისა და იაპონური პროდუქციის თვითღირებულება გაზარდა. ამას იაპონელმა მეწარმეებმა წარმოების აზიის სხვა ქვეყნებში გატანით უპასუხეს. შესაბამისად, იაპონიამ შეიტანა ფასდაუდებელი წვლილი ამ ქვეყნების ინდუსტრიალიზაციაში. ამგვარად, იაპონია გადაიქცა მაღალინდუსტრიულ, განვითარებულ ქვეყნად. მის წილად, დღეისათვის მსოფლიო პროდუქციის დაახლოებით 17% მოდის. გარდა ამისა, იაპონია ეხმარება მსოფლიოს სხვა ქვეყნებს და არის მსოფლიო ბანკისა მსოფლიო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი უმსხვილესი მეწილე.

იაპონიის პოლიტიკური როლი თანამედროვე მსოფლიო წესრიგში

XX საუკუნის დასასრულმა მოიტანა კარდინალური ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობებში. კერძოდ, აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების გაქრობამ გამოიწვია ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების აუცილებლობა. იაპონელებისათვის ეს გამოიხატა იმით, რომ გაძლიერდა იმ პირთა პოზიციები რომლებიც იაპონელებისგან ითხოვდნენ იმ პოლიტიკური როლის თამაშს, რაც შეესაბამებოდა მის ეკონომიკურ წონას. ეს ყოველივე ნათლად გამოჩნდა სპარსეთის ყურის პირველი კრიზისის დროს, როდესაც მოკავშირეთა კოალიცია აწარმოებდა კამპანიას ერაყის წინააღმდეგ. იაპონია დადგა დილემის წინაშე – ერთის მხრივ კონსტიტუცია და საზოგადოებრივი აზრი მიუღებლად მიიჩნევდა სამხედრო შენაერთების გაგზავნას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ხოლო მეორეს მხრივ, საერთაშორისო საზოგადოება მოითხოვდა იაპონიისგან ამ ტიპის ქმედებას. იაპონიამ გადაწყვიტა საბოლოოდ 13 მილიარდი დოლარის გაღება სამხედრო ხარჯების დასაფარავად და რეგიონის ქვეყნების დასახმარებლად, თუმცა ეს ქმედება, რომელიც დაუჯდა იაპონიის მთავრობას დაახლოებით 100 დოლარი ერთ სულ მოსახლეზე, მონათლულ იქნა ჩეკისტულ დიპლომატიად და ტოკიოს ქმედება გაკრიტიკებულ იქნა იმ ვითარების დროს, როდესაც სხვა ქვეყნის შვილები იქ სისხლს ღვრიდნენ. იაპონელი ხალხისთვის ეს ნამდვილი შოკი აღმოჩნდა. ამის გამო იაპონიის პარლამენტში დაიწყო განხილვა იაპონელი კონტინგენტის გაეროს ცალკეულ მისიებში მონაწილების თაობაზე, რასაც შედეგად იაპონელი ცისფერჩაფხუტიანების მშვიდობის შენარჩუნება-დაცვის მისიებში მონაწილეობა მოჰყვა. იაპონიამ გაგზავა სამხედრო შენაერთები კამბოჯაში, მოზამბიკში. ზაირსა და სხვა ქვეყნებში გაიგზავნა ჰუმანიტარული დახმარებები.

იაპონია ცივი ომის პერიოდში ერთგვარი პასიური პოლიტიკით გამოირჩეოდა, თუმცა ცივი ომის დასრულებამ საერთაშორისო ურთიერთობებში ცალკეული ქვეყნების პოლიტიკაში ნაციონალური ინტერესების გადახედვა გამოიწვია. წინა პლანზე წაიწია ეკონომიკურმა კომპონენტმაც. დღევანდელი ინტეგრაციული პროცესების ფონზე ეკონომიკურმა კომპონენტმა გარკვეულად გადაწონა სამხედრო კომპონენტი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას მნიშვნელობა დაუკარგა. პირიქით, თანამედროვე პროცესებმა ერაყში ნათლად დაგვანახა ამ კომპონენტის მნიშვნელობა. იაპონია ეკონომიური პოლიტიკის სამხედრო პოლიტიკის ჩანაცვლების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია. როგორც ვიცით, თანამედროვე ტექნოლოგიურმა პროცესებმა სახელმწიფოს როლი გარკვეულიწილად დააკნინა სამოქალაქო ურთიერთობებში და სახელმწიფო აღარ წარმოადგენს ერთადერთ აქტორს ქვეყანაში. შესაბამისად, იაპონიას ამ ზენაციონალობის პრინციპის დამკვიდრებაში თავისი ტექნიკური განვითარებით უდიდესი წვლილი შეაქვს. იაპონიის წილზე მოდის გაეროს სხვადასხვა სტრუქტურების დაფინანსების დაახლოებით 20%. იაპონიას სურს

საერთაშორისო ურთიერთობებში გახდეს იმგვარი აქტორი, სადაც მას საკუთარი ეკონომიკური წონის შესაფერისი როლის თამაშის საშუალება ექნება. საგარეო პოლიტიკის ძირითადი პირველი პუნქტი ესაა ეკონომიკური გლობალიზაცია და საერთაშორისო თანამეგობრობის ურთიერთდამოკილებულების ზრდა. ურთიერთდამოკიდებულების ზრდა გულისხმობს შიდა ბაზრების იმგვარ შერწყმას, რომ ცალკეული გეოგრაფიული არეალის ქვეყნები იმგვარად აღმოჩდნენ ურთიერთკავშირში, რომ ნაციონალურმა საზღვრებმა აზრი დაკარგონ. ეს ყოველივე ზრდის ან ცდილობს გაზარდოს ცალკეული ქვეყნების ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებელი, რაც გულისხმობს ბაზარზე დიდ კონკურენციას. თუმცა, რა თქმა უნდა, გლობალიზაციის შედეგებზე ყველას თავისი მოსაზრება აქვს და რამდენად მოიტანს ის ცხოვრების დონის ამაღლებას, ამას დრო გვიჩვენებს. ესაა დემოკრატიის იდეოლოგიური მხარდაჭერა, რათა ხელი შეეწყოს ცალკეულ ქვეყნებში თავისუფალი ბაზრის დამკვირდებას, რაც დამატებითი ბაზრის პერსპექტივაა ტექნოლოგიურად განვითარებული იაპონიისთვის. საბაზრო ეკონომიკა თავის მხრივ, გულისხმობს იმგვარ დამცავ მექანიზმს, რასაც თავისი არსით წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფო სისტემა, თუმცა იგივე აზიის ქვეყნების მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავისუფალი ბაზარი შეიძლება ფუნქციონირებდეს სხვა ტიპის რეჟიმში. ეს არსებითად პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. იაპონია, თავის მხრივ, ეხმარება დემოკრატიულ და საბაზრო რეფორმირებას ცალკეულ ქვეყნებში. იაპონიის მთავარ მიზანს წარმოადგენს თავის ხალხის კეთილდღეობა და მშვიდობიანი განვითარება, რაც საჭიროებს მშვიდობიან მსოფლიო სისტემას. ცივი ომის დროს იაპონია მოქმედებდა, როგორც დასავლური ბლოკის ერთ-ერთი წევრი, დღეს კი იაპონიას საკუთარი ეკონომიკური წონის შესაბამისად ძალუძს იმ როლის თამაში, რომლითაც შეუძლია გარკვეული მსოფლიო წესების შექმნა და მისი წარმართვა გარკვეული მიმართულებით. შესაბამისად, იაპონიის საქმიანობა მიმართულია ამ მიზნის მიღწევისკენ, რაც გამოხატულია მისი აქტიური მონაწილეობოთი გაეროში. ცივი ომის პერიოდისგან განსხვავებით, სადაც საერთაშორისო ურთიერთობებში ორი აქტორის გარშემო იკვრებოდა ალიანსები, დღევანდელი საერთაშორისო წესები თვისობრივად სხვა ხასიათის მატარებელია. იაპონიის მოქმედების არეალი ორმხრივი შეთახმებებიდან ვარირებს გლობალური ხასიათის პოლიტიკურ ფორმებამდე. იაპონიის საქმიანობა გამოიხატება, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაერო, მსოფლიო სავალუტო ფონდი), ასევე კონტინენტური ტიპის შეხვედრებში (ევროპა-აზიის შეხვედრები) აქტიურ მონაწილეობაში, რეგიონალური ტიპის ორგანიზაციებში მონაწილეობა და ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება ცალეკულ ქვეყნებთან მის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამას გარდა, ქვეყანა მონაწილებს ცალკეულ ჰუმანიტარულ და სამშვიდობო ტიპის მისიებში. იაპონიის საქმიანობა გაეროში დაფასდა 1996 წელს, ის აირჩიეს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად, რაც იმ როლის შესაბამისობას წარმოადგენს, რომელიც იაპონიამ უნდა ითამაშოს მომავალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში.

რეგიონალურ ორგანიზაციებში აღსანიშნავია ასეანი და წყნარი ოკეანის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციაში შედის 21 სახელმწიფო, იგი ცდილობს ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ადმინისტრაციული ნორმების გამარტივებას და ბიზნესის წარმოების თავისუფლების დამკვიდრებას ორგანიზაციის წევრებს შორის.

ორმხრივი ურთიერთობები

ამერიკა არის იაპონიის უმსხვილესი და უპირველესი პარტნიორი. ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა მშვიდობიან თანაარსებობაზეა დაფუძნებული და ამ რეგიონში უსაფრთხოების გარკვეული გარანტიაა. ამ მიმართულებით შეგვიძლია დავასახელოთ

ამერიკა-იაპონიის შეთანხმება უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების თაობაზე, რომელიც დაიდო 1951 წელს, რომლის შედეგადაც ამერიკამ მოიპოვა უფლება განეთავსებინა იაპონიაში საკუთარი სამხედრო ბაზები. ეს ხელშეკრულება ავტომატურად განახლდა 1970 წლიდან. ხელშეკრულებაში განხილულია ამერიკული ბაზების სტატუსი კუნძულ ოკინავაზე.

იაპონია ცდილობს ჩინეთთან არსებული ისტორიული თუ პრაქტიკული პრობლემების ფართო დიალოგის გზით მოგვარებას.

რაც შეეხება კორეას, მასთან იაპონიას აერთიანებს საერთო-დემოკრატიული ფასეულობები, ასევე, საერთო ინტერესები უსაფრთხოების სფეროში. იაპონია ცდილობს მაქსიმალურად დაარეგულიროს ვითარება ჩრდილოეთ კორეასთან.

იაპონია არის თანამედროვე ტენდენციების აქტუალური მხარდამჭერი. ეს ტენდენცია გულისხმობს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ტექნოლოგიური ეკონომიკური, პოლიტიკური პროცესების ინტეგრაციის უფრო მაღალ ხარისხს. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია იაპონიის მიერ მესამე მსოფლიოს ქვეყნებისათვის გამოყოფილი თანხები. ამ სისტემის მშვიდობიანი რიტმი დამატებით შესაძლებლობებს ქმნის ტექნოლოგიურად განვითარებული იაპონიისთვის. იაპონია ხდება ახალი საერთაშორისო წესრიგის ერთ-ერთი მთავარი აქტორი, რაც გამომდინარეობს მისი ეკონომიკური სიძლიერიდან.

თავი რომ დავანებოთ თავდაცვის მიზნით აშშ-იაპონიის სარაკეტო სფეროში თანამშრომლობას, ინტერესმოკლებული არ არის იგივე სფეროდან ახლად გამჟღავნებული სხვა ასპექტიც. კერძოდ, 2007 ბოლოს გავრცელდა სამთავრობო დოკუმენტი, სადაც ბირთვული ქობინების გეგმებია განხილული.

იაპონიის სამთავრობო წრეებში სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდებები იმის შესახებ, რომ იაპონიამ კარდინალურად უნდა შეცვალოს სამხედრო-პოლიტიკური კურსი. "ჩრდილოეთკორეული საფრთხის" თეზისის გამოყენებით ხელისუფლება მოსახლეობას მოუწოდებს, უარი თქვას ქვეყნის კონსტიტუციურ პაციფისტურ მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ იაპონია უარს ამბობს ომის წარმოებასა და შეიარაღებული ძალების ყოლაზე. ოფიციალურ დონეზე უკვე მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ძლიერი შეიარაღებული ძალების ფორმირება და მისაღებ კანონზე დაყრდნობით იაპონიის არმიისა და ფლოტის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა აშშ-სთან ერთად და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მსგავსი სტრუქტურის შექმნა.

რაც შეეხება მოსახლეობის დამოკიდებულებას საკონსტიტუციო ცვლილებებისადმი, 2006 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებიც მოწმობს, რომ წინა ხელისუფლების ახალმა იდეოლოგიამ უკვე იმუშავა. გამოკითხულთა 60 პროცენტი საკონსტიტუციო ცვლილებების მომხრეიყო. ხოლო ის ფაქტი, რომ იაპონიის პარლამენტში დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან ორი მესამედი მზად იყო, მხარი დაეჭირა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის კანონპროექტს, არა მარტო იდეოლოგიური მანქანის ამუშავებაზე, არამედ უახლოეს მომავალში ამგვარი ცვლილებების რაოდენობაზე მეტყველებს.

თუმცა საინტერესოა, რომ მაშინ, როდესაც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი პირები ოფიციალურად ინარჩუნებდნენ მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებულ უკვე დამკვიდრებულ პოზიციას, მთავრობის კაბინეტის წევრები ფარულად, მაგრამ უკვე ხშირად საუბრობდნენ ტექნოლოგიური შესაძლებლობების მოცულობაზე, რომელიც იაპონიას ბირთვულ იარაღზე მუშაობის საშუალებას მისცემდა. 2007 წელს იაპონიის წარმომადგენელთა პალატის უსაფრთხოების კომიტეტის სხდომაზე იაპონიის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარო ასომ ბირთვული პროგრამის განვითარების რეალურ შესაძლებლობებზე ისაუბრა.

"თავდაცვის მიზნით მინიმალური რაოდენობით შეიარაღების ფლობა არ იკრძალება კონსტიტუციით. ამასთან აკრძალული არც ბირთვული იარაღია, თუკი

მისი მოცულობა არ სცილდება სახიფათო საზღვარს”- განაცხადა საგარეო უწყების მეთაურმა.

რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობებით, იაპონიას აქვს როგორც ურანის, ასევე პლუტონის მარაგი. 2005 წლის დასაწყისში ქვეყანა ფლობდა 43.8 ტონა პლუტონს, აქედან 5,9 ტონა თავად იაპონიის ტერიტორიაზე ინახებოდა, ხოლო 37,9 ტონა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში[188].

ამავე დროს, არც თუ მცირეა იმ გეოპოლიტიკური ფაქტორების სია, რომელიც ხელს შეუშლის იაპონიას, იქცეს ბირთვულ სახელმწიფოდ. პირველ რიგში ეს ამერიკის შეერთებული შტატების ფაქტორია. იაპონიაზე “სრული ამერიკული პროტექტორატის” მაგალითი იყო 2007 წლის ბოლოს კონდოლიზა რაისის ტურნე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც იგი შეეცადა, დაერწმუნებინა იაპონია და კორეა სრული დაცვის გარანტიებში. ამერიკას კარგად ესმის, რომ თუ იაპონია და სამხრეთ კორეა ბირთვულ სახელმწიფოებად გადაიქცევიან, მათ აღარ დასჭირდებათ ამერიკელთა დახმარება და გამომდინარე აქედან, ვაშინგტონსაც მოუწევს ამ ქვეყნებში განთავსებული სამხედრო ბაზების დათმობა, რაც არანაირად არ შედის აშშ-ის გლობალური სტრატეგიის გეგმებში. საერთაშორისო გავლენის შენარჩუნების მიზნით, ამერიკა მზადაა იაპონიის, და არა მარტო მისი, შეიარაღებული ძალები გამოიყენოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში საჭიროებისამებრ და ამას იაპონიის, სამხრეთ კორეის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნატო-სთან თანამშრომლობის გაღრმავების ინიციატივაც ემატება თან.

მეორე ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ რუსეთის ჩრდილო და სამხრეთ კორეისადმი მეზობლური დამოკიდებულება.

2009 გამართული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც 1946 წლის შემდეგ პირველად, მმართველმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ დაკარგა საპარლამენტო უმრავლესობა, ხელისუფლების სათავეში მოსულმა ახალმა, მემარცხენე მიმართულების ძალამ მოსახლეობას აღუთქვა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებდა, რათა კუნძულ ოკინავაზე განთავსებული ამერიკული სამხედრო ბაზა გაუქმებულიყო, თუმცა ახალმა ხელისუფლებამ საბოლოოდ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ერთის მხრივ ჯერ კიდევ არსებობს ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული პრობლემა, ხოლო მეორეს მხრივ იაპონია ესაზღვრება რუსეთს, რომლის პრეზიდენტი 2010 წლის ნოემბერში მეორე მსოფლიო ომამდე იაპონიის იურისდიქციაში მყოფ კურილის კუნძულებს ესტუმრა.

თურქეთის როლი და ადგილი თანამედროვე გეოპოლიტიკაში

თურქეთი დიდი ქვეყანაა თავისი კულტურით, გეოგრაფიით, მოსახლეობით, სახელმწიფოებრიობით, ისტორიული წარსულითა და დღევანდელი დღით. კიდევ უფრო ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებენ მას სპეციალისტები. საქართველოს მეზობელმა ბოლო წლების განმალობაში გატარებული რეფორმების წყალობით ისე მნიშვნელოვნად განავითარა თავისი ეკონომიკა, რომ ევროპის ერთ – ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა მცირე პერიოდის მანძილზე ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანა გახდა. ბოლო პერიოდში კასპიის ენერგეტიკული რესურსების ირგვლივ ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო ნათელყო თურქეთის მზარდი როლი რეგიონალურ პოლიტიკაში.

თურქეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა ბევრჯერ გამხდარა ამ ქვეყნის როგორც გამარჯვების, წინსვლისა და აღორძინების, ისე დამარცხების, ჩამორჩენილობისა და დაცემის მიზეზი იმისდა შესაბამისად, თუ როგორი დამოკიდებულება იყო მის გარშემო არსებულ გეოპოლიტიკურ ძალებს შორის.

[188] www.24saati.ge. October, 2007.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის წარმმართველი ძირითადი პრინციპია მუსთაფა ქემალ ათათურქის სიტყვები, "მშვიდობა ქვეყანაში, მშვიდობა მსოფლიოში".[189] ანკარაში კარგად იციან თურგუთ ოზალის სიტყვების ფასიც: "შიშით საგარეო პოლიტიკა ვერ წარიმართება"[190] და მართლაც, თურქეთი საკმაოდ აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს.

განვიხილოთ თურქეთის საგარეო პოლიტიკის რამოდენიმე მიმართულება.

თურქეთის ურთიერთობა აშშ-სთან და ევროკავშირთან

როგორც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მოკავშირე და ევროპის საბჭოს წევრი, თურქეთი ცივი ომის არსებობის დროს ათწლეულების განმალობაში რეალურ დახმარებას უწევდა დასავლეთის უსაფრთხოებასა და თავდაცვას.

დღეს ვაშინგტონისათვის მოკავშირეობას განსაზღვრავს ის, რომ თურქეთი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მდებარეობს ახლო აღმოსავლეთში და ამავე დროს ბისეკ-ის ერთ-ერთი დამფუძვნებელი და აქტიური წევრია.

ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელობას აშშ-ის პოლიტიკისათვის რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია რეგიონის უზარმაზარი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე, მასში თავმოყრილი ენერგორესურსების მასშტაბური ოდენობის გამო. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მეტად აქტიური და ამავე დროს გადამწყვეტი როლი ითამაშა კასპიის "დიდი" ნავთობის თურქეთის ტერიტორიის გავლით გატარების საქმეში. მიუხედავად იმისა რომ ამერიკა ამ ნავთობპროექტის განხორციელებიდან მიიღებს მცირე მოცულობის ნავთობს, მისთვის მაინც მნიშვნელოვანია მისი განხორციელება. ამ პროექტით შესაძლებელი გახდება, თურქეთის ტერიტორიის გავლით, დასავლეთის სახელმწიფოების უზრუნველყოფა ნავთობით და გაზით და ამერიკის სტრატეგიული მოკავშირეების ენერგოუსაფრთხოება. ასეთ ვითარებაში მსოფლიო ბაზარზე გაჩნდება დამატებითი რაოდენობის ნავთობი და შესაბამისად მომავალში შესაძლებელი გახდება ნავთობის ფასების დარეგულირება. ასევე შესაძლებელი გახდება ირანისა და რუსეთის ეკონომიკის შესუსტება, რომელთა საბიუჯეტო შემოსავლები დამოკიდებულია ნავთობის გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავალზე. თუ გავითვალისწინებთ აშშ-ს და ირანის ბოლოდროინდელ ურთიერთობას, ამერიკისთვის მნიშვნელოვანია თურქეთის მხარდაჭერა.

ამავე დროს აღსანიშნავია ბოლო პერიოდში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა გარკვეული გაცივება. ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა ერაყის ომის წინა. 2003 წელს, თურქეთი ამერიკელებთან კორდინაციის გარეშეც აპირებდა შეეყვანა ჩრდილოეთ ერაყში თავისი არმია, რათა არ დაეშვა იქ ქურთების ავტონომიის შექმნა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამარცხების შემდეგ. ეს აქცია არ შედგა აშშ-სა და ნატოს წევრი სხვა ქვეყნების ამ აქციისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გამო. ერაყის ომის წინ თურქეთი ორაზროვან სიტუაციაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, თურქეთს აშინებდა ბაღდადის რეჟიმის დაცემის შემთხვევაში ერაყის დაშლა და მის ნანგრევებზე ქურთული სახელმწიფო წარმონაქმნის დაარსება, რაც ეწინააღმდეგება ანკარის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. მეორეს მხრივ, მას არ სურდა მისი უმთავრესი მოკავშირის – ამერიკის განაწყენება. ამ ომის წინააღმდეგი აღმოჩნდა თურქეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც.

ამერიკის არმიას სურდა საშუალება მისცემოდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის გავლით ჩრდილოეთ ერაყში ბაღდადისათვის მეორე ფრონტი გაეხსნა. ამის სანაცვლოდ ვაშინგტონი დიდ ფინანსურ დახმარებაზე დათანხმდა თურქეთს.

---

[189] ნიკა ჩიტაძე. სადისერტაციო ნაშრომი "კასპიის სანავთობო პროექტები და საქართველოს სატრანზიტო როლი. გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები"გვ. 76

[190] იქვე

ანკარას დაპირდნენ 6 მილიარდ დოლარს პირდაპირი დახმარების სახით და 9 მილიარდს – სესხების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა თავის პოლიტიკას აღმოსავლეთში ტერორიზმთან და არა ისლამთან ბრძოლას უწოდებს, ისლამურ სახელმწიფოებს შორის სოლიდარობის მომენტი საკმაოდ მაღალია და ამიტომაც თურქეთის პარლამენტმა 2003 წლის 1 მარტს უარი თქვა ამ გარიგებაზე. ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებს აეკრძალათ თურქეთის აეროდრომზე დაჯდომა. ამერიკის სამხედრო ხომალდებზე მყოფი ჯარის ნაწილები სამ კვირას ამაოდ ელოდნენ გადასხმას სამხრეთ თურქეთის ნავსადგურებში. ბოლოს ისინი იძულებული გახდნენ სუეცის არხის გავლით სპარსეთის ყურეში წასულიყვნენ, რათა სამხრეთიდან შეეტიათ ბაღდადზე. ანკარაში მყოფი ამერიკელი დიპლომატები მაშინვე ალაპარაკდნენ "თითქმის გამოუსწორებელ ზარალზე" ორმხრივი ურთიერთობისათვის. ერთმა მათგანმა თურქეთს "ერაყის ომის პირველი დიპლომატიურ მსხვერპლიც" კი უწოდა. მაგრამ რადგან თურქეთს, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს როგორც ამერიკისთვის, ისე ნატოსთვის, ნაკლებად სავარაუდოა რომ ეს უთანხმოებანი ორ ქვეყანას შორის ნამდვილად "გამოუსწორებელი" იქნება.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთერთი ფაქიზი წერტილია ურთიერთობა ევროკავშირთან. ამ გაერთიანებაში გაწევრიანება არის ის სანუკვარი ოცნება, რის განხორციელებასაც იგი ათწლეულების განმალობაში უშედეგოდ ცდილობდა და დღესაც უშედეგოდ ცდილობს.

თურქეთმა პროდასავლური არჩევანი 1923 წელს გააკეთა, რასაც მოჰყვა ქემალისტური რეფორმების სახელით ცნობილი ცვლილებები, რომლებმაც შედეგად მოგვცა გრეგორიანული კალენდრის, ასევე მოდიფიცირებული ლათინური ანბანის შემოღება და ევროპულ მოდელზე დამყარებული ახალი სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის კოდექსები. იმდროინდელი პრეზიდენტის მუსტაფა ქემალის (ათათურქის) საშინაო და საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია მკაცრად პროდასავლური იყო და ამ მიმართულებით თურქეთი რეალურად მიდიოდა. ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება და თურქეთი მთელი მონდომებით ცდილობს ევროპისკენ მიმავალ გზაზე ბოლო ნაბიჯი გადადგას–გახდეს ევროკავშირის წევრი.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში თურქეთმა ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა და ომში მხოლოდ 1945 წელს ჩაება მოკავშირეების მხარეს გერმანიის წინააღმდეგ. 1949 წელს თურქეთი გაეროს წევრი გახდა და 1950-1953 წლებში ამ ორგანიზაციის ეგიდით კორეის ომშიც მიიღო მონაწილეობა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ. თურქეთის ამგვარმა პოლიტიკამ მას შედეგად მოუტანა ნატოს წევრობა 1952 წელს. თურქეთი ევროსაბჭოს წევრია მისი დაარსების წლიდან (1949).

თურქეთის და ევროკავშირის ურთიერთობა საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. პირველად თურქეთმა ევროპის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების სურვილი 1959 წელს გამოთქვა. ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა თურქეთს შესთავაზა თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება იმ დრომდე, სანამ მოხერხდებოდა თურქეთის კავშირში გაწევრიანება. 1963 წლის სექტემბერში დაიდო ანკარის შეთანხმება. ეს შეთანხმება ითვალისწინებდა საბაჟო ხელშეკრულების დადებას, რომელიც ხელს შეუწყობდა თურქეთისა და ევროპის დაახლოებას ეკონომიკის და ვაჭრობის სფეროებში.

1970 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა დამატებით პროტოკოლს, რომლის მიხედვითაც დღის წესრიგში უნდა დამდგარიყო თურქეთსა და ევროპის ეკონომიკურ კავშირს შორის გაცვლილ საქონელზე ტარიფების და ქვოტების გაუქმების საკითხი.

თურქეთისა და ევროპის ურთიერთობა შეწყდა 1980 წლისთვის, როდესაც ქვეყანაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. 1982 წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, ხოლო 1983 წელს ახალი მთავრობის არჩევის შემდეგ თანამშრომლობა აღდგა და 1987 წელს თურქეთმა განაცხადი გააკეთა სრულ წევრობაზე. ევროკომისიამ და ევროკავშირის საბჭომ დაადასტურეს თურქეთის

კანდიდატურა, თუმცა მისი სრული გაწევრიანება გადადეს უფრო შესაფერისი დროისთვის, რომელიც ვერა და ვერ დადგა.

1999 წლის ევროკავშირის ჰელსინკის საბჭოზე თურქეთი ოფიციალურად ცნეს ევროკავშირში გასაწევრიანებელ კანდიდატ ქვეყნად.

2002 წელს დაიწყო რეფორმების ახალი სერია ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ერთ-ერთი იყო სიკვდილით დასჯის გაუქმება.

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ 2002 წელს კოპენჰაგენში გამართული ევროკავშირის სამიტი, რომლის მიხედვითაც 2004 წლის დეკემბერში კომისიის მოხსენებების და რეკომენდაციების საფუძველზე კიდევ ერთხელ განიხილებოდა თურქეთის კანდიდატურა, თუ რამდენად აკმაყოფილებდა ეს უკანასკნელი კოპენჰაგენის პოლიტიკურ კრიტერიუმს.

2004 წლის 17 დეკემბერს გადაწყდა გამართულიყო დამატებითი მოლაპარაკებები თურქეთის გაწევრიანების თაობაზე და იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რისი შესრულებაც თურქეთს სჭირდება ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

აღსანიშნავია ის ფინანსური დახმარება, რომელსაც თურქეთი ევროკავშირისგან იღებს რათა მოერგოს ევროკავშირის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს. ფინანსური დახმარება თურქეთს მიეწოდება ინსტიტუციონალური, ეკონომიკური და სხვა სახის რეფორმების გასატარებლად. ეს დახმარება კიდევ უფრო გაიზარდა 2007 წლიდან. 2007-2013 წლებში თურქეთისთვის აღმოჩენილი ფინანსური დახმარება დაახლოებით მილიარდი ევროთი განისაზღვრება.

თურქეთში გატარებული ცვლილებების საპასუხოდ ევროკავშირმა მოლაპარაკებების დაწყების თარიღად გამოაცხადა 2005 წელი. ავსტრიის მთავრობის მცდელობის გამო, მოლაპარაკებების დაწყება გაჭიანურდა.

ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც თურქეთს მიეცა არის ის, რომ თურქეთმა უნდა განსაზღვროს ფინანსური პერსპექტივა 2014 წლიდან. ამ რეკომენდაციამ გარკვეულწილად მიგვანიშნა სავარუდო დროზე-თურქეთი ევროკავშირს ვერ შეუერთდება 2015 წლამდე. ევროკავშირის ოფიციოზის რაღაც ნაწილი სავარაუდო წლად განიხილავს 2019 წელს.

რეალური მიზეზები თუ რატომ არ იღებენ თურქეთს ევროკავშირში შემდეგია:

თურქეთის ევროკავშირში მიღება-არმიღების საკითხი უფრო მეტად პოლიტიკურ ელფერს ატარებს. 69,660,559 მოსახლეობით თურქეთი ევროკავშირში გერმანიის (მოსახლეობა 82,468,000) შემდეგ მეორე ქვეყანა იქნება, რაც სერიოზულ ცვლილებას მოახდენს ევროკავშირის პარლამენტის შემადგენლობაზე, ხოლო თურქების ხმა პარლამენტში ანგარიშგასაწევ ძალას შეიძენს. ამ ფაქტმა შესაძლოა სერიოზული გავლენა მოახდინოს ევროპარლამენტის მუშაობაზე და განხილული კანონპროექტების მიღება-არმიღების საკითხზე. თუ გავითვალისწინებთ იდეოლოგიურ სხვაობას ევროპასთან, სოლიდარობას ისლამისტური სამყაროსადმი და ინერციით სამხედროების მაღალ აქტივობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ევროპისთვის თურქეთის საკუთარ რიგებში მიღება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. მითუმეტეს, რომ ეკონომიკურად არცთუ ფეხზე მდგომი ამხელა ქვეყნის "ზიდვა" ევროკავშირისთვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, ამას დავუმატოთ არცთუ სახარბიელო იმიჯი რიგითი ევროპელების თვალში რასაც კულტურულ და იდეოლოგიურ განსხვავებასთან ერთად, უმუშევარი მუშახელის ევროპაში გადინებაც უწყობს ხელს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საზღვრების საკითხიც. თურქეთის ტერიტორიის მხოლოდ 3% მდებარეობს ევროპაში. მისი დედაქალაქი, კვიპროსის მსგავსად აზიაშია. ეს ნიშნავს, რომ თურქეთის ევროკავშირში მიღების შემთხვევაში ევროკავშირის გარეთა საზღვრები გადაიწევს ცენტრალურ აზიაში და ევროკავშირის უშუალო მეზობლები აღმოჩნდებიან სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ირანი, ერაყი, სირია. შექმნილი მდგომარეობის ფონზე ერაყთან, ირანთან და სირიასთან უშუალო მეზობლობა და საზღვრების გაყოფა ევროკავშირს ნაკლებად აწყობს, მითუმეტეს

თუ გავითვალისწინებთ თურქეთის გრძელ სასაზღვრო ზოლს. ამ შემთხვევაში ფაქტობრივად იშლება ბუფერი შუა აზიასა და ევროკავშირს შორის, რაც ევროკავშირს რეგიონის უსაფრთხოებიდან გამომდინარე ნაკლებად აწყობს.

გარდა იმისა, რომ თურქეთი ევროპაში რიგით მეორეა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, ძირითადი პრობლემა იმაშია, რომ მისი მოსახლეობის 99.8 % მუსულმანია და ეს ევროპისგან უდიდეს კულტურულ განსხვავებას ქმნის. ევროპის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ტრადიციულად ქრისტიანია. ერთ-ერთი ევროპელი, ვინც ამის შესახებ ღიად განაცხადა, იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ჟაკ ატალი, რომელმაც განაცხადა: "თურქეთის ევროკავშირში შესვლის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი რელიგიური განსხვავება - ისლამია"[191] მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი უარყოფს რელიგიური ნიშნით განსხვავებულობის მნიშვნელობას, ეს განსხვავება დიდ პრობლემად რჩება.

თუმცა მოვლენები როგორც არ უნდა განვითარდეს და ევროპა თურქეთს ხელგაშლილი, რომც არ შეეგებოს, ამ უკანასკნელს ნაკლებად აწყობს პრო-დასავლური კურსის შეცვლა. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირი თურქეთისთვის პირველი ეკონომიკური პარტნიორია ამერიკასთან კი, როგორც ნატოში, ასევე მის გარეთ ანკარას დიდი ხნის თანამშრომლობა და პარტნიორობა აკავშირებს.

თურქეთის ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან

როდესაც სამხრეთ კავკასიის სამმა სახელმწიფომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, თურქეთმა დაუყოვნებლივ აღიარა მათი სუვერენიტეტი. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების სუვერენიტეტის აღიარების პროცესში ადგილი არ ჰქონია არავითარ დისკრიმინაციულ პოლიტიკას, მათ შორის სომხეთთან მიმართებაში.

თურქეთის დაინტერესებას კავკასიით, მრავალი ასპექტი გააჩნია. დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნები შიშობდნენ, რომ პანთურქული იდეებით გამსჭვალული თურქეთი შესაძლოა მათთვის საფრთხედ ქცეულიყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთს ნამდვილად ამოძრავებდა თურანის აღდგენის ამბიცია, 120-მილიონიანი თურქულენოვანი მოსახლეობით. თურქები აქცენტს აკეთებდნენ ენის ფაქტორზე და დარწმუნებულები იყვნენ, რომ თურქულენოვანი დიალექტები და თურქული ეთნოსი აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის და თვით რუსეთის ფედერაციის თურქულ-თათრული მოსახლეობა ერთ მთლიან ორგანიზმად გაერთიანდებოდა. თურქი პოლიტიკოსების გეგმები უფრო შორსაც მიდიოდა, მათ სურდათ მთავარი როლის დაკავება ადრეატიკის ზღვიდან ჩინეთამდე, რომელშიც შევიდოდნენ ცენტრალური აზიის რესპუბლიკები, კავკასია, შავიზღვისპირეთი და ბალკანეთი.

თურქეთის იმედები არ გამართლდა. იგი თითქმის მოწყვეტილია ახალ "თურქულ სამყაროს". მისი იმედები გამხდარიყო ჰეგემონი თურქულენოვან რესპუბლიკებში და დამაკავშირებელი ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არ განხორციელდა. მისი დომინანტური ამბიციები მხოლოდ აზერბაიჯანით შემოიფარგლა.

თურქულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები იდეალურია. თურქეთი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც აზერბაიჯანის პოზიცია დაიკავა ყარაბაღის კონფლიქტში. კასპიის სანავთობო პროექტებმა ეს ორი ქვეყანა კიდევ უფრო დააახლოვა ერთმანეთს. გარდა ამისა, სომხეთში "დაშნაკების" გაძლიერებისა და 1915 წლის გენოციდის საკითხის ერევნის ოფიციალური პოლიტიკის რანგში აყვანის შემდეგ ამგვარი კავშირი კიდევ უფრო გაღრმავდა.

თურქეთ-სომხეთის ურთიერთობები კი მეტად დაძაბულია. კონფლიქტი ჯერ კიდევ ოტომანთა იმპერიის დროიდან იღებს სათავეს. ყველაზე მეტად

[191] ნიკა ჩიტაძე. სადისერტაციო ნაშრომი "კასპიის სანავთობო პროექტები და საქართველოს სატრანზიტო როლი. ეოპოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები"გვ. 79

გახმაურებულია 1915 წლის მოვლენები, როდესაც აღმოსავლეთ ანატოლიიდან, სადაც თურქეთი რუსეთს ეომებოდა, რუსეთის იმპერიაში, სირიასა და ერაყში გაძევებულ იქნა ასი ათასობით სომეხი, რამაც შედეგად მოიტანა უამრავი მსხვერპლი. თურქეთის განცხადებით სომხების ტერიტორიიდან გაძევება მოხდა უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, რადგან ეს უკანასკნელნი მხარს უჭერდნენ მოწინააღმდეგეს. საფრანგეთის და სხვა ქვეყნების მოთხოვნის მიუხედავად თურქეთი უარს აცხადებს ცნოს 1915-1922 წლებში სომხების გენოციდი. მანამდე სომხეთთან ურთიერთობის მოგვარება ფაქტობრივად წარმოუდგენელია. ოფიციალური თურქეთი აღიარებს ორმხრივ მსხვერპლს, მაგრამ უარს აცხადებს აღიაროს თურქების მიერ სომხების გენოციდი. ეს მოვლენა ხელს უშლის თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნას, მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს თურქეთისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა შვეიცარიაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ. დღემდე არ მომხდარა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების რატიფიცირება ორივე ქვეყნის პარლამენტების მიერ. თურქეთი ახორციელებს სრულ ეკონომიკურ ემბარგოს სომხეთის წინააღმდეგ და მასთან საზღვრები ჩაკეტილი აქვს. ერთ-ერთი ფაქტორია ასევე სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი მთიან ყარაბაღში. თურქეთმა მხარი დაუჭირა სულიერად და ეთნიკურად უფრო ახლოს მყოფ აზერბაიჯანს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლის პროექტშიც თურქეთი ერთ-ერთი პარტნიორია, სომხეთის ტერიტორიის გვერდის ავლით გაედინება.

ბალკანეთი, კავკასია, ახლო აღმოსავლეთი, შუა აზია, შავი ზღვა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი ის რეგიონებია, სადაც ყოველთვის მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური თუ ეთნო-რელიგიური მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენს მსოფლიოს პოლიტიკურ პროცესებზე. ამ რეგიონთა ცენტრში ყოფნა თურქეთს პოლიტიკური მანევრირების საშუალებას აძლევს. ამიტომაც მისი როლი მსოფლიო ასპარეზზე დღითიდღე იზრდება.

თურქეთი და თურქულენოვანი სამყარო

მნიშვნელოვანი აღინიშნოს თურქეთში ახალი გეოპოლიტიკური ინტერესების კვლავ გამოჩენა თურქულენოვანი ქვეყნების მიმართ.

თურქეთის პრემიერის, ერდოგანის განცხადებით, თურქულენოვანი სახელმწიფოები, რომელთაც ისტორიულ-კულტურული ღირებულებები და ადამიანური კავშირები აერთიანებთ, საგარეო-პოლიტიკურ სფეროში არაკოორდინირებულ ქმედებათა გამო ძალიან ბევრს კარგავენ. ამის გამოსასწორებლად ერდოგანი თურქულენოვან სახელმწიფოთა მეთაურების ყოველწლიური სამიტების ინსტიტუციონალიზებასა და მუდმივი სამდივნოს შექმნის ინიციატივით გამოვიდა. პოლიტიკური კავშირის შექმნის იდეა თურქეთის ხელისუფლებამ პირველად ამ ორგანიზაციის წინა კონგრესზე გამოთქვა. ახალი გაერთიანებას შექმნის პერსპექტივებს საფრთხე რომ არ დაემუქროს, თურქეთი მზად არის, გაერთიანების შესაძლო წევრებს შორის არსებული წინააღმდეგობების, უმთავრესად სასაზღვრო პრობლემათა მოგვარების საქმეში შუამავლის მისიაც იტვირთოს.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე თურქულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, რესპუბლიკის დამფუძნებელი მამის მუსტაფა ქემალ ათათურქის ანდერძისამებრ, გვიანდელი ოტომანთაგან მიმდინარე ოცნებები იმპერიის შუა აზიამდე განვრცობის შესახებ ტაბუირებული გახლდათ. 1991 წლის შემდეგ ნაციონალისტ თურქთა მისწრაფება, თურქული გავლენის სარტყელი ადრიატიკიდან ჩინეთამდე აღადგინონ, რეანიმირდება და ანკარამ, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებთან ერთად, პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბება სცადა.

ამ მიმართულებით ანკარა, 2002 წლის ნოემბერში ხელისუფლებაში ზომიერი ისლამისტების მოსვლის შემდეგ, ისევ გააქტიურდა. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ ევროკავშირში გაწევრიანება უმთავრეს პრიორიტეტად დასახა, იმავდროულად არაბულ სამყაროსთან მთვლემარე კავშირების გაცოცხლებაც დაიწყო და ახლო-აღმოსავლურ სარბიელზეც მჩქეფარე დიპლომატიური საქმიანობაც გააჩაღა, ეკონომიკის სტაბილური ზრდის კვალობაზე თურქულენოვან სახელმწიფოებთან პოლიტიკური კავშირების იდეასაც დაუბრუნდა და ვაშინგტონის დაჟინებული მოთხოვნის წინააღმდეგ, "ურჩ" ირანთან ენერგეტიკის სფეროში რამდენიმე მსხვილი კონტრაქტის გაფორმებაზეც წავიდა.

მიმომხილველთა აზრით, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში აღმოსავლური ვექტორის გაძლიერება ბოლო წლებში დასავლეთთან მისი ურთიერთობების გართულებით უნდა აიხსნას. ანკარის გაღიზიანებას რამდენიმე ფაქტორი იწვევს. უწინარესად ის, რომ ევროკავშირში მისი შესვლის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებს ბოლო არ უჩანს-ბრიუსელი თურქეთისგან მრავალი წინაპირობის დაკმაყოფილებას ითხოვს, ხოლო საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი სულაც აცხადებს, რომ თურქეთის ადგილი ევროკავშირში საერთოდ არ არის. დასავლეთისა და თურქეთის პოზიციების თანხვედრა ამ უკანასკნელისთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან დაკავშირებითაც არ ხდება, როგორიცაა ჩრდილოეთ კვიპროსის სტატუსი, დამოკიდებულება ქურთულ უმცირესობასთან თუ სომხების გენოციდი. ყველა ამ საკითხში ანკარა დასავლელი მოკავშირეებისგან, განსაკუთრებით კი აშშ-სგან თავს ნაღალატევად მიიჩნევს. ამგვარ განწყობას ასახავს ის, რომ თურქებს შორის შესამჩნევად მცირდება ევრომომხრეთა რაოდენობა, ხოლო აშშ-ის, 2007 წლის მონაცემებით, მოსახლეობის მხოლოდ 9 პროცენტიღა აფასებს დადებითად. ცნობისათვის იგივე მაჩვენებელი 2000 წელს 52 პროცენტს შეადგენდა.[192]

"აშკარაა, რომ რეალური საფრთხეები თურქეთს არა მეზობლებისგან, არამედ მოკავშირეებისგან ემუქრება"-დარწმუნებულია ლიბერალ-ისლამური გაზეთის "ზამანის" მესვეტე ალი ბულაჯი. იმას, რომ ასეთმა შეხედულებებმა თურქულ საზოგადოებაში უკვე მკვიდრად გაიდგა ფესვი, საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი იჰსან დაგიც ადასტურებს: "ხალხს მართლაც სჯერა, რომ ამერიკა აღარ არის მეგობარი და მოკავშირე და რომ პირიქით, ის თურქეთის ეროვნული უსაფრთხოებისათვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს, ხუთი წლის წინ ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო, ახლა კი ეს უკვე დომინანტური შეხედულებაა.[193]"

ამიტომაც, თურქეთთან ურთიერთობების გაუარესების შემთხვევაში დასავლეთს რეგიონში სხვა საიმედო დასასყრდენი სჭირდება.

ცენტრალური აზიის როლი თანამედროვე გეოპოლიტიკაში

ცენტრალური აზიის რეგიონის რიგი ქვეყნებისათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

- კასპიის ზღვაში და ცენტრალურ აზიაში ნავთობისა და გაზის დიდი მარაგია. მაგალითად თურქმენეთი მესამე ადგილზეა მსოფლიოში გაზის ექსპორტიორთა შორის. ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი მარაგი გააჩნიათ აგრეთვე უზბეკეთსა და ყაზახეთს. რაც შეეხება ნავთობის რესურსებს, ცენტრალურ აზიაში ნავთობის პოტენციური მარაგი შეფასებულია 10-15 მილიარდ ტონამდე. ეს რა თქმა უნდა გაცილებით ნაკლებია ვიდრე სპარსეთის ყურეში არსებული მარაგი, მაგრამ ნავთობსა და გაზზე მოთხოვნილება იზრდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოეთის სუბკონტინენტზე და ასევე ჩინეთში, სადაც დროთა განმავლობაში

[192] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008 წ. გვ. 129

[193] იქვე

შესაძლებლობა იქნება გაიზარდოს ცენტრალური აზიის რეგიონიდან სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ექსპორტი;

- სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მინერალური რესურსების არსებობის გარდა გლობალური განზომილება აქვს აგრეთვე განსხვავებული კულტურების და ცივილიზაციების ურთიერთშეჯახებას. აქ ერთმანეთს კონკურენციას ეწევენ სუნიტური და შიიტური ისლამი და ქრისტიანობა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სახით.

გარეშე ძალების ფაქტორის მნიშვნელობა ცენტრალურ აზიაში:

ამ კომპლექსურ, არასტაბილურ, ცალკეულ ადგილებში ფეთქებად რეგიონებში ერთმანეთს უპირისპირდება მსოფლიოს უდიდესი და საშუალო სიდიდის სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები. გარეშე ძალთა ინტერესები რეგიონში მხოლოდ ნაწილობრივ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ისინი ძირითადად ეკონომიკურ სარგებელს ეძებენ, განსაკუთრებით საკუთარი თავის ნავთობითა და გაზით უზრუნველყოფას და მრეწველობისათვის მომგებიანი შეკვეთების მიღებას ცდილობენ.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცენტრალურ აზიაში ბოლო პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო, აშშ-ის პოზიციები ამ რეგიონში რამდენადმე შესუსტდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეგიონის ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები ერთმანეთს თანხვდება. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ცენტრალური აზიის რესპუბლიკების საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები რუსეთთან თანამშრომლობის განმტკიცებაზეა ორიენტირებული. კერძოდ, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცენტრალური აზიის ოთხი სახელმწიფო დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრი ქვეყნებია, გარდა ამისა ისინი რუსეთთან და ჩინეთთან ერთად გაწევრიანებულნი არიან შანხაის თანამშრომლობის ხელშეკრულების ორგანიზაციაში. ასევე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ სტრატეგიული მდებარეობის მქონე უზბეკეთის ინტერესებში შედიოდა რუსეთზე თავისი გავლენის შესუსტება, პრეზიდენტი ქარიმოვი ნატოს 1999 წელს გამართულ სამიტსაც კი დაესწრო და თავისი მხარდაჭერაც გამოხატა ალიანსის მიერ გატარებულ პოლიტიკისადმი კოსოვოს ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებითაც, მაგრამ ანდიჟანში 2004 წელს განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ, როდესაც დასავლეთმა მკაცრად გააკრიტიკა უზბეკეთის ხელისუფლება მის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, ამ ქვეყნის მთავრობამ პირი ისევ რუსეთისაკენ იბრუნა. რაც შეეხება თურქმენეთს, მიუხედავად მისი ნეიტრალურობისა, ეს ქვეყანაც დამოკიდებულია რუსეთზე, რადგან თურქმენული გაზის ექსპორტი ევროპაში სწორედ რუსეთის ტერიტორიის გავლით ხორციელდება.

მნიშვნელოვანია თვით რუსეთის პოზიციაც ცენტრალურ აზიაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოზიციები მთელ მსოფლიოში საგრძნობლად შესუსტდა, რუსეთი ახერხებს თავისი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას, და მის გაძლიერებასაც კი ცენტრალურ აზიაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსეთის ინიციატივით ცენტრალურ აზიაში შექმნილია ცენტრალური აზიის სწრაფი რეაგირების ძალები, რომელიც მოიცავს რუსეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის 10 ბატალიონს.

ამ ძალების გაძლიერებით რუსეთი ცენტრალურ აზიაში ნარკოტრეფიკინგის, ტერორიზმისა და ადგილობრივი კონფლიქტების შეკავებასაც იმედოვნებს. რუსეთსა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს განსაკუთრებით აწუხებთ არასტაბილურობა ავღანეთში და რეგიონიდან ნარკოტრეფიკინგი. ამის მიუხედავად, გარკვეულ დონეზე განვითარდა ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ნატოსთან თანამშრომლობა ავღანეთის საკითხში. კერძოდ, ნატო-ს სამხედრო და სამოქალაქო დანიშნულების ტვირთების ავღანეთში ტრანსპორტირება ცენტრალური აზიიდანაც ხორციელდება, თუმცა 2007 წელს, როდესაც ნატო-სა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობა არსებობდა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა

ნატოს ნარკოტრეფიკინგის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისთვის თავის არიდებაში დასდო ბრალი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამავე დროს ხორციელდება ბრძოლა ენერგეტიკული რესურსების კონტროლისათვის, სადაც დასავლეთის სახელმწიფოები თავიანთი აქტიური პოლიტიკის გატარებას ცდილობენ. ამ მხრივ აღსანიშნავია განვიხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტიც:

<u>კასპიისპირა გაზსადენის პროექტი</u> 2007 წლის 11 მაისს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ყაზახეთსა და თურქმენეთში ვიზიტის დროს ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომელშიც სამი ქვეყნის (რუსეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი) პრეზიდენტი თავის მთავრობებს ავალებდა, რათა 2007 წლის პირველ სექტემბრამდე მომზადებულიყო ხელშეკრულება კასპიისპირა გაზსადენის პროექტის თაობაზე. ეს გაზსადენი თურქმენეთიდან ყაზახეთის ტერიტორიის გავლით გავა რუსეთზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პუტინის ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე თურქმენეთის პრეზიდენტმა თავისი ქვეყნის კუთვნილ კასპიის სექტორზე შემოუშვა ამერიკული ნავთობგიგანტი "შევრონი." როგორც ცნობილია "შევრონს" ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე არსებულ საბადოებზე მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნია. ამ კომპანიის დაშვება თურქმენეთის მხრიდან კიდევ ერთი იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ქვეყანა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული იზოლაციის გარღვევას ცდილობს. თურქმენეთის პრეზიდენტ ბერდიმუჰამედოვისგან სიგნალები მას შემდეგაც არ შეწყვეტილა, რაც მან კასპიისპირა გაზსადენის პროექტის დეკლარაციას მოაწერა ხელი. მისი განცხადებით "კასპიისპირა გაზსადენის პროექტი ტრანსკასპიური პროექტის განხორციელებას არ გამორიცხავს."[194] გამომდინარე აქედან, ჯერ კიდევ არსებობს იმის რეალური შანსი, რომ დასავლეთის ქვეყნებისა და კომპანიების მეშვეობით განხორციელდეს ალტერნატიული პროექტები, რომელთა მეშვეობითაც გაზის ტრანსპორტირება შავის ზღვის რეგიონის გავლით ევროატლანტიკურ სივრცეში იქნება შესაძლებელი. ამ მხრივ აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: 2006 წლის პირველ ნახევარში თურქმენეთმა 33,68 მილიარდი კუბური მეტრი გაზი მოიპოვა. ამ მოცულობიდან 21 მილიარდი ტრანსპორტირებულ იქნა რუსეთის მიმართულებით. 2007 წელს, ექსპერტთა მონაცემებით ეს მაჩვენებელი 40 მილიარდამდე გაიზარდა. 2030 წლისათვის კი მოპოვებამ დაახლოებით 250 მილიარდი უნდა შეადგინოს. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, დაახლოებით 2012 წლისათვის მოპოვებამ 100 მილიარდი კუბური მეტრი უნდა შეადგინოს. ეს მოცულობა კი საკმარისი იქნება, რომ გაზი ტრანსკასპიური გაზსადენითაც (ევროპის მიმართულებით) წავიდეს. ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში კი დასავლეთის რამდენიმე ქვეყანა აქტიურად იქნება ჩართული. აუცილებელია აღინიშნოს, რომ 2010 წელს დასრულდა გაზსადენის მშენებლობა ჩინეთის მიმართულებით, რომლის მეშვეობით დაახლოებით 30 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი უნდა იყოს ტრანსპორტირებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქმენეთს გაზის უდიდესი მარაგები გააჩნია. დადგენილი მარაგი შეადგენს დაახლოებით 22 ტრილიონ კუბურ მეტრს.

იმისათვის რომ განხორციელდეს ტრანსკასპიური პროექტი, აუცილებელია რომ რუსეთს არ ჰქონდეს თურქმენული გაზის შეუზღუდავი რაოდენობით შესყიდვის საშუალება. ამის საფრთხე კი ნამდვილად არსებობს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთი გეგმავს თურქმენეთისგან წლიურად შეისყიდოს 50 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. ამასთანავე რუსეთს სურს, გააფორმოს თურქმენეთთან გრძელვადიანი შეთანხმება გაზის მოწოდებასთან დაკავშირებით, რომელიც 2028 წლამდე იქნება გაფორმებული. თუკი თურქმენეთის ხელისუფლებას ნამდვილად სურს, რომ ქვეყანა მხოლოდ რუსულ კორიდორზე არ იყოს მიბმული, მაშინ რუსეთთან ამგვარი კაბალური ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი უნდა

[194] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008. გვ. 130

განაცხადოს და უფრო აქტიური გახადოს მოლაპარაკებათა პროცესი ნატოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან.

<u>ნაბუქოს პროექტი</u>

ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები მეტწილად დამოკიდებულნი არიან რუსეთის გაზზე (მაგ: ბულგარეთი რუსეთისგან იღებს მოხმარებული გაზის 94%, ავსტრია - 74% და ა.შ.) ევროპელები მთლიანობაში მოხმარებული გაზის მეოთხედზე მეტს იღებენ რუსული "გაზპრომისგან". გაზი ევროპაში შედის უკრაინასა და პოლონეთზე (ბელორუსიის გავლით) გამავალი გაზსადენების მეშვეობით.

2005 წლის დეკემბრის ბოლოს დაწყებული უთანხმოების შედეგად (გაზპრომს სურდა გაზის საფასური გაეზარდა $50-დან $230-მდე) რუსეთმა უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტა. რუსეთიდან ევროპაში გაზის დაახლოებით 76%-ის ტრანსპორტირება სწორედ უკრაინის ტერიტორიაზე არსებული გაზსადენებით ხორციელდება და ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის ავსტრიამ, უნგრეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, სლოვაკეთმა, იტალიამ და პოლონეთმა გამოთქვეს უკმაყოფილება, ვინაიდან მათ გაზსადენებში 30%-ით დაიკლო წნევამ. ანალოგიური განმეორდა 2009 წლის იანვარში, სანამ უკრაინაში ხელისუფლების სათავეში რუსეთისათვის მიუღებელი პრეზიდენტი ვ. იუშჩენკო იმყოფებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ცდილობს ახსნას თავისი მოქმედებები, როგორც წმინდა ეკონომიკური ხასიათით გამოწვეული ნაბიჯები, ბოლო დროს რუსეთისა და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების და სსრკ-ის ყოფილ სატელიტ ქვეყნებთან ურთიერთობებმა ყველას ნათლად დაანახა, რომ რუსეთი თავის რესურსებს იყენებს პოლიტიკურ ბერკეტად, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ევროპის სახელმწიფოების ენერგო-უსაფრთხოებას. ამასთან ერთად, ევროპისათვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ენერგიის წყაროს სტაბილურობის უზრუნველყოფა, არამედ მისი დივერსიფიკაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული რუსეთის მთავრობის მიერ მართული "გაზპრომის" მონოპოლია ევროპის ბაზარზე. კიდევ ერთი მიზეზი ალტერნატიული გზების ძიებისა არის ევროპის მზარდი მოთხოვნილება ბუნებრივ აირზე. ექსპერტთა გათვლებით, ევროპის მხრიდან გაზის იმპორტზე მოთხოვნა გასამმაგდება და 200 მილიარდის ნაცვლად (2002 წელს) 2030 წლისთვის გახდება 600 მილიარდი კუბური მეტრი.

აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ 2003 წელს ევროკავშირმა წამოიწყო ახალი გაზსადენის პროექტი – "ნაბუკო" (Nabucco), რომელიც ითვალისწინებს გაზის ტრანსპორტირებას თურქეთიდან ავსტრიაში – ბულგარეთის, რუმინეთის და უნგრეთის გავლით. ნაბუკოს გაზსადენი თურქეთში, ერზრუმთან შეუერთდება ბაქო – თბილისი - ერზრუმის და ირან - თურქეთის გაზსადენებს. გაზსადენი წარმოადგენს კასპიის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (თურქმენეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ირანი) გაზის ევროპაში ტრანსპორტირების საშუალებას. გაზსადენის მშენებლობის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 7,5 მილიარდ ევროს და მისი მშენებლობა სავარაუდოდ დაიწყება 2011 წელს და ექსპლუატაციაში შევა 2015 წლისათვის. საწყის ფაზაში, გაზსადენი ყოველწლიურად გაატარებს 13 მილიარდამდე კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, ხოლო 2020 წლისთვის ეს რიცხვი სავარაუდოდ მიაღწევს 30 მილიარდ კუბურ მეტრს. გაზსადენში გამავალი გაზის ნახევარი მიეწოდება ბაუმგარტენს (ავსტრია), ხოლო ნახევარს გამოიყენებენ სატრანზიტო ქვეყნები.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ბაქო – თბილისი - ერზერუმის მონაკვეთის გაგრძელებას აღმოსავლეთით წარმოადგენს ტრანს-კასპიის წყალქვეშა გაზსადენი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენული და ყაზახური გაზის ექსპორტს და ბაქო – თბილისი - ერზერუმის გაზსადენის მეშვეობით მის შეერთებას ნაბუკოს გაზსადენთან. თავდაპირველად ტრანს-კასპიის პროექტზე საუბარი დაიწყო 90-იან წლებში, თუმცა მას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთმა და ირანმა, ამავე დროს

თავი იჩინა დაპირისპირებამ კასპიის ზღვის საზღვრების გაყოფის შესახებ ამ რეგიონის ქვეყნებს შორის და პროექტზე საუბრები დროებით შეწყდა. 2006 წლის დასაწყისიდან კვლავ აქტუალური გახდა ამ გაზსადენის საკითხი და მასში ერთი შეხედვით აქტიურად ჩაერთო როგორც ყაზახეთის, ასევე თურქმენეთის მხარე. თუმცა 2007 წლის მაისში თურქმენეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტების რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკებების ჩატარებისა და ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერის შემდგომ შესაძლებელია ტრანსკასპიური გაზსადენის იდეას გარკვეული პრობლემები შეექმნას.

ნაბუკოს პროექტის მთავარი აქციონერები არიან OMV (ავსტრია), MOL (უნგრეთი), Transgaz (რუმინეთი), Bulgargaz (ბულგარეთი), BOTAS (თურქეთი). საუბარია პროექტში გაზპრომის შესაძლო მონაწილეობაზე, თუმცა ამ პროექტის ძირეული არსიდან გამომდინარე, ეს ნაკლებად რეალურია და შეიძლება ჩაითვალოს როგორც წმინდა ტაქტიკური ნაბიჯი.

რაც შეეხება პროექტში ირანის მონაწილეობას, თუკი გავითვალისწინებს ბოლო დროს მის გართულებულ ურთიერთობებს დასავლეთთან, ალბათ ვერ ჩავთვლით მას სტაბილურ პარტნიორად ამ ეტაპზე, მაგრამ გაზსადენის ხელსაყრელი მდებარეობა (ირან-თურქეთის გაზსადენი სწორედ ერზრუმთან მთავრდება) ითვალისწინებს ამ ქვეყანასთან შესაძლო თანამშრომლობას.

ირანის გეოპოლიტიკური პრიორიტეტები

1979წელს ირანში ჰომეინის ხელმძღვანელობით განხორციელდა "ისლამური რევოლუცია", რომლის ძირითადი ღირებულებანი დღესაც რჩება ირანის პოლიტიკური სისტემის მნიშვნელოვან ელემენტად. თუმცა ქვეყანას ისლამური განვითარება სულაც არ უშლის ხელს აქტიური როლი დაიკავოს საერთაშორისო ურთიერთობებში.

1979 წლიდან მოყოლებული ირანის საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა ორ დაპირისპირებულ ორიენტაციას "ისლამურ უნივერსალიზმს და სპარსულ ნაციონალიზმს" შორის არსებულ დაძაბულობას ასახავდა. 80-იან წლებში ძირითადად ისლამური ტენდენციები დომინირებდა, 90-იანი წლებიდან კი უპირატესობა სპარსულმა ნაციონალიზმმა მოიპოვა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონალური სახელმწიფოს სტატუსის მოპოვებაში გადაიზარდა. დაშლილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოქმნილ 15 სახელმწიფოდან რვას ირანთან აკავშირებდა საერთო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა. რამოდენიმე ამ რესპუბლიკებიდან ისტორიის რაღაც მონაკვეთში ირანის შემადგენლობაშიც კი შედიოდა. სომხეთს, აზერბაიჯანს და თურქმენეთს გააჩნია საერთო საზღვარი ირანთან. აქედან გამომდინარე, ურთიერთობა პოსტსაბჭოთა სივრცესთან ირანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონში სიმძიმის ცენტრმა ირანზე გადმოინაცვლა. ცენტრალური აზია ჯერ კიდევ არ იყო გამოსული საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული პროცესებიდან, რომ ირანმა უკვე დიპლომატიური აქტიურობა დაიწყო. მისი ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებდა შეექმნა ახალი რეგიონალური სივრცე, რომელშიც შევიდოდა ცენტრალური აზია, პაკისტანი, ავღანეთი და სამხრეთ კავკასია. ამ უზარმაზარ, პოლიტიკურად არც თუ მდგრად რეგიონში ირანს სურდა ჰეგემონია მოეპოვებინა და პოლიტიკური გავლენის აღსადგენად მოქმედება ჯერ მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტში მედიატორობით დაიწყო.

ირანი მულტიეთნიკური რეგიონია, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს აზერბაიჯანელები შეადგენენ, ამიტომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს თეირანი დიდი ყურადღებით ეკიდება და მასთან ურთიერთობას უდიდეს საგარეო მნიშვნელობას ანიჭებს. აზერბაიჯანელები ირანში რიცხობრივად

მოსახლეობის მეორე ჯგუფს წარმოადგენენ, რომლებსაც მჭიდრო კონტაქტები აქვთ თავიანთ სისხლით მონათესავე აზერბაიჯანელებთან. თავდაპირველად, ირანი ბაქოსთან დაახლოებას სარწმუნოებრივი ფაქტორით ცდილობდა. ირანი ოფიციალურ რელიგიად შიიზმს აღიარებს, ამ სარწმუნოებას აზერბაიჯანიც მისდევს, ამიტომ აზერბაიჯანთან საერთო ენის გამონახვის ერთ-ერთი მიზეზი ისლამურ სამყაროში პოზიციების განმტკიცებაც იყო. მაგრამ ყარაბაღის კონფლიქტში და საერთოდ კავკასიასთან ურთიერთობაში ირანის კეთილმეზობლური განწყობა აშკარად სომხეთისკენ გადაიხარა. მართალია ირანელი აზერბაიჯანელები ყოველთვის მოუწოდებდნენ ირანის მთავრობას ერთმორწმუნე აზერბაიჯანელების მხარეზე გადასულიყვნენ და ზურგი შეექციათ "ურწმუნო სომხებისათვის". მაგრამ აქ დიდი როლი ითამაშა თურქეთის ფაქტორმა. აზერბაიჯანი მკვეთრად გადაიხარა თურქეთის მხარეზე და მოხდა ამ სახელმწიფოების ბანაკებად დაყოფა: თურქეთი – აზერბაიჯანი და სომხეთი – ირანი; მიუხედავად ასეთი დაყოფისა, ირანი ძლიერ დაინტერესებულია ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებით.

ირანის გეოპოლიტიკურ ინტერესებში შედის და ლამის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის დროულად მოგვარებას შემდეგი მიზეზების გამო:

გაჭიანურებული კონფლიქტი ირანის უსაფრთხოებასაც შეუქმნის საფრთხეს. მისი საზღვრების გაყოლებაზე ამტყდარი სამხედრო ოპერაციები ირანის სტაბილურობასაც მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს, რადგან ამ კონფლიქტში შეიძლება გააქტიურდეს რუსეთი, რომელსაც თავის სტრატეგიულ დოქტრინაში პირდაპირ აქვს გაცხადებული, რომ მისი სტრატეგიული საზღვრები ცენტრალურ აზიაში ირანამდე და ავღანეთამდე ვრცელდება, ხოლო კავკასიაში ირანსა და თურქეთამდე.

ლტოლვილების პრობლემა - ლტოლვილთა გადასვლა ირანში გააქტიურდა 1993 წლის სექტემბერში, როცა საბოლოო ოპერაციები დაიწყო ნახიჩევანში და ისინი საგრძნობლად მიუახლოვდა ირანს.

ირანს აწყობს რომ აზერბაიჯანიც და სომხეთიც თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, არც ერთი არ მოძლიერდეს და არც მეორე. იგი არც ძლიერი ქრისტიანული სომხეთის მომხრეა და არც ძლიერი აზერბაიჯანის, რომელსაც ყოველ წუთს შეუძლია ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენოს ირანს და აზერბაიჯანელებით დასახლებული მიწების გადაცემა მოსთხოვოს.

ირანი ყველანაირად ცდილობს რომ აღკვეთოს თურქეთის გაძლიერება რეგიონში. ამიტომ აზერბაიჯანის პროთურქული ორიენტაციის გაძლიერებით ირანი მისდა უნებურად სომხეთის მოკავშირეთა რიცხვში აღმოჩნდა, ე.ი. რუსეთის თანამოაზრე გახდა.

ირანი წარმოადგენს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში მნიშვნელოვან ქვეყანას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ახლო აღმოსავლეთს, ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიას, ამიტომაა, რომ ირანისთვის მნიშვნელოვანია ამ რეგიონებთან ურთიერთობა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ირანისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ურთიერთობები

ცენტრალური აზიის რესპუბლიკებთან ირანს მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებს. ირანის ინიციატივას წარმოადგენს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან დამაკავშირებელი მაგისტრალის აღდგენა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების განვითარება, ამ გზით ეს ქვეყნები, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნიათ, დაუკავშირდებიან სპარსეთის ყურეს. 1991 წელს ირანსა და ამ ქვეყნების მიერ ხელმოწერილი იქნა შეთანხმება საზღვრების დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე. მოგვიანებით ასეთი შეთანხმება დაიდო ირანსა და რუსეთს შორის. 1992 წლის ბოლოსათვის ირანმა სპარსულენოვანი ქვეყნების (ირანი, ავღანეთი, ტაჯიკეთი) კონგლომერატის დაარსებას მიაღწია. მოგვიანებით ჩატარდა კონფერენცია, სადაც

მიწვეულნი იყვნენ ცენტრალური აზიისა და კასპიის ზღვის აუზის დამოუკიდებელი ისლამური რესპუბლიკები. ირანის რეგიონში ლიდერობისთვის პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მისი მოსახლეობის უმრავლესობა შიიტია და ოფიციალური რელიგიაც შიიზმია, მაშინ როცა ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში შიიტები უმცირესობაში არიან. ამიტომ რეგიონში პოზიციების გამყარებას ირანი რუსეთის მეშვეობით ცდილობს. ამიტომ ჩრდილოელი მეზობლის გულის მოსაგებლად ირანი ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში ისლამის "იმპორტსაც" კი ერიდება.

ირანი და საერთაშორისო საზოგადოება

თანამედროვე ეტაპზე ირანი საერთაშორისო საზოგადოებასთან დაპირისპირებაში აღმოჩნდა მისი ბირთვული პროგრამის განხორციელების გამო. 2002 წელს ამერიკულმა თანამგზავრებმა გამოგზავნეს ირანის სამხრეთში, სპარსეთის ყურის სანავსადგურო ქალაქ ბუშერთან მშენებარე ატომური ელექტროსადგურის რეაქტორის გუმბათის, გამაცივებელი მილების, წყალსატუმბი მოწყობილობისა და ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ავიარაკეტების საწინააღმდეგო ბატარეების განსალაგებელი ადგილების სურათები. ირანი ირწმუნებოდა, რომ ეს მსუბუქი წყლის რეაქტორი მხოლოდ მშვიდობიანი ენერგიის საწარმოებლად იყო გამიზნული. ამერიკის დაზვერვის მაშინდელი მონაცემებით ირანს გააჩნდა ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამა და ასეთი იარაღი მას 2009 წლამდე ექნებოდა. ისრაელის დაზვერვის შეფასებით კი ეს სულ ორიოდე წლის განმალობაში შეიძლება მომხდარიყო. აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2002 წელს უკვე მიაკერა ირანს "ბოროტების ღერძის" შემადგენელი ნაწილის იარლიყი. პრესაში კი გაჟონა ინფორმაციამ ირანის ბირთვული პროგრამის ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე გეოგრაფიული განფენილობის შესახებ. ასე მაგალითად, ურანის გამამდიდრებელი საწარმო განლაგებული აბალიში, ქ. ისფაჰანთან; მძიმე წყლის წარმოება 1996 წლიდან არაქში, 150 კილომეტრში ქ. თეირანიდან; მეორე, ასეთივე მშენებარე საწარმო ნათანზში, ქ.ქაშანის სამხრეთ-აღმოსავლეთით 40 კილომეტრში. 2003 წლის თებერვალში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ირანში აღმოჩენილი იქნა ურანის საბადო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანა აღარ იქნებოდა დამოკიდებული მხოლოდ რუსეთიდან შემოტანილ ბირთვულ საწვავზე.

ეს საკითხი ახლა განსაკუთრებით სიმწვავით დადგა, როდესაც ირანმა მუქარა არ დაიშურა როგორც ისრაელის, ისე აშშ-ს მიმართ, თუმცა მის ატომურ პროგრამას კვლავაც მშვიდობიანს უწოდებს. ირანი აცხადებს რომ თეირანი ყველა ღონეს იხმარს რომ ომი არ მოხდეს, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების მიერ შეტევის შემთხვევაში მათ წინ აღუდგება. ბუშის ადმინისტრაცია განიხილავდა პრევენტიული ზომების მიღების ვარიანტს, რაც სამხედრო ძალის გამოყენებას გულისხმობდა, მაგრამ მათთვის უფრო სასურველი აღმოჩნდა დიპლომატიური გადაწყვეტილების მოძებნა.

მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადებები მსოფლიოსთვის მიუღებელია. 2006 წლის მარტში გაერო-მ ირანს ურანის გამდიდრების სამუშაოების შეწყვეტისათვის ერთთვიანი ვადა მისცა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ირანს სადამჯელო სანქციები ემუქრებოდა. საერთაშორისო პოლიტიკაში ოფიციალური თეირანის მიერ გართულებულ სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებდა მსოფლიოს ბაზარზე "შავი ოქროს" გაძვირება (როგორც ცნობილია, 2008 წლის აგვისტოდან ნავთობზე ფასების დაცემა დაიწყო). ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს რომ ირანმა ნავთობის გაძვირება ხელოვნურად გამოიწვია, რადგანაც მისთვის ნავთობი არის ბირთვული იარაღის ფლობის თვალსაზრისით საკუთარი ამბიციების განხორციელების ერთ-ერთი უძლიერესი საშუალება. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდების მხრივ ირანი მსოფლიოში მესამე ქვეყანაა. შესაბამისად, იგი ფასების პოლიტიკის განმსაზღვრელიც არის. ირანი დასავლეთს და აშშ-ს მასთან მოლაპარაკებებზე

წაუსვლელობის შემთხვევაში მისი კონტროლის ქვეშ მყოფი სპარსეთის ყურის გადაკეტვითაც ემუქრება.
ირანის ამგვარი პოლიტიკა გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ ამერიკას ჯერ კიდევ ვერ დაურეგულირებია სიტუაცია ავღანეთში და ერაყში და იმედოვნებს რომ ამ პირობებში ამერიკა არ გადადგამს უკიდურეს ნაბიჯებს და არ დაესხმება თავს ირანს, მითუმეტეს, რომ აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ირანთან დიალოგის წარმოებაზე მზადყოფნა გამოთქვა.
სავარაუდოა, რომ ერაყის შემთხვევისაგან განსხვავებით, ირანის წინააღმდეგ ამერიკას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ღიად დაუჭერენ მხარს. ირანს ალბათ არც ისლამური ქვეყნების მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეთ, რადგან მათ აღიზიანებთ მაჰმუდ აჰმადინეჯადის აგრესიული პოლიტიკა.

რუსეთ-ირანის ურთიერთობები

მიუხედავად იმისა, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ 2007 წლის თებერვალში მოამზადა ახალი მოხსენება ირანთან დაკავშირემით, ამ დოკუმენტმა ახალი და დამაიმედებელი არაფერი შესთავაზა მსოფლიო საზოგადოებას: ირანი წარმატებით აგრძელებს თავის ბირთვულ პროგრამას. ცხადია, ამავე დროს ირანი ირწმუნება, რომ ეს პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება. თუმცა ეს განცხადებები დიდ რწმენას არ აღძრავს, მითუმეტეს, რომ ირანელთა ლიდერი ერთობ ხშირად იმუქრება "ისრაელის მიწის პირიდან აღგვით". ამ საქმეს ასევე ართულებს ის ფაქტი, რომ ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლა არ ხერხდება. თუკი ნატოს წამყვანი სახელმწიფოები-აშშ, გერმანია, ბრიტანეთი და საფრანგეთი მკაცრი სანქციების შემოღებას ითხოვენ, რუსეთი და ჩინეთი ირანის მიმართ რბილ პოლიტიკას ქადაგებენ. მეტიც, რუსეთი შეშფოთებულია ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესახებ სულ უფრო მზარდი მუქარით და საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას ითხოვს. ამის შესახებ 2007 წლის სექტემბერში განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.
რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყება ახალი სანქციების შემოღებას არ ეთანხმებოდაა. თავის ფრანგ კოლეგასთან, ბერნარდ კუშნერთან შეხვედრის დროს (2007 წ.) ლავროვმა განაცხადა, რომ "რუსეთი შეშფოთებულია სულ უფრო გახშირებული ინფორმაციით იმის თაობაზე, რომ სერიოზულად განიხილება ირანის წინააღმდეგ სამხედრო სანქციების გატარების საკითხი. ძნელი წარმოსადგენია, რა შეიძლება ამას მოჰყვეს რეგიონისათვის".[195]
ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასავლეთისათვის რუსეთ-ირანის კავშირი დიდ პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია რუსეთში კარგად ესმით, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ისიც, რომ რუსეთში კარგად იციან, რომ ირანი მათთან ახლოსაა და როცა ასეთი მეზობელი ბირთვულ იარაღს იძენს, ცხოვრება სულაც არ ხდება იოლი-პირიქით. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2010 წლის სექტემბერში გაეროს უშიშროების საბჭოს ფარგლებში რუსეთმა მხარი დაუჭირა ახალი სანქციების შემოღებას ირანის წინააღმდეგ, თუმცა საეჭვოა, რომ თავისი ორმაგი სტანდარტების დამკვიდრებით ცნობილმა რუსეთმა რეალურად პრაქტიკაში დაუჭოროს მხარი სანქციებს. ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც რუსეთს ირანთან მიმართებაში სხვა მიმართულებით ურთიერთობების დამყარებისაკენ უბიძგებს, კერძოდ:
- რუსეთისთვის ირანთან თანამშრომლობას ბირთვულ სფეროში დიდძალი ფინანსური მოგება მოაქვს. ირანზე ამ საკითხში ზეწოლა ამ მოგებაზე უარის თქმას ნიშნავს. ანუ, ამ შემთხვევაში საქმე არა იმდენად პოლიტიკას, არამედ კომერციას ეხება. ასევე რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ირანთან სამხედრო სფეროში

[195] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008. გვ. 132

თანამშრომლობას, რადგანაც რუსეთის შეიარაღების მნიშვნელოვანი ნაწილი ირანში იყიდება;
- ირანის გარშემო გაურკვეველი ვითარების შექმნა რთულ მდგომარეობაში აყენებს აშშ-ს, რომელიც ზესახელმწიფოს როლში თავს მოვალედ გრძნობს, დაიცვას წესრიგი და თუკი ამისთვის საჭირო გახდება, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას წინ აღუდგეს. ერაყში და ავღანეთში მძიმე ვითარების შექმნის შემდეგ, პაციფისტური განწყობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით კიდევ უფრო გაიზარდა და ეს კი აშშ-სა და ზოგიერთი ნატოელი მოკავშირის (მაგალითს ბრიტანეთის) პრესტიჟს საგრძნობლად დასცემს. გარდა ამისა, ირანთან ომს ნავთობზე ფასების კიდევ უფრო ზრდა მოჰყვება, რაც რუსეთს ხელს აძლევს. ირანზე დარტყმით, კიდევ უფრო გაიზრდება ანტიამერიკული და ანტი-ნატოური აგრესია ისლამური სამყაროს დიდ ნაწილში;
- ამავე დროს ირანის ირგვლივ არსებული გაურვევლობა იწვევს ნავთობზე მაღალი მსოფლიო ფასების შენარჩუნებას, რაც საგრძნობლად ზრდის რუსეთის საბიუჯეტო შემოსავლებსა და სავალურო რეზერვებს. 2008 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, რუსეთის სავალურო რეზერვებმა 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.
- ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ რუსეთისა და ირანის კოორდინირებული პოლიტიკით ნავთობის ექსპორტის სფეროში, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ქვეყანა ცდილობს "გაზის ოპეკის შექმნას", ნატოს წევრი ქვეყნების ენერგოუსაფრთხოება სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთი და ირანი გაზის მარაგებით მსოფლიოში პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ;
- ორივე ქვეყანას ხელს აძლევს დაძაბულობა ერაყში, ავღანეთში და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რადგანაც არასტაბილურობა ავღანეთში და ერაყში არ აძლევს ამ უკანასკნელს განავითაროს თავისი სანავთობო სექტორი და შესაბამისად უფრო მეტი მოცულობის ნავთობი გაიტანოს მსოფლიო ბაზარზე, რაც შედარებით დაარეგულირებდა მსოფლიო ფასებს ნავთობზე და შეაჩერებდა "შავ ოქროზე" ფასების ზრდას.

თავისი მიზნების მისაღწევად ირანი კარგად იყენებს ტერორისტულ ორგანიზაციებს. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ირანი დახმარებას უწევდეს თალიბებს ნატოს ძალებთან საბრძოლველად, მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთში თალიბების მმართველობის პერიოდში ირანს მეტად დაძაბული ურთიერთობა გააჩნდა მოძრაობა "თალიბანის" წარმომადგენლებთან. ირანის მესვეურები კარგად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ რომ ერაყში და ავღანეთში სტაბილურობა ძალზე უარყოფითად იმოქმედებს ირანის რადიკალური რელიგიური ლიდერების შესაძლებლობებზე. გაძლიერდება აშშ-სა და ნატოს პოლიტიკური გავლენა რეგიონზე, ასევე აღმოსავლეთით პროდასავლური ავღანეთი, დასავლეთით რეფორმირებული ერაყი რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში მოაქცევენ ირანს.

ამავე დროს, ირანის პრობლემის გადაჭრა აშშ-სათვის და მთლიანად დემოკრატიული სამყაროსათვის მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს. კერძოდ, ამ მხრივ აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტორი:

- რუსეთისა და ჩინეთის არაკონსტრუქციული ქმედებების შედეგად ჭიანურდება ირანისათვის მკაცრი მოთხოვნების წამოყენება და შესაბამისი სანქციების შემოღება;
- იგივე ეკონომიკური სანქციების შემოღებამაც შეიძლება ვერ გაამართლოს. მაგალითად ირანისთვის ნავთობის ექსპორტის მოცულობის შეზღუდვა, (როგორც ეს ხდებოდა ჰუსეინის ერაყთან დაკავშირებით მისი რეჟიმის დამხობამდე, როდესაც ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა მხოლოდ 2 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტი მოეხდინა) - შესაძლოა ნავთობზე მსოფლიო ფასების კიდევ უფრო ზრდა გამოიწვიოს;
- ასევე ცნობილია, რომ ირანს გააჩნია ნავთობის და გაზის დიდი მარაგი. მაგალითად, ირანი ფლობს მსოფლიო ნავთობის მარაგის 9%-ს და გაზის

მსოფლიო მარაგის 16%-ს. მარტო 2006 წელს ირანმა ენერგეტიკული რესურსების ექსპორტის შედეგად 54 მილიარდი დოლარის მოგება მიიღო[196].

აშშ, ირანი და მოსალოდნელი საომარი მოქმედებები

რაც შეეხება ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების წარმოებას აშშ-ის მიერ, როგორც ეს მოხდა ერაყში, აქაც ერაყისგან განხვავებით მეტად რთული იქნება ასეთი სახის ოპერაციების ჩატარება, რაც გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ:

- სავარაუდოა რომ ნატოს ევროპელი მოკავშირეების უმრავლესობამ უარი განაცხადოს თავიანთი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნაზე ირანში;
- ირანის ეკონომიკა გაცილებით უფრო განვითარებულია ერაყთან შედარებით, რადგან ამ უკანასკნელს გაეროს მიერ 90-იანი წლების დასაწყისში შემოღებული სანქციების გამო აშშ-სთან ომის პერიოდში მეტად მწირი ფინანსური რესურსები გააჩნდა;
- ირანს ერაყთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი ტერიტორია გააჩნია, იგი აღემატება 1 მილიონ კვადრატულ კილომეტრს და აშშ-ის ძალების ირანში შეჭრის შეთხვევაში გაჭირდება ამხელა ტერიტორიის კონტროლი;
- ირანის მოსახლეობა აღემატება 60 მილიონ კაცს, შესაბამისად მობილიზაციის შემთხვევაში ირანს შეუძლია მოახდინოს უდიდესი რაოდენობის ადამიანური რესურსის კონცენტრაცია;
- ირანის ხელისუფლებას მოსახლეობასა და არმიაში უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, რაც ნათლად გამოიხატა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როდესაც მოსახლეობის უმეტესობამ მხარი სწორედ აჰმადინეჯადს დაუჭირა. შესაბამისად ეს აისახება ირანის არმიის ბრძოლისუნარიანობაზე. ამავე დროს იგივე 2003 წლის ერაყში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საყოველთაო ეკონომიკური გაჭირვების პირობებში იყო ჰუსეინის წინააღმდეგი, ეს კი აისახებოდა ჯარის დაბალ ბრძოლისუნარიანობაზე, სადაც ჰუსეინს გააჩნდა დაბალი ავტორიტეტი;
- ირანს ჰყავს ბევრად უფრო ძლიერი არმია შეიარაღების და რაოდენობრივი თვალსაზრისითაც. მაგალითად, ირანის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალებისა და ლოჯისტიკის გათვალისწინებით ჰყავს 545 ათასი სამხედრო მოსამსახურე, და მისი სამხედრო ხარჯები 2005 წლის მონაცემებით აღემატებოდა 6 მილიარდ 300 მილიონ აშშ დოლარს, რაც შეადგენდა ირანის მთლიანი შიდა პროდუქტის 3,5%-ს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში ირანს შეუძლია გამოიყვანოს 12 მილიონ 285 ათასი რეზერვისტი. ირანის შეიარაღებაზე ირიცხება 200-ზე მეტი სამხედრო თვითმფრინავი და ვერტმფრენი, 2080 ტანკი.[197]

ამ ფაქტორების გათვალისწინებით აშშ-ს ირანის წინააღმდეგ შეუძლია გაატაროს შემდეგი პოლიტიკა:

- უზრუნველყოს სტაბილურობა ირანის ტერიტორიის ირგვლივ. პირველ რიგში ერაყში, და ამ შემთხვევაში თუ ერაყი დადგება მშვიდობიანი განვითარებისა და ნავთობის ექსპორტის გზაზე, ერაყის პროგრესით გაგულისებული ირანელი რეფორმისტები მოძლიერდებიან და რადიკალური ისლამის პოზიციები ირანში შესუსტდება;

ასევე მნიშვნელოვანია ირანის გარშემო სხვა სახელმწიფოების გაძლიერებაც. ამ მხრივ მაგალითად საყურადღებოა აღინიშნოს, რომ 2007-2008 წლებში შეერთებული შტატებმა, ირანის საგრძნობი შესუსტების მიზნით, ნავთობით მდიდარ ხუთ არაბულ სახელმწიფოს 60 მლრდ. აშშ დოლარის შეიარაღებას მიაწოდა.

[196]OPEC Annual Statistical Bulletin 2006
[197] http://en.wikipedia.org/wiki/Armed_Forces_of_the_Islamic_Republic_of_Iran

ირანი და დასავლეთ ევროპა

რაც შეეხება ევროპული ქვეყნების მონაწილეობას ირანთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში, აქ შესაძლებელია რომ ევროპამ ირანს შესთავაზოს ამ ქვეყნის ენერგეტიკულ პროექტებში ჩართვა ბირთვული პროგრამის შეჩერების სანაცვლოდ. კერძოდ დღეს განხილვის სტადიაშია ირან-თურქეთის დამაკავშირებელი გაზსადენის პროექტის განხორციელება, რომლის მიხედვითაც ირანული ნავთობი და გაზი ევროპაში შავი ზღვის გვერდის ავლით უნდა შევიდეს. თურქეთის მთავრობის ინფორმაციით, ირანს თურქეთისა და საბერძნეთის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენებით დასავლეთ ევროპის ენერგორესურსებით მომარაგება შეუძლია. ასევე თურქეთის ხელისუფალთა განცხადებით, თურქეთი მზად არის საამისოდ 2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელოს და ირანული ენერგორესურსები ევროპას მიაწოდოს.

გარდა ამისა, ასევე განიხილება საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკომისია ამუშავებს კიდევ ერთ პროექტს, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირი განიხილავს საკითხს, თურქმენული გაზის ევროპისათვის ირანის გავლით მიწოდების თაობაზე. ამ მხრივ პროექტის გადამწყვეტ ეტაპზე შესაძლებელი იქნება ევროპაში ირანის გავლით 16 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზი იქნეს იმპორტირებული.

ყოველივე ამისათვის კი შესაძლებელია ევროპელებსა და ირანს შორის გარკვეული გარიგება დაიდოს, როგორც ეს მოხდა ჩრდილოეთ კორეის შემთხვევაში.

გეოპოლიტიკური ვითარება შავი ზღვის რეგიონში

ევროპისა და აზიის გზასაყარზე მდებარე შავი ზღვის რეგიონი გეოსტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტერიტორიას წარმოადგენს, რომელიც მეტად დიდ როლს თამაშობს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

როგორც ცნობილია, რეგიონის პოლიტიკურ რუკაზე ფუნდამენტურ ცვლილებებს ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, რაც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული იყო კარდინალურ პოლიტიკურ ცვლილებებთან აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში და განპირობებული იყო დემოკრატიული პროცესების განვითარებასთან აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის შავი ზღვის რეგიონში მდებარე ბულგარეთსა და რუმინეთში და საბჭოთა კავშირის დაშლასთან, რისი შედეგიც გახდა რეგიონში მყოფი ყოფილი საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, მოლდოვა) მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება.

დღევანდელ დღეს რეგიონის თითოეულ ქვეყანას გააჩნია თავისი საკუთარი საგარეო-პოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში რეგიონში მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა განვითარდა, სადაც დადებითი ასპექტებიდან მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი:

- შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკის) შექმნა;
- რეგიონში მდებარე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ნატო-ს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამაში გაწევრიანება;
- რეგიონის სახელმწიფოების გაწევრიანება ევროპის საბჭოში;
- შავი ზღვის რეგიონის ოთხი სახელმწიფოს მიერ რეგიონალური ორგანიზაცია სუამ-ის შექმნა;
- ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება და ამ ორგანიზაციებში რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრიანება;

- “ვარდების რევოლუცია” საქართველოში და “ნარინჯისფერი” რევოლუცია უკრაინაში;
- ნატოს მიერ ინტენსიური დიალოგის პროცესის დაწყება საქართველოსა და უკრაინასთან;
- შავი ზღვის რეგიონის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების (რუსეთის გარდა) ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის პროგრამაში ჩართვა;
- გლობალური მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტების განხორციელების დაწყება, რომელთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნისა და კასპიის ენერგეტიკული პროექტები.

რაც შეეხება შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე ნეგატიურ პროცესებს, ისინი პირველ რიგში დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან:

<u>ტერორიზმი.</u> რეგიონში არსებული ტერორისტული დაჯგუფებები კვლავ აგრძელებენ ტერორისტული აქტების განხორციელებას. ამ მხრივ აღსანიშნავია თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი ქურთთა მუშათა პარტიის დაჯგუფებები, ტერორისტული და დივერსიული ჯგუფები აფხაზეთში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ჩეჩნეთში და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ სხვა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში;

ტერორიზმის გავრცელებას ხელს უწყობს <u>აგრესიული სეპარატიზმი</u>. რეგიონში არსებული სეპარატისტული რეგიონები წარმოადგენენ არაკონტროლირებად ტერიტორიებს, რაც ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს ტერორისტული ბანაკების დაარსებისა და არსებობისათვის. სეპარატისტული ტერიტორიები წარმოადგენენ მეტად ხელსაყრელ ადგილს უკანონო ვაჭრობის, განსაკუთრებით ნარკოტიკებით უკანონო ბრუნვისათვის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ოპერაციების განსახორციელებლად. გარდა ამისა, სეპარატიზმის არსებობის უდიდეს პრობლემას რა თქმა უნდა წარმოადგენს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ფუნქციონირება, რომლებიც შეაიარაღებულნი არიან თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობით. როგორც ცნობილია სეპარატისტული მოძრაობების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს რეგიონის ზოგიერთი სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურების მიერ სეპარატისტული მოძრაობების პირდაპირი და ღია მხარდაჭერა, როდესაც ამ სახელმწიფოების შესაბამისი სტრუქტურები ფინანსური და სამხედრო ხასიათის დახმარებას უწევენ სეპარატისტულ რეჟიმებს, ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია და აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მარიონეტული ხელისუფლებების პირდაპირი მხარდაჭერა.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომელიც აფერხებს თანამშრომლობის განვითარებას შავი ზღვის რეგიონში წარმოადგენს დაძაბული ორმხრივი ურთიერთობები რეგიონის რამდენიმე სახელმწიფოს შორის, ამ შემთხვევაში აღსანიშნავია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი, დაძაბული ურთიერთობები ერთის მხრივ თურქეთსა და სომხეთს, მეორეს მხრივ რუსეთსა და მოლდოვას შორის. აგრეთვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტერიტორიული დავები უკრაინასა და რუმინეთს, აგრეთვე უკრაინასა და რუსეთს შორის.

რაც შეეხება ეკონომიკური ხასიათის პრობლემებსა და გამოწვევებს, ისინი პირველ რიგში დაკავშირებულია რეგიონის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების უმრავლესობის სუსტ სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასთან.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა, უახლოეს წარსულში განვითარებული პოზიტიური პროცესები იძლევა იმედს, რომ რეგიონში არსებული დაძაბულობანი ეტაპობრივად დადებითად გადაწყდეს. ამ მხრივ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ნატოს გაფართოება და ალიანსის გაზრდილი როლი გლობალური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში. ბალტიის სახელმწიფოებისა და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოების ალიანსში მიღების შემდეგ ნატოს შემდგომ სტრატეგიას

წარმოადგენს უფრო ინტენსიური თანამშრომლობის განვითარება შავი ზღვის რეგიონის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ნატოს რიგის სამიტზე მიღებული ერთობლივი დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია ალიანსის მიერ საქართველოსა და უკრაინასთან ინტენსიური თანამშრომლობის მნიშვნელობა.[198]

ნატოსთან თანამშროლობის გზაზე შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ალიანსის გამოცდილების გაზიარება უსაფრთხოების სფეროში რეფორმების ჩატარების თვალსაზრისით, შეაირაღებული ძალების ნატოს სტანდარტებით უზრუნველყოფაში და ა.შ.

ნატოს გაფართოებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ევროკავშირის გაფართოება და რეგიონში მდებარე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივაში ჩართვა, რაც დადებით გავლენას მოახდენს რეფორმების განხორციელების პროცესზე ამ ქვეყნებში.

უდიდესი როლი რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარების საკითხებში შეუძლიათ ითამაშონ ეკონომიკურმა პროექტებმა. რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურმა განვითარებამ შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს სეპარატიზმის დამარცხებაში, რადგანაც სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები (საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონები), აგრეთვე ამ რეგიონების მოსახლეობა დაინტერესებული იქნება უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული იმ განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, რომლისგან გამოყოფასაც ამ ეტაპზე ასე ესწრაფვიან სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელები.

ეკონომიკური ასპექტებიდან რა თქმა უნდა პირველ რიგში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ საერთაშორისო სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების შესახებ, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოთა უმრავლესობა. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია ევროპა-აზიის სატრანსპორტო კორიდორის-ტრასეკას პროექტი და “დიდი აბრეშუმის გზის” აღდგენის მცდელობა რეგიონის სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობით. როგორც ცნობილია, აბრეშუმის გზა ფუნქციონირებდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8-7 საუკუნეებიდან და ამ გზის მეშვეობით ხდებოდა ჩინეთისა და ინდოეთის დაკავშირება ელინისტური სამყაროს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებთან და მოგვიანებით რომის იმპერიასთან. ზემოაღნიშნული კავშირურთიერთობები ძირითადად ხორციელდება შავი ზღვის რეგიონის მეშვეობით.

ზემოაღნიშნული პროექტების, აგრეთვე შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროსკენ ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოების შედეგად, რეგიონმა ახალი გეოსტრატეგიული ფუნქცია შეიძინა, იგი მოექცა მსოფლიოს მრავალი წამყვანი სახელმწიფოს მთავრობებისა და მათი ენერგეტიკული კომპანიების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში. აღნიშნულ რეგიონს თავისი არსებობის პერიოდში (შავი ზღვის რეგიონში სახელმწიფოების ჩამოყალიბების დროიდან) ყოველთვის გააჩნდა თავისი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა. საუკუნეების განმავლობაში იგი მრავალჯერ გამხდარა სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოების თავდასხმის ობიექტი. ამ სახელმწიფოთა ლიდერებს მშვენივრად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე, სტრატეგიული ნავსადგურებისა და სხვა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კომუნიკაციების მქონე რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა.

გეოპოლიტიკური ვითარება სამხრეთ კავკასიაში

[198] უკრაინის პრეზიდენტად ვ. იანუკოვიჩის არჩევის შემდეგ, როგორც ცნობილია ამ ქვეყნის ხელისუფლებამ უარი განაცხადა სურვილზე, გახდეს ნატო-ს წევრი

კავკასიის რეგიონს გააჩნია ძალზედ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც საუკუნეების მანძილზე მომხიბვლელს ხდიდა მას სხვადასხვა ქვეყნებისა თუ იმპერიებისათვის, რეგიონისა და მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნებისათვის. ამავე დროს, როგორც ცნობილია სამხრეთ კავკასია დანაწევრებულია მასში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური ან სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გამო. განსხვავედება სამივე ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და უსაფრთხოების პრიორიტეტები. მათ აქვთ სტრატეგიული კავშირები განსხვავებულ რეგიონალურ და გლობალურ ძალებთან (ნატო, აშშ, რუსეთი, თურქეთი, ირანი და ა. შ.), რომელთა პოლიტიკა ამ რეგიონში დამყარებულია ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებზე.

ამავე დროს რა თქმა უნდა კავკასიაში დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკის მთავარი ფაქტორი რეგიონში არსებული ნავთობისა და გაზის რესურსებია, მათ შორის მოპოვებასა და ტრანსპორტირებაზე კონტროლი. როგორც სატრანზიტო რეგიონი, კავკასია ესაზღვრება კასპიის რეგიონს, ცენტრალური აზიის ქვეყნებს და ირანს. ამ ქვეყნებში გაზისა და ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგია. კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის წარმოჩენა სწორედ ამ გეოპოლიტურ და გეოგრაფიულ ჭრილშია შესაძლებელი.

რეგიონში არსებული დაძაბული ურთიერთობების ფონზე იზრდება კავკასიის ქვეყნების თავდაცვის ბიუჯეტები. მაგალითად სომხეთმა თავდაცვის სფეროზე 2007 წელს 300 მლნ დოლარი დახარჯა, რაც 2006 წლის მაჩვენებელზე 35%-ით მეტი იყო. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2005 წელს სომხეთის თავდაცვის ბიუჯეტი მხოლოდ 100 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. რაც შეეხება აზერბაიჯანს, თუ 2004 წელს ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი 270 მლნ დოლარის იყო, 2005 წელს-300 მლნ დოლარამდე გაიზარდა. 2006 წელს 600 მილიონ დოლარს გაუტოლდა, ხოლო 2007 წელს 1 მლრდ დოლარამდე ავიდა.[199] 2011 წლისათვის, ამ ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი კი 3 მლრდ. დოლარს გადააჭარბებს.

იმის გამო, რომ წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს დაეთმობა, ამ თავში დეტალურად იქნება გაანალიზებული მხოლოდ ჩვენი უშუალო მეზობლების, სომხეთისა და აზერბაიჯანის გეოპოლიტიკური როლი და ადგილი დღევანდელ მსოფლიოში.

სომხეთი. სომხეთმა, მიუხედავად საქართველოსთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, თავიდანვე უარყო ყარაბაღის საკითხში დათმობის სანაცვლოდ რეგიონში განსახორციელებელ პროექტებში უფრო აქტიურად ჩართვის იდეა. იგი გაღიზიანებულია მასთან დაპირისპირებული აზერბაიჯანის ძალისხმევით ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით, რადგან მათი რეალიზაცია გამოიწვევს აზერბაიჯანის გაძლიერებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს ამ ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარება და ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით დიდი სახელმწიფოების აზერბაიჯანის მხარეზე გადაბირება.

რუსეთის იმპერიული ძალები აშკარად განიხილავენ სომხეთის გამოყენების შესაძლებლობას კავკასიისა და კასპიის ზღვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ჩასაშლელად. ამის გამო არ არის გამორიცხული, საომარი მოქმედებების განახლება ყარაბაღში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ 90-იანი წლების ბოლოს მომხდარი ფაქტი, როდესაც რუსეთმა სომხეთს უსასყიდლოდ გადასცა დაახლოებით რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარის საომარი აღჭურვილობა, აგრეთვე ისიც, რომ ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან გამოტანილი ტექნიკის ტრანსპორტირება განხორციელდა სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებულ გიუმრის სამხედრო ბაზაზე. დესტაბილიზაციის არსებობა რეგიონის თუნდაც ერთ სახელმწიფოში (აქ კი საუბარი ეხება სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს)

[199] ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი. 2008 წ. გვ. 132

მთლიანად კავკასიისა და ევროატლანტიკურ რეგიონს ხდის არასტაბილურს და აქედან გამომდინარე საფრთხეს უქმნის ნებისმიერი პროექტის განხორციელებას.

1996 წლის აპრილში სომხეთმა ევროკავშირთან „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. 2004 წლიდან სომხეთი გახდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის წევრი, ხოლო 2009 წლიდან აღმოსავლეთის სამეზობლო პოლიტიკის წევრი. ნატოსთან ურთიერთობისას კი სომხეთი სიფრთხილეს იჩენს და ცდილობს თავისი პოზიციის რუსეთთან შეთანხმებას, თუმცა 2004 წელს მან დაიწყო ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის-“აიპაპის” განხორციელება.

რეგიონალური ორგანიზაციებიდან სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრია.

სომხეთის მმართველი წრეების წარმომადგენელთა მოსაზრების თანახმად, თუ „აბრეშუმის გზის“ პროექტი მხოლოდ დასავლეთისაკენ კასპიის ზღვაში მოპოვებული ნავთობისა და გაზის გადატვირთვას ითვალისწინებს, სომხეთი საერთაშორისო საზოგადოებას, აზერბაიჯანთან უთანხმოების გამო ბევრს ვერაფერს შესთავაზებს.

სომხეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი ხანია არსებობს უსიტყვო კონსენსუსი ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით. თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა აღიარებს იმას, რომ ყარაბაღის აზერბაიჯანისათვის დათმობა შეუძლებელია. მეორეს მხრივ, სომხეთის მოსახლეობაში სულ უფრო მეტად იზრდება იმის შეგნება, რომ ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტის გარეშე სომხეთის განვითარებას დიდი დაბრკოლებები გადაეღობება წინ, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია შავი და კასპიის ზღვის რეგიონში მიმდინარე პროექტებიდან სომხეთის გამოთიშვა.

აზერბაიჯანი, რომელსაც საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი აქვს, ცდილობს ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მონაწილეთა წრე მაქსიმალურად გააფართოვოს და მსოფლიოს საზოგადოებას წარუდგინოს ეს კონფლიქტი, როგორც სომხეთის მიერ მისი ტერიტორიის მიტაცება და არა როგორც ყარაბაღის სომეხთა ბრძოლა თვითგამორკვევისათვის. დასავლეთის მხრიდან სომხეთზე ზეწოლის გაძლიერების ბაქოს მთავარი კოზირი რა თქმა უნდა კასპიის ნავთობია. რაც უფრო იზრდება კასპიის ნავთობის რესურსების დამუშავებაში ჩართული უცხოური კომპანიების რიცხვი, მით უფრო მკაცრ ხასიათს ღებულობს ბაქოს პოზიცია მთიან ყარაბაღთან მიმართებაში. ბოლო ხანს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის წარმოებულ მოლაპარაკებებში გარკვეული წინსვლა შეინიშნება.

სომხეთსა და ნატოს წევრ თურქეთს შორის დღევანდელ ეტაპზე მეტად დაძაბული ურთიერთობაა, მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა შეთანხმებას დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ, თუმცა ამ ხელშეკრულების რატიფიცირება დღ მდე არ მომხდარა. თურქეთის მხარე უარყოფს 1915 წელს გენოციდის ფაქტს და სომხების დიდი რაოდენობით დაღუპვას მათ მიერ მოწყობილ აჯანყებას მიაწერს.

სომხეთის მთავრობა საერთაშორისო რეზონანსის მეთოდით ცდილობს აიძულოს თურქეთი უარი თქვას სომხეთის ეკონომიკურ ბლოკადაზე.

გენოციდის პრობლემის გარდა სომხეთისა და თურქეთის ურთიერთობების ხელის შემშლელი ფაქტორია ყარაბაღის საკითხიც. თურქეთი კონფლიქტის დაწყებიდან აზერბაიჯანის მხარდამჭერ თანამიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებდა.

რუსეთისა და სომხეთის ურთიერთობა პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად დინამიურად ვითარდება. ამ ორი ქვეყნის პოზიციები რეგიონულ და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებში ერთმანეთს ემთხვევა ან ერთმანეთის მსგავსია. ბევრი მსგავსება შეინიშნება დსთ-ს ფარგლებში თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით. რუსეთისა და სომხეთის პოზიციები კიდევ უფრო დაახლოვდა მას

შემდეგ, რაც აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დასავლეთის წამყვან ნავთობკომპანიებთან ხელი მოაწერა „საუკუნის კონტრაქტს“ ხელი. კასპიის სანავთობო პროექტების განხორციელებას ორივე ქვეყანა განიხილავს როგორც რუსეთის მიერ კავკასიის რეგიონში გავლენის სფეროს დაკარგვას და სომხეთის პოზიციების შესუსტებას. ამიტომ როგორც რუსეთი, ასევე სომხეთი ცდილობენ მაქსიმალურად შეინარჩუნონ ის მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც ამ ქვეყნებს შორის არსებობს. 1996 წლის 29 აგვისტოს ორი ქვეყნის პრეზიდენტების მიერ ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „მეგობრობის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების“ შესახებ. ოფიციალურმა ბაქომ შეშფოთება გამოთქვა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მას უწოდა "სამხედრო პაქტი". რუსეთსა და სომხეთს შორის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობა, რაც თავისთავად ურთიერთობის მაღალ დონეზე მეტყველებს. საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებში დიდი რეზონანსი გამოიწვია 1996 წლის განმავლობაში რუსეთის მიერ სომხეთისათვის მილიარდ დოლარის ღირებულების შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის გადაცემის ფაქტის გამჟღავნებამ, აგრეთვე 2005 წლიდან სომხეთის ტერიტორიაზე ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან გიუმრიში შეიარაღების გატანამ. აზერბაიჯანმა ოფიციალური პროტესტი გამოთქვა რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ.

სომხეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთთან თანამშრომლობას რეგიონის პოლიტიკური პრობლემების მოგვარების სფეროში. სუსტი სომხეთისათვის რუსეთთან სამხედრო კავშირს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს კავშირი სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის შესანარჩუნებლად და რეგიონში თურქეთის ექსპანსიის შესაჩერებლად რუსეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია. რუსეთის შეშფოთებას იწვევს აგრეთვე ამერიკისა და ნატოს პოზიციების მომძლავრება სამხრეთ კავკასიაში, საქართველოს მზადყოფნა ნატო-სთან მჭიდრო კავშირების დასამყარებლად. მეორე მხრივ სომეხი ექსპერტების ნაწილი შიშობს, რომ რუსეთს შეუძლია სომხეთის იძულება სამშვიდობო პროცესის დაჩქარებისაკენ. გარდა ამისა სომხები ფიქრობენ, რომ რუსეთის დასუსტება გამოიწვევს საქართველოსა (ოკუპირებულ რეგიონებში) და სომხეთში მისი სამხედრო ძალის შეზღუდვას, რაც სომხეთის საგარეო პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა. რუსეთის დასუსტება ან კავკასიის რეგიონის აშშ-ს სრულ გავლენაში მოქცევა შეუძლებელს გახდის მოსკოვ-თეირან-ერევანის გეოპოლიტიკური ღერძის რეალიზებასა და აზერბაიჯანის ენერგეტიკული პროექტებისათვის მაქსიმალური ხელისშეშლის შესაძლებლობას, რაზეც სომეხი პოლიტიკოსები დიდ იმედებს ამყარებენ.

რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად სომხეთს მეტად თბილი ურთიერთობები აქვს დასავლეთის მოწინავე ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი აშშ-თან. ამ უკანასკნელის ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ შეცვალოს სომხეთის სტრატეგიული ორიენტაცია რუსეთზე, გაამყაროს თავისი პოლიტიკური გავლენა ამ ქვეყანაში და სომხეთისა და აზერბაიჯანის პოზიციების დაახლოებით გადაწყვიტოს ყარაბაღის პრობლემა. ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო, ამერიკის შეერთებული შტატები სომხეთის ხელისუფლებისაგან შემდეგი საკითხების გადაწყვეტას ცდილობს:

– ქვეყნიდან გაყვანილ იქნას რუსეთის სამხედრო ბაზა და არსებითად შეიცვალოს ურთიერთობა რუსეთთან;

– გაწყდეს სომხეთის ყოველგვარი კავშირი ირანთან;

– ყარაბაღი ფართო ავტონომიური უფლებებით დარჩეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში;

ვაშინგტონი, როგორც ჰუმანიტარული დონორი, აქტიურ ზეგავლენას ახდენს სომხეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სომხურ-ამერიკული დიასპორის როლი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სომხეთის

პოლიტიკურ ელიტაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს აშშ-ის მიერ სომხეთის "მილენიუმის" პროგრამაში ჩართვა, რომელმაც პრაქტიკული განხორციელება 2006 წლიდან დაიწყო და სომხეთს ამ მიზნით დაახლოებით 235 მილიონი აშშ დოლარი გამოეყოფა.

აზერბაიჯანი. საქართველოს სტრატეგიულმა პარტნიორმა, გაწონასწორებული ნავთობპოლიტიკის წყალობით მოიპოვა დასავლეთის და თურქეთის მხარდაჭერა და იქცა კასპიისა და შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთ საკვანძო ქვეყნად. ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებისა და უცხოეთის ნავთობკომპანიებთან მრავალმილიარდიანი კონტრაქტების გაფორმების შედეგად ერთ სულ მოსახლეზე უცხოური ინვესტიციების მოცულობით აზერბაიჯანი დსთ-ის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა. ქვეყანაში ყოველდღიურად დაახლოებით 20 მილიონი დოლარის მოცულობის უცხოური ინვესტიცია ხორციელდება. ქვეყნისთვის ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში, ხოლო 2009 წლიდან ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამაში ჩართვა.

აზერბაიჯანის ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ დასახული კურსის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში პოზიციების გამყარება, ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნება როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებთან, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ნავთობისა და გაზის ერთობლივ დამუშავებაზე ახალი კონტრაქტების გაფორმება და განხორცილება, მათ შორის მნიშვნელოვანია ევროპის მიმართულებით ახალი მილსადენების მშენებლობა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გავლით. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ მიღწეული შედეგები თვალშისაცემ დადებით გავლენას ახდენს აზერბაიჯანის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასა და საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებაზე. 2006-2007 წლებში აზერბაიჯანში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 30%-ს გადაამეტა.

თუ ჩვენ გადავხედავთ აზერბაიჯანის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას, ქვეყნის ბოლო წლების საგარეო პოლიტიკის ანალიზი ერთის მხრივ პროდასავლური კურსის განმტკიცებასა და საიმედო პარტნიორების რიცხვის ზრდაზე მიუთითებს, რაც ძირითადად სანავთობო სტრატეგიისა და რეალიზაციის გზით ხორციელდება და მეორეს მხრივ ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება, რაზეც ნათლად მეტყველებს რუსეთის პრეზიდენტების, პუტინისა და შემდგომში მედვედევის ვიზიტები ბაქოში. თუმცა ამ ურთიერთობებს გარკვეული დაღი დაასვა რუსეთის მიერ აზერბაიჯანისადმი გაზის ექსპორტის შეწყვეტამ 2006 წელს მას შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანმა უარი განაცხადა რუსული გაზის იმპორტზე 230 დოლარად.

აზერბაიჯანის საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტი დასავლეთთან, პირველ რიგში აშშ-თან და თურქეთ-საქართველოსთან ურთიერთობის გააქტიურებისაკენაა მიმართული.

პარალელურად, რეგიონში სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, ვაშინგტონი და ევროკავშირი ცდილობენ გააძლიერონ აზერბაიჯან-ყაზახეთისა და აზერბაიჯან-თურქმენეთის თანამშრომლობა და აღმოფხრან ის გარკვეული დაძაბულობა, რომელიც არსებობს ამ ქვეყნებს შორის (განსაკუთრებით აზერბაიჯან-თურქმენეთის) თანამშრომლობის გზაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობათა განხილვა უნდა დავიწყოთ 1997 წლიდან, როცა შედგა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის პირველი ვიზიტი აშშ-ში. იგი შეხვდა პრეზიდენტ კლინტონსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის სხვა მაღალი თანამდებობის პირებს.

ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ფარგლებში აშშ აქტიურად უჭერს მხარს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას. მისი უდიდესი ნავთობკომპანიები

აქტიურად მონაწილეობენ კასპიის ენერგორესურსების ათვისებაში. აშშ-ის ინტერესს აზერბაიჯანის მიმართ აგრეთვე აძლიერებს ის ფაქტიც, რომ აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროშია მოქცეული შავი და კასპიის ზღვის რეგიონი, სადაც აზერბაიჯანს თავისი ენერგორესურსების გამო განსაკუთრებული ადგილი ენიჭება.

ამავე დროს, ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი იყო აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული 907-ე შესწორება, რომელიც აზერბაიჯანისათვის აშშ-ის სამთავრობო დახმარების აღმოჩენას კრძალავდა. "თავისუფლების მხარდაჭერის აქტი" ე. წ. 907 შესწორება 1992 წელს ამერიკის კონგრესმა აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის წინააღმდეგ ეკონომიკური ემბარგოს საბაბით მიიღო, თუმცა დღეს უკვე ამერიკელი პილიტოლოგები აცხადებენ, რომ ყარაბაღის პრობლემის მოწესრიგებას არა ბაქო, არამედ ერევანი აფერხებს. ცხადია, რომ 907-ე შესწორება თავად ამერიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრავალი მცდელობის მიუხედავად, შესწორება რამდენიმე წლის განმავლობაში კიდევ ძალაში რჩებოდა, რომლის ძირითადი მიზეზია სომხური დიასპორა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს აშშ-ის სენატში. თუმცა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა აიღო მკვეთრი პროდასავლური კურსი, აგრეთვე აშშ-ის უდიდესი დაინტერესებამ აზერბაიჯანის ენერგორესურსების მიმართ განაპირობა ის ფაქტი, რომ მიუხედავად სომხური ლობის წინააღმდეგობისა, აშშ-ის კონგრესმა რამდენიმე ცოტა ხნის წინ გააუქმა აზერბაიჯანის მიმართ დაწესებული ემბარგო.

აზერბაიჯან-რუსეთს შორის ურთიერთობები შორის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ურთიერთობები ბოლო წლების განმავლობაში წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიაში იმ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც არ არსებობს რუსეთის სამხედრო ბაზები. მართალია მოსკოვის ზეწოლის შედეგად აზერბაიჯანი 1993 წელს ოფიციალურად შევიდა დსთ-ში, მაგრამ რუსეთის სამხედრო ბაზები მას თავის ტერიტორიაზე არ დაუბრუნებია, თუმცა ქვეყანაში ისევ რუსეთის ზეწოლის შედეგად 2000 წლიდან ფუნქციონირებს რუსეთის საკუთრებაში მყოფი გაბალინის რადიოლოკაციური სადგური.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ყველაზე მწვავე პრობლემად კასპიის ზღვის იურიდიული სტატუსი, კასპიის ენერგორესურსების ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები, სომხეთისათვის იარაღის გადაცემა და რუსეთ-სომხეთის თანამშრომლობის საკითხები რჩება. აზერბაიჯანში სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ რუსეთ-სომხეთის თანამშრომლობის გაფართოების გეგმებთან დაკავშირებით, გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია აღინიშნოს აზერბაიჯანის მიერ რუსეთის გაზის იმპორტზე უარის თქმა, როდესაც რუსეთი ცდილობდა აეძულებინა აზერბაიჯანი რათა ამ უკანასკნელს უარი ეთქვა საკუთარი გაზის საქართველოში ექსპორტზე. საქართველოზე ზეწოლასთან ერთად რუსეთის მიზანი იყო ხელი შეეშალა რუსეთიდან თურქეთში მიმავალი "ცისფერი ნაკადის" კონკურენტი პროექტის ბაქო-თბილისი-ერზურუმის პროექტის განხორციელებისთვის. თავის მხრივ, აზერბაიჯანმაც უარი განაცხადა განეხორციელებინა ნავთობის ტრანსპორტირება რუსეთის პორტ ნოვოროსიისკამდე ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის მეშვეობით, თუმცა, უკვე 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, ორ ქვეყანას შორის დაიდო რიგი შეთანხმებები, მათ შორის რუსეთის მიერ აზერბაიჯანში მოპოვებული ჯერ 500 მილიონი, ხოლო შემდეგ 1 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის შესყიდვის თაობაზე. აგრეთვე, აზერბაიჯანული ნავთობის ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით ტრანსპორტირების თაობაზე.

აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობები ტრადიციულად სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში ვითარდება. ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში, თურქეთი ერთმნიშვნელოვნად აზერბაიჯანს უჭერს მხარს. კასპიის სანავთობო პროექტებმა ეს ორი თურქულენოვანი ქვეყანა კიდევ უფრო დაახლოვა. ბაქომ არაერთგზის აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის ძირითადი ნავთობსადენი თურქულ პორტ ჯეიჰანისკენ გაემართება.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, როდესაც დაიწყო ჯერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ხოლო 2007 წლიდან ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენის ფუნქციონირებამ. ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის ამოქმედებასაც, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინოს კასპიისა და შავი ზღვის, და ასევე მთლიანად ევრო-ატლანტიკურ რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე.

1996 წელს აზერბაიჯანსა და ევროკავშირს (რომლის წევრი რამდენიმე ქვეყნის ნავთობკომპანია აქტიურად მონაწილეობს კასპიის ნავთობის ათვისების საქმეში) შორის გაფორმდა "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება", რომელიც ძალაშია 1999 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული შეთანხმების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა წარმოადგენს. აგრეთვე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აზერბაიჯანის ჩართვას ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში 2004 წლიდან, და აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში 2009 წლიდან. ევროკავშირის ინტერესები ქვეყნის მიმართ განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ევროპამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი ახალი გაზსადენის მშენებლობის შესახებ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რათა შემდგომში მოხდეს ევროპის მიმართულებით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად შეიძლება განისაზღვროს კასპიის სანავთობო პროექტებში უცხოური ნავთობკომპანიების მაქსიმალური ჩართვა, ეროვნული დამოუკიდებლობის გამყარება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა, რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება და სხვადასხვა სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობების გამყარება.

სუამი

პოსტსაბჭოთა სივრცეზე რეგიონალური თანამშრომლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას ალიანსი - სუამ-ი წარმოადგენს.

სუამ-ის არსებობა მიუთითებს, რომ დსთ-ის სივრცეში აშკარად გამოიკვეთა სახელმწიფოთა ორი ძირითადი დაჯგუფება. პირველს შეადგენენ ის ქვეყნები, რომელთა საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს, პირველ რიგში, რუსეთთან ინტეგრაციული პროცესების განვითარება წარმოადგენს. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან, ასე ვთქვათ, „რუსული" ორიენტაციის ქვეყნები. მასში გაერთიანებული არიან დსთ-ის კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ქვეყნები - რუსეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, სომხეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი და ტაჯიკეთი. ამ ქვეყნებმა 1999 წლის 20 აპრილს განაახლეს 1993 წლის მაისში ტაშკენტში ხელმოწერილი ხელშეკრულება დსთ-ის ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ. გარდა ამისა ამ ორგანიზაციის 5 წევრი (რუსეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი) ეკონომიკური ხასიათის მქონე ხელშეკრულების, „საბაჟო კავშირის" წევრები არიან.

რაც შეეხება მეორე დაჯგუფებას, მას წარმოადგენენ სუამ-ის წევრი სახელმწიფოები, რომელთა მთავარ საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტს დასავლეთის ქვეყნებთან დაახლოება წარმოადგენს. საქართველომ, აზერბაიჯანმა არ განაახლეს ხელშეკრულება დსთ-ის ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ, ხოლო მოლდოვა და უკრაინა თავიდანვე არ მონაწილეობდნენ ამ ხელშეკრულებაში (ცნობილია, რომ 2010 წლის იანვარში უკრაინაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, ქვეყნის პრიორიტეტები ნაწილობრივ შეიცვალა).

საერთო პრობლემების და ინტერესების გათვალისწინებით სავარაუდო იყო, რომ სუამ-ი აქტიური რეგიონული წარმონაქმნი იქნებოდა, თუმცა უკანასკნელმა წლებმა ცხადყო, რომ სუამ-ის ფარგლებში თანამშრომლობა ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. სუუამ-ის იმიჯს დიდი დარტყმა მიაყენა უზბეკეთის პოზიციამ, რომელიც 2002-2005 წლებში პრაქტიკულად არ მონაწილეობდა სუუამ-ის ეგიდით გამართულ შეხვედრებში.

სუამ-ის ფუნქციონირებად ორგანიზაციად ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს რუსეთის მიზანმიმართული მცდელობები შეაფერხოს ორგანიზაციის საქმიანობა და მოახდინოს მისი დისკრედიტაცია და დეზორგანიცია.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს რომ სუამ-ს აქვს ყველა შესაძლებლობა იქცეს სრულფასოვან რეგიონულ ორგანიზაციად, რომელიც აკმაყოფილებს თავისი წევრების მიზნებს და ინტერესებს. მნიშვნელოვანია სუამ-ის წევრი ქვეყნების ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა და დასავლეთის, კერძოდ კი აშშ-ის და ევროკავშირის მხარდაჭერა.

თანამშრომლობის სფეროები:

საქართველოსათვის პრიორიტეტულია სუამ-ის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება რიგი მიზეზების გამო. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საქართველოს შეუძლია სუამ-ის გადაქცევა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ორგანიზაციად, რომლის მთავარი პრიორიტეტი იქნება თანამშრომლობა უსაფრთხოების, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა საერთო ინტერესების სფეროებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ სუუამ-მა არ უნდა დაკარგოს თავდაპირველი – ენერგეტიკული დერეფნის უსაფრთხოების და ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების ფუნქცია.

ინსტიტუციონალური საკითხები: უმნიშვნელოვანესი საკითხია სუამ-ის საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც შეასრულებს ორგანიზაციის სამდივნოს ფუნქციას. ასეთი ცენტრის შექმნის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება აშშ-ის მიერ სუამ-ის პროექტების პირდაპირი დაფინანსება, მაშინ როდესაც ახლა ეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თანამშრომლობის ინიციატივის (SECI-South Eastern European Cooperation Initiative) ცენტრის მეშვეობით ხორციელდდეება. სუამ-ის საქმიანობის კოორდინაციის გარდა საინფორმაციო ცენტრი უნდა გახდეს სუამ-ის წევრი ქვეყნების საზოგადოებების და გარე სამყაროსათვის სუამ-ის თაობაზე ინფორმაციის გავრცელების საშუალება.

კონფლიქტების მოგვარების სფეროში თანამშრომლობა: სუამ-ის წევრ ქვეყნებს ბევრი საერთო ხასიათის პრობლემები გააჩნიათ, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, აგრესიული სეპარატიზმი (აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოში, დნესტრისპირეთი მოლდოვაში, მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანში) და კონფლიქტების სავარაუდო წყაროების არსებობა. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა ასევე აქტუალურია უკრაინისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინაში არსებობს ყირიმის ავტონომიური ოლქი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სუამ-ის წევრი ქვეყნებისათვის პოტენციური კონფლიქტების აღმოფხვრის საკითხებში თანამშრომლობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია სუამ-ის გადაქცევა ორგანიზაციად, რომელიც იზრუნებს შავი ზღვის რეგიონში კონფლიქტების გადაჭრაზე და აქტიურ ძალისხმევას გაიღებს ეთნიკური და სხვა უმცირესობების უფლებების და თვითმყოფადობის დასაცავად.

ადამიანის უფლებების დაცვის და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების სფეროში თანამშრომლობა თანამშრომლობის განვითარება ადამიანის უფლებების დაცვის და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების სფეროში სუამ-ისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით სასურველია თანამშრომლობა შემდეგ საკითხებზე:

- წევრ-სახელმწიფოებში სუამ-ის ეგიდით არჩევნების მონიტორინგი;
- ინფორმაციის და გამოცდილების ურთიერთგაცვლა და გაზიარება ეროვნული უმცირესობების დაცვის სფეროში;
- ინფორმაციის და გამოცდილების ურთიერთგაცვლა სამხედრო ძალებზე დემოკრატიული კონტროლის განხორციელების სფეროში.

სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა: მეტად დიდი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს თანამშრომლობა სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში. ამ სფეროში კოორდინირებული მოქმედებების განვითარების მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა მუშაობა შემდეგ საკითხებზე:

- დსთ-ის სივრცეში რუსეთის გავლენის შესუსტების მიზნით მუშაობის დაწყება უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის დაწყებაზე. აღნიშნული ნაბიჯი, ჩვენის აზრით, აიძულებს რუსეთს უფრო ფრთხილი პოლიტიკა გაატაროს სუამ-ის ქვეყნების მიმართ; მიუხედავად ამისა, შესაძლებელია კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის განხორციელების შესახებ მსჯელობის დაწყება წევრი-სახელმწიფოებისათვის მონაწილეობისგან თავის შეკავების დათქმის (opt-out clause) უფლების მინიჭებით;
- პრინციპული საერთო პოზიციის ჩამოყალიბება სუამ-ს ორი წევრი ქვეყნის (საქართველო და მოლდოვა) ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო კონტინგენტის (საოკუპაციო ძალები საქართველოში და მე-14 არმია მოლდოვაში) უმოკლეს ვადებში გასვლასთან დაკავშირებით;
- სუამ-ის ფარგლებში კოორდინირებული საქმიანობის წარმოება წევრი-სახელმწიფოების ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის მიზნით;
- სუამ-ის როლის გაძლიერება შავი ზღვის უსაფრთხოების სისტემაში;
- მოლაპარაკების გამართვა სუამ-ის წევრ-სახელმწიფოებთან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ერთობლივი სამხედრო წვრთნების წარმოების შესახებ. აღნიშნული წვრთნების მთავარი ამოცანა უნდა იყოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ერთობლივი დაცვა სუამ-ის სამხედრო ძალების მიერ, რათა აღკვეთილი იქნეს საქართველოში რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონებიდან და საფრთხის პოტენციური სხვა წყაროებიდან მომდინარე რაიმე სახის პროვოკაცია;
- კოორდინირებული პოზიციების შემუშავება ნატო-ს ან აშშ-ის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების დროს, რათა აღნიშნული სამხედრო წვრთნებისათვის შესაძლებელი იყოს ფინანსური სახის დახმარების გაწევა, ასევე შესაძლებლობების ფარგლებში სუუამ-ის სპეციალური დანიშნულების ქვეგანაყოფების თანამედროვე ნატო-ს შეიარაღებით აღჭურვა;
- სუამ-ის წევრ-სახელმწიფოთა სამხედრო მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პოზიციების შემუშავება სუუამ-ის წევრი რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე ნატო-ს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში სამხედრო წვრთნების ჩატარების თაობაზე, პროგრამის სხვა წევრ სახელმწიფოებთან ერთად;
- მნიშვნელოვანია კოორდინირებული პოლიტიკის წარმოება რუსეთთან, სხვადასხვა სახის პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად.

ევროკავშირთან დაახლოების ფორმატი: სუამ-ს გააჩნია დიდი პოტენციალი იქცეს არა მარტო სრულფასოვან რეგიონულ ორგანიზაციად, არამედ მისი წევრი სახელწიფოების ევროკავშირთან დაახლოების მექანიზმად. იმის გათვალისწინებით, რომ სუამ-ის ოთხი წევრი სახელმწიფო ასევე ჩართულია აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის პოლიტიკაში და გააჩნიათ მკვეთრი პრო-ევროპული მისწრაფებები, სავარაუდოდ მომგებიანი და მნიშვნელოვანი იქნება თანამშრომლობის გაღრმავება ევროკავშირთან.

ევროკავშირთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო 2003 წლის ნოემბერში, როდესაც ევროკავშირი სერიოზულად დაინტერესდა სუუამ-ის საქმიანობით. ევროკავშირთან პარტნიორობის გასაღრმავებლად სასურველია:

- სუამ-ის წევრ-სახელმწიფოებში თანამშრომლობა ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისად კანონმდებლობის ჰარმონიზაციის სფეროში;
- სუამ-ის მიზნების და ამოცანების ევროკავშირის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- სუამ-ის ფარგლებში ევროკავშირის დახმარებით და ეგიდით საერთო პროექტების განხორციელება და ევროკავშირის ექსპერტიზის გამოყენება;
- სუამ-ის ენერგეტიკული დერეფნის და ანტი-ტერორისტული ფუნქციების გაძლიერება, რაც პირდაპირ კავშირშია რეგიონში ევროკავშირის ინტერესებთან.

ტერორიზმის და ტრანსნაციონალური დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლა:

ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საერთო ვირტუალური ანტი-ტერორისტული და სამართალდაცვის საკითხთა რეგიონული ვირტუალური ცენტრის (VLEC - Regional Virtual Law Enforcement Center) შექმნის დასრულება. ვირტუალური ცენტრი და სახელმწიფოთაშორისი საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემის პროექტი (VC/IIMS), ევროკავშირის და აშშ-ის დახმარებით აუცილებლად უნდა დასრულდეს უმოკლეს ვადაში. მსგავსი ცენტრის შექმნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შავი ზღვის რეგიონში ანტი-ტერორისტული გარემოს ჩამოყალიბებას და სუამ-ის პრესტიჟის ამაღლებას საერთაშორისო საზოგადოების თვალში.

მომავალში ასევე მნიშვნელოვანი იქნება რეალური ცენტრის შექმნა სუამ-ის რომელიმე წევრი-სახელმწიფოს დედაქალაქში, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სუამ-ის წევრების ანტი-ტერორისტულ და სამართალდამცავ ქმედებებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა. საქართველომ, როგორც ქვეყანამ, რომელიც სუამ-ის ფარგლებში ანტი-ნარკოტიკული საქმიანობის კოორდინატორია, უნდა გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა წევრ-სახელმწიფოებს შორის ერთიანი ანტი-ნარკოტიკული პოლიტიკის შესამუშავებლად. ამ მხრივ, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მნიშვნელოვანია ვირტუალური ცენტრის ეფექტური ფუნქციონირება. ცენტრის ოპერაციონალიზაციისათვის აუცილებელია:

- ნარკოტიკული ნივთიერებების გადამტანების, სინდიკატების და ნარკოტიკების გადაადგილების შესახებ კონფიდენციალური, სარწმუნო ინფორმაციის სისტემატიზაცია და ვირტუალური ცენტრის მეშვეობით სუამ-ის წევრ სახელმწიფოებს შორის გაცვლა;
- ფართომასშტაბიანი ანტი-ნარკოტიკული პროპაგანდის ჩატარება წევრ სახელმწიფოებში;
- უცხოელ კოლეგებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება და ექსპერტიზისა და გამოცდილების გაცვლა.

ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა: ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს სუამ-ის წევრი სახელმწიფოებისათვის წარმოადგენს ევრო-აზიური სატრანსპორტო დერეფნისა და კასპიის ნავთობის დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არსებობს პროექტი, რომლის მიხედვით აზერბაიჯანიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით სუფსის ტერმინალიდან ნავთობის ტრანსპორტირება ტანკერების მეშვეობით მოხდება.

ამ მხრივ საყურადღებოა ოდესა-ბროდის ნავთობსადენის როლი. რამდენადაც ცნობილია ოდესიდან, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში არსებული ნავთობსადენის და ახალი ოდესა-ბროდის ნავთობსადენის მეშვეობით მოხდება ნავთობის ტრანსპორტირება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის, აგრეთვე მოლდოვას მიმართულებით.

ეკონომიკური და სატრანსპორტო თანამშრომლობა:

ბოლო წლების განმავლობაში უკრაინა და აზერბაიჯანი შედიან საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში. რაც შეეხება

სახელშეკრულებო-სამართლებრივ ბაზას, სუამ-ის წევრ სახელმწიფოებთან სხვადასხვა სფეროში საქართველოს ხელმოწერილი აქვს 200-ზე მეტი დოკუმენტი, აქედან 100-ზე მეტი ეკონომიკური ხასიათისაა.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას და ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას. ასევე მნიშვნელოვანია სუამ-ის წევრ-სახელმწიფოებს შორის ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება და საერთო ძალისხმევებით ინვესტიციების მოზიდვა რეგიონში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გასავითარებლად.

სუამ-ის სატრანსპორტო დერეფნის განვითარება იდეალურ წინაპირობა იქნება წევრ-სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური და სხვა სახის თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

სუამ-ის წევრ-სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გასაღრმავებლად მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების და ტრანსპორტის ხელშეწყობის პროექტების (Transport Facilitation Project) იმპლემენტაცია. მსგავსი პროექტების წარმატებით შესრულებამ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თანამშრომლობის ინიციატივის ფარგლებში (SECI – South-East European Cooperation Initiative) დადებითად იმოქმედა მაკედონიის, ბულგარეთის, რუმინეთის, ალბანეთის, უნგრეთის, ხორვატიის და მოლდოვას საბაჟო ადმინისტრაციების განვითარებასა და მომზადებაზე.

ვაჭრობის და ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროგრამის მთავარი მიზანია სუამ-ის ქვეყნებში მიმზიდველი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და ამ ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ზემოთჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად სასურველია:
ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს სუამ-ის წევრი სახელმწიფოებისათვის წარმოადგენს ევრო-აზიური სატრანსპორტო დერეფნისა და კასპიის ნავთობის დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება.

ინსტიტუციონალური საკითხები: მნიშვნელოვანიასუამ-ის საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სუამ-ის საქმიანობას.

ამ იდეის განსახორციელებლად ალბათ აუცილებელია კოორდინირებული მოქმედება სუუამ-ის წევრი სახელმწიფოების შესაბამისი სამინისტროების შესაბამის დეპარტამენტებსა და სამმართველოებს შორის, რათა მოხდეს საბოლოო შეთანხმება თუ რა ტიპის ინფორმაციის გაცვლაა აუცილებელი სუამ-ის უფრო ეფექტურად ფუნციონირების მიზნით.

საინფორმაციო ცენტრი უნდა გაიყოს რამდენიმე სამმართველოდ და განყოფილებად, მაგალითად: სამხედრო თანამშრომლობის სამმართველო, პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების სამმართველო, ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველო და ა. შ. თითოეული სამმართველო თავის მხრივ უნდა დაიყოს ცალკეულ განყოფილებებად ან მიმართულებებად, მაგალითად: პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილება იყოს სუამ-ის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობის განყოფილება და ა. შ.

ცენტრის საქმიანობა უნდა იწარმოებოდეს სუამ-ის ქვეყნების შესაბამის სამინისტროებთან (მაგალითად სამხედრო თანამშრომლობის სამმართველოს თავდაცვის სამინისტროებთან და ა. შ.) მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

სასურველია რომ ცენტრმა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, განსაზღვროს სუამ-ის პოლიტიკის ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის განვითარებას წევრ სახელმწიფოებს შორის.

კასპიის ზღვის რეგიონის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო გეოპოლიტიკაში

კასპიის ზღვის რეგიონში განსახორციელებელი ენერგეტიკული პროექტების შედეგად რეგიონმა ახალი გეოსტრატეგიული ფუნქცია შეიძინა, იგი მოექცა მსოფლიოს მრავალი წამყვანი სახელმწიფოს მთავრობებისა და მათი ენერგეტიკული კომპანიების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში. სპეციალისტების თქმით, წინასწარმა გამოთვლებმა ცხადყო, რომ 2010-2020 წლებში მსოფლიო მოთხოვნა ნავთობზე წელიწადში საშუალოდ 2-3%-ით გაიზრდება, ხოლო 2030 წლისათვის მსოფლიო მოთხოვნილება ნავთობზე გაიზრდება დაახლოებით მესამედით-დღე-ღამეში 110-113 მილიონ ბარელამდე. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ ახლო აღმოსავლეთის და რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულებას და ეძებენ ამ ნედლეულით უზრუნველყოფის ალტერნატიულ წყაროებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს კასპიის ზღვის აუზის რეგიონი, სადაც მსოფლიოს წამყვანმა კომპანიებმა 1995 წლიდან მოყოლებული, მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები განახორციელეს.

ნავთობის მთავარი საბადოები კასპიის ზღვის რეგიონში ძირითადად აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ტერიტორიაზეა განლაგებული. რესურსების სავარაუდო საერთო რაოდენობა 200 მლრდ ბარელს (დაახლოებით 32 მლრდ ტონა) აღწევს, უკვე აღმოჩენილი 30 მლრდ ბარელის (დაახლოებით 5 მლრდ ტონა) ჩათვლით.

ყაზახეთში ნავთობის ძირითადი რესურსები განლაგებულია ქვეყნის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში. ეს ნავთობი დიდძალ გოგირდს შეიცავს. პოსტსაბჭოთა სივრცეში ყაზახეთი განიხილება როგორც ნავთობით ყველაზე მდიდარი ქვეყანა რუსეთის შემდეგ. აქ აღმოჩენილია ნავთობისა და გაზის დაახლოებით 180 საბადო, მათგან ათვისებულია მხოლოდ 60. ნავთობის დადგენილი მარაგი დაახლოებით 2,2 მილიარდ ტონას შეადგენს, პოტენციური მარაგი-8 მილიარდ ტონას, ხოლო წლიური მოპოვება 70 მილიონი ტონაა.

თურქმენეთის ნავთობის სავარაუდო რესურსები დაახლოებით 46 მილიარდი ბარელია (6,5 მლრდ ტონა).

უზბეკეთში, სადაც განლაგებულია ნავთობისა და გაზის 230-მდე საბადო, ნავთობის დადგენილი მარაგი 100 მილიონ ტონაზე მეტია.

აზერბაიჯანის ნავთობის აღმოჩენილი მარაგი შეადგენს 2,3 მლრდ ტონას, ხოლო სავარაუდო რესურსები 7 მილიარდ ტონაზე მეტია.[200]

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მიწოდების უსაფრთხოების მიზნით, მომხმარებელი ქვეყნები ნავთობპროდუქტების წყაროების დივერსიფიცირებას ახდენენ. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც მსოფლიოს ყურადღება კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსებისადმია მიქცეული. კასპიის ზღვის აუზში კი, განსაკუთრებით აზერბაიჯანის ენერგორესურსებს სტრატეგიული განლაგება გააჩნია. მაგალითად თურქმენეთის საბადოები მომხმარებლისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული და კომერციულად ძნელად ასათვისებელია, ამიტომ ამ ქვეყნებს

[200] ნიკა ჩიტაძე. "კასპიის სანავთობო პროექტები და საქართველოს სატრანზიტო როლი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები". სადისერტაციო ნაშრომი. 2004 წ. გვ. 25

ენერგოინდუსტრიის ბედი ძვირადღირებული მილსადენების აგებაზეა დამოკიდებული.

კასპიის ზღვის აუზის რეგიონს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდების წყაროს დივერსიფიცირება და არასტაბილურ სპარსეთის ყურეზე დამოკიდებულების საგრძნობლად შემცირება შეუძლია.

კასპიის რეგიონის რესურსები უმნიშვნელოვანესია მსოფლიოს ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის.

ხმელთაშუა ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება

ხმელთაშუა ზღვის რეგიონი, სადაც ევროპის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქვეყნები წარმოადგენენ ნატოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, დიდი ხანია მოქცეულია დასავლეთის, განსაკუთრებით კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის და ევროკავშირის ინტერესების სფეროში. ჯერ კიდევ 1969 წელს ნატომ შექმნა სამხედრო-საზღვაო შენაერთი ხმელთაშუა ზღვაზე არსებული გამოწვევების საპასუხოდ. 1970 წელს, ნატოს სამხედრო დაგეგმარების კომიტეტმა თავდაცვის მინისტრების დონეზე გამართულ თავის მორიგ სესიაზე, დაგმო საბჭოთა დასწრების ზრდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში და მიესალმა ნატოს სამხედრო-საზღვაო შენაერთის შექმნას ხმელთაშუა ზღვაში.

დღევანდელ ეტაპზე ნატოს მიერ ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში ხორციელდება ალიანსის პროგრამა Active Endevour.

რეგიონის ალიანსის არაწევრ ქვეყნებთან - ჩრდილო აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ნატო თავის თანამშრომლობას აწარმოებს ხმელთაშუაზღვის დიალოგის საშუალებით. ხმელთაშუა ზღვის დიალოგი წარმოადგენს ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფისადმი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე და მჭიდროდაა დაკავშირებული უსაფრთხოების ვითარებასთან ხმელთაშუა ზღვის რეგიონში.

დიალოგი დაწყებულ იქნა 1994 წელს და თავდაპირველად მას მიუერთდნენ ექვსი სახელმწიფო: ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო და ტუნისი. 2000 წლიდან დიალოგის მონაწილე გახდა ალჟირი. დიალოგის მიზანს წარმოადგენს ურთიერთანამშრომლობის განვითარება ხმელთაშუაზღვის რეგიონში, ასევე რეგიონალური თანამშრომლობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

დიალოგის ფარგლებში გათვალისწინებულია წევრ-სახელმწიფოებთან პოლიტიკური დისკუსიების წარმოება. საქმიანობა დაფუძნებულია ერთწლიან სამუშაო პროგრამაზე, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარებას ისეთ სფეროებში, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან, სამოქალაქო დაგეგმვასთან და მეცნიერებასთან.

დიალოგი იღებს სხვადასხვა ფორმას, კერძოდ, დიალოგის მონაწილე ქვეყნებიდან მოწვევა სასწავლო კურსებზე ნატოს სკოლაში - ობერამერგაუში (გერმანია) და ნატოს თავდაცვის კოლეჯში რომში. დიალოგის მონაწილეთათვის კურსები ტარდება სამშვიდობო ოპერაციების, შეიარაღებიაზე კონტროლის, ეკოლოგიური დაცვის, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის, აგრეთვე ევროპის უსაფრთხოების საკითხებზე.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დიალოგის დაწყებას დასაბამი მიეცა მას შემდეგ, რაც 1994 წელს ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღებულ იქნა განცხადება ნატოს წევრი ქვეყნების მზადყოფნის შესახებ "დაემყარებინათ კონტაქტები ერთჯერად საფუძველზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ნატოს არაწევრ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის."

დიალოგი ძირითადად დაფუძნებულია ორმხრივ ურთიერთობებზე ნატოსა და დიალოგის წევრ სახელმწიფოებს შორის. ის აგრეთვე მიმართულია საერთაშორისო ძალისხმევათა აქტივიზაციისაკენ, მსგავსად ბარსელონის პროცესისა, როდესაც 1995 წლის ნოემბერში ევროკავშირის თხუთმეტმა წევრმა სახელმწიფომ და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის თორმეტმა სახელმწიფომ, რომლებიც არ შედიოდნენ ევროკავშირში-ალჟირმა, ეგვიპტემ, ისრაელმა, იორდანიამ, კვიპროსმა, ლიბანმა, მალტამ, მაროკომ, პალესტინის ადმინისტრაციამ, სირიამ, ტუნისმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ბარსელონის დეკლარაციას, რომელიც განსაზღვრავდა ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთს შორის პარტნიორობის ფარგლებს. დეკლარაციაში მითითებულ იქნა სამი ძირითადი მიზანი: 1) უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სფეროში პარტნიორობის დამყარება, რომელიც მიმართული იქნებოდა მშვიდობისა და სტაბილურობის საერთო ზონის შექმნაზე; 2) ეკონომიკური და ფინანსური პარტნიორობა, მიმართული აღორძინების საერთო ზონის შექმნაზე; 3) ცალკეულ მოქალაქეებს შორის სოციალური დ კულტურული პარტნიორობის განვითარება, რათა გაფართოებულ იქნეს კონტაქტები წევრი სახელმწიფოების სამოქალაქო საზოგადოებებს შორის.

ხმელთაშუაზღვის ქვეყნებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ რეგიონის ქვეყნები ფლობენ მნიშვნელოვან ენერგეტიკულ რესურსებს. მაგალითად, ევროპის მიერ ნავთობის იმპორტის თითქმის 10% ჩრდილოეთ აფრიკიდან ხორციელდება (ძირითადად ლიბიიდან). რაც შეეხება ბუნებრივ აირს, აქ იმპორტის 27% ალჟირიდან მოწოდებული ბუნებრივი აირით ხორციელდება.

ახლო აღმოსავლეთი და სპარსეთის ყურე – უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური რეგიონები

მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის სპარსეთის ყურის რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. რა თქმა უნდა რეგიონს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით:

რეგიონი მეტად მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით. კერძოდ, მსოფლიოში ნავთობის დამტკიცებული მარაგის 66,4% განთავსებულია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. რაოდენობრივი თვალსაზრისით, სპარსეთის ყურეში "შავი ოქროს" დადგენილი მარაგი დაახლოებით 100 მილიარდ ტონას შეადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნავთობის მარაგი გააჩნია საუდის არაბეთს-დაახლოებით 22-26 მლრდ ტონა და ქუვეითს-დაახლოებით 10 მლრდ ტონა.[201]
რაც შეეხება გაზის მარაგებს, აქ აღსანიშნავია, რომ უდიდესი გაზის მარაგები გააჩნია ყატარს, ამ ქვეყანაში 2005 წელს გაზის მოპოვებამ დაახლოებით 26 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინა.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მდებარე საუდის არაბეთის ნავთობი ევროპული სახელმწიფოების ამ საწვავზე მოთხოვნილებას 12,78%-ით აკმაყოფილებს. რაც შეეხება აშშ-ის, ამ ქვეყნის ნავთობის იმპორტის 15% ხორციელდება სპარსეთის ყურის რეგიონიდან.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, საუდის არაბეთი, გაერთიანებულ არაბთა საემიროები, ყატარი, ირანი და ერაყი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია ოპეკის წევრები არიან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ოპეკზე მოდის ნავთობის მარაგის 77% და მოპოვების 40%, და ოპეკის წევრი ქვეყნების პოლიტიკაზეა დამოკიდებული ნავთობზე მსოფლიო ფასების ცვალებადობა, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ოპეკის ფარგლებში ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები თანამშრომლობენ ანტიდასავლურ, და შესაბამისად დასავლეთისათვის სტრატეგიულ მოწინააღმდეგე ისეთ

[201] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008 წ. გვ. 139

სახელმწიფოებთან, როგორებიცაა ირანი და ვენესუელა, დასავლური სამყაროსათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ნორმალური ურთერთობების დამყარებას.

გარდა ამისა, კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნავთობის ოპეკის პარალელურად, ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანას გადაწყვეტილი ჰქონდათ ე.წ. გაზის ოპეკის შექმნა. ამ ორგანიზაციაში რუსეთი, ირანი, ვენესუელა, ალჟირი, ლიბია და ყატარი უნდა გაერთიანებულიყვნენ. ამასთან დაკავშირებით, 2007 აპრილში ყატარის დედაქალაქ დოჰაში მოხდა ამ სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეხვედრა.

ამ შეხვედრამდე ერთი წლით ადრე, 2006 წლის ნოემბერში ნატოს ეკონომიკურმა კომიტეტმა ალიანსის წევრებს მოსალოდნელი გართულების შესახებ სპეციალური კონფიდენციალური მოხსენებით აცნობა. მოხსენებაში აღწერილი იყო "ოპეკის" ტიპის ბუნებრივი აირის ახალი ალიანსი.

უკვე 2007 წლის მარტში, ფორუმამდე რამდენიმე დღით ადრე, ევროპის სახელმწიფოებმა და აშშ-მ იმ საფრთხეებზე მიუთითეს, რომელიც შეიძლება მსოფლიო გაზის მარაგების 70-%-ის (რუსეთის და ირანის ჩათვლით) მფლობელი სახელმწიფოების მიერ კარტელის შექმნას მოჰყოლოდა. მათი მოსაზრებით, არ არის გამორიცხული, რომ გაზის მარაგების მფლობელებმა საკუთარი პირობების კარნახით, მსოფლიოს მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნან. ეს ძირითადად მიწოდების რეჟიმისა და გაზის ფასის ფორმირებით იქნება გამოწვეული. გარდა ამისა, აქ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაზის მოსალოდნელი კარტელის შექმნა გამოიწვევს რუსეთის, როგორც ამ კარტელის ერთ-ერთი დამფუძნებლის გააქტიურებას ირანთან ერთად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელობას რა თქმა უნდა განსაზღვრავს ირანთან და ერაყთან სიახლოვე. ამ მხრივ აღსანიშნავია აშშ-ის განსაკუთრებული დაინტერესება ამ რეგიონის მიმართ, რადგან აშშ-სა და ირანს შორის თეირანის ატომური პროგრამის ირგვლივ არსებული კონფლიქტის პარალელურად, ეს ორი ქვეყანა იბრძვის ერაყში საკუთარის გავლენის გაძლიერებისათვის. იმ დროს, როდესაც აშშ ირანის სამხედრო ობიექტებზე დარტყმის მიყენებაზე ფიქრობს, ერაყიდან აშშ-ს შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილის 2010 წელს გეგმაზომიერი გაყვანის შემდეგ, ერაყში სტაბილურობის დამყარების გარანტის როლის შესრულებას ირანიც აპირებს. ერაყში, და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ირანის მოსალოდნელი გავლენის შესაკავებლად, ამერიკის შეერთებული შტატებმა, ნავთობით მდიდარ ხუთ არაბულ სახელმწიფოს 2008 წელს 60 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების შეიარაღებას მიაწოდა. აღნიშნული თანხიდან მარტო საუდის არაბეთისათვის 20 მლრდ. აშშ დოლარის სამხედრო ტექნიკა იყო გათვალისწინებული, რაც შემთხვევითი არ არის. საუდის არაბეთი, რეგიონში ლიდერი ქვეყნის პოზიციის დამკვიდრების საკითხში, ირანის მთავარ კონკურენტს წარმოადგენს.

არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის გეოპოლიტიკური ასპექტები

ახლოაღმოსავლეთშიდიდიხანიაარსებობსდაძაბულობისსაშიშიკერა.არაბეთ-ისრაელის დაურეგულირებელიკონფლიქტიუკვე60წელზემეტია,რაცუარყოფითადაისახებააღნიშნულირეგიონისხალხებისდასახელმწიფოთამდგომარეობაზე.[202]ამკონფლიქტისშესახებშეიძლებაითქვას,რომსახეზეასტაბილური არასტაბილურობა ხანგრძლივიდროისგანმავლობაში. ახლოაღმოსავლეთში ქვერეგიონი, რომელიცტერიტორიულადმოიცავს ისრაელის სახელმწიფოს მდ. იორდანეს დასავლეთნაპირსდა ღაზის

[202] მარი გამისონია. სამაგისტრო ნაშრომი: ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი. საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2009.

სექტორს,მრავალიათეულიწელია,რაცურთულესიპოლიტიკურიპროცესებისარენასწარ-
მოადგენსდაუმნიშვნელოვანესიადგილიაგლობალურიგეოპოლიტიკურითვალსაზრი-
სით.

მსოფლიოპოლიტიკაძირეულადშეცვალა აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქ-
ტისდასრულებამ.“ცივიომის”დამთავრებასვარშავისხელშეკრულებისრღვევადა სსრ
კავშირისდაშლამოჰყვა,რითაცბოლომოეღო ბიპოლარულ, ორპოლუსიანსისტე-
მას.ესიყოგეოპოლიტიკურიძვრა,რომელიც,ცხადია,ახლოაღმოსავლეთისკონფლიქ-
ტისმიმდინარეობაზეცაისახა.

ახლოაღმოსავლეთისპრობლემისმთავარარსსწარმოადგენსპალესტინელიხალ-
ხისბედი,რომელიცგაურკვეველიადაარარისგადაწყვეტილისაკუთარიდამოუკიდებე-
ლისახელმწიფოსშექმნისსაკითხი,რომლისშესახებაცარსებობსგაეროსგენერალუ-
რიასამბლეის1947წლის29ნოემბრის№181(II)რეზოლუცია,ხანგრძლივიპერიოდისგანმავ-
ლობაშიგადაუჭრელიიყოასევეისრაელისსახელმწიფოსარსებობისუფლებისაღიარე-
ბაარაბულისახელმწიფოებისმხრიდან,რომელსაცადასტურებდაასევეგაე-
როს1947წლისიგივერეზოლუცია.1948წლისომისშედეგადუამრავმაპალესტინელმაარაბ-
მადატოვასამშობლოდამეზობელქვეყნებსშეეხიზნა.დღეისათვისპალესტინელილტოლ-
ვილებისრაოდენობასხვადასხვაწყაროებისთანახმად3,7-3,9მილიონია.არაბეთ-ისრაე-
ლისკონფლიქტშიგანსაკუთრებითმწვავედგანიხილება იერუსალიმისკუთვნილებისსა-
კითხი.გაეროს№181(II)რეზოლუციისთანახმად,დემილიტარიზირებულიიერუსალიმიექ-
ვემდებარებაგაეროსმეურვეობისსაბჭოსკონტროლს.იერუსალიმი1950წლის22იან-
ვარსისრაელმათავისმარადიულდედაქალაქადგამოაცხადა,თუმცაამგადაწყვეტილე-
ბასმსოფლიოსსახელმწიფოებისუმრავლესობაარაღიარებსდამათიდიპლომატიურიწარ-
მომადგენლობებიკვლავთელ-ავივშიაგანლაგებული.

ისრაელისმიერ1967წლიდანოკუპირებულტერიტორიებზემიმდინარეობსდასახლე-
ბებისსწრაფიტემპებითმშენებლობა. უნდა აღვნიშნოთ,რომაღმოსავლეთიერუსა-
ლიმსთავისმომავალდედაქალაქადმოიაზრებსპალესტინისავტონომია,გაეროსუშიშრო-
ებისსაბჭოს1979წლის№446რეზოლუციისთანახმად.პალესტინელთა აზრით, ესდასახ-
ლებებიარარისკანონიერიდასერიოზულდაბრკოლებასწარმოადგენსახლოაღმოსავ-
ლეთშიყოვლისმომცველ,სამართლიანდაგარანტირებულიმშვიდობისდამყარებისსაქმე-
ში.ისრაელისასეთიქმედებებიძალზეამწვავებსპალესტინელებისადაებრაელების ურთი-
ერთობას.აღსანიშნავია,რომპალესტინისგადაუჭრელიპრობლემატერორისტულიორგა-
ნიზაციებისშექმნისმიზეზიგახდა,რაცსაფრთხესუქმნისმშვიდობასარამარტორეგიონ-
ში,არამედმსოფლიომასშტაბით.ამრიგად,პალესტინისლოკალურიპრობლემაგლობა-
ლურპრობლემადგარდაიქმნა.ახლოაღმოსავლეთისკონფლიქტისმიმდინარეობისსხვა-
დასხვაპერიოდებშიამსაკითხისგადასაჭრელადმონაწილეობდნენროგორცრეგიო-
ნისქვეყნები,ასევემსოფლიოსდიდისახელმწიფოები,ცხადიასაკუთარიიდეოლოგიუ-
რი,გეოპოლიტიკურიდაეკონომიკურიინტერესებიდანგამომდინარე.ახლოაღმოსავლეთ-
ში, XX ს.80-იანწლებშიშეწყვეტილისამშვიდობოპროცესისგანახლებასხელიშე-
უწყო“ცივიომის”დასრულებამ,სსრკავშირისდაშლამ,სპარსეთისყურისომშიერაყისდა-
მარცხებამ. ამრიგად,90-იანიწლებისდამდეგისათვისვითარებაშეიცვალა.ერაყისდამარ-
ცხებისშემდეგაშშ-სპრეზიდენტმაჯ.ბუშმაგამოაცხადა„ახალიმსოფლიოსწესრი-
გის”შესახებ აშშ-ისხელმძღვანელობით.სსრკავშირისდაშლისშემდეგმსოფლიოშიდარ-
ჩაერთადერთისახელმწიფო -აშშ,რომელიც არაბეთ-ისრაელისკონფლიქტისმოგვარე-
ბასშეუდგა.ვაშინგტონისსტრატეგიისარსებითიშემადგენელინაწილიგახდანავთო-
ბისრესურსებისდაცვადაბრძოლარადიკალიზმთანახლოაღმოსავლეთში.სპარსეთისყუ-
რისომშიაშშ-ისმოკავშირეობაარაბულქვეყნებსსჭირდებოდათიმისათვისაც,რომძალის-
მიერითუმშვიდობიანიგზითმოეგვარებინათარაბეთ-ისრაელისკონფლიქტი.

სამშვიდობოპროცესსხელიშეუწყოსსრკავშირისდასუსტებამდადაშლამ.“ცი-
ვიომის”დასრულებამგავლენამოახდინაროგორცისრაელის,ისეარაბულიქვეყნებისპო-
ზიციებზე.სირიამდაპგო-მ(პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია) სსრკავში-
რისსახითდაკარგესმნიშვნელოვანიმოკავშირე,რომელიცმათმძლავრსამხედრო-პოლი-
ტიკურდადიპლომატიურმხარდაჭერასუწევდა.ისრაელმაკიდაკარგასაშიშიმტერი.“ცი-

ვიომის”დასრულებამაგრეთვეშეასუსტაისრაელის,როგორცაშშ-სსტრატეგიულიპარ-ტნიორისროლიგლობალურიკონფრონტაციის პირობებში. სსრკავშირისდაშლითგა-მოწვეულმაებრაელთამასობრივმაემიგრაციამისრაელისეკონომიკაშიპრობლემებიშექ-მნა.მათიგადაჭრაკიშეუძლებელიიყოაშშ-სადადასავლეთისდახმარებისგარეშე. ესკიშე-საძლებელიგახდებოდამხოლოდიმშემთხვევაში,თუისრაელიარაბებთანმოლაპარაკება-შიმიიღებდამონაწილეობას. არაბებსადაისრაელელებსშორისსამშვიდობომოლაპარა-კებებისდაწყებასხელს უწყობდა სხვამიზეზიც.1988წელსპალესტინისეროვნულმასაბ-ჭომაღიარაუშიშროებისსაბჭოს№242-ერეზოლუცია,რომელიცმოითხოვდაარაბეთ-ისრა-ელისკონფლიქტისგადასაჭრელადპალესტინისორსახელმწიფოდდაყოფას.არაბეთ-ის-რაელისკონფლიქტზედიდიგავლენამოახდინამადრიდისკონფერენციამდაოსლოში გამართულმა მოლაპარაკებებმა,რითაცსაფუძველიჩაეყარათანამედროვესამშვიდო-ბოპროცესსდარამაცგანაპირობაპალესტინისავტონომიისშექმნა. მიუხედავადამი-სა,ერთაშორისწინააღმდეგობადასისხლიანიბრძოლაგრძელდება,ხოლოდიდიქვეყნე-ბისინტერესებიახლოაღმოსავლეთისრეგიონისადმი.არაბეთ-ისრაელისკონფლიქტი კვლავ მიმდინარეობს დანანატრიმშვიდობაჯერკიდევარჩანს.

ახლოაღმოსავლეთისკონფლიქტშიზესახელმწიფოთა,დიდიქვეყნებისინტერესე-ბიკვლავიკვეთება,მათშორისჭიდილი ახალფორმებსიძენს,არენაზეახალიაქტორე-ბიჩნდებიან.მიუხედავადიმისა,რომახლოაღმოსავლეთისპრობლემართულიადაძნე-ლადგადასაჭრელი,პრობლემისმოგვარებისმხრივგარკვეულიწარმატებებიციქნამიღწე-ული.დღესსაჭიროასამშვიდობოპროცესისხელშეწყობადამხარდაჭერა,რათამშვიდო-ბამდასამართლიანობამდაისადგუროსახლოაღმოსავლეთში.

ახლოაღმოსავლეთისსამშვიდობოპროცესისგანვითარება1994-2010 წ.წ.[203]

სამშვიდობოპროცესიახლოაღმოსავლეთში1994-99წლებშიმიმდინარეობდაუამრა-ვისირთულისადაწინააღმდეგობებისპირობებში.ხშირადმხარეებიერთმანეთსადანაშაუ-ლებდნენიმაში,რომარიცავდნენშეთანხმებებისმუხლებსადაადებულვალდებულე-ბებს.მაგალითად,პალესტინელებმაეროვნულიქარტიიდანპუნქტიისრაელისგანადგურე-ბისშესახებარამოიღეს.ისრაელისჯარებმა 1994 წლის 13 აპრილისათვის არ დატო-ვესღაზასსექტორი და იერიქონი,რაცგათვალისწინებულიიყო“პრინციპებისდეკლარა-ციით”.ი.არაფათიმოითხოვდაისრაელისჯარებისგაყვანასდათქმულდროში.მანარაერ-თხელშეწყვიტამოლაპარაკებები.1994წლისთებერვალშიმოლაპარაკებადასრულდა.

1994წლის4მაისს,ქაიროშიხელიმოაწერესპალესტინა-ისრაელისხელშეკრულე-ბასღაზასსექტორისადაიერიქონისრაიონისშესახებ.ამიერიდანდაიწყო“პრინციპე-ბისდეკლარაციით”გათვალისწინებულიხუთწლიანიგარდამავალიპერიოდი.ხელშეკრუ-ლებისძირითადიპუნქტებიასეთიიყო:უშიშროებისსფეროში ღონისძიებებისგატარება დაისრაელისშეიარაღებულიძალებისგაყვანააღნიშნულიტერიტორიებიდან,პალესტი-ნისხელისუფლებისსტრუქტურადაშემადგენლობა,მისიიურისდიქციადასაკანონმდებ-ლოუფლებები,პალესტინისპოლიციისშექმნა,ურთიერთობაისრაელსადაპალესტი-ნისხელმძღვანელობასშორის,პალესტინელებისათვისსამოქალაქოსაქმეებისგადაცე-მა,იურიდიულისაკითხებიდაეკონომიკურიურთიერთობები.

1994წლის7ივლისსპარიზშიმოლაპარაკებებისახალიეტაპიდაიწყესრაბინმა, პერეს-მა დაარაფატმა.განიხილებოდაპალესტინისავტონომიისდასავლეთნაპირისდარჩე-ნილტერიტორიაზე პალესტინის იურისდიქციისგავრცელებისსაკითხი.

იერუსალიმისსაკითხსოსლოსხელშეკრულებებშიმნიშვნელოვანიადგილიეკა-ვადამისისამომავლოგადადებაიყოგათვალისწინებული,რათათავიდანაეცილებინათმო-ლაპარაკებებისჩაშლა.პგო-სმოუწიაკომპრომისზეწასვლადამან უარითქვათავისმოთხ-ოვნაზე- თვითმართველობითგათვალისწინებულიტერიტორიებისფარგლებშიიერუსა-

[203] მარი გამისონია. სამაგისტრო ნაშრომი: ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი. საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი, 2009.

ლიმიშესულიყო,მაგრამიგიმოითხოვდა,რომღაზასადაიერიქონისთვითმართველო-ბისადმინისტრაციაიერუსალიმიდანწარმოებულიყო.ისრაელისათვისკიპრიორიტე-ტადრჩებოდა „წმინდაქალაქის“სტატუსისშენარჩუნება,ისრაელისსუვერენულდადაუნა-წევრებელდედაქალაქად იერუსალიმის დარჩენა.ამრიგად,პგო-სშტაბ-ბინისიერუსალიმ-შიდაარსებაისრაელისსაზოგადოებისთვისმიუღებელიდართულადაღსაქმელიიქნებო-და.

1994წლის29აგვისტოსისრაელმადაპგო-მხელიმოაწერესხელისუფლებისადავალ-დებულებებისგადაცემისმოსამზადებელხელშეკრულებას.[204] აღსანიშნავია,რომამხელ-შეკრულებისდადებასარმოჰყოლიადადებითი პროცესიისრაელ-პალესტინელთაშორის ურთიერთობებშიპირიქით,ისგაუარესდა,რაცგამოიხატებოდაძალადობისორმხრივაქ-ტებში,როგორცებრაელების,ასევეისლამისტიექსტრემისტებისმხრიდან.მიუხედავადამი-სა,ისრაელისდაპალესტინისწარმომადგენლებიკვლავგანაგრძობდნენმუშაობასპალეს-ტინისთვითმმართველებისგაფართოებისდადასავლეთინაპირიდანისრაელისჯარე-ბისგაყვანისთაობაზე.

1995წელსმეწამული(წითელი)ზღვისპირაკურორტთაბაშიისრაელსადაპგო-სშო-რისმოლაპარაკებათაახალირაუნდისშემდეგმხარეებმაიმავეწლის28სექტემბერსვაშინ-გტონშიხელიმოაწერეს „ისრაელელთა და პალესტინელთაშუალედურხელშეკრულე-ბასდასავლეთნაპირისადაღაზასსექტორისშესახებ“,(მოკლედ,“შუალედურიხელშეკრუ-ლება“).ამხელშეკრულებამ,რომელსაცარაოფიციალურადოსლო II-საცუწოდებენ,დაას-რულაისრაელსადაპგო-სშორისმოლაპარაკებებისპირველიფაზა.[205]ისსაშუალებასაძ-ლევდაპალესტინელებს,წარემართათთავიანთისაკუთარისაშინაოსაქმეებიდაიმავდრო-ულად,იცავდადასავლეთნაპირზეისრაელისსასიცოცხლო,განსაკუთრებით,უსაფრთხო-ებისინტერესებს.

ხელშეკრულებისთანახმად,პალესტინისსაბჭოვალდებულიიყო,რომინაუგურაციი-დანორთვეშიგაეუქმებინაპგო-სქარტიისისმუხლები,რომლებიცისრაელისსახელმწი-ფოსგანადგურებისკენმოუწოდებდა.პალესტინისეროვნულისაბჭოსდადგენილე-ბით,1996წ.14აპრილსპალესტინისეროვნულიქარტიისშესაბამისიმუხლებიშესწორდა.

1995წლის4ნოემბერსისრაელისპრემიერ-მინისტრიიცხაკ რაბინიმოკლაებრაელ-მარელიგიურმაფანატიკოსმაი.ამირმა.სამშვიდობოპროცესიახალმაპრემიერ-მინის-ტრმა,შიმონპერესმაგააგრძელა.1995წლისბოლოსსერიოზულიუთანხმოებისგარეშედას-რულდაისრაელისთავდაცვისძალებისგაყვანა(ჰებრონისგამოკლებით),რითაცგაჩნდა შესაძლებლობა იმისა, რომ პალესტინაში-მდინარე იორდანეს დასავლეთნაპირსადა ღაზასსექტორში არჩევნები ჩატარებულიყო.

1996წლის20იანვარსარჩეულიქნაპგო-სსაკანონმდებლოორგანო–პალესტინისსაკა-ნონმდებლოსაბჭოღაზასსექტორსადაიერიჰონისრაიონში.აღნიშნულისაბჭო88წევრისა-განშედგებოდა.ავტონომიურიხელისუფლებისმეთაური(რაის-პრეზიდენტი)იასირარაფა-თიგახდა.9მაისსშეიქმნაპალესტინისეროვნულიავტონომიისმთავრობა.

შუალედურიხელშეკრულებისმთავარიმნიშვნელობაისიყო,რომიგიითვალისწინებ-დაისრაელისმიერდასავლეთინაპირისსამხედროოკუპაციისდამთავრებას. ესდოკუმენ-ტიმიანიშნებდა ისრაელისყოფილიმთავრობებისმიერწარმოებული „დიდიისრაე-ლის“პოლიტიკისადაპალესტინისმიწებისანექსიისნაწილობრივიუარყოფას,როგორცრე-ლიგიურ,ისესამხედრო-სტრატეგიულჭრილში[206].

“შუალედურიხელშეკრულების“,ანუ“ოსლო II“შეთანხმებებისხელმოწერასუარყო-ფითადშეხვდნენროგორცდასავლეთნაპირისდაღაზასსექტორისისლამისტიექსტრემის-ტები,ისეისრაელისმემარჯვენეები.პალესტინელებისათვისმიუღებელი იყო ყოველი-ვე,რაცარუზრუნველყოფდამათთვისსუვერენულსახელმწიფოს,ისრაელიკიდასავ-

[204]The Middle East Peace Process 2000, p. 20

[205]ისრაელისა და პალესტინის ხელშეკრულებები 1993-1999 წწ. ქართული დიპლომატია. წელიწდეუ-ლი, ტ. 7, თბილისი, 2000, გვ. 272

[206]ნ.ლომოური, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და სამშვიდობო პროცესი XX საუკუნის ბო-ლოს. დის. თბ. 2005. გვ. 121.

ლეთნაპირისტერიტორიებისგადაცემასდაიქპალესტინისსამხედროშენაერთებისშექ-
მნასსტრატეგიულსაფრთხედაღიქვამდა.

1996წლის29მაისისარჩევნებშიპრემიერ-მინისტრიშიმონპერესიშეცვალა“ლიკუ-
დის”მემარჯვენებლოკისლიდერმაბენიამინნეთანიაჰუმ.მანსამშვიდობოპროცესი-
სწარმართვის მკაცრიპოზიციაგაირჩია,შუალედურიხელშეკრულებითგათვალისწინებუ-
ლიისრაელისშეიარაღებულიძალებისგაყვანაჰებრონიდანგაჭიანურდა.

ახალმა პრემიერმა “ლიკუდის”პარტიისათვისდამახასიათებელიპოლიტიკუ-
რიკურსიგანაგრძო.ისშრომისპარტიისაგანგანსხვავებით,პალესტინელებისათვისტერი-
ტორიულიდათმობებისშეწყვეტასმოითხოვდა.ფორმულა „მშვიდობატერიტორიისსა-
ნაცვლოდ“,ნეთანიაჰუმშეცვალაფორმულით „ტერიტორიაუშიშროებისსანაცვლოდ“.მი-
სიაზრით,ახლო აღმოსავლეთისკონფლიქტისმოწესრიგებაუნდადამყარებოდაუშიშრო-
ებასდადემოკრატიას,ისგამორიცხავდაპალესტინისსახელმწიფოსშექმნასდასავლეთნა-
პირზე,და უკომპრომისოიყოიერუსალიმისსტატუსისსაკითხშიც.ისრაელისხელისუფ-
ლებაგეგმავდაახალიებრაულიდასახლებებისმშენებლობასდასავლეთნაპირზედასაუ-
კუნისმიწურულისათვისებრაელმოსახლეთარაოდენობისგაზრდას500ათასამდე[207].

ისრაელებსადაპალესტინელებსშორისსისხლიანიშეტაკებებიდაიწყოსექტემ-
ბრისბოლოს,ესგამოწვეულ იქნა ნეთანიაჰუსბრძანებით იერუსალიმშიგაეთხარათარა-
ბულიდაებრაულიუბნებისდამაკავშირებელიარქეოლოგიურიგვირაბიგოდებისკედ-
ლისგასწვრივ. ერთა შორის დაპირისპირებამინთიფათასდაწყებიდანერთერთიყველა-
ზემეტირაოდენობის მსხვერპლიგამოიწვია.ნეთანიაჰუსასეთქმედებასაკრიტიკებ-
დნენროგორცარაბული,ისედასავლეთისქვეყნებიდამასახალიინთიფათისგაღვივება-
შიადანაშაულებდნენ.

1997წლის2იანვარსსაგრძნობიწინსვლააღინიშნაჰებრონისოქმისსაბოლოოვარიან-
ტისშემუშავების პროცესში. დამაინც,საბოლოოშეთანხმებისმიღწევისათვისსაჭი-
როგახდაახლოაღმოსავლეთშიაშშ-ისსაგანგებოკოორდინატორის,დენისროსისაქტიუ-
რიდიპლომატიურისაქმიანობა,იორდანიისმეფისჰუსეინისჩარევა,რომლისმიერშეთავა-
ზებულიკომპრომისიორივემხარემმიიღო.

ამრიგად,ჰებრონისთაობაზეორმამხარემშეთანხმებას1997წლის17იანვარსმიაღწი-
ა,როცახელმოწერილიქნაოქმი „ჰებრონშიისრაელისძალებისგადაადგილებასთანდა-
კავშირებით“.ოქმშიმთავარიიყოპუნქტებიუსაფრთხოებისადასამოქალაქოსაკითხე-
ბისშესახებ,განსაზღვრულიიყოამსფეროებშიკონკრეტულიპირობებიჰებრონისოქმიქა-
ლაქსორზონადყოფდა: H-1ზონა,სადაცპასუხისმგებლობაყველასფეროშიგადაეცემო-
დაპალესტინელებსდა H-
2ზონა,სადაცპასუხისმგებლობაუშიშროებისდარგშიისრაელისმხარესრჩებოდა.

ჰებრონისსაკითხზემოლაპარაკებებისსირთულესწარმოადგენდაის,რომორივემხა-
რეცდილობდამომგებიანიპირობებიმოეპოვებინაშემდგომიდიპლომატიურისვლებისათ-
ვის.ისრაელიცადაპალესტინელებიცცდილობდნენ,რომჰებრონისოქმისპირობებიმომავა-
ლიგეგმებისათვისდაეკავშირებინათ[208].

ჰებრობის ოქმის ხელმოწერა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ის ისრაელის
ლიკუდის მთავრობასა და პგო-ს შორის მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული პირ-
ველი ხელშეკრულება იყო. ამ ხელშეკრულების დადებით ისრაელმა პგო მოლაპარა-
კებების სრულფასოვან მონაწილედ მიიჩნია და აღიარა პალესტინელებთან წარმოე-
ბული სამშვიდობო პროცესი.

ჰებრონისოქმიიმისდასტურია,რომისრაელისმეომარმაფლანგმადათმოსიონისტუ-
რიოცნების,დიდიისრაელისშექმნის იმედი.მართლაც,შეთანხმება ჰებრონშიკონცეპ-
ტუალურრევოლუციასჰგავდა.ლიკუდისპარტიისლიდერინეთანიაჰუ,რომელიცისრაე-

[207]ჯაფარიძე თ. სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში. (ისრაელისა და პალესტინის ხელშეკ-
რულებები 1993-1999 წწ). ქართული დიპლომატია. წელიწდეული, ტ. 7, თბ. 2000, გვ. 281; Cosasli, Paul.
Arab-Israeli Relations, 1967-2000, MENA. 47-th Edition. Europa Publications Limited. 2007, 57.

[208]Rodman, Peter W. After Hebron, "The National Interest". Spring. 1997

ლისმთელტერიტორიაზეებრაულიკონტროლისშენარჩუნებისიდეოლოგიიყო,პირადადიყოჩართულიიმმოლაპარაკებებში,რომელიცითვალისწინებდაისრაელისისტორიულინაწილისპალესტინელებისათვისგადაცემას,მზადიყონახევრადსუვერენულიპალესტინისსახელმწიფოსკონცეფციაეღიარებინადალიკუდისმთავრობისმიერგანხორციელებულ „დასახლებისპოლიტიკაში“დათმობებზეწასულიყო.განსაკუთრებითხაზგასასმელიამმოლაპარაკებებისებრაელიპატრიარქებისბიბლიურქალაქშიწარმოებაიყო[209].

პალესტინის საზოგადოებისაგან განსხვავებით, პალესტინისლიდერებიჰებრონისოქმსდადებითადაღიქვამდნენ.მათმიაჩნდათ,რომესშეთანხმებაქალაქის(ისრაელისმიერ)ოკუპირებისდასასრულისდასაწყისიიყო.დასავლეთ ნაპირის ფატასერთ-ერთიცნობილიხელმძღვანელისთანახმად, „პალესტინელთაყველაზედიდიმიღწევაიყოაშშ-ისმიერგარანტირებულიჯარებისგადაადგილებისშემდგომიგეგმადაუმეტესიტერიტორიისგათავისუფლებისმისაღებითარიღი“.[210]ჰებრონისოქმსსაერთაშორისოთანამეგობრობაცდაისრაელისმემარცხენეთაუმრავლესობაცდადებითადშეხვდა. პალესტინელებიდაისრაელისმოსახლეობამიიჩნევდა,რომსამშვიდობოპროცესისაკენგზახსნილიიყო,თუმცამათიშეფასებანაჩქარევიაღმოჩნდა.ჰებრონისოქმისმუხლებიარშესრულდა.

სულმალე,ერთითვისშემდეგ,პალესტინელთაპროტესტისადასაერთაშორისოკრიტიკისფონზე,ისრაელისმთავრობამდაამტკიცა6500ბინისმშენებლობისპროექტიიერუსალიმსადაბეთლემსშორისმდებარეჰარჰომაში.ესმშენებლობაკეტავდაერთადერთდამაკავშირებელგასასვლელს,აღმოსავლეთიერუსალიმსადადასავლეთნაპირსშორის.

პალესტინელებმაებრაულიდასახლებებისმშენებლობაისრაელისმიერსამშვიდობოპროცესისგამიზნულშეფერხებადმიიჩნიეს.არაფათისაზრით,ისრაელისმთავრობისესგადაწყვეტილებასაფრთხისქვეშაყენებდამიღწეულშედეგებს;მისგანწყობასიზიარებდნენარაბულისამყაროსლიდერებიც.მარტისდასაწყისშიიორდანიისმეფეჰუსეინმანეთანიაჰუსმრისხანებითსავსეწერილიგაუგზავნა,სადაცწერდა:„თქვენანგრევთსამშვიდობოპროცესსდამეთქვენდამიიოტისოდენარწმენაცკიაღარდამრჩა“.ეგვიპტისპრეზიდენტიმუბარაქი „ძალადობისახალიერისდასაწყისზე“საუბრობდა,კრიტიკულიიყოკლინტონისშეფასებაც:„მევისურვებდი,რომარმიღებულიყოასეთიგადაწყვეტილება,რადგანამგვარიქმედებაარემსახურებანდობის ჩამოყალიბებას,ჩემიაზრით,ისმხოლოდუნდობლობასამკვიდრებს“.[211]

ისრაელსა და პალესტინელებს შორის მალე ღია დაპირისპირება დაიწყო. მოვლენებიასეგანვითარდა:1997წლის11მარტსპალესტინისხელისუფლებამგანაცხადა,რომისრაელთანყოველგვარკონტაქტსწყვეტდა.პალესტინელებმაუარითქვესსაბოლოოსტატუსისშესახებმოლაპარაკებებზე,რომელიც17მარტსუნდადაწყებულიყო.18მარტსკიისრაელისბულდოზერებმაჰარჰომაშიმშენებლობადაიწყეს,ყოველივეამასკიპალესტინელებისსაპროტესტოდემონსტრაციებიმოჰყვა.სამიდღისშემდეგკი,1997წლის21მარტსპალესტინელმატერორისტმათელ-ავივისცენტრშიბომბიააფეთქა,რასაცსამიადამიანისსიცოცხლეშეეწირა.სამშვიდობომოლაპარაკებებისაღდგენისყოველგვარიიმედიჩაკვდა.

1997წლის7აპრილს,ვაშინგტონში,კლინტონსადანეთანიაჰუსშორისგაიმართაშეხვედრა.ნეთანიაჰუსსურდადაძაბულიმდგომარეობიდანგამოსვლადაწამოაყენაწინადადებაოსლოსპროცესითგათვალისწინებულიგარდამავალიპერიოდისსაკითხებისათვისგვერდიაევლოთდაპირდაპირსაბოლოოსტატუსისშესახებდაეწყოთმოლაპარაკებები.შემდგომში, აშშ-მისრაელსადაპალესტინელებსუფროადვილიფორმულაშესთავა-

[209](Buchanan 2000. p. 303).

[210](Rekhess, Elie and Litvak, Meir, Palestinian Affairs, "Middle East Contemporary Survey", Ed. Bruce Maddy-Weitzman, Westiew press, 1997. p. 40-141).

[211]Rekhess, Elie and Litvak, Meir, Palestinian Affairs, "Middle East Contemporary Survey", Ed. Bruce Maddy-Weitzman, Westiew press, 1997. p. 145.

ზა.ისრაელსთავიუნდაშეეკავებინაშემდგომიცალმხრივიქმედებებისაგან.პალესტინე-ლებსკიტერორიზმისწინააღმდეგბრძოლისმკაცრიმეთოდებიუნდაშემოეღოთ,ამისპარა-ლელურადკიგარდამავალიდასაბოლოოსტატუსისშესახებმოლაპარაკებებიუნდაწარ-მართულიყო.[212]

1997წლის25აპრილსგაეროსგენერალურიასამბლეისრიგგარეშესესიამ მიი-ღო№10/2რეზოლუცია,რომელშიცდაგმობილიაისრაელისდასახლებისპოლიტიკა.შედე-გად,ხუთდღეშიისრაელმაგახსნატერიტორიებიდა55000პალესტინელსსაშუალებამიე-ცადაბრუნებოდათავისსამუშაოსიერუსალიმში.დაზავებისილუზიისმიუხედავად, პალესტინელთა მხრიდანტერაქტებიმაინცგაგრძელდა.დიპლომატიურიმცდელობე-ბიუშედეგოაღმოჩნდანეთანიაჰუსადაარაფათსშორისარსებულიუნდობლობაიყოშეთან-ხმებისმიუღწევლობის ერთ-ერთიმიზეზი.

ყოველივეამისშედეგადახლოაღმოსავლეთისსამშვიდობოპროცესიდიდისირთულე-ებისპირისპირაღმოჩნდა.დაპირისპირებულმხარეებსშორისშუამავლობაკვლავამერიკე-ლებმაითავეს.1998წლის15ოქტომბერსპრეზიდენტმაკლინტონმაისრაელელებიდაპალეს-ტინელებისწარმომადგენლებიაშშ-შიმდ.უაი-სპლანტაციაზემიიწვიასამშვიდობოპროცე-სისგასაგრძელებლადდასაბოლოოსტატუსისშესახებ მოლაპარაკებებისდასაწყებად.

მემორანდუმისმიზანიიყოგარდამავალიპერიოდისსაკითხებისმოგვარებადამხარეე-ბისშორისსაბოლოოსტატუსისშესახებ მოლაპარაკებებისათვისგზისგახსნა.ამგვა-რად,უაისხელშეკრულებაითვალისწინებდაისრაელსადაპალესტინელებსშორისჯერკი-დევ1993და1995წლებშიმიღწეულიშეთანხმებისთანახმადდასავლეთნაპირიდანისრაე-ლისჯარებისგამოსვლას.შრომისპარტიისხელმძღვანელობისმიერშემუშავებულიფორ-მულა „მიწა მშვიდობისსანაცვლოდ“,არასდროსმოსწონდა“ლიკუდის”პრემიერ-მი-ნისტრს,თუმცაუაიშიმასსწორედრომმშვიდობისადაუშიშროებისპირობებისსანაც-ვლოდ,პალესტინელებისათვისმნიშვნელოვანიტერიტორიებისდათმობამოუწია.[213]

1998წლის23ოქტომბერსხელმოწერილიმდ. უაისმემორანდუმიეფუძნებოდაორ-მხრივვალდებულებებსდაეხებოდაუშიშროებისგანსაკუთრებულზომებს.პალესტინელე-ბისმიერაღებულივალდებულებებისყოველიეტაპისდამთავრებისშემდეგ,ისრაელს უნდა გადაეცატერიტორიისგარკვეულიპროცენტიპალესტინელებისათვის,წარსულიშეთან-ხმებებითგათვალისწინებული„ჯარებისშემდგომიგადაადგილების“კონტექსტში.[214]

უაისმემორანდუმისთანახმად,უნდაგაუქმებულიყოპალესტინისეროვნულიქარტი-ისისმუხლები,რომლებიცშეუთავსებელიიყო1993წლის9სექტემბერსპგო-სადაისრაე-ლისმთავრობებსშორისგაცვლილიწერილებისშინაარსთან,რომლებიცროგორცუკვეაღ-ვნიშნეთ,ისრაელისგანადგურებისმოწოდებასშეიცავენ.ქარტიისესმუხლები14დეკემ-ბერსპალესტინისეროვნულმასაბჭომგააუქმა.

მემორანდუმისთანახმად,ორივემხარესსტრატეგიულიეკონომიკურიდიალოგიუნ-დადაეწყო.მემორანდუმიკრძალავდაპალესტინისსახელმწიფოსდამოუკიდებლობისგა-მოცხადებასდამოითხოვდატერიტორიებისსაბოლოოსტატუსისშეთანხმებასორმხა-რესშორის მოლაპარაკებათა შედეგად. უაისმემორანდუმმაკვლავღიადდატოვაისრაელ-სადაპალესტინელებსშორისწინააღმდეგობებისმთავარისაკითხები.საზღვრები, ლტოლვილთაბედიდაიერუსალიმისსაბოლოოსტატუსი.[215]

მდ. უაისმემორანდუმისერთ-ერთმთავარმიღწევად შეიძლებაჩაითვალოსარაფა-თისმიერპალესტინისსახელმწიფოსდამოუკიდებლობის გამოცხადების გადადება,

---

[212] Rekhess, Elie and Litvak, Meir, Palestinian Affairs, "Middle East Contemporary Survey" Ed. Bruce Maddy-We itzman, Westriew Press, 1997. p. 152.

[213]Sicherman, Harvey, The Camp Wye Accords, “Foeign policy Research Institute,” 1998. p. 2.

[214]ნ.ლომური, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და სამშვიდობო პროცესი XX საუკუნის ბოლოს. დის. თბ. 2005, გვ. 134.

[215] Sicherman, Harvey, The Camp Wye Accords, “Foreign Policy Research Institute”, 1998, p. 8.

რადგანარაფათიიმუქრებოდაპალესტინისსახელმწიფოსდამოუკიდებლობისცალმხრივიგამოცხადებით1999წლის4მაისისთვის.

დამოუკიდებლობისცალმხრივგამოცხადებასმოჰყვებოდაისრაელისმკაცრირეაქციადაიგი მოახდენდაღაზასადადასავლეთნაპირისანექსიას. ამტერიტორიებისნაწილს ისედაცისრაელიაკონტროლებდა.პალესტინელებიცხვდებოდნენ,რომდამოუკიდებლობისცალმხრივიგამოცხადებითმათმხოლოდისმცირეტერიტორიადაუმტკიცდებოდათ,რომელსაციმ პერიოდში აკონტროლებდნენ.

1998წლის13-14დეკემბერსაშშ-სპრეზიდენტიკლინტონიპირველადეწვიაპალესტინისავტონომიას.მისი ვიზიტიწარმოადგენდაუაისხელშეკრულებისპრინციპის- „მიწამშვიდობისსანაცვლოდ“მხარდაჭერას.კლინტონისესვიზიტიმრავალიპალესტინელისათვისნიშნავდააშშ-სმიერპალესტინისეროვნულიმისწრაფებებისაღიარებას.

პალესტინისეროვნულისაბჭოშიგამოსვლისასკლინტონმააღნიშნა,რომპალესტინელებსსაკუთარტერიტორიებზესაკუთარისაქმეებისმართვისრეალურიშანსიგაუჩნდათ.მანგანაცხადა:„მევამაყობ,რომვარპირველიამერიკელიპრეზიდენტი,რომელიცდგასაქპალესტინელხალხთანერთად.პირველად,პალესტინისმოძრაობისისტორიაში,პალესტინისხალხსდამათმიერარჩეულწარმომადგენლებსაქვთსაშუალებათავადგანსაზღვრონთავიანთიბედისაკუთარმიწაზე,ამერიკასსურსთქვენიწარმატებადადაგეხმარებათშექმნათსასურველისაზოგადოება“.[216]

უაისმემორანდუმიწარმოადგენდაოსლოსპროცესშიგაჩენილიღრმაკრიზისიდანგამოყვანისმცდელობას.თუმცაესპროგნოზიარგამართლდა.1998წლის20დეკემბერსისრაელისმთავრობამშეაჩერამდ. უაისმემორანდუმისპირობებისშესრულებისპროცესი.ამისმიზეზიკიგახდაპალესტინელებისმხრიდანძალადობისახალიაქტები,ისრაელისმხრიდანკიდასავლეთნაპირზეებრაულიდასახლებებისაქტიურიმშენებლობადაპალესტინელიპატიმრებისგათავისუფლებაზეუარისთქმა.

სამშვიდობოპროცესსახალიიმპულსიმისცა1999წელსისრაელისპრემიერ-მინისტრადეჰუდბარაქისარჩევამ,მიუხედავადმისიმკაცრიპოზიციისაებრაელთადასახლებების, პალესტინელლტოლვილთადაბრუნებისდაიერუსალიმისსაკითხებში.1999წლის4სექტემბერსეგვიპტეში,წითელზღვაზემდებარეკურორტშარმაშ-შეიხშიექუდბარაქმადაიასირარაფათმახელიმოაწერესახალსამშვიდობოშეთანხმებას,“ხელმოწერილიხელშეკრულებებისშეუსრულებელივალდებულებებისგანრიგისგანხორციელებისდამუდმივსტატუსზემოლაპარაკებათაგანახლებისმემორანდუმს“. მას არაოფიციალურადუაიIIუწოდებენ. შარმაშ-შეიხისმემორანდუმიშეიცავს1999წლისდეკემბერშიშეჩერებულიუაისხელშეკრულებისშესასრულებლადდაადრედადებულხელშეკრულებათაშეუსრულებელსამშვიდობოვალდებულებებს.

შარმაშ-შეიხისმემორანდუმისანალიზისასმაინციკვეთებარამდენიმესიახლეისრაელისმოლაპარაკებათაპროცესში ახალისტრატეგია,ამერიკელთადახმარებაზედაყრდნობითპალესტინელებისმიერახალივალდებულებებისნაწილობრივიდადასტურება,ამეტაპზეაშშ-სსაგრძნობლადშემცირებულიროლი.[217]

ამრიგად,სამშვიდობოპროცესსურთულესიდაუმძიმესიგამოცდაელოდებოდაწინ.ისრაელისდაპალესტინისგანსხვავებულიპოზიციებიართულებდამოლაპარაკებებსსაბოლოოსტატუსზე.

2000წლის12ივლისს,აშშ-ში,კემპ-დევიდშიდაიწყომოლაპარაკებებიეჰუდბარაქისადაარაფათისხელმძღვანელობითისრაელსადაპალესტინის მხარეებს შორისსაბოლოოხელშეკრულებისდასადებად.მოლაპარაკებებშიმონაწილეობდააშშ-სპრეზიდენტიბ.კლინტონი,რომელმაცყველაღონეიხმარა,რათამხარეებიშეთანხმებულიყვნენ.კემპ-დევიდისსამიტზეაშშ-სმიერმხარეებისათვისშემოთავაზებულიპირობებისმთავარიპუნქტებიასეთიიყო – პალესტინისსახელმწიფოსშექმნა,რომლისსაზღვრებიშეთან-

[216]თ.ჯაფარიძე. სამშვიდობო პროცესი, თვითმმართველობა და ისლამური რადიკალიზმი პალესტინაში. დის. თბ. 2006. გვ. 35.

[217]Sicherman, Harvey, The Camp Wye Accords, “Foeign Policy Research Institute”, 1998, p. 1.

ხმებულიიქნებოდაისრაელთან,ისრაელისჯარებისგამოყვანადასავლეთნაპირის95%-
დან.უსაფრთხოგზისშექმნადასავლეთნაპირსადაღაზასდაასევებეთლემსადარამა-
ლასშორის,რათაპალესტინელებსთავისუფალიდაუსაფრთხომგზავრობისსაშუალე-
ბაჰქონოდათ.ისრაელისმიერიერუსალიმისმახლობლადმდებარესოფლებისმაალე,ადუ-
მიშიდაგივათ ზეევისგაცვლაქალაქისჩრდილოეთითგანლაგებულარაბულრაიონებ-
ში.იერუსალიმისძველქალაქშიდა მისშემოგარენშიპალესტინელებისათვისტაძ-
რისმთასთანმიმავალიცალკეგზისშექმნა,ისრაელის მოქალაქეებისათვის თავისუფა-
ლიმგზავრობაებრაულიახალშენებისკენმიმავალგზებზე,პალესტინისჯარისშექმნამძი-
მეარტილერიისადასაჰაეროძალებისგარეშე,აღმოსავლეთიდანსამხედროსაფრთხისშემ-
თხვევაში,ისრაელისჯარებისიორდანიისდაბლობისგასწვრივგანლაგება,პალესტინე-
ლილტოლვილებისდიდირაოდენობითდაბრუნებაპროგრამისფარგლებშიდასაერთაშო-
რისოფონდისშექმნაპალესტინელილტოლვილებისქონებისკომპენსაციისდაბრუნე-
ბისმიზნით,ფონდშიდიდითანხაისრაელისმიერუნდაყოფილიყოშეტანილი.

კემპ-დევიდშიისრაელიფორმალურადპირველადდათანხმდაპალესტინისსახელმწი-
ფოსშექმნასდამზადიყოპალესტინელილტოლვილებისშეზღუდულირაოდენობისდაბ-
რუნებაზეოჯახისგაერთიანებისპროგრამისთანახმად.თავისმხრივ,პალესტინელებ-
მაპირველადდაიხიესთავიანთითავდაპირველიპოზიციებიდანდადათანხმდნენ,რომისრა-
ელიმათდაუბრუნებდა1967წლისომისდროსანექსირებულტერიტორიებსარამთლია-
ნად,არამედმხოლოდმათგარკვეულნაწილს.პალესტინელებიგაეროსუშიშროებისსაბ-
ჭოს№242რეზოლუციაზედაყრდნობითმოითხოვდნენსუვერენიტეტს1967წელსდაპყრო-
ბილაღმოსავლეთიერუსალიმისმთელარაბულუბანზე,ისრაელსკისთავაზობ-
დნენძველქალაქს,ებრაულუბანსადაგოდებისკედელს,მაგრამმხარეებმავერშეძლესმიეღ-
წიათკომპრომისისათვისიერუსალიმთანდაკავშირებით.

2000წლისკემპ-დევიდისსამიტიებრაელებსადაპალესტინელებსშორისპირვე-
ლიოფიციალურიმოლაპარაკებაიყოიერუსალიმისთაობაზე.ისკითხვა,თუვინუნდააკონ-
ტროლოსერთდროულადიუდეველთა,ქრისტიანთადამუსლიმთათვისწმინდაქალაქი,ის-
რაელ-პალესტინისკონფლიქტსადამისიმოგვარებისთანამედროვეეტაპზეცრჩებაცენ-
ტრალურსაკითხად,ყველაზესაკამათოთემადდაუთანხმოებისმიზეზად.იერუსალიმიყო-
ველთვისუმნიშვნელოვანესროლსთამაშობდაახლო აღმოსავლეთისნებისმიერსამშვი-
დობოშეთანხმებაში.თუმცაჯერჯერობითვერც ერთმასამშვიდობომოლაპარაკე-
ბამვერშეძლოამდილემისწარმატებითგადაჭრადამხარეთაპოზიციებშიარაფერიშეც-
ვლილა,უფრომეტიც,ისინიკიდევუფრომეტადდაშორდნენერთმანეთს.[218]

იერუსალიმისშესახებარაფათმააღნიშნა:„იერუსალიმიარაამხოლოდპალესტი-
ნისქალაქი,ისასევეაარაბული,ისლამურიდაქრისტიანული ქალაქი.თუკიმეიერუსალიმ-
თანდაკავშირებითმივიღებგადაწყვეტილებას,რჩევაუნდავკითხოჩემსძმებსსუნიტებს,ში-
იტებსდაყველაარაბულქვეყანას“.[219]

მართალია, მოლაპარაკებებიუშედეგოდდამთავრდა, თუმცა გარკვეულპროგრესად
შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის, რომ პალესტინელებსა დაებრაელებსშორისსაგრძნობ-
ლადშემცირდაარსებულიწინააღმდეგობებიდამანამდეტაბუდადებული „წმინდად“შე-
რაცხულისაკითხებიცკიგანხილულ იქნა.ისრაელის მიერ პალესტინისსუვერენიტე-
ტისაღიარებაღაზასსექტორსადამდ. იორდანესდასავლეთნაპირისუმეტესტერიტორიებ-
ზე,იმისმაგალითს წარმოადგენდა, რომ მოლაპარაკებებიგახდა უფრო ქმედითი და
შედეგიანი.

საერთოდარაბულისტორიოგრაფიაში (F.Husseini 2000, Khaled Abu Toameh 2000, Muhammad Hallaj, 2000. Husseini, Feisal, Failed Compromise at Camp David, "Le Monde Diplomatique". December, 2000. Muhammad Gellay. Palestinian Rights. "Middle East Insight

---

[218]ნ.ლომოური, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და სამშვიდობო პროცესი XX საუკუნის ბოლოს. დის. თბ. 2005, გვ. 144-145.

[219]ნ.ლომოური, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და სამშვიდობო პროცესი XX საუკუნის ბოლოს. დის. თბ. 2005, გვ. 148.

September-October. 2000) მიღებულიააზრი,რომ2000წლისკემპ-დევიდისსამიტმაარგაამარ-თლამასზედამყარებულიიმედები.მიუხედავადიმისა,რომწინსვლაშეინიშნებოდასამშვი-დობოპროცესშიდასამომავლოდმცირედიკომპრომისებიცგაკეთდა.მხარეებივერშეთან-ხმდნენვერცერთსაკითხზე,სამშვიდობოპროცესიკიდევერთხელშევიდაჩიხშიდაშეწყ-და2000წლისივნისისბოლოს.

ისრაელისადააშშ-სწარმომადგენლებისაჯაროგამოსვლებშიაღნიშნავდნენ,რომის-რაელისდელეგაციამაშკარაკომპრომისზეწასვლითყველაფერიგააკეთაშეთანხმე-ბისმიღწევისათვის,მაგრამპალესტინელებმაარდათმესპირვანდელიპოზიციები.პალეს-ტინელებიკისამიტისჩაშლასაშშ-სხელმძღვანელობასაბრალებდნენდაამტკიცებ-დნენ,რომკემპ-დევიდშიმათიპარტნიორებიმასზეგაცილებითძლიერებიიყვნენ.ამერიკე-ლებმაკინაცვლადიმისა,რომმიუკერძოებელიმედიატორისმოვალეობაშეესრულები-ნათ,ისრაელისმხარედაიჭირეს,რათაზეწოლისადაძალდატანებისსაშუალებითპალეს-ტინელებისაგანისეთიდათმობებიმიეღოთიერუსალიმთანდაკავშირებით,რომელიცმისა-ღებიარიქნებოდაპალესტინელიხალხის,არაბულიდასაერთოდმუსლიმურისამყაროსათ-ვის.[220]

პალესტინელებსმიაჩნიათ,რომყველამიღწეულიშეთანხმებაუნდადამყარებო-დაპრინციპს,„მიწამშვიდობისსანაცვლოდ“დაგაეროს№242რეზოლუციას,რომელიცკრძა-ლავსომისსაშუალებითმიწისმითვისებას.პალესტინელებიდასავლეთნაპირსდაღა-ზასოკუპირებულტერიტორიებადთვლიანდამოითხოვდნენმშვიდობისსანაცვლოდგათა-ვისუფლებას,ისრაელისათვისკიესადგილებისადავოტერიტორიებია,რომელთაბედიტე-რიტორიულიკომპრომისებითუნდაგადაწყვეტილიყო.ამგვარად,რელიგიურიმიზეზე-ბისპარალელურად,უთანხმოებისათვისტერიტორიულისაკითხიცგადამწყვეტიფაქტო-რიიყო.ისრაელითანხმდებოდაოკუპირებულიტერიტორიებისნაწილობრივგათავისუფ-ლებას,ხოლოარაბულიმხარეისრაელისდაბრუნებას1967წლამდეარსებულსაზღვრებ-შიითხოვდა.მართალია,კემპ-დევიდისმეორესამიტისდროსისრაელიმეტადდიდდათმობა-ზეწავიდა,როდესაცოპონენტებს ოკუპირებულიპალესტინისტერიტორიების90%-ისგა-თავისუფლებაშესთავაზა,პალესტინელებისათვისდარჩენილი10%-ისისრაელისათ-ვისდათმობამაინცმიუღებელიიყო,სწორედამტერიტორიაშიშედიოდაპალესტინისმომა-ვალისახელმწიფოსდედაქალაქიაღმოსავლეთიერუსალიმი.[221]

ამრიგად,სამშვიდობომოლაპარაკებებიჩიხშიშევიდაორმხრივიუთანხმოებებისგა-მო.არაფათისორჭოფობამდაარშემდგარმამშვიდობამპალესტინისმოსახლეობაშიიმედ-გაცრუებაგამოიწვია.ისინისერიოზულუკმაყოფილებასგამოხატავდნენ.კიდევერ-თხელდაიწყოძალადობა,რომელიცპალესტინელთააზრით,ბრძოლისსაუკეთესოიარა-ღიაღმოჩნდა.თუკემპ-დევიდისმოლაპარაკებებისშემდეგპალესტინისმოსახლეო-ბის52%უჭერდამხარსძალადობას,ერთიწლისშემდეგმხარდამჭერთარაოდენობა86%გახ-და.პალესტინისხელმძღვანელობამ,ისრაელთააზრით,გადაწყვიტამოეხდინაპროვოცი-რებასამხედროშეტაკებისადააეძულებინაისრაელიმიეღოყველამისიწინადადება.ამისსა-ბაბიგახდა2000წლის 28სექტემბერი.[222]

ალ-აკსასინთიფადა,ამბოხი,ძალადობისტალღაპალესტინელარაბებ-სადაებრაელებს შორის2000წლისსექტემბრისბოლოს დაიწყო.მას მეორე ინთიფადა-საცუწოდებენ.მრავალიპალესტინელიინთიფადასთვლისგანმათავისუფლებელბრძო-ლადუცხოელთაოკუპაციისწინააღმდეგ,ისრაელელებიკიმასტერორისტულკამპანიადმი-იჩნევენ.2000წლის29სექტემბრიდან2005წლის15იანვრამდეინთიფადასშედეგადდაიღუ-

[220]Husseini, Feisal, Failed Compromise at Camp David, “The Monde Diplomatique.” December 2000. p. 3.

[221]ნ.ლომოური, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი და სამშვიდობო პროცესი XX საუკუნის ბოლოს. დის. თბ. 2005, გვ. 153

[222] Электронная Еврейская Энциклопедия (http://www.elewen.co.il/artcle/13130/zahav=true.

პა3223პალესტინელიმშვიდობიანიმოქალაქედასამხედროპირი.ისრაელის მხრიდან მსხვერპლიშეადგენდა959-ს.[223]

ისრაელისადაპალესტინელებისტერიტორიულიკონფლიქტისმოწესრიგებისკიდევერთ ცდასწარმოადგენდაე.წ.კვარტეტის (აშშ, ევროკავშირი,რუსეთიდაგაერო)მიერშემუშავებულიგეგმა,რომელსაც„საგზაორუკა“ეწოდება„კვარტეტი“2001წელსჩამოყალიბდარუსეთისენერგიულიძალისხმევისშედეგად,ევროკავშირისმხარდაჭერით„კვარტეტი“მოწოდებულიიყოარდაეშვასამშვიდობოპროცესისკოლაფსი.აშშდაეთანხმამისჩამოყალიბებას,რადგანჯერკიდევმოუშუშებელიიყოკემპ-დევიდისმოლაპარაკებებისჩაშლითგამოწვეულიჭრილობა,დაამერიკელებსარუნდოდათმარტოეზიდათკლინტონისმემკვიდრეობისტვირთი.

2002წლისზაფხულშიაშშკვლავდაუბრუნდაარაბეთ-ისრაელისკონფლიქტისდარეგულირებისთემას.24ივნისსჯორჯბუშიგამოვიდაახლოაღმოსავლეთისკონფლიქტისდარეგულირებისათვის„საგზაორუკის“შემუშავებისწინადადებით,რომელშიცპირველადისტორიაშიაშშ-სპრეზიდენტმანათლადგანაცხადა,რომისრაელ-პალესტინისმოლაპარაკებებისშედეგადუნდააღმოცენდესპალესტინისდამოუკიდებელისახელმწიფო,ისრაელისგვერდიგვერდუსაფრთხოდააღიარებულსაზღვრებში.მართალია,ამერიკელებმამანამდეხმამისცესგაეროსუშიშროებისსაბჭოს1997წლისრეზოლუციას,სადაცამისშესახებიყოსაუბარი,მაგრამესიყოკოლექტიურიდოკუმენტი.

„საგზაორუკა“ოფიციალურად2003წლის29აპრილსიქნაწარდგენილიდამნიშვნელოვანწინგადადგმულნაბიჯსწარმოადგენდა2000წლისმოლაპარაკებებისჩაშლისშემდეგ.ისფაქტი,რომ„საგზაორუკა“მიღებულიქნაისრაელელებისმიერ,წარმოადგენდაგარღვევასკონფლიქტისმიმდინარეობაში. მანამდე ისრაელი არ თანხმდებოდა არც ერთ დოკუმენტზე, რომელშიც ფიქსირდებოდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნა„საგზაორუკა“გულისხმობდა2005წლამდეპალესტინისარაბულისახელმწიფოსშექმნას,ზოგიერთიწინასწარიპირობისდაცვით.ამპირობისარსიასეთია:პალესტინისმხარესმოეთხოვებოდატერორიზმისაღმოფხვრა,თავისუფალიარჩევნებისადაპოლიტიკურირეფორმისჩატარება,კონსტიტუციისშექმნა,ისრაელისმხარესკისამხედრონაწილებისგაყვანაპალესტინურიტერიტორიებიდან,უკანონოდდაარსებულიბლოკპოსტებისმოშლა.პალესტინისსაბოლოოსაზღვრებისაერთაშორისოკონფერენციასუნდადაედგინა.[224]

აშშ-სადადიდბრიტანეთისმთავრობებიძალიანიყვნენმოწადინებულნი,რათაესგეგმაგანხორციელებულიყო.ამითმათუნდოდათეჩვენებინათთავისიმიუკერძოებლობაარაბულისამყაროსათვის.ბუშიცდილობდათავიაერიდებინაახლოაღმოსავლეთისკონფლიქტისდარეგულირებაშიუშუალოჩარევისაგან.2003წლისივნისშიიგი ჩავიდარეგიონშიდაშეხვდაისრაელისადაპალესტინისმთავრობისმეთაურებს.

ისრაელისპრემიერ-მინისტრმა,რომელიცპალესტინისსახელმწიფოსშექმნასეწინააღმდეგებოდა,მხარიდაუჭირა„საგზაორუკას“.შარონისდამოკიდებულებისშესახებისრაელისერთ-ერთიგაზეთიასეგანმარტავდა: „შარონი ძირეულადარშეცვლილა,მაგრამმანაირჩიაჭკვიანურიტაქტიკა,რადგანდრომოგვაგებინოს.ამდროისთვისკიამერიკაჩაეფლობასაპრეზიდენტოსაარჩევნოკამპანიაში,რაცგაუძნელებსმას,განახორციელოს ზეწოლაისრაელზე.ამასობაშიკივინიცისრამოხდება“.

2007წლისათვისნათელიგახდა,რომკონფლიქტისდარეგულირებამთლიანადჩიხშიშევიდა.ამდროსაშშ-სადმინისტრაციამწამოაყენამორიგიინიციატივა.2007წლის16ივლისსჯორჯბუშიგამოვიდავრცელისიტყვით,რომშემოდგომაზემოეწყოთ„საერთაშორისოშეხვედრა“პალესტინა-ისრაელისკონფლიქტისდასარეგულირებლად.

ამერიკულიდიპლომატიისკურსისშეცვლისგანხორციელებასწარმოადგენდაკონფერენციაანაპოლისში2007წლისნოემბერში,რომელშიცმონაწილეობამიიღო49ქვეყნისსაგარეოსაქმეთამინისტრმა,რუსეთისჩათვლით.მასზემოხერხდაკვლავგანახლებუ-

[223]Арабо-Израйльский конфликт. Гоитваза Иерусалим. Волна насилия на палестинских территориях. 29 сентября - 6 октября, 2000. http://www.middleeast.narod.ru/polestina/html.

[224]რ.გაჩეჩილაძე,ახლოაღმოსავლეთი; სივრცე, ხალხი, პოლიტიკა. თბ. 2008. გვ. 462.

ლიყომოლაპარაკებათაპროცესიისრაელსადაპალესტინელებსშორის„საგზაორუ-
კის“პრობლემატიკისშესახებ,მხარეებსმოუწოდებდნენმორიგებისაკენ2008წლისბოლომ-
დე.პარალელურადმოხერხდამთლიანობაშირეგიონალურიდაძაბულობისშემცირე-
ბადაწლებისგანმავლობაშიგადაუწყვეტელისაკითხებისგადაწყვეტა.

2008წელსამოქმედდა „შეთანხმება დაცვისშესახებ“,ისრაელსადაღაზისსექ-
ტორსშორის,მოხერხდასაკონსტიტუციოკრიზისისგანმუხტვალიბანში,პრეზიდენტისარ-
ჩევადანაციონალურიერთიანობისმთავრობისფორმირება.დარეგულირდაურთიერთო-
ბასირიასადალიბანსშორის,მათდაამყარესდიპლომატიურიურთიერთობებიდაშეთან-
ხმდნენსაზღვრისდელიმიტაციისშესახებ.დაიწყოპირდაპირიმოლაპარაკებებისირია-
სადაისრაელსშორისმშვიდობისშესახებთურქეთისშუამავლობით.[225]

თუმცა,2008წლისდეკემბრისდა2009წლისიანვრისმოვლენებმა,როცაგანახლდასა-
რაკეტოდარტყმებიჰამასისმხრიდან,რასაც ისრაელმამასირებულიდაბომბვებითა და
ღაზაში მასშტაბურიოპერაციითუპასუხა (რომელმაცდიდიმსხვერპლიგამოიწვიამოსახ-
ლეობაში),აჩვენა,რომარაბეთ-ისრაელისკონფლიქტისგადაწყვეტაჯერკიდევშორსა-
ა.ამსისხლიანიდაპირისპირებისშედეგებიდამანგრეველიაღმოჩნდასამშვიდობოპროცე-
სისათვის. ცხადია, რომ საჭიროა მოლაპარაკებები.

2010 წლის მაისის შუა რიცხვებისათვის აშშ-ს ხელშეწყობით აღდგა კონტაქტი ისრაელელებსა და პალესტინილებს შორის. როგორც დაუდ ქუთაბიაღნიშნავს, „რაღაც ხდება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში, მაგრამ ძნელი სათქმელია, კონკრეტულად – რა? რაღაც ახალი გამოჩნდა, მაგრამ ყველა მხარე თითქოს ისევ ტრადიციულ პოზიციაზეა“.[226]

არაბული ლიგა ხელს უწყობს არაპირდაპირ მოლაპარაკებებს პალესტინა- ისრაელს შორის. სხვადასხვა ფორუმებზე, რომლებშიც პალესტინელი ლიდერები მონაწილეობენ, ისინი ეთანხმებიან მოლაპარაკებების გაგრძელებას. ყველაზე ხისტმა პალესტინელმა პოლიტიკოსმა, რომელიც მოლაპარაკებებში იღებს მონაწილეობას, საებერექათმაც კი შეცვალა თავისი რიტორიკა, პალესტინის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა კი საკმაოდ ოპტიმისტური ინტერვიუ მისცა ისრაელის ტელევიზიას. მაგრამ ისრაელი არ ეთანხმება ამერიკელებისა და პალესტინელების მოთხოვნას შეწყვიტოს მშენებლობა იერუსალიმში.

პალესტინელებს ესმით, რომ ისრაელზე ზეწოლის გარეშე მცირედ თუ შეიცვლება სიტუაცია. მათ ასევე გაცნობიერებული აქვთ, რომ ძალადობრივიწინააღმდეგობა მიზანშეუწონელი ნაბიჯია, ამიტომ მათ აქცენტი გააკეთეს არაძალადობრივ ქმედებაზე – საერთაშორისო საზოგადოების თანადგომით გააგრძელონ ზეწოლა “ოკუპანტებზე”. პგო-ს მთავარმა ჯგუფმა „ფატამ“ ეს ხაზი გაატარა 2010 წლის ზამთარში ბეთლემში გამართულ მე-6 კონგრესზე, რომელიც 20-წლიანი პაუზის შემდეგ ჩატარდა. პგო-ს სხვა ოფიციალური წარმომადგენლები კი კვლავ დემონსტრაციებსა და საპროტესტო აქციებში მონაწილეობენ.

გარდა არაძალადობრივი ქმედებებისა, პალესტინელები სახელმწიფოს შექმნის სხვა საშუალებებსაც მიმართავენ. სალამ ფაიადი, პალესტინის ენერგიული და დასავლეთში განსწავლული პრემიერ-მინისტრი ახორციელებს გეგმას, რომლითაც პალესტინის დე-ფაქტო სახელმწიფო უნდა გამოცხადდეს 2011 წლის აგვისტოში. პალესტინის სახელმწიფოს მშენებლობა სამოქალაქო მთავრობის ხელშია, პოლიტიკური ძალისხმევა კი საკუთარ თავზე პგო-ს აქვს აღებული, რომლის მეთაური მაჰმუდ აბასი „ფატას“ ლიდერი და პალესტინის მთავრობის მეთაურია.

პგო წარმატებულია აგრეთვე ევროპის მხარდაჭერის მოპოვებაში, რათა გამოცხადებულ იქნეს პალესტინის სახელმწიფო. ისრაელში ცვლილებების მისაღწევად ამერიკელები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. თუ მიმდინარე პროცესი ჩაიშლება,

---

[225]О.Павлов, Разночтения ближневосточной "карты". ж. Международная Жизнь, №2-3. 2009. с. 64.

[226]დაუდ ქუთაბი, მშვიდობა ნებისმიერი მნიშვნელობით ახლო აღმოსავლეთში. 2010 წ. გაზ. „იბერია“, №16,10-16 მაისი, გვ. 6.

ობამამ შეიძლება წამოაყენოს საკუთარი გეგმა - კლინტონის გეგმის ანალოგიური. ამავდროულადბევრი მიიჩნევს, რომ პალესტინა და ისრაელი ასე ახლოს არასდროს ყოფილან შეთანხმებასთან. ამერიკელების სამშვიდობო გეგმა სამართლიანი და გონივრულია, რომელსაც ბევრი ჩვეულებრივი ებრაელი და პალესტინელი მიესალმება. კიდევ ერთი ამერიკული შეთავაზება ისაა, რომ თუ ყველაფერი ზემოთქმული ჩაიშლება, ისრაელ-პალესტინის პრობლემა გადაწყდება საერთაშორისო კონფერენციაზე. ამგვარი კონფერენციის მოწყობა გაწერილია გზამკვლევ დოკუმენტში, როგორც მოლაპარაკებების მესამე ფაზა. ამ დრომდე ებრაელები და პალესტინელები წითელი ხაზის სხვადასხვა მხარეს არიან და აცხადებენ, რომ არასდროს გადაკვეთენ მას.[227] ამრიგად, მომავალი აჩვენებს, შესაძლებელია თუ არა შეთანხმება, რომელიც პოზიტიური შედეგებით უნდა დამთავრდეს ორივე მხარისათვის.

ბალკანეთი და კოსოვოს პრობლემა

როგორც ვიცით, 90-იანი წლების დასაწყისიდან იუგოსლავიის დაშლის შედეგად რეგიონში ერთდროულად რამდენიმე კონფლიქტური კერა შეიქმნა, რის შედეგადაც რეგიონში თავისი პოზიციების გამყარება დაიწყო ნატომ, რომელმაც თავისი პირველი წარმატებული გამოცდა სამხედრო და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების სფეროში სწორედ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობის მქონე ბალკანეთში ჩაატარა, პირველად ბოსნიაში 1994-1995 წლებში, ხოლო შემდგომ 1999 წელს კოსოვოში, რის შედეგადაც ალიანსმა უზრუნველყო სტაბილურობა ამ რეგიონში.

კოსოვოში ნატოს მიერ სამხედრო ოპერაციების წარმოების დროს, რეგიონში თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით, ვაშინგტონის სამიტზე წამოყენებულ იქნა "ნატოს ინიციატივა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის". ინიციატივის მიზანი გახლდათ რეგიონალური თანამშრომლობისა და მრავალწლიანი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ეს ინიციატივა ეყრდნობოდა ოთხ ძირითად პრინციპს: საკონსულტაციო ფორუმი უსაფრთხოების საკითხებში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში; სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა მონაწილეთა განუსაზღვრელი რაოდენობით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში თანამშრომლობის განვითარების სფეროში. ამ სამუშაო ჯგუფის შექმნა უნდა მომხდარიყო ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ეგიდით პოლიტიკური კომიტეტის სესიის დონეზე; პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" სამუშაო ინსტრუმენტების ჩამოყალიბება; რეგიონის ქვეყნებისათვის თანამშრომლობის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება უსაფრთხოების სფეროში.

ამ კონსულტაციურ ფორუმში შედიოდნენ ნატოს წევრი სახელმწიფოები და მომიჯნავე რეგიონის ექვსი სახელმწიფო-ალბანეთი, ბულგარეთი, ხორვატია, რუმინეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, სლოვენია და ბოსნია და ჰერცოგოვინა.[228] ამ ფორუმის პირველი სხდომა ჩატარდა ნატოს უმაღლეს სამიტზე ერთ-ერთი კულუარული შეხვედრის დროს 1999 წლის აპრილში. უკვე შემდგომი შეხვედრები იმართებოდა ელჩების დონეზე ნატოს შტაბ-ბინაში ბრიუსელში.

რიგი საკითხების გადაწყვეტისას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთის და შესაბამისად ბალკანეთის რეგიონისათვის, მათ შორის "გამჭვირვალობის" საკითხები სამხედრო დაგეგმარების სფეროში, ანტიკრიზისული დარეგულირებისა და თავდაცვის სფეროს მართვა და ა შ. გამოყენებულ იქნა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამების ფარგლებში განხორციელებული მეთოდოლოგია. საქმიანობის სახეობების განსაზღვრის პროცესში, მაგალითად

[227]დაუდ ქუთაბი, მშვიდობა ნებისმიერი მნიშვნელობით ახლო აღმოსავლეთში. 2010 წ. გაზ. „იბერია", №16, 10-16 მაისი, გვ. 6.

[228]ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვანია იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყვნენ ნატო-ს წევრები

სემინარების გამართვა ზემოაღნიშნულ თემებზე ორიენტირიბული იყო მთელი რეგიონისათვის.

რეგიონალური პროექტების კოორდინირების მიზნით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში უსაფრთხოების საკითხების განხილვისათვის შექმნილ იქნა საკოორდინაციო ჯგუფი

მომდევნო წლებში მოხდა თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცება ევროკავშირს, ნატოსა და რეგიონის სახელმწიფოებს შორის.

როგორც ცნობილია, უკვე 2004 წელს ნატოს სრულუფლებიანი წევრები გახდნენ რუმინეთი, სლოვენია და ბულგარეთი, ხოლო იგივე სლოვენია 2004 წელს, ხოლო ბულგარეთი და რუმინეთი 2007 წელს ასევე გაწევრინადნენ ევროკავშირში, რამაც დიდი როლი შეასრულა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში დასავლეთის პოზიციების განმტკიცებაში. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რომ ნატო-ს 2008 წლის აპრილში გამართულ ბუქარესტის სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხორვატიისა და ალბანეთის ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ეს პროცესი 2009 წელს დასრულდა.

მეტად საინტერესოა დასვლეთის ქვეყნების მიდგომა კოსოვოს საკითხისადმი. მათი აზრით, კოსოვოს სერბეთისაგან იურიდიულად გამოყოფა საბოლოო დაარეგულირებს კრიზისს ბალკანეთში და შექმნის სტაბილურ გარემოს ბალკანეთის რეგიონში მშვიდობის დამყარებისათვის. მას მოჰყვა მოჰყვა აშშ-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობის მიერ კოსოვოს დე-იურე აღიარება 2008 წლის თებერვალ-მარტში. 2010 წლის ნოემბრის მონაცემებით კოსოვოს დამოუკიდებლობა უკვე 60-ზე მეტმა სახელმწიფომ აღიარა.

ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა. კერძოდ, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, და იგივე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადების შესაბამისად, კოსოვოს პრეცენდენტი შესაძლებელი იქნებოდა გამოყენებული სხვა სეპარატისტული რეგიონებისათვის, პირველ რიგში პოსტ-საბჭოთა სივრცეზე არსებული არაღიარებული ტერიტორიებისათვის-აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბაღი. როგორც ცნობილია რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კოსოვოს აღიარებაც გახლდათ. თუმცა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალიან დიდი განსხვავებასთან კოსოვოსა და ზემოაღნიშნული სეპარატისტული რეგიონებში არსებულ მდგომარეობას შორის. კერძოდ, კოსოვოში ვრცელდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადმინისტრაცია. შესაბამისად, კოსოვოს ტერიტორიაზე ჩატარებული ყველა სახის არჩევნები ლეგიტიმურად ჩაითვალა. ხოლო ზემოაღნიშნული პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სეპარატისტული რეგიონები წარმოადგენენ უკონტროლო ტერირორიებს. რაც შეეხება ასევე მაგალითად განხვავებას კოსოვოსა და აფხაზეთს შორის, აქაც აღსანიშნავია, რომ თუ კოსოვოს შემთხვევაში იუგოსლავიის ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხორციელდებოდა კოსოვოს მოსახლეობის გენოციდი, აფხაზეთის შემთხვევაში პირიქით, აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის, ძირითადად ეთნიკური ქართველების დევნა ხორციელდებოდა სეპარატისტული რეჟიმის მიერ გარეშე ძალების მხარდაჭერით. გარდა ამისა, აფხაზეთის კონფლიქტის დროს უგულებელყოფილ იქნა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელიც ყველანაირ - სამხედრო, ეკონომიკურ, ფინანსურ დახმარებას უწევდა და უჭევს სეპარატისტულ რეჟიმს აფხაზეთში, რაც საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოში, ზემო აფხაზეთზე რუსეთის მიერ კონტროლის დამყარების შემდეგ აფხაზეთის სრული ოკუპაციით დასრულდა.

მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ კოსოვოს აღიარებით იქმნება დიდი საშიშროება იმისა, რომ ბალკანეთის რეგიონი ახალი დენთის კასრად გადაიქცეს, კერძოდ:

- სერბეთში აგორდება ანტისადასავლური ტალღა, რასაც მოჰყვება ის, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება იმის შესაძლებლობა, რომ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამ ქვეყნის ხელისუფლებაში კვლავ მოვიდნენ ნაციონალისტური, პრორუსული ძალები და შესაბამისად დასავლეთი ბალკანეთის რეგიონში დაკარგავს მნიშვნელოვან მოკავშირეს;

- ჩვენ გვაქვს იმის პრეცენდენტი, რომ კოსოვოში 1999 წელს სამხედრო ოპერაციების დასრულების შემდეგ, კოსოვოს განთავისუფლების არმიის მებრძოლები გადავიდნენ მეზობელ მაკედონიაში, კერძოდ ამ ქვეყნის იმ რეგიონში, რომელიც ალბანელებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონს წარმოადგენდა. ამ ფაქტმა დაძაბა ვითარება ამ ქვეყანაში და გამოიწვია ნატოს კონფლიქტში ჩართვის საჭიროება. შესაბამისად კოსოვოს შესაძლო აღიარების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ მაკედონიაში ალბანურმა მოსახლეობამ ანალოგიური გამოსვლები მოაწყოს უკვე მაკედონიის შემადგენლობიდან გამოსვლის მოთხოვნით;

- თავის მხრივ დიდი საფრთხე შეექმნება 1995 წელს ხელმოწერილ დეიტონის ხელშეკრულებას მუსულმანურ, ხორვატულ და სერბულ მხარეებს შორის ბოსნიაში. აღნიშნულმა შეთანხმებამ წერტილი დაუსვა საომარ მოქმედებებს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, როდესაც ეს ქვეყანა დაიყო ორ რესპუბლიკად - სერბულ რესპუბლიკად და მუსულმანურ-ხორვატულ ფედერაციად. შესაბამისად, თუ მოხდა კოსოვოს აღიარება და შეიქმნა შესაბამისი პრეცენდენტი, მაშინ შესაძლებელია რომ იგივე ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკამ მოითხოვოს ბოსნიისგან გამოყოფა და სერბეთთან შეერთება, რასაც შეიძლება უმართავი პროცესები მოჰყვეს სამი ეთნიკური ჯგუფით დასახლებულ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში;

- კოსოვოს აღიარებამ ასევე შესაძლოა დაძაბულობა გამოიწვიოს სერბეთის უნგრელებით დასახლებულ ვოევოდინაში და კოსოვოს ჩრდილოეთში მაცხოვრებელ სერბულ მოსახლეობაში;

- და ბოლოს, სერბეთი აცხადებს, რომ ის არ დაუშვებს კოსოვოს გამოყოფას სერბეთისგან, შესაბამისად, შესაძლოა კოსოვოს აღიარებას მოჰყვეს საომარი მოქმედებების განახლება ბელგრადის მხრიდან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტში ალბანეთის ჩართვაც კოსოვარი ალბანელების დასაცავად, და დასავლეთის ქვეყნებს თავიდან მოუხდეთ ითამაშონ შუამავლის როლი განახლებულ კონფლიქტში.

ჩინეთის გეოპოლიტიკა

ჩინეთის აღმავლობას მსოფლიო სახელმწიფოს სტატუსამდე ყურადღებით აკვირდებიან, განსაკუთრებით კი XX საუკუნის ბოლო ათწლეულში. ჩინეთის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ზრდამ დიდად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობები. სპეციალისტთა აზრით, უახლოეს 10-15 წელიწადში ჩინეთის ზეგავლენა კიდევ უფრო გაიზრდება.

ჩინეთის განვითარების სპეციფიკური პირობები

ჩინეთის განვითარების სპეციფიკურ პირობებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ფაქტორები:

- მოსახლეობის უდიდესი მაჩვენებელი და იაფი მუშა ხელი.
- ინვესტიციების დაგეგმირებული სახელმწიფოებრივი რეგულირება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკონომიკური სფეროების განვითარება;
- მაღალი ტექნოლოიგიების ათვისება, ექსპორტის განვითარება-გავრცელება;
- ევრაზიაში ყველაზე დიდი ბაზარი;

- სამხედრო ძალის ინტენსიური მშენებლობა.

XX საუკუნის ბოლოს ჩინეთის სოფლებში მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობა დაახლოებით 800 მლნ. იყო. აქედან 700 მლნ. მიწათმოქმედებით და მეცხოველეობით იყო დაკავებული. დარჩენილი 100 მლნ. კაცი? მათთვის ვარგისიანი მიწები აღარ დარჩა. დაიწყო მიგრაცია ქალაქებში, რამაც თავის მხრივ უმუშევრობა გამოიწვია ურბანულ ადგილებში. დაახლოებით 10 მლნ. ადამიანი ყოველწლიურად გადადის ქალაქში საცხოვრებლად. თუ უახლოეს წლებში მდგომარეობა არ შეიცვლება და მიგრაციის დონე არ შემცირდება, ქალაქები ვერ მოასწრებს ახლადმოსახლეთა ათვისებას.

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, XXI საუკუნის 10-იან წლებში ჩინეთის იმპორტი ჰონკონგთან და ტაივანთან ერთად 650 მლრდ დოლარს გადააჭარბებს იაპონიის 530 მლრდ დოლარის იმპორტის წინააღმდეგ. როგორც თვითონ ჩინელები აცხადებენ, XXI საუკუნე მათი ცივილიზაციის საუკუნეა. დიდია ჩინეთის მიღწევები სამხედრო სფეროშიც. 10-15 წელში ჩინეთი იქნება ბირთვული იარაღის მქონე უდიდესი სახელმწიფო ძლიერი ეკონომიკით.

ასწლეულების განმავლობაში ჩინეთი ექსპანსიის ობიექტს წარმოადგენდა. მონღოლეთიდან დაწყებული იაპონიით დამთავრებული. ამ დროს ჩინეთს "ეძინა". თავის დროზე ნაპოლეონმა თქვა: "იქ გიგანტი წევს. მას ძინავს. დაე ეძინოს, რადგან როცა გაიღიძებს მთელს მსოფლიოს შეანჯღრევს."[229]

ჩინეთის საგარეო ეკონომიკური კავშირები

ჩინეთში ერთპარტიული პოლიტიკური სისტემის არსებობა ხელს არ უშლის უცხოელ ინვესტორებს კაპიტალდაბანდებისთვის. ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა სტაბილურია. უცხოური კაპიტალდაბანდებებიც იზრდება. 1980 წლიდან 2000 წლამდე იგი 4,5-ჯერ გაიზარდა.

ჩინეთის ექსპორტი ყოველწლიურად 25-30 %-ით იზრდება.

სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიაში დაწყებული კრიზისის გამო, XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში, ჩინეთმა დაიწყო ბაზრების დაარსება ევროპაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აშშ-ში. ამ დროს ჩინეთის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 25%-ით გაიზარდა, აფრიკაში-45%, ლათინურ ამერიკაში-38%, აშშ-ში კი-თითქმის 20%-ით. საგარეო ვაჭრობის მონაცემებით ჩინეთი მეხუთედან მეოთხე ადგილზე გადავიდა მსოფლიოში. 2003 წლის ოქტომბერში შეხვედრისას, ბანგკოკში, ბუშმა დაადანაშაულა ჩინეთის ლიდერი ხუ ცზინტაო, რომ ჩინეთი ატარებს არაკეთილსინდისიერ სავალუტო პოლიტიკას, რამაც იქამდე მიიყვანა მდგომარეობა, რომ აშშ-ს სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა ჩინეთთან მიმართებაში 103 მლრდ დოლარი შეადგინა.

რაც შეეხება რუსეთ-ჩინეთის ურთიერთვაჭრობას, რაოდენ გასაკვირის არ უნდა იყოს, 2008 წელს მაჩვენებელი იგივე იყო, რაც იყო დაახლოებით 5 წლის წინ. ამის მიზეზი მარტივია. რუსეთის ექსპორტი უფრო დასავლეთზეა ორიენტირებული. თუმცა მათი ურთიერთობა გაცილებით სტაბილურია, ხოლო იმის პროგნოზირება თუ როგორი იქნება ამ ორი გიგანტი ქვეყნის ურთიერთობა XXI საუკუნეში ცოტა სარისკოა.

ზოგიერთი რუსი გეოპოლიტიკოსი თვლის რომ ჩინეთი რუსეთისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს და ამ სიფრთხილეს საკმაო საფუძველიც აქვს.

დღესდღეობით ჩინეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ფაქტორია. პირველი ქვეყანა აღმოსავლეთ სამყაროდან, რომელმაც ხომალდი გაუშვა კოსმოსში, არა ხელოვნური თანამგზავრით, არამედ ადამიანით. ხოლო 10-15 წელიწადში ჩინეთის ისედაც დიდი გავლენა რუსეთზე უფრო გაიზრდება, განსაკუთრებით კი შორეულ აღმოსავლეთსა და ციმბირში.

[229] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". თბილისი, 2008. გვ.141

ჩინეთში საკუთარი საქონლის ექსპორტის მოცულობა გაზარდეს ინგლისმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, თუმცა ბოლო დროს ისინი ამ ქვეყანაში პირდაპირი კაპიტალდაბანდებებით უფრო არიან დაინტერესებულნი.

რაც შეეხება ჩინეთის ურთიერთობას ე.წ. "პატარა დრაკონებთან" (სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, სინგაპური, მალაიზია), ამ თანამშრომლობას მძაფრი კონკურენცია ახასიათებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩინეთის სეპარატისტულ რეგიონში-ტაივანში შეიმუშავეს გრძელვადიანი პროგრამა, რომლითაც ტაივანი არა მარტო რეგიონში არამედ მთელს მსოფლიოში უნდა გახდეს ეკონომიკური ცენტრი და დაიკავოს წამყვანი ადგილი. ამგვარი გეგმა ჩინეთშიცაა შედგენილი, ე.წ. "პუდუნის გეგმა". იგი გულისხმობს შანხაის რაიონში გიგანტურ (100 მლნ კაცი) საერთაშორისო სავაჭრო, სატრანსპორტო, ფინანსური და კულტურული ცენტრის ჩამოყალიბებას, რომელიც ლიდერის პოზიციას დაიკავებს. ეს საკითხი საყურადღებოა, თუნდაც იმიტომ რომ დიდია იმის ალბათობა, რომ XXI საუკუნეში მოხდება ორი ჩინეთის (მატერიკული ჩინეთისა და ტაივანის) გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ, რაც მას უძლიერეს საფინანსო-ეკონომიკურ იმპერიად გადააქცევს.

დემოგრაფიული პოლიტიკა

თეზისის "დემოგრაფიული იმპერიალიზმი" ავტორებმა უ. გოგუანმა და ვან ჩუაოცვიუნმა წიგნში "ჩინეთი დენ სიაპინის შემდეგ: 10 არსებითი პრობლემა" აღნიშნეს რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა დიდი საფრთხის წინაშე დადგება, ჩინელების 10%-იც კი თუ გადაწყვეტს ქვეყნის დატოვებას. ეს თეზისი უკვე ამოქმედდა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. პეკინის მთავრობამ რომც შეძლოს "ერთი ოჯახი-ერთი ბავშვი" პოლიტიკის გატარება, 2015 წლისთვის ჩინეთის მოსახლეობა სულ ცოტა 300 მლნ კაცით გაიზრდება.

ქალაქის მოსახლეობის თითქმის 1/4 უმუშევარია. ეს კი 250 მლნ ადამიანს შეადგენს. ამგვარი მაჩვენებელი როგორც წესი ემიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ჩინელები საერთოდ ძალიან შრომისმოყვარე ხალხია, უცხო ატმოსფეროში ადაპტირება არ უჭირთ, ცოტას ჭამენ, ადვილად იტანენ სიცხეს თუ სიცივეს-ეს ყველაფერი მათ საშუალებას აძლევს ყველგან იცხოვრონ.

ინტეგრაცია "დიდ ჩინეთში"

ჩინეთის სწრაფ განვითარებას და საერთოდ მის გეოსტრატეგიას ყურადღებით აკვირდება საერთაშორისო საზოგადოება. მისი პრიორიტეტი XXI საუკუნეში კიდევ უფრო გაიზარდა. ჩინეთის, ტაივანის, მალაიზიის, ფილიპინების ეკონომიკა განსაკუთრებით სწრაფად მომძლავრდა 90-იან წლებში. ეს "აზიისა და წყნარი ოკეანეთის თანამშრომლობის" შექმნის შედეგიცაა. ყოველგვარი პირობაა იმისათვის, რათა ჩამოყალიბდეს "დიდი ჩინეთი" ან "ჩინეთის საერთო ბაზარი", სადაც გაერთიანდება ჩინეთი, ტაივანი, ჰონკონგი, აომინი, სინგაპური. მათ შორის მჭიდრო ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთობები დამყარდა. მიუხედავად ურთიერთკონკურენციისა, მათ შორის ინტეგრაციის დონე იზრდება და ყალიბდება "დიდი ჩინეთის" ჩონჩხი.

ამგვარად, XXI საუკუნის პირველ ნახევარში შესაძლებელია მსოფლიო არენაზე გამოვიდეს უძლიერესი მსოფლიო სახელმწიფო. იგი დაარეგულირებს არა მარტო "დიდ ჩინეთში" მცხოვრებ ერთა ცხოვრებას, არამედ მსოფლიოში მიმოფანტულ მრავალროცხოვან ჩინელთა ცხოვრებასაც.

ამ მიმდინარე მოვლენებისადმი დიდ ინტერესს იჩენს ბევრი ქვეყანა, პირველ რიგში კი რუსეთი, რომელსაც ჩინეთთან 4000 კმ-იანი საზღვარი აკავშირებს.

ამგვარად, XXI საუკუნეში "დიდი ჩინეთი" შესაძლოა რეალობად იქცეს. ეს გეოპოლიტიკური გაერთიანება თავისი მაკროეკონომიკური მაჩვენებლით

მნიშვნელოვნად ჩამოიტოვებს გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას და დიდ ბრიტანეთს, ერთად აღებულს.

ჩინეთის გეოპოლიტიკა

ჩინეთმა 2006 წლის SIPRI-ის (სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი) მონაცემების მიხედვით, თავდაცვითი სფეროში დაფინანსების მიხედვით იაპონიას გაუსწრო და აზიაში პირველობას დაეუფლა. მისი თავდაცვის ბიუჯეტი 2008 წლის მონაცემებით დაახლოებით 50 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ხოლო იაპონიისა – 43,7 მილიარდ დოლარს.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩინეთისა და რუსეთის მაჩვენებლები მსოფლიო სამხედრო ხარჯების 3-4%-ს შეადგენს. მაგრამ ჩინეთი და რუსეთი სამხედრო დანახარჯების ზუსტი მაჩვენებლების მიღების უფლებას არ იძლევიან. ჩინეთი აგრეთვე წარმოადგენს იარაღის ყველაზე მსხვილ იმპორტიორს მსოფლიოში ინდოეთთან ერთად.

პეკინი დასავლეთთან იდეოლოგიური განსხვავებების გამო გარკვეულწილად განიხილება აშშ-ის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ. მაგალითად 2007 წელს პენტაგონის შეფმა, გეიტსმა კონგრესისაგან მოითხოვა აშშ-ის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის გაზრდა. იგივე გეიტსის თქმით, "ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდება სიტუაცია ისეთ ქვეყნებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ჩინეთი და რუსეთი, ასევე ჩრდილოეთ კორეა, ირანი, და სხვა".

აქ ალბათ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ტაივანის პრობლება – ჩინეთის ხელისუფლების მიერ ტაივანზე სამხედრო შეტევის განხორციელების შემთხვევაში არ არის გამორიცხული აშშ-ს და მისი პარტნიორების კონფლიქტში ჩარევაც.

რაც შეეხება ჩინეთის მიერ სუპერსახელმწიფოს სტატუსის შესაძლო მოპოვებას, შეიძლება ითქვას, რომ ეს კომუნისტური ქვეყანა ზესახელმწიფოს როლისთვის უკვე ემზადება. 2020 წლისათვის ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი 400 მილიარდ დოლარამდე აიწევს. ეს მართალია ამერიკის თავდაცვის ბიუჯეტის ნახევარი იქნება, მაგრამ სამაგიეროდ სხვების ბიუჯეტს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს-მაგალითად, რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი წლიური 4%-იანი ზრდის პირობებშიც კი იმ პერიოდისათვის მხოლოდ 100 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს.

კოსმოსი მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ჩინეთის შეიარაღებულ ძალებში და ამ იდეის ხორცშესხმისათვის მთელი შეიარაღება ჩინეთში იწარმოება. არაა გამორიცხული, რომ 2020 წლისათვის ჩინეთი, თავისი ეკონომიკური მოცულობით ამერიკას გაუტოლდეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ჩინეთს იგივე ინდოეთისაგან განსხვავებით სულ მცირე, რეგიონული ლიდერობის გამოცდილება და ტრადიცია უკვე გააჩნია და ზესახელმწიფოს როლისთვისაც უფრო მეტად არის მზად.

მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს რუსეთ-ჩინეთის ალიანსი. ამ მხრივ რა თქმა უნდა აღსანიშნავია ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში, სადაც ეს ორი ქვეყანაა გაწევრიანებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან - ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან ერთად.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ მოსკოვი გეგმავს ევროპაზე ორიენტირებული ენერგეტილი რესურსების ექსპორტის დივერსიფიცირებას. თავის მხრივ, ახლანდელ სიტუაციასთან შედარებით, მოსკოვი 2020 წლისათვის გემავს თავისი ენერგო-ექსპორტის აზიის მიმართულებით გაზრდას, კერძოდ, ნავთობის დღევანდელი 3-დან 30 პროცენტამდე, გაზისას-5-დან 25 პროცენტამდე. ამ ფაქტმა შეიძლება გაზარდოს დასავლეთის ქვეყნების მოთხოვნილება რუსულ ენერგომატარებლებზე და შესაბამისად გაზარდოს ფასები. ასევე მნიშვნელოვანია ჩინეთის მცდელობა განახორციელოს ნავთობის იმპორტი ირანიდან. ექსპერტთა მონაცემებით ჩინეთი ირანიდან მისი ნავთობზე მოთხოვნილების დაახლოებით 30%-ს იკმაყოფილებს. ასევე აქტუალურია ჩინეთის მცდელობა განახორციელოს

ნავთობისა და გაზის იმპორტი ცენტრალური აზიიდან, საიდანაც ენერგომატარებლების იმპორტი განზრახული აქვთ ევროპულ სახელმწიფოებს.

მაგრამ ამ პოტენციალის მიუხედავად, ჩინეთის გაძლიერება და მეორე ზესახელმწიფოს შესაძლო აღმოცენება არ ქმნის ისეთ დიდ საფრთხეს, როგორ საფრთხესაც მსოფლიო ცივი ომის დროს გრძნობდა. სხვა თუ არაფერი, აშშ და ჩინეთი ეკონომიკურად იმდენად არიან ერთიმეორეზე დამოკიდებულნი, რომ მათ შორის სერიოზული დაპირისპირება წარმოუდგენელია. ხოლო თუკი ჩინეთის გაძლიერებამ აგრესიული ხასიათი მიიღო, ეს აუცილებლად გამოიწვევს საპასუხო რეაქციას რეგიონის სხვა დიდი სახელმწიფოების-ინდოეთისა და იაპონიის მხრიდან. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის სავაჭრო ბალანსი ჩინეთის სასარგებლოდ სულ უფრო და უფრო იზრდება და ვაშინგტონის სავაჭრო დეფიციტს სულ უფრო ზრდის. 2006-2008 წლებში ვაშინგტონის უარყოფითმა ბალანსმა ჩინეთთან დაახლოებით 229 მილიარდ დოლარს მიაღწია. მიუხედავად აშშ-სათვის ნეგატიური პროცესისა, ეს თავის მხრივ ზრდის ჩინეთის ეკონომიკურ დამოკიდებულებასაც აშშ-ზე, რადგანაც ჩინეთი სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული თავისი პროდუქციის ამერიკის უმდიდრეს ბაზარზე ექსპორტირების თვალსაზრისით.

ჩინეთი საგარეო პოლიტიკაში მისდევს რუსეთისაგან განხვავებულ სტრატეგიას. თავად ჩინელები მას "მშვიდობიან აღზევებას" უწოდებენ. პროგრამა, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ იქნა მიღებული, მოწოდებულია, მსოფლიო საზოგადოებრიობა ჩინეთისადმი დადებითად განეწყოს და იმავდროულად ხელი შეუწყოს მისი გავლენის გაზრდას. როგორც ავღნიშნეთ, დღეს ჩინეთი უკვე სცილდება რეგიონული სახელმწიფოს სტატუსის ჩარჩოებს და აშკარად აცხადებს პრეტენზიებს მომავლის სუპერსახელმწიფოობაზე. ამასთანავე, როგორც გავლენიანი ამერიკული ანალიტიკური ცენტრის ექსპერტები აცხადებენ, ჩინეთის უმთავრესი ამოცანაა, არ დაუპირისპირდეს აშშ-ის და მომავლის სუპერსახელმწიფოობისკენ "ასიმეტრილული" სტრატეგიის საშუალებით იმოძრაოს.

"მშვიდობიანი აღზევება" განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებთან მიმართებაში სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებას გულისხმობს. განვითარებად ქვეყნებს ჩინეთი ეკონომიკურ თანადგომას სთავაზობს. ჩინეთ-აფრიკის 2007 წელს გამართულ ნოემბრის სამიტზე ჩინეთის ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა, აფრიკელებს 5 მილიარდი დოლარის მოცულობის შეღავათიანი სესხი გამოუყოს. ჩინეთმა მათ 1 მილიარდის დავალიანება მიუტევა და სანაცლოდ მათთან 2 მილიარდი დოლარის საერთო ღირებულების კონტრაქტები გააფორმა. იმავდროულად, ჩინეთმა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან 50 მილიარდი დოლარის საერთო ღირებულების 400-მდე ხელშეკრულება დადო.

ჩინეთის სტრატეგიის არსს საუკეთესოდ გამოხატავს ფილიპინების შემთხვევა. ამ ქვეყანამ ვერასგზით მიაღწია მსოფლიო ბანკისგან მისთვის მისაღები პირობებით სესხის აღებას მაშინ, როცა ჩინეთმა ყოველგვარი პირობის გარეშე და შეღავათიანი პროცენტით მყისვე ასესხა 2 მილიარდი დოლარი. "მსოფლიოში აფასებენ რომ ჩინეთი, განსხვავებით ამერიკისგან, არავითარ პოლიტიკურ გარანტიებს არ ითხოვს"- აცხადებენ ანალიტიკოსები. მართლაც, ჩინეთი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ამა თუ იმ ქვეყანაში დემოკრატიულია რეჟიმი თუ დიქტატორული, და სწორედ ამის წყალობითაა, რომ ქვეყანა განვითარებად სამყაროში ნელ-ნელა იპყრობს ლიდერის პოზიციას.

აქცენტის "პოზიტიურ დღის წესრიგზე" გადატანას ცდილობს ჩინეთი განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაშიც. "უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკა სულ უფრო ღია ხდება მსხვილი დასავლური კორპორაციებისათვის"-ამბობს ერთ-ერთი რუსი ექსპერტი-"და, რაც უფრო მჭიდროდ ებმევიან ისინი ჩინეთს, მით უფრო იზრდება ჩინეთის ლობისტური რესურსი დასავლეთში". ყოველივე ამის შედეგად დასავლური ბიზნესი დღეს

სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ჩინეთთან რიგიან ურთიერთობასა და ასევე ჩინეთის ეკონომიკის მომავალ განვითარებაში.

არანაკლები როლი ეკისრება კულტურულ ექსპანსიას – 2004 წელს ჩინეთის მთავრობამ მოიწონა მთელი მსოფლიოს მასშტაბით 100-ზე მეტი "კონფუციური ინსტიტუტის" შექმნის პროგრამა. ამ ინსტიტუტთა მიზანია ჩინური კულტურისა და ენის გავრცელება.

"მშვიდობიანი აღზევების" სტრატეგიის შედეგად ჩინეთი განვითარებად სამყაროშიც იმაღლებს ავტორიტეტს და დასავლეთის თვალშიც იუმჯობესებს იმიჯს. 2005 წელს ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, რომელიც აზიის, აფრიკის, ევროპისა და ამერიკის 16 ქვეყანაში ჩატარდა, 11 ქვეყანაში გამოკითხულთა 50 პროცენტზე მეტმა განაცხადა, რომ ჩინეთის მიმართ დადებითად არის განწყობილი. ეს მაშინ, რომ აშშ-მა ასეთი მაჩვენებელი მხოლოდ ოთხ ქვეყანაში მიიღო. გამოკითხვაში მონაწილეობამიღებული შვიდი ევროპული ქვეყნიდან აშშ-ის მიმართ დადებითი განწყობა მხოლოდ პოლონეთში დაფიქსირდა, დანარჩენები კი ჩინეთის მიმართ უფრო დადებითად განწყობილნი გამოდგნენ.

აშშ და ევროპა საერთო დასავლურ ცივილიზაციას მიეკუთვნებიან, რაც პირველს მეორის თვალში თითქოს აპრიორი უნდა აძლევდეს უპირატესობას ჩინეთთან შედარებით, მაგრამ მთელი საქმეც სწორედ ეგ არის, რომ ჩინეთი, რომელიც არ იზიარებს დასავლურ ღირებულებებს და თანაც კომუნისტური პარტიის მიერ იმართება, რბილი და უკონფლიქტო საგარეო პოლიტიკით იგებს.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დასავლეთსა და ჩინეთს რამდენიმე საერთო ინტერესიც გააჩნიათ. კერძოდ, ორივე მხარე მეტად დაინტერესებულია ჩინეთის მეზობლად მდებარე ჩრდილოეთ კორეაში ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული პრობლემის მოგვარებით. ასევე მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ როგორც დასავლეთის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა, ასევე ჩინეთი წარმოადგენენ ენერგორესურსების უმთავრეს იმპორტიორებს, აქედან გამომდინარე ეს ფაქტი განაპირობებს იმას, რომ ორივე მხარემ ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდის საწინააღმდეგოდ კოორდინირებული პოლიტიკა გაატარონ.

აფრიკის პოლიტიკური რუკა[230]

აფრიკა სიდიდით ევრაზიის შემდეგ მეორე კონტინენტია. მისი ფართობი კუნძულების ჩათვლით 30,3 მლნ. კმ^2-ს შეადგენს. იგი გამოირჩევა ბუნებრივი პირობებისა და ლანდშაფტების მნიშვნელოვანი თავისებურებებით. აფრიკა ერთადერთი კონტინენტია, რომელსაც ეკვატორი თითქმის შუაზე კვეთს. ამის გამო კლიმატური და გეოგრაფიული სარტყელები ეკვატორის მიმართ სიმეტრიულად მეორდება, მაგრამ მისი გულისმაგვარი ფორმის (კონფიგურაციის) გამო ჩრდ. ნახევარსფეროში მდებარე ტერიტორია ფართობით თითქმის ორჯერ აღემატება სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე ტერიტორიას.

სხვა კონტინენტებისგან განსხვავებით აფრიკა გამოირჩევა თანამედროვე პოლიტიკური რუკის განვითარება-ჩამოყალიბების ყველაზე ტრაგიკული ისტორიით. რამდენიმე საუკუნის მანძილზე იგი კოლონიურ კონტინენტს წარმოადგენდა. კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების ისტორია შავ, სამარცხვინო ლაქად ატარებს მონავაჭრობის ეპოქას, რამაც აფრიკის მკვიდრ მოსახლეობასა და მის გენოფონდს მოუშუშებელი ზიანი მიაყენა.

აფრიკაში ცხოვრობს 415 მილიონ კაცზე მეტი. მოსახლეობა მეტად არათანაბრადაა განლაგებული. სუსტად დასახლებული და დაუსახლებელია უდაბნოები – საჰარა, ნამიბი. აქ 1კვ.კმ-ზე 1 კაცზე ნაკლები მოდის. აგრეთვე არის რაიონები, რომლებიც სრულიად უკაცრიელია. საპირისპირო სურათია ნილოსის ქვემო

[230]Xარიტ
ონაშვილი, ჟღენტი. მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია. თბილისი, 1999 წ.

დინებაში, სადაც 1კვ.კმ-ზე 1000-ზე მეტი კაცი მოდის. ეს არის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ოლქი მთელ დედამიწაზე.

აფრიკაში ცხოვრობს ევროპული, ეკვატორული, ანუ ნეგროიდული და მონგოლოიდური რასის ხალხები. კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობენ აფრიკის უძველესი მოსახლენი-ბერბერები და არაბები. მატერიკის დიდი ნაწილი, საჰარიდან უკიდურეს სამხრეთამდე დასახლებულია ნეგროიდებით. აფრიკაში ცხოვრობს ყველაზე დაბალი ხალხი-ნეგრიდები, ანუ პიგმეები (რომელთა საშუალო სიმაღლე მამაკაცისა დაახლოებით 140სმ-ია, ქალისა – 130სმ) და ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხალხი ნილოსის აუზში (მამაკაცების საშუალო სიმაღლე 182სმ-ია). აბისინიის მთიანეთი დასახლებულია ეთიოპელებით, რომლებიც ევროპელებსა და ნეგროიდების შერეული ქორწინების შედეგად წარმოიშვნენ და წარმოადგენენ გარდამავალი რასას ევროპეიდებსა და ნეგროიდებს შორის.

დღეისთვის კონტინენტზე 50-ზე მეტი სახელმწიფოა, რომელთა უმეტესობა XXს-ის შუა პერიოდამდე კოლონიებს წარმოადგენდა. კერძოდ: სუდანი, კენია, უგანდა, ნიგერია, განა, სიერა-ლეონე, გამბია, კუნძ. სოკოტრა და სეიშელის კუნძულები, სამხრეთი აფრიკა ინგლისის მფლობელობაში იყო.

საფრანგეთის კუთვნილება იყო ალჟირი, ცენტრალური და დას. აფრიკა. იტალია ფლობდა ლიბიას, სომალის ნაწილს, ერითრეას. ბელგიას ეკუთვნოდა კონგო.

1960 წელი ისტორიაში შევიდა, როგორც აფრიკის კოლონიური უღლისგან განთავისუფლების წელი. მარტო ერთი წლის განმავლობაში დამოუკიდებლობა მიიღო 17-მა სახელმწიფომ. 60-იან წლებში დამოუკიდებელი გახდა კიდევ 15 სახელმწიფო. ყველა მათგანი დამოუკიდებელია, გაურკვეველია მხოლოდ დას. საჰარის სტატუსი – ჯერჯერობით იგი მაროკოზეა მიერთებული. თუმცა გაერო ვარაუდობს რეფერენდუმის ჩატარებას ტერიტორიის საბოლოო ბედის გადასაწყვეტად.

კონტინენტზე 3 კონსტიტუციური მონარქიაა: ლესოტო, მაროკო და სვაზილენდი. აფრიკაში მხოლოდ ერთი განვითარებული ქვეყანაა – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ყველა დანარჩენი განვითარებადია.

აფრიკაში მოქმედებს რამოდენიმე რეგიონალური გაერთიანება: აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა, ცენტრალური აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობა, არაბული მაღრიბის კავშირი, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა და ა.შ.

აზიის პოლიტიკური რუკა[231]

აზია ფართობის მიხედვით და მოსახლეობის რაოდენობის მხრივ უდიდესი კონტინენტია მსოფლიოში. იგი გადაჭიმულია აღმოსავლეთით წყნარი ოკეანიდან დასავლეთით ურალამდე, ჩრდილოეთ არქტიკიდან სამხრეთ ეკვადორამდე.

აზიის ლანდშაფტები მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ძველ მთებს უკავია. ახალგაზრდა მთათა სისტემები ქმნიან ორ უწყვეტ ზოლს. აზიაში მდებარეობს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ვაკე, უმაღლესი მთათა სისტემები, ზეგნები და ა.შ. აზია მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით: ნავთობითა და გაზით, ნახშირით, რკინით, კალით და ა. შ. კონტინენტი ძალზედ მდიდარია მდინარეებით და ტბებით, მრავალფეროვანია ფლორა და ფაუნა. აზიის უმაღლესი მწვერვალია ჯომოლუნგმა–8848 მ. სიმაღლით, ყველაზე დაბალი ადგილია მკვდარი ზღვის სანაპირო–400 მ. ზღვის დონიდან. აზიის უდიდესი კუნძულია ბორნეო, ხოლო უდიდესი ნახევარ კუნძულია არაბეთის ნ/კ.

დღეისათვის აზიაში 3,4 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. აზიის ტერიტორიაზე გავრცელებულია მსოფლიოში არსებული თითქმის ყველა სახის რელიგიური

[231]ხარიტონაშვილი, ჟღენტი. მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია. თბილისი, 1999 წ.

მიმდინარეობა. მჭიდროდ დასახლებული ქვეყნებია: სინგაპური, მალდივი, ბანგლადეში.

ტერიტორიის სიდიდე, მოსახლეობის სიჭრელე და პოლიტიკური რუკის თავისებურებანი მრავალფეროვან ეკონომიკურ სიტუაციას აყალიბებს. აზიაში მდებარეობს ეკონომიკური თვალსაზრისით ისეთი მაღალგანვითარებული სახელმწიფო, როგორიცაა იაპონია, სულ უფრო და უფრო მზარდი და ეკონომიკურად ცვალებადი ქვეყანა–ჩინეთი.

კონტინენტზე ტრადიციულად გამოყოფენ სამ "კულტურულ სამყაროს"–ინდურს, ჩინურს და არაბულ–ისლამურს. მსოფლიო რელიგიების უდიდესი ნაწილი სწორედ აზიაში წარმოიშვა. აზია უძველესი ცივილიზაციების მემკვიდრეა, მსოფლიოს მდინარეთა სანაპიროებზე აღმოცენებული ოთხი ცივილიზაციიდან სამი აზიაში მდებარეობს.

აზიის პოლიტიკურ რუკაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც კოლონიური სისტემის დაშლის შედეგად შეიქმნა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები. აზიის ტერიტორიის 1/3–ზე მეტი ყოფილ საბჭოთა სივრცეს უკავია, კერძოდ რუსეთის ფედერაციის აზიურ ნაწილს და ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის და თურქმენეთის ტერიტორიებს.

მსოფლიოში სოციალისტური სისტემის დაშლის შედეგად აზიის კონტინენტზე ამ ორიენტაციის ქვეყნად დარჩა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ უდიდესი სახელმწიფო - ჩინეთი, ასევე ვიეტნამი, ჩრდ. კორეა, ლაოსი.

დანარჩენი სახელმწიფოებიდან 20 რესპუბლიკაა, 14 მონარქია.

აზიაში დღევანდელ ეტაპზე ფუნქციონირებს რამდენიმე რეგიონული ორგანიზაცია – სამხრეთ აზიის თანამშრომლობის რეგიონული ასოციაცია, სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია, აზიის განვითარების რეგიონული ასოციაცია.

სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა უმრავლესობა გაერთიანებულია ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია–ოპეკში. "ცივი ომის" პერიოდში აზიის ტერიტორიაზე მოქმედებდა სამხედრო ბლოკები–სენტო და სეატო.

ამჟამად აზიის პოლიტიკურ რუკაზე 45 სუვერენული სახელმწიფოა

ავსტრალია და ოკეანეთის პოლიტიკური რუკა[232]

რეგიონის უდიდესი სახელმწიფო-ავსტრალია, როგორც სახელმწიფო ამერიკის მსგავსად კოლონიალიზმის ეპოქის დროს შეიქმნა. ევროპულ კოლონიზაციას საფუძველი ჩაუყარა ჯ. კუკის მოგზაურობებმა. მან ბრიტანეთის სამფლობელოდ გამოაცხადა მისი ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ავსტრალიის აღმ. სანაპირო 1770 წელს და ამ მიწებს უწოდა "ახალი სამხრეთ უელსი". 1778 წლის 26 იანვარს კაპიტანმა ფილიპმა დააფუძნა პირველი დასახლება. 1827 წელს დიდმა ბრიტანეთმა სუვერენიტეტი მთელ კონტინენტზე გამოაცხადა. 1801 წელს მოხდა ავსტრალიის კოლონიების გაერთიანება. ამ დროისთვის 6 კოლონია არსებობდა. ისინი აღმოცენდნენ ახალი მიწების ათვისების დროს: ახალი სამხრეთ უელსი 1788 წელს, ტასმანია 1825 წელს, დასავლეთ ავსტრალია 1830 წელს, სამხრეთ ავსტრალია 1836 წელს, კვინსლენდი 1859 წელს. გაერთიანებას ეწოდა ავსტრალიის კავშირი და ამ კავშირმა მიიღო დიდი ბრიტანეთის დომინიონის სტატუსი. 1931 წლის ვესტმინსტერის სტატუტით ავსტრალიამ მიიღო სრული დამოუკიდებლობა მეტროპოლიისაგან და გახდა ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი.

ოკეანეთში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალი ზელანდიაც, რომელიც ასევე დიდი ბრიტანეთის კოლონიას წარმოადგენდა და ამჟამად ბრიტანეთის

[232]ხარიტონაშვილი, ჟღენტი. მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია. თბილისი, 1999 წ.

თანამეგობრობაშია გაერთიანებული. რაც შეეხება კუნძულებს, ისინი დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის სამფლობელოებს წარმოადგენდნენ. თანამედროვე ეტაპზე ზოგი კუნძული დამოუკიდებელია და ზოგს დამოკიდებული(ფორმალურად თუ რეალურად) ტერიტორიის სტატუსი გააჩნია. ავსტრალია, ახალი ზელანდია - დიდი ბრიტანეთის დომინიონებს წარმოადგენენ; ახალი კალედონია, საფრანგეთის პოლინეზია – საფრანგეთის ზღვის გადაღმა დეპარტამენტის შემადგენლობაშია; აღმოსავლეთ სამოა და გუამი აშშ-ს სამფლობელოებს წარმოადგენენ; დასავლეთ სამოა, პაპუა-ახალი გვინეა, ტუვალუ დამოუკიდებელი ქვეყნებია, რომლებიც ერთა თანამეგობრობაში შედიან; რაც შეეხება ვანუატუს, კირიბატის, ნაურუსა და პალაუს, ამ ქვეყნებში რესპუბლიკური მმართველობის ფორმაა; კუკის კუნძულები, ნიუე, ტოკელაუ-ახალი ზელანდიის სამფლობელოებია; მარშალის კუნძულებს, მიკრონეზიის ფედერაციულ შტატებს, ჩრდ. მარიანის კუნძ-ბის თანამეგობრობას აშშ-სთან თავისუფალი ასოციაციის სტატუსი გააჩნიათ; ნორფოლკის კუნძული, ქოქოსის კუნძ-ები, შობის კუნძული -ავსტრალიის სამფლობელოა; პიტკერნი-დიდი ბრიტანეთის სამფლობელოა; რაც შეეხება ტონგას, ამ ქვეყანას საკუთარი მონარქი ჰყავს.

ამერიკის პოლიტიკური რუკა

ამერიკის თანამედროვე პოლიტიკური რუკა მე-18 და მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. ამერიკის ტერიტორიები მანამდე განაწილებული იყო დიდ კოლონიალურ სახელმწიფოებს - ინგლისს, საფრანგეთს, ესპანეთს, პორტუგალიას და ჰოლანდიას შორის, მიუხედავად იმისა, რომ იქ უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ინდიელთა სხვადასხვა აბორიგენი ტომები.

მე-15 და მე-16 საუკუნეების მიჯნაზე დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ჩრდ. ამერიკის დიდი ნაწილი დაიპყრო ინგლისმა და მათ დღევანდელი აშშ-ს ტერიტორიაზე შექმნეს ინგლისური კოლონიები. 1776 წელს ფილადელფიაში მიღებულ იქნა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლის საფუძველზეც ამავე წლის 4 ივლისს გამოცხადდა აშშ-ს 13 შტატის დამოუკიდებლობა. ბრიტანეთ-ამერიკის ომების შედეგად, ხოლო ბრიტანეთმა აშშ-ის დამოუკიდებლობა ცნო 1783 წელს. ამ დროიდან იწყება აშშ-ს ტერიტორიის ზრდა. 1783 წელს აშშ-ს განკარგულებაში გადავიდა საფრანგეთის დიდი ლუიზიანის აღმ. ნაწილი. 1803 წელს კი ლუიზიანის დას. ნაწილი. 1810-1812 წლებში აშშ-მ შეიერთა ესპანეთის ფლორიდა და საფრანგეთის მისისიპის შესართავი. 1846 წელს – ტეხასი. 1846-1848 წლების მექსიკა–აშშ-ს ომის მსვლელობისას ამერიკამ მიიტაცა დაახლოებით 2 მლნ. კვ. კმ. (კალიფორნია, ტეხასი, ფლორიდა და ა.შ) ტეხასსა და წყნარი ოკეანის სანაპიროს შორის. 1846 წელს ბრიტანეთმა აშშ-ს დაუთმო ორეგონი, სადაც შეიქმნა შტატები: ვაშინგტონი, ორეგონი და აიდაჰო. 1867 წელს აშშ-მ იყიდა რუსეთისგან ალიასკა 7 მლნ. დოლარად და ბოლოს, 1898 წელს ესპანეთთან ომის შედეგი იყო ჰავაის კუნძულების მიერთება. ასე მიიღო აშშ-მ თავისი თანამედროვე სახე.

კანადა: კანადის ევროპეიზაციამდე აქ ასევე ცხოვრობდნენ ინდიელები. 1500 წელს ნიუფაუნდლენდზე აღმოცენდა პირველი ინგლისური დასახლება სენტ-ჯონსი. 1603 წელს კი დაიწყო ფრანგული კოლონიზაცია. ფრანგების მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე შექმნილ იქნა კოლონია ”ახალი საფრანგეთი”, ცოტა მოგვიანებით იგივე კვებეკი. მე-18 საუკუნის შუა ხანებამდე არსებობდა ორი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული: ზემო კანადა(ინგლისის სამფლობელოები) და ქვემო კანადა(საფრანგეთის სამფლობელოები). 1763 წლიდან კანადა ინგლისის კოლონიაა, ხოლო 1867 წლიდან ბრიტანეთის იმპერიის დომინიონი.

კანადა და აშშ შედიან მსოფლიოს “დიდ შვიდეულში”. ფაქტიურად ჩრდ. ამერიკის კონტინენტს ეკუთვნის დანიის ტერიტორია–კუნძ. გრენლანდია, რომელსაც ფართო ავტონომია გააჩნია. ჩრდილოეთი და სამხრეთ ამერიკის კონტინენტების

დანარჩენ ნაწილს როგორც ცნობილია ლათინურ ამერიკას უწოდებენ. აქ მდებარეობს 40 სახელმწიფოზე მეტი.

ლათინური ამერიკის ტერიტორიების ძირითად მფლობელებს წარმოადგენდნენ ესპანეთი და პორტუგალია. მე-19 საუკუნის დასაწყისში ლათინური ამერიკის ესპანეთისა და პორტუგალიის სამფლობელოებში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სიმონ ბოლივარის მეთაურობით, რომლის შედეგადაც დამოუკიდებლები გახდნენ ბრაზილია, არგენტინა, ჩილე, პერუ, ბოლივია, ვენესუელა, პარაგვაი, ურუგვაი და სხვა. დაახლოებით ამავე პერიოდში მოიპოვა სუვერენიტეტი მექსიკამაც. ამავე დროს ცენტრალურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში რჩებოდა ბევრი კოლონიური სამფლობელო, რომლებიც ეკუთვნოდა დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ნიდერლანდებს. მათი ნაწილი დღესაც წარმოადგენს ევროპული სახელმწიფოების სამფლობელოებს. მაგ: ანტილიის კუნძულები ეკუთვნის ნიდერლანდებს; ბერმუდის კუნძულები - ბრიტანეთს; გვადელუპა, საფრანგეთის გვიანა, მარტინიკა - საფრანგეთს და სხვა.

ევროპის პოლიტიკური რუკა

ევროპის თანამედროვე პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბებაზე XX საუკუნეში უდიდესი გავლენა მოახდინეს პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა, აგრეთვე გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარმა ცვლილებებმა.
1990-91 წლებში სსრკ-ის დაშლის შედეგად დამოუკიდებლობა მოიპოვა 15-მა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ.

იუგოსლავია დაიშალა ექვს სახელმწიფოდ: სერბეთი, მონტენეგრო, ხორვატია, სლოვენია, მაკედონია, ბოსნია-ჰერცოგოვინა. ჩეხოსლოვაკია გაიყო ორად: ჩეხეთად და სლოვაკეთად (1993 წელს).

ევროპის ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მრავალი ნიშნით. ეს განსხვავებები საშუალებას იძლევა კარგად გავეცნოთ ევროპის პოლიტიკურ რუკას.

ტერიტორიის სიდიდის მიხედვით ევროპის კონტინენტზე უდიდესი სახელმწიფოა – რუსეთი (17,1 მლნ კვ.კმ). 12 საშუალო სიდიდის სახელმწიფო, რომელთა ფართობები მერყეობს 0,2 მლნ კვ.კმ-დან 1,0 მლნ კვ. კმ-მდე. (პოლონეთი, შვედეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ბელარუსი, ესპანეთი, იტალია, ნორვეგია, რუმინეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი). ამჟამად, ევროპის კონტინენტზე ჭარბობს მცირე ზომის ქვეყნები, რომელთა შორის გამოიყოფა "ჯუჯა"სახელმწიფოები (ანდორა, სან-მარინო, ვატიკანი, მალტა, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი).

მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ევროპაში უმსხვილეს სახელმწიფოს წარმოადგენს რუსეთი, სადაც ცხოვრობს 147,2 მლნ. ადამიანი. მსხვილ სახელმწიფოებს ევროპის პოლიტიკურ რუკაზე წარმოადგენენ: გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი, უკრაინა, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 50 მლნ-დან 100 მლნ-მდე მერყეობს. საშუალო ქვეყნებს ევროპის 11 სახელმწიფო მიეკუთვნება - 10-დან-50 მილიონამდე მოსახლეობით (ბელგია, ბელარუსი, ესპანეთი, ნიდერლანდები, პოლონეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, პორტუგალია, სერბეთი). მოსახლეობის რაოდენობის მხრივაც ევროპაში ჭარბობს პატარა ქვეყნები 10 მილიონზე ნაკლები მოსახლეობით.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობას. სახელმწიფოს მდებარეობა არახელსაყრელად ითვლება თუ მას ზღვაზე ან ოკეანეზე გასასვლელი არა აქვს. ევროპის კონტინენტზე ასეთი ქვეყნებია: სომხეთი, მოლდოვა, შვეიცარია, ავსტრია, ჩეხეთი, ანდორა, ვატიკანი, სლოვაკეთი, ლუქსემბურგი, უნგრეთი.

დღეისათვის ევროპაში 50-მდე ქვეყანაა. მათგან 12 მონარქიული ქვეყანაა-ყველა მათგანში კონსტიტუციური მონარქიაა ვატიკანის გარდა, სადაც არსებობს თეოკრატიული მონარქია. რაც შეეხება რესპუბლიკური მმართველობის ფორმას, აქ

სჭარბობს საპარლამენტო რესპუბლიკები – (გერმანია, იტალია, ავსტრია) და შერეული – ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის მქონე ქვეყნები (უკრაინა, პოლონეთი, საქართველო, სომხეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩეხეთი და სხვ.)

ევროპაში გამონაკლისია სახელმწიფო ანდორა, სადაც ერთდროულად ორი სახელმწიფოს (ესპანეთი, საფრანგეთი) პროტექტორატი ვრცელდება.

ევროპის ტერიტორიაზე მოქმედებს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია: ევროკავშირი, ევროპის საბჭო, დსთ.

ევროპის 27 სახელმწიფო არის ევროკავშირის, ხოლო 24 ნატო-ს წევრი.

თავი VIII

საქართველოს როლი და ადგილი თანამედროვე გეოპოლიტიკურ სისტემაში

საქართველომ-მსოფლიოს ერთ-ერთმა უძველესმა ქვეყანამ, სახელმწიფოებრივი განვითარებისა და აღმშენებლობის ხანგრძლივი ისტორიული პროცესი გაიარა და დღევანდელ დღეს, დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენს. გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, იგი ევრაზიის გზაჯვარედინზე მდებარე უნიკალური რეგიონის-კავკასიის ნაწილია, ხოლო ისტორიულად, ქართველური ტომების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ცნობილი – კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოების მემკვიდრე.

ძვ.წ. VI საუკუნეში სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონში ჩამოყალიბებულ პირველ ქართულ სახელმწიფო – კოლხეთის (მოგვიანებით მას ეგრისი ეწოდა) სამეფოში განვითარებული იყო მიწათმოქმედება, ხელოსნური წარმოებით, ვაჭრობით. ამ მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს სახელმწიფოში იჭრებოდა ვერცხლის ფული-კოლხური თეთრი. კოლხეთი ცნობილი იყო ოქროს მოპოვებითა და დამუშავებით, რისი ნათელი დადასტურებაა ბერძნული მითოლოგიური თქმულება არგონავტებზე.

ამავე დროს, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ძველ ისტორიულ ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო – იბერია (ადგილობრივად ქართლი), ახ. წ. I-II საუკუნეებში სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში რომის იმპერიასაც კი უწევდა წინააღმდეგობას.

IV ს. 30-იან წლებში, ქართლში ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ხელი შეუწყო მონოთეისტური რწმენისა და ქართული

დამწერლობის განვითარებას, ასევე ცალკეული ქართული ისტორიული რეგიონების დაახლოების პროცესს. ამ შეუქცევადმა პროცესმა თავის მხრივ დასაბამი დაუდო საერთო ეთნიკური თვითიდენდიფიკაციის განვითარებას, ხოლო მომავალ თაობებს მათი სამკვიდრო ტერიტორიის ანუ დედასამშობლოს ცნობიერება ჩამოუყალიბა.

ტერიტორიის ფორმირება. მსოფლიო ისტორიაში ცნობილია სხვადასხვა სახელმწიფოთა ტერიტორიების ტრანსფორმაციის (გაფართოების ან შევიწროების) ბევრი მაგალითი. აღნიშნულ პროცესს ვერც საქართველო გაექცა და იგი მეტად მტკივნეულად იქნა ასახული საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაშიც, რომლის დროსაც მიმდინარეობდა არა მარტო ქვეყნის ტერიტორიის გაზრდის, ხოლო ხშირ შემთხვევაში ქართული სახელმწიფოს დაქუცმაცების, მისი ცალკეული რეგიონების მიტაცების, გასხვისების, ოკუპირების და სხვა ნეგატიური მოვლენები. ზემოაღნიშნული პროცესების შედეგად მოხდა ქვეყნის ფართობის სიდიდის მრავალჯერადი ცვლილება.

ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ახ.წ. IV ს. ჩათვლით, ქართული სახელმწიფოები იმ ტერიტორიებზე ვითარდებოდნენ, რომელიც ძირითადად ქართული მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. ეს მიწები მოიცავდა მდინარეების – ჭოროხისა და მტკვრის აუზების ვრცელ ტერიტორიას ნიკოფსიიდან ტრაპიზონამდე და კავკასიონიდან თითქმის გოქჩის (სევანის) ტბამდე, ხოლო აღმოსავლეთით – ალბანეთამდე (აზერბაიჯანი). საქართველოს ისტორიის მომდევნო ეტაპებზე, როდესაც აღმოცენებულ იქნა ახალი ქართული სამეფო-სამთავროები, ბიზანტიის იმპერიის, არაბთა სახალიფოსა და თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლების ფონზე, მიუხედავად ტერიტორიული დანაკარგებისა, სისხლის ფასად ძირითადად ინარჩუნებდნენ თავიანთ საცხოვრებელ მიწებს. მათი ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის ცნობიერება განპირობებული იყო ერისა და სარწმუნოების ერთიანობით. X ს.



(ენდრიუ ანდერსონის რუქა. 2004 წ.)

გამოჩენილი ქართველი მწერლის – გიორგი მერჩულეს აზრით, ქართლი (საქართველო) არის ყველგან, სადაც კი ქართული ღვთისმსახურება ქართულ ენაზე

სრულდება: “ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.”[233]

X-XI სს. მიჯნაზე, შიდა და გარე პროცესების განვითარების შედეგად იწყება ქვეყნის გაერთიანების პროცესი, რომელიც XII საუკუნის პირველ ნახევარში დავით აღმაშენებელმა ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნით დაასრულა. XII საუკუნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორია გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე (დერბენტი) და ოსეთიდან არაგაწამდე (სომხეთი).

XIII ს. დასაწყისში, თამარის მეფობის პერიოდში, საქართველო ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა როგორც ქართული მიწები (აფხაზეთი, ოდიში, სვანეთი, რაჭა, გურია, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ჭანეთი, არტაანი, თორთომი, ოლთისი, პარხალი, კოლა, ჯავახეთი, სამცხე, თრიალეთი, თორი, არგვეთი, თაკვერი, ქართლი, ტაშირი, დვალეთი, ხევი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, კახეთი, ჰერეთი და სხვ.), ასევე ანისის სამეფო (სომხეთი) და შირვანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.

მომდევნო საუკუნეები საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასუსტებისა და ტერიტორიის თანდათანობითი შემცირების პერიოდს წარმოადგენენ, რასაც დასაბამი მისცა ხვარაზმის მმართველის ჯალალ-ედ-დინისა და მონგოლთა შემოსევებმა. აღზევებული სპარსელები, ოსმალოები და თემურლენგის მიერ ისლამის რჯულზე მოქცეული კავკასიის მთიელები ქართული ისტორიული მიწების გამუსულმანების და მიტაცების მთავარ წარმმართველ ძალებად იქცნენ. XVI ს. მეორე ნახევარში ოსმალეთმა მოახერხა საქართველოსთვის ჩამოეშორებინა სამხრეთში მდებარე მსხვილი ფეოდალური სამთავრო-სამცხე-საათაბაგო და “გურჯისტანის ვილაიეთი” შექმნა. XVIIს. დამლევს, ირანის შაჰმა - შაჰ-აბასმა ქართლის კუთვნილი ლორეს ველისა და მდ. ებედას ხეობის ოკუპაცია მოახდინა, სადაც თურქმანული ტომი – ბორჩალუ ჩაასახლა, ხოლო კახეთის სამეფოს კაკენისელის მხარე (საინგილო) ჩამოაცილა.

XVIII ს. დამდეგის საქართველოს პოლიტიკური სურათი ნათლადაა წარმოადგენილი ვახუშტი ბაგრატიონის შესანიშნავ თხზულებაში (“აღწერა სამეფოისა საქართველოსა”) და მისივე გეოგრაფიულ ატლასში. გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი ერთნაირი გულისხმიერებით აღწერს როგორც იმდროინდელი ქართული სამეფოებისა და სამთავროების შემადგენლობაში შემავალ, ისე მტრის მიერ მიტაცებულ მიწებს, რომლებიც ავტორის მიერ მისი სამშობლოს განუყოფელ ნაწილად აღიქმება.

ვახუშტის დროინდელი საქართველოს ტერიტორია-მისი ყველა სამეფო-სამთავროების ჩათვლით, 134 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა, რაც თითქმის ორჯერ აღემატება საქართველოს თანამედროვე ტერიტორიის ფართობს.

XIX საუკუნე, განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი – დაქუცმაცებული საქართველოს რიგი პოლიტიკური ერთეულების (ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოები, აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის, სვანეთის სამთავროები, ახალციხის საფაშო და ა.შ.) რუსეთის იმპერიის მიერ თანდათანობით დაპყრობისა და ანექსიის პერიოდია. მიუხედავად რუსეთის იმპერიის მესვეურთა მცდელობებისა, ცარიზმის კოლონიური ინტერესების საპირისპიროდ, საქართველოში ძლიერდება ეროვნული კონსოლიდაცია და ვითარდება დემოკრატიული კულტურა. ამ ფაქტორების შედეგად, მომზადებულ იქნა გარკვეული ნიადაგი იმისათვის, რათა, რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ქართველ ხალხს 117 წლის წინ დაკარგული დამოუკიდებლობა და ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღედგინა.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მოქცეული იყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, სოხუმის, ბათუმის, ართვინის, ზაქათალის (საინგილოს),

[233]საქართველოს გეოგრაფია. II ტომი. საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის გამომცემლობა. 2003 წ.

არტაანის (არდაგანი) და ოლთისის ოკრუგების ფარგლებში. ამ ტერიტორიების საერთო ფართობი 90 ათას კვადრატულ კილომეტრამდე აღწევდა. სწორედ აღნიშნულ სივრცეზე შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

1918-1921 წლებში საქართველოს ტერიტორიის ფართობი 89 754,46 კვ.კმ-ს, მოსახლეობის რაოდენობა კი 3 მლნ კაცზე მეტს აღწევდა.

საქართველოს იურისდიქციაში ტერიტორიების დამკვიდრებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის პარიზის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოთხოვნის ტექსტი და თანდართული რუკა უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, რესპუბლიკის საზღვარი უნდა გატარებულიყო: დასავლეთით – მდ. აკოფსეზე (ტუაფსეს რაიონი), აღმოსავლეთით – მდ. გიშის წყალზე და შემდეგ მდ. ალაზანზე, სამხრეთით – მდ. მტკვრის, არაქსისა და ოლთისის (მდ. ჭოროხის შენაკადი) ზემო წელის წყალგამყოფებზე, რომლის ძალით არტაანის და ოლთისის რეგიონების ტერიტორიები საქართველოს ფარგლებში შევიდოდა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის საზღვარი უნდა დამთხვეოდა ტრაპიზონის ვილაიეთის ანუ რუსეთ-თურქეთის საზღვარს. საქართველოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიის ფართობი 94,7 ათას კვ. კმ-ს უტოლდებოდა.

მაგრამ ორი დიდი სახელმწიფოს - საბჭოთა რუსეთისა და გერმანიის, ხოლო შემდგომში საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის საზავო (ბრესტ-ლიტოვსკი, 1918 წ. მარტი) და სახელშეკრულებო (ყარსი, 1921 წ. ოქტომბერი) მოლაპარაკებების შედეგად, როგორც მენშევიკების, ასევე ბოლშევიკების მმართველობის პერიოდში საქართველომ თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში აღმოჩნდა ართვინის (3 271,35 კვ.კმ), არტაანის (5604,54 კვ.კმ), ოლთისის (2983 კვ.კმ), აზერბაიჯანს კი გადაეცა ზაქათალის (3985,55 კვ.კმ) ოკრუგების ტერიტორიები, სულ 15 844,94 კვ.კმ.

გასაბჭოების შემდეგ, თბილისისა და სიღნარის მაზრებიდან აზერბაიჯანმა დამატებით მიიღო 1093 კვ.კმ - გარეჯ-ყარაიისა და ელდარის სტეპების ნაწილი. 1929 წელს ჩაჩნეთს გადაეცა შატილის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი – ტერეტეგის მიდამოები (212 კვ.კმ). სომხეთზე უკვე გადაცემული იყო 2478 კვ.კმ ტერიტორია. საბოლოოდ, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის პერიოდიდან - 1921 წლიდან, 1935 წლის ჩათვლით, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ნებით თუ ენებლიეთ, 19 191, 46 კვ.კმ ქართული მიწა გაასხვისა.

ტერიტორიების გადანაწილების მანკიერი პრაქტიკა განსაკუთრებით საბჭოთა სინადვილეში დამკვიდრდა, როდესაც ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა მხოლოდ ფორმალურად იყო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წარმონაქმნი, და არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს. ამდენად, რესპუბლიკების სასაზღვრო ტერიტორიების გასხვისება-გადანაწილება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების ანგარიშგაუწევლად და ხშირად ცენტრალური მთავრობის მაღალჩინოსანთა ნებით ან კარნახით ხდებოდა, რომლის ძირითად მიზანს "დაყავი და იბატონე"-ს პრინციპი წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბოლშევიკურმა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა მოწყობამ ბევრგან, მათ შორის საქართველოშიც, საკონფლიქტო ნაღმები და მოუგვარებელი სასაღვრო პრობლემები დატოვა.

საბოლოოდ, 1991 წლის ბოლოს, რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ მემკვიდრეობით მიიღო ყოფილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კუთვნილი და გაეროს მიერ (1992 წ.) აღიარებული ტერიტორია, რომლის ფართობი 69,7 ათასი კვ. კმ-ია.

ამრიგად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველოს ტერიტორიის ფართობები პირობითად შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა.

ძვ.წ. ა. I ათასწლეულის მეორე ნახევარში – 140,4 ათასი კვ.კმ.
I-IV საუკუნეებში – 134,2 ათასი კვ.კმ.

IX-X საუკუნეებში – 131 ათასი კვ.კმ
XII-XIII საუკუნეებში – 145 ათასი კვ.კმ
XVI საუკუნის მეორე ნახევარში – 133 ათასი კვ.კმ
XX საუკუნის დასაწყისისათვის – 89,7 ათასი კვ.კმ
XXI საუკუნის დასაწყისისათვის – 69,7 ათასი კვ.კმ[234]

ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობის განსაზღვრისას, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიის კონფიგურაციას. იგი განსაზღვრავს სატრანსპორტო ქსელის, შიდარაიონული კავშირების, სასაზღვრო ხაზის თავისებურებებს, გავლენას ახდენს საზღვრის დაცვაზე, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაზე, სამხედრო სტრატეგიის შემუშავებასა და სხვ.

საქართველოს, პირობითად, წაგრძელებული რომბის ფორმა გააჩნია, რომლის გრძელი დიაგონალის სიგრძე 600 კმ-ს აღემატება. მისი უკიდურესად შევიწროებული კუთხის ნაწილები ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში მდებარე გაგრის (ჩრდილო-დასასვლეთში) და სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე დედოფლისწყაროს (სამხრეთ-აღმოსავლეთში) რაიონებს უკავიათ. საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრად კი იმერეთში მდებარე ტერიტორია -ხარაგაულის რაიონი, მდ. რიკოთულას და მდ. შათევზეღელეს შერთვის ადგილი ითვლება.

მდებარეობა. ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველო განლაგებულია ევროპისა და აზიის სასაზღვრო არეალში (იგი ცნობილია ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის-კავკასიის სახელწოდებით), კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთით, კერძოდ, ამიერკავკასიის ანუ ახალი ტერმინოლოგიით სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, და მოქცეულია ნოტიო სუბტროპიკურ კლიმატურ სარტყელში.

XIX საუკუნეში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველო იმპერიის განაპირა რაიონებს შორის და ისლამურ სამყაროსთან (ოსმალეთი, ირანი) ურთიერთობის საკონტაქტო რეგიონად გადაიქცა. ამრიგად, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის პრაქტიკული რეალიზაცია ამ იმპერიალისტური სახელმწიფოს ინტერესებს დაექვემდებარა. კავკასიაში, რეგიონის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობის გამო, რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ ფორფოსტად ქცეული საქართველო და მისი მთავარი ქალაქი თბილისი გარედან შემოსული არაქართული მოსახლეობის დამკვიდრების ადგილი გახდა.

საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ პერიოდში, როცა საქართველოს ტერიტორია სსრკ-ის შემადგენელ ნაწილად იქცა, გეოგრაფიულმა გა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ გარკვეული ცვლილება განიცადა; კერძოდ, დაიკეტა სამხრეთის გზა (თურქეთსა და ირანთან), ამავე დროს გაუმჯობესდა ცენტრალურ რუსეთთან კავშირი (სოხუმი-ადლერის რკინიგზის გაყვანის შემდეგ), დამყარდა კავშირები ცენტრალური აზიის რესპუბლიკებთან.

მაგრამ გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობა სრულფასოვნად მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში განისაზღვრება, როდესაც სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს საკუთარ საგარეო პრიორიტეტებს და სხვადასხვა სახელმწიფოებთან ან ტერიტორიებთან ეკონომიკური თუ საკომუნიკაციო ურთიერთობები უშუალოდ ქვეყნის ინტერესებზეა დამოკიდებული.

გეოპოლიტიკური მდებარეობის ზოგადი მახასიათებლების მიხედვით საქართველოს გააჩნია: 1. ცენტრალური მდებარეობა კავკასიის რეგიონში; 2. პერიფერიული ევროპული ქვეყნების მიმართ; 3. მეზობლური (სასაზღვრო)-თურქეთის, რუსეთის ფედერაციის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართ, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან ქვეყანას. არჩევენ, აგრეთვე, მეორე რიგის (მახლობელ) ქვეყნებს, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებს და

[234]საქართველოს გეოგრაფია. II ტომი. საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემა. 2003 წ.

გარკვეული ტერიტორიული სიახლოვე გააჩნიათ ჩვენს ქვეყანასთან. მათი სამეზობლო როლი განსაკუთრებით იზრდება იმ შემთხვევაში, თუ პირველი რიგის მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის "სივრცე" დიდი არ არის, ხოლო მისი "გამტარობა" კარგია. ასეთი მეზობლური ურთიერთობების სავარაუდო ქვეყნებად უნდა ჩაითვალოს: ირანი, სირია, ერაყი, საბერძნეთი (თურქეთის საშუალებით); 4. საზღვაო, რაც საქართველოს უშუალოდ აკავშირებს

არა მარტო შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან (რუსეთი, თურქეთის, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი), არამედ მოხერხებულ გზას უხსნის მსოფლიო ბაზრებისაკენ.[235]

გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე საქართველო გამოირჩევა ძალზე მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით. მისი ტერიტორია წარმოადგენს არა მარტო ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (ტრასეკა) ღერძს, არამედ იგი ევრაზიის ქვეყნებთან დამაკავშირებელ უმოკლესიო სატრანსპორტო მაგისტრალების საკვანძო ფუნქციასაც ასრულებს. საქართველოს, ასევე, უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია "დიდი აბრეშუმის გზის" ფუნქციონირებაში. ზემოანიშნულ უპირატესობებთან ერთად უნდა აღინიშნოს ქვეყნის ხელსაყრელი რეკრეაციულ-გეოგრაფიული მდებარეობა მსხვილი ტურისტული რეკრეაციული არეალების (კავკასიონი, შავიზღვისპირეთი) სივრცეში, აგრეთვე კულტურულ-გეოგრაფიული მდებარეობა კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის მდიდარი არქეოლოგიური და ეთნიკურ-ლინგვისტურ-რელიგიურ რეგიონებთან მიმართებაში.

რელიგიურ-გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, საქართველო, ძირითადად ისლამური რელიგიის მიმდევარი ხალხების (თურქები, ირანელები,

[235]საქართველოს გეოგრაფია. II ტომი. საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის გამოცემა. 2003 წ.

აზერბაიჯანელები, ჩრდილოეთ-კავკასიის რესპუბლიკების-ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ინგუშეთის, ჩაჩნეთის, დაღესტნის ხალხები) გარემოცვაში იმყოფება. ქრისტიანულ სამყაროსთან სახმელეთო დამაკავშირებელი გზა მხოლოდ რუსეთზე გადის, ვინაიდან სამხრეთით მოსაზღვრე მონოფიზიტური სომხეთი თავად არის იზოლირებული ქრისტიანენული სამყაროსაგან. ამავე დროს, შავი ზღვა აკავშირებს საქართველოს უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთის და საბერძნეთის მართლმადიდებლობასთან. აღნიშნული ვითარება, ისლამური ფუნდამენტალიზმის მზარდი გავრცელების ფონზე, მეტად საგულისხმოა და ღრმა გეოპოლიტიკურ შესწავლას მოითხოვს. საქართველო ასევე მდებარეობს სხვადასხვა ცივილიზაციებისა და კულტურების გზასაყარზე, რაც ასახვას ჰპოვებს მის ლინგვისტურ-გეოგრაფიულ მდებარეობაში. კერძოდ, ქვეყანა კავკასიურ ენათა ოჯახში შემავალ ხალხების (აფხაზები, ადიღეელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ჩაჩნები, ინგუშები, ხუნძები, ლეკები და სხვ.) გარდა ესაზღვრება ინდო-ევროპული ოჯახის სლავური (რუსები), ირანული (ოსები, ქურთები), სომხური ჯგუფების, ასევე ალთაური ოჯახის თურქული (აზერბაიჯანელები, თურქები, ბალყარელები, ყარაჩაელები) ჯგუფის ენაზე მოლაპარაკე ხალხებს.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ასევე განიხილება სივრცით ასპექტშიც. კერძოდ: მაკრო-(მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე), მეზო (კონტინენტზე ან რეგიონში) და მიკრომდებარეობა (ქვეყნის სხვადასხვა ნაწილების განლაგების თავისებურებების მიხედვით). საქართველოს გეოპოლიტიკური მაკრომდებარეობის (ადრე იგი არ არსებობდა) თანამედროვე თავისებურებები განსაზღვრა ქვეყნის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ, და რუსეთის გავლენის სფეროდან გამოსვლისა და დასავლეთთან, კერძოდ ნატო-სთან ინტეგრაციისადმი მისწრაფებამ. ამ პროცესების გამო, საქართველო პოლიტიკურ რუკაზე ევროპის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სავარაუდო ფორპოსტის სახით წარმოჩინდა.

საქართველოს მეზომდებარეობა, სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის და მისი მოსაზღვრე, აგრეთვე შავი ზღვის (ნაწილობრივ ხმელთაშუა ზღვის) რეგიონის ქვეყნების მიმართ არსებული სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე უნდა შეფასდეს. ხოლო მიკრომდებარეობა – უშუალოდ მომიჯნავე ქვეყნებთან მიმართებაში საქართველოს და მისი ცალკეული სასაზღვრო ნაწილების გეოპოლიტიკური, ეკონომ-გეოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული ასპექტების გაანალიზებას საჭიროებს.

მაგალითისათვის ავიღოთ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი, სადაც მას ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია, რომელიც საქართველოს საზღვართან ფაქტობრივად, არარუსი ეროვნებების ავტონომიური ერთეულებით არის წარმოდგენილი. 820-კმ-იანი სიგრძის მთელი ეს სასაზღვრო ტერიტორია (აფხაზეთის ფსოუს კონტაქტური მონაკვეთის გარდა, რომელიც დროებით მოწყვეტილია ქვეყნისგან), ნაკლებ ხელსაყრელია ეკონომიკური კავშირებისათვის, რის ძირითად მიზეზს წარმოადგენს მხოლოდ სამ უღელტეხილზე (მამისონის, როკის, ჯვრის) გამავალი ტრანსკავკასიური საავტომობილო გზა, რომელიც არასტაბილურობით ხასიათდება რთული ბუნებრივი და მეტეოროლოგიური პირობებისა და დაძაბული კონფლიქტური რეგიონების არსებობის გამო. ამავე დროს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გაუმჯობესებულია მიკრომდებარეობა თურქეთის მოსაზღვრე რაიონებთან. მათ შორის აღსანიშნავია “სარფის ჭიშკარი” (აჭარა) და ახალციხე (სამცხე) – არტაანის სასაზღვრო გზა, რომლებიც ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციის ფონზე ხელს უწყობენ თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარებას.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია

სატრანზიტო ფუნქცია განსაკუთრებულ როლს ასრულებს მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ წარმოებულ საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, სწორედ ამ ჭრილში საინტერესოა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის არსის ანალიზი, რომლის დროსაც აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის გეოპოლიტიკური ვითარება, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებდა და ხელს უწყობდა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას და რეალიზაციას რეგიონალურ სივრცეში. თავდაპირველად ჩვენ უნდა გავიაზროთ საბჭოთა კავშირის კოლაპსის შედეგები, რამაც თავისთავად განაპირობა მსოფლიო წესრიგის კარდინალური ცვლილება, მოხდა ინტერესთა და გავლენის სფეროთა არსებითი გადანაცვლებები. ჰეგემონური სახელმწიფოების დომინანტური ამბიციები გარკვეულწილად წნეხის ქვეშ აღმოჩნდა და აღსანიშნავია რომ უკვე ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც თავიანთ გამოუცდელ პირველ ნაბიჯებს დგამდნენ საგარეო პოლიტიკურ არენაზე,ხელთ მიეცათ ბალანსირებისა და ლავირების მთელი რიგი ბერკეტები, სწორედ ერთ-ერთ უმთავრეს იარაღს მათ ხელში სატრანზიტო კომუნიკაციების დახვეწა და მაქსიმალურად რეალიზაცია წარმოადგენდა. საქართველო თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით წარმოადგენს საკმაოდ პერსპექტიულ სატრანზიტო ფუნქციის მატარებელ ერთეულს, თუმცა არსებული მემკვიდრეობა საკმაოდ მოითხოვდა რეორგანიზაციის ჩატარებას. აუცილებელი იყო სამართლებრივი საფუძველის უზრუნველყოფა, კომუნიკაციური სისტემების დახვეწა, საბანკო სისტემისა და სადაზღვევო პირობების ჩამოყალიბება, ასევე სატარიფო გარემოს მოწესრიგება და ა.შ. და მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა, რათა საქართველო სატრანზიტო ინფრასტრუქტურის დახვეწის შემდეგ გახდეს საერთაშორისო სატრანზიტო დერეფანი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების მატარებელი იქნება, რაც, რა თქმა უნდა, გახდება უმთავრესი გარანტი უცხო ქვეყნების მიერ სატრანზიტო დერეფნის ექსპლუატაციისა. საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური კონიუქტურა ისევე, როგორც ინფრასტრუქტურის ადექვატურობის ხარისხი გავლენას ახდენს სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობაზე. სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასთან და შემდგომ ზრდასთან ერთად, რაც დაკავშირებულია გამტანუნარიანობის დონის ამაღლებასთან და საქონლის, ხალხის და ინფორმაციის შეუფერხებელ მოძრაობასთან, შუალედური ტერიტორიული ერთეული იძენს სატრანზიტო ფუნქციას. სათანადო გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პირობების შემთხვევაში სატრანზიტო ფუნქციას აქვს გაძლიერების შესაძლებლობა, რასაც ეწოდება სატრანზიტო პოტენციალი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვნენ მთელი რიგი საკმაოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსების მფლობელი ქვეყნები, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო მოეხდინათ არსებული რესურსების ათვისება და ექსპორტი, თავის მხრივ მდიდარი დასავლეთი დაინტერესებული იყო ახალი გავლენის სფეროების ათვისებით, ინვესტირების გარკვეული ტალღები გარდაუვალი იყო. არსებული ვითარება საქართველოს თავისი ადგილმდებარეობის გამო ხელს აძლევდა, რადგანაც საქართველო წარმოადგენდა ე.წ. ხიდს აზიასა და ევროპას შორის. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები რეგიონალური თანამშრომლობით საკმაოდ ძლიერ სატრანზიტო სისტემას აყალიბებდნენ, რომელიც არსებულ სატრანზიტო ერთეულებს მედგრად ავიწროებდნენ.

1992 წელს საქართველოში ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის იდეა დაიბადა. 1993 წელს ქ. ბრიუსელში ევროკომისიის მიერ მოწვეულ სამხრეთ და ცენტრალური აზიის რვა ქვეყნის მინისტრთა კონფერენციაზე წამოყენებულ იქნა იდეა ტრანსკავკასიური მაგისტრალის განვითარების თაობაზე, რასაც მოჰყვა დეკლარაციის მიღება, რომლის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა რეგიონალური პროგრამა - TRACECA და მის მიზნებს ტრანსპორტის ტრადიციული სახეობების - რკინიგზის, საავტომობილო გზების, საზღვაო პორტების, ტერმინალების - მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, ასევე ამ დერეფნის ევროპულ

დერეფნებთან მიერთება წარმოადგენდა. ეს კი წარმოადგენდა ე.წ. "დიდი აბრეშუმის გზის" აღდგენის წინაპირობის სტრატეგიას.

1996 წელს ძალაში შევიდა ე.წ. "სარახსის ხელშეკრულება" და დაიწყო ყაზახეთიდან "შევრონი"-ს ნავთობის რკინიგზით ტრანსპორტირება აზეირბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიის გავლით ქ. ბათუმის პორტამდე. TRACECA-ს პროგრამის პარალელურად აზეირბაჯანიდან ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს გავლით ექსპორტის თაობაზე დაიწყო პროექტების შემუშავება. 1996 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაზე, რომელიც დასრულდა 1999 წელს და დერეფანმა მიიღო უკვე "ენერგეტიკული" ასპექტი. ასევე მნიშვნელოვანია ორი რეგიონალური ინფრასტრუქტურული ობიექტის – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთკავკასიური გაზსადენი "შაჰ-დენიზი" პროექტი. ახლო მომავალში იგეგმება BTC-ით ყაზახეთის ნავთობის ექსპორტიც.

TRACECA – ს დერეფანი. წარმოადგენს ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, რომელიც აწარმოებს ტრანსპორტის ტრადიციული სახეობების გადაზიდვას. გადაზიდულმა საქონელმა მაგალითად 2005 წელს შეადგინა 37.1 მლნ. ტონა, გაიზარდა ბათუმისა და ფოთის პორტებში დამუშავებული ტვირთის მოცულობა, რამაც 2006-2007 წლებში 14 მლნ. ტონას გადააჭარბა. ტვირთზიდვის დინამიური ზრდა განსაკუთრებით შეინიშნება რკინიგზით გადაზიდულ ტვირთებზე, აქედან 84 % ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე მოდის.

მართალია TRACECA-ს დერეფნის ტვირთზიდვა ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ არსებობს გარკვეული ნიშნები, რომლებიც გარკვეულწილად აფერხებენ მის სრულყოფილ ფუნქციონირებას, გამოიხატება შემდეგში: რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს სწორედ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის განადგურება წარმოადგენდა. რუსეთის პოლიტიკის შედეგად მაგალითად შემცირდა ტვირთნაკადები ცენტრალური აზიიდან საქართველოს პორტებისაკენ, გარდა ამისა, ყაზახეთის ნედლი ნავთობის TRACECA-ს დერეფნით გადაზიდვების კლება გამოწვეულია აგრეთვე თენგიზ-ნოვოროსიისკის მიმართულების "კასპიის მილსადენი კომპანიის" ნავთობსადენის ექსპლუატაციაში შესვლით.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს, აუცილებელია სატრანზიტო ინფრასტრუქტურის ხარისხის მაქსიმალურ დონეზე აყვანა. ე.წ. "ფასეულობათა დერეფნის" სტატუსი წარმოადგენს ტრანსკავკასიური რეგიონის სტაბილურობის გარანტს,რაც გულისხმობს ინვესტიციების მოზღვავებას, რესურსების მსოფლიო ბაზარზე გატანის წინაპირობას. ამისათვის მოდერნიზირებული საკომუნიკაციო სისტემები, დახვეწილი სატარიფო, სამართლებრივი და საბანკო სისტემებია აუცილებელი. ამ მიმართულებით თანამშრომლობის განვითარებით ტრანსკავკასიური დერეფნის ქვეყნები ბევრს მოიგებენ თავიანთი უსაფრთხოებისა და უშიშროების სისტემის უზრუნველსაყოფად. როგორც ჩანს, საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებს დერეფანის განვითარების საკითხში. პატარა სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელი ვითარება ბუფერის როლის შესრულების, სრულიად განსხვავებული საერთაშორისო ე.წ. "იარაღით" შეიცვალა, სატრანზიტო ფუნქციის დაუფლებით, რაც აშკარაა რომ უკვე სერიოზულ ბერკეტს წარმოადგენს.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ასპექტები

როგორც უკვე ავღნიშნეთ, გეოპოლიტიკური მდებარეობის ქვეშ ქვეყნის სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების, სავაჭრო-ეკონომიკური კომუნიკაციებისა და განსახვავებული ეთნო-კულტურული ტრადიციების მქონე

სახელმწიფოების მიმართ მდებარეობა იგულისხმება. ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა უაღრესად დინამიური პროცესების ერთობლიობაა, გეოპოლიტიკური მდებარეობაც ძალზე ცვალებადია სივრცესა და დროში.

ისტორიული ასპექტი:

საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ მეზობლებთან ინტენსიური ურთიერთობების ფონზე ყალიბდებოდა. საქართველოს სამხრეთით გავლენის სფეროებისათვის იბრძოდა ორი დიდი იმპერიული სახელმწიფო: ირანი და ოსმალეთი, ჩრდილოეთით კი რუსეთის იმპერია. რუსეთის იმპერიამ ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო ტერიტორიული ექსპანსია და ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად კავკასია აირჩია. ჩრდილო კავკასიის ხალხებს, რომლებიც მანამდე მეტ-ნაკლებად მშვიდად და თავისუფლად ცხოვრობდნენ, რუსეთისაგან თავდაცვის პრობლემა დაუდგათ. მართლმადიდებლური რუსეთისაგან იდეოლოგიურად გასამიჯნავად რეგიონში ფეხი მოიკიდა ისლამმა. მოგვიანებით, ჩვენი სამხრეთელი მეზობლების წაქეზებით ჩრდილო კავკასიელებმა საქართველოზე თავდასხმები დაიწყეს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ქართველი მეფეების სწრაფვა რუსეთისაკენ. მათი ჩანაფიქრით, რუსეთთან კავშირით ქრისტიანული და მაჰმადიანური ძალების გაწონასწორება უნდა მომხდარიყო. ამრიგად, კავკასია ჩამოყალიბდა ბუფერულ ზონად ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც მაჰმადიანური სამხრეთის, ისე ქრისტიანული ჩრდილოეთის ინტერესები, კერძოდ თურქეთის, ირანის და რუსეთის. აღნიშნულ სამ დიდ გეოპოლიტიკურ ძალთა შორის ურთიერთობა არა მხოლოდ აისახებოდა კავასიაზე, არამედ კავკასია, თავის მხრივ, დიდ როლს თამაშობდა ამ ურთიერთობათა რეგულირებაში.

ალბათ აუცილებელია საქართველოს გეოპოლიტიკურ ასპექტზეც გავამახვილოთ ყურადღება: დღეისათვის, დიდი გეოპოლიტიკური ძვრების შედეგად, კავკასიაში გვაქვს სამი ახალი სახელმწიფო: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. ამას გარდა, არიან რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ავტონომიური რესპუბლიკები. ყოველ მათგანს აქვს უამრავი პრობლემა, რომელიც გამოწვეულია პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრი ცვლილებით. ასეთ ვითარებაში კავკასიის ხალხები ცდილობენ მონახონ საიმედო პარტნიორები ძლიერი ქვეყნების სახით, რომლებიც მიეხმარებიან მათ ამ პრობლემების გადაჭრაში, გახდებიან მათი უსაფრთხოების გარანტები, მაგალითად, აზერბაიჯანში ყალიბდება თურქული ორიენტაცია, რაც თითქოს ბუნებრივიცაა, სომხეთში ძლიერია რუსეთზე ორიენტაცია, ამავე დროს იზრდება ირანთან ურთიერთობის ინტენსივობა. რაც შეეხება საქართველოს, მას კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით პოლიტიკური მანევრირების მეტი საშუალება აქვს, რადგან მას მეზოგეოგრაფიული მდებარეობის გამო კავშირების ყველაზე დიდი არჩევანი აქვს, თუმცა დღევანდელ დღეს რუსეთთან არსებული დაძაბული ვითარების ფონზე ქვეყნის საგარეო პოლიტიკა დასავლეთზეა ორიენტირებული.

რადგან დღეს მსოფლიოში ძველი სამყაროს რღვევის და ახლის შენების პროცესი მიმდინარეობს, საქართველომ, რომელმაც ცალსახად აირჩია განვითარების დამოუკიდებელი, დემოკრატიული გზა, უნდა მოძებნოს საკუთარი ადგილი მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა თანამეგობრობაში, ინტეგრირებულ იქნეს საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემაში და ამავე დროს შეინარჩუნოს საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველომ უნდა შეიმუშაოს საკუთარი სტრატეგიული პოლიტიკური კურსი, რომელიც ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს დაეფუძნება. იმაზე, თუ როგორ წარმართავს საქართველო თავის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მისი მომავალი ბედ-იღბალი.

ეროვნული ინტერესების რეალიზაციის უზრუნველყოფას ემსახურება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემაც.

ტრადიციულ ქვეყნებში ეროვნული უსაფრთხოების სისტემები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ ქვეყნებში საკუთარ ეროვნულ ინტერესთა დაცვა და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტა ხდებოდა არა მხოლოდ თეორიული ნააზრევით, არამედ ხშირ შემთხვევაში ემპირიული წესითაც.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოს ამგვარი ევოლუციური გზის გავლის შესაძლებლობა დროის დეფიციტის გამო არ გააჩნია. დღეს ჩვენ შეცდომების დაშვების უფლება არა გვაქვს და ამიტომ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების სისტემა უნდა შევქმნათ რაც შეიძლება სწრაფად მსოფლიოში არსებული მდიდარი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებითა და საკუთარი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.

უსაფრთხოება ეს არის ქვეყნის ისეთი მდგომარეობა, როდესაც უზრუნველყოფილია ერის (მოსახლეობის) ფიზიკური არსებობა, თვითმყოფადობა და განვითარება. მოცემული მდგომარეობის მიღწევა და შენარჩუნება სახელმწიფოს უზენაეს ინტერესს წარმოადგენს.

ერის ფიზიკური არსებობა გულისხმობს მოსახლეობის მოცემული რაოდენობის შენარჩუნებას დემოგრაფიული სტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფს თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ერის თვითმყოფადობა გულისხმობს საუკუნეების განმავლობაში ისტორიული, გეოგრაფიული და გენეტიკური ფაქტორებით განპირობებულ თავისებურებათა ერთობლიობას.

ერის განვითარება კი ნიშნავს გეოპოლიტიკური მდებარეობით, კულტურული თავისებურებებით და მსოფლმხედველობრივი ფაქტორებით განპირობებული ეროვნული ინტერესების შესაბამისი მდგომარეობისკენ სვლას.

თვითონ უსაფრთხოების ცნებამ თანამედროვე მსოფლიოში დაკარგა მისთვის დამახასიათებელი მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა და მოიცავს, აგრეთვე, ადამიანის საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიცაა ეკონომიკა, ეკოლოგია, დემოგრაფია, კულტურა, სოციალური და ეროვნებათაშორისი ურთიერთობანი და ა.შ.

ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში მთავარ სტრუქტურულ ელემენტს პოლიტიკური უსაფრთხოება წარმოადგენს. პოლიტიკური უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა ქვეყნის პოლიტიკური სუვერენტიტეტის უზრუნველყოფას გულისხმობს. პოლიტიკური უსაფრთხოების არ არსებობის პირობებში ლაპარაკიც კი ზედმეტია ეროვნული უსაფრთხოების მწყობრი სისტემის შექმნაზე. შეიძლება გამოვყოთ პოლიტიკური უსაფრთხოების საგარეო და საშინაო ასპექტები.

ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების საგარეო ასპექტი ნიშნავს საფრთხისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს მისი თავიდან აცილების ან შემსუბუქების მიზნით.

საქართველომ უნდა დაამყაროს და განავითაროს ორმხრივად სასარგებლო და მეგობრული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამავე დროს საქართველოს ინტერესებშია საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში იმ ძალთა დაბალანსება, რომელთა ინტერესებიც ფოკუსირდება კავკასიაში და უპირველეს ყოვლისა კი საქართველოში.

საჭიროა განისაზღვროს პოლიტიკური კურსი დიდი სახელმწიფოების მიმართ. ეს ეხება როგორც ჩვენს უშუალო მეზობლებს (რუსეთი, თურქეთი) და ჩვენი ტერიტორიის სიახლოვეს მდებარე სახელმწიფოებს (უკრაინა, ირანი), ასევე ჩვენგან გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეყნებსაც (აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, აღმოსავლეთ აზრის ქვეყნები), ვინაიდან თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობა, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემების განვითარება განაპირობებენ ამ ქვეყნების გარკვეულ დაინტერესებას რეგიონში მიმდინარე მოვლენებით.

დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგებასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთობას მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი), აგრეთვე სტრატეგიულ პარტნიორთა მოძიებას(მაგ. ისრაელი).

უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკური ასპექტები მუდმივად პრიორიტეტულია ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში. ვინაიდან საქართველოს მოწყვეტა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან დღეს შეუძლებელია, უფრო მეტიც, ეს პროცესები უდიდეს გავლენას ახდენს საქართველოს განვითარების პირობებზე, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ამ პროცესების მუდმივი თვალყურის დევნებაც.

პოლიტიკური უსაფრთხოების საგარეო ასპექტთან მჭიდროდაა დაკავშირებული საშინაო პოლიტიკური ასპექტები. რაც უფრო მდგრადი და სტაბილურია საზოგადოება, მით უფრო მაღალია მისი უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერ დესტრუქციულ ზემოქმედებას.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესთა ლოგიკის თანხმად სულ უფრო იზრდება და თვალსაჩინო ხდება მსოფლიოს ერთიანობა და ურთიერთდამოკიდებულება. თანდათანობით მკვიდრდება იმის გაგება, რომ საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტა ძალისმიერი მეთოდებით შეუძლებელია. თანამედროვე გაგებით ქვეყნის უსაფრთხოება შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ სამხედრო ძალის მეშვეობით.

მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მსოფლიო იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ცივილიზებული საერთაშორისო ურთიერთობები, რომელთა დროსაც გამორიცხულია ძალადობა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, ჯერჯერობით ჩვენი პლანეტის მხოლოდ შეზღუდულ არეალზე ვრცელდება. უფრო მეტიც, მართალია გლობალურ განზომილებანი ბიპოლარული დაპირისპირების გაქრობის შედეგად მსოფლიო უფრო თავისუფალი გახდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით მისი სტაბილურობის ხარისხი არ გაზრდილა. პირიქით, ჯერ კიდევ არ ჩამქრალა ძველი კონფლიქტები, ჩნდება კონფლიქტთა ახალი კერები.

საქართველო სწორედ ამგვარი კონფლიქტებით აღსავსე რეგიონში მდებარეობს. სამწუხაროდ, აქ ჯერ კიდევ სუსტად მოქმედებენ ზემოთაღნიშნული საერთაშორისო ურთიერთობათა ცივილიზებული ფორმები და მომავალში არც კიდევ ერთი უშუალო აგრესიის საფრთხეა საბოლოოდ გამორიცხული.

ამის გამო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში უსაფრთხოების სამხედრო ასპექტები ძალზე მნიშვნელოვანია.

სამხედრო უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, ანუ ქვეყნის უნარი შეიარაღებული ძალების მეშვეობით თავიდან აიცილოს ან მოიგერიოს გარეშე სამხედრო ძალის ზემოქმედება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სხვა საშუალება სამხედრო ძლიერებასთან ერთად არის სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეების ძიება (შესაძლებელია სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეების ძიება (შესაძლებელია სამხედრო-პოლიტიკური კავშირებში შესვლაც კი), რაც საშუალებას მოგვცემს პარტნიორების ხარჯზე გავზარდოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხი.

პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებთან ერთად ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოება.

დღეს ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველოს მდგომარეობა რთულია. საბჭოთა პერიოდში ეკონომიკის ცალმხრივმა განვითარებამ, და ტერიტორიულმა სტრუქტურამ, ბუნებრივი რესურსების უთავბოლო ხარჯვამ, რასაც გასული საუკუნის 90-იან წლებში თან დაერთო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმები, ნეგატიური ასახვა ჰპოვა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში ჩართვის გასაადვილებლად აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად გამოიკვეთოს საქართველოს ეკონომიკური ფუნქცია შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ეს ფუნქცია სასურველია ისეთი იყოს, რომ მასთან

რაც შეიძლება მეტი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები აღმოჩნდეს დაკავშირებული (მაგ. საერთაშორისო სატრანსპორტო-სატრანზიტო კვანძი, საერთაშორისო საფინანსო-საბანკო ცენტრი და ა.შ.).

ამ მიზნების მისაღწევად ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური გლობალურ ეკონომიკურ ტენდენციებს. ამ ტენდენციებმა შეიძლება ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინონ და რიგ შემთხვევებში გარკვეული საფრთხეც შეექმნას ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს.

აუცილებელია უცხოური ინვესტიციების რეგულირების სახელმწიფო სისტემის შექმნა, რომლის უმთავრესი მიზანიც აღნიშნული ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებასთან ერთად უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფულად რეფორმას, რაც საყოველთაო აღიარებით წარმატებით განხორციელდა.

საგარეო პოლიტიკის ასპექტებზე საუბრისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ალბათ საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე. საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს, საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს ქვეყნის უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე აღნიშნული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით საქართველოს საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანების სპექტრი გარკვეული დინამიკით ხასიათდება. მაგალითად, 1992 წელს საქართველოს საერთაშორისო აღიარება და უცხოეთის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მთავარ საგარეო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა და, შეიძლება ითქვას, წარმატებით შესრულდა. დღეს საქართველო 37 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობები 100-ზე მეტ ქვეყანასთან აქვს დამყარებული. იმავე 1992 წლიდან დღემდე სამაჩაბლოსა და აფხაზეთში კონფლიქტების მსვლელობასთან, ხოლო შემდგომ ქვეყნის დეოკუპაციასთან და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით სათანადო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და საერთაშორისო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფა ერთ-ერთი პრიორიტეტული საგარეო-პოლიტიკური ამოცანაა.

მთავარი პრინციპი, რითაც ხელმძღვანელობს საქართველოს საგარეო პოლიტიკა, უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებაა. პირველ რიგში ეს კავკასიის რეგიონში ჩვენს მეზობელ ქვეყნებს ეხება. აღნიშნული პრინციპი, რომელიც ხორციელდება დევიზით „ვეძებოთ და ვიპოვოთ მეგნობრები“, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად წარმართული საქმიანობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტრია.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია მრავალი ფაქტორით არის განპირობებული. ზემოაღნიშნული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საგარეო პოლიტიკას რამოდენიმე ორიენტირი გააჩნია, მათგან ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება რაც, ძირითადად, ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის ამოქმედებასთან არის დაკავშირებული სამხრეთ კავკასიაში ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან, აგრეთვე უკრაინასთან, თურქეთთან, ირანთან, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან, ბალკანეთის ქვეყნებთან და, პერსპექტივაში, ჩინეთთან თანამშრომლობის გააქტიურებას გულისხმობს. შესაბამისად, საგარეო-პოლიტიკის აქცენტირება ამ ფაქტითაც არის განპირობებული.

მთავარი შედეგი, რაც საგარეო პოლიტიკის სფეროში ბოლო პერიოდში იქნა მიღწეული, არის ის, რომ საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროპულ და

ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებს (მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ვერ ხერხდება საქართველოს გახდომა ნატო-ს სრულუფლებიან წევრად). ეს თავის მხრივ განპირობებულ იქნა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდით, რაც შემდეგში იქნა გამოხატული:

გააქტიურდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთობები ახალ სახეს იძენენ:

1. სულ უფრო მეტ შინაარსს იძენს ნატო-სთან თანამშრომლობა. როგორც ვიცით, საქართველო ესწრაფვის ალიანსში გაწევრიანებას. 2004 წელს საქართველოსა და ნატოს შორის ხელი მოეწერა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას, ხოლო 2006 წლიდან ორივე მხარე ინტენსიური დიალოგის ეტაპზე გადავიდა. 2008 წელს შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია, ხოლო 2008 დეკემბერში, ალიანსის ბრიუსელის მინისტერიალზე საქართველოსათვის დამტკიცებულ იქნა ყოველწლიური ეროვნული პროგრამა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად ასრულებს. და თქმა უნდა მნიშვნელოვანია თითქმის ათასი ქართველი სამხედროს გაგზავნა ავღანეთის ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ნატო-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მხარდამხარ მონაწილეობას იღებენ ანტიტერორისტულ ოპერაციებში.
2. საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებს კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებში.
3. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობას (იგი ამ ორგანიზაციის წევრია 2000 წლიდან) უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში უფრო აქტიურად ჩასართველად. დღევანდელ დღეს საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობა 5 მილიარდ დოლლარს აღემატება.
4. უმნიშვნელოვანესია საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობათა განვითარება. 2004 წელს საქართველო გახდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის წევრი, ხოლო 2006 ორ მხარეს შორის ხელი მოეწერა სამოქმედო გეგმას. რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ, ევროკავშირის მონიტორებმა დაიწყეს ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული რეგიონების სიახლოვეს საპატრულო ოპერაციების განხორციელება. 2009 წლის მაისიდან საქართველო ხუთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან ერთად გახდა ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ნაწილი. 2010 წლის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის საქართველოს საგარეო ვაჭრობის 20%-ზე მეტი.

რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ასპარეზზე ანტიქართული პროპაგანდის მიუხედავად, საქართველო სულ უფრო მეტად აღიქმება, როგორც საჭირო და სანდო პარტნიორი. ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო ძვრებთან ერთად ეს, პირველ რიგში, საქართველოს ხელსაყრელმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა. ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის პროპაგანდამ, რაც იმთავითვე გახდა ჩვენი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანა, შედეგი გამოიღო და დღეს ჩვენი რეგიონი საერთაშორისო თანამეგობრობის წამყვანი ქვეყნების, მეზობელი სახელმწიფოების და მსხვილი კომპანიების ყურადღების ცენტრშია.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანთვისებები, რასაც შეიძლება კონკურენტუნარიანი უპირატესობები ვუწოდოთ, გონიერ გამოყენებას საჭიროებს. შესაბამისად, საჭიროა ბრძნული სახელმწიფო კურსი და მათ შორის ქმედითუნარიანი საგარეო პოლიტიკა, რათა ჩვენი უპირატესობები გამოყენებულ იქნეს.

რა თქმა უნდა, სომხეთს, აზერბაიჯანს, რეგიონის მეზობლებს, ყველას თავისი კონკურენტუნარიანი უპირატესობები გააჩნია, რომელთა რეალიზაციაზეც დამოკიდებულია მათი მომავალი. ამ უპირატესობათა გამოყენება სულაც არ ნიშნავს ერთმანეთში შეჯიბრს და ერთმანეთის ხარჯზე წარმატების მიღწევას. პირიქით, თანამშრომლობითა და ურთიერთდახმარებით უნდა შევძლოთ ამ უპირატესობათა რეალიზაცია ჩვენი საერთო კეთილდღეობისათვის. ეს განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიისათვის არის აქტუალური. რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აგრეთვე არასტაბილური გეოპოლიტიკური გარემო განაპირობებს იმას, რომ ცალ-ცალკე პატარა და სუსტი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის განვითარება გარე ფაქტორებზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული. აქ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი სახელმწიფოების მხრიდან დახმარებასთან ერთად არასტაბილური გარემოცვიდან მომდინარე საფრთხესაც უნდა გაეწიოს ანგარიში. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის გარანტიას გრძელვადიან პერსპექტივაში ძალისხმევის გაერთიანება წარმოადგენს.

საქართველოში არსებული ოკუპირებული რეგიონები და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები

საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასა და კავკასიაში თანამშრომლობას მნიშვნელოვნად აფერხებს რეგიონში არსებული კონფლიქტური კერები. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხრიდან განხორციელებული აგრესიის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული რეგიონები იქცნენ რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებად. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, სეპარატისტული რეგიონები წარმოადგენენ არაკონტროლირებად ტერიტორიებს და შესაბამისად ამ რეგიონებში იქმნებოდა მეტად ხელსაყრელ წინაპირობა უკანონო ვაჭრობის, განსაკუთრებით ნარკოტიკებით უკანონო ბრუნვისათვის, ფულის გათეთრების, ტერორისტული საქმიანობისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ოპერაციების განსახორციელებლად. გარდა ამისა, სეპარატიზმის არსებობის უდიდეს პრობლემას რა თქმა უნდა წარმოადგენდა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ფუნქციონირება, რომლებიც შეაიარაღებულნი იყვნენ თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობით. რაც მთავარია, სეპარატისტული მოძრაობების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა რუსეთის მიერ კონფლიქტის ზონაში მოქმედი დე-ფაქტო სეპარატისტული ხელისუფლებების ჯერ ფარული, ხოლო მოგვიანებით უკვე პირდაპირი მხარდაჭერა, როდესაც "ჩრდილოელი მეზობლის" შესაბამისი სტრუქტურები ფინანსური და სამხედრო ხასიათის დახმარებას უწევდნენ დანაშაულებრივ სეპარატისტულ რეჟიმებს.
რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შექმნილ სიტუაციას, როგორც ცნობილია, რუსეთის აგრესიის შემდეგ საქართველო ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიის დაახლოებით 20%-ს. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები. აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან რუსეთი ყველანაირად შეეცდება ხელი შეუშალოს სხვადასხვა დონეზე გარკვეული კონტაქტების დამყარებას ქართულ და ოსურ, ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის. ამ კონტაქტებზე უარს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებიც იტყვიან, რომლებიც იძულებულები არიან ბრმად დაემორჩილონ თავიანთი პატრონის – რუსეთის ყველა ნება-სურვილს. ჟენევის ფორმატში მოლაპარაკებათა წარმოებისას (ეს პროცესი დაიწყო 2008 წლის შემოდგომიდან), ორივე ოკუპირებული რეგიონის „ხელმძღვანელობა" მხოლოდ დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოდის და არ თანხმდება არანაირი სახით

საქართველოს ტერიტორიის ნაწილად აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებაზე. თითოეულ შეხვედრაზე მხოლოდ ერთი მოთხოვნა გაისმის-ხელი მოეწეროს ხელშეკრულებას საქართველოსა და აფხაზეთს, საქართველოსა და “სამხრეთ ოსეთს” შორის თავდაუსხმელობის შესახებ, რაც აბსოლუტურ აბსურდს წარმოადგენს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია სამხედრო ხასიათის ხელშეკრულების ხელმოწერა საქართველოსა და მის შემადგენლობაში შემავალ სუბიექტებს შორის. საქართველოს დეოკუპაცია, კონფლიქტის მოგვარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია გადაწყდეს სამხედრო გზითაც, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს თითოეულ ოკუპირებულ რეგიონში დაახლოებით 5000-5000 რუსი სამხედრო ოკუპანტი არის განთავსებული. შესაბამისად, ვითარებას ართულებს ის ფაქტი, რომ ქართული მხარის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძალისმიერი მეთოდების გზით გამოყენების შემთხვევაში, მას, მოუწევს შეტაკება როგორც უშუალოდ რუსეთთან, ასევე რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების შეიარაღებულ ფორმირებებთან, რაც რა თქმა უნდა არ იძლევა ამ ომებში გამარჯვების გარანტიას. სეპარატისტული რეგიონების მთავარ დასახლებულ პუნქტებზე კონტროლის დამყარების შემთხვევაშიც კი, თუ გავითვალისწინებთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთიან რელიეფს, არსებობს იმის უდიდესი შესაძლებლობა, რომ სეპარატისტული უკანონო ფორმირებები გადავიდნენ პარტიზანულ მოქმედებებზე, და ამ შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფილ იქნებიან სხვადასხვა სახის შეიარაღებით რუსეთის მხრიდან.

ფაქტიურად გამორიცხულია ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვაც საქართველოს რეგიონების დეოკუპაციის პროცესში, როგორებიცაა გაერო და ეუთო. როგორც ცნობილია, ორივე ამ ორგანიზაციაში რუსეთი ვეტოს უფლებით სარგებლობს (გაეროს შემთხვევაში როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი), რის შედეგადაც 2008 წლის შემოდგომაზე მოხდა გაეროს მეთვალყურეთა მისიის (UNOMIG) აფხაზეთის შემთხვევაში და ეუთოს მეთვალყურეთა მისიის სამაჩაბლოს შემთხვევაში საქმიანობის შეწყვეტა. რუსეთი მომავალშიც გამოიყენებს ვეტოს უფლებას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული ისეთი რეზოლუციის განხილვა, რომელიც კრემლის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ხოლო რაც შეეხება გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ რეზოლუციებს, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებლი პირების თავიანთ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნების უფლებას, ისინი მხოლოდ რეკომენდაციულ ხასიათს ატარებენ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიღებული რეზოლუციების პარალელურად.

ერთადერთი გზა საქართველოს დეოკუპაციისა და არსებული კონფლიქტების გადაწყვეტისა, არის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება, და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ აგრესიის განხორციელებამდე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სეპარატისტული რეგიონებში საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე (ზემო აფხაზეთი, ლიახვის ხეობის სოფლები, ფრონეს ხეობა) მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით, რაც მოსკოვის აშკარა გაღიზიანებას იწვევდა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება გაზრდის დაინტერესებას „ურჩ“ რეგიონებში საქართველოს მიმართ, რამაც შეიძლება საბოლოო ჯამში გამოიწვიოს მათი თანხმობა სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობის მიღებაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სანაცვლოდ. ამ მხრივ შესაძლებელია მოვიყვანოთ კვიპროსის მაგალითი, სადაც 2004 წელს გამართულ რეფერენდუმზე კვიპროსის თურქული ნაწილის-სეპარატისტული რეგიონის მოსახლეობის 70%-მა მხარი დაუჭირა კვიპროსის კვლავ გაერთიანებას. ამის

ძირითადი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფმა ტერიტორიამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია, რისი ნათელი დადასტურებაცაა ქვეყნის მიღება ევროპის კავშირში. და ეს ყველაფერი მოხდა იმ პირობებში, როდესაც თურქეთმა თავის დროზე აღიარა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა (ისევე როგორც რუსეთმა აღიარა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი) და ამ რეგიონში ინვესტიციებიც განახორციელა.

გარდა ამისა, ეკონომიკური პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ჯავახეთის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის გაძლიერებას. მაგალითად თბილისი - ახალქალაქის საავტომობილო გზის დასრულება 2010 წლის ნოემბერში და ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის დასრულება სავარაუდოდ 2011-2012 წლებში - სადაც შესაძლებელი იქნება სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეების მშენებლობაზე დასაქმება და თბილისთან დაკავშირება ამ რკინიგზის მეშვეობით.

რაც შეეხება საავტომობილო გზას, იგი რამდენიმე საათით შეამცირებს სამგზავრო დროს თბილისიდან ახალქალაქის მიმართულებით და პირიქით, რაც დადებითად აისახება ჯავახეთის მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესზე.

რუსეთ-საქართველოს ომის განხილვამდე, მოკლედ განვიხილოთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები:

აფხაზეთის კონფლიქტი

აფხაზეთს ავტონომიის უფლება ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წ. კონსტიტუციით ჰქონდა მინიჭებული. საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ 1921 – დან 1931 წლამდე საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობის საკითხებში ცვლილებებთან ერთად ხდებოდა აფხაზეთის სტატუსის გადასინჯვაც. კერძოდ, 1921 წ. 16 დეკემბერს იგი სახელშეკრულებო რესპუბლიკად გამოცხადდა, 1931 წ. 19 თებერვალს კი გაფორმდა ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში.

აფხაზეთის კონფლიქტის ძირი, აფხაზეთის სტატუსზე სხვადასხვა შეხედულებების გარდა მის ეთნიკურ შემადგენლობაშიც ზევს. სსრკ-ის დაშლის დროს ეთნიკური აფხაზების წილი თვით აფხაზეთის მოსახლეობაში 17% იყო, ეთნიკური ქართველების კი 45%. 36%-ს კი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები შეადგენდნენ. მაგრამ, ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლება თანამდებობებზე დაწინაურებისას აფხაზებს ანიჭებდა უპირატესობას ქართველებთან და სხვა ეროვნებებთან შედარებით. 1991 წლის სექტემბერში, საბჭოთა კავშირის დროს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, სადაც 65 სადეპუტატო მანდატიდან 28 ეთნიკურმა აფხაზებმა მიიღეს, 26-ეთნიკურმა ქართველებმა 11 კი სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა. გაჩნდა ინტერესთა შეუთავსებლობა ქართულ და აფხაზურ დეპუტაციებს შორის, ასევე, საქართველოში არსებული სამოქალაქო ომის გამო ვერ მოხერხდა თანამშრომლობა თბილისსა და სოხუმს შორისაც. ზემოაღნიშნულით კარგად ისარგებლეს აფხაზებმა და 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ვითომდაც საქართველოს სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის პასუხად (რომელიც საქართველოში იმ დროს აღარ მოქმედებდა), ხმათა უმრავლესობით და ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად გამოაცხადა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რაც ფაქტობრივად აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას ნიშნავდა. აღსანიშნავია ამ გადაწყვეტილების ანტიკონსტიტუციურობა, რადგან კონსტიტუციის მისაღებად საჭირო იყო დეპუტატთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. აფხაზეთის ქართულმა დეპუტაციამ, რომელიც პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდა სესიას, არ ცნო ეს ფაქტი.

დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხოების დაცვის მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალები აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ იქ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს აფხაზური "გვარდიის" ნაწილებმა. საომარი მოქმედებები 1 წელს გაგრძელდა და რუსეთის იმპერიალისტური ძალებისა და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული დაქირავებული ბოევიკების მხარდაჭერის, აგრეთვე აფხაზური მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებების სამჯერ დარღვევის შედეგად საომარი მოქმედებები 1993 წლის სექტემბერში ქართული ჯარის დამარცხებითა და აფხაზეთიდან ქართველების გამოდევნით დამთავრდა.

მოლაპარაკებები თბილისსა და სოხუმს შორის 1994 წლიდან მიმდინარეობდა. მოლაპარაკებებში შუამავლის როლს რუსეთი და გაერო ასრულებდა. აგრეთვე სხვადასხვა სტატუსით მოლაპარაკებებში მონაწილეობს ""გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი"(აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი). როგორც ცნობილია, რუსეთის ზეწოლის შედეგად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში 1994 წლიდან მოქმედებდნენ დსთ-ის "სამშვიდობო ძალები", რომლებიც მხოლოდ რუსეთის სამხედროებით იყო დაკომპლექტებული.

ვითარება დაიძაბა აფხაზური და რუსული მხარის ინიციატივით კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების გამო 2006 წლის აგვისტოში.

კოდორთან დაკავშირებით აფხაზურმა და რუსულმა გეგმამ სრული კრახი განიცადა. ორივე მხარის მიზანი იყო თანამდებობიდან განთავისუფლებული და ამის გამო საქართველოს ხელისუფლებაზე განაწყენებული ემზარ კვიციანის და უკანონო შეიარაღებული ფორმირების "მონადირის" გამოყენება აფხაზური და რუსეთის მხარის სასარგებლოდ. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო კვიციანის მხარდამჭერთა შეიარაღებული გამოსვლა, რათა მომხდარიყო ამ ჯგუფის მიერ კონტროლის დამყარება ზემო აფხაზეთზე რაც გამოიწვევდა იმას, რომ საქართველო დაკარგავდა კონტროლს ხეობაზე და ეს კი შექმნიდა ხელსაყრელ პირობას აფხაზეთის მიერ ხეობაზე კონტროლის დამყარებისათვის. იმ შემთხვევაში კი, თუ საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები განახორციელებდნენ ხეობაში შეჭრას, კონფლიქტი უნდა გაგრძელებულიყო დიდი ხნის განმავლობაში და საბოლოო ჯამში გამოიწვევდა საქართველოს დასუსტებას. ამავე დროს, საქართველოს სამხედრო ნაწილების კოდორში შეჭრის შემთხვევაში რუსეთი და აფხაზეთი ბრალს დასდებდნენ საქართველოს 1994 წლის მაისის ხელშეკრულების დარღვევაში. ამ ბრალდების მიზანი იქნებოდა საქართველოს იმიჯის შელახვა საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში-საქართველო წარმოჩენილ იქნებოდა როგორც ქვეყანა, რომელსაც სურს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაჭრა, რაც ეწინააღმდეგება იგივე ნატო-ს და ევროკავშირის მოთხოვნებს საქართველოს მიმართ (ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმისა და ევროპის სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში), რომელიც ეხება კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას.

თუმცა რუსეთის და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ჩანაფიქრმა სრული კრახი განიცადა. საქართველომ შეძლო რამდენიმე დღეში ხეობაზე კონტროლის დამყარება, აფხაზეთის დევნილი მთავრობა გადავიდა კოდორში, დაიწყო ხეობაში სხვადასხვა სახის ეკონომიკური პროექტების განხორციელება, ხოლო ნატო-მ ერთი თვის თავზე კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა საქართველოს, დაამტკიცა რა მასთან ინტენსიური დიალოგის (2006 წლის სექტემბერი) პროგრამა. ამავე დროს რუსეთის მხარის მცდელობის მიუხედავად, გაეროს მეთვალყურეებმა აფხაზეთში აღნიშნეს, რომ საქართველომ შეასრულა ვალდებულება და გაიყვანა თავდაცვის სამინისტროს ნაწილები კოდორიდან, რაც შესაბამისად ასახულ იქნა გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში უშიშროების საბჭოს მორიგი რეზოლუციის მიღების დროს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

ზემო აფხაზეთში განცდილი მარცხის შემდეგ, რუსეთი უკიდურესად რადიკალური ზომების მიღებაზე გადავიდა. 2008 წლის დასაწყისიდან რუსეთი ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად უკანონოდ ზრდიდა თავის სამხედრო კონტინგეტს აფხაზეთში, ხოლო 2008 წლის აგვისტოში მზაკვრული შეტევა განახორციელა ზემო აფხაზეთზე, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მხარეს არანაირი სამხედრო ოპერაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ პერიოდში არ განუხორციელებია.

<u>დღევანდელი ვითარება აფხაზეთში.</u>

მიუხედავად საომარ მოქმედებებში რუსეთის მხარდაჭერით მიღწეული "წარმატებებისა", აფხაზეთი არ შეიძლება ჩაითვალოს გამარჯვებულად რიგი მიზეზების გამო, კერძოდ:

- მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლება აცხადებს, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და მას გააჩნია სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი, აფხაზეთი არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რადგან არ მოხდა აფხაზეთის საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარება და მომავალშიც აფხაზეთის აღიარება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამორიცხულია. მხოლოდ რუსეთის, ნიკარაგუის, ვენესუელისა და ნაურუს მხრიდან კი ეს აღიარება ვერანაირ საერთაშორისო-სამართლებრივ შედეგს ვერ მოიტანს.

- ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად აფხაზეთი იმყოფება ვასალურ დამოკიდებულებაში რუსეთის მხრიდან რისი ნათელი დადასტურებაცაა ის ფაქტი, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი ლამის ორ კვირაში ერთხელ იმყოფება მოსკოვში რათა მიიღოს ახალი ინსტრუქციები კრემლის მესვეურებისაგან. ამავე დროს აფხაზები კარგად აცნობიერებენ, რომ რუსეთი მათ იყენებს თავისი მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად და აფხაზეთი, რუსეთს როგორც საქართველოზე ზეწოლის იარაღად სჭირდება. გარდა ამისა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან რუსეთის მიერ დასმული პირები. რუსეთის მიერ მოხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ფაქტიურად ყველა სახის ეკონომიკური ინფრასტრუქტურის (რკინიგზა, შენობა-ნაგებობები და ა.შ.) "შესყიდვა" ან "იჯარით აღება". გარდა ამისა, დღითიდღე იზრდება რუსული სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა და შენდება ახალი სამხედრო ქალაქები;

- აფხაზეთს არ გააჩნია საკუთარი ეროვნული ვალუტა და შესაბამისად მას არ ძალუძს აწარმოოს დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;

- აფხაზეთი იმყოფება ეკონომიკურ იზოლაციაში, მას ურთიერთობა ფაქტიურად მხოლოდ რუსეთთან გააჩნია, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ხდება მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით რუსეთში. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ცდილობს რუსული ორიენტაციის გაძლიერებას აფხაზურ მოსახლეობაში და ამას ახორციელებდა და ახორციელებს რუსული პასპორტების დარიგებითაც, რასაც აფხაზები მიესალმებიან, მაგრამ ამ ფაქტმა შეიძლება საწინააღმდეგო შედეგი გამოიწვიოს, რადგანაც რუსული პასპორტის მქონე აფხაზეთის მცხოვრებლებს შეეძლებათ უპრობლემოდ გადავიდნენ რუსეთში და რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ცხოვრების დონის უზარმაზარი განხვავების გათვალისწინებით, საბოლოოდ დაფუძნდნენ რუსეთში, რასაც მოჰყვება აფხაზების გენოფონდის განადგურება და რესპუბლიკის მოსახლეობისაგან დაცლა, ხოლო ამის სანაცვლოდ აფხაზეთში რუსი სამხედროების ოჯახის წევრები დასახლდებიან;

- მიუხედავად 1993 წელს ჩატარებული მასობრივი ეთნიკური წმენდისა ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ, დღევანდელ დღესაც აფხაზები რესპუბლიკის მოსახლეობაში უმცირესობაში იმყოფებიან. გამომდინარე აქედან აფხაზეთში ძირითადი სალაპარაკო ენა არის რუსული და მიმდინარეობს აფხაზური ენის ხმარებიდან თანდათანობითი გაქრობის პროცესი;

- აფხაზეთში არსებობს უკიდურესად არასტაბილური პოლიტიკური ვითარება. ამ მხრივ აღსანიშნავია დაძაბული ეროვნებათშორისი ვითარება. პირველ რიგში ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ გალის რაიონში კომპაქტურად ცხოვრობს ქართული მოსახლეობა, რომელიც აფხაზებისთვის მუდმივ პრობლემას წარმოადგენს, და ასევე ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს დაძაბულობა სომხებსა და აფხაზებს შორის. ეს პირველ რიგში განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბიზნესის მართვის სადავეები არის სომხების ხელში, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკურ სფეროში დომინირებენ აფხაზები (რუსეთის დასტურით). კერძოდ აფხაზეთის ე.წ. სახალხო კრებაში (აფხაზეთის "პარლამენტი") აფხაზეთის "კანონმდებლობის" მიხედვით აფხაზების რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ ორ მესამედს. შესაბამისად, დღევანდელ დღეს აფხაზებს 35-ადგილიან კრებაში უკავიათ 25 ადგილი, როდესაც აფხაზური მოსახლეობის რაოდენობა რესპუბლიკის მოსახლეობის სტრუქტურაში შეადგენს დაახლოებით 45 ათას კაცს. ამავე დროს სომხები, რომელთა რაოდენობა აფხაზეთში აღემატება 60 ათას ადამიანს, კრებაში წარმოდგენილნი არიან სულ 3 დეპუტატით. რაც შეეხება ქართველებს, მათი რაოდენობა სახალხო კრებაში შეადგენს ორ დეპუტატს(აფხაზეთში ცხოვრობს დაახლოებით 50 ათასი ქართველი). ეს ფაქტები ნათლად მიანიშნებს, რომ არსებობს ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივების რეალური საშიშროება.

- აფხაზეთი წარმოადგენს სხვადასხვა უკანონო საქმიანობის წარმოებისათვის მეტად ხელსაყრელ კერას. ამ მხრივ აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკა წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს ბირთვული ნივთიერებების უკანონო ვაჭრობის თვალსაზრისით. ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე, არსებობდა ინფორმაცია, რომ სსრკ-ის პერიოდში აგუძერაში სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი ქიმიური ნარჩენების ჩამარხვით სამუშაოებს აწარმოებდა. სხვადასხვა რადიაქტიურ ნივთიერებეთან ერთად 2002 წლის ოქტომბერში აფხაზებმა გახსნეს ქიმიური ნივთიერებების სამარხები და რადიოაქტიური ნივთიერებები ამოიღეს. შეგროვებულ ჯართში აღმოჩნდა ცეზიუმი, რომელიც საზღვარგარეთ შემდგომი რეალიზაციის მიზნით გამდიდრებულ და ჩვეულებრივ ურანთან და სხვა ქიმიურ ნივთიერებებთან ერთად ინსტიტუტიდან გაიტანეს. გარდა ამისა, აფხაზებს ასევე გააჩნდათ 665 გრამი გამდიდრებული ურანი, რომელიც განთავსებული იყო სპეციალურ ჭაში. გაყიდვის მიზნით გატანილი 600 გრ. ურანი პოლონეთის საბაჟომ რუსეთ-პოლონეთის საზღვარზე დააკავა. მოგვიანებით, 2004 წელს ცეზიუმის კონტეინერი დაკავებულ იქნა რუსეთის ტერიტორიაზე რომელიც აფხაზებს მესაზღვრის დახმარებით გადმოჰქონდათ. მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაფიქსირდა აფხაზეთიდან ენგურსგამოღმა რადიაქტიური ნივთიერებების შემოტანის რამდენიმე ფაქტი. სპეცოპერაციის შედეგად ჩამორთმეულ იქნა 4 კგ-მდე ურანი. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის ხელისუფლება აცხადებდა, რომ ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში არსებული ყველა რადიოაქტიური ნივთიერება ხელუხლებელი იყო და ყველა ზემოაღნიშნულ ინფორმაციას უარყოფდა, ეჭვს ბადებს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს 2005 წლის ივნისში ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს სამკაციანი დელეგაციის შეშვებაზე ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ვიზიტის მიზანს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური კვლევითი ინსტიტუტიდან დაკარგული პლუტონიუმის ადგილსამყოფელის დადგენა იყო.

<u>აფხაზური მხარის შეიარაღება</u>

თუ არ ჩავთვლით რუსეთის სამხედრო ტექნიკას აფხაზეთის ტერიტორიაზე, დღევანდელ ეტაპზე აფხაზეთში მოქმედ მხოლოდ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს სავარაუდოდ გააჩნიათ არა მარტო მძიმე ტექნიკა, არამედ უახლესი წარმოების ტანკსაწინააღმდეგო ნაღმტყორცნები "შვი".

უკანონო ფორმირებები ფლობენ გრადის ტიპის 20-მდე დანადგარს, რომელის ისვრის 37 კილომეტრზე. აგრეთვე რეაქტიული დანადგარი "გრადი," რეაქტიული დანდგარი ურაგანი, რომელიც ისვრის 35 კმ-ზე, რეაქტიული დანადგარი "სმერჩი," რომელსაც შეუძლია სროლა 45-47 კმ-ზე. აფხაზებს აგრეთვე შემოტანილი აქვთ ნარმტყორცნი "ბასილუკი", რომელიც გახლავთ ბოლო გამოშვების ტექნიკა.

ასევე ფორმირებები ფლობენ ისეთი სისტემის აპარატებს, რომელიც ახშობს რადიოსიხშირეებს და იჭერს საუბრის სიხშირეებს და აფიქსირებს მოწინააღმდეგის გადაადგილებას. რაც ყველაზე მთავარია, ამ აპარატებს სჭირდება პატრონი და სამხედროების მომზადება, სპეციალისტები კი აფხაზებს არ ჰყავთ. რუსეთის გენშტაბს ჩამოჰყავს სპეციალისტები, რომლებიც ღებულობენ საკმაოდ დიდ ანაზღაურებას. ესენი არიან რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ოფიცრები.

ოფიციალური მონაცემებითსეპარატისტთა "თავდაცვის სამინისტროში" 5 ათასი "ჯარისკაცი" და "ოფიცერი" ირიცხება. 18 ათასი ადამიანი ირიცხება რეზერვში, სამობილიზაციო რესურსი კი 25 ათასს შეადგენს. რაც შეეხება შეიარაღებას, იგი გამოიყურება შემდეგნაირად:

1. ჯავშანტექნიკა: ტანკი "ტ-55"-10 ერთეული;
ქვეითთა საბრძოლო მანქანა ქსმ -10 ერთეული;
ჯავშანტრანსპორტიორი/საბრძოლო სადაზვერვო სამზირო მანქანა-10 ერთეული;

2. არტილერია: "დ-30" – 12 ერთეული;
"ბმ-21" – 5-6 ერთეული;
"ზუ-23-3" (ზილ 130/მტლბ)-8 ერთეული.

3. ავიაცია: მოიერიშე "სუ-25"-2 ერთეული;
მოიერიშე "ლ-39"-2 ერთეული;
მოიერიშე ვერტმფრენი "მი-24" – 4 ერთეული;
სადესანტო ვერტმფრენი "მი-8"-10-12 ერთეული.

4. საზღვაო დივიზიონი: "გრიფის" ტიპის მცურავი საშუალება ("უტიოს"/25 კაცი)-ერთეული;
"ვოლგას" ტიპის მცურავი საშუალება ("დშლ"/50კაცი)-2 ერთეული.

5. სანაპირო დაცვის ბატარეა:
100 მმ-იანი საზენიტო ქვემეხი "კს-19" – 6 ერთეულამდე;
საზენიტო დანადგარი "3 უ-23-2" – 2 ერთეულამდე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2008 წლის ავისტოს მოვლენებამდე რუსეთის ხელისუფლება სეპარატისტების სამხედრო მხარდაჭერაზე ყოველწლიურად ხარჯავდა დაახლოებით 16 მილიონ დოლარს.

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითადი ასპექტები:

როგორც აღნიშნულ იქნა, დღევანდელ დღეს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით პრაქტიკულად შეუძლებელია მხარეთა მიერ აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე რადიკალურად განსხვავებული შეხედულებებისა და პირველ რიგში რუსეთის მარიონეტულ რეჟიმზე ზეწოლის გამო. გარდა ამისა, მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესს ართულებს აფხაზური

მხარის უარი განაახლოს საქართველოსთან მოლაპარაკებები იმ დრომდე, სანამ საქართველოს აფხაზეთთან ხელს არ მოაწერს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას.

თუმცა,რუსული და აფხაზური მხარეების არაკონსტრუქციული პოზიციების მიუხედავად, არსებობს იმის ალბათობა, რომ მომავალში საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა, საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებამ, აგრეთვე დღევანდელ აფხაზეთში არსებულმა ზემოჩამოთვლილმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და დემოგრაფიული ხასიათის პრობლემებმა აიძულონ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება რამდენიმე წლის შემდეგ წამოვიდეს მოლაპარაკებაზე საქართველოს ხელისუფლებასთან. გარდა ამისა, ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მოლაპარაკებათა განახლებისა აგრეთვე შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ აფხაზურ საზოგადოებაში სულ უფრო იზრდება უნდობლობა რუსეთის მიმართ, რომელმაც განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს აგრესიისა და აფხაზეთის "დამოუკიდებლობის" აღიარების შემდეგ, განსაკუთრებით გააძლიერა აფხაზეთზე ზეწოლა. ეს ზეწოლა გამოიხატება იმაში, რომ როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, რუსეთი გამუდმებით ზრდის თავის სამხედრო კონტინგენტს აფხაზეთში, აფხაზურ მხარეზე ზეწოლის შედეგად ითვისებს ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებს და ა.შ. ჯერ კიდევ 2004 წელს, აფხაზეთში "საპრეზიდენტო არჩევნების" დროს აფხაზეთის მოსახლეობის მიერ რუსეთისათვის შედარებით არასასურველი კანდიდატის არჩევის გამო, რუსეთმა ჩაკეტა საზღვარი აფხაზეთთან და ამ უკანასკნელს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა.

ზემოაღნიშნულიფაქტების გათვალისწინებით, გრძელვადიან პერსპექტივაშიმოლაპარაკებათა განახლების შემთხვევაში, აუცილებელია რომ ქართულმა მხარემ წამოაყენოს კონკრეტული წინადადებანი აფხაზური მხარის წინაშე, რათა შესაძლებელი იყოს ურთიერთკომპრომისული ვარიანტების გამონახვა, რათა მიღწეულ იქნეს აფხაზეთის ფართო ავტონომია ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. კერძოდ, აფხაზეთის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსის თაობაზე მოლაპარაკებათა პროცესის პერიოდში (თუმცა უნდა აღინიშნოს რომ უახლოეს მომავალში ამ საკითხზე საუბარი ფაქტიურად გამორიცხულია აფხაზური მხარის მხრიდან), ქართულმა მხარემ აფხაზურ მხარეს უნდა შესთავაზოს შემდეგი წინადადებები:

- <u>სამართლებრივი ფაქტორები</u>: აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპი. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და ერთა თვითგამორკვევა. საერთაშორისო სამართლის ერთა თვითგამორკვევის პრინციპი არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ერისთვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას, არამედ აქ ნაგულისხმევია აგრეთვე მაღალი პოლიტიკური სტატუსი – სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობა სხვა სახელმწიფოში, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს თავისი უფლებებისათვის მებრძოლი ერის წარმადგენელთა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და სხვა უფლებები;
- აფხაზეთში შესაძლოა არსებობდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი. პრეზიდენტი უნდა იყოს აფხაზი ეროვნების და არჩეულ უნდა იქნეს საყოველთაო არჩევნების შედეგად ანუ მას ირჩევს აფხაზეთის მოსახლეობა პირდაპირი კენჭისყრით;
- აფხაზეთს უნდა გააჩნდეს ყველა სახელმწიფო სიმბოლიკა-დროშა, ჰიმნი, გერბი, აფხაზეთის კონსტიტუცია, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საკუთარი კოდექსები;
- უნდა განისაზღვროს შესაბამისი კვოტა აფხაზი წარმომადგენლებისათვის საქართველოს პარლამენტში და ამავე დროს შესაბამისი კვოტა ქართველი დეპუტატებისა (აფხაზეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ქართველები)

აფხაზეთის პარლამენტში. ამ მიზნით აფხაზეთის ტერიტორიაზე არჩევნები უნდა ჩატარდეს მაჟორიტარული წესით;
- უნდა გაიხსნას აფხაზეთის წარმომადგენლობა თბილისში და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობა სოხუმში;
- აფხაზეთს უნდა მიეცეს უფლება თვითონ განსაზღვროს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძირითადი პრინციპები. როგორც ცნობილია ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში სხვადასხვა ისტორიულ რეგიონებში არსებობს განსხვავებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ამის ნათელი მაგალითია დიდი ბრიტანეთი, სადაც ინგლისი და უელსი დაყოფილნი არიან საგრაფოებად, ჩრდილოეთ ირლანდია რეგიონებად, ხოლო შოტლანდია პროვინციებად. ამავე დროს აფხაზეთს უნდა მიენიჭოს უფლება თავად განსაზღვროს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ადმინისტრაციულ – პოლიტიკური ერთეულების კომპეტენცია – არჩევის წესები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი და ა.შ.

კონფლიქტის დარეგულირების ეკონომიკური ასპექტები:

- აფხაზეთს საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით უნდა მიეცეს პრივილეგია საგადასახადო შემოსავლების კუთხით. საქართველოში არსებული სხვადასხვა სახის გადასახადების - დღგ, საშემოსავლო, სოციალური, მოგების გადასახადი, აგრეთვე მდინარე ფსოუზე არსებულ საბაჟო საზღვარზე მიღებული საბაჟო შემოსავლების უმეტესი ნაწილი დარჩეს აფხაზეთის ბიუჯეტში. მოლაპარაკებათა შედეგად უნდა განისაზღვროს თითოეული გადასახადის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოს ცენტრალურ და აფხაზეთის ბიუჯეტებს შორის. მაგალითად მოგების გადასახადის 30% წავა ცენტრალურ, ხოლო 70% აფხაზეთის ბიუჯეტში;
- აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით უნდა ჩატარდეს აფხაზეთში არსებული სხვადასხვა ობიექტების-კვების მრეწველობის, ტურისტული ინფრასტრუქტურა, საბადოები და სხვ. პრივატიზაცია. ამ მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით უნდა განსაზღვროს ტენდერის პირობები და აგრეთვე იმ სამეწარმეო სუბიექტების ნუსხა, რომელიც უნდა იყოს გატანილი საპრივატიზაციოდ. აგრეთვე განისაზღვროს, თუ როგორი სახით უნდა ჩატარდეს პრივატიზაცია (ტენდერი, აუქციონი, ინვესტორებისათვის სამეწარმეო სუბიექტის კონცესიის გზით გადაცემა). ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლებამ და საზღვარგარეთ აკრედიტირებულმა საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა აქტიური მოლაპარაკებები უნდა აწარმოონ სხვადასხვა ქვეყნების კონპანიებთან და სავაჭრო პალატებთან, რათა მოხდეს ინვესტიციების მოზიდვა აფხაზეთის ეკონომიკაში;
- პრივატიზაციიდან მიღებული თანხების უდიდესი ნაწილი უნდა ჩარიცხულ იქნეს აფხაზეთის ბიუჯეტში აფხაზეთის შემდგომი სოციალ-ეკონომიკური განვითარების მიზნით;
- საქართველომ საზღვარგარეთ მაქსიმალური რეკლამირება უნდა გაუწიოს აფხაზეთის ტურისტულ ობიექტებს;
- ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის უნდა გაიმართოს აქტიური მოლაპარაკება აფხაზეთის რკინიგზის აღდგენასა და აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის სარკინიგზო, ისევე როგორც საჰაერო და საავტომობილო მიმოსვლის აღდგენის შესახებ;
- საქართველომ უნდა განახორციელოს ტრანსფერული გადასახადები აფხაზეთის ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით.

კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხები:

- უნდა დაინერგოს აფხაზეთის ქართულ სკოლებში აფხაზური ენის, ხოლო აფხაზურ სკოლებში ქართული ენის სწავლება;
- საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ხელი შეუწყოს აფხაზურ ენაზე სხვადასხვა სახის ლიტერატურის გამოცემას;
- საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს აფხაზი სტუდენტების სწავლებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და აფხაზი ახალგაზრდების გაგზავნას საზღვარგარეთ სასწავლებლად.

ამავე დროს, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციას უნდა მიეკუთვნებოდეს ისეთი სფეროები როგორებიცაა:

- საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;
- საგარეო ვაჭრობა, საბაჟო პოლიტიკა;
- სახელმწიფო ფინანსები, ფულის მოჭრა, საბანკო,საკრედიტო, საგადასახადო კანონმდებლობა;
- სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები;
- კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აქაც შესაძლებელია გარკვეული კომპრომისული ვარიანტის შემუშავებაც. მაგალითად საგარეო ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით შესაძლებელია რომ აფხაზეთიდან გატანილი გარკვეული პროდუქციის შედეგად მიღებული შემოსავალი წავიდეს აფხაზეთის ბიუჯეტში როგორც ეს ხდება მაგალითად თათარსტანის შემთხვევაში, რომელსაც უფლება გააჩნია დამოუკიდებლად გაყიდოს რესპუბლიკაში მოპოვებული ნავთობი, ხოლო გაყიდვის შედეგად მიღებული თანხების უდიდესი ნაწილი მიემართება არა რუსეთის, არამედ თათარსტანის ბიუჯეტში.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, აქაც შესაძლებელია მაგალითად აფხაზეთის დამოუკიდებლად ევროპის რეგიონთა ასამბლეაში გაწევრიანება (ამჟამად ასამბლეის წევრია აჭარა) და ა. შ.

რაც შეეხება სახელმწიფო ფინანსებს, აქაც შესაძლებელია ეროვნული ვალუტა ლარის შესაბამის ბანკნოტებზე იყოს აფხაზური სიმბოლიკები, ზოგიერთ კუპიურაზე ქართულთან ერთად აფხაზური წარწერები და ა.შ.

რაც შეეხება თავდაცვას, აქ შესაძლებელია საუბარი იყოს იმაზე, რომ ერთიან ჯარში სამხედრო სამსახურის გავლისას, აფხაზეთის მაცხოვრებლებმა იმსახურონ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხოლო იმ აფხაზებს, რომლებიც არ მოისურვებენ ქართულ ჯარში სამსახურს, უზრუნველყოფილ იქნენ ალტერნატიული სამხედრო სამსახურით.

უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ მოლაპარაკებათა პროცესში (მოლაპარაკებათა განახლების შემთხვევაში), უნდა დაისვას საკითხი ლტოლვილთა უპირობო დაბრუნებისა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე.

კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წ. 20 აპრილს შეიქმნა ბოლშევიკური ხელისუფლების ინიციატივით, რაც აბსოლუტურად არალეგიტიმური იყო. მიუღებელი იყო თვით ტერმინიც "სამხრეთ ოსეთი", რადგან "სამხრეთ ოსეთად" წოდებული ტერიტორია ისტორიულად ქართული მიწა-წყალი იყო და საერთო არაფერი ჰქონდა ისტორიულ ოსეთთან (ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთი). ზემოაღნიშნული ტერმინი რუსეთის იმპერიის მესვეურთა ძალისხმევით გაჩნდა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში კავკასიაში გამომავალ რუსულ პრესაში.

მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, სსრკ-ის მაშინდელი

ხელმძღვანელობის წაქეზებითა და ინიციატივით შეიქმნა სეპარატისტული ხასიათის ორგანიზაციები. ოსურმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომელსაც ორგანიზაცია "ადამონ ნიხასი" ხელმძღვანელობდა, მიზნად დაისახა ე.წ. სამხრეთ ოსეთის გაერთიანება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ ოსეთთან. 1989 წლის აღწერით, რეგიონში მოსახლეობის უმრავლესობას (დაახლოებით 65%) ეთნიკური ოსები შეადგენდნენ. თუმცა ეს მთლიანად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ოსების უმცირესობა იყო. 160 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი ცხოვრობდა ავტონომიურ ოლქში.

პირველი გამოსვლები ოლქში 1989 წელს დაიწყო, ხოლო პირველი შეტაკებები მოხდა 1990 წელს, როდესაც თბილისთან შეთანხმების გარეშე სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ 1990 წლის 21 სექტემბერს გამოაცხადა "სამრეთ ოსეთის რესპუბლიკის" შექმნა, ხოლო მოგვიანებით ავტონომიურ ოლქში არჩევნები ჩატარდა და ახლადარჩეულმა "უზენაესმა საბჭომ" ფაქტობრივად საქართველოსგან გამოყოფა გამოაცხადა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის დეკემბერში გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამას შეიარაღებული კონფლიქტის გამწვავება მოჰყვა.

შეიარაღებული სახით კონფლიქტი მიმდინარეობდა 1992 წ. ივნისამდე. ომი დამთავრდა სამმხრივი ქართულ-რუსულ-ოსური შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც სტატუსის გარკვევამდე რეგიონში სამმხრივი სამშვიდობო ძალები იმოქმედებდა.
2008 წლის აგვისტომდე მოლაპარაკებები თბილისსა და ცხინვალს შორის ეუთოს და რუსეთის შუამავლობით მიმდინარეობდა. თუმცა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მოლაპარაკებათა პროცესი ფერხდება რუსეთის ხელისუფლებისა და ცხინვალის რეჟიმის არაკონსტუქციული ქმედებების გამო. 2008 წლის აგვისტომდე, აფხაზეთთან შედარებით, "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის მოგვარება საქართველოსათვის შედარებით უფრო ადვილ ამოცანას წარმოადგენს რიგი მიზეზების გამო, კერძოდ:

- საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთისგან განსხვავებით (სადაც კონტროლი მხოლოდ კოდორის ხეობაზე ვრცელდებოდა) ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ძალიან მნიშვნელოვან, მათ შორის ოსებით დასახლებულ ნაწილს – დაახლოებით 40%-ს აკონტროლებდა (ახალგორის რაიონი, ლიახვის ხეობა, ფრონეს ხეობა);
- ქართული სამშვიდობო ძალები მონაწილეობდნენ სამშვიდობო ოპერაციებში;
- "სამხრეთ ოსეთს" ბევრად უარესი გეოგრაფიული მდგომარეობა გააჩნდა და გააჩნია აფხაზეთთან შედარებით;
- "ოსეთის" ეკონომიკა აფხაზეთის ეკონომიკასთან შედარებით გაცილებით ჩამორჩენილი იყო. თუ აფხაზეთს შეეძლო მიეღო გარკვეული შემოსავალი ტურიზმიდან, ცხინვალის რეგიონში შემოსავლის უმთავრეს წყაროს,ისიც მოსახლეობის მცირე ნაწილისათვის მხოლოდ კონტრაბანდა წარმოადგენდა;
- ცხინვალის სეპარატისტული რეგიონის სამხედრო ფორმირებები სამხედრო აღჭურვილობით გაცილებით ჩამორჩებოდნენ აფხაზეთის უკანონო ფორმირებებს;
- აფხაზებისაგან განსხვავებით ოსური საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე, მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლინობას. ამ მხრივ აღსანიშნავია 2006 წელს ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციის შექმნა, რომლის ხელმძღვანელობა უმეტესად ოსებითაა დაკომპლექტებული და მათ ბევრი მხარდამჭერი ჰყავდათ თვით ცხინვალშიც.

სწორედ ამ ფაქტებს ითვალისწინებდა რუსეთი, როდესაც ამზადებდა სამხედრო აგრესიას საქართველოს წინააღდეგ, რაზედაც შემდეგ თავებში გვექნება საუბარი.

<u>ცხინვალის რეჟიმის შეაიარაღება 2008 წლის აგვისტომდე</u>

როგორც აღინიშნა, აფხაზეთისაგან განსხვავებით, კოკოითის რეჟიმს გაცილებით მწირი შეიარაღება გააჩნდა. 2008 წლის გაზაფხულზე არსებული მონაცემებით, ე. წ. სამხრეთ ოსეთის უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში დაახლოებით 2500 მებრძოლი ირიცხებოდა. ცხინვალის ხელისუფლების სამხედრო ბიუჯეტი 10 ათას დოლარს შეადგენდა. 3 ათასი ადამიანი ირიცხებოდა რეზერვში, სამობილიზაციო რესურსი კი 12 500 კაცს შეადგენდა. შეიარაღება ასე გამოიყურებოდა:

1. ჯავშანტექნიკა: ტანკები "ტ-72"-10 ერთეულამდე; ქვეითთა საბრძოლო მანქანა "ბეემპე"-22 ერთეულამდე; საბრძოლო სადაზვერვო სამზირო მანქანა "ბეერდემ" – 6 ერთეულამდე; მათ ასევე გააჩნდათ ორი სახეობის სადაზვერვო ჯავშანმანქანა.
2. არტილერია: თვითმავალი საარტილერიო დანადგარი "საუ-122" – 8 ერთეულამდე. ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა "ვმ-21 გრად"-6 ერთეულამდე; ჰაუბიცა "დ-30"-4 ერთეულამდე; 82 მმ-იანი ავტომატური ნარმსატყორცნი "ვასილიოკ"-2 ერთეულამდე; გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი "პზრკ"-20 ერთეულამდე; 200-ზე მეტი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა.რამდენიმე მანქანაზე დასადგამი დანადგარი "ჯიგიტი". 200-ზე მეტი გადასაცემი საზენირტო დანადგარი "იგლა".
3. საზენიტო: საზენიტო დანადგარი "ზკ-23-2" – 12 ერთეულამდე; ამასთან პირადი შემადგენლობა აღჭურვილია შემდეგი სახის ცეცხლსასროლი იარაღით: "აკ-74", "აკაემ", "ერპეკა", "პეკა", "ესვედე", ყუმბარსატყორცნი "აგს-17", დაზგის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი "სპგ-9".

სეპარატისტები აფხაზეთის მსგავსად ფინანსდებოდნენ რუსეთიდან. მოსკოვი წელიწადში დაახლოებით 10 მილიონ დოლარს ხარჯავდა ცხინვალის რეგიონის შეიარაღებაზე.

<u>კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები:</u>

ისევე როგორც აფხაზეთის შემთხვევაში, დღევანდელ ეტაპზე და უახლოეს მომავალში, როდესაც აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებული რეჟიმები რუსეთის მარიონეტებად არიან გადაქცეულები, კონფლიქტის მოგვარება შეუზლებელია. თუმცა ქართულმა მხარემ უნდა დააფიქსიროს თავისი ხედვა გრძელვადიან პერსპექტივაში ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით. კერძოდ ის, რომ აფხაზეთის მსგავსად ცხინვალის რეგიონს გააჩნდეს პოლიტიკური ავტონომია საქართველოსშემადგენლობაში რეგიონს უნდა ჰქონდეს უფლება შექმნას საკუთარი სიმბოლიკა-დროშა, გერბი;

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი უნდა განისაზღვროს საქართველოს კონსტიტუციური კანონით;

საქართველოს პარლამენტში უნდა განისაზღვროს შესაბამისი კვოტა ოსური დეპუტაციის წარმომადგენლებისათვის;

განისაზღვროს გარკვეული საგადასახადო შეღავათები ცხინვალის რეგიონისათვის;

ასევე უნდა დაინერგოს ოსურ სკოლებში ქართულის, ხოლო ქართულ სკოლებში ოსური ენის სწავლება.

ზემოაღნიშნულმა ერთობლივმა ქმედებებმა, აგრეთვე როგორც უკვე აღინიშნა საქართველოს ეკონომიკურმა განვითარებამ მომავალში უნდა გამოიწვიოს ცხინვალის რეჟიმის წარმომადგენლებისა და ამ რეჟიმის მიერ

კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დაინტერესება, რათა განახლდეს მოლაპარაკებები თბილისსა და ცხინვალს შორის სამხრეთ ოსეთის საბოლოო სტატუსის დასადგენად მისი ფართო ავტონომიური უფლებებით ერთიანი საქართველოს ფარგლებში.

რუსეთის და მისი "სამშვიდობო ძალების" ნეგატიური როლი საქართველოში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საქმეში 2008 წლის აგვისტომდე

საყოველთაოდ ცნობილია რუსეთის ნეგატიური როლი საქართველოში არსებული კონფლიქტების გაღვივებასთან დაკავშირებით. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსეთის ე.წ. "სამშვიდობო ძალების" შესახებ, რომლებიც 2008 წლის აგვისტომდე მთავარ მადესტაბილიზებელ როლს თამაშობდნენ კონფლიქტის მოგვარების საკითხებში. "სამშვიდო ძალების" ნეგატიური ქმედებების საპასუხოდ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ 2005 წლის შემოდგომაზე მიიღო დადგენილება კონფლიქტის ზონაში მოქმედი რუსი „სამშვიდობო ძალების" შესახებ, სადაც სამშვიდობოებს ასე ვთქვათ მდგომარეობის გამოსასწორებლად მიეცათ კონკრეტული ვადა, კერძოდ 2006 წლის 15 თებერვლამდე ცხინვალის რეგიონში, 2006 წლის 15 ივლისი – აფხაზეთის რეგიონში.

საბოლოო დადგენილების ტექსტი კი ასე გამოიყურებოდა: "პარლამენტი მთავრობას ავალებს რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებების განახლებას. ეს შესაბამისად შეეხება აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ძალების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ვადების ამოწურვის შემდეგ, თუ პარლამენტი ცისფერჩაფხუტიანებისათვის სამშვიდობო მისიის შეწყვეტის გადაწყვეტილებას მიიღებს, მთავრობამ მათი სასწრაფოდ გაყვანის შესახებ უნდა მიიღოს ზომები, გარდა ამისა, ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გააქტიურონ მუშაობა ახალი სამშვიდობო ინიციატივის დაწყების მიზნით. დადგენილების მიხედვით, 2005 წლის 1 დეკემბრამდე მთავრობას პარლამენტისათვის სამშვიდობო გეგმების რეალიზების დეტალური სამოქმედო რუკის წარდგენა დაევალა.

როგორც ცნობილია, მიუხედავად ამ დადგენილებისა რუსეთის "სამშვიდობოები" დარჩნენ კონფლიქტურ ზონებში 2008 წლის აგვისტომდე. თუმცა აქვე სამშვიდობოებთან დაკავშირებულ კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით საინტერესოა განვიხილოთ თუ რა სამართლებრივი ბაზა არსებობდა რუსეთის მიერ საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის ანექსიამდე.

დაგომისის ხელშეკრულება: იგი გაფორმდა 1992 წლის 26 ივნისს საქართველოსა და რფ-ას შორის ხელმოწერილი შეთანხმების „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ" საფუძველზე. აღნიშნული შეთანხმების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით იქმნებოდა შერეული საკონტროლო კომისია (ქართული, რუსული, ჩრდილო-ოსური მხარეები). შსკ-ს საქმიანობაში მონაწილეობდნენ ეუთო, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, ხოლო სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისა და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროცესში ეუთოსთან ერთად ევროკომისიაც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული შეთანხმების გაფორმება მოხდა საქართველოზე რუსეთის ზეწოლის შედეგად. კერძოდ, ხელშეკრულების ხელმოწერამდე რამდენიმე კვირით ადრე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა კონფლიქტის ზონაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, როდესაც საქართველოს კონტროლქვეშ მოექცა რამდენიმე სოფელი და ქართულმა შენაერთებმა დაიკავეს ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული სიმაღლეები, ხოლო ამის შემდეგ ცხინვალის აღება საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. სწორედ ამ მოვლენების შემდეგ განსაკუთრებით გახშირდა რუსეთის პოლიტიკურ წრეებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ანტიქართული პროპაგანდა, სადაც ქართველებს აგრესორებად და ოკუპანტებად მოიხსენიებდნენ. სიტუაციამ

კულმინაციას მიაღწია რუსეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ვლადიმერ რუცკოის სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ, სადაც იგი დაიმუქრა, რომ ქართველების მიერ ცხინვალის აღების შემთხვევაში რუსეთის საჰაერო ძალები დაბომბავდნენ თბილისს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. შევარდნაძემ კატეგორიულად აკრძალა საქართველოს საჯარისო ნაწილების ცხინვალში შესვლა. სწორედ ამის შემდეგ მოხდა დაგომისის ხელშეკრულების ხელმოწერა, სადაც საქართველოს ხელისუფლება იძულებულ იქნა დათანხმებოდა რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ შემოსვლაზე კონფლიქტის ზონაში. გარდა ამისა, საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იმ დროისათვის რუსეთს არც დე-იურე და არც დე-ფაქტოდ ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთმა ეს კოზირიც თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება დაითანხმა იმაზე, რომ ეს უკანასკნელი დათანხმებულიყო რუსეთის საჯარისო ნაწილების ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შემოსვლაზე რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების სანაცვლოდ. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ, 1992 წლის 2 ივლისს ქ. მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ.

რაც შეეხება თავად დაგომისის ხელშეკრულების გაფორმებას, აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კონფლიქტის ზონაში ქართულ-რუსულ-ოსური სამშვიდობო ძალების შესვლის შემდეგ შეწყდა მხარეებს შორის საომარი მოქმედებები და შესაბამისად სიტუაცია შედარებით სტაბილური გახდა. ამავე დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ მნიშვნელოვან დეტალებზე: შეთანხმების შესაბამისად როგორც ქართული, ასევე რუსული და ჩრდილო-ოსური მხრიდან კონფლიქტის ზონაში უნდა განლაგებულიყო 500-500 მშვიდობისმყოფელი. ეს კი საქართველოს ინტერესების აშკარა ხელყოფას წარმოადგენდა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ძირძველ, ისტორიულ ნაწილში რუსეთის მხრიდან სამშვიდობო ოპერაციები უნდა განეხორციელებინა 1000 ჯარისკაცს – ხუთასს რუსეთის, ხოლო ხუთასს ჩრდილო ოსეთის (როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტის) მხრიდან, ხოლო საქართველოს მხრიდან ორჯერ ნაკლებს – 500 ჯარისკაცს. გარდა ამისა, ამ შეთანხმების შესაბამისად საქართველო იძულებული იყო გამოეყვანა თავისი საჯარისო ნაწილები ექვსი სოფლიდან, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებოდა. გარდა ამისა, ქართული სამშვიდობოები ვერ ახორციელებდნენ სამშვიდობო ფუნქციებს როკის გვირაბთან, რაც ხელს უწყობდა კონტრაბადული ტვირთის შემოდინებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

აფხაზეთთან დაკავშირებით შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო 1994 წლის 14 მაისს ქ. მოსკოვში, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ფუნქციონირებენ დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალები (გაერო-ს მანდატით), თუმცა ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მიხედვით მათი გასვლა შესაძლებელი იყო კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში.

არსებობს იმისკონკრეტული ფაქტები, თუ როგორ ხდებოდა გალის რაიონში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ სეპარატისტების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევა და ამაზე არავითარი რეაგირება არ ხდებოდა “სამშვიდობოების” მხრიდან.

ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ 1994 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე ე.წ. „აფხაზური მილიციის“ მოქმედებისა და „სამშვიდობო ძალების“ უმოქმედების შედეგად ორი ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე იყო დაღუპული გალის რაიონში. კიდევ ერთ თვალსაჩინო სურათს „სამშვიდობოების“

კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებისა წარმოადგენდა მათი ხშირი შეჭრა კონფლიქტის ზონაში მდებარე ქართულ სოფლებში და მოსახლეობის დაშინება.

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივები

ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობათა უახლოესი ისტორია მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება, როცა პოსტსაბჭოთა სივრცეში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 15-მა ახალმა სახელმწიფომ დაიწყო დამოუკიდებელი არსებობა. საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის დასაწყისი მრავალ სირთულეებთან იყო დაკავშირებული – ქვეყანამ გადაიტანა სამოქალაქო დაპირისპირება – ომი, რუსეთ-საქართველოს ომი და ორი დღემდე მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტი, იმავდროულად მიმდინარეობს სოციალისტურიდან ახალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უაღრესად რთული პროცესი.
შექმნილ ვითარებაში ქვეყნის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრის საკითხი – თუ თავდაპირველად საქართველოს საგარეო პოლიტიკა მოკლევადიან მიზნებზე იყო ორიენტირებული, მოგვიანებით მას საშუალება მიეცა, უფრო მკაფიოდ დაეფიქსირებინა საკუთარი პრიორიტეტები, რომელთა შორის უმთავრესს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია წარმოადგენს. უმოკლეს ვადებში ქვეყანა გახდა არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანზაციის წევრი სახელმწიფო, არამედ გაწევრიანდა ევროპის საბჭოში, თანამშრომლობს ეუთოსთან და აგრეთვე ნატოსთან "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში. 2004 წლის 29 ოქტომბერს ნატო-მ დაამტკიცა საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP), რომლის შესრულებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ნატოში გაწევრიანებისთვის. ასევე, საქართველო აღრმავებს ურთიერთობას ევროკავშირთან. დაწყებული თანამშრომლობის პროცესის ბოლომდე მიყვანა მრავალი რთული საკითხის გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით ეს ეხება ევროკავშირში ინტეგრაციას.

გეოგრაფიულად ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე ჩვენმა ქვეყანამ, რომელსაც არსებობის სხვადასხვა პერიოდებში უშუალოდ ესაზღვრებოდნენ მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები (ურარტუ, ელინური საბერძნეთი (შემდეგ ბიზანტია), სპარსეთი, ოსმალეთი, რუსეთი) თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის თითქმის სამიათასწლოვანი ისტორიის განმალობაში გაუძლო არა მარტო მეზობელი სახელმწიფოების ექსპანსიას, არამედ რომაელთა, არაბთა და მონღოლთა იმპერიების დამპყრობლურ პოლიტიკას და საუკუნეთა განმალობაში მუდმივი, სისხლისმღვრელი დაპირისპირების პირობებში თავდაუზოგავი ბრძოლითა და საგარეო-პოლიტიკური ორიენტირების სწორი შერჩევით შეძლო გადარჩენა და საბოლოო მიზნის მიღწევა – დამოუკიდებლობის მოპოვება.

საქართველოსთვის, თავისი არსებობის განმალობაში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. ანტიკური ეპოქიდან დაწყებული, ჯერ ბერძნულ-ელინურ სამყაროსთან მეზობლობამ, პოლიტიკურ-ეკონომიკურმა თანაარსებობამ და კულტურულმა სიახლოვემ, ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფის, ფარნავაზის დროიდან (მეფობდა ძვ. წ. IVს და IIIს I ნახევარში) ელინისტურ სახელმწიფოებთან განვითარებულმა ურთიერთობებმა, არტაგ იბერთა მეფის (ძვ. წ. Iს) დროიდან კი ძველი რომის იმპერიასთან დამყარებულმა ფართო კონტაქტებმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებზე.
რომის იმპერატორი ავგუსტუსი (29წ.) თავის "ანკვრიის ძეგლში" მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ "იბერებს რომის კეისრისა და ერის მეგობრობა სურდათ..", ჩინებული ურთიერთგანწყობა ჰქონდათ რომაელებს ქართველებთან იმპერატორების - ვესპასიანე, დომიციანე, ტრაიანე და ადრიანეს მმართველობის წლებშიც, რაზეც რომში, მარსის ველზე იბერიის მეფის ფარსმან II-ის ცხენიანი ქანდაკების დადგმაც

მიუთითებს), შემდგომში კი ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ და მეზობელი, ქრისტიანულ ბიზანტიურ იმპერიასთან უპირატესმა კავშირურთიერთობებმა გარკვეულწილად განაპირობეს ქართული სახელმწიფოს დასავლური ორიენტაცია, ერის მენტალობა და მიდრეკილება ევროპული ცივილიზაციისკენ. აღნიშნულით უნდა აიხსნას მე-17 საუკუნეში ვახტანგVI-ის მეფობისას ქართული დიპლომატიის მცდელობა საფრანგეთის მეფისა და ვატიკანის წინაშე კავშირურთიერთობის დამყარებისა და დახმარების თაობაზე, რომლის უშედეგოდ დამთავრებამ გამოიწვია პოლიტიკური ვექტორის რუსეთისაკენ, ჩრდილოეთის მართლმადიდებელი სახელმწიფოსაკენ გადახრა, რასაც თავის მხრივ 1783 წელს ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე მფარველობის პირობით ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან გაერთიანება მოყვა. აღნიშნული ხელშეკრულება რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო ინსტიტუტის გაუქმებით მოკლე დროში უხეშად იქნა დარღვეული – შედეგად, საუკუნეზე მეტი ხნით გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. არც 1918 წელს, მცირე ხნით მოპოვებული დამოუკიდებლობა აცალა რუსეთმა ჩვენს ქვეყანას და 1921 წელს, მის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ საქართველო მოკავშირე რესპუბლიკის ფორმალური სტატუსით 70 წლით შეყვანილი იქნა ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობაში. შესაბამისად, საბოლოოდ და არცთუ უსაფუძვლოდ დაკარგულია რუსეთის სახელმწიფოს მიმართ ქართველი ხალხის ნდობა.

საქართველოს დასავლური ორიენტაცია გულისხმობს მის ევროპულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სტრუქტურებში სრულმასშტაბიან ინტეგრირებას. კერძოდ, ევროკავშირთან ამ მიმართულებით გადადგმულია შემდეგი ნაბიჯები: საქართველოს და ევროკავშირის ურთიერთობების ძირითადი იურიდიული ჩარჩოა ”პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება”, რომლის ფარგლებში საქართველო საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, 1997 წლის 1 სექტემბრიდან ახორციელებს ”საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნულ პროგრამას”. 2004 წლის ივნისში საქართველო ჩართული იქნა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში, რაც ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვანი მექანიზმია. მის ფარგლებში შემუშავდა ორმხრივი “ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა”, რომელიც ეყრდნობა ”პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას”. 2006 წელს გაფორმდა “საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმა”, ხოლო 2009 წლიდან საქართველო სხვა ხუთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან ერთად გახდა ევროკავშირის “აღმოსავლეთის პარტნიორობის” პროგრამის წევრი.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენები:

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ევროკავშირის სახელმწიფოები მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევდნენ საქართველოს, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ევროგაერთიანების და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში.

1993 წლიდან საქართველოში ევროკავშირის დახმარების სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა: ფინანსური დახმარება, ჰუმანიტარული დახმარება (ძირითადად სასურსათო დახმარების სახით) და ტექნიკური დახმარება, რომლებსაც ევროკავშირი ძირითადად ახორციელებდაTACIS-ს და ECHOS-ს პროგრამების სახით 1991 წლიდან. ევროკავშირმა საქართველოსათვის დახმარების გაწევა დაიწყო 1992 წელს, ECHOS-ს – ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტის მეშვეობით. ეს იყო გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება ქვეყანაში ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში სამოქალაქო ომისა და შემდგომი ეკონომიკური კოლაფსის შედეგად ულუკმაპუროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის. მას შემდეგ ECHOS-მ საქართველოს გაუწია 98 მილიონი ევროს დახმარება. 1996 წელს დახმარებამ სახე იცვალა და გადაუდებელი დახმარების შემდგომ დახმარებად იქცა. 2004 წელს დამტკიცდა 4 მილიონი ევროს ოდენობის ჰუმანიტარული

დახმარების პაკეტი აფხაზეთში კონფლიქტით დაზარალებული დაუცველი ადამიანების მხარდასაჭერად. დახმარების ბენეფიციარები არიან დაუცველი ადამიანები აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოში, საქართველოში იძულებით გადაადგილებული პირები, აგრეთვე ბავშვები თბილისში. დახმარება ვრცელდებოდა ისეთ სექტორებზე, როგორიც არის საკვები, სამედიცინო დახმარება და საცხოვრებელი.

1994 წელს ევროპარლამენტის წინადადების საფუძველზე, დაარსდა "ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში" (EIDHR), რომელიც მხარს უჭერს და ხელს უწყობს ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის დამკვიდრებას. საქართველო ერთ-ერთია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროპული ინიციატივის 29 მიზნობრივი ქვეყნიდან. 2002-2004 წლებში საქართველოში წარმოებული საქონელი ყოველწლიურად დაახლოებით 2 მილიონი ევროთი ფინანსდებოდა, 2005-2006 წლებში საქართველოსთვის ყოველწლიურად 1 მილიონი ევრო გამოიყო. ეს დახმარება მიმართულია დემოკრატიზაციის, კარგი მმართველობის და ადამიანის უფლებათა კულტურისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების ხელშეწყობაზე.

TACIS ("Technical Assistance to the CIS") – ტექნიკური დახმარება გახლდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობისთვის ის ძირითადი ინსტრუმენტი, რომელსაც ევროკავშირი იყენებდა აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან თანამშრომლობაში. TACIS ასევე ძირითადი ინსტრუმენტი იყო საქართველოს მთავრობისთვის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებაში დახმარების გასაწევად. 2004-2006 წლებში პროგრამა ორ პრიორიტეტულ სფეროზე იყო მიმართული: ინსტიტუციური, სამართლებრივი, ადმინისტრაციული რეფორმების ხელშეწყობა და დახმარება გარდამავალი პერიოდის სოციალური შედეგების დაძლევაში. TACIS-ის ეროვნული და სამთავრობოთაშორისო პროგრამების ფარგლებში ხორციელდებოდა რიგი მნიშვნელოვანი პროექტები. 1996 – 1997 წლებში შესაბამისად მოქმედება დაიწყო ევროგაერთიანების დახმარების ისეთმა პროგრამებმა, როგორიცაა სასურთათო უსაფრთხოების პროგრამა და განსაკუთრებული ფინანსური დახმარების პროგრამა. საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობის მიზნით ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონში 2008 წლის აგვისტომდე მოქმედებდა ევროგაერთიანების სარეაბილიტაციო პროგრამა.

ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური ურთიერთობების განვითარებას. ამ თვალსაზრისით პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს ისეთი პროექტების განხორციელება, როგორიცაა TRACECA და INOGATE, რომელიც TACIS-ის მიერ ფინანსდებოდა. INOGATE-ი (ევროპაში ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება) წარმოადგენს პროგრამას, რომლის დანიშნულებაცაა ევროპის ენერგომომარაგების უსაფრთხოების გაუმჯობესება. საქართველო პროგრამა INOGATE-ის ერთ-ერთი პირველი წევრი გახდა, როდესაც 1999 წლის 22 ივლისს ხელი მოაწერა INOGATE-ის ქოლგა შეთანხმებას, რომელშიც განსაზღვრულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად თანამშრომლობის ძირითადი წესები. ევროკავშირის მხრიდან კასპიის ზღვის რეგიონის ენერგორესურსებით დაინტერესებამ ბიძგი მისცა ამ პროგრამის განხორციელებას, რომლის მიზანიც ნავთობისა და გაზის რეგიონალური მილსადენის სისტემისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტირება, ოპტიმიზირება და მოდერნიზებაა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე TRACECA-ს პროექტი. TRACECA-ს (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი) მიზანია, აშენდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც ევროკავშირს დააკავშირებს შავიზღვისპირა ქვეყნებთან კავკასიაში და ცენტრალურ აზიასთან ჩინეთის საზღვრამდე. პროგრამა დაწყებულ იქნა 1993 წლის მაისში ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ვაჭრობისა და ტრანსპორტის მინისტრები ცენტრალური

აზიის ხუთი რესპუბლიკიდან და კავკასიის სამი რესპუბლიკიდან. აღნიშნული პროექტი მოწონებული იქნა მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ, რამაც თავის მხრივ კერძო ინვესტიციების მოზიდვასაც შეუწყო ხელი. TRACECA-ს წარმატებით განხორციელება "ახალი აბრეშუმის გზის" წარმატების წინაპირობაცაა.

ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმების გაფორმება წარმოადგენს, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ყველა სახის ურთიერთობებს არეგულირებს პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების ჩათვლით. ამ შეთანხმებას ხელი მოეწერა 1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში. აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, ევროკავშირმა და საქართველომ აიღეს ურთიერთვალდებულებები, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობის მრავალ სფეროს. შეთანხმების მიზანია შექმნან მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგისათვის შესაბამისი ჩარჩოები, რაც შესაძლებელს გახდის განვითარდეს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობები; მხარი დაუჭიროს საქართველოს ძალისხმევას მიაღწიოს დემოკრატიის განმტკიცებას, განავითაროს ეკონომიკა და დაასრულოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა; ხელი შეუწყოს მხარეებს შორის ვაჭრობას და ინვესტირებას; საფუძველი ჩაუყაროს საკანონმდებლო, ეკონომიკურ, სოციალურ, ფინანსურ, სამოქალაქო – სამეცნიერო, ტექნოლოგიურდა კულტურულ თანამშრომლობას.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო 1999 წლის 1 ივლისს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან.

"პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმებით გათვალისწინებული შესაბამისი თანამშრომლობის ინსტიტუტები იქნა შექმნილი:

- **თანამშრომლობის საბჭო** შეიქმნა, რათა მეთვალყურეობა გაუწიოს წანამდებარე შეთანხმების შესრულებას. საბჭოს შეხვედრები იმართება წელიწადში ერთხელ მინისტრების დონეზე. საბჭო განიხილავს ნებისმიერ ძირითად საკითხს, რომელიც წარმოიშვა PCA-ის ფარგლებში, და ნებისმიერ სხვა ორმხრივ და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხს შეთანხმების მიზნების მისაღწევად;
- თანამშრომლობის საბჭოს თავისი მოვალეობის შესრულებაში ეხმარება **თანამშრომლობის კომიტეტი**, რომელიც ერთი მხრივ, შედგება ევროპის კავშირის საბჭოს წევრებისა და ევროპის გაერთიანების კომისიის წარმომადგენლებისაგან, და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელისაგან. I შეხვედრა ჩატარდა 2000 წლის 21 თებერვალს.
- **საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი** არის ფორუმი საქართველოს პარლამენტისა და ევროპარლამენტის წევრებისათვის, სადაც მათ ეძლევათ შეხვედრისა და აზრთა ურთიერთგაზიარების საშუალება. შეკრების პერიოდს კომიტეტი თავად განსაზღვრავს. საპარლამენტო კომიტეტი აქტიურად მონაწილეობს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესრულებასა და იმპლემენტაციაში.
- **ვაჭრობისა და სამართლებრივი საკითხების თანამშრომლობის ქვეკომიტეტი** – პირველი შეხვედრა ჩატარდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში 2000 წლის 14 ივლისს.
- **სპეციალური სამთავრობო კომისია** შეიქმნა საქართველოში პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე. კომისიის მიზანია დააჩქაროს PCA-ის იმპლემენტაცია.

"პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების" საშუალებით ევროკავშირმა და საქართველომ ერთმანეთს **"უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი"** (MFN) მიანიჭეს. 1995 წლიდან კი საქართველოში **პრეფერენციების გენერალიზებული**

სისტემა გავრცელდა (**SP**).[236]1998 წლის ნოემბერში საქართველომ გააკეთა განაცხადი ევროკავშირის GSP-ს სქემის დამატებითი პრეფერენციებით სარგებლობისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ევროკავშირის GSP-ს სქემის შრომის უფლებათა დაცვის შესახებ ნაწილში. კომისიამ განიხილა საქართველოს განაცხადი, ჩაატარა შესაბამისი გამოკვლევები და მიიღო გადაწყვეტილება 2003 წლის ბოლოსათვის აღნიშნული დამატებითი შეღავათების საქართველოსათვის მინიჭების შესახებ, რაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ განხორციელდა. 2004 წლის 12 ოქტომბერს ევროკომისიის ვაჭრობის გენერალურმა დირექტორატმა გაავრცელა მიმართვა, რომელიც შეეხებოდა ევროკავშირის GSP-ს (2006-2015 წლებში) სქემის დაგეგმილ ცვლილებებსა და ფუნქციონირებას. ახალი სქემის თანახმად, იმისათვის, რომ ბენეფიციარმა ქვეყანამ ისარგებლოს დამატებითი შეღავათებით, ანუ ე.წ. **(GSP+)** –ის სქემით, მას უნდა ჰქონდეს რატიფიცირებული გაეროს 16 ძირითადი კონვენცია, რომელთაგან საქართველოს რატიფიცირებული არ ჰქონდა მხოლოდ "საერთაშორისო კონვენცია აპარტეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ". მაქსიმალურად მცირე დროში მოხერხდა აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება პარლამენტის მიერ, დეპოზიტორისათვის გადაგზავნა და ევროკავშირის ქვეყნების ინფორმირება ამის შესახებ. ევროკომისიის მიერ გავრცელებული დამატებითი განცხადების თანახმად GSP-ს ახალი სქემის GSP+ ქვესქემა (მხოლოდ დამატებითი შეღავათების ნაწილი) დაიწყებდა მოქმედებას 2005 წლის 1 აპრილიდან. ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, 2005 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა ევროკავშირის GSP-ს სქემის მხოლოდ დამატებითი პრეფერენციების ე.წ. GSP+ სისტემა და იგი, სხვა ქვეყნებთან ერთად (სულ 14 ქვეყანა) საქართველოზეც გავრცელდა, რითაც დაახლოებით 7200 სახელწოდების ქართული პროდუქციას საშუალება ეძლევა, შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე მოსაკრებლის და კვოტის გარეშე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ევროკავშირის ზოგად სატარიფო ხაზებში მოქცეული 2100-მდე დასახელების პროდუქტს ევროკავშირი მანამდეც და ახლაც ანიჭებს ნულოვან საბაჟო განაკვეთს, აქედან გამომდინარე თუ მხედველობაში მივიღებთ ამ საქონლის ჩამონათვალს და GSP+-ის სქემით მოცული საქონლის ჩამონათვალს, გამოდის რომ დღეისათვის 10300 (2100+7200) დასახელების პროდუქტს ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან შეუძლია ნულოვანი საბაჟო ტარიფით შესვლა.

ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2003 წლის ივლისში ევროკავშირის საბჭოს მიერ პირველად სამხრეთი კავკასიის რეგიონში **სპეციალური წარმომადგენლის** (EUSR) დანიშვნა, დასტურად იმისა, რომ კონფლიქტების მოგვარებას ევროკავშირი რეგიონის ეკონომიკური განვითარების ძირითად პირობად მიიჩნევდა. სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობაზე დაინიშნა ფინელი დიპლომატი ჰეიკი ტალვიტიე, რომელიც 2006 წლის თებერვლიდან, შვედმა პიტერ სემნებიმ შეცვალა. სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტი რეგიონში ევროკავშირის პოლიტიკური როლის გაზრდის მიზნით შეიქმნა. სპეციალური წარმომადგენლის მანდატი მოიცავს კონფლიქტის თავიდან აცილებისა და მისი დარეგულირების პროცესში ევროკავშირის დახმარების უზრუნველყოფას. 2006 წლიდან ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის მანდატი გაფართოვდა. ამჟამად, იგი კონფლიქტების მოგვარების საკითხში ევროკავშირის გააქტიურებულ როლს ითვალისწინებს.

---

[236]პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის (**Generalized System of Preferences - GSP**) ძირითადი არსია დახმარება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მხრიდან განვითარებადი ქვეყნების მიმართ მათი ექსპორტის ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით განვითარებული ქვეყნები პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის (GSP) ბენეფიციარებს ცალმხრივ საფუძველზე (საპასუხო შეღავათების მიღების გარეშე) ანიჭებენ გარკვეულ შეღავათებს საგარეო ვაჭრობაში. კერძოდ, ისინი აწესებენ ბენეფიციარი ქვეყნებიდან ექსპორტირებულ საქონელზე საბაზო განაკვეთებთან შედარებით საიმპორტო ტარიფის შემცირებულ განაკვეთებს, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე

2004 წელს, ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) ფარგლებში, საქართველოში განხორციელდა **ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია** (EUJUST THEMIS). ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია საქართველოში 12 თვე გაგრძელდა და 2005 წლის 14 ივლისს დაასრულა მუშაობა. ეს ევროკავშირის მიერ ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კონტექსტში განხორციელებული კანონის უზენაესობის პირველი მისია იყო, მისიის მიზანი იყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის შექმნა, რომელიც წარმატებით განხორციელდა. EUJUST THEMIS-ის გუნდი, რომელიც შედგებოდა 12 ექსპერტისაგან დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპიდან, 12 ქართველ კოლეგასთან ერთად, მუშაობას 2004 წლის ივლისში შეუდგა. საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა მომზადებული სტრატეგია,28 გვერდიანი დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნა პროცედურები დაწყებული დანაშაულის გამოძიებით და დამთავრებული დამნაშავის საპატიმროში მოთავსებით. შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა სტრატეგიის განხორციელების გეგმა. სტრატეგია ასახულია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში და საქართველოს მთავრობამ მისი განხორციელება განსაკუთრებულ პრიორიტეტად გამოაცხადა.

სამხრეთ კავკასიის საზღვრის დაცვის ხელშემწყობი მისია – საქართველოსთვის მისი საზღვრების გრძელვადიანი პერსპექტივით უსაფრთოების უზრუნველყოფაში დახმარების გასაწევად ევროკავშირმა შექმნა საზღვრის დაცვის ხელშემწყობი ჯგუფი. სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დაქვემდებარებაში მყოფმა გუნდმა მუშაობა 2005 წლის სექტემბერში დაიწყო. გუნდი შედგებოდა 9 საერთაშორისო და 5 ქართველი ექსპერტისაგან. საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით გუნდი მუშაობდა საზღვრების უშიშროების სისტემის რეფორმირებაზე როგორც სტრატეგიულ, ისე საოპერაციო დონეებზე.

ევროკავშირის ქვეყნები დარწმუნდნენ, რომ სასაზღვრო უსაფრთხოება ერთი რომელიმე ქვეყნის ან, თუნდაც, გაერთიანების დაცვით შეუძლებელია. სახელმწიფოებს შორის სასაზღვრო თანამშრომლობა აუცილებელია, რათა გაკონტროლდეს ტერორისტების გადაადგილება, ტრეფიკინგი, უკანონო მიგრაცია, ნარკოტიკების და იარაღის ტრანზიტი და ა.შ. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა გულისხმობს მოსაზღვრე სახელმწიფოების სასაზღვრო სტრუქტურებთან ურთიერთობას და თანამშრომლობას ყველა მიმართულებით, რაც საქართველოს სასაზღვრო სისტემის განვითარებისთვის და აქედან გამომდინარე უსაფრთხოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მას შემდეგ რაც ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირში გაწევრიანდნენ, საქართველოც ევროგაერთიანების მოსაზღვრე ქვეყანა გახდა საზღვაო სივრცის მეშვეობით. ევროკავშირის სასაზღვრო უსაფრთხოების და ამ სტრუქტურების განვითარებაზე ზრუნავს "ფონტექსი". ვარშავაში "ფონტექსის" სათაო ოფისში ჩატარებულ კონფერენციაზე, სადაც ქართული მხარეც იყო მიწვეული, გამოიკვეთა, რომ 2007 წლის ბოლოს და 2008 წლის დასაწყისში ამ ორგანიზაციისთვის პრიორიტეტი საქართველო იქნებოდა. "ფონტექსის" წევრობა ნიშნავს საქართველოს საზღვრის დაცვის პოლიციის დახმარებას ინფრასტრუქტურის განვითარებაში, აეროპორტის და მწვანე ზოლის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფას, ასევე – მესაზღვრეების სწავლებას. ევროკავშირის მოთხოვნა იყო, რომ საქართველოს სასაზღვრო პუნქტები უნდა ყოფილიყო როგორც ფსოუზე აფხაზეთში, ასევე როკის გვირაბთან. ევროკავშირის სურვილია შექმნან სპეციალური ჯგუფები, რომლებიც გააკონტროლებენ შავი ზღვის აკვატორიას მთლიანად. 2008 წლის აგვისტომდე საქართველომ რუსეთს შესთავაზა, რომ ორ ქვეყანას ერთობლივი მონიტორინგი განეხორციელებინა შავ ზღვაზე, კერძოდ აფხაზეთის აკვატორიაში, თუმცა გასაგებ მიზეზთა გამო რუსეთს ამ შემოთავაზებაზე პასუხი არ გაუცია. ქართული მხარე მაინც ახერხებს მის გაკონტროლებას და გემების უკანონო შესვლის აღკვეთას, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც, თუმცა საქმე რთულდება მაშინ

როდესაც მცურავი საშუალებები შემოვლითი გზებით შედიან აკვატორიაში და შავი ზღვის ქვეყნების დახმარება სწორედ ამ შემოვლითი გზების გასაკონტროლებლად არის საჭირო. ეს საკითხი იქნა დაყენებული ბულგარეთში შეხვედრისას, სადაც თავის დროზე რუსეთის პასუხი ვერ იქნა მიღებული.

სამეზობლო ინიციატივა

2003 წელს ევროკომისიის მიერ შემუშავებულ ევროპის სამეზობლო სტრატეგიულ დოკუმენტში, რომელიც ევროკავშირის ურთიერთობას მის სამხრეთელ და აღმოსავლელ მეზობელ ქვეყნებთან არეგულირებს, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები მხოლოდ ერთ პუნქტში იყვნენ მოხსენიებულნი, და ამით ფაქტობრივად გამორიცხულნი იყვნენ ევროპის მეზობელი ჯგუფის ქვეყნების სიიდან. ეს მიდგომა კავკასიის მიმართ ნაწილობრივ შეიცვალა მას შემდეგ, რაც 2004 წლის მაისში ევროკავშირის შემადგენლობაში შევიდა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის 10 ახალი სახელმწიფო. ამით კავკასია მოექცა ევროკავშირის ახლო სამეზობლოში. ენერგომატარებლის დეფიციტმა და მასზე ფასების ზრდამ კავკასიის საკითხი აქტუალური გახადა. ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოები იძულებულნი გახდნენ, დაინტერესებულიყვნენ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების გეოპოლიტიკური მდებარეობითა და ეკონომიკური პოტენციალით.

2004 წლის 14 ივნისს, ევროკავშირის საბჭომ მოიწონა ევროკომისიის მიერ შემუშავებული "ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია", - რომლის საფუძველზე მოხდა სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის ჩართვა "ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში". "ევროპის სამეზობლო პოლიტიკა" ითვალისწინებს ევროკავშირთან შეთანხმებით სამხრეთ კავკასიის თითოეული სახელმწიფოს მიერ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავებას, ყოველი მათგანის მიერ მიღწეულ წარმატებაზე დაყრდნობით

საბჭომ თხოვნით მიმართა ევროკომისიას, ხოლო პოლიტიკური თანამშრომლობის და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე – გენერალურ მდივანს, უმაღლეს წარმომადგენელს ხავიერ სოლანას – წარმოედგინათ ანგარიშები თითოეული ქვეყნის მიერ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების პროცესში მიღწეული წარმატებების შესახებ.

2005 წლის მარტში ევროკომისიამ წარმოადგინა ანგარიშები აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს შესახებ, სადაც რეკომენდაცია გაუწია მოლაპარაკებების დაწყებას ამ ქვეყნებისათვის სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით. 2005 წლის 16-17 ივნისს ევროკავშირის საბჭო მიესალმა გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებდა სამოქმედო გეგმების შემუშავებას ამ ქვეყნებისათვის.
ევროკომისიამ, ევროკავშირის თავჯდომარე ქვეყანასა და ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების უმაღლეს წარმომადგენელთან კონსულტირების გზით, გამართა წინასწარი მოლაპარკებები საქართველოსთან, რომელთა შედეგად მხარეები შეთანხმდნენ სამოქმედო გეგმაზე.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა იყო ხუთწლიანი. მისი განხორციელება დაეხმარება "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების, - დებულებების განხორციელებას და წვლილს შეიტანს საქართველოსთან სულ უფრო მზარდი ურთიერთობების განვითარებაში, რაც ეკონომიკური ინტეგრაციის უფრო მნიშვნელოვანი ხარისხს და უფრო ღრმა პოლიტიკურ თანამშრომლობას გულისხმობს. ამ მიზნით, მხარეები ადასტურებდნენ საქართველოს შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოწესრიგების საკითხებში თანამშრომლობის აუცილებლობას, ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების გაძლიერებას, ასევე მომავალში, მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შესაძლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ჩატარებას. ამ გეგმის განხორციელება მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს თავისი

კანონმდებლობის ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან დაახლოების საქმეში.

სამოქმედო გეგმა საქართველოში ძალაში შევიდა 2006 წლის 14 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ის საქართველოს და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის საბჭომ მოიწონა.

შეთანხმების მიხედვით, სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის მონიტორინგს განახორციელებდნენ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით შექმნილი ინსტიტუტები. ევროკომისია აღნიშნული ინსტიტუტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგების შეფასებაზე და პარტნიორი ქვეყნის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სპეციალური წარმომადგენლის მიერ პოლიტიკური თანამშრომლობისა და ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით მოამზადებდა სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედურ მიმოხილვას (გეგმის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში) და შემდგომ მიმოხილვას (გეგმის დამტკიცებიდან 3 წლის ვადაში). სამოქმედო გეგმა შეიძლება რეგულარულად შესწორდეს ან განახლდეს, რათა ასახავდეს პრიორიტეტების შესრულებაში მიღწეულ წარმატებებს.

სამოქმედო გეგმაში დასახულია პრიორიტეტები, რომელთაგანაც ზოგიერთი "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში" მოცემულ სფეროებს შეეხება. გეგმაში მოცემულია ისეთი პრიორიტეტებიც, რომელიც სცდება აღნიშნული შეთანხმების ფარგლებს. ამ პრიორიტეტებიდან ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგ სფეროებსა და კონკრეტულ ღონისძიებებს:

- კანონის უზენაესობის განმტკიცება სასამართლო სისტემისა და სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების საშუალებით. ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტალური უფლებების დამცველი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად;
- სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება გამჭირვალე პრივატიზების პროცესის საშუალებით და კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება;
- ეკონომიკური განვითარების წახალისება, სიღარიბის შემცირებასა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფაზე მიმართული ძალისხმევის განმტკიცება, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, გარემოს დაცვის ჩათვლით, ეკონომიკური კანონმდებლობის და ადმინისტრაციული წესების შემდგომი დაახლოება;
- თანამშრომლობის განმტკიცება მართლმსაჯულების, თავისუფლების და უსაფრთხოების სფეროში, საზღვრის მართვის ჩათვლით;
- რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება;
- შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში;
- ტრანსპორტი და ენერგეტიკა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა საქართველოში

2008 წლის 20 აგვისტოს ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტების და ევროპარლამენტის სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობის დელეგაციის ერთობლივი საგანგებო სხდომა, რომელიც მიეძღვნა რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოში შექმნილ ვითარებას. იმავე წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის საბჭომ საქართველოში დამოუკიდებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიის დაფუძნება გადაწყვიტა. 2008 წლის 1 ოქტომბრიდან ევროკავშირის წევრი 22 სახელმწიფოდან, 200-ზე მეტი

დამკვირვებელი გაიგზავნა, რომლებიც მოვალეობის შესრულებას იმავე წლის 10 ოქტომბრიდან შეუდგნენ.

მისიის წევრები საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიაზე 24 საათის განმავლობაში ეწევიან პატრულირებას. ისინი აკვირდებიან სიტუაციას ადგილზე და ამზადებენ შესაბამის მოხსენებებს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებთან. კერძოდ, შსს-სთან ხელმოწერილი შეთანხმება, რომელსაც ხელი 2008 წლის ოქტომბერში მოეწერა, ითვალისწინებს ინფორმაციის ურთიერთგაცვლას და ქართული საპოლიციო ნაწილების საქმიანობის გამჭვირვალობას, ხოლო თავდაცვის სამინისტროსთან 2009 წლის იანვარში ხელმოწერილი შეთანხმება, ზღუდავს მძიმე ტექნიკის განლაგებას ოკუპირებული რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრის სიახლოვეს.

ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქართველო

2008 წლის 9 დეკემბერს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს მე-9 სხდომა.

2009 წლის 20 იანვარს, საქართველოს ეწვია საგარეო ურთიერთობებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი კომისარი, ქალბატონი ბენიტა ფერერო-ვალდნერი. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა შეთანხმებას ევროკომისიასა და საქართველოს შორის 2008-2010 წლებში საქართველოსათვის ევროკომისიის გაზრდილი ფინანსური დახმარების შესახებ.

2009 წლის 19-20 მარტს გაიმართა ევროპული საბჭოს სხდომა, რომელმაც დაამტკიცა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივა და მიიღო ევროკავშირის დეკლარაცია აღნიშნული ინიციატივის შესახებ. ხოლო იმავე წლის 7 მაისს, ქ. პრაღაში გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" დამფუძნებელი სამიტი და მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2009 წლის 18 მაისს გაიმართა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს მე-10 სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილული იყო "აღმოსავლეთის პარტნიორობის" ფარგლებში თანამშრომლობის საკითხები.

2009 წლის 8 დეკემბერს გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა პირველი შეხვედრა. ამ შეხვედრის მიზანი იყო "აღმოსავლეთის პარტნიორობის" ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაზე, ასევე შემდგომ ნაბიჯებსა და სამომავლო პერსპექტივებზე მსჯელობა. შეხვედრის დროს დამტკიცებულ იქნა 2009-2011 წლების სამოქმედო პროგრამები.

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა გულისხმობს თანამშრომლობის განვითარებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სავიზო რეჟიმის გამარტივება, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოება ექვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან – საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, უკრაინა. ზემოაღნიშნული თანამშრომლობის პრიორიტეტების გარდა აღმოსავლეთ პარტნიორობა გულისხმობს "ადამიანის უფლებათა, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის განვითარებას."

ევროკავშირის გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში
ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული პრიორიტეტები ძირითადად ემთხვევა თვით ევროკავშირის ინტერესებს საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

ბოლო ათწლეულის ისტორიული პროცესი გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის დაინტერესება კავკასიის რეგიონით მათ შორის გეოპოლიტიკური ხედვით არის ნაკარნახევი. კავკასია წარმოადგენს "ჰართლენდის" ჩაკეტილი სივრცის ერთადერთ გასასვლელს აზიის მიმართულებით უმოკლესი სავაჭრო მარშრუტის გასახსნელად. ამიტომ დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა ისევე, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის წესების დამკვიდრება ამ რეგიონში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. გეოპოლიტიკის საგანი, სხვა საკითხებთან ერთად კომერციული კავშირებისა და ეკონომიკურ-კულტურული თანამშრომლობის შესაძლებლობების გაძლიერებასაც წარმოადგენს. კავკასია საინტერესოა არა როგორც ბაზარი, არამედ ცენტრალური აზიისა და სამხრეთ- აღმოსავლეთ აზიის რესურსებით მდიდარი ბაზრებისკენ გამავალი მარშრუტების სტაბილური ალტერნატივა.

პირველ რიგში აქ აღსანიშნავია ევროპა-აზიის სატრანსპორტო კორიდორის-ტრასეკას პროექტი და "დიდი აბრეშუმის გზის" აღდგენის მცდელობა რეგიონის სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობით. როგორც ცნობილია, აბრეშუმის გზა ფუნქციონირებდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8-7 საუკუნეებიდან და ამ გზის მეშვეობით ხდებოდა ჩინეთისა და ინდოეთის დაკავშირება ელინისტური სამყაროს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებთან და მოგვიანებით რომის იმპერიასთან.ინტენსიური ვაჭრობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საქართველოს ტერიტორიის გავლით შუა საუკუნეების პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ მე-13-14 საუკუნეებიდან მონგოლთა მიერ დასავლეთის მიმართულებით განხორციელებული აგრესიის შედეგად „აბრეშუმის გზის" მნიშვნელობა შესუსტდა.

შემდგომშიც გარეშე მტრების თავდასხმებმა და შიდაფეოდალურმა დაქსაქსულობამ საგრძნობლად დააკნინა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობა. აღნიშნულ როლს საქართველო მოკლებული იყო აგრეთვე რუსეთის იმპერიის მიერ 1801 წელს საქართველოს ანექსიის შედეგად. გარკვეული პერსპექტივები გაჩნდა საქართველოს მიერ 1918 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობის შემდეგ. მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ხელშეკრულება გააფორმა აზერბაიჯანის მუსავატურ მთავრობასთან, რომლის მიხედვითაც საქართველო ვალდებულებას იღებდა ყოველგვარი სატრანზიტო გადასახადების გარეშე გაეტარებინა აზერბაიჯანში მოპოვებული ნავთობი თავის ტერიტორიაზე მისი შემდგომი რეექსპორტის მიზნით შავ ზღვაზე. საქართველოს მიერ სატრანზიტო როლის შესრულებისათვის აზერბაიჯანი ვალდებულებას იღებდა მიეწოდებინა უფასოდ ჩვენი ქვეყნისათვის საწვავის გარკვეული რაოდენობა. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და საბჭოთა ხელისუფლების 70-წლიანი ბატონობის დროს, საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი საერთოდ დაკნინებული იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში უმძიმესმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა იჩინა თავი. ეს პრობლემები დამძიმდა თბილისში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამოქალაქო კონფლიქტების შედეგადაც, რამაც გამოიწვია ლტოლვილთა დიდი ნაკადი საქართველოს ტერიტორიაზე.

დიდი როლი საქართველოს კრიზისიდან გამოსვლისა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების დაინტერესების საკითხებში ითამაშა ორმა დიდმა პროექტმა: ჯერ

„აბრეშუმის გზის“ აღორძინებამ, და შემდგომ კასპიის ენერგეტიკულმა პროექტებმა, სადაც საქართველომ, როგორც სატრანზიტო ქვეყანამ უდიდესი როლი შეასრულა.

საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განხილვისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის გეოპოლიტიკური ვითარება, რომელიც გარკვეულწილად განაპირობებდა და ხელს უწყობდა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას და რეალიზაციას. აქ პირველ რიგში გასათვალისწინებელია სსრკ-ის დაშლის ძირითადი შედეგები, რამაც შესაბამისად განაპირობა მსოფლიო წესრიგის კარდინალური ცვლილება, მოხდა ინტერესთა და გავლენის სფეროთა არსებითი გადანაცვლებები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვნენ მთელი რიგი ქვეყნები- საკმაოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო მოეხდინათ არსებული რესურსების მოპოვება და ექსპორტი, თავის მხრივ მდიდარი დასავლეთი დაინტერესებული იყო ახალი გავლენის სფეროების ათვისებით, შესაბამისად ინვესტირების გარკვეული ტალღები გარდაუვალი იყო. არსებული ვითარება საქართველოს თავისი ადგილმდებარეობის გამო ხელს აძლევდა, რადგანაც საქართველო წარმოადგენდა ე.წ. ხიდს აზიასა და ევროპას შორის. 1992 წელს საქართველოში ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის იდეა დაიბადა. 1993 წელს ქ. ბრიუსელში ევროკომისიის მიერ მოწვეულ სამხრეთ და ცენტრალური აზიის რვა ქვეყნის მინისტრთა კონფერენციაზე შემუშავებულ იქნა რეგიონალური პროგრამა - TRACECA და მის მიზნებად ტრანსპორტის ტრადიციული სახეობების - რკინიგზის, საავტომობილო გზების, საზღვაო პორტების, ტერმინალების - მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, ასევე ამ დერეფნის ევროპულ დერეფნებთან მიერთება წარმოადგენდა. ეს კი წარმოადგენდა ე.წ. “დიდი აბრეშუმის გზის” აღდგენის სტრატეგიას.

1996 წელს ძალაში შევიდა ე.წ. “სარახსის ხელშეკრულება” და დაიწყო ყაზახეთიდან “შევრონი”-ს ნავთობის რკინიგზით ტრანსპორტირება აზეირბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიის გავლით ქ. ბათუმის პორტამდე. TRACECA-ს პროგრამის პარალელურად აზეირბაჯანიდან ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს გავლით ექსპორტის თაობაზე დაიწყო პროექტების შემუშავება. 1996 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაზე, რომელიც დასრულდა 1999 წელს და დერეფანმა მიიღო უკვე “ენერგეტიკული” ასპექტი. ასევე მნიშვნელოვანია ორი რეგიონალური ინფრასტრუქტურული ობიექტი – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და სამხრეთკავკასიური გაზსადენი “შაჰ-დენიზი”.

დღევანდელ ეტაპზე ევროკავშირი იმპორტირებული ნავთობის უდიდეს ნაწილს იღებს როგორც პოლიტიკურად არასტაბილური სპარსეთის ყურის რეგიონიდან, ისე დსთ-სა და აფრიკის ქვეყნებიდან. ევროპაში გაზის იმპორტის დაახლოებით 1/3 მოდის რუსეთზე. ექსპერტთა პროგნოზების მიხედვით დაახლოებით 2020 წლისათვის ევროკავშირის ნავთობზე მოთხოვნილება 20 პროცენტით გაიზრდება, ხოლო გაზზე 40 პროცენტით.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები მეტწილად დამოკიდებულნი არიან რუსეთის გაზზე (მაგ: ბულგარეთი რუსეთისგან იღებს მოხმარებული გაზის 94%, ავსტრია - 74% და ა.შ.) ევროკავშირი მთლიანობაში მოხმარებული გაზის 25% იღებს რუსული “გაზპრომისგან”. გაზი ევროპაში შედის უკრაინასა და პოლონეთზე (ბელორუსიის გავლით) გამავალი გაზსადენების მეშვეობით.

2005 წლის დეკემბრის ბოლოს და 2009 წლის იანვარში დაწყებული უთანხმოების შედეგად (გაზპრომს სურდა გაზის საფასური გაეზარდა $50-დან $230-მდე) რუსეთმა უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტა. რუსეთიდან ევროპაში გაზის დაახლოებით 76%-ის ტრანსპორტირება სწორედ უკრაინის ტერიტორიაზე არსებული გაზსადენებით ხორციელდება და ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის

ავსტრიამ, უნგრეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, სლოვაკეთმა, იტალიამ და პოლონეთმა გამოთქვეს უკმაყოფილება, ვინაიდან მათ გაზსადენებში 30%-ით დაიკლო წნევამ. ნათელი გახდა, რომ რუსეთი თავის რესურსებს იყენებს პოლიტიკურ ბერკეტად, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ევროპის ენერგო-უსაფრთხოებას. ამასთან ერთად, ევროპისათვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ენერგიის წყაროს სტაბილურობის უზრუნველყოფა, არამედ მისი დივერსიფიკაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული რუსეთის მთავრობის მიერ მართული "გაზპრომის" მონოპოლია ევროპის ბაზარზე. თანაც, რუსეთი უარს აცხადებს, მიუერთდეს "ევროპის ენერგეტიკულ ქარტიას" და თავის ქმედებებით ეჭვქვეშ აყენებს მისი, როგორც საიმედო მიმწოდებლის იმიჯს. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ 2003 წელს ევროპარლამენტმა და ევროპის საბჭომ წამოიწყო ახალი გაზსადენის პროექტი – "ნაბუკო" (Nabucco), რომელიც ითვალისწინებს გაზის ტრანსპორტირებას თურქეთიდან ავსტრიაში – ბულგარეთის, რუმინეთის და უნგრეთის გავლით. ნაბუკოს გაზსადენი თურქეთში, ერზრუმთან შეუერთდება ბაქო – თბილისი - ერზრუმის და ირან - თურქეთის გაზსადენებს. ბაქო – თბილისი - ერზერუმის მონაკვეთის გაგრძელებას აღმოსავლეთით წარმოადგენს ტრანს-კასპიის წყალქვეშა გაზსადენი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენული და ყაზახური გაზის ექსპორტს და ბაქო – თბილისი - ერზერუმის გაზსადენის მეშვეობით მის შეერთებას ნაბუკოს გაზსადენთან. თავდაპირველად ტრანს-კასპიის პროექტზე საუბარი დაიწყო 90-იან წლებში, თუმცა მას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთმა და ირანმა, ამავე დროს თავი იჩინა დაპირისპირებამ კასპიის ზღვის საზღვრების გაყოფის შესახებ ამ რეგიონის ქვეყნებს შორის და პროექტზე საუბრები დროებით შეწყდა. კასპიის ზღვაში წყალქვეშა გაზსადენის გაყვანის

წყარო: http://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/9/9c/Nabucco_Gas_Pipeline-ka.png

საწინააღმდეგო არგუმენტად რუსეთსა და ირანს, მოჰყავთ 1921 და 1940 წლებში საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის დადებული ხელშეკრულებები. რიგი ექსპერტებისა აცხადებს, რომ იმისდა მიუხედავად, თუ ზღვის რომელ ნაწილში გაივლის გაზსადენი, კასპიის აუზის ყველა ქვეყნის თანხმობის გარეშე მიღებული

ნებისმიერი გადაწყვეტილება ჩაითვლება უკანონოდ. ამავე დროს, რუსეთი, კასპიის ზღვის პირველი დამბინძურებელი, შეშფოთებას გამოთქვამს კასპიის ზღვის ეკოლოგიური დაბინძურების საფრთხის გამო, რომელიც შესაძლოა ტრანს-კასპიის გაზსადენმა გამოიწვიოს. 2006 წლის დასაწყისიდან კვლავ აქტუალური გახდა ამ გაზსადენის საკითხი და მასში ერთი შეხედვით აქტიურად ჩაერთო როგორც ყაზახეთის, ასევე თურქმენეთის მხარე. გაზსადენი წარმოადგენს კასპიის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (თურქმენეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ირანი) გაზის ევროპაში ტრანსპორტირების საშუალებას. გაზსადენში გამავალი გაზის ნახევარი მიეწოდება ბაუმგარტენს (ავსტრია), ხოლო ნახევარს გამოიყენებენ სატრანზიტო ქვეყნები.

ნაბუკოს პროექტი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ევროპისათვის, რადგანაც მისი განხორციელების შემთხვევაში ევროპას შესაძლებლობა ეძლევა შეამციროს გაზპრომის მონოპოლია და, მაშასადამე, გათავისუფლდეს რუსეთზე სტრატეგიული დამოკიდებულებისაგან გაზის სექტორში. ხოლო საქართველოსათვის ეს პროექტი ევროკავშირისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

არსებობს კასპიის რეგიონის გაზის შავი ზღვის რეგიონის გავლით ევროპაში ტრანსპორტირების კიდევ ერთი პროექტი – "თეორი ნაკადი", რომელიც ითვალისწინებს შავი ზღვის ფსკერზე გამავალი გაზსადენის მეშვეობით საქართველოს დაკავშირებას პოლონეთთან უკრაინის გავლით, პროექტი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს 8 მილიარდი კუბური მეტრის ტრანსპორტირებას შაჰ-დენიზის საბადოებიდან, მეორე ეტაპზე დაემატება 8 მილიარდი კუბური მეტრი ყაზახეთიდან, ხოლო მესამე ეტაპზე 16 მილიარდი თურქმენეთიდან, ანუ სრული დატვირთვის შემთხვევაში გაზსადენი 32 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს გაატარებს ევროპისკენ.

ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელების პირობებში, რეგიონის უსაფრთხოება ევროპისათვის სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ამასთან ევროპის ენერგეტიკის სფეროში ამჟამად არსებული მდგომარეობა, მას მთლიანად რეგიონის, როგორც ენერგორესურსების დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირების პროცესში პოტენციური სატრანზიტო რეგიონის მიმართ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინტერესს უჩენს.

ზემოაღნიშნული რეალობებიდან გამომდინარე, 2007 წლის იანვარში შემუშავდა ევროკავშირის ენერგეტიკის სტრატეგია, რომლის მიხედვით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სხვა ალტერნატიული ენერგიის წყაროების განვითარებას, ასევე მოლაპარაკებათა პროცესის გააქტიურებას ენერგომატარებლების ექსპორტიორ და სატრანზიტო ყველა ქვეყანასთან, რათა ამ გზით უზრუნველყოფილ იქნას გაზისა და ნავთობის იმპორტის დივერსიფიკაცია. ევროკავშირისთვის ენერგოუსაფრთხოების საკითხი პოლიტიკური უსაფრთხოების ნაწილი გახდა.

ევროპისათვის ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ მომავალში როგორც კანდიდატ, ასევე სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ევროკავშირის ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი შეიძლება ენერგომატარებლები გახდეს.

რეგიონში ევროპის პრიორიტეტული პროექტების განხორციელებას უკავშირდება უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საჭიროება, რასთანაც პირდაპირ კავშირშია საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის დეოკუპაციისა და რეგიონში არსებული შიდა კონფლიქტების მოგვარების საკითხი.რეგიონში რუსეთის მიერ გატარებული იმპერიალისტური პოლიტიკა ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს ტერორისტული ბანაკების დაარსებისა და არსებობისათვის. ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენენ მეტად ხელსაყრელ ადგილს უკანონო ვაჭრობის, განსაკუთრებით ნარკოტიკებით უკანონო ბრუნვისათვის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ოპერაციების განსახორციელებლად. გარდა ამისა, ოკუპირებული და სეპარატისტული რეგიონების არსებობის უდიდეს პრობლემას რა თქმა უნდა წარმოადგენს რუსეთის საოკუპაციო ძალებთან ერთად უკანონო

შეიარაღებული ფორმირებების ფუნქციონირება, რომლებიც შეიარაღებულნი არიან თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობით.

უდიდესი როლი რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარების საკითხებში შეუძლიათ ითამაშონ ეკონომიკურმა პროექტებმა. რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურმა განვითარებამ შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს სეპარატიზმის დამარცხებაში, რადგანაც ოკუპირებული და სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე ამ რეგიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობა დაინტერესებული იქნება უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული იმ განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, რომლისგან გამოყოფასაც ამ ეტაპზე ასე ესწრაფვიან ოკუპირებული რეგიონების ხელმძღვანელები.
რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში დიდი ხანია ფორმალურად ჩართულია საერთაშორისო ორგანიზაციები, თუმცა, განსხვავებით დასავლეთ ბალკანეთისაგან, მათი მონაწილეობა პასიურია და მოკლებულია სათანადო მოტივაციას. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტომდე, შეიმჩნეოდა ევროკავშირის გააქტიურების მცდელობა, მათ შორის სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში ახლადშექმნილი სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტის მეშვეობით.

ჯერ კიდევ 2008 წლამდე, ევროკავშირის მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხებში რამდენიმე დოკუმენტში იყო ასახული, მათ შორის ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და საქართველო – ევროკავშირის ერთობლივი სამოქმედო გეგმის ფარგლებში. აქ ეს თემა გამოყოფილი იყო, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი. დოკუმენტში აღნიშნულიიყო, რომ ევროკავშირი შეეცდება გააქტიურდეს, მაქსიმალურად ქმედითი იყოს ამ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში. ხსენებული გეგმაარ იყო დაკონკრეტებული, სახელდობრ რის გაკეთებას აპირებდა ევროკავშირი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საკითხი მაინც არის მინიშნებული. მაგალითად, ნათქვამი იყო, რომ ევროკავშირს რუსეთთან პერმანენტული დიალოგი უნდა ეწარმოებინა. კონფლიქტებისადმი ევროკავშირის ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებდა ოთხწლიანი ნაციონალური ეროვნული ინდიკატური პროგრამა. მასში გაწერილ პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთ პრიორიტეტად კონფლიქტებისადმი მშვიდობიანი მხარდაჭერა სახელდებოდა. პროგრამა, მთლიანობაში, ითვალისწინებდა საქართველოსადმი დახმარებას 120 მილიონი ევროს ფარგლებში. მათ შორის კონფლიქტების მხარდასაჭერად 2008-2010 წლების განმავლობაში 25-30 მილიონი ევრო უნდა დახარჯულიყო.

აღსანიშნავია, ევროკავშირის წარმომადგენლის სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნების მიერ შემუშავებული სპეციალური გეგმა, რომელიც კონფლიქტის მოგვარების გზებზე მიუთითებდა. ევროკავშირის ინიციატივა ამ გეგმის მიხედვით არ სცილდებოდა სამოქალაქო და ეკონომიკურ სფეროებს.

კონკრეტულად: აფხაზეთში უნდა განხორციელებულიყო ევროკომისიის მიერ დაფინანსებული კულტურული პროგრამები; გაუმჯობესებულიყო აფხაზი მოსახლეობის ინფორმირება, რომელიც უმცირესობაში იმყოფება აფხაზეთში. ქართული სახელმწიფოს ე.წ. ინფორმაციული პროპაგანდა გულისხმობდა დაეჯერებინა აფხაზი ხალხი საქართველოსთან თანამშრომლობის საჭიროებაში. არგუმენტად აქ საქართველოს ეკონომიკური განვითარება და ევროინტეგრაცია სახელდებოდა. სემნების გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე ევროკავშირის ორი ექსპერტის თბილისში მივლინებას და რამდენიმე ოფიცრის გამოგზავნას, რომლებიც კონსულტაციას გაუწევდნენ ქართველ მესაზღვრეებს. ევროკავშირი გამოთქვამდა სურვილს, ჩართულიყო გაეროს მიერ განხორციელებული მოლაპარაკებების ფორმატში დამკვირვებლის ან სრულფასოვანი მონაწილის სახით. გეგმა გამორიცხავდა რუსეთის თანხმობის გარეშე ევროკავშირის სამშვიდობოების გაგზავნას, როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში.

როგორც ცნობილია, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული რუსეთის აგრესიის შემდეგ, როდესაც ევროკავშირმა რუსეთ-საქართველოს ომის დროს ძირითადი შუამავლის როლი შეასრულა (როგორც ცნობილია, იმ პერიოდში ევროკავშირს საფრანგეთი თავმჯდომარეობდა). რა თქმა უნდა ევროკავშირის მონიტორების მიერ 2010 წლის 10 ოქტომბრიდან დაწყებული საქმიანობა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე მისასალმებელია. სულ სადამკვირვებლო პროცესში 300-მდე ევროკავშირის დამკვირვებელი მონაწილეობს.

ევროკავშირის ჩართვა საქართველოს დეოკუპაციისა და კონფლიქტის მოგვარების პროცესებში ძლიერ ობიექტურ მუხტს შემოიტანს. მოკლედ რომ ვთქვათ, გამოჩნდა პერსპექტივა იმისა, რომ ევროკავშირი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან მიმართებაში გააქტიურდება. რაც მთავარია, ევროკავშირის მყარი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს დეოკუპაციისა და კონფლიქტების მოგვარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე უნდა მოგვარდეს.

ერთი თვალის გადავლებით ადვილად ჩანს, რომ ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე რეგიონული პროგრამები პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების ფართო სპექტრს მოიცავს. დახმარების პროგრამები მოიცავს გარემოსდაცვით, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, შიდა უსაფრთხოების, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, კორუფციასთან ბრძოლის საკითხებს. ყველა ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია რეგიონისთვის. მარტო შინაგანი უსაფრთხოების თემა მოიცავს ისეთ ასპექტებს, საზღვრის მონიტორინგი, ორგანიზებული დამნაშავეობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და ტერორიზმი.

ცალკე აღებულ რეგიონებში სტაბილურობის უზრუნველყოფა აუცილებელი პირობაა საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებისა და შენარჩუნებისთვის. რეგიონში არსებული მთელი რიგი რისკები და გამოწვევები ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას ართულებს.

საქართველოს ხელისუფლებამ მრავალჯერ დაადასტურა საკუთარი პოლიტიკური კურსის ევროპული ორიენტაცია. საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლებში და განცხადებებში, ასევე პარლამენტის მიერ მიღებულ აქტებში ხაზგასმულია ამ კურსის მნიშვნელობა.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი ითვალისწინებს ევროკავშირთან ეტაპობრივი ინტეგრაციის გაღრმავებას. ევროკავშირის მიმდინარე გაფართოების პროცესის ფონზე, ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების მიზნით, საქართველო სავარაუდოდ გააააქტიურებს თანამშრომლობას როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და ევროკავშირის ინსტიტუტებთან, ასევე შავი ზღვის აუზში მდებარე ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან.

ამერიკა – საქართველოს ურთიერთობები

აშშ-ის არსებობის სამსაუკუნოვანი გამოცდილება კაცობრიობისთვის დადებითი მუხტის მომნიჭებელია. 1948 წელს დაწყებულმა მარშალის გეგმამ ომის შემდგომი ევროპის აღორძინებისათვის წარმატებული კატალიზატორის როლი შეასრულა. აშშ-ს მთავრობის მიერ შემუშავებულმა განვითარების ხელშეწყობის პროგრამამ ააღორძინა ის ქვეყნები, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ ამის გაკეთებას.

განვითარების პროგრამით გამოწვეული დადებითი ძვრები იგრძნობოდა საქართველოშიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან. ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობაში არ არის არცერთი სფერო და დარგი, რომლის ფეხზე დაყენება ამერიკის მხარეს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად არ ჩაეთვალა. ფასდაუდებელია დახმარება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, ენერგო და სასურსათო

უსაფრთხოების, ინფრასტრუქტურის განვითარებაში. „ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს” ძალებს იკრებს. მისი სრულად განხორციელება საქართველოს მოსახლეობის წინაშე დღემდე არსებულ ბევრ პრობლემას დადებითად გადაწყვეტს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მისი შენარჩუნების მიზნით, საქართველოს უმთავრესი ამოცანა სტრატეგიული მოკავშირის მოძებნა იყო. თავის მხრივ, რუსეთი, რომელიც რათქმა უნდა ვერ ეგუებოდა პოზიციების დაკარგვას მთელი ყოფილი იმპერიის შემადგენელ სუბიექტებში, მათ შორის საქართველოში, სხვადასხვა მეთოდით საკუთარი ჰეგემონიის აღდგენას ცდილობდა.

საქართველო-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის უკანასკნელი პერიოდის ურთიერთობების მიმოხილვა ნათლად დაგვანახებს თუ როგორ მოხდა ქართული საგარეო პოლიტიკური კურსის თანდათანობით გადახრა რუსეთიდან დასავლეთისაკენ.

აშშ-ს 1990 წლის ეროვნული უშიშროების სტრატეგიის ანგარიშში ნათლად იკვეთება, რომ ვანშიგტონისათვის საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა „რაღაც სისტემას, რომელიც იმყოფებოდა გარდატეხის პროცესში,” ამიტომ ვაშინგტონის რეაქცია აქ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მეტად ფრთხილი და გაურკვეველი იყო.

უკვე XX საუკუნის 90 – იანი წლების დასაწყისში სსრკ-ს წევრ ყოფილ რესპუბლიკებში, და მათ შორის საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყნების მთავრობათა წინაშე ნომერ პირველ საკითხად სწორი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა დადგა, რაც ქვეყანათა უსაფრთხო განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ხელს შეუწყობდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მასში გაერთიანებულ სახელმწიფოებს სჭირდებოდათ დანარჩენი მსოფლიოს დახმარება დემოკრატიული განვითარებისთვის. მაგრამ რუსეთის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები და, მათ შორის, საქართველოც არ აპირებდნენ რუსეთთან რაიმე ფორმით ინტეგრირებას, არამედ რუსეთისაგან ჩამოშორებას და საერთო ევროპულ ოჯახში სრულუფლებიან წევრად გაერთიანებას ცდილობდნენ. და რამდენადაც ძლიერი იყო მათი სწაფვა დამოუკიდებლობისაკენ, იმდენად რუსეთი კიდევ უფრო მტკივნეულად განიცდიდა მათზე თავისი გავლენის დაკარგვას. მუშავდებოდა პროექტები და გეგმები, რომლებიც მას ჰეგემონიის აღდგენაში დაეხმარებოდა. სხვათა შორის, ამ პროექტების ერთ-ერთი სახეობაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ე.წ. თანამეგობრობის ორგანიზაციის შექმნაც, სადაც რუსეთს დღემდე წამყვანი პოზიციები უკავია.

მართალია რუსეთის მხრიდან „ძალისმიერი დიპლომატია” ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ პერიოდულად ხდებოდა დასავლეთისგან მისი კრიტიკის ობიექტი, მაგრამ თავდაპირველად აშშ და დასავლეთი იმდენად უჭერდნენ მხარს რუსეთს, რომ ისინი დიდად არ შეეწინააღმდეგნენ მოსკოვის მიერ სამხედრო ძალის გამოყენებას ზოგიერთ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში. ასე მოიქცნენ ისინი თბილისის აპრილის ტრაგედიის(1989წ), სამაჩაბლოსა(1991-1992წწ.) და აფხაზეთში (1992-93წწ) დატრიალებული სისხლისღვრის დროს.

ასე რომ, დასავლეთისგან გათამამებულმა რუსეთმა თავისუფლებისათვის მებრძოლ რესპუბლიკებში გავლენა ცხელ კერებში არსებული პრობლემების „დამრეგულირებლის” სტატუსით შეინარჩუნა.

მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა ცხადყვეს, რომ ყოფილი რესპუბლიკების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ შეუქცევადი იყო.

რესპუბლიკებმა დაიწყეს კონტაქტების გაფართოება დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-თან. ამ უკანასკნელს რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოსთან თანამშრომლობისთვის კარები ღია ჰქონდა.

აშშ ეკონომიურად, პოლიტიკურად და ტექნოლოგიურად ძლიერი, რუსეთისაგან განსხვავებული საზოგადოებრივი და ეკონომიური მოდელის მქონე,

საქართველოსათვის გეოგრაფიულად მაქსიმალურად დაშორებული მოწინავე სახელმწიფოა.

უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან „დიდ საჭადრაკო დაფაზე“ მოთამაშე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კავკასია თავისი სასიცოცხლო ინტერესების სფეროდ გამოაცხადა. დაიწყო შესაბამისი ინტენსიური პოლიტიკური და ეკონომიკური ინვესტიციები „დიდი ჩრდილოეთის დათვის“ ყოფილი თანავარსკვლავედის საბოლოო დასამარცხებლად და გეოპოლიტიკური ინიციატივის მოსაპოვებლად.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებული ნავთობპროექტებში სატრანზიტო ქვეყნის სტატუსით ჩართული, ეფექტური გეოპოლიტიკური მდებარეობისა და „დანარჩენი კავკასიური ელემენტებისადმი“ ტრადიციულად ლოიალურმა საქართველომ სწრაფად შეიძინა ამერიკელთა განსაკუთრებული კეთილგანწყობა. სანავთობო პროექტები წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად მიზეზს იმისა, რომ „ძია სემის“ მთავრობა 90-იანი წლების განმავლობაში ყოველწლიურად მეგობრულად უანგაროდ ჩუქნიდასაქართველოს 100 მილიონამდე დოლარს. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში ამერიკელებმა 35 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების სასაქონლო სესხით დააპურეს სასურსათო კრიზისში მყოფი ქვეყანა. გარდა ამისა, მთელი დროის განმავლობაში შეერთებული შტატები სავალუტო ფონდში, მსოფლიო ბანკში და სხვა ფინანსურ თუ არაფინანსურ ორგანიზაციებში ლობირებს საქართველოსადმი სხვადასხვაგვარი დახმარების გაწევას.

ასე მაგალითად, 1994 წლიდან 2007 წლის ჩათვლით, აშშ-ის აქტიური ჩარევით, საქართველოს სესხად გამოეყო 600 მილიონამდე ამერიკული დოლარი, ხოლო მსოფლიო ბანკმა-500 მილიონამდე ამერიკული დოლარი გამოყო. გათვალისწინებული იყო, რომ სახსრები მოხმარდებოდა ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და სოციალ-ეკონომიკურ რეფორმებს.

აღნიშნული კრედიტი, როგორც წესი, გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი იყო. ისინი განაწილდა მიზნობრივ პროექტებზე. აღსანიშნავია, რომ ასეთი კრედიტები, რომლებიც თავისი არსით განვითარებადი ქვეყნების ტრანსფორმირებას ემსახურება, მათი პოლიტიზირების გამო, როგორც წესი, რესტრუქტურიზაციასა და ხშირად ჩამოწერას ექვემდებარება.

XX საუკუნის 90-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა სამინისტროების ინსტიტუციონალურ გარდაქმნას, მათი თანამედროვე ტექნიკით მომარაგებას, ხელისუფლების დეცენტრალიზაციასა და მუნიციპალურ განვითარებას. რეფორმა ჩატარდა სასამართლო სისტემაში, სკოლების და დაწყებითი სასწავლო დაწესებულებების, სამედიცინო ობიექტებისა და სხვა საზოგადოებრივი ობიექტების რეაბილიტაციის გზით ხორციელდებოდა სოციალური ხასიათის ინვესტიციები, განხორციელდა გარკვეული გარდაქმნები ჯანმრთელობის სისტემაში.

ამერიკელებისვე დახმარებით დაინერგა მიწაზე კერძო საკუთრება და განხორციელდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება,განვითარდა ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რეფორმა მოხდა სააუდიტორო სისტემაში, საფუძველი ჩაეყარა ანტიკორუფციულ სამსახურს, განხორციელდა ენერგოსისტემის ობიექტების პრივატიზება, დაიხვეწა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მისი მართვის სისტემა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, ყურადღება მიექცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და ა. შ.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას სამხედრო ხასიათის პროგრამების განხორციელებას. მაგალითად, სასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერას, სხვადასხვა სახის სპეცნაწილების მომზადებასა და მათ ეკიპირებას. ამერიკელთა ინიციატივით წამოწყებული "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამაში მონაწილეობა, საქართველოს ნატო-ში შემდგომი ინტეგრაციის და მისი უსაფრთხოების გარანტიის თვალსაზრისითაც მეტად ძვირფასია.

ჯერ კიდევ შეუფასებელია ამერიკის მთავრობისა და სხვადასხვა ინსტიტუტების მიერ საქართველოსათვის გაწეული ჰუმანიტარული დახმარების, სხვადასხვა ხასიათის კონსულტაციებისა და სახელმწიფო მოხელეების ტრეინიგებში დახარჯული სახსრების სიდიდე.

სულ საქართველომ 2008 წლის აგვისტომდე მიიღო მილიარდ დოლარზე მეტი კრედიტის სახით ამერიკის, სხვა ქვეყნებისა და საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ამერიკის დახმარების მოცულობით საქართველო პირველ ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

რაც შეეხება კასპიის სანავთობო პროექტებს, აქ ამერიკის წილი უზარმაზარია. აშშ-ის ადმინისტრაციამ კოლოსალური ძალისხმევა მოახმარა იმ ფაქტს, რომ კასპიის რეგიონში მოპოვებული ნავთობი სწორედ საქართველოს ტერიტორიის გავლით ყოფილიყო ტრანსპორტირებული.

ბუნებრივია, აშშ-ისპოლიტიკურიკურსშიცინტერესებიდევს. საქართველოშიშემოსვლითადაგანმტკიცებითაშშხელსშეუწყობსქვეყნისპოლიტიკური ნტეგრაციას,
მისიდამოუკიდებლობისადადემოკრატიულიფასეულობებისგანმტკიცებას,
რითაცშეასუსტებსსაქართველოშირუსეთისგავლენასდარეგიონსთავისისტრატეგიული მოქმედებებისპლაცდარმადაქცევს.
ამერიკისდადებითიდამოკიდებულებასაქართველოსმიმართკარგადჩანსიმნოტიდან, რომელიცაშშ-სსახელმწიფოსდეპარტამენტმასაქართველოსჯერ კიდევ 2007 წელს გაუგზავნა:
„აშშ –ის მთავრობა შეშფოთებულია რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის აშკარა გაუარესების გამო და ამასვე ატყობინებს რუსეთის მთავრობას... ჩვენ დაბეჯითებით ვთხოვთ რუსეთის მთავრობას, მიიღოს სათანადო ზომები ორმხრივი დაძაბულობის შესანელებლად და დაარწმუნოს საქართველოს მთავრობა და ხალხი, რომ რუსეთი მყარად ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას."

ამერიკა აქტიურად უჭერდა და უჭერს მხარს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებას. აშშ-ს კონგრესზე განმეორებით იქნა წარმოდგენილი კანონპროექტი„2006 წლის აქტი ნატოში თავისუფალი კონსოლიდაციის შესახებ." მასში ლაპარაკი იყო საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში დაუყონებლივ მიღების აუცილებლობაზე. დოკუმენტი მომზადებული და შეტანილი იყო საინიაციატივო ჯგუფის მიერ, რომელშიც 14 ამერიკელი სენატორი შედიოდა. მათ შორის იყვნენ სენატის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე, დემოკრატი ჯოზეფ ბაიდენი (აშშ-ის მომავალი ვიცე-პრეზიდენტი), ასევე გავლენიანი რესპუბლიკელები: რიჩარდ ლუგარი და ჯონ მაკქეინი. ალიანსთან საქართველოს მიერთებას პირველ რიგში, ვაშინგტონი ლობირებდა. თავდაცვის დარგში ნატო-ში შესვლის მსურველი ქვეყნების მხარდასაჭერად კანონპროექტი ითვალისწინებდა აშშ-ს ფედერაციული ბიუჯეტიდან 19.8 მლნ დოლარის გამოყოფას. თანხის უმეტესი ნაწილი – 10 მლნ დოლარი საქართველოსთვის იყო განკუთვნილი.

„საქართველოს მისგან ჩამოშორებული და მოსკოვის მიერ შეგულიანებული რესპუბლიკების ზეწოლის მოგერიება უწევს. ადრე მას ნატოში მიღებაზე უარს ტერიტორიული კონფლიქტების მოუგვარებლობის გამო ეუბნებოდნენ. ასე რომ, სწორედ რუსეთის ქმედებები უშლის ხელს თბილისის სწრაფვას ალიანსისკენ", - ასე აუხსნა რიჩარდ ლუგარმა კოლეგებს კანონპროექტის სასწრაფოდ მიღების აუცილებლობა. ამასთან ერთად, ვაშინგტონს პრაგმატული მიზნები ამოძრავებს, რაც არ დაუფარავს ბატონ ლუგარს: „საქართველო არის ახალგაზრდა დემოკრატიის ნიმუში, რომელმაც ვარდების რევოლუციის შემდეგ უდიდეს პროგრესს მიაღწია. ის მეტად მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ წერტილზე მდებარეობს, მის ტერიტორიაზე გადის თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომლითაც დასავლეთს მიეწოდება ენერგო რესურსები აზერბაიჯანიდან, მომავალში კი ყაზახეთიდანაც."

ბატონი ლუგარი, რომელიც მოსკოვს ენერგეტიკული შანტაჟის პოლიტიკაში ადანაშაულებს, ცნობილია, როგორც ენერგომომარაგების დივერსიფიკაციული წყაროს მოპოვებისთვის მედგარი მებრძოლი, ამიტომ მისი თეზისი ბთჯ-ის გაზსადენის მნიშვნელობაზე, გადამწყვეტი იქნება სენატში. ამუშავებული ნავთობსადენი ხომ პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველი და ყველაზე არარუსული გეოპოლიტიკური პროექტი იყო. მილი, რომლის მშენებლობაში დასავლეთმა 4 მლრდ დახარჯა და რუსეთისგან სავსებით დამოუკიდებელია, ნავთობის შეუფერხებლად მიწოდების გარანტიებს იძლევა, ე.ი მოსკოვის მიმართ პოლიტიკური მანევრების საშუალებასაც. ამიტომ აშშ-თვის ნავთობსადენის უსაფრთხოების მტკიცე გარანტიები ძალზედ მნიშვნელოვანია. რეგიონში ნატოს მისვლამ კი შესაძლებელია ეს გარანტიები მისცეს. სწორედ ამ პროცესის დასაჩქარებლად იყო გამოგონებული „2006 წლის აქტი ნატოში თავისუფალი კონსოლიდაციის შესახებ".

აშს-ს სენატის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომიტეტმა დასტური მისცა კანონპროექტს, რომელის საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის მხარდაჭერას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, დოკუმენტის მიხედვით, მას აშშ ფინანსურად დაეხმარებოდა.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველომ ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში, კერძოდ, ნატოში შესვლის სურვილი გამოთქვა და ეს ქვეყანა თავისი მიზნის მისაღწევად ნატოსა და ალიანსის წევრებთან მჭიდროდ თანამშრომლობს.

ჯერ კიდევ 2008 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ანალოგიური კანონპროექტი მოიწონა აშშ-ს კონგრესის საგარეო საქმეთა პალატის კომიტეტმა.

რაც შეეხება აშშ-ის საქართველოსთან ურთიერთობების სხვა ასპექტებს, აქ უნდა აღინიშნოს, რომ აშშ საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანაში, საკუთარი ინტერესების დაცვის გრძელვადიან გარანტიას ქვეყნის სტაბილურობაში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, დემოკრატიული ინსტიტუტების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში ხედავს.

შავი ზღვის რეგიონში პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი სტრატეგიული განვითარების პოლიტიკაა.

საქართველოსთვის აშშ-ის მხარდაჭერას განსაკუთრებული იმპულსი მისცა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქვეყანაში დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარების კუთხით განხორციელებულმა და მიმდინარე პოზიტიურმა პროცესებმა.

ახლო პერსპექტივაში საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მიზნით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აშშ-ის დახმარება სამხედრო სფეროში. 2008 წელს, აშშ-ს კონგრესმა ამისთვის საქართველოს 10 მილიონი დოლარი გამოუყო, რაც ორ ქვეყანას შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2004 წლიდან აშშ-იმ საქართველოში მილენიუმის პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომელიც

ითვალისწინებს საქართველოში რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამ მიზნით გამოყოფილი იქნა დაახლოებით 300 მილიონი დოლარი.

აშშ-ს ხელშეწყობით კრწანისის საწვრთნელ ბაზაზე მიმდინარეობდა სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამა (SSOP) და ითვალისწინებს საქართველოს სამხედრო დანაყოფების უმაღლეს დონეზე გაწვრთნასა და აღჭურვას. ხსენებული პროგრამის შედეგად უკვე გაიწვრთნა I, II და III ბრიგადები. ამ უკანასკნელის წვრთნა დასრულდა 2007წლის 15 ივნისს. თუ აქამდე I და II ბრიგადის პირადი შემადგენლობა მონაწილეობას იღებდა ნატო-ს სამშვიდობო მისიების განხორციელებაში კოსოვოსა და ერაყში და მწვანე ზონაში პატრულირებითა და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე მოქმედებით შემოიფარგლებოდა, III ბრიგადას უკვე წითელ ზონაში უწევდა ოპერირება. ანუ, ქართველ სამხედროებს, ჯერ კიდევ ავღანეთამდე პირველად მოუწიათ რეალური საბრძოლო ამოცანების შესრულება ნამდვილ საბრძოლო ვითარებაში.

სწორედ აშშ გახდა საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტი რუსეთ-საქართველოს ომის დროს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დაკარგა კონტროლი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების ნაწილზე, რომ არა აშშ-ის მტკიცე პოზიცია, სავარაუდოდ საფრთხე უკვე საქართველოს სუვერენიტეტს შეექმნებოდა. რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდს, აშშ–ის ადმინისტრაციამ ომის შემდეგ მტკიცედ განაცხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის შესახებ. თუმცა ეს განცხადებები სიტყვებად არ დარჩენილა და იგი აისახა როგორც 1 მილიარდიან ფინანსურ დახმარებაში, ასევე პოლიტიკურ მხარდაჭერაში საერთაშორისო არენაზე. აშშ–ის ადმინისტრაცია განაგრძობს და საჯარო განცხადებებს აკეთებს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების არაღიარების შესახებ.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის აშშ-საქართველოს შორის 2009 წლის იანვარში ქარტიის – „სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ გაფორმება. ბუნებრივია ამ ხელშეკრულებებმა ახალ ფაზაში გადაიყვანა აშშ–ის დამოკიდებულება. ეს ხელშეკრულებები თავისთავად წარმოადგენდა ლოგიკურ გაგრძელებას ბუშის ადმინისტრაციის მხრიდან იმ ნაბიჯებისა, რომელიც ამ პრეზიდენტმა გადადგა საქართველოს განვითარებისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტ ობამას განცხადება მოსკოვში საქართველოსთან მიმართებაში, სადაც მან კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, რაც მინიშნება იყო რუსეთისადმი, რომ „გადატვირთვა“არ უნდა მომხდარიყო საქართველოსხარჯზე. საქართველოს მიმართ მხარდაჭერის ჟესტს წარმოადგენდა 2009 წლის ივლისში აშშ–ის ვიცე - პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტი.

რაც შეეხება სამხედრო თანამშრომლობას აშშ–საქართველოს შორის, აშშ რუსეთის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად კვლავ აგრძელებს ქართველი სამხედროების მომზადებას. თავის მხრივ, როგორც ცნობილია საქართველომ 950-მდე ქართველი სამხედრო გააგზავნა ავღანეთში.

საქართველო: „გადატვირთვისპოლიტიკის“ მსხვერპლი?

ობამას ადმინისტრაციის ახალმა საგარეო პოლიტიკამ რუსეთთან მიმართებაში გარკვეული შიში და შეშფოთება გამოიწვია როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებში, ასევე ფართო საზოგადოებაში. შეშფოთებას კი საფუძველი ნამდვილად აქვს. აშშ უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას, იგი ცდილობს ისეთი

დიდი ამოცანების გადაწყვეტას, როგორიცაა ავღანეთის კონფლიქტი, ერაყში ვითარების სტაბილიზაცია, ტერორიზმთან ბრძოლა გლობალური მასშტაბით, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამები, ასევე ბევრი შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ობამას პრეზიდენტობის დროს, საგარეო პოლიტიკურ არენაზე შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორად რუსეთს მოიაზრებს. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ როგორ მოახერხებს ოფიციალური ვაშინგტონი ერთდროულად განამტკიცოს ურიერთობები მოსკოვთან და უარი არ თქვას საქართველოზე და როგორ დააბალანსებს იგი რუსეთთან და საქართველოსთან დაკავშირებით არსებულ ურთიერთგამომრიცხავ ინტერესებს?

ერთ-ერთი გარემოება, რომელმაც გარკვეული შეშფოთება გამოიწვია, ეს არის ორპარტიული კომისიის მოხსენება, რომელიც ნიქსონის ცენტრისა და ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და საერთაშორისო საქმეთა ბელფერის ცენტრის ერთობლივი პროექტია და რომელსაც ყოფილი სენატორები-რესპუბლიკელი ჩაკ ჰაგელი და დემოკრატი გერი ჰარტი ხელმძღვანელობდნენ. კომისიამ, რომელიც აშშ-ს ყოფილი მაღალი რანგის დიპლომატებისა და კონგრესის წევრებისგან შედგებოდა, ურჩევს ახალ ადმისტრაციას შეეცადოს გააუმჯობესოს ურთიერთობები რუსეთთან სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხის გადადების გზითაც. მოხსენებაში სახელწოდებით - "რუსეთთან მიმართებაში აშშ-ს პოლიტიკის სწორი მიმართულება"-ნათქვამია რომ, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უნდა შეწყვიტოს საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერა მათი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რათა მოსკოვთან ურთიერთობები გააუმჯობესოს. აშშ-ს ადმინისტრაციამ უნდა აღიაროს, რომ არც უკრაინა და არც საქართველო დღევანდელ ეტაპზე არ არიან მზად ნატოს წევრობისთვის და ამის სანაცვლოდ უნდა შემუშავებულ იქნეს ალტერნატიული ვარიანტი, რომლის მეშვეობითაც მოხდება ამ ქვეყნების სუვერენიტეტის მხარდაჭერა. აღიარებს რა, ნატოს 2008 წლის აპრილში გამართულ ბუქარესტის სამიტზე აღებული ვალდებულებების მნიშვნელობას, კომისიის რეკომენდაციებში ასევე ნათქვამია: "არ მიგვაჩნია, რომ ამ მომენტისათვის უკრაინისა და საქართველოსთვის ნატოში გაერთიანება უსაფრთხოების თვალსაზრისით შეერთებული შტატების გადაუდებელ ინტერესს წარმოადგენს". "მართალია ორივე მათგანს გააჩნია სტრატეგიული ადგილმდებარეობა, მაგრამ მათი ალიანსში გაწევრიანებამ, ამ ქვეყნებში არსებული რეალობიდან გამომდინარე, შესაძლოა უფრო შეასუსტოს, ვიდრე გააძლიეროს საერთოევროპული უსაფრთხოება" -ნათქვამია მოხსენებაში და იქვეა მითითებული, რომ ეს მითუმეტეს ვერ იქნება პოზიტიური იმის გათვალისწინებითაც, რადგან აშშ და ნატო, "ისედაც უკვე ბევრი სერიოზული გამოწვევის წინაშე დგანან". სანაცვლოდ, მოხსენების ავტორები ამ ქვეყნებს სთავაზობენ "წევრობასთან დაახლოებულ სპეციალურ ურთიერთობებს... რომელსაც შესაძლოა იგივე ფუნქცია ჰქონდეს რაც წევრობას, რათა არ მოხდეს საქართველოსა და უკრაინაში ალიანსში გაწევრიანებაზე "გულის აცრუება".

აცნობიერებს რა რუსეთის "ლეგიტიმურ ინტერესებს" პოსტ-საბჭოთა სივრცეში, მოხსენებაში ასევე მითითებულია, რომ აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესებში შედის ხელი შეუშალოს რუსეთის "დომინანტურ როლს რეგიონში, რომელიც ევროპას, აზიას და ახლო აღმოსავლეთს აკავშირებს" და მხარი დაუჭიროს იქ არსებული ქვეყნების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. "აშშ-სა და რუსეთს შორის მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთის სამეზობლოში ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ შეერთებულმა შტატებმა თავი უნდა აარიდოს ამ რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად ნულოვანჯამიან კონკურენციას"-ნათქვამია მოხსენებაში. "ამგვარი კონკურენცია აუცილებლად დააზარალებს ამერიკის ინტერესებს, განსაკუთრებით იმიტომ რომ, აშშ-სგან განსხვავებით, რუსეთი თავად მდებარეობს ამ რეგიონში. ამიტომ ნაკლებად

სავარაუდოა, რომ ამ ქვეყნების რუსეთისაგან ჩამოცილების ან ამ რეგიონში რუსეთის კანონიერი ქმედებების დაბლოკვის მცდელობები წარმატებით დასრულდეს.”

საინტერესოა, თუ რამდენად გაითვალისწინებს ობამას ადმინისტრაცია ორპარტიული კომისიის მიერ მიცემულ რჩევებს. თუმცაღა, მას შემდეგ მნიშვნელოვანი დრო გავიდა და ამ დროის განმავლობაში აშშ-ს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები და საჯარო განცხადებები გარკვეულწილად გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, თუ რამდენად შესაძლებელია საქართველო “გადატვირთვის პოლიტიკის” მსხვერპლად მოგვევლინოს.

პირველი მინიშნება საქართველოსთან მიმართებაში გაკეთდა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე 2009 წლის თებერვალში, სადაც ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა აღნიშნა, რომ მიუხედავად რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების დამყარების პრიორიტეტულობისა, მისი მტკიცებით ვაშინგტონი “რუსეთს ყველაფერში არ დაეთანხმება” და ხაზი გაუსვა, რომ აშშ “არასდროს ცნობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას” და არც აპირებს “რომელიმე ქვეყნის განსაკუთრებული გავლენის სფეროების აღიარებას”. “სუვერენულ ქვეყნებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისა და საკუთარი მოკავშირეების არჩევის უფლება აქვთ” აღნიშნა მან.

2009 წლის 23 ივლისს კი ბაიდენი საქართველოს ესტუმრა, მან განაცხადა, რომ მისი ვიზიტი მიზნად ისახავს ”არაორაზროვანი, ნათელი გზავნილის გაგზავნას ყველასთვის, ვინც მოისმენს და მათთვის, ვისაც არ უნდა მოსმენა”, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს გვერდით დგას და მომავალშიც განაგრძობს მის გვერდით დგომას.

მან ასევე დასძინა, რომ როდესაც ობამა გეგმავდა თავის ვიზიტს რუსეთში, მან დაავალა ბაიდენს დაეგეგმა ვიზიტი საქართველოში. რაც ცალსახად მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში საქართველო კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ ადგილს იკავებს.

თავისი სიტყვით გამოსვლის დროს საქართველოს პარლამენტში, ბაიდენი ასევე შეეცადა, გაებათილებინა შიში, რომ რუსებთან “გადატვირთვის პოლიტიკა” მოხდება საქართველოს ხარჯზე: “ბატონებო და ქალბატონებო, მე მესმის, რომ ზოგიერთები შეშფოთებულები არიან და მე მესმის ეს შეშფოთება. ეს შეშფოთება შეეხება იმას, რომ შეერთებული შტატების სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების ხელახალი ჩამოყალიბება არ მოხდეს საქართველოს ხარჯზე. მე მსურს ცალსახად განვაცხადო, მათ ვერ შეძლეს და ისინი ვერ შეძლებენ, როგორც მე განვაცხადე, და იგივე პრეზიდენტმა ობამამაც განაცხადა ორი კვირის წინ მოსკოვში. ჩვენ ვართ პრინციპულები იმ საკითხზე, რომ სუვერენულ დემოკრატიებს აქვთ უფლება მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და აირჩიონ თავისი პარტნიორები და თავისი ალიანსები. ჩვენ ვართ წინააღმდეგი XIX საუკუნეში დამკვიდრებული გავლენის სფეროს ცნების. ამ ცნებას ადგილი აღარ აქვს XXI საუკუნეში, ჩვენ არ ვაღიარებთ აფხაზეთსა და სახრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს, არ აღიარონ ისინი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, პატივი სცეს თავის საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც ცალსახად იყო გამოხატული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებაში..” განაცხადა ბაიდენმა.[237]

ბაიდენის ვიზიტის შემდეგ საქართველოს ოფიციალური ვიზიტით აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ეწვია. ქალბატონი ჰილარი კლინტონი მეორედ საქართველოს 2010 წლის ივლისში, თავისი ევროპული ტურის დასასრულს ეწვია. დასავლური გამოცემების შეაფასებით, კლინტონის საქართველოში ვიზიტის მთავარი მიზანი იმის

[237] http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=63&info_id=24138

დემონსტრირება იყო, რომ რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვის მიუხედავად, აშშ-ს ადმინისტრაციას საქართველო არ მიუტოვებია.

კლინტონმა მთავრობას და ოპოზიციას მოუწოდა, რომ მთელი დრო ძალაუფლებისთვის ბრძოლას არ მოანდომონ და განაცხადა, რომ ეკონომიკური ზრდა და დემოკრატია მხარდამხარ მიდიან. "როდესაც თქვენ უყურებთ საქართველოს დემოკრატიას, კონსოლიდირებულ დემოკრატიას, ეს ძალიან შთამბეჭდავია..მაგრამ აქ ჯერ კიდევაა ნაკლოვანებები. ჩვენ გვინდა საქართველოს მოვუწოდოთ განაგრძოს "ვარდების რევოლუციის" საქმე"- განაცხადა მან.

კლინტონმა საჯაროდ განაცხადა, რომ ქართველი ხალხი ოკუპაციის რეალობაში ცხოვრობს, რამაც სააკაშვილის ხედვაზე "გადატვირთვის პოლიტიკისადმი" გავლენა მოახდინა და დასძინა, რომ მიუხედავად თავდაპირველი შეშფოთებისა, "გადატვირთვის პოლიტიკა" ახლა რუსეთის მოდერნიზაციის მიმართულებით მხარდამჭერად გამოიყურება.[238]

კლინტონმა ასევე სცადა დაემშვიდებინა რუსეთთან "გადატვირთვის პოლიტიკით" შეშფოთებული ქართველი ერი და განაცხადა, "ჩვენ შეგვიძლია სიარული და საღეჭი რეზინის ღეჭვა ერთდროულად". მისი თქმით, ობამას ადმინისტრაციის ახალი პოლიტიკა რუსეთთან არ ნიშნავს იმას, რომ აშშ ივიწყებს რუსეთის ჯარების არსებობას საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში.[239]
2010 წლის თებერვალში, თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ჯეიმს სტეინბერგი. მან კიდევ ერთხელ გაახმოვანა ოფიციალური ვაშინგტონის მხარდამჭერი პოზიცია და განაცხადა, რომ საქართველო რეგიონში აშშ-ს საკვანძო მოკავშირედ რჩება და ვაშინგტონი განაგრძობს მის დახმარებას, რათა მხარი დაუჭიროს მის ეკონომიკას.
სტეინბერგმა აქცენტი გააკეთა საქართველო-აშშ-ს მჭიდრო თანამშრომლობაზე და აღნიშნა, რომ აშშ საქართველოს ქარტიით გათვალისწინებული 1მილიარდიანი დახმარების ბოლო ნაწილს აწვდიდა. მან განაცხადა, რომ დახმარება დაიხარჯება "ეკონომიკურ რეკონსტრუქციაზე ..და ის ასევე უნდა დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოებას და კიდევ უფრო მტკიცე დემოკრატიის აშენებას."[240]
რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტის დროს, ჰამბურგერებისა და მხიარული საუბრის მიუხედავად ადმინისტრაციამ მკაფიოდ გამოხატა პოზიცია, რომ არსებობს ერთი სფერო, რომელშიც აშშ-ს და რუსეთს შორის გადაულახავი წინააღმდეგობაა და ეს სფერო საქართველოა. თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ, უკვე საკმაოდ პოპულარულ დოკუმენტში "გადატვირთვის სტატისტიკა" ნათქვამია, რომ "ობამას ადმინისტრაციას საქართველოს გამო რუსეთის მთავრობასთან ძველებურად სერიოზული უთანხმოება აქვს. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიების სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის ოკუპაცია". რობერტ კაგანის აზრით, "შესაძლოა ობამას ესმის, რომ მის მიერ ჩაფიქრებული "გადატვირთვა" ვერასოდეს გახდება მისთვის წარმატებული, ვიდრე რუსეთის არმია განაგრძობს მეზობლების ოკუპაციას".[241]
თუმცა ამ ყოველივეს ფონზე, პროფესორ გია ნოდიას მიაჩნია, რომ "საქართველოს უთანხმოება მათთვის ყველაზე მწვავე პრობლემა არ არის. არც იმ ტიპის პრიორიტეტია, რომ მისი გადალახვა ვერ შეძლონ." ნოდიას აზრით მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ისინი აღიარებენ არსებულ უთანხმოებას, სხვა სფეროებში

[238]http://foreignpress.ge/?p=14000

[239]http://www.businessweek.com/news/2010-07-05/clinton-seeks-to-allay-russia-reset-concern-on-east-europe-tour.html

[240]http://foreignpress.ge/?p=11427
[241]http://foreignpress.ge/?p=13722

შეთანხმებს მიღწევას ცდილობენ. “ეს არის ამერიკის პოლიტიკა, ამიტომ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ბუშის ადმინისტრაციასთან შედარებით ობამას ადმინისტრაციაში საქართველოს ნაკლები პრიორიტეტი ენიჭება.”[242]
სხვაგვარად განიხილავს განვითარებულ მოვლენებს კოლუმბიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი ლინკოლნ მიტჩელი. მისი აზრით, “ამერიკა მხარს უჭერდა და უჭერს საქართველოს. ამერიკამ გააგრძელა და გაზარდა საქართველოსთვის მილიარდოლარიანი დახმარების პროგრამა.” იგი მიიჩნევს, რომ ცვლილება მხოლოდ ორი ქვეყნის პირველი პირების პირადი ურთიერთობებით შემოიფარგლება, ის აღარ არის ისეთი ახლო მეგობრული. ”მაგალითად, უკანასკნელ სამიტზე, ბუში, რომ ყოფილიყო პრეზიდენტი, შეხვდებოდა სააკაშვილს და ეს იქნებოდა ბუშისთვის კვირის საუკეთესო შეხვედრა. ახალი ადმინისტრაციის პირობებში, ასე აღარ ხდება, მაგრამ რა განსაზღვრავს ქვეყნის ურთიერთობებს- საერთო ინტერესები თუ ლიდერების პირადი ურთიერთობები? მე მგონია, რომ პირველი.” დასძინა მიტჩელმა.
ლინკოლნ მიტჩელი განაწყენებული ტონით აღნიშნავს, რომ საქართველოში ეჭვი შეაქვთ ამერიკის ბოლოდროინდელ მხარდაჭერაში, რაც მისი თქმით ორმხრივი ურთიერთობებისთვის საზიანოა. “აშშ-ში ფიქრობენ, რომ საქართველოსთვის ბევრი რამ გავაკეთეთ და ეს ის ხაზია, რომლისთვისაც არასდროს გადაგვიხვევია. ჩვენ არასდროს დაგვიხევია უკან რუსეთთან მოლაპარაკების დროს საქართველოს საკითხზე, სხვა ქვეყნებსაც ვეუბნებით, რომ არ უნდა აღიარონ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ჩვენ ხელის ხელის ერთი მოსმით ყველაფერს ვერ მოვაგვარებთ.”[243] განაცხადა მიტჩელმა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, გიგა ბოკერია მიიჩნევს, რომ “რუსეთის მხრიდან ფართომასშტაბიანი თავდასხმის პირდაპირი საფრთხე, თუ მთლიანად აღმოფხვრილ არა, მნიშვნელოვნადაა შემცირებული აშშ-ს ადმინისტრაციის აქტიური პოზიციის მეშვეობით”.

ასევე აშკარად შეინიშნება შეცვლილი ტონი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ექსპერტების საუბრის დროს, ობამას “გადატვირთვის პოლიტიკის” მიმართ. ამერიკელი ექსპერტის ვაიტმორის თქმით, შიში რომელიც სუფევდა თავდაპირველად, ობამა-მედვედევის დამთბარი ურთიერთობების გამო ნელ-ნელა შემცირდა: “ქართველებმა, მოსკოვთან “გადატვირთვის” ობამასეული პოლიტიკის მიღება დაიწყეს.. ახლა აქაური პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ორ სუპერსახელმწიფოს, ორ ყოფილ მეტოქეს შორის ახლო ურთიერთობებმა ვაშინგტონს მოსკოვზე ჩუმი, მაგრამ ეფექტური გავლენის მოხდენის საშუალება მისცა და ამ პროცესში, საქართველოს უსაფრთხოება განამტკიცებინა”.

საქართველოს ყოფილ ელჩი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, დღეს კი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობების გაფართოვება და დაახლოება საქართველოს მხოლოდ კარგს მოუტონს, რადგანაც თბილისი ამ პრობლემებს მარტო ვერ მოერევა.. იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც ომმა ვერ გადაწყვიტა, საქართველოს ძლიერი პარტნიორები სჭირდება რუსეთის ფედერაციასთან კარგი ურთიერთობებისთვის.[244]

[242]http://24saati.ge/index.php/category/news/2010-05-18/6686

[243]http://liberali.ge/node/1694
[244]http://foreignpress.ge/?p=13671

NATO-ს გეოსტრატეგიული ინტერესები საქართველოს მიმართ

როდესაც ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რა ინტერესები შეიძლება გააჩნდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საქართველოს მიმართ?

პირველ რიგში ალბათ აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ალიანსის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში აუცილებლად უნდა განვიხილოთ კავკასიის რეგიონთან მჭიდრო კავშირში[245]. ნატოს ინტერესები მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე მთელ სამხრეთ კავკასიას მოიცავს. თუ ჩვენ გადავხედავთ ნატოს გაფართოების პროცესს ორგანიზაციის დაარსებიდან დღემდე, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მისი პოლიტიკის განხორციელებისას ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებდა ერთდროულად რამდენიმე და არა ერთი სახელმწიფოს ალიანსში ინტეგრაციას. (გამონაკლისია მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და ესპანეთის გაწევრიანება ორგანიზაციაში). ნატოს მიერ პარტნიორული ურთიერთობების განვითარების პროცესში პრიორიტეტი ენიჭება ასევე რამდენიმე სახელმწიფოსთან ერთდროულად თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას. როგორც წესი, ამ სახელმწიფოებთან ურთიერთობა ხორციელდება ორგანიზაციის რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში. მაგალითად, ნატოს რეგიონული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ან უფრო ფართოდ–შავი ზღვის რეგიონში, ასევე, ცენტრალურ აზიაში. რეგიონული პოლიტიკა ხორციელდება (თუმცა არა პარტნიორულ დონეზე) ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონის ქვეყნებთან ხმელთაშუაზღვის დიალოგის ფარგლებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ ეტაპზე შავი ზღვის რეგიონში პარტნიორ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში იკვეთება უფრო კონკრეტული მიმართულებები: განსაკუთრებული დამოკიდებულება საქართველოსთან და უკრაინასთან, რისი რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, ორივე ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტს დასავლეთის ქვეყნებთან და დასავლურ სტრუქტურებთან ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს[246], განსაკუთრებით გაძლიერებული ძალისხმევა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაციას უკავშირდება. ასევე, ალიანსის ინტერესს წარმოადგენს უკანასკნელი პერიოდში დემოკრატიული გარდაქმნები ამ ქვეყნებში.

თუმცა ამავე დროს აღსანიშნავია, რომ როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ნატოს რეგიონალურ პოლიტიკაზე, უნდა ხაზი გავუსვათ ნატოსთან თანამშრომლობის გზაზე თითოეული რეგიონის სპეციფიკურობას, კერძოდ, როგორც ავღნიშნეთ, ნატოს თავისი ინტერესები გააჩნია მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მაგრამ ამავე დროს ამ რეგიონის სამი ქვეყნიდან მხოლოდ საქართველო აცხადებს სურვილს გაწევრიანდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, ამიტომაც კავკასიის შემთხვევაში ნატოს მოსალოდნელი გაფართოება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში განიხილება, განსხვავებით იგივე ბალტიისპირეთისა ან აღმოსავლეთ ევროპისაგან. ბალტიისპირეთის სამივე სახელმწიფოს ნატოში ერთდროულად გაწევრიანება მოხდა იმის გამო, რომ სამივე ქვეყანას-ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს გააჩნდა სურვილი ალიანსში გაწევრიანებისა და მათ შეძლეს ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილება, იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ ევროპის სამ სახელმწიფოზე-პოლონეთზე, ჩეხეთზე და უნგრეთზე, რომლებიც ნატოში 1999 წელს

---

[245] ამავე დროს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოდან მხოლოდ საქართველოს სურვილია გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი, ნატო-საქართველოს თანამშრომლობა უფრო მჭიდრო ურთიერთობათა ფორმატში მიმდინარეობს

[246]როგორც ცნობილია, უკრაინაში ხელისუფლებაში ვიქტორ იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგ, ამ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია რამდენადმე შეიცვალა

ერთდროულად გაწევრიანდნენ, ან იგივე შავი ზღვის დასავლეთი ნაწილის მონაპირე ქვეყნებზე-რუმინეთზე და ბულგარეთზე. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს, ნატოს ჩვენი ქვეყნის მიმართ შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახის ინტერესები:[247]

- გეოეკონომიკური ინტერესები: ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალიანსის დაინტერესებისა სამხრეთ კავკასიის მიმართ გახლავთ კასპიის რეგიონში არსებული ენერგეტიკული რესურსები, პროექტები რომლებიც დაკავშირებულია ამ რესურსების დასავლეთის მიმართულებით საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებასთან. ენერგომატარებელთა წყაროების დივერსიფიცირების საკითხმა განსაკუთრებითი აქტუალობა შეიძინა ევროპისათვის იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ევროპა თავისი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ეძებს ნავთობისა და გაზის იმპორტირების ალტერნატიულ გზებს, რათა თავიდან იყოს აცილებული პოლიტიკურად არასტაბილურ რუსეთზე ან სპარსეთის ყურეზე ენერგეტიკული დამოკიდებულება. უცილებელია ავღნიშნოთ ის ენერგოკრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2006 წლის დასაწყისში და 2009 წლის იანვარში, რომელიც განპირობებული იყო რუსული ბუნებრივი აირის უკრაინის ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების შეფერხებით. ამის შემდეგ, ევროპის სახელმწიფოთა დღის წესრიგში დადგა ენერგომატარებლების წყაროების დივერსიფიცირების აუცილებლობის საკითხი. ვითარებას ართულებს არასტაბილური მდგომარეობა ნავთობრესურსებით უმდიდრეს რეგიონებში, სპარსეთის ყურეში და ირანში, რაც კიდევ უფრო ზრდის ალტერნატიულ წყაროთა მნიშვნელობას.

ამრიგად, კავკასიაში და კასპიის რეგიონში არსებული ენერგორესურსები და მათი სტაბილური მიწოდება ევროპაში, უკვე ნატოსა და ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების პრიორიტეტული ინტერესების სფეროს წარმოადგენს.

ასევე, უნდა აღინიშნოს ევრაზიული დერეფნის პროექტის შესახებ, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიის გავლით ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ერთმანეთთან დაკავშირება და მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარება. ერთ-ერთ ასეთ უმნიშვნელოვენს პროექტად შეიძლება იქცეს ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა.

გეოპოლიტიკური ინტერესები: კავკასიაში ნატოს გეოპოლიტიკური ინტერესები შეიძლება დავუკავშიროთ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ამერიკელი გეოპოლიტიკოსების მიერ "ჰართლენდისა და რიმლენდის" თეორიის ბაზაზე შემუშავებულ „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის" კონცეფციას, რომლის პრაქტიკულ განხორციელებას უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძირითადად ნატო ასრულებდა. ამერიკელ გეოპოლიტიკოსთა იდეებზე და თეორიებზე დაყრდნობით აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ ჩამოყალიბებული „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის" კონცეფცია (მეორენაირად მას „ანაკონდას" სტრატეგიასაც უწოდებდნენ) მიმართული იყო სსრკ-ს და ვარშავის პაქტის წინააღმდეგ და ითვალისწინებდა „რიმლენდის" (შეიძლება სხვანაირად ეს სივრცე წარმოვიდგინოთ როგორც საზღვაო და სახმელეთო რეგიონებს შორის არსებული ტერიტორია-ანუ კონტინენტის მონაპირე მხარე) გეოპოლიტიკურ სივრცეში ნატოში ახალი წევრების მიღებას, იმ ქვეყნებისა, რომლებიც სსრკ-ის სიახლოვეს მდებარეობდნენ ან უშუალოდ ესაზღვრებოდნენ (მაგალითად საბერძნეთი და თურქეთი) და ასევე ანტისაბჭოთა სამხედრო ბლოკების შექმნის გზით "ჰარტლენდის" (კონტინენტის სიღრმეში არსებული ტერიტორია) შევიწროებას. დღესდღეობით, პოსტბიპოლარულ პერიოდში, მართალია საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, თუმცა შეიძლება ითქვას, და ამას უკანასკნელ პერიოდში რუსეთში მიმდინარე მოვლენები და რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებები ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი გარკვეულწილად ჩაანაცვლა რუსეთმა. მიუხედავად თანამშრომლობის შესახებ ნატოსა და რუსეთს შორის რამდენიმე

[247] ნიკა ჩიტაძე. "ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი". თბილისი, 2008. გვ. 311-313

ხელშეკრულების არსებობისა, მათ შორის 2010 წლის ნოემბერში გამართული ლისაბონის სამიტის ფარგლებში, დაპირისპირება ბევრ საკითხთან დაკავშირებით არსებობს და რუსეთიდან მომდინარე საფრთხე ჯერ კიდევ არ განეიტრალებულა- რაც დაკავშირებულია რუსეთის მიერ სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერასთან, რაც მთლიანობაში ევროატლანტიკურ რეგიონს უქმნის პრობლემას, ასევე მოსკოვის მიერ დასავლეთისადმი არაკეთილგანწყობილი რეჟიმების მხარდაჭერა და მათთვის შეიარაღებისა და ბირთვული მასალების არალეგალური მიყიდვა (ირანი, ვენესუელა), აგრეთვე ენერგოშანტაჟი რუსეთის მხრიდან, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებიდან გამოსვლა და ა.შ. ამ შემთხვევაში ნატოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გაფართოებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რაც საშუალებას მისცემს ალიანსს რუსეთის უშუალო საზღვრების სიახლოვეს კიდევ უფრო შეზღუდოს რუსეთი თავის ქმედებებში. ამ თეორიის მიხედვით ნატოს აღმოსავლეთის გაფართოების ლოგიკურ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოსთან და უკრაინასთან მნიშვნელოვნად დაახლოება, საბოლოოდ მათი ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით.

- გეოსტრატეგიული ინტერესები: ნატოს-როგორც სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს, კავკასიის რეგიონში ასევე გააჩნია თავისი სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები, სადაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამხედრო, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორები. შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ სამხედრო-სტრატეგიულ ფაქტორზე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო დაგეგმარების პრინციპი ეფუძნება „მოქნილი რეაგირების“ სტრატეგიას, რაც გულისხმობს სამხედრო ღონისძიებათა ჩატარების საჭიროების შემთხვევაში სწრაფ რეაგირებას, და ამ მიმართულებით, ისეთი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის მქონე რეგიონი, როგორიცაა სამხრეთ კავკასია, ალიანსის დიდ ყურადღებას იმსახურებს.

  დღევანდელ ეტაპზე, იმ პირობებში, როდესაც განსაკუთრებით ავღანეთში, და ასევე სპარსეთის ყურეში და ახლო და ცენტრალურ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ალიანსის მიერ აღიქმება საფრთხის მთავარ წყაროდ, ნატო იძულებულია განახორციელოს და გააქტიუროს თავისი პოლიტიკა აზიის ამ რეგიონებში და ამ მიმართულებით საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა ალიანსისათვის კიდევ უფრო იზრდება. ჩვენი ქვეყანა გეოგრაფიულად ძალიან ახლოს მდებარეობს ამ რეგიონებიდან და, შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კავკასიაში ფეხის მოკიდებით შეძლებს უფრო აქტიური პოლიტიკის განხორციელებას საფრთხის შემცველი რეგიონის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციისათვის საქართველოს სტრატეგიული ღირებულება კიდევ უფრო იზრდება ავღანეთში ნატოს მიერ წარმოებული სახმელეთო ოპერაციების წარმოებისა და ირანთან, ამ უკანასკნელის მიერ ბირთვული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული დაძაბული ურთიერთობების ფონზე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი თავდაცვის მდივნის დონალდ რამსფელდის მოხსენება 2006 წლის თებერვალში გამართულ მიუნხენის 42-ე საერთაშორისო კონფერენციაზე, კერძოდ, თავდაცვის მდივანმა აღნიშნა, რომ სართაშორისო საზოგადოებამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქცენტი უნდა გააკეთოს ირანზე. მან განაცხადა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა არის პარტნიორებისა და მოკავშირეების მოძიება კრიზისულ რეგიონში, რათა განხორციელდეს მუდმივი ზეწოლა ამ ქვეყანაზე.

  უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციის გაფართოების პროცესში ირანის ფაქტორმა შეიძლება ითამაშოს “დამაჩქარებლის” როლი, ისევე როგორც გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში ბოსნია-ჰერცეგოვინის მოვლენებმა, რასაც მოჰყვა პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხეთის რესპუბლიკის ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესის დაჩქარება, 1999 წელს კოსოვოს მოვლენებმა, რამაც ასევე დააჩქარა გაფართოების ბოლო ეტაპი. ცხადია, ამ თვალსაზრისით უნდა გამოვყოთ 11

სექტემბრის ტერორისტული აქტები. ეს იყო უდიდესი ეფექტის მქონე მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა ორგანიზაციის გაფართოების მომხრეთა რაოდენობა თავად NATO-ს მესვეურთა შორის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტად, რომელმაც შესაძლოა გაზარდოს ალიანსის ინტერესები საქართველოს მიმართ, შესაძლოა იქცეს ნატოს წევრი თურქეთის ფაქტორი. მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ სულ უფრო იზრდება გარკვეული დაპირისპირება თურქეთსა და დასავლეთს შორის. ამიტომაც, ნატოს მიერ ერთ მშვენიერ დღეს თურქეთის სახით ახლო აღმოსავლეთში და შავი ზღვის რეგიონში პარტნიორის დაკარგვის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ალტერნატიული სტრატეგიული პარტნიორის არსებობა.

გერმანიის მარშალი ფონდის ხელმძღვანელი რონალდ ასმუსი, რომელიც ამავე დროს NATO-ს ღია კარის პოლიტიკის მხადამჭერია, მიიჩნევს, რომ 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა საფუძველი დაუდო ორგანიზაციის მეორე მნიშვნელოვან განახლებას. ასმუსის აზრით პოსტ-"ცივი ომის" ეპოქაში ალიანსის დღის წესრიგში დგას ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთთან კავშირში მყოფი ამოცანები, რომელიც ორგანიზაციის მეორე განახლების ამოსავალ მიმართულებებს უნდა წარმოადგენდეს:

პირველი: ორგანიზაციამ უნდა შეინარჩუნოს, და უფრო მეტიც, გააღრმავოს დემოკრატიის მხარდაჭერის სტრატეგია შავი ზღვის რეგიონში. უფრო კონკრეტულად, აქ იგულისხმება "ვარდების" და "ნარინჯისფერი" რევოლუციების მონაპოვარის განმტკიცებისათვის შესაბამისი პოლიტიკის წარმოება. ორგანიზაციამ ერთგვარი წინამძღოლობა უნდა გაუწიოს უკრაინას და საქართველოს სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე. ამგვარი წინამძღოლობა წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო და ყველაზე ეფექტურ გზას ევროპისა და აშშ-სთვის, ხელი შეუწყოს დემოკრატიულ პროცესებს რუსეთში.

მეორე ამოცანა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება პირველს შემდეგში მდგომარეობს: ხელი შეუწყოს სტაბილურობას შავი ზღვის რეგიონში, რათა უზრუნველყოფილი იყოს, ერთის მხრივ ერთიანი, სტაბილური და მშვიდობიანი ევროპის კონცეფციის რეალიზება. მეორეს მხრივ, სტაბილური სამხრეთ კავკასია გახდება მნიშვნელოვანი დასაყრდენი ორგანიზაციისათვის შუა აღმოსავლეთში საკუთარი ინტერესების განხორციელებისას.

ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ამოცანების შესრულება განპირობებს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მესამე დიდ ტალღას. ისევე, როგორც NATO–ს გაფართოების წინა ორმა ეტაპმა, რომელმაც მოიცვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, შესაძლებელი გახადეს ამოეძირკვათ ევროპის კონტინენტზე არსებული მრავალწლოვანი გეოპოლიტიკური დაპირისპირების საფუძვლები, ასევე უკრაინისა და შავი ზღვის რეგიონის ინტეგრაციაც დასავლეთში ხელს შეუწყობს ევროპის პოლიტიკური რუკის უკეთესობისაკენ გადასინჯვას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტორი მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებით ორგანიზაცია შეძლებს უფრო აქტიური პოლიტიკის განხორციელებას შუა აღმოსავლეთის რეგიონის მიმართულებით, სადაც, ავტორის აზრით, მდებარეობს საფრთხის მთავარი წყარო, რომელიც ემუქრება და უახლოეს მომავალშიც დაემუქრება დასავლეთის საზოგადოებას. შესაბამისად, პოსტ "ცივი ომის" პერიოდში ორგანიზაციის ახალ გარემო პირობებთან ადაპტაციის გზაზე შავი ზღვის რეგიონი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს[248].

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ალიანსი მთავარ საფრთხედ განიხილავს ტერორიზმს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასავლური წარმოდგენით მჭიდროდ უკავშირდება "დიდ" შუა აღმოსავლეთს. ამ რეგიონთან

[248] ნიკა ჩიტაძე. "ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი". თბილისი, 2008. გვ. 313

სიახლოვის და სტრატეგიული მდებარეობის გამო ალიანსი პრიორიტული ინტერესების სფეროდ აღიქვამს სამხრეთ კავკასიის რეგიონს და უფრო ზოგადად შავი ზღვის რეგიონს და ამ რეგიონის სახელმწიფოებთან დაახლოებას ახალ საფრთხეებთან დაპირისპირებისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს.

საქართველოს დაინტერესება ნატო-ში ინტეგრაციით

საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში და მისი გარდაქმნა დემოკრატიულ, ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოდ პირველ რიგში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა მზად ქვეყანა დააკმაყოფილოს ნატოს სტანდარტები და შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო პროგრამისა და ინტენსიური დიალოგის ფარგლებში გააჩნია.

ამავე დროს საქართველოში რეფორმების წარმატებული განხორციელება ნამდვილად შედის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესებში, რასაც მოწმობს 90-იანი წლების დასაწყისიდან ნატოს მხრიდან საქართველოსადმი გაწეული დახმარებები, როგორც სამხედრო ისე სხვა სფეროებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ალიანსის მზადყოფნისა განავითაროს თანამშრომლობა თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან და მათ შორის საქართველოსთან, როგორც ავღნიშნეთ ჩვენი ქვეყნის ნატოში ინტეგრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი საკუთრივ ქვეყანა და საზოგადოება გააცნობიერებს ამ ნაბიჯის აუცილებლობას და რეალურად განახორციელებს დემოკრატიულ ცვლილებებს სახელმწიფოს მმართველობის ყველა სფეროში.

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დადებითად აისახება საქართველოს მომავალში მისი ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში, კერძოდ:

გეოსტრატეგიული ფაქტორი: საქართველოსათვის ევროატლანტიკის სივრცეში ინტეგრირება და კონკრეტულად ნატოს სრულუფლებიანი წევრობა უმნიშვნელოვანეს როლს შესრულებს რუსეთის მხრიდან განმეორებითი მოსალოდნელი აგრესიისაგან თავდაცვისა და მისი ინტერესების დაბალანსების საქმეში (თუნდაც იგივე კავკასიის რეგიონში). მეორეს მხრივ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა საქართველოს დაეხმარება საერთაშორისო მასშტაბის დონის მქონე არანაკლებ საშიში გამოვლენის, რადიკალური ისლამის აგრესიის მოგერიებაში. ასევე, საქართველოს უფრო გაუადვილდება თანამედროვე პერიოდის ისეთ უმთავრეს საფრთხეებთან და გამოწვევებთან განმკლავება, როგორებიც გახლავთ: ტერორიზმი, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების უკანონო გადაადგილება, ნარკობიზნესი, ორგანიზებული დანაშაულებათა ქსელები და საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაცია.

“ცივილიზაციური” ფაქტორი: ნატოს წევრობა საქართველოსათვის შექმნის მყარ საფუძველს ევროატლანტიკურ სივრცეში სრულიად ინტეგრირებისათვის. ალიანსის სრულუფლებიანი წევრობა და ნატოს საქმიანობაში მონაწილეობა კიდევ უფრო განამტკიცებს “ევროპელის” სტატუსის აღქმას ქართულ საზოგადოებაში და დასავლური ფასეულობების გაზიარებით ერთიან ევროპულ ოჯახში სრულ დამკვიდრებას, ეს კი პოზიტიურად აისახება ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესების და შესაბამისად ცხოვრების დონის ამაღლებაზე. ფაქტიურად ნატო გახდება საერთო ევროპულ პროცესებში ჩართვის მეორე ეტაპი (პირველს შეადგენდა საქართველოს გაწევრიანება ევროპის საბჭოში 1999 წელს).

პოლიტიკური ფაქტორი: ალიანსში გაწევრიანება ხელს შეუწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო პრინციპების განვითარებას საქართველოში და სტიმულს მისცემს მათი რეალური დამკვიდრების პროცესს. უკვე მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგება საკითხი საქართველოს ნატოში მოსალოდნელი გაწევრიანების შესახებ, გარკვეულწილად გაწევრიანების წინა მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში

შეიქმნება მოტივაციური ფონი საქართველოს დეოკუპაციისათვის და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების საბოლოოდ მოგვარების საქმეში. მეორეს მხრივ, ნატო-ში გაწევრიანება საუკეთესო საშუალება იქნება ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიის მიღებაში. მთლიანობაში ქართული საზოგადოების დადებითი განწყობა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მიმართ წარმოადგენს სწორედ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს გაწევრიანებისათვის აუცილებელი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

სამხედრო ფაქტორი: უკანასკნელ წლებში საქართველოს თავდაცვის სექტორში ჩატარებული კარდინალური რეფორმების მიუხედავად, რამაც საგრძნობლად გაზარდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა, რაც გამოიხატა რუსეთთან ომის დროს, როდესაც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მედგარი წინააღდეგობა გაუწიეს რუსეთის საოკუპაციო ძალებს, დღევანდელ ეტაპზე საქართველოს თავდაცვითი რესურსები მაინც არასაკმარისია ყველა იმ შიდა თუ გარე საფრთხესთან გასამკლავებლად, რომელსაც მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს და ასევე ყველა იმ გამოწვევების მისაღებად, რომელიც თანამედროვე ეპოქაში არსებობს მთელ მსოფლიოში. თავისი სამიათასწლოვანი – მეტად ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩვენი ქვეყანა მუდმივად წარმოადგენდა სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოების თავდასხმის ობიექტს, და ისტორიის სხვადასხვა პერიოდში თავდაცვისათვის საკუთარი ძალების უკმარისობის გამო მუდმივად ცდილობდა მოეძებნა ძლიერი სამხედრო და პოლიტიკური მოკავშირე, რის გამოც ხშირად არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის უხდებოდა (გავიხსენოთ თუნდაც 1783 წელს ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო იძულებული იყო რუსეთის იმპერიის პროტექტორატი ეღიარებინა ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიებისაგან თავის დასაცავად). დღევანდელ დღეს, როდესაც ქვეყანას გააჩნია შანსი გახდეს დემოკრატიული ქვეყნების ალიანსის-ნატოს წევრი, სადაც ყველა წევრს აქვს საკუთარი გავლენა და ხმა და ალიანსის თითოეული წევრი საიმედოდაა დაცული სამხედრო აგრესიისაგან.

ეკონომიკური ფაქტორი: ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით საქართველო დღეს საჭიროებს სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკის განვითარება კი აუცილებლად საჭიროებს სტაბილურ გარემოს და მოითხოვს უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკურ გარანტიებს, რის საუკეთესო შესაძლებლობას სწორედ ნატო იძლევა. სწორედ ამ ორგანიზაციის წყალობით გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული შეიქმნა დასავლეთ ევროპის ომისშემდგომი აღორძინებისა და სტაბილური ეკონომიკური განვითარების წინაპირობები. ალიანსმა ძალღონე არ დაიშურა იმისათვის, რომ მისივე უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არ მომხდარიყო ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი წევრების ეკონომიკური დაქვეითება.

ეკონომიკური განვითარების შედეგად, საქართველო კიდევ უფრო განიმტკიცებს თავის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, იგი დაზღვეული იქნება საგარეო აგრესიის საფრთხისაგან, რაც ასევე მკვებავ წყაროებს გადაკეტავს საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებული თუ პოტენციური კონფლიქტებისათვის. ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია უდიდეს როლს შეასრულებს ევროკავშირთან თანამშრომლობის განვითარებაზე, რადგან შექმნილი იქნება ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ევროპიდან მსხვილი ინვესტიციების შემოდინების აუცილებელი სტაბილური გარემო.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ისტორიულმა პროცესებმა თუ გეოგრაფიულმა მდებარეობამ მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთს ეს ორი ქვეყანა. ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის შედარებით უფრო ახლო ურთიერთობების დამყარება მოხდა მე-18 საუკუნეში, როდესაც ისლამური სამყაროს საფრთხის წინაშე მდგარი და ევროპის უყურადღებობით იმედგაცრუებული საქართველოსთვის ერთადერთი იმედი ერთმორწმუნე, მართმადიდებელი რუსეთი იყო. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, რუსეთის იმპერატორ პეტრე I-სა და ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს შორის მიმდინაობდა მოლაპარაკებები ირანის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედებების განხორციელების შესახებ, თუმცა რუსეთმა დაპირების მიუხედავად, ჯერ კიდევ იმ პერიოდში ვერაგულად დაარღვია ზემოაღნიშნული შეთანხმება და ქართლი მრავალრიცხოვანი სპარსეთის იმპერიის წინაშე მარტოდმარტო დატოვა. იგივე მოხდა 1774 წელს, როდესაც რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ის გამოგზავნილმა სარდალმა ტოტლებენმა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II თავის ჯართან ერთად მიატოვა და ქართველი მონარქი ოსმალეთის იმპერიასთან საბრძოლველად მარტოდმარტო დატოვა. გაცილებით უფრო ვერაგულად გამოიყურებოდა რუსეთის იმპერიის ქმედება მას შემდეგ, რაც 1783 წლის 24 ივნისს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ხელი მოეწერა გერგიევსკის ტრაქტატს, რომელიც სხვა პუნქტებთან ერთად ითვალისწინებდა რუსეთის მხრიდან ქართული სამეფოს დაცვას გარეშე აგრესიისაგან, თუმცა ჩვენმა ჩრდილოელმა "მოკავშირემ" საქართველო არც ლეკთა შემოსევებისგან დაიცვა (განსაკუთრებით 1785 წელს, რიდესაც ქართლს ომარ-ხანი შემოესია), და არც 1795 წელს კრწანისის ომის დროს აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ. ხოლო 1801 წელს, ისარგებლა რა ქართლ-კახეთის მეფე, გიორგი XII-ის გარდაცვალებით, რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და 1801 წლის 11 სექტემბრის ალექსანდრე I-ის მანიფესტის მიხედვით ქართლ-კახეთი რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად გამოაცხადა. როგორც ცნობილია, მომავალში რუსეთმა დანარჩენი ქართული სამეფო–სამთავროების ოკუპაციაც განახორციელა. ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველო რუსეთის მუდმივი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს თან ახლდა დაძაბულობა და ინტერესთა შეჯახება. ამ ურთიერთობების ნორმალიზება დღემდე რთულია და მათი მოგვარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად რჩება.

რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენი "ჩრდილოელი მეზობლის" აგრესიული პოლიტიკის გამო, ქართველ ხალხს რუსეთისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა. ეს ნათლად გამოვლინდა იმ აჯანყებებსა და გამოსვლებში, რაც რუსეთისა და სსრკ-ის წინააღმდეგ ორი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ურთიერთობების გამწვავება განსაკუთრებით 1918-1921 წლებსა, XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლო პერიოდსა და სსრკ-ის დაშლის შემდგომ პერიოდს უკავშირდება, როდესაც, ფართოდ გაშლილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მიზანი რუსეთისაგან განთავისუფლება იყო და ითვლებოდა, რომ რუსეთის ჯარების გარეშე საქართველოს ავტონომიებთან და ეთნიკურ უმცირესობებთან – აფხაზებთან და ოსებთან – შექმნილი დაძაბულობა თავისთავად განიმუხტებოდა.

სსრკ-ის კომუნისტური პარტიის ყოფილი გენერალური მდივნის, მ. გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა რეალური გახდა. თუმცა რუსეთის ელიტისათვის, საბჭოური წარსულისათვის ზურგის შექცევა რთული აღმოჩნდა. რუსეთის კოლექტიური თვითშეგნება მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმპერიული „დიდი სახელმწიფოს" და ცივი ომის დროინდელი „სუპერ სახელმწიფოს" სტატუსთან.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინის ადმინისტრაცია ცდილობდა დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობების განვითარებას, ეს სხვადასხვა ასპექტებთან ერთად დაკავშირებული იყო იმ ფაქტთანაც, რომ დასავლეთის ქვეყნებმა და

სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებმა რუსეთს უზარმაზარი კრედიტები და გრანტები გამოუყვეს. დასავლეთი ყველანაირად ცდილობდა, რომ რუსეთს დაეძლია რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში გაბატონებული იმპერიული სინდრომი და ეს ქვეყანა დემოკრატიულ ლიანდაგზე გადასულიყო, თუმცა, რუსეთის საზოგადოება ვერ მოწყდა იმპერიული პერიოდის მითებსა და სიმბოლოებს. სსრკ-ის დაშლის შემდეგ კრემლი ყველანაირი საშუალებით ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი გეოპოლიტიკური გავლენის სფერო მთელს პოსტ-საბჭოთა სივრცეზე. თავის მხრივ დასავლეთმაც დაკარგა რუსეთის სწრაფი დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის იმედი.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ახალი საქართველოსა და ახალი რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ღიად დაუპირისპირდა. საქართველოსთვის ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნებას წარმოადგენდა. ამავე დროს, საბჭოთა იმპერიის დეზინტეგრაცია რუსეთისთვის ეროვნულ ტრაგედიას წარმოადგენდა. რუსეთი განსაკუთრებით მტკივნეულად სამხრეთ კავკასიაზე კონტროლის შესაძლო დაკარგვას განიცდიდა. კრემლი ეჭვის თვალით უყურებდა დამოუკიდებელი საქართველოს სწრაფვას დასავლეთთან თანამშრომლობაზე.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე რამდენიმე თვით ადრე, საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება ზ. გამსახურდიას მეთაურობით ცდილობდა რუსეთის ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვას, რათა მომხდარიყო ერთობლივი დაპირისპირება საბჭოთა ცენტრალურ ხელისუფლებასთან. 1991 წლის მარტში დაბა ყაზბეგში გაიმართა შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდიასა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინს შორის. თუმცა, ერთობლივი დეკლარაციის მიღების მიუხედავად, შემდგომი ურთიერთობების გაღრმავება ვერ მოხერხდა.

საქართველოში მომხდარი სამოქალაქო ომის შემდეგ, ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით, ასევე ვერ შეძლო რუსეთთან საერთო ენის გამონახვა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში ახლადმოსული შევარდნაძე ყოველთვის ხაზს უსვამდა "დიდ რუსეთთან" კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების აუცილებლობას. გამსახურდიასგან განსხვავებით, შევარდნაძე საქართველოში შედარებით პრორუსულ პოლიტიკოსად ითვლებოდა. იგი ხელისუფლებაში 1992 წლის მარტში რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების დევიზით მოვიდა. რასაკვირველია, ამ ეტაპზე რუსეთს აღარ შეეძლო პოსტ-საბჭოთა სივრცეზე იმპერიული ძალაუფლების სრულფასოვანი აღდგენა და მისი მიზანი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების-ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე ჰეგემონიური გავლენის მოპოვება იყო. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, რუსეთს კავკასიაში თითქმის არავინ აბალანსებდა. ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტები პრაქტიკულად დასავლეთის ყურადღების მიღმა დარჩა. საქართველოს ხელისუფლება ერიდებოდა რადიკალურ მოქმედებას. მან 1992 წლის 25 ივნისს რუსეთთან ხელმოწერილი სოჭის, ე.წ. "დაგომისის" ხელშეკრულების საფუძველზე თანხმობა განაცხადა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე რუსეთის "სამშვიდობო ძალების" შემოსვლაზე და შერეული საკონტროლო კომისიის შექმნაზე.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ, რაც დიდწილად იყო დაკავშირებული რუსეთის პროვოკაციულ ქმედებებთან, საქართველოს ხელისუფლება მეტად რბილად აკრიტიკებდა რუსეთის მონაწილეობას აფხაზეთის კონფლიქტში. საქართველომ სამჯერ გამოხატა საკუთარი თანხმობა რუსეთის შუამავლობით ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე. 1992 წლის 3 სექტემბერს, 1993 წლის 14 მაისს და 1993 წლის 27 ივლისს, თუმცა, რუსეთმა აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი დაქირავებული ბოევიკების ხელით სამჯერვე ვერაგულად დაარღვია ზემოაღნიშნული შეთანხმებები,

რაც საბოლოო ჯამში აფხაზეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმის კონტროლის დამყარებითა და 300 ათასამდე ქართველისა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა აფხაზეთიდან გამოძევებით დასრულდა. საომარი მოქმედებების დასრულებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველომ თანხმობა განაცხადა აფხაზეთში - კონფლიქტის ზონაში რუსეთის მიერ (დსთ-ის ეგიდით) სამშვიდობო ოპერაციების შესრულებაზე. ეს მოხდა 1994 წლის გაზაფხულზე. როგორც უკვე აღინიშნა, ერთი წლით ადრე იგივე მოხდა სამხრეთ ოსეთშიც. რუსეთის "სამშვიდობო" როლი, დასავლეთის პასიურობის გამო, გასული საუკუნის 90-იან წლებში უალტერნატივო იყო. აქედან მოყოლებული, რუსეთი ყველანაირი საშუალებებით იცავდა თავის "სამშვიდობო" მანდატს და ცდილობდა არ დაეშვა საერთაშორისო ინსტიტუტების პირდაპირი და ქმედითი მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარებაში, გარდა იმ შედარებით შეზღუდული სადამკვირვებლო როლისა, რაც გაეროს (გაეროს სადამკვირვებლო მისია საქართველოში) ფორმალურად გააჩნდა აფხაზეთში და ეუთოს – სამხრეთ ოსეთში.

აფხაზეთში დამარცხებისა და საქართველოში სამოქალაქო ომის გაღვივების შემდეგ, ქართული სახელმწიფო დაშლის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. რუსეთმა ჯერ გააღვივა, შემდეგ კი მხარი დაუჭირა სეპარატისტულ კონფლიქტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე ხელი შეუწყო ქართველთა შორის (ექს-პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეებსა და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის) დაპირისპირებას. ე. შევარდნაძემ გაახმოვანა ეს ვერსია 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის შემდეგ, როდესაც მან განაცხადა, რომ „საქართველო რუსეთმა დააჩოქა". საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ ქვეყანას იმ პერიოდში არ გააჩნდა სხვა არჩევანი და მას პრორუსული საგარეოპოლიტიკური კურსი უნდა აერჩია. ასევე თანხმობა უნდა განეცხადებინა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსული "სამშვიდობო ძალების"განთავსებაზე. სინამდვილეში, ამ ჯარების მთავარ ფუნქციად სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა იქცა. თუმცა, ოდნავ მოგვიანებით – 1994-1996 წლებში რუსეთი ჩეჩნეთის პირველ ომში ჩაეფლო და რუსეთის დიდების მითი ჩრდ. კავკასიაში დაიმსხვრა.

აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში წარმოებულმა ომებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა საქართველო. საქართველო დიდ დათმობებზე წავიდა: ქვეყანა შეუერთდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას; საქართველო გახდა დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრი ქვეყანა; საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა შევარდნაძემ პოლიტიკური მხარდაჭერა გამოხატა რუსეთის ჩეჩნური კამპანიის მიმართ; 1994 წლის 3 თებერვალს საქართველომ და რუსეთმა ხელი მოაწერეს "ჩარჩო ხელშეკრულებას"; 1995 წელს საქართველომ თანხმობა განაცხადა რუსეთის ოთხი სამხედრო ბაზის საქართველოში 25 წლით განთავსების თაობაზე. ამავე დროს, შევარდნაძე ცდილობდა დასავლეთისგან მიეღო უსაფრთხოების გარანტიები, რაც მხოლოდ კასპიის რეგიონში განთავსებული ნავთობის მიმართ დასავლეთის ინტერესის ზრდის პარალელურად მოხერხდა. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან სამხრეთ კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ენერგეტიკული რესურსების გამო დასავლეთის, და პირველ რიგში აშშ-ის გეოპოლიტიკური და გეო-ეკონომიკური ინტერესების სფეროში მოექცა. აშშმნიშვნელოვან ლობირებას უწევდა ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების პროექტების განხორციელებას.

უმთავრესი ის იყო, რომ მას შემდეგ რაც 1994 წლის 20 სექტემბერს აზერბაიჯანის ხელისუფლებამ გააფორმა "საუკუნის კონტრაქტი" მსოფლიოს წამყვან ნავთობკომპანიებთან, რუსეთს რეგიონში კონკურენტები გამოუჩნდა დასავლეთის სახელმწიფოების სახით. „ესაა რეგიონი, რომელზეც თვალი უჭირავს აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც" – წერდა ბრიტანული „გარდიანი". კავკასიაში დასავლეთის შემოსვლის შემდეგ რუსეთისათვის ახალი საგარეო პოლიტიკის ამოცანად აშშ-ს სტრატეგიული გავლენის გაფართოების შეკავება იქცა.

სამხრეთ კავკასია რუსეთის და აშშ-ს პოლიტიკური მანევრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო საქართველო მხოლოდ ერთი ელემენტია ამ გლობალურ შეჯიბრში. რუსეთი საკუთარ გავლენაზე შეტევად აღიქვამდა და აღიქვამს ნატოს გაფართოებას, ისევე როგორც ამ ორგანიზაციის პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომელშიც როგორც ვიცით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც მონაწილეობენ. 90-იანი წლების დასასრულისთვის უკვე ნათელი გახდა, რომ რუსეთის მიერ ამ წლებში დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევა შეუძლებელი იყო. რუსეთმა ხელი ვერ შეუშალა 1999 წელს ნატოს გაფართოების პირველ ტალღას. ამასთანავე დსთ ვერ იქცა სსრკ-ს მსგავს პოლიტიკურ და სამხედრო ალიანსად.

რუსეთის პოზიციები მყარი იყო კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. 1994 წლისთვის კრემლს ხელში ეკავა „გაყინული ეთნიკური“ კონფლიქტების გასაღებები და რეგიონში „რუსული მშვიდობა“ დამყარდა. აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთი ცდილობდა ეუთოს და გაეროს სამშვიდობო მონაწილეობა დამკვირვებელთა მისიის შეზღუდულ მანდატს არ გასცილებოდა. ამისდა მიუხედავად, დასავლეთის მონაწილეობა კავკასიაში იზრდებოდა. 1999 წელს საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა. ორი წლით ადრე, საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ სუამი ჩამოაყალიბეს, და მიუხედავად ამ ორგანიზაციის მოკრძალებული სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობებისა, მისმა შექმნამ რუსეთის გაღიზიანება მაინც გამოიწვია, რომელმაც ეს ალიანსი თავიდანვე ნატოს ინსპირირებულ ანტი-რუსულ ორგანიზაციად აღიქვა.

რუსეთის რეგიონული (თურქეთი) და საერთაშორისო (ნატო და აშშ) ძალების მიერ დაბალანსების პოლიტიკას პრეზიდენტ შევარდნაძის მხრიდან პერიოდულად თან ახლდა გაუგებარი დათმობები და მორჩილი დამოკიდებულება კრემლის მიმართ. ამ ორსახოვანმა პოლიტიკამ შევარდნაძისადმი უნდობლობა რუსეთში კიდევ უფრო გაამძაფრა. დაახლოებით 1997 წლიდან მოყოლებული პრეზიდენტ შევარდნაძეს ძალიან ცუდი პირადი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა თავის რუს კოლეგასთან, რამაც გამორიცხა რეალური თანამშრომლობა ქვეყნებს შორის.

2000 წელს რუსეთის პრეზიდენდი ვ. პუტინი გახდა. მისი მმართველობის პერიოდში კრემლი არც ისწრაფვოდა გამხდარიყო ევროპული სახელმწიფო ან გაეზიარებინა საჯარო ინსტიტუტების, სამოქალაქო უფლებების, კანონის უზენაესობის ევროპული გაგება.

2000 წლის ნოემბერში რუსეთის ზეწოლამ პიკს მიაღწია. საქართველო დსთ-ის პირველი ქვეყანა გახდა, რომლის მიმართაც რუსეთმა სავიზო რეჟიმი შემოიღო. მეტიც, „გამარტივებული“ – თავისი არსით უვიზო რეჟიმი დაწესდა საქართველოს სეპარატისტულ პროვინციებთან. ამავე წლიდან მოყოლებული, რუსეთმა მასიურად დაიწყო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა მათთან კავშირი.

საქართველო-რუსეთს შორის ინციდენტები ამ პერიოდში მეტად ხშირად ხდებოდა. შევარდნაძე, თავის მხრივ გაძლიერებული ოპოზიციის ფონზე, ცდილობდა რუსეთის საფრთხის გამოყენებას საკუთარი მდგომარეობის გასამყარებლად.

შევარდნაძის ტაქტიკამ რუსული საფრთხის გამო შეენარჩუნებინა დასავლეთის მხარდაჭერა, ნაწილობრივ მაინც გაამართლა. აშშ-ს მხარემ საჯაროდ დაგმო რუსეთის მხრიდან საქართველოზე განხორციელებული ზეწოლა და საქართველოს მხარდაჭერა აღუთქვა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა პანკისის ხეობისა და ჩეჩნეთის მეორე ომის საკითხმა. ეს კონფლიქტი ორი ქვეყნის ძირეული ინტერესების დაპირისპირება იყო. კრიზისი 1999 წელს დაიწყო და პიკს 2001 წელს მიაღწია.

ჩეჩნური კამპანიის დროს საქართველოში 7 ათასამდე ჩეჩენი გადმოვიდა, რომლებსაც ქართულმა მხარემ შემოწმების გარეშე ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა. რუსეთის მხარის მტკიცებით, პანკისში ლტოლვილებთან ერთად, ჩეჩენმა

ტერორისტებმაც დაიდეს ბინა. რუსული მხარე დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს მხრიდან აქტიური მოქმედების დაწყებას. რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვისა და გენშტაბის უფროსის ანატოლი კვაშნინის თქმით, რაკი საქართველოს არ შეეძლო პანკისში წესრიგის დამყარება, „ტერორიზმის ბუდის“ განადგურება რუსეთის სამხედრო ძალების ჩარევით უნდა მომხდარიყო. საერთაშორისო თანამეგობრობამაც მკაცრად მოსთხოვა საქართველოს მთავრობას აღმოეფხვრა ქვეყანაში ტერორიზმის საფრთხის წარმოშობის შესაძლებლობა.

ყოველი მხრიდან ზეწოლის ფონზე, საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში რუსეთისადმი უნდობლობამ იძალა და მათი აზრით, ჩეჩნური კონფლიქტის შესაჩერებლად და პანკისის ხეობაში სტაბილიზაციის დასამყარებლად ერთადერთი იმედი დასავლეთი (განსაკუთრებით აშშ) იყო. აშშ-ს სამხედროების საქართველოში გამოჩენას რუსეთის პოლიტიკური წრეების აღშფოთება მოჰყვა. ისინი ფიქრობდნენ, რომ აშშ-ს მიზანი სამხრეთ კავკასიიდან რუსეთის გაძევება იყო.

აშშ-ს სამხედრო დახმარების საპასუხოდ, რუსეთის საქართველოზე ზეწოლა უფრო აგრესიული გახდა. 2002 წლის 8 აგვისტოს რუსეთის დელეგაცია არ გამოცხადდა საქართველოსთან ჩარჩო-ხელშეკრულების მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე.

ამ დაძაბულ მომენტში მოხერხდა ვითარების კრიზისიდან გამოყვანა. 2002 წლის 25 აგვისტოს, აშშ-ს დახმარებით დაიწყო ანტი-კრიმინალური ოპერაცია პანკისში, რაც 2002 წლის აგვისტო-სექტემბერში ათეულობით კრიმინალის დაკავებით დასრულდა.

პანკისის წარმატებული ოპერაციის შემდეგ პროდასავლური განწყობა საქართველოში გაძლიერდა. პარლამენტმა დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გასვლა და საქართველოდან რუსული ჯარების გაყვანა მოითხოვა. თუმცა ეს საკითხი დიდი ხნის განმავლობაში ვერ იქნა გადაჭრილი.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იყო შესაძლებლობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებისა, როდესაც ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთს ურთიერთობების სუფთა ფურცლიდან დაწყება შესთავაზა.

პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის პირველივე დღეებიდანვე განაცხადა, რომ კარი ღიაა რუსული ინვესტიციებისათვის ენერგეტიკის სექტორსა და საპორტო ინფრასტრუქტურაში, ასევე ეკონომიკის სხვა სფეროებშიც. მან რუსეთს ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის გახსნაც შესთავაზა რუსეთის ბაზების გასვლის სანაცვლოდ.

მოსკოვი სკეპტიკურად იყო განწყობილი სააკაშვილის მიმართ და არ სწამდა, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტს შეეძლო საქართველოს პრობლემების გადაწყვეტა და მმართველობის გაჯანსაღება. როცა 2004 წელს მიხეილ სააკაშვილი ასლან აბაშიძეს დაუპირისპირდა, რუსეთმა თავდაპირველად მხარი დაუჭირა აბაშიძეს, თუმცა, როგორც კი სააკაშვილის გამარჯვება გარდაუვალი გახდა, რუსეთმა გენშტაბის მაღალი რანგის გენერალი გაგზავნა ბათუმში, რათა იქ დისლოცირებული რუსი სამხედროები კონფლიქტში არ ჩარეულიყვნენ.

ისტორიულმა გამოცდილებამ საქართველოს ახალ ხელისუფლებას ასწავლა, რომ რუსეთს თავისივე მუქარის შესასრულებლად ხშირად რეალური რესურსები არ ყოფნის.

სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა ნათლად დააყენა რუსული ბაზების გაყვანის საკითხი, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩა. ბაზების საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დადგა 2004 წლის ბოლოსა და 2005 წლის განმავლობაში. მოლაპარაკებების შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. 2005 წლისთვის საქართველოს თითქმის გადაეწურა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების იმედი. რუსეთმა არ შეამცირა სეპარატისტული პროვინციების მხარდაჭერა, მეტიც, მან ხელი არ შეუშალა მოხალისეებისა და იარაღის რუსეთის ტერიტორიიდან სამხრეთ ოსეთში გადინებას

2004 წლის ზაფხულში მიმდინარე კონფლიქტის დროს; მოსკოვი უხეშად ჩაერია აფხაზეთის "საპრეზიდენტო არჩევნებში"; რუსეთი კვლავაც განაგრძობდა მტკიცებას, რომ ჩეჩენი მებრძოლები თავს პანკისს აფარებენ.

2005 წლის იანვარში ორ მხარეს შორის ჩაიშალა ბაზების თაობაზე მოლაპარაკებების ერთ-ერთი რაუნდი. მას შემდეგ, რაც 2005 წლის თებერვალში რუსეთის საგარეო მინისტრის სერგეი ლავროვის ვიზიტმაც ვერ მოიტანა შედეგი, საქართველო ვითარების გამწვავებაზე წავიდა: საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, რუსეთის "სამშვიდობო ძალებს" კონფლიქტის რეგიონები უნდა დაეტოვებინათ, ხოლო საქართველოს მთავრობას დაევალა მიეღო ზომები მათი იძულების წესით გასაყვანად 2006 წლის იანვრამდე.

საქართველოს გამკაცრებულმა პოზიციამ რეალური შედეგები მოიტანა. 2005 წლის მარტსა და აპრილში რუსეთმა ოფიციალურად დაადასტურა ბაზების 3-4 წელიწადში გაყვანის შესაძლებლობა. 2005 წლის 30 მაისს საქართველოს და რუსეთის საგარეო მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად რუსეთმა დარჩენილი ბაზების გაყვანის ვალდებულება აიღო 2008 წლის ბოლომდე. თავის მხრივ, რუსეთმა საქართველოს მოსთხოვა არ განეთავსებინა ნატოს ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე.

2006-2007 წლებში საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა, რაც დაკავშირებული იყო კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებთან (რაზედაც წინა ქვეთავებში გვქონდა საუბარი), საქართველოს ნატოსთან ურთიერთობებში 2006 წლის სექტემბერში ინტენსიურ დიალოგზე გადასვლასთან, 2006 წლის სექტემბრის ბოლოს საქართველოში ოთხი რუსი ჯაშუშის დაკავებასთან – რასაც რუსეთში ეთნიკური ქართველების მასობრივი გამოსახლება მოჰყვა. 2006 წლის ოქტომბრიდან პრაქტიკულად შეჩერებული იყო სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის თითქმის ყველა მიმართულება, გარდა პერიოდული კონსულტაციებისა საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის, რომლებიც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას ეხებოდა. ურთიერთობის გამწვავებამ პირველ რიგში უბრალო მოსახლეობაზე იქონია უარყოფითი გავლენა. 2006 წლის 2 ოქტომბრიდან რუსეთმა შეწყვიტა საქართველოსთან საჰაერო, საავტომობილო, საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლა და საფოსტო კავშირი და ქართველი მოსახლეობა გამოდევნა რუსეთიდან. გარდა ამისა, რამდენიმე თვით ადრე, 2006 წლის მარტის ბოლოს აიკრძალა ქართული ღვინის, ღვინომასალის, ბრენდისა და შუშხუნა ღვინოების რუსეთში იმპორტი და რეალიზაცია. აპრილის ბოლოს აკრძალვები გავრცელდა საქართველოდან ექსპორტირებულ მინერალურ წყლებზე.

2008 წლის იანვარში ჩატარებული ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად, ხელისუფლებაში მეორე ვადით მოსულმა პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა რუსეთს, უკვე მეორედ, ურთიერთობების ახალი ფურცლიდან დაწყება შესთავაზა, თუმცა მიუხედავად რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ორი შეხვედრისა (ჯერ პუტინთან, ხოლო შემდეგ მედვედევთან), რუსეთმა თავისი იმპერიალისტური კლანჭები კიდევ უფრო აშკარად გამოაჩინა, რისი ნათელი დადასტურებაც გახლდათ რუსეთის პრეზიდენტის 2008 წლის 16 აპრილის დადგენილება სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობების შესახებ, ამავე წლის 20 აპრილს ქართული უპილოტო თვითმფრინავის ჩამოგდება და 2008 წლის ივლისში რუსული ვერტმფრენის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა, რაც რუსეთმაც აღიარა, თუმცა რუსეთის პრეზიდენტმა ამ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს აქცია მიმართული იყო "ვიღაცეების ცხელი თავების გასაგრილებლად".

რუსეთ-საქართველოს ომი და მისი შედეგები

როგორც ცნობილია, 2008 წელს როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. მათ შორის საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. ახალი პრეზიდენტი აირჩიეს რუსეთში, იმავე წლის შემოდგომაზე კი ახალი პრეზიდენტი უნდა აერჩიათ აშშ-ში. „არჩევნების წლისაგან" უფრო დიდი მასშტაბის პოლიტიკურ თუ სამხედრო მოვლენებს ცოტა თუ ელოდა. თუმცა, როგორც უკვე წინა ქვეთავში იქნა აღნიშნული, რუსეთმა სწორედ რომ 2008 წლის დასაწყისიდან განსაკუთრებით გააქტიურა თავისი დესტრუქციული ქმედებები საქართველოს წინააღდეგ, რისი უმაღლესი მწვერვალი გახლდათ 2008 წლის ივლისის ბოლოდან განვითარებული მოვლენები, რაც დაკავშირებული იყო 2008 წლის 23 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-გვერდის წინააღმდეგ კიბერშეტევის განხორციელებასთან, და ივლისის ბოლო რიცხვებიდან აგვისტოს 8 რიცხვამდე ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე – ოსური მხარის კონტროლირებადი ტერიტორიიდან რეგიონში მდებარე ქართული სოფლების მასირებულ დაბომბვასთან. 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ომის სამიზნე მხოლოდ ქართული ქალაქები და სოფლები კი არ იყო, არამედ –უკვე განვითარების გზაზე დამდგარი ქართული სახელმწიფო და მისი დემოკრატიული მომავალი, როგორც ავტორიტარული მემკვიდრეობის მთავარი გამოწვევა ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ძირითადი მიზეზები

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ქმედებების გასაანალიზებლად საჭიროა იმ პროცესების ნათლად გააზრება, რომელიც მსოფლიოში "ცივი ომის" დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარდა და, რაც უფრო მთავარია, ამ პროცესების აღქმა თავად რუსეთის მიერ. ამ თვალსაზრისით, რუსეთის გარშემო შექმნილ საერთაშორისო გარემოს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავდა:[249]

1. ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება– როგორც ცნობილია, 1999 და 2004 წლებში მოხდა ნატო-ს გაფართოება, როდესაც ჯერ ყოფილი სოციალისტური ბანაკის სამი ქვეყანა (1999 წ.), ხოლო შემდგომში შვიდი სახელმწიფო (2004), მათ შორის ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო გახდნენ ნატო-ს სრულუფლებიანი წევრები. 2008 წლის აპრილში ნატომ ალიანსში გასაწევრიანებლად მოიწვია კიდევ ორი სახელმწიფო (ალბანეთი და ხორვატია). რაც შეეხება ევროკავშირს, ამ ორგანიზაციაში 2004 წელს ათი, ხოლო 2007 წელს შავი ზღვის რეგიონის ორი სახელმწიფო-ბულგარეთი და რუმინეთი გაწევრიანდნენ. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გაწევრიანება დასავლურ ალიანსებში რუსეთის მიერ საკუთარი უსაფრთხოებისთვის საფრთხედ აღიქმებოდა. განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმებოდა ნატოსა და ევროკავშირთან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ახლო თანამშრომლობა (ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა თუ "პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის" ფარგლებში) ან მათი ნატო-სა და ევროკავშირში შესაძლო გაწევრიანება.
2. რუსეთის გვერდის ავლით, კასპიისპირეთიდან ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების განვითარება– 1994 წელს დასავლეთის წამყვან ნავთობკომპანიებსა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის გაფორმდა ე.წ. "საუკუნის კონტრაქტი", რომელიც კასპიის რეგიონში მოპოვებული ნავთობის და შემდგომში ბუნებრივი აირის დასავლეთის მიმართულებით ტრასპორტირებას ითვალისწინებდა. რეგიონში მოპოვებული ნავთობისა და გაზის ძირითადი ნაწილის ტრანსპორტირებისთვის კი მთავარ

[249]2008 წლისაგვისტოს მოვლენების შემდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი. CIPDD. 2008

სატრანზიტო ქვეყნად საქართველო მოიაზრებოდა. გაფორმებული კონტრაქტების შედეგად, 1999 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ბაქო-სუფსის, ხოლო 2005 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები. 2006 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი. ზემოაღნიშნული მილსადენების მშენებლობის დასრულების შემდეგ, რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით ნავთობის და ბუნებრივი აირის დასავლურ ბაზრებზე გატანა დაიწყო. გარდა ამისა, ამავე პერიოდში ევროკავშირი აქტიურად ალაპარაკდა "ნაბუქოსა" და "თეთრი ნაკადის" პროექტების შესაძლო ამოქმედების თაობაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროკავშირი ყოველწლიურად დაახლოებით 600 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის იმპორტს ახორციელებს, საიდანაც დაახლოებით 130 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება ევროკავშირის ბაზარზე რუსეთიდან ხორციელდება. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსეთში მოპოვებული ნავთობის 60%-ის და ბუნებრივი აირის 60%-ის ექსპორტი სწორედ რომ ევროკავშირის ბაზარზე ხორციელდება.[250]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის პოლიტიკური ელიტის აზრით, ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების განვითარება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებსა და ევროკავშირზე გავლენის შემცირების მთავარ წინაპირობას წარმოადგენდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სატრანზიტო შემოსავლების შემცირებაზე.[251]

3. „ფერადი რევოლუციები" ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე– 2003 წლის ნოემბერში საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე მოხდა საარჩევნო შედეგების მასობრივი გაყალბება, რამაც სახალხო პროტესტი გამოიწვია. ეს ყველაფერი დასრულდა 2003 წლის 23 ნოემბერს „ვარდების რევოლუციითა" და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლით. საქართველოს მაგალითი "გადამდები" აღმოჩნდა უკრაინისთვის, სადაც 2004 წლის დეკემბერში ასევე არჩევნების გაყალბების გამო, მოხდა „ნარინჯისფერი რევოლუცია" და საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის გამართვის შედეგად ხელისუფლების სათავეში ვიქტორ იუშჩენკოს პროდასავლური კოალიცია მოვიდა. ერთი წლის შემდეგ, „ტიტების რევოლუციამ" უკვე ცენტრალურ აზიაში, ყირგიზეთში შეცვალა ა. აკაევის ავტორიტარული რეჟიმი. ამ მოვლენების შემდგომ, რუსეთის მაღალი თანამდებობის პირები ღიად ალაპარაკდნენ ვაშინგტონის ახალ "შეთქმულებაზე", რომელიც ვითომდაც რუსეთის საზღვრების გარშემო პროამერიკული რეჟიმების დამყარებას, რუსეთის "მთლიანად ალყაში მოქცევას და შემდეგ უკვე დანაწევრებას" ისახავდა მიზნად. კრემლის ინიციატივით, მიღებულ იქნა დამატებითი კანონები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოური ფონდებიდან დაფინანსებას ზღუდავდა. შეიქმნა კრემლიდან მართული ახალგაზრდული ორგანიზაციები („ნაში").[252] რუსეთი – პოსტსაბჭოთა სივრცეში „დემოკრატიზაციის ახალ ტალღას" რუსეთის გავლენისა და თავად სახელმწიფოს არსებობისთვისაც დამღუპველად მიიჩნევდა.

4. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობის მიერ. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთი განსაკუთრებით აქტიურდება ბალკანეთის რეგიონში. იგი ყოველთვის აქტიურად უჭერდა მხარს სლავურ, მართმადიდებელ სერბეთს და ამ ქვეყანას თავის სტრატეგიულ მოკავშირედ აღიქვამდა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ყოფილი

[250] ნიკა ჩიტაძე. "გეოპოლიტიკა". გვ. 152. თბილისი, 2008 წ.

[251] 2008 წლისაგვისტოს მოვლენების შემდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი. CIPDD. 2008

[252] Leonid Ragozin, "Russian youth on political barricades", BBC News, March 2, 2005.

იუგოსლავიის ტერიტორიაზე განვითარებული საომარი მოქმედებების დროს, კრემლი ღიად აფიქსირებდა თავის სიმპათიას ბოსნიელი სერბების მიმართ (ბოსნიის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს 1992-1995 წწ.), რუსეთმა ბოსნიაში საომრად მოხალისეებიც კი გააგზავნა. ასევე, რუსეთი სერბეთში ღიად უჭერდა მხარს სლობოდან მილოშევიჩის სისხლიან რეჟიმს, განსაკუთრებით კი კოსოვოსთან მიმართებაში. ამიტომაც, რუსეთი საერთაშორისო პრესტიჟის განსაკუთრებულ შელახვად აღიქვამდა 1999 წლის მარტი-ივლისში სერბეთის სამხედრო ობიექტების დაბომბვას ნატოს შეიარაღებული ძალების მიერ. ალიანსი თავის მხრივ კოსოვოს პროვინციაში მცხოვრები ეთნიკური ალბანელების უფლებებს იცავდა ძალადობისაგან. 1999-2008 წლებში რუსეთი აქტიურად მონაწილეობდა კოსოვოს სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პროცესში, იგი რადიკალურად ეწინააღდეგებოდა კოსოვოს საერთაშორისო აღიარებას, მეტიც, სერბეთის ამ პროვინციის დამოუკიდებლობის მინიჭებისათვის წინააღმდეგობის გაწევა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა. პრესტიჟის გარდა, რუსეთის წინააღმდეგობის მიზეზს ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის (ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთში) სეპარატისტული მოძრაობებისთვის პრეცედენტის არდაშვება წარმოადგენდა. 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვომ ფორმალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რასაც დასავლური სახელმწიფოების უმრავლესობის მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება მოჰყვა. მაშინდელი პრეზიდენტი პუტინი გლობალური ცვლილებებით დაიმუქრა.[253] კრემლი ღიად აცხადებდა, რომ კოსოვოს აღიარების პრეცედენტი გავრცელდებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ „გაყინულ კონფლიქტებზე", პირველ ყოვლისა კი ამ კონფლიქტებში პუტინი "სამხრეთ ოსეთსა" და აფხაზეთს გულისხმობდა. რუსეთის დიდი სურვილი იყო სამაგიერო გადაეხადა დასავლეთისათვის კოსოვოს აღიარების გამო.

კოსოვოს აღიარების შემდეგ გაკეთებულმა მცირეხნიანმა პაუზამ, როდესაც მოსკოვი მხოლოდ მწვავე განცხადებებით შემოიფარგლა, ბევრი დააეჭვა, მათ შორის, არაღიარებულ სეპარატისტულ ერთეულებში, რუსეთის რეალურ შესაძლებლობებში.

პრესტიჟის დაცვის/გაზრდის მოტივაციის გარდა, რუსეთს „თამამი" ნაბიჯის გადასადგმელად დამატებით რამდენიმე ფაქტორმა უბიძგა:

1. ნავთობისდა გაზის ძალიან მაღალმა ფასებმა მსოფლიო ბაზარზე, რომელმაც მოსკოვს უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ჭარბი შემოსავალი და დიდი სავალუტო რეზერვები შეუქმნა. მაგალითად, 2008 წლის ივლისში 1 ბარელი ნავთობის ფასმა 147 დოლარს მიაღწია. ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტის შედეგად, რუსეთის სავალურო რეზერვებმა 600 მლრდ. დოლარს მიაღწია;
2. ნავთობისა დაგანსაკუთრებით, გაზის მიწოდებაზე ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულების ზრდამ. 2005-2007 წლებში რუსეთის სახელმწიფო კომპანია "გაზპრომმა" დასავლეთ ევროპის რიგ ენერგეტიკულ კომპანიასთან, მათ შორის გერმანულ "რურგაზთან", ფრანგულ "გაზ დე ფრანსთან", ავსტრიულ "OMV"-თან, იტალიურ "ENI"-თან და სხვებთან სარფიან კონტრაქტებს მოაწერა ხელი, რითაც უფრო გაიმყარა პოზიციები ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე;
3. ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე საომარ ოპერაციებში აშშ-ის და ამერიკის სხვა მოკავშირეების ჩართულობამ, როდესაც დასავლეთის ყურადღება სწორედ ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებისადმი იყო კონცენტრირებული;

[253] Fred Weir, "Kosovo independense: Russia warns of separatist storm", The Christian Science Monitor, February. 20. 2008

4. აშშ-ის და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების მხრიდან ასევე ყურადღების კონცენტრაციამ ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამების გარშემო;
5. აშშ-ში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიამ. როგორც ცნობილია, აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის ოქტომბრის ბოლოს უნდა გამართულიყო;
6. დასავლეთის მხრიდან რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე მეტად პასიურმა რეაქციამ. მაგალითებად შეგვიძლია მოვიშველიოთ რამდენიმე შემთხვევა. 2007 წლის მარტში და იმავე წლის აგვისტოში რუსეთის საჰაერო სივრციდან შემოფრენილმა მფრინავმა ობიექტებმა დაბომბეს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ზემო აფხაზეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში განლაგებული ინფრასტრუქტურა, თუმცა დასავლეთს რუსეთი ღიად არ დაუდანაშაულებია. ხოლო, 2008 წლის აპრილში გამართულ ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე დასავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ მხარი არ დაუჭირა საქართველოსა და უკრაინისათვის "გაწევრიანების სამოქმედო გეგმის", ანუ მაპ-ის მინიჭებას, რაც რუსეთის ფაქტორით იქნა ახსნილი.

მეტად გაუბედავი იყო დასავლეთის პოზიცია აფხაზეთში 2008 წლის აპრილში რუსეთის სარკინიგზო ძალების შემოსვლის დროს. ხოლო როდესაც 2008 წლის ივლისში რუსეთმა თავად აღიარა რუსული ვერტმფრენის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა, დასავლეთმა ორივე მხარეს (რუსეთს და საქართველოს) მხოლოდ "დიალოგის გააქტიურება მოსთხოვა".

საკუთარი პრესტიჟისა და „პრივილეგირებულ ზონებში" (პოსტსაბჭოთა სივრცე)ინტერესების დასაცავად რუსეთმა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა 2008 წლის 16 აპრილიდან დაიწყო, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა გამოსცა სპეციალური ბრძანებულება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან სპეციალური ურთიერთობების დამყარების შესახებ.[254]

2008 წლის მაისიდან რუსეთმა თითქმის უწყვეტი სამხედრო წვრთნები დაიწყო საქართველოს საზღვრის მთელ პერიმეტრზე, მათ შორის შავი ზღვის აკვატორიაში. ყველაზე მასშტაბური წვრთნა „კავკასია 2008" 8000 სამხედროს მონაწილეობით, დასრულდა 2008 წლის 3 აგვისტოს. რუსეთმა თავისი სამხედრო აგრესიის განხორციელება საქართველოს წინააღდეგ დაიწყო 8 აგვისტოს, ანუ ეს ქმედება დაამთხვია პეკინში ოლიმპიური თამაშების გახსნას, როდესაც მთელი მსოფლიოს ყურადღება ჩინეთის დედაქალაქისაკენ იყო მიპყრობილი. გარდა ამისა, რუსეთმა აგრესია აგვისტოში სწორედ იმიტომაც განახორციელა, რომ ამ პერიოდში დასავლეთში მრავალი პოლიტიკური მოღვაწე შვებულებაში იმყოფება. მასშტაბური სამხედრო ქმედებების დაწყებით საქართველოს წინააღმდეგ რუსეთი შეეცადა „დასავლური შემოტევისთვის" საბოლოო პასუხი გაეცა, რისი კულმინაციაც 2008 წლის 26 აგვისტოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება გახდა.[255]

რუსეთის ქცევების ასახსნელად საერთაშორისო ასპარეზზე ზოგადად და განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში, ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ყველაზე გავლენიანი პირის-ვლადიმერ პუტინის პირადი შეხედულებებისა და ღირებულებების გაანალიზებას.

საქართველოსთან და მის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან პუტინის დაპირისპირება განსაკუთრებით 2004 წლიდან აქტიურდება, როდესაც სააკაშვილი

[254]2008 წლისაგვისტოს მოვლენების შემდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი. CIPDD. 2008

[255]2008 წლისაგვისტოს მოვლენების შემდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი. CIPDD. 2008

გახდა „ფერადი რევოლუციების" სიმბოლო პოსტსაბჭოთა სივრცეში. საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა უკრაინასა და ყირგიზეთში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებს ღიად დაუჭირა მხარი, რითაც კრემლის მმართველი კიდევ უფრო გაღიზიანდა.[256]

2004 წლის შემოდგომაზე გაიმართა დსთ-ის სახელმწიფოთა სამიტი. ერთობლივ პრესკონფერენციაზე სააკაშვილსა და პუტინს შორის ღია დაპირისპირება გაიმართა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების შესახებ, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო ამ ორგანიზაციის ისტორიაში. სააკაშვილი გახდა პროამერიკული კურსის მთავარი გამტარებელი დსთ-ს ტერიტორიაზე, რომელსაც პუტინი რუსეთის ექსკლუზიური გავლენის სფეროდ მიიჩნევს.

პირად ანტიპათიას და ანგარიშსწორების სურვილს დაემატა პირადი განდიდებისა და რუსეთში პირველობის დამტკიცების სურვილი. საქართველოსთან ომი სწორედ ის შესაძლებლობა აღმოჩნდა, რომლის მეშვეობითაც ვლადიმერ პუტინს შეეძლო თავისი ორივე მიზნისთვის მიეღწია.

იმის დასადასტურებლად, თუ რა აგრესიულ ქმედებებს ახორციელებდა რუსეთი, რამაც საბოლოოდ 2008 წლის აგვისტომდე მიგვიყვანა, აღსანიშნავია შემდეგი:

2008 წლის 14 თებერვალს ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე პუტინმა აღნიშნა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარება დაანგრევდა საერთაშორისო წესრიგს და იგი შექმნიდა პრეცედენტს აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან და დნესტრისპირეთთან მიმართებაში. იმავე წლის 17 თებერვალს კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა;

26 თებერვალს აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გაავრცელა ინფორმაცია 1-5 მარტს დაგეგმილი ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნების შესახებ;

6 მარტს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთი ცალმხრივად გამოდის 1996 წლის დსთ-ის შეთანხმებიდან, რომელიც აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებას ითვალისწინებდა;

28 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა ახალი სამშვიდობო წინადადება შესთავაზა სოხუმს, რომელიც ითვალისწინებდა ერთობლივი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას, აფხაზეთის ფართო წარმომადგენლობას ცენტრალურ ხელისუფლებაში, მათ შორის, ვიცე-პრეზიდენტის ახალ კონსტიტუციურ პოსტს, რომელსაც ექნებოდა ვეტოს უფლება და ერთიანი საბაჟო და სასაზღვრო სივრცის შექმნას. აფხაზურმა მხარემ წინადადება მიუღებლად მიიჩნია;

2008 წლის აპრილის დასაწყისში, ბუქარესტის სამიტზე ნატომ მიიღო გადაწყვეტილება არ შეეთავაზებინა გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP)საქართველოსა და უკრაინისთვის, თუმცა იმის გარანტია მისცა, რომ ეს ქვეყნები ნატოს წევრები გახდებოდნენ;

20 აპრილს აფხაზეთის თავზე რუსულმა მიგ-29-მ ქართული უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდო;

1 მაისს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში შევიდნენ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის დამატებითი ძალები;

16 მაისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აფხაზეთის შესახებ რეზოლუცია მიიღო, რომელიც აღიარებს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათ შთამომავალთა აფხაზეთში დაბრუნების უფლებას;

6 ივნისსგაიმართა სააკაშვილისა და მედვედევის პირისპირ შეხვედრა სანკტ-პეტერბურგში;

3 ივლისს ცხინვალის რეგიონში განხორციელდა თავდასხმა დიმიტრი სანაკოევის კორტეჟზე.

6 ივლისს გაიმართა კიდევ ერთი შეხვდრა სააკაშვილსა და მედვედევს შორის, ამჯერად ასტანაში.

---

[256]იქვე

9 ივლისს, საქართველოში ამერიკის სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისის ვიზიტის დროს საქართველოს საჰაერო სივრცე რუსულმა თვითმფრინავებმა დაარღვიეს;
19 ივლისს ცხინვალის რეჟიმმა უარყო ევროკავშირის წინადადება ბრიუსელში პირდაპირი მოლაპარაკების გამართვის თაობაზე;
1 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში პოლიციის მანქანის აფეთქების შედეგად 5 ქართველი პოლიციელი დაშავდა;
2 აგვისტოს ცხინვალის რეგიონში სროლების შედეგად შვიდი ქართველიდაშავდა. რუსეთმა უარყოსამშვიდობოების მონაწილეობა ცხინვალის რეგიონში მოხდარ სროლებში;
3 აგვისტოს ჩრდილოეთ ოსეთში ცხინვალიდან ბავშვებით და ქალებით სავსე 14 ავტობუსი და 5 მიკროავტობუსი ჩავიდა;
4 აგვისტოს სოხუმმა გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფთან შეხვედრაზე უარი განაცხადა სამხრეთ ოსეთში არსებული დაძაბული ვითარების მიზეზით;
5 აგვისტოს კონფლიქტის ზონაში ქართველი სამშვიდობო დაიღუპა. გრძელდება ქართული სოფლების ინტენსიური დაბომბვა;
6 აგვისტოს რუსული მხარის თანათავმჯდომარემ შერეულ საკონტროლო კომისიაში (შსკ) დაადასტურა, რომ მხარეებს შორის შეხვედრა 7 აგვისტოს ცხინვალში იყო დაგეგმილი. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ და რუსმა სამშვიდობოებმა განაცხადეს,რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში ინტენსიური სროლები დაფიქსირდა. სამხრეთ ოსურმა მხარემ მოლაპარაკებებზე უარიგანაცხადა.
7 აგვისტოს, მიუხედავად ქართული მხარის მხრიდან შემოთავაზებული წინადადების ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ასევე საქართველოს პრეზიდენტის განცხადების მიუხედავად, სეპარატისტების კონტროლირებადი ტერიტორიიდან კვლავ გრძელდებოდა ქართული დასახლებული პუნქტების საარტილერიო დაბომბვა[257].
ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების დაწყების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის მიერ კონტროლირებადმა მედიამ დაიწყო დეზინფორმაციის გავრცელება იმასთან დაკავშირებით, რომ "საქართველო ვერაგულად დაესხა თავს სამხრეთ ოსეთს", რომ თითქოსდა "საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს ოსი მოსახლეობის მასობრივ გენოციდს და უკვე 2000-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქეა დაღუპული სამხრეთ ოსეთში და ოსი ხალხი ითხოვს შველას" და ა.შ. ომის პირველივე დღეებიდანვე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, და პირველ რიგში ვლადიმერ პუტინმა განაცხადეს, რომ ამ "გენოციდისა და მასობრივი მკვლელობების ორგანიზატორები საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე უნდა წარმდგარიყვნენ". 2008 წლის 10 აგვისტოს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა აშშ-ის სახელმწიფო მდივან კონდოლისა რაისთან პირად საუბარში აღნიშნა, რომ სააკაშვილი ხელისუფლებიდან უნდა წასულიყო. ნათელი იყო, რომ რუსეთი არა იმდენად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ბედით, არამედ საქართველოს სრული ოკუპაციითა და ქართული სახელმწიფოს მოსპობით იყო დაინტერესებული.
ამ მიზნის განსახორციელებლად, როგორც ცნობილია, 2008 წლის 8-12 აგვისტოს განმავლობაში რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა ფართომასშტაბიანი აგრესია სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, სახმელეთო შეტევა როკის გვირაბის გავლით ცხინვალის რეგიონში; კიბერშეტევები საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ვებ-გვერდების წინააღმდეგ;

[257]2008 წლისაგვისტოს მოვლენების შემდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი. CIPDD. 2008. P.50-51

სამხედრო აგრესია ზემო აფხაზეთში, სადაც ქართულ შენაერთებს მანამდე არავითარი სამხედრო ქმედება არ განუხორციელებიათ; საქართველოს საჰაერო სივრცე დაახლოებით 200-ჯერ დაირღვა, რის შედეგად მასობრივად დაიბომბა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო თუ სამოქალაქო ობიექტები და დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა; საქართველოს საზღვაო სივრცეში – ტერიტორიულ წყლებში შემოჭრა და საქართველოს მთავარი "საზღვაო ჭიშკრის"-ფოთის დაკავება; რუსი ე.წ. სამშვიდობოებისა და აფხაზი სეპარატისტების შემოჭრა აფხაზეთის ტერიტორიიდან და სამეგრელოს სხვადასხვა რეგიონის დაკავება; მძლავრი ანტიქართული საინფორმაციო კამპანია, რომელსაც რუსეთი ახორციელებდა რა თქმა უნდა საქართველოს დისკრედიტაციის მიზნით.

ამ პირობებში, საქართველოს სამხედრო თვალსაზრისით მარტოდმარტო მოუწია დაპირისპირებოდა იმ მტრულ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაც საქართველოს 245-ჯერ აღემატება. საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან გამოჩენილი უდიდესი გმირობის მიუხედავად, რუსეთის ძალები აშკარად აღემატებოდა ჩვენი ქვეყნის დამცველთა რაოდენობას, ამიტომაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უკან დახევისა და თბილისის გამაგრების შესახებ.

როგორც ვიცით, რუსეთის მიერ სხვადახვა მიმართულებით განხორციელებული აგრესიული ქმედებების შედეგად, ოკუპანტებმა მოახერხეს აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სრული კონტროლის დამყარება, გარდა ამისა, რუსეთმა ვერაგულად დაარღვია 2008 წლის 12 აგვისტოს მისი პრეზიდენტისვე ევროკავშირის შუამავლობით ხელმოწერილი ექვსპუნქტიანი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და მეორე დღეს დაიკავა გორი და შიდა ქართლის სხვა დასახლებული პუნქტები, გადაკეტა მთავარი მაგისტრალური საავტომობილო გზა და ააფეთქა რკინიგზა, ასევე დაბლოკა ფოთის პორტის ფუნქციონირება. ამით რუსეთს სურდა საქართველოს სრულ ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევა და თავისი სამხედრო ქმედებების გაგრძელება. თუმცა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ ვითარებაშიც კი არ გამოუცხადებია კაპიტულაცია, პირიქით, ერაყიდან საქართველოში თბილისისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასაცავად დააბრუნეს 2000 ქართველი სამხედრო მოსამსახურე, საქართველოს პრეზიდენტი ფაქტიურად ყოველდღე გამოდიოდა საქართველოს მოსახლეობის წინაშე და ამხნევებდა ხალხს ქვეყნისათვის ესოდენ მძიმე წუთებში. ქართველმა ხალხმა თავისი ერთობა აგრესორის წინაშე ნათლად გამოავლინა 2008 წლის 12 აგვისტოსა და 1 სექტემბერს, როდესაც ათეულ ათასობით საქართველოს მოქალაქე გამოვიდა ქუჩებში და თავისი მზადყოფნა გამოხატა დაეცვა ქართული სახელმწიფო და მისი ღირებულებები.

თავისი მტკიცე პოზიცია დაიკავა დასავლეთმაც, აშშ-მ ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული რამდენიმე სამხედრო გემი და თვითმფრინავი გამოაგზავნა საქართველოში. რუსეთის ქმედება დაგმობილ იქნა ევროკავშირის მიერ. 2008 წლის სექტემბერში ევროკავშირის მაშინდელი თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის შუამავლობით მოსკოვში ხელი მოეწერა მეორე შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც რუსეთი იძულებული იყო აეღო ვალდებულება გაეყვანა თავისი სამხედრო შენაერთები სამეგრელოდან და შიდა ქართლიდან 2008 წლის 10 ოქტომბრამდე და დათანხმებოდა ევროკავშირის მონიტორების შემოსვლას საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიაზე. თუმცა, როგორც ვიცით, რუსეთის შეიარაღებული ძალები არ დაუბრუნდნენ 2008 წლის აგვისტომდე არსებულ პოზიციებს, რასაც ე.წ. "სარკოზი-მედვედევის" ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა, პირიქით, რუსეთმა საგრძნობლად გაზარდა საკუთარი საოკუპაციო კონტინგენტი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საერთაშორისო სამართლისა და მორალური ნორმების სრული იგნორირებით მოახერხა საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის ოკუპაცია, რუსეთმა ვერ გაანადგურა ქართული სახელმწიფო, ვერ მოსპო ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა.

უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთმა მარცხი განიცადა. მან დაკარგა ნდობა საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების თვალში, ასევე ომის შემდეგ რუსეთმა დაკარგა საკუთარი "სამშვიდობო მანდატი" კონფლიქტის ზონებში და ეს პასუხისმგებლობა თავის თავზე ევროკავშირმა აიღო. ასევე, რუსეთი იძულებული გახდა გაეუქმებინა სამეგრელოში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვართან მიმდებარე რაიონებში (12-კილომეტრიანი ზონა ქართული მხარის კონტროლირებადი ტერიტორიის მხარეს) "სამშვიდობოთა" პოსტები.

სამხედრო შემოჭრის შემდეგ პირველი დარტყმა რუსეთის ეკონომიკამ მიიღო: სხვადასხვა მონაცემებით ქვეყნიდან რამდენიმე მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი გავიდა, საფონდო ბირჟის ინდექსი კრიტიკულ ზღვარს ჩამოსცილდა, რამდენიმე გავლენიანმა ინვესტორმა დატოვა ქვეყანა. ცენტრალურ ბანკს მსხვილი ინტერვენციები დასჭირდა, რათა რუბლის კურსი შეენარჩუნებინა.

ეკონომიკური დანაკარგების გარდა, კრემლის საქციელს სამხედრო შედეგებიც მოჰყვა. ცენტრალური და ბალტიისპირა სახელმწიფოები უფრო მჭიდრო სამხედრო კავშირის დამყარებას ცდილობენ ვაშინგტონთან. საქართველოში რუსეთის შემოჭრის შემდეგ პოლონეთმა სასწრაფოდ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ქვეყანაში ამერიკული ანტი-სარაკეტო სისტემის განთავსებაზე.

ევროკავშირის და აშშ-ის ლიდერებმა დაიწყეს რუსეთის ღია კრიტიკა და საერთაშორისო იზოლაციის შესაძლებლობების განხილვა. დიდი ხნით შეფერხდა რუსეთთან მოლაპარაკებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად. ამან კი რუსეთის მომავალ ეკონომიკურ განვითარებას სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის "დამოუკიდებლობა", რუსეთმა აღიარების მიმართულებით ვერ მოიპოვა ვერც დსთ-ისა და შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერა. დსთ-ის სივრცეში, სადაც რუსეთის გავლენა შედარებით დიდია, კრემლის ზეწოლის მიუხედავად, ყველა სახელმწიფომ თავი შეიკავა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებისგან. შანჰაის ორგანიზაციაში კი, სადაც რუსეთსა და დსთ-ის რამდენიმე ქვეყანასთან ერთად ჩინეთიცაა გაწევრიანებული, პეკინმა სეპარატიზმის მხარდამჭერი ყოველგვარი ინიციატივა დაბლოკა.[258]

აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარების საკითხში რუსეთის გვერდზე აღმოჩნდნენ მხოლოდ ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ, რომლებმაც, შესაბამისი მატერიალური ანაზღაურების ფასად აღიარეს საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის "დამოუკიდებლობა". ასევე, ამ საქმეში რუსეთის გვერდზე აღმოჩნდა ტერორისტული ორგანიზაცია "ჰამასი", რომელიც მიესალმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტორმა საგრძნობლად შელახა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი.

ომის შედეგები საქართველოსათვის. შიდაპოლიტიკური შედეგები

2008 წლის აგვისტოს ომში, რუსეთის ერთ-ერთი მიზანი იყო შეეჩერებინა საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება. 2004-2008 წლებში საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ირწმუნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს უკვე შეუძლია ქვეყნის წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევებთან გამკლავება: 2004 წელს საქართველომ აღადგინა კონტროლი აჭარაზე, 2006 წელს ზემო აფხაზეთზე, განხორციელებულ იქნა მნიშვნელოვანი რეფორმები კორუფციასთან ბრძოლის, ახალი საგადასახადო სისტემის შემუშავების,

[258]RUSSIA: THE KREMLIN TRIES TO PUT ON BRAVE FACE FOLLOWING DIPLOMATIC SLAP OVER GEORGIA , Eurasianet.Org August 28, 2008.

უსაფრთხოების სექტორის გაძლიერებისა და მოდერნიზაციის მიმართულებით.მოსახლეობაში გაჩნდა რწმენა იმისა, რომ სახელმწიფოს შეეძლო საკადრისი პასუხი გაეცა ყველასათვის, მათ შორის ისეთი ძლიერი მეზობლისთვის, როგორიცაა რუსეთი. თუმცა, რუსეთის აგრესიის შემდეგ, როგორც რუსეთი, ასევე საქართველოში არსებული გარკვეული დესტრუქციული შიდა პოლიტიკური ძალები ქადაგებენ იმას, რომ აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს მთავრობა აკონტროლებს უფრო ნაკლებ ტერიტორიებს, ვიდრე კონფლიქტის ესკალაციამდე, საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალათასიან არმიას დაემატნენ ახალი დევნილები სამაჩაბლოდან და ზემო აფხაზეთიდან. ყოველივე ამ ფაქტორს რუსეთი იყენებს ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებაში საქართველოს დისკრედიტაციის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წლიდან მეტად სწრაფად მიმდინარეობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მარტო 2007 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 12%-ს გადააჭარბა. იმავე წელს, საქართველოში 2 მილიარდ დოლარზე მეტი უცხოური ინვესტიცია იქნა განხორციელებული. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა რუსეთის გაღიზიანებას იწვევდა, ამიტომაც კრემლის მიზანს ასევე წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების შეჩერება და ინვესტორთა დაშინება. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ომის დაწყებისთანავე, საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგები ჩამოაკლო ორივე წამყვანმა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ–Fitch Ratings-მა და Standard & Poor's-მა. Fitch-მა საქართველოს გრძელვადიანი რეიტინგი ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში BB- დონიდან B+ დონემდე დაწია[259] და რეიტინგის შემდგომი შეცვლის პროგნოზად, მანამდე არსებული „სტაბილურის" ნაცვლად, „ნეგატიური" დაადგინა. (AAA კატეგორია ენიჭება უმაღლესი სანდოობის კომპანიას ან ქვეყანას, D- მათ, ვისი გადამხდელუნარიანობის ალბათობა 50%-ზე ნაკლებია. საქართველოს რეიტინგის კლება BB-დონიდან B+ დონემდე ნიშნავს, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკები არსებობს).

საგარეოპოლიტიკური შედეგები

აგვისტოს ომის შემდეგ, დასავლური სამყარო პარადოქსულ ვითარებაში აღმოჩნდა: ერთის მხრივ, იგი მზადყოფნას აცხადებდა უფრო აქტიურად ჩათულიყო კონფლიქტის მოწესრიგებაში, მაგრამ რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა, ეუთოსა და გაეროს სადამკვირვებლო მისიების საქმიანობაზე ვეტოს გამოყენებით, მნიშვნელოვნად შეზღუდა საერთაშორისო საზოგადოება ამ სურვილის განხორციელებაში. თუმცა მეორეს მხრივ, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ამოქმედება 2010 წლის 10 ოქტომბრიდან, თუმცა თვითონ ის ფაქტი, რომ ევროპელი დამკვირვებლები ვერ ახორციელებენ ვითარების მონიტორინგს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ კონფლიქტის მოგვარების სრული ინტერნაციონალიზაცია ვერ მოხერხდა. მეორეს მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ომის შემდეგ ევროკავშირმა აქტიურად დაიწყო ფიქრი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან, მათ შორის საქართველოსთან თანამშრომლობის გააქტიურების შესახებ, რისი ნათელი დადასტურებაცაა ევროკავშირის "აღმოსავლეთის პარტნიორობის" პროგრამა, რომლის საბოლოო დამტკიცებაც განხორციელდა 2009 წლის მაისში. ასევე, ევროპა სულ უფრო ცდილობს რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირებას,

[259]Georgia violence hurts Russian, emergin markets, Reuters, Friday, Aug 8, 2008.

რისი ნათელი დადასტურებაცაა ევროკავშირის გააქტიურება "ნაბუქოს" პროექტის განხორციელების მიმართულებით.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით, აგვისტოს მოვლენების მნიშვნელობა სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს. ერთის მხრივ, აშკარაა, რომ რუსეთის ქმედებამ საქართველოს საკითხი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხად აქცია. რუსეთის ყველა განცხადება, რომ არ დაუშვებს საქართველოსა (და უკრაინის) ინტეგრაციას ნატოში, გარკვეულწილად აშინებს ალიანსის რიგ ქვეყნებს. თუმცა, მეორეს მხრივ, სწორედ რუსეთის აგრესიის შემდეგ შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია (2008 წლის 19 აგვისტო), ხოლო 2008 წლის დეკემბერში გამართულ ნატო-ს ბრიუსელის მინისტერიალზე საქართველოსა და უკრაინისათვის ყოველწლიური ეროვნული პროგრამა იქნა დამტკიცებული.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს დასავლეთის იმ დახმარების შესახებ, რომელიც ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე საქართველოსათვის 4,5 მილიარდი დოლარის გამოყოფაში იქნა გამოხატული.

რუსეთის აგრესიისეკონომიკური შედეგები

სსრკ-ის დაშლის შემდგომ პერიოდში, საქართველოზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით, რუსეთი ყველანაირად ცდილობდა საქართველოს ეკონომიკურ დასუსტებას. მას შემდეგ, რაც 2004 წლიდან საქართველოში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რეფორმები იქნა განხორციელბული, რასაც მოჰყვა ქვეყანაში ინვესტიციათა შემოდინება და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, რუსეთი ეკონომიკური ზეწოლის თვალსაზრისით აქტიურ ქმედებებზე გადავიდა. 2006 წლიდან მოყოლებული, რუსეთი ფაქტიურად სრულფასოვან ეკონომიკურ ემბარგოს ახორციელებს, რაც ქართული ალკოჰოლური და მინერალური წყლების, ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსულ ბაზარზე იმპორტის აკრძალვაში გამოიხატება. გარდა ამისა, რუსეთმა თითქოსდა სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, ჩაკეტა რუსეთ-საქართველოს სახმელეთო საზღვარი ზემო ლარსში, ასევე გაზარდა რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებულ ბუნებრივი აირის საფასური. 2008 წლის დასაწყისიდან შეინიშნებოდა ამ მკაცრი რეჟიმის ერთგვარი შერბილება, რაც ვიზების გაცემის შედარებით მოწესრიგებასა და კომუნიკაციების (საავიაციო, საზღვაო მიმოსვლა, საფოსტო გზავნილების აღდგენა, ლარსის საბაჟო პუნქტის შესაძლო გახსნა) აღდგენაში გამოიხატებოდა, თუმცა როგორც მოვლენების შემდგომში განვითარებამ გვიჩვენა, ეს რუსეთის მხრიდან გადადგმული გარკვეული მზაკვრული ნაბიჯი გახლდათ, რომლის მიზანი იყო საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოების მოდუნება აგრესიის განხორციელების წინ. რა თქმა უნდა, საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე ეს "მონაპოვარი" ისტორიის კუთვნილებად იქცა.

საომარი მოქმედებების ვითარებაში საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობის ტესტი, ავად თუ კარგად, ჩააბარა, მაგრამ სოლიდური ზარალიც განიცადა. პირდაპირ დანაკარგებს რომ თავი დავანებოთ (უპირველეს ყოვლისა, ადამიანურ დანაკარგებს), უამრავი ოდენობის სახსრები იქნა მიმართული (და მომავალშიც იქნება) იმ ინფრასტრუქტურის აღსადგენად, რომელიც რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ გაანადგურა და ალბათ, კიდევ გაანადგურებს, სანამ საქართველოს ორ ისტორიულ რეგიონში საოკუპაციო ნაწილები არიან განლაგებულნი. ეს არის სამოქალაქო და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა- გზები, კომუნიკაციები, სხვადასხვა ტიპის და მასშტაბის სამრეწველო თუ საწარმოო ობიექტები, რომლებზეც რუსულმა ტანკებმა და ავიაგამანადგურებლებმა არაერთი იერიში მიიტანეს.

გასაგები მიზეზების გამო, საბიუჯეტო სექტორი რყევებს ვერ გადაურჩა. ომის და მის შემდგომ პირველ დღეებში ამ მხრივ არ იყო პრობლემა. მაგალითად, მარტო ერთ დღეს- 13 აგვისტოს, ქვეყნის ბიუჯეტმა 18 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო,

მაშინ, როდესაც საშუალო დღიური მაჩვენებელი 15-16 მლნ ლარია. მაგრამ, მომდევნო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების კლების ტენდენცია გამოიკვეთა, რაც საქართველოს მთავრობამ ქვეყნის ტერიტორიაზე ტვირთების გადაადგილების შეზღუდვით ახსნა.

რუსული აგრესიის დროს არაერთგზის დაიბომბა ისეთი ობიექტები, რომელთა გამართულ მუშაობაზეც დიდწილად არის დამოკიდებული მთლიანად ქართული ეკონომიკის ფუნქციონირება. რუსული ჭურვები ჩამოიყარა თბილისის საავიაციო გაერთიანებაში, რომელიც წინა წლებში ქართული ექსპორტის დაახლოებით 10%-ს უზრუნველყოფდა.

ავიადაბომბვის მსხვერპლი გახდა კასპის ცემენტის ქარხანა- გერმანული „ჰაიდელბერგ ცემენტის" კუთვნილი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საწარმოო ობიექტი, რომლის პროდუქტიც როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იყო მიმართული.

სერიოზულად იზარალა საქართველოს რკინიგზამ. კასპთან დაზიანებულმა სარკინიგზო ხიდმა ორმხრივი ზარალი გამოიწვია: ერთი მხრივ, პირდაპირი ხარჯები (მის აღსადგენად გაწეული), მეორე, ყოველდღიურად ტვირთების გაუტარებლობის შედეგად დაკარგული შემოსავალი (ფინანსურმა ზარალმა 30 მლნ ლარს მიაღწია).

ტურიზმის სექტორი აგვისტოში განვითარებული მოვლენების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა. საქართველოში მოზიდულ ინვესტორთა რაოდენობის მიხედვით, ტურიზმის სექტორი ბოლო წლებში ლიდერთა შორის იყო. 31 აგვისტოს მდგომარეობით, ტურისტთა რაოდენობამ აჭარაში 182 531 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 28,6%-ით ნაკლები იყო. ტურისტულ პოტენციალზე მიყენებულ ზარალში ორი ტიპის ზეგავლენა გამოიყოფა:

- პირდაპირი– ზეგავლენა განიცადა იმ ძირითადმა ბუნებრივმა რესურსებმა (ბიომრავალფეროვნება, ბალნეოლოგიურ-კლიმატური პირობები, ესთეტიკური ღირებულებები), რომელიც ძირითად ტურისტულ პოტენციალს წარმოადგენდა;
- საომარ მოქმედებათა შედეგად გამოწვეული შიში. ამ ფაქტორის მოქმედება გაცილებით მნიშვნელოვანია და სცილდება უშუალოდ აგრესიის კონკრეტულ გეოგრაფიულ საზღვრებს და მთელი ქვეყნის მასშტაბით ვლინდება.[260]

საომარი მოქმედებების დროს ფოთის პორტის ბლოკირებისა და საავტომობილო მაგისტრალების გადაკეტვის, ასევე სარკინიგზო ინფრასტრუქტურის დაზიანების და საავიაციო მიმოსვლის შემცირების, ასევე საბანკო და სხვა სექტორებში ამუშავებული დროებითი შეზღუდვების გამო, ქვეყანაში ტვირთების მოძრაობა და სავაჭრო ოპერაციების მოცულობა მნიშვნელოვანწილად შემცირდა.

გარემოსდაცვითი ანალიზი და შედეგები

მშვიდობიანი მოსახლეობის და სამხედრო პერსონალის მსხვერპლის, სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და განადგურების გარდა, 2008 წლის აგვისტოს რუსულმა სამხედრო აგრესიამ საქართველოში ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია. როგორც ოფიციალური, ისე სხვადასხვა საერთაშორისო საინფორმაციო წყაროს, თვითმხილველთა ჩვენებებისა და ექსპერტების შეფასების მიხედვით, რუსულმა სამხედრო ინტერვენციამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კავკასიისა და შავი ზღვის ბუნებრივ ეკოსისტემებს.

საქართველოს გარემოსდაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აგვისტოს მეორე ნახევარში, რუსული

[260]2008 წლისაგვისტოს მოვლენების შემდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი. CIPDD. 2008. P.53-54

შეიარაღებული ძალების მიზანმიმართული ქმედებების შედეგად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ასობით ჰექტარი უნიკალური ტყე განადგურდა. მაგალითად, ბორჯომის ხეობაში ვიზუალური დათვალიერებით, მთლიანად განადგურებულ იქნა ტყის მასივის 250 ჰექტარზე მეტი, ხოლო ატენის ხეობაში (შიდა ქართლის რეგიონი),დამწვარი ტყის მასივმა 50 ჰექტარი შეადგინა. გარდა ამისა, რუსული სამხედრო ავიაციის ქმედების შედეგად ცეცხლი გაუჩნდა კასპის რაიონის ტყეებს, დაბა სურამის ტყეებს, ხარაგაულისა და კოჯრის ტყეებს.

რაც შეეხება შავ ზღვას, ექსპერტთა შეფასებით, ზღვაში ჩაიღვარა დაახლოებით 50-70 ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტი, რაც საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლისათვის უპრეცენდენტო შემთხვევას წარმოადგენს.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების გარემოებათა დამდგენი საერთაშორისო კომისიის (ე.წ. ტალიავინის კომისიის) დასკვნა

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების გარემოებათა დამდგენი საერთაშორისო კომისიის დასკვნა საერთაშორისო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა 2009 წლის 30 სექტემბერს. სხვადასხვა ფაქტების განხილვასთან ერთად, პირველ რიგში ალბათ აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ მსხვერპლის შესახებ, რაც რუსეთის აგრესიით იქნა გამოწვეული. კერძოდ, კომისიის მონაცემთა მიხედვით, ქართულმა მხარემ დაკარგა 170 სამხედრო მოსამსახურე, 14 პოლიციელი და 228 სამოქალაქო პირი-მშვიდობიანი მოსახლეობის წარმომადგენელი. ქართული მხრიდან დაჭრილთა რაოდენობამ 1747 საქართველოს მოქალაქე შეადგინა.

რაც შეეხება რუსულ მხარეს, კომისიის მონაცემებზე დაყრდნობით ოკუპანტებმა დაკარგეს 67 სამხედრო პირი, ხოლო დაჭრილთა რაოდენობამ 283 ადამიანი შეადგინა. რაც შეეხება ოსურ მხარეს, აქ დანაკარგი შეადგენს 365 მოკლულს, სადაც საუბარია სავარაუდოდ როგორც სამოქალაქო პირებზე, ასევე უკანონო ბანდფორმირებების წარმომადგენლებზე. ასევე, კომისიამ აღნიშნა, რომ 100 000-მდე ადამიანმა – სამოქალაქო პირებმა დაკარგეს საცხოვრებელი ადგილები.[261]

დოკუმენტის შესავალში, ასევე აღნიშნულია ის ფაქტი, რომ "კონფლიქტი არ დაწყებულა 7-დან 8 აგვისტოს ღამეს, როდესაც იგი გადაიზარდა ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციაში, და ეს გახლდათ მხოლოდ კულმინაცია დიდი ხნის განმავლობაში ზრდადი დაძაბულობების, პროვოკაციებისა და ინციდენტების, რომელიც წინ უძღოდა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყებას."[262]მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი კიდევ უფრო მეტ ობიექტურობას მოითხოვდა, რადგანაც აქ არ არის ნახსენები ტერმინები "ოკუპაცია", "აგრესია" და ა.შ. კომისიის დასკვნაში გაანალიზებულია ის პროვოკაციული ქმედებები, რომლებიც მომდინარეობდა რუსეთისა და სეპარატისტული რეჟიმების მხრიდან დაწყებული საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდიდან 2008 წლის აგვისტომდე. დოკუმენტის 24-ე პუნქტში ასევე აღნიშნულია აფხაზეთის ტერიტორიაზე – ზემო აფხაზეთში რუსეთისა და სეპარატისტთა ძალების უკანონო ქმედებები, რასაც 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მოჰყვა ზემო აფხაზეთის უკანონო დაკავება.[263]

ასევე, ტალიავინიმ თავის წერილში გამოთქვა ერთგვარი საყვედური საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ იმის გამო, რომ მათი მუშაობა საქართველოს კონფლიქტების

[261]Independent InternationalFact-Finding Missionon the Conflict in Georgia. Introduction, p.1.

[262]Independent InternationalFact-Finding Missionon the Conflict in Georgia. Introduction, p.3.

[263]Independent InternationalFact-Finding Missionon the Conflict in Georgia. Introduction, p.24.

მოსაგვარებლად არ იყო ეფექტიანი, რომ "წლების მანძილზე არავის უცდია კონფლიქტის ყველა მონაწილის რეალური წუხილის გათვალისწინება". [264]

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ომის შემდეგ

რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგაც, ეს ქვეყანა აქტიურად აგრძელებდა თავის დესტრუქციულ ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ, რაც გამოიხატება თუნდაც ოკუპირებული ზონების სიახლოვეს პროვოკაციების მოწყობაში, რის შედეგადაც სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონებში რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და მარიონეტული რეჟიმების უკანონო ბანდფორმირებების მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად, 15-მდე ქართველი პოლიციელი დაიღუპა და დაბომბილ იქნა მრავალი საცხოვრებელი სახლი. გარდა ამისა, განხორციელებულ იქნა რამდენიმე დივერსიული აქტი, მათ შორის მოხდა რამდენიმე აფეთქება საქართველოს რკინიგზაზე, სამეგრელოს რეგიონში, ასევე, დაზიანებულ იქნა ელექტროგადამცემი ხაზი "ქართლი-2", შიდა ქართლში, მოხდა საქართველოს მრავალი მოქალაქის გატაცება და დაპატიმრება ე.წ. "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის" გადაკვეთის გამო.

საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20%-ის ოკუპაციის შემდეგ, რუსეთმა კიდევ უფრო გააქტიურა საკუთარი სამხედრო ყოფნა ორივე რეგიონში. თითოეულ რეგიონში ოკუპანტთა რაოდენობა ე.წ. "რუსეთის სასაზღვრო ძალების" ჩათვლით 5000-ს აღემატება. გარდა ამისა, ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთმა სხვა სამხედრო ტექნიკასთან ერთად განალაგა ჰაერსაწინაღმდეგო სისტემა "ს-300" აფხაზეთში, და "ტოჩკა-უ"-ს სისტემები ცხინვალის რეგიონში. ასევე, საკუთარი კუნთების დემონსტრირების მიზნით, რუსეთი მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლებთან ერთად სისტემატურად ატარებს სამხედრო წვრთნებს ხან აფხაზეთსა (მათ შორის შავი ზღვის აკვატორიაში სამხედრო-საზღვაო ძალების გამოყენებით) და ცხინვალის რეგიონში, ხან საქართველოს საზღვრის სიახლოვეს-ჩრდილოეთ კავკასიაში.

ცნობილია, რომ 2009 წლის ოქტომბრიდან საერთაშორისო ორგანიზაციების შუამავლობით საქართველოს, რუსეთის, და ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენელთა შორის იმართება შეხვედრები ქ. ჟენევაში. ამ შეხვედრების ორგანიზებით, რუსეთი ყველანაირად ცდილობს მოაჩვენოს თავი საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ის აფხაზურ და ოსურ მხარეებთან ერთად მომხრეა სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვის, თუმცა, კრემლი ყველანაირად ცდილობს მოლაპარაკებათა პროცესის გაწელვას, რაც გამოიხატება იმაში, რომ რუსეთი აბსოლუტურად აბსურდულ მოთხოვნებს უყენებს ქართულ მხარეს, რაც გამოიხატება იმაში, რომ კრემლის პოზიციის მიხედვით საქართველომ უნდა გააფორმოს ე.წ. "თავდაუსხმელობის" ხელშეკრულება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, ანუ ქვეყანამ უნდა აიღოს ვალდებულება გააფორმოს სამხედრო ხასიათის ხელშეკრულება საკუთარ რეგიონებთან, რაც აბსურდია, რადგანაც საერთაშორისო სამართალში არ არსებობს არავითარი სამართლებრივი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც სუვერენული სახელმწიფო ხელს აწერდეს საკუთარ რეგიონებთან ხელშეკრულებას თავდაუსხმელობის შესახებ. მეორეს მხრივ, რუსეთი უარს აცხადებს გაითვალისწინოს ქართული მხარის მოთხოვნა და გააფორმოს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. თუმცა ამგვარი ხელშეკრულების ხელმოწერა ორ საერთაშორისო სამართლის სუბიექტს შორის სრულიად შეესაბამება საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში გარკვეული შეხების წერტილებიც არსებობს, მაგალითად ორივე

[264] იქვე

მხარის ინტერესს წარმოადგენდა ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნა. როგორც ცნობილია, იგი 2010 წლის 1 მარტს კვლავ იქნა გახსნილი. გარდა ამისა, აღდგენილია პირდაპირი საჰაერო რეისები რუსეთსა და საქართველოს შორის. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, რუსეთსა და საქართველოს შორის 2010 წელს სავაჭრო ბრუნვამ დაახლოებით 260 მილიონი დოლარი შეადგინა.[265]რუსეთი ასევე დაინტერესებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით და ცდილობს საქართველოსთან მოლაპარაკებათა პროცესის გამართვას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამავე დროს, ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საქართველოს მთავარი საფრთხე ისევ რუსეთიდან მოდის, ამიტომაც აუცილებელია გაანალიზებულ იქნეს ის საფრთხეები და გამოწვევები, რომლებიც მომდინარეობს რუსეთიდან 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდეგ.

რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეები

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა მოახდინა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია, კრემლმა ვერ შესძლო თავისი საბოლოო მიზნის განხორციელება – საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა და მისი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა. აქედან გამომდინარე, მომავალში შესაძლებელია რუსეთის მიერ სხვადასხვა ბერკეტების გამოყენება საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასუსტების მიზნით. არსებობს უდიდესი საფრთხე, რომ მოსკოვმა განახორციელოს შესაძლო პროვოკაციები საქართველოს წინააღმდეგ და შესაბამისი ზეწოლა იქნეს განხორციელებული ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

რუსეთის მხრიდან საქართველოს პირველ რიგში შეიძლება დაემუქროს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ენერგეტიკული ხასიათის საფრთხეები, კერძოდ:

<u>პოლიტიკური ხასიათის საფრთხეები:</u> რუსეთი ყველა დონის საერთაშორისო ორგანიზაციაში გასწევს ანტიქართული პოლიტიკის ლობირებას. გააგრძელებს საინფორმაციო ომს ჩვენი ქვეყნის წინააღდეგ და მთელ მსოფლიოში შეეცდება საქართველოზე შექმნას უარყოფითი იმიჯი. ამის ნათელი დადასტურებაა მოსკოვის მიერ ვეტოს დადება ეუთოსა და გაეროში ამ ორი ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის შეწყვეტის მიზნით.

ასევე, რუსეთის მიზანია საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვა – მაგალითად საქართველოს წარმოდგენა ტერორისტების მფარველ ქვეყნად, რომელიც ხელს უწყობს ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტული საქმიანობის განხორციელებას.

კრემლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული გარკვეული ანტიეროვნული პოლიტიკური ძალების (რომელსაც რუსეთი "ჯანსაღ ქართულ პოლიტიკურ ძალებს" უწოდებს) წახალისება, რათა ამ ძალებმა აქციებისა და დემონსტრაციების, პროვოკაციების მოწყობების, ასევე სხვა დესტრუქციული ქმედებებით გამოივიონ საქართველოს შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაცია. ამ საქმეში რუსეთი ყველანაირად შეეცდება რუსეთში მოქმედი ე.წ. "ქართული სათვისტომოების" გამოყენებასაც.

კრემლი არასდროს არ მოერიდება მუქარის შემცველი პოლიტიკური ხასიათის განცხადებების გაკეთებას, რადგან რუსეთის მიზანია პანიკის დათესვა ქართულ საზოგადოებაში.

[265] http://www.economy.ge/upload-file/pdf/trade-turnover-2010-final.pdf.pdf

ეკონომიკური ხასიათის საფრთხეები: დღევანდელ ეტაპზე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვარი ჩაკეტილია (ლარსის სასაზღვრო პუნქტზე ორ ქვეყანას შორის ფაქტიურად არანაირი სავაჭრო ოპერაციები არ ხორციელდება), ასევე საქართველოს ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე საგრძნობლადაა შემცირებული, რუსეთი შეეცდება დესტაბილიზაციის გამოწვევას საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე დივერსიული აქტების მოწყობას, რამაც შესაძლოა შეამციროს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის მნიშვნელობა და დააფრთხოს პოტენციური უცხოელი ინვესტორები. შეიძლება ამითაც არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ 2009 წელს 2008 წელთან შედარებით უცხოურ ინვესტიციათა მოცულობა დაახლოებით 80%-ით შემცირდა, ხოლო 2010 წელს საქართველოში დაბანდებული უცხოური კაპიტალის მოცულობამ 400 მილიონ აშშ დოლარს არ გადააჭარბა.

სამხედრო ხასიათის საფრთხეები: დღევანდელ ეტაპზე რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელების შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი, თუმცა რუსეთი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დასუსტების მიზნით შეეცდება სხვადასხვა სახის დივერსიული აქტების მოწყობას როგორც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, ასევე ელექტროგადამცემ ხაზებზე და ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მოქმედ ნავთობსადენებსა და ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენზე. დივერსიული აქტების მოწყობამ სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგეტიკულ ობიექტებზე შესაძლებელია გამოიწვიოს ენერგეტიკულ კრიზისი ქვეყანაში. რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლის განხორციელების საკითხში რუსეთი ეცდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ბანდფორმირებების გამოყენებას. არ არის გამორიცხული მისი სატელიტის სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სომხეთის გამოყენებაც. მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური ქმედებების განხორციელება ოფიციალური ერევნისაგან თითქმის გამორიცხულია, მაგრამ არ არის გამორიცხული მაგალითად სომხური რადიკალური მოძრაობის „დაშნაკტუცუნის“ სამხედრო ფორმირებების მხრიდან ტერორისტული აქტების განხორციელება საქართველოში განლაგებულ ენერგოობიექტებზე, ასევე შესაძლებელია შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავების მცდელობა ჯავახეთში.

უარეს შემთხვევაში არ არის გამორიცხული რუსეთის ავიაციის მიერ საქართველოს სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ პრევენტიული დარტყმების განხორციელება, რაც შეიძლება რუსეთმა ახსნას იმით, რომ ამ ობიექტებიდან ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციების შეიარაღებით მომარაგება და ა.შ.

რუსეთის მხრიდან ენერგეტიკული ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობა: რუსეთი ყველანაირად ეცდება, რათა განხორციელებულ იქნეს ყველა ის ენერგეტიკული პროექტი, რომელშიც რუსეთი მონაწილეობს. კერძოდ, *გაზსადენი "ცისფერი ნაკადი",კასპიისპირა გაზსადენის პროექტი, ბურგას-ალექსანდროპოლისის ტრანსბალკანური ნავთობსადენი, ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენი, ძაურიკაუ-ცხინვალის გაზსადენი.* აღნიშნულ პროექტებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

მოვლენათა შესაძლო განვითარების პროგნოზები:

პესიმისტური სცენარი:

- რუსეთი, გარკვეული საბაბით განახორციელებს მეორე ფართომასშტაბიან სამხედრო აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ;

- რუსეთი მაქსიმალურად ეცდება, რათა მომავალშიც გარძელდეს დივერსიული აქტების განხორციელება საქართველოს ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, პირველ რიგში ელექტროგადამცემ ხაზებზე, რკინიგზაზე და უარეს შემთხვევაში ნავთობსადენებზე. როგორც ცნობილია, რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე სამი დღით ადრე, 2008 წლის 5 აგვისტოს ტერორისტული აქტი განხორციელებულ იქნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე. ამ დროს აფეთქება განხორციელებულ იქნა თურქეთის ტერიტორიაზე, თუმცა ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ ტერაქტი (რომლის განხორცილებაზე პასუხისმგებლობა ქურთების მუშათა პარტიამ აიღო) რუსეთის სპეცსამსახურების უშუალო ჩარევით იქნა გაკეთებული. ამავე დღეს სპეციალური განცხადება გააკეთა აფხაზეთის დე-ფაქტო ლიდერმა სერგეი ბადაფშმა, რომელმაც დაადასტურა აფხაზეთის მზადყოფნა განხორციელებულ ყოფილიყო ტერაქტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე.საქართველოს ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე განხორციელებული ტერაქტები საგრძნობლად შეამცირებს საქართველოს – როგორც სატრანზიტო ქვეყნის იმიჯს;
- რუსეთი გააგრძელებს საინფორმაციო ომს საქართველოსთან, ბრალს დასდებს ჩვენს ქვეყანას მაგალითად ტერორისტების მფარველობაში და ა.შ. და დაიმუქრება გარკვეული სანქციების ამოქმედებით, ასევე შანტაჟისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის მიზნით გაზრდის სამხედრო კონტინგენტს როგორც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს კი გამოიწვევს უცხოურ ინვესტორთა დაშინებას და ინვესტიციების საქართველოს ეკონომიკაში დაბანდების შეფერხებას;
- კრემლი გააქტიურებს მოლაპარაკებათა პროცესს აზერბაიჯანთან, რათა ბაქომ გაზარდოს ნავთობისა და გაზის ექსპორტი რუსეთის მიმართულებით და ამავე დროს შეამციროს ენერგომატარებლების ექსპორტი საქართველოში. სამაგიეროდ რუსეთი აზერბაიჯანს შესთავაზებს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში კიდევ უფრო მეტ დახმარებას. შედეგად, შესაძლებელია საქართველოს შეექმნას დამატებითი პრობლემები ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე თავისი მნიშვნელობა დაკარგოს ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენმა;
- რუსეთი მიაღწევს კონსენსუსს თურქმენეთთან და ყაზახეთთან ამ ქვეყნებიდან ბუნებრივი აირის რუსეთში ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, რაც ფაქტიურად დაასამარებს "ნაბუქოს", ან "თეთრი ნაკადის" პროექტის განხორციელების იდეას;
- რუსეთი შესთავაზებს სარფიან გარიგებას თურქეთს, რათა განხორციელდეს პროექტი "ცისფერი ნაკადი", რაც თავის მხრივ გამოიწვევს ანკარის მხრიდან უარს "ნაბუქოს" პროექტის განხორციელებაზე;
- რუსეთმა შესაძლოა მიაღწიოს შეთანხმებას "ნაბუქოს" პროექტში მონაწილე ქვეყნების – მაგალითად უნგრეთისა და ავსტრიის ენერგოკომპანიებთან და შესთავაზოს მათ ალტერნატიული გაზი რუსეთიდან.

ოპტიმისტური სცენარი:
- "ნაბუქოს" ან "თეთრი ნაკადის" პროექტზე მუშაობის დაწყება კიდევ უფრო გაზრდის ევროპის დაინტერესებას საქართველოს მიმართ, ამიტომ ევროკავშირი სულ უფრო მეტად იქნება დაინტერესებული საქართველოში სტაბილიზაციის დამყარებით. ამ ფაქტის გამო ევროკავშირის დღის წესრიგში დადგება საქართველოს ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციების კიდევ უფრო გააქტიურება, რათა რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეების ალბათობა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი;
- დასავლეთის მიერ რუსეთის ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შემცირებისა და ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში დიპლომატიური ზეწოლის გააქტიურების შედეგად, რუსეთი იძულებული გახდება დაუშვას ევროკავშირის დამკვირვებელთა საქმიანობა ოკუპირებულ რეგიონებში;
- თუ აშშ-ის მიერ საქართველოში გარვეული სამხედრო ობიექტების განთავსება მოხდება, ეს იძულებულს გახდის რუსეთს ხელი აიღოს პროვოკაციული ქმედებების განხორციელებაზე;

- რუსეთი, თავისი საერთაშორისო იმიჯის გამოსწორების მიზნით შეეცდება საქართველოს გარკვეული კონტაქტების აღდგენა შესთავაზოს. არსებობს იმის ალბათობა, რომ სავაჭრო ოპერაციები განხორციელდეს ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტის მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს ტვირთბრუნვის ზრდას საქართველოსა და რუსეთს შორის;
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის სანაცვლოდ კრემლი საქართველოს შესთავაზებს გარკვეული ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანას.

ჩრდილოეთკავკასია-საქართველოს ურთიერთობები

საქართველოს ურთიერთობებს ჩრდილოეთ კავკასიათან დიდი ხნის ისტორია გააჩნია და მომავალშიც წამოუდგენელია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობების გარეშე. ამავე დროს, საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობა მარტო ორ მხარეზე არ არის დამოკიდებული. მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რუსეთის ფაქტორი და მისი გავლენა კავკასიის რეგიონში.

ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური რუკა და ეთნიკური შემადგენლობა

რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასია წამოდგენილია შემდეგი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულებით: კრასნოდარის მხარე (76 ათასი კვ.კმ), სტავროპოლი მხარე (66,5 ათასი კვ.კმ), რესპუბლიკები – ადიღე (7,6 ათასი კვ.კმ), ყარაჩაი-ჩერქეზეთი (14,1 ათასი კვ.კმ), ყაბარდო-ბალყარეთი (12,5 ათასი კვ.კმ), ჩრდილოეთ ოსეთი-ალანია (8 ათასი კვ.კმ), ინგუშეთი (4,6 ათასი კვ.კმ), ჩეჩნეთი (15,9 ათასი კვ.კმ), დაღესტანი (50,3 ათასი კვ.კმ).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთლიანად კავკასიაში ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი: **იბერიულ-კავკასიურიოჯახის** ქართველური ჯგუფის წარმომადგენლები არიან ქართველები, აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფს მიეკუთვნებიან – აფხაზები, აბაზინები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ადიღეელები; ნახურ ჯგუფში გაწევრიანებულები არიან ჩეჩნები, ინგუშები და ავარები; ხოლო დაღესტნურ ჯგუფში შედიან ლეკები, ლაკები, დარგინელები, ხუნძები და ა.შ.

რაც შეეხება **ალთაური ოჯახის თურქულ ჯგუფს**, აქ გაწევრიანებულები არიან სამხრეთ კავკასიიდან აზერბაიჯანელები, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიიდან ყუმუხები, ყარაჩაელები, ბალყარელები. ამავე დროს, **მონღოლურ ჯგუფში** გაწევრიანებულები არიან ყალმუხები.

რაც შეეხება **ინდოევროპულ ოჯახს**, აქ პირველ რიგში სლავური ჯგუფის წარმომადგენლები-რუსები მოიაზრებიან, ბევრ მათგანი თავს კაზაკებადაც კი მიიჩნევს. ამავე ოჯახის ირანულ ჯფუფს შეადგენენ ოსები და ქურთები, ხოლო სომხურ ჯგუფს სომხები წარმოადგენენ.

საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობათა ისტორია

საქართველო-კავკასიის ურთიერთოებები უძველესი დროიდან იწყება. მრავალი საუკუნის განმავლობაში კავკასიის ხალხებს შორის ურთიერთოები სხვადასხვა ინტენსივობით ვითარდებოდა.

განსაკუთრებით ახლო ურთიერთობები არსებობდა ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის, რომლებიც ერთმანეთის არა მხოლოდ მეზობლები, არამედ მონათესავეებიც იყვნენ გენეტიკური და ლინგვისტური თვალსაზრისით.

ქართველი მეფეები და ფეოდალები ყოველთვის დიდ სამხედრო-პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მთის ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას. ამიტომაც ისინი ყოველთვის ცდილობდნენ დაემყარებინათ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობები. ამ ყველაფრის ერთ-ერთი დამახასიათებელი იყო ფართოდ გავრცელებული დინასტიური ქორწინებები საქართველოს სამეფოებისა და სამთავრობოების წარმომადგენელებსა და ჩრდილოეთ კავკასიის სახანოების წარმომადგენლებს შორის.

ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიელებს შორის განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი (განსაკუთრებით ადიღეელებთან და ვაინახებთან) XVIII საუკუნის შუა პერიოდში განვითარდა. ამ კავშირმა პოზიტიური როლი შეასრულა სამხრეთ კავკასიაში ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ჰეგემონური როლის შენარჩუნებაში.[266]

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1744-1762 წწ. კახეთის მეფე, 1762-1798 წწ. გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე) დიდი პატივისცემით სარგებლობდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში, განსაკუთრებით და ადიღელთა (თანამედროვე ადიღეელები, ჩერქეზები და ყაბარდოელები) და ვაინახებს (თანამედროვე ჩეჩნები და ინგუშები) შორის, რომელთაც ქართველი მონარქი ძალზედ აფასებდა.[267]

XVIII ს. 70-80-იან წლებში ერეკლე II ცდილობდა საქართველოში ყაბარდოელების ჩამოსახლებას. ამ იდეას ადიღელ ფეოდალთა უმრავლესობა დიდი სიხარულით შეხვდა. ეს გეგმა მიზნად ისახავდა ერთგული, რეგულარული არმიის ჩამოყალიბებას, თუმცა ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებასა და საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის ურთიერთობათა კიდევ უფრო განმტკიცებას ხელი შეუშალა რუსეთის იმპერიამ.[268]

საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის სამხედრო-პოლიტიკურიკავშირი XIX ს. დასაწყისამდე არსებობდა, ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს საბოლოო გაუქმებამდე. თუმცა, რუსეთის მიერ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგაც ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხებს არ შეუწყვეტიათ ერთმანეთთან ურთიერთობა.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ კვლავ აღდგა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მეტად მეგობრული ურთიერთობა გააჩნდა მთიელთა რესპუბლიკასთან. წითელი არმიის მიერ სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს და მთიელთა რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ, ამ ქვეყნების მთავრობის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დასავლეთ ევროპაში ემიგრაცია განახორციელა. ემიგრაციაში კავკასიელი პატრიოტები აქტიურად განაგრძობდნენ თანამშრომლობას.

ქართველები და ჩრდილოკავკასიელები ერთობლივ ბრძოლას ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგაც აქტიურად განაგრძობდნენ. ცნობილია, რომ ქართველი პატრიოტები – ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის მოწინააღმდეგეები – ინტენსიურად თანამშრომლობდნენ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან. ისინი აუცილებლად თვლიდნენ ერთობლივი ანტიბოლშევიკური ცენტრის შექმნას.

---

[266]Н. Джавахишвили. **БОРЬБА ЗА СВОБОДУ КАВКАЗА.** (ИЗ ИСТОРИИ ВОЕННО-ПОЛИТИЧЕСКОГО СОТРУДНИЧЕСТВА ГРУЗИН И СЕВЕРОКАВКАЗЦЕВ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XX ВЕКА). Издательство Тбилисского университета. 2005. Стр. 15

ДЖАВАХИШВИЛИ

[267]იქვე

[268]Н. Джавахишвили. **БОРЬБА ЗА СВОБОДУ КАВКАЗА.** (ИЗ ИСТОРИИ ВОЕННО-ПОЛИТИЧЕСКОГО СОТРУДНИЧЕСТВА ГРУЗИН И СЕВЕРОКАВКАЗЦЕВ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XX ВЕКА). Издательство Тбилисского университета. 2005. Стр. 18

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც 1921 წლის მაისში, ხოლო შემდეგ იმავე წლის ივნისსა და ნოემბერში კავკასიელ ემიგრანტთა შეხვედრა პარიზში, სადაც განიხილეს ბოლშევიკური რეჟიმის დამხობის შესაძლებლობები. 1921 წლის 10 ივნისს თათბირის წარმომადგენლებმა გააფორმეს შეთანხმება კავკასიური რესპუბლიკების კავშირის საბჭოს შექმნის შესახებ.[269]

1921 წლის 2 ოქტომბერს, ქ. სტამბულში დაფუძნებულ იქნა "კავკასიის რესპუბლიკების ერთიანი საინფორმაციო ბიურო", რომელსაც დაევალა ერთობლივი სამუშაოების განხორციელება შემდეგი მიმართულებებით: კავკასიელი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა, ყველა კავკასიელ ხალხთა თვითგამორკვევის უფლების უპირობო ცნობა, დემოკრატიული რეფორმების განხორციელება, მსხვილი მიწათმფლობელობის მოსპობა და გლეხებისათვის მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა.

1922-1923 წლებში რამდენჯერმე შედგა ქართველი პატრიოტების ვიზიტები ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი ყველაზე უახლოესი მომხრე ა. სულხანიშვილი რამდენჯერმე შეხვდა მთიელთა გავლენიან ლიდერებს, სადაც განიხილებოდა ბოლშევიკურ რეჟიმთან ერთობლივი ბრძოლის საკითხები. ცნობილია, რომ 1924 წლის აჯანყებაში საბჭოთა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, ქართველებთან ერთად ჩრდილოკავკასიელებიც იღებდნენ მონაწილეობას.

კომუნისტური მმართველობის 70 წლის განმავლობაში, საქართველო გვევლინებოდა კავკასიის ძირითად საგანმანათლებლო ცენტრად. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა სპეციალობით არაერთმა ჩრდილოკავკასიელმა მიიღო უმაღლესი განათლება და დაიცვა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციები.

მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, საბჭოთა ხელისუფლებამ ამას არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატიზმის გაღვივება დაუპირისპირა, არამედ ყველანაირად ხელი შეუწყო ქართველებსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის ურთიერთობათა დაძაბვას. ამის ნათელი მაგალითი გახლდათ 1989 წელს ე.წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციის შექმნა.

"კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" შექმნა, გაძლიერება და საქართველოს წინააღმდეგ გამოყენება საბჭოთა კავშირისა და შემდგომ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი და შემდგომში განხორციელებული ერთ-ერთი პროექტი იყო, რომელსაც სსრკ-ში არსებითი პოლიტიკური გარდაქმნა-მოდერნიზების პერიოდში საბჭოთა ინტერესები უნდა დაეცვა და სირთულეები შეექმნა იმ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან გასვლასა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას ცდილობდნენ.

1989 წლის 25-26 აგვისტოს, სოხუმში ჩატარებულ "კავკასიის მთიელ ხალხთა I ყრილობაზე" დაარსდა "კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა." "კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის" ძირითად ოფიციალურ მიზნებად დასახელებულ იქნა უმთავრესად კულტურულ-ავტონომიური ასპექტები.[270]

1991 წლის 1 ნოემბერს, სოხუმში, "კავკასიის მთიელ ხალხთა III ყრილობაზე", რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ 14 კავკასიური ეთნოსის წარმომადგენლები, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" – როგორც პოლიტიკური გაერთიანების შექმნის შესახებ, რომელიც თავს აცხადებდა "სუვერენულ ეროვნულ-სახელმწიფო გაერთიანებად" – იგი წარმოდგენილი იქნა როგორც "კონფედერაციული სახელმწიფო" – რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ

[269] იქვე

[270] http://ka.wikipedia.org/wiki/_კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია

არა იმ დროს არსებული რაიმე ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ავტონომიები, არამედ კავკასიის "ხალხები", ანუ ეთნოსები. კონფედერაციის დედაქალაქად გამოცხადდა სოხუმი, ხოლო მეორე დედაქალაქად კი მახაჩკალა.[271]

"კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" სოხუმში შექმნა და მის დედაქალაქად სოხუმის გამოცხადებაისეთ ვითარებაში, როდესაც მასში შემავალი ტერიტორიების აბსოლუტური უმრავლესობა ჩრდილო კავკასიაში, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მდებარეობდა-იმთავითვე მიუთითებდა კონფედერაციის ძირითად მიზანსა და დანიშნულებაზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

"მთიელ ხალხთა კონფედერაციის" პარლამენტად გამოცხადდა "მთიელ ხალხთა ასამბლეა", რომელმაც "პრეზიდენტად" აირჩია მ. შანიბოვი, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარედ ი. სოსლანბეკოვი. კონფედერაციაში თავი მოიყარეს ჩეჩნეთის პრეზიდენტ ჯ. დუდაევის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ჩეჩნეთიდან – გავლენიანმა საველე მეთაურმა შ. ბასაევმა (დუდაევის კონკურენტმა საპრეზიდენტო არჩევნებზე) და ი. სოსლანბეკოვმა – რომელსაც, როგორც გავლენიან პრორუსულ პოლიტიკოსს, 1991-1993 წლებში ჯ. დუდაევზე უფრო დიდი გავლენა გააჩნდა ჩეჩნეთში რუსეთის ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის გამო. კონფედერაციის მთავარი მხარდამჭერი გახდა რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარე, რუსეთში უდიდესი პოლიტიკური და ფინანსური გავლენის მქონე რ. ხასბულატოვი (ჯოჰარ დუდაევის უდიდესი მოწინააღმდეგე).

"კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" იდეოლოგიურ ბაზას წარმოადგენდა ა. სახაროვის "საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია", რომლის მიხედვითაცსაბჭოთა კავშირი უნდა დაშლილიყო ასობით მცირე ეთნიკურ-პოლიტიკურ ერთეულად (თუმცა ამ სუბიექტებს შორის ერთიანი კავშირი უნდა შენარჩუნებულიყო) და სადაც საქართველო "მცირე იმპერიად" სახელდებოდა. აფხაზეთში ომის პერიოდში კონფედერაციას საერთაშორისო მას-მედიაში განუწყვეტელ იდეოლოგიურ დახმარებას უწევდა ა. სახაროვის ქვრივი ე. ბონერი.

"კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" შექმნას, რომელიც თითქოს სსრკ-ის, ხოლო შემდგომში რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ბაზას ყოველნაირად ეწინააღდეგებოდა და რუსეთის არსებული ტერიტორიული მოწყობის წინააღმდეგ "იბრძოდა" – აფხაზეთში და ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების დასრულებამდე, არასოდეს და არაფრით არ შეწინააღდეგებია არც სსრკ და არც რუსეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება.

კონფედერაცია საქართველოს წინააღმდეგ[272]

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდან ოთხი დღის შემდეგ, 1992 წლის 18 აგვისტოს, გროზნოში "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" პარლამენტის საგანგებო სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება აფხაზი სეპარატისტებისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

1992 წლის 21 აგვისტოს, აფხაზეთში ომის დაწყების შემდეგ, „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ" ომი გამოუცხადა საქართველოს და აფხაზეთში გადაისროლა თავისი ბანდფორმირებები. 1992 წლის 19 აგვისტოს, აფხაზეთში

[271] იქვე
[272] http://ka.wikipedia.org/wiki/ კავკასიისმთიელ ხალხთა კონფედერაცია

მოხალისეების გაგზავნის გადაწყვეტილება კონფედერაციის "შეიარაღებული ძალების" შემადგენლობაში მიიღეს ყუბანის და დონის კაზაკთა "ატამანთა საბჭოებმა".

"კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" შეიარაღებული ფორმირებები და რუსეთის არმიის მიერ მათთვის გადაცემული დიდძალი საბრძოლო ტექნიკა ღიად და დაუფარავად საავტომობილო გზებითა და რკინიგზით ასობით კილომეტრის სიშორიდან გადაისროლებოდა აფხაზეთში. ამ პროცესმა განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო მას შემდეგ, როდესაც სეპარატისტებმა და კონფედერაციის ბანდფორმირებებმა ვერაგულად დაარღვიეს 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და 1992 წლის 3-4 ოქტომბერს დაიკავეს გაგრა, ლესელიძე და განთიადი, რის შემდეგაც მათ მოახერხეს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე კონტროლის დამყარება და რუსეთიდან აფხაზეთის მიმართულებით შეიარაღებული მებრძოლებისა და სამხედრო ტექნიკის შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა.[273]

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, სოსნალიევი აფხაზეთის "თავდაცვის მინისტრად" დაინიშნა. რუსეთში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებმა ჩერქეზებმა მსოფლიოს 50 ქვეყანაში საერთაშორისო დონის შეხვედრები გამართეს და აფხაზებს ჰუმანიტარული დახმარება შესთავაზეს. ჩერქეზული სამყარო აფხაზთა მხარდაჭერას ომის შემდგომაც აგრძელებდა, დღის წესრიგში სვამდა მისი დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს და ხშირად გამოდიოდა აფხაზებისთვის რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს წინააღდეგ. იმ დღეს, როდესაც რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა სცნო, ნალჩიკში (ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი), აფხაზეთის მოედანზე სადღესასწაულო დემონსტრაცია გაიმართა.

მიუხედავად ამისა, საქართველო არასდროს გამოხატავდა ღიად პროტესტს ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების წინააღმდეგ. ნაწილობრივ ეს იმითაც აიხსნება, რომ საქართველო ცდილობდა შეენარჩუნებინა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები რუსეთთან და საკუთარი პოლიტიკა დამოკიდებული ჩერქეზების დონეზე არ დაეყვანა. მიუხედავად ამისა, სრულიად უშედეგო იყო ანტიქართული ჩერქეზული მოძრაობის შეჩერება. საქართველოს არ ჰქონდა მკაფიო შეხედულება, როგორ მიდგომოდა ჩერქეზულ საზოგადოებას.

ჩრდილოეთ კავკასიელთა მხრიდან, სეპარატისტების მხარდაჭერა კიდევ უფრო გაძლიერდა 2008 წლის აგვისტოს ომის წინ, როდესაც რუსეთი უშუალოდ აქეზებდა ჩრდილოკავკასიელთა ჩასვლას სეპარატისტულ რეგიონებში. რუსეთის აგრესიის დროს, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური შენაერთი გახლდათ ჩეჩნური ბატალიონი "ვოსტოკი". გამომდინარე აქედან, ჩრდილოეთ კავკასიიდან მომდინარე საფრთხის განეიტრალების მიზნით, აუცილებელი გახდა, რათა საქართველომ გააქტიუროს თავისი თანამშრომლობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან.

კონფედერაცია ჩეჩნეთის წინააღდეგ

დაარსებიდანვე "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია" დაუპირისპირდა ჩეჩნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას, ანუ იმ რესპუბლიკას, რომელიც რუსეთის ფედერაციიდან გასვლასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ცდილობდა. "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას" კრემლში

[273] იქვე

მთავარი მხარდამჭერის სახით ჰყავდა რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე რ. ხასბულატოვი.

აფხაზეთში ომის დაწყების დროიდან, რუსეთის დახმარების გამო სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებულმა "კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ" გააქტიურა ბრძოლა ჩეჩნეთში თავისი ძალაუფლების დასამყარებლად პრეზიდენტ ჯ. დუდაევის წინააღმდეგ. პოლიტიკური სიტუაცია ჩეჩნეთში განსაკუთრებით დაიძაბა აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, როდესაც კონფედერაციამ თავიანთი "შეიარაღებული ძალების" მნიშვნელოვანი ნაწილი ჩეჩნეთში გადაისროლა და ჯ. დუდაევის დასამხობად დაუფარავ ბრძოლას შეუდგა. გროზნოში რუსეთის პირდაპირი მხარდაჭერით კონფედერაციამ მოაწყო ორი პუტჩი, რომელთაგან 1994 წლის ზაფხულის "თეატრალური მოედნის პუტჩს" მოჰყვა არსებითი შეიარაღებული შეტაკება ტანკების გამოყენებით, კონფედერაციის მომხრეთა დამარცხება და მათი სრული განდევნა ჩეჩნეთიდან. კონფედერაციის "პარლამენტის თავმჯდომარე" ი. სოსლანბეკოვი ჩეჩნეთიდან გაიქცა და მოსკოვს შეაფარა თავი. ჩეჩნეთის უხუცესთა ყრილობამ ი. სოსლანბეკოვი და რ. ხასბულატოვი ჩეჩენი ერის მოღალატეებად გამოაცხადა.

კონფედერაციის დასასრული

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და შემდგომში რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყების შემდეგ კონფედერაცია დაიშალა-უფრო სწორედ შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთმა მაქსიმალურად გამოიყენა თავის სასარგებლოდ კონფედერაციის რესურსი, რუსეთის შესაბამისმა სტრუქტურებმა კონფედერაციის მეთაურების მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღძრეს, შესაბამისად შეწყდა კონფედერაციის ყოველგვარი საქმიანობა, ხოლო მისი ბანდიტური ფორმირებები რუსეთის ხელისუფლებამ გაანადგურა.

ახალი ინტერესები ჩრდილოეთ კავკასიაში

რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი აგრესიის შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ დაიწყო ახალი პოლიტიკური კურსის შემუშავება რუსეთთან მიმართებაში. კურსის მიზანია ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობების მოწესრიგება.

2010 წლის იანვარში შეიქმნა რუსულენოვანი სამაუწყებლო არხი "პირველი კავკასიური", რომელიც კავკასიური აუდიტორიისათვის იყო განკუთვნილი. იმავე წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტმა "ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების პარლამენტებთან მეგობრობისა და მხარდაჭერის ჯგუფი" შექმნა და საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების გაუარესების ფონზე ჩრდილოეთ კავკასიის საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებს კავკასიური ცივილიზაციის განვითარების და კავკასიის ხალხებს შორის ისტორიული, მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებისათვის ერთობლივი მუშაობისაკენ მოუწოდა.

ამ მიმართულებით საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს რუსეთის ფაქტორის გამო ჩრდილოეთ კავკასიაზე ჯერჯერობით განსაკუთრებული გავლენა არ მოუხდენია. ფრანგულმა კომპანია "Eutelsat"-მა, სავარაუდოდ რუსეთის ზეწოლით "პირველი კავკასიურის" ტრანსლირებაზე უარი განაცხადა. თუმცა იგი ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტით, ხოლო 2011 წლის 25 იანვრიდან ტელეკომპანიამ თავისი ტრანსლირებნა კვლავ აღადგინა. რაც შეეხება ქართველი პარლამენტარების

მოწოდებას, მას ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების პარლამენტარები პირველ ეტაპზე არ გამოხმაურებიან.

ერთიანი კავკასიისკენ

საქართველოს მიერ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობების დალაგების მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2010 წლის დასაწყისში გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე ისაუბრა, რისი დასაწყისიც უნდა იყოს ერთობლივი პროექტები. ერთიანი კავკასიისკენ ერთ-ერთი პირველი გადადგმული ნაბიჯი გახლდათ პრეზიდენტის განცხადება ჩრდილოეთ კავკასიისრესპუბლიკებთან უვიზო რეჟიმის დაწესების შესახებ, ამ ბრძანებას ხელი 2010 წლის 11 ოქტომბერს მოეწერა. გამარტივებული რეჟიმის მიზეზი ჰუმანიტარული და კომერციული ინტერესებია, რისი საბოლოო მიზანია ანტიქართული განწყობის აღმოფხვრა და კავკასიელ ერებს შორის ტრადიციული კავშირების აღდგენა.
ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებლებისათვის უვიზო რეჟიმის დაწესებამ რუსეთის ხელისუფლების აშკარა გაღიზიანება გამოიწვია, თუმცა კრემლში ეტყობა "ავიწყდებათ", რომ ჯერ კიდევ მაშინ როდესაც საქართველოს ტერიტორიუ
ლ მთლიანობას ჯერ კიდევ აღიარებდა, რუსეთმა 2001 წელს საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმი დააწესა, ხოლო აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისთვის უვიზო რეჟიმი შემოიღო.

საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიის სამყაროსთან ურთიერთობების დალაგების მიზნით წარმატებული აღმოჩნდა 2010 წელს ვაშინგტონის ჯეიმსთაუნის ფონდის და ილიას უნივერსიტეტთან არსებული კავკასიური კვლევების საერთაშორისო სკოლის ორგანიზებით გამართული კონფერენცია, სახელწოდებით – "უცნობი ერები, უწყვეტი დანაშაული: ჩერქეზები და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები წარსულსა და მომავალს შორის". ამ ღონისძიებაზე კავკასიის საკითხების ექსპერტები შეიკრიბნენ, მათ შორის ჩერქეზული დიასპორის აქტივისტები ძირითადად ამერიკიდან, ასევე ქართველი პარლამენტარები, ექსპერტები და ა.შ. კონფერენციის ბოლოს, ჩერქეზმა მონაწილემ საქართველოს პარლამენტს გაუგზავნა მიმართვა, სადაც იგი ითხოვდა, რომ საქართველოს ეღიარებინა რუსეთის ხელისუფლების მიერ მეცხრამეტე საუკუნეში ჩერქეზთა მასობრივი მკვლელობები და დეპორტაცია გენოციდად.
ჯეიმსთაუნის ფონდის მიერ ორგანიზებულმა კონფერენციამ დაადასტურა, რომ დასავლური მედია კარგად იცნობს ჩერქეზთა საკითხს. 1864 წლის მოვლენებს თანამედროვე ისტორიის პირველ გენოციდადაც კი მოიხსენიებენ.
პირველ ღონისძიებას მოჰყვა ვაშინგტონში ჯეიმსთაუნის ფონდის მიერ ორგანიზებული მეორე კონფერენცია სახელწოდებით – "სოჭი 2014 – შესაძლებელია თუ არა ოლიმპიადის გამართვა იქ, საიდანაც 150 წლის წინ ჩერქეზები გააძევეს". ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის რამდენიმე დეპუტატიც დაესწრო.
კონფერენციის ჩერქეზმა მონაწილეებმა კი ჩრდილოეთ კავკასიაში სამი ჩერქეზული ტერიტორიის ერთ რესპუბლიკად გაერთიანების მოწოდებაც კი გაახმოვანეს.

რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიელებისათვის საქართველოში შემოსვლაზე გამარტივებული სავიზო რეჟიმის დაწესებას, თავის დროზე ამ იდეას საქართველოში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, თუმცა საბოლოოდ, პრეზიდენტის განკარგულება მაინც ამოქმედდა და ფაქტია, ქვეყანას ოპონენტებისაგან ნაწინასწარმეტყველი პრობლემა არ შექმნია და იმედია არც მომავალში შეექმნება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დარიალის გამშვებ პუნქტზე 2010 წელს ყოველდღიურად 700 ადამიანი შემოდიოდა. მათ შორის იყვნენ ჩეჩნები, დაღესტნელები, ყაბარდოელები, ბალყარელები და ოსებიც. შემოსულთა 70-მა პროცენტმა საქართველოს ტერიტორია სატრანზიტო გზად გამოიყენა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, "შემოსულთა ნაწილი თურქეთში მიდის, ნაწილი კი სხვა ქვეყნებში. 30 პროცენტი საქართველოში რჩება." აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2010 წლის 1 მარტიდან (როდესაც საზღვარი კვლავ იქნა გახსნილი) 31 დეკემბრამდე, რუსეთიდან, დარიალის გამშვები პუნქტით, საქართველოს საზღვარი გადმოკვეთა და საქართველოდან გავიდა სულ 100 ათას 825 ადამიანი. აქედან, 15 ათას 446 ადამიანი ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემოვიდა გამარტივებული სავიზო რეჟიმის ფარგლებში[274].

რუსეთის სტრატეგია ჩრდილოეთ კავკასიაში

რუსეთის დღევანდელი მიზანი ჩრდილოეთ კავკასიაში გახლავთ ამ რეგიონის სრული იზოლირება და მასზე სრული კონტროლის დაწესება. ამ თვალსაზრისით, რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციაში ახალი-ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოკრუგი შეიქმნა, სადაც უნდა გაერთიანდნენ დაღესტანი, ინგუშეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ჩეჩნეთი და სტავროპოლის მხარე. ოკრუგის შექმნა განპირობებულია ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში არსებული უმძიმესი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კრიმინოგენური ვითარებით, კორუფციის მაღალი დონით, და რეალური ტერორისტული საფრთხის მაღალი ალბათობით.
რუსეთის პრემიერ-მინისტრის, ვლადიმერ პუტინის ინიციატივით, ჩრდილოეთ კავკასიაში იქმნება ახალი სახელმწიფო სტრუქტურა – კავკასიის სახელმწიფო კომისია. ამ გზით მოსკოვი შეეცდება გააკონტროლოს იმ ფინანსების ხარჯვა, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების განვითარებისათვის გამოიყო ფედერალური ბიუჯეტიდან.

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ასევე აღსანიშნავია კავკასიის განვითარების მიზნით შემუშავებული სტრატეგია, კერძოდ, გეგმის მიხედვით 2015 წლისათვის ჩრდილოეთ კავკასია უნდა გახდეს წამყვანი გამაჯანსაღებელი და სამთო-სათხილამურო ტურისტული ცენტრი რუსეთსა და მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რომელმაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია უნდა მიაწოდოს რუსეთის დანარჩენ რეგიონებს. საწყის ეტაპზე გამოიკვეთა კავკასიის განვითარების სამი ძირითადი მიმართულება: 1. პირველი ითვალისწინებს სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ტემპის ზრდას; 2. მეორე მიმართულება ითვალისწინებს უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტას; 3. მესამე ასპექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციას, სოციალური ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას, ტურისტულ და ეკონომიკურ განვითარებას, საინვესტიციო კლიმატის შექმნას, უმუშევართა რიცხვის შემცირებას.
ზემოაღნიშნულ სტრატეგიაში მაინც იჩენს თავს რუსული ნაციონალიზმი. რადგან სტრატეგია მიზნად ისახავს ეთნიკურად რუსი მოსახლეობის ხელოვნურ გაზრდას, ხოლო ამ მიზნით იგეგმება სპეციალური სამუშაო-საემიგრაციო სააგენტოს შექმნა.

რუსეთის ფედერალური ხელისუფლება აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული უმუშევრობა, რომელიც ზოგიერთ რესპუბლიკაში 50%-ს აჭარბებს - სეპარატიზმის გაღვივებას უწყობს ხელს. სწორედ სეპარატისტული ტენდენციების აღმოფხვრის მიზნით იგეგმება ეთნიკური რუსების სასარგებლოდ შესაბამისი გეგმის განხორციელება. მაგალითად, იგეგმება "რუსული მოსახლეობისათვის სპეციალურ პრეფერენციების შექმნა, მათ შორის განათლების და მეცნიერების სფეროში."[275]

[274] www.24saati.ge. 10 January, 2011
[275] "ორსტრატეგიასშორის". ვალერი ძუცევი. თბილისი. 2010

თუმცა, ზემოაღნიშნული სტრატეგიის მომავალი - თუნდაც ე.წ. ტურისტული სამთო-სათხილამურო კომპლექსის ჩამოყალიბება - რომლის გაშენება 15 მილიარდამდე აშშ დოლარამდე ჯდება, მაინც სერიოზულ ეჭვს ბადებს. რუსეთის ხელისუფლებამ დაფინანსების მოპოვების მიზნით, სხვადასხვა საპროექტო წინადადება რამდენიმე მსხვილ საერთაშორისო ბანკს წარუდგინა, თუმცა უშედეგოდ. ეს გასაგებიცაა-2010 წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა ტერორისტული აქტივობა, რომელმაც მთელი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი მოიცვა.

საქართველო–თურქეთის ურთიერთობები

ისტორიული კავშირების, კასპიის სანავთობო და სატრანსპორტო პროექტებისა და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, თურქეთი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს მშვიდობას, სტაბილურობასა და თანამშრომლობას კავკასიაში.

თურქეთის სახელმწიფოებრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ამ ქვეყნის ინტერესს რეგიონისადმი ობიექტურად განსაზღვრავდა გეოპოლიტიკური, სამხედრო, სავაჭრო-ეკონომიკური და სხვა მიზნების ერთობლიობა. ამავე დროს, თურქეთს კავკასიაში თითქმის მუდმივი დაპირისპირება ჰქონდა რუსეთის იმპერიასთან.

ამ საუკუნის დასაწყისში თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელს მუსტაფა ქემალ ათათურქს უთქვამს: „თურქეთს სჭირდება ძლიერი მეზობელი აღმოსავლეთში და ასეთ მეზობლად შეიძლება საქართველო იქცეს.“[276] საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და შემდგომი ანექსიის გამო ეს იდეა იმ პერიოდში ვერ განხორციელდა. საბჭოთა პერიოდში არსებული საზღვრის ჩაკეტილობის გამო გეოგრაფიულად ურთიერთმოსაზღვრე საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობა პრაქტიკულად არ არსებობდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

თურქულ-ქართული ურთიერთობების თანამედროვე ეტაპის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ 1991 წლის 16 დეკემბერი, როდესაც ანკარამ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. დიპლომატიური ურთიერთობები კი დამყარდა 1992 წლის 21 მაისს თურქეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის თბილისში ვიზიტის დროს.

1992 წლის 30 ივლისს, საქართველოში თურქეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის სულეიმან დემირელის ყოფნის დროს ხელი მოეწერა ძირითად ხელშეკრულებას, „მეგობრობის, თანამშრომლობის და კეთილმეზობლობის შესახებ“. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მოახდინა იმავე წლის 28 სექტემბერს, ხოლო საქართველომ უფრო მოგვიანებით, 1993 წლის 25 მარტს.

ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვების დროიდანვე ჩვენმა ქვეყანამ და თურქეთმა თავიდანვე სწრაფად გამონახეს საერთო ენა. შედგა რამდენიმე უმაღლესი

[276] ნიკა ჩიტაძე. სადისერტაციო ნაშრომი: “კასპიის სანავთობო პროექტები და საქართველოს სატრანზიტო როლი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები”. გვ. 75

დონის შეხვედრა თბილისსა და ანკარაში. საქართველო-თურქეთის ურთიერთობების 17 წლის მანძილზე ორ ქვეყანას შორის მეტად მჭიდრო კავშირები დამყარდა მრავალ სფეროში. ამას ადასტურებს მრავალრიცხოვანი შეთანხმებების არსებობა. 1992 წლიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობს თურქეთის ინიციატივით შექმნილ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ამავე ქვეყნის საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში.

თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას ჩვენს სამშობლოსთან თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს. საქართველოსთან მიმართებაში ჩვენი სამხრეთელი მეზობელი აღიარებს მის ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვეობას, გმობს სეპარატიზმსა და საშინაო საქმეებში ჩარევას, სავაჭრო კავშირების გასაღრმავებლად ორ ქვეყანას შორის შექმნილია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.

დიდია სარფის სასაზღვრო ჭიშკრის როლი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში.

ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები ორი სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება:

ა) ვაჭრობა ექსპორტ-იმპორტის რეჟიმის ჩარჩოებში;

ბ) სასაზღვრო ვაჭრობა.

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ჯერ კიდევ 1992 წლის 30 ივლისს ხელმოწერილმა დოკუმენტმა, „ინვესტიციების ურთიერთწახალისებისა და ორმხრივი დაცვის შესახებ“, აგრეთვე იმავე წლის 8-10 დეკემბერს ანკარაში ჩატარებულმა მოლაპარაკებამ, რომლის თანახმად განისაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები, კერძოდ: სოფლის მეურნეობის პროდუქტების, მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების გადამუშავება, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ქსელის განვითარება.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაში მომხდარი მოვლენებიდან განსაკუთრებით რაღა თქმა უნდა აღინიშნოს ანკარის ძალისხმევა მხარიდაუჭიროსსაქართველოსნატო-შიინტეგრაციას, ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსისრკინიგზისპროექტი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისნავთობსადენისადაბაქო-თბილისი-ერზურუმისგაზსადენისპროექტი. მეტადმნიშვნელოვანიაპროექტიბაქო-თბილისი-ყარსი-ახალქალაქის 120 კმ-იანისარკინიგზოხაზისდაფინანსებასადამშენებლობასთან დაკავშირებით,რომელიც 2011-2012 წლებში უნდაამოქმედდეს. ნათელია, რომსარკინიგზომაგისტრალისპროექტსუდიდესიმნიშვნელობაენიჭება. ესპროექტიარისაღმოსავლეთისადადასავლეთისდამაკავშირებელიგზადა “ევრაზიისსატრანსპორტოდერეფნის“ ერთ-ერთიძირითადიშემადგენელინაწილი.

უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს აგრეთვე ის ფაქტი, რომ თურქეთი 2007 წლიდან მოყოლებული საქართველოს ნომერ პირველ სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორს წარმოადგენს. 2010 წლის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში თურქეთის წილად მოდის დაახლოებით 15%.

თურქეთისათვის სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროს სამი ძირითადი მიზეზის გამო წარმოადგენს. პირველი, რეგიონი წარმოადგენს

გასასვლელს ცენტრალურ აზიაში. მეორე, იგი უზრუნველყოფს კასპიის რეგიონში მოპოვებული ნავთობისა და გაზის დასავლეთის ბაზრების უზრუნველყოფის მთავარ ტერიტორიას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ირანის ანტიდასავლურმა პოლიტიკამ და აშშ-ის ირანის ბირთვული პროგრამის მიმართ გააქტიურებამ რეგიონს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს. მესამე, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან თანამშრომლობას თურქეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ამავე დროს, თურქეთი აწყდება გარკვეულ პოლიტიკურ დილემას საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ეს დაკავშირებულია რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან სამხრეთ კავკასიაში, კრემლის სამხედრო ყოფნასთან საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და სომხეთის ტერიტორიაზე განთავსებულ სამხედრო ბაზასთან, რაც წინააღმდეგობაში მოდის თურქეთის ინტერესებთან. ამავე დროს, როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთი თურქეთის მთავარ ეკონომიკურ პარტნიორსა და ენერგორესურსების ძირითად იმპორტიორს წარმოადგენს. რუსეთ-თურქეთის ვაჭრობის მოცულობა თითქმის 40 მილიარდ დოლარს აღწევს[277], ასევე, თუქეთი მოიხმარს რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის დაახლოებით 70%-ს.[278] "ცისფერი ნაკადის" პროექტი, წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნის კონკურენტულ გაზსადენს. არის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც გავლენას ახდენენ თურქეთის დამოკიდებულებაზე დასავლეთის სამხრეთ კავკასიის რეგიონში "შედწევასთან" დაკავშირებით. ეს მოიცავს აშშ-თურქეთის დაპირისპირებას ერაყის გარშემო, ასევე ანკარის წინააღმდეგობასთან, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ თურქეთს არ სურს დაიკავოს მეორეხარისხოვანი როლი აშშ-ის რეგიონალურ აქტივობებთან დაკავშირებით. შეიძლება სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული თურქეთის პოზიცია რუსეთ-საქართველოს ომის, ოფიციალური ანკარის უართან, დროულად გაეტარებინა ამერიკული სამხრედრო გემები ბოსფორისა და დარდანელის სრუტის გავლით საქართველოს ტერიტორიულ წყლებში.
აშშ-სთან რიგი უთანხმოებებისა და თურქეთის ევროკავშირში მიღებაზე არსებული პრობლემების გამოც შეიძლება აიხსნას თურქეთის ინიციატივა "სამხრეთ კავკასიის სტაბილურობის პლატფორმასთან" დაკავშირებით, რომლის განხორციელებაში რუსეთი აქტიურად უნდა ყოფილიყო ჩართული.

აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობები

აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მეგობრული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები მეტად აქტუალურია საქართველოსათვის. კასპიის ნავთობრესურსების ათვისებასა და მომავალი რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებულმა პროექტებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და სტრატეგიული პარტნიორი გახდა. მეგობრობა, ურთიერთგაგება და ერთიანი პოლიტიკა რეგიონალურ და საერთაშორისო საკითხებში ორი ქვეყნის თანამშრომლობის მყარი საფუძველია. ორი მოსაზღვრე ქვეყნის დღევანდელ ურთიერთობებს განაპირობებს პოზიციათა თანხვედრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორებიცაა კონფლიქტების მოწესრიგება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ლტოლვილების პრობლემების გადაწყვეტა, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედება, თანამშრომლობა სუამ-ის ფარგლებში და ზოგადი პროდასავლური კურსი.

[277] http://www.turkishweekly.net/news/96359/-jtw-interview-the-future-of-turkey-russia-relations.html
[278]B.Rumer and Jeffrey Simon. Toward a Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region. NDU. 2004. P. 8

აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის 2008 წლის მდგომარეობით დადებული იყო 100-ზე მეტი შეთანხმება, მათ შორის 5-გაზისა და ნავთობრესურსების მოხმარების და ექსპორტირების, ელექტროენერგეტიკის, მილსადენების განახლება-რეკონსტრუქციის სფეროში.

აზერბაიჯანმა და საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თითქმის იდენტური გზა განვლეს. მათ წინაშე მსგავსი ხასიათის პრობლემები იდგა-ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და სეპარატიზმი, სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტე და გარეშე ძალების ჩარევა, სამხედრო გადატრიალებები და სოციალ-ეკონომიკური ქაოსი. აზერბაიჯანსა და საქართველოში დღემდე მოუგვარებებლია ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რომლის მშვიდობიანი და წარმატებული მოგვარება ბევრადაა დამოკიდებული ერთობლივი პროექტების წარმატებულ განხორციელებაზე.

აზერბაიჯანული დიასპორა საქართველოში და ქართული დიასპორა აზერბაიჯანში (ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე), არასდროს გამხდარა ორ ქვეყანას შორის უთანხმოების მიზეზი. გარკვეული სირთულეების მიუხედავად, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი დამოუკიდებლობის პირველ წლებში იყო, ეთნიკური უმცირესობების არსებობა ორმხრივი თანამშრომლობის ხელშემწყობ ფაქტორად რჩებოდა.

ორი ქვეყანა დაინტერესებულია კავკასიაში მშვიდობით, რადგან მხოლოდ სტაბილურ გარემოში გახდება შესაძლებელი იმ ეკონომიკური (განსაკუთრებით რაღა თქმა უნდა სანავთობო) პროექტების განხორციელება, რომლებსაც საქართველო და აზერბაიჯანი საკუთარ ეკონომიკურ აყვავებასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას უკავშირებენ. კავკასიური მშვიდობის თემა ნათლად აისახა 1996 წლის 8 მარტს, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის თბილისში ვიზიტის დროს ხელმოწერილ „კავკასიის რეგიონში მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის დეკლარაციაში," ამავე დროს ხელი მოეწერა აზერბაიჯანული ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების ხელშეკრულებას.

ორ მეზობელ ქვეყანას შორის შთამბეჭდავი სახელშეკრულებო ბაზა არსებობს, აღსანიშნავია 1998 წლის 20 თებერვალს ხელმოწერილი დეკლარაცია "საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების შესახებ" და ხელშეკრულება "ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში თანამშრომლობის შესახებ."

ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებს ჩვენს ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. განსაკუთრებით აღსანიშნავია აზერბაიჯანული ნავთობისა და გაზის საქართველოში და საქართველოს გავლით ტრანსპორტირების საკითხი.

აზერბაიჯანი და საქართველო „აბრეშუმის გზის" საკვანძო ქვეყნებს წარმოადგენენ, სწორედ ბაქოში 1998 წლის 8 სექტემბერს მოეწერა ხელი ხელშეკრულებას „ტრასეკა"-ს პროექტის განხორციელების შესახებ. ცენტრალური აზიის რესურსების დასავლეთში ტრანსპორტირებისათვის უკვე ხორციელდება არაერთი პროექტი, რომლებშიც ორივე ქვეყანა აქტიურადაა ჩაბმული, კერძოდ, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების გავლით უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გადაიზიდებოდა „შევრონის" მიერ ყაზახეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ნავთობი. ორი ქვეყანა აქტიურად თანამშრომლობს „ტრასეკა"-ს, „ინოგეიტ"-ისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ სწორედ აზერბაიჯანის უშუალო მონაწილეობით, 2007 წლიდან საქართველომ თავი დააღწია რუსეთზე ენერგეტიკულ დამოკიდებულებას ბუნებრივი აირის სფეროში. დღევანდელ დღეს, საქართველო, თავისი გაზზე მოთხოვნილების 70%-ზე მეტს სწორედ აზერბაიჯანიდან იმპორტირებული რესურსებით იკმაყოფილებს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის პოზიციების თანხვედრა საერთო არენაზე თანამშრომლობის კუთხითაც გამოიხატება, სულ უფრო ვითარდება თანამშრომლობა სუამ-ის ფარგლებში. აზერბაიჯანი სუამ-ს, ზოგადი და სამხედრო-პოლიტიკური თავალსაზრისით (უშიშროება, ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, დიალოგი ნატო-სთან და ევროკავშირთან) და რუსეთ-სომხეთის ალიანსთან პოლიტიკური ბალანსის შესაძლებლობის გამო, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, პირველ რიგში კი სუამი რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობით დაინტერესებული ქვეყნების გაერთიანებაა.

სანავთობო პროექტები, აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოში გაზის იმპორტი, აზერბაიჯანული ინვესტიციებით ყულევის ტერმინალის გახსნა, მშვიდობა კავკასიაში, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარება, ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობა, დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის პარტნიორობის მტკიცე საფუძველს ქმნის.

ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აზერბაიჯანს კეთილმეზობლური ურთიერთობები რუსეთთანაც გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-საქართველოს ომის პირველ დღეებში ოფიციალურმა ბაქომ განაცხადა, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება სამხედრო გზით სწორ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა, მაგრამ, მოგვიანებით აზერბაიჯანმა თავი შეიკავა მსგავსი განცხადებებისაგან რუსეთის გაღიზიანების დაბალანსების მიზნით. აღსანიშნავია რუსეთ-საქართველოს ომის ორი მნიშვნელოვანი ასპექტი. პირველი, თუ საქართველო მოახერხებდა თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას სამხედრო გზით, აზერბაიჯანს გაცილებით მეტი არგუმენტი ექნებოდა გადაეწყვიტა მთიანი ყარაბაღის პრობლემა ძალის გამოყენებით. აზერბაიჯანის თავდაცვის ბიუჯეტი 2011 წელს 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდის შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანმა მნიშვნელოვანი შემოსავლები მიიღო, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში სულ უფრო მეტს საუბრობენ მთიანი ყარაბღის პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტაზე. ამავე დროს, ბაქო აცნობიერებს, რომ საქართველო-რუსეთის ომი წარმოადგენს კარგ ილუსტრაციას იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ომს რუსეთის მოკავშირესთან, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სომხეთი დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა და რუსეთს გააჩნია იურიდიული ვალდებულება დაიცვას სომხეთი ომის შემთხვევაში.

საქართველო-სომხეთი

ორ ქვეყანას შორის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ამ ხნის განმავლობაში ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის მეტად კეთილმეზობლური ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ამგვარი ურთიერთობის შენარჩუნება ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან გატარებული საგარეოპოლიტიკური კურსი, და განსაკუთრებით

კი აზერბაიჯანთან და თურქეთთან დაახლოების პროცესი, ასევე თანამშრომლობა "სუამის" ფარგლებში, სომხეთის პოლიტიკურ წრეებში აშკარა უკმაყოფილებას იწვევდა. ამ მხრივ მეტად საინტერესო მაგალითად შეიძლება გამოდგეს ერთ-ერთი სომხური სტატია, რომელიც თავის დროზე გამოქვეყნებულ იქნა სომხეთის ხელისუფლების ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო-„რესპუბლიკა არმენია“-ში, სადაც აშკარად იყო გამოხატული საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის კრიტიკა. სომხურ პრესაში პერიოდულად ჩნდებოდა სტატიები, რომლებიც რბილად რომ ვთქვათ, ქართული მხარისათვის მოსაწონი არ უნდა ყოფილიყო. თუმცა ამაში შეიძლება არაფერია საგანგაშო, რადგან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ქვეყანაში შედარებით თავისუფალია და შესაძლებელია ნებისმიერი მოსაზრების გამოთქმა. მაგრამ, ერთია თავისუფალი თუ ოპოზიციური პრესა და მეორეა ოფიციალური სამთავრობო გაზეთის, „რესპუბლიკა არმენიის“ ფურცლებზე გაჟღერებული კრიტიკა. გაზეთისა, რომლის დამფუძნებელიცაა სომხეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

აღნიშნულ გაზეთში დიდ უკმაყოფილებას იწვევს საქართველოს საგარეოპოლიტიკური ორიენტაცია. „ბრალდებები“ ახალი არ არის და კარგად ცნობილია ქართველებისათვის კ. ზატულინის, ა. მიგრანიანის და მრავალი სხვა რუსი თუ არარუსი ჟურნალისტების მხრიდან, და მათი ყაიდის პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა ნაწერებიდან, რომლებიც არც თუ იშვიათად აქვეყნებენ თავიანთ პასკვილებს რუსულ პრესაში.

რაც შეეხება გაზეთს „რესპუბლიკა არმენია“, ამ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი იყო სერგეი შაკარიანი, რომლის სტატიას ერქვა „общекавказскийдомилипроходнойдвор?“ შაკარიანის უკმაყოფილებისა და გაღიზიანების მთავარი მიზეზი გახლდათ საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება, კასპიის ნავთობის ათვისებისა და ტრანსპორტირების პროექტების სფეროში თანამშრომლობა, აგრეთვე ორი ქვეყნის სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენების მცდელობა.

„საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელმღვანელობას არ შეიძლება არ ესმოდეთ, რომ ნავთობი, გაზი, მილსადენები, კომუნიკაციები, აბრეშუმის გზის აღდგენის გეგმები დიდი სტრატეგიული თამაშის რგოლებია“-გვეუბნება გაღიზიანებული ანალიტიკოსი და ისეთ „მრისხანე“ გეოპოლიტიკურ დასკვნებს აკეთებს, რომ ცხადი ხდება-ავტორს ძალზე შეუშფოთებია ორი ქვეყნის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო თანამშრომლობის პერსპექტივები.

საქართველო, რომელსაც მეტად ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია, ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთ რეალურ გზად ქვეყნის სატრანზიტო შესაძლებლობების გამოყენებას მიიჩნევს და ამან, ნორმალურ შემთხვევაში, არავის გაღიზიანება არ უნდა გამოიწვიოს, მითუმეტეს იმ ქვეყანაში, რომელსაც არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი, გეოგრაფიულად არახელსაყრელი მდებარეობა უკავია და იმის გამო, რომ ოთხი უშუალო გეოგრაფიული მეზობელიდან ორთან არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა და ამიტომაც თვითონაა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული საქართველოს ტერიტორიის გავლით განხორციელებულ ტრანზიტზე და რომელიც თავის ტერიტორიაზე იმპორტირებული პროდუქციის უდიდეს ნაწილს საქართველოს ტერიტორიის გავლით იღებს.

რაც შეეხება საქართველოს ძალისხმევის შეფასებას „პროხოდნოი დვორ“-ის სახელწოდებით, ეს ეპითეტი უფრო იმ ქვეყნის ნეოიმპერიულად განწყობილი ანალიტიკოსებისა და პოლიტიკოსების სტილია, რომელთა სამეტყველო ენითაც გვაშინებდა შაკარიანი.

შაკარიანი აღშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა „არაერთხელ სცადეს რუსეთის გავლენისაგან თავის დაღწევა და მისი პოზიციების მკვეთრად შესუსტება კავკასიაში“.

არც თავად შაკარიანი და არც ნეოიმპერიალისტურ პოზიციებზე მდგომი ჩრდილოეთელი ანალიტიკოსები, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ იმისათვის, რომ თავიანთი პრესის ფურცლებზე საქართველოს საწინააღმდეგო სტატიები გამოექვეყნებინათ, არ უღრმავდებიან საკითხს იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს „რუსეთის გავლენის შენარჩუნება“ საქართველოში ან აზერბაიჯანში. ეს შემთხვევითი არაა, „რუსეთის გავლენისა“ თუ „პოზიციების შენარჩუნებაში“ არსებითად იგულისხმება ის, რისგანაც თავს უნდა იკავებდეს ერთი სუვერენული სახელმწიფო მეორის მიმართ, თუკი რა თქმა უნდა, აღნიშნული სახელმწიფო თავისუფალია იმპერიულ-აგრესიული ზრახვებისაგან.

ასეთ სტატიებზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის აღნიშვნა, რომ მიუხედავად ორ ქვეყანას შორის არსებული თბილი ურთიერთობებისა, სომხეთის როგორც ოპოზიციურ, ასევე სახელისუფლებო წრეებში არიან გარკვეული ძალები, რომლებსაც მეტად აღიზიანებთ საქართველოს მიერ ბოლო წლებში გატარებული საგარეო პოლიტიკა და მას სომხეთის სტრატეგიული ინტერესების საზიანოდ მიიჩნევენ.

საქართველოსა და სომხეთს შორის შესაძლო დაძაბულობის საბაბად ხშირად განიხილავენ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხების საკითხს (რომელთა ხვედრითი წილი ახალქალაქის რაიონის მოსახლეობაში 95%-ია), თანაც აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენი ამ რეგიონის სიხლოვეს გადის, რომ არაფერი ვთქვათ ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის მომავალ რკინიგზაზე, რომელიც უშუალოდ ჯავახეთის ტერიტორიას გადაკვეთს.

ჯერ კიდევ 1998 წელს, ადგილობრივმა სომხებმა სომხეთის რადიკალური ძალების წაქეზებით შექმნეს მოძრაობა "ჯავახკი". აღნიშნული ორგანიზაციის ოფიციალურ მიზნებად და სამოქმედო პროგრამად გამოცხადებული იყო სომხების კულტურული თვითმყოფადობის დაცვა და რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარება. მაგრამ, მათ ნამდვილ მიზნად მოგვიანებით საქართველოს სამხრეთ ნაწილში სომხებით დასახლებული რეგიონისათვის პოლიტიკური ავტონომიის შექმნა იქცა, რის შემდგომ ეტაპად ალბათ სომხეთთან გაერთიანების მოთხოვნაც ჩაიფიქრებოდა. ენერგეტიკულ პროექტებში საქართველოს, როგორც ერთ-ერთი მთავარი მონაწილის ჩართვის შემდეგ, გარეშე ძალების გარკვეული ჩარევით „ჯავახკმა“ თავისი მოღვაწეობა რეგიონში კიდევ უფრო გააქტიურა. მოძრაობა „ჯავახკ“-ის სეპარატისტულ ტენდენციებს მოსკოვი უჭერდა მხარს, რათა დამატებითი ბერკეტები მოეპოვებინა საქართველოს ხელმძღვანელობაზე გავლენის მოსაპოვებლად და საქართველოს, როგორც ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების სატრანზიტო ქვეყნის იმიჯის დაცემას.

ჯავახეთში სიტუაციას ართულებდა ის ფაქტი, რომ აქ 2007 წლამდე განლაგებული იყო ახალქალაქის 62-ე სამხედრო ბაზა, საიდანაც "ჯავახკ"-ის წევრებს დიდი რაოდენობით იარაღი გამოჰქონდათ, რომელიც ადვილი შესაძლებელია შემდგომში გამოყენებული იქნება თურქეთისაკენ მიმავალ რკინიგზაზე დივერსიული აქტების ჩასატარებლად. ამავე დროს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯავახეთში სიტუაციის საბოლოოდ დარეგულირებას მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებული

“მილენიუმის ჩელენჯის” პროგრამა, რომლის მიხედვითაც ვაშინგტონის მიერ გამოყოფილი 295 მილიონი დოლარიდან დაახლოებით 100 მლნ. დოლარი თბილისი-ახალქალაქის გზის ქსელის რეაბილიტაციას მოხმარდა. როგორც ცნობილია, გზის მშენებლობა 2010 წლის შემოდგომაზე დასრულდა. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის მომავალ რკინიგზას, რომლის მშენებლობაზე შესაძლებელია ჯავახეთის რეგიონის მცხოვრები მრავალი ადამიანის დასაქმება.

სომხეთის ახლანდელი ხელისუფლება თავს იკავებს ჯავახეთის საკითხთან დაკავშირებით კომენტარებისაგან. ის რეალურად აფასებს სიტუაციას და როგორც გავლენიანი სომეხი ექსპერტები ფიქრობენ, ეცდება არ გაამწვავოს საქართველოსთან ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის ხელისუფალნი მეტად ნეგატიურად არიან განწყობილნი საქართველოს აქტიური ჩართვით სანავთობო და სარკინიგზო პროექტებში. და მაინც, კავკასიის ორ მოძმე სახელმწიფოს, საქართველოსა და სომხეთს ყოველთვის ჰქონდა და დღესაც აქვს საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები.

სომხეთის მხრიდან საქართველოსადმი დაინტერესებას აძლიერებს ბათუმიდან და ფოთიდან სომხეთისაკენ მიმავალი სატრანსპორტო არტერიები. სომხეთისათვის საქართველო რუსეთთან დაკავშირების თითქმის ერთადერთი გზაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2010 წლის 1 მარტიდან კვლავ გაიხსნა რუსეთ-საქართველოს სახმელეთო საზღვარი - სასაზღვრო პუნქტი ზემო ლარსი, ხოლო აზერბაიჯანისა და თურქეთის მხრიდან არსებულ ბლოკადას თუ გავითვალისწინებთ, იგი სომხეთის დასავლეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი ხიდია.

ორმხრივი ურთიერთობების განვითარების გარდა, გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები კავკასიის ქვეყნებს შორის რეგიონული, ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მიზნით. ორივე სახელმწიფო 2004 წლიდან არის ევროკავშირის “სამეზობლო პოლიტიკის”, ხოლო 2009 წლიდან ევროკავშირის “აღმოსავლეთის პარტნიორობის” პროგრამის წევრი და შესაბამისად, ერთობლივად მონაწილეობს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე პროექტებში. სომხეთი და საქართველო უკვე არაერთი წელია ერთმანეთთან თანამშრომლობენ ევროპის საბჭოს, ასევე ნატო-ს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში

კავკასიაშიგანვითარებულმაბოლოდროინდელმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კავკასიის ქვეყნების სტაბილურობა და მშვიდობიანი მომავალი მხოლოდ საერთო რეგიონული თანამშრომლობის გზით მიიღწევა, და მიუხედავად ზოგიერთ სფეროში ინტერესთა სხვადასხვაობისა (მაგალითად კასპიის ენერგეტიკული პროექტები), ორ ქვეყანას შორის ინტეგრაციულ პროცესებს ალტერნატივა არ აქვს.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს, რუსეთის მოკავშირეებს შორის სომხეთმა ყველაზე დიდი დანაკლისი განიცადა. აზერბაიჯანისა და თურქეთის მხრიდან ბლოკადის პირობებში, საქართველო ერევნისათვის დანარჩენ მსოფლიოზე გასასვლელად ძირითად ტერიტორიას წარმოადგენს. საგარეო-სავაჭრო ოპერაციების 70%-ზე მეტი, სწორედ საქართველოს ტერიტორიის გავლით ხორციელდება. ომის დროს, სომხეთმა დაახლოებით 680 მილიონი დოლარისდანაკლისი განიცადა[279].როდესაც რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა ააფეთქეს სარკინიგზო ხიდი

[279]http://www.cipdd.org. Caucasus Institute for Peace, Democracy and Development.
After August 2008: consequences of the Russian-Georgian war. p. 18

შიდა ქართლში, სომხეთმა სასწრაფოდ გააგზავნა შესაბამისი მასალები და ინჟინრები სარკინიგზო ხიდის რეკონსტრუქციის მიზნით.

რუსეთ-საქართველოს ომმა სომხეთი გარკვეული დილემის წინაშე დააყენა. როგორც რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე რეგიონში, სომხეთი უნდა მისალმებოდა რუსეთის ქმედებებს. მაგრამ, მეორეს მხრივ, საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ აიძულა ოფიციალური ერევანი, დაეკავებინა საშუამავლო პოზიცია ოფიციალური თბილისის გაღიზიანების დასაბალანსებლად.

მოსკოვისაგან ზეწოლის მიუხედავად, მხოლოდ 13 აგვისტო იყო გამონაკლისი, როდესაც სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა დაურეკა დიმიტრი მედვედევს და მადლობა გადაუხადა რეგიონში "სტაბილურობის" დამყარებისათვის. ამავე დროს, რუსეთის დიდი მცდელობის მიუხედავად, ერევანმა უარი განაცხადა ეღიარებინა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.[280]

უნდა აღინიშნოს,რომ სომხეთის პოლიტიკური ელიტა იმედოვნებს, რომ ოფიციალური ბაქო გაითვალისწინებს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებს და არასდროს მიმართავს ძალას აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა ძალის გამოყენებით.
აუცილებელია აღინიშნოს, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, სომხეთმა დაიწყო ურთიერთობების ნორმალიზება თურქეთთან, რაც დაკავშირებული იყო თურქეთის პრეზიდენტის ვიზიტთან ერევანში 2008 წლის 6 სექტემბერს და მისი საფეხბურთო მატჩზე დასწრება თურქეთისა და სომხეთის ეროვნულ ნაკრებებს შორის.[281]
იმ შემთხვევაში, თუ თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვარი გაიხსნება და სომხეთის საქართველოზე ეკონომიკური დამოკიდებულება რამდენადმე შემცირდება, მოსკოვი შეეცდება საქართველოზე ზეწოლის გაძლიერებას, თუმცა მიუხედავად ამისა, სომხეთის საგარეო ვაჭრობა კვლავ დიდწილად იქნება დამოკიდებული საქართველოს ტერიტორიაზე, მითუმეტეს მას შემდეგ, რაც როგორც ზემოთ აღინიშნა, 2010 წლის 1 მარტიდან კვლავ გაიხსნა რუსეთ-საქართველოს საზღვარი ზემო ლარსში.

ირანი და საქართველო

ისტორიულად ირანის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას კავკასია წარმოადგენდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთთან განცდილი რამდენიმე მარცხის შემდეგ, კავკასია დიდი ხნის მანძილზე მიუწვდომელი რჩებოდა ამ ქვეყნისათვის, რომელიც ოდესღაც რეგიონის ბატონ-პატრონად

[280]Hovannes Shoghikian, "Russia seeks Armenian recognition of Georgian regions", *Armenialiberty*, September 3, 2008, http://www.armenialiberty.org/armeniareport/report/en/2008/09/93D9ECA8-7301-4920-BF20-9056B6124D20.ASP (accessed September 4, 2008).

[281]Emil Danielyan, "Armenia, Turkey ease tensions after historic Erevan summit", *Armenialiberty*, September 8, 2008, http://www.armenialiberty.org/armeniareport/report/en/2008/09/640B3F40-F23A-443D-8CB7-A8F24A7FD6E8.ASP (accessed September 9, 2008).

მიიჩნევდა თავის თავს. ჯერ ცარიზმმა, ხოლო შემდგომში ბოლშევიკურმა რუსეთმა ირანის კავკასიისაგან გამიჯვნა მოახერხა.

1991 წელს სსრკ-ის დაშლამ ირანის ხელისუფლებას ახალი პერსპექტივები გაუხსნა კავკასიაში. ყველანი მოელოდნენ, რომ ირანსა და მის ისტორიულ მეტოქე თურქეთს შორის კავკასიაში და შუა აზიაში გავლენის მოპოვების მიზნით სერიოზული ბრძოლა გაჩაღდებოდა. ფაქტობრივად, ეს უნდა ყოფილიყო ბრძოლა ორ "მოდელს"-თურქულ სეკულარულ, დასავლეთზე ორიენტირებულ და ირანულ ისლამისტურ, ანტიდასავლურ სახელმწიფოებრიობას შორის.

კავკასიას რომ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს როგორც ირანის, ასევე თურქეთისათვის, ეს საკამათო არ არის. არც ის უნდა იყოს საეჭვო, რომ რეგიონში გავლენის გავრცელების საქმეში თურქეთისა და ირანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აზერბაიჯანს ენიჭება. თურქეთი მჭიდროდაა დაკავშირებული აზერბაიჯანთან ეთნოლინგვისტური და კულტურული თვალსაზრისით. ირანს აზერბაიჯანთან რელიგია აკავშირებს, რადგან ირანელთა მსგავსად აზერბაიჯანელთა უმეტესობა შიიტი მუსლიმია. გარდა ამისა, წლების მანძილზე სპარსულმა კულტურამ სერიოზული გავლენა იქონია აზერბაიჯანზე და შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი დაღიც კი დაასვა მას. ბოლოსდაბოლოს, აზერბაიჯანი ხომ თავისი ისტორიის მანძილზე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სპარსეთის იმპერიის ნაწილი იყო. თუმცა ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „საუკუნის კონტრაქტის" (სანავთობოპროექტები) ხელმოწერის შემდგომ ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის გაუარესდა, რადგან აზერბაიჯანმა აშშ-ის ზეწოლით ირანს საბოლოოდ უარი უთხრა მისთვის საერთაშორისო სანავთობო კონსორციუმში თავდაპირველად განკუთვნილ 5%-იან წილზე. ურთიერთობას ორ ქვეყანას შორის ართულებს ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის ამჟამინდელი ხელისუფლებასმეტნაკლებად პროდასავლური კურსი აქვს აღებული, აღნიშნული ფაქტი ირანის გაღიზიანებას იწვევს, რაც რუსეთთან და სომხეთთან დაახლოების პროცესში გამოიხატება. ირანი, ისევე როგორც სომხეთი და რუსეთი, აზერბაიჯანის ნავთობის დასავლეთში ექსპორტის სასტიკი წინააღმდეგია.

ირან-საქართველოს ურთიერთობები

როგორც ისტორიიდან ცნობილია, ირანს საქართველოს, როგორც ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყნის მიმართ ყოველთვის დიდი ინტერესები გააჩნდა, რადგან ჩვენს ქვეყანაზე კონტროლის მოპოვება სპარსეთს საშუალებას აძლევდა კავშირი დაემყარებინა ჩრდილო კავკასიის მუსლიმანურ სახანოებთან, აგრეთვე მოეპოვებინა გავლენა ევროპისა და აზიის გზასაყარზე მდებარე ქვეყანაზე, რომლიდან სხვადასხვა მიმართულებით სავაჭრო გზები მიემართებოდა. როგორც ცნობილია, აღნიშნული ფაქტორის გამო, საქართველო არაერთხელ გამხდარა ირანის მხრიდან თავდასხმის ობიექტი.

1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ირანმა ჩვენს ქვეყანაზე კონტროლი საბოლოოდ დაკარგა. რაც შეეხება თანამედროვე ეტაპს, ირანისათვის რაღა თქმა უნდა მიუღებელია ჩვენი ქვეყნის მიერ აღებული პროდასავლურიკურსი, კასპიის ენერგეტიკულ პროექტებში აქტიური მონაწილეობა და შესაბამისად რეგიონში თეირანის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტთან - თურქეთთან დაახლოება. მაგრამ, ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ირანის ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოსთან მიმართებაში რეალურად აფასებენ შექმნილ სიტუაციას და ცდილობენ ჩვენს ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნებას, რადგან ირანი დაინტერესებულია საქართველოს ნავსადგურების გამოყენებით თავისი პროდუქციის ექსპორტისათვის.

აღნიშნული ნათლად გამოჩნდა მას შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ 1995 წელს თბილისს ოფიციალური სამდღიანი ვიზიტით ეწვია ირანის მაშინდელი პრეზიდენტი ჰაშემი რაფსანჯანი, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტთან თბილისში შეხვედრის შემდეგ მოინახულა ფოთისა და ბათუმის პორტები და აღნიშნა მათი დიდი მნიშვნელობა ირანის ეკონომიკისათვის.

საქართველოსადაირანისურთიერთობებსმრავალსაუკუნოვანიისტორია გააჩნია, საქართველოსმიერდამოუკიდებლობისგამოცხადებისშემდეგსაქართველოსადაირანისი სლამურრესპუბლიკასშორისდიპლომატიურიურთიერთობადამყარდა 1992 წლის 15 მაისს.
ასევეაღსანიშნავიაისმნიშვნელოვანიორმხრივივიზიტები, რომლებიცამხნისგანმავლობაშიშედგასაქართველოსადაირანისისლამურრესპუბლიკა სშორის. *<u>საქართველოსმხრიდან</u>*: 1993 წლისიანვარშისაქართველოსსახელმწიფომეთაურისედუარდშევარდნაძისვიზიტიირან ში; 1996, 1998, 2000 წლებშისაგარეოსაქმეთამინისტრისირაკლიმენაღარიშვილისვიზიტი; 2001 წლის 19-20 აპრილს,პარლამენტისთავმჯდომარისზურაბჟვანიასვიზიტი; 2004 წლის 6-9 ივლისსპრეზიდენტმიხეილსააკაშვილისვიზიტი; 2006 წლის 22-23 ოქტომბრისსაგარეოსაქმეთამინისტრის,გელაბეჟუაშვილისადაენერგეტიკისმინისტრის ნიკაგილაურისვიზიტი. 2009 წლის 1-4 მარტს, ირანში შედგა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე ნალბანდოვის ვიზიტი, იმავე წლის მარტში ირანს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში, თემურ იაკობაშვილიც ეწვია, ხოლო 2010 წლის 18 იანვარს შედგა საქართველოს საგარეო სამქეთა მინისტრის, გრიგოლ ვაშაძის ვიზიტი.[282]

ყველაზე საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2006 წლის სექტემბერში, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრესიდენტს, მაჰმუდ აჰმადინეჯადს.
<u>ირანისმხრიდან</u>: 1995 წელსპრეზიდენტისალიაქბარჰაშემირაფსანჯანისვიზიტი; 1996 წელსსაგარეოსაქმეთამინისტრისალიაქბარველაიათისვიზიტი; 2001 წელსირანისეროვნულიუშიშროებისსაბჭოსმდივნისჰასანრუჰანისვიზიტი; 2003წელსსაგარეოსაქმეთამინისტრისქამალხარაზისვიზიტიდა 2005 წლის 25-26 აპრილსირანისისლამურირესპუბლიკისპირველივიცე-
პრეზიდენტისმუჰამედრეზაარეფისვიზიტი. 2008 წლის 20 იანვარს, ხოლო შემდგომში იმავე წლის 17 სექტემბერს შედგა ირანის საგრეო საქმეთა მინისტრის, მანუჩარ მოთაქის ვიზიტი. 2010 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ.[283]

თანამშრომლობისსფეროებსწარმოადგენსმუდმივიპოლიტიკურიდიალოგიორმხრივდამ რავალმხრივფორმატში; ასევეთანამშრომლობაენერგეტიკისსფეროში, რადგანსაქართველოსთვისმნიშვნელოვანიაირანთან, როგორცენერგომატარებლისალტერნატიულმომწოდებელთანთანამშრომლობა.
სწორედამმიზეზითიყოგანპირობებული 2006 წლის 22-23 ოქტომბრისსაგარეოსაქმეთამინისტრისგელაბეჟუაშვილისადაენერგეტიკისმინისტრისნ იკაგილაურისვიზიტი, საქართველოშიშექმნილიპრობლემისგამო, როდესაც რუსეთმასაქართველოსშეუწყვიტაბუნებრივიაირისმიწოდება.
თანამშრომლობატრანსპორტისსფეროში – საქართველოსთვისმნიშვნელოვანიაქვეყნისსატრანსპორტოინფრასტრუქტურისდივერს იფიკაცია; ასევეარსებობს

[282] http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=306&lang_id=GEO
[283] იქვე

თანამშრომლობაგანათლებისდამეცნიერებისსფეროშიდასაერთაშორისოორგანიზაციებისფარგლებში. ირანისთვისსაქართველოერთ-ერთიმნიშვნელოვანიპარტნიორია. ქვეყნებსშორისფუნქციონირებსერთობლივისამთავრობათშორისოეკონომიკურიკომისია.

რაც შეეხება სამართლებრივ ბაზას, ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილია 47 დოკუმენტი, მათ შორის:

- ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო სატრანსპორტო სფეროში;
- შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების ურთიერთწახალისების და დაცვის შესახებ;
- საქართველოს მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების და შემოსავლებსა და კაპიტალზე გადასახადის გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ;
- შეთანხმება სავაჭრო თანამშრომლობის შესახებსაქართველოს მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის.

არაეთგზის შედგა ირანის მაღალი რანგის წარმომადგენლების თბილისში, და საქართველოს წარმომადგენლების თეირანში ვიზიტები. დღის წესრიგიდან ჯერ არ მოხსნილა და მოლაპარაკების სტადიაშია ირანის მიერ ბუნებრივი გაზის საქართველოში ექსპორტის საკითხი სომხეთის ტერიტორიის გავლით.

მიუხედავად ორი ქვეყნის ძირითადი საგარეოპოლიტიკური კურსის განსხვავებისა, ორივე ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები მეტად დაინტერესებულნი არიან ერთმანეთთან თანამშრომლობის გაფართოებისაკენ რაც ყოველთვის აღინიშნება საქართველოსა და ირანის ოფიციალურ წარმომადგენლების სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მოლაპარაკებების დროს.

ირანის მხრიდან, საქართველოსთან თანამშრომლობის ინტერესს განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

ირანისათვის მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მათ შორის საზღვაო ნავსადგურების გამოყენება საგარეო-სავაჭრო ურთიერთობათა განხორციელების პროცესში;

ირანი დაინტერესებულია ხელი შეუწყოს თავის კომპანიებს დააბანდონ ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში;

საქართველოსათვის ირანთან თანამშრომლობას ინტერესს კი შემდეგი ასპექტები განსაზღვრავს:

საქართველო დაინტერესებულია ირანის მხრიდან ინვესტიციების მიღებით;

ირანი განიხილება როგორც ბუნებრივი აირის ალტერნატიული მიმწოდებელი ქართულ ენერგეტიკულ ბაზარზე. როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც 2006 წლის იანვარში რუსეთში მოხდა გაზსადენის აფეთქება, რის შედეგადაც შეწყვეტილ იქნა საქართველოსათვის ბუნებრივი აირის მიწოდება, სწორედ ირანმა მიაწოდა მაშინ საქართველოს ბუნებრივი აირი. დღევანდელ დღეს, საქართველოში ბუნებრივი აირის უმთავრესი მიმწოდებელი გახლავთ აზერბაიჯანი, თუმცა საქართველო მზად უნდა იყოს საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ბუნებრივი აირი ირანიდანაც იმ შემთხვევაში, თუ მოხდა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მილსადენის ტექნიკური

დაზიანება, ან უარეს შემთხვევაში აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერება ხელშეკრულებას აზერბაიჯანში მოპოვებული ბუნებრივი აირის მთლიანი მოცულობის რუსეთის მიერ შესყიდვის თაობაზე.

საქართველო-უკრაინა

მნიშვნელოვანი პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზეზთა გამო დსთ-ის სივრცეში უკრაინა საქართველოსათვის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორს წარმოადგენს, მათ შორის უკრაინაში 2010 წლის იანვარში ხელისუფლების სათავეში ვიქტორ იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგაც.

როგორც ცნობილია, თავის დროზე სწორედ უკრაინა იყო კავკასიის ორ სახელმწიფოსთან ერთად (საქართველო, აზერბაიჯანი),ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანების –სუამის შექმნის ინიციატორი.

საქართველოსა და უკრაინას შორის არსებობს თითქმის ყველა სფეროში თანამშრომლობის სოლიდური, პრაქტიკულად ამოუწურავი სამართლებრივ-სახელშეკრულებო ბაზა, და რაც მთავარია, ორ ქვეყანას შორის დადებულია სრულიად უნიკალური ყოვლისმომცველი ხელშეკრულება „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“.

უკრაინა ის ქვეყანაა, რომელიც პირველი გამოეხმაურა საქართველოს თხოვნას, საქართველოს სასაზღვრო ინფრასტრუქტურის შექმნაში მონაწილეობის შესახებ. მან პირველმა გადმოსცა ჩვენს ქვეყანას სასაზღვრო კატარღა. უკრაინაში სამხედრო მომზადებას გადიოდნენ ქართველი ოფიცრები, უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნულ აკადემიაში სწავლობდნენ საქართველოს ძალოვანი სამინისტროებისა და უწყებების კურსანტები. შეიძლება ითქვას, რომ უკრაინა, პრაქტიკულად სხვა ქვეყნებს საქართველოსთან თანამშრომლობის მაგალითს აძლევს და საქართველოს უშიშროების გარანტ ქვეყნად შეიძლება მივიჩნიოთ.

ასევე აქტიურად და წარმატებით ვითარდება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობა. საქართველომ და უკრაინამ, რომლებსაც საკვანძო მდებარეობა უკავიათ დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ევრაზიის დერეფანში, ნაყოფიერად დაიწყეს თავიანთი ბუნებრივ-გეოგრაფიული შესაძლებლობის რეალიზაცია. დღეს, უკვე ორი ქვეყნის საზღვაო სანაპიროებს აკავშირებთ საბორნე, და სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელები, მატულობს ტვირთბრუნვა და ამ პროცესს საკმაოდ იმედისმომცემი მომავალი აქვს. 2010 წლის მონაცემებით, უკრაინას, საქართველოს მთავარ საგარეო-სავაჭრო პარტნიორებს შორის მესამე ადგილი უკავია. 2010 წლის იანვარ-მაისში, საქართველოდან უკრაინაში განხორციელებული ექსპორტის მოცულობამ 37,5 აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ექსპორტის 6,2%). ხოლო, იმავე პერიოდში უკრაინიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტის მოცულობა 200,1 მლნ. დოლარს გაუტოლდა (საერთო იმპორტის 11%).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკრაინა დაინტერესებულია საქართველოს გამოცდილებით კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო ბიზნესის წარმართვის სიმარტივის მაჩვენებლის მიხედვით 183 ქვეყნიდან მე-12 ადგილზეა, ხოლო უკრაინა მხოლოდ 145. შესაბამისად, 2010 წლის ივლისში საქართველოს უკრაინის ვიცე-პრემიერი, სერგეი ტიგიპკო ეწვია, რომელიც შეხვდა ქართველ მინისტრებს და გაიზიარა მათი

გამოცდილება საბანკო სისტემის და ეკონომიკური რეფორმების კუთხით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 2010 წლის ნოემბერში შედგა ტიგიპკოს მეორე ვიზიტი.

მეორე მხრივ, ორი ქვეყნის თანამშრომლობის უფრო ფართო ასპარეზს სახავს კასპიის ზღვის აუზის ენერგოშემცველების ექსპორტი უკრაინაში. უკრაინა მზად არის მათ მისაღებად და ზრდის თავის შესაძლებლობებს როგორც ენერგოშემცველების ადგილზე გადამუშავების, ისე დასავლეთისაკენ მათი ტრანსპორტირების თვალსაზრისით. ანუ, იგი იყო და რჩება ენერგოშემცველების დიდ მომხმარებლად და ამავე დროს, ამ რესურსების სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციასაც იძენს. ეს ფუნქცია კი კიდევ უფრო აახლოებს მეგობარი და პარტნიორი ქვეყნების საერთო ინტერესებს.

რა თქმა უნდა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ორივე ქვეყნის სურვილს, მაქსიმალურად დაუახლოვდნენ ევროპულ ინსტიტუტებს, მათ შორის ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში. ამაზე მოწმობს ის ფაქტიც, რომ 2010 წლის 11 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ უკრაინას საჯაროდ შესთავაზა ერთიანი განაცხადი შეეტანათ ევროპის კავშირის წევრობაზე და დასძინა, რომ წევრობა "ოქროს მიზანია" ორივე ქვეყნისათვის.

ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობა

ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის დაიწყო "დიდი აბრეშუმის გზის" დროიდან, რომელიც ჩინეთს შავი ზღვის სანაპიროებთან აკავშიერბდა. ეს გზა იწყებოდა ჩინეთში და 2 განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ. ცენტრალური აზია - კასპიის ზღვით უკავშირდებოდა კავკასიას, გადაკვეთდა საქართველოს და შავი ზღვით ბერძნულ ქალაქებსა და რომს აღწევდა.

დიდი აბრეშუმის გზის განვითარებამ ხელი შეუწყო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის.

თანამედროვე პერიოდში ჩინეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა 1992 წლის 9 ივნისს, როდესაც ხელი მოეწერა ორმხრივ კომუნიკეს.

ჩინეთი და საქართველო კმაყოფილია ურთიერთობათა განვითარებით ბოლო 15 წლის განმავლობაში. ჩინეთის მხარე აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, და მიესალმება საქართველოს მცდელობას, რომელიც მიმართულია ქვეყნის სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარებისათვის.

ჩინეთის სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო წრეები აფართოებენ საქმიან თანამშრომლობას საქართველოსთან ჰუმანიტარულ, განათლებისა და კულტურის სფეროში. ხშირდება პირდაპირი გაცვლები 2 ქვეყნის რეგიონებსა და ქალაქებს შორის.

სამომავლოდ, ჩინეთის მხარე განაგრძობს ჩინეთ-საქართველოს მეგობრული დამოკიდებულების განვითარებას. ორივე ქვეყანა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს შემდეგი მიმართულებით: პირველ რიგში – გააძლიერონ კავშირები და კონსულტაციები ორი ქვეყნის შესაბამის სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის სხვადასხვა დონეზე. მეორე მხრივ – იზრდება სავაჭრო-ეკონომიკურურთიერთობათა მოცულობა ჩინეთსა და საქართველოს შორის. აგრეთვე პრიორიტეტულია თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურისა და სხვა სფეროებში.

დღევანდელ დღეს ურთიერთობები სულ უფრო ინტენსიურ სახეს იძენს. 2006 წელს ჩატარდა ერთობლივი ბიზნეს-ფორუმები ჩინეთში საქართველოს პრეზიდენტისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის ვიზიტის ფარგლებში.

2008 21 მარტს დაიდო შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ამ სფეროში ახალი შეთანხმებები დადებულ იქნა 2009 წლის 29 დეკემბერს და 2010 წლის 4 ივლისს.

2010 წლის 17-22 მარტს ჩინური მხარის მიწვევით განხორციელებულ იქნა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ჩინეთში.[284]

მნიშვნელოვანი აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი არის რუსეთისა და ჩინეთის ინიციატივით დაფუძნებული შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი, ოფიციალურმა პეკინმა, კრემლის მცდელობის მიუხედავად, უარი განაცხადა საქართველოს ორი ოკუპირებული რეგიონის "დამოუკიდებლობის" აღიარებაზე.

იაპონია და საქართველო

კავკასიის რეგიონის მიმართ თავისი ეკონომიკური ინტერესები რეგიონიდან გეოგრაფიულად საკმაოდ დაშორებულ იაპონიასაც გააჩნია.

იაპონია წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ მოკავშირეს, ამიტომაც იგი ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად დაინტერესებულია კავკასიაში ამ რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცებითა და დემოკრატიის განვითარებით.

საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა 1992 წლის 3 აგვისტოს.

კავკასიის რეგიონისადმი იაპონიის დაინტერესებამ შექმნა წინაპირობა იაპონიის მიერ საქართველოსადმი სხვადასხვა სფეროებში დახმარების გაწევისა. 1997 წლის აპრილში იაპონიის მთავრობამ საქართველოს პირველად გამოუყო პირდაპირი გრანტი საკვები პროდუქციის წარმოების გაზრდის ხელშესაწყობად (500 მლნ იაპონური იენი), რომელიც მოხმარდა სასოფლო-სამეურნეო დანადგარების შესყიდვას და არასაპროექტო გრანტი ეკონომიკური სიძნელეების დაძლევის ხელშეწყობისათვის (დაახლოებით 4,8 მლნ დოლარი).

1997 წლის ნოემბერში იაპონიამ ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდის მეშვეობით საქართველოს გამოუყო პირველი შეღავათიანი სესხი (5332 მილიარდი იაპონური იენი, დაახლოებით 45 მლნ აშშ დოლარი) ენერგეტიკის სექტორის, კერძოდ კი ლაჯანურჰესისა და ხრამჰესის რეაბილიტაციისათვის.

"ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდში, 2007 წლის 7-11 მარტს შედგა საქართველოს პრეზიდეტის, მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტი იაპონიაში.

აღსანიშნავია, რომ შეიმჩნევა იაპონური კერძო კომპანიების საქართველოში აქტიურობის ზრდის ტენდენციები. დღეისათვის მათი აქტიურობა ძირითადში

[284] http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=381&lang_id=GEO

გამოიხატება იაპონიის მთავრობის საგრანტო პროგრამებითა და საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტების განხორციელებით.

აღსანიშნავია, რომ თანდათანობით იზრდება ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა. მაგალითად, 2006 წელს სავაჭრო ბრუნვამ 40 400 მილიონი დოლარი შეადგინა. საქართველოს ექსპორტმა იაპონიაში შეადგინა 517 900 დოლარი, იმპორტმა კი 39 541 500 დოლარი[285].

რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის შემდეგ, იაპონიის მთავრობამ საქართველოს მნიშვნელოვანი დახმარება გამოუყო, რომელიც 100 მილიონ დოლარს აღემატებოდა.

ცენტრალური აზია და საქართველო

ყაზახეთისა და ცენტრალური აზიის ოთხი რესპუბლიკის ტვირთების ტრანზიტისათვის საქართველო მეტად მნიშვნელოვან ქვეყანას წარმოადგენს. ევროაზიური დერეფნისა და კასპიის ენერგეტიკული რესურსების დასავლეთის მიმართულებით ექსპორტის იდეის შემდგომ პერიოდში ურთიერთობები ცენტრალური აზიისა სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხდება.

მაგალითად, ყაზახეთის ტერიტორიიდან აშშ-ის ნავთობკომპანია „შევრონის“ მიერ 1997 წლიდან ხორციელდება “თენგიზის” საბადოზე მოპოვებული ნავთობის ბათუმის პორტამდე რკინიგზის მეშვეობით ტრანსპორტირება.

დიდი მნიშვნელობა ცენტრალური აზიისა და საქართველოს დაახლოების საქმეში ითამაშა ქალაქ სარახსში, 1996 წელს ხელმოწერილმა ოთხმრივმა შეთანხმებამ “ტრანზიტისათვის მაქსიმალური ხელშეწყობის შესახებ”, რომელზეც ხელი მოაწერეს საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა. შემდგომში აღნიშნულ ხელშეკრულებას შეუერთდნენ უკრაინა, ყაზახეთი, და ყირგიზეთი.

გარდა ამისა, კოლოსალური მნიშვნელობა საქართველოსა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების დაახლოების საქმეში ენიჭება აგრეთვე 1998 წლის 8 სექტემბერს ბაქოში ხელმოწერილ შეთანხმებას „ტრასეკას“ პროექტის შესახებ. ხოლო შემდგომში, 1999 წლის 18 ნოემბერს ეუთო-ს სტამბულის სამიტზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ხელშეკრულებას. როგორც ცნობილია, ამ ნავთობსადენით ნავარაუდევია ნავთობის ტრანსპორტირება ყაზახეთის პორტ აქტაუდან.

2007 წლისათვის, ყაზახეთში ნავთობის წლიური მოპოვება დაახლოებით 70 მლნ. ტონას შეადგენდა, საიდანაც ქვეყნის შიგნით დაახლოებით 15-20 მლნ ტონა მოიხმარება. ექსპერტთა მონაცემებით, 2013-2015 წლებში ყაზახეთში ნავთობის მოპოვებამ შეიძლება წელიწადში 170 მილიონი ტონა შეადგინოს, ხოლო ყაზახეთის ნავთობგამამუშავებელ ქარხნებს მხოლოდ 20 მლნ ტონამდე ნავთობის გადამუშავება შეუძლიათ[286]. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდება ნედლი ნავთობის ექსპორტის ზრდა. ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით ყაზახეთში მოპოვებული ნედლი ნავთობის ექსპორტი კიდევ უფრო გაიზრდება.

---

[285] http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=301&lang_id=GEO
[286] http://www.eia.doe.gov/cabs/Kazakhstan/Background.html

მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს ყაზახური ინვესტიციების როლიც საქართველოს ეკონომიკაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ენერგეტიკულ ("ყაზტრანსგაზი") და საბანკო ("თურამ ალემი") სექტორებში განხორციელებული ინვესტიციები.

სხვადასხვა პროექტებში ჩართვა იწვევს ცენტრალური აზიისა და საქართველოს პოლიტიკური დაახლოების პროცესსაც, რასაც განაპირობებს საერთო მიზნები, რუსეთის პოლიტიკური გავლენისაგან თავის დაღწევა და საკუთარი სუვერენიტეტის განმტკიცება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოების გზით.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, რუსული მხარის ზეწოლით ყაზახეთმა შეამცირა ინვესტიციების განხორციელება საქართველოს ეკონომიკაში, თუმცა, რუსეთის მხრიდან ზეწოლის არსებობის მიუხედავად, ცენტრალური აზიის არც ერთმა სახელმწიფომ არ აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა.

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება

საქართველოს ენერგოსექტორში არსებული ვითარება რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში

2008 წლის აგვისტოში განხორციელებულმა რუსეთის აგრესიამ საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემას დიდი ზიანი მიაყენა. ამავე დროს, საქართველოს ენერგეტიკული სისტემა უშუალოდ სამხედრო მოქმედებების დროსაც განაგრძობდა შეუფერხებლად მუშაობას. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული დაბომბვების დროს ენერგეტიკული ობიექტების დაზიანება და მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის მიწოდების წყვეტა რუსეთმა ვერ მოახერხა. მოკლედ განვიხილოთ საქართველოს ენერგეტიკის თითოეული დარგი.

ელექტროენერგეტიკა საქართველოს ენერგეტიკული სექტორის უდიდესი ნაწილი პრივატიზირებულია. მისი გარკვეული ნაწილი რუსულ-ქართულ ბიზნეს ჯგუფებს ეკუთვნის (თელასი – თბილისის ელექტროდისტრიბუცია, მტკვარი-ენერჯი და ა.შ.).

ელექტროენერგიის გამომუშავების 70% საქართველოს ჰიდროელექტოსადგურებზე გამომუშავდება.[287]

გაზის მოხმარება საქართველოში მოხმარებული გაზის მთელი რაოდენობა იმპორტირებულია.

2008 წლის აგვისტოში საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით გაზის ბაზრის სრული დერეგულირება მოხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო კომპანიებს უფლება მიეცათ, გაზი თავად იყიდონ და გაყიდონ იმ რაოდენობით და იმ ფასად, როგორც ამას მოახერხებენ. დერეგულირებულ გაზის ბაზარზე რამდენიმე იმპორტიორი მოქმედებს, ესენია: საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, ენერჯი ინვესტი, სოკარი - აზერბაიჯანის სახელმწიფო ენერგო კომპანია (რომელმაც, 2008 წლის ზაფხულის ტენდერის შედეგების მიხედვით, უნდა უზრუნველყოს საქართველოს რეგიონების, გარდა კომპანია იტერას ქსელისა, მომარაგება), იტერა და საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია.

---

[287] ლიანა ჯერვალიძე. მასალა მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიერ. ოქტომბერი, 2008.

საქართველოს ნავთობის რესურსები საქართველოს ნავთობის პოტენციური რესურსები 2 მილიარდ ტონადაა შეფასებული, თუმცა წლიური მოპოვება 100 ტონას არ აღემატება. დღევანდელ ეტაპზე საქართველოში ნავთობის ძებნა-ძიებით და მოპოვებით საქმიანობას შვიდი კომპანია ახორციელებს. მათ შორის "იორის ველი – ნავთობი და გაზი", "კანარგო ჯორჯია", "ფრონტერა", "ანადარკო", "შტრაიტ ოილ ენდ გაზი", "გლობალ ოილ ენდ ენერჯი" და "აქსაი BMC".

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი მილსადენების მნიშვნელობა საქართველოს ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში

ბაქო-სუფსის ნავთობსადენი „დასავლეთის" ანუ ქართული მარშრუტის ბაქო-სუფსას მილსადენის სიგრძე 900 კმ-ია, ხოლო პროექტის საერთო ღირებულება 1 მლრდ დოლარი. აღნიშნული მარშრუტის დადებითი მხარეებია-მილსადენის სიმოკლე და სხვა მარშრუტებისაგან განსხვავებით შედარებითი სიიაფე. აღსანიშნავია აგრეთვე სუფსის პორტის უწყვეტი სეზონურობის გარემოებაც. ნავთობსადენის გამტარუნარიანობა დღეში 300, 000 ბარელზეა გათვლილი. ნავთობსადენის წლიური წარმადობა 5,75 მილიონი ტონაა, ხოლო დღიური – 115 ათასი ბარელი. იმ შემთხვევაში თუ დამონტაჟდება დამატებითი საქაჩი სადგურები, მაშინ წლიური წარმადობა 10 მილიონ ტონამდე, ხოლო დღიური კი 200 000 ბარელამდე გაიზრდება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანიმეორე მნიშვნელოვანი სანავთობო პროექტი გახლავთ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი. ამ მილსადენის საშუალებით ნავთობი პირდაპირი მარშრუტით ტრანსპორტირდება კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის. მნიშვნელოვანია ის, რომ ახალი მარშრუტი შეამცირებს ნავთობის დიდი რაოდენობით გატარებას ბოსფორის სრუტის გავლით. აღნიშნული მარშრუტი ეკონომიკურად საკმაოდ მომგებიანია და უსაფრთხოა ტრანსპორტირების თვალსაზრისით. BTC მილსადენის საშუალებით დღეში 1 მილიონი ბარელი ნავთობის გადატვირთვაა შესაძლებელი სანგაჩალიდან ხმელთაშუა ზღვის თურქეთის სანაპიროზე ახლად აგებული ჯეიჰანის საზღვაო ნავთობტერმინალში.მილსადენის სიგრძეა 1760 კმ. აქედან აზერბაიჯანის მონაკვეთის სიგრძეა 442 კმ, საქართველოს–246კმ, თურქეთის–1070კმ. დიამეტრი–1168მმ. საპროექტო წარმადობაა 50 მილიონი ტონა წელიწადში. დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია ერთ-ერთი უმთავრესი-პორტ ჯეიჰანის ტრანსპორტირების დიდი გამტარუნარიანობა და პორტ ჯეიჰანის მაღალი ტექნოლოგიური სტანდარტები. კერძოდ, მას შეუძლია წელიწადში 120 მლნ ტონა ნავთობის მიღება და გატარება და იგი მთელი წლის განმავლობაში მზად არის ტვირთების მისაღებად ნოვოროსიისკის პორტისაგან განსხვავებით რომელსაც წლის განმავლობაში მხოლოდ 30 მლნ ტონა ნავთობის მიღება და გატარება შეუძლია და რამდენიმე თვე დაკეტილია ძლიერი შტორმების გამო.

შაჰ-დენიზის პროექტი შაჰ-დენიზის საბადო კასპიის ზღვაში მდებარეობს. პირველად ის აღმოჩენილი იქნა 1999 წელს. სამშენებლო სამუშაოები 2006 წლის ბოლომდე მიმდინარეობდა. სამხრეთ კავკასიის მილსადენის დანიშნულებაა შაჰ-დენიზის საბადოდან გაზის ტრანსპორტირება თურქეთსა და საქართველოში. მილსადენის სრული სიგრძე 690 კმ-ს შეადგენს, საიდანაც 248 კმ საქართველოს ტერიტორიაზე გადის. მილსადენის პროექტს ახორციელებს სამხრეთ კავკასიის მილსადენის კონსორციუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან: (25%), Statoil (25%), SOCAR Commercial Affiliate (10%), TOTALFINAELF (10%), LUKAgip(10%), NaftIran Co.Ltd. (10%) და TPOC (9%). საქართველო ამ პროექტში მონაწილეობს არა მარტო როგორც სატრანზიტო ქვეყანა, არამედ როგორც მომხმარებელი ქვეყანაც. ხელშეკრულების მიხედვი საქართველო იღებს ძველი კონტრაქტით გათვალისწინებულ 250 მილიონ კბმ-ს როგორც სატრანზიტო ქვეყანა და დამატებით 200 მილიონ კბმ-ს როგორც მომხმარებელი ქვეყანა.

წყარო: http://en.wikipedia.org/wiki/File:Baku_pipelines.svg

კონკურენტი ენერგოდერეფნების ანალიზი და მათი დღევანდელი გავლენა საქართველოს ენერგოუსაფრთხოებაზე

<u>გაზსადენი "ცისფერი ნაკადი"</u> 1997 წელს ანკარასა და მოსკოვს შორის ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად საფუძველი ჩაეყარა „ცისფერი ნაკადის" გაზსადენის მშენებლობას. გაზსადენი მიემართება რუსეთის სტავროპოლის მხარიდან თურქეთის პორტ სამსუნამდე და გადის შავი ზღვის ფსკერზე (დაახლოებით 2000 მეტრის სიღრმეზე). მისი გამტარუნარიანობა 2008 წელს აღემატებოდა 16 მილიარდ კუბურ მეტრს წელიწადში.
რუსეთი ცდილობს სულ უფრო ღრმად შეიჭრას და მტკიცედ გაიდგას ფეხი ევროპის ბაზარზე და შეასუსტოს საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია. ნაბუკოს პროექტის საწინააღმდეგოდ რუსეთი გეგმავს "ცისფერი ნაკადის" - რუსეთიდან თურქეთში შავ ზღვაში გამავალი გაზსადენის - გაგრძელებას ევროპისაკენ, სწორედ იმ ქვეყნების გავლით, რომლებიც ნაბუკოს პროექტშია ნახსენები. გაზსადენი დააკავშირებს თურქეთსა და უნგრეთს ბულგარეთისა და რუმინეთის გავლით, ხოლო უნგრეთიდან გაზი გადანაწილდება სლოვენიაში, ხორვატიასა და იტალიაში. რუსეთი ამ პროექტით მიზნად ისახავს ალტერნატიული გზებისთვის, კერძოდ ნაბუკოს პროექტისათვის გზის მოჭრას და ევროპის რუსეთის გაზზე დამოკიდებულების განმტკიცებას.
<u>კასპიისპირა გაზსადენის პროექტი</u> 2007 წლის 11 მაისს რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ყაზახეთსა და თურქმენეთში ვიზიტის დროს ხელი მოეწერა დეკლარაციას გაზის ტრანსპორტირების თაობაზე. ამასთანავე რუსეთს სურს, გააფორმოს თურქმენეთთან გრძელვადიანი შეთანხმება გაზის მოწოდებასთან დაკავშირებით, რომელიც 2028 წლამდე იქნება გაფორმებული.

<u>ბურგას-ალექსანდროპოლისის ტრანსბალკანური ნავთობსადენი.</u> 2007 წლის 15 მარტს რუსეთმა, ბულგარეთმა და საბერძნეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბურგას-ალექსანდროპოლისის ტრანსბალკანური ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ.
ეს პროექტი ეწინააღმდეგება ევროკავშირის სტრატეგიული ინტერესს, რომლის არსიც რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირებაში მდგომარეობს. თუკი ეს მილსადენი

აშენდება, ის იქცევა კასპიური მილსადენის კონსორციუმის გაგრძელებად, რომელიც ყაზახეთიდან შავიზღვისპირა რუსულ პორტ ნოვოროსიისკამდეა გაჭიმული და ამდენად კონკურენციას გაუწევს ყაზახეთიდან დასავლეთისაკენ ნავთობის ტრანსპორტირების ტრანსკასპიურ პროექტებს, როგორიცაა მაგალითად ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. ბურგას-ალექანდროპოლისის ხაზი ასევე წაიღებს თავისკენ იმ კასპიური ნავთობის მოცულობებს, რომელიც აუცილებელი იყო უკრაინული ოდესა-ბროდის პოლონეთამდე გაგრძელების პერსპექტივის მქონე ნავთობსადენის დასატვირთად.

ბურგას-ალექსანროპოლისის პროექტს შეუძლია დამატებით სტიმული შესძინოს სიპისის (Caspian Pipeline Consortium) სიმძლავრეთა გაზრდას (მილსადენი ერთმანეთთან აკავშირებს ყაზახეთსა და რუსეთს). ამ მარშრუტის ამჟამინდელი გამტანუნარიანობა 27 მილიონ ტონას შეადგენს. თუკი ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზრდება-გეგმით გათვალისწინებულ ყოველწლიურ 67 მილიონზე რომ არაფერი ვთქვათ, სიპისის მილსადენი შთანთქავს უდიდეს მოცულობებს იმისას, რასაც ყაზახეთში ეხლა მოიპოვებენ და რისი მოპოვებაც სამომავლოდ იგეგმება, მათ შორის სუპერ-გიგანტურ ქაშაგანის საბადოზეც. ეს კი სერიოზულ დარტყმას მიაყენებს ტრანსკასპიურ პროექტებს, რომელთა განხორციელებაც დასავლეთის ინრტერესებშია.

ბურგას-ალექსანდროპოლისი ასევე ნეგატიურ გავლენას მოახდენს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტების პერსპექტივებზეც. ეს მილდენიც ასევე განიხილება შავი ზღვიდან გასასვლელად თურქული სრუტეების ალტერნატივად.

ბურგას-ალექსანდროპოლისის პროექტის 51 პროცენტი "ტრანსნეფტის," "გაზპრომნეფტისა" და "როსნეფტის" ხელშია, ხოლო "ტრანსნეფტი" ამავდროულად პროექტის ოპერატორიცაა. დარჩენილ 49 პროცენტს ბულგარეთისა და საბერძნეთის მთავრობები ფლობენ.

პირველ ფაზაზე მილსადენი ყოველწლიურად 35 მილიონ ტონას გაატარებს, მეორე ფაზაზე კი 50 მილიონი ტონის გატარება ივარაუდება.

<u>ბაქო-ნოვოროსიისკი</u> აღნიშნული მარშრუტის საერთო სიგრძეა 1411 კმ და მისი საერთო ღირებულება აღწევს 1,5-2 მლრდ დოლარს. 2008 წელს, რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანში მოპოვებული ნავთობის ნაწილი, კვლავ გაივლის ამ მილსადენის მეშვეობით. ასევე, ორ ქვეყანას შორის მიღწეულია შეთანხმება, რათა აზერბაიჯანიდან განხორციელდეს დაახლოებით 500 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ექსპორტი რუსეთში.

<u>ძაურიკაუ-ცხინვალის გაზსადენი</u> დანარჩენი საქართველოსგან ცხინვალის რეგიონის ენერგეტიკული დამოკიდებულების აცილების მიზნით ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს აგრესიამდე რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე გადაწყვიტა ძაურიკაუ-ცხინვალის გაზსადენის მშენებლობა, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთს, ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დააკავშირებს. აღსანიშნავია, რომ გაზსადენი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ ნაკრძალზე გადის, რის გამოც რესპუბლიკის ეკოლოგიურ მდგომარეობას სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს.

"გაზპრომმა" ძაურიკაუ-ცხინვალის გაზსადენის მშენებლობა 2006 წლის ნოემბერში დაიწყო და მისი საერთო ღირებულება 15 მილიარდ რუბლს (დაახლოებით 987 მილიონი დოლარი) შეადგენს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს იქნება ზღვის დონიდან მსოფლიოში ყველაზე დიდ სიმაღლეზე გაყვანილი გაზსადენი. მისი ნაწილი ზღვის დონიდან 3 ათას მეტრზე გაივლის.

საქართველოს მონაწილეობით მომავალში განსახორციელებელი ენერგეტიკული პროექტების ანალიზი და მათი მოსალოდნელი გავლენა საქართველოს ენერგოუსაფრთხოებაზე

ნაბუქოს პროექტი როგორც წიგნის წინა თავებში იყო აღნიშნული, პროექტი – "ნაბუქო", ითვალისწინებს გაზის ტრანსპორტირებას თურქეთიდან ავსტრიაში – ბულგარეთის, რუმინეთის და უნგრეთის გავლით. ნაბუკოს გაზსადენს თურქეთში, ერზრუმთან შეუერთდება

ბაქო – თბილისი - ერზრუმის და ირან - თურქეთის გაზსადენებს. გაზსადენი წარმოადგენს კასპიის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (თურქმენეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ერაყი) გაზის ევროპაში ტრანსპორტირების საშუალებას. გაზსადენის მშენებლობის ღირებულება აღემატება 7 მილიარდ ევროს. საწყის ფაზაში, გაზსადენი ყოველწლიურად გაატარებს 13-16 მილიარდამდე კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, ხოლო 2020 წლისთვის ეს რიცხვი სავარაუდოდ მიაღწევს 26-30 მილიარდ კუბურ მეტრს. გაზსადენში გამავალი გაზის ნახევარი მიეწოდება ბაუმგარტენს (ავსტრია), ხოლო ნახევარს გამოიყენებენ სატრანზიტო ქვეყნები. 2009 წლის მაისში ხელი მოეწერა მემორანდუმს ნაბუქოს პროექტთან დაკავშირებით. ნაბუკოს პროექტის მთავარი აქციონერები არიან OMV (ავსტრია), (უნგრეთი), Transgaz (რუმინეთი), bulgargaz (ბულგარეთი), BOTAS (თურქეთი). საუბარია პროექტში გაზპრომის შესაძლო მონაწილეობაზე, თუმცა ამ პროექტის ძირეული არსიდან გამომდინარე, ნაკლებად რეალურია და შეიძლება ჩაითვალოს როგორც წმინდა ტაქტიკური ნაბიჯი.

ნაბუკოს პროექტი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, მისი განხორციელების შემთხვევაში საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა შეასუსტოს გაზპრომის მონოპოლია ევროპაში. ამავე დროს, ეს პროექტი ევროკავშირისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთი სულ უფრო მეტ ბერკეტს კარგავს "ნაბუქოს" პროექტის ჩასაშლელად. კერძოდ, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რუსეთს უფრო ნაკლები შესაძლებლობა ექმნება განახორციელოს ზეწოლა თურქმენეთზე - "ნაბუქოს" პროექტის მთავარ ექსპორტიორ ქვეყანაზე. მომავალი წლის დასაწყისში აშხაბადი დამოუკიდებლად შეძლებს ჩინეთსა და ირანში გაზის ექსპორტის განხორციელებას, ამიტომაც რუსეთს, რომელიც თურქმენეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ბუნებრივი აირის – 80 მილიარდი კუბური მეტრიდან 50 მილიარდს ყოდულობდა (2009 წლის აპრილის მონაცემებით), და რომელიც თურქმენეთს გაზის შესყიდვაზე საკუთარ ფასებს კარნახობდა, სულ უფრო ნაკლები შესაძლებლობა ექნება უკარნახოს თურქმენეთს საკუთარი პირობები, მათ შორის "ნაბუქოს" პროექტთან დაკავშირებით.

"ნაბუქოს" პროექტის განხორციელების სასარგებლოდ ასევე შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტიც, რომ ექსპერტთა გაანგარიშებით 2012 წლისათვის თურქმენეთის ტერიტორიაზე გაზის მოპოვებამ შესაძლოს 100 მილიარდს გადააჭარბოს, ხოლო 2030 წლისათვის მოპოვებამ შესაძლოა 250 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინოს. ამიტომაც, აშხაბადს დასჭირდება ალტერნატიული ბაზრები ბუნებრივი აირის ექსპორტირებისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას აზერბაიჯანზე, სადაც 2015 წლისათვის ბუნებრივი აირის მოპოვებამ შესაძლოა 60 მილიარდი კუბური მეტრი შეადგონოს. ამიტომაც აზერბაიჯანსაც აუცილებლად დასჭირდება ალტერნატიული ბაზრები და ამ მიმართულებით პირველ რიგში ბაქოს მიერ "ნაბუქოს" პროექტში ჩართვა უნდა მოიაზრებოდეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი დაკავშირებულია თურქეთ-ირანის შეთანხმებასთან ირანული გაზის თურქეთის გავლით ექსპორტის შესახებ. ორ ქვეყანას შორის შეთანხმება ითვალისწინებს ირანის ფარსის საბადოდან 35 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მოპოვებას, საიდანაც დაახლოებით 17,5 მილიარდ კუბურ მეტრს თურქეთი ევროპაში გაყიდის. ამიტომაც, თუ ირანის ბირთვული პროგრამის გამო შექმნილი პრობლემა წარმატებით გადაიჭრება, შესაძლებელია, რომ "ნაბუქოს" პროექტის განხორციელებაში ირანიც ჩაერთოს, ერთის მხრივ როგორც გაზის ექსპორტიორი, ხოლო მეორეს მხრივ როგორც სატრანზიტო ქვეყანა, რომელიც თურქმენეთსა და ირანს შორის დამაკავშირებელი გაზსადენის მეშვეობით განახორციელებს ბუნებრივი აირის ტრანზიტს ევროპის მიმართულებით.

თუ მოვლენები სასურველი სცენარით წარიმართა, მაშინ "ნაბუქოს" პროექტის შესაჩერებლად რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლა აზრს დაკარგავს, რადგანაც ჩვენი ქვეყანა მომავალში შესაძლოა ევროპისთვის ალტერნატიული რესურსების მიწოდების არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი მარშრუტი გახდეს.

პროექტი თეთრი ნაკადი არსებობს კასპიის რეგიონის გაზის შავი ზღვის რეგიონის გავლით ევროპაში ტრანსპორტირების კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შავი ზღვის

ფსკერზე გამავალი გაზსადენის მეშვეობით საქართველოს დაკავშირებას პოლონეთთან უკრაინის გავლით. პროექტი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს 8 მილიარდი კუბური მეტრის ტრანსპორტირებას შაჰ-დენიზის საბადოებიდან, მეორე ეტაპზე მას დაემატება 8 მილიარდი კუბური მეტრი ყაზახეთიდან, ხოლო მესამე ეტაპზე 16 მილიარდი თურქმენეთიდან, ანუ სრული დატვირთვის შემთხვევაში გაზსადენი 32 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს გაატარებს ევროპისკენ. გაზსადენის მშენებლობის პირველი ეტაპი გულისხმობს შაჰ-დენიზის საბადოებიდან გაზის ტრანსფერს ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის ბაქო-თბილისის მონაკვეთით, გაივლის თბილისი-სუფსის დამაკავშირებელ გაზსადენს, ხოლო სუფსიდან ყირიმის ქ. ფეოდოსიამდე აიგება წყალქვეშა გაზსადენი (650კმ); უკრაინის ტერიტორიაზე საჭირო იქნება კიდევ 200კმ სიგრძის გაზსადენის მშენებლობა, რომელიც სუფსა-ფეოდოსიის გაზსადენს დაუკავშირებს უკრაინა-პოლონეთის დამაკავშირებელ გაზსადენთა ქსელს. მეორე და მესამე ეტაპის განსახორციელებლად საჭირო გახდება ტრანს-კასპიის გაზსადენის მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება გაზის ტრანსპორტირება ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან. გამომდინარე იქიდან, რომ შაჰ-დენიზის საბადოებს 1 ტრილიონიანი რეზერვი გააჩნია, პროექტი არ უწევს კონკურენციას ბაქო-თბილისი-ერზრუმის და ნაბუკოს პროექტს.

საქართველოს, როგორც ალტერნატიული ენერგომიმწოდებლის როლი და აქიდან გამომდინარე წარმოშობილი პერსპექტივები, საფრთხეები და რისკები

საქართველოს მონაწილეობით, სხვადასხვა ენერგეტიკული პროექტების ჩასაშლელად, რუსეთი შეეცდება სხვადასხვა ბერკეტების ამოქმედებას, კერძოდ:

- რუსეთი მაქსიმალურად ეცდება, რათა მომავალშიც გაგრძელდეს დივერსიული აქტების განხორციელება საქართველოს ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, პირველ რიგში ელექტროგადამცემ ხაზებზე, რკინიგზაზე და უარეს შემთხვევაში ნავთობსადენებზე. როგორც ცნობილია, რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე სამი დღით ადრე, 2008 წლის 5 აგვისტოს ტერორისტული აქტი განხორციელებულ იქნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე. ამ დროს აფეთქება განხორციელებულ იქნა თურქეთის ტერიტორიაზე, თუმცა ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ ტერაქტი (რომლის განხორცილებაზე პასუხისმგებლობა ქურთების მუშათა პარტიამ აიღო) რუსეთის სპეცსამსახურების უშუალო ჩარევით იქნა გაკეთებული. ამავე დღეს სპეციალური განცხადება გააკეთა აფხაზეთის დე-ფაქტო ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა, რომელმაც დაადასტურა აფხაზეთის მზადყოფნა განხორციელებულ ყოფილიყო ტერაქტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე. საქართველოს ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე განხორციელებული ტერაქტები საგრძნობლად შეამცირებს საქართველოს – როგორც სატრანზიტო ქვეყნის იმიჯს;
- რუსეთი გააგრძელებს საინფორმაციო ომს საქართველოსთან, ბრალს დასდებს ჩვენს ქვეყანას მაგალითად ტერორისტების მფარველობაში და ა.შ. და დაიმუქრება გარკვეული სანქციების ამოქმედებით, ასევე შანტაჟისა და ფლიქოლოგიური ზეწოლის მიზნით გაზრდის სამხედრო კონტინგენტს როგორც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს კი გამოიწვევს უცხოურ ინვესტორთა დაშინებას და ინვესტიციების საქართველოს ენერგეტიკის სექტორში დაბანდების შეფერხებას;
- კრემლი გააქტიურებს მოლაპარაკებათა პროცესს აზერბაიჯანთან, რათა ბაქომ გაზარდოს ნავთობისა და გაზის ექსპორტი რუსეთის მიმართულებით და ამავე დროს შეამციროს ენერგომატარებლების ექსპორტი საქართველოში. სამაგიეროდ რუსეთი აზერბაიჯანს შესთავაზებს ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში კიდევ უფრო მეტ დახმარებას. შედეგად, შესაძლებელია საქართველოს შეექმნას დამატებითი პრობლემები ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე თავისი მნიშვნელობა დაკარგოს ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენმა;

- რუსეთი ეცდება მიაღწიოს კონსენსუსს თურქმენეთთან და ყაზახეთთან ამ ქვეყნებიდან ბუნებრივი აირის რუსეთში ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, რაც ფაქტიურად დაასამარებს "ნაბუქოს", ან "თეთრი ნაკადის" პროექტის განხორციელების იდეას;
- რუსეთი შესთავაზებს სარფიან გარიგებას თურქეთს, რათა განხორციელდეს პროექტი "ცისფერი ნაკადი", რამაც თავის მხრივ შეიძლება გამოიწვიოს ანკარის მხრიდან უარი "ნაბუქოს" პროექტის განხორციელებაზე;
- რუსეთმა შესაძლოა მიაღწიოს შეთანხმებას "ნაბუქოს" პროექტში მონაწილე ქვეყნების მაგალითად უნგრეთისა და ავსტრიის ენერგოკომპანიებთან და შესთავაზოს მათ ალტერნატიული გაზი რუსეთიდან.

საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მოპოვების ზრდის პერსპექტივები

2006 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ენერგეტიკის სამინისტროში მომზადებული დოკუმენტი, რის შედეგად განისაზღვრა ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. კერძოდ, ამ დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია, რომ ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისებაში ძირითადი ადგილი დაეთმობა საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისებას.
ამ მხრივ მნიშვნელოვანი აღინიშნოს მდინარე ენგურის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, რომელიც შეფასებულია დაახლოებით 3540 მგვტ. სიმძლავრით და დღევანდელ ეტაპზე 10 მილიარდამდე კვტ.სთ ელეტროენერგიის გამომუშავება შეუძლია. იმის გამო, რომ თანამედროვე ეტაპზე პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილია ათვისებული, ენგურის სრული ათვისებისათვის საჭიროა რამდენიმე ახალი ჰიდროელექტროსადგურის, მათ შორის ხუდონჰესის აშენება. ექსპერტთა გათვლებით, ხუდონჰესზე ელექტროენეგიის გამომუშავებამ შესაძლოა 1,455 მლრდ. კვტ.სთ შეადგინოს. ასევე, დღის წესრიგში დგას ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი, რომლის ამოქმედების შედეგად შესაძლებელი იქნება 350-400 მვტ. ელექტროენერგიის გამომუშავება.
რაც შეეხება ნავთობის მოპოვების გაზრდას, დღევანდელ ეტაპზე მოპოვება 100 ათას ტონას არ აღემატება, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის აკვატორიაში ნავთობის მოპოვებას, სადაც პოტენციური რესურსები შეფასებულია 1 მილიარდ ტონად, თუმცა გეოლოგიური და გეოფიზიკური სამუშაოების განხორციელების მიუხედავად, ნავთობის მოპოვება შავ ზღვაში ჯერ არ დაწყებულა.
რაც შეეხება გაზის რესურსებს, გაზის პოტენციური მარაგი საქართველოში დაახლოებით 30 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს, თუმცა დღევანდელ დღეს საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი გაზის საბადო მოქმედებს. აუცილებელია დამატებითი ინვესტიციების განხორციელება გაზის მოპოვების სფეროში.

მოვლენათა შესაძლო განვითარების პროგნოზები:

პესიმისტური სცენარი:

- რუსეთის პოლიტიკური შანტაჟის გამო პოტენციური ინვესტორები თავს შეიკავებენ ინვესტიციების განხორციელებაზე საქართველოს ენერგეტიკის სექტორში. კერძოდ, უცხოური კომპანიები ჩათვლიან, რომ შესაძლოა რუსეთმა კიდევ ერთი აგრესია განახორციელოს საქართველოს წინააღმდეგ და ამის შემდგომ საფრთხე შეექმნება მათ მიერ დაბანდებულ ინვესტიციებს. შედეგად, შეუძლებელი შეიქმნება საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდა, ასევე, პრობლემა შეექმნება საქართველოში ნავთობისა და გაზის რესურსების მოპოვების ზრდას;
- რუსეთი მაქსიმალურად ეცდება, რათა მომავალშიც გარძელდეს დივერსიული აქტების განხორციელება საქართველოს ენერგეტიკის ობიექტებზე - ელექტროგადამცემ ხაზებზედა უარეს შემთხვევაში ნავთობსადენებზე. საქართველოს

ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე განხორციელებული ტერაქტები საგრძნობლად შეამცირებს საქართველოს – როგორც სატრანზიტო ქვეყნის იმიჯს;

ოპტიმისტური სცენარი:

- "ნაბუქოს" ან "თეთრი ნაკადის" პროექტზე მუშაობის დაწყება კიდევ უფრო გაზრდის ევროპის დაინტერესებას საქართველოს მიმართ, ამიტომ ევროკავშირი სულ უფრო მეტად იქნება დაინტერესებული საქართველოში სტაბილიზაციის დამყარებით, რათა ევროკავშირის მონაწილეობით მიმდინარე პროექტების განხორციელებამ შეუქცევადი სახე მიიღოს;
- დასავლეთის მიერ რუსეთის ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შემცირება საგრძნობლად დაასუსტებს რუსეთს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით;
- საქართველო კვლავ მიიღებს დამატებით სატრანზიტო შემოსავალს რუსეთიდან სომხეთისაკენ ბუნებრივი აირის ექსპორტის შედეგად მაგისტრალური გაზსადენის მეშვეობით;
- თუ "ნაბუქოს" პროექტის განხორციელებაში ჩართულნი იქნებიან თურქმენეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი, მაშინ გაიზრდება ბუნებრივი აირის ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიის გავლით, კერძოდ ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენის მეშვეობით. ეს კი გაზრდის საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის იმიჯს და ქვეყანას დამატებით სატრანზიტო შემოსავალს მოუტანს;
- თუ გარკვეულ მიზეზთა გამო, ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ჩართვა "ნაბუქოს" პროექტში ვერ მოხერხდება, შესაძლებელის იქნება ეგვიპტის, ერაყის და უკიდურეს შემთხვევაში ირანის ჩართვაც ზემოაღნიშნულ პროექტში. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიის გავლით დამატებითი მოცულობის ბუნებრივი აირი ვერ გაივლის, პროექტის განხორციელება მაინც სრულიად შეესაბამება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, რადგან დასავლეთის მიერ რუსეთის ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შემცირება საგრძნობლად დაასუსტებს რუსეთს პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით;
- თუ მოხდება ევროკავშირის სამშვიდობო მისიის გააქტიურება, ხელსაყრელი გარემო შეიქმნება საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების განსახორციელებლად;
- დამატებითი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და წყლის რესურსების ათვისება საქართველოს მისცემს საშუალებას გაზარდოს ელექტროენერგიის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში – მათ შორის რუსეთში. სპეციალისტთა გათვლებით, საქართველოს წყლის რესურსების პოტენციალი 150 მილიარდ კილოვატსაათს აღემატება, თუმცა დღევანდელ ეტაპზე ამ პოტენციალის მხოლოდ 10%-ია ათვისებული;
- დღევანდელ ეტაპზე ნავთობის მოპოვებას ზრდის ყაზახეთი. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყანას დასჭირდება ალტერნატიული გზები საკუთარი ნავთობის ექსპორტირებისათვის. შესაბამისად, გამორიცხული არაა, რომ ყაზახეთმა პორტ აქტაუდან განახორციელოს ნავთობის ექსპორტი აზერბაიჯანში, "შავი ოქროს" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში ჩატვირთვის მიზნით. შედეგად გაიზრდება ნავთობის ტრანზიტი საქართველოს ტერიტორიის გავლით;
- ყაზახეთს შესაძლოა დასჭირდეს ნავთობის ექსპორტი რკინიგზის მეშვეობითაც. აქედან გამომდინარე, გარორიცხული არაა, რომ ასტანამ განაახლოს ნავთობის ტრანსპორტირება საქართველოს რკინიგზის მეშვეობით ბათუმის პორტამდე. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში შესაძლოა ყაზახეთმა კვლავ გამოხატოს სურვილი ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაში ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით;
- შავი ზღვის სანაპიროზე, ყულევში ნავთობტერმინალი საჭიროებს ნედლი ნავთობის დამატებითი მოცულობის გადამუშავებას, ეს კი გაზრდის მოთხოვნას გაიზარდოს ნავთობის ტრანსპორტირების მოცულობა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მეშვეობით;

- არ არის გამორიცხული, დღის წესრიგში დადგეს პროექტის "თეთრი ნაკადი", განხორციელების საკითხი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე დამატებითი გაზსადენის მშენებლობის საკითხი შავი ზღვის მიმართულებით.

ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის პროექტი[288]

1998 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზების ტექნოლოგიური გაუმჯობესების მიზნით 50 მლნ ეკიუს ოდენობის კრედიტი გამოყო.

იმ პროექტთაგან, რომელიც სატრანსპორტო სფეროში საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყარსი (თურქეთი)-ახალქალაქის (საქართველო) რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობა.

თავდაპირველად, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის ტენდერით 11 უცხოური კომპანია იყო დაინტერესებული. მათ შორის ამერიკული კომპანია „აბსოლუტ ჰოვარდ ენერჯი", თურქული ფირმები „ენტეეფი", „თექფენი", „ტექსერი", რუსეთის „ტრანსოი" და სანკტ-პეტერბურგის ელექტროტექნიკური ქარხანა, მოსკოვის საგვირაბო მშენებლობის განყოფილება, გერმანიის კომპანიები „დაიმლერ ბენცი", „კრუპი", გერმანიის ვაგონშემკეთებელი კომპანია. გარდა ამისა ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ამერიკულმა კომპანიამ „ბერნს ენდ მაქდონელ ინტერნეიშლ"-მა და თურქულმა „ვინსან"-მა.

1996 წლის 4 აპრილს საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია ორი ქვეყნის რკინიგზის დამაკავშირებელი თბილისი-ყარსი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა-დაპროექტების შესახებ.

1997 წლის ნოემბერში გამოცხადდა ტენდერი რკინიგზის მშენებლობაზე. აღნიშნული ტენდერის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე ახალი ორლიანდაგიანი ელექტროფიცირებული ხაზის აშენებას და მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის რეკონსტრუქციას. თბილისი-მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზი ჯერ კიდევ 1986 წელს შევიდა ექსპლუატაციაში, მისი სიგრძე 160 კმ-ია და იგი აგებულია მესამე კატეგორიის ნორმების მიხედვით. პროექტის პირველი ეტაპის მიხედვით, აღნიშნული მონაკვეთი საჭიროებდა ტექნიკურ გადაიარაღებას პირველი კატეგორიის ნორმების შესაბამისად. ამ ეტაპის სამუშაოების დასრულების ვადად 3 წელი განისაზღვრებოდა, ხოლო რაც შეეხება მეორე ეტაპს, უნდა განხორციელებულიყო მარაბდა-ახალქალაქის ხაზის გადაკეთება 2-ლიანდაგიან ელექტროფიცირებულ ხაზად. აღსანიშნავიაა, რომ მეორე ეტაპი პირველის პარალელურად უნდა დაწყებულიყო და 5 წელიწადიუნდა გაგრძელებულიყო.

ექსპერტთა აზრით, პირველი ეტაპის სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესაძლებელი გახდება რკინიგზის ექსპლუატაცია და თურქეთის მიმართულებით წელიწადში 7-8 მლნ ტონა ტვირთის გადაზიდვა, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოების განხორციელების შემდეგ, ნავარაუდევია ტვირთის რაოდენობის 50 მლნ ტონამდე გაზრდა. სპეციალისტთა გაანგარიშებით, პირველი ეტაპი დაახლოებით 200 მილიონი

[288] ნიკა ჩიტაძე. სადისერტაციო ნაშრომი: "კასპიის სანავთობო პროექტები და საქართველოს სატრანზიტო როლი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები."თბილისი, 2004. გვ.135

დოლარის ოდენობის სამუშაოების ჩატარებას მოითხოვდა, ხოლო მთლიანად პროექტის განსახორციელებლად ბევრად უფრო დიდი თანხებია საჭირო. ამასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა მოლაპარაკება თურქეთის „ექსიმბანკთან“ კრედიტის გამოყოფის შესახებ, მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მიმართ თავის დროზე დაინტერესება გამოთქვა ამერიკულმა კომპანიამ „ბერნს ენდ მაქდონელ ინტერნეიშლმა“. ეს კომპანია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აწარმოებს რკინიგზის მშენებლობას, ამიტომ თავიდან მოიაზრებოდა, რომ სწორედ ის გამხდარიყო ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის ტენდერის გამარჯვებული.

რაც შეეხება მომავალი რკინიგზის სიგრძეს, საქართველოს ტერიტორიაზე საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრამდე გასაყვანია 30 კმ, ხოლო საზღვრიდან ყარსამდე 68 კმ. ანუ, რკინიგზის საერთო სიგრძეა 98 კმ. ზემოხსენებული პროექტი საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. 2010 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს საგარეო ვაჭრობაში თურქეთს პირველი ადგილი ეკავა. რკინიგზა თურქეთის მიმართულებით მნიშვნელოვნად გაზრდის ვაჭრობის მოცულობას ორ ქვეყანას შორის, გაიზრდება აგრეთვე ტვირთების ტრანზიტისგან (რომლებიც საქართველოს რკინიგზის მეშვეობით გადაიზიდება) მიღებული შემოსავალი, რომელიც საქართველოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. საქართველოს კასპიისა და ცენტრალური აზიის ნავთობის ამ მარშრუტით რკინიგზით ტრანსპორტირება შესაძლებელი იქნება ყარსამდე. ყარსში კი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაა დაწყებული 20 მლნ ტონა წელიწადში სიმძლავრით. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ყარსიდან ჯეიჰანის პორტამდე გადის ნავთობსადენი, ხოლო რკინიგზა ყარსიდან როგორც სტამბოლის, ასევე ჯეიჰანის მიმართულებით მიემართება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აღნიშნული რკინიგზა წარმოადგენს ყარსი (თურქეთი) - გიუმრის (სომხეთი) რკინიგზის ალტერნატივას. ეს რკინიგზა ექსპლუატაციიდან გამოვიდა მას შემდეგ, რაც მთიან ყარაბაღში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, თურქეთმა ჩაკეტა საზღვარი სომხეთთან.

ახალ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2005 წლის იანვარში, თუმცა აშშ-მ და ევროკავშირმა განაცხადეს, რომ ისინი არ დააფინანსებდნენ აღნიშნულ პროექტს.

საქართველოს ტერიტორიაზე სამუშაოების განსახორციელებლად, აზერბაიჯანი 220 მილიონი დოლარის მოცულობის ცრედიტს გამოყოფს 25 წლის ვადით, რომლის საპროცენტო განაკვეთი 1% იქნება. საკრედიტო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა აზერბაიჯანის მთავრობასა და კომპანია “მარაბდა-ყარსის რკინიგზას” შორის. 2007 წლის სექტემბერში, აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო ფონდის მიერ პირველი ტრანში, 50 მილიონი დოლარის მოცულობის კრედიტი იქნა გამოყოფილი.

2007 წლის 21 ნოემბერს, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტები მარაბდაში მონაწილეობა მიიღეს საზეიმო ცერემონიაში, რომელიც მიეძღვნა მშენებლობის დაწყებას. პროექტის დასრულება ნავარაუდევია 2012 წელს.

მომავალი რკინიგზა მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება საქართველოს სამხრეთი რაიონების ეკონომიკური აღორძინებისა. რაც შეეხება რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ ასპექტებს, აქ აღსანიშნავია როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მხარეებიც. უარყოფითიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რკინიგზის მშენებლობა უნდა წარიმართოს სომხური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში, ხოლო მათი მიმართება თურქეთის მიმართ საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ გამორიცხული არ არის სხვადასხვა სახის

პროვოკაციები, მით უმეტეს, რომ რუსეთის სპეცსამსახურები შეეცდებიან გარკვეული ძალების პროვოცირებას. მაგრამ,უფრო შესაძლებელია, რომ მოვლენები საწინააღმდეგო მიმართულებით წარიმართოს-თუ ადგილობრივი მოსახლეობა რკინიგზის მშენებლობაზე დასაქმდება და მათი სოციალური პირობები გაუმჯობესდება, ეს ხელს შეუწყობს სეპარატისტული ტენდენციების შესუსტებას და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გაძლიერებას ჯავახეთის ფეთქებადსაშიშ რეგიონში.



წყარო: http://en.wikipedia.org/wiki/File:Map_of_the_Kars-Akhalkalaki-Tbilisi-Baku_railway.png

საქართველოს თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები

როგორც უკვე აღნიშნულ იქნა, საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ერთ–ერთ ძირითად პრიორიტეტს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი როლი ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით თავდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე კრიზისების მართვის სფეროში რეფორმების სრულყოფას ეკისრება. ეროვნული უსაფრთხოება ეროვნული ინტერესების დაცვას გულისხმობს, საქართველოში მცნება "ეროვნული უსაფრთხოება" საბჭოთა კავშირის დაშლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაჩნდა, მისი სისტემის ჩამოყალიბება უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო.

ეროვნული უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი სამხედრო უსაფრთხოებაა, რომელიც ეროვნული ინტერესების გარე და შიდა საფრთხეებისაგან დაცვასა და თავდაცვისუნარიანობის არსებობას გულისხმობს, ხოლო სახელმწიფო

რომელიც თავდაცვისუნარიანობის შექმნას ესწრაფვის, არ გამორიცხავს მასზე თავდასხმის შესაძლებლობას, განსაკუთრებით თუ ეს ქვეყანა თავისი ტერიტორიის ფართობის გათვალისწინებით პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდიდან რუსეთმა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან 2008 წლის აგვისტომდე საქართველოს წინააღმდეგ ირიბი, ხოლო 2008 წლის აგვისტოში ფართომასშტაბიანი პირდაპირი აგრესია განახორციელა, საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. რუსეთ-საქართველოს ომში ოფიციალური კრემლის მთავარ მიზანს საქართველოს სრული ოკუპაცია და ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა წარმოადგენდა, რუსეთის სურვილი იყო დანიშნულ ყოფილიყო მოსკოვის მხრიდან მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელი და საქართველო სამუდამოდ დარჩენილიყო რუსეთის გეოპოლიტიკურ ორბიტაში. საბედნიეროდ რუსეთმა ვერ შეძლო თავისი საბოლოო მიზნის განხორციელება.

2008 წლის აგვისტოს ომს სავალალო შედეგები მოჰყვა საქართველოსათვის, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20 პროცენტის ოკუპაცია მოახდინა. მიუხედავად ამისა, აგრესორმა ვერ მოახერხა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა, ხელისუფლების გადატრიალება და ქვეყნის საგარეო – პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა.[289]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის მხრიდან მსგავსი აგრესიის განმეორება არ არის გამორიცხული, თუმცა საეჭვოა რომ ეს იგივე ფორმითა და სცენარით განმეორდეს. როგორც წინა თავებში იყო აღნიშნული, საქართველოს ემუქრება პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის საფრთხეები, მათ შესამცირებლად კი შესაბამისი ღონისძიებებია გასატარებელი, იმისათვის რომ აცილებულ იქნეს არსებული საფრთხეები, საჭიროა საქართველოს უსაფრთხოების სისტემის რეფორმირება.[290]

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ყველა ის დოკუმენტი და ძირითადი ხედვა, რომელიც საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომამდე იქნა მიღებული, ამჟამად უკვე მოძველებულად შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომაც,დღევანდელ დღეს საქართველომ უსაფრთხოების გარემოს კუთხით ახალ რეალობას უნდა გაუსწოროს თვალი, შესაბამისად უნდა დაჩქარდეს უსაფრთხოების სისტემის რეფორმირება და ახალი დოკუმენტების შემუშავება. დღევანდელ დღეს აუცილებლობას წარმოადგენს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა, ასევე უმნიშვნელოვანესია ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს წინაშე არსებული ახალი საფრთხეებისა და პრიორიტეტების დეტალური ანალიზი. ამავე დროს მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიმდინარეობს 2005წელს მიღებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის არსებითი შეცვლა, იგივე პროცესი მიმდინარეობს ისეთ დოკუმენტებთან დაკავშირებით, როგორებიცაა თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (SDR), საფრთხეების შეფასების დოკუმენტი და ა.შ. აუცილებელია რეკომენდაციათა შემუშავება უსაფრთხოების, სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა სფეროებში, რათა მოხდეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება და საქართველოს შემდგომი

---

[289]Nika Chitadze. Main Foreign Policy and National Security Priorities of Georgia after Georgia-Russia War. Materials of the Conference Opportunities and Challenges of the Regional Cooperation in South Caucasus. Erevan, Armenia. May 14-15, 2009. P. 3

[290]კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი "ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე". საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 15.

დაახლოება ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან. მას შემდეგ, რაც 2008 წლის აგვისტოში შეიქმნა ნატო–საქართველოს კომისია და იმავე წლის დეკემბერში ნატო-ს ბრიუსელის მინისტერიალზე საქართველოსთვის ყოველწლიური ეროვნული პროგრამა დამტკიცდა, ნატო-საქართველოს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად თავდაცვის სისტემის რეფორმირება განიხილება.

პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში და ომის შემდეგ საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები და გამოწვევები[291]

პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები მრავალმხრივია. საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების განსაზღვრისას პატარა ქვეყანა დიდ სახელმწიფოზე უფრო ზუსტი და შეუცდომელი უნდა იყოს. პატარა ქვეყნებს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში თავიანთი ადგილი და ფუნქციები გააჩნიათ. ისინი აღარ წარმოადგენენ "უკანონო შვილებს" რომლებიც დიდი სახელმწიფოების ინტერესთა შეჯახებისას "პოლიტიკურ ხურდად" აღიქმებოდნენ. შესაბამისად პატარა ქვეყნებმა უსაფრთხოებაზე ისევე უნდა იზრუნონ, როგორც დიდმა სახელმწიფოებმა.[292]

პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებს შორის არსებობს ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი – დიდი, ძლიერი სახელმწიფოს მეზობლობა, ეს კი პირველ რიგში უსაფრთხოებას უქმნის პრობლემას. საერთაშორისო სისტემაში ძლიერი მეზობელი თავის სუსტ მეზობელს არსებულ ძალთა დიდი სხვაობისას საკუთარ ნებას თავს ახვევს და განსხვავებული შეხედულებების გაჩენისას, დავის გადასაწყვეტად ძალას იყენებს.

ძლიერი სახელმწიფო ძირითადად თავისი გავლენის სფეროს შექმნას ცდილობს. თუ ძლიერ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა გამწვავდა, პატარა ქვეყანაზე ძლიერი სახელმწიფოს უფრო მეტი ზეწოლაა მოსალოდნელი. კონფლიქტის პირობებში კი ძლიერი სახელმწიფოები არც პატარა ქვეყნების ოკუპაციაზე ამბობენ უარს.

პატარა სახელმწიფო ყველაზე დიდ გასაჭირში მაშინ არის, როცა დიდი სახელმწიფო მას თავისი მეტოქის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის წინააღმდეგ პლაცდარმად განიხილავს ან სტრატეგიული თვალსაზრისით ასევე მეტოქის წინააღმდეგ ხელსაყრელ ტერიტორიად აღიქვამს. ამის ნათელი მაგალითი 1990 –იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკაა.

როგორც წიგნის წინა თავებში აღინიშნა, რუსეთსა და საქართველოს შორის დაპირისპირება 2008 წელს მომხდარი ომით არ დაწყებულა, იგი დიდი ხნის წინ, ფაქტობრივად საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ დაიწყო. დაპირისპირება ამა თუ იმ დროს სხვადასხვა სახით ვლინდებოდა, მდგომარეობა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ საბოლოოდ გადაწყვიტა საგარეო კურსის დასავლეთის მიმართულებით აღება. რუსეთმა საქართველოს მიერ გატარებული პოლიტიკის გამო, საქართველოს "დასჯა" ბევრჯერ სცადა, რაც გამოიხატებოდა ღვინისა და მინერალური წყლების რუსეთის ბაზარზე ექსპორტის აკრძალვაში, ქართველების

---

[291] კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი "ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე". საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 22.

[292] ა. რონდელი. "საერთაშორისო ურთიერთობები". გამომცემლონა "ნეკერი", თბილისი 2003. გვ. 188-201

რუსეთიდან გაძევებაში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართებით კოსოვოს პრეცენდენტის გამოყენებაში, დივერსიულ და ტერორისტულ ქმედებებში და ა.შ.

რუსეთის მხრიდან აგრესიის განმეორება არ არის გამორიცხული, თუმცა საეჭვოა რომ ეს იგივე ფორმითა და სცენარით განმეორდეს. შესაბამისად, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო, სამხედრო და სხვა სახის საფრთხეები ემუქრება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებული დოკუმენტების დეტალური ანალიზი

საქართველოს მიერ ევრო-ატლანტიკური და ევროპული სტრუქტურებისაკენ პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გადაიდგა. ჯერ კიდევ 1998 წელს, საქართველოში შექმნილ იქნა უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო, რომლის მთავარი მიზანი იყო საქართველოს უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებისა და მოდერნიზების საკითხებში ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის მეშვეობით შემუშავებულ ყოფილიყო შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლებისათვის.
მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში სხვადასხვა დროს შედიოდნენ:

გენერალი სერ გარი ჯონსონი (დიდი ბრიტანეთი) 1998–2005 წწ.
ლაური ალმანი (ესტონეთი) 2003–2005 წწ.
კონტრ—ადმირალი რაიმუნდას ბალტუშტა (ლიტვა) 2002–2005 წწ.
დოქტორი ატის ლეჯინსი (ლატვია) 2003–2005 წწ.
ელჩი იური ლუიკი (ესტონეთი) 2002–2003 წწ.
ბატონი დევიდ ოკმანეკი (აშშ) 1999–2001 წწ.
გენერალი ჰენინგ ფონ ონდარცა (გერმანია) 1999–2001 წწ.
ელჩი დევიდ სმიტი (აშშ) 2002–2005 წწ.
გენერალ – მაიორი ფრანც ვერნერი (გერმანია) 2002–2005 წწ.[293]

მრჩეველთა საბჭომ თავისი პირველი წლიური ანგარიში 1999 წელს წარადგინა. დოკუმენტი წარმოადგენდა საქართველოს უსაფრთხოების სფეროში იმ დროისათვის არსებული სიტუაციის ყოვლისმომცველ მიმოხილვას. იგი მოიცავდა როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ წინადადებებს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო რეფორმირება უსაფრთხოების სფეროში ევრო–ატლანტიკური სტანდარტების შესაბამისად. რეკომენდაციები უნდა განხორციელებულიყო კონკრეტულ ვადებში, კერძოდ კი, საბოლოოდ მათი დასრულება გათვალისწინებული იყო 2004 წლის მეორე ნახევარში. 1999 წლის ანგარიშში დაფიქსირებული რეკომენდაციები შესაბამის უწყებებს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსახორციელებლად გადაეცათ. მრჩეველთა საბჭოსთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით აღნიშნული პროცესი განხორციელდებოდა თანმიმდევრულად. იგი ჯერ მოიცავდა თავდაცვის სამინისტროს, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს (რომელიც იმ პერიოდში დამოუკიდებელ სტრუქტურას წარმოადგენდა), შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებებს. ხელისუფლებამ თხოვნით მიმართა მრჩეველთა

[293] კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი "ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე". საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 34.

საბჭოს, რათა ამ უკანასკნელს რეფორმების პროცესისათვის მონიტორინგი განეხორციელებინა.

1999 წლის მოხსენებაში ასევე განსაზღვრულ იქნა, რომ პროცესი უნდა დაწყებულიყო უსაფრთხოების ძირითადი კონცეფციის და სტრატეგიის განსაზღვრით, სადაც უნდა განსაზღვრულ ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი ფუნდამენტალური ღირებულებანი, საფრთხეები და გამოწვევები, ასევე ძირითადი პრიორიტეტები საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ "ვარდების რევოლუციამდე" საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები იმდენად მდარე იყო, რომ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების შესაძლებლობა პრაქტიკულად ნულს უტოლდებოდა.

1999 წლიდან დღემდე მრჩეველთა საბჭომ წარმოადგინა რამდენიმე წლიური ანგარიში და მემორანდუმი, სადაც ასახული იყო პროცესები რეკომენდაციების შესრულების გზაზე და ის სფეროები, სადაც შემდგომი მოქმედება იყო საჭირო.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ, პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი განკარგულება იყო განხორციელებულ ყოფილიყო უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, ამ ეტაპზე კონცენტრაცია გაკეთდა ეროვნულ დონეზე საჭირო ცვლილებებზე. ნატოსთან საქართველოს მიერ საგულდაგულოდ შემუშავებული ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP),რომელიც საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებს მოიცავდა (2004-2006 წწ.) და უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები (ISAB), ფართოდ წარმოაჩენდა უსაფრთხოების სფეროში არსებულ პრობლემებს. ეს ორი დოკუმენტი საქართველოს მთავრობის შემდგომი ქმედებებისათვის მთავარი ნიმუში გახდა.

მრჩეველთა საბჭოს მიერ სხვადასხვა პერიოდში თავდაცვის სფეროში მთელი რიგი რეკომენდაციები იქნა შემუშავებული, მათ შორის მთავარ რეკომენდაციას თავდაცვის უმაღლესი ხელმძღვანელობის მართვა წარმოადგენდა. საბჭოთა სისტემა განსხვავდებოდა სხვა ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული მოდელებისაგან, იგი იყენებდა მკაცრი კონტროლის სისტემას, რომელიც ზევიდან ქვევით იყო მიმართული, სადაც უდიდესი ყურადღება ეთმობოდა პერსონალისა და ტექნიკის რაოდენობას და არა მის ხარისხს. სამხედრო სფეროში მთავარი სტრუქტურის როლს თავდაცვის სამინისტრო ასრულებდა, რომლის სათავეში მყოფი თავდაცვის მინისტრი სამხედრო პირი იყო. შესაბამისად, რეკომენდაციებში შედიოდა გაერთიანებული შტაბის დაარსება შტაბის უფროსის მეთაურობით, რომელიც ცალკეულ სახეობათა შტაბებს შეცვლიდა და გაერთიანებული ოპერატიული შტაბის დაარსება, რომელიც შეიარაღებული ძალების სამი სახეობის ყველა ოპერატიულ შენაერთს უხელმძღვანელებდა. სქემატურად, რეკომენდაციათა შესაბამისად,თავდაცვის სამინისტროსთვის უმჯობესი იქნებოდა ფუნქციათა შემდეგნაირად გადანაწილება:

თავდაცვის სამინისტრო–რომლის სათავეში უნდა ყოფილიყო სამოქალაქო, პოლიტიკური ხელისუფალი და მთავრობის წევრი, სამინისტრო კი უნდა დაკომპლექტებულ ყოფილიყო სამოქალაქო მოხელეებისაგან, რომელთა ძირითადი ამოცანა პოლიტიკური მმართველობა, თავდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბება და თავდაცვის მმართველობა უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება სამხედრო სტრუქტურას, უნდა შექმნილიყო ეროვნული შეიარაღებული ძალების შტაბი–შტაბის უფროსით სათავეში, რომელიც უმაღლეს სამხედრო ოფიცერს, შეიარაღებული ძალების პროფესიონალ მეთაურსა და თავდაცვის მინისტრის უფროს სამხედრო მრჩეველს წარმოადგენდა.

შტაბის ოპერატიულ მეთაურობას უნდა გაეტარებინა ოპერატიული დაგეგმარება და განეხორციელებინა ოპერატიული ფორმირებებისა და ნაწილების პირდაპირი მეთაურობა და კონტროლი.

ამ რეკომენდაციების მიხედვით, თავდაცვის სამინისტროს ფუნქციები უნდა გადანაწილებულიყო 2004 წლამდე. თუმცა რეალური რეფორმები ამ მიმართულებით სწორედ 2004 წლიდან დაიწყო, შესაბამისად, უკვე 2005 წლის მოხსენებაში რეკომენდაციათა შესრულება ამ მიმართულებით უკვე დადებითადაა შეფასებული. კერძოდ, დანიშნულ იქნა სამოქალაქო თავდაცვის მინისტრი, ცოტა მოგვიანებით შეიქმნა გაერთიანებული შტაბი, თუმცა გაერთიანებული ოპერატიული შტაბი არ ამოქმედებულა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად საჭირო იყო ინდივიდუალური და კოლექტიური წვრთნები. აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა" საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა.

"საქართველოს წვრთნისა და აღჭურვილობის პროგრამა"(GTEP),გახლდათ ამერიკის მიერ დაფინანსებული 18-თვიან პროგრამა, რომლის მიზანი საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის გაზრდა იყო. ამერიკის იმდროინდელი პრეზიდენტი, ჯორჯ ბუში ცდილობდა დახმარებოდა საქართველოს ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლო უნარების შემუშავებაში პანკისის ხეობაში ვითარების დასარეგულირებლად. შესაბამისი გეგმის განხორციელება ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოში გამოაგზავნა 200 სამხედრო მოსამსახურე საქართველოს შეიარაღებული ძალების გაწვრთნის მიზნით.

დაგეგმილ პროგრამა-GTEP-ის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან მონაწილეობას იღებდა 12 ქვეითი ბატალიონი; 16 სამთო ბატალიონი; 13 შავნაბადას მსუბუქი ქვეითი ბატალიონი; 11 მსუბუქი ქვეითი ბატალიონი; ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და მესაზღვრეების მცირე შემადგენლობა. ამ წვრთნებში ოთხი 600-კაციანი ბატალიონის გაწვრთნისა და აღჭურვის მიზნით 64 მილიონი დოლარი გამოიყო.[294]

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ, 2004 წელს GTEPფორმალურად დასასრულს მიუახლოვდა. საქართველოსა და ამერიკას შორის სამხედრო თანამშრომლობამ სხვა ფორმა მიიღო, კერძოდ იგი "სტაბილურობის შენარჩუნების" ოპერაციებმა შეცვალა (SSOP). პროგრამა მოიცავდა ქართველების წვრთნას,რათა ისინი აშშ-ის შეიარაღებულ ძალებთან ერთად ჩაბმულიყვნენ ერაყის სამხედრო ოპერაციებში.

SSOP ფარგლებში ხდებოდა მე-2 ქვეითი ბატალიონის წვრთნა, მის ფარგლებში შედიოდა მე-2 ლოჯისტიკის ბატალიონის, საქართველოს 1 ბრიგადისთვის სპეციალური ქვედანაყოფის, საქართველოს პირველი და მეორე ბრიგადისთვის პერსონალის გადამზადება, ასევე სახმელეთო ჯარების სამეთაურო პერსონალის გადამზადება. SSOP ასევე უზრუნველყოფდა სამხედრო ინსტრუქტორებსა და პერსონალს.

იარაღისა და ტექნიკის კონტრიბუციას SSOP-ში ბულგარეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და რუმინეთი აწარმოებდნენ. წვრთნებში 2600 ქართველი სამხედრო იყო ჩართული. წვრთნებისწარმატებად ითვლება 2005 წელს საქართველოს მიერ ერთი სრული ქვეითი ბატალიონის გაგზავნა ერაყში მიმდინარე ოპერაციებში. მოგვიანებით, როგორც ცნობილია, საქართველოს ჯარებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს საომარ ოპერაციებში ავღანეთის ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულ პროგრამებშიმონაწილეობამ, ასევეკოსოვოსა და ერაყში სამშვიდობო ოპერაციებში ჩართულობამ საგრძნობლად აამაღლა ქართველი სამხედროების

[294] კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი "ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე". საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 48

კვალიფიკაცია, თუმცა, ერთხელ ნასწავლი და გაწვრთნილი ინდივიდუალური სამხედრო თუ ქვედანაყოფი მუდამ ამ მდგომარეობაში ვერ დარჩება. ამიტომაც, მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებით საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ეფექტური წვრთნების უწყვეტი პროგრამა და ყოველწლიური წვრთნის ციკლის ეფექტური განხორციელება.

მრჩეველთა საბჭოს 2005 წლის მიმოხილვაში ჩამოყალიბდა თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში დოკუმენტების შემუშავების აუცილებლობა. მაგალითად, მითითებული იყო, რომ თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვაში (SDR), რეკომენდაციების შესაბამისად დაწვრილებით უნდა ყოფილიყო მიმოხილული საქართველოს შეიარაღებული ძალების აქტიური, სარეზერვო და ეროვნული გვარდიის კომპონენტთა როლები, მისიები, ორგანიზება, სტრუქტურული ერთეულები და რაოდენობა. ასევე, რეკომენდაციაში შედიოდა თავდაცვის სამინისტროს მიერ ეროვნული სამხედრო სტრატეგიის სასწრაფო შემუშავება, რომელიც დამყარებული იქნებოდა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და თავდაცვის სისტემის სტრატეგიულ მიმოხილვაზე.

დღევანდელ დღეს აუცილებლობას წარმოადგენს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა, რადგან 2008 წლის ომის შემდგომ, საქართველო ახალი საფრთხეებისა და რეალობის წინაშე დადგა. ჯერჯერობით შემუშავების პროცესშია ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია (ძველი 2005 წელს იქნა მიღებული), ასევე მზადდება ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (SDR) და ეროვნული სამხედრო სტრატეგია.

2005 წელს მიღებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

2005 წელს საქართველომ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში პირველად, მიიღო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. დოკუმენტი ასახავს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვასა და ეროვნულ ინტერესებს, იგი აღწერს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს, შესაბამისად ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლება ატარებს შესაბამის ღონისძიებებს ეროვნული ღირებულებების უზრუნველსაყოფად, რათა ადეკვატური რეაგირება მოახდინოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და გამოწვევებზე.

როგორც აღინიშნა, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია 2005 წელს არის მიღებული, დღევანდელ დღეს კი დღის წესრიგში დგას ახალი დოკუმენტის მიღების საკითხი. 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომის შემდეგ შეიცვალა ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები, შესაბამისად ახალი დოკუმენტის მიღება აუცილებლობას წარმოადგენს. უსაფრთხოების კონცეფციის ცვლილებასთან ერთად იქმნება ახალი, ადეკვატური სტრატეგიები და გეგმები. ამჟამად არსებული კონცეფციის განხილვისას კარგად ჩანს არსებული პრიორიტეტების შეცვლის აუცილებლობა.

2005 წელს მიღებულ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას წინ უძღვის საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა: "საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობა, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა..."

ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოებრიობა ეფუძნება ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს. მათი დაცვა კი აუცილებელია უსაფრთხოებისათვის. ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს წარმოადგენს: დამოუკიდებლობა – მიუღებელია ქვეყნის საშინაო საქმეებში სხვა ქვეყნის ჩარევა; თავისუფლება – საქართველო ქმნის გარანტიებს მისი მოქალაქეების ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, პატივს სცემს თავისუფალ არჩევანს; დემოკრატია და კანონის უზენაესობა – სახელმწიფოს ძალაუფლება კანონით არის განსაზღვრული და განაწილებული სახელისუფლებო შტოებს შორის, ასევე სასამართლო ხელისუფლების სიძლიერე და დამოუკიდებლობა გარანტირებულია; კეთილდღეობა – საქართველო უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებასა დასოციალური პოლიტიკის გატარებას, ასევე ხელსაყრელი გარემოს შექმნას თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით; მშვიდობა – საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მეგობრული ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან, კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია: "თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი, განვითარებული და მშვიდობიანი საქართველო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში"; უსაფრთხოება – "აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში საქართველო ესწრაფვის უსაფრთხოების უზრუნველყოფას".

ეროვნული ინტერესები

საქართველოს ეროვნული ინტერესები ქვეყანაში არსებული ვითარებიდან განისაზღვრება, და ეფუძნება საქართველოს ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს. ეროვნული ინტერესები სახელმწიფოს სტაბილურობას, განვითარებას, უსაფრთხოებას, მოქალაქეების კეთილდღეობას, უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას უზრუნველყოფს. ეროვნული ინტერესებია: ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა – "საქართველო გამოიყენეს მის ხელთ არსებულ ყველა კანონიერ საშუალებას იმ პრობლემების მშვიდობიანად და სამართლებრივად მოგვარებისათვის, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საქართველოს ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის დროს"; ეროვნული ერთიანობის და სამოქალაქო თანხმობის უზრუნველყოფა – საქართველო აშენებს საზოგადოებას, რომელიც ეფუძნება პლურალიზმის, შემწყნარებლობის, სამართლიანობის, სოლიდარობისა დაარადისკრიმინაციულობის პრინციპებს; რეგიონული სტაბილურობა – საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია კავკასიასა და რუსეთში მიმდინარე პროცესები, ამ სივრცეში მიმდინარე პროცესების მშვიდობიანად გადაწყვეტა და მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება. რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებაში საქართველოს საკუთარი წვლილი შეაქვს; თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცება მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონებში – საქართველო ხელს უწყობს მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პირობის (დემოკრატია, თავისუფლება, სამოქალაქო საზოგადოება) განმტკიცებას; ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცება და ენერგეტიკული უსაფრთხოება – საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სატრანზიტო და ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის გაძლიერება; ქვეყნისა და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოება; ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის უზრუნველყოფა.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამოწვევები. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ საფრთხეები და რისკები გაიზარდა, ხოლო გამოწვევებმა კი განსხვავებული მიმართულება მიიღო.

ეროვნული უსაფრთხოების 2005 წელს დაწერილ კონცეფციაში საფრთხეები, რისკები და გამოწვევები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

1. "ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა – დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა საქართველოს უსაფრთხოებისათვის მთავარი საფრთხეა", აქ ყურადღებაა გამახვილებული იმ პრობლემებზე, რომელიც ტერიტორიულმა რღვევამ მოუტანა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას: სამას ათასამდე იძულებით გადაადგილებული საქართველოს მოქალაქე, დაუდგენელი სახელმწიფო საზღვრები, არაკონტროლირებად ტერიტორიებზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და ხელსაყრელი გარემო კონტრაბანდის, ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებისათვის და ადამიანთა უფლებების დარღვევა არაკონტროლირებად ტერიტორიებზე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ "დარღვეულმა ტერიტორიულმა მთლიანობამ, თუკი ვერ მოხერხდა ამ პრობლემის დროული და ეფექტიანი მოგვარება, შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს, როგორც სრულფასოვანი სახელმწიფოს, ფუნქციონირებას". საფრთხე, რომელზეც ამ ნაწილშია საუბარი არსებობდა და თავი იჩინა კიდეც, *ამ დროისათვის საქმე გვაქვს მტრის მიერ უფრო მეტი ტერიტორიის ოკუპაციასთან, გადაადგილებული პირების რიცხოვნობის ზრდასთან, საოკუპაციო და მარიონეტული რეჟიმების თვითნებობასთან და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების სისტემატიურ დარღვევებთან.*

2. მეზობელ ქვეყნებში არსებული კონფლიქტების გადმოდინება – საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებიდან კონფლიქტების გადმოდინება, რამაც შესაძლოა ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე კონტროლის არარსებობა ხელისშემშლელი ფაქტორია ამ პრობლემასთან განმკლავების გზაზე. "მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტების მოუგვარებლობა და გახანგრძლივება და რუსეთში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, სტაბილურობის რღვევამ, შესაძლოა საქართველოს კონფლიქტში ჩათრევა გამოიწვიოს", - 2008 წელს *საქართველო კონფლიქტში უკვე ჩაერთო, რაც ომში გადაიზარდა, ახლა კი საჭიროა ახალი სტრატეგიის შემუშავება, რათა არ მოხდეს კონფლიქტის ხელახალი განმეორება.*

3. სამხედრო ინტერვენცია – როგორც 2005 წლის დოკუმენტში იყო აღნიშნული, "საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის შესაძლებლობა მცირეა, თუმცა საფრთხე რეალურია და ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას". არაკონტროლირებად ტერიტორიებზე და მისი საზღვრების ახლოს არსებული შეიარაღებული ფორმირებების არსებობა ზრდის შეიარაღებული კონფლიქტებისა და დესტაბილიზაციის შესაძლებლობას, ასევე რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობისათვის ერთგვარი საფრთხეა, რადგან ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის გასამართლებლად".*მართლაც,რუსეთმა თავისი აგრესიის მთავარ საბაბად "თავისი მოქალაქეების დაცვის"პრინციპი გამოიყენა.*

4. საერთაშორისო ტერორიზმი – საქართველო, როგორც ანტი ტერორისტული კოალიციის მონაწილე, შესაძლებელია გახდეს ტერორისტული აქტების სამიზნედ განსაკუთრებით მეზობელ რეგიონებში არსებული ტერორისტული კერების გათვალისწინებით.

5. კონტრაბანდა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებანი – აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებული უკანონობა, სახელმწიფო საზღვრების სუსტი კონტროლი და მეზობელ ქვეყნებში მოუგვარებელი კონფლიქტების არსებობა ხელსაყრელია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებისა და კონტრაბანდისათვის.

6. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები – საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების სრულ გაყვანამდე ისინი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის რისკის შემცველია, საქართველო მიესალმება რუსეთის ბაზების გაყვანას და მიაჩნია

რომ 2005 წლის 30 მაისს "საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი განცხადების" შესრულება ხელს შეუწყობს ურთიერთნდობის გაძლიერებას. *ბუნებრივია ახალ კონცეფციაში ახალი პუნქტი გაჩნდება, რადგან რუსეთის სამხედრო ბაზები კი გავიდნენ ბათუმიდან და ახალქალაქიდან, მაგრამ როგორც ცნობილია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ისინი სრულად აკონტროლებენ აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს და განლაგებულნი არიან თბილისიდან 40 კილომეტრში.*

7. კორუფცია და სახელმწიფო მართვის არაეფექტიანი სისტემა – კორუფციამ და სახელმწიფოს არაეფექტიანმა მმართველობამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ეროვნულ უსაფრთხოებას, -- ეს სწორეც არის, თუმცა ამ საკითხზე მუშაობა სისტემატიურად მიმდინარეობდა, *დღევანდელ დღეს კორუფციის ფაქტებს სულ უფრო ნაკლებად ვხვდებით, თუმცა ამ მავნე მოვლენასთან ბრძოლა კვლავ გრძელდება.*

8. ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები – სუსტად განვითარებულმა ეკონომიკამ, ცხოვრების პირობების გაუარესებამ, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებამ, უმუშევრობის მაღალმა დონემ და სხვა პრობლემებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყნის განვითარებას, სტაბილურობასა და ეროვნულ უსაფრთხოებას. *აღსანიშნავია, რომ დღევანდელ ეტაპზე ამ მიმართულებით ვითარება შედარებით გამოსწორდა, თუმცა მსოფლიო გლობალური კრიზისი და რიგი სუბიექტური ფაქტორები გარკვეულწილად აფერხებენ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას.*

9. ენერგეტიკული გამოწვევები – საქართველოს ასუსტებს ენერგიის არასტაბილური მიწოდება, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მძიმე ტექნიკური მდგომარეობა და ადგილობრივი ენერგიის წყაროების არასაკმარისი განვითარება. ენერგეტიკულმა გამოწვევებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ განვითარებასა და ეროვნულ უსაფრთხოებას.*მოგვიანებით მოხერხდა რუსეთის ენერგეტიკული დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა, დღევანდელ დღეს საქართველო ბუნებრივი აირის უდიდესი ნაწილის იმპორტირებას ახორციელებს აზერბაიჯანიდან, ასევე ქვეყანაში გაიზარდა ელექტროენერგიის გამომუშავება, რისი ნათელი დადასტურებაცაა ის ფაქტი, რომ 2009 და 2010 წლებში ელექტროენერგიის ექსპორტის მოცულობა ჭარბობდა იმპორტის მოცულობას. დღის წესრიგში დგას ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის საკითხი.*

10. ინფორმაციული გამოწვევები – საინფორმაციო პოლიტიკის სისუსტემ და სახელმწიფო მართვის არასანდო ინფორმაციაზე დაფუძნებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეროვნულ უსაფრთხოებას, ასევე გარე ძალების მიერ საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო შეტევის განხორციელება სერიოზული გამოწვევას წარმოადგენს. *მოგეხსენებათ, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა მძლავრი კიბეშეტევა განახორციელა საქართველოს წამყვანი სახელმწიფო სტრუქტურების ვებ-გვერდების წინააღდეგ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამხედრო აგრესიამდე სამი კვირით ადრე, რუსეთმა პირველი კიბერშეტევა განახორციელა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე.*

კონცეფციაში განსაზღვრულია ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები, რომელთა მიზანია დაიცვას ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული ეროვნული ინტერესები და ხელი შეუშალოს არსებული საფრთხეების გაძლიერებას. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: 1. სახელმწიფო მართვის გაძლიერება და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება; 2. სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება; 3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; 4. ჩრდილო – ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა (ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაცია; 5. საგარეო კავშირების განმტკიცება; 6. ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის, კონტრაბანდისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ; 7. ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება; 8. სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის

გატარება; 9. ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება; 10. საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება; 11. ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება; 12. კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით პოლიტიკის გატარება.

იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ჩადებული ეროვნული ინტერესები, საფრთხეები, რისკები და გამოწვევები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ შეცვლილია, საჭიროა არსებული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ცვლილებაც, რადგან ეს მიმართულებები 2005 წელს საქართველოს წინაშე მდგარ საფრთხეებზეა დაფუძნებული.

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ახალ დოკუმენტში საფრთხეებისა და გამოწვევების ნაწილში ახალი პუნქტები უნდა დაფიქსირდეს, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია; რუსეთის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესიის საფრთხე; კავკასიაში არსებული კონფლიქტების გადმოდინება; ეკონომიკური და სოციალურ გამოწვევები; გარეშე ძალების ქმედებების შედეგად შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციის მცდელობის საფრთხე; საინფორმაციო გამოწვევები (კიბერდანაშაული).

რაც შეეხება ეროვნული უსაფრთხოების ძირითად მიმართულებებს, აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგარეო-პოლიტიკური კურსის უცვლელობას, რომ ქვეყნის ძირითად პრიორიტეტია საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში შემდგომი ინტეგრაცია, ასევე მნისვნელოვანია ჩართულობის პოლიტიკის პრინციპის განსაზღვრა, რაც დაკავშირებულია ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან სხვადასხვა მიმართულებით კონტაქტების გაფართოებასთან.

თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტის მიღება მოხდა 2008 წლის აგვისტომდე და ამ ეტაპზე არსებული ვითარების გათვალისწინებით, მიმდინარეობს ახალ დოკუმენტზე მუშაობა, სადაც არსებითი ხასიათის ცვლილებების გატარებაა გათვალისწინებული, საინტერესო იქნება 2007 წელს დასრულებული და დამტკიცებული დოკუმენტის დეტალური ანალიზი.

დოკუმენტი - "თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა", საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებული შესაძლებლობების შეფასების დეტალურ ანალიზს წარმოადგენს, მასში განსაზღვრულია ის ნაკლოვანებები, რომლებიც შიდა და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად უნდა იყოს გათვალისწინებული სამომავლო დაგეგმვის პროცესში. "თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა"- მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს და ის არსებით გავლენას ახდენს საქართველოს თავდაცვის სისტემის სრულყოფაზე.

საქართველოს "თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაზე" მუშაობა "ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის" ფარგლებში გამართული კონსულტაციების საფუძველზე დაიწყო. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის პროცესი საქართველოს შეიარაღებულ ძალთა დეტალურ და ყოვლისმომცველ ანალიზს მოიცავს მოკლე (2007-2009 წწ.), საშუალო (2010-2012 წწ.) და გრძელვადიანი (2013-2015 წწ.) პერიოდისათვის.[295]

[295] კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი "ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე". საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 52

“თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვაში” არსებული ძირითადი მიდგომები მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში შემდგომი ინტეგრაციის პროცესში.

დოკუმენტის მიხედვით, შეიარაღებულ ძალთა შესაძლებლობები მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის ჩამოყალიბდა. ისინი ჩამოყალიბებულ იქნა არა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არამედ ნატოს ოპერაციებსა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წვლილის შესატანად არსებული საჭირო მოთხოვნების გათვალისწინებით. დოკუმენტი მოდერნიზაციის სამომავლო პრიორიტეტებს შესაძლებლობების შემდგომი განვითარების მიზნით განსაზღვრავს. “თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა”დეტალურად განიხილავს ყველა ხელმძღვანელი რგოლისა და სტრუქტურის ფუნქციებსა და ამოცანებს.

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “თავდაცვის დაგეგმვის შესახებ”, რომლის ფარგლებშიც ხდება საქართველოს თავდაცვის დაგეგმვისათვის მოთხოვნათა ჩამოყალიბება და პასუხისმგებლობების განაწილება. დაგეგმვა მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალების მაღალი მზადყოფნის შესანარჩუნებლად და პოტენციური მოწინააღმდეგის შესაკავებლად, რათა მოხდეს ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება. შესაბამისი სტრუქტურები უწყებათაშორის დონეზე “თავდაცვის დაგეგმვის შესახებ” კანონით განსაზღვრული ყველა სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებაზე მუშაობენ. კანონით განსაზღვრული ეს დოკუმენტებია - სახელმწიფო სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას, საფრთხეების შეფასების დოკუმენტსა და ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას; და თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული დოკუმენტები, რომელიც მოიცავს მინისტრის ხედვას, სამხედრო განვითარების პროგრამებს, წლიურ პროგრამებს, ოპერატიულ გეგმებს, კონცეფციებს, დოქტრინებსა და ინსტრუქციებს.

“თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში” აღწერილია ძირითადი პოლიტიკური და სამხედრო ვარაუდები, რომელიც ასევე განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო მოთხოვნილებებს და შეიარაღებული ძალების ამოცანებს 2007-2015წწ.[296]

ძირითად პოლიტიკურ ვარაუდებში, პერიოდით 2007-2009წწ. საუბარია საქართველოს მიზანზე დაამყაროს მეგობრული და თანამშრომლური ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან, საუბარია “გაყინული კონფლიქტების” მოგვარებაზე, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით არსებული კურსის შენარჩუნებაზე, ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობასა და “გაწევრიანების სამოქმედო გეგმის” მიღებაზე, რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებაზე.

ძირითად პოლიტიკურ ვარაუდებში, პერიოდით 2010-2012წწ. საუბარია კონფლიქტების მოგვარების მიზნით აფხაზეთისა და “სამხრეთ ოსეთის”დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიალოგის გააქტიურებაზე, ნატოსთან და შესაბამის ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობათა ინტენსიფიკაციაზე, ტერორიზმზე - როგორც მზარდ და სერიოზულ საფრთხეზე, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირებაზე.

ძირითად პოლიტიკურ ვარაუდებში, პერიოდით 2013-2015 წწ. საუბარია გაყინული კონფლიქტების მოგვარებაზე,სეპარატისტული ტერიტორიების დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრაციის პროცესზე, სოციალ-ეკონომიკური განვითარებაზე,

---

[296]კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი “ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე”. საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 52

ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტენსიურ თანამშრომლობაზე, ტერორიზმის მზარდ და სერიოზულ საფრთხედ გადაქცევაზე, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გაღრმავებაზე.

რაც შეეხება ძირითად სამხედრო ვარაუდებს, ისინიც 2007-2015წწ. პერიოდითაა განსაზღვრული. ძირითად სამხედრო ვარაუდებში, პერიოდით 2007-2009წწ. საუბარია საქართველოს მიმართ ფართო სამხედრო აგრესიის განხორციელების დაბალ ალბათობაზე, რუსეთის მიერ შეთანხმების შესრულებაზე, რომელიც გულისხმობს 2007 წლის ბოლომდე საქართველოს ტერიტორიიდან სამხედრო ბაზების გაყვანას და სხვა სამხედრო ობიექტების გაუქმებას. პარტნიორ ქვეყნებთან არსებული სამხედრო თანამშრომლობის დონის შენარჩუნებაზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობაზეტერორიზმის წინააღმდეგ კოალიციურ ოპერაციებში. საქართველოს მიერ პარტნიორ ქვეყნებთან "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამების გაგრძელებაზე,ასევე სამხედრო წვრთნების ინტენსიფიკაციაზე ნატოსთან თავსებადობის მისაღწევად.

ძირითად სამხედრო ვარაუდებში, პერიოდით 2010-2012წწ. საუბარია საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელების ალბათობის მკვეთრად შემცირებაზე, პარტნიორი ქვეყნების მხრიდან სამხედრო მხარდაჭერის კიდევ უფრო გაზრდაზე, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთაშორისო კოალიციურ ოპერაციებში მონაწილეობაზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურაზე, რაც შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და ნატოს კოლექტიური თავდაცვის მოთხოვნებთან, საქართველოს თავდაცვის სისტემის ნატოს სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოებაზე, ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის გაღრმავებაზე, რაც გამოიწვევს "ტოტალური და უპირობო თავდაცვის" სისტემის გადახედვას.[297]

რაც შეეხება ძირითად სამხედრო ვარაუდებს, პერიოდით 2013-2015წწ. აქ საუბარია საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის ალბათობის მინიმუმამდე შემცირებაზე, სამხედრო თანამშრომლობის გაგრძელებაზე პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციურ ოპერაციებში მონაწილეობაზე, ნატოს მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის გაგრძელებაზე.

"თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში" განსაზღვრულია შემდეგი სამხედრო ხასიათის პრიორიტეტები: მაღალი მზადყოფნისა და საბრძოლო შესაძლებლობების მქონე შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება - მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით; მობილური საბრძოლო შესაძლებლობების მქონე შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, შემდგომში ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის აღკვეთის მიზნით; ეფექტური სამხედრო რეზერვის შექმნა "ტოტალური და უპირობო თავდაცვის" პრინციპის შესაბამისად; შესაბამისი ძალების ჩამოყალიბება - რომლებიც კონფლიქტური ზონიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდანაღკვეთენ ბანდფორმირებების შემოსვლას; გადასროლის უნარის მქონე სამხედრო ქვედანაყოფების ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას; შესაბამისი სამხედრო ძალების განვითარება, რომლებიც დივერსიული და ტერორისტული ქმედებებისაგან დაიცავენ სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებსა და საზღვაო პორტებს; შესაბამისი უსაფრთხოების ძალების არსებობა, რომლებიც შესძლებენ საგანგებო მდგომარეობის დროს სამოქალაქო ხელისუფლებისათვის დახმარების აღმოჩენას, მათ შორის სტიქიური უბედურებებისა ან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შემთხვევაში.

"თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვაში", განხილული და გაანალიზებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების - პოლიტიკურ ვარაუდებზე დამყარებული

[297] იქვე

მიზნები და ამოცანები, რომლებიც ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო შეთანხმებებს. მისი მისიები და ფუნქციები მოიცავს ისეთ მიმართულებებს - როგორიცაა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ეროვნული ინტერესების დაცვა, სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერა.

დოკუმენტში ასახულია შეიარაღებული ძალების ფუნქციები და მიზნები. საქართველოს შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებისაგან, ასევე, სპეციალური დანიშნულების ძალებისა და ეროვნული გვარდიისაგან.

სახმელეთო ძალები სშძ-ს ყველაზე დიდ კომპონენტს შეადგენენ. მისი მთავარი ამოცანაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა. მათ უნდა შესწევდეთ უნარი აღკვეთონ ყველა სახის საფრთხე. სახმელეთო თავდაცვა ხორციელდება ქვეითი ბრიგადების, არტილერიის და სხვა სამხედრო საბრძოლო დამხმარე კომპონენტების მეშვეობით.

საჰაერო ძალები შედგება ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სისტემებისაგან. საჰაერო ძალები ახორციელებენ საჰაერო სივრცის კონტროლსა და საჰაერო სუვერენიტეტის დაცვას (2008 წლის ომის შემდეგ საჰაერო ძალები სახმელეთო ძალების შემადგენლობაში შევიდნენ).

საქართველოს საზღვაო ძალები ახორციელებენ საქართველოს საზღვაო სუვერენიტეტს, ქვეყნის ტერიტორიული წყლებისა და ეკონომიკური ზონის დაცვას (2008 წლის ომის შემდეგ საზღვაო ძალები სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სახით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარა). რაც შეეხება სპეციალური დანიშნულების ძალებს, ისინი ახორციელებენ სადაზვერვო სამუშაოებს, კონტრ-ტერორისტული ოპერაციების მხარდაჭერას. რაც შეეხება ეროვნულ გვარდიას, იგი პასუხისმგებელია სამხედრო რეზერვის საბრძოლო მომზადების წვრთნების ორგანიზებაზე.

ეროვნული სამხედრო სტრატეგია

ეროვნული სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტი 2008 წლის აგვისტომდე იქნა მიღებული. იგი ეფუძნება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას და თავდაცვის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იგი განაპირობებს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის განხორციელებას 2010 წლამდე. იგი მოკლე (2005-2007 წწ.) და საშუალოვადიან (2008-2010წწ.) პერსპექტივაში ასახავს ქვეყნის შეიარაღებული ძალების სამოქმედო სფეროებს, გეგმებს და საფუძველს ქმნის მომავალში ეფექტური უსაფრთხოების სისტემისა და შეიარაღებული ძალების განვითარებისათვის. დოკუმენტი აყალიბებს ეფექტური უსაფრთხოების სისტემის განვითარებისა და შეიარაღებული ძალების მშენებლობის საფუძველს, თავდაცვის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად საჭირო ნაბიჯებს, რაც აუცილებელია ნატოში ინტეგრაციისათვის. დოკუმენტის მიხედვით თავდაცვის სამინისტროს ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროცესისათვის პოლიტიკური მიმართულებების განსაზღვრა;
- ქვედანაყოფების მაღალი მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების აღსრულება;
- არსებული სამხედრო- პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით საფრთხეების განსაზღვრა;
- შეიარაღებული ძალების სტრუქტურის სრულყოფა;

- საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების მიხედვით თანამშრომლობის გაღრმავება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების (სშძ)-ს განვითარების ძირითადი მიმართულებები:
სშძ-ს განვითარების ძირითად მიმართულებებში გაწერილია, რომ თავდაცვის პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლება. ქვეყნის ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტული მიზანია ნატოში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა, მთავარი ამოცანაა მაღალი შესაძლებლობების მქონე ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, რომელებიც შეძლებენ ნატოსთან ერთად ნებისმიერ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის მიღებას.

საქართველოს თავდაცვის ზოგადი პრონციპები

საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია აყალიბებს შეიარაღებული ძალების მშენებლობის, სტრუქტურისა და შესაძლებლობების განვითარების სტრატეგიის საფუძველს. ამ სტრატეგიასთან შესაბამისობაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებისა და აგრესიის შეკავების ხარისხზე.
დოკუმენტის მიხედვით ქვეყნის თავდაცვის ზოგადიპრინციპებია:

1. პირდაპირი აგრესიის თავიდან აცილება და მისგან დაცვა;
2. ნატოსთან ინტეგრაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა;
3. სტრატეგიული გარემოს ზუსტი შეფასების უნარი;
4. კავკასიის რეგიონში სტაბილურობის ხელშეწყობა;
5. საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობა;

ეროვნული სამხედრო სტრატეგიის მნიშვნელობა

საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია აყალიბებს ძირითად მიმართულებებს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისათვის. იგი აყალიბებს მიზნებს, ამოცანებს, მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს. დოკუმენტი ასევე იძლევა საფუძველს კოალიციურ სამხედრო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობისთვის და ნატოსთან თავსებადობის მისაღწევად. იგი აყალიბებს სამხედრო მიზნებს, ამოცანებს და მოთხოვნილებებს, ასევე განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების მოქმედებას და ოპერატიული დაგეგმვის მიმართულებებს, განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების სტრუქტურასა და მოთხოვნილებებს.

თავდაცვის მინისტრის ხედვა 2010

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა მოქმედი სტრატეგიული დოკუმენტების გადახედვა, ამ პროცესის დასრულებამდე კი განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა"მინისტრის ხედვის" დოკუმენტმა, რომელიც მოკლევადიან პერსპექტივაში განსაზღვრავს თავდაცვის სისტემის განვითარების კონკრეტულ მიმართულებებს.

“მინისტრის ხედვა 2010” განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელიც ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისათვის. იგი განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების კონკრეტულ პრიორიტეტებს, რათა მან მაქსიმალურად ეფექტურად უპასუხოს ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე მდგარ გამოწვევებს.
“მინისტრის ხედვა 2010” მიზნად ისახავს თავდაცვის სისტემის განვითარებას ოთხი მიმართულებით: 1. თავდაცვის შესაძლებლობები; 2. თავდაცვის სისტემის მართვა; 3. განათლების სისტემა და ადამიანური რესურსების მართვა; 4. ნატოში ინტეგრაცია და საერთაშორისო თანამშომლობა.[298]

თავდაცვის შესაძლებლობები

თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება აუცილებელი წინაპირობაა საქართველოს მშვიდობიანი განვითარებისათვის. თავდაცვისუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის უპირველეს ამოცანას, რომელიც ხელს შეუწყობს გარე სააფრთხეებისაგან ქვეყნის ეფექტურ დაცვას და შესაბამისად ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას.

თავდაცვის სამინისტრო აყალიბებს შემდეგ პრიორიტეტებს:

თავდაცვის დაგეგმვა; მართვა და კონტროლი; დაზვერვა; წვრთნები; სიმულაციური შესაძლებლობები; საჰაერო თავდაცვა; ავიაცია; ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობები; სპეციალური ოპერაციები; ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა; შეიარაღებისა და აღჭურვილობის მოდერნიზაცია; კავშირგაბმულობა, ინფორმაციული სისტემები და ინფორმაციის უსაფრთხოება; სამხედრო – საინჟინრო შესაძლებლობები; რეზერვი; საზღვაო უსაფრთხოება; კრიზისების მართვა; ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ოპერაციები; რადიო – ელექტრონული ბრძოლა; სამხედრო – სამეცნიერო შესაძლებლობები.

თავდაცვის სისტემის მართვა

საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამედროვე გამოწვევებისა და ამოცანების გადაჭრისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტია თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და მისი სრულყოფა.
თავდაცვის სისტემის მართვის ძირითად პრიორიტეტებში განხილულია: მიღებული გამოცდილების ანალიზის სისტემა; თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა; უწყებათაშორისი კოორდინაცია; სტრუქტურის ოპტიმიზაცია; დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემა; შესყიდვების სისტემა; დოქტრინები და პროცედურები; შეფასებისა და მოხსენების სისტემა; სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა;

განათლების სისტემა და ადამიანური რესურსების მართვა

[298] კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი “ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე”. საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 55

თავდაცვის სისტემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის და განათლების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება.
თავდაცვის სამინისტროში პერსონალის მართვისა და განათლების სისტემის განვითარება შემდეგ პრიორიტეტებს აყალიბებს: სამხედრო განათლების სისტემა; სამხედრო პერსონალის მართვის სისტემა; სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემა; საზღვარგარეთ სწავლების ორგანიზება.

ნატოში ინტეგრაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა

ნატოში ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ნატოსთან ინტეგრაციის პროცესში თავდაცვის სამინისტროს უმთავრეს ამოცანას შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. თავდაცვის სამინისტროსთვის კვლავაც პრიორიტეტულია ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, ცალკეულ სახელმწიფოებთან თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობა.
ნატოსთან ურთიერთობის კუთხით, თავდაცვის სამინისტროს მთავარი პრიორიტეტებია: ნატო – საქართველოს კომისიის ეფექტური საქმიანობა; "ყოველწლიური ეროვნული პროგრამა" – მათ შორის თავდაცვის ნაწილის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება; "დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი" (PARP);საქართველოს მიერ PARP–ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება; ორმხრივი თანამშრომლობა – აქტიური და მჭიდრო ურთიერთობის გაგრძელება ნატოს წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, მათთან არსებული თანამშრომლობის გაღრმავება და ახალ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის დაწყება, საქართველოსა და აშშ-ს შორის გაფორმებული სტრატეგიული ქარტიის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება; საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა - ნატოს ძალებთან ერთად მონაწილეობის გაგრძელება ISAF-ის ოპერაციაში. აშშ-ს, საფრანგეთის, თურქეთის და სხვა ქვეყნების სამხედრო კონტინგენტებთან ერთობლივი მოქმედებით საქართველოს მიერ წვლილის შეტანა საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

ანტიკრიზისული მართვა

როგორც ცნობილია, 2010 წლის ნოემბერში გამართულ ნატო-ს ლისაბონის სამიტზე დამტკიცებულ იქნა ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია. ნატო თავის ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში რეკომენდაციებს იძლევა პარტნიორებთან მომავალი ურთიერთობების გასაღრმავებლად.

ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში შემავალ რეკომენდაციებში პარტნიორებთან და კერძოდ საქართველოსთან მიმართებაში ნათლადაა გაწერილი, რომ მოკავშირეებმა უნდა აამოქმედონ კრიზისების მართვის მექანიზმი, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს უსაფრთხოების კონტროლი.

"ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის მიმოხილვის ნაწილი პარტნიორობის შესახებ მიუთითებს, რომ პარტნიორობა გაუმჯობესდება კრიზისების მართვაში თანამშრომლობის გზით, შესაბამისად ნატოსთან ურთიერთობაში ეს პუნქტი პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანია", -- განაცხადა გენერალმა სერ გარი

ჯონსონმა, უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარემ.[299]

ნატოს რეკომენდაციების თანახმად კრიზისების წარმატებული მართვისთვის აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან შემდეგი სტანდარტული პროცედურების განხორციელება:

- მოსალოდნელი კრიზისების ალბათობის დადგენა;
- კრიზისების პრევენციის / მართვის ფუნქციების გამიჯვნა. უნდა განისაზღვროს თითოეული სახელმწიფო უწყების როლი და ფუნქციები სხვადასხვა სახის კრიზისის მართვის პროცესში;
- კრიზისების მართვის სტრატეგიული გეგმების შედგენა ეროვნულ და უწყების დონეზე (უწყებათა ურთიერთქმედების სქემები, თითოეული კრიზისის დადგომის შემთხვევაში ხელმძღვანელი უწყების განსაზღვრა და ა.შ)
- კონკრეტული კრიზისების მართვაზე პასუხისმგებელი ოპერატიული უწყებათაშორისი შემადგენლობების განსაზღვრა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმების შემუშავება;
- სიმულაციებისა და ტრეინინგების პერიოდიული გამართვა.

უწყებათაშორის კოორდინაციის არარსებობა მმართველობის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. ქვეყნის წინაშე მდგარი უწყებათაშორისი კოორდინაციის პრობლემები ქვეყნის უსაფრთხოებას, მის განვითარებასა და წარმატებას ემუქრება. განვითარებად ქვეყნებში ეს პრობლემა უფრო მასშტაბურია და უარყოფითად აისახება განვითარების პერსპექტივებზე.[300]

კოორდინაციის პრობლემები განსაკუთრებით თვალსაჩინოა კრიზისების პრევენციისა და მართვის პროცესში მაშინ, როდესაც სახელმწიფოს არ აქვს იმის უნარი,თავიდან აიცილოს საფრთხეები და დაარეგულიროს კრიზისული სიტუაციები. კრიზისების პრევენცია და მართვა სახელმწიფო ხელისუფლების პრეროგატივაა, სახელმწიფოს თითოეული უწყება ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს კრიზისის პრევენციისა და მართვის ღონისძიებებში, რაც გათვალისწინებული იქნება მისი კომპეტენციის ფარგლებსა და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში. განვითარებად ქვეყნებს ხშირ შემთხვევებში მმართველობის არაეფექტური სისტემები გააჩნიათ, მაგალითად კრიზისების პრევენციისა და მართვის პროცესში სამინისტროები ვერ აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას, ან კანონის მიერ დადგენილი მოთხოვნები ეფექტურად ვერ ხორციელდება.

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებს სხვადასხვა მექანიზმები და სისტემები სჭირდებათ. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კრიზისების მართვის სფეროში შესაბამისი კანონმდებლობის მიღება საკმარისია, და იქ არ არის საჭირო სპეციალური უწყებათაშორისი მაკოორდინირებელი სტრუქტურის შექმნა. ამ ქვეყნებში ეფექტური მმართველობის პირობებში სახელმწიფო სტრუქტურებს გათვითცნობიერებული აქვთ კანონთა მოთხოვნები და აქვთ იმის სესაძლებლობა, რომ სპეციალური სისტემის გარეშე განახორციელონ სტრატეგიული დაგეგმვა, კოორდინაცია და სხვა პროცედურები. რაც შეეხებათ განვითარების პროცესში მყოფ ქვეყნებს, არაეფექტური მმართველობის არქონის და ადამიანური რესურსების

[299]კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი "ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე". საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 55

[300]Dvali Akaki. Crisis Management and Intergovernmental coordination. GFSIS. Volume 2, 2005. P. 4

მართვის პრობლემის გამო, მათ უჭირთ იმავე პროცედურების შესრულება რასაც მაღალგანვითარებული ქვეყნები ასულებენ, მათ სჭირდებათ სპეციალური უწყებათაშორისი სტრუქტურის შექმნა, რომელიც მუდმივად თვალყურს ადევნებს კრიზისების მართვის კანონმდებლობის განხორციელებას.[301]
აღსანიშნავია, რომ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, საქართველოში სწრაფად მოხდა მმართველობით სფეროში ვითარების გამოსწორება, რომელიც პირობითად რომ ვთქვათ, პირველ მიზანს წარმოადგენდა. მასში იგულისხმება ადმინისტრაციული კორუფციის შემცირება, ბიუროკრატიის რეფორმა, სახელმწიფო დაწესებულებათა ოპტიმიზაცია და სხვა. ეს წარმატება განვითარებადი ქვეყნებისათვის მაგალითადაც კი იქცა. მიუხედავად ამისა, საქართველოში ჯერ კიდევ პრობლემად რჩება მმართველობის დახვეწის მეორე ეტაპის ღონისძიებების განხორციელება, მასში კი იგულისხმება საჯარო მოსამსახურეთა პროფესიონალიზმისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტური მექანიზმის არარსებობა.
საქართველოში გადაწყვეტილების მიღებისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის სისტემას გარკვეული ნაკლოვანებები გააჩნია. საქართველოს ხელისუფლება ყველა სფეროში ვერ ახორციელებს პრევენციული ღონისძიებებისა და კრიზისების მართვას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს კარგად გამოჩნდასხვადასხვა დროს, მაგალითად:

2004 წლის ზაფხული, როდესაც ცხინვალის რეგიონში განხორციელებულმა პროვოკაციებმა შეიარაღებული კონფლიქტის განახლების პრობლემა წარმოშვა, სამშვიდობო პროცესი საფრთხის წინაშე დადგა, რადგან ამ პროვოკაციას 15-მდე ქართველი სამხედრო ემსხვერპლა და მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საფრთხის ალბათობა მაღალი იყო, ხელისუფლებამ ამ პრობლემაზე ფიქრი მხოლოდ კრიზისის დადგომის შემდგომ დაიწყო. ამ შემთხვევაში ჩავარდნა განპირობებული იყო თავდაცვის, შინაგან საქმეთა, კონფლიქტების მოგვარების და საგარეო საქმეთა სამინისტროების არაკოორდინირებული მოქმედებების გამო.

მეორე შემთხვევა გახლდათ 2005 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე სტიქიასთან ბრძოლა, როდესაც წყალდიდობებმა საქართველოს მასშტაბით დატბორა 5000-მდე საცხოვრებელი სახლი, გამოიწვია ხიდებისა და გზების ნგრევა, მოსავლის განადგურება და ადამიანთა მსხვერპლი. ასეთი კრიზისების ალბათობა საქართველოში მაღალია, მიუხედავად ამისა 2005 წელს სახელმწიფოს არ გააჩნდა გეგმები კრიზისის თავიდან ასაცილებლად. ამ შემთხვევაში ასეთი ჩავარდნა განპირობებული იყო ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის სუსტი კოორდინაციით, რამაც კრიზისის შედეგები გაამწვავა და ზარალის ოდენობაც გაზარდა.

მომდევნო წლებში საქართველოში კიდევ ბევრი კრიზისული ვითარება დაფიქსირდა, რამაც ქვეყანაში მმართველობის გაუმჯობესების აუცილებლობა დაგვანახა. განსაკუთრებით ეს ეხება 2008 წლის აგვისტოს, როდესაც სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები დაფიქსირდა. ასევე, რუსეთის მხრიდან განხორციელებული მასირებული საჰაეროს დაბომბვების შედეგად პრობლემებმა თავი იჩინა სამოქალაქო თავდაცვის სფეროშიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოში კრიზისის პრევენციის დადებითი გამოცდილებაც არსებობს, რაც უწყებათაშორისი კოორდინაციის შედეგად მოხდა. მაგალითად:2006 წელს, ფრინველის გრიპის ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგოდ პრევენციული ღონისძიებების ჩატარება. ამ საკითხებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოფლის

[301]კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი "ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე". საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 55

Dvali Akaki. Crisis Management and Intergovernmental coordination. GFSIS. Bulletin 2, 2005. P. 4

მეურნეობის, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, ეს წარმატებული ღონისძიებები პრეზიდენტის უშუალო დაინტერესებისა და კონკრეტული დავალებებისა და განკარგულებების გაცემის შედეგი იყო.

უწყებათაშორისი კოორდინაციისა და კრიზისების მართვის სისტემის გარკვეულ ნაკლოვანებებზე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიც ამახვილებენ ყურადღებას და უწყებათაშორისი კოორდინაციისა და სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობაზე მიგვითითებენ. მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე შექმნეს კრიზისების მართვის შესაბამისი სისტემის მოდელი, რომელიც საქართველოს მთავრობას წარუდგინეს განსახორციელებლად. შეთახმების მიუხედავად, ეს პროექტი არ განხორციელებულა.

საქართველოს ხელისუფლებას კრიზისების მართვის სისტემის შექმნის მცდელობა რამდენჯერმე ჰქონდა, თუმცა უშედეგოდ. 1995-დან 2005 წლამდე ფორმალურად ფუნქციონირებდა ეროვნული უშიშროების საბჭოს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის უწყებათაშორისი მუდმივი კომისია და ის კრიზისების მართვის სფეროში უმაღლეს ორგანოდ განიხილებოდა. კომისია, რომელსაც სათავეში შინაგან საქმეთა მინისტრი ედგა, 39 წევრისაგან შედგებოდა.[302] მისი არსებობის პერიოდში ქვეყანაში მისი ფუნქციონირება საერთოდ არ შეიმჩნეოდა. კომისიის წევრებს არ გააჩნდათ ერთიანი სტრატეგიული ხედვა კრიზისების მართვასთან დაკავშირებით, ამასთანავე, კანონმდებლობით გათვალისწინებული მრავალრიცხოვანი ფუნქციების შესრულება რეალურად შეუძლებელი იყო, რადგან რეალურად არ არსებობდა სხვადასხვა დონეზე უწყებათა თანამშრომლობის მექანიზმები და ვალდებულებები. ამავე დროს, კომისიის დებულება ითვალისწინებდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში ადგილობრივი კომისიების შექმნას, თუმცა არაორგანიზებულობის გამო ესეც ვერ მოხერხდა.

კრიზისების მართვის აღნიშნული სისტემა სპონტანურად იყო შექმნილი, ის არ ეფუძნებოდა კრიზისების მართვის სტრატეგიულ დოკუმენტს, სწორედ ეს გახდა წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი, რადგან ეს სისტემა წარმოდგენილი იყო მხოლოდ უმაღლეს დონეზე შექმნილი კომისიით, რომელშიც შედიოდნენ მინისტრები და მოადგილეები, და შესაბამისად არ იყო დადგენილი უწყებათა შორის სხვადასხვა დონეზე სისტემატიური თანამშრომლობისა და კორდინაციის მექანიზმები, როგორიცაა მაგალითად პერიოდული შეხვედრები ექსპერტთა დონეზე.

2005 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით ეს კომისია გაუქმდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს რაციონალური გადაწყვეტილება იყო, კომისიის გაუქმებით კრიზისების მართვის უწყებათაშორისი კოორდინაციის ერთადერთი რგოლი მოიშალა.

კრიზისების მართვის ორგანოდ როგორც საზოგადოებაში, ასევე პოლიტიკურ წრეებში მოიაზრება შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი – საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი. მას ევალება საქმიანობის კოორდინაცია საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის მიზნით, თუმცა მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ის წარმოადგენს კრიზისის მართვის ეფექტურ ინსტრუმენტს ეროვნული გვარდიის, პოლიციის და სხვა ოპერატიული ქვედანაყოფების გვერდით. რეალურად ის ფუნქციები რომელიც მას აკისრია, ყველა სამთავრობო სტრუქტურების და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ერთობლივად უნდა განხორციელდეს.

შსს-ს მსგავსი დეპარტამენტი 2006 წელს თბილისის მერიაშიც შეიქმნა. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების სამოქალაქო სამსახური კრიზისების

[302]Dvali Akaki. Crisis Management and Intergovernmental coordination. GFSIS. Bulletin 2, 2005. P. 7

დროს სამაშველო ღონისძიებებზეა ორიენტირებული, თუმცა ესეც ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტია კრიზისების მართვის ქვედანაყოფებთან ერთად.

უწყებათაშორისი სისტემის შექმნის მცდელობასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ შესაბამისი ნორმატიული აქტი გამოსცა, რომელიც სახელმწიფო ორგანიზაციებს პასუხისმგებლობას აკისრებს სხვადასხვა სახის კრიზისის დადგომის შემთხვევაში. იმის გამო, რომ ნორმატიული აქტის დებულება ზოგადია, ის არ ითვალისწინებს წინასწარი სამუშაოების განხორციელების კონტროლსა და მონიტორინგს. აღნიშნული პრობლემა იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში აუცილებელია სპეციალური უწყებათაშორისი სისტემის შექმნა, რომელიც განახორციელებს მუდმივ კონტროლს და მონიტორინგს გაუწევს კრიზისების მართვის სფეროში სპეციალური კანონმდებლობის განხორციელებას.

კრიზისების მართვის უწყებათაშორისი კოორდინაციის წარმატებული მოდელები შესაძლოა ორი სახით ჩამოვაყალიბოთ: განვითარებულ ქვეყნებში თვითრეგულირებადი სისტემა, რომელიც მხოლოდ კრიზისების მართვის კანონმდებლობას ეფუძნება, მას არ აქვს სპეციალური სტრუქტურიზებული უწყებათაშორისი კოორდინაციის სისტემა; იგი ძირითადად მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეორე კი ინსტიტუციური სისტემაა, რომელიც კრიზისების სტრუქტურიზებულ პრევენციასა და მართვას გულისხმობს, მას კრიზისების მართვის სპეციალურ კანონმდებლობასთან ერთად გააჩნია უწყებათაშორისი სტრუქტურა, რომელიც კოორდინაციის საფუძველზე კანონმდებლობის აღსრულებას უზრუნველყოფს. ეს მოდელი ძირითადად ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედებს.[303]

კრიზისების მართვის თვითრეგულირებადი სისტემის მოდელი ამერიკის შეერთებული შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს სპეციალური უწყებათაშორისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც კონტროლს გაუწევს კრიზისების პრევენციისა და მართვის ღონისძიებებს. რიგ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს თვითრეგულირებადი სისტემა, რომელიც მხოლოდ კრიზისების მართვის კანონმდებლობას ეფუძნება და არ გააჩნია სპეციალური სტრუქტურიზებული უწყებათაშორისი კოორდინაციის სისტემა. აშშ-ში არსებობს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციების პასუხისმგებლობებსა და ფუნქციებს სხვადასხვა კრიზისების პრევენციისა და მათი მართვის შემთხვევაში. სახელმწიფო დაწესებულებებში აუცილებელი სტანდარტული პროცედურების განხორციელება ტრადიციად არის ქცეული, შესაბამისად აქ სპეციალური კანონმდებლობის ზოგადი დირექტივები საკმარისია.

2000 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კონგრესის მიერ მიღებული კანონი "კატასტროფების შედეგების შემსუბუქების შესახებ", ზოგად დირექტივებს აძლევს ხელისუფლების ცენტრალურ, შტატის და ადგილობრივ ორგანოებს, თუ რა სახის წინასწარი სამუშაოები უნდა ჩაატარონ კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციოდ. ეს კანონი ყველა შტატსა და ადგილობრივი მართვის ორგანოს სთხოვს შეიმუშაოს კატასტროფების მართვის სამოქმედო გეგმები და პრეზიდენტს წარუდგინოს დასამტკიცებლად. ამავდროულად, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს კანონის შესაბამისად მოეთხოვებათ დაგეგმვა სხვადასხვა სახის რისკების შემცირების მიზნით და ამ გეგმების განხორციელების სტრატეგიის შემუშავება. კანონი ასევე მიჯნავს ფედერალური და ადგილობრივი ხელისუფლებების კომპეტენციებს დაფინანსების თვალსაზრისით და აწესებს

[303]Dvali Akaki. Crisis Management and Intergovernmental coordination. GFSIS. Bulletin 2, 2005. P. 8

კრიზისის განეიტრალებისათვის ფედერალური მთავრობის მიერ შესატანი წვლილის მაქსიმალურ ზღვარს, თუმცა სერიოზული კრიზისის შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება აქვს გაზარდოს ფედერალური კონტრიბუციის მოცულობა მაქსიმალური ზღვრის მიღმა.

კანონი - "კატასტროფების შედეგების შემსუბუქების შესახებ" სთხოვს პრეზიდენტს გარკვეულ კოორდინაციასა და უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების შექმნას, რომელიც თანამდებობის პირებისგან უნდა დაკომპლექტდეს, ეს პირები არიან: საგანგებო სიტუაციების მართვის ფედერალური სააგენტოს დირექტორი, რომელიც ჯგუფის თავმჯდომარეა; შესაბამისი ფედერალური სააგენტოების წარმომადგენლები; შტატებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები და ამერიკული წითელი ჯვრის წარმომადგენლები.

კატასტროფების შედეგების განეიტრალების მიზნით არსებული კანონი ხელისუფლების ორგანოებს ზოგად დირექტივებს აძლევს და გარკვეული კოორდინაციის მექანიზმებზეც მიუთითებს. თუმცა, ამ დირექტივების სათანადოდ და ეფექტურად შესრულებისთვის არ არსებობს სპეციალურად შექმნილი სტრუქტურა, კოორდინაციის სისტემა მხოლოდ უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფისგან შემოიფარგლება, რომელიც მაღალი თანამდებობის პირებისგან შედგება.

კატასტროფების შედეგების შემსუბუქების შესახებ კანონის გარდა, სხვა სპეციალური კანონებიც არსებობენ, რომლების კონკრეტული კრიზისების შემთხვევაში გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებენ ფედერალურ და ადგილობრივ სახელმწიფო ორგანიზაციებს.[304]

კრიზისების მართვის ინსტიტუციური სისტემა ესტონეთში[305]

ესტონეთი პოსტ საბჭოთა ქვეყანაა, რომელიც როგორც ცნობილია დღევანდელ დღეს ევროკავშირისა და ნატოს წევრია. პოსტსაბჭოთა სივრციდან გამოსვლის შემდგომ, ესტონეთს ასევე მძიმე გზის გავლა მოუწია, რათა დაემკვიდრებინა საკუთარი ადგილი ევროპაში, ჰქონოდა დამოუკიდებლობა და გამხდარიყო ნატოსა და ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. კრიზისების მართვის შექმნა ამ ქვეყანაში ასევე ეტაპობრივად მოხდა. კრიზისების მართვის სტრუქტურიზებული სისტემის შექნის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ განვითარების კონკრეტულ ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ ეფექტური მმართველობის შესაძლებლობები და ტრადიციები. შესაბამისად, ქვემოთ მოცემულია ესტონეთის მიერ კრიზისების მართვის სფეროში განხორციელებული წინსვლები, ამ ქვეყანაში მოქმედებს ინსტიტუციური მოდელი და ეს მაგალითი გარკვეულწილად მიგვანიშნებს იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია ამ მოდელის საქართველოში დანერგვა.

ესტონეთში ინსტიტუციური სისტემა წარმატებით მოქმედებს. 2000 წელს "საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნის" შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე, ესტონეთში ჩამოყალიბებული კრიზისების მართვის უწყებათაშორისი სისტემა სრულად პასუხობს ეფექტური მართვის სტანდარტებს. სისტემა ხელს უწყობს კანონის მიერ დაწესებული კრიზისების მართვის სტანდარტული პროცედურების აღსრულებას.

სტრუქტურულად, ესტონეთის კრიზისების მართვის სისტემა რამდენიმე რგოლისგან შედგება: ესტონეთის მთავრობა, მთავრობის კრიზისების მართვის კომიტეტი, სამინისტროების კრიზისების მართვის სპეციალური სტრუქტურული

[304]Dvali Akaki. Crisis Management and Intergovernmental coordination. GFSIS. Bulletin 2, 2005. P. 9

[305]Chitadze Nika. Crisis Management and Intergovernmental coordination in Georgia after Georgia-Russia war. NUPI, Norwegian Institute of International Affairs. Oslo, Norway, May, 2010. P. 12

ერთეულები, რეგიონების გუბერნატორებისა და ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოების კრიზისების მართვის კომიტეტები და სპეციალური ჯგუფები.

ესტონეთის მთავრობა კრიზისების მართვის პოლიტიკის უმაღლესი ინსტანციაა. მისი მთავარი ამოცანაა კრიზისების მართვის ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნული გეგმის შემუშავება და სხვადასხვა სახელწიფო უწყების საქმიანობის კოორდინაცია. მთავრობასთან ფუნქციონირებს მუდმივი კომიტეტი, რომელიც კრიზისების მართვის კოორდინაციას ახორციელებს.

კრიზისების მართვის კომიტეტის ძირითადი საქმიანობაა მთავრობას წარუდგინოს წინადადებები კრიზისების მართვის კოორდინაციის მექანიზმების სრულყოფის შესახებ. კომიტეტი სამინისტროებიდან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან იღებს და განიხილავს სავარაუდო რისკებს, იგი ასევე ამტკიცებს სამინისტროებისა და რეგიონული ადმინისტრაციების კრიზისების მართვის გეგმებს. საგანგებო სიტუაციების დროს, კრიზისების მართვის სპეციალური ჯგუფის საშუალებით კომიტეტი კოორდინაციას უწევს სამინისტროებს, რეგიონული ადმინისტრაციებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საქმიანობას.

სისტემის შემდეგი რგოლია სამინისტროები, ისინი თავიანთ უწყებებში ქმნიან კრიზისების მართვის სპეციალურ ქვედანაყოფს ან უფლება-მოვალეობებს აკისრებენ რომელიმე შესაბამის დეპარტამენტს. ქვედანაყოფები პასუხს აგებენ კრიზისების მართვის ღონისძიებების ზოგად ორგანიზებაზე შესაბამისი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში. ამასთანავე, ყველა სამინისტრო ქმნის კრიზისების მართვის სპეციალურ ჯგუფს, რომელიც მუდმივად დაკავებულია კრიზისების პრევენციის და მართვის საკითხებით. კერძოდ, ეს ჯგუფი კოორდინაციას უწევს მოცემული სამინისტროს სხვა უწყებებთან თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლას და რესურსების გამოყენებას. ჯგუფი მუდმივად ახორციელებს სიტუაციის ანალიზს და განსაზღვრავს თავისი უწყების იმ შემადგენლობას, რომელიც საგანგებო ვითარების დროს ოცდაოთხი საათის რეჟიმში იმუშავებს. ფაქტობრივად, ქვედანაყოფები ქმნიან კრიზისების მართვის უწყებათაშორის სისტემაში თავიანთ უწყებას. ქვედანაყოფების კოორდინაციით სამინისტროები ახდენენ სხვადასხვა რისკების შეფასებას და ამზადებენ კრიზისების მართვის უწყებრივ გეგმას.

რისკების შეფასებისა და კრიზისების მართვის ადგილობრივი გეგმების მომზადების ვალდებულება რეგიონების ადმინისტრაციებს და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებსაც აკისრიათ. რეგიონებში – გუბერნატორები ქმნიან რეგიონის კრიზისების მართვის კომიტეტებს და კრიზისების მართვის ჯგუფებს. რეგიონის კომიტეტის ფუნქციაა კრიზისების მართვის სფეროში ზოგადი კოორდინაციის განხორციელება, მუდმივი მზადება საგანგებო სიტუაციებისადმი და მათზე შესაბამისად რეაგირება.

გუბერნატორი კომიტეტის თავმჯდომარეა, კომიტეტი მას წარუდგენს წინადადებებს რესურსების მართვის, კრიზისების მართვის ჯგუფების შემადგენლობების და სხვა საკითხების შესახებ. გუბერნატორი ვალდებულია კოორდინაცია გაუწიოს რეგიონული ადმინისტრაციის თანამშრომლობას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფონდებთან. გუბერნატორები ასევე კოორდინაციას უწევენ თავიანთი პასუხისმგებლობის ტერიტორიაზე არსებული რაიონებისა და ქალაქების მუნიციპალიტეტების მიერ რისკების შეფასებასა და კრიზისების მართვის გეგმების შემუშავებას, რის საფუძველზეც ისინი ამზადებენ რეგიონის რისკების შეფასების ერთიან დოკუმენტებსა და კრიზისების მართვის გეგმებს.

ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოები აყალიბებენ კრიზისების მართვის ადგილობრივ კომიტეტებს, რათა რაიონებსა და ქალაქებში შესაბამისი ფუნქციების ეფექტური შესრულება განხორციელდეს. ადგილობრივი კომიტეტების საქმიანობაში შედის ადგილობრივი რისკების შეფასებისა და გეგმების შემუშავების ღონისძიებების ხელმძღვანელობა. ადგილობრივი კომიტეტები კრიზისების მართვის ჯგუფებსაც ქმნიან, რომლების სხვა ადგილობრივი რეგიონული ადმინისტრაციისა

და სამინისტროების კრიზისების მართვის ჯგუფების მსგავს ფუნქციებს ასრულებენ. კომიტეტები ასევე კოორდინაციას უწევენ კრიზისების მართვის ჯგუფების მუშაობას საგანგებო სიტუაციების დროს.

ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სხვა სამინისტროებისაგან განსხვავებით განსაკუთრებული ადგილი უკავია კრიზისების მართვის სისტემაში. მას მაკოორდინირებელი ფუნქციებიც აკისრია და მისი ქვედანაყოფი, კრიზისების მართვის დეპარტამენტი მთავრობის კრიზისების მართვის კომიტეტის აპარატის ფუნქციასაც ითავსებს. შსს კოორდინაციას უწევს სამინისტროებისა და რეგიონული ადმინისტრაციების მიერ კრიზისების მართვის გეგმების შემუშავებას, ამზადებს დასკვნას სამინისტროებისა და რეგიონული ადმინისტრაციების მიერ რისკების შეფასების თაობაზე და ჯერ შესათანხმებლად წარუდგენს მთავრობის კრიზისების მართვის კომიტეტს, ხოლო შემდეგ მთავრობას. შსს ასევე რეგიონების მთავრობებს და ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებს უწესებს რისკების შეფასებისა და კრიზისების მართვის გეგმების შემუშავების მეთოდებსა და განრიგს.

კრიზისების მართვის სისტემა საქართველოში

საქართველოში კრიზისების ეფექტური მართვის სისტემის არსებობა ბევრ საერთაშორისო ინსტიტუტთან დაახლოვებასნიშნავს, რადგან ეს სისტემა აამაღლებს ნდობას საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის მიმართ. ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა უნდა იყოს თანამედროვე და დახვეწილი, რათა მან მოიპოვოს ნდობა საერთაშორისო თანამეგობრობისგან. საქართველოს ექნება შესაძლებლობა გაუმკლავდეს შიდა და გარე პრობლემებს ეფექტური გზით. ამ სისტემის არსებობა განამტკიცებს ურთიერთობებს ნატოსთან და ევროკავშირთან. საქართველოს სამომავლო გეგმა ასევე ითვალისწინებს მუშაობას კრიზისების მენეჯმენტზე. ამ სისტემის განხორციელება ზრდის ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანების შანსებს.

ამ ეტაპზე,საქართველოს მთავრობამ ბევრი ექსპერტისაგან თუ მთავრობისგან მიიღო რჩევა,ბრიტანეთის მთავრობა და ამერიკის მთავრობა აქტიურადაა ჩართული საქართველოში კრიზისების მართვის რეფორმირების პროცესში. საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილებასაც იზიარებს, მაგალითად ბალტიის ქვეყნების - რომლებსაც დახმარება იგივე ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა გაუწია.[306]

კრიზისების დარეგულირების ერთი კონკრეტული მოდელი არ არსებობს. საქართველოს მთავრობამ ზუსტად არ უნდა გადმოიღოს რომელიმე ქვეყნის მოდელი, უნდა გათვალისწინებულ იქნეს საქართველოში არსებული რეალური ვით, რათა გათვალისწინებულ იქნეს, თუ რომელი პრინციპიასაქართველოსთვის მოსარგები. არც ნატოს რეკომენდაციები უნდა დარჩეს უყურადღებოდ, მთავრობამ შერჩეული პრინციპები უნდა შეუთანხმოსალიანსის რეკომენდაციებს.

დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების პირობებში საქართველოსთვის ინსტიტუციური მოდელი უფრო შესაფერისია. განვითარებად სახელმწიფოებში, სადაც აქტუალურია ადამიანის რესურსების და შესაბამისი გამოცდილების პრობლემები, თვითრეგულირებადი მექანიზმი არაეფექტურია. შესაბამისად, უმჯობესია საკანონმდებლო დირექტივების შესასრულებლად იერარქიული სტრუქტურიზებული უწყებათაშორისი სისტემის შექმნა, რომელიც კრიზისების პრევენციისა და მართვაზე ორიენტირებული ქვედანაყოფებისგან დაკომპლექტდება და კოორდინაციასა და შესრულების მონიტორინგს უზრუნველყოფს.

[306]Chitadze Nika. Crisis Management and Intergovernmental coordination in Georgia after Georgia-Russia war. NUPI, Norwegian Institute of International Affairs. Oslo, Norway, May, 2010. P. 15

საქართველოს ადმინისტრაციულ–ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით, კრიზისების მართვის უწყებათაშორისი კოორდინაციის სისტემა შესაძლოა მაქსიმალურად დავუახლოვოთ ესტონურ მოდელს, თუმცა მისგან განსხვავებით იგი შესაძლოა უფრო ცენტრალიზირებულიც იყოს და სამინისტროებსა და რეგიონებში სტანდარტული სტრუქტურული ერთეულები ჩამოყალიბდეს, რომელთა საქმიანობის კოორდინაციას ერთი ცენტრალური ორგანო განახორციელებს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ადამიანური რესურსების სიმწირის გამო უმჯობესი იქნება სისტემის იერარქიული მოწყობა. ესტონური სისტემა გარკვეულწილად დეცენტრალიზებულია, რეგიონებში თითოეული ქალაქის და რაიონის მუნიციპალურ ორგანოს თავისი კრიზისების მართვის კომიტეტი გააჩნია, რომლებიც რისკების შეფასებასა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას ადგილზე ახორციელებენ. ჩვენს შემთხვევაში უმჯობესია მსგავსი საქმიანობა მთელი რეგიონის მასშტაბით გუბერნატორის დაქვემდებარებულმა სამსახურმა განახორციელოს, საბოლოო გადაწყვეტილება კი ცენტრში იქნეს მიღებული. საქართველოს მცირე ფართობი საშუალებას იძლევა კრიზისების მართვის სფეროში მმართველობა მაქსიმალურად ცენტრალიზებული იყოს, ეს კი რეგიონებში ადამიანური რესურსების პრობლემას შეამცირებს.

საქართველოს ხელისუფლებისა და ქვეყნის ეკონომიკისთვის ესტონური მოდელის გამოყენება მომგებიანი იქნება. სისტემის დანერგვა აღმოფხვრის კრიზისების მართვის უწყებათაშორისი კოორდინაციის პრობლემას, რაც ეროვნული უსაფრთხოებისა და განვითარების წინააღმდეგ მიმართულ რისკს წარმოადგენს. კრიზისების მართვის უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესებით, საქართველო შეძლებს თავიდან აიცილოს სხვადასხვა სახის კრიზისის უარყოფითი შედეგები ან უბრალოდ შეამციროს ზარალის ოდენობა. მაგალითად, 2005 წელს სტიქიური უბედურებების, წყალდიდობების გამო საქართველოს ბიუჯეტსაც და ეკონომიკასაც დიდი ზარალი მიადგა. სისტემის არსებობის შემთხვევაში კი წინასწარ მოხდებოდა რისკების შეფასება და მიღებულ იქნებოდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, რაც ბევრად უფრო ნაკლებ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სისტემის დანერგვით მიღებული სარგებელი ბევრად უფრო მეტი იქნება იმ დანახარჯებზე, რაც სისტემის შექმნისთვის და მისი ფუნქციონირებისთვის არის აუცილებელი. რა თქმა უნდა კრიზისების მართვის სფეროს გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია შესწავლილ იქნეს 2008 წლის აგვისტოს გაკვეთილები, რათა ქვეყანა ბევრად უფრო მოზადებული შეხვდეს მოსალოდნელ აგრესიას (იმედია, რომ მომავალში ფართომასშტაბიანი აგრესის საქართველოს წინააღმდეგ აღარასოდეს განხორციელდება).

"კრიზისების მართვის ორგანიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი მთავრობისათვის არა მხოლოდ კრიზისების დასაძლევად რომელშიც ის აღმოჩნდება, არამედ ცოდნის ამაღლებისათვის დაიცვას ქვეყანა კრიზისისგან სანამ ის აღმოცენდება. ამ მიზნით მთავრობის წევრები უნდა იყვნენ გაფრთხილებულნი საფრთხის შესახებ, მათ უნდა ჰქონდეთ შემუშავებული მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს ლიდერს მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ"[307] – განაცხადა გენერალმა სერ გარი ჯონსონმა, უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარემ, მისი თქმით საქართველოს მთავრობამ ბევრი ადამიანისგან და მთავრობისგან მიიღო რჩევა, ბევრი მეთოდი შეისწავლა, თუ როგორ უნდა მართოს კრიზისები, მათ იციან რისი გაკეთება სურთ და როგორ უნდათ ამის სტრუქტურირება. ეროვნული უშიშროების საბჭო

[307] კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი "ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე". საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 62

უკვე სათავეში უდგას ამ პროცესს, ჯგუფის წევრები არიან მთავრობის წარმომადგენლები: პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი და სხვა. ყველა ეტაპის გასავლელად საჭიროა არანაკლებ 3 წელი. საქართველოს ბევრი კრიზისი გამოუვლია, თუმცა საუკეთესო გზა არ გააჩნდა მათი პრევენციისთვის.

რეკომენდაციები

კრიზისის მართვის სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად უნდა განხორციელდეს შემდეგი: უნდა განისაზღვროს ის ახალი საფრთხეები - რომლებიც არსებობს საქართველოში, რაც მხოლოდ რუსეთის საოკუპაციო ძალების თბილისიდან 40 კილომეტრში განლაგებას არ მოიცავს. სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციული და კიბერ საფრთხეები საგულდაგულოდ უნდა ჩამოყალიბდეს და მოხდეს შესაბამისი ღონისძიებების გატარება მათი პრევენციისათვის.

უნდა დაჩქარდეს მუშაობა ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის მიღებაზე, ასევე შესწორებები უნდა შევიდეს ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა, სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტი და სხვა. საქართველოს უსაფრთხოების სისტემის რეფორმირების გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ კრიზისების მართვის სიტემის დანერგვა დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით.კრიზისების მართვის სისტემის არსებობა ბევრ საერთაშორისო ინსტიტუტებთან დაახლოვებასნიშნავს, რადგან ეს სისტემა აამაღლებს ნდობას საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე. პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოში აუცილებელია კრიზისების მართვის ინსტიტუციური სისტემის დანერგვა. კრიზისების პრევენციისა და მათზე ეფექტურად რეაგირების მიზნით, სტრუქტურიზებულმა უწყებათაშორისმა სისტემამ უნდა გააერთიანოს ყველა შესაბამისი ცენტრალური სახელმწიფო უწყება და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო და უნდა შეიქმნას ამ უწყებათა კოორდინირებული და შეთანხმებული მოქმედებების მექანიზმი.

ანალიზიდან გამომდინარე, საქართველოში ეფექტური მოდელი შემდეგი სახით უნდა ჩამოყალიბდეს: ყველა სამინისტროში და რეგიონულ ადმინისტრაციაში უნდა შეიქმნას კრიზისების მართვის სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც უნდა წარმოადგენდეს თავის უწყებას კრიზისების მართვის სფეროში და ახორციელებდეს ამ უწყების ინფორმაციულ და ანალიტიკურ უზრუნველყოფას. კერძოდ, სამინისტროებში და რეგიონულ ადმინისტრაციებში შექმნილი ქვედანაყოფები შემდეგ ფუნქციებს უნდა ახორციელებდნენ:

- კრიზისების პრევენციის, წარმოქმნილი კრიზისების დარეგულირებისა და კრიზისებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის სამოქმედო გეგმების შემუშავება;

- რისკების შეფასება, მოსალოდნელი კრიზისების ალბათობის განსაზღვრა, წარსულში მომხდარი კრიზისების და მათი მართვის პრაქტიკის განზოგადება და ანალიზი;

- კრიზისების შესაძლო გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი ფაქტორების დადგენა, ასევე კრიზისების ინდიკატორების გამოვლენა;

- კონკრეტული კრიზისების გათვალისწინებით, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა და კონკრეტული უწყებების როლის განსაზღვრა;

- მოსალოდნელი კრიზისების სალიკვიდაციო და პრევენციული ღონისძიებების, აგრეთვე, საჭირო მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებისა და ადამიანური რესურსების განსაზღვრა;

- კონკრეტული კრიზისების გათვალისწინებით, კრიზისების მართვის ოპერატიული უწყებათაშორისი შემადგენლობების განსაზღვრა.[308]

აღნიშნული სტრუქტურული ქვედანაყოფების ურთიერთთანამშრომლობას და სხვადასხვა უწყებათა შორის კომპეტენციებისა და ფუნქციების განაწილებას კოორდინაციას უნდა უწევდეს კრიზისების მართვის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც პრეზიდენტის ან პრემიერ – მინისტრის დაქვემდებარებაში შეიქმნება. აღნიშნული ორგანოს მთავარი ამოცანა იქნება უზრუნველყოს უწყებათაშორისი მოქმედებების კოორდინაცია, კრიზისების პრევენციის, წარმოქმნილი კრიზისების დარეგულირებისა და კრიზისებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის მიზნით. კერძოდ, ცენტრმა შემდეგი ფუნქციები უნდა განახორციელოს:

- უზრუნველყოს კრიზისების მართვის ეროვნულ სისტემაშიგაერთიანებული სამინისტროების და რეგიონული ადმინისტრაციების სპეციალური ქვედანაყოფების წარმომადგენელთა სისტემატური შეხვედრების ორგანიზება, ქვეყანაში კრიზისული ტენდენციებისა და სხვა მიმდინარე საკითხების განხილვის მიზნით;

- მოამზადოს პრეზიდენტის ბრძანებულებების პროექტები, რომლებიც დაადგენენ სხვადასხვა უწყების ზოგად პასუხისმგებლობებს და გასცემენ დირექტივებს შესაბამისი წინასწარი ღონისძიებების განხორციელების შესახებ;

- კოორდინაცია გაუწიოს ქვედანაყოფების ერთობლივ საქმიანობას კრიზისების მართვის ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით;

- ქვედანაყოფებთან ურთიერთქმედებით შეიმუშაოს სხვადასხვა სახის კრიზისის სცენარები და გარკვეული პერიოდულობით უზრუნველყოს მათი მართვის ინსცენირების კოორდინაცია შესაბამისი უწყებების მონაწილეობით;

- კონკრეტული კრიზისების გათვალისწინებით განსაზღვროს საზოგადოების ინფორმირების სტრატეგია;

- გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი ღონისძიებების დასახვის მიზნით მჭიდროდ ითანამშრომლოს შესაბამის საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების

[308] კასრაძე სტელა. სამაგისტრო ნაშრომი "ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე". საქართველოს უნივერსიტეტი, 2010 წ. გვ. 63

სახელისუფლო სტრუქტურებთან, ასევე ადგილობრივ, უცხოურ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

- მონაწილეობას მიიღოს ქვედანაყოფებში ადამიანური რესურსების განსაზღვრისა და კადრების შერჩევის პროცესში.[309]

ასევე აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სისტემის შესაქმნელად უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. პრეზიდენტის ბრძანებულებით უნდა შეიქმნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ზემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე შეიმუშავებს და პრეზიდენტს დასამტკიდებლად წარუდგენს კრიზისების მართვის კონცეფციას;

2. კონცეფციის საფუძველზე ჯგუფი შეიმუშავებს კრიზისების მართვის უწყებათაშორისი სისტემის კანონპროექტს;

3. კანონპროექტის მიღების შემდეგ, პრეზიდენტის ბრძანებულებით პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უნდა ჩამოყალიბდეს კრიზისების მართვის საკოორდინაციო ცენტრი;

4. პირველ ეტაპზე ცენტრის ფუნქციებში შევა საქმიანობა კრიზისების ეროვნული სისტემის ფორმირების მიმართულებით. ცენტრი უშუალოდ ითანამშრომლებს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, რათა მათ შექმნან სპეციალური ქვედანაყოფები ქვეყანაში კრიზისების მართვის ერთიანი სისტემის ფორმირების მიზნით;

5. შესაბამის უწყებებში სპეციალური ქვედანაყოფების შექმნის შემდეგ ცენტრი შეუდგება ზემოჩამოთვლილი ფუნქციების განხორციელებას, რითაც საქართველოში ამოქმედდება კრიზისების მართვის უწყებათაშორისი კოორდინაციის სისტემა;

6. სისტემის ფორმირების პროცესში შესაძლოა სახელმწიფოს დასჭირდეს შესაძლებლობების ზრდა და ტრეინინგები, რათა სახელმწიფო მოხელეებმა და განსაკუთრებით პოლიტიკური თანამდებობის პირებმა გაითავისონ კრიზისების თანამედროვე მართვის სპეციფიკა და უწყებათა კოორდინაციის გარდაუვალი აუცილებლობა; ასევე საჭიროა რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღიქვან ქვეყნისთვის მაღალი ალბათობის კრიზისების მოგვარების სცენარების წინასწარ გათამაშების აუცილებლობა, რაც წარმატებით და ეფექტურად ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში;

[309]Chitadze Nika. Crisis Management and Intergovernmental coordination in Georgia after Georgia-Russia war. NUPI, Norwegian Institute of International Affairs. Oslo, Norway, May, 2010. P. 15

7. წინა პუნქტში მითითებული მიზნის განსახორციელებლად, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მოზიდვა.[310]

საქართველოში კრიზისების მართვის უწყებათაშორისი სისტემის რეკომენდირებული მოდელი გრაფიკულად შესაძლებელია გამოისახოს შემდეგნაირად:



[310]Dvali Akaki. Crisis Management and Intergovernmental coordination. GFSIS. Bulletin 2, 2005. P. 18

დასკვნა

წიგნის სხვადასხვა თავებში, ცალკეული თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების განხილვისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ გეოპოლიტიკის ცალკეული კანონები და გეოპოლიტიკური ტერიტორიების სტატუსის განსაზღვრა განსაკუთრებით მოსახერხებელია პოლიტიკური ისტორიის, დიპლომატიის ისტორიისა და სტრატეგიული დაგეგმარების ანალიზის პროცესში.

რიგ მეცნიერთა აზრით, გეოპოლიტიკა წარმოადგენს მომავლის მეცნიერებას. გეოპოლიტიკური პროცესების ანალიზის მეშვეობით, მარტივდება ქვეყნებისა და ხალხების, მთელი რეგიონების ისტორიული განვითარების მთელი ეპოქების გააზრება.

რაც შეეხება ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე გეოპოლიტიკური მეთოდოლოგიის გავლენას, თუკი სახელმწიფოში მოქმედი სხვადასხვა ორიენტაციის (მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრისტები) პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების მიერ განხორციელებული პოლიტიკის, აგრეთვე, სახელისუფლო სტრუქტურების გეოპოლიტიკური მნიშვნელობა თვალსაჩინო იქნება, შედარებით მარტივი იქნება სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების მიერ გადადგმული ნაბიჯების დაკავშირება გლობალური ინტერესების სისტემასთან, ანუ ნათელი გახდება მათი შორეული მიზნები. მაგალითად, საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში – თალასოკრატიული ძალების (ატლანტისტების) ნაბიჯია. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ ქვეყნის შიგნით "ლიბერალური" ტენდენციების გაძლიერება. პირიქით, ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა და მოსკოვთან დაახლოება ნიშნავს ევრაზიული (თელულოკრატიული) მიმართულებებისადმი დაქვემდებარებას, რაც აუცილებელად გამოიწვევს "ევრაზიელთა" ანუ "კონსერვატიული, ანტიდემოკრატიული ძალების" პოზიციათა გაძლიერებას და ა.შ. ზუსტად ასევე, შიდა გეოპოლიტიკური კანონზომიერებების განჭვრეტით, ადვილია განისაზღვროს შიდაპოლიტიკური პროცესებიც – საქართველოში სეპარატიზმის გავრცელების ძირითადი მიზეზები, მმართველ და ოპოზიციურ ძალებს შორის დაპირისპირება, ურთიერთობა ცენტრსა და რეგიონებს შორის და ა.შ.

გეოპოლიტიკა – მისი სხვადასხვა მიდგომებიდან გამომდინარე, არ აცხადებს პრეტენზიას მეცნიერულ სიზუსტეზე და იგი თვითონ განსაზღვრავს, თუ რა არის მისთვის ღირებული და რა არა. მისი ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებთან დაკავშირება მხოლოდ იმ დროს ხორციელდება, როდესაც ეს

დისციპლინები არ შედიან წინააღმდეგობაში გეოპოლიტიკური მეთოდების ძირითად პრინციპებთან. გეოპოლიტიკა, გარკვეულწილად, თვითონ ირჩევს მისთვის მისაღებ მეცნიერებებსა და სამეცნიერო მიმართულებებს.
თანამედროვე მსოფლიოში იგი წარმოადგენს "მოკლე ცნობარს მმართველი ძალებისათვის", ხელისუფლების სახელმძღვანელოს, სადაც მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოს მმართველი ელიტის მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი გლობალური გადაწყვეტილებების მიღების დროს, როგორებიცაა სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური კავშირების შექმნა, საომარი მოქმედებების დაწყება, სამართლებრივი და სოციალ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, საზოგადოების სტრუქტურული გარდაქმნა, მასშტაბური ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების შემოღება იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც უგულებელყოფს საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს და ა.შ.
საბოლოოდ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ გეოპოლიტიკა- ესაა მეცნიერება მართვის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. b. isaevi. Ggeopolitika (rusul enaze). Mmoskovi. 2005
2. erekle uruSaZe. rusuli sagareo politikuri azrovneba postsabWoTa periodSi. bTkk-s saerTaSoriso politikis kvlevebis seria.
3. saqarTvelos geografia. Nnawili II. social-ekonomikuri geografia. Tbilisi, 2003. gv. 13-26
4. a. Ddugini. Ggeopolitikis safuZvlebi. Ggamomcemloba "mTawmindeli". Tbilisi. 1999
5. a. tuzikovi. "osnovi geopolitiki." (rusul enaze). Mmoskovi. 2005
6. Black Sea Region in the Changing European Context. Conference Materials. 29-30 November 2007, Tbilisi.
7. m. JRenti. j. xaritonaSvili. Mmsoflios ekonomikuri da socialuri geografia. Tbilisi, 1999.
8. nika CitaZe. N"nato-Crdiloatlantikuri aliansi. msoflioSi mSvidobisa da stabilurobis mTavari garanti". Tbilisi. 2008.
9. a. gegeSiZe. Ggeopolitika. Tbilisi. 1997
10. NATO Handbook. NATO Office of Information and Press. Brussels – Belgium, 2001
11. The Marshall Center Papers. Western Unity and the Transatlantic Security Challenge. By Peter van Ham and Richard L. Kugler. No.4. June, 2002. See The Marshall Center web-site: www. marshallcenter.org
12. zurab abaSiZe. "nato da saqarTvelo. utopiidan realobisken".2000 w.
13. aleqsandre rondeli. "saerTaSoriso urTierTobebi." gamomcemloba "nekeri", 2003.
14. vasil WyoiZe, sergi kapanaZe, eka akobia, kaxa gogolaSvili, arCil gegeSiZe. evrokavSiris institutebi da politika.
15. Tavdacvis strategiuli mimoxilva. saqarTvelos Tavdacvis saministro. 2007 w.
16. The North Atlantic Treaty Organization (NATO): A Strategic and Operational Overview. George C. Marshall European College of International and Security Studies. 2007.
17. Nika Chitadze. NATO's Role in South Caucasus Regional Security. American University for Humanities. Tbilisi-2007.
18. Jurnali "arsenali". 2-15 noemberi, 2007. gv. 7. gv.11.
19. Jurnali "arsenali". oqtomberi, 2007. gv. 4.
20. The United Nations and Changing World Politics. Wesview Press. 1998.
21. daviT ZnelaZe. msoflio ekonomika. gv.175-243. Tbilisi, 1997 w.
22. nika CitaZe. kaspiis navTobi da satranzito qveynis roli (saqarTvelos magaliTze). Tbilisis saxelmwifo universiteti, 2000w.
23. anatoli korepanovi. sainformacio centri natos Sesaxeb. gazeTi "24 saaTi". 4 Tebervali, 2008 weli.
24. Tornike TurmaniZe. buferuli saxelmwifoebi. bTkk-politikis kvlevebis jgufi. Tbilisi, 2006
25. asociacia "samarTali da Tavisufleba". jari da demokratia. perspeqtivebi qarTuli jaris demokratizaciis gzaze. Tbilisi, 2006.
26. NATO's Nations. 50-th Anniversary of NATO. No.1/1999
27. saerTaSoriso urTierTobebis Teoria. qrestomaTia. gv. 56-84, 196-213, 286-302. 2004 w.
28. Charles W. Kegley, Eugene R. Wittkopf. World Politics. New York. 2002.
29. Nika Chitadze. Materials of the Conference „Black Sea Region in the Changing European Context. pp. 57-65, 79-91. Friedrich Ebert Stiftung. Tbilisi, 2007.
30. Nika Chitadze. Main aspect of the NATO-Georgia Relations. Journal "Chernomorska Bezpeka". Sebastopol, Ukraine. Center "Nomos". N2(4), 2006.
31. Tornike SaraSeniZe. nato rCeulTa aliansi. gazeTi 24 saaTi, 14 maisi, 2007 w.
32. arasamTavrobo organizacia "saqarTvelo nato-Si". demokratiuli kontroli SeiaraRebul Zalebze. Tbilisi, 2005.
33. Nika Chitadze. The Role of Georgia in the Energy Security of the Black Sea Region. Journal "Chernomorska Bezpeka". Sebastopol, Ukraine. Center "Nomos". N1(5), 2007.

34. Ronald D. Asmus: Reinventing NATO (Yet Again) Politically, NATO Rewiev, Spring 2005
35. Zbigniew Brzezinski. The Grand Chessboard. p. 137
36. sainformacio centri natos Sesaxeb mier gamoqveynebuli masalebi gazeTi “24 saaTi”. 4 Tebervali, 2008
193
w.
Winston S. Chirchill, The Second 37. World War – Triumph and Tragedy, (London, U.K: The educational book company ltd. 1953), p.277
38. Huntington, Samuel P, The lonely Superpower, Foreign Affairs, Mar/Apr 99
39. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
40. sainformacio centri natos Sesaxeb. biuleteni N1. ianvari-marti. 2006 w.
41. sainformacio centri natos Sesaxeb. gamoSveba N2. aprili-ivnisi. 2006 w.
42. sainformacio centri natos Sesaxeb. “mokled natos Sesaxeb”. Tbilisi, 2006 w.
43. sainformacio centri natos Sesaxeb. gamoSveba N1. ivlisi-agvisto, 2007.
44. sainformacio centri natos Sesaxeb. gamoSveba N2. seqtemberi. 2007 w.
45. sainformacio centri natos Sesaxeb. gamoSveba N4. Tebervali. 2008 w.
46. Stumbul Summit. Guideline. 2004
47. “axali Taoba-axali iniciativa”. Georgia-NATO. Tbilisi, 2006.
48. NATO-Russia Council. Rome Summit, 2002.
49. NATO Today. Building better security and stability for all. NATO Office on Information and Press. Brussels, 2002.
50. NATO in the 21-st Century. NATO Office on Information and Press. Brussels, 2002.
51. European Security and Defense. Second Edition, November, 2002.
52. The Strategic Concept of the Alliance. NATO Office on Information and Press. Brussels, 1999.
53. Partnership in Action. NATO Office on Information and Press. Brussels, 2001.
54. NATO Transformed. NATO Office on Information and Press. Brussels, 2004.
55. evropuli da evroatlantikuri integraciis sakiTxebSi saxelmwifo ministris aparatis masalebi.
56. “saqarTvelos erovnuli usafrTxoebis koncefcia”. saqarTvelos sagareo saqmeTa saministro. 2007 w.
57. “saqarTvelos sagareo saqmeTa ministris xedva”. saqarTvelos sagareo saqmeTa saministro.
58. “sovremennaia amerika”. moskovi, 1988 w. (rusul enaze).
59. usafrTxoebis sakiTxebSi mrCevelTa saerTaSoriso sabWo. 2005 wlis angariSi.
60. Prague Summit and NATO Transformation. Guediline. NATO Office on Information and Press. Brussels, 2002.
61. Security and Defense in the New EU Constitution. Journal Connections. Partnership for Peace Consortium of Defense Academies and Security Studies Institutes. Vol. III, N3. September, 2004
62. Kugler, Richard L. “Origins of the Cold War”. Chapter 2 in Commitment to Purpose: How Alliance Partnership Won the Cold War. Rand: Santa Monica, CA, 1993
63. Kriendler, John. “NATO HQ Reform: The latest Hurraf.” Conflict Studies Reseach Center, Special Series 06/30, july 2006
64. North Atlantic Treaty Organization. “Civilian Organization and Structures”. NATO Handbook, Chapter 7. Brussels: NATO Public Diplomacy Division, 2006, pp. 73-76.
65. North Atlantic Traety Organization. “Riga Summit Declaration Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Riga on 29 November 2006.”
66. Yost, David. “Missile Defense on NATO’s Agenda”. NATO Review, Autumn 2006.
67. Nuland, Victoria. “NATO’s Mission in Afghanistan: Putting Theory into Practice,” NATO Review, Winter 2006.